# საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი

# GEORGIA AND THE CAUCASUS – PAST, PRESENT, FUTURE

მესამე საერთაშორისო კონფერენციის მასალები

PROCEEDINGS OF THE THIRD INTERNATIONAL CONFERENCE

თბილისი

2026

რაფიელ ერისთავი

# ადამიანი და ეპოქა

Raphiel Eristavi

# The Person and the Age

200



კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი სამსხვერპლო წილადა.

საქართველოს უნივერსიტეტი
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
The University of Georgia
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია –
საქართველო და კავკასია
წარსული, აწმყო და მომავალი -
პროექტი – ადამიანი და ეპოქა –
საიუბილეო კრებული – რაფიელ ერისთავი – 200

Georgia and the Caucasus – Past, Present, and Future
The Third International Scientific Conference
The project The Person and the Age
Jubilee Collection – Raphiel Eristavi – 200

კონფერენციის ორგანიზატორები
ქართველოლოგიის მხარდამჭერი ფონდი
Georgian Studies Support Foundation
საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
The University of Georgia T. Beradze Institute Of Georgian Studies
გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი
Goethe-Universität Frankfurt

ქართული ტექსტის რედაქტორი: გრიგოლ კალანდაძე
Editor of the Georgian Text: Grigol Kalandadze
ინგლისური ტექსტის რედაქტორი: ანა ყიფიანი
Editor of the English Text: Ana Kipiani
დიზაინი და დაკაბადონება: მარი ვერულაშვილი
Design and Layout: Mari Verulashvili
ფოტოების დამუშავება – მაია ფეიქრიშვილი
Photo Editing – Maia Peikrishvili

პუბლიკაციაში გამოყენებულია ინტერნეტ რესურსები
This publication incorporates information from internet-based resources

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
Copyright © საქართველოს უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-9915-3-0
DOI https://doi.org/10.62343/rafieli.2026

პროექტის იდეისა და კონცეფციის ავტორი, სამეცნიერო კრებულის შემდგენელი ეკა კაჭარავა
Author of the project's idea, concept, and design; compiler of the scientific volume Eka Kacharava

სამეცნიერო რედაქტორები: გიული ალასანია, თინათინ ღუდუშაური, ნინა ბარნოვი
Scientific Editors: Giuli Alasania, Tinatin Ghudushauri, Nina Barnovi

**სარედაქციო კოლეგია**

გიორგი გაგოშიძე
ანდრო გოგოლაძე
მარიამ გველესიანი
მერაბ ღაღანიძე
ნინო ჩიხლაძე

**Editorial Board**

Giorgi Gagoshidze
Andro Gogoladze
Mariam Gvelesiani
Merab Ghaghanidze
Nino Chikhladze

სარედაქციო ჯგუფი შესაძლოა არ ეთანხმებოდეს ავტორთა ზოგიერთ მოსაზრებას
The editorial team may not agree with some of the authors' opinions

პროექტის განხორციელებაში მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის მადლობას მოვახსენებთ – საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტს, რაფიელ ერისთავის სახელობის სახელმწიფო მუზეუმს (სოფელი ქისტაური).

თანამშრომლობისათვის მადლობას მოვახსენებთ – გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის ყოფილ დირექტორს, ლაშა ბაქრაძეს, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თეა თვალავაძეს, ამავე მუზეუმის თანამშრომლებს ია ღადუას, ირაკლი ვართაგავას, ნანა კიკნაძეს, ნანა კობალაძეს, მარინე ყიფიანს, დავით ბუაჩიძეს, ზინა ბარნოვს, ნინო ქორიძეს, ფატმან ჩოგოვაძეს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორს, ლევან თაქთაქიშვილს, ამავე ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ქეთევან თომაძეს, მაია მიქაბერიძეს, იამზე ონიანს, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს, ზაზა აბაშიძეს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომელს ესმა მანიას, საქართველოს უნივერსიტეტის ციფრული ბიბლიოთეკის მენეჯერს მარიამ ხოჯავას, რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს ბელა ფშაველიშვილს და მეცნიერ-მუშაკს ნანა ოვეჩკინას.

Thanks for the support and cooperation of the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, the Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, the National Library of Georgia, and the Raphiel Eristavi State Museum (located in Qistauri village).

Special thanks for cooperation to Dr. Lasha Bakradze, former director of the Giorgi Leonidze Museum of Literature; Dr. Tea Tvalavadze, acting director, and the museum staff: Dr. Ia Ghadua, Irakli Vartagava, Nana Kiknadze, Nana Kobaladze, Marine Kipiani, Davit Buachidze, Zina Barnovi, Nino Koridze, and Fatman Chogovadze.

Thanks also to Levan Takhtakhishvili, director of the Library Resources Department at the National Library of Georgia, and the library staff: Ketevan Thomadze, Maia Miqaberidze, and Iamze Oniani. Gratitude to Dr. Zaza Abashidze, director of the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts; Dr. Esma Mania; Mariam Khojava, manager of the Digital Library at the University of Georgia; Bela Pshavelishvili, director of the Raphiel Eristavi State Museum; and researcher Nana Ovechkina.

*თ. რაფიელი ჩვენი სასიქადულო პოეტია. პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოებს ხოლმე თავის უკეთეს ნააზრს და ნაგრძნობს, თავის უკეთეს სულთასწრაფვას, თვისს იმედსა და სასოებას, თვის თავმოსაწონებელ გულთაძვრას, თვის ჭირსა და ლხინსა, თვისის ენისა და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ეროობს, ადამიანი ადამიანობს ... ეს დიდი მადლი, რომელსაც ბუნება მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომელიც თქმას ქმნადა ჰხდის, რაფიელ ერისთავმა მთლად ამსახურა თავის საყვარელ მამულს, თავის საყვარელ ერსა.*

ილია ჭავჭავაძე

*ორმოცი წელიწადია თვალყურს ვადევნებ მაგის მოღვაწეობას და არცერთხელ არ შე-მინიშნავს, რომ მაგას გულგრილად გვერდი აევლოს ჩვენი შინაური საქმეებისათვის და შესაფერისი თანაგრძნობა არ გამოეცხადებიოს.*
*ორმოცდაათი წელიწადია ქართველი საზოგადოება ტკბება თვისის საყვარელის და სიმპატიურის მგოსანის ლექსებით და პატივისცემით თვალყურს ადევნებს მისს პატიოსანს საზოგადო მოღვაწეობას. ასეთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობა, საყვარელ მოხუცისა, ვალად გვდებს ღირსეული პატივი ვსცეთ მას, საქვეყნოდ აღვიაროთ ჩვენი სიყვარული და პატივისცემა გამოჩენილ მამულიშვილისადმი.*

აკაკი წერეთელი

*თ. რაფიელის ნაწერებს აქვს ოთხი დიდი ღირსება: ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო.*

იაკობ გოგებაშვილი

*ქართული ენით წერა მარტო ი. ჭავჭავაძემ იცის და რაფიელ ერისთავმა.*

დავით ერისთავი

*ქართული ენა ეხლანდელს მწერლობაში ისე მდიდრად არსად ჩანს, როგორც რ. ერისთავის ნაწერებში, აქ ენას ნაკლებად ეტყობა დანათესავება რუსულ და სხვა უცხო ქვეყნურს ენასთან, აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავე ხასიათს აძლევს თვით უცხო ქვეყნურს თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ახლა ჩვენში, როდესაც სხვა მწერლის ნაწარმოებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურს თხზულებასაც მცირედ ეტყობა ქართულობა.*

გიორგი თუმანიშვილი

# სარჩევი


წინათქმა 17

FOREWORD 24

არაგვის საერისთავოს ისტორიული გეოგრაფიიდან: საზღვრები 31
*გიორგი ჭეიშვილი*

ცალკეული პოლიტიკური ტერმინების მნიშვნელობისათვის ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების ქართლში 47
*მანანა სანაძე*

არაგვის ერისთავთა გენეალოგიის საკითხისათვის 65
*ეკა კაჭარავა*

თექთურმანიძეთა გვარის ისტორიისათვის 85
*ნინო შიოლაშვილი*

ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი – არაგვის ერისთავთა რეზიდენცია 121
*ეკატერინე კვაჭატაძე*

ასურელ მამათა გამოსახულებები ანანურის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობაში 139
*ნანა ბურჭულაძე*

ბოდორნის ღვთისმშობლის შობის ტაძარი გვიანი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა ეპოქის კონტექსტში 165
*ნოდარ არონიშიძე*

რაფიელ ერისთავი და მისი ეპოქა 197
*ოთარ ჯანელიძე*

რაფიელ ერისთავი და ქართველი ერი 213
*თემურ ჯაგოდნიშვილი*

როგორ იქცა რაფიელ ერისთავის იუბილე სახალხო ზეიმად 227
*ია ღადუა*

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო მემკვიდრეობა
*კვლევები, იდეები, ნოვაციები* 241
*ხათუნა ქოქრაშვილი*

რაფიელ ერისთავი, როგორც ეთნოგრაფი და კულტურის კულტივატორი XIX საუკუნის ქართულ ერთიან სააზროვნო და წარმოსახვით სივრცეში 279
*ნინო აბაკელია*

რაფიელ ერისთავი და ხალხური ტრადიციები 289
*ირმა კვაშილავა*

რაფიელ ერისთავის ბიბლიოფილური მისწრაფებების კვალდაკვალ 297
*ესმა მანია*

რაფიელ ერისთავის პუბლიცისტიკა 307
*მაია მიქაბერიძე*

რაფიელ ერისთავი ოსმალოს საქართველოს შესახებ 321
*თეა მეშველიშვილი*

რაფიელ ერისთავი – კავკასიის მუზეუმის პირველი კურატორი 347
*მანანა ხიზანაშვილი*

*გულნარა კვანტიძე*

განჯაფა, როგორც კულტურული არტეფაქტი 361
*მანანა წერეთელი*

რაფიელ ერისთავი – სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი 373
*ბეჟან ხორავა*

რაფიელ ერისთავი გუგდიდში 391
*ნაზი ქორთუა*

რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონიკები საარქივო მასალების მიხედვით 403
*რუსუდან საღინაძე*

რაფიელ ერისთავი ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის შესახებ 439
*იამზე ვაშაკიძე*

მცენარეთა სახელები რ. ერისთავის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში და მათი ადგილი მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში 451
*ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი*

რაფიელ ერისთავის მხატვრული ენის ესთეტიკა 469
*ინგა სანიკიძე*

რაფიელ ერისთავი – საბავშვო პოეტი 483
*თამარ შაიმმელაშვილი*

XIX საუკუნის ქართული მწერლობა და ქალის ხედვა *ბარბარე ჯორჯაძე* 497
*თამარ ციციშვილი*

ანა ერისთავი-ჭავჭავაძე: პიროვნული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მთავარი პარადიგმა 515
*დოდო ჭუმბურიძე*

ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი 527
*თამარ შარაბიძე*

რაფიელ ერისთავის შემოქმედება გერმანულ ენაზე 537
*ნინო პოპიაშვილი*

აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავის ღვაწლის შესახებ 557
*ნანა ფრუიძე*

ალექსანდრე ყაზბეგისა და რაფიელ ერისთავის ურთიერთობათა ისტორიიდან 567
*ელისაბედ ზარდიაშვილი*

*მაია არველაძე*

გავლენის ინტერპრეტაცია ორი მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების მაგალითზე – რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა 577
*ნანა კუპრაძე*

მიხაი ზიჩის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისთვის – ვეფხისტყაოსანი 587
*თამარ ბელაშვილი*

ვეფხისტყაოსანის ქართველიშვილისეული გამოცემა და რაფიელ ერისთავი 607
*ნესტან სულავა*

*ცოცხალი სურათების* საწყისებთან 619
*ეკა კაჭარავა*

XIX საუკუნის თბილისის მუსიკალური კულტურა რაფიელ ერისთავის ერთი პუბლიკაციის პრიზმაში 639
*მარინა ქავთარაძე*

რაფიელ ერისთავი და ქართული ტრადიციული მუსიკა 651
*თეონა რუხაძე*

სათეატრო არქიტექტურა XIX საუკუნის საქართველოში 661
*ირმა დოლიძე*

რაფიელ ერისთავი და ქართული თეატრი 681
*მაია კიკნაძე*

მხატვრული პროცესები მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში 697
*თათია თევდორაშვილი*

ქართული კარიკატურის ისტორიის ფრაგმენტები 705
*ირინე აბესაძე*

ახალი თაობების ჩართვა: სახლ-მუზეუმების როლი თანამედროვე კულტურულ ტურიზმში 717
*Ana Vírseda de Andrés*

რაფიელ ერისთავის მემორიალური მუზეუმი – *განვითარების ხედვა, მუზეოგრაფიული პროექტის კონცეფცია*

მუზეუმის სლოგანი – *წარსული – მომავლის ინსპირაცია* 729
*ეკა კაჭარავა*

ღვინო – ქართული იდენტობის სიმბოლო 745
*მერაბ მიქელაძე*

ქართული მარანი – *სამშენებლო ტრადიცია, ინვენტარი, წეს-ჩვეულებები* 757
*ლავრენტი ჯანიაშვილი*

რაფიელ ერისთავი და ქართული კულტურის პარადიგმა 775
*ასმათ ოქროპირიძე*

2023-2025 წლების პერიოდში რაფიელ ერისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით განხორციელებულ აქტივობათა ჩამონათვალი 783
*ეკა კაჭარავა*



# წინათქმა

2024 წლის აპრილში აღინიშნა ქართველი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, რაფიელ დავითის ძე ერისთავის დაბადებიდან 200 წლის იუბილე. მისი მოღვაწეობა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის, სოციალური წინააღმდეგობებისა და ცვლილებების, ეროვნული და კულტურული თვითგამორკვევის თანადროულია.

რაფიელ ერისთავს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის XIX საუკუნის ქართული მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ის ფართო ინტერესების მქონე ინტელექტუალია. მისმა მოღვაწეობამ სამოხელეოს გარდა, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სფერო: სამეცნიერო *(არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა, ლექსიკოლოგია, ფოლკლორისტიკა, ტერმინოლოგია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება...), კულტურულ-სახელოვნებო (სათეატრო, დრამატურგიული, მუზეოლოგია), საგანმანათლებლო, სოციალური (საგლეხო რეფორმა), იურიდიული (ადვოკატურა) თუ საფინანსო (სათავადაზნაურო ბანკი, ქშწგს), ჟურნალისტიკა (პუბლიცისტიკა, ჟურნალ-გაზეთების დაარსება-გავრცელების ხელშეწყობა)* მოიცვა. რ. ერისთავი მრავალი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების დამფუძნებელი, წევრი და აქტიური მონაწილეა. მისი სამოხელეო და სამეცნიერო საქმიანობა იმპერიის არაერთი ჯილდოთი აღინიშნა. ძნელად მოიძებნება დარგი, სადაც XIX საუკუნის ამ გამორჩეულ ფიგურას თავისი კვალი არ დაუტოვებია. რაფიელ ერისთავი, საზოგადო მოღვაწე და ინტელექტუალი, თავის შემოქმედებითა და მოღვაწეობით, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნ. აბაკელია, კულტურული ნაციის ერთერთ რეპრეზენტატორად და ერის *წარმოსახვითი ერთობის* შემქმნელად იქცა.

ის რეფორმატორულ-დემოკრატიული იდეების, საზოგადოებრივი პროგრესის აქტიური მხარდამჭერი და ეროვნული ფასეულობების დამცველი მოღვაწეა. ფასდაუდებელია მისი წვლილი როგორც ეროვნული, ისე კულტურული ცნობიერების ამაღლებაში. რაფიელ ერისთავის 200 წლის იუბილე ეროვნულ-ღირებულებით მემკვიდრეობაზე დაფიქრების კარგი შესაძლებლობაა.

საიუბილეო წლის ფარგლებში, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართა მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენცია *ადამიანი და ეპოქა – რაფიელ ერისთავი – 200,* რომლის მიზანსაც რაფიელ ერისთავის მრავალმხრივი მოღვაწეობის სიღრმისეული ანალიზი და მისი როლის ეპოქის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში ახლებური გააზრება შეადგენდა.

საკონფერენციო თემატიკა მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მრავალმხრივი მოღვაწეობის შინაარსმა განსაზღვრა. შევეცადეთ საკონფერენციო მასალების საშუალებით მაქსიმალურად სრულად მოგვეცვა რაფიელ ერისთავის ნამოღვაწარი, რასაც მიუხედავად დიდი მცდელობისა, მისი საქმიანობისა და ამ საქმიანობის შედეგად მიღებული მემკვიდრეობის მასშტაბურობის გამო სრულფასოვნად თავი ვერ გავართვით. მიუხედავად ამისა, საკონფერენციო კრებულის ფორმატში წარმოდგენილი კონ-

ფერენციის შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია. კონფერენციის თემატურ ფარგლებში *რაფიელ ერისთავი – შემოქმედი, მეცნიერი და ეროვნული სა-ზოგადო მოღვაწე* – ეპოქის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტშია გააზრე-ბული და შეფასებული.

თემატური შინაარსიდან გამომდინარე, სამეცნიერო კრებული სტრუქტუ-რულად რამდენიმე ნაწილად დაიყო. საკონფერენციო კრებულის *პირველ ნაწილში* თავმოყრილია ნაშრომები, რომლებიც რაფიელ ერისთავის პირ-ვანდელ სამშობლოს – არაგვის საერისთავოს ეხება. განხილულია არაგვის საერისთავოს ისტორია და ისტორიული გეოგრაფია, ერისთავობის ინსტი-ტუტი, არაგვის ერისთავთა გენეალოგია და საერისთავოს არაგვის ერისთა-ვებთან ასოცირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ამავე ნა-წილში გათვალისწინებული გვქონდა კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომი, სათაურით *არაგვის საერისთავოს მმართველობითი სტრუქტურა და არაგვის ერისთავთა სოციალური მდგომარეობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე*, თუმცა სამწუხაროდ, საბოლოოდ ავტორმა ნაშრომის მოწოდება ვერ შეძლო.

*მეორე ნაწილი* ეძღვნება რაფიელ ერისთავის სამოხელეო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას. ეროვნული იდენტობის დაცვისა და კულტუ-რული თვითშეგნების გაღრმავების თვალსაზრისით მისი მემკვიდრეობა სადღეისოდაც აქტუალურია. ამ ნაწილში აქცენტი კეთდება მის სამეცნიერო მემკვიდრეობასა და მიღწევებზე, ღრმადაა გაანალიზებული მისი რეჟიმთან დამოკიდებულების ხასიათი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მცდე-ლობები და სხვა. რაფიელ ერისთავი არაერთი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებელთა შორისაა. ეს ნაწილი წარმოაჩენს რაფიელ ერისთავს რო-გორც:

- **ეთნოგრაფს**, რომლის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართვე-ლოში შეკრებილი მასალები პირველწყაროს მნიშვნელობისაა. მისი ნარკვევები იმერეთისა და სამეგრელოს შესახებ ფასდაუდებელი წყა-როა ამ რეგიონების ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევისათვის;
- **პუბლიცისტს**, ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთ მესაძირკვლეს, რომლის წერილები ინფორმაციული სიმდიდრით გამოირჩევა და დღემ-დე პირველწყაროს სტატუსით ფასდება და ასევე, როგორც ქართული ჟურნალ-გაზეთების შექმნისა და გავრცელების ხელშემწყობს;
- **ბიბლიოფილს**, რომლის საქმიანობასაც ხელნაწერების მოძიება, ახალი გამოცემების ინიცირება, საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და ბიბ-ლიოფილური კულტურის პოპულარიზაცია წარმოადგენდა; აღსანიშ-ნავია მისი მონაწილეობა ბიბლიოთეკის დაარსებაში და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის პირადი ბიბლიოთეკის გადაცემის ფაქტი;
- **სამუზეუმო საქმის პროფესიონალს**, რომელმაც 1855-1861 წლებში მნიშ-ვნელოვანი წვლილი შეიტანა კავკასიის მუზეუმის განვითარებაში, ეთნოგრაფიული კაბინეტის მოწყობაში, კოლექციების ინვენტარიზა-ცია-ატრიბუციაში და კატალოგიზაციაში, სამუზეუმო კოლექციების ექ-სპონატებით გამდიდრებაში;
- **ქვეყნის პატრიოტსა და ეროვნულ მოღვაწეს**, ამავე ნაწილშია ნაშრომი, იმის თაობაზე თუ რაოდენ დიდი სიყვარულით უპასუხა მის ფასდაუდე-





ბელ ნამოღვაწარს მისსავე სიცოცხლეში ქართველმა ხალხმა, თუ რო-გორ იქცა რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე საეროდ დღესასწაულად.

*მესამე ნაწილში* განიხილება რაფიელ ერისთავის ფილოლოგიური და სა-განმანათლებლო მოღვაწეობა. წარმოდგენილი ნაშრომები ასახავს ავტო-რის წვლილს ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკურსა და სტილისტურ განვითარებაში. ასევე, ყურადღება ეთმობა მის მიერ შედგენილ *შემოკლე-ბულ ლათინურ-რუსულ-ქართულ მცენარეთა ლექსიკონსა (1873) და მოკ-ლე ქართულ-რუსულ-ლათინურ ლექსიკონს მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან* (1884). თითოეული პუბლიკაცია მნიშვნელოვანი წყაროა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის შესასწავლად და ფასდაუ-დებელია თანამედროვე ლინგვისტური კვლევებისათვის. ამ ლექსიკონებმა საფუძველი ჩაუყარა ქართული მცენარეული ლექსიკის სისტემატიზაციას. ამავე ნაწილში, გათვალისწინებული გვქონდა კონფერენციაზე წარმოდგე-ნილი ნაშრომები, სათაურით *ლალი იორდანიშვილი – რაფიელ ერისთავის შემოქმედების მკვლევარი და რაფიელ ერისთავი – XIX საუკუნის ქართული ტერმინოლოგიური პოლიტიკის განმსაზღვრელი,* თუმცა სამწუხაროდ, სა-ბოლოოდ, ავტორებმა ვერ შეძლეს ნაშრომების საბეჭდი ვერსიების მოწო-დება.

საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დეტალურად არის გაანალიზებული ერისთავის მხატვრული ენის ესთეტიკა, სტილისტური თავისებურებები და მისი ლიტერატურული ხედვა. განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმო-ადგენს ავტორის დამოკიდებულება ბავშვთა სამყაროსადმი. მეტად მნიშ-ვნელოვანია მის მიერ შექმნილი საბავშვო ლიტერატურის (როგორც ორი-გინალური, ისე თარგმნილი) წვლილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფორმირებაში. რაფიელ ერისთავი იაკობ გოგებაშვილთან ერთად ქარ-თული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ამავე ნაწილში წარმოდგენილია ნაშრომები მისი დების – *ბარბარე ჯორჯაძე-ერისთავისა* და *ანა ერისთავი-ჭავჭავაძის* შესახებ, რაც მნიშვნე-ლოვანია როგორც ნათესაური კავშირისა და ბიოგრაფიული ინფორმაციის, ასევე ქართველი ქალის ფენომენის კვლევის თვალსაზრისითაც. საკონფე-რენციო პროგრამით გათვალისწინებული გვქონდა ნაშრომი, სათაურით *– და-ძმა ერისთავები და პირველი ქართული სამზარეულო წიგნი*, თუმცა ავტორს ნაშრომი კონფერენციაზე არ წარმოუდგენია.

აქვეა განხილული მისი ურთიერთობები ისეთ გამორჩეულ მოღვაწეებთან, როგორიცაა *ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა, ა. ლა-ისტი.* კონფერენციის ფარგლებში, ჩვენი დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საავტორო რესურსის სიმწირის გამო ვერ მოხერხდა რ. ერისთავის სხვა მნიშვნელოვან თანამედროვეებთან *(მ. ბროსე, ად.ბერჟე, ა.ზისერმანი, გ. რადდე და სხვა მრავალი)* ურთიერთობის სათანადოდ წარმოჩენა. ამავე ნა-წილში გათვალისწინებული გვქონდა კონფერენციაზე წარმოდგენილი ორი ნაშრომი, სათაურით *რაფიელ ერისთავი და ქართველი სამოციანელები* და *რაფიელ ერისთავი და ქართული საგანმანათლებლო სფერო*, თუმცა სამწუ-ხაროდ საბოლოოდ ავტორებმა ვერ შეძლეს საბეჭდი ვერსიების მოწოდება.

კრებულის *მეოთხე ნაწილში*, XIX საუკუნის ისტორიულ-კულტურულ კონ-ტექსტში, განხილულია რაფიელთან დაკავშირებული მისი თანამედროვე კულტურული *(თეატრი და დრამატურგია, მუსიკოლოგია და მხატვრობა)*

ასპექტები. ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1888 წლის, ქართველიშვილისეულად წოდებული, *ვეფხისტყაოსნის* გამოცემის რედაქტირების ისტორიას, ამ ისტორიის აქტორებს, გამოცემის მხატვრულ მხარეს და მასთან დაკავშირებულ რეალიებს *(სამხატვრო პროცესები, მ. ზიჩი, ქართველი მხატვრები, ქართული სცენოგრაფია და ქართული არისტოკრატია, ცოცხალი სურათების დადგმის ტრადიცია, ქართული კარიკატურა* და *სხვა)*; მნიშვნელოვანი აქცენტია რ. ერისთავის წვლილი რედაქტირების ინიცირებასა და საკუთრივ რედაქტირებაში.

რაფიელ ერისთავის პუბლიკაციები და საარქივო მასალები პირველწყაროა XIX საუკუნის ქართული მუსიკის ისტორიის კვლევისათვის. მისი ინფორმაცია მეტად ფასეულია ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. რ. ერისთავის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ წერილებში დაცულია ცნობები როგორც ქალაქური, ისე ტრადიციული მუსიკის შესახებ. რაფიელ ერისთავის მუსიკისადმი ინტერესი და მისი დაცვა-შენარჩუნებისკენ მიმართული ძალისხმევა კიდევ ერთი დასტურია მისი ინტერესების მრავალფეროვნებისა.

კრებულში, ასევე, განხილულია XIX საუკუნის თანადროული სათეატრო არქიტექტურა და მისი სტილისტური მახასიათებლები, რაფიელ ერისთავის აქტიური მონაწილეობა და წვლილი იმდროინდელ თეატრალურ ცხოვრებასა და ქართული დრამატურგიის, განსაკუთრებით ვოდევილისა და კომედიის ჟანრის განვითარებაში. მისი პიესების სტრუქტურა, დიალოგური ფორმა და პერსონაჟთა სამეტყველო ენა სრულად შეესაბამებოდა იმ პერიოდის რეალისტურ სამსახიობო სკოლას, რომელიც მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების შემდგომ განვითარდა. რაფიელ ერისთავს გამორჩეული ადგილი უკავია ქართული თეატრის ისტორიაში.

ამავე ნაწილში, როგორც XIX საუკუნის საქართველოს საერთო კულტურული გარემოს ნაწილი, განხილულია მხატვრული პროცესები, სახვითი ხელოვნების თავისებურებები და განვითარების მახასიათებლები, მათ შორის ნაკლებად ცნობილი მხატვრული მოვლენები, ქართულ ბეჭდურ გამოცემათა გრაფიკული შემკულობები და კარიკატურის ჟანრი.

საქართველოს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გარდა, დიდ ინტერესსა და ყურადღებას იჩენს და ხელს უწყობს ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას. ამდენად, რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმისა და ერისთავებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სადღეისოდ არსებული უმძიმესი მდომარეობის გათვალისწინებით, საჭიროდ მივიჩნიეთ კრებულის *მეხუთე თავის* თემატიკა ამ საკითხის გააქტიურების ხელშემწყობი შინაარსისათვის დაგვეთმო. ამავე ნაწილში, ანგარიშის ფორმატში წარმოვადგენთ ამ მიმართულებით სხვადასხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობით ჩვენს მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

ესპანელი სამართლის დოქტორის, კულტურული ტურიზმის და მემკვიდრეობის ექსპერტისა და კონსულტანტის, ანა ვირსედა დე ანდრესის ნაშრომი Engaging New Generations: The Role of House Museums in Contemporary Cultural Tourism *(ახალი თაობების ჩართულობა: სახლ-მუზეუმების როლი თანამედროვე კულტურულ ტურიზმში)* მომზადებულია საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. ნაშრომი განიხილავს სახლ-მუზეუმების, როგორც კულტურული ტურისტული პროდუქტების ადგილსა და განვითარების შესაძლებლობებს ციფრულად მზარდ სამყაროში. ნაშრომში წარმოჩენილია მემორიალური მუზეუმი, როგორც მემკვიდრეობის შენარჩუნების, ინოვაციური სტრატეგიების, მათ შორის ინტერპრეტაციის, თხრობისა და ტექნოლოგიის ინტეგრაციის შესაძლებლობების უნიკალური კულტურული ინსტიტუცია. ავტორის მიზანია, კვალიტატიური ქეის-სთადის მიდგომით[1], მემორიალური სახლების მრავალფეროვანი მაგალითებისა და ისტორიული ფიგურების ჰუმანიზებული ნარატივების საფუძველზე, მათი კულტურული ტურიზმის ეკოსისტემაში პოზიციონირების კვლევა-გაანალიზება და მნიშვნელოვნების წარმოჩენა; ასევე, მემორიალური სახლ-მუზეუმების მიმზიდველობისა და აქტუალობის გასაძლიერებლად, იმერსიული გამოცდილებისთვის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისა და სტრატეგიული თანამშრომლობების ხელშეწყობა. უცხოელი კულტურული ტურიზმის და მემკვიდრეობის ექსპერტის კვლევის მიზანია, საერთაშორისო გამოცდილების ფონზე, რაფიელ ერისთავის სახელობის სახლ-მუზეუმის მნიშვნელოვნების წარმოჩენა და რეაბილიტაციის იდეის მიზანშეწონილობის მხარდაჭერა.

ამავე ნაწილშია რაფიელ ერისთავის *მემორიალური მუზეუმის განვითარების ხედვა და მუზეოგრაფიული პროექტის კონცეფცია*, რასაც ერთვის საქართველოს უნივერსიტეტის არქიტექტურა-დიზაინის დეპარტამენტის ლექტორის, არქიტექტორ ლალი შაშიაშვილის და სტუდენტების *(მაია მეხეშიძე, გიგა ნინიკელაშვილი, ნათელა ქავთარაძე* და *ნატალია გულუა)* მომზადებული სადიპლომო პროექტის *(რ.ერისთავის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურული მოწყობა)* რენდერები. აქვე გათვალისწინებული გვქონდა კონფერენციაზე წარმოდგენილი ს. ლეჟავას ნაშრომი, სათაურით *რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის ერთი არქიტექტურული დეტალის შესახებ*, თუმცა სამწუხაროდ საბოლოოდ ავტორმა ვერ შეძლო საბეჭდი ვერსიის მოწოდება.

მემორიალური მუზეუმის ნაგებობაში არსებული მარნის სივრცის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ნაწილში გამოქვეყნებული ორი ნაშრომი ეთმობა ღვინოს, საღვინე ჭურჭელს, ტრადიციულ მარანსა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს.

ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების მიზნით, კრებულის ამავე ნაწილს ერთვის ანგარიშის ფორმატში მომზადებული, 2023-2025 წლებში, სხვადასხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობით, ჩვენს მიერ ინიცირებულ და განხორციელებულ სამუშაოთა ჩამონათვალი.

კონფერენციის თემატური შინაარსიდან გამომდინარე რ. ერისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

1 კვალიტატიური ქეის-სთადის მიდგომა – კვლევის მეთოდი, რომელიც ფოკუსირდება კონკრეტულ შემთხვევაზე (ერთი მუზეუმი, ერთი პროექტი, ერთი ინიციატივა) და სიღრმისეულად აანალიზებს მას. ამ მიდგომით მკვლევარი ცდილობს გაარკვიოს, როგორ მუშაობს კონკრეტული პრაქტიკა რეალურ კონტექსტში, რა გამოწვევები აქვს. თავის მხრივ, კვალიტატიური ნიშნავს, რომ კვლევა ემყარება სიტყვიერ მონაცემებს -ინტერვიუებს, დაკვირვებებს, დოკუმენტურ მასალას და არა რიცხვებსა და სტატისტიკას.

უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ს. ჯანაშიას მუზეუმის, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის თანამშრომლებმა.

ამდენად, რ. ერისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალების ამსახველი კრებული მრავალმხრივი ინსტიტუციური და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის შედეგია. ვფიქრობთ, სამეცნიერო ინსტიტუციების ამ ვრცელმა ჩამონათვალმა და წარმოდგენილმა ნაშრომებმა კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახადა, თუ რაოდენ უსაზღვროა იუბილარის ინტერესების სპექტრი და რაოდენ მრავალმხრივია მისი ეროვნული მოღვაწეობის არეალი.

მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, თემატური თვალსაზრისით სრულად მოგვეცვა რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობა, ერთი კონფერენციის ფარგლებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა, ვფიქრობთ, გარკვეულწილად შევძელით საკონფერენციო მასალების საფუძველზე მიღებული შედეგებით ეპოქის ინტელექტუალური და ისტორიულ-კულტურული კონტექსტის რეკონსტრუქცია, რაც საშუალებას იძლევა მისი მემკვიდრეობა განხილული იყოს როგორც ეროვნული ინტელექტუალური ისტორიისა და თვითშეგნების ფორმირების პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი, პროფესიული თუ ეროვნული საქმიანობის კვლევის კვალდაკვალ, არაერთი ახალი წყარო შემოვიდა სამეცნიერო მიმოქცევაში, მრავლად გამოვლინდა სიახლეები, როგორც XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობის, ისე რ. ერისთავის პირვანდელი სამშობლოსა და წინაპრების, ბიოგრაფიის, ოჯახის, პირადი თუ საქმიანი ცხოვრების შესახებ. ვფიქრობთ, თითოეული ეროვნული მოღვაწისა და ნამოღვაწარის მსგავსი ინტერდისციპლინური, კომპლექსური კვლევა დიდად წაადგება ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ ეპოქის რეკონსტრუქციას და მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენს ცოდნას წარსულის შესახებ.

სამეცნიერო საკონფერენციო კრებული *ადამიანი და ეპოქა – რაფიელ ერისთავი – 200* ქართული ისტორიოგრაფიის ღირებული შენაძენია. სამეცნიერო კონფერენციის შედეგებმა ცხადყო, რომ რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის შედეგად მიღებული მრავალმხრივი ინტელექტუალური მემკვიდრეობა დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას, ქართული იდენტობის ფორმირებაში კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს და კვლავაც აქტუალურია თანამედროვე სამეცნიერო კვლევის თვალსაზრისით. მისი მემკვიდრეობა გვასწავლის, რომ კულტურა, მეცნიერება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა განუყოფელია.

# FOREWORD

In April 2024, the 200th anniversary of the birth of Georgian writer, scholar, and public figure Raphiel Eristavi, son of David, was celebrated. His work reflects a period marked by the loss of statehood, the struggle to preserve national identity, social contradictions and changes, and the pursuit of national and cultural self-determination.

Raphiel Eristavi made a significant contribution to the development of 19th-century Georgian science, culture, and public thought. He was an intellectual with a wide range of interests. His work extended beyond public service to encompass nearly all major fields, including scientific (archaeology, ethnography, history, literature, lexicology, folklore studies, terminology, mathematics, natural sciences), cultural and artistic (theater, playwriting, museology), educational, social (peasant reform), legal (advocacy), financial (Noble Bank, SSLAG[1]), and journalism (publicism, support for the founding and dissemination of journals and newspapers). R. Eristavi was a founder, member, and active participant in numerous scientific and cultural-educational societies. His civil service and scholarly work were recognized with multiple awards by the empire. It is difficult to find a field in which this distinguished 19th-century figure did not leave his mark. Raphiel, as a public figure and intellectual, through his creative and professional endeavors, became, as Nino Abakelia rightly notes, one of the representatives of the cultural nation and a key figure in shaping the *imagined unity* of the people.

He was an active advocate of reformist-democratic ideas, social progress, and a defender of national values. His contribution to the development of both national and cultural consciousness is of great significance. The 200th anniversary of his birth offers a valuable opportunity to reflect on the legacy of our national ideals and heritage.

As part of the jubilee year, a multidisciplinary academic conference titled ***The Person and the Age – Raphiel Eristavi 200*** was organized on the initiative of the T. Beradze Institute of Georgian Studies at the University of Georgia. The aim of the conference was to provide an in-depth analysis of Raphiel Eristavi's multifaceted work and to offer a renewed understanding of his role within the historical and cultural context of his era.

The content of the conference was defined by the diverse activities of Raphiel Eristavi as a writer, scholar, and public figure. Through the conference materials, we sought to present his work as comprehensively as possible. However, despite our best efforts, the vast scope of his contributions and the legacy he left behind made it impossible to fully encompass all aspects of his achievements.

Nevertheless, the results of the conference, presented in the format of a conference proceedings volume, are quite impressive. Within the thematic framework of the conference – *Raphiel Eristavi as a literary figure, scholar, and national public servant* – his work has been interpreted and evaluated in the historical and cultural context of his era.

Based on the thematic content, the academic volume was structured into several sections. ***The first section*** of the conference collection brings together papers related to Raphiel Eristavi's original homeland – the Eristavis (Duchy) of Aragvi. The history and historical geography of the Aragvi Saeristavo have been examined, along with the institution of the Eristavis, the genealogy of the Eristavis of Aragvi, and the cultural heritage monuments associated with them.

This section was also intended to include a paper presented at the conference, titled *The Administrative Structure of the Saeristavo of Aragvi and the Social Status of the Eristavis of Aragvi at the Turn of the 18th–19th Centuries*. Unfortunately, however, the author was ultimately unable to submit the final version of the paper.

*The second section* is dedicated to Raphiel Eristavi's civil service, scholarly, and public activities. His legacy remains relevant today in terms of the defense of national identity and the enhancement of cultural self-awareness. This part emphasizes his academic contributions and achievements, offering an in-depth analysis of his relationship with the ruling regime, his efforts to preserve cultural heritage, and other aspects of his work. R. Eristavi is counted among the founders of several scientific disciplines. This section presents him as:

- **An ethnographer**, whose collected materials from both eastern and western Georgia are of primary source significance. His essays on Imereti and Samegrelo are an invaluable resource for the study of the history and ethnography of these regions.
- **A publicist**, one of the founding figures of Georgian journalism, whose writings stand out for their richness of information and are still regarded as primary sources to this day. He also played a key role in the establishment and dissemination of Georgian journals and newspapers.
- **A bibliophile**, whose work involved the discovery of manuscripts, the initiation of new publications, the development of the library system, and the promotion of bibliophilic culture. Notably, he participated in the founding of a library and donated his personal collection to the Society for the Spreading of Literacy among Georgians.
- **A museum professional**, who, between 1855 and 1861, made significant contributions to the development of the Caucasus Museum, the organization of the ethnographic cabinet, the inventory, attribution, and cataloging of collections, and the enrichment of museum collections with new exhibits.
- **A patriot and national figure**, this section also includes a paper discussing the immense love and appreciation shown by the Georgian people toward his invaluable work during his lifetime, and how the 50th anniversary of Raphiel Eristavi's career became a widely celebrated secular event.

*The third section* discusses Raphiel Eristavi's philological and educational activities. The presented papers reflect the author's contribution to the lexical and stylistic development of the Georgian literary language. Attention is also given to his compiled abridged *Latin-Russian-Georgian Plant Lexicon*

1 The Society for the Spreading of Literacy among Georgians

(1873) and the concise *Georgian-Russian-Latin Lexicon of the Kingdoms of Plants, Animals, and Minerals* (1884). Each publication is an important source for studying the history of Georgian lexicography and is invaluable for contemporary linguistic research. These lexicons laid the foundation for the systematization of Georgian botanical vocabulary. This section also included papers presented at the conference titled *Lali Iordanishvili – Researcher of Raphiel Eristavi's Works* and *Raphiel Eristavi – a Key Figure in 19th-Century Georgian Terminological Policy*; however, unfortunately, the authors were ultimately unable to submit the final versions for publication.

Based on archival documents, a detailed analysis is provided of Eristavi's literary language – its aesthetic qualities, stylistic characteristics, and his overall literary vision. Of particular interest is the author's attitude toward the world of children. His contribution to children's literature (both original and translated) is of great importance to the formation of Georgian children's literature. Together with Iakob Gogebashvili, Raphiel Eristavi is regarded as one of its founding figures.

This section also includes papers about his sisters – Barbare Jorjadze-Eristavi and Ana Eristavi-Tsitsishvili – which are significant both in terms of family ties and biographical context, as well as for the study of the phenomenon of Georgian women. The conference program had also planned for a paper titled *The Eristavi Siblings and the First Georgian Cookbook*, but the author ultimately did not present the paper at the conference.

This section also explores his relationships with prominent figures such as *Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Aleksandre Kazbegi, Vazha-Pshavela, and Anton Läis*. Despite our considerable efforts, due to a lack of available author resources, the conference was unable to adequately address Raphiel Eristavi's interactions with other important contemporaries, including *M. Brosset, Adolphe Berge, A. Zisserman, G. Radde, and many others*. This section was also intended to include two papers presented at the conference, titled *Raphiel Eristavi and the Georgian intellectuals of the 1860s* and *Raphiel Eristavi and the Georgian Educational Sphere*; however, unfortunately, the authors were ultimately unable to submit the final versions for publication.

*The fourth section* of the volume examines cultural aspects associated with Raphiel Eristavi within the 19th-century historical and cultural context, including theatre and dramaturgy, musicology, and visual arts. Special attention is given to the editorial history of the 1888 edition of *The Knight in the Panther's Skin*, commonly referred to as the *Kartvelishvili Edition*, focusing on the key figures involved, the artistic design of the publication, and the broader cultural context surrounding it – such as artistic processes, Mihály Zichy, Georgian painters, Georgian scenography, Georgian aristocracy, the tradition of staging living pictures, Georgian caricature, and more. A significant emphasis is placed on Eristavi's role in initiating and participating in the editorial process.

Raphiel Eristavi's publications and archival materials serve as primary sources for the study of 19th-century Georgian music history. The information he provides is highly valuable for researching the development of Georgian musical culture. His folkloric and ethnographic writings contain important references to both urban and traditional music. Eristavi's interest in music and his efforts to preserve and safeguard it serve as further evidence of the remarkable breadth of his intellectual pursuits.

The volume also explores 19th-century contemporary theater architecture and its stylistic features, as well as R. Eristavi's active involvement and contribution to the theatrical life of the time and to the development of Georgian dramaturgy – particularly in the genres of vaudeville and comedy. The structure of his plays, their dialogic form, and the spoken language of his characters fully aligned with the realistic acting style of the era, which evolved further after the establishment of a permanent professional theater. Raphiel Eristavi holds a distinguished place in the history of Georgian theater.

This section also discusses artistic developments as part of the broader cultural landscape of 19th-century Georgia. It examines the characteristics and features of visual art during the period, including lesser-known artistic phenomena, the graphic design elements of Georgian print publications, and the genre of caricature.

In addition to its educational and research activities, the University of Georgia shows great interest in and actively supports the preservation of historical memory, as well as the protection and promotion of cultural heritage. Given the extremely poor current condition of the Raphiel Eristavi State Museum and the cultural heritage sites associated with the Eristavi family, we considered it necessary to dedicate the fifth section of this volume to raising awareness of these issues. This section also includes a report-format overview of the activities we have carried out in this direction, in collaboration with various institutions.

The study by Spanish Doctor of Law, cultural tourism and heritage expert and consultant, Ana Virseda de Andrés, titled *Engaging New Generations: The Role of House Museums in Contemporary Cultural Tourism*, is based on international experience. The paper explores the role and development potential of house museums as cultural tourism products in an increasingly digital world. Her work presents the memorial house museum as a unique cultural institution that serves both heritage preservation and the implementation of innovative strategies – including interpretation, storytelling, and the integration of technology.

The author's aim is to explore and analyze the positioning of memorial house museums within the cultural tourism ecosystem using a qualitative case study approach[1], drawing on diverse examples of such institutions and the humanized narratives of historical figures. The study also seeks to highlight their significance and promote the use of digital technologies for immersive experiences, as well as the fostering of strategic partnerships – all with the

1 Qualitative case study approach – a research method that focuses on an in-depth analysis of a specific case (such as a single museum, project, or initiative). Through this approach, the researcher aims to understand how a particular practice functions in a real-world context and what challenges it faces.

The term qualitative indicates that the research is based on verbal data – such as interviews, observations, and documentary materials – rather than numerical or statistical data.

goal of enhancing the appeal and relevance of memorial houses. The aim of the research is to highlight the significance of the Raphiel Eristavi House Museum and to support the feasibility of its rehabilitation, based on international experience.

This section also presents the development vision for the Raphiel Eristavi Memorial Museum and the concept of the museographic project, accompanied by renderings from a diploma project – *Reconstruction, Rehabilitation, and Infrastructural Development of the R. Eristavi House Museum,* prepared by Lali Shashiashvili, lecturer at the Department of Architecture and Design at the University of Georgia, and her students Maia Mekheshidze, Giga Ninikelashvili, Natela Kavtaradze, and Natalia Gulua. The conference also featured a paper by S. Lejava – *On One Architectural Detail of the Raphiel Eristavi House Museum,* though unfortunately, the author was unable to submit the final printed version.

Given the interest in the reconstruction and rehabilitation of the wine cellar space within the memorial museum building, this section includes two papers dedicated to wine, traditional wine vessels, the Georgian marani (wine cellar), and the customs and traditions associated with it.

In an effort to preserve historical memory, this section of the volume also includes a report-style summary of the initiatives that have been launched and implemented between 2023 and 2025 in cooperation with various institutions. In line with the thematic scope of the conference, the event dedicated to Raphiel Eristavi included participants from the following institutions: Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Tamaz Beradze Institute of Georgian Studies of the University of Georgia, Ilia State University, Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Caucasus University, Georgian Technical University, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Giorgi Mtatsmindeli University of Chant, Gori State Teaching University, Akaki Tsereteli State University, Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, Giorgi Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation, Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Fine Arts, National Library of Georgia, Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, Simon Janashia Museum of Georgia, Dadiani Palaces Historical and Architectural Museum.

Thus, this volume, which brings together the proceedings of the academic conference dedicated to Raphiel Eristavi, is the result of extensive institutional and interdisciplinary collaboration.

We believe that the broad list of participating academic institutions and the presented papers once again highlight the remarkable breadth of the honoree's interests and the diverse scope of his contributions to the nation's cultural, academic, and civic legacy.

Despite considerable effort to comprehensively explore the breadth of Raphiel Eristavi's contribution from a thematic perspective, it proved impossible to fully address this within the framework of a single conference. Nevertheless, we believe that we succeeded, to some extent, in reconstructing the intellectual,





historical, and cultural context of the era, drawing on the findings presented in the conference materials. This, in turn, makes it possible to view Raphiel's legacy as a significant element in the formation of national intellectual history and self-awareness.

It should also be noted that, in the course of studying his creative, professional, and national activities, numerous new sources have entered the field of academic circulation. Many previously unknown facts have come to light regarding both the socio-cultural context of 19th-century Georgia and aspects of Raphiel Eristavi's ancestral homeland, genealogy, biography, family, and personal as well as professional life. We believe that interdisciplinary, complex studies of each national figure and their legacy greatly contribute to the reconstruction of various periods of our history and significantly enrich our understanding of the past.

The scientific conference proceedings ***The Person and the Age*** – *Raphiel Eristavi 200* is a valuable contribution to Georgian historiography.

The outcomes of the scientific conference clearly demonstrated that the multifaceted intellectual contribution of Raphiel Eristavi's work remains relevant to this day. It continues to play a significant role in the formation of Georgian identity and retains its importance for contemporary scholarly research. His work reminds us that culture, science, and social responsibility are inseparable.

# არაგვის საერისთავოს ისტორიული გეოგრაფიიდან: საზღვრები

## აბსტრაქტი


არაგვის საერისთავოს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. არაგვის საერისთავოსადმი ინტერესი დღესაც დიდია იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელსაც ის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში თამაშობდა. მკვლევართა ყურადღების მიღმა არც საერისთავოს საზღვრების საკითხი დარჩენილა (დ. გვრიტიშვილი, ჯ. გვასალია). საზღვრების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაგვის საერისთავოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის სრული სურათის წარმოსაჩენად, საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების უკეთ გასააზრებლად. სპეციალურ გამოკვლევებსა და პირველწყაროებზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა, თვალი გაგვედევნა არაგვის საერისთავოს ტერიტორიული ევოლუციისთვის, დაგვეზუსტებინა საერისთავოს საზღვრების ცალკეული მონაკვეთები და გვეჩვენებინა მათი ცვალებადობის პროცესი 1400-1743 წლებში.

არაგვის საერისთავოს ბირთვად მიჩნეულია ბაზალეთის პლატო. XIV-XV სს. მიჯნაზე ის ვრცელი საგამგეო ქვეყანაა, გადაჭიმული ზედაზნიდან (არაგვის მარცხენა სანაპირო) დარიალამდე (თერგის ზემო წელი). საქართველოს პოლიტიკური დაშლისა და სოციალური დაჩიხულობის პროცესთან ერთად იცვლება არაგვის საერისთვოს პოლიტიკური გეოგრაფიაც: ის იშლება ქვემო (ბაზალეთის პლატო) და ზემო (მთიულეთ-გუდამაყარი და ხევი) საერისთავოებად და კარგავს არაგვის აუზის მარცხენა სანაპიროს.

XVI საუკუნის დასასრულს ზემო და ქვემო საერისთავოები ერთ სათავადოში, არაგვის საერისთავოში ერთიანდება. საერისთავოს სასაზღვრო მდებარეობა, აღმოსავლეთ-დასავლეთის (კახეთი – შიდა ქართლში) და ჩრდილოეთ-სამხრეთის (რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასია – აღმოსავლეთ საქართველო) გზების კონტროლი ხელსაყრელ გარემოებას ქმნის არაგვის ერისთავთა აღსაზევებლად და საერისთავოს საზღვრების გასაფართოებლად. არაგვის ერისთავთა სიძლიერე განსაკუთრებით თვალშისაცემია XVII საუკუნეში, როდესაც საერისთავოს საზღვრები ვრცელდება სამუხრანოში, ერწო-თიანეთში, ცენტრალურ კავკასიონზე (ზახა, თრუსო, ფშავ-ხევსურეთი). ეს პროცესი კარგად აჩვენებს არაგვის ერისთავთა ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს, აგრეთვე ურთიერთობათა ხასიათს სამეფო ხელისუფლებასთან, ეკლესიასთან (მცხეთა, წილკანი), მეზობელ სათავადოებთან.

XVII საუკუნის მესამე მესამედიდან არაგვის საერისთვოს საზღვრები მნიშვნელოვნად მცირდება და მისი ტერიტორია ბაზალეთის პლატოთი, მთიულეთ-გუდამაყრით, ხევით, თრუსოთი და დვალეთის ნაწილით (ზახა) შემოიფარგლება. არაგვის

საერისთავოში შემოდის, აგრეთვე, გრემისხევ-ნარეკვავის ზემო წელის მარცხენა სანაპიროს სოფლები და ფშავის მცირე მონაკვეთი ჟინვალიდან ხარჭაშომდე. ასეთი იყო საერისთავოს საზღვრები მისი გაუქმების დროისათვის (1743 წ.).

**საკვანძო სიტყვები:** არაგვის საერისთავო, საზღვრები, ქვემო/დაბალი საერისთავო, ზემო/მაღალი საერისთავო, ადმინისტრაციული ერთეული, სათავადო.

## FROM THE HISTORICAL GEOGRAPHY OF THE ARAGVI SAERISTAVO: BORDERS

## ABSTRACT

Many studies have been dedicated to the Aragvi Saeristavo (Duchy of Aragvi). Interest in the Aragvi Saeristavo remains strong today due to the special role it played in the history of late medieval Georgia. The question of the principality's borders has also drawn the attention of scholars. (D. Gvritishvili, J. Gvasalia). The study of these borders is of great importance for presenting a complete picture of the history and historical geography of the Aragvi Saeristavo, as well as for a deeper understanding of specific episodes in Georgian history. Examination of specialized research and primary sources has made it possible to trace the territorial evolution of the principality, to clarify certain sections of its borders, and to demonstrate the process of their change between 1400 and 1743.

The base of the Aragvi Saeristavo is considered to be the Bazaleti Plateau. At the turn of the 14th–15th centuries, it was an extensive administrative unit stretching from Zedazeni (on the left bank of the Aragvi River) to Dariali (the upper course of the Tergi River – Terek – in Russian). Along with the political fragmentation of Georgia and the process of social decline, the political geography of the Aragvi Saeristavo also changed: it split into Lower (the Bazaleti Plateau) and Upper (Mtiuleti-Gudamakari and Khevi) saeristavos and lost control over the left bank of the Aragvi Basin.

At the end of the 16th century, the Upper and Lower saeristavos were unified into a single entity, the Aragvi Saeristavo. Its border location between the kingdoms of Kartli and Kakheti, controlling the east-west routes (running from Kakheti to Inner Kartli) and north-south routes (running from Russia and the North Caucasus to Eastern Georgia), created favorable conditions for the rise of the Aragvi Saeristavo and expansion of its borders. The strength of the Aragvi Eristavis is especially notable in the 17th century, when the principality's borders expanded to include Samukhrano, Ertso-Tianeti, and the central Caucasus regions (Zakha, Truso, Pshav-Khevsureti). This process clearly demonstrates the economic and strategic interests of the Aragvi Eristavis, as well as the nature of their relations with the royal authority, the church (Mtskheta, Tsilkani), and neighboring principalities.

From the third quarter of the 17th century, the borders of the Aragvi Saeristavo significantly contracted, and its territory became limited to the Bazaleti Plateau, Mtiuleti-Gudamakari, Khevi, Truso, and part of Dvaleti (Zakha). The Aragvi Saeristavo also included the villages on the left bank of the upper course of the Gremiskhevi-Narekvavi and a small section of Pshavi from Zhinvali to Kharchasho. These were the boundaries of the saeristavo at the time of its abolition (1743).

**Keywords**: Aragvi Saeristavo, Borders, Lower Saeristavo (or Aragvi Saeristavo), Upper Saeristavo (or Sioni Saeristavo), Administrative unit, Principality.

## შესავალი

არაგვის საერისთავო დიდ როლს თამაშობდა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. მის მნიშვნელობას განაპირობებდა სასაზღვრო მდებარეობა ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის და მოსაზღვრეობა ჩრდილოეთ კავკასიასთან. არაგვის საერისთავოზე გამავალი გზები ხელს უწყობდა ადგილობრივ თავადთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძლიერებას. არაგვის საერისთავოს, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას, ჰქონდა თავისი საზღვრები, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორთა (ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური...) ზემოქმედების შედეგად ყალიბდებოდა.

საბოლოოდ, არაგვის საერისთავოს ფორმირება „ორისავე არაგვსა“ (არაგვისა და ზემო თერგის აუზების) დაბლობი და მთის მხარეების ურთიერთშერწყმით დასრულდა. არაგვის საერისთავოს საზღვრები არ ყოფილა სტატიკური. მათი გავრცელება-შეკუმშვა კარგად აჩვენებს არაგვის ერისთავთა ურთიერთობას ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მეზობელ სათავადოებთან, ეკლესიასთან (მცხეთის საყდართან, წილკნელ ეპისკოპოსთან), ასევე მთის მოსახლეობასთან.

ამგვარად, საკითხის დაწვრილებით შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაგვის საერისთავოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის სრული სურათის წარმოსაჩენად, საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების უკეთ გასააზრებლად.

## მეთოდი

წინამდებარე ნაშრომი ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევაა, რომელიც დამყარებულია წერილობითი და ვიზუალური წყაროების ანალიზსა და უთიერთშეპირისპირებაზე. ზოგადი ვითარების რეკონსტრუირებისთვის, ძირითადად, ნარატიული წყაროების მონაცემებია გამოყენებული, ხოლო ცალკეული სასაზღვრო მონაკვეთების დეტალიზაციისთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დოკუმენტურ მასალას (ისტორიული საბუთები, ხალხის აღწერის დავთრები), რომელიც ზუსტად გადმოსცემს დასახლებული პუნქტების (ქალაქების, სოფლების) თუ ისტორიული მხარეების კუთვნილებას და სოციალურ სტატუსს. ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონის *ატლასი*. საკითხის სისრულისათვის გათვალისწინებულია XIX ს-ის პირველი მესამედის ოფიციალური დოკუმენტაციაც (1803 წლის საუფლისწულო მამულების დავთარი, ჭილაევის 1827 წლის მოხსენებითი ბარათი). კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს პერიოდს 1400 წლიდან, როდესაც ჩნდება პირველი ცნობები არაგვის საერისთავოს ტერიტორიული მოცულობის შესახებ ვიდრე XVIII საუკუნემდე.

## შედეგი და მსჯელობა

არაგვის საერისთავო, სავარაუდოდ, XIII ს-ის მეორე ნახევარში (ბახტაძე, 2003: 206) ან XIII-XIV სს-თა მიჯნაზე (გვრიტიშვილი, 1955: 89) წარმოიქმნა. მისი ბირთვი *დაბალი საერისთო* ანუ ბაზალეთი იყო. აქედან წარმომავლობდნენ ჩვენთვის ცნობილი პირველი ერისთავები – შაბურისძენი, რასაც მოწმობს ტოპონიმი *სამაბურო* (სოფელი, ქვეყანა) და ერისთავთა საძვალე ბოდორნაში (გვრიტიშვილი, 1955: 84-85; Гвасалиа, 1991: 81, 83).

მომდევნო ხანაში საერისთავოს საზღვრებში მთის რაიონებიც ექცევა. უადრესი ცნობები საერისთავოს ტერიტორიის შესახებ შემოგვინახა ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანემ *ძეგლი ერისთავთა*. დასახელებული წყაროს თანახმად, დაახლოებით 1400 წლისთვის არაგვის ერისთავებს ემორჩილებოდნენ *მთიულნი არაგვსა ზედაზნით დარიალამდისნი* (მესხია, 1954: 361; ბახტაძე, 2003: 208-209). ზედაზენი და დარიალი, შესავალი ქვეყნებითურთ, საერისთავოს უკიდურესი თემებია სამხრეთით და ჩრდილოეთით. ამის მიხედვით, არაგვის საერისთავო მოიცავდა არაგვის აუზის დიდ ნაწილს მარცხენა სანაპიროთი (ხერკი, თიანეთი) და ზემო თერგის აუზს (შდრ. ბერძენიშვილი, 1990: 338). მის საზღვრებს გარეთ რჩებოდა ზოგიერთი თემი, რომლებსაც გვიან შუა საუკუნეებში არაგვის ერისთავები ფლობდნენ: გრეთისხევი, ღუდა, თრუსო; ისინი ქვენიფნეველთა ხელდებულ ქვეყნებად ითვლებოდა (მესხია, 1954: 355, 357). ცხრაზმის ერისთავები გავლენის გავრცელებას ხევზეც ცდილობდნენ (მესხია, 1954: 355, 358), მაგრამ, როგორც *გერგეტის სულთა მატიანიდან* ჩანს, XV ს-ის პირველ ათწლეულებში ხევში კვლავ შაბურისძენი ერისთავობდნენ (ჟორდანია, 2018: 203; შარაშიძე, 1954: 267-269).

არაგვის საერისთავო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული იყო. XV საუკუნის დასასრულისათვის ის სათავადოდ გარდაიქმნა (გვრიტიშვილი, 1955: 90). საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა (ქვეყნის დაცემა-დაქუცმაცება, სათავადოების წარმოქმნა) არაგვის საერისთავოს პოლიტიკური გეოგრაფიაც შეცვალა. 1532-1534 წწ. დათარიღებულ მცხეთურ დოკუმენტში დაკარგული მამულების აღნუსხვისას, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ *ქუემო ერისთავსა ოდიშელისძენი აქუს*, ხოლო *ზემო ერისთავსა ქუეში და სათიჯარი ... აქუს* (სურგულაძე, აბაშიძე 2016: 136).

XVI საუკუნის საბუთებში ოდიშელიძენი არაერთხელ იხსენიებიან სვეტიცხოვლის ყმებად. დასახელებული დოკუმენტების მიხედვით, ისინი სახლობდნენ არაგვის ორივე მხარეს: სოფ. აშას (ბაზალეთი)(სურგულაძე, აბაშიძე 2016: 142, 244), ძაგნაკორანთას (თიანეთი) (სურგულაძე, 2024: 41, 82, 142), ანეშს (ხერკი). ანეშის სინონიმად (?) *ოდიშელიძეთ სოფელიც* დასტურდება (სურგულაძე, 2024: 83). ვახუშტი ბატონიშვილის სოფელთა ნუსხაშიც და *ატლასშიც* ოდიშელიძე ნაჩვენებია გრდან-საგურამოში (ვახუშტი ბაგრატიონი, 1997ა: 42-43; 1997ბ: 211).

წარმოდგენილი გეოგრაფია ეჭვს არ ტოვებს, რომ ქვემო ერისთავებად არაგვის ერისთავები იგულისხმებიან. ამგვარ იგივეობას არც ის გარემოება ეწინააღმდეგება, რომ დასახლებული პუნქტების ნაწილი მდებარეობდა არაგვის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც XV საუკუნის მიწურულიდან კახეთის სამეფოს საზღვრებში შედიოდა (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 348-349; სურგულაძე, 2024: 20, 27, 40-41) და რომლებზეც არაგვის ერისთავს, თითქოს, ხელი არ მიუწვდებოდა. *არაგვს აქეთა* – კახთა თვალსაზრისით – მიწებზე არაგვის ერისთავებს პატრონ-ბატონობის არცთუ დიდი ხნის წინანდელი ტრადიცია იზიდავდა. ეს მოგონებები რომ თითქმის მთელი XVI ს-ის მანძილზე ცოცხლობდა, ამას შესანიშნავად მოწმობს ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქართლის მეფის სიმონის 1570 წლის შეწირულობის სიგელის შემდეგი ფრაგმენტი: *ანეშს ოდიშელიძენი – გლეხნი, პირველთა მეფეთაგან და ერისთავთაგან თქუენთუის შემოწირულნი ყოფილიყუნეს* (სურგულაძე, 2024: 82). არაგვის მარცხენა სანაპიროზე არაგვის ერისთავთა სამამულე მფლობელობაც დასტურდება; კერძოდ, შაბურისძეთა *მკუიდრი და მოუდევარი ყოფილა ნოჯიკური მამული: ნოჯიკეთა ნოჯისთავი ... მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ყუალათა*, რომელიც 1465 წ. შეუწირავთ სვეტიცხოვლისთვის (ენუქიძე და სხვ., 2014: 144-147). ამგვარად, სადაც არ უნდა ვიგულისხმოთ ოდიშელიძეთა საცხოვრისი – მდ. არაგვის მარჯვენა თუ მარცხენა სანაპიროზე, – მათი მიმტაცებლები არაგვის ერისთავები უნდა ყოფილიყვნენ.

ვინ იყვნენ ზემო ერისთავები? ბარათაშვილთა გაყრის განჩინებაში მსაჯულებად, ლუარსაბ I (1527-1556) ერთად, დასახელებულნი არიან ბადური ერისთავი და ერასტი ერისთავი (სურგულაძე, აბაშიძე 2016: 113), არაგვისა და ქსნის ერისთავები (კლდიაშვილი, სურგულაძე 1993: 139; ჟორდანია, 2018: 23, 28). ამისდა მიხედვით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ თანადროული ქვემო და ზემო ერისთავების წყვილიც არაგვისა და ქსნის ერისთავებს გულისხმობს; მით უფრო, რომ ზემო ერისთავის მიერ წაღებული სოფლები ქვეში და სათიხარი მდებარეობდა გვერდისძირში, რომელიც, ტრადიციულად, ქსნის საერისთავოს ნაწილად ითვლებოდა (გვრიტიშვილი, 1955: 82; Гвасалиа, 1991: 80). XVI საუკუნის პირველი ნახევრის ერთი საეკლესიო დოკუმენტი ადასტურებს, რომ სოფ. ქვეში ქვენიფნეველებს ეჭირათ (სურგულაძე, აბაშიძე 2016: 196), მაგრამ იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ქვეში კვლავ საკათალიკოსო მამულია (სურგულაძე, აბაშიძე 2016:

244). სათიხარიც XVI ს-ის მეორე ნახევარში – პირველი ნახევრისთვის ცნობები არ გაგვაჩნია – ხან სვეტიცხოვლის, ხან ბატონიშვილთა მფლობელობაშია (სურგულაძე, აბაშიძე 2016: 244, 289, 438). ზემო საერისთავოს ქსნის საერისთავოდ გააზრებას ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნების ზემო და ქვემო მხარეებად დაყოფის პრინციპი ეწინააღმდეგება: არაგვისა და ქსნის საერისთავოები არა ერთი, არამედ სხვადასხვა მდინარის აუზში მდებარეობს და ერთმანეთსაც არა ჩრდილოეთ-სამხრეთი, არამედ დასავლეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით ემხრობა. საფიქრებელია, რომ ქვემო და ზემო საერისთავოები არაგვის, უფრო ზუსტად, *ორისავე არაგვსა* (ვახუშტისეული გამოთქმით) აუზში მდებარეობდა. ჩვენი ინტერპრეტაცია მხარს უჭერს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას არაგვის აუზში ერთდროულად ორი საერისთავოს – *დაბალი საერისთო* ანუ არაგვის საერისთავო და *მთის/მაღალი საერისთო* ანუ სიონის საერისთავო; საზღვარი მათ შორის ანანურთან უნდა გასულიყო – არსებობის შესახებ (გვრიტიშვილი, 1955: 89, 92-93; Гвасалиа, 1991: 81; მუსხელიშვილი, 1980: 37, შენ. 134. შდრ. ხოშტარია-ბროსე, 1984: 95-96; ითონიშვილი, 1986: 26, 34-37).

მიუწვდებოდათ თუ არა ხელი არაგვის ერისთავებს (სიონის ერისთავებს) ქვეშსა და სათიხარიზე? ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტრადიცია არაგვის ერისთავთა წინაპრის ვანათიდან მოსვლის შესახებ (გვრიტიშვილი, 1955: 86-87, 92).

ვანათის ციხეს მეტად სტრატეგიული მდებარეობა ეკავა პატარა ლიახვის ხეობაში; ის აკონტროლებდა როგორც ქართლის მთიელებს, ისე ქსნისა და არაგვის საერისთავოების ქვემო მხარეებს (ზაქარაია, 2002: 168-170; გვასალია, 1976-1977: 27-28). მისი მეპატრონე, ცხადია, პატარა ლიახვის ხეობაში სხვა ადგილ-მამულსაც ფლობდა. საამისო უადრეს მოწმობას ნუგზარ არაგვის ერისთავის 1617 წ-ის შეწირულობის სიგელში ვხვდებით: *ჩუენი სამკჳდრო გერი და გერისთავი – ნათქვამია დოკუმენტში – სუეტისცხოვლისათჳს შეწირა მეფეთა. კიდევე არბო, სგენასმანი სუეტის ცხოვლისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ და ამისად სამუქმოდ ჩუენ მოგათვით ქორდს ჩუენი სამკუიდრო კვამლი...* (ჟორდანია, 2018: 441-442). სხვა საეკლესიო საბუთებით ცნობილია, რომ ლუარსაბ II-მ მცხეთის სვეტიცხოველს *საყდარი გერისა მთავარმოწამე და მისი შესავალი სოფელი არბო მისის შესავლითა* 1609 წელს შეწირა (ქართველიშვილი და სხვ., 2019: 88-89). გამოდის, რომ გერი და გერისთავი (მდებარეობს პატარა ლიახვის მარჯვენა შენაკადის, მდ. ღვრიის ზემოთში) არაგვის ერისთავთა *სამკვიდროდ* XVII ს-ის დამდეგამდე ქცეულა.

ამ დროისთვის ქართლის სამეფო კარზე უკვე *მივიწყებული* ყოფილა გერისა და გერისთავის არაგვის ერისთავებისადმი კუთვნილება; სოციალური მეხსიერებიდან ამგვარი ამოვარდნა კი გარკვეულ დროს მოითხოვდა. სავარაუდოდ, აღნიშნულ სოფლებს არაგვის ერისთავთა წინაპარი ვანათის ციხესთან ერთად დაეპატრონა: გერი და გერისთავი ვანათის ციხის ქვეყნებია; უკეთ, ვანათ-გერისხევი ერთი მიკროქვეყანაა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 370), სადაც მოგვიანებით სავახტანგო წარმოიქმნა (ვახუშტი ბაგრატიონი, 1997ა: 30-31; 1997ბ: 206).

XVII ს-ის დასაწყისისთვის არაგვის ერისთავები ყმა-მამულს ფლობდნენ არბოსა და ქორდში პატარა ლიახვის ქვემო წელზე. პატარა ლიახვის ყმა-მამულის ნაწილი მეფეთა ნაწყალობევი ყოფილა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 424), ნაწილიც – მინატაცები (Берже, 1866: 266). ასე რომ, სათიხარისა და ქვეშის დასაკუთრებით ზემო/სიონის ერისთავები ვანათელი წინაპრების დანატოვარს აფართოვებდნენ პატარა ლიახვის აუზსა და მის მიმდებარედ.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქვემო და ზემო საერისთავოები ერთ სათავადოდ გაერთიანდა. ვახუშტი ბატონიშვილის სქემის მიხედვით, ვანათელმა აზნაურმა ქსნის ერისთავების დახმარებით ბაზალეთი დაიპყრო, ხოლო მისმა შვილიშვილმა, ნუგზარმა ბაზალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ მთიულეთიც დაიმორჩილა; ეს ამბები, ვახუშტის მიხედვით, ქართლის მეფის, სიმონის სპარსეთში ტყვეობის დროს, ანუ 1569-1578 წწ. მომხდარა. დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ ზურაბ არაგვის ერისთავმა მთიულეთი შემოიმტკიცა და ხევიც შემოიერთა (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 424, 428).



ვახუშტი ბაგრატიონის მონათხრობში კორექტივი შეაქვს რუსი ელჩების ჩანაწერებს. 1587-1590 წწ. ელჩობათა მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ XVI ს-ის 80-იანი წლების დასასრულისთვის სიონის ერისთავი ფლობს ხევსაც და მთიულეთსაც (ბერძენიშვილი, 1967: 21; შდრ. ითონიშვილი, 1986: 43) და მისი სამფლობელოები კახეთის გადასასვლელის, ანუ ჟინვალის (ბერძენიშვილი, 1967: 19) სამხრეთითაც, ე.ი. ბაზალეთამდეც აღწევდა (Белокуров, 1889: 34-35, 152-154). უფრო რეალურ-ისტორიულია ბერი ეგნატაშვილის ცნობები: *ხოლო ესე ნუგზარ არაგვს ერისთვის მამა-პაპათა ამოსწყჳტეს პატრონი ჴევისა თექთურმანისძე და დაიჭირეს ჴევი, და მიერითგან მისცა მეფემან რომელთამე ჴადა, რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური. და იქმნეს ჴევისა მის ერისთავად* (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 390-391). ანანური და დუშეთი, ცხადია, მათ საგამგეო ქვეყანასაც, ანუ ბაზალეთსაც გულისხმობს. ამრიგად, სიონის/ზემო ერისთავების მოთავეობით არაგვის საერისთავო კვლავ გაერთიანდა (გვრიტიშვილი, 1955: 95; შდრ. ითონიშვილი, 2006: 94-109).

არაგვის საერისთავოს საზღვრები, მართალია, იცვლებოდა, მაგრამ ძირითადი ტერიტორიის მოხაზვა მაინც შესაძლებელია. ჭილაევის 1827 წლის მოხსენებითი ბარათის თანახმად, ძველ დროს არაგვის საერისთავო მოიცავდა თერგის აუზს სათავეებიდან დარიალის ჩათვლით და არაგვის აუზს ღართისკარის საგუშაგომდე; მას ეკუთვნოდა ხევი, თრუსოს ხეობა, ზაქა, მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი და დუშეთის მაზრის ნაწილი ქსნისხევისა და სამუხრანბატონოს გამოკლებით. არაგვის საერისთავო ესაზღვრებოდა თაგაურებსა და ჯეირახს (ჩრდილოეთით), ქისტებს, ხევსურებს, ფშავს და თელავის მაზრას (ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით), ირონისტანს ანუ ოსეთს და ქსნის ხეობას (ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით), სამუხრანბატონოს და თბილისის მაზრას (სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით) (Берже, 1878: 342-343). რუსი მოხელის განსაზღვრება, ძირითადად, სწორია, თუმცა დაზუსტებელია.

უკვე დავინახეთ, რომ XVI საუკუნის დასასრულისთვის ხევი მთიულეთ-გუდამაყრით არაგვის საერისთავოს საზღვრებში შემოდიოდა. ტატიშჩევ-ივანოვის 1604-1605 წწ. ელჩობის მასალებშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სოფ. კადო ანუ ხადა სონის ქვეყანაში, ე.ი. არაგვის საერისთავოში მდებარეობდა (Белокуров, 1889: 454; ბერძენიშვილი, 1967: 106). ვითარება არც მომდევნო საუკუნეში იცვლება. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ზურაბ ერისთავის მიერ ხევის შემოერთების შესახებ, შეიძლება გავიგოთ, როგორც სამეფო სახასო მიწების სათავადოსთვის შემომტკიცება XVII ს-ის დასაწყისში. ამავე საუკუნის შუახანებისთვის კი სადავოს არ წარმოადგენდა, რომ *ანანურს ზევით* მთიულეთი ხევითურთ *არაგვის ერისთვის* მამული იყო (დოლიძე, 1970: 558-560). იგივე ვითარება დასტურდება 1732 წ-ის პირობის წიგნითაც: მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი და თრუსო *არაგვის ერისთვის მთაა* (ბერძენიშვილი, 1940: 233).

აღსანიშნავია ღუდისა და თრუსოს მიკუთვნება არაგვის საერისთავოსადმი. როდის გადავიდა ეს ტერიტორიები ქსნის საერისთავოდან (იხ. ზევით) არაგვის საერისთავოში, უცნობია. სავარაუდოდ, ეს უკვე ზემო ანუ სიონის საერისთავოს ჩამოყალიბებისთანავე უნდა მომხდარიყო. ხელსაყრელი გარემოება იქნებოდა სამიმოსვლო არტერიის გააქტიურება ჯვრის უღელტეხილით (ღუდის შემთხვევაში) და თრუსოველთა გერგეტის სამების საყდრისშვილობა. საამისო გამოძახილს გვიანდელ (1727 წ., 1733 წ.) დოკუმენტებში ვხვდებით: კერძოდ, არაგვის საერისთავოში ღუდის, თოლგეთის, კობის და უსათის (უხათის) მოურავობა (ჟორდანია, 1967: 115-116) იმის მანიშნებელია, რომ ადგილობრივი თავადი (და ცენტრალური ხელისუფლებაც?) დარიალის ხეობიდან არაგვის აუზისკენ შთასავლით (დღევ. მდ. ბიდარის ხეობით) მომავალი და ყელზე (ჯვრის უღელტეხილზე) გადმომავალი გზის კონტროლითა და მოწესრიგებითაა დაინტერესებული; ღუდის ფლობა კი მეტად მნიშვნელოვანია – სამოურავოს სოფლებიდან ის ერთადერთია, რომელიც მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობდა. გერგეტის საყდრის ყმობის ინსტიტუტის მნიშვნელობა ხევსა და თრუსოზე საბატონოდ კარგად ჩანს ბარძიმ ერისთავის 1733 წ-ის სიგელიდან (ჟორდანია, 1967: 141).

ერთადერთი წყარო, რომელიც მხარს უჭერს ჭილაევის ცნობას ზახას არაგვის საერისთავო-

სადმი კუთვნილების შესახებ, 1770 წლის ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის დავთარია. დასახელებული დოკუმენტის თანახმად ზახა, ისევე როგორც თრუსო, ჭვრივი, ხადა და ღუდა *არაგვის* ნაწილია (მაჭარაძე, 1988: 547). მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, შედიოდა ზახა არაგვის საერისთავოს საზღვრებში, ისევე როგორც მასთან ერთად დასახელებული სხვა თემები, თუ ის არაგვის საუფლისწულოს არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ მიუერთეს – პირდაპირი ჩვენება წყაროებში არ მოგვეპოვება.

გვიანი შუა საუკუნეების დვალეთისა და კერძოდ, ზახას შესახებ ცნობები მეტად მწირია. ცნობილია, რომ XVII ს-ის დამდეგს დვალეთი სამოურავო ქვეყანა იყო (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 420) და XVIII ს-შიც სამეფო სახასოდ რჩებოდა (სეხნია ჩხეიძე, 1913: 26; ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 491). ეს არ გამორიცხავს, რომ დვალეთის ერთ-ერთ ხეობაზე რომელიმე თავადს დაედო ხელი. არაგვის ერისთავებს ზახასადმი ინტერესი შეიძლებოდა გასჩენოდათ XVII ს-ის 30-იან წლებში, როდესაც გამოიკვეთა დვალეთზე გამავალი გზების მნიშვნელობა არაგვის საერისთავოს დასავლეთ საქართველოსთან დასაკავშირებლად (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 419; ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 440, 595).

თრუსოსა და ზახას საარაგვოში გაერთიანებამ წარმოშვა სხვადასხვა გადმოცემა, რომელიც ხალხურმა თუ საეკლესიო ტრადიციამ შემოინახა: თამარ მეფის თანამედროვე წილკნელი მამამთავრის მიერ თრუსოსა და ზახას გაქრისტიანება (Берже, 1866: 532), ან ზურაბ არაგვის ერისთავის ბრძანებით ხევსურების თრუსოში ჩასვლა და დვალეთის *გატეხვა* (სიხარულიძე, 1961: 163).

არაგვის საერისთავოს სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საზღვარს, ჩვეულებრივ. მდ. ნარეკვავზე დებენ: გრემისხევიდან – მისაქციელამდე (გვრიტიშვილი, 1955: 97; Гвасалиа, 1991: 83). ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს 1669 წ-ის წილკნელის სამწყსოს გუჯარი, რომლის მიხედვით არაგვის საერისთავოში საწილკნელო სარგო აიღებოდა ნარეკვავის ხეობის სოფლებშიც და მდ. არაგვის სულ ქვემო წელზეც: ახალუბანში, მისაქციელში, ხშირში, ფრეზეთში, ჭილურტში, ებნისელში, გრემისხევში, ტონჩაში, გენასმანსა და ჭაშაში (დოლიძე, 1970: 549-550, 556-558). ვახუშტი ბაგრატიონის სოფელთა ნუსხასა (1997ბ: 204) და *ატლასში* (1997ა: 28-29, 32-33) ჩამოთვლილი დასახლებები არა ბაზალეთს (resp. არაგვის საერისთავოს), არამედ მუხრანს, *მუხრანისა სამთავროს* მიეწერება.

ჯონდო გვასალია წყაროთა წინააღმდეგობას ორი გარემოებით ხსნის: 1) ვახუშტი ბატონიშვილის მონაცემები მუხრანის ქვეყანას, როგორც სამეფო დომენს, შემოხაზავს; ან 2) სამუხრანბატონოსა და მეზობელ სათავადოთა შორის საზღვრების ცვალებადობაზე მიანიშნებს (Гвасалиа, 1991: 94-95). სწორი იქნება, ალბათ, თუ ორივე ფაქტორის ერთობლიობას მივიღებთ მხედველობაში, ხოლო აქცენტს არაგვის საერისთავოს საზღვრების გაფართოება-შეკუმშვაზე დავსვავთ. მეტად ნიშანდობლივია, რომ იოანე ბატონიშვილმა *ქართლ-კახეთის აღწერაში* ჩვენთვის საინტერესო სოფლები გამოყო არაგვის საერისთავოს ვაკის სოფლების ჩამონათვალიდან (იოანე ბაგრატიონი, 1986: 34-35) და მოათავსა იმ ნაწილში, რომელიც ასე დაასათაურა: *პირველ ჟამის მცხეთის ქალაქობის დროს, რომელიც სოფლები მიეწერებოდნენ ... და აწ სამუხრანოზედ ითვლება. რომელნიმე ეკკლესიის მამულნი და არაგვისა და ქსნისა და თვით მუხრანიანთ ბატონებისა საკუთარი ადგილნი არიან...* (იოანე ბაგრატიონი, 1986: 33-34).

*როდის იწყება არაგვის ერისთვთა ექსპანსია მუხრანში?* ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, ქართლის მეფემ სვიმონ II (1619-1630) *ზურაბ ერისთავი ... შემოირიგა და მუჯრანი მას მისცა* (კაკაბაძე, 1926: 28). უნდა ვიფიქროთ, რომ მეფემ ზურაბს სამუხრანოში არაგვის ერისთავთა მიერ დასაკუთრებული მამულები დაუმტკიცა. ამგვარ წყალობაზე პირდაპირ მიუთითებს ზურაბ ერისთავის 1622 წლის სიგელი: *...ბედნიერმა ყაენმა ჴელმწიფემ შაჰაბაზ ჩვენი მკვდრივე საფურცლე და გოგლაანი ჩუენვე გვიბოძა* – ხაზგასმულია დოკუმენტში (ჟორდანია, 2018: 444). კიდევ ერთი დოკუმენტი (1628 წ.) ნათელს ხდის, როგორ ქცეულა საფურცლე არაგვის ერისთავთა *სამკვიდროდ*: *...ჩუენ ერისთავმან ბატონმა ზურაბ შემოგწირეთ (მცხეთას)... საფურცლე... საფურცლე ძუელთაგანვე თქუენი ყოფილიყო და მუხრანის ბატონს თეიმურაზს და ქაიხოსროს წაერთმევინათ და ჩუენ ... ჴრმლით ვიშოეთ და ... ისრევე თქუენ შემოგწირეთ...* (ჟორდანია, 2018: 447). ამ საინტერესო საბუთს კიდევ დავუბრუნდები, ახლა აღვნიშნავ მხოლოდ, რომ საფურცლე ზურაბ ერისთავის *ჴრმლით ნაშოვი* ანუ მიტაცებული სოფელი ყოფილა. ასეთივე *ჴრმლითა ნაშოები* იქნებოდა სამუხრანოს სხვა მამულებიც, რომლებზეც ხელი უკვე ნუგზარ ერისთავს მიუწვდებოდა.



დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ 1617 წლისთვის გენასმანი არაგვის ერისთავებს ეკუთვნოდათ (*...სგენასმანი სუეტის ცხოვლისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ...*) (ჟორდანია, 2018: 441-442). ნუგზარის მფლობელობა სამუხრანოში მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. 1612 წელს მეფისგან ლტოლვილმა გიორგი სააკაძემ ნუგზარ არაგვის ერისთავს მიაშურა. იოსებ ტფილელი ასე გადმოსცემს ამ ამბავს: *გამოველ, შევჯე, წავედით, მივედით მისაქციელსა;/ ნუგზარ მოვიდა კარგ სიტყვით, უყურეთ მისაქციელსა,/ მითხრა თუ: „ჩემს თავს რას ვაქნევ, ქვეყანა მისაქციელსა,/ და ჩემის ქვეყნიდამ თუ მეტყვი, აღარ გყოფ მისაქციელსა! | დილაზე თვითან წაბძანდა, მივიდა ახალუბანსა;/ იმ დღეს იქ დავშრით, ქალებსა ვერვის ვნახევდით უბანსა./ მე ისევ გაღმა მეძებდეს, მაღნართა უბან-უბანსა;/ და ლხინი შემექმნა ტირილად, წარსა სოფელი უბანსა!/ წავედით, დუშეთს მივედით, ვიჩივლე ჩემი ჭირები,/ ნუგზარ ერისთავს უამბე, როგორც მითავეს პირები...* (იოსებ ტფილელი, 1939: 23). იგივეს იმეორებს XVIII ს-ის პირველი ნახევრის ანონიმი ქრონისტიც (ცხოვრება საქართველოჲსა, 1980: 76). კონტექსტის მიხედვით, მისაქციელიც და ახალუბანიც საერისთავოში იგულისხმება – ნუგზარ ერისთავი გიორგი სააკაძეს თავის სათავადოს სამხრეთ საზღვრებთან ხვდება. მისაქციელიდან ახალუბანში გადასვლა გვაფიქრებინებს, რომ შემდგომი გზა დუშეთისკენ მუხრანის ვაკეზე გადიოდა (ფრეზეთზე). ასეთ შემთხვევაში, არა მხოლოდ მისაქციელი და ახალუბანი, არამედ ხშირისხევიც (ფრეზეთი და ხშირი) საერისთავოშია სავარაუდებელი. ამგვარ ინტერპრეტაციას, თითქოს, ეწინააღმდეგება ბერი ეგნატაშვილის ცნობა (1959: 391) გიორგი სააკაძისა და ნუგზარ ერისთავის შეხვედრის შესახებ: (ნუგზარი – გ.ჭ.) *მიეგება წინა მისაქციელსა, სოფელსა მუხრანისასა, და წარუძღუა წინა და წარიყვანა სახლსა თვსსა დუშეთს.* ციტირებულ ფრაგმენტში ავტორი აზუსტებს მისაქციელის ისტორიულ-გეოგრაფიულ მდებარეობას (მუხრანის ქვეყანა); ის თუ მაინდამაინც სამუხრანბატონოს გულისხმობს, მაშინ თანადროული ვითარების – გაიხსენეთ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები – წინა პერიოდზე გადატანის ცდასთან უნდა გვქონდეს საქმე (შდრ. გვრიტიშვილი, 1955: 97). ნუგზარის მემკვიდრის, ზურაბის ერისთავობისას უეჭველად დასტურდება არაგვის საერისთავოს საზღვრების გავრცელება მისაქციელზეც და კიდევ უფრო სამხრეთით, საფურცლეზეც (ქართველიშვილი და სხვ., 2019: 185).

წყაროთა სიმწირის გამო ძნელია იმის თქმა, თუ როდის შეიერთეს არაგვის ერისთავებმა ნარეკვავის სხვა სოფლები: ტონჩა, ებნისი, გრემისხევი და ჭილურტი. ცნობილია, რომ XVI ს-სა და XVII ს-ის პირველ მესამედში გრემისხევი საკათალიკოსო სოფელი იყო და საეკლესიო აზნაურები იქ ყმა-მამულსაც ფლობდნენ (სურგულაძე, აბაშიძე, 2016: 141-142, 426; დოლიძე, 1970: 488). საკათალიკოსო მფლობელობა არ გამორიცხავს სოფლის სათავადოსადმი კუთვნილებას. სავარაუდოა, რომ გენასმანის დაჭერასთან ერთად არაგვის ერისთავები იმავდროულად ან სულ მალე ამის შემდეგ დანარჩენ ოთხ სოფელსაც დაეუფლებოდნენ. საერისთავოს უკიდურეს დასავლეთის პუნქტს ჭაშა წარმოადგენდა. ამავე სახელწოდების ნასოფლარი დღესაც არსებობს მჭადიჯვრის თემში, ქსნის ნაპირებთან; თუმცა ვახუშტის რუკებზე ის გაცილებით ჩრდილოეთით, ოძისის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ნაჩვენები. ვახუშტი თუნდაც რომ ცდებოდეს, აშკარაა, რომ ნარეკვავის ზემო წელის ორივე სანაპირო არაგვის საერისთავოში შემოდიოდა.

არაგვის ერისთავებს სამუხრანოსკენ მხოლოდ ინტენსიური მიწათმოქმედებისთვის (მევენახეობა) ვარგისი მიწები არ იზიდავდა. მათ კონტროლქვეშ ექცეოდა ყველა ის გზა, რომელიც კახეთიდან არაგვზე გავლით შიდა ქართლისკენ მოემართებოდა. ეკონომიკურთან ერთად

ეს უკვე სამხედრო ძლიერების წყაროც იყო. არაგვის საერისთავოს სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების ევოლუციას თვალს რომ ვადევნებთ, ერთი საინტერესო ტენდენცია იკვეთება: არაგვის ერისთავები სამუხრანბატონოში იჭრებიან და ეუფლებიან საკათალიკოსო სოფლებს (გენასმანი, გრემისხევი, მისაქციელი, საფურცლე...) სვეტიცხოვლის მამულების მუხრანბატონების ძალმომრეობისგან დაცვის საბაბით. აღნიშნული გარემოება, თითქოს, ხელს უწყობს მათ სათავადოს საზღვრების გაფართოებაში. კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ არაგვის საერისთავოში მცხეთის მიწათმფლობელობას საწილკნელო ჩაენაცვლა. XVII ს-ის მეორე მესამედში ეს უკვე მომხდარი ფაქტია (წილკნელის სარგოს წიგნი); ხომ არ ცდილობდნენ არაგვის ერისთავები ამ გზით თავისი ბატონობის განმტკიცებას ახლადშემოერთებულ მიწებზე?

ეს სექტორი არ ყოფილა არც სტატიკური და არც მკაცრად განსაზღვრული. საზღვარი ამ მონაკვეთში იმდენად გაურკვეველი ყოფილა, რომ ბაზალეთში შემავალ სოფ. მლაშეზეც კი დავობდნენ არაგვის ერისთავები და მუხრანბატონები 1616-1619 წწ. (ქართველიშვილი და სხვ., 2019: 137). მლაშე, საბოლოოდ, არაგვის ერისთავებს დარჩათ (ბერძენიშვილი, 1940: 200). 1629 წლისთვის საერისთავოს ჩამოცილდა საფურცლე (მას თეიმურაზ I ეპატრონება – კაკაბაძე, 1926: 28, 29; ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 437, 438), 30-იან წლებში – მისაქციელიც; ამ უკანასკნელს მუხრანბატონები იბრუნებენ (ქართველიშვილი და სხვ., 2021: 160). არაგვის ერისთავთა უფლებები საფურცლეზე, მართალია, აღარასდროს აღმდგარა, მაგრამ მისაქციელი კვლავ მათ ხელთაა 1669 წლისთვის, როგორც ჩანს, ზაალის მოქმედებების შედეგად. 1669-1743 წწ. შორის არაგვის ერისთავებმა საბოლოოდ დაკარგეს მისაქციელი – 1781 წლის არაგვის საერისთაოს ბარის სოფლების აღწერის დავთარში ის აღარ გვხვდება. აღნიშნულ დავთარში აღნუსხული ოცზე მეტი სოფლიდან ყველაზე სამხრეთით საშაბურო მდებარეობს (ჯავახიშვილი, 1967: 120-139). ამისდა მიხედვით, საერისთავოს საზღვარი სამხრეთით საკმაოდ შემცირებული ჩანს. დოკუმენტი, როგორც ჩანს, ნაკლულია – არ დასტურდება სოფ. კობიანთკარი, რომელსაც ახსენებს ვახუშტი (1997ბ: 204) და რომელიც მოქმედი იყო 1799 წელსაც (დოლიძე, 1977: 117); სოფ. მლაშე (დასახლებული პუნქტია 1723 წელს, იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც) (ბერძენიშვილი, 1940: 200; ვახუშტი ბაგრატიონი, 1997ბ: 204) და სხვ. ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბაგრატიონის ცნობებზე დაყრდნობით მართებული იქნება სამხრეთი საზღვრის გავლება დღევ. საკრამულო-ნაოზას შორის, ან ნაოზასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელსაც იოანე ბაგრატიონი არაგვის საერისთაოს ვაკის სოფლებს მიაწერს (1986: 34).

1669 წლის საწილკნელო დავთრისა და 1781 წლის აღწერის დავთრის მონაცემებს თუ შევადარებთ, ფრეზეთი და ხშირიც არაგვის საერისთავოს მიღმა უნდა ვივარაუდოთ. დაკარგულია, ასევე, ჭაშა. სამაგიეროდ, არაგვის საერისთავოში რჩებოდა ჭილურტი, ტონჩა (ჯავახიშვილი, 1967: 132, 134), გრემისხევი (დოლიძე, 1981: 525-26, 555-556 ) და ებნისი (Берже, 1868: 82).

აღმოსავლეთით არაგვის საერისთავო გუდამაყრის ქედითა და მდ. არაგვით ისაზღვრებოდა. უკვე დავინახეთ, რომ საერისთავოს არაგვის მარცხენა სანაპიროზე გავრცელების ტენდენცია ახასიათებდა, მაგრამ XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII ს-ის პირველ მეოთხედში საგურამო-გლდანი, თიანეთი და ფშავ-ხევსურეთი მტკიცედ ეპყრათ კახეთის მეფეებს (გვასალია, თოდრია, 1971: 33-34). მდგომარეობა იცვლება XVII ს-ის 20-იანი წლებიდან, როდესაც სიმონ ქართლის მეფის მკვლელობის სანაცვლოდ თეიმურაზ I-მა ზურაბ არაგვის ერისთავს თიანეთი უწყალობა (კაკაბაძე, 1926: 28). აქედან მოკიდებული ვიდრე საუკუნის მიწურულამდე ქართლისა და კახეთის მეფეები არაგვის ერისთავებს ხან უწყალობებდნენ, ხან ჩამოართმევდნენ ერწო-თიანეთს. ერწო-თიანეთთან ერთად იცვლებოდა ამ უკანასკნელზე ეკონომიკურად დამოკიდებული ფშავ-ხევსურეთის პოლიტიკური სტატუსიც. ეს საკითხები, ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის შრომებზე დაყრდნობით, კარგად არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში (გვრიტიშვილი, 1955: 337-351; გვასალია, თოდრია, 1971: 34-35). ნარატიული წყაროების ცნობებს დოკუმენტური მასალაც ადასტურებს (ქართველიშვილი და სხვ., 2019: 300).

ხალხურმა მეხსიერებამ მეტად მძაფრ ფერებში შემოინახა მოგონება ზურაბ არაგვის ერისთავის შესახებ (სიხარულიძე, 1961: 146-177). ზურაბის პიროვნებაში რამდენიმე არაგვის ერისთავია პერსონიფიცირებული. ისტორიული ზეპირსიტყვიერება კარგად ასახავს სასტიკ ბრძოლებს, არაგვის ერისთავები რომ აწარმოებდნენ ფშავ-ხევსურების დასამორჩილებლად. მართალია, XVII საუკუნის მიწურულს ერისთავები დამარცხდნენ ერწო-თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთისთვის ბრძოლებში, მაგრამ ამის შემდეგაც პერიოდულად ახერხებდნენ გავლენის გავრცელებას კახეთის მთიანეთზე. 1732 წლით დათარიღებულ არაგვის ერისთავის მთის კაცთა პირობის წიგნში მთიულ-გუდამაყრელებთან და მოხევე-თრუსოველებთან ერთად დასახელებულნი არიან ფშოელნი (ბერძენიშვილი, 1940: 233) ანუ ფშაველნი. სამწუხაროდ, არ ჩანს, როდის და რა ვითარებაში ეყმნენ ფშაველები არაგვის ერისთავებს. ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად არაგვის საერისთავოს აღმოსავლეთი საზღვრები ფშავის მიმართულებით გარკვეულწილად გაფართოვდა. ვახუშტი ბატონიშვილის *ატლასში* (1997ა: 28-33) ხორხისწყლის ხეობა და ფშავის არაგვის ქვემო წელი დაახლოებით ხარჭაშომდე ქართლის სამეფოს აქვს მიკუთვნებული. ყველა რუკაზე საზღვარი ფშავის არაგვზე გადის; მხოლოდ ერთ რუკაზე (1997ა: 28-33) საზღვარი მდინარის მარცხენა სანაპიროზეც გადმოდის და დაახლ. დღევანდელი ბოდავის, ფუძნარის და მარიამწმიდის სიმაღლეებს მიუყვება. იმავე რუკაზე ეს ტერიტორია ცალკე ფერით არის გამოყოფილი და განმარტებულია როგორც *წილი კახ-კუხოსისა, რომელიცა აწ უპყრავს მეფესა ქართლისასა*. მაშასადამე, ვახუშტი თანადროულ ვითარებას უჩვენებს. საფიქრებელია, რომ ეს ტერიტორია არაგვის საერისთავოში შევიდა. მართლაც, *ატლასში* ის ბაზალეთის ფერით არის აღნიშნული, ხოლო ფშავის არაგვის მარჯვენა სანაპიროს სოფლები ლოშო, ვეძისი და ხარხევი მეცნიერ ბატონიშვილს ბაზალეთის სოფლების სიაში აქვს ნაჩვენები (ვახუშტი ბაგრატიონი 1997ბ: 205).

## დასკვნა

ამრიგად, ჩვენ თვალი გავადევნეთ არაგვის საერისთავოს ტერიტორიის ევოლუციას 1400 წლიდან XVIII საუკუნემდე. პირობითად, გამოიყოფა ორი ეტაპი: არაგვის საერისთავო, როგორც ადმინისტრაციული ერთეული და არაგვის საერისთავო, როგორც სათავადო. ჩვენი კვლევა აზუსტებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისებს არაგვის საერისთვოს საზღვრების შესახებ და წარმოაჩენს საზღვრების ცვალებადობის პროცესს:

- არაგვის საერისთავო, როგორც ადმინისტრაციული ერთეული (დაახლ. 1500 წლამდე?) მოიცავდა *ხერკს, თიანეთს* (არაგვის მარცხენა სანაპიროზე), *მუხრანის ნაწილს, ბაზალეთს, ხადა-ცხაოტსა* და *გუდამაყარს* (არაგვის მარჯვენა სანაპირო თეთრი არაგვის ხეობითურთ), *ხევს* (ზემო თერგის აუზი).
- XVI ს-ის პირველ ნახევარში არაგვის აუზის მარჯვენა სანაპიროზე და თერგის ხეობაში დასტურდება ორი ერთეული: *ქვემო* ანუ *დაბალი საერისთავო* (ბაზალეთის პლატო) და *ზემო* ანუ *სიონის საერისთავო* (ხევი და მთიულეთ-გუდამაყარი). საზღვარი მათ შორის ანანურთან გადიოდა. XVI ს-ის დასასრულისთვის *ქვემო* და *ზემო საერისთავოები* ერთ, *არაგვის საერისთავოში* გაერთიანდა.
- არაგვის საერისთავოს საზღვრები მაქსიმალურად XVII ს-ში განივრცო: *ჩრდილოეთით* ის მოიცავდა *ზახას, თრუსოს* (ამ ორი მიკროქვეყნის მიერთების ზუსტი დრო უცნობია) და *ხევს*; *სამხრეთ-დასავლეთით – ნარეკვავის ორივე სანაპიროს სოფ. ჭაშამდე*, ხოლო მუხრანის ვაკეზე – *ახალუბანსა* და *ფრეზეთს* და მათ *აღმოსავლეთით მდებარე მიწებს არაგვამდე*; საერისთავოში შემოდიოდა *საფურცლეც* (დღევ. ნატახტარი), რომელიც უკიდურეს სამხრეთ პუნქტს წარმოადგენდა. XVII ს-ის 20-იანი წლებიდან ამავე საუკუნის მიწურულამდე არაგვის ერისთავები ცდილობდნენ ერწო-თიანეთისა და ფშავ-

ხევსურეთის შემომტკიცებას, თუმცა საბოლოოდ მათ ეს ვერ მოახერხეს.

- 1669-1743 წლებს შორის არაგვის საერისთავო მნიშვნელოვან ტერიტორიებს კარგავს. სამხრეთით მისმა საზღვარმა *ნაოზასთან* (დღევ. ნავაზი) ან *ნაოზასა* და *საკრამულოს* შორის გადაინაცვლა; საერისთავოს ჩამოცილდა *მუხრანის ვაკის სოფლები ნაოზა-საფურცლის დასავლეთით; გრემისხევ-ნარეკვავის ზემო წელზე* კი არაგვის საერისთავოს *მხოლოდ მარცხენა სანაპიროს სოფლები* დარჩა. ჩრდილოეთით *ხევი, თრუსო* და *ზახა* კვლავ არაგვის საერისთვოს საზღვრებში შემოდიოდა. XVIII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისისათვის არაგვის ერისთავთა ძალაუფლება ფშავზეც ვრცელდება, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტად მოკლე ხნით; სამაგიეროდ, საერისთავოს საზღვრებში აღმოჩნდა *ფშავის მცირე მონაკვეთი ფშავის არაგვის სულ ქვემო წელზე*, დაახლ. *ჟინვალიდან ხარჭაშომდე*.

## ბიბლიოგრაფია


ბახტაძე, მ. (2003). *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*. თბილისი. არტანუჯი.

ბერი ეგნატაშვილი. (1959). *ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი*. ქართლის ცხოვრება (ტ. II). თბილისი. საბჭოთა საქართველო.

ბერძენიშვილი, ნ. (1940). *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან* (ტ. I). თბილისი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

ბერძენიშვილი, ნ. (1967). *საქართველოს ისტორიის საკითხები* (წ. 4). თბილისი. მეცნიერება.

ბერძენიშვილი, ნ. (1990). *საქართველოს ისტორიის საკითხები*. თბილისი. მეცნიერება.

გვასალია, ჯ. (1976-1977). პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები. *ძეგლის მეგობარი*, 43-44, 20-28.

გვასალია, ჯ., თოდრია, თ. (1971). გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, 4, 23-40.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)*. თბილისი. სახელგამი.

დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები* (ტ. III). თბილისი. მეცნიერება.

დოლიძე, ი. (1977). *ქართული სამართლის ძეგლები* (ტ. VI). თბილისი. მეცნიერება.

დოლიძე, ი. (1981). *ქართული სამართლის ძეგლები* (ტ. VII). თბილისი. მეცნიერება.

ენუქიძე, თ., კლდიაშვილი, დ., სურგულაძე, მ. (2014). *ქართული ისტორიული საბუთები: XV საუკუნის მეორე ნახევარი* (ტ. III). თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ვახუშტი ბაგრატიონი. (1997ა). *საქართველოს ატლასი*. თბილისი. მეცნიერება.

ვახუშტი ბაგრატიონი. (1997ბ). *საქართველოს ატლასი*. თბილისი. მეცნიერება.

ვახუშტი ბატონიშვილი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. ქართლის ცხოვრება (ტ. IV). თბილისი. საბჭოთა საქართველო.

ზაქარაია, პ. (2002). *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია*. თბილისი. არქიტექტურა და დიზაინი.

ითონიშვილი, ვ. (1986). *არაგვის ხეობა*. თბილისი. მეცნიერება.

ითონიშვილი, ვ. (2006). *ნარკვევები არაგველთა ისტორიიდან*. თბილისი. მემატიანე.

იოსებ ტფილელი. (1939). *დიდმოურავიანი*. თბილისი. სახელგამი.

კაკაბაძე, ს. (1926). *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია*. ტფილისი.

კლდიაშვილი, დ., სურგულაძე, მ. (1993). *პირთა ანოტირებული ლექსიკონი* (ტ. II). თბილისი. მეცნიერება.

მაჭარაძე, ვ. (1988). *მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის* (ტ. III, ნაკვ. 1). თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მესხია, შ. (1954). ძეგლი ერისთვთა. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 30, 305-374.

მუსხელიშვილი, დ. (1980). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები* (ტ. II). თბილისი. მეცნიერება.

ოანე ბაგრატიონი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა*. თბილისი. მეცნიერება.

ჟორდანია, თ. (1967). *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა* (წ. III). თბილისი. მეცნიერება.

ჟორდანია, თ. (2018). *ქრონიკები* (ტ. II). თბილისი. არტანუჯი.

ჩხეიძე სეხნია. (1913). *საქართველოს ცხოვრება*. თბილისი.

სიხარულიძე, ქ. (1961). *ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება* (ტ. I). თბილისი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

სურგულაძე, მ. (2024). *ქართული ისტორიული საბუთები: XV-XVI საუკუნეები* (ტ. V). თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სურგულაძე, მ., & აბაშიძე, თ. (2016). *ქართული ისტორიული საბუთები: XVI საუკუნე* (ტ. IV). თბილისი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ქართველიშვილი, თ., ბაინდურაშვილი, ხ., გელაშვილი, ი., გოგოლაძე, თ., შაორშაძე, მ., ჯოჯუა, თ. (2019). *დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ* (ტ. I). თბილისი. ნათლისმცემელი.

ქართველიშვილი, თ., ბაინდურაშვილი, ხ., გელაშვილი, ი., გოგოლაძე, თ., შაორშაძე, მ., ჯოჯუა, თ. (2021). *დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ* (ტ. II). თბილისი. სამშობლო.

შარაშიძე, ქ. (1954). საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 30, 197-304.

ცხოვრება საქართველოდსა. (1980). *ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა)*. თბილისი. მეცნიერება.

ხოშტარია-ბროსე, ე. (1984). *ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები*. თბილისი. მეცნიერება.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები* (წ. I). თბილისი. მეცნიერება.

Белокуров, С. (1889). *Сношения России с Кавказом* (Вып. 1). Москва. Университетская типография.

Берже, Ад. (1866). *Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею* (Т. I). Тифлис.


Берже, Ад. (1868). *Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею* (Т. II). Тифлис.

Берже, Ад. (1878). *Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею* (Т. VII). Тифлис.

Гвасалиа, Дж. (1991). *Историческая география Восточной Грузии (Шида Картли)*. Тбилиси. Издательство Тбилисского университета.

*გიორგი ჭეიშვილი*
ისტორიის დოქტორი,
თსუ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მ/თ.
პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი.

*Giorgi Tcheishvili*
Ph.D., Main Research Fellow
TSU's Ivane Javakhishvili Institute
of History and Ethnology.
Professor, European University
ORCID-ID: 0009-0005-3651-4059



# ცალკეული პოლიტიკური ტერმინების მნიშვნელობისათვის ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების ქართლში

## აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ქართლის სამეფოსა და შემდეგ საპატრიკიოსოს არსებობის პერიოდში – ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში (IX ს-მდე ხანა) ისეთი პოლიტიკური ტერმინების მნიშვნელობა და შინაარსი, როგორებიცაა: *პიტიახში, პატრიკიოსი* და *კურაპალატი*. დადგენილია, რომ ამ წოდებების ნაწილს, მაგალითად, *პიტიახშს* და *პატრიკიოსს,* ქართულ ნარატიულ წყაროებში, უმრავლეს შემთხვევაში, აქართულებდნენ: პიტიახში – *ერისთავად*, პატრიკიოსი კი *ერისმთავრად, ერისთავთა მთავრად* ითარგმნებოდა. რაც შეეხება კურაპალატს, ეს ტერმინი-წოდება არასდროს ითარგმნებოდა. სტატიაში განხილულია აგრეთვე ამ წოდებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, მაგალითად, პოლიტიკური ტერმინების – *ქართლის მცირე* და *დიდი პიტიახშის* რეალური შინაარსი და სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** *პიტიახში; ერისთავი; პატრიკიოსი; ერისმთავარი; კურაპალატი.*

# ON THE MEANING OF CERTAIN POLITICAL TERMS IN ANCIENT AND EARLY MEDIEVAL KARTLI (EASTERN GEORGIAN KINGDOM)

## ABSTRACT

The article discusses the meaning of political terms such as *Pitiakhsh*, *Patrician*, and *Kouropalates* in the Kingdom of Kartli and later in Kartli under *Patrician* rule during Antiquity and the early Middle Ages (the period up to the 9th century). It is demonstrated that some of these titles – for example, *Pitiakhsh* and *Patrician* – were frequently Georgianized in Georgian narrative sources: *Pitiakhsh* was rendered as *Eristavi*, while *Patrician* was translated as *Erismtavari*, *Eristavta Mtavari* (lord of the *Eristavis*). As for *Kouropalates*, this term or title was never translated. The article also examines specific issues related to these titles, such as the actual meaning of the political terms *Lesser Pitiakhsh of Kartli* and *Great Pitiakhsh of Kartli*, among others.

**Keywords:** Pitiakhsh; Eristavi; Patrician; Erismtavari; Kouropalates.

## შესავალი

სტატიაში, წყაროებზე დაყრდნობით, განვიხილავთ ანტიკურ და ადრე შუა საუკუნეების ქართლის სამეფოში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ინსტიტუტებს, როგორებიცაა: *პიტიახში, ერისთავი, პატრიკიოსი, ერისმთავარი და კურაპალატი*. ვიკვლევთ ამ ტერმინების წარმომავლობას, თავდაპირველ შინაარსს და, რაც მთავარია, მათ გამოყენებას ქართულ წყაროებში – იმ შინაარსობრივ დატვირთავას, რომელიც მათ ქართულ სინამდვილეში შეიძინეს.

## კვლევის მეთოდები

ისტორიულ-შედარებითი, ანალიტიკური.

## შედეგები

დამტკიცდა, რომ ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში, VI ს-ის შუა წლებამდე, საქართველოში რეგიონალურ მმართველებს პიტიახში ეწოდებოდათ. ბიზანტიის გავლენის გაძლიერების კვალობაზე, განსაკუთრებით არაბების მიერ სასანური სპარსეთის განადგურების შემდეგ, სპარსული *პიტიახში* ადგილობრივი ტერმინით – *ერისთავით* ჩანაცვლდა. როგორც ცნობილია, ქართლში სპარსელებმა 532 წლისათვის მეფობა გააუქმეს. ეს გადაწყვეტილება 562 წლის სპარსეთ-ბიზანტიის ზავით საბოლოოდ შევიდა ძალაში. რეგიონში ბიზანტიის პოზიციების გაძლიერების მიუხედავად, ბიზანტიას აქ მეფობის ინსტიტუტი აღარ აღუდგენია, ქართლის მეფე ბიზანტიაზე დაქვემდებარებულ მოხელედ – პატრიკიოსად გადაიქცა. *პატრიკიოსი* ქართულ ნარატიულ თხზულებებში და ეპიგრაფიკულ ძეგლებში იშვიათად მოიხსენიება. მას ქართლის ერისთავად, ერისთავთა მთავრად, ერისმთავრად და ერისთავთ-ერისთავად თარგმნიან.

## მსჯელობა

***პიტიახში***. *„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს* ქრონიკაში, ზოგ შემთხვევაში, გვხვდება ტერმინი *პიტიახში*. ეპიგრაფიკული წარწერებიდან, ისევე, როგორც იაკობ ცურტაველის V ს-ის მეორე ნახევარში (470-იან წლებში) შექმნილი *შუშანიკის წამებიდან*, ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს მოხელე-მთავართა იერარქიაში ქართლის პიტიახში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. თავდაპირველად ქართლის პიტიახების რეზიდენცია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე *ციხე-ქალაქი არმაზი* იყო, მოგვიანებით, სავარაუდოდ, IV ს-ის შუა წლებში, როდესაც მირიანის ვაჟმა, მეფე ბაკურ I-მა ქართლის საპიტიახშო სასანიან პეროზს გადასცა, ქართლის პიტიახშები *ციხე-ქალაქ სამშვილდეში* დამკვიდრდნენ (აგრეთვე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე). *ქართველთა ცხოვრება* მათ *სამშვილდის ერისთავებს* უწოდებს. რომელი ტერმინია პირველადი – *პიტიახში თუ ერისთავი* და რა მოვლენებს უკავშირდება ქართლის პიტიახშის, როგორც მმართველის ინსტიტუტის წარმოშობა?

*პიტიახშის*, როგორც ტერმინის, წარმომავლობის, მისი რეალური შინაარსის, ქართლის სამეფოს სამოხელეო იერარქიაში პიტიახშების ადგილის თუ სხვათა შესახებ არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული (ინგოროყვა, 1941/ბ:302 და შემდეგ; ჯანაშია, 1949:266-267; კაკაბაძე სარგ., 1959:20; ბოგვერაძე, 1969:56-68; გამსახურდია, 1970:49-74).

*ვ. ჰენინგი* ამ ტერმინს ქართლში ჯერ კიდევ აქემენიდურ ხანაში შემოსულად მიიჩნევს (Henning, 1944), *ჰერცფელდი* კი მას არშაკიდულ პართიაში წარმოქმნილად, პართულიდან სომხურში გავრცელებულად და სომხურიდან უკვე საშუალო ირანულში შესულად თვლის (Herzfeld, 1924:115). ამ ტერმინს რომ მხარის, ქვეყნის მმართველის მნიშვნელობა ჰქონდა, ამას ყველა მკვლევარი იზიარებს. *გ. წერეთლის* თვალსაზრისით, ტერმინი ირანულ-სომხური წარმოშობისაა. ის ორი სიტყვისაგან: pat (სომხურად pet) – თავი და šharh (ašharh) – ქვეყანა, შედგება და ქართულ *ერისთავს* შეესაბამება. სომხურში მისი შესატყვისებია: *კოღმნ-ა-კალ, გავარ-ა-კალ, კუსაკალქ* (წერეთელი, 1942:36-42). ამ თვალსაზრისს იზიარებს *ვ. აბაევიც*, ოღონდ ის ფიქრობს, რომ სიტყვა ირანულად არ არსებობდა, ის ირანული ელემენტებისაგან შეიქმნა უკვე სომხურში ადგილობრივი ტერმინების – *კოღმნ-ა-კალ, გავარ-ა-კალ* თარგმნის მიზნით (აბაევი, 1944:823). *ირანული ენციკლოპედია* ტერმინის რამდენიმე მკვლევრის მიერ (ალთეიმი ფ., ანდრეასი ფ., ნიბერგი ჰ., ფრაი რ., ჰინცი ვ.) შემოთავაზებულ, ერთგვარად განსხვავებულ ეტიმოლოგიებს იძლევა, თუმცა ერთი რამ ყველასათვის საერთოა – სიტყვა ძველსპარსული ენის საფუძველზე იხსნება.

შემოთავაზებული ეტიმოლოგიებიდან (*pati-+*āxš – მეფის თვალი; *bitīya-xšāyaθiya>*bitiyaxša – მეფის მეორე თვალი – ნაცვალი) უფრო დამაჯერებლად ჩვენ ჰინცის ეტიმოლოგია გვესახება, რომლის მიხედვით, ტერმინი უნდა მომდინარეობდეს ძვ. სპარსული *dvitiyaxšaya-დან, რაც მეფის ნაცვალს ნიშნავს, შემდეგი დერივაციით: ძვ. სპარსული *dvitiyaxšaya > პართული *bitiyaxš>*bidyaxš (აქედან ძვ. სომხური bdeašx)>bidixš> bidaxš (pahlauri – bythš). იმავდროულად, მკვლევარი არ თვლის სავალდებულოდ, რომ ამ ტერმინსა და თანამდებობას ეარსება აქემენიდურ ხანაში და შესაძლებლად მიიჩნევს მის პართულ პერიოდში წარმოქმნას (Encyclopaedia Iranica, 1990:242-244).

ჩვენ ამჟამად ტერმინის ენობრივი წარმომავლობა ნაკლებად გვაინტერესებს. რაც შეეხება მის რეალურ შინაარსს, ყველაზე მართებულად მიგვაჩნია *ნ. ადონცის* თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, პიტიახშები სომხეთში:

> *გვევლინებიან ოდესღაც მცირე ზომის სახელმწიფოების მეფეყოფილებად, რომლებიც წარსულში ფლობდნენ დამოუკიდებელ სამეფოებს, მაგრამ ტიგრან დიდის ხანიდან სომხეთის მეფეების ჰეგემონობის ქვეშ მოექცნენ* (Адонц, 1908:283).

მკვლევრის ეს თვალსაზრისი კარგად მიესადაგება არა მარტო სომხურ, არამედ ქართულ სივრცესაც. მართლაც, არტაშეს I-ის მიერ დაქვემდებარების შემდეგ, ქართლის მეფე იქცა სომხეთის ვასალად, ჩრდილოეთის ქვეყნის – *ქართლის პიტიახშად* (სომხურად ბდეშხი), იმავე *გუგარელთა ბდეშხად*. მოვსეს ხორენაცისთან ქართლის მეფე სწორედ ამ სახელით მოიხსენება: *ქართველთა დიდ პიტიახშს* (სომხურად ბდეშხი) უწოდებს მოვსესი ქართლის აქემენიდური (*ქართველთა ცხოვრების ნებროთიანი*) წარმომავლობის მეფეს, მირიან/მირვან II-ს[1] (ხორენაცი, 1984:111), ხოლო ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს, მირიანს,[2] ძველი სომხური წერილობითი ტრადიციის ზეგავლენით, *ქართველთა წინამძღოლად და გუგარელთა ბდეშხად (პიტიახში)* მოიხსენიებს, რაც იმავე ქართლის პიტიახშს ნიშნავს. თუმცა, თუ მირიან II-ის (დაახლ. ძვ. წ. 122-ძვ. წ. 117) შემთხვევაში ეს არსებული რეალობის, ანუ მირიან II-ის სომხეთზე დამოკიდებულების აღმნიშვნელია, მირიან რევის ძის შემთხვევაში ეს უკვე რეალობას არ შეესაბამება – მირიანი სომხეთის მეფის ვასალი არ იყო. იმავდროულად, სავარაუდოდ, ის სპარსეთის ვასალად (პიტიახშად) განიხილებოდა სასანიანთა სპარსეთის მმართველი საგვარეულოს გადმოსახედიდან.[3] თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სპარსეთს და სპარსეთის შაჰ ნერსეს

1 მირიან/მირვან II არის ქართლის მესამე მეფის, მირვან/ მირიან I-ის (მეფე საურმაგის სიძე – ქალიშვილის ქმარი) შვილიშვილი. ქართლის ამ მეფის შესახებ იხ. სანაძე, 2016, გვ. 156-158.

2 მირიანი, იგივე მირიან//მიჰრან//მირდატ V, იყო სპარსეთის შაჰის, ჰორმიზდ-არდაშირის ვაჟის, ქართლის პირველი სასანიანი მეფის, რევ-ჰორმიზდაკის მემკვიდრე – იხ. სანაძე, 2001/ა, გვ. 138-149; სანაძე, 2016, გვ. 252-262.

3 ხორენაცის ტექსტის აღნიშნული ადგილის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სომხეთის ჯარს და მათ შორის მირიანს, სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად აგზავნის რომაელი მოხელე-სარდალი ანტიოქოსი და

(293-303 წწ.), შაბურ I-ის ძეს, ნისიბინთან წაგებული ომისა და ნისიბინის ზავის (298 წ.) შემდეგ ქართლის მეფე მირიან რევის ძეზე (უკანასკნელ ხანს წარმოებული კვლევის თანახმად, გაგვიჩნდა თვალსაზრისი, რომ მირიანის მამა რევი ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ნერსესთან ერთად რომის წინააღმდეგ სწორედ ის იბრძოდა და არა მირიანი), რომელიც მას ახლო ნათესავად ერგებოდა,[1] გავლენა აღარ ჰქონდა.

*ქართველთა დიდი პიტიახში* ტერმინია და არა უბრალოდ ეპითეტი, როგორც ამას ფიქრობენ ხოლმე. ეს ტერმინი *მცირე პიტიახშის* არსებობასაც უნდა გულისხმობდეს. მართლაც, არმაზის ბილინგვაში, რომლის არამეულ ენაზე შესრულებული ტექსტი პირველად გ. წერეთელმა წაიკითხა, ქართლის *მცირე პიტიახშია* მოხსენიებული:

> *მე ვარ სერაფიტი, ასული ბევახისა,* ***მცირისა პიტიახშისა*** *ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა – ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვებისა მომპოვებელი ეზოდს მოძღვრისა ხსეფარნუგ მეფისა – ძისა აგრიფა ეზოდს მოძღვრისა ფარსმან მეფისა....* (წერეთელი, 1942: 16).

ბილინგვის ბერძნულენოვანი ტექსტის ერთგვარად განსხვავებული წაკითხვა შემოგვთავაზა *ს. ყაუხჩიშვილმა*. მკვლევრისათვის გაუგებარი აღმოჩნდა გამოთქმა, *„მცირე პიტიახში“* და ის *ახლანდელი პიტიახშით* ჩაანაცვლა (ყაუხჩიშვილი, 1941:171-175). ყაუხჩიშვილისეული *ახლანდელის* ნაცვლად ა. შანიძემ *ახალი* შემოგვთავაზა – *дочь* ***нового питиахша*** *Зеваха* (Шанидзе, 1941:184-186).

ამ შემთხვევაში მკვლევართა თარგმანს საფუძვლად დაედო ის, რომ ბილინგვის ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილას გამოყენებულია ბერძნული სიტყვა ***– νεωτερου,*** რომელიც, *მცირესთან* (პატარას გაგებით) ერთად, *ახალს* (ახლანდელს) და *ახალგაზრდასაც* ნიშნავს.

გ. წერეთელი გაეცნო აღნიშნულ ბერძნულ თარგმანებს, მან არ გაიზიარა მკვლევართა მიერ შემოთავაზებული როგორც *ახლანდელი*, ისე *ახალი პიტიახში*, ვინაიდან არამეული ტექსტი სიტყვის ასეთი გაგების საშუალებას არ იძლეოდა[2] და არმაზის ბილინგვისადმი მიძღვნილ წიგნში მოგვცა როგორც არამეული ტექსტის თარგამანი, ისე ბერძნული ტექსტის თარგმანის მისეული ვერსია, სადაც ბერძნული ტექსტის აღნიშნული მონაკვეთი, არამეულის მსგავსად, *„მცირე პიტიახშად“* თარგმნა.

მეცნიერებმა კარგა ხანს ვერ გაარკვიეს, თუ რას ნიშნავდა *მცირე პიტიახში*. ამასობაში კ. წერეთელმა წარწერის მისეული წაკითხვა შემოგვთავაზა:

> *მე ვარ სერაფიტა, ასული* ***ბევახ მცირისა****, ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა რომელიც იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე გაკეთებულ საგმირო საქმეებს და არის ეზოსმოძღვარი ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოძღვრისა ფარსმან მეფისა* (წერეთელი, 1992: 48).

არა სომხეთის მეფე ხოსროვი (330-337 წწ.). ასე რომ, მირიანის სომხეთის ლაშქართან და სომეხ სარდლებთან ერთად ყოფნა რომის მოწოდებამ განაპირობა და არა სომხეთის მეფეზე მისმა დაქვემდებარებამ, როგორც ეს, ძველი წერილობითი ტრადიციის გავლენით, მოვსესს ჰგონია.

1 ნერსე I-ს, შაბურ I-ის (241-271 წწ.) ძეს ქართლის მეფე მირეან რევის ძე ახლო ნათესავად ერგებოდა. მირიანი იყო ნერსეს უფროსი ძმის ჰორმიზდ არდაშირის შვილიშვილი, ჰორმიზდ არდაშირის ერთადერთი ვაჟის – ჰორმიზდაკის აგრეთვე ერთადერთი ძე. ჰორმიზდაკი, იგივე პატარა ჰორმიზდი. ასეა ის მოხსენიებული ზოროასტრი ქააბას წარწერაში (თარიღდება 262 წ-ის ახლო ხანებით), სავარაუდოდ, იმ ხანად მისი მცირეწლოვანების გამო. ქართულ წყაროებში ჰორმიზდაკი ცნობილია რევ-მართლის სახელით (სანაძე, 2001, გვ. 133-148; სანაძე, 2016, გვ. 235-252).

2 არამეულ ტექსტში გვაქვს სიტყვა – **לילי** – რაც უმნიშვნელოს, მსუბუქს, წვრილმანს, მცირეს ნიშნავს და არანაირად ახალს და ახლანდელს.



მიუხედავად იმისა, რომ არც ბერძნული და არც არამეული ტექსტი *მცირეს* ზევახის მიმართ აშკარად არ ხმარობს და ასეთი წაკითხვა ხელოვნურია, კ. წერეთლისეული შემოთავაზება ისტორიკოსებისათვის, რატომღაც, უფრო მისაღები გახდა და ტექსტის გაგების პრობლემა გადაჭრილად ჩაითვალა. ახლა ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ საკითხი და ვაჩვენოთ აღნიშნული თვალსაზრისის უსაფუძვლობა. დავიწყოთ იმით, რომ კ. წერეთლისეული ინტერპრეტაცია არაერთ კითხვას აჩენს. მართლაცდა, რატომაა *ზევახი მცირე*? აქ რომ პატარა ბიჭუნაზე იყოს საუბარი, რომელსაც მამისაგან განსხვავების აღსანიშნავად *მცირეს* უწოდებენ, ან ბიჭუნაზე, რომელმაც მამის ადრე გარდაცვალების გამო, მისი ტახტი ბავშვობაშივე დაიკავა, კიდევ გასაგები იქნებოდა; მაგრამ საქმე გვაქვს ზრდასრულ კაცთან, გათხოვილი ქალის მამასთან, ქართლის სამეფოს დიდმოხელე-პიტიახშთან, რომლის მამაც გარდაცვლილია, ვინაიდან უკვე ისაა ოჯახის უფროსი და მემკვიდრეობითი ტიტულის მატარებელი. დავუშვათ, ზევახს ბავშვობაში ასეთი მეტსახელი ჰქონოდა, წარწერაში ამის გაჟღერებას ქართლის პიტიახშს ვინ აკადრებდა!? ვითარება ბევრად უფრო გასაგები გახდება, თუ ამ ტიტულს, ზემოთ უკვე აღნიშნული *დიდი პიტიახშისაგან* განსასხვავებლად შექმნილად მივიჩნევთ.

თუ ქართლს *ორი – დიდი და მცირე – პიტიახში*, ანუ სომხეთზე დაქვემდებარებული ორი მმართველი (ვინაიდან პიტიახში დაქვემდებარებულ, ვასალურ სტატუსს გულისხმობს) ჰყავდა, ისტორიის რომელ პერიოდთან გვაქვს საქმე? ბუნებრივია, ეს იყო ორმეფობის ხანა *(არმაზელი და მცხეთელი მეფეები)*, რომელიც, *ქართველთა ცხოვრების* ინფორმაციით, ქართლის მეფის, ადორკ//არტოკ//ადრეკ//ადერკ-ის მეფობის შემდეგ დაიწყო[1] და, სავარაუდოდ, განპირობებული იყო სამხრეთ კავკასიაში პომპეუსის ლაშქრობით (ძვ. წ. 65), სომხეთის სასტიკი მარცხითა და რეგიონში მისი გავლენის, ერთგვარად, შესუსტებით. მართლაც, ანტიკური ხანის სომხეთი, განსაკუთრებით, პომპეუსის სამხრეთ კავკასიაში შემოსვლამდე და სომხეთის მეფის – *ტიგრან დიდის* დამარცხებამდე, ტერიტორიულად ფრიად დიდი, მოსახლეობით მრავალრიცხოვანი და პოლიტიკურად საკმაოდ ანგარიშგასაწევი სახელმწიფო იყო.

სომხეთმა სწრაფი ზრდა ჯერ კიდევ ძვ. წ. 190 წელს, მაგნეზიასთან ბრძოლაში რომის მიერ სელევკიანთა სამეფოს დამარცხების შემდეგ დაიწყო, როდესაც მისმა სატრაპმა – არტაშესმა თავი სელევკიდებისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და ყველა მიმართულებით შეუდგა ტერიტორიის გაფართოვებას მეზობლების დაპყრობა-შემოერთების გზით.

*ქართველთა ცხოვრებისა* და *ძველ ბერძნულ-სომხური წყაროების* ინფორმაციების ურთიერთშეჯერებით აშკარა ხდება, რომ ქართლი სომხეთმა ჯერ კიდევ სწორედ არტაშეს I-ის მეფობაში დაიქვემდებარა. იმხანად ქართლს აქემენიდური (*ნებროთიანი ქართველთა ცხოვრებით*) წარმომავლობის მეფე, ქართლის მეფის, საურმაგის სიძე, *მირიან/მირვან I* განაგებდა. მირიანის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა, *ფარნაბოჯმა*[2] ვერ შეინარჩუნა მეფობა. *ქართველთა ცხოვრებისავე* ცნობით, ის სიძემ (დის ქმარმა), არტაშესის ვაჟმა, *არშაკმა*, ბრძოლის ველზე დაამარცხა და მოკლა. ყოველივე ამას ქართლში არტაშესიანების დამკვიდრება მოჰყვა. არტაშესიანი ქართლის მეფეები სომხეთის მხრიდან პიტიახშებად, ანუ დაქვემდებარებულ მეფეებად აღიქმებოდნენ და ასეც იწოდებოდნენ. *ქართველთა ცხოვრება*, გვიანი სომხური წყაროების გავლენით, არტაშესს არშაკს უწოდებს, ისევე, როგორც ქართლში დამკვიდრებულ არტაშესიანებს, იმავე სომხური წყაროების ანალოგიით – *არშაკუნიანებად* მოიხსენიებს.[3] ყოველივე ზემოთქმულიდან, ჩვენი აზრით, გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ უწოდებს მოვსეს

1 ორმეფობის დასაწყისად ჩვენ ძვ. წ. 64-62 წლებს, ანუ პომპეუსის ლაშქრობის მომდევნო წლებს მივიჩნევთ (სანაძე, 2001, გვ. 109-113; სანაძე, 2016, გვ. 181-189).

2 *მოქცევად ქართლისად* ქრონიკამ შემოგვინახა ამ მეფის სახელის ქართველთა ცხოვრებაში დაცულ ვერსიასთან (ფარნაჯომ) შედარებით, უფრო სწორი ფორმა – ფარნაჯობ, რომელიც მარცვლის მოტრიალების შედეგადაა წარმოქმნილი პირველადი სახელიდან – ფარნაბოჯ, რაც იგივე ფარნავაზი და ფარნავუშია (იხ. სანაძე, 2016, გვ. 150-152).

3 ასე მოიხსენიებენ არტაშესიანებს როგორც მოვსეს ხორენაცი, ისე სებეოსი.

ხორენაცი (რომელიც, ბუნებრივია, თავისი *ისტორიის* წერისას ძველ წყაროებს იყენებს) იმ ხანის ქართლის (იბერიის) მეფეებს *გუგარელთა ბდეშხებს*, რაც გურგანელთა, ანუ ქართველთა პიტიახშის (ბდეშხის) შერყვნილი ფორმაა (იხ, სანაძე, 2019: 288-297).

ქართლში, ტიგრან დიდის მხარდაჭერით, მეფედ დასმული და სომხეთზე ყოველმხრივ დამოკიდებული ადორკ//არდოკ//არდეკის პომპეუსის მიერ დამარცხების შემდეგ, უფრო კი, საკუთრივ, ტიგრანის მიერ პომპეუსთან განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ, *ქართველთა ცხოვრებისავე* ინფორმაციით, ქართლი მტკვარზე ორად გაიყო:

> *და ვიდრე ადრეკის მეფობამდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფედ....* ადრეკმა კი: განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა *მტკუარსა შიდა ქართლი – მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოეთი, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა – ესე ყოველი მისცა ბარტომს .... ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და კლარჯეთი ყოველი – მისცა ქართამს* (ქრ. ცხ., 1955:43).

*ქართველთა ცხოვრება* ქართლის გაყოფას, მისთვის დამახასიათებელი სტილით, მამა მეფის მიერ, საკუთარი სურვილით ქვეყნის ორ ვაჟზე განაწილების სურათად გვიხატავს, მაგრამ საფიქრებელია, რომ არც ქვეყნის გაყოფა მოხდა არდეკ//არდოკის სურვილით და არც მცხეთელი მეფე ბარტამი იყო მისი შვილი და მემკვიდრე. ერთი რამ სრულიად ცხადია, – ქართლის ორივე ნაწილის სომხეთზე დამოკიდებულების მიუხედავად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მეფეების, იმავე არმაზელების, ანუ გურგაქის (დამახინჯებით – გუგარქის) პიტიახშების დამოკიდებულების ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მტკვრის მარცხენა სანაპიროს მეფეების, ანუ მცხეთელების დაქვემდებარების ხარისხს, რომლებმაც ქვეყნის მათ დაქვემდებარებაში მყოფ ნაწილში (მტკვრის მარცხენა სანაპირო) მნიშვნელოვანწილად აღადგინეს დამოუკიდებლობა:

> *ხოლო არდეკისითგან ვიდრე ამათ მეფობამდე*[1] *იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა. და უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა* (ქრ. ცხ., 1955:44).

სწორია, არმაზელები *უმეტეს შეეწეოდეს სომეხთა*, მაგრამ მცხეთელი მეფეებიც, როგორც ვხედავთ, სომხეთის მეფეებისადმი გარკვეულ დამოკიდებულებაში რჩებოდნენ, თუმცა არმაზელებისაგან განსხვავებით, რომელთა სამფლობელო – მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლი, ციხე-ქალაქ არმაზითურთ, რეგიონში რომის მძლავრად შემოსვლამდე, სომხეთის ოთხი საპიტიახშოდან სომხეთის საზღვრებში შემავალ ჩრდილოეთის საპიტიახშოდ რჩებოდა, მცხეთელებს ბევრად უფრო დამოუკიდებლად ეჭირათ თავი. რაც მთავარია, რომი *„იბერია“-ს* სწორედ მცხეთურ ნაწილს უწოდებდა, რაც შეეხება *გურგაქ//გუგარქს*, ანუ მცირე, პატარა მგელს, ის ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე რომის მიერ სომხეთის ჩრდილოეთ პროვინციად იყო აღქმული.

ამგვარად, ქართლის ორად გაყოფის შემდეგ,[2] გაჩნდა *ორი ქართლი*, იგივე *ორი გურგანი* – მგლები *(მგლების ქვეყანა)* და შესაბამისად, *ორი მეფე*, ანუ სომხური პოზიციიდან *ორი პიტიახში* – ვასალი, დაქვემდებარებული მმართველი: *დიდი პიტიახში – მცხეთელი* – დაქვემდებარების ნომინალური ხარისხით და *მცირე მგლის, მგლის მონაჭერის* – გურგაქ-ის პიტიახში, იგივე ქართული წყაროების არმაზელი მეფე, რომლის ქვეყნის სპარსული სახელწოდება გურგაკ – *პატარა მგელი*, მოგვიანებით სახელის მცირედ დამახინჯების (**რ** ფონემის მესამე პოზიციიდან მეხუთეზე გადაჯდომის)[1] და სპარსული კნინობითი სუფიქსი **აკ**-ის მაწარმოებელი **კ** თანხმოვნის ძველ სომხურში მრავლობითის მაწარმოებელ **ქ** სუფიქსად გააზრების გამო, *გუგარქად*, ანუ *გუგარებად* იქცა.

*მცირე ქართლის*, ანუ *გურგაქ//გუგარქის* მმართველი პიტიახში უნდა იგულისხმებოდეს ზემოთ ჩვენ მიერ განხილულ არმაზის ბილინგვაში, სადაც *მცირე* სწორედაც პიტიახშს, უფრო კი მის სამართავ ქვეყანას მიემართება – *მცირე (ქართლის) პიტიახში, იგივე გურგაკის პიტიახში* – და არა სახელ ზევახს. *მცირე მგლის, იგივე გურგაქ-ის პიტიახში* სერაფიტის მამის ტიტულია.

ახ. წ. II ს-ის შუა წლებსა და მეორე ნახევარში, ანუ ფარსმან III-ისა (ახ. წ. 120-155 წწ. ) და მისი შემდგომი მეფის, ქსეფარნუგის ხანაში (ძვ. წ. 155-180 წწ.), არმაზელთა ტერიტორია – მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქართლი – უკვე საუკუნე იყო გასული, რაც *გურგაქის//გუგარქის საპიტიახშოს* სახით ქართლის (მცხეთელ) მეფეებს დაუბრუნდა, ხოლო ქართლის მეფეები (მცხეთელები) კი, კიდევ უფრო დიდი ხანი იყო გასული, რაც აღარ იყვნენ სომხეთის *დიდი პიტიახშები*, თუმცა ტიტული *მცირე პიტიახში* ქართლის პიტიახშებს *(გუგარქ//გურგაქის, ანუ პატარა მგლის ბდეშხებს)* ახლა უკვე ქართლის მეფეების კარზე, ერთ ხანს, მაინც რჩებოდათ. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ისინი ქართლის მეფეების ხელქვეითობაშიც კვლავ *მცირე მგლის*, ანუ *მცირე ქართლის* – გურგაქის მმართველი პიტიახშები იყვნენ.

*ქართველთა ცხოვრების*, ისევე, როგორც მისგან გაკეთებული მოკლე ვერსიის – *„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს* ქრონიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი საზოგადოების ისტორიის *სპარსულ პერიოდში*,[2] სადღაც VII ს-ის ბოლომდე, ანუ არაბთა მიერ სასანიანების განადგურებისა და კავკასიაში მეტ-ნაკლებად მყარად ფეხის მოკიდებამდე, ერისთავის, როგორც ცენტრზე დამოკიდებული მმართველის, აღსანიშნავად გამოიყენებოდა *პიტიახში*. ამის სასარგებლოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ე. წ. *მურვან ყრუს* შემოსევის აღწერისას მემატიანე გვაცნობს, რომ მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოში (ეგრისში) გადასულ სტეფანოზ ერისმთავართან და მის ვაჟ მირთან სტეფანოზის უმცროსი შვილი, ქართლში მყოფი არჩილიც გაიხიზნა:

> *ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად* (ქრ. ცხ., 1955:234)

როგორც ვხედავთ, მემატიანეს (სავარაუდოდ, ლეონტის) ძველ ტექსტში[3], მოჰყავს *პიტიახშნი*, რომელიც მან მისი დროის მკითხველს ერისთავთა და წარჩინებულთა წინაპრებად განუმარტა. მაგ., *ფარნავაზის ცხოვრებაში*, რომელიც, ლეონტის მიერ მნიშვნელოვნად განვრცობილ-რედაქტირებულია, ვკითხულობთ:

> *მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა და განამრავლნა ყოველნი*

1 იგულისხმებიან ქართლის მეფეები ფარსმან და კაოს (აკეოს).

2 ქართლი ორად გაიყო ძვ. წვ. დაახლ. 64-62 წწ-შ და ეს ვითარება ახ. წ. I ს-ის 60-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა (იხ. სანაძე, 2001, გვ. 91-121; მისივე, 2016. გვ. 171-203).

1 რ ფონემის გადაჯდომის მიზეზი იყო ის, რომ სომხურად გუგარქ (ისევე, როგორც ქართულადაც) გურგაქთან შედარებით, ენობრივად ბევრად უფრო იოლი გამოსათქმელია.

2 ასე ვუწოდებთ ქართული სახელმწიფოებრიობის ხანას არაბთა შემოსევამდე და, გამოყოლილი ინერციით, სადღაც VII ს-ის ბოლომდე ან VIII ს-ის დასაწყისამდე, სანამ არაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები არ ჩაენაცვლა სპარსულს. ეს ხანა, რომელიც ქართული საზოგადოების არსებობის ფრიად ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ქვეპერიოდებად: აქემენური, პართულ-რომაულ-სომხური, სასანურ-რომაული, სასანურ-ბიზანტიური.

3 ქართველთა ცხოვრებაში, სტეფანოზ II-სთან დაკავშირებული თხრობა, ვითომდა მისი ვაჟების – არჩილისა და მირის დასავლეთ საქართველოში ე. წ. მურვან ყრუს წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, სინამდვილეში, ვახტანგ გორგასლის შვილების დარჩილისა და მირის (მირდატის) დასავლეთ საქართველოში სპარსელების, კერძოდ კი ხოსრო-ანუშირვანის წინააღმდეგ ბრძოლის მონათხრობია. ამ საკითხის თაობაზე იხ. სანაძე, 2020, გვ. 175-176.

*მჭედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა* ***ერისთავნი*** *რვანი* ***და სპასპეტი*** (ქრ. ცხ., 1955:24).

როგორც ვხედავთ, აქ საუბარია ერისთავებსა და სპასპეტზე. რას ნიშნავს სპასპეტი და რა ფუნქციის მატარებელია იგი? ტერმინი ორი სპარსული სიტყვის: *სპა* – ჯარი, ლაშქარი და *პეტ* – მეთაური, უფროსი, შეერთებითაა მიღებული და მხედართმთავარს ნიშნავს. იქვე ვიგებთ, რომ: ... *ესე სპასპეტი .... მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა* (ქრ. ცხ., 1955: 24-25).

ამგვარად, *სპასპეტი* მხედართმთავარია. ის განაგებს ბრძოლის ველზე ერისთავების ხელმძღვანელობით საერისთავოებიდან გამოსულ ჯარს. ყოველივე ამის შემდეგ ვნახოთ, რა ვითარებასთან გვაქვს საქმე ქართლში შემოჭრილი სპარსეთის მეფის წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის ბოლო ბრძოლის აღწერაში:

*და იყო ლაშქარი ვახტანგისი ორას ორმოცი ათასი, ხოლო სპარსთა შჳდას ორმოცი ათასი. და განყო ვახტანგ ლაშქარი მისი სამად და კლდით კერძო მოავლინა ქუეითი; და ერთ-კერძო მოავლინნა* ***პიტიახშნი და სპასპეტი***; *და სადათ სპარსთა მეფე იყო, მუნით თჳთ მივიდა ვახტანგ ვითარ ასი ათასითა სპითა* (ქრ. ცხ., 1955:202).

როგორც ვხედავთ, აქ არავითარი ერისთავი არა გვყავს – მემატიანეს (სავარაუდოდ, ლეონტის), ამ შემთხვევაში, გამორჩა *პიტიახშის* – მისი დროის მკითხველისათვის უფრო ნაცნობი და გასაგები ერისთავით ჩანაცვლება!

იმავე დასკვნის გაკეთება შეიძლება *ქართველთა ცხოვრების* შემდეგი მონაკვეთებიდან:

– ბიზანტია-სპარსეთის ომის (502-507) ერთ-ერთ ეპიზოდში ვახტანგ გორგასალი შემდეგნაირად მიმართავს მის დაქვემდებარებაში მყოფ სომეხ სარდლებს:

*(1). ანუ თქუენ, მკვდრთა მაგათ სომხითისათა არშაკუნიანთა, პიტიახშთა ბივრიტიანთა, არა გაჴსოვანა საქმენი გრიგოლ პართეველისანი?“*(ქრ. ცხ., 1955:161).

ამავე ომის საწყის ეტაპზე კი ვკითხულობთ:

*(2). წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად. და მიიწივნეს სომხითს, და მოერთნეს პეროჟა-კაფას, .... ერისთავნი სომხითისანი სივნელი არევ, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროვნელი ამაზასპ, გრიგოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატ, ნათესავისაგან დიდისა თრდატისა* (ქრ. ცხ., 1955: 159).

ბუნებრივია, არავითარი ერისთავები სომხეთს არ ჰყავდა და, როგორც პირველი მონაკვეთიდან შეგვიძლია დავრწმუნდეთ, ჯუანშერთან ამ შემთხვევაშიც პიტიახშები ეწერა, მაგრამ ლეონტი პიტიახშს ტექსტში ყველგან, თუ ეს შემთხვევით არ გამოეპარა, *ერისთავით* ანაცვლებს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა *ქართველთა ცხოვრების* ჩვენამდე მოღწეული, ლეონტისეული რედაქციისა და *მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს* ქრონიკის (რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯუანშერისეული *ქართველთა ცხოვრების* შემოკლებულ ვერსიას წარმოადგენს) შესაბამისი ადგილების შედარება:

*ქართველთა ცხოვრება* – ლეონტისეული ვერსია:

*ამის-ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა ..... შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად. მაშინ ვარაზ-ბაქარ .... განუკუეთა ხარკი,*

*ხოლო ერისთავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წარვიდა.*



*და მიერითგან იქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი* (ქრ. ცხ., 1955:136).

*მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს* ქრონიკა – ჯუანშერისეული *ქართველთა ცხოვრების* კონსპექტური ვერსია:

*და შემდგომად მისა დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ. .... და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ, სპარსთა მეფისა პიტიახში,*[1] *ტფილისად ქალაქად, ციხედ. და ქართლი მისსა ხარკსა შედგა* (*მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 1963:91-92).

ამგვარად, ჯუანშერისეულ *ქართველთა ცხოვრებაში* ტერმინი *პიტიახში* იხმარებოდა როგორც საქართველოს რეგიონების მმართველების, ისე სპარსეთის მიერ საგანგებო მისიით გამოგზავნილი მოხელე-პიტიახშების მიმართ. *ქართველთა ცხოვრების* ლეონტისეულ რედაქციაში კი ჯუანშერისეული *პიტიახში*, რომელიც დიდი ხანია, რაც ხმარებიდან იყო გამოსული, უფრო თანამედროვე და გასაგები ქართული სახელწოდებით, *ერისთავითაა* ჩანაცვლებული. რაც შეეხება ქართულ *ერისთავს*, ის ჩვენ სპარსული *პიტიახშის* სიტყვასიტყვით თარგმანად მიგვაჩნია. არც ისაა გამორიცხული, რომ ერისთავი, როგორც პიტიახშის ქართული ანალოგი, ამ უკანასკნელის სათარგმნად შეიქმნა.

***პატრიკიოსი.*** როგორც ერისთავი იყო პიტიახშის ჩანაცვლება და, ასე ვთქვათ, გადმოქართულება, ისე *ერისმთავარი* (იგივე ერისთავთ-ერისთავი)[2] *პატრიკიოსის* თარგმანს წარმოადგენდა და, შეიძლება ითქვას, რომ სწორედაც მის სათარგმნად შეიქმნა. პატრიკიოსი ლათინური Patrician-დან მოდის, სადაც გვარიშვილობის მქონეს (pater მამას ნიშნავს ლათინურად) არისტოკრატს აღნიშნავდა. ბიზანტიურ სივრცეში ეს წოდება *კონსტანტინე დიდმა* (306-337 წწ.) გააცოცხლა. თავდაპირველად, ამ ტიტულს საიმპერატორო სასახლეში უმაღლესი რანგის პირს – საიმპერატორო ოჯახის წევრს ანიჭებდნენ, *იუსტინიანე I*-ის (527-565 წწ.) ხანაში ამ წოდების მატარებლები მომრავლდნენ. ამავე ხანაში მიიღეს ის სხვა ქვეყნის ბიზანტიაზე დაქვემდებარებულმა უმაღლესი რანგის მმართველებმა, მათ შორის ქართლის უმაღლესმა ხელისუფლებმაც. ქართულ ნარატიულ ძეგლებში ეს ტიტული იშვიათად იხმარება, მას ერისთავთა თავად, ერისმთავრად, ერისთავთ-ერისთავად თარგმნიან, თუმცა ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც პატრიკიოსსაც, სპარსული *პიტიახშის* არ იყოს, *ერისთავად* თარგმნიან. თუმცა ასეთ შემთხვევებში მას არა უბრალოდ *ერისთავად*, არამედ *ქართლის ერისთავად*, ანდა *ქართველთა ერისთავად*, მოიხსენიებენ. შემთხვევები, როდესაც ქართული ისტორიული თუ სხვა სახის თხზულებები *პატრიკიოსს* თარგმანის გარეშე გვაწვდიან, ფრიად იშვიათია. *ქართველთა ცხოვრებაში* სულ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს, როდესაც მემატიანე აღნიშნულ ტერმინს თარგმანის გარეშე ხმარობს. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

*ქართველთა ცხოვრების შესავალ მოთხრობაში – ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა*, რომელსაც შემოკლებით *მამათა ცხოვრებას* ვუწოდებთ, აზოს ქართლში დამკვიდრებისადმი მიძღვნილ თხრობაში ვკითხულობთ:

...*და დაუტევა მათ ზედა* ***პატრიკად*** *სახელით აზონ* (ქრ. ცხ., 1955:18);

ან კიდევ:

*მისცა აზონს პატრიკსა და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ* (ქრ. ცხ., 1955:18)

*მოუწერა წიგნი – ანდერძი აზონ პატრიკსა, ერისთავსა ქართლისასა,*

1 ქრამ ხუარ ბორზარდ-ის შესახებ იხ. თავი XII, §1, ქვეპარაგრაფი – ქრამ ხუარ ბორზარდ.

2 ერისთავთ-ერისთავი და ერისთავთ ერისთავთა უფალი გვხვდება, როგორც ცნობილია, ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში (ფრესკული წარწერები, 1989, გვ. 90).

*რათა მსახურებდეს იგი ბიზინტიოსს* (ქრ. ცხ., 1955: 20).

როგორც ვხედავთ, ბოლო ორ შემთხვევაში *ერისთავი პატრიკის* თარგმანია. ეს ფრაზები უბრალოდ ორი სხვადასხვა ხელნაწერის სინთეზის შედეგია – ერთში ეწერა: *აზონ პატრიკი*, მეორეში კი: *აზონ ერისთავი//*აზონ ერისთავი ქართლისა, ანუ მეორე ხელნაწერში *პატრიკი* თარგმნილი იყო *ერისთავად*. სავარაუდოდ, ლეონტიმ არცერთი ინფორმაცია არ გამოტოვა. ასე მივიღეთ ის ფრაზები, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ.

*ანთიპატად* (რაც იგივე ანთიპატრიკი ან კიდევ ანთიპატოს-პატრიკიოსია) იწოდება *ქართველთა ცხოვრებაში* კეისარი ანასტასის სარდალი, ლეონი:

> *... და დღესა მესამესა მივიდა გორგასალი მის თანა და თანა წარიტანა ლეონ, ანთიპატი კეისრისა და ყვეს განზრახვა და აზრახა ანთიპატ-მან გორგასალსა, რათა ყოს მშჳდობა შორის კეისრისა და ხუასროსა* (ქრ. ცხ., 1955:182).

> *და ლეონ ანთიპატმან დაუტევა ლაშქრისა მისისაგან ათი ათასი ბერ-ძენი და თჳთ წარვიდა წინაშე კეისრისა და ვახტანგ მეფემან წარატანა თანა მოციქულად არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა; და წარსცა ყო-ველი ნიჭი წინაშე კეისრისა .... და უბრძანა არტავაზს, რათა ჯაზირას მიერთოს ლეონ ანტიპატისა თანა* (ქრ. ცხ., 1955:186).

ლეონიტის მიერ ანთიპატოსის, ანუ ანთიპატოს-პატრიკიოსის ტიტულის ფლობა ანასტასის კარზე მის ფრიად მაღალ მდგომარეობაზე – სამეფო ოჯახის წევრობაზე, სავარაუდოდ, ლეონ დიდის (მაკელის) ქალის ხაზით შვილიშვილობაზე უნდა მიუთითებდეს.

აპაჲ-პატრიკიოსად (სწორი ფორმაა ანთიპატოს-პატრიკიოსი) იწოდება *მოქცევაჲ ქართლი-საჲს* ქრონიკის ბოლოს მოთავსებულ *ერისმთავართა ჩამონათვალში* არშუშა ქართლის ერისმთავრის[1] ვაჟი და VII-VIII ს.ს.-ის მიჯნის ქართლის ერისმთავარი – *ვარაზ-ბაკური*:

> *და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, აპაჲ პატრიკიოსი,[2] რომელმან გარ-ბანელნი მოაქცინა* (*მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 1963:97).

ამგვარად, X ს-მდე ამბების თხრობაში, სუმბატ დავითის ძის თხზულებას თუ არ ჩავთვლით, რომელიც *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკის *ერისთავთა* ჩამონათვალის საგრძნობლად დამახინჯებულ ვერსიას გვთავაზობს, საკუთრივ *ქართველთა ცხოვრებაში* ტერმინები: *ანთიპატრიკი* და *პატრიკი//პატრიკიოსი* მხოლოდ აზოსა და *ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში* კეისარ ანასტასის სარდალ ლეონთან მიმართებაში გვხვდება. დანარჩენ შემთხვევებში ის ან უბრა-ლოდ *ერისთავით*, ან საგანგებოდ პატრიკიოსის ქართულად გადმოსაცემად შექმნილი ტერმი-ნის – *ერისთავთა მთავარი//ერისმთავარი* – მეშვეობით ითარგმნება.[3] *ერისმთავრის// ერისთა-*

1 არშუშა, ერისთავთა ჩამონათვალში, კურაპალატად იწოდება, თუმცა, გუარამ კურაპალატისა არ იყოს, ისიც პატრიკიოსი იყო, რასაც წარმოაჩენს კიდეც აბასთუმნის წარწერა (ლაპიდარული წარწერები, 1980, გვ. 103).

2 სუმბატ დავითის-ძესთან გვაქვს ანთიპატოსი. შესაბამისად, როგორც ეს უკვე კარგა ხანია შენიშნულია ქარ-თულ ისტორიოგრაფიაში, უნდა ყოფილიყო არა აპაჲ პატრიკიოსი, არამედ ანთიპატოსპატრიკიოსი, იგივე ანთიპატრიკი.

3 X ს-ის ამბების თხრობაში, ქართველთა ცხოვრების მონაკვეთში, რომელსაც პირობითად მატიანე ქართლისა ეწოდება და რომელიც ლეონტი მროველის კალამს არ ეკუთვნის, პატრიკიოსი უკვე თარგმანის გარეშე გვეძ-ლევა: ...მოადგეს ციხესა ვეჟინისასა – აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო და კვრიკე ქუემოთ ... მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა ... მოსცა აფხაზთა მეფესა არიში... (ქრ. ცხ., 1955, გვ.264). ანთიპატოს-პატრიკიოსი გვაქვს, როგორც ზემოთაც დავრწმუნდით, *მოქცევაჲ ქართლისას* ქრონიკის ერისმთავართა ჩამონათვალში არშუშას ვაჟისა და მისი შემდგომი ერისმთავრის ვარაზ-ბაკურის ტიტულად, ასევე სუმბატ დავითის ძესთან სუმბატ არტანუჯელის ტიტულად: სუმბატ არტანუჯელი, რომელი ჴელმწიფობასა მისსა დასუეს ანთიპატოს-პატრიკად.



*ვთა მთავრის* ზუსტი შესატყვისია ერისთავთ-ერისთავიც.

> *და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა-მთავრად ხადოდეს* (ქრ. ცხ., 1955:222).

ადარნასე სტეფანოზის ძეზე, რომელიც მემატიანეს მცდარად ბაკურის-ძე ჰგონია, აღნიშნავს, რომ მან:

> *სხვა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ... მთავრობით* (ქრ. ცხ., 1955:. 226).

ამ შემთხვევაშიც, მემატიანე *მთავრობაში* სწორედ *ერისმთავრობას* გულისხმობს. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მემატიანე ადარნასეს მმართველობის შინაარსობრივ მხარეზე იმავეს ამ-ბობს, რასაც სტეფანოზის მმართველობის შესახებ:

> *და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა და ერისთავნი იგი თჳსთჳსსა საერისთოსა შინა მკჳდრობდეს შეუცვალებლად და მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა* (ქრ. ცხ., 1955:226).

*ერისთავთა მთავრის*, ანუ *პატრიკიოსის* ტიტულის მატარებლად *ქართველთა ცხოვრებაში* პირველად ვახტანგ გორგასლის ვაჟები – *მირდატი* (იგივე მირი) და *ლეონი* გვევლინებიან:

> *ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტაგისნი წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვა-ხტანგ და დასხდეს წუნდას ქალაქსა და ზაფხულს და ზამთარს იყვნიან ოძრვეს. და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ* ***ერისთავთა-მთავრად*** (ქრ. ცხ., 1955:204-205).

ამ ტექსტიდან ჩანს, რომ ვახტანგის ვაჟები მირდატი და, სავარაუდოდ, ლეონიც გარდაცვა-ლებამდე ატარებდნენ პატრიკიოსის ბიზანტიურ ტიტულს. ასე რომ, სწორედ ისინი (და არა გუარამი) იყვნენ პირველი ერისმთავრები ქართულ სივრცეში. მირდატის პატრიკიოსობა და ელენეს შვილებითურთ, სწორედ ბიზანტიის მოსაზღვრე ქართულ მხარეებში დამკვიდრება იყო სპარსეთ-ბიზანტიის 532 წლის ზავზე დაფუძნებული, როდესაც ქართლის სამეფოს ამ, სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში გაივლო სასაზღვრო ხაზი ბიზანტია-სპარსეთის გავლენის სფეროებს შორის (უფრო დაწვრ. იხ. სანაძე, 2016:532, 559-560).

*ერისთავთა მთავარი, ერისმთავარი, ერისთავთ-ერისთავი, როგორც უკვე აღვნიშნეთ,* საგან-გებოდ შექმნილი ხელოვნური ტერმინია პატრიკიოსის აღსანიშნავად, თუმცა პატრიკიოსი, უბრალოდ *ერისთავადაც* ითარგმნებოდა. მაგ., *მოქცევაჲ ქართლისაში* ვკითხულობთ:

> *და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა* (*მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 1963:95).

აქ *ერისთავად განჩინება* სწორედ პატრიკიოსად ხელდასხმას ნიშნავს. აგრეთვე, იმავე *მოქცე-ვაჲ ქართლისას* ქრონიკის ბოლოში მოთავსებული, ზემოთ ჩვენ მიერ, პირობითად, *ერისთავ-თა ჩამონათვლად* წოდებული მონაკვეთი შემდეგი ფრაზით მთავრდება: *დიდნი ერისთავნი ესთენ იყვნეს*. ჩამოთვლილებში რამდენიმე პირი *კურაპალატად* იხსენიება, ესენია: გუარამ II, არშუშა და აშოტი. აქედან, აშოტ I, რომელიც VIII ს-ის დასაწყისის მოღვაწეა, მისი აშოტ II კუ-რაპალატთან (გარდ. 830 წ.) გაიგივების გამო, აქციეს კურაპალატად, აგრეთვე, კურაპალატობა გვიან მიეწერა გუარამ II-საც, რომელიც, მისი დიდი პაპის, გუარამ I-ის მსგავსად, პატრიკიოსი იყო (იხ. სანაძე, 2016, გვ. 404-405), რაც შეეხება არშუშას, მისი პატრიკიოსობა აბასთუმნის წარ-წერიდან კარგად ჩანს, ამაზევე მეტყველებს მისი ტიტულის ქართული ვერსიაც – *ქართველთა ერისთავი*:

> *შეწჳნითა ქრისტჱსითა ჲვსტინიანე მეფისა ზე, მე [დაზიანებაა] ვიქმენ ღმრთისაგან განდიდებული ნათესავთა ყოველთა ჩემთა ბრძანე-*

> *ბითა ღმრთივ დაცულისა მამფლისა* ***არშუშა პატრიკიოსისა*** *და ნებითა ღმრთისაჲთ* ***ქართველთა ერისთავისა*** *ქრისეპულოს ციხესათა ბოძებითა* (ლაპიდარული წარწერები, 1980:103).

მეტი თვალსაჩინოებისათვის გრიგოლ ბაკურიანის-ძის მამის მაგალითსაც მოვიყვანთ. გრიგოლი თავის ტიპიკონში მამამისის, ბაკურიანის შესახებ ამბობს, რომ ის იყო ერისთავთა მთავარი (შანიძე, 1971:61), მაგრამ ასეთი ქართლის მმართველი წყაროებით არ დასტურდება. მაშ ვინ იყო გრიგოლ ბაკურიანის-ძის მამა? ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე გვამცნობს, რომ ბაკურიანს (გრიგოლის მამას) ბასილი კეისარმა უწყალობა *პატრიკიოსობა* (კედრენე, 1963:46; სანაძე, 2004:95-104). აი, ამ პატრიკიოსის ტიტულს თარგმნის გრიგოლი ქართულად, როგორც ერისთავთა მთავარს.

***კურაპალატი.*** აშოტ II[1] კურაპალატამდე (გარდაიცვალა 830 წ.), რომელიც იყო პირველი კურაპალატი ქართულ სივრცეში, ქართულ ნარატიულ თხზულებებში ოთხ პიროვნებას მოიხსენიებენ კურაპალატად. ესენია: *გუარამ I* (*ქართველთა ცხოვრებაში*, *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკაში, მათ შორის სინას ხელნაწერების მინაწერებში), *გუარამ II* (*მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკაში), არშუშა (*მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკაში) და ადარნასე (*აბოს წამებაში*). განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

გუარამ I ქართულ წყაროებში ყველგან კურაპალატის ტიტულით მოიხსენიება, რაც მცდარია და ამ წყაროების გვიანდელ რედაქტირებაზე მიუთითებს. რედაქტირება ხდება ქართლის ერისმთავრის, აშოტ II ბაგრატუნისათვის (780-იანი-830 წწ.) კურაპალატის პატივის მინიჭების შემდეგ პერიოდში, აშოტისა და მისი მემკვიდრეების მიერ კურაპალატის ტიტულის ტარების ანალოგიითა და საკუთრივ გუარამის გამორჩეულად განდიდების მიზნით.

თუ *მოქცევაჲ ქართლისაჲს* და *ქართველთა ცხოვრების* მონაცემებს ამ საკითხზე შევადარებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

*მოქცევაჲ ქართლისაჲ:*

> *განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე კურაპალატადცა* (*მოქცევაჲ ქართლისაჲ*, 1963:95).

*ქართველთა ცხოვრება:*

> *შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა.... მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა .... რომელსა ერქუა გუარამ, რომელ მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს. ამას გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა და წარმოგზავნა მცხეთას* (ქრ. ცხ., 1955:217-218).

*მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკის ინფორმაცია, რომ გუარამი განაწესეს *ერისთავად*, მისთვის პატრიკიოსობის მინიჭებას ნიშნავს. *ერისთავი* აქ სწორედ *პატრიკიოსის* თარგმანია. *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით კი გუარამისათვის იმთავითვე კურაპალატობა მიუნიჭებიათ, რაც არასწორია და ეს ცნობა გუარამის განდიდების მიზნითაა შემდგომ ხანაში შექმნილი. ამავე მიზნით, თვით *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკაშიც შეუტანიათ ჩამატება გუარამისათვის,

1 აშოტის სახელის მატარებელი პირველი ისტორიული პირი – აშოტ I ჩვენ გვხვდება მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკის პირობითად ერისთავთა ჩამონათვლად წოდებულ მონაკვეთში, სადაც ის დასახელებულია ბა-ღ(ლ)ადადის ძის (რაც იგივე ბაგადადი და ბაგრატუნია) ადარნასეს ვაჟად (სანაძე, 2004, გვ.101-103). სინას ხელნაწერში ის არ იხსენიება კურაპალატად. კურაპალატად მოქცევაჲ ქართლისაჲს სხვა ხელნაწერებში აშოტ I აქციეს გვიან, სავარაუდოდ, მისი შვილიშვილის აშოტ II-ის გაკურაპალატების შემდეგ, ამ უკანასკნელის კურაპალატობის გავლენით (სანაძე, 2016, გვ.104-108).



ვითომდა, მოგვიანებით კურაპალატობის მინიჭების შესახებ.

გუარამი რომ არ შეიძლება კურაპალატი ყოფილიყო, ამაზე მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერაში მისი ვაჟის, სტეფანოზის პატრიკიოსის ტიტულით მოხსენიებაც მოწმობს (ლაპიდარული წარწერები, 1980:96). გუარამი რომ კურაპალატი ყოფილიყო, მისი ვაჟი სტეფანოზიც მმართველობას კურაპალატის პატივში დაიწყებდა. ზოგადად, ბიზანტიურ სივრცეში მმართველ საგვარეულოში უფროსს, მამის ტიტულისაგან განსხვავებით, ტიტული შეიძლებოდა მომატებოდა და არა ჩამოჰკლებოდა (თუ საგვარეულოს საერთოდაც არ შესწყრებოდა საიმპერატორო ხელისუფლება, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, სტეფანოზი ვერ გამთავრდებოდა). ტიტულის მომატების მაგალითები არაერთი გვაქვს, პირიქით კი – არც ერთი!

იმავე *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკაში კურაპალატად იხსენიება გუარამ II, სტეფანოზ II-ის ძე, რაც აგრეთვე მცდარია – მისი შემდგომი ქართლის მმართველები პატრიკიოსებად იწოდებიან კიდევ საუკუნეზე მეტ ხანს. გუარამ II-ის გაკურაპალატება, სავარაუდოდ, მისი გუარამ I-თან გაიგივებით ან მისი გავლენით მოხდა.

იქვე, ტექსტში არშუშაც კურაპალატად იხსენიება, თუმცა ზემოთ განხილული აბასთუმნის წარწერიდან უცილობელია, რომ ის კურაპალატი არ იყო და მხოლოდ პატრიკიოსის ტიტულს ატარებდა (ლაპიდარული წარწერები, 1980:103).

დაბოლოს, განვიხილოთ *აბო ტფილელის წამებაში* დასახელებული ადარნასეს კურაპალატობის საკითხი. ტექსტში ვკითხულობთ:

> *რამეთუ იყო ჟამი ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ სახელით ნერსე ძეჱ ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ* (საბანისძე, 1963:55).

ნერსე ერისმთავარი პატრიკიოსია, რაც შეეხება მისი მამის, ადარნასეს კურაპალატობას, ეს ხელნაწერში გვიანაა შეტანილია – საკუთრივ აშოტის გაკურაპალატებისა და ქართლის მმართველი პირველი პირებისათვის ბიზანტიის მიერ უკვე კურაპალატის ტიტულის მინიჭების შემდეგ.[1] სინამდვილეში, ნერსე II-ის მამა ადარნასე,[2] როგორც ტექსტიც გვაუწყებს, ერისმთავარი, ანუ პატრიკიოსი იყო. ადარნასეს გაკურაპალატების შემთხვევაში, ის პატრიკიოსი, ანუ ერისმთავარი ვეღარ იქნებოდა. ერთდროულად კურაპალატობაც და ერისმთავრობაც, ანუ პატრიკიოსობაც შეუძლებელია. კურაპალატობის შემოღებით (აშოტ II, გარდ. 830 წ.) ერისმთავრობა სრულდება. ამიტომაც არაა აშოტი ერისმთავარი.

აშოტ II მამის ხაზით ქართლში დამკვიდრებული იმ ბაგრატუნიდან იღებს სათავეს, რომელიც გუარამ კურაპალატის ოჯახს ჯერ კიდევ VI ს-ის ბოლოს ეყმო და დაუმყვრდა – თავის ვაჟს ცოლად შერთო სტეფანოზ ერისმთავრის (პატრიკიოსის) ასული ლატავრი. ეს ცნობა *მოქცევაჲ ქართლისაჲს* სინური ხელნაწერის მინაწერმა შემოგვინახა, რომელშიც ლატავრი ერთდროულად იწოდება სათავის დამდებად – *დედად*, როგორც ქართლის მმართველობის სათავეში მოსულ ბაგრატუნიანთა საგვარეულოსათვის, ისე კურაპალატის ტიტულის მატარებელი ქართლის მმართველებისაც (ალექსიძე, 2011:126; სანაძე, 2016:418-430).

1 აბოს წამების ხელნაწერი, რომელიც ადარნასე II-ის კურაპალატობას გვამცნობს, ე.წ. სვანურ მრავალთავშია დაცული, რომელიც IX ს-ით თარიღდება (იხ. ქხა, 1973, გვ. 58-71). ჩვენის აზრით, დათარიღების უფრო დაზუსტებაც შეიძლება – ის არ უნდა იყოს გადაწერილი IX ს-ის შუა წლებამდე. უფრო სავარაუდოა IX ს-ის II ნახევარი.

2 ნერსე II-ის მამა ადარნასე II, სტეფანოზ III-ის ოჯახის წევრი და ნერსე I-ის შთამომავალია, განსასაზღვრი მხოლოდ ნერსე I-ისა და სტეფანოზ III-დმი მისი ნათესაობის ხარისხია. თავდაპირველად ჩვენ ის *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკის ბოლოში, ერისთავთა ჩამონათვალში, ნერსე I-ის ვაჟებს შორის დასახელებული ადარნასე გვეგონა, რაც თეორიულად არაა გამორიცხული, მაგრამ ასეთ შემთხვევაში 760-იან წლებში, მისი გარდაცვალებისა და ნერსე II-ის გაერისმთავრების დროისათვის ის 90 წელს გადაცილებულად უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ აღნიშნული ადარნასე სტეფანოზ III-ის არა ძმად, არამედ ძმისშვილად, ან სულაც ძმის შვილიშვილად ვიგულვოთ.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული შეგვიძლია შემდეგნაირად შევაჯამოთ:

1. ჯუანშერისეული *ქართველთა ცხოვრების* ***პიტიახშს*** ლეონტი მროველი თითქმის ყველგან (იშვიათი გამონაკლისს გარდა) ***ერისთავით*** ანაცვლებს. ამას, სავარაუდოდ, მისი თანამედროვე მკითხველისათვის ტექსტის გაგების გაიოლებისათვის აკეთებს. მიუხედავად ტერმინი *პიტიახშის ერისთავით* ჩანაცვლებისა, ის მონაკვეთები, სადაც ავტორს ეს ჩანაცვლება გამორჩა, აჩვენებს, რომ ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში, (არაბთა გამოჩენამდე) ქართლში (სამეფო, საპატრიკიოსო) რეგიონალურ მმართველს *პიტიახში* ეწოდებოდა და *არა ერისთავი.*

2. *პატრიკიოსი ქართველთა ცხოვრებაში* და სხვა ქართულ ნარატიულ ძეგლებში, იშვიათი გამონაკლისს გარდა, როგორც წესი, ერისთავად, *ერისთავთა მთავრად, ერისმთავრად* ან *ერისთავთ-ერისთავად* ითარგმნება; ზოგ შემთხვევაში პატრიკიოსს *ქართველთა ერისთავს,* ან *ქართლის ერისთავს* უწოდებენ.

3. პირველი *პატრიკიოსი* ქართულ სივრცეში იყო *ვახტანგ გორგასლის უმცროსი ვაჟი, მირი, იგივე მირდატი,* რომელიც ვახტანგს ბერძენი მეუღლე ელენესაგან შეეძინა. მირი ქართლის სამეფოს სამ სამხრეთ-დასავლეთ საერისთავოს (საპიტიახშოს) განაგებდა და *ერისთავთა მთავრად* იწოდებოდა, რაც *ბიზანტიური პატრიკიოსის ქართული თარგმანია;*

4. *კურაპალატი* არასოდეს ითარგმნება – არც სხვა თხზულებებში და არც *ქართველთა ცხოვრებაში. პირველი კურაპალატი* ქართულ სივრცეში *აშოტ II ბაგრატუნია* (დაახლ. 780-იანების ბოლო – 830 წლები). ქართველ ბაგრატუნთა ამ საგვარეულოს დამფუძნებელი არის *სტეფანოს I-ის ასული ლატავრი,* რომელსაც *მოქცევაჲ ქართლისაჲს* სინური ხელნაწერის მინაწერი მოიხსენიებს როგორც *დედაჲ ბაგრატუნიანთაჲ და კურაპალატთაჲ* ;

5. *გუარამ I-ს, გუარამ II-ს, არშუშას* და *ადარნასე II-ს* (აბო ტფილელის ხანის *ნერსე II*-ის მამა) კურაპალატობა გვიან მიეწერათ, აშოტ ბაგრატიონისათვის კურაპალატის პატივის მინიჭების შემდეგ, აშოტ კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების მიერ ამ ტიტულის ტარების ანალოგიით.

## ბიბლიოგრაფია:


აბაევი, გ. (1944). არმაზის ბილინგვის გარშემო. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,* V, № 9. თბილისი.

ალექსიძე, ზ. (2011). უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ – *ქრისტიანული კავკასია, წგნ. II,* თბილისი.

*ატენის სიონი,* ფრესკული წარწერები. (1989). *წგნ. I,* გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ. თბილისი.

ბოგვერაძე, ა. (1969). *ქართლის პიტიახშთა ხელისუფლების და ვინაობის საკოთხისათვის, მსკი,* ნაკვ. 35, თბილისი.

გამსახურდია, თ. (1970). *პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისთვის. მაცნე,* ისტორიის სერია, №6, თბილისი.





ინგოროყვა, პ. (1941). *ძველი ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის მეფეთა სია. საქართველოს მუზეუმის მოამბე,* XI-B, თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1959). *ვახტანგ გორგასალი.* თბილისი.

კედრენე – გიორგი კედრენე. (1963). ისტორიული მიმოხილვა. *გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ),* ტ. V, თბილისი.

*ლაპიდარული წარწერები.* (1980). წგნ.I. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი.

მოქცევაჲ ქართლისაჲ. (1963). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* წგნ. I, ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი.

საბანისძე იოვანე. (1963). *წამებაჲ ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს.* ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. I, ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი.

სანაძე, მ. (2001). *ქართლის ცხოვრება და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე).* თბილისი.

სანაძე, მ. (2004). *გრიგოლ ბაკურიანის-ძის წარმომავლობის შესახებ,* ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. X. თბილისი.

სანაძე, მ. (2016). *ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). ქართველთა ცხოვრება, (წგნ. III).* თბილისი.

სანაძე, მ. (2019). შესავალი ქართლის ცხოვრებაში – *ქართველთა ცხოვრება, (წგნ. I).* თბილისი.

სანაძე, მ. (2020). *ქართლის მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) და მისი ცხოვრების ამსახველი ქრონიკები.* თბილისი.

*ქართლის ცხოვრება,* (1955). ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბილისი.

ქხა – *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.* (1973). S კოლექცია, ტ. VII. თბილისი.

ყაუხჩიშვილი, ს. (1941). *არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები.* მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II. თბილისი.

შანიძე, ა. (1971). *ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი.* ტიპიკონის ქართული რედაქცია. თბილისი.

წერეთელი, კ. (1992). *შენიშვნები არმაზის ბილინგვის ტექსტზე.* თბილისი.

წერეთელი, გ. (1942). *არმაზის ბილინგვა. ენიმკის მოამბე,* ტ. XIII. თბილისი.

ხორენაცი მოვსეს. (1984). *სომხეთის ისტორია.* ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი.

ჯანაშია, ს. (1949). *საქართველო ფეოდალიზმის გზაზე,* შრომები, ტ. I. თბილისი.

*Encyclopaedia Iranica.* (1990). Vol. IV, Fasc. 3, London.

Henning, W. B. (1944). Warucan Ŝah. *Journal of the greater indian Society.* Aureal Stein Memorial.

Herzfeld, E. (1924). *Paikuli, Monument and inscription of the History of Sasanian Empire,* I Glossary, Berlin.

Адонц, Н. (1908). *Армения в эпоху Юстиниана.*

Шанидзе, Ак. (1941). Данные Греческо-Пехлевийской билингвы из Армази для истории термина – эзоɂзымоɂдзуарι – эзойсмодзгуар-и в древнегрузинском. – *Сақартвелоς сср мецниереɓаτа академιиς моамбе, 2* (1-2). თბილისი.

*მანანა სანაძე*
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის
სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

*Manana Sanadze*
PhD in History Professor
Director of T. Beradze Institute of Georgian Studies,
the University of Georgia (UG)
ORCID-ID: 0009-0000-4798-9758



## დანართი 1




საბეჭდავი – ბეჭედი ასპავრუკ პიტიახშის გამოსახულებით.

არმაზისხევის №1 სამარხი, ქართლი, მტკვრის მარცხენა სანაპირო. ახ. წ. II-III საუკუნეები. ოქრო, სარდიონი. (2,7X3, 3X2 სმ).

ფოტო პუბლიკაციიდან ნინო ლორთქიფანიძე, ძველი ქართული სამკაული, ქარჩხაძის გამომცემლობა, 2015 წელი

## დანართი 2



არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ორენოვანი – ბერძნულ-არამეული ეპიტაფია. II საუკუნე



# არაგვის ერისთავთა გენეალოგიის საკითხისათვის[1]

## აბსტრაქტი


ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი, არაგვის საერისთავოს ისტორიის კვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა მიუხედავად ამისა სადღეისოდ არ არის სრულფასოვნად შესწავლილი.

არაგვის საერისთავოს ისტორია ცნობილია, როგორც საკუთრივ ფეოდალური სახლის შიგნით თუ სხვა ფეოდალურ ერთეულებთან ბრძოლის სისასტიკით, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებითა და სეპარატიზმისკენ მიდრეკილებით, ზოგ შემთხვევაში მასზე უპირატესობის მოპოვების მცდელობითაც.

ჩვენი მიზანია, XIX საუკუნეში გაუქმებული არაგვის საერისთავოს სამართალმემკვიდრეთა ცნობებში შემონახული გენეალოგიისა და დღემდე აღნიშნულთან დაკავშირებული, ჩრდილში მოქცეული პირველწყაროების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა.

ნაშრომში წარმოდგენილია არაგვის საერისთავოს გაუქმებასთან დაკავშირებით, არაგვის საერისთავოს სამართალმემკვიდრეთა მიერ მოძიებული არაგვის ერისთავთა დოკუმენტურ მასალებში დაცული არაგვის ერისთავთა გენეალოგიის ამსახველი ცნობები.

ამდენად, კვლევის შედეგად გამოქვეყნდება დღემდე უცნობი და ნაკლებად ცნობილი წყაროები, რომელთა მეშვეობითაც წარმოდგენილ ნაშრომში იდენტიფიცირებულია ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი არაგვის ერისთავები, რაც შემდგომში არაგვის ერისთავთა ქრონოლოგიური რიგის შევსებისა და სრულყოფილად გამართვის საშუალებას მოგვცემს.



**საკვანძო სიტყვები:** არაგვი, ერისთავი, არაგვის საერისთავო, რაფიელ ერისთავი


## ABSTRACT


The history of the *Aragvi Saeristavo* – one of the most powerful noble domains in Georgia – holds an important place in Georgian historiography, though it has not yet been fully studied.


1 კრებულის შინაარსისთვის მნიშვნელოვნების გამო ნაშრომი ქვეყნდება ხელმეორედ. თავდაპირველად გამოქვეყნდა მეორე საერთაშორისო კონფერენციის *საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი* მასალებში, თბ., 2024, გვ. 32-54.

The history of the *Aragvi Saeristavo* is notable for the intense internal struggles within the ruling feudal house, conflicts with neighboring feudal entities, confrontations with the central government, frequent separatist tendencies, and, in some instances, efforts to assert superiority over the central authority.

The aim of this paper is to bring into scholarly circulation the genealogical records of the legal heirs of the *Aragvi Saeristavo,* which was abolished in the 19th century, along with primary sources that have until now remained in obscurity.

In relation to the abolition of the *Aragvi Saeristavo*, the paper presents genealogical documents of the *Aragvi Eristavis* preserved among archival materials collected by their legal heirs.

As a result of the research, previously unknown and little-known sources have been introduced. These materials make it possible to identify Aragvi Eristavis whose existence and related facts were previously unknown to Georgian historiography. This, in turn, allows for the clarification and completion of the chronological succession of the Aragvi Saeristavo.

**Keywords:** Aragvi, Eristavi, Aragvi Saeristavo, Raphiel Eristavi





*ყოველს გამოჩენილს გუარს ვალად აწევს აღწეროს რაოდენიცა შესაძლოა თვსი გუარ-ტომობა, რომლით შეივსება ჩუენი მამაპაპათ ისტორია*

*კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა*

## შესავალი

ნაშრომის მიზანია, არაგვის ერისთავთა გენეალოგიის კვლევისას, გაუქმებული არაგვის საერისთავოს სამართალმემკვიდრეთა მეხსიერების გათვალისწინება, უცნობი თუ ჩრდილში მოქცეული პირველწყაროების მონაცემების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა.

საკითხის შესწავლისას, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოყენებულია ფარსადან გორგიჯანიძის, სეხნია ჩხეიძის, ვახუშტი ბატონიშვილის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის ნაშრომები და უცნობი ავტორის *პარიზის ქრონიკა*; ასეთია სადღეისოდ ამ თემასთან დაკავშირებული, აქტივში არსებული ნარატიული წყაროთმცოდნეობითი საფუძველი. რაც შეეხება ისტორიოგრაფიას, არაგვის ერისთავთა მოღვაწეობის ქრონოლოგიის საკითხს სხვადასხვა დროს ყურადღება მიაქციეს თუ იკვლევდნენ პლ. იოსელიანი, პ. კარბელაშვილი, თ. ჟორდანია, დ. გვრიტიშვილი, მ. ბახტაძე.

ჩვენს მიერ მოკვლეულია გაუქმებული არაგვის საერისთავოს სამართალმემკვიდრეთა გამოუქვეყნებელი და გამოქვეყნებული, მაგრამ დღემდე გაუთვალისწინებელი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენს სადღეისოდ არსებულ ცოდნას, როგორც არაგვის ერისთავთა, ისე არაგვის საერისთაოს ისტორიის თვალსაზრისით.

ეს გახლავთ რაფიელ ერისთავის მარი ბროსესათვის გაგზავნილი არაგვის ერისთავთა გენეალოგიური ნუსხის ორი – ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებული ვერსია, მარი ბროსეს მოსკოვის არქივებში მოპოვებული ინფორმაცია, ბარბარე ჯორჯაძის ჟურნალ *ცისკარში* გამოქვეყნებული ნაშრომი *სახელწოდებით წარმოება არაგვს ერისთავთა და მიზეზი იმათის კახეთში გადმოსახლებისა* (ჯორჯაძე, 1862, გვ. 76-78), ასევე, რუსული ლიტერატურა *Российская Родословная Книга, издаваемая княземъ Петромъ Долгоруковымъ* და *Дворянские Роды Российской Империи, Князья Царства Грузинского.*

რაც შეეხება გამოუქვეყნებელს, ეს არის საქართველოს ეროვნულ არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული წყაროები, რომელთაც ქვევით ცალკე შევეხებით.

ერთიანობაში საკმაოდ დიდი მოცულობის მასალაა, რომლის შეჯერება ამ საკითხთან დაკავშირებულ სადღეისოდ გამოქვეყნებულ კვლევებთან სცდება ერთი ნაშრომის ფარგლებს. ამჯერად, ჩვენ წარმოვადგენთ მოკვლეული წყაროების ნაწილს, ხოლო მომდევნო ეტაპისთვის შევუდარებთ უკვე შესწავლილ-გამოქვეყნებულ მონაცემებს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება არაგვის ერისთავთა გენეალოგიის მეტად დაზუსტება, გამართვა და საბოლოო, ერთიანი სქემატური სახის მიცემა.

## კვლევის მეთოდი

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის წყაროთმცოდნეობითი (ნარატიული და დოკუმენტური), შედარებითი ანალიზისა და პროსოფოგრაფიული მეთოდები.

## შედეგი

არაგვის ერისთავთა გენეალოგიის კვლევამ დაადასტურა როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ცნობილი, საკითხთან დაკავშირებული საისტორიო წყაროების, ასევე ჩვენს მიერ სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ახალი წყაროების თანხვედრა და უმნიშვნელო სხვაობა, რაც გენეალოგიის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე არ აისახება. მოგვეცა ცალკეულ ერისთავთა შესახებ ინფორმაციის მეტად დაზუსტების შესაძლებლობა.

გამოვლინდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი რამდენიმე არაგვის ერისთავი, რომელთა იდენტიფიცირების საკითხი ერთი ნაშრომის ფარგლებს სცდება.

კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კვლევისათვის ცალკეულ საერისთავოთა მრავალმხრივი და სიღრმისეული კვლევის აუცილებლობა.

## მსჯელობა

რაფიელ ერისთავი მისმა წიგნიერებამ ფრანგ ორიენტალისტს, საქართველოთი უზომოდ დაინტერესებულ-გატაცებულ მარი ფელისიტე ბროსეს დააახლოვა. არაგვის ერისთავთა გენეალოგიის შესახებ მნიშვნელოვანი რაფიელისეული ცნობები ამ სიახლოვით განპირობებულმა ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ შემოგვინახა.

მარი ბროსე სწორად აფასებდა ქვეყნის ისტორიის კვლევისათვის საგვარეულოთა გენეალოგიის შესწავლის მნიშვნელობას. ის დიდ ინტერესს იჩენდა ქართული საგვარეულოების მიმართ, ადგილობრივი კორესპონდენტებისგან ითხოვდა და თავს უყრიდა ქართულ საგვარეულოთა შესახებ არსებულ ცნობებს. არაგვის საერისთავოსადმი მისი ინტერესი, ერისთავების ოჯახის გაცნობამ, რაფიელთან დაახლოებამ და პირადმა ურთიერთობამაც განაპირობა, რაც კარგად ჩანს მათ შორის არსებულ მიმოწერაში.

ეპისტოლური მემკვიდრეობა, ამ პერიოდის დისტანციური ურთიერთობის ერთადერთი საშუალება, სარწმუნო და ცოცხალი წყაროა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, საოცრად სასიამოვნო განცდა, რაც თან სდევს XIX საუკუნის ინტელექტუალების მიმოწერის გაცნობას, აღფრთოვანებას იწვევს მათი ცხოველი სამეცნიერო ინტერესი, თანამშრომლობის დელიკატური და ჰარმონიული ფორმა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის, მიმოწერა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც რაფიელ ერისთავის სახით, ერთი ფიგურანტია დაინტერესებული მხარე – არაგვის ერისთავთა უშუალო მემკვიდრე, ხოლო მეორე – საქართველოს ისტორიის სიღრმისეული კვლევით გატაცებული ფრანგი მეცნიერი.

ცხადია, ამ მიმოწერიდან მხოლოდ საკვლევ თემასთან დაკავშირებულ შინაარსს შევეხებით. რაფიელის წერილებიდან ირკვევა, რომ ერისთავების ოჯახი წინაპრების შესახებ ზეპირი, მემკვიდრეობით მიღებული ინფორმაციის გარდა, ფლობს ერისთავთა საგვარეულო დოკუმენტაციას. აღნიშნულის არსებობა თვალსაჩინოა მის 1851 წლის 15 მაისით დათარიღებულ ავტოგრაფში, სახელწოდებით *თხზულება არაგვის ერისთავების შესახებ*. შინაარსიდან ყურადღებას იქცევს მისი ერთი ფრაზა: *... я бросился к разложеннымъ на столъ к фамильнымъ бумагамъ, досталь старый, пожелтевший отъ времени пергаментъ...*

აქვე დამოწმებულია ამ ხელნაწერის შინაარსი, საიდანაც ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ ეს არის რაფიელის პაპის პაპის – სარიდანის, მისი ძის ბეჟანისა და შვილიშვილის – რაფიელისათვის (რაფიელის პაპა) ერეკლე II-ის არაგვის საერისთავოს სანაცვლო ყმა-მამულის ბოძების, 1767 წლით დათარიღებული სიგელი; რაფიელი მარი ბროსესთან წარმოებულ მიმოწერაში ასევე მოიხსენიებს ***ჩვენი სახლის ქაღალდებს***, ან ***სახლეულ საგვარეულო ქაღალდებს*** (ქავთარაძე, 2016, გვ. 207, 209-211). ამ აქცენტებიდან ცხადი ხდება რაფიელი ფლობს მემკვიდრეობით მიღებულ, ***სახლეულ*** საგვარეულო დოკუმენტაციას.



ჩვენი ვარაუდის სისწორე დამატებით ბარბარე ჯორჯაძის რაფიელისადმი მიწერილმა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულმა წერილმა დაადასტურა. წერილიდან ირკვევა, რომ ბარბარე და რაფიელი ცდილობენ პეტერბურგში ემიგრირებულ ერისთავებთან დაკავშირებასა და ურთიერთობის აღდგენას. ამ წერილში ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძისა ძმისადმი მიწერილ წერილში ორგან აღნიშნავს: *...შენ რომ არგვს ერისთვანთ შტო გაქვთ ჩაურთე,* და *...შტო რომა გქონია ისიც ჩაურთე* (კკსხეც, რ. ერისთავის ფონდი #975/271).

თავისთავად ცხადია, აღნიშნული ზრდის რაფიელისეული მასალის სანდოობასა და მნიშვნელობას. ნიშანდობლივია, რომ შემდგომში ის პეტერბურგში ემიგრირებულ ნათესავებს ამ დოკუმენტაციის პირს უგზავნის და დედანს თავად იტოვებს, რაც კარგად ავლენს მის საგვარეულო საბუთებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას.

1849 წლის 20 ნოემბერს, *სანკტ-პეტერბურღიდამ* რაფიელი იღებს ბროსეს წერილს, სადაც ის ტრადიციული მოკითხვის შემდგომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე წერს: *აროდეს არ დამავიწყდება ... გულსმოდგინება თქვენი მეცნიერებისათვის. ამის ძლით მნახველმან თქვენის სურვილისამან ვეცდები პასუხის მიცემად თვითეულთა კითხვათა თქვენთა. ჯერ* ***დაგიწერთ რაც მოთხრობაებში მიშოვნია არაგვის ერისთავიანთ ანბები...*** (ქავთარაძე, 2016, გვ. 48-49).

როგორც ჩანს, რაფიელს ბროსესთვის პირველ რიგში ***არაგვის ერისთავიანთ ანბები***-ს მოკვლევა უთხოვია და ისიც, თავის მხრივ მის სათხოვარს რიგითობის მიხედვით ასრულებს. ხოლო მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, რიგით პირველი ***არაგვის ერისთავიანთ ანბებია***, რაც ბროსეს მოსკოვის არქივში დაცულ ***მოთხრობაებში*** უშოვნია და იქიდან გადმოუწერია: *ეს ორი ნანდვილი მოსკოვის არქივში მიშოვნია და გადავსწერე სწორედ. მგონია მოგეწონოსთ... ეს იმ დროის არიან, როდესაც ელენე დედოფალი თეიმურაზ პირველისა შვილის დავითის ცოლი და ... (არ იკითხება) ნიკოლოზი... რუსეთში ბძანდებოდენ* (ქავთარაძე, 2016, გვ. 52). ბროსეს აზრით, მის მიერ მოძიებული მასალა, მოსკოვის არქივში ერეკლე პირველისა და მისი დედის, ელენე დედოფლის რუსეთში ყოფნის დროსაა მოხვედრილი.

*არაგვის ერისთავების სია და შთამომავლობა* – ***სახელდობრ უცნაური*** – ასე ასათაურებს მ. ბროსე რაფიელისთვის გამოგზავნილ მოსკოვურ საარქივო მასალას. თავის მხრივ ამ მასალის შინაარსი და ფრაგმენტული ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ეს საარქივო მასალა არაგვის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენლის ან ამ საგვარეულოსთან ძალიან დაახლოებული პირის ზეპირი მეხსიერებით უნდა იყოს შედგენილი. გენეალოგიის შედგენისას როგორც ამ დოკუმენტის წარმომავლობა, ისე საკუთრივ ამ დოკუმენტში დაცული ინფორმაცია ცალკეა საკვლევი (ქავთარაძე, 2016, გვ. 52). დოკუმენტი შემდეგი შინაარსისაა **(იხ. დანართი №1**).

მიმოწერაში არაგვის ერისთავთა გენეალოგიის შესახებ, რაფიელს ბროსესთან ორჯერ, 1849 წლის 25 დეკემბერს (ქავთარაძე, 2016, გვ. 207, გვ. 209-211) და 1856 წლის 7 თებერვალს (ქავთარაძე, 2016, გვ. 207, გვ. 52) აქვს საუბარი. ორივე შემთხვევაში ის აღნიშნავს, რომ მისი პირველწყაროა *პაპის* – შედგენილი გენეალოგიური ცხრილი (ვაშაყმაძე, 1955, გვ. 415) **(იხ. დანართი №2).**

**1849 წლის 25 დეკემბერი.**

*მოწყალეო ხელმწიფევ, უფალო ბროსეტ!* წერს რაფიელი. *...ჩემი ჩამომავლობის სია გიბოძებიათ და მეც მოგართვით აგრევე* ***სია ჩვენის გვარისა, პაპაჩემისაგან შედგენილი.*** *არ ვიცი მოგეწონებათ თუ არა. ან რა არის ამაში შეცდომილება, ვგონებ კი სწორეთ იყოს.*

რაფიელი ბროსესათვის მიწოდებულ გენეალოგიურ ცხრილს შემდეგ განმარტებას ურთავს:

*განმარტება სქემაჲსა: ანბანი აჩვენებს წესსა თუ რომელი, რომლის შემდეგ იყო ერისთავად. ჯვარი ჰნიშნავს პირთა, აწ მყოფთა ცოცხალთ. ა. ერისთავი ნუგზარ, რომელმან წელსა 1559-სა მიიღო ნამსახურობისათვის პაპისა თვისისა ერისთაობა არაგვისა ბრძანებითა მეფისა სვიმო-*

*ნისათა. ეს სია მამრობითის სქესისა არის, ხოლო მდედრობითის სქესისა არა გვაქვს. სოფრონ არქიმანდრიტი დავით გარეჯშია ბერათ. დავით, ვამიყის შვილი რუსეთში გადაჰყოლია მეფე ვახტანგს, სტეფანეც იქ გაზდილა და ღენერალ-ლეიტენანტი იყო რომ გარდაიცვალა. შემდეგი აღარა უწყი რა მისი ვინაობისა. ხოლო მყოფი პეტერბურღს დიმიტრის მამა-შვილიანობა არა უწყიდი, ვიდრე მივიღებდი თქვენს წიგნს* (ვაშაყმაძე, 1955, გვ.414).

**თებერვალი, 1856 წ. ქ. ქუთაისი.**

*...ღენეალოღიის მომზადებასა მიბრძანებთ. დიახ, კარგათ გიფიქრიათ მისი დაბეჭდა და დიდი შრომაც იქნება. ჩვენის გვარისას მკითხავთ. მე რომ სია დავხატე კნიაზს დიმიტრი ერისთავს*[1] *გამოვუგზავნე,* ***ის სია პაპის ჩემისაგან არის შედგენილი და მამულის დავაზედ წარდგენილი, როცა არაგვის მამულს დაობდნენ; ხოლო რომელის წყაროებიდგან შეადგინეს – მე არ უწყი...*** *როდესაც ღენეალოღია დააბეჭდინოთ, მეც მიბოძეთ ერთი წიგნი.*

*...ძველი სია, ჩემგნით ჩამატებულით ამ გვარად არის, ხოლო გასწორება თქვენზედ მომინდვია.*

რაფიელის პაპის მამის – ბეჟანის მხრივ, ამ გენეალოგიური ცხრილის შედგენის საბაბი, სასამართლოში არაგვის საერისთაო მამულთან დაკავშირებული დავა შექმნილა. რაფიელი აქვე აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია საკუთრივ რა წყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა ეს გენეალოგია, ამდენად ირკვევა, რომ თავად ამ ძველ წყაროებს არ ფლობს და ის დოკუმენტაცია რაზეც ზევით გვქონდა საუბარი და რაც მის ხელთაა უფრო გვიანდელია **ბეჟანის – რაფიელის პაპის მამის**, რომელსაც ის **პაპად** მოიხსენიებს შედგენილია.

ამდენად, 1856 წლისათვის, მ. ბროსემ თავი მოუყარა შესაბამის წყაროებს და არაგვის ერისთავთა გენეალოგიაზე მუშაობს. რაფიელის პასუხიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ბროსე მას ძველისგან განსხვავებულ, დამატებით ცნობებს სთხოვს. რაფიელს ცხრილი თავის მხრივაც *(...ჩემგნით ჩამატებულით – რ. ე.)* შეუვსია.

**რაფიელის სქემაში ჩამატებული არიან მისი პაპის მამის – ბეჟანის შთამომავლები** – ბეჟანის ძეები: პორფირ, იოსებ, გიორგი, რაფიელ, სარიდან – აწ მონაზონ სოფრონ, დავით გარეჯას; **გიორგის ძე გიორგი, გიორგის ძე ივანე. რაფიელის ძეები – ივანე და დავით; დავითის ძეები – რაფიელ და იოსებ. ამ სიის შედგენის დროისათვის ცოცხალი არიან რაფიელის მამა – დავით და მისი ძმა – იოსებ (სოსიკო) ერისთავები. გენეალოგიური ცხრილის** საბოლოო კორექტირებას რაფიელი ბროსეს ანდობს.

რაც შეეხება ბარბარე ჯორჯაძისეულ არაგვის ერისთავთა რიგს, ბარბარე ჯორჯაძემ საგანგებო, მეტად საინტერესო ნაშრომი უძღვნა ერისთავთა საგვარეულოს და 1861 წლის 12 სექტემბრით დათარიღებულ ჟურნალ *ცისკარში* გამოაქვეყნა.

ბარბარე დავითის ასული ერისთავი-ჯორჯაძე, ცნობილი კულინარიული წიგნის ავტორი და ქალთა უფლებების ერთ-ერთი პირველი დამცველი, ქალი, რომელსაც სრული საოჯახო განათლებაც არ ჰქონდა მიღებული, *ცისკარში* გამოქვეყნებული ამ თხზულებით, გვაოცებს საქართველოს ისტორიის ცოდნითა და გააზრებით, ფილოსოფიური ბუნებით, აზრის სიღრმით, ყოფიერების ამაოების სიღრმისეული განცდით და ისტორიულ რეალობასთან დაკავშირების უნარით. ეს ყოველივე ეპოქისა და ამასთანავე მისი რთული ყოფის გათვალისწინებით განსაკუთრებით დასაფასებელია.

ბარბარე ჯორჯაძის ნაშრომი ***წარმოება არაგვს ერისთავთა და მიზეზი იმათის კახეთში გადმოსახლებისა*** მრავალმხრივ საინტერესო წყაროა, როგორც საისტორიო, ისე ფილოლოგიური თვალსაზრისით და საგანგებო შესწავლას იმსახურებს. ამჯერად, მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო კუთხით შემოვიფარგლებით.

1 დიმიტრი სტეფანეს ძე ერისთავი – რუსეთში ემიგრირებული არაგვის ერისთავთა შთამომავალი, *действительный статский советник*, საზღვაო სამინისტროს წევრი.





არაგვის საერისთავოს ისტორიის გადმოცემისას, მისეული თხრობის თავისუფლებაში იგრძნობა, რომ ის კარგად ფლობს როგორც მემკვიდრეობით ინფორმაციას, ასევე ხელი მიუწვდება წერილობით წყარო(-ებ)ზე. დიდია მისი სინანული ერისთავთა ფეოდალური სახლის განადგურების გამო – ის თხრობის დასაწყისშივე *ბრწყინუალეს გუარის არაგვს ერისთავთა უბედო სუჱს* უჩივის, აღნიშნავს, რომ მისგან მათი ქება ... *უჯეროა როდესაც თვთ თეიმურაზ* მეფე ჰბძანებს არჩილიანში *სიკეთე აქუთ მოდგმისადა* ... და *ამით ჰსჩანს რანიც ჰყოფილან-ო*.

არაგვის საერისთავოს შესახებ საუბრის დასრულებისას, არაგვის ერისთავთა ჩამონათვალზე გადასვლამდე ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე საგანგებოდ აღნიშნავს შემდეგს: ***... მე უნდა მოვიხსენიო ვისაც ხარისხი ერისთაობისა ჰქონია მათს შთამომავლობაში***, რაც ნიშნავს, იმას რომ მისი ჩამონათვალი მხოლოდ ერისთავებს შეიცავს და არა ზოგადად არაგვის საერისთაოს სახლის წევრებსა თუ სახლიკაცებს:

*საჩუქრად თვსის სამსახურისა მამა-პაპეული არაგვის ერისთაობა მიიღო ნუგზარმა და შემდგომ ნუგზარისა მიიღო საერისთო არაგვ ძემან ნუგზარისამ ბაადურმა, ძემან ნუგზარისამ ზურაბმა, ძემან ნუგზარისამ დათუნამ. ძემან დათუნასმა ზაალმა, ძემან მისმა ოთარმა, ძემან ოთარისამან რევაზმა, ძემან რევაზისამ ბაადურ, ძემან დათუნასმა იასონ, ძემან დათუნასმა გიორგიმ, ძემან გიორგისამ 2 ოთარმა, ძემან იასონისამ 2 რევაზმა, ძემან იასონისამ თეიმურაზ, ძემან თეიმურაზისამ 2 ზურაბმა, ძემან ოთარისამ 2 გიორგიმ, ძემან გიორგისამ 3 ოთარმა, ძემან პაპუნასმა 2 ნუგზარმა: ძემან პაპუნასმა 2 დათუნამ, ძემან ნუგზარისამ 3 ზურაბმა, ძემან ნუგზარისამ 3 დათუნამ, ძემან ნუგზარისამ ავთანდილ, ძემან ზურაბისამ ზამიკმან, ძემან ზამიკისამ 5 ნუგზარმა, ძემან ზამიკისამ 4 დავითმა, რომელიც გაგზავნა მეფე ვახტანგმა რუსეთს და თვსის გვარის უბედურებისგამო აღარც გამოვიდა რუსეთიდამ, იქ დასახლდა.*

*შემდგომ ამა დავითის გაგზავნისა მიიღო საერისთაო არაგვ ძემან გიორგისამ ბარძიმმა, შემდგომ ამისა მიიღო ძემან რევაზისამ ბეჟანმა, რომელსაც მიეცა ერთი ძე სარიდან და გარდაიცუალა ბეჟან* (ჯორჯაძე, 1861, გვ. 76-78). ბარბარეს ჩამონათვალის ბოლო ნაწილი მნიშვნელოვნად განსხვავდება მამისა და ძმის ინფორმაციისგან, რაც ცოტა უცნაურად გვეჩვენება.

არაგვის ერისთავთა გენეალოგიასთან დაკავშირებით უნდა დავიმოწმოთ ორი მნიშვნელოვანი რუსული პუბლიკაცია. პირველ ყოვლისა უნდა ვახსენოთ პეტრე ვლადიმერის ძე დოლგორუკოვის[1] ავტორობით შესრულებული ოთხტომეული *Российская родословная книга*. მიუხედავად იმისა, რომ ავტორს არ დასცალდა დასრულება, ამ დროისათვის ეს იყო რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებული საგვარეულოების ერთადერთი სრული გენეალოგიური ცნობარი, დიდად ფასობდა თანამედროვე ბიბლიოფილთა შორის და უკვე მაშინ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. ფაქტობრივად, ამ პუბლიკაციამ ჩაუყარა საფუძველი გენეალოგიის კვლევას რუსეთში. პუბლიკაცია მიუხედავად მასალის დიდი მოცულობისა, პროფესიონალურად სტრუქტურირებული საისტორიო წყაროა. მასში დაცულ ინფორმაციას სამეცნიერო თვალსაზრისით დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და მნიშვნელოვანი წყაროა ქართულ საგვარეულოთა კვლევისათვისაც.

ამ გამოცემის პირველი ტომის წინათქმაში (Долгоруковъ, 1854-1857, გვ. 6), პეტრე დოლგორუკოვი აღნიშნავს თუ რა შინაარსისაა მის მიერ მომზადებული ნაშრომი, რა წყაროებითა და ვისი დახმარებით ისარგებლა რუსულ თუ უცხოურ გენეალოგიათა მომზადებისას. ქართული მასალების თაობაზე ის წერს, რომ ამ შემთხვევაში მას დახმარება და მასალის მიწოდება დავით ჩუბინაშვილმა აღუთქვა: *... а свъдъния о княжеских фамилиях Грузии, Имеретии и Гурии объщаны мне Г. Профессоромъ грузинского языка въ С.П.Б. университетъ, Давыдомъ Иессеевичемъ*

1 პეტრე ვლადიმერის ძე დოლგორუკოვი (1817-1868) – რუსი ისტორიკოსი, ავტორი ნაშრომებისა *Сказания о роде князей Долгоруковых* (1840), *Российский родословный сборник* (1841), *Российская Родословная Книга* (1854-1857).

*Чубиновымъ*.

აქედან ჩანს, რომ პირველი ტომის გამოცემის დროისათვის 1854 წელს ის ამ მასალას ჯერ არ ფლობს.

ვფიქრობთ, დავით ჩუბინაშვილს დანაპირების შესასრულებლად ამ დროისათვის უკვე დაწყებული აქვს მუშაობა, რაც მოცულობიდან და ამოცანის სირთულიდან გამომდინარე იოლი არ იქნებოდა.

ამავდროულად, უნდა ითქვას რომ მან ამ საქმეს კარგად გაართვა თავი, რაზეც გამოცემის მესამე ნაწილში გამოქვეყნებული ჩვენთვის საინტერესო ქართული მასალა მეტყველებს (Долгоруковъ, 1856, გვ. 60,62). პუბლიკაციაში არაგვის ერისთავთა საგვარეულო ასე გამოიყურება **(იხ. დანართი № 3).**

მომდევნოა 1998 წელს გამოცემული *Дворянские Роды Российской Империи* რომლის მეოთხე ტომშიც წარმოდგენილია თავი *Князья Царства Грузинского* (Думин,Чиковани, 1998, გვ. 258).

ამ ტომში რუს ავტორებს (სტანისლავ დუმინსა და პეტრე გრებელსკის) უერთდება იური ჩიქოვანი. ქართული ნაწილი მისი და სტანისლავ დუმინის თანაავტორობითაა მომზადებული. დიდი ნაშრომია, თუმცა ჩვენთვის საინტერესო, არაგვის საერისთავოსა და ერისთავების ნაწილის გაცნობისას გავარკვიეთ, რომ ამ პუბლიკაციის ძირითადი წყარო მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება და რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში (РГИА) დაცული რამდენიმე დოკუმენტია.

ეს რაც შეეხება არაგვის ერისთავთა შესახებ ამ დროისათვის გამოქვეყნებულ და სამეცნიერო ლიტერატურაში გაუთვალისწინებელ მასალებს.

გამოუქვეყნებელის თვალსაზრისით მეტად ღირებულია **ივანე** *(Поколенная роспись Князей Арагвскихъ Эристовыхъ)* **და დავით** *(როდოსლოვა, ანუ ნათესავთ მეტყველება თავადთა არაგვს ერისთავთათა – Родословіе Князей Арагвскихъ Эристововъ)* **ერისთავების გენეალოგიური სქემები** (სეა 213-1-125 და 1-1-249), რომელთაც ჩვენ საქართველოს ეროვნულ არქივში მივაკვლიეთ. **(იხ. დანართი №4 და №5).** ეს სქემები სხვა დანარჩენ დოკუმენტაციასთან ერთად არაგვის საერისთავოს კანონიერ მემკვიდრეთა მხრივ მათი მემკვიდრეობის დაბრუნების მიზნითაა შექმნილი.[1]

საქართველოს ეროვნულ არქივში პოლიევქტოს კარბელაშვილის ფონდში სხვადასხვა მასალებთან ერთად დაცულია არაგვის ერისთავთა შესახებ მკვლევრის ერთგვერდიანი ჩანაწერი, რომელიც სასურველია საკითხის კვლევისას არ დარჩეს ყურადღების მიღმა და შესაძლოა დაგვეხმაროს გარკვეული ეპიზოდების დაზუსტებაში (სეა, პოლიევქტოს კარბელაშვილის ფონდი, 1461-1-13-132) **(იხ. დანართი №6).**

საქართველოს ეროვნულ არქივშივეა დაცული დაცული სიდამონ-ერისთავების საგვარეულო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ისინი პრეტენზიას აცხადებენ არაგვის საერისთავოზე. ეს დოკუმენტაცია შეიცავს მათ გენეალოგიურ სქემებს. თვალსაჩინოებისთვის ვიმოწმებთ ერთ-ერთს (სეა, 213-1-175). **(იხ. დანართი №7).**

გენეალოგია სათავეს იღებს დავით ერისთავისგან, მომდევნოა ოთარ – მხოლოდ ეს ორი პირი არის საერთო ჩვენს მიერ მანამდე დამოწმებულ გენეალოგიურ სქემებთან. ამის შემდგომ შთამომავლობა გრძელდება ოთარის მემკვიდრის – ვახტანგის ხაზით, მაშინ როდესაც ჩვენს მიერ დამოწმებულ არაგვის ერისთავთა სქემებში ოთარის შემდგომ სრულიად განსხვავებული სურათია და სიდამონ-ერისთავთა სქემით მოცემული არაგვის ერისთავები საერთოდ უცხოა არაგვის ერისთავთა გენეალოგიისათვის. ეს სქემებიც სხვა დანარჩენ დოკუმენტაციასთან ერთად არაგვის საერისთაოს კანონიერ მემკვიდრეთათვის დაბრუნების მიზნითაა შექმნილი.

ერთ-ერთ წერილში საქართველოში დარჩენილი ერისთავების შესახებ რაფიელი ბროსეს წერს:

*...ერისთავნი ბევრნი არიან: იმერეთს და ქართლს (ქსნისა), მაგრამ,* ***არაგვის ერისთავნი, ჩვენის მეტი არავინ არის***... (ქავთარაძე, 2016, გვ. 207).

სიდამონ-ერისთავების წარმომავლობა და არაგვის საერისთავოსთან კავშირი ბუნდოვანი და ამავდროულად საკვლევად უაღრესად საინტერესო საკითხია.

წარმოებულმა კვლევამ დაგვარწმუნა, რომ არაგვის საერისთავოსა და არაგვის ერისთავთა ისტორია, მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე შემდგომ სისტემურ და საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. არაგვის საერისთავოს სამართალმემკვიდრეთა ინფორმაცია, რომელიც დღემდე არ გამოყენებულა არაგვის ერისთავთა გენეალოგიის შესწავლისას, მეტად ფასეულია როგორც საკუთრივ არაგვის საერისთავოს, ისე ზოგადად საქართველოს ისტორიის კვლევისათვის.

არაგვის ერისთავთა შთამომავალნი, საერისთავოზე საკუთრების უფლების ჩამორთმევის შემდგომაც, კანონის ფარგლებში, აგრძელებენ ბრძოლას საერისთავოს დასაბრუნებლად და სწორედ ამ მიზნით იქმნება მათი გენეალოგიის შესახებ ისტორიული მეხსიერების შემანარჩუნებელი დოკუმენტაცია, რომელიც ამ ბრძოლის ხანგრძლივობის შესაბამისად თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ამ მემკვიდრეობითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მფლობელებია რაფიელ დავითის ძე ერისთავი და ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძისა, ისინი წინაპართა მსგავსად ცდილობენ არაგვის ერისთავთათვის წართმეული საერისთაოს დაბრუნებას.

ჩვენს მიერ მოპოვებულმა არაგვის ერისთავთა უშუალოდ გენეალოგიასთან დაკავშირებულმა მასალამ შემდეგი დასკვნების გამოტანის საფუძველი მოგვცა:

არაგვის ერისთავთა გენეალოგია არ იწყება ნუგზარ არაგვის ერისთავით, მისი საწყისი უფრო ადრინდელია და შემდგომ სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს როგორც ქართული დოკუმენტური წყაროები, ისე რუსულ ლიტერატურაში დაცული ცნობა.

– არაგვის ერისთავთა ქრონოლოგიური რიგის შესახებ, დავით, რაფიელ და ბარბარე ერისთავების, მარი ბროსეს მოსკოვური, *Российская родословная книга* და *Дворянские Роды Российской Империи*-ს მონაცემები, ასევე ამ დროისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოყენებული ქართული ნარატიული წყაროების ცნობები, ***ზაალ ნუგზარის ძის*** ჩათვლით ძირითადად თანხვედრაშია. მხოლოდ უმნიშვნელო სხვაობაა, რაც ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არ არღვევს (მაგ. ზაალ ნუგზარის ძე ბარბარესთან დათუნას ძედ იხსენიება და სხვ.;). აღნიშნული მეტად გვარწმუნებს ამ წყაროებში დაცული ინფორმაციის სარწმუნოობასა და გათვალისწინების აუცილებლობაში;

## დასკვნა

– ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების გაანალიზებამ დაგვანახა, რომ პირველადი და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რაფიელ ერისთავის მამის – დავით რაფიელის ძის კუთვნილი სქემა. როგორც ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, ცხრილის შედგენის დროისათვის, დავით

1 ივანე რაფიელის ძე ერისთავი (1788-1840) – არაგვის ერისთავთა შთამომავალი, მაიორი, მსახურობდა ეგერთა 41-ე პოლკში, წმ. ანნას და წმ. ვლადიმირის ორდენების კავალერი, თელავის მაზრის მემამულე, ილია ჭავჭავაძის მამიდის, მაკრინე ჭავჭავაძის მეუღლე, მწერლების რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძის ბიძა.

დავით რაფიელის ძე ერისთავი (1795-1875) – არაგვის ერისთავთა შთამომავალი, პრაპორშჩიკი, თელავის მაზრის მემამულე, ნინო ავთანდილის ას. ამილახვრის მეუღლე, მწერლების რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძის მამა.

ერისთავის პაპა – ბეჟან და მისი ძე, დავითის მამა, რაფიელ ერისთავები ცოცხალი არიან, რაც დავითის სქემას მეტ სარწმუნოობას ანიჭებს. მისი სქემის მონაცემები სხვებთან შედარებით მნიშვნელოვნად სრულფასოვანია. ამდენად, მონაცემთა შეჯერებისას ჩვენი ამოსავალი დავით რაფიელის ძე ერისთავის ინფორმაციაა, მათ შორის მისეული ერისთავთა ზეობის აღმნიშვნელი ნუმერაცია.

– მიუხედავად წყვეტილი და არასრული ხასიათისა, უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საინტერესოა მ. ბროსეს *მოსკოვური მასალა*, რომელსაც თავად მ. ბროსე ***სახელდობრ უცნაურს*** უწოდებს. ეს დოკუმენტი ცალკე კვლევის საგანია, და შემდგომში მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენს ცოდნას არა მხოლოდ არაგვის ერისთავთა ქრონოლოგიის, არამედ ზოგადად არაგვის საერისთავოს ისტორიის თვალსაზრისით.

– კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის დღემდე უცნობი რამდენიმე **არაგვის ერისთავი**. ესენია: **10. გიორგი1 დათუნას ძე, 14. ზურაბ** თეიმურაზის **ძე, 15. გიორგი2 ოთარის1 ძე, 16. ოთარ3 გიორგის2ის ძე, 18. ვამიყ პაპუნას ძე და 19. ნუგზარ ვამიყის ძე. ცალკეულ ერისთავთა შესახებ მოგვეცა ინფორმაციის დაზუსტების შესაძლებლობა.**[1]

ამ საკითხებს ცალკე ნაშრომს დავუთმობთ მომავალში.

– რუსულ ლიტერატურაში დაცული ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსხვავებულია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მასალა დ. ჩუბინაშვილის მიერაა მომზადებული, ვფიქრობთ, შემდგომი კვლევისას სათანადოდ გასათვალისწინებელია.

– სამომავლო კვლევისა და ინტერპრეტაციისათვის უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენა არაგვის საერისთავოსთან თუ ერისთავებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი (საერისთავოს დაარსება, არაგვის ერისთავთა ქორწინება, არაგვის საერისთავოს როლი ქართულ შიდა და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში, ანანურის ტრაგედია, არაგვის ერისთავთა და სიდამონ-ერისთავთა ნათესაობა-მემკვიდრეობა და მრავალი სხვა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერისთავოს ისტორიის არაერთი ეპიზოდის ექსპრესია, დრამატიზმი თუ ტრაგიზმი, შესანიშნავი საფუძველია ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებისა თუ სცენარის შექმნისა და ქართულ კინემატოგრაფში გაცოცხლებისათვის.

არაგვის ერისთავთა გენეალოგიური რიგის სრულფასოვნად გასამართად, ვფიქრობთ, კოლეგებთან ერთად შეთანხმებით განვაგრძოთ საკითხის სიღრმისეული კვლევა და საბოლოო შედეგები ერთობლივ ნაშრომსა და სქემატურ ფორმატში ავსახოთ.

## ბიბლიოგრაფია


ქავთარაძე, ე. (2016). *პირადი მიმოწერა*. თბილისი: არტანუჯი.

ჯორჯაძე, ბ. (1862). *წარმოება არაგვს ერისთავთა და მიზეზი იმათის კახეთში გადმოსახლებისა*. ტფილისი: *ცისკარი*. კერესელიძის ტიპოგრაფია.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რ. ერისთავის ფონდი №975/271.

საქართველოს ეროვნული არქივი ფ. №213-1-125, ფ. № 1-1-249, ფ. №213-1-175, პოლიევქტოს კარბელაშვილის ფონდი №1461-1-13-132.

Долгоруковъ, П. (1854-1857). *Российская родословная книга*. часть первая.

Долгоруковъ, П. (1856). *Российская родословная книга*. часть третья.

Думин, С., Гребельский П., Чиковани Ю. (1998). *Дворянские Роды Российской Империи, Князья Царства Грузинского*.



*ეკა კაჭარავა*
ისტორიის დოქტორი,
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის
სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

*Eka Kacharava*
PhD in History, Senior Scientific Researcher
T. Beradze Institute of Georgian Studies,
the University of Georgia (UG)
ORCID-ID: 0009-0007-8314-6724


1 ნუმერაცია დავით რაფიელის ძე ერისთავის სქემის მიხედვით.

## დანართი 1

***არაგვის ერისთავების სია და შთამომავლობა***

წერილი რაფიელ ერისთავს №37

მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, 2016, თბ., არტანუჯი

ცოლად შეირთო ანნა, რომელი მოლოზნათ იყო წ. 1604

ა. ერისთავი ნუგზარ, დაიპყრა ბაზალეთი და მთიულეთი დ. ს. წ. 15.. . ყოველნი ზემოხსენებუ-
ლნი ქვეყანანი მისდა მიცემულ იყვნეს. მოკუ წ. 1611 ერისთაობდა კიდევ

ა. გიორგი შეირთო ქაიხოსრო ბარათაშვილის და ზურაბ ე~სა მიერ თვალები დაუთხარეს

ქმრად ჰყავდა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ცოცხალი კი იყო წ. 1611

ვახტანგ. პაატა იორამ

ქმრად ჰყავდა მუხრან ბატონი თეიმურაზ

ქმრად ჰყავდა შალვა ქსნის ერისთავი

ზაალის ძმა, შეირთო ანა ხანუმ ციციშვილი

გიორგი

ხუტა

ბ. ერისთავი ბაადურ უხუცესი შვილი გაგდებულ წ. 1619 წინ

გ. ერისთავი ზურაბ, რომლისა პირველი ცოლი ცხოვრობდა კიდევ წ. 1619

1623 შეირთო დარეჯან კახთ მეფის თეიმურაზის პირველისა ასული. მოიკლა თეიმურაზის მიერ
წ. 1629 ზამთარში

დ. ერისთავი დათუნა მოკლული წ. 1639 როსტომ მეფის ბრძანებითა

ე. ერისთავი ზაალა

ზურაბ ბ. შეირთო ვახტანგ მეფის ასული. მოკუდა ქირმანს

ქმრად ჰყავდა მარიამ დედოფლის და გურიელის შვილი ოტია

ფარეშათ იყო სპარსეთში

ზ. ერისთავი რევაზა ცოლი შეირთო რაჭის ერისთავის შოშიტას და მოკუდა წ. 1676

მარიამ ქმრად ჰყავდა ლუარსაბ, ვახტანგ მეფის შვილი

6. ერისთ. ოთარა მოკუდა წ. 1666 ახლო (?)

8. ერისთავი იასონ მოიკლა წ. 1687 მეფე გიორგი ია მიერ

ედიშერ შეირთო ანახანუმ აბაშიძე მოკუდა წ. 1666 ახლო. ანანურში დაიმარხა

ხუთი ქალი

პაპუნა

12. ერისთ. თეიმურაზ ერისთაობდა 1723 წ. 1735 წ. დაიპყრა შაჰ-ნადირმა, სპარსეთში გაგზავნა

10. ერისთავი გიორგი. შეირთო თამარ

13. ერისთავი ბარძიმ ერისთაობდა წ. 1735 მოკუდა 1739

ქმრად ჰყავდა ნოდარ ციციშვილის ძე, ვახტანგ

9. ერისთ. ბაინდურ წ. 1696 ერისთაობდა

14. ერისთავი რევაზ ბ. დადგინებული ისაკ ფაშისგან წ. 1729 ახლო

გივი

19. ერისთავი ბეჟან შაჰ-ნადირისგან დადგინებული წ. 1742. 1743 მოიკლა თავის ყმებისგან და საერისთაო დაიპყრა მეფე თეიმურაზ ბ. ცოლად ჰყავდა გივი ამილახორის ქალი


(ამა ოთხთა მამა არ იცნობების მოთხრობათა გამო)

## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 2

***სქემად არაგვის ერისთავთა შთამომავლობისა***

რაფიელ ერისთავის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი

ლიტერატურული ძიებანი






## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 3

***Российсская Родословная Книга***

პეტრე ვლადიმერის ძე დოლგორუკოვი, 1856, СПб

РОССІЙСКАЯ

# РОДОСЛОВНАЯ

# КНИГА,

ИЗДАВАЕМАЯ

*Княземъ Петромъ Долгоруковымъ.*



той старости, около 1028 года. Раздѣленіе Эристовыхъ на Арагвскихъ и на Ксанскихъ произошло слѣдующимъ образомъ. Предки ихъ были эриставами Ксанскими. По кончинѣ эриставa, въ 1560 году, Царь Грузинскій Симіонъ I, не желая отдать его наслѣдства второму брату его *Іасону*, отдалъ третьему, младшему брату, отъ котораго происходятъ князья Эристовы-Ксанскіе, а Іасону отдалъ Арагвскую область, объявивъ его эриставомъ арагвскимъ, и внукъ Іасона, эриставъ *Нуксаръ* былъ родоначальникомъ нынѣшнихъ князей Эристовыхъ-Арагвскихъ. Изъ числа князей Эристовыхъ-Ксанскихъ, бывшихъ удѣльными князьями до присоединенія Грузіи къ Россіи, въ 1801 году, четверо пали смертію храбрыхъ въ рядахъ русскаго войска; одинъ убитъ, въ 1806 году, подъ Баку, вмѣстѣ съ знаменитымъ Циціановымъ; другой убитъ при усмиреніи въ Грузіи мятежа; третій, офицеръ лейбъ-гвардіи уланскаго полка, убитъ подъ Лейпцигомъ, въ 1813 году; четвертый, *князь Захарій Георгіевичъ*, убитъ на Кавказѣ, въ 1850 году. Отецъ сего послѣдняго, *князь Георгій Евстевичъ*, нынѣ генералъ отъ инфантеріи, сенаторъ и св. Алекс. Нев. кав.; женатъ былъ на царевнѣ Грузинской Гаіанѣ (р. 1795 † 22 іюля 1820), дочери послѣдняго Царя Грузинскаго Георгія XIII, и отъ брака сего, кромѣ вышеупомянутаго сына, женатаго на княжнѣ Еленѣ Луарсабовнѣ Орбеліани, имѣлъ двухъ дочерей: княжну Кетеванъ Георгіевну, за княземъ Мамукою Фомичемъ Орбеліани, и княжну Маріо Георгіевну, за княземъ Георгіемъ Эристовымъ.

Теперь возвратимся къ Эристовымъ-Арагвскимъ. Вотъ родословіе ихъ, начиная съ вышеупомянутаго эриставa Нуксара.

| № | № отцовскій. |
|---|---|
| КОЛѢНО I: | |
| 1. Нуксаръ, эриставъ арагвскій, внукъ эриставa Іасона. | |
| КОЛѢНО II: | |
| 2. Князь Баадуръ | 1. |
| 3. — Зурабъ † 1629; жен. на царевнѣ Грузинской Дареджанѣ, дочери Царя Теймураза | 1. |
| 4. Князь Георгій | 1. |
| 5. — Давидъ | 1. |
| КОЛѢНО III: | |
| 6. Князь Заалъ | 3. |
| 7. — Георгій | 3. |
| 8. — Ревазъ | 3. |
| КОЛѢНО IV: | |
| 9. Князь Зурабъ, жен. на царевнѣ Грузинской Аннѣ, дочери Царя Вахтанга | 6. |
| 10. Князь Отія | 6. |
| 11. — Отаръ (Онуфрій) | 7. |



| № | № отцовскій. |
|---|---|
| 12. Князь Едишеръ | 7. |
| 13. — Іасонъ, убитъ 1682 г. | 8. |
| КОЛѢНО V: | |
| 14. Князь Бардзимъ | 11. |
| 15. — Георгій, уѣхалъ въ Персію въ 1696 г. | 11. |
| 16. — Баадуръ † 1700. | 11. |
| КОЛѢНО VI: | |
| 17. Князь Георгій, | 16. |
| 18. — Нуксаръ | 16. |
| КОЛѢНО VII: | |
| 19. Князь Отаръ } выѣхали въ Россію съ Царями Вах- | |
| 20. — Давидъ } тангомъ и Бакаромъ, въ 1724 г. | 17. |
| Княжна Анна, за Царемъ Бакаромъ Вахтангіевичемъ | 17. |
| — Кетеванъ, за княземъ Циціановымъ | 17. |
| 21. Князь Бардзимъ | 18. |
| 22. — Іотамъ (Іосифъ), выѣхалъ въ Россію съ Царями Вахтангомъ и Бакаромъ въ 1724 г. | 18. |
| КОЛѢНО VIII: | |
| 23. Князь Алексѣй Онуфріевичъ | 19. |
| 24. — Иванъ Давыдовичъ | 20. |
| 25. — Бежанъ | 21. |
| 26. — N. N. | 21. |
| 27. — Степанъ Осиповичъ | 22. |
| 28. — Семенъ Осиповичъ | 22. |
| КОЛѢНО IX: | |
| 29. Князь Владиміръ Алексѣевичъ | 23. |
| 30. — Дмитрій Алексѣевичъ, сенаторъ, р. 1797. | 23. |
| 31. — Николай Алексѣевичъ | 23. |
| 32. — Отія, со смертію его не стало болѣе въ Грузіи князей Эристовыхъ-Арагвскихъ | 26. |
| 33. Князь Иванъ Семеновичъ | 28. |


Всѣ фамиліи князей Эристовыхъ принадлежали къ князьямъ (таваде) первой степени.


*Примѣчаніе.* Извѣстно, что въ Грузіи были три степени князей (таваде); они пользовались различными правами, и по законамъ Царя Вахтанга, за убіеніе или оскорбленіе князя первой степени, полагалась пеня значительнѣйшая противъ пени, опредѣленной за убіеніе или оскорбленіе князя второй степени, а за сего послѣдняго пеня значительнѣе, чѣмъ за князя третіей степени.

## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 4

***Поколенная роспись Князей Арагвских Эристовыхъ***

ივანე რაფიელის ძე ერისთავის გენეალოგიური სქემა (სეა, 213-1-125)








## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 5

***როდოსლოვა, ანუ ნათესავთ მეტყველება თავადთა არაგვის ერისთავთათა***


დავით რაფიელის ძე ერისთავის გენეალოგიური სქემა (სეა, 1-1-249)




**დანართი 6**

***არაგვის ერისთავთა შესახებ პოლიევქტოს კარბელაშვილის ერთგვერდიანი ჩანაწერი*** (სეა, პოლიევქტოს კარბელაშვილის ფონდი, 1461-1-13 – 132)



**დანართი 7**

***სიდამონ-ერისთავების საგვარეულოს სქემა*** (სეა 213-1-175)





# თექთურმანიძეთა გვარის ისტორიისათვის

## აბსტრაქტი

სტატია ეხება თექთურმანიძეთა საგვარეულოს წარმომავლობის, სოციალური სტატუსისა და ხევში მათი ისტორიული როლის საკითხს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. ნაშრომის მთავარი მიზანია, თექთურმანიძეთა საგვარეულოსადმი გაცემული დოკუმენტების კრიტიკული ანალიზის გზით ამ გვარის სოციალური მდგომარეობის დადგენა.

კვლევაში გამოყენებულია რამდენიმე სიგელი, რომელთაგან ზოგიერთი პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. დოკუმენტებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა XVII-XVIII საუკუნეების წყალობის სიგელებს, მათ შორის ვახტანგ VI-ის და ბაქარ მეფის მიერ გაცემულ საბუთებს. სიგელების დიპლომატიკური, სამართლებრივი და პალეოგრაფიული ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნულ სიგელებს იურიდიული ძალა არ ჰქონია ჯერ კიდევ მისი შედგენისას.

ტექსტი ასევე მიუთითებს დოკუმენტებში შინაარსობრივ შეუსაბამობებზე, რაც მათ სანდოობას უფრო მეტად ამცირებს.

სტატიაში შემოთავაზებულია ჰიპოთეზა, რომ თექთურმანიძეთა გვაროვნული იდენტობა – კონკრეტულად კი ხეთაგიძეებიდან თექთურმანიძეებად ტრანსფორმაცია – უნდა განვიხილოთ როგორც სოციალური სტატუსის გაუმჯობესებისა და თემში პრივილეგირებული პოზიციის მოპოვების მცდელობა. საბოლოოდ ნაშრომი ასკვნის, რომ საგვარეულოს მიერ ამ გზით მიღწეული სტატუსი არც სამართლებრივად გამყარებულა და არც ისტორიულად რეალიზებულა, რაც მათი ისტორიული როლის ობიექტური გადაფასების აუცილებლობას აჩენს.

**საკვანძო სიტყვები:** თექთურმანიძეები; ხევი; არაგვის საერისთავო; არაგვის ერისთავები; გვაროვნული იდენტობა; წყალობის სიგელი; ვახტანგ მეფე, ბაქარ მეფე; დიპლომატიკა.

# FOR THE HISTORY OF THE TEKTURMANIDZE FAMILY

## ABSTRACT

This article addresses the origin, social status, and historical role of the Tekturmanidze family in Khevi – a subject that has not been sufficiently studied in Georgian historiography to date. The main goal of the study is to determine the family's social status through a critical analysis of historical documents issued to them.

The paper draws on several documents, some of which are being examined within a scholarly framework for the first time. Special attention is given to acts of grace from the 17th-18th centuries, including those issued by Vakhtang VI and King Bakar. Diplomatic, legal, and paleographic analysis reveals that these documents lacked legal force from the moment they were compiled.

The text also points to inconsistencies in the content of the documents, which raise additional concerns about their reliability.

The article advances the hypothesis that the family name of the Tekturmanidzes – specifically, the transformation from Khetagidze to Tekturmanidze – should be viewed as an attempt to elevate their social status and secure a privileged position within the community. Ultimately, the paper concludes that the status achieved by the family through this transformation was neither legally consolidated nor historically realized, which highlights the need for an objective reassessment of their historical role.

**Keywords**: Tekturmanidzes; Khevi; Aragvi Saeristavo (princely estate); Aragvi Eristavis/Princes; Generic Name; Act of Grace; King Vakhtang, King Bakar; Diplomatics



## შესავალი

საქართველოს მთიანეთის, განსაკუთრებით კი ხევის რეგიონის სოციალური სტრუქტურა და საგვარეულო იდენტობები დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. ამ ცვლილებებს ხშირად განაპირობებდა როგორც ადგილობრივი პოლიტიკური გარემო, ისე მმართველობის მექანიზმები, რომლებიც მოქმედებდნენ სოციალური სტატუსისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესზე. ისტორიულ წყაროებში იკვეთება, რომ გვაროვნული სახელები არ გახლდათ მხოლოდ მემკვიდრეობითობის ნიშანი; ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციალურ დინამიკაში – ასახავდნენ როგორც სოციალური მდგომარეობის ცვალებადობას, ასევე სოციალური აღზევების მცდელობებს. ამ პროცესების კონტექსტში თექთურმანიძეთა საგვარეულოს მაგალითი წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის საგანს, როგორც დოკუმენტური კვლევის, ისე სოციალური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით.

ამ ნაშრომის მიზანია, ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე არსებული შეხედულებების კრიტიკული ანალიზი და თექთურმანიძეთა საგვარეულოს ისტორიის დეტალური განხილვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ცვლილებებს, რომლებიც შეეხო მათ იდენტობას, სოციალურ სტატუსსა და საზოგადოებრივ პოზიციას. კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტია ბერი ეგნატაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებების შეფასებაც, რომლებიც თექთურმანიძეთა წარმომავლობასა და სოციალურ როლს ეხება. ამ გზით ნაშრომი მიზნად ისახავს, გააშუქოს საგვარეულო იდენტობის ტრანსფორმაციის მექანიზმები და მათი გავლენა ხევის რეგიონის ისტორიულ კონტექსტზე.

## კვლევის მეთოდები

დიპლომატიკური კრიტიკისა და პალეოგრაფიული მეთოდებით წყაროთა ანალიზი, დოკუმენტების ტექსტუალური შინაარსისა და მათი გარე ნიშნების (ბეჭდები, ხელმოწერები, თარიღები) განხილვა და კვლევა; ასევე, შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც კონკრეტული საგვარეულოს შესახებ არსებული ცნობების, სხვადასხვა პერიოდის და ტიპის წყაროების მეშვეობით გადამოწმების საშუალებას იძლევა. წყაროების შერჩევისას ყურადღება ეთმობა მათ სანდოობას, წარმომავლობასა და გავრცელების არეალს.

კვლევაში ასევე გათვალისწინებულია ბერი ეგნატაშვილის თხზულების, როგორც მეორადი წყაროს, კრიტიკული წაკითხვა, რომლის ინტერპრეტაციაც პირველწყაროების ფონზე დამატებით გადამოწმებას საჭიროებს. ნაშრომი ეყრდნობა მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომელთა ციფრული ასლები ხელმისაწვდომი იყო, ეს გარემოება ნაწილობრივ ზღუდავს პალეოგრაფიული ანალიზის სრულფასოვნებას, თუმცა მომავალში შესაძლებელს გახდის დოკუმენტების უშუალოდ ადგილზე შესწავლას.

## კვლევის შედეგები

დადგინდა, რომ ზოგიერთი საბუთი, განსაკუთრებით *ბაალ, ბაინდურ* და *ვამიყ* ერისთავების სახელით გაცემული დოკუმენტები, შეიცავს სერიოზულ დიპლომატიკურ ხარვეზებსა და ისტორიულ შეუსაბამისობებს. ეს დოკუმენტები არ შეესაბამებოდა იმ პერიოდის მმართველობის წესებს და სამართლებრივ პრაქტიკას, რაც მათ ავთენტიკურობას ეჭვქვეშ აყენებს.

ასევე დადასტურდა, რომ ვახტანგ VI-ისა და ბაქარ მეფის მიერ გაცემულ სიგელებს არ გააჩნდა სამართლებრივი ძალა მათი გაცემის მომენტიდანვე, რადგან ისინი არ ასახავდნენ იმ პერიოდის სამართლებრივ წესებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტები მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებია, მათი სამართლებრივი სტატუსი ეჭვქვეშ დადგა.

## მსჯელობა

საქართველოში სათავადოების ჩამოყალიბება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალური სისტემის განვითარებასთან და ძირითადად შუა საუკუნეებში მომხდარ პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა. XIII საუკუნიდან, განსაკუთრებით მონღოლთა შემოსევების შემდეგ, მეფის ხელისუფლება თანდათანობით დასუსტდა. რეგიონულ ფეოდალთა, ანუ თავადების პოზიციები გაძლიერდა, რაც ცენტრალური ხელისუფლებისთვის მზარდ საფრთხედ იქცა.

XV საუკუნიდან, გიორგი VIII-ის მეფობის შემდეგ, ქვეყანა დაიშალა ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად – ქართლი, კახეთი, იმერეთი და სამცხე-საათაბაგო. ამ პროცესმა სათავადოების, როგორც ადგილობრივად გაძლიერებული ხელისუფლების როლი კიდევ უფრო გაზარდა და მათ ფაქტობრივად ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების სტატუსი მიანიჭა. ერთ-ერთი მათგანი იყო არაგვის საერისთავო, რომლის ისტორიაც მჭიდროდაა გადაჯაჭვული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების დინამიკასთან.

არაგვის საერისთავო მოიცავდა არაგვის ხეობას და მის მიმდებარე ტერიტორიებს. სტრატეგიული მდებარეობის გამო იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ფეოდალურ ეპოქაში, ხოლო მისი მმართველები ხშირად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში. არაგვის ერისთავთა პოლიტიკური გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა XVII საუკუნეში.

საერისთავოს წარმოშობისა და მმართველი დინასტიის ვინაობის საკითხი ისტორიულ წყაროებში განსხვავებულადაა აღწერილი. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაშიც სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროთა ერთი ნაწილი არაგვის ერისთავებად შაბურისძეებს ასახელებს (გერგეტის *სულთა მატიანე* -1439 წ., (შარაშიძე, 1954.271), მცხეთის გუჯარი – 1465 წ. (კაკაბაძე.1913.15-18), ბოდორნის მონასტრის გუჯარი – 1474 წ. (ჟორდანია. 1897.291), სხვა ცნობით კი – შაბურიშვილებს (წილკნის ღვთისმშობლის სამწყსოს სიგელი – 1669 წ. (დოლიძე.1970.542); თექთურმანიძეებს, ჭარმეულებს (ვახუშტი.1973.424[1], იოსელიანი.1860.36[2]) ბაზალისძეებს, სიდამონიძეებს (ბატონიშვილი იოანე. 1997. 20; Акты.1866. 265-266).

განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა ბერი ეგნატაშვილი, რომლის ცნობით, თექთურმანისძეები *ხევის პატრონები* იყვნენ, რომლებიც ნუგზარ არაგვის ერისთავის წინაპრებმა ამოწყვიტეს და ხევს დაეპატრონნენ – *ხოლო ესე ნუგზარ არაგვს ერისთვის მამა-პაპათა ამოსწყვეტეს პატრონი ჴევისა თექთურმანისძე და დაიჭირეს ჴევი, და მიერითგან მისცა მეფემან რომელთამე ჴადა, რომელთამე მთიულეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური. და იქმნეს ჴევისა მის ერისთავად* (ეგნატაშვილი.1959.390-391). თექთურმანიძეთა *ხევის პატრონობის* საკითხი, გარდა ზემოთხსენებული წყაროსი, არსად დადასტურებული არ არის.

სანამ უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემას შევეხებოდეთ, გვინდა, ზოგადად, ბერი ეგნატაშვილის წყაროს სანდოობაზე გავამახვილოთ ყურადღება. *ახალი ქართლის ცხოვრების* ტექსტი ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კრიტიკულადაა შეფასებული. ჯერ კიდევ მისი დროის ცნობილმა ისტორიკოსმა, ვახუშტი ბატონიშვილმა შეამჩნია ნაშრომში დაშვებული შეცდომები და სათანადოდ გააკრიტიკა თხზულება. მისი პერიოდის უცნობი კრიტიკოსი ეგნატაშვილს *შურით და მტერობით* მოქმედ მწერლად მოიხსენიებს. ხოლო ივანე ჯავახიშვილი კი მის თხზულებასთან დაკავშირებით ბევრ ისტორიულ ნაკლოვანებასა და ანაქრონიზმზე მიუთითებდა – *საქართველოს ისტორიაში განუსწავლელ მკითხველს ამ ძეგლის [ახალი ქართლის ცხოვრების – ნ.შ.] ცნობებით სარგებლობისას უაღრესი სიფრთხილე სჭირდება. შესაძლებელია გადაჭრით ამაზე მეტიც ითქვას: უკომენტარებოდ და თითოეული ცნობის მკაცრი კრიტიკული განხილვისა და აწონდაწონის გარეშე, ამ თხზულების მონათხრობის გამოყენება სახიფათოა ...XIV-XVI სს. ამბების მოთხრობა ახალ ქართლის ცხოვრებაში უცხო საისტორიო თხზულებებითგან და ნაწილობრივ ქართული წყაროებისა და საბუთებითგან ამოღებული ცნობების მიხედვით არის შედგენილი. ბუნებრივია, რომ ამ ხანის ქართული ისტორიული მასალების სიმცირის გამო, ეს ნაწილი ღირსებით ამ თხზულების ყველაზე მდარე გამოსულიყო და მის დამწერთ მრავალი შეცდომები შეჰპარვოდათ-ო*, აღნიშნავდა მეცნიერი (ჯავახიშვილი.1977.421.423).

ერთ-ერთი ფაქტობრივი გაუგებრობა, რომელიც ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში იკვეთება, უკავშირდება არაგვის საერისთავოს მემკვიდრეობის საკითხს. ეგნატაშვილის ცნობით, ნუგზარ ერისთავის სიცოცხლეშივე, ერისთავობას მისი შვილი ზურაბი ფლობდა. აღნიშნული ცნობა წინააღმდეგობაში მოდის სხვა წყაროებთან; კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილს ეს საკითხი გაცილებით უფრო გარკვევით აქვს აღწერილი, რომლის მიხედვითაც ერისთავობა თავდაპირველად ბაინდურს ერგო, ხოლო მოგვიანებით, ძალის გამოყენებით, გადაიბარა ზურაბმა. ამგვარად, ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში ფაქტობრივი შეუსაბამობა იკვეთება, რაც შესაძლოა ინფორმაციის ფრაგმენტულობას ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობის არაზუსტ გადმოცემას უკავშირდებოდეს.

*ახალი ქართლის ცხოვრების* ამ შეცდომაზე ყურადღება ჯერ კიდევ დ. გვრიტიშვილმა გაამახვილა. მიუხედავად ამისა, მან ეგნატაშვილის ზემოთ მოცემულ წყაროზე დაყრდნობით პირველად გამოთქვა მოსაზრება თექთურმანიძეთა მმართველობითი დინასტიის შესახებ და ხევის ცალკე, საერისთაოს სახით, არსებობის შესაძლებლობა განიხილა – *XVI საუკუნიდან, სარგებლობენ რა საშინაო და საგარეო პირობების გართულებით, პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აზნაურები, შესაძლებელია სიდამონისძენი, მოიშველიებენ ოსებს და ქსნის ერისთავებს, იმორჩილებენ ხევის ერისთავებს – თექთურმანისძეებს, აქ ისინი „გაერისთავდებიან“, ხოლო ამის შემდეგ, თანდათან, არაგვის საერისთავოსაც შეიერთებენ და ამიერიდან ორი საერისთავო ერთ საერისთავოდ – არაგვის საერისთავოდ ხდება* (გვრიტიშვილი.1955. 95). გვრიტიშვილის პოზიცია გაიზიარეს ისტორიკოსებმა – გ. აკოფაშვილმა და მ. ბახტაძემ (აკოფაშვილი. 1965. 139; ბახტაძე. 2005.23).

ბერი ეგნატაშვილის წყაროს, ჩანს, სიფრთხილით ეკიდებოდა ნიკო ბერძენიშვილი. მეცნიერი თავის შრომებში არაერთხელ შეეხო არაგვის საერისთავოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტს, თუმცა მის ნაშრომებში ვერსად დავიმოწმეთ ეგნატაშვილის მიერ თექთურმანიძეთა ხევის *პატრონობასთან* დაკავშირებული ცნობა. თექთურმანიძეთა გვარს ბერძენიშვილი მხოლოდ ერთხელ ახსენებს, XVI საუკუნის საქართველოს ფეოდალურ სახლებს შორის დაპირისპირების კონტექსტში, ხევთან პირდაპირი კავშირის გარეშე (ბერძენიშვილი. 1965. 103). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *ახალი ქართლის ცხოვრების* ეს ცნობა ზოგი ისტორიკოსის მიერ ან უარყოფილია, ან მას სათანადო მტკიცებულებად არ მიიჩნევს. აღნიშნული წყაროს მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი მეცნიერი ვახტანგ ითონიშვილიც; იგი თვლიდა, რომ ეგნატაშვილი *ჯეროვანი სიცხადით ვერ განმარტავს სიტყვა „ხევის“ შინაარსს... ცნობა ეხება არა თერგის ხეობაში მდებარე ხევს, არამედ ხევად სახელდებული არაგვის ხეობის ბარის ზონას* და იქვე დასძენს, თექთურმანისძეები უზურპაციის მსხვერპლი რომ გამხდარიყვნენ, ეს ისტორია გადმოცემის სახით ხალხში ცნობილი იქნებოდაო (ითონიშვილი. 2005. 35), რაც, ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებელი არგუმენტია[1].

1 გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართლის ცხოვრების IV ტომის საკუთარ სახელთა საძიებელში თექთურმანიძეს არასწორად უწერია (პატრონი ხევისა), იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1971, გვ. 1021.

2 პლატონ იოსელიანის ცნობით, არაგვის საერისთავოს თავდაპირველად შაბურისძეთა საგვარეულო მართავდა, თუმცა ალექსანდრე I-ის მეფობის პერიოდში მათ საერისთავოზე მმართველობის უფლება დაკარგეს და იგი თექთურმანიძეთა და ჭარმეულთა გვარებში ინაცვლებს. აქვე აღსანიშნავია, რომ იოსელიანის ტექსტში თექთურმანიძეთა ნაცვლად მითითებულია გვარი თურმანიძე, რაც, ჩვენი აზრით, ავტორის მიერ დაშვებული შეცდომა კი არა, ტექნიკური უზუსტობა უნდა იყოს Иоселиани П. – „Описание города Душети Тифлиской губернии“, 1860 г. Тф., ст. 36.

1 ითონიშვილის არგუმენტის გასამყარებლად შესაძლოა მოვიშველიოთ ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი მოთხრობა ხევისბერი გორჩა, რომელშიც აღწერილია, როგორ ცდილობს ნუგზარ არაგვის ერისთავი ხევის დამორჩილებასა და დაპყრობას. თხზულების დასასრულს მწერალი აღნიშნავს: ეს მოთხრობა სიტყვა-სი-

არაგვის საერისთავოს შესწავლასთან დაკავშირებით ისტორიკოსებმა გარკვეული ადგილი დაუთმეს თექთურმანიძეთა საკითხსაც და საკუთარი მოსაზრებებიც გამოთქვეს, თუმცა, მიუხედავად ამ ინტერესისა, აღნიშნული საგვარეულოს ისტორია დღემდე არ გამხდარა დამოუკიდებელი და სპეციალური სამეცნიერო კვლევის საგანი.

ჩვენი აზრით, ბერი ეგნატაშვილის ტექსტში მოცემული ცნობა, რაც თექთურმანიძეების მმართველობას ეხება, არ არის სანდო, იგი არ შეესაბამება სხვა ისტორიულ წყაროებს და საჭიროებს გადახედვას.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური მმართველობისა და გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში ხევის ტერიტორიაზე ცალკე საერისთავოს არსებობის საკითხი არც ერთ ისტორიულ წყაროში არ იკვეთება. ამასთან დაკავშირებით, ვახუშტი ბატონიშვილი სრულებით გარკვევით აღნიშნავს, რომ ხევი უშუალოდ *სახასო*-ს, სამეფოს საკუთრებას წარმოადგენდა მანამ, სანამ ზურაბ ერისთავმა არ დაიპყრო და არაგვის საერისთავოს არ შეუერთა იგი – *ხოლო ზურაბ მოიმწო სპასპეტი საბარათიანოსი ბარათა ბარათაშვილი და დაუწყო კირთება მთიულ-მოჴევეთა და დაიპყრნა იგინი და განძლიერდა ფრიად* ***(რამეთუ იყვნეს სახასონი მეფისანი და აქამომდე არა ეპყრათ ჴევი ამათ,*** *არამედ მთიულნი ერჩდენ მცირედ* (ვახუშტი. 1973.428). ვახუშტი აკონკრეტებს და აღნიშნავს, რომ ზურაბ ერისთავის დაპყრობამდე ხევი უშუალოდ საქართველოს სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარებაშია.

საყურადღებოა, რომ საქართველოს მთიანეთის ისტორიის, განსაკუთრებით მისი სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის კვლევისას, ადრეულ წერილობით წყაროებში – *გერგეტის სულთა მატიანე, ძეგლი ერისთავთა* და გიორგი ბრწყინვალის *ძეგლის* დადება – არ იკვეთება ხევის ტერიტორიაზე ცალკე, დამოუკიდებელი საერისთავოს არსებობის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ გერგეტის *სულთა მატიანე*, რომელიც საგანგებოდ მოიხსენიებს არაგვის ერისთავებს (მათ შორის რამდენიმე დინასტიას), ქვენიფნეველებსა და ათაბაგებსაც კი, თექთურმანიძეებს საერთოდ არ იცნობს. ამ ფონზე ბერი ეგნატაშვილის მიერ ხევში თექთურმანიძეთა მმართველობის შესახებ წარმოდგენილი ცნობა ბუნდოვანი და უსაფუძვლო ჩანს.

მოხევე თექთურმანიძეების საკითხთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ მათზე დამატებითი წყაროები მოგვეძიებინა, აღნიშნული გვარი გვხვდება ქართლშიც, კერძოდ, XVII-XVIII სს-ის დოკუმენტებში ისინი ამილახვრის აზნაურების და ყმების ნუსხაში არიან შეყვანილი (Ad №1388, Hd №2146; სეა ფ. 1450 დავთ. №38, საბ. №215, ფ. 1448, №253, 1448 – №№ 1694, 4080.) ხოლო XIX საუკუნიდან თექთურმანიძეები აღნიშნულ სათავადოში აღარ იხსენიებიან.

გვარის წარმომავლობა, სავარაუდოდ, უკავშირდება მამაკაცის სახელს – თექთურმანს/თეგთურმანს. მსგავსი სახელები სხვადასხვა წყაროებში ჩანს, მაგ., 1731 და 1750 წლების დოკუმენტებში ქსნის ერისთავის ბოქაულთხუცესი თექთურმანი მოხსენიებულია მოწმედ (დოლიძე. 1972.325.387).

მოხევე თექთურმანიძეებთან დაკავშირებით ჩვენ მოვიძიეთ სიგელები, რომელთაგან ზოგიერთი სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოიტანეს ს. მაკალათიამ და დ. ლომიძემ. დანარჩენი სიგელები კი, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, რადგან მათზე დღემდე კვლევა არავის ჩაუტარებია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დოკუმენტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენა და მათი დიპლომატიკური ანალიზი როგორც სტრუქტურული, ისე შინაარსობრივი ასპექტების გათვალისწინებით. სიგელების სრული ტექსტები, არქეოგრაფიული აღწერილობები და ფოტო ასლები განხილულია ნაშრომის დანართში.

ტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა მოხევემ ღინჯა ხულელმა-ო (ყაზბეგი.1955. 325). აღსანიშნავია, რომ ნაწარმოებში არაფერია თქმული ხევში თექთურმანიძეთა დინასტიურ მმართველობაზე.



აქვე გვინდა აღვნიშნოთ: ვთვლით, რომ განსახილველი საბუთები მიეკუთვნება მოხევე თექთურმანიძეებს. წარმოდგენილ საბუთებში გვარი გვხვდება რამდენიმე ვარიანტად – **თეგთუმანიძე**, **თეგთურმანიძე, თექთურმანიძე.** მოძიებული გვაქვს სულ 7 სიგელი. აქედან ორი საბუთი, ვახტანგ და ბაქარ მეფეების მიერ გაცემული თექთურმანიძეებისადმი, პირველად გამოაქვეყნა ცნობილმა ეთნოლოგმა, სერგი მაკალათიამ, თავის მონოგრაფიაში *ხევი* (მაკალათია.1934.95-96), მაგრამ აღნიშნული სიგელების კრიტიკული და დიპლომატიკური ნიშნით შესწავლა არ მომხდარა; ხოლო 1733 წლის მოხევეთა ფიცისა და ერთგულების წიგნი მეფე ვახტანგ VI-ისადმი, შეისწავლა და პირველად გამოსცა ისტორიკოსმა დოდო ლომიძემ (ლომიძე. 2003.269-270); დანარჩენი 4 საბუთი ქვეყნდება პირველად. დოკუმენტები წარმოადგენენ სიგელის დედნებს და მათ პირებს (ვერ მივაკვლიეთ მხოლოდ 1728 წლის *ვამიყ ერისთავის* მიერ გაცემული საბუთის პირს). ყველა საბუთის პირი გადაწერილია ერთი სახეობის ქაღალდზე, ერთი და იგივე ხელით.

ჩვენს ხელთ არსებული სიგელებიდან ყველაზე ადრეული *ზაალ არაგვის ერისთავის* წყალობის სიგელია, რომელიც გაცემულია 1633 წლის 23 ოქტომბერს *ალიბეგ, გოჩია* და *შამხალა თეგთუმანიძეებისადმი*[1] (1448-161 – დედანი; 1449-762 – პირი).

სიგელის შინაარსის თანახმად, ზაალ ერისთავს თავისი ვეზირის, ვინმე *ვარდაშას* შუამდგომლობით, თეგთუმანიძეები ბაჟის გადასახადისგან გაუთავისუფლებია, მაგრამ გათავისუფლების მიზეზი არ არის ცნობილი: *ესე წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქვენ ჩვენ ყმათ ალიბეგსა და გოჩიასა, შამხალსა თეგთუმანიძეთა, რადგანც პირველ გდებოდათ ბაზიერ თხუცესობა, ამისთვის ჩვენი ვეზირი ვარდაშა შემოგვეხვეწა... ჩვენც ასე გაგათარხნეთ... თქვენ ბაჟი არ გეთხოებოდესთ-ო* **(იხ. დანართი №1 [ა]).**

დოკუმენტში არის გაუგებარი ფრაზები, რომლებიც საეჭვოს ხდის საბუთის ინტერპრეტაციას. იგი შეიძლება ასე იქნეს წაკითხული, რომ ერისთავები თეგთუმანიძეებს ბაჟის გადასახადისგან ათავისუფლებენ. არ არის გამორიცხული, რომ ფორმულირებები განზრახ იყოს ბუნდოვანი, რათა მოგვიანებით ტექსტი კონკრეტული ინტერესების შესაბამისად გამოყენებულიყო.

დედნისა და პირის შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ დოკუმენტები არ არის იდენტური, საბუთის პირის V-ზე, ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, წარმოდგენილია მართკუთხა ბეჭდის ნიმუში, რომელზეც გარკვევით იკითხება წარწერა – *მეფე თეიმურაზ* **(იხ. დანართი №1 [ბ]).**

საბუთის დედანს არ აქვს არც ბეჭედი და არც ხელმოწერა. გარდა ამისა, საბუთის დამწერი/შემდგენელი უცნობია (რაც ართულებს ხელნაწერის შესწავლას სხვა დოკუმენტებთან შედარების მიზნით ჩვენ მოვიძიეთ ზაალ ერისთავის სახელით გაცემული სხვა საბუთებიც). ასეთი გახლავთ ძველი საბუთების პირთა კოლექციის ფონდში დაცული მისი ერისთავობის დროს გაცემული დოკუმენტები – ალავერდის ტაძრის შეწირულობისა (1449-2656) და საფარაშვილებისადმი ბოძებული მამულის წყალობის სიგელები (1450. დავთ. №№ 28. 29). აღმოჩნდა, რომ პირველი საბუთის დედანზე ზაალის, სავარაუდოდ, ოთხკუთხა ფორმის ბეჭედი ყოფილა დასმული (საბუთის პირს აქვს ორი ბეჭდის ნიმუში, აქედან პირველს აწერია *„ზაალ”*, ხოლო მეორე ბეჭდის ნიმუშს – *სპარსული?* (სავარაუდოდ, გადამწერმა ან არ იცის სპარსული, ან გარკვევით ვერ კითხულობს ბეჭდის ლეგენდას და სვამს კითხვის ნიშანს). ხოლო საფარაშვილების საბუთის პირს ბოლოში აწერია *„ზაალ, ზურაბ”*, ამ შემთხვევაში, მეტი ალბათობით, დედანი ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო. ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენს განსახილველ საბუთს. ცნობილია, რომ ზაალ არაგვის ერისთავი იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალი XVII საუკუნის 30-60-იან წლებში. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ არის გაშუქებული, ამიტომ ამ საკითხზე დამატებით არ შევჩერდებით. ცხადია, ასეთი მასშტაბის პიროვნებას უნდა ჰქონოდა საბეჭდავი ბეჭედი, რაც დასტურდება ზემოთ განხილული საბუთების მაგალითით.

1 საბუთის დედნის დაზიანების გამო გვარი თეგთუმანიძე აღარ იკითხება, ვსარგებლობთ საბუთის პირით.

თეგთუმანიძეთა დოკუმენტის ავთენტიკურობას ეჭვქვეშ აყენებს რამდენიმე გარემოება, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი ის არის, რომ საბუთს არ ახლავს ზაალ ერისთავის ბეჭედი და ხელრთვა. დოკუმენტის პირზე დასმული ბეჭდის ნიმუში – წარწერით *„მეფე თეიმურაზ"* – დამატებით ზრდის ეჭვს საბუთის ნამდვილობასთან დაკავშირებით, ვინაიდან თეიმურაზი არც საბუთის გამცემია და არც მისი განმაახლებელი. ქართულ დიპლომატიკაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საბუთის განმაახლებელი ჯერ სიტყვიერად გამოხატავდა განზრახვას *(ჩვენც დაგვიმტკიცებია, წყალობის განახლების წიგნი* და სხვა.), რასაც მოჰყვებოდა ბეჭდით ან ხელმოწერით დამოწმება. მოცემულ შემთხვევაში, ამგვარი თანმიმდევრობა დარღვეულია, რაც საბუთის სანდოობას ამ მხრივაც ამცირებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, ვისი ბეჭდის ნიმუშია საბუთზე დასმული? თუ ვიგულისხმებთ, რომ ბეჭედი თეიმურაზ I-ს ეკუთვნის – რომელიც ზაალ ერისთავის თანამედროვეა (1606-1648 წ.წ.) – კვლევების მიხედვით, თეიმურაზ I ადგილობრივი მნიშვნელობის დოკუმენტებში თავის ბეჭედს, როგორც წესი, არ იყენებდა და მხოლოდ ხელმოწერით შემოიფარგლებოდა. მის სახელზე ცნობილი ბეჭდები მხოლოდ სამია და ისინი მხოლოდ უცხო ქვეყნების მმართველებთან მიმოწერაში გვხვდება; ამ ბეჭდებზე დატანილი ლეგენდები კი სრულიად განსხვავდება თეგთუმანიძეთა საბუთზე აღბეჭდილისგან *(მეფე საქართველოსი, მეფედ ყოვლისა საქართველოსი, მეფედ ქართლისა მტკიცედ მპყრობელი)* (ბაქრაძე. 1986. 70-72). უფრო მეტიც, პირთა ანოტირებული ლექსიკონის მონაცემებით, თეიმურაზ I-ის მიერ გაცემულ სიგელებში ბეჭდის გამოყენება საერთოდ არ არის დაფიქსირებული, მაშინ როცა მისი ხელმოწერა მრავალ დოკუმენტში გვხვდება (პალ, 1991.306-314).

თუ კი ბეჭედი თეიმურაზ II-ს მიეკუთვნება, არც ეს ვარიანტია სარწმუნო. არსებული ნიმუშები მისი მეფობის დროინდელი ბეჭდებისა – როგორიცაა: *„მე ქრისტეს მონა... 1744 თეიმურაზ, მეფე ცხებული საქართველოსი, დამტკიცებული თეიმურაზის მიერ"* – ასევე არ შეესაბამება ჩვენს დოკუმენტში წარმოდგენილ ნიმუშს (ბაქრაძე, 1978. 41).

შესაბამისად, თუნდაც ვივარაუდოთ, რომ საბუთი განახლებულია მეფე თეიმურაზის მიერ, ის არ აკმაყოფილებს იმ დიპლომატიკურ მოთხოვნებს, რომლებიც განახლების სიგელისთვის იყო მიღებული: არ იკვეთება არც მისი სიტყვიერი თანხმობა და არც მისი ბეჭდის ან ხელმოწერის დასტური. ეს კი საბუთის ნამდვილობას სერიოზულად საეჭვოს ხდის.

შემდგომი დოკუმენტი წარმოადგენს 1695 წელს, ბაინდურ ერისთავის მიერ გაცემულ წყალობის სიგელს *შამახა, ალიბეგ, შანშე და პაატა თეგთურმანიძეებისათვის* **(იხ. დანართი 2 ა)** (Qd-1670 – დედანი, ფონდი 1449, № 761, პირი). აღნიშნული სიგელის საფუძველზე ბაინდურ ერისთავსა და მის სახლიკაცებს თეგთურმანიძეებისთვის მათივე *ნაქონი* ერთი კომლი – *ხიკიშვილი* უბოძებიათ. აღნიშნული გვარი – *ხიკიშვილი* სტრიქონებს შორისაა ჩამატებული.

დოკუმენტის დედანზე დასმულია ხუთი ბეჭედი ქართული ლეგენდით, რომლებიც შემდეგნაირად *იკითხება: 1. ქ. ბაინდურ ერისთავი, 2. ქ. მ[ო]ნ[ა] მღთისა პატა... (სამსტრიქონიანი ლეგენდაა და მესამე სტრიქონი აღარ იკითხება), 3. ერ[ის]თ[ვ]იშვილი ოტია, 4. ერისთვიშვილი ვახტანგ, 5. ერისთვიშვილი ბეჟან.* საბუთი დათარიღებულია ქრონიკონით ტპგ (1695 წ.).

მოგვეპოვება ამ დოკუმენტის პირი, რომელიც დედანთან მნიშვნელოვან განსხვავებებს იძლევა. კერძოდ: დედანში მოხსენიებული გვარი თეგთურმანიძის ნაცვლად წერია თეგთუმანიძე, ხოლო ერისთავის მიერ ნაწყალობევი კომლი დედნისგან განსხვავებით, გარკვევით წერია – გვარი *ხაიკაშვილი*. ასევე განსხვავებულია დოკუმენტის პირის ბეჭდის ლეგენდების ნიმუშები დედნისგან. მოცემულია ხუთი მართკუთხა ბეჭდის ნიმუში, რომელთა წარწერებია – *ბინდური* (sic), *პატამა* (sic), *ოტიამ* (sic), *ვახტანგ* (sic), *ბეჟან* (sic). ჩანს, გადამწერმა ვერ ამოიკითხა ბეჭდების ლეგენდები სრულფასოვნად და მხოლოდ სახელების მითითებით დაკმაყოფილდა (**იხ. დანართი 2 ბ**).

ამას გარდა საბუთის შემდგენელი ერისთავის სახელს ბაინდურის ნაცვლად, შეცდომით წერს *„ბინდურს"*. ასევე იმეორებს საბუთის გადამწერიც და ტექსტის გარდა, ბეჭდის ნიმუშშიც *„ბინდური"*-ს სახელს წერს. ბაინდურის სახელით გაცემული რამდენიმე საბუთი შევადარეთ ჩვენს საბუთს, აღმოჩნდა, რომ ყველა საბუთში იგი ბაინდურის სახელით იხსენიება.



დავუბრუნდეთ დედანს. დოკუმენტის ძირითადი, თხრობითი (narratio) ნაწილის ფორმულარი (რა მიზეზითაც საბუთი შეიქმნა) მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული: *ოდეს მოგვადექით დარბაზისა კარსა ჩვენსა და დაგვიაჯენით წყალობასა და სითარხნესა და ერ<ა>თს კ<ა>ვამ<ა>ლს კაცს სტეფან წმინდას ხიკიშვილს ისევ თქვენს ნაქონს.* შეიძლება ეს ადგილი ისე გავიგოთ, რომ თეგთურმანიძეებს ერისთავებისგან, გარდა თავისივე *ნაქონი* ერთი კომლის დამტკიცებასთან ერთად, რაღაც ვალდებულებისგან გათავისუფლებაც – *„სითარხნე"* – უთხოვიათ, რომელიც არ არის დაკონკრეტებული.

ასევე გაურკვევლად და არასრულად არის ჩამოყალიბებული საბუთის განგებულების (dispositio) ნაწილი: *...ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ერთგულობასა და მამსახურსა* [სამსახურსა – ნ.შ.] *ჩვენში (sic)...*

აქ არ არის ნათლად აღნიშნული, კონკრეტულად რა უბოძეს თეგთურმანიძეებს – რაც საბუთის ავთენტიკურობაზე კითხვებს აჩენს.

დედანში ჩამატებული ყმის გვარი იმდენად გაურკვევლად წერია, რომ პირთა ანოტირებულ ლექსიკონში აღნიშნული ყმა გატარებულია როგორ *ბიკიშვილი* (პალ. 1993.140), ხოლო რაც შეეხება საბუთის პირს, ტექსტში გვარი მკაფიოდ იკითხება როგორც *ხაიკაშვილი.*

დამახასიათებელია ისიც, რომ ყმის – *ბიკიშვილის/ხაიკაშვილის* – სახელი დოკუმენტში არ არის მითითებული, სახელის გარეშე კი ყმის მოხსენიება მაშინდელ პრაქტიკაში უჩვეულო და არასაკმარისი იყო.

რაც შეეხება დედანში მოხსენიებულ გვარს, – ზიკიშვილი/ხიკიშვილი – ასეთი გვარი ხევში არ სახლობდა და სავარაუდოდ, როგორც ეს საბუთის პირის ვარიანტში იყო აღნიშნული, ხაიკაშვილი უნდა ვიგულისხმოთ. 1774 წლის ერეკლე მეორის დროის ხალხის აღწერის დავთარში სოფელ სტეფანწმინდაში, როგორც არაგვის ერისთავის ყმა, ირიცხება ერთი კომლი *ხაიკისშვილი ბეჟაი და ივანე* (Qd-6936). 1781 წლის აღწერით კი იმავე სტეფანწმინდაში ხსენებული კომლი გატარებულია როგორც *ხაიკას შვილი ბეჟაი, ივანე* (Qd-7171).

გასარკვევია სიგელის გაცემის წელიც, რომელიც არ შეესაბამება ბაინდურის ერისთავობის წლებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ბაინდური ერისთავად ნაზარალიხანმა (იგივე ერეკლე I – ქართლის მეფე 1688-1703 წწ.) 1696 წელს დასვა, მას შემდეგ, რაც მისი წინამორბედი, გიორგი ორგულობის გამო მეფემ შეიპყრო და ირანში, შაჰთან გაგზავნა. 1703 წელს, როდესაც გიორგი ირანიდან დაბრუნდა, მას კვლავ აღუდგინეს ერისთავობა, ბაინდური კი გადააყენეს (გვრიტიშვილი. 1955.351; ჯამბურია.1997. 337).

თუმცა, არსებობს ბაინდურის ერისთავობის განსხვავებული თარიღებიც: თ. ჟორდანია ბაინდურის გაერისთავებას 1697 წლით ათარიღებს (ჟორდანია. 1897. 533), ხოლო მ. ბახტაძე, ვახუშტი ბატონიშვილის წყაროზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ ბაინდური შესაძლოა მანამდეც ყოფილიყო არაგვის ერისთავი (ბახტაძე. 2005. 38).

ერთი სიტყვით, ჩვენ ბაინდურის ერისთავობის წლების საგანგებო შესწავლისგან თავს შევიკავებთ და დავჯერდებით ისტორიკოსთა კვლევას. შესაძლოა, რომ მისი ერისთავობის წლები 1695 წელსაც ემთხვეოდეს, როდესაც ეს განხილული საბუთი დაიწერა. ანდა ისიც დასაშვებია, რომ საბუთის დამწერი ზუსტ ქრონიკონს ვერ ანგარიშობს და შეცდომებს უშვებს. მაგრამ საბუთში დაშვებული სხვა უხეში შეცდომები, კერძოდ ის, თუ რისი მიზეზითაც ეს საბუთი შეიქმნა – მათივე ნაქონი ყმის გვარის სტრიქონებს შორის ჩაწერა და სახელის გარეშე მისი მოუხსენიებლობა, საბუთის ძირითადი – თხრობითი და განგებულების ნაწილების ბუნდოვანობა, ბაინდურ ერისთავის სახელის დამახინჯება, საბუთის დამწერისა და მოწმეების მოუხსენიებლობა და ა.შ. – საბუთის სანდოობაზე ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ თეგთურმანიძეების სიგელზე დასმული ბაინდურის ბეჭედი იდენტურია

მის მიერ გაცემული სხვა სიგელების ბეჭედთან (1448-1546), აღნიშნული გარემოება არ იძლევა საკმარის საფუძველს სიგელის ნამდვილობის დასადასტურებლად.

შემდეგი დოკუმენტი ვამიყ არაგვის ერისთავის მიერ თექთურმანიძეებისადმი გაცემული სითარხნის წყალობის წიგნი გახლავთ. საბუთი, მასზე დასმული ქორონიკონის მიხედვით, 1728 წელსაა შედგენილი (Ⴓd-1671) **(იხ. დანართი 3).**

აღნიშნული სიგელის ძალით, ვამიყ ერისთავს თექთურმანიძეები ყალანისა და სააღდგომო გადასახადისგან გაუთავისუფლებია – *ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ წიგნი ესე სითარხნისა ასე რომე აღ[ა]რ გეთხოვებოდეს ყალანი და სა[ა]ღდგომო ცხვარი, არა შ[ა]ვარდნის ცხვარი, არა ს[ა]კრეფელი, ნაბადი, სხვა არაფერი ჩვენი გამოსაღები ერთის მსახურისა და ლაშქარ ნადირობის მეტი. ჩვენთან არა გეთხოვებოდეს რა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმ~თ ჩვენსა ერდგულობასა და სამს[ა]ხურსა შინა* – ნათქვამია საბუთში.

დოკუმენტში საკმაოდ ბევრი შეცდომაა, მასში მრავლად ფიქსირდება ენობრივი და გრამატიკული შეუსაბამობები, რაც საბუთის სანდოობას გარკვეულ ეჭვქვეშ აყენებს. კერძოდ, ერისთავის ნაცვლად გამოყენებულია ფორმა *„ერისთვამან”*, ხოლო ვამიყის ნაცვლად – *„ვამიყა”*. დამახინჯებითაა გადმოცემული ერისთავთა ოჯახის წევრთა სახელები (გაბელ, ბაღთრ, ქაისრო), მაშინ, როდესაც თექთურმანიძეთა სახელები შეცდომის გარეშეა ჩაწერილი.

საბუთს დასმული აქვს ოთხი ბეჭედი, თუმცა პირველ სამ მათგანს აშკარად ბეჭდის იმიტაციის სახე აქვს. მართალია, მეოთხე ბეჭდის ლეგენდის ასოები მკვეთრია, მაგრამ ასოთა გაურკვეველი მოხაზულობის გამო, ძნელად იკითხება. წინასწარი წაკითხვა გვაძლევს ამ ვარიანტს: *„ქ. მონა ღთისა სალხუცესი იოსები”*. ამავე სახელის მატარებელი პიროვნება საბუთის შემდგენელთა სიაში არ ფიქსირდება, რაც ასევე წარმოშობს კითხვებს დოკუმენტის ნამდვილობის შესახებ.

რაც შეეხება საბუთში ვამიყის არაგვის ერისთავად მოხსენიებას, იგი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცნობილი არ არის. ისტორიკოსები, რომლებიც არაგვის ერისთავების გენეალოგიასა და არაგვის საერისთავოს ისტორიის კვლევას შეეხნენ, XVIII საუკუნეში მოღვაწე ვამიყ ერისთავს არ იცნობენ. არადა მისი, როგორც ერისთავის სტატუსით გაცემული რამდენიმე საბუთი მოგვეპოვება. ჩვენს მიერ განხილული საბუთის გარდა, ასევე არსებობს სხვა დოკუმენტებიც, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ვამიყ ერისთავის წყალობის წიგნი *დათუნა ზანდუკელისადმი* მიცემული (1450. დავთ, 13. № 82) და არაგვის ერისთავთა მემკვიდრეების მიერ XIX საუკუნეში შედგენილი არაგვის ერისთავების გენეალოგია – *შთამომავლობანი არაგვს ერისთჳანთანი* – გენეალოგიურ ცხრილში აღნიშნულია, რომ ვამიყ ერისთავი არის *პაპუა ერისთავის ძე* (1448. 10743).

მიუხედავად იმისა, რომ თექთურმანიძეებისადმი ვამიყ არაგვის ერისთავის სახელით გაცემული საბუთის ავთენტურობა საეჭვოა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეჭვი უნდა შევიტანოთ თავად ვამიყის, როგორც არაგვის ერისთავის ისტორიულ არსებობაში. შესაბამისად, დოკუმენტის შესაძლო სიყალბე მხოლოდ კონკრეტულ საბუთს ეხება და არა მთლიანად ვამიყის ისტორიულ ფიგურას, რომელიც სხვა წყაროებითაც დასტურდება.

ბოლოს განვიხილავთ ვახტანგ VI-ისა და ბაქარ მეფის მიერ თექთურმანიძეებისადმი გაცემულ წყალობის სიგელებს. მოგვეპოვება სამი საბუთი: 1) 1732 წლის 9 თებერვალს შედგენილი, *ვახტანგ მეფის სიგელი თექთურმანიძე შამხალაშვილ პაატას, ჯარიას, სულტანბეგს, გოჩის, შალვასა და შამხალასადმი* (1448-611; 1449-268) **(იხ. დანართი – 4 ა, და 4 ბ**); 2) იმავე თარიღით გაცემული, *ვახტანგის სიგელი თექთურმანიძე კურდღელას, იესეს, ბერის, პაპას, ივანესა და ანგვიშტუყოსადმი* (სიმ. დოკ.1043) **(იხ. დანართი 5)**; 3) 1734 წლის 23 სექტემბრის *ბაქარ მეფის სიგელი იესე და ალექსანდრე თექთურმანიძეებისადმი* (სიმ. დოკ. №1042) **(იხ. დანართი 6)**.

ვახტანგ VI-ის მიერ გაცემული ორივე დოკუმენტის შინაარსი იდენტურია. მეფის რუსეთში ყოფნის პერიოდში *იესე და ჯარია თექთურმანიძეებს* სამეფო სახლისთვის გარკვეული სამსახური აღმოუჩენიათ – კერძოდ, სიგელების ტექსტში ნათქვამია: *თქვენის ქვეყნის კაცთაგან გამოგზავნილი ჩვენს სამსახურზედ მოსკოვს მოხვედით და აგრევე ჩვენს გამოგზავნილს გზაზე გამვლელ-გამომვლელს კაცებზედ კარგად სადმე ირჯებოდით.* ამ ღვაწლის სანაცვლოდ, მათ დაენიშნათ წლიური ჯამაგირი – ოცდაცამეტი მარჩილი – მეფის სალაროდან, რაც ყველა მომდევნო მეფის მხრიდან უნდა ყოფილიყო დაცული და არ უნდა გაუქმებულიყო **(იხ. დანართი 4. 5).**





ბაქარ მეფის სიგელიც (1734 წ. 23 სექტემბერი) იმეორებს მსგავს შინაარსს: ხაზგასმულია იესე თექთურმანიძის ერთგულება ქართლის სამეფო სახლისადმი: *ჟამთა ვითარებისაგან ჩვენ რუსეთს ვიყავით და შენ იესე ჩვენს სამსახურზედ ბევრს ირჯებოდი...* ამ ერთგულებისთვის *...შეგიწყალეთ და გიბოძეთ **შენი ნაქონი** სოფელი სიონი და გარბანი და თუ ააშენო თოთიცა. თქვენთვს და შვილთა თქვენთათვს გვიბოძებია ყოველის კაცის უცილებლად მათის მთითა, ბარითა, საჴნავ-სათეს-სათიბითა და სამართლიანის სამძღვრითა. ესე ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩვენგა(sic) და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან-ო* **(იხ. დანართი 6).**

სიგელები დაწერილია ცნობილი სამეფო მდივნისა და კალიგრაფის, *მელქისედეგ კავკასიძის* ხელით. დოკუმენტებს თან ახლავს თარიღი, ვახტანგ VI-ის ხელრთვა და ბაქარ მეფის ბეჭდები.

ვახტანგ VI-ისა და ბაქარის სახელით თექთურმანიძეებისადმი გაცემული სიგელები შედგენილია დიპლომატიკური წესების დაცვით: დაცულია სიგელისთვის დამახასიათებელი ფორმულარები (ე.წ. *კლაუზულები*), ხელრთვა ვახტანგ მეფეს ეკუთვნის – რაც დასტურდება მის მიერ გაცემულ სხვა დოკუმენტებთან შედარებით. ბეჭედი ბაქარის საკუთრებას წარმოადგენს და იდენტურია სხვა, მის სახელზე გაცემულ, საბუთებზე დასმული ბეჭდებისა. საბუთი დაწერილია ცნობილი მდივან-კალიგრაფის მელქისედეგ კავკასიძის მიერ, რომლის ხელით შედგენილი არაერთი დოკუმენტი მოგვეპოვება მეფის რუსეთში ყოფნის პერიოდიდან.

დოკუმენტები უდავოდ ავთენტიკურია და წარმოადგენს ისტორიულ წყაროს, თუმცა იურიდიული თვალსაზრისით, უკვე შექმნის მომენტიდანვე შეიძლება ჩაითვალოს ძალადაკარგულად. 1724 წლიდან ვახტანგ VI და ბაქარი ემიგრაციაში იმყოფებოდნენ რუსეთის იმპერიაში, რის შედეგადაც ფაქტობრივად მათ აღარ ჰქონდათ მმართველობითი ძალაუფლება ქართლში. ამ დროს ქართლის სამეფო ჯერ ოსმალთა, შემდეგ კი ყიზილბაშთა ხელში გადავიდა. ასეთ ვითარებაში, ვახტანგი კვლავ მეფის სტატუსით განაგრძობდა მოღვაწეობას და გასცემდა სიგელებს, თუმცა ისინი რეალურად მხოლოდ სიმბოლურ-პოლიტიკურ დატვირთვას ატარებდნენ და არა სამართლებრივს.

დოკუმენტებში მითითებული ჯამაგირი – ოცდაცამეტი მარჩილი – იურიდიულად ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, რადგან ვახტანგს აღარ ჰქონდა საკუთარი სალარო. ვახტანგ VI-სა და მის ოჯახს რუსეთის იმპერატორის მიერ დაენიშნა წლიური შემწეობა (ე.წ. *пособие*) სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეს დაფინანსება მოიცავდა მეფის, მისი ოჯახის და სამეფო კარის წევრების შენახვას. მიუხედავად ამისა, მეფის კარზე მყოფი ემიგრანტების ხარჯები მაღალი იყო და დახმარება ხშირად არა საკმარისი. შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სიგელებს, რომლებიც ვახტანგ VI-მ და ბაქარ მეფემ გასცეს ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, ძირითადად პოლიტიკური და სიმბოლური ფუნქცია ჰქონდათ. სამეფო კარის მიზანი, რუსეთის იმპერიაში ყოფნისას, კვლავინდებურად ქართლის ტახტის აღდგენა იყო და ამ მიზნით შემორჩენილ ერთგულ ოჯახებს, როგორებიც თექთურმანიძეები იყვნენ, მეფეები ჯილდოს სახით გადასცემდნენ გარკვეულ პრივილეგიებს. სავარაუდოა, რომ თექთურმანიძეებიც სწორედ ამ პერსპექტივას ელოდნენ – სამეფო კარის საქართველოში დაბრუნებისა და სიგელებით დადასტურებული პრივილეგიების რეალიზების შესაძლებლობას.

ჩვენს ვარაუდს ადასტურებს ის გარემოება, რომ აღნიშნული სიგელები არ განახლებულა შემდგომი მეფეების მიერ და არც XIX საუკუნეში რუსული მმართველობის მიერ შექმნილი *Суда и расправы*-ს ექსპედიციის რეგისტრატურაში გაუტარებიათ. ეს შესაძლოა მოწმობდეს იმას, რომ თექთურმანიძეების შთამომავლებს თავადვე ესმოდათ სიგელების იურიდიული სისუსტე და, შესაბამისად, მათ აღარ სცადეს საბუთების წარდგენა რუსული მმართველობის შესაბამის ორგანოებში.

ამგვარი საბუთების იურიდიული ძალის არქონის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 1733 წლის 29 სექტემბერს ბაქარ მეფის მიერ *გაბრიელ და ზაალ ჩოფიკაშვილებისადმი* გაცემული სიგელი (1448-10). მათი შთამომავლები – *ყაბბეგები* – XIX საუკუნეში ამ დოკუმენტის საფუძველზე ცდილობდნენ აზნაურული სტატუსის მოპოვებას. თუმცა 1837 წელს, ბარონ *როზენის* კომისიამ მათ უარი განუცხადა, ვინაიდან სიგელი იმ დროს იყო გაცემული, როდესაც ბაქარს ფაქტობრივი მეფობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა.

ამას გარდა, თუკი თექთურმანიძეებს რეალურად გააჩნდათ განსაკუთრებული როლი – *ხევის პატრონობის* სტატუსი – ქართლის სამეფოში, როგორც ამას *ახალი ქართლის ცხოვრების* ცნობა იუწყება, ეს უდავოდ აისახებოდა სიგელებში, როგორც მათ პრივილეგირებულ სტატუსზე მითითება. მსგავსი მინიშნება დოკუმენტებში არ იკვეთება.

ამრიგად, მიუხედავად სიგელების ავთენტიკურობისა და ისტორიული ღირებულებისა, მათი სამართლებრივი ძალა არ აღიარებულა არც მათი გაცემის დროს და არც შემდგომ პერიოდში. ეს დოკუმენტები წარმოადგენს ემიგრაციაში მყოფი ქართლის სამეფო კარის პოლიტიკური აქტივობის ერთგვარ გამოხატულებას, რომელსაც რეალური იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია.

დავუბრუნდეთ ბაქარ მეფის მიერ თექთურმანიძეებისთვის გაცემული წყალობის სიგელის იურიდიული და ისტორიული ლეგიტიმაციის საკითხს. დასადგენია, წარმოადგენდა თუ არა ბაქარ მეფის მიერ თექთურმანიძეებისთვის გაცემული წყალობის სიგელი სრულფასოვან დოკუმენტს იმ სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რაც მოქმედებდა მეფის ხელისუფლების პირობებში და შეესაბამებოდა თუ არა იგი იმ ისტორიულ რეალობას, როდესაც ეს საბუთი დაიწერა.

ქართულ სამართალში მეფის მიერ გაცემული წყალობის სიგელი იურიდიულ ძალას ინარჩუნებდა მხოლოდ მისი მეფობის პერიოდში. მეფის გარდაცვალების შემდეგ ადრესატს (სიგელის მფლობელს) სჭირდებოდა ამ საბუთის განახლება ან დამტკიცება შემდგომი მეფის მიერ. თუკი სიონი და გარბანი თექთურმანიძეთა *ნაქონი* იყო (როგორც თავად სიგელში წერია), ბაქარ მეფეს უნდა განეახლებინა ეს წყალობა და არა თავიდან ებოძებინა, რაც ეწინააღმდეგება ქართულ სამართლებრივ ლოგიკას.

ტერმინი *ნაქონი* მიუთითებს მემკვიდრეობით ან ნასყიდობის გზით შეძენილ მფლობელობაზე, თუმცა საბუთში არ არის განმარტებული, იყო თუ არა ეს საკუთრება ნაწყალობევი – მეფისა ან ერისთავის, ნასყიდი, ნამზითვი თუ სხვა გზით მოპოვებული – რაც ართულებს საკუთრების უფლების კანონიერ დასაბუთებას.

1730-იან წლებში, საბუთის შედგენის დროს, ხევი შედიოდა არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში. ამ დროს არაგვის ერისთავი იყო ბარძიმი (ერისთავობდა 1731-1739 წ.წ.), რომელიც ვახტანგთან და ბაქართან დაახლოებული და მათი ერთგული პირი იყო. იგი მცირე ხნით ვახტანგს ახლდა რუსეთში, ხოლო შემდგომ ბაქარის დავალებით დაბრუნდა საქართველოში და კვლავ დაიკავა ერისთავის თანამდებობა. გავლენიანი ერისთავის სამფლობელოში არსებულ მიწაზე მეფის მიერ ბოძების გაცემას თან უნდა ერთვოდეს ერისთავის თანხმობა ან, მინიმუმ, მისი მოხსენიება. არც ბარძიმის თანხმობა და არც მისი მოხსენიება საბუთში არ ფიქსირდება. ეს გარემოება ეწინააღმდეგება როგორც სამართლებრივ პრაქტიკას, ასევე იმდროინდელი იერარქიული მოწყობის წესს. აქედან გამომდინარე, სიგელს იურიდიული ძალა არ ჰქონია ჯერ კიდევ მისი შედგენის მომენტიდან.

სიგელში გამოყენებული ტერმინი *სოფელი* და არა *ნასოფლარი* იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე მოსახლეობა რეალურად არსებობდა. ეს დასტურდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებშიც: 1774 და 1781 წლების ერეკლე II-ის დროინდელი აღწერების მიხედვით, ხევის სოფლები – სიონი და გარბანი – საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული იყო (1774 წელს სიონში დაფიქსირებულია 23 კომლი, ხოლო გარბანში – 11 კომლი). აღნიშნულ აღწერებში გამიჯნულია *სახელმწიფოსა* და *აზნაურთა* საკუთრებაში მყოფი გლეხი *(კერძო პირის საკუთრებაში მყოფი უკლებლივ ყველა ყმა-გლეხი არის მოსული და არა ადგილობრივი, მფლობელები კი არიან არაგვის საერისთავოს აზნაურები – ჩრდილელები და ქუმსიშვილები. საგულისხმოა, რომ ეს აზნაურები მთლიან სოფლებს კი არ ფლობდნენ, არამედ ხსენებულ სოფლებში რამდენიმე კომლ გლეხს).*



ამავე აღწერებში არ გვხვდება არცერთი ყმა-გლეხი, რომელიც თექთურმანიძეთა მფლობელობაში ირიცხება. შესაბამისად, საეჭვოა, რომ ამ გვარს იმ დროისთვის საკუთრებაში ჰქონოდა არა თუ სოფლები, არამედ რაიმე ნაწილი აღნიშნულ სოფლებში. მით უფრო, რომ თექთურმანიძეები სოციალური თვალსაზრისით არ მიეკუთვნებოდნენ აზნაურთა კლასს. მათი ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მათ შეეძლოთ ორ სოფელზე მფლობელობა, მით უმეტეს – იურიდიულად დაკანონებული ფორმით. რაც შეეხება სოფელ თოთს, იგი XVIII საუკუნის ბოლოს ღუდუშაურთა მფლობელობაში ფიქსირდება.

ასევე საგულისხმოა, რომ ბაქარ მეფის მიერ გაცემული წყალობის სიგელის საფუძველზე თექთურმანიძეები შემდგომ პერიოდში არ ჩანან მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ არცერთ სამამულო დავაში. არ იძებნება არცერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მათ ეს სიგელი გამოიყენეს საკუთრების დაცვის ან სამართლებრივი უფლების მოპოვების მიზნით.

საინტერესოა თექთურმანიძეთა მონაწილეობა 1733 წლის[1] *ფიცისა* და *ერთგულების წიგნში*, რომელიც შედგენილია მთიელი თემების – გუდამაყრელთა, თაგაურთა, მოხევეთა და სხვათა მიერ მეფე ვახტანგ VI-ისადმი ერთგულების დასამტკიცებლად. ჩანაწერი მიანიშნებს ამ დოკუმენტის გადამცემი პირების ვინაობაზე: *სულ ერთპირათ შეყრის ამ მოწვევეთ თაყვანისცემა მოგვიხსენებია და თქვენს ერდგულობაზედ დაგვიფიცავს და* ***ეს კაცნი გვიახლებია*** **(იხ. დანართი 7).** ტექსტიდან ირკვევა, რომ მთიელთა თემების წარმომადგენლებს დელეგატებად ოთხი კაცი გაუგზავნიათ, რომელთა ვინაობა ზუსტად არ არის დასახელებული, მაგრამ რომლებიც, როგორც ჩანს, უშუალოდ ჩართულნი იყვნენ ამ მისიის შესრულებაში – მათი მოვალეობა იყო ერთგულების ფიცის ჩატანა მეფის კარზე და ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან მეფისადმი ერთგულების დადასტურება. ამ კონტექსტში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ფიცის წიგნში დასახელებულ პირთა შორის *თექთურმანიძე ცხვირა* და *მამაი*, შესაძლოა, დელეგაციის წევრებადაც განვიხილოთ. მნიშვნელოვანია, რომ მეფე ვახტანგ VI-ის 1732 წლის ზემოთ განხილულ წყალობის სიგელებში პირდაპირ მითითებულია თექთურმანიძეთა ფიზიკური ყოფნა რუსეთში: *მას ჟამსა ოდეს ჩვენ რუსეთს მივედით: შენ ჯარია,* ***თქვენის ქვეყნის კაცთაგან გამოგზავნილი*** *ჩვენს სამსახურზედ მოსკოვს მოხვედით* **(იხ. დანართი 4)** ამავე საბუთის v-ზე კი მიწერილია – *ეს ჴელმწიფეთ წყალობის წიგნი მე ჯარიას მიშოვნია* – რაც მეტ ალბათობას იძლევა, რომ *ფიცისა და ერთგულების წიგნში* დასახელებული თექთურმანიძე ცხვირა და მამაი ამათგან ერთ-ერთი, იგივე ჯარია უნდა იყოს.

აღნიშნული გარემოებები საფუძვლიანად ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ თექთურმანიძეები, ზაალ ჩოფიკაშვილთან ერთად, წარმოადგენდნენ იმ დელეგაციას, რომელმაც მთის თემების ერთგულება მეფის წინაშე დაიფიცა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი გადასცა, რის გამოც მათ სარგებლობაზეც გაიცა შემდგომში წყალობის სიგელები.

საპირისპირო სურათს ვხედავთ სულ ერთი წლის წინ, 1732 წლის 20 იანვარს, შედგენილ *პირობის წიგნში*, მიცემულს ერთობით მთის კაცთა მიერ *ოთარ* და *ბარძიმ ამილახვრისშვილებისადმი*. ამ დოკუმენტში თექთურმანიძეთა გვარი საერთოდ არ ფიგურირებს. საბუთში წარმოდგენილნი არიან ადგილობრივი, არაგვის ერისთავის მფლობელობაში მყოფი მთიელი თავკაცები: ციხისთავები, ნაცვლები და სხვა ავტორიტეტული პირები, რომლებიც თავიანთ ერთგულებას

1 ფიცისა და ერთგულების წიგნებს თარიღი არ აწერია; მათი რუსულენოვანი თარგმანი, რომელიც შესრულებულია რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში, პირველად გამოაქვეყნა ისტორიკოსმა ვახტანგ გამრეკელმა, რომელმაც დაასაბუთა, რომ ეს წერილები 1733 წლის 14 მაისით თარიღდება. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს თარიღი ასახავდეს მხოლოდ მათი რუსულ ენაზე გადმოღების დროს, მაშინ როდესაც ქართული დედნები, დიდი ალბათობით, უფრო ადრეულ პერიოდში უნდა ყოფილიყო შედგენილი.

და ვალდებულებას ადასტურებენ ერისთავ ბარძიმის მიმართ და კონკრეტულ ვალზე თავდებად დადგომის სახით პასუხისმგებლობას იღებენ ოთარ და ბარძიმ ამილახვრისშვილების წინაშე (დსსი. 1940. 233).

აღნიშნულ *პირობის წიგნში* თექთურმანიძეები არ ფიგურირებენ, რაც, მაღალი ალბათობით, მიუთითებს იმაზე, რომ მათ ამ დროს არ გააჩნდათ არც საგვარეულო-პოლიტიკური სტატუსი, არც თემზე გაბატონებული პოზიცია. თექთურმანიძეთა მოუხსენიებლობა 1732 წლის პირობის წიგნში განპირობებული უნდა ყოფილიყო მათი იმდროინდელი დაბალი სოციალური სტატუსით.

## დასკვნა

დოკუმენტური მასალის ანალიზი ცხადად აჩვენებს, რომ *თექთურმანიძეები* ჯერ კიდევ არაგვის ერისთავების მმართველობის ხანიდანვე ცდილობდნენ სოციალური დაწინაურებისა და ეკონომიკური უპირატესობების მოპოვებას საეჭვო დოკუმენტების გამოყენებით. წარმოდგენილი საბუთების კრიტიკული გამოკვლევა აჩვენებს, რომ ეს მცდელობები მიზნად ისახავდა მათთვის პრივილეგირებული სტატუსის და თემში მნიშვნელოვანი პოზიციის მოპოვებას.

ამავე მიზანს ემსახურებოდა ვახტანგ VI-ისა და ბაქარ მეფის სახელით შედგენილი სიგელები, რომელთა მეშვეობით თექთურმანიძეები ცდილობდნენ ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ადგილობრივი სოციალური გავლენის განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, მათი ეს მცდელობები XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდანვე უშედეგო აღმოჩნდა, რაც, სავარაუდოდ, თავადაც გააცნობიერეს.

აღსანიშნავია, რომ არც თეიმურაზ II-ისა და არც ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში მოიპოვება რაიმე მტკიცებულება თექთურმანიძეებისთვის წყალობის ან განსაკუთრებული უფლებრივი სტატუსის მინიჭებაზე. არც ახალი საბუთებია გაცემული მათ სახელზე და არც წინა ეპოქის დოკუმენტაცია განახლებულა ამ მეფეების მმართველობის დროს. მეტიც, XIX საუკუნის დასაწყისში, რუსული ადმინისტრაციული მმართველობის პირობებშიც კი, თექთურმანიძეებს არ წარუდგენიათ თავიანთი ძველი სიგელები სამართლებრივი ლეგიტიმაციისათვის. ეს ფაქტი მიანიშნებს იმას, რომ ისინი რეალურად აფასებდნენ საკუთარ სტატუსს, როგორც იურიდიულად დაუდასტურებელსა და სუსტს.

ვახტანგ და ბაქარ მეფეების სიგელებში მოხსენიებული თექთურმანიძეების იდენტიფიკაცია მოსახლეობის XVIII საუკუნის აღწერების საფუძველზე გვიჩვენებს, რომ სტეფანწმინდაში ეს პირები ფიქსირდებიან არა თექთურმანიძის, არამედ ხეთაგიძის გვარით. კერძოდ, 1774 და 1781 წლების აღწერებში დასახელებულნი არიან: *ივანე ისესშვილი ხეთაგიძე, ანგუსთუყო პაპასშვილი ხეთაგიძე, გულა, ბერა* და სხვანი. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ თექთურმანიძის იდენტობა, როგორც გვაროვნული სახელწოდება, არ დამკვიდრებულა და მათი რეალური სოციალური წარმომავლობა კვლავ ძველ, გვაროვნულ სახელთან – ხეთაგიძე/ხეთაგური – ასოცირდება (შიოლაშვილი. 2017.16.18).

ასევე, XIX საუკუნის დოკუმენტებში – საეკლესიო ჩანაწერებსა და კამერალურ აღწერებში – კვლავ გვხვდება ხეთაგიძის, ხეთაგურიძისა და ხეთაგიშვილის ფორმა, რაც საბოლოოდ ადასტურებს, რომ თექთურმანიძეთა მცდელობა დამოუკიდებელი საგვარეულოს დამკვიდრებისა წარუმატებლად დასრულდა.

განხილული დოკუმენტური მასალისა და ისტორიული კონტექსტის ანალიზი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თექთურმანიძეების ოჯახის შემთხვევაში გვაროვნული იდენტობის ტრანსფორმაცია – ხეთაგიძეთა ხაზიდან თექთურმანიძეობაზე გადასვლა – წარმოადგენდა მიზანმიმართულ მცდელობას, რაც, სავარაუდოდ, უკავშირდებოდა სოციალური სტატუსის გაუმჯობესებისა და თემში პრივილეგირებული პოზიციის მოპოვების სურვილს.

ამგვარი მაგალითები ხევში სრულებითაც არ არის იშვიათი. მაგალითად, ცნობილია ჩოფიკაშვილების საგვარეულოს ერთი განშტოების შემთხვევა, რომლებმაც მოგვიანებით შეიძინეს



ახალი გვაროვნული იდენტობა – ყაზბეგი. ეს სახელი არა მხოლოდ ახალ სოციალურ სტატუსს ასახავდა, არამედ საზოგადოებრივად უფრო მაღალ პოზიციაზე ასწევდა ოჯახს, რომელსაც შემდგომში აზნაურობა და მნიშვნელოვანი ავტორიტეტი მოეპოვებინა.

თექთურმანიძეების საგვარეულო სახელწოდების პირველწყაროს განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს 1439 წლის გერგეტის საყდრისშვილთა საბუთი, დოკუმენტში მკაფიოდ არის აღნიშნული: *სტეფანწმინდით – ხეთაგი...* რაც პირდაპირი მითითებაა იმისა, რომ XV საუკუნეში სტეფანწმინდაში ცხოვრობდა პიროვნება სახელად ხეთაგი.

*ხეთაგის* ამ ფორმით მოხსენიება მიუთითებს გვარის ძველ საცხოვრებელ ადგილზეც – სტეფანწმინდაზე, რაც სრულად თანხვდება თექთურმანიძეების გვარის გეოგრაფიულ ტრადიციას. ამავე დოკუმენტის დათარიღება (1439 წ.) იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ *ხეთაგური/ხეთაგიძეების* საგვარეულო მინიმუმ XV საუკუნის დასაწყისიდანვე არსებობდა ხევში.

თუმცა ჩვენი ვარაუდის გასამყარებლად აუცილებელია დამატებითი დოკუმენტური მასალების მოძიება, რაც ჩვენი შემდგომი სამუშაოს ამოცანას წარმოადგენს.

ერთი გამოკვლევით საკითხის ამოწურულად მიჩნევა შეუძლებელია. საბუთების სრულყოფილი შესწავლისთვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს როგორც მათ მოძიებასა და იდენტიფიცირებას, ასევე სიღრმისეულ ანალიზს – პროცესს, რომელიც დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი დოკუმენტების მხოლოდ ციფრული ვერსიები იქნა გამოყენებული. შესაბამისად, ვერ მოხერხდა საბუთთა ორიგინალების (დედნების) უშუალო გაცნობა. შემდგომი კვლევისთვის აუცილებელია ამ დოკუმენტების პალეოგრაფიული ანალიზი – მათ შორის ხელნაწერთა ასაკის და საწერი მასალის წარმოშობის დადგენა. ეს კვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას საჭიროებს, როგორიცაა ულტრაიისფერი და ინფრაწითელი ფილტრაცია, ასევე მრავალსპექტრული ფოტოგრაფიის მეშვეობით დოკუმენტების იდენტიფიცირება და გაშიფვრა.

## ბიბლიოგრაფია


აკოფაშვილი, გ. (1965). *სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა).* თბილისი.

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* ს. ყაუხჩიშვილის (რედ.), ქართლის ცხოვრება (ტ. IV). თბილისი.

ბატონიშვილი, იოანე. (1997). *შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.* თბილისი.

ბახტაძე, მ. (2005). *არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია (XVI-XVIII საუკუნეები).* თბილისი. *არტანუჯი.*

ბაქრაძე, ა. (1978). *მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის* (ნაწ. I). თბილისი.

ბაქრაძე, ა. (1986). თეიმურაზ I-ის ბეჭდები. *მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია,* (1).

ბერძენიშვილი, ნ. (1965). *Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв.).* საქართველოს ისტორიის საკითხები (წ. II). თბილისი.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები).* თბილისი. *სახელგამი.*

*დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის.* (1940). ბერძენიშვილი, ნ. რედაქციით. (I). თბილისი.

დოლიძე, ი. (1970). *ქართული სამართლის ძეგლები.* ტომი III: საეკლესიო საკანონმდებლო

ძეგლები (XI-XIX სს.). თბილისი.

ეგნატაშვილი, ბ. (1959). *ახალი ქართლის ცხოვრება*. ს. ყაუხჩიშვილის (რედ.), ქართლის ცხოვრება (ტ. II). თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (2005). ეპიზოდები საარაგვოს ისტორიიდან. *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VII*. თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1913). *ისტორიული საბუთები* (წ. II). ტფილისი.

ლომიძე, დ. (2003). *გუდამაყრელთა, მთიულთა, მოხევეთა, თაგაურთა და ქისტთა ფიცისა და ერთგულების წიგნები მეფე ვახტანგ VI-ისადმი,* მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი XX, თბილისი.

მაკალათია, ს. (1934). *ხევი*. ტფილისი.

*პირთა ანოტირებული ლექსიკონი* (პალ). (1991) გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა (ტ. I). თბილისი.

*პირთა ანოტირებული ლექსიკონი* (პალ). (1993). დ. კლდიაშვილისა და მ. სურგულაძის რედ. (ტ. II.) თბილისი.

*ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*. (1897). შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. 2, ტფილისი.

ყაზბეგი, ალ. (1955). *მოთხრობები და რომანები* (რედ. ს. ჩიქოვანი, ტ. II). თბილისი.

შარაშიძე, ქ. (1954). *საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს) – გერგეტის მატიანე*. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 30. თბილისი.

შიოლაშვილი, ნ. (2017). *მასალების ხევის მოსახლეობის ისტორიისათვის (სოფელი სტეფანწმინდა (1774-1918 წწ.).* (წ. I). თბილისი. *უნივერსალი.*

ჯავახიშვილი, ი. (1977). *წინასიტყვაობა ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებისა“.* თხზულებანი (ტ. VIII). თბილისი.

ჯამბურია, გ. (1997). ბაინდურ არაგვის ერისთავი. *ქართული ენციკლოპედია, ტ. I.*

*Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею* (1866). (т. 1). Тифлис.

Иоселиани, П. (1860). *Описание города Душети Тифлисской губернии*. Тифлис.

**საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), საისტორიო ცენტრალური არქივი**

*ფ. 1448, დოკუმენტი: №№ 10, 253, 611, 1546, 1694, 4080,10743*

*ფ. 1449, დოკუმენტი: №№ 268, 761, 762, 2656*

*ფ. 1450, დოკუმენტი: დავთ. 13, დოკ. №82, დავთ. 28, დოკ. №29, დავთ. 38, დოკ. №215*

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

*Ad 1388; Hd №2146; Qd-№1670; Qd-№1671; Qd-№6936; Qd-№7171*

*სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის საბუთთა კოლექცია (სიმ)*

*დოკ. №1043; დოკ. №1042.*

*ნინო შიოლაშვილი*
ისტორიის დოქტორი,
ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

*Nino Shiolashvili*
PhD in History, Associate Professor of the Georgian University.
ORCID-ID: 0000-0003-3527-5920

## დანართი 1-ა

***საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი***

***ფონდი 1448, დოკუმენტი №161 – დედანი***

*1633 წლის 23 ოქტომბერი. ზაალ არაგვის ერისთავის წყალობის სიგელი გაცემულია ალიბეგ, გოჩია და შამხალა თეგთუმანიძეებისადმი.*

*საბუთი დაწერილია თეთრ ქაღალდზე, ყავისფერი მელნით, მარჯვენა კიდე მთლიანად დაზიანებულია. დოკუმენტი რესტავრირებულია, მაგრამ დაზიანებული ადგილები აღარ ირჩევა. სასვენ ნიშნებად გამოყენებულია სამწერტილი, ზოგჯერ ორი წერტილი.*

(r) ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩვენ ...

პატრონმან ზალ და ძმა[მან] [ჩვენმან] გი[ორგი][1] [პა]

ტრონმა რევაზ და მომავალთა ...

წყალობის წიგნი და ნიშანი გობოძეთ

ყმათ ალიბეგს, გოჩიასა .....

პირველ გდებოდათ .....


ვარდაშა შემოგვეხვეწა და შუა .....

ასრე გათარხნეთ, რომე .....

საგ[ა]ნ თქვენ ბაჟი არა გეთხ[ოვებოდესთ] ...

ეს გიბედნიეროს ღმ~თ ჩუენისა

სამსახურშიგან. ქკსა ტკა [1633] , ღუნგი (sic).



1 ეს ორი სიტყვა სტრიქონს ზევით უნდა იყოს ჩაწერილი.


## დანართი 1-ბ

***საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი***

**ფონდი 1449, დოკუმენტი № 762-პირი**

*დოკუმენტი წარმოადგენს ზაალ არაგვის ერისთავის სახელით გაცემული სიგელის პირს, რომელიც შესრულებულია ყავისფერი მელნით ქაღალდზე და იდენტურია ბაინდურ ერისთავის საბუთისა (ფ.1449, დოკ.№ 761) ფორმითა და კალიგრაფიით. ორივე დოკუმენტი, სავარაუდოდ, ერთდროულად არის შესული არქივში. დოკუმენტის დედანი დაცულია ფონდი 1448-ის დოკ. №161-ში, თუმცა მისი ტექსტი საგრძნობლად განსხვავდება პირისგან. სიგელის პირის მარცხენა ქვედა კიდეზე აღბეჭდილია გრაფიკული ბეჭედი წარწერით მეფე თეიმურაზ.*

(r) ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისითა ჩვენ საქართ
ველოს პატრონმან **ზაალ** და ძმამან ჩვენმა
ნ გიორგიმ, პატრონმან რევაზ და მამავალ
მან სახლისა ჩვენისამან ესე წყალობის
წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქვენ ჩვენ
ყმათ **ალიბეგს** და **გოჩიასა, შამხალსა თეგთუ**
**მანიძეთა,** რადგანც პირველ გდებოდათ
ბაზიერ თხუცესობა (sic). ამისთვის ჩვენი ვეზირი ვა
რდაშა შემოგვეხვეწა შუა ჩამოგვივიდა ჩ
ვენც ასე გაგათარხნეთ რომაე (sic) არას
ჩვენის შ~თა (sic) მეპატრონისაგან თქვენ ბა
ჟი არგეთხოებოდესთ(sic) ესე გიბედნიეროსთ ღ
მერთმან ჩვენს ერთგულობასა და სამსახურშ
იგან ქ~ს ტკა ღვინობისთვის კგ, წელსა – დღესა – ს.
„მეფე თეიმურაზ“ – მართკუთხა ბეჭდის ნიმუში.
(v) სხვა ხელით, ყავისფერი მელნით წერია „ილია ალაშვილი“.



## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 2-Ა

**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**


**Qd – № 1670 – დედანი**

*1695 წლის წყალობის წიგნი მიცემული ბაინდურ არაგვის ერისთავის მიერ თეგთურმანიძეებისადმი.*

*დაწერილია თეთრი ფერის ქაღალდზე, ყავისფერი მელნით. სასვენ ნიშნებად გამოყენებულია ორწერტილი.*

(r) ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ **ერისთავმან ბინდურ** (sic) **მდივამბეგმა (sic) პატამ, ოტიამ, ვახტანგ და ბეჟან** თქვენ ჩვენს ერდგულსა და მ<ა>რავალ გვარად თავდადებით ნამსახურსა ყ<ა>მასა **თეგ თურმანიძეს შამახას და** ძმასა შენსა **ალიბეგს და შანშეს,** შვილსა თქვენსა **პატას** და სხვათა მამ[ა]ვალთ სახლისა თქვენისათა ოდეს მოგვადექით დარბაზისა კარსა ჩვენსა და დაგვიჯენით წყალობასა და სითარხნესა და ერ<ა>თს კ<ა>ვამ<ა>ლს კაცს სტეფან წმინდას **ხიკიშვილს**[1] ისევ თქვენს ნაქონს. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ერთგულობასა და მამსახურსა [სამსახურსა – ნ.შ.] ჩვენში (sic) თვინიერ ჯამთა და ხ[ა]ნთა გასათავებელი. ქკს ტპგ.

დასმულია 5 ბეჭედი, რომელის ასე იკითხება – 1. ბაინდურ ერისთავი, 2. მონა მღვთისა პატა, 3. ერისთვიშვილი ოტია, 4. ვახტანგი, 5. ერისთვისშვილი ბეჟან.



1 ხიკიშვილი ჩამატებულია სტრიქონებს შორის, წერია სტეფანწმინდის ზემოთ, იმავე ხელითა და იმავე ფერის მელნით.


## დანართი 2-ბ

***საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი***

**ფონდი 1449, დოკუმენტი #761 – პირი**

*დაწერილია თეთრი ფერის ქაღალდზე ყავისფერი მელნით, ნაწერი და კალიგრაფია კარგად ირჩევა. სასვენ ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ გამოყენებულია თითო წერტილი. #761 და #762 ორივე საბუთი დაწერილია ერთნაირი ხელით, ერთი და იგივე ფერის ქაღალდზე (r) ქ.* ნებითა შეწევნითა ღს~ითა (sic) ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ ერისთავმა **ბინდურ** (sic) მდივანბეგმა პატამ ოტიამა, ვახტანგ და ბეჟან თქვენ ერთგულსა და მრავალ გვარად თავდადებით ნამსახურსა ყმასა **თეგთუმანიძეს შამხალსა** და ძმასა შენსა **ალიბეგს** და **შანშეს** შვილსა თქვენსა **პატასა** და სახვათა (sic) [სხვათა] მამავალთა სახლისა თქვენისათა ოდეს მოგვადეგით დარბაზისა კარსა ჩვენსა დაგვეაჯენით წყალობასა სითარხნისასა და ერთსა კვამლსა კაცსა **ხაიკა შვილსა** სტეფან წმინდასა, ისევ თქვენსა ნაქონს. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ გქონდესთ და გიბედნიეროს გიბედნიეროს(bic) ღმერთმან ერთგულობასა და სამსახურში. ჩვენში თვინიერ ჟამთა და ხანთა გასათავებლათა კს(sic) ტპგ

დასმულია ხუთი მართკუთხა ბეჭდის ნიმუში სადაც წერია 1. **ბინდური** (sic) **პატამა** (sic) **ოტიამ** (sic) **ვახტანგ** (sic) **ბეჟან** (sic).



## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 3


**ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**Qd-#1671-დედანი.**

*1728 წ. ვამიყ არაგვის ერისთავის წყალობის სიგელი თექთურმანიძეებისადმი. სიგელი დაწერილია ქაღალდზე ყავისფერი მელნით. ტექსტში სასვენ ნიშნებად გამოყენებულია ორწერტილი.*

(r) ქ. ... ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი დრო მოუდევარი, სამკვიდრო და საბოლო წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ **არაგვის ერისთვამან** (sic) პატრონმან **ვამიყა** (sic) შვილმან ჩემან პატრონმან **ნუგზარ**, ბიძაშვილმან ჩემან პატრომან (sic) **რევაზ,** ძმისწულმან ჩემან პატრონმან **ეშიკაღთ ბაშმან პაპუამან,** შვილმა ჩემან პატრონმან **მამუკამან** და **დავით,** კიდემ ბიძაშვილმან ჩემან **გაბელ**(sic)**, ბაღთრ** (sic)**, მამუკამა** და **უთრუთ** და **ქაისრომ** (sic) [ქაიხსოროომ] შვილთა მამვალთა (sic) სახლისა ჩვენისთა(sic) შენ ჩვენს ერთგულსა[1] ყმას სტეფამ (sic) წმინდას **თექთურმანი ძეს შამხალას,** შვილსა **ჯარიასა,** ძმასა შენსა **პატასა** (v) **პაპუასა, შალვასა** და **ნასყიდასა** შვილსა შენსა **პაპუასა** შვილთა და **ჭაისა** (?) და **ს<ი>ოლთამბეგს** და **გოჩასა**, **ისესა**[2] და მამ[ა]ვალთა სახლისა თქვენისთა (sic) ასე რომე მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და სითარხნის წყალობას დაგვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ წიგნი ესე სითარხნისა ასე რომე აღ[ა]რ გეთხოვებოდეს ყალანი და სა[ა]ღდგომო ცხვარი, არა შ[ა]ვარდნის ცხვარი, არა ს[ა]კრეფელი, ნაბადი, სხვა არაფერი ჩვენი გამოსაღები ერთის მსახურისა და ლაშქარ ნადირობის მეტი. ჩვენთან არა გეთხოვებოდეს რა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმ~თ ჩვენსა ერდგულობასა და სამს[ა]ხურსა შინა. არა ოდეს არ არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა ჩვენის სახლის კაცთაგან. ვი<ა>ნცა და რამან კაცმან ეს ჩვენგან მოცემული წიგნი და წყალობა მოგიშალოს ისიმც მოიშლების თვისის ყოფა ცხორებაიდაღმე (sic), იმასმცა რისხავს ღმრთი და ყოველნი მისნი წმინდანი, ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან და[ა]მტკიცო[ს] და აკურთხოს ყოველს კეთ[ი]ლსა შინა.

ქკსა უივ [1728 წ.].



1 სიტყვა „ერთგულსა“ ჩამატებულია სტრიქონს ქვემოთ იმავე ხელით.

2 სახელები – **ჭაისა (?) ს<ი>ოლთამბეგს და გოჩასა, ისესა** – ჩამატებულია სტრიქონებს შორის იმავე ხელით.

## დანართი 4 ა

***საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი***

***ფონდი 1448, დოკუმენტი #611- დედანი.***

*[1732 წ.] ვახტანგ VI-ის წყალობის სიგელი თექთურმანიძე შამხალაშვილ პაატას, ჯარიასა და მათი ძმებისადმი მიცემული.*


*დაწერილია თეთრი ფერის ქაღალდზე, ლამაზი კალიგრაფიით, ყავისფერი მელნით, ქანწილი და დასაწყისი ასოები გაფორმებულია სინგურით, საბუთი დაწერილია ვახტანგ VI-ის მდივან-მწიგნობრის მელქისედეგ კავკასიძის ხელით.*

*საბუთი რესტავრირებულია, რის გამოც საბუთის დაწერის თარიღი და სიმტკიცის ნიშნები – ბეჭდები და ხელრთვები – აღარ იკითხება.*

*ამ საბუთის პირს წარმოადგენს ფონდ 1449-ში აღრიცხული დოკუმენტი #268, დოკუმენტის პირის მიხედვით საბუთი დაწერილია 1732 წლის 9 თებერვლით. დედნისა და პირის შედარების შედეგად აღმოჩნდა მცირეოდენი განსხვავება, კერძოდ, დედანში გვარი თექთურმანიძე წერია, ხოლო პირს უწერია – თეგთუმანიძე, სხვა შემთხვევაში ტექსტის შინაარსი ერთი და იგივეა.*

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღ~თისათა: ჩვენ ღ~თივ ამაღლებულ-აღმატებულმან, ღ~თივ დამყარებულმან და ღ~თივ ცხებით ზეცით გვრგვნოსანმან იესეან დავითიან სოლომონიან, პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თჳთ მპყრობელმან, მეფეთ მეფემან პატრონმან ვახტანგ: და თანამეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზ ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან: პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან მეფემ ბაქარ და ბატონიშვილმან ბატრონმან გიორგიმ: ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ: თქვენ ჩვენთა ერთგულთა და მრავალ გვარად გარჯილთა და ნამსახურთ *თექთურმანიძეს შამხალაშვილს პაატასა, ჯარიასა, სულთანბეგსა გოჩისა* და *შალვასა* და *შვილსა შენსა შამხალასა* და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა. მასჟამსა ოდეს ჩვენ რუსეთს მივედით: შენ ჯარია, **თქვენის ქვეყნის კაცთაგან გამოგზავნილი** ჩვენს სამსახურზედ მოსკოვს მოხვედით და აგრევე ჩვენს გამოგზავნილს გზაზე გამვლელ-გამომვლელს კაცებზედ კარგად სადმე ირჯებოდით. ეს ჩვენ მოგვხსენდა და დაგიმადლეთ. ამა თქვენის მრავალ გარჯილობისა და ნამსახურობისა სანუქბოდ მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. შეგიწყალეთ და გიბოძეთ და გაგიჩინეთ წლის ჯამაგირად რომ მოგეცემოდესთ ჩვენის სალაროდამე წელიწადში ოცდა ცამეტი მარჩილი. საცა ვბძანდებოდეთ იქიდამე ყოვლის წლისათჳს სანიადაგოდ მოგცემოდესთ. ესე ასრე გაგითავდესთ და არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთგან. აწე გიბრძანებთ ვექილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისა გამრიგენო ბრძანება ესე ჩვენი, რომელიცა ამა ჩვენგან ნაწყალობევსა ფარმანსა შიგან ეწეროს, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნურარსმც ცულად (sic) ჴელჰყოფღ თჳნიერ თანა დგომისა და შეწევნისა განვიდე. დაიწერა ბრძანება ესე ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კავკასიძის მელიქისადეგისათა, ქრისტეს აქათ...

(v) ქვედა ნაწილში კარგი კალიგრაფიით, ყავისფერი მკრთალი ფერის მელნით მიწერილია – „ეს ჴელმწიფეთ წყალობის წიგნი მე ჯარიას მიშოვნია“.




## დანაართი 4 ბ


***საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი***

ფონდი1449, დოკუმენტი #268. პირი.

1732 წლის 9 თებერვალი. *ვახტანგ VI-ის წყალობის სიგელი თექთურმანიძე შამხალაშვილ პაატას, ჯარიასა და მათი ძმებისადმი მიცემული.*

(r) ქ. ნებითა და შეწევნითა ღ~თისათა, ჩვენ ღ~თივ აღმატებულმან ღ~თივ დამყარებელმან ღ~თივ ცხებით ზეცით გვირგვინოსანმა იესიან[1], დავითიან, სოლომონიან, პანკრატოვიანმან და ყოვლისა საქართველოისა თვით მპყრობელმან მეფეთ მეფემ პატრონმან ვახტანგ და თანა მეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზ ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან პირ~შმან და სასურველმან ძემან ჩვენმან მეფემ ბაქარ და ბატონი შვილმან ბატონმან გიორგიმ, ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი და საბოლოო გამოსადექი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერთგულთა ყმათა და მრავალ გვარად გარჯილთა და ნამსახურთ **თეგთურმანის ძეს შამხალას შვილსა პატასა, ჯარიასა, სულთანბეგსა, გოჩისა და შალვასა, შვილსა შენსა შამხალასა და** ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა მას ჟამსა ოდეს ჩვენ რუსეთს მოვედით, შენ ჯარია, თქვენის ქვეყნის კაცთაგან გამოგზავნილი ჩვენს სამსახურზედ მოსკოვს (v) მოხვედით დაგრეთვე (sic) ჩვენს გამოგზავნილის გზაზე გამვლელს გამოვლელს კაცებზედ კარგათ სადმე ირჯებოდით. ეს ჩვენ მოგვხსენდა, დავიმადლეთ (sic), ამა თქვენის მრავალ გარჯილობისა და ნამსახურობის სანუფქოთ (sic) მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და წყალობასა დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ და გაგიჩინეთ წლის ჯამაგირად, რომ მოგეცემოდესთ ჩვენის სალაროდამე წელიწადში ოცდა ცამეტი მარჩილი საცა ვბრძანდებოდეთ იქიდამ ყოვლის წლისათვის სანიადაგოდ. მოგეცემოდესთ ესე ასრე გაგაითავდესთ (sic) და არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან არცა შ~დ მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ ვექილ ვეზირნო და კარისა ჩვენისა გამრიგენო ბრძანება ესე ჩვენი, რომელიცა ამა ჩვენგან ნაწყალობევსა ამასა ფარვანასა (sic) შიგან ეწეროს თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურა რასმც ცულად (sic) ჴელჰყოფთ თვინიერთანა დგომისა და შეწევნისაგან. კიდე დაიწერა ბრძანება ესე ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან წიგნობრისა (sic) კავკასიძისა მელიქსადეკისათა. ქრისტეს აქათ ჩღლბ. ქკს უკ. ფებერვლის (sic) თ. ვახტანგ. ბაქარ.





1 წერია იკსიან.

## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 5


***სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი***

***დოკუმენტი № 1043. დედანი.***

*1732 წლის 9 თებერვალი. ვახტანგ VI-ის წყალობის წიგნი თექთურმანიძე კურდღელასა და მისი შვილებისადმი მიცემული. დაწერილია თეთრი ფერის ქაღალდზე, ლამაზი კალიგრაფიით, ყავისფერი მელნით, ქანწილი და დასაწყისი ასოები გაფორმებულია სინგურით, საბუთი დაწერილია ვახტანგ VI-ის მდივან-მწიგნობრის მელქისედეგ კავკასიძის ხელით. სასვენ ნიშნებად ნახმარია წერტილი და ორწერტილი. დასმულია ვახტანგ მეფის ხელრთვა და ბაქარის ბეჭედი.*

ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა: ჩვენ ღ~თივ ამაღლებულ-აღმატებულმან, ღ~თივ დამყარებულმან და ღ~თივ ცხებით ზეცით გვრგვნოსანმან იესეან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თვთ მპყრობელმან, მეფეთ მეფემან პატრონმან ვახტანგ და თანა მეცხედრემან ჩვენმან ჩერქეზ ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან მეფემ პატრონმან ბაქარ და ბატონიშვილმან პატრონმან გიორგიმ. ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და მრავალ გვარად გარჯილსა და ნამსახურს ***თექთურმანიძეს (sic) კურდღელასა, შვილსა შენსა იესესა, ბერსა და პაპასა***, *შვილთა თქვენთა* ***ივანესა და ანგვიშტუყოსა*** და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა. მას ჟამსა ოდეს ჩვენ მოსკოვს მოვედით, შენ, *იესე* თქვენისა ქვეყნის კაცთაგან ჩვენს სამსახურზედ რუსეთს მოხვედით გამოგზავნილნი და აგრეთვე ჩვენგან გამოგზავნილს გამვლელ-გამომვლელს კაცებზედ დიდათ ერთგულად ირჯებოდით სადმე. ეს ჩვენ მოგვხსენდა და დაგიმადლეთ. ამა თქვენისა მრავალთა მსახურობისა და გარჯილობის სანუქბოდ მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და ჯამაგირის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. შეგიწყალეთ და გაგიჩინეთ წლის ჯამაგირათ რომ მოგეცემოდესთ ჩვენის სალაროდამე: წელიწადში ოცდაცამეტი მარჩილი. საცა ვბძანდებოდეთ იქიდამე ყოვლის წლივ გეძლეოდესთს სანიადაგოთ. ესე ასე გაგითავდესთ და არ მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთგან. აწე გიბრძანებთ ვექილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისა გამრიგენო რომელიცა ამა ჩვენგამ ნაწყალობევსა ფარმანსა შიგან ეწეროს, თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურარასმც ცულად ჴელჰყოფთ. თჳნიერ თანადგომისა და შეწევნისა განვიდე. დაიწერა ბრძანება ესე ჩვენი ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კავკასიძის მელიქისადეგისასა, ქრისტეს აქეთ ჩღლბ (1732 წ.) ქ~კნს უ~კ (sic) ფებერვლის თ.

ხელის მოწერა ხვეულად: ვახტანგ, დასმულია ბაქარის ბეჭედი.



## ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 6

***სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი***


*დოკუმენტი №1042. დედანი.*

*1734 წლის 23 სექტემბერი. ბაქარ მეფის წყალობის სიგელი მიცემული იესესა და პაპა თექთურ-მანიძეებისადმი.*

*დაწერილია თეთი ფერის ქაღალდზე, ყავისფერი მელნით. სასვენ ნიშნებად გამოყენებულია თითო წერტილი და ორწერტილი. დაწერილია ვახტანგ და ბაქარ მეფეების მდივნის მელქისედეგ კავკასიძის ხელით. საბუთს დასმული აქვს ბაქარის ბეჭედი.*

ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა: ჩვენ ღვთივ ამაღლებულ აღმატებულმან და ღთ~ივ ცხებით ზეცით გვრგვნოსანმან იესეან დავითიან სოლომონიან პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თვით მპყრობელმან მეფეთ მეფემ პატრონმან ბაქარ და თანამეცხედრემან ჩვენმან არაგვს ერისთვს ასულმან ბატონმან ხანუმ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ლევან და რ[1] ალექსანდრემ[2] შენ *თექთურმანიძე იესესა* და პაპას ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი **წყალობის წიგნი** გიბოძეთ ასე რომე, ჟამთა ვითარებისაგან ჩვენ რუსეთს ვიყავით[3] და შენ იესე ჩვენს სამსახურზედ ბევრს ირჯებოდი. ამა შენისა ნამსახურობისა სანუქბოდ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ **შენი ნაქონი** სოფელი სიონი და გარბანი[4] და თუ ააშენო თოთიცა. თქვენთვს და შვილთა თქვენთათვს გვიბოძებია ყოველის კაცის უცილებლად მათის მთითა, ბარითა, საჴნავ-სათეს-სათიბითა და სამართლიანის[5] სამძღვრითა. ესე ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩვენგა (sic) და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა მოსაქმენო, ბრძანება ესე[6] ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. დაიწერა ბრძანება ესე კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის კავკასიძის მელქისადეგისათა წელსა ჩღლდ სეკდემბრის კგ.

ბეჭედი – *მეფე ბაქარი.*



1 ასო რ არ არის გადაშლილი, გამოტოვებულია ადგილი. თითქოს დამწერს სურდა სახელის დაწერა.

2 ალექსანდრემ – სახელის ბოლოს თავზე წერია თითქოს 20 რიცხვი.

3 აქაც იგივე რიცხვი (20) წერია რაც წინა, სიტყვის თავზე.

4 იგივე რიცხვი (20) წერია.

5 იგივე რიცხვი (20) წერია.

6 იგივე რიცხვი (20) წერია.

## დანაართი 7

***გუდამაყრელთა, მთიულთა, მოხევეთა, თაგაურთა და ქისტთა ფიცისა და ერთგულების წიგნები მეფე ვახტანგ VI-ისადმი***

1733 წ.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴემწიფის ჭირი მოსცეთ სულ მოჴევეთ: ზაალ ჩოფიკასშვილს +, **თექთურმანიძეს ცხვირას +, თექთუ[რ]მანიძეს მამაის** +, ღუდუშაურს პაპას +, ზარიბეგს და იას ++, ვარძუკასშვილს გივს +, ახალციხეს, ბუჩუკურს + და ცისკარაშვილს პაპუას +, კარკუჩას დუდუღას +, ართხმოს ჴევსურს კურდღელას და გელას არაბულებს ++, გერგეტს ბეწიკას სუჯაშვილს +, ფაშეტს ჩონიაიძეს გიას +, არშას ბაზალის აფციაურს +, სულიაურს პაპუას +, გაიბოტენს ხულელიძეს პაპუას +, და ხულელიძე პაპუას(bic) +, გარბანს გელიაიძებს: თუთას და ჯუნას ++, სიონს გახაისშვილს გუგუას, დავითასშვილს გიას ++, ტყარშეტს ბუსიურს ლომიტას, ჯავრიანიძეს ივანეს ++, გორისციხეს ჩქარიულს აღულას +, ავშაჯანიშვილს გიორგის +, ელოშვილს თამაზას +, ფხელშეს ზურაბასშვილს ჯუნიას +, ჴურთის[ს] ჩოჩოშვილს გელიტას, ბაკვიძე პაპს ++, ყანობს კობიაშვილს ნოდარს +, აღიაშვილს ალი მირზას +, მნას უძილას +, ჩიტიშვილს ელადის, ნოქარიშვილს ელისბარს +. ქ. ცდოს ვაშნიაშვილს ჯანიყოს +, გველეთელს ოზისშვილს ავჩას + და კოდიკისშვილს საგს +, ქუთისშვილს ანგუთიყოს +.

ქ. სულ ერთპირათ შეყრის ამ მოჴევეთ თაყვანისცემა მოგვიხსენებია და თქვენს ერდგულობაზედ დაგვიფიცავს და ეს კაცნი გვიახლებია. ჩვენს სიტყვას ეს კაცნი მოგახსენებენ და ეს რევაზისშვილი დემეტრე მოგახსენებს.



# ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი – არაგვის ერისთავთა რეზიდენცია

## აბსტრაქტი


სტატიაში განხილულია *ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი,* რომელიც საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე უფრო კარგად შემონახული ძეგლია. იგი ძირითადად XV-XVIII საუკუნეებში არის შექმნილი.

ანანური მთიულეთში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), არაგვის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, *შეუპოვრად* წოდებული მთის თხემზე მდებარეობს. იგი ერთ დროს *არაგვის ერისთავთა* მძლავრი საგვარეულო ციხე-სიმაგრე გახლდათ, მისი არსებობის უკანასკნელ ხანებში კი მათი რეზიდენცია იყო. მტრის შემოსევებისას ის ერისთავთა უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდა, ანანურის მთავარი ტაძარი კი – მათ მთავარ სალოცავს და ერთ-ერთ საგვარეულო საძვალეს.

ანანური სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილას აშენდა – მასთან თავს იყრიდა ქართლის შუაგულიდან, დუშეთზე გავლით, კავკასიისკენ თუ მთიულეთისკენ, და პირუკუ, იქიდან მცხეთა-თბილისისკენ მიმავალი მთავარი გზები. აქედანაც ცხადია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ანანური მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ციხე-სიმაგრე მცირედ დაქანებულ ფერდზეა განლაგებული. ის გარშემორტყმულია ცილინდრული და ოთხკუთხა კოშკებითა და ნიშებით გაწყობილი მძლავრი გალავნით, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ყორე და თლილი ქვებითაა ნაგები. მთების ფონზე, ოდნავ დამრეც ფერდობზე, შორიდანვე იპყრობს ყურადღებას ლამაზად მოხაზული, არცთუ ძალიან მაღალი, ოდნავ დაქანებული, ქონგურებიანი გალავნის დენადი კონტური, საიდანაც მკაფიო სილუეტით ამოიმართება სხვადასხვა ნაგებობა და, პირველ რიგში მთავარი, *ღმრთისმშობლის მიძინების* სახელობაზე აგებული, დიდი, ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი.

ყველაზე უფრო ადრე, XV საუკუნეში, ანანურის კომპლექსის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, სადაზვერვო კოშკი აღიმართა, რომელიც მოგვიანებით ციტადელის ცენტრში, ეკლესიებს შორის, მოექცა. ანანურის ანსამბლში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დასავლეთი გალავნის შუა ნაწილში მდგომი მთავარი კოშკი, ციხის *დონჟონი – „შეუპოვარი”*. ეს შვიდსართულიანი, თავისი მასშტაბით და გეგმარებით გამორჩეული, კოშკი ერთ-ერთი უდიდესი და ღირსშესანიშნავია საქართველოში.

კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მცირე, გუმბათიანი *ღვთაების* ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, მთავარ ტაძარზე ცოტა ხნით ადრე – 1650-1660-იან წლებში უნდა იყოს აგებული.

ანსამბლის დომინანტი, გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ძეგლთა შორის ერთი ყველაზე ცნობილი და თვალსაჩინო, ანანურის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიაა. მას თავისი სიდიდითა და ფასადების მორთვის სიუხვით გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს. მის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ იმდროინდელი ქვის გუმბათური ეკლესია ბევრი არ მოგვეპოვება, და ისიც, რომ ძეგლი სამშენებლო წარწერით ზუსტად არის დათარიღებული (1689 წ.).

ტაძრის ლაპიდარული წარწერა მეტად მრავლისმეტყველი და საგულისხმო შინაარსის შემცველია. წარწერის მნიშვნელობას ზრდის ქართული შუა საუკუნეების ეპიგრაფიკისათვის იშვიათი „დეტალიზაცია": წარწერის მიხედვით დგინდება როგორც ტაძრის ამგების (შემწირველის) ვინაობა – არაგვის ერისთავის შვილი, *მდივანბეგი (მსაჯულთუხუცესი) ბარძიმი,* ისე მისი ხუროთმოძღვრის თუ სარქრის (ზედამხედველის) – *ბოქაულთუხუცესის, ქაიხოსრო ბაღსარაშვილის* სახელი.

თავდაცვითი მნიშვნელობა ანანურმა მხოლოდ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, XIX საუკუნეში დაკარგა. ამიერიდან საქართველოს სამხედრო გზის პირას განლაგებული ციხე უპირატესად მასზე მიმომსვლელთა, მათ შორის მოგზაურთა, მწერალთა, პოეტთა და მხატვართა ყურადღებას თუ მიიპყრობდა.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნების ისტორია; ისტორია; არქიტექტურა; კედლის მხატვრობა; შუა საუკუნეების ქანდაკება; არაგვის საერისთავო.

## ANANURI – THE RESIDENCE OF THE ARAGVI ERISTAVIS

## ABSTRACT

The article addresses Ananuri Castle, located on top of a mountain commonly known as Sheupovari (*Fearless*), situated on the right bank of the river in the Aragvi Gorge, in the Dusheti district, Mtiuleti, approximately 66 kilometers north of Tbilisi. Originally a major stronghold of the *Aragvi Eristavis* (governors), the castle later served as their residence in the final years of its active use, with Dusheti functioning as the *capital* of the principality. Ananuri clearly served as a refuge for the *Eristavis* during invasions, while its principal church was both their main shrine and one of the family's burial sites.

The architectural ensemble at Ananuri is one of the most accomplished and best-preserved late feudal sites in Georgia. Constructed between the 15th and 18th centuries in a strategically important location, it stood at the junction of roads connecting the heart of Kartli, via Dusheti, to the Caucasus and Mtiuleti-and conversely, from the latter to Mtskheta and Tbilisi. As such, Ananuri played an active role in the political processes unfolding in this region of the country.

Set on a gentle slope, the castle is enclosed by a sturdy wall built of rubble and ashlar masonry, reinforced with cylindrical and rectangular towers and niches. Rising above the modestly high, beautifully contoured sloping wall – capped with battlements – are various structures, most notably the large cross-domed Church of the Assumption, which is silhouetted against the background of the mountains and draws the eye even from a distance.

The earliest structure erected at Ananuri in the 15th century was an observation tower, which later came to mark the central area of the complex and was eventually surrounded by churches.

The most noteworthy tower is *Sheupovari*, which stands out at the center of the west wall and houses the dungeon. This seven-storey structure, notable for its scale and design, is one of the largest and most impressive towers in Georgia.

In the western part of the castle stands the small domed Church of *Ghvtaeba*, which was likely built slightly earlier than the main church, around 1650-1660.

The ensemble is dominated by the Church of the Assumption, one of the most renowned and significant Georgian churches of the late Middle Ages. Due to its size and richly decorated façade, it holds a distinguished place in the history of Georgian religious architecture. Its importance is further enhanced by the fact that it is one of the few stone-domed churches of the period and that it can be precisely dated by a building inscription from 1689.

The lapidary inscription on the church is therefore both highly notable and informative. Its significance is amplified by the level of detail it contains, which is atypical for medieval Georgian epigraphy. The inscription identifies both the donor of the church – Chief Judge Bardzim, son of the Aragvi Eristavi – and the architect or building supervisor, *Bokaultukhutsesi* (chief of the police) Kaikhosro Baghsarashvili.

It was only in the 19th century, after Georgia became part of the Russian Empire, that Ananuri lost its defensive function. From that time on, the castle – situated along Georgia's Military Highway – was noticed primarily by those traveling the road: explorers, writers, poets and artists.

**Keywords:** Art History; History; Architecture; Wall Painting; Medieval Sculpture; Duchy of Aragvi.

## შესავალი

სტატია მიმოიხილავს არაგვის ერისთავთა რეზიდენციას ანანურში, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც არაგვის ერისთავთა ისტორიისა და მათი მოღვაწეობის საკვლევად, ასევე, როგორც გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების, ქანდაკებისა და კედლის მხატვრობის გამორჩეული ძეგლი.

ანანური მთიულეთში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), არაგვის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე *შეუპოვრად* წოდებული მთის თხემზე მდებარეობს. იგი ერთ დროს არაგვის ერისთავთა მძლავრი საგვარეულო ციხე-სიმაგრე გახლდათ, მისი არსებობის უკანასკნელ ხანებში კი მათი რეზიდენციაც იყო. მტრის შემოსევებისას ის ერისთავთა უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდა, ანანურის მთავარი ტაძარი კი – მათ მთავარ სალოცავს და ერთ-ერთ საგვარეულო საძვალეს (სურ. 1).

ანანური სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილას აშენდა. ცხადია, იგი ჩართული იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სახელწოდება – *არაგვის ერისთავი* (თუ *ერისთავთ-ერისთავი*) XIII საუკუნიდან ჩნდება. პირველად ამ წოდებას *შაბურისძეთა* გვარი ფლობდა, XVI საუკუნეში კი მათ სახელმწიფოებრივ თანამდებობასა და ადგილ-მამულს ვინმე *ვანათელი აზნაური* დაეპატრონა. სწორედ მის ჩამომავალთა ხელში მიაღწია არაგვის საერისთავომ განსაკუთრებულ ძლიერებას. ეს XVII საუკუნეში მოხდა, როდესაც *ნუგზარ, ზურაბ და ზაალ ერისთავები* ფშავ-ხევსურეთსაც წაეტანნენ და ერწო-თიანეთიც მიიერთეს; ანანურის ციხის უმთავრესი ნაგებობანიც: საკულტო, საფორტიფიკაციო და საერო ხასიათის შენობები, ამავე საუკუნეს ეკუთვნის.

ანანურის ანსამბლი ძველად შორიდან ხედვის სხვა წერტილიდან ჩნდებოდა, ვინაიდან დღევანდელი გზა ჟინვალის საგუბარის გამო მაღლა, მთის ფერდობზე, ანუ აღმოსავლეთიდან დასავლეთით არის გადმოტანილი. ისტორიული ე.წ. სამხედრო გზა კი არაგვის მარჯვენა მხარეს გადიოდა. ამდენად, ანსამბლის მთლიანი, მომხიბვლელი სურათი, დაგეგმარებაცა და კომპოზიციაც, ამის შესაბამისად სწორედ ქვემოდან, ხეობიდან იკითხებოდა (სურ. 2).

ანანურსა და მის ტაძარს საქართველოს საკრალურ ისტორიაშიც ჰქონია წილი. ამის დასტურია, თუნდაც, *გობრონ საბინინის* მიერ მოპოვებული ერთი გადმოცემაც. მის მიხედვით, *წმ. კონსტანტინეს* მიერ წმ. მეფე *მირიანისადმი* ძღვნად ბოძებული, ჯვრად შექმნილი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ოქროში შეჭედილი *ნაწილი ჯუარისა, რომელსა ზედა დამსჭუალვილ იყვნეს ფერხნი სამეუფოსანი* ბიზანტიის იმპერატორმა, *ჰერაკლიოსმა* 629 წელს უკან წააბრძანა, ხოლო *შემდგომ რაოდენისამე დროსა წმ. ნაწილი ესე დაბრუნებულ იყო კუალად საქართველოს, რომელიც იქმნა დასვენებული ანანურის ეკლესიაში ფრთხილობისათვის, რათა არ იქმნას დაკარგულ* (საბინინი, 1882:95). წმიდა ტერფსადგამის ჯვარი დაკარგულა *გიორგი XIII-ს* მეფობის ხანაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე ცნობაც იმის შესახებ, რომ ანანურის ღმრთისმშობლის ტაძარში ძნელბედობის ჟამს სამი წელი ინახებოდა *სვეტიცხოვლიდან გახიზნული წმ. ნინოს ჯვარი* (ნატროშვილი, 1900:130).

## კვლევის მეთოდები

არაგვის ერისთავთა რეზიდენციის – ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსის კვლევისას მნიშვნელოვანია *ინტერდისციპლინური* კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ხელოვნებათმცოდნეობის, ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ეპიგრაფიკის დისციპლინათა სინთეზს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება *სახელოვნებათმცოდნეო მიდგომას* – ძეგლთა კომპარატივისტულ შესწავლასა და მხატვრულ-სტილურ ანალიზს. კვლევა, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მისდევს როგორც ქართული, ისე საერთაშორისო სახელოვნებათმცოდნეო სკოლის პრაქტიკას; ეს გულისხმობს: ძეგლის შესწავლას, დათარიღებას კომპარატივისტული მეთოდით, არქიტექტურული ძეგლების იკონოგრაფიული მეთოდით კვლევას, ფიგურულ და ორნამენტულ გამოსახულებათა სტილურ და იკონოლოგიურ ანალიზს. კვლევის მეთოდები გულისხმობს აგრეთვე სავალე სამუშაოებს, ადგილზე ძეგლის დეტალურ შესწავლას.

## შედეგები და მსჯელობა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილულია ანანურის ციხის ხუროთმოძვრული კომპლექსის სტრატეგიული მდებარეობა, ანსამბლში შემავალი ნაგებობები, მათი შემამკობელი რელიეფური ქანდაკება და კედლის მხატვრობა. სტატიაში საუბარია არაგვის ერისთავთა გამორჩეულ წარმომადგენელზე, ანანურის მიძინების ტაძრის ქტიტორზე, *ბარძიმ არაგვის ერისთავზე*. კვლევა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს არაგვის ერისთავთა როლი გვიანი ხანის საქართველოს ისტორიაში და მათი ღვაწლი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. განსაკუთრებით გამოწვლილვითაა შესწავლილი ანანურის მიძინების ეკლესიის, ეპოქის სტილის ნიშნით აღბეჭდილი საფასადო სკულპტურის პროგრამა, მისი იკონოგრაფიული და იკონოლოგიური თავისებურება და მრავალფეროვნება.

ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსი საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი საუკეთესო და ყველაზე უფრო კარგად შემონახული ძეგლია. იგი ძირითადად XV-XVIII საუკუნეებში არის შექმნილი. ანანურის ციხე-სიმაგრე მცირედ დაქანებულ ფერდზეა განლაგებული. ის გარშემორტყმულია ცილინდრული და ოთხკუთხა კოშკებითა და ნიშებით გაწყობილი მძლავრი გალავნით, რომელიც XVII საუკუნის პირველ ნახევარში ყორე და თლილი ქვებითაა ნაგები. (სურ. 3). მთების ფონზე, ოდნავ დამრეც ფერდობზე, შორიდანვე იპყრობს ყურადღებას ლამაზად მოხაზული, ოდნავ დაქანებული, ქონგურებიანი გალავნის დენადი კონტური, საიდანაც მკაფიო სილუეტით ამოიმართება სხვადასხვა ნაგებობა და პირველ რიგში, მთავარი, ღმრთისმშობლის მიძინების სახელობაზე ნაგები, დიდი, ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი. ანანურის კომპლექსში შესასვლელი კარიბჭე სამხრეთით, ნატეხი ქვითა და აგურით ნაგებ, ოთხსართულიან, ქონგურებიან კვადრატულ კოშკშია მოწყობილი და ამით შესასვლელიც საგანგებოდაა გამაგრებული. კომპლექსის შემადგენლობაშია ასევე: სამრეკლო, წყარო, წყალსაცავი, მიწის სიღრმეში მოწყობილი სათავსი. მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, კლდის განაპირას შექმნილ მოედანზე, ანსამბლის სილუეტს მოხდენილად ასრულებს ტაძრის თანადროულად ნაგები პატარა და კოხტა რვასვეტიანი ფანჩატურის მქონე, მოყვითალო ქვით ამოყვანილი სამრეკლო. სამრეკლოს ქვეშ ნატეხი ქვით ნაგები, შედარებით ძველი დარბაზული ეკლესია – ე.წ. *მკურნალი (წმ. პანტელეიმონ მკურნალის* სახელობის) არის მოქცეული (სურ. 4).

ყველაზე უფრო ადრე ანანურის კომპლექსის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, XV საუკუნეში, სადაზვერვო კოშკი აღიმართა, რომელიც მოგვიანებით ციტადელის ცენტრში, ეკლესიებს შორის მოექცა. ანანურის ანსამბლში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დასავლეთი გალავნის შუა ნაწილში მდგომი მთავარი კოშკი, ციხის *დონჟონი* – *„შეუპოვარი“*. ეს შვიდსართულიანი, თავისი მასშტაბით და გეგმარებით გამორჩეული კოშკი ერთ-ერთი უდიდესი და ღირსშესანიშნავია საქართველოში.

კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს მცირე, გუმბათიანი *ღვთაების* ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, მთავარ ტაძარზე ცოტა ხნით ადრე – 1650-1660-იან წლებში უნდა იყოს აგებული (სურ. 5). კრამიტით დახურული ტაძარი ფერდზე დგას ისე, რომ მისი დასავლეთი კედელი სანახევროდ მიწაშია ჩაფლული. ტაძრის ფასადებს ცხოველხატულ იერს სძენს აქ გამოყენებული ორგვარი მასალა – დაუმუშავებელი ნატეხი ქვა და აგური. გარედან ეკლესია სრულიად მოურთავია. შიგნით რამდენადმე მთლიანობას მოკლებული, დაქუცმაცებული, ტლანქად ნაწყობი კედლებით მოფარგლულ ინტერიერში თვალს მოულოდნელად ხვდება *ედიშერ მდივანბეგის* საფლავის შეუსაბამოდ დიდი *ბალდაქინი* (*გუმბაზი*). ბალდაქინს სამი მხრიდან თან შემოსდევს საკმაოდ ვრცელი მხედრული წარწერა, რომლის მიხედვითაც *ოთხი სვეტი ესე გუმბაზი აუგია ანახანუმ აბაშიძის ასულს* 1674 წელს თავისი მეუღლის, სრულიად საქართველოს *მდივანბეგ ედიშერისათვის*. იქვე ვკითხულობთ, რომ ედიშერი იყო დისწული ვახტანგ მეფისა

(იგულისხმება *ვახტანგ V შაჰნავაზი*) და ძმა *ოთარ* ერისთავისა (სურ. 6). ამგვარად, ბალდაქინის წარწერის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ანანურის *ღვთაების* ეკლესია ბალდაქინის აგებამდე საკმაო ხნით ადრე უნდა იყოს აშენებული, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ანახანუმი თავის ვრცელ წარწერაში *ამგებლის ღვაწლს* უცილობლად მოიხსენიებდა. `გუმბაზი შიგნიდან მოხატულია, იგი, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეშია გადაწერილი (სურ. 7). მხატვრობის პროგრამა ბალდაქინის ფუნქციის შესატყვისად და, ცხადია, საგანგებოდ მისთვის არის შექმნილი. აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძს განკითხვის ჟამის მოლოდინისა და საუკუნო ცხოვნების იმედის მძაფრი განცდა მსჭვალავს: კამარის აღმოსავლეთ ფერდზე, ახალი აღთქმის სამებაა უზარმაზარ წითელ *მანდორლაში* გამოსახული; დასავლეთით – ღმრთისმშობლის მიძინება; მის ქვემოთ, ამოშენებულ კედელზე, განკითხვის დღე იყო წარმოდგენილი (კვაჭატაძე, ჯანჯალია, 2012:46).

ანსამბლის დომინანტი, გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ძეგლთა შორის ერთი ყველაზე ცნობილი და თვალსაჩინო, ანანურის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიაა. მას თავისი სიდიდითა და ფასადების მორთვის სიუხვით გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საკულტო ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უჭირავს. მის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ იმდროინდელი ქვის გუმბათური ეკლესია ბევრი არ მოგვეპოვება, და ისიც, რომ ძეგლი სამშენებლო წარწერით ზუსტად არის დათარიღებული (1689 წ.).

ტაძრის ლაპიდარული წარწერა სამხრეთ ფასადზე მეტად მრავლისმეტყველია და საგულისხმო შინაარსს შეიცავს. წარწერის მნიშვნელობას ზრდის ქართული შუა საუკუნეების ეპიგრაფიკისათვის იშვიათად დამახასიათებელი *დეტალიზაცია*: წარწერა გვატყობინებს როგორც ტაძრის ამგების (შემწირველის) ვინაობას – არაგვის ერისთავის შვილი, მდივანბეგი (მსაჯულთუხუცესი) ბარძიმი, – ისე მისი ხუროთმოძღვრის თუ სარქრის (ზედამხედველის) – ბოქაულთუხუცესის, ქაიხოსრო ბაღსარაშვილის სახელს. 1688 წელს შაჰმა *გიორგი XI* ურჩობისათვის გადააყენა და ქართლში *ერეკლე I* (*ნაზარალი-ხანი* 1688-1703 წ.წ.) დანიშნა. იგი გამეფებისთანავე, 1688 წელს, *ოთარ* არაგვის ერისთავსა და ამავე წელსვე ერისთავად დადგენილ გიორგის ძმას, *ბარძიმს*, მსაჯულთუხუცესობას უბოძებს. ანანურის მაშენებელი ბარძიმი მაინც გიორგი მეფის ერთგული *(ზურგის შემწე)* რჩება თავის ძმასთან ერთად. გიორგი მეფის მიერ ერეკლე I-ს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ბარძიმიც აქტიურად ერთვება, რასაც შეეწირება კიდეც. ბარძიმს ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს: *ხოლო ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი და არა რაიდ ვინმე ჩნდა და უმეტეს კახნი* (ბატონიშვილი ვახუშტი, 1913:62). იმ ხანებში განსაკუთრებით გააქტიურებული კათოლიკე მისიონერები თავიანთ წერილებში (რელაციებში) მდივანბეგ ბარძიმს ქრისტიანობისთვის მებრძოლ, მეფის შემდეგ პირველ პირად წარმოადგენენ (თამარაშვილი, 1902:275). ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს ქართველთა გაკათოლიკებისთვის აქტიურად მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა ცნობა, რომელიც გვატყობინებს, თითქოს, 1690 წელს ბარძიმმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. საამისო საბუთი, ვითომც ის წერილებია, სადაც ბარძიმი პაპს მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვს. ბარძიმის ღვთისმოსაობა, გარდა ანანურის სულის მოსახსენიებელი ვრცელი წარწერისა, იქიდანაც ჩანს, რომ 1689 წლის საბუთის მიხედვით, ბარძიმი ყოველწლიურად, იანვრის თვეში, შესაწირს უძღვნის დავით გარეჯის მონასტერს.

ჯვარ-გუმბათოვანი, მოქვიშისფრო-მონაცრისფრო თლილი ქვის პერანგით შემოსილი ღმრთისმშობლის ეკლესია საკმაოდ დიდია. ქვის დამუშავება და წყობა ნამდვილი ოსტატის ხელს ამჟღავნებს. ტაძრის შიდა სივრცე თავისუფალი და დაუტვირთავია. ეკლესიის ინტერიერში კედლები ქვაყორითაა ნაშენი, აქა-იქ აგურიც (ე.წ. *ქართული აგური*) არის გამოყენებული. კედლების უმეტესი ნაწილი შელესილია. თავდაპირველად, ტაძარი ლორფინებით – ქვის ფილებით იყო გადახურული, დღეს კი სახურავი თუნუქისაა. ძველი ლორფინები ჯვრების, ჩიტების, მთავარანგელოზთა რელიეფური გამოსახულებებით იყო დეკორატიულად შემკული. მათგან დღეს მხოლოდ შ. ამირანაშვილის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ქვის ფონდში დაცული ანანურის დიდი ტაძრის *არწივისა* და *მთავარანგელოზის* გამოსახულებიანი ლორფინებია შემორჩენილი.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტურაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ანანურის საფასადო ქანდაკებაც (სურ. 8). იგი ქართული მონუმენტური სკულპტურის დიდი ხნით, XI საუკუნიდან, მივიწყებული ტრადიციების აღდგენა-აღორძინებასა და გვიანი შუა საუკუნეების ქართველ მოქანდაკეთა შემოქმედებით უნარსა და სახითმეტყველებით ცოდნასაც ცხადყოფს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მაშინდელი მხატვრული შემოქმედების არაერთი ნიმუშის არაერთგვაროვანი სტილური ნიშნების და ელემენტების (მაირანიზებელი, გვიანბიზანტიური, რუსულ-ევროპული) ურთიერთშემსჭვალვა წინარე ხანებთან შედარებით ერთგვარ დაქვეითებას, ზოგან კი მატერიალური შეძლებისა და ოსტატობის ნაკლებობას უნდა მივაწეროთ.

საგულისხმოა და ისლამთან მუდმივი დაპირისპირების ეპოქისათვის, ნიშანდობლივიც, ანანურის ეკლესიის სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე მხატვრულ-იდეური სახის საფუძველთა საფუძველის, ფასადთა ერთიანად განმსჭვალავი, ვეება, ქართული ტაძრების ფასადებზე მანამდე არნახული მასშტაბის მქონე, ჯვრების გამოსახვა. სწორედ ამ ტრიუმფალურ-ესქატოლოგიური ნიშნით აღბეჭდილი ჯვრების მკლავებქვეშ *„იშლება“* ტაძრის საფასადო პროგრამის, ძველი თუ ახალი აღთქმის სახეებით გაჯერებული რელიეფური დეკორის უმთავრესი იდეა.

სამხრეთი ფასადის ცენტრში მაღალი რელიეფითაა გამოკვეთილი, თითქოს „სივრცეში აზიდული”, გველეშაპების დამთრგუნველი გრანდიოზული ჯვარი (სურ. 9). ქერობინთა, მთავარანგელოზთა და ანგელოზთა თანხლებით გამოსახული, იგი კოსმოსის ღერძიცაა და გარდაუვალი მეორედ მოსვლის ერთგვარი მაუწყებელიც.

ვერტიკალურ, ხაზგასმულ მახვილ აქცენტებს ქმნის ფასადზე სამოთხის ბაღის განმასახოვნებელი, ჯვრის განივ მკლავთა ქვეშ ჩამოგრძელებული, ნაყოფითა და ცხოველებით დახუნძლული, ვაზს მიმსგავსებული სიცოცხლის ხეები, რომელთა ნაყოფს შეექცევიან ტოტებზე წამომსხდარი სამოთხის ცხოველები და ფრინველები. ხეების ძირში მაღალი რელიეფით ნაქანდაკარი *წმ. მიქაელ და წმ. გაბრიელ მთავარანგელოზთა* ფიგურებია წარმოდგენილი.

მთავარანგელოზთა ორსავ მხარეს, სარკმელთა თავზე ჯვრისკენ პირშექცეული, სიმეტრიულად ნაჩვენები *მიჯაჭვული, მოთვინიერებული* ბოროტი ძალის განმასახიერებელი *ლომების* იდენტური *ფიგურებია.*

უფლის მეორედ მოვლინების იდეას ეხმიანება ამავე ფასადის ფრონტონში ნაჩვენები *წმ. ნიკოლოზის* რელიეფური ხატი (სურ. 10), ისევე, როგორც სამხრეთისავე ფასადის მარცხენა არეზე მდიდრულად მორთული კარის შეისრული ტიმპანის სამოთხის ბაღის მცენარეულ ორნამენტებში *ჩაქსოვილი*, ანგელოზთაგან უფლის დიდების სცენა (სურ. 11). ჩვენში დიდ იშვიათობას წარმოადგენს და თითქმის არ გვხვდება *წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი* (მაგ. თბილისის სურბ ნიშანი). ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ერთი საგულისხმო ფაქტიც – ანანურის ტაძრის მაშენებელი ბარძიმ ერისთავის რომის პაპისადმი მიწერილი (1690 წ.) წერილი, სადაც იგი პაპს დახმარებას შესთხოვს: *გვიხსენ ჩვენ წარწყმედისაგან, ვითარცა იხსნა მორწმუნე ერი, ანუ ვითარცა მირელმა ნიკოლოზმა სამი უმანკო ყმაწვილი სიკვდილისაგან* (თამარაშვილი, 1902:282). ვფიქრობ, ტაძრის მაშენებლის მიერ წმ. ნიკოლოზის ზუსტად ამ კონტექსტში მოხსენიება, გარკვეულწილად, ქტიტორის ამ წმინდანისადმი გამორჩეულ სიყვარულზე უნდა მეტყველებდეს, რასაც სავსებით შესაძლებელია, ტაძრის სკულპტურული დეკორით გამშვენების დროსაც ეთამაშა თავისებური როლი.

მეორედ მოსვლის თემას უკავშირდება ჩრდილოეთი ფასადის კარის შეისრული ტიმპანის ანგელოზთა მიერ მანდორლით მოსილი *გოლგოთის ჯვრის ამაღლების* მოწითალო-შინდისფრით დაფერილი კომპოზიციაც.

დასავლეთი ფასადი სამხრეთის ერთგვარი ტავტოლოგიური გამეორებაა, რაც წამყვანი იდეის ხაზგასმის სურვილით უნდა იყოს ნაკარნახევი; დასავლეთი ფასადის განსაკუთრებული სამკაული კი – სამოთხის ხის ქვეშ გამოკვეთილი, ზეციური დედოფლის სახით წარმოდგენილი, ჩვი-

ლედი გვირგვინოსანი ღმრთისმშობლის გამოსახულებაა. იგი ქართულ სახვით ხელოვნებაში უიშვიათესი სახით – ფეხმორთხმითაა გადმოცემული (სურ. 12).

ტაძრის მხატვრობა სივრცის ცალკეულ მონაკვეთებს ამკობს. ჩრდილოეთ კედელზე საკურთხევლისკენ მიქცეული *წმ. მხედრების* რიგი იყო წარმოდგენილი; სამხრეთით *განკითხვის დღის* ფრაგმენტული გამოსახულებაა (სურ. 13). სამხრეთი ბურჯი მთელი ტანით გადმოცემულ წმინდანთა ფიგურების ორ რეგისტრს უკავია. ჩრდილოეთ ბურჯზე *თორმეტი წმ. ასურელი მამის* მუხლსზემოთა ფიგურა სამ რეგისტრადაა განთავსებული; განმარტებითი წარწერები მხედრულია. ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული ნიშნების შერწყმა ძალზე უცნაურ შედეგს განაპირობებს. ანანურში მთელი სამართლმადიდებლოს მომცველი პოსტბიზანტიური მხატვრობის გამოცდილებაც ჩანს და უარქაულესი შრეების შემცველი, XVI საუკუნის საქართველოში გავრცელებული, *ხალხური* მხატვრობისაც. ყველაზე მოულოდნელი კი ზოგადი შთაბეჭდილებაა: უკიდურესი პირობითობის ზღვარზე მდგომი გამოსახულებები თითქოს კლასიკური ხანის ქართულ მხატვრობას უფრო ჰგავს, ვიდრე მეტ-ნაკლებად თანადროულ ნიმუშებს (კვაჭატაძე, ჯანჯალია, 2012: 111).

## დასკვნები

ამგვარად, კვლევამ აჩვენა, რომ გამოღვიძებული შემოქმედებითი ძალების მზარდი აღმავლობის ეპოქაში, სადაც ხელოვნების ნიმუშები *მოზღვავებით* იქმნება და ძველის აღორძინებაც სურთ, სრულებით კანონზომიერად ჩნდება დიდი ხნით მივიწყებული ქვის მონუმენტური საფასადო სკულპტურის *აღორძინებაც*, რომელიც ყველაზე თვალნათლივ გვიანი შუა საუკუნეების ქართული ძეგლებიდან ბარძიმ არაგვის ერისთავის მიერ აგებულ ანანურის ტაძრის ქვაზე კვეთილობაში *ამოტივტივდა*.

კვლევის საფუძველზე განისაზღვრა, რომ შუა საუკუნეების ცნობიერებაში ახალი დროის ნიშნების შეჟონვის რთული და არაერთგვაროვანი პროცესის ერთ-ერთი მაგალითი ანანურის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის მოხატულობაცაა, რომელიც ეკლესიის აგებიდან მალევე უნდა იყოს შესრულებული. მკაფიო თავისთავადობით გამორჩეული ეს მხატვრობა, რომელსაც XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ხატწერასა და მინიატიურებში ეძებნება პარალელები, გვიანი შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს წარმოადგენს.

დაბოლოს, სათავდაცვო მნიშვნელობა ანანურმა მხოლოდ საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, XIX საუკუნეში დაკარგა. ამიერიდან საქართველოს სამხედრო (მაშინ რომ იტყოდნენ, *სარუსეთო*) გზის პირას განლაგებული ციხე უპირატესად მასზე მიმომსვლელთა, მათ შორის: მოგზაურთა, მწერალთა, პოეტთა თუ მხატვართა ყურადღებას იპყრობდა.

საუკუნოვანი ისტორიის ჟამთა სიავეს გადარჩენილი ანანურის თვალწარმტაცი ანსამბლი ახლაც ძველებურად ხიბლავს თავის მრავალრიცხოვან მნახველს.

## ბიბლიოგრაფია


ბატონიშვილი ვახუშტი. (1913). *საქართველოს ცხოვრება* (1469-1800 წლამდე),*მ. ჯიჯინაძის გამოცემა*. თბილისი.

ბერიძე, ვ. (1994). *XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება*, თბილისი.

თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*. ტფილისი.

კვაჭატაძე, ე. ჯანჯალია, მ. (2012). *ანანური*. თბილისი: სეზანი.

საბინინი, გ. (მიხაილ). (1882). *საქართველოს სამოთხე*. პეტერბურგი.

Натроевъ, А. (1900). *Мцхетъ и его кафедральный соборъ Свети-Цховели*. Тифлисъ.



*ეკატერინე კვაჭატაძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი.

*Ekaterine Kvachatadze*
PhD in History of Art,
Senior Researcher, Giorgi Chubinashvili National Research Centre
for Georgian Art History and Heritage Preservation
ORCID-ID: 0009-0003-2213-7059



სურ. 1. ანანურის კომპლექსი – ხედი სამხრეთიდან



სურ. 2. ანანურის კომპლექსი – ფოტო დიმიტრი ერმაკოვის არქივიდან. სებ





სურ. 3. ანანურის კომპლექსი – ციხე – ხედი დასავლეთიდან



სურ. 5. ანანურის კომპლექსი – *ღვთაების* ეკლესია






სურ. 6. ანანურის კომპლექსი – *ღვთაების* ეკლესია – ინტერიერი. ბალდაქინი



სურ. 7. ანანურის კომპლექსი – ანანურის *ღვთაების* ეკლესია – ინტერიერი. ბალდაქინის მოხატულობის ფრაგმენტი



სურ. 8. ანანურის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია – სამხრეთი ფასადი





სურ. 9. ანანურის კომპლექსი – ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია – სამხრეთი ფასადი. ფრაგმენტი



სურ.10. ანანურის კომპლექსი – ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია. წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი



სურ.11. ანანურის კომპლექსი – ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია – სამხრეთი ფასადი. ტიმპანის კომპოზიცია *უფლის დიდება*





სურ. 12. ანანურის კომპლექსი – ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია – დასავლეთი ფასადი. *ღმრთისმშობელი ყრმით*



სურ.13. ანანურის კომპლექსი – ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია – ინტერიერი, სამხრეთი კედლის მოხატულობა, *განკითხვის დღე*



# ასურელ მამათა გამოსახულებები ანანურის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობაში

## აბსტრაქტი

ასურელ მამათა გამოსახულებები VII საუკუნიდან მოყოლებული, გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მათ ვხვდებით ქვაზე კვეთილობის, მონუმენტური და მინიატურული მხატვრობის, ხატწერისა და ნაქარგობის ძეგლებში. XVII საუკუნემდე ისინი გამოისახებიან ან გათითოებულად, ან მათი საძმოს ერთ ან რამდენიმე წევრთან ერთად და მხოლოდ XVII საუკუნის *ანანურის ღვთისმშობლის ტაძრის კედლის მხატვრობაში გვაქვს ასურელი მამების თითქმის სრული, თორმეტფიგურიანი ჯგუფური პორტრეტი.* მათი გამოსახულებები ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგარ გუმბათქვეშა ოქტაგონალურ ბურჯზეა მოცემული ისე, როგორც ფრესკული ხატები.

ხატებივითაა ნახატი ტაძრის ინტერიერში ამავე პერიოდის სხვა გამოსახულებებიც: *დღე განკითხვისა* (სამხრეთ კედელზე), *წმ. მხედრები* (ჩრდილოეთ კედელზე) და *ფეხზე მდგარი წმ. მეომრები* (სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯზე), რომლებიც დიდი ზომის ტაძრის ინტერიერში ერთმანეთისგან საკმაო მანძილითაა დაცილებული.

ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ ესაა მხატვრობის სრული ციკლის ნარჩენი ფრაგმენტები, მაგრამ, როგორც ირკვევა, მათი ასეთი მდებარეობა თავიდანვე იყო ჩაფიქრებული.

ანანურის ტაძრის მხატვრობის მსგავსია XVII საუკუნის შუა წლებში შექმნილი *ერთაწმინდისა* და *სამთავისის* ტაძრების ფრესკული მოხატულობებიც, რომლებიც კედლების მხოლოდ ცალკეულ მონაკვეთებზეა მოთავსებული, რაც ნათელს ხდის, რომ მოხატულობის ზოგადი კომპოზიციური სქემის ამგვარი *ფრაგმენტულობა* არის არა ინდივიდუალური მიდგომის შედეგი, არამედ ეპოქალური ნიშანი, რაც დამახასიათებელია დიდი გუმბათიანი ტაძრების ფრესკული დეკორისთვის.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ერთაწმინდისა და სამთავისის ფრესკულ წარწერებში ქართულთან ერთად გვხვდება არაბულენოვანიც, რის ანალოგებს ვხვდებით XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობისა და ხატწერის რიგ ძეგლებშიც *(სვეტიცხოვლის,სამთავისისა და ხონის მოხატულობები, ურბნისისა და თბილისის მამადავითის ეკლესიების ხატები),* რაც ასაბუთებს, რომ ამ პერიოდის საქართველოში გაახლებულ-გაცხოველებულა წმინდა მიწასთან ურთიერთობები.

ამის დამადასტურებელია ერთი მხრივ წერილობითი წყაროები, ხოლო მეორე მხრივ მატერიალური კულტურისა და კერძოდ, საეკლესიო მხატვრობის ძეგლები, რომლის ერთ ნაწილში, და პირველყოვლისა ანანურის მხატვრობაში, სახეზეა *აღმოსავლეთქრისტიანული,* ე.წ. *მელქიტური ხელოვნების გავლენები.*

**საკვანძო სიტყვები:** ასურელი მამები; ქართული ქრისტიანული მხატვრობა; ანანურის ტაძარი; მელქიტური ხელოვნება; საქართველო – წმინდა მიწა XVII საუკუნეში.

# IMAGES OF THE HOLY ASSYRIAN FATHERS IN THE ANANURI WALL PAINTINGS

## ABSTRACT

Depictions of the Assyrian Fathers, from the 7th century through the late Middle Ages, can be found across nearly all branches of Georgian ecclesiastical art – works of stone carving, monumental and miniature painting, iconography and embroidery.

Before the 17th century, the Assyrian Fathers were depicted either individually or alongside one or several members of their brotherhood. It is only in the 17th-century wall paintings of the Church of the Assumption of the Virgin Mary at Ananuri that we find an almost complete group portrait of the Assyrian Fathers, featuring twelve figures. Their images are placed on the octagonal pillar beneath the dome in the northeastern part of the church and are presented in the manner of fresco icons.

Other images from the same period within the church interior are also painted in an icon-like manner – such as the Last Judgment (on the south wall), the holy horsemen (on the north wall), and the standing warrior saints (on the southeast pillar). These depictions are spaced at significant distances from one another within the interior of the large church.

At first glance, it gives the impression that these are surviving fragments of a once-complete decorative cycle; however, it turns out that their placement was intentional from the beginning.

Similar to the mural paintings of the Ananuri church are the frescoes of the churches of Svetitskhoveli, Ertatsminda and Samtavisi, created in the mid-17th century. These paintings are limited to specific sections of the walls, clearly indicating that the fragmentary nature of the overall compositional scheme was not the result of individual artistic choice, but rather a characteristic of the period. This approach is typical of wall painting in large domed churches during the late Middle Ages.

It is also noteworthy that in the fresco inscriptions of the churches of Ertatsminda and Samtavisi, Arabic appears alongside Georgian. Similar cases are found in several monuments of 17th-century Georgian monumental painting and iconography: the mural decorations of Svetitskhoveli, Ertatsminda, Samtavisi and Khoni; icons from the churches of Mamadaviti in Tbilisi, Svetitskhoveli, and Urbnisi; and also the series of festal icons from Shiomgvime Monastery. This provides evidence that during this period, Georgia had renewed and intensified its ties with the Holy Land.

This claim is supported both by written sources and, more significantly, by monuments of material culture – particularly examples of ecclesiastical painting – some of which, most notably the murals at Ananuri, exhibit clear influences of Eastern Christian, so-called Melkite artistic traditions.

**Keywords:** Assyrian Holy Fathers; Georgian Christian painting; Church of Ananuri; Melkit's art; Georgia and Holy Land in the 17th century.



## შესავალი

VI საუკუნის დასაწყისი უმნიშვნელოვანესი ეტაპია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, ვინაიდან 509-510 წლებში, ასურეთიდან ჩამოსახლებულმა სირიელმა ბერ-მონაზვნებმა, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარეს სამონასტრო ცხოვრებას აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მათ შემოიკრიბეს ადგილობრივი, ქართველი მოსაგრეებიც (ალექსიძე, 2019, გვ. 114-115)[1].

ასურელ მამათა მოღვაწეობის შესახებ მრავლადაა წერილობითი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა (ალექსიძე, 2019, გვ. 259-275). მათი *ცხორების* უძველეს წყაროდ დღესდღეობით ჩანს სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის კოლექციაში ორმოცი წლის წინ აღმოჩენილი X საუკუნის დასაწყისის ქართული ხელნაწერი – ისტორიული და ჰაგიოგრაფიული კრებული (Sina/GEO.№ 50), რომლის შემადგენლობაშია ***მოქცევაჲ ქართლისაჲ, საქმენი წმიდისა იოვანე ზედაზნელისანი*** და ***ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა აბიბოჱ ნეკრესელ ქალაქისა ებისკოპოზისა*** (ალექსიძე, 2019, გვ. 7; ახალი აღმოჩენები.., 2005, გვ. 283-284). მნიშვნელოვანია, რომ ამ ხელნაწერში შემავალი ასურელ მამათადმი მიძღვნილი ტექსტები გაცილებით ადრეულია, ვიდრე თვით კრებული – მიჩნეულია, რომ მათში აშკარად ჩანს უძველესი, VI-VII საუკუნეების შრეები (ალექსიძე, იქვე).

ამ ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება ასურელ მამათა წინამძღოლის, იოანე ზედაზნელის (იგივე შუამდინარელის) გამოსახულებაც ზედაზნის მონასტერში, რომელიც ზოგადად, ქართველ ეროვნულ წმინდანთა გამოსახულებების რიგის სათავეშია მოქცეული (დადიანი, კვაჭატაძე, ხუდაძე, 2017, გვ. 258, სურ. 487). ეს არის საფლავის ქვაზე[2] აღბეჭდილი, ფაქტობრივად, ეროვნულ წმინდანთა გამოსახულებებს შორის ყველაზე ადრეული, გამოსახულება, თუმცა, ფილაზე გამოსახულ სასულიერო პირთაგან არც ერთს არ აქვს შარავანდი, რაც მოწმობს, რომ მათგან არც ერთი არ ყოფილა იმხანად წმინდანად შერაცხული. ქვის ფილაზე ამოკვეთილია ***უფლის ამაღლების*** სცენა, რამდენიმე *სასულიერო პირი* და მათ წინაშე *მუხლმოყრილი ქტიტორი*. თ. ხუნდაძის შეხედულებით, კომპოზიციის შინაარსი ლიტურგიულია და ასახავს მსახურების იმ ნაწილს, რომლის დროსაც მოიხსენიება გარდაცვლილი სასულიერო პირი (იქვე, გვ. 258). ფილა დამზადებულია ზედაზნის მონასტრისთვის, სადაც თავდაპირველად დაფუძნდნენ ასურეთიდან ჩამოსული სასულიერო მოღვაწენი, რომელთა სავანის პირველი წინამძღვარი სწორედ ღირსი მამა იოანე შუამდინარელი (იგივე ზედაზნელი)[3] იყო.

ამის შემდგომ, ასურელ მამათა გამოსახულებები განსხვავებული სიხშირით გვხვდება ქართული ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მათგან, პირველყოვლისა, აღსანიშნავია წმ. იოანეს ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფის, დავით გარეჯელის უადრესი გამოსახულებები მის მიერვე დაარსებულ დავითგარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსში. გარეჯის ლავრის, უდაბნოსა და ბერთუბნის გამოქვაბულ ეკლესიებსა და სატრაპეზოების X-XI საუკუნეების მოხატულობებში იგი სხვადასხვა იკონოგრაფიითაა

1 როგორც ცნობილია, ასურელ მამათა წარმომავლობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მკვლევართა ერთ ნაწილს (დ. ჩუბუნაშვილი, მ. ჯანაშვილი, ა. ქუთათელაძე, დ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე) ისინი ანტიოქიაში მოღვაწე ქართველებად მიაჩნდა, ხოლო მეორე (ვახუშტი ბატონიშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. კელენჯერიძე, გ. ფერაძე. დ. მერკვილაძე, ზ. ალექსიძე) თვლიდა, რომ ისინი სირიელი ბერები იყვნენ და საგანგებო მისიით ეწვივნენ ჩვენს ქვეყანას რათა უცხო, შორეულ ადგილას ედიდებინათ ღმერთი და დაენერგათ სამონასტრო ცხოვრების წესი (მერკვილაძე, 2006, გვ. 159-179; ალექსიძე, 2019, გვ. 79-89).

2 ა. ვოლსკაიას აზრით ქვის ფილა წარმოადგენდა კანკელის ნაწილს (Вольская, 1979, გვ. 91-106).

3 ქვა ინახება გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში. იგი 1991 წელს, თბილისის ომის დროს ამ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრის შედეგად ფრაგმენტებადაა დაშლილი. მისი ძველი ასლი (თ. თოდუას მიერ შესრულებული 1970-იან წლებში), ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში, მისგან 2011 წელს პ. გიგაურის მიერ დამზადებული პირი კი – ზედაზნის ტაძარში.

ნაჩვენები – ზოგან ცალკე დგას რეპრეზენტაციულ პოზაში, ზოგან კი მისი ცხოვრების ამსახველი ცალკეული სცენებისა თუ ვრცელი ციკლების მთავარ მოქმედ პირადაა წარმოდგენილი (სხირტლაძე, 2002, გვ. 28-49).

ასურელ მამათა გამოსახულებები მრავლადაა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში, ხატწერაში, ქვის რელიეფებში და ხელნაწერთა დასურათების ძეგლებში. მათ შორის აღსანიშნავია შიომღვიმის XI საუკუნის კანკელის ფილა, რომელზეც წმ. შიოს ცხოვრების ეპიზოდებია ნაჩვენები (დადიანი, კვაჭატაძე, ხუდაძე, 2017, გვ. 258, სურ. 487), XII, XIII საუკუნეების ყინწვისის, უდაბნოს ხარების ეკლესიისა და ახტალის ტაძრის მოხატულობები (დიდებულიძე, 2002, გვ. 88, 92; ბულია, ჯანჯალია, 2017, გვ. 197), სინას მთის XIV საუკუნის მრავალკარედი ფერწერული ხატი[1] (Burchuladze, 2023, გვ. 205-206), XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერების (ლიტურგიკული კრებული H – 2077, ე. წ. ხატოვანი კალენდარი S – 4978, ქართველ წმინდანთა ცხორებების შემცველი კრებული S – 3269) მინიატურები და ა.შ. (ბურჭულაძე, 2024, გვ. 390-394; სხირტლაძე, 2023, გვ. 469-471, 472, 477, 479, 482).

მათგან განსხვავებით, ანანურის მონასტრის მთავარი ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობაში თორმეტი ასურელი მამა ერთადაა წარმოდგენილი. ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთის ბურჯის აღმოსავლეთის მხრის წახნაგებზეა გამოსახული და თან ისე, რომ თითოეულის პორტრეტი წითელი ზოლებით ინდივიდუალურადაა მოჩარჩოებული, რის გამოც ისინი გამოიყურებიან როგორც ფრესკული ხატები.

სწორედ ამ ფრესკულ ხატებსა და ზოგადად, ანანურის მოხატულობას, ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი, რომელიც გაფართოებული ვერსიაა ჩემს მიერ ამ თემაზე გამოქვეყნებული ერთი ადრეული პუბლიკაციის (ბურჭულაძე, 2007, გვ. 134-138).

## კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი კვლევის მეთოდი, რომელიც ამ შემთხვევაში გულისხმობს ანანურის ასურელ მამათა გამოსახულებებისა და ზოგადად, ამ მეტად საინტერესო მხატვრობის კომპლექსურად, ხელოვნებათმცოდნეობით, პალეოგრაფიულ და ისტორიულ კონტექსტში შესწავლას მხატვრობის ბოლოდროინდელი რესტავრაციის მონაცემების გათვალისწინებით.

## კვლევის შედეგები

ასურელ მამათა პორტრეტების იკონოგარფიულ-სტილურ, პალეოგრაფიულ და ისტორიულ კონტექსტში შესწავლის შედეგად, ნათლად ჩანს, რომ ისინი XVII საუკუნეშია შექმნილი. მათი თანადროულია ტაძრის ინტერიერის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის წახნაგებზე არსებული *დღე განკითხვისას* და *წმ. მეომართა* გამოსახულებებიც, რომლებიც წმ. მამათა პორტრეტების მსგავსად, გამოიყურებიან როგორც დიდი ზომის ფრესკული ხატები. მათ პარალელებად ქართული დაზგური, მინიატურული და მონუმენტური მხატვრობის ისეთი ძეგლები იკვეთება, როგორებიცაა *შიომღვიმის ფერწერული ხატები, გარეჯის ლავრის კანკელის მოხატულობა, ანჩისხატისა* და *ყანჩაეთის ჯამნ-გულანების მინიატურები, ერთაწმინდისა* და *სამთავისის ფრესკები* და სხვ. მათგან რამდენიმეს შესრულების დრო ზუსტადაა ცნობილი, რაც მნიშვნელოვან მასალას იძლევა ანანურის მხატვრობის XVII საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებისთვის.

1 ამ, მხოლოდ ქართულწარწერებიან, მრავალკარედ ხატზე წარმოდგენილ წმინდანთა შორის შემორჩენილია საქართველოს ეკლესიის რვა წმინდანის პორტრეტი. ესენია: პეტრე იბერი, დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, ილარიონ ქართველი; ათონელი მამები: იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, და *დ-ი ქართველი* (?). მათთან ერთად იყო გამოსახული კიდევ ერთი ქართველი წმინდანი – კონსტანტინე *კ-ი*, რომლის გამოსახულებიანი ჩამოტეხილი დაფის ნაწილისგან მხოლოდ პ. უსპენსკის მიერ გაკეთებული გრაფიკული ჩანახატია შემორჩენილი (ბურჭულაძე, 2019, გვ. 116-118).

## მსჯელობა

ტაძარი, რომელშიც ასურელ მამათა ჯგუფური პორტრეტი შემოინახა, ანანურის ციხის ტერიტორიაზეა აღმართული. არაგვის ერისთავთა მიერ XV საუკუნეში სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას, ე.წ. სამხედრო გზაზე, დაფუძნებული გალავნით, კოშკებით, ორი ეკლესიით, წყლის რეზერვუარითა და ქვედა ციხესთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურით წარმოდგენილი კომპლექსი საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდა, როგორც გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში, პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით, განსაკუთრებული აქტიურობით ცნობილ დიდ ფეოდალთა *თავდაცვის, ლოცვის* და *დაკრძალვის ადგილი* (ბერიძე, 2014, გვ. 442).

ციხე-სიმაგრის მთავარი ნაწილის *(ზემო ციხე)* არც თუ დიდ ტერიტორიაზე, ორი, *ღვთაებისა* და *ღვთისმშობლის* ეკლესიებია აღმართული. მათგან უფრო დიდი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და სამხრეთ ფასადზე, კარის მიმდებარედ, მხედრულით ნაწერი ვრცელი ლაპიდარული წარწერა აქვს, რომელშიც ქტიტორისა და მშენებლობის მეთვალყურის ვინაობა და სამშენებლო სამუშაოების დასრულების თარიღია მოცემული. ამის მიხედვით, ტაძარი XVII საუკუნის ბოლოს აუგია *არაგვის ერისთავის შვილ (ერისთვიშვილ) მდივანბეგ (მსაჯულთუხუცეს) ბარძიმს*[1], რომელსაც სამუშაოების ხელმძღვანელად დაუნიშნია *ბოქაულთუხუცესი ქაიხოსრო ბაღსარაშვილი*. ტექსტში მოცემულია მშენებლობის დასრულების ზუსტი დროც – 1689 წელი (ზაქარაია, 1953, გვ. 10-11). აქვე უნდა ითქვას, რომ ბარძიმს დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა გიორგი XI-ის კარზე, რაც კარგად ჩანს კათოლიკე მისიონერების მიერ რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილებში. ამ წერილებში ***არაგვის ერისთავის შვილი ბარძიმ მეფის შემდეგ პირველ კაცად*** მოიხსენიება (საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზა, 2022). კახეთის შემოსამტკიცებლად, ერეკლე I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეფის ლაშქარს ბარძიმი სარდლობდა (ვახუშტი, 1973: 468).

ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი გამოირჩევა ზომით, გეგმით და შიგა სივრცის მოწყობა-განათებით. ის გვიანი შუა საუკუნეების ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობაა. მაღალი გუმბათი საკურთხევლის კედლებსა და ორ მძლავრ ბურჯს ეყრდნობა და რადგან საკურთხეველის აფსიდს არა აქვს ბემა, მკვეთრად გადაწეულია აღმოსავლეთ მხარეს. მისი დასავლეთი მკლავი სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებზე გაცილებით გრძელი და ღრმაა და შედარებით ნაკლებადაა განათებული, ვინაიდან მასზე გარედან მჭიდროდ მიდგმული კოშკის გამო არა აქვს არც კარი და არც სარკმელი. ტაძარი ნათდება გუმბათის თექვსმეტი, საკურთხევლის ერთი, სამხრეთი მკლავის ორი და ჩრდილოეთი მკლავის სამი სარკმლით (ბერიძე 2014, გვ. 443). მისი აღმოსავლეთი ნაწილი კარგადაა განათებული. სწორედ ეს ფაქტორი უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ტაძარში მხატვრობა სწორედ სივრცის ამ ნაწილშია კონცენტრირებული (სურ. 1, 2, 2-ა), მითუმეტეს, რომ ამ ნაწილს ებმის, სიმბოლურ-ლიტურგიული თვალსაზრისით, სივრცის უმთავრესი, საკრალური ადგილი – საკურთხევლის აფსიდი.

ტაძრის მხატვრობას რესტავრაცია 2002 წელს, რესტავრატორ მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით ჩაუტარდა. მისმა ჯგუფმა ოქტომბერ-ნოემბერის განმავლობაში იმუშავა ძეგლზე და კირხსნარის შელესილობის რამდენიმე ფენის მოხსნის შემდეგ ჩრდილოეთ კედელზე, და-

1 არაგვის ერისთავთა საგვარეულო შტოში ცნობილია XVIII საუკუნეში მცხოვრები და აქტიურად მოღვაწე სხვა ბარძიმ ერისთავიც, რომელიც ანანურის ციხის მაშენებლისგან განსხვავებით უფრო მაღალი სოციალური წოდების წარმომადგენელი იყო. იგი 1735-1739 წლებში ფლობდა არაგვის ერისთავის ტიტულს, აქტიურად მონაწილეობდა იმხანად ქართლის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და იყო საქართველოს მეფე გიორგი XI-ის მხარდამჭერი (კაჭარავა, 2024, გვ. 43).

ახლოებით 6 კვ. მ-ის ფართობზე, მხატვრობის ერთი, იქამდე უცნობი ნაწილი გამოავლინა[1] (სურ. 3.). იმ დრომდე მხატვრობა ჩანდა მხოლოდ სამხრეთ სარკმლის ქვემოთ, კედლის ქვედა მონაკვეთზე, სადაც *განკითხვის დღის* სცენაა წარმოდგენილი (სურ. 4.) და გუმბათქვეშა რვაწახნაგა ბურჯების საკურთხეველის მხარეს მიმართულ 4-4 წახნაგზე, სადაც წმ. მეომართა და ასურელ მამათა პორტრეტებია განთავსებული[2]. მხატვრობის გაწმენდის შემდეგ უკეთ გამოჩნდა გამოსახულებები და მხედრულით შესრულებული მათი განმარტებითი წარწერებიც. გაირკვა, რომ სამხრეთ ბურჯზე, ორ რიგად, მთელი ტანით, წმ. მეომრები – არტემი, პროკოფი, ნიკიტა და მინა *(ზედა რიგში),* ევღრაფოსი, ერმოგენე, ტვირიფონი და ნიკიფორეა წარმოდგენილი *(ქვედა რიგში),* ხოლო ჩრდილოეთ ბურჯზე სამ რეგისტრში ოთხ-ოთხი წმ. მამის ნახევარფიგურაა მოთავსებული (სურ. 5, 6). **ზედა რეგისტრში მარცხნიდან მარჯვნივ** მოჩანან: *პიროს ბრეთელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტომყოფელი და შიო მღვიმელი*; **შუა რიგში** – *იოსებ ალავერდელი, იოანე ზედაზნელი, თათე მამებელი და მიქაელ ულუმბოელი*; **ქვემოთ** – *ისიდორე სამთავნელი, დავით გარეჯელი, ისე წილკნელი და სტეფანე ხირსელი.*

აღსანიშნავია, რომ ასურელ მამათა ეს შემადგენლობა გვიანი პერიოდის ჰაგიოგრაფიაში ჩამოყალიბდა, უკვე ნახსენებ ადრეულ *სინურ კრებულში კი წმ. იოანეს* მიმდევართა შორის არიან: *შიო, დავით, იოსებ, ზენონ, თევდოსიოს, ეზდერიოზ, სოლომოზ, თათა, პრობოზ, ვათა, პიმენ* და *ნათანი* (ალექსიძე, 2019, გვ. 113).

რაც შეეხება სამი ცხენოსნის გამოსახულებით ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში აღმოჩენილ ფრიზს, ის თავსა და ბოლოში ნაკლულია და ფერწერის ფენაც მნიშვნელოვნადაა გადახეხილი. ამასთან, როგორც ირკვევა, ფრიზის ქვედა წითელი ზოლი არ არის თანადროული. იგი ისეა გატარებული, რომ მოჭრილია კომპოზიციის ქვედა მონაკვეთი, სადაც მხატვრობა ადრევე ყოფილა წარხოცილი. ამაზე მიუთითებს კომპოზიციის ზედა მხარეს დართული ჩარჩოს თავდაპირველი ფართო ზოლის სპეციფიკური დეკორი, რის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

სამწუხაროდ, სრულიად გამქრალია ფრიზის წარწერები, რაც ართულებს წმინდანთა იდენტიფიკაციას, რომელთაგან მხოლოდ შუა მხედარია შედარებით უკეთ შემორჩენილი.

იგი წითელ ცხენზეა ამხედრებული და შუბი დამიზნებული აქვს, დიდი ალბათობით, გველეშაპისთვის, ან, გვიანი შუა საუკუნეების იკონოგრაფიის მიხედვით – კალოიანისთვის, რომელიც წმ. დიმიტრი თესალონიკელის ცხორების XIII საუკუნის ტექსტის მიხედვითაა ცნობილი[3]. წითელი ცხენის, უწვერულობისა და ტალღოვანი ვარცხნილობის გამო, ამ მხედარს წმ. დიმიტრისთან აიგივებენ რესტავრატორებიც (გაგოშიძე, ბუჩუკური, 2002, გვ. 152). მათივე თქმით, მის წინ გამოსახული უნდა ყოფილიყო წმ. გიორგი *(ცხენის სითეთრისა და წითელი მოსასხამის ნარჩენების მიხედვით),* უკან კი, სავარაუდოდ, წმ. თევდორე იქნებოდა დახატული.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ თავიდან ფრიზში შესაძლოა ჩართული ყოფილიყო სხვა მხედართა გამოსახულებებიც, რისთვისაც ჩრდილოეთ კედელზე საკმაოდ დიდი ადგილია დარჩენილი. შესაძლოა, როგორც მიღებული იყო XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებში, ფრიზის აღმოსავლეთ მხარეს გამოსახული ყოფილიყო ცის სეგმენტიდან მეომრების მაკურთხეველი ან მაცხოვარი ან მთავარანგელოზი (გედევანიშვილი, 2025, გვ. 285; ციციშვილი, 2018, გვ. 175, 176).

2002 წელსვე რესტავრატორებმა მათ მიერ გამოვლენილ ფრიზსა და იქამდე არსებულ, მაგრამ ახლად გაწმენდილ მხატვრობას მიუძღვნეს პუბლიკაცია, რომლის მონაცემებიც მნიშვნელოვანია მხატვრობის შესწავლისთვის (გაგოშიძე, ბუჩუკური, 2002). მათი შეფასებით, ჩრდილოეთ კედელზე გამოვლენილი მხატვრობა მთელი რიგი ნიშნებით – ფერადოვანი გამით, წერის მანერით და გრაფიის მინიმალურად გამოყენებით, აშკარად სხვაობს ბურჯებისა და სამხრეთი კედლის მოხატულობისგან, სადაც კოლორიტიცა და წერის მანერაც განსხვავებულია და თან მხატვრობის უმეტეს ნაწილზე მოჩანს გრაფირების კვალი[1] (დასახ. ნაშრომი, გვ. 153). მიუხედავად ამისა, ისინი თვლიან, რომ მხატვრობა ერთდროულია და შესრულებულია XVII საუკუნის მიწურულს ან XVIII საუკუნის დასაწყისში (იქვე)[2].

სტატიის ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ მხატვრობის იმ ნაწილისადმი, სადაც *ასურელ მამათა პორტრეტებია* მოცემული. მათ გამოქვეყნებული აქვთ გრაფიკული სქემა თორმეტივე წმინდანის გამოსახულებით, ისე, როგორც ისინი ბურჯზე არიან წარმოდგენილი (გაგოშიძე, ბუჩუკური, 2002, გვ. 156-160). ეს სქემა მნიშვნელოვანია იმით, რომ მასზე რეკონსტრუირებულია გამოსახულებათა დაზიანებული ადგილები და განმარტებითი წარწერები, რომელთა წაკითხვა ამჟამად ძალზე ჭირს. (სურ. 7).

ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აქ *ასურელ მამათა გუნდი* თითქმის სრულადაა წარმოდგენილი, აკლია მხოლოდ *წმ. აბიბოს ნეკრესელი.* გარდა ამისა, ისინი დეტალურად აღწერენ მათ პოზებს, ჩაცმულობას, პორტრეტების წერის ტექნიკასა და მანერას და გვთავაზობენ მხატვრობის თარიღს. მათი თქმით: *თორმეტივე წმინდა მამას ურთიერთმსგავსი სქემ-მონაზვნის სამოსი აცვია* (სურ. 8). *ყოველ მათგანს მოსავს წითელი ფერის კვართი და ყელთან შეკრული ყავისფერი მოსასხამი. მკერდზე აფენიათ თეთრი ფერით გაცხოველებული მწვანე ანალავი, რომელზეც წითელი ფერის გოლგოთის ჯვარი, ზოგიერთზე კი წამების იარაღებიც არის გამოსახული. მათგან რვას კუნკული მხრებზე აქვს ჩაკეცილი, ოთხი მათგანი კი თავდაბურულია კუნკულით. შუბლზე მათ წითლად გოლგოთის ჯვარი აქვთ გამოსახული. წმინდანთა სახეები ისე სკრუპულოზურად და გულდასმითაა ნაწერი, რომ უნებურად გვაგონდება XVII-XVIII საუკუნეების ხატწერის ნიმუშები. ზედმიწევნითაა აღნიშნული ყოველი წვრილმანი დეტალი – თმის ფორმა, წვერის დაყენების წესი* (სურ. 9)*; გამოვლენილია ყოველი მამის იკონოგრაფიის ინდივიდუალური ნიშნები. ამგვარივე მიდგომითაა შესრულებული სამხრეთის ბურჯზე ნახატი წმინდანები და „საშინელი სამსჯავროს“ სცენაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი შემსრულებელი ერთი და იგივე პირია, რომელიც კარგად იცნობდა თანადროული ხატწერის ნიმუშებსაც და, შესაძლებელია, თვითონაც ხატმწერი იყო. სრულიად განსხვავებულია წმ. მხედართა წერის მანერა და აშკარაა, რომ წმ. მხედრები სხვა მხატვრის ნამუშევარია, რომელიც ძველი ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშებითაა ნასაზრდოები* (გაგოშიძე, ბუჩუკური, 2002, გვ. 154).

სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციაში არც ხატწერიდან და არც მონუმენტური მხატვრობიდან კონკრეტული ანალოგები არ არის მოხმობილი. *ვფიქრობ, ბურჯების მოხატულობა – ასურელი მამები და ფეხზე მდგარი წმ. მეომრები* (სურ. 10)*, ისევე როგორც დღე განკითხვისა* (სურ. 11) *მართლაც ერთ მხატვარს ეკუთვნის; მისი ხელწერა, დეტალების სიზუსტითაც კი, ძალზე ახლო-*

1 ჯგუფში შედიოდნენ: დ. გაგოშიძე, ლ. გურგენაძე, ზ. სუმბაძე, ა. გელოვანი, ნ. ქუთათელაძე, ი. მსხილაძე და გ. გაგოშიძე.

2 სწორედ მხატვრობის ამ სამი, ჭვარტლისა და მტვრისგან და დაბინდული მონაკვეთის გასაწმენდად დაიგეგმა 2002 წლის სარესტავრაციო სამუშაოები.

3 წმ. დიმიტრის ცხოვრების ამ ეპიზოდში გადმოცემულია მის მიერ ქალაქ თესალონიკის (სალონიკის) გამოხსნა ბულგარელთა ალყისგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფე ივან კალოიანი (1197-1207). XIII საუკუნეშივე დაწერილი „ცხორების“ მიხედვით წმ. დიმიტრი უხილავად გამოცხადებია მეფეს კარავში და მოუკლავს იგი. ეს სასწაული ბიზანტიურ იკონოგრაფიაში გაჩნდა უკვე XIII საუკუნეში, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა პოსტბიზანტიურ ხანაში. ის გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაშიც – მართალია იშვიათად, მაგრამ სხვადასხვა იკონოგრაფიული რედაქციით (გედევანიშვილი, 2025, გვ. 285; ციციშვილი, 2023, გვ. 173, 175, 176).

1 გრაფირება გულისხმობს გამოსახულების მოსამზადებელი, კონტურული ნახატის დამატებით ამოკაწვრას მხატვრობის გრუნტზე, რაც უადვილებს ოსტატს ფერებით მოდელირების პროცესს.

2 ფრიზის თანადროულობაზე არსებობს განსხვავებული აზრიც, რომლის მიხედვით იგი დანარჩენ მხატვრობას შეიძლება დამატებოდა მოგვიანებით (კვაჭატაძე, ჯანჯალია, 2012, გვ. 100).

*საა XVII საუკუნის ხატების ერთ ჯგუფთან, რომლის ძირითადი ნაწილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმშია დაცული, ხოლო მეორე ინახება საქართველოს საპატრიარქოში. ანანურში მომუშავე მხატვრის მანერას ჰგავს აგრეთვე ხელოვნების მუზეუმის კოლექციაში დაცული გარეჯის ლავრის ეკლესიის კანკელის მხატვრობის ფრაგმენტები, რომლებიც ზემოხსენებული ხატების მსგავსად XVII საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული* (ბურჭულაძე, 2011, გვ. 134-137, 145).

რაც შეეხება წმ. მხედრებიან ფრიზს, ის მართლაც სხვა მხატვარს ეკუთვნის. ფრიზის შესრულების მანერისა და გამოსახულებათა სტილურ-იკონოგრაფიული ნიშნების პარალელები გვხვდება XVII საუკუნის მინიატურული და მონუმენტური მხატვრობის ძეგლებში. აქედან, ანანურის ფრიზის განსაკუთრებით ახლო ანალოგია ანჩისხატის გულანის (A-30) ილუსტრაციები (Девдариани, 1999, ფერადი ჩანართები გვ. 80-სა და 81-ს შორის და ილ. I-XXXV). მათ საერთო აქვთ კომპოზიციების ჩარჩოს დეკორის ორნამენტული მოტივები, წმინდანთა სხეულების პროპორციებთან შეფარდებით მცირე ზომის თავები, ხელის მტევნები და ტერფები; სახეთა მოკლე ოვალი, დაბალი შუბლი, თვალ-წარბის, ცხვირის, ნიკაპისა და ბაგეების ფორმები; სახის ფუძე-ფერის სიმუქე და ზედ ნიღაბივით დატანილი გამონათების ფართო ლაქები, ჩაღრმავებულ-ჩამუქებული თვალის უპეები, ფერადოვანი ფენის გაუმჭვირვალობა, გამარტივებული გრაფიკული ნახატი, ფერით მოდელირების სპეციფიკური მანერა და ნაწილობრივ კოლორიტიც, რომელიც კონტრასტული და ლოკალური ფერებითაა შედგენილი.

განსაკუთრებული სიახლოვე შეინიშნება ანანურის ფრიზის შუა მხედარსა და ჟამნ-გულანის ცხენოსან წმ. მეომართა გამოსახულებებს შორის (ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა, 2024, გვ. 108; Девдариани, 1999, ილ. VI, XXI). მათი შედარებითი ანალიზით ვლინდება მსგავსება ისეთი სტილური ნიშნებისა, როგორებიცაა: მეომართა სხეულების მოყვანილობა, პოზები, თავის დახრილობა, ვარცხნილობა, ხელ-ფეხის ფორმა და ზომები, ზურგს უკან აფრიალებული მოსასხამების ბოლოების ხისტი ნახატი, ერთნაირად მოღერებული შუბები და კონტრასტული, ლოკალური ფერებით შედგენილი კოლორიტი; თუმცა ფერადოვანი გამის შემთხვევაში ეფექტი სხვაობს იმით, რომ მინიატურები ოქროს ფონზეა დაწერილი, ხოლო კედელზე ფონების ზედა ნაწილები ცისფრადაა დაფერილი, ქვედა ნაწილის ფერის დაზუსტება კი ჭირს.

ისიც უნდა ითქვას, რომ კედელზე დახატული მხედრის ფიგურა უფრო თხელია და წაგრძელებული, მაშინ როცა ხელნაწერთა ფურცლებზე ნახატი მეომრები გამოირჩევიან გაცილებით *დამჯდარი* პროპორციებით, რაც აიხსნება სახატავი ფორმატების განსხვავებული ზომებითა და აგრეთვე მაყურებლის მხრიდან ამ გამოსახულებების ხედვის სხვადასხვა მანძილით.

ამგვარივე მსგავსება-სხვაობები შეინიშნება ცხენების ფიგურებშიც. ცხოველთა მუქად დაფერილი, მასიური სხეულები კედელზე უფრო მსუბუქად გამოიყურება, ვიდრე მინიატურაში, თუმცა ისინი ორივე შემთხვევაში არ არიან ისე გახევებულები, როგორც ეს ხშირად გვხვდება გვიანი შუა საუკუნეების ცხენების გამოსახულებებში. ანჩისხატის გულანსა და ანანურის ფრიზს შორის, როგორც უკვე ითქვა, მსგავსია მოჩარჩოების დეკორის მოტივებიც. ხელნაწერის ილუსტრაციების დიდი ნაწილი შემოსაზღვრულია ფართო ფერადი ზოლებით, რომლებშიც ჩახატულია ხან სტილიზებული გეომეტრიული ფიგურები, უფრო ხშირად კი ერთმანეთზე ფოთლებით გადაბმული და ზედხედით ნაჩვენები სტილიზებული *მაყვლის* ყვავილები, რომლის ერთგვარ ვარიციას ვხვდებით „განკითხვის დღის“ კომპოზიციის ჩარჩოს ზედა ზოლშიც, რაც დამახასიათებელი ნიშანია XVII საუკუნის მინიატურების უმრავლესობისთვის და აგრეთვე კედლის მხატვრობისთვის – *იხ. ლოცვანი* (A-904), *მაღალაანთ ეკლესიის კანკელისა და ანჩისხატისა თუ ბოლნისის ტაძრების ფრესკები* და ა.შ.[1] (Девдариани, 1990, ილ. VII, XVIII, XX, XXXII, XXXIV, XLIII). მოხმობილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ანანურის მხედრებიან ფრიზსა და XVII საუკუნის მხატვრობის ნიმუშთა ერთ ნაწილს შორის იმდენად დიდია მსგავსება, რომ ისინი, დიდი ალბათობით, ერთ სკოლას ეკუთვნის, რომელიც ფუნქციონირებდა ქართლის სულიერ დედაქალაქში, *მცხეთაში* და რომლის საქმიანობაც განსაკუთრებული სიცხოველით გამოირჩეოდა *კათალიკოს ნიკოლოზ IX ამილახვრის* ზეობაში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მწყემსმთავრის საყდარს იკავებდა ორჯერ – 1678-1688-სა და 1692-1695 წლებში.

ნიკოლოზ ამილახვრის კათალიკოსობის დროს ქართლსა და კახეთში ინტენსიურად იქმნებოდა მონუმენტური, დაზგური და მინიატურული ფერწერის ძეგლები (Девдариани, 1990, გვ. 19-20). ნიშანდობლივია, რომ თბილისის ანჩისხატის ტაძარში გვიან გადატანილი ზემოხსენებული ჟამნ-გულანი კათალიკოსს 1681 წელს დაუკვეთია და შეუწირავს სვეტიცხოვლისთვის (Девдариани, 1999, გვ. 12-20; ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა, 2024, გვ. 108). იმავე წელს მოუხატვინებია მას დედა-ეკლესიაში ქართლის მოქცევის სიუჟეტზე შექმნილი სცენებით უფლის კვართზე დადგმული ჩარდახი (მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში, 2022, გვ. 229). სწორედ ნიკოლოზის საგვარეულო მამულში, მისი მამისა და ძმის, *იოთამ და გივი ამილახვრების ქვემო ჭალის რეზიდენციაში* კარგა ხანს ინახებოდა *გათათრებული სამცხიდან*, კონკრეტულად კი *კლარჯეთის ანჩის ეკლესიიდან* ჩამოტანილი და მისი წინამორბედის, *დომენტი კათალიკოსის* მიერ შესყიდული საქართველოს ეკლესიის უდიდესი სიწმინდე – *მაცხოვრის სასწაულთმოქმედი, ხელთუქმნელი ხატი*. როგორც ხატის ერთ-ერთი წარწერა *გვაუწყებს, ნიკოლოზის ძმას, გივი ამილახვარს, 1686 წელს შეუკეთებინებია ჟამთა ვითარებისგან მორყეული ხატის კუბო და გარედან მოუჭედინებია მისი ფრთები* (ბურჭულაძე, 2016, გვ. 323-324).

აქ უნდა ითქვას, რომ *ნიკოლოზის* მსგავსად *მისი ძმა, გივიც* მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი სარგებლობდა მეფეების – *როსტომის, ვახტანგ V-ის, არჩილ II-ის, თეიმურაზ I-ის, გიორგი XI-ის* კეთილგანწყობით; 1656-1692 წლებში იყო ზემო ქართლის სარდალი და გორის მოურავი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1990, გვ. 119-122). 1667 წელს მან ცოლად შეირთო *ვახტანგ V-ის ქალიშვილი თამარი*, რომელთან ერთადაც მოიხსენიება სამთავისის ტაძრის ფრესკულ წარწერაში, სადაც ნათქვამია, რომ 1679 წელს მათი სურვილით *სამთავნელ ეპისკოპოს მელიტონს* საკუთარი ხელით გაუახლებია მხატვრობა საკურთხეველში (სოხაშვილი, 1973, გვ. 101-103). საინტერესოა, რომ გივი ამილახვარს, ქვემო ჭალაში, ანჩის ხატისთვის საბრძანებლის მოსაწყობად, მის მიერვე გაახლებულ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის დასავლეთ კედელში, საგანგებოდ გაუჭრევინებია თაღოვანი შესასვლელი და გარედან მიუშენებია სამრეკლო, რომლის ქვედა სართული სადღესასწაულო კარიბჭის შესატყვისად თაღებით ყოფილა გახსნილი და რომელსაც არქიტექტურულ სამკაულად ჰქონია იმდროისთვის მოდური და ეფექტური *სტალაქტიტების* დეკორი (ჭეხაშვილი, 2020, გვ. 7-8)[1]. იქვე, ქვემოჭალაში, უნდა მიეწვია გივის ანჩის ხატის შესაკეთებლად და გარედან მოსაჭედად *სარქარი ბერთაუკა ლოლაძე* და ოქრომჭედელი, რასაც მოწმობს *ანჩისხატზევე ნაჭედი გივის საქტიტორო ტექსტი*, რომლის მიხედვით ეს სამუშაო დასრულებულა 1686 წელს, მაშინ, როცა *ნიკოლოზ ამილახვარი* იყო კათალიკოსი. ცხადია, რომ მას უნდა დაებრუნებინა ანჩისხატი ქვემო ჭალიდან თბილისში და დაებრძანებინა საკათალიკოსო მარიამწმინდის ტაძარში, რომლის გაახლება-მოხატვაში მონაწილეობდნენ ჯერ *დომენტი III*, შემდეგ კი თავად *ნიკოლოზ IX ამილახვარი*.

ძალზე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ *გივი ამილახვარი* და *ანანურის ტაძრის მაშენებელი (და სავარაუდოდ მომხატველიც) ბარძიმ მდივანბეგი* ერთმანეთს იცნობდნენ და ამ უკანასკნელს *როსტომ მეფესთან, მთავარეპისკოპოს ქრისტეფორესთან, არაგვის ერისთავ*

1 ამ ტიპის ყვავილები ხშირად გვხვდება აღნიშნული პერიოდის საეკლესიო ნაქარგობაშიც – ლიტურგიულ ქსოვილებსა და ღვთისმსახურთა სამოსელზე (ქართული ნაქარგობა, 2011, გვ. 207, 211, 212, 217, 259-260).

1 სრულიად ლოგიკური ჩანს მოსაზრება, რომ ანჩის ხატის, საქართველოს ეკლესიის ამ უძვირფასესი, რელიკვიის იქ ყოფნის შედეგად ამილახვართა ქვემო ჭალის ეკლესია ფაქტობრივად გახდა საკათალიკოსო მსახურების ადგილი და ვინაიდან იმ დროს ახლდებოდა კათალიკოსის საბრძანებელი თბილისში, შესაძლოა ქვემო ჭალა გამხდარიყო ნიკოლოზ IX-ის დროებითი საცხოვრებელი ადგილიც (ჭეხაშვილი, 2020, გვ. 14, 15, 22, 23).

*გიორგისთან, აშოთან მუხრანბატონთან* და სხვა გავლენიან პიროვნებებთან ერთად მონაწილეობა მიუღია გივი ამილახვარისთვის საგვარეულო სახლის მეთაურად დამტკიცებაში, რის შედეგადაც ის გამხდარა სადროშოს სარდალი და გორის მოურავი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991, გვ. 121). მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც გიორგი XI-ის მომხრე, გივი მონაწილეობდა ბარძიმ ერისთავის მეთაურობით წარმოებულ ერეკლე I-ის საწინააღმდეგო ომში (ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 468).

ზოგადად, XIV საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, სწორედ *ზევდგინიძე-ამილახვრები ფლობდნენ შიომღვიმის მონასტერს,* რომელიც ყოველთვის იყო მათი განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტი და სამარხი ადგილიც (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლები, 1990, გვ. 319-320). ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, *გივის 1658 წელს შიომღვიმის მონასტრის მარნისთვის შეუწირავს ქვევრი,* რომელიც წინამძღვრის, მელქისედეკ ყანჩაველის განჩინებით ყოველწლიურად *წმ. შიოს* ხსენების დღეს იხსნებოდა, რათა ლოცვის დროს მოეხსენიებინათ მისი შემწირველი (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991, გვ. 122). აღსანიშნავია, რომ გივის 1678 წელს ფაქტობრივად ხელახლა აუშენებია შიომღვიმის ეკლესიაში თავის დროზე *დავით აღმაშენებლის* მიერ აგებული *ღვთისმშობლის ტაძარი,* რომელიც 1614 და 1616 წლებში, შაჰ აბასის მიერ მონასტრის აოხრების შემდეგ, თითქმის მთლიანად ყოფილა დანგრეული[1].

ეს ბოლო ფაქტი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ტაძრების გაახლებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძეგლი ფუნდამენტურად, თითქმის თავიდან შენდებოდა, თან მოჰყვებოდა ხოლმე მათი ხელახალი კურთხევა და ახალი ჯვარ-ხატებით, ლიტურგიული ჭურჭლით, ქსოვილებით, საღვთისმსახურო წიგნებითა და სხვა საღვთისმსახურო ნივთებით *შემოსვა*. აქედან გამომდინარე, სწორედ ღვთისმშობლის განახლებული ტაძრისთვის უნდა შექმნილიყო საუფლო დღესასწაულების ამსახველი ფერწერული ხატების ის ჯგუფი, რომელთაგან დღემდე მხოლოდ ოთხია მოღწეული და რომლებიც სტილის მიხედვით XVII საუკუნეს მიეკუთვნება (ბურჭულაძე, 2016, გვ. 268-274).

აღნიშნული ეხება ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ, შიომღვიმის მონასტრის კუთვნილ, ე. წ. ათორმეტ დღესასწაულთა რიგის ხატებს, რომლებზეც *მირქმის, ბზობის, ამაღლებისა* და *სულთმოფენობის* სცენებია ასახული (სურ. 12-ა,ბ). ისინი ერთი ზომის დაფებზეა ნახატი და ტექნოლოგიური, იკონოგრაფიული და სტილური ნიშნების მიხედვით უდავოდ ერთ სამხატვრო სახელოსნოს ეკუთვნის და დიდი ალბათობით, ერთი ხატმწერის ხელითაა შესრულებული.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად, ამ კატეგორიის ხატები განკუთვნილი იყო ტაძრების კანკელებისთვის, რომლებზეც ისინი, ხატმებრძოლეობის შემდგომი ტრადიციით, ბიზანტიაშიც და საქართველოშიც ეწყობოდა ან ერთ რიგად ან ვედრების რიგის ხატებთან ერთად, ორ რიგისტრში (ბურჭულაძე, 2011, გვ. 565-566; მისივე, 2016, გვ. 252-253, 283-285)[2].

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოსა და სომხეთში მოგზაურ რუს ისტორიკოსსა და სიძველეთმაძიებელ *ა. მურავიოვს* შიომღვიმის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში უნახავს ამ ოთხიდან ერთი, ძლიერ დაზიანებული *იერუსალიმში შესვლის* (*ბზობის*) ხატი. მისი თქმით, შიომღვიმის სავანის სხვა, უფრო მდიდრული ხატები მონასტრის პატრონ ამილახვრებს შესანახად წაღებული ჰქონიათ მათ მამულში – ჯალაში (Муравьёв, 1848, გვ. 279).

ამ *მდიდრულ ხატებში* უთუოდ შედიოდა იმ დროისთვის, როგორც ჩანს, კარგ მდგომარეობაში მყოფი *მირქმის, ამაღლებისა* და *სულთმოფენობის* კანკელსზედა ხატებიც, რომლებიც ოქროს ფონებისა და საზეიმო, მაჟორული კოლორიტის გამო შეიძლება მოიაზრებოდეს *მდიდრულ ხატებს* შორის[1]. ამ ოთხი ხატის სტილურ-იკონოგრაფიული მსგავსების გარდა, ნათქვამს მოწმობს აგრეთვე მათი დაფების ცალ მხარეს ვერტიკალური მიმართულებით თანაბარი ინტერვალებით ჩასმული ხის სამსჭვალები, რითიც ისინი ხატების სადგამ კონსტრუქციაზე უნდა ყოფილიყო მიმაგრებული[2].

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სტილის მიხედვით და შესრულების მანერით ეს ხატები იმდენად ჰგავს ანანურის ტაძარში ბურჯებზე ნახატ *ასურელ მამებს, წმ. მეომრებსა* და აგრეთვე *დღე განკითხვის* სცენის ცალკეულ ფიგურებსა თუ მთებსა და არქიტექტურას, რომ ისინი, უდავოდ, ერთ სამხატვრო სკოლას ან სახელოსნოს ეკუთვნის. ამას მოწმობს კოლორიტის შემადგენელი კონტრასტული – მუქი შინდისფერი, მუქი ვარდისფერი, წითელი, მწვანე, მონაცრისფრო თეთრი ფერები, და აგრეთვე ფართო ლოკალური ლაქების ამონათება სხვადასხვა მიმართულებით გავლებული თეთრი ფერის მოკლე-მოკლე და ხშირი მონასმებით, რომლებიც სპეციფიკურად ანათებს სამოსის ზედაპირებს და ბადესავით ფარავს მათ (სურ. 8, 9).

ანანურსა და ზემოხსენებულ არტეფაქტებში მსგავსია აგრეთვე ფერწერის ფენის *სიმკვრივე* და გაუმჭვირვალობა, გრაფიკული ნახატის სისქე და სიმუქე, მოძრაობებისა და პოზების ერთგვარი მოუხეშავობა, კონტურული ნახატისა და ფერადოვანი დამუშავების მონასმების ხშირი და არათანაბარზომიერი რითმი.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ როგორც ამ ხატებზე, ისე ანანურის მხატვრობის აღნიშნულ ნაწილებზე ერთნაირი სიხშირით და სისტემითაა გამოყენებული გრუნტზე ნაკაწრი ნახატი, რაც კიდევ ერთი და განსაკუთრებით სარწმუნო არგუმენტია მათი ერთი სახელოსნოსთვის მიკუთვნებისთვის.

ანანურისა და შიომღვიმის მხატვრობის ნიმუშები მსგავსია სახეთა ტიპებით, ფიგურათა პოზებით და ჟესტიკულაციით. სახეები გამოირჩევა წაგრძელებული ოვალით, დაბალი შუბლით, ღრმად ჩამჯდარი ვიწრო თვალებითა და შებერილი ქუთუთოებით; მაღალი ყვრიმალებით, სქელი – სწორად გავლებული შავი წარბებით, *ხორციანი* ბაგეებით, თხელი და მოკლე ცხვირით და მოკლე ნიკაპით. ორივე შემთხვევაში მსგავსია თმისა და წვერ-ულვაშის ვარცხნილობა, რაც კედლის მხატვრობაში გადმოუციათ განსაკუთრებით დეტალურად, თითოეული ღერის ჩვენებით (სურ. 10, 11).

საინტერესოა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა ნიშანი მკაფიოდ ვლინდება ანანურის ფრესკებისა და შიომღვიმის ხატების შედარებისას გარეჯის ლავრის მთავარი ეკლესიის კანკელზე დახატულ ქრისტეს შობის სცენასთან (სურ. 13) სცენებთან და გარეჯისავე ლავრის აწ დაკარგული *წმ. დავით გარეჯელის* ხატთან (Burtchuladze, 2020, გვ. 118) 13). ისინი მსგავ-

1 ამ დროს დავით აღმაშენებლის დროინდელი გუმბათიანი ნაგებობა სამნავიან ბაზილიკად იქნა გადაკეთებული (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1990, გვ. 320, 322-323).

2 შუა საუკუნეების ამგვარი რიგების შემადგენელი ცალკეული ხატები დღემდე რამდენიმე ეკლესიიდანაა მოღწეული (იფხი, მაცხვარიში, ხე, ფხოტრერი, უბისი, შიომღვიმე, ურბნისი, რუისი, იმერეთის ჭალა, ნაყურალეში). მათგან ეკლესიაში, თავდაპირველ ადგილზე ანუ კანკელზე მხოლოდ სოფ. ხეს ვედრების რიგის გამოსახულებიანი გრძელი ხატია შემორჩენილი, დანარჩენები კი ან თბილისისა და მესტიის მუზეუმებშია გადატანილი, ან დატოვებულია ეკლესიებში (ბურჭულაძე, 2016, გვ. 264-279, 286-295).

1 ამჟამად მდიდრული ხატებიც ძლიერაა დაზიანებული. მათი მხატვრობის დიდი ნაწილი გრუნტიანადაა დაღუპული, მაგრამ, ის რაც შემორჩენილია, სრულყოფილად აჩვენებს ფერწერის ტექნიკას და სტილს. მათგან განსხვავებით, ბზობაზე საღებავების ფენის ზედაპირი კომპოზიციის ყველა კომპონენტზე – ფიგურებზე, სახეებსა და არქიტექტურულ ფონებზეც ისეა გადახეხილი, რომ ძალზე ცუდად ჩანს წერის ტექნიკა და ფერით მოდელირების სახასიათო ნიშნები.

2 ჭალის ეს სამი ხატი თბილისში მოქმედ საეკლესიო მუზეუმში ინახებოდა 1888-1921 წლებს შორის პერიოდში, განსხვავებით ბზობის ხატისგან, რომელიც გაცილებით გვიან, 1924 წელს იქნა ჩამოტანილი თბილისში და მოთავსებული უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში. 1921 წელს საეკლესიო მუზეუმის გაუქმების გამო მისი კოლექციები უნივერსიტეტის კოლექციებთან იქნა გაერთიანებული, რა დროსაც, ფაქტობრივად, ერთ საცავში მოექცა შიომღვიმის ოთხივე ხატი; თუმცა, ქართლის ჭალიდან გადმოტანილი ხატები ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის დავთარში შეცდომით გატარდა როგორც იმერეთის ჭალიდან ჩამოტანილი ნივთები (ბურჭულაძე, 2016, გვ. 268).

სია ფიგურების პროპორციებით, ნაკვთებით, მთიანი ფონების ფორმებითა და დამუშავებით, შუქ-ჩრდილის გადმოცემის მანერით, სამოსის თარგით, ნაკეცების ნახატითა და წვრილმანი დეტალებითაც კი. ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეს მხატვრობა და ხატიც იმავე სკოლას უკავშირდება, რომელშიც ანანურის და შიომღვიმის ფერწერული ნამუშევრებია შექმნილი.

აღსანიშნავია, რომ შიომღვიმის ხატებსაც და ლავრის კანკელის მხატვრობასაც ასევე ბევრი საერთო აქვს ანანურის *დღე განკითხვასთან* და ფეხზე მდგარი მეომრების გამოსახულებებთან, რაც ნათლად ვლინდება მათი შედარებითი ანალიზით.

ჩვენთვის საინტერესო სკოლას უკავშირდება კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი – საქართველოს საპატრიარქოში დაცული ასურელ მამათა სულიერი მოძღვრის, ანტიოქიელი ასკეტისა და წმინდანის, სვიმეონ მესვეტე უმცროსის ხატი (სურ. 14), რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში დ. გორდეევს უნახავს სვეტიცხოველში[1].

საქართველოს ეკლესიისთვის ასურელ მამათა ღვაწლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი სულიერი მამისა და ზოგადად – მესვეტეთა გამოსახულებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. წმ. სვიმეონის უადრესი, X საუკუნის ქვაში ნაკვეთი პორტრეტები გვაქვს პარხლისა და ოშკის ტაძრების ფასადებზე და სვეტებზე (დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017, გვ. 144, 148, 150, ილ. 366, 377), XI საუკუნის კანკელებზე ჩრდილის, ზედაზნის, შიომღვიმის ეკლესიებში (იქვე, გვ. 266, 269, 270, ილ. 530, 548, 559 ) და ლაღამის ჭედურ ხატზე, რომელიც ჯერ იშხნის, შემდეგ კი ცაგერის ეპისკოპოს *ანტონს* შეუქმნია და შეუწირავს მის მიერვე იშხანში აგებული წმ. სვიმეონის ეკლესიისთვის (ბურჭულაძე, 2016, გვ. 186-189). ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში წმ. მამა ორანტის პოზითაა ნაჩვენები; შიომღვიმის კანკალზე სვეტთან დგას მისი დედა, ქართველებზე მზრუნველი მართა, ფონზე კი მოჩანს წმ. სვიმეონის სახელობის მონასტერი ანტიოქიაში – იმგვარი გეგმარებითა და შენობებით, როგორიც იქ სვეტის გარშემო იყო განლაგებული XI საუკუნეში; ჭედურ ხატზე სვეტთან დგას წმინდანისადმი მავედრებელი ხატის ქტიტორი – *ანტონ ცაგერელი*. გარდა ამისა, მესვეტეებისა და, პირველ რიგში, წმ. სვიმეონ უმცროსის გამოსახულებები წარმოდგენილია გარეჯის უდაბნოსა და ბერთუბნის სატრაპეზოს XI საუკუნის მოხატულობებში, ამავე პერიოდის ალავერდის ტაძრის საკურთხევლის სარკმლის წირთხლებზე და კიდევ ბევრგან, ვინაიდან ათეული წლობით სვეტზე განმარტოებით მოღვაწე სასულიერო პირებს დიდ პატივს სცემდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო მაღალჩინოსნები და აგრეთვე რიგითი ღვთისმსახურები და ზოგადად, მორწმუნე ადამიანები; და მათ შორის საერო ხელისუფალთა უმაღლეს წრეებშიც. ქართველები, ისევე როგორც სხვა ეროვნების ბერები, ხშირად *სტუმრობდნენ* მესვეტეებს რათა ესწავლათ მათი ცხოვრების წესი, მათ სიახლოვეს ელოცათ და როცა ამის დრო დადგებოდა, მოესმინათ მათი ქადაგებისთვის. გავიხსენოთ, რომ საქართველოში ჩამოსული ასურელი მამებიდან ყველაზე გამოცდილები უშუალოდ იყვნენ წმ. სვიმეონ უმცროსის, საკვირველმოქმედის მოწაფეები და რომ მათ შორის ერთმა, წმ. შიომ ცხოვრების ბოლო წლები გაატარა მიწისქვეშა მღვიმეში, რისი პრაქტიკაც მიღებული იყო მესვეტეთა ცხოვრების წესში.

შუა საუკუნეებში მესვეტეთა იკონოგრაფია ვრცელდებოდა სხვადასხვა ვერსიით, რომელთაგან ყველაზე პოპულარული გახდა მისი ბალუსტრადიან სვეტზე ჩვენება მკერდამდე და ორანტის პოზით. თუმცა, არსებობდა წმ. ასურელ მამათა გამოსახვის განსხვავებული სქემებიც, რის მაგალითსაც წარმოადგენს სვეტიცხოველის ზემოხსენებული ხატი.

ხატის კომპოზიცია ასიმეტრიულია. სვეტზე სრული ტანით მდგომი წმინდანი არა კომპოზიციის ცენტრში, არამედ მარცხენა მხარესაა გამოსახული. ის ¾-ითაა შებრუნებული მარჯვნივ და წინ გაწვდილი ხელებით ევედრება მის მაკურთხეველ იესო ქრისტეს, რომელიც ხატის მარჯვენა ზედა კუთხეში ღრუბლების ორმაგი რკალით მოვლებულ ცის სეგმენტშია გამოსახული. წმინდანის სრული ფიგურა მოთავსებულია ნახევარსფერული კამარისა და მრგვალი სვეტების მქონე ბალდახინის ქვეშ, რომელიც სიმბოლოა *სიწმინდის საბურველის*. მისი სხეული მუხლებს ქვემოთ მოკლეა, ხელის მტევნები კი – თვალშისაცემად გადიდებული. ყურადღებას იქცევს უჩვეულო, სარკმლებიანი *სვეტის* კონსტრუქცია, რომლის ზედაპირი ნაჩვენებია ზედხედით და აგრეთვე წმინდანის ვინაობის განმსაზღვრელი ნუსხური წარწერა, რომელიც ჩარდახს ზემოთ ვიწრო არეზე ძალზე წვრილი ასოებითაა ნაწერი.

ხატის ფერადოვანი გამა მაჟორულია, რასაც დიდწილად განაპირობებს სამფერიანი ფონი – ქვემოთ მწვანეა, შუაში ვარდისფერი, ხოლო ზემოთ ოქროსფერი. ოქროსფრადაა გაბრწყინებული მაცხოვრის სამოსიც, რასაც ეხმიანება წმ. მამის კაბისა და მოსასხამის ჟღერადი, ვარდისფერი და წითელი ფერები. აღსანიშნავია, რომ წმ. მამას თავს უფარავს მონაცრისფრო-მომწვანო ფერის კუნკული შუბლზე ნაქარგი წითელი ჯვრით, რომელიც ზუსტად იმგვარად აქვს თავზე მოხვეული, როგორც ამას ვხედავთ ანანურის ასურელი მამების შემთხვევაში. ზუსტად ერთნაირია აგრეთვე მათი წითელჯვრებიანი მოკლე ანალავები.

თუ შევადარებთ წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის გამოსახულებას ანანურის ასურელ მამებს, აშკარა მსგავსებას დავინახავთ სახის ტიპშიც და ნაკვთების ფორმაშიც. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ამ სკოლის ზემოხსენებულ ნაწარმოებებშიც წმინდანები წარმოგვიდგებიან არა ტრადიციული გარეგნობით, არამედ უჩვეულო, აღმოსავლური ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი იერსახით.

აღნიშნული თავისებურებები კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ სვეტიცხოველის ეს ხატიც იმ სკოლა-სახელოსნოს ფარგლებში შეიქმნა, რომელსაც მიეკუთვნებიან ანანურის კედლის მხატვრობა, შიომღვიმის ხატები და გარეჯის ლავრის წმ. დავითის ხატი და კანკელზე ნახატი სცენებიც.

აღნიშნული მასალის შედარებით მიღებული შედეგებით შეიძლება თამამად ითქვას, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი მცხეთის სამხატვრო სკოლა-სახელოსნო ამილახვართა გვარის ორი გამოჩენილი წარმომადგენლის – კათალიკოს *ნიკოლოზ IX* – ისა და მისი ძმის *გივი ამილახვრის* ზეობაში *ემსახურებოდა* მათდამი დაქვემდებარებულ საადგილმამულო და საეკლესიო მიწებზე მიმდინარე მხატვრულ პროცესებს – ეკლესიების მოხატვას, ხატების წერასა და ხელნაწერთა შემკობას მინიატურებით. უფრო მეტიც, როგორც იქ შექმნილი ძეგლებისა და ანანურის მხატვრობის ძირითადი ნაწილის შედარება გვიჩვენებს, რომ ერისთავთა საგვარეულო ციხე კოშკის მთავარი ტაძრის მოსახატად მხატვართა ის ჯგუფი ყოფილა მიწვეული, რომელსაც ამილახვართა შეკვეთები შეუსრულებიათ შიომღვიმის, სვეტიცხოველისა და გარეჯის ლავრის ეკლესიებისთვის.

აქ კვლავ უნდა მივუბრუნდეთ ანანურის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობას, რომლის ქტიტორიც იყო არაგვის ერისთ(ა)ვისშვილი ბარძიმ მდივანბეგი. როგორც ზემოთ აღინიშნა ბარძიმი მხარდამჭერი იყო როსტომ მეფის მიერ გივი ამილახვრის გამოურავებისა და სარდლობის და გივიც მის მხარეს იბრძოდა გიორგი მეფის ინტერესების დასაცავად. აქედან გამომდინარე, ბარძიმის თხოვნის შემთხვევაში ეს უკანასკნელი უეჭველად დაეხმარებოდა მას ტაძრის მოსახატად მხატვრ(ებ)ის შერჩევაში და შესთავაზებდა მისი და მისი ძმის რჩეულ ოსტატებს, ვისაც ანდეს ზემოხსენებული შეკვეთები საკუთარ ადგილ-მამულში; მით უფრო, რომ ანანურის ციხის ეკლესიები იურიდიულად შედიოდა მცხეთის საკათალიკოსოს გამგებლობაში.

ამ ამბის ასე წარმოდგენა არ არის საფუძველს მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთის მეფე გიორგი II-ს მიერ აწყურის ღვთისმშობლის ხატისთვის შეწირული ოქროს პერანგი ლევან კახთა მეფის საოქრომჭედლო სახელოსნოშია დამზადებული და რომ ამავე პერიოდში მოღვაწე მამნე ოქრომჭედლის ნამუშევრები გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და რომ მის ყველაზე ცნობილ ნახელავს – სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარს ხურავს ლევან კახთა მეფისავე სახელოსნოში

1 საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქივი, გორდეევის ფონდი, საქმე №278. მადლობა ნინო ჩიხლაძეს ამ ინფორმაციის მოწოდებისთვის.

გამოჭედილი და შემკული ქუდი (საყვარელიძე, 1987, 37-38). იგივე მოვლენას ვხვდებით XVII საუკუნეშიც, როცა ალექსანდრე კახთა მეფის ინიციატივით მოიჭედა გორის მახლობლად მდებარე გორიჯვრის ეკლესიის საკურთხევლისწინა ჯვარი (იქვე, გვ. 131).

ნათქვამის გათვალიწინებით, ანანურის ეკლესია, ისევე, როგორც ლავრის კანკელი, მოხატული უნდა იყოს იმ *მცხეთელი* მხატვრების მიერ, ვინც ქართლის კათალიკოსისა და მისი ძმის ქტიტორობით 1675 და 1681 წლებში დახატა შიომღვიმის ხატები და დაასურათა სვეტიცხოვლის (ანჩისხატის) ჟამნ-გულანი.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რატომ არ არის ტაძარი მთლიანად მოხატული და რატომაა მისი საკურთხეველიც ფრესკული დეკორის გარეშე დატოვებული, ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ ამავე პერიოდში, ამგვარი ნაწილობრივი მოხატულობის მაგალითი გვაქვს ერთაწმინდის ტაძარში, რომელიც ფრესკული წარწერის მიხედვით როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის ზეობაში, 1654 წელს, *იოთამ თარხან-მოურავის* სასყიდლის გაღებით მოუხატავს კარგარეთელების მიერ იერუსალიმიდან ჩამოყვანილ ჯვრის მონასტრის ბერ-მონაზონ *მელეტიოსს* (მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში, 2022, გვ. 227). ანანურის მსგავს, ამ დიდ, გუმბათიან ეკლესიაში მოუხატავადაა დატოვებული საკურთხეველი და გუმბათი, დარბაზში კი ფრესკები მოცემულია მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე კედლებსა და სამხრეთისა და ჩრდილოეთ კედლების აღმოსავლეთ მონაკვეთებში[1].

ნიშანდობლივია, რომ მელეტიოსს წმ. გიორგის მიერ ურჩხულის ძლევისა და ცოდვილის წამების სცენებზე ქართულთან ერთად გაუკეთებია არაბული წარწერებიც, რომელთაგან პირველში დუბლირებულია სასწაულის განმმარტავი ქართული ტექსტი, ხოლო მეორეში, მხატვრის საავტორო ქართულ ტექსტს აბოლოებს არაბულით ნაწერი მისი სახელი. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მელეტიოსი წარმომავლობით უნდა ყოფილიყო ქართველი, რომელსაც არაბული გამოუყენებია იმის მისანიშნებლად, თუ საიდან იყო ის ჩამოსული.

აღსანიშნავია, რომ სწორედ XVII საუკუნეში ჩნდება ქართულ ხატწერასა და კედლის მხატვრობაში არაბული წარწერები. ნათქვამის საილუსტრაციოდ იხილეთ *საქარველოს ეროვნულ მუზეუმსა* და თბილისის მთაწმინდის ეკლესიაში დაცული ურბნისის წმ. ბართლომესა და წმ. იაკობ მოციქულების და მამადავითის ეკლესიის კუთვნილი მაცხოვრისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატები, რომელთაგან ბოლო მუზეუმშივეა დაცული (ბურჭულაძე, 2016, გვ. 294).

არაბული წარწერაა შემორჩენილი სვეტიცხოვლის მირონმდინარე სვეტის ქვის ბალდახინზე ნახატი ყოვლადწმინდა *სამების* კომპოზიციაშიც – ქრისტე-პანტოკრატორის გადაშლილი წიგნის ფურცლებზე, სადაც ქართულად ნაწერი სახარებისეული ამონარიდი (მათე 11: 28-29) არაბულადაა დუბლირებული (ჩიხლაძე, 2010, გვ. 251-252). არაბული წარწერის ფრაგმენტებია შემორჩენილი ხონის წმ. გიორგის ეკლესიის *ღვთისმშობლის მიძინების* კომპოზიციაში, სადაც ის ერთ-ერთი ეპისკოპოსის გრაგნილზეა მიწერილი (ბურჭულაძე, 2005, გვ. 204-205).

ის, რომ, XVII საუკუნის მხატვრობის ძეგლების ერთ ნაწილში გვხვდება არაბულენოვანი წარწერები, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ამ პერიოდში წმინდა მიწასთან კავშირი გაუაქტიურებია. საკუთრივ იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ხელახლა მოიხატა *ნიკიფორე ჩოლოყაშვილის* მიერ დაახლოებით 1614-1649 წლებს შორის, იმხანად ქართველი სამეფო ოჯახის, აზნაურთა და სასულიერო წრეების წარმომადგენელთა ხელშეწყობით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა როსტომ მეფის მეუღლე *მარიამ დედოფალი*. შემთხვევითი არაა, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მისი მცირე ზომის მუხლმოყრილი ფიგურა დაუხატავთ მაცხოვრის ფეხებთან იმგვარად, როგორც შოთა რუსთაველია დახატული იქვე, წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. იოანე დამასკელის ფერხთით[1] (Вирсаладзе, 1974, გვ. 55, ტაბ. VIII, IX, X).

იერუსალიმის გარდა, XVII საუკუნეში ახლდება ურთიერთობა საქართველოსა და ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. ცნობილია, რომ ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ანტიოქიის არაბი პატრიარქის მაკარიოს III-ის ვიზიტებმა საქართველოში 1664-1666 და 1669 წლებში. რუსეთში მიმავალ მელქიტ პატრიარქს თან ახლდა ამალა, რომელშიც შედიოდნენ სასულიერო პირები და მხატვრები. ამ უკანასკნელთა შორის იყო მისი ვაჟი, იპოდიაკონი *პავლე ალეპოელიც*, რომელიც 1669 წელს გარდაიცვალა თბილისში. სწორედ პავლეს ხელით დაიწერა მაკარიოსის თხზულება *ცნობები საქართველოს შესახებ*, რომელიც ძვირფას წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ისტორიისთვის. აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნეში ალეპო მელქიტური ხელოვნების ცენტრი იყო, სადაც მრავლად იქმნებოდა მართლმადიდებლური მხატვრობის ნიმუშები. ისინი ხასიათდება: ერთი მხრივ, პოსტბიზანტიური (ათონური) სკოლის გავლენით, მეორე მხრივ კი, ადგილობრივი მხატვრული ტრადიციებით, რის საფუძველზეც მელქიტთა ხატები თვითმყოფად ჯგუფად გამოიყოფა XVII-XVIII საუკუნეების საეკლესიო ხელოვნებაში (ბურჭულაძე, 2005, გვ. 204-205).

ვფიქრობ, რომ ამ ხელოვნების გავლენა ჩანს XVII საუკუნის მცხეთის სამხატვრო სკოლაშიც, და მათ შორის, ანანურის მოხატულობაშიც. თუმცა, ამ საკითხის სრულად განხილვა შეუძლებელია წინამდებარე პუბლიკაციის ფარგლებში. ამ შემთხვევაში შემოვიფარგლები ანანურის მხატვრობის მელქიტური მიმდინარეობის მცხეთის სკოლის წარმომადგენელთა მიერ შესრულების შესახებ განაცხადით. ამის საფუძველს იძლევა ისიც, რომ მაკარიოსი მისი ვიზიტის დროს ხშირად ახსენებდა ქართველებს საქართველოს ეკლესიის უძველეს კავშირს ანტიოქიის ეკლესიასთან, რომლის იურისდიქციაშიც შედიოდა მცხეთის ეკლესია ქართლში ქრისტიანობის მიღებისა და გავრცელების პირველ ხანებში. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ასურელ მამათა ერთობლივი გამოსახულების გაჩენა ანანურის მოხატულობაშიც, ვინაიდან ღირსი მამები სწორედ ანტიოქიიდან ჩამობრძანდნენ საქართველოში და დიდად იღვაწეს ქართველთა რწმენის განმტკიცებისთვის.

## დასკვნა

ყველაფერი ზემოთქმული საფუძველს იძლევა სამომავლოდ კომპლექსურად იქნეს შესწავლილი: XVII საუკუნის ქართული კედლის მატვრობის, ხატწერისა და მინიატურის ძეგლები, რომელებშიც მჟღავნდება მელქიტური ხელოვნების გავლენები; გამოკვლეულ იქნეს ამ პერიოდის მხატვრობის ყველა არაბულწარწერიანი ნიმუში და მათ შორის, სამთავისის საკურთხევლის მოხატულობა, რომელიც გივი ამილახვრის ქტიტორობითაა შექმნილი.

ამასთან, უნდა მოხდეს არაბული წარწერების კვლევა შინაარსობრივი და პალეოგრაფიული კუთხით, რაც ხელს შეუწყობს *ქართულ-მელქიტური* ძეგლების სრულყოფილ შესწავლას – ცხადია, მათი წერის ტექნიკის, იკონოგრაფიისა და სტილის მონაცემების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, კომპლექსურ კვლევაში უნდა ჩაერთოს ანანურის კომპლექსის მცირე, *ღვთაების* ეკლესიაში არსებული, ედიშერ მდივანბეგის საფლავზე აღმართული ქვის ბალდახინის (*გუმბაზის*) მოხატულობაც, რომელიც საქტიტორო წარწერის მიხედვით ზუსტად თარიღდება 1674 წლით. მართალია, ის მნიშვნელოვნად განსხვავდება დიდი ტაძრის მოხატულობისგან – შესრულებულია აშკარად მინიატურული მხატვრობის სტილში, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია

1 მოხატულობის ძირითადი ნაწილი ტაძრის პატრონი წმინდანის, ესტატე პლაკიდას ცხორების სცენებს ეთმობა, რასაც ემატება წმ. გიორგის დაბორბვლა და ლასია ქალაქის გამოხსნის სასწაული. მათ გარდა სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში გამოსახულია დღე განკითხვის თავისებური ვერსია – ცოდვილი ახალგაზრდის წამება ეშმაკთა მიერ, რისი მსგავსი სცენა გვხვდება აგრეთვე მაღალაანთ ეკლესიის XVII საუკუნის 80-იანი წლების მოხატულობაში.

1 დედოფლის პორტრეტი და წარწერა კარგად ჩანს ნ. კონდაკოვის მიერ 1905 წელს გამოქვეყნებულ ფოტოზე ნაშრომში წმინდა მიწაზე მოგზაურობის შესახებ (Вирсаладзе, 1974, გვ. 8). სამწუხაროდ ამჟამად ეს გამოსახულება არ არის შემორჩენილი.

იმით, რომ ედიშერ მდივანბეგი ყოფილა ვახტანგ V-ის დისწული, ანუ გივი ამილახვრის მეუღლის, ბატონიშვილ თამარის დეიდაშვილი, რაც შეიძლება გამხდარიყო მიზეზი ამ შემთხვევაშიც მხატვრის მცხეთიდან მიწვევის.

## ბიბლიოგრაფია


აბულაძე, ი., (1955). *ასურელ მამათა ცხორების წიგნთა ძველი რედაქციები,* თბილისი: *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

ალექსიძე, ზ. (2019). *საქმენი იოვანე ზედაზნელისანი და მარტვილობაჲ აბიბოს ნეკრესელისაჲ. სინური რედაქციები.* თბილისი: გელათის მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

*ახალი აღმოჩენები სინას მთაზე. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა* (2005), შემდგენლები: ზ. ალექსიძე, მ. შანიძე, ლ. ხევსურიანი, მ. ქავთარია. ათენი: *ეპტალოფოსი.*

ბერიძე ვ. (2014), *ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია,* ტ. 1, თბილისი: *გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი.*

ბერიძე ვ. (1948), *მცხეთის კათედრალის „სვეტი ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში,* საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი XV, გვ. 135-164, თბილისი.

ბულია მ., ჯანჯალია, მ. (2017), *ახტალის მოხატულობა – კულტურული იდენტობის საკითხი. საქართველოს სიძველენი,* №20.

ბურჭულაძე, ნ., (2005), *არაბულწარწერიანი ხატები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში,* II საერთაშორისო სიმპოზიუმი *ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში. წარსული, აწმყო და მომავალი.* მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი.

ბურჭულაძე, ნ., (2007). *მონუმენტური და დაზგური მხატვრობის ურთიერთმიმართების საკითხისათვის შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში,* საქართველოს სიძველენი, №11.

ბურჭულაძე, ნ. (2011). *ზემო სვანეთის ხატწერის საგანძურიდან. კალის წმინდა ბარბარესა და ლატალის მაცხოვრის ეკლესიების ხატი-კანკელები XI საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების შუქზე,* საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, II (47-B), გვ. 556-584.

ბურჭულაძე, ნ. (2016). *ქართული ხატები,* თბილისი: *ქარჩხაძის გამომცემლობა.*

ბურჭულაძე, ნ. (2019). *ქართულწარწერებიანი მრავალკარედი ხატი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართველი ეროვნული წმინდანების გამოსახულებით (საქართველო ბიზანტიასა და ქრისტიანულ აღმოსავლეთს შორის),საქართველო-ბიზანტია-ქრისტიანული აღმოსავლეთი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრის II საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები,* თბილისი.

ბურჭულაძე, ნ. (2024). *წმინდა შუშანიკის გამოსახულებები ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში,* წიგნში – *წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ,* I1, თბილისი.

გაგოშიძე, დ., ბუჩუკური მ. (2002). *ანანურის ღვრთისმშობლის ეკლესიის მოხატულობის კონსერვაცია,* საქართველოს სიძველენი, #2.

გედევანიშვილი, ე. (2025). *წმინდა დიმიტრი თესალონიკელი,* წიგნში *წმინდა მეომრები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში,* თბილისი: *სეზანი.*

გომელაური, ი. (1982). *მღვიმევი,* თბილისი. *მეცნიერება.*

დადიანი, თ., კვაჭატაძე, ე., ხუნდაძე, თ., (2017). შუა საუკუნეების ქართული სკულპტურა, თბილისი: *სეზანი.*

დიდებულიძე, მ., (2002). *ახალი მონაცემები ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XIII საუკუნის მოხატულობის შესახებ* , საქართველოს სიძველენი, #1.

ზაქარაია, პ., (1953). *ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი,* თბილისი: *ტექნიკა და შრომა.*

იოსელიანი, პ. (1936). *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა,* თბილისი: *ფედერაცია.*

კაჭარავა, ე. (2023). *არაგვის ერისთავთა გენეალოგიის საკითხისათვის,* საქართველო და კავკასია. წარსული, აწმყო, მომავალი, საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მეორე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, #2, თბილისი: *საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

კვაჭატაძე ე., ჯანჯალია მ. (2012), *ანანური,* თბილისი: *სეზანი.*

მაკარი ანტიოქიელი (1982), *ცნობები საქართველოს შესახებ,* აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, *არმაღანი,* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

*მხატვრები შუა საუკუნეების საქართველოში.* (2022), გამოსაცემად მოამზადეს ქ. მიქელაძემ და მ. დიდებულიძემ, თბილისი: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრი.

მენაბდე ლ. (1962), *ძველი ქართული მწერლობის კერები,* ტ. 1, ნაკვეთი 1, თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

მერკვილაძე, დ. (2006), *ასურელი მამები: სირიელი მოღვაწენი,* თბილისი: *არტანუჯი.*

*პირთა ანოტირებული ლექსიკონი.* (1991), ტ.1, თბილისი: *მეცნიერება.*

*საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა,* წიგნი 5 (1990), თბილისი.

საქართველოს კათოლიკური მისიების პროსოპოგრაფიული ბაზა. (2022), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, https://missio.iliauni.edu.ge/ka/person/418/bardzim, წვდომის თარიღი 13. 07, 2025.

საყვარელიძე, თ. (1982). XIV-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა, თბილისი: *მეცნიერება.*

სოხაშვილი, გ. (1973). *სამთავისი,* თბილისი: *სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

სხირტლაძე, ზ. (2002), *წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობაში: ახალი მონაცემები და დაკვირვებები, საქართველოს სიძველენი, №2.*

სხირტლაძე, ზ. (2023), *სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ექვსკარედი ხატი-ლიტურგიკული კალენდარი ბიზანტიურ და ქართულ ხელოვნებაში,* ტ. 2, თბილისი: *საქართველოს საპატრიარქო და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

ქართლის ცხოვრება. (1973), ტ. IV. რედ. ს. ყაუხჩიშვილი, თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

ქართული ნაქარგობა. (2011), თბილისი: *ქარჩხაძის გამომცემლობა.*

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა. V-XIX ს. (2024), რედ. ზ. აბაშიძე, თბილისი: *კ. კეკელიძის სახელობის ქართული ხელნაწერების ცენტრი.*

ჩიხლაძე ნ. (2010), *სვეტიცხოვლის მოხატულობანი,* კრებულში *სვეტიცხოველი,* თბილისი.

ციციშვილი, ნ. (2023), *წმინდა დიმიტრი თესალონიკელი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში: მხატვრულ-იკონოგრაფიული ტრადიცია და თავისებურებანი,* წიგნში *წმინდა დი-*

*მიტრი შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში,* თბილისი: *გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვევის ეროვნული ცენტრი.*

ჭეხაშვილი, მ. (2020), *ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში და ამილახვართა ციხე-კოშკები მის ირგვლივ (საარქივო, ისტორიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა),* ქ. აბაშიძისა და ვ. არაბულის თანაავტორობით (გამოუქვეყნებელი).

Burtchuladze, N. (2020), *Painted Icons of St. Davit Garejeli in the Georgian National Museum (images of the saint in medieval Georgian art). David Gareji, Multidisciplinary Study and Development Strategy,* International Conference Proceedings, Tbilisi.

Burchuladze, N. (2023), *Icons from Svaneti in the Context of Byzantine Painting*, *Convinium Supplementum,* #2, MUNI ARTS, გვ. 184-20.

Вирсаладзе, Т. (1974), *Роспись Иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели,* Тбилиси: *Мецниереба.*

Вольская, А. (1979), *Рельефная плита из Зедазенского монастыря*“, *ქართული ხელოვნება №8.*

Девдариани Ф. (1990), *Миниатюры Анчисхатского гулани.* Тбилиси: *Мецниереба.*

Муравьёв А. (1848) *Грузия и Армения.* т. 1, С.П.Б.

*ნანა ბურჭულაძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი,
საქართველოს უნივერსიტეტი

*Nana Burchuladze*
PhD in History of Art,
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies,
University of Georgia
ORCID-ID:0009-0002-3689-1397





სურ. 1. ანანურის ტაძრის ინტერიერის ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი კედლის მხატვრობით






სურ. 2. ანანურის ტაძრის ინტერიერის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის მოხატულობის ფრაგმენტი



სურ. 3. ანანური. წმ. მხედრების რიგი. ჩრდილოეთ კედელზე 2002 წელს გახსნილი მხატვრობის ფრაგმენტი



სურ. 4. ანანური. განკითხვის დღის სცენა. სამხრეთ კედელი.






სურ. 5. ანანური. ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის ორ წახნაგზე გამოსახული ასურელი მამები



სურ. 6. ანანური. ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის სამ წახნაგზე გამოსახული ასურელი მამები





სურ. 7. ანანური. ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯის წახნაგებზე გამოსახული ასურელი მამები. სქემის ავტორი დავით გაგოშიძე



სურ. 8. ანანური. წმ. მიქაელ ულუმბოელის გამოსახულება



სურ. 9. ანანური. წმ. მიქაელ ულუმბოელის პორტრეტი (ფრაგმენტი)



სურ. 10. ანანური. სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯზე გამოსახული წმ. მეომრები



სურ. 11. ანანური. დღე განკითხვის სცენის ფრაგმენტი



სურ. 12-ა. შიომღვიმე. მირქმის ხატის ფრაგმენტი



სურ. 12-ბ. შიომღვიმე. ამაღლების ხატის ფრაგმენტი. 1678 წელი



სურ. 13. გარეჯის ლავრის კანკელის მოხატულობა, უფლის შობა (ფრაგმენტი). XVII ს.



სურ. 14. სვეტიცხოველი. წმ. სვიმეონ საკვირველმოქმედის ხატი. XVII ს. (ინახება საპატრიარქოში).



# ბოდორნის ღვთისმშობლის შობის ტაძარი

## გვიანი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა ეპოქის კონტექსტში

### აბსტრაქტი

წინამდებარე მოხსენება დუშეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ბოდორნის ღვთისმშობლის შობის ეკლესიას და მის ისტორიულ კონტექსტს შეეხება. საყურადღებოა, რომ თავად ტაძარი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშია და აშკარად ატარებს თავისი დროის მკაფიო ნიშნებს. მისი გეგმარებითი და განსაკუთრებით სივრცითი გააზრება გარკვეულ უჩვეულობებსა და, შეიძლება ითქვას, „ორიგინალობებსაც“ ამჟღავნებს, რაც არა იმდენად ოსტატისეული ჩანაფიქრის, რამდენადაც ტექნიკური მოცემულობების „დაუძლევლობის“ შედეგია. ცხადია, ცალკე აღნიშვნის ღირსია ტაძრის ისტორიული კონტექსტი და მისი კავშირი არაგვის ერისთავთა საგვარეულოსთან.

ტაძრის კორპუსზე არსებული წარწერების თანახმად, ადრე იქ მდგარი დანგრეული ეკლესია 1717 წელს განუახლებიათ არაგვის ერისთავის შვილს, *მიტროფანე ნინოწმინდელს* და სახლთუხუცეს *ქაიყუბათ კობიაშვილს*. მოგვიანებით, XVIII ს-ის შუა ხანებში, ქაიყუბათის შვილს ეკლესიისათვის სამხრეთიდან მცირე სამლოცველო მიუშენებია, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს. 1912 წელს ნაგებობა საფუძვლიანად შეაკეთეს. გუმბათით დაგვირგვინებული დარბაზული ეკლესია ნაშენია რიყის ქვითა და აგურით. ტაძრის სამშენებლო მასალა შერეულია და მხოლოდ ჩრდილოეთ კედელზე გვხვდება ქვისა და აგურის რიგების თანმიმდევრული მონაცვლეობა. რაც შეეხება გუმბათს, მისი ყელი სრულად აგურითაა ნაგები, ხოლო შიდა და გარე კედლები შეთეთრებულია.

ტაძრის შესასვლელი ღიობები ორ მხარესაა – სამხრეთით და დასავლეთით, საიდანაც ეს უკანასკნელი 1912 წლის შეკეთების დროსაა გაჭრილი. საკურთხეველში ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რომლის ორსავ მხარეს მცირე ზომის თითო ნიშია წარმოდგენილი. საკურთხევლის აფსიდის კედელზე ტრაპეზის ქვაა მიდგმული, ხოლო თავად საკურთხევლის იატაკი, დარბაზთან შედარებით, მაღლაა აწეული; გვხვდება შეთეთრებული კანკელი, სადაც აღსავლის კარია და ჩრდილოეთით არსებული მცირე ღიობი. ტაძრის ყველა კედელში თითო სარკმელია გაჭრილი – აქედან სამხრეთ და ჩრდილოეთ სარკმლების თაღები შეისრულია, ხოლო დასავლეთ სარკმლისა და გუმბათის ყელში გაჭრილი რვა სასინათლო ღიობის ფორმები – ნახევარწრიული. გუმბათქვეშა კონსტრუქციაში წარმოდგენილია გრძივი კედლების შეკიდებულ პილასტრებზე

გადაყვანილი ორი შეისრული თაღი, რომლებზეც დამყარებულია მათი პერპენდიკულარული, ორსაფეხურიანი თაღები. ეს წარმოქმნის გუმბათქვეშა კვადრატს, საიდანაც გუმბათის წრიულ ყელზე გადასასვლელად გამოყენებულია აფრები. ტაძრის გარე მასების გადანაწილება, მათი გააზრება არ შეესაბამება შიდა სივრცის სტრუქტურას. ჯვარ-გუმბათოვანი სახის შესაქმნელად გუმბათის ყელის სამხრითა და ჩრდილოეთით გვერდის „მკლავების“ ორკალთიანი სახურავებია მოწყობილი. ამის გამო, სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადების შუა მონაკვეთი ამაღლებულია და ფრონტონითაა დასრულებული. აღმოსავლეთ ფასადზე სამი, მოზრდილი ზომის, ჯვარია აგურის წყობით გამოყვანილი, საიდანაც ერთი ფრონტონის არეშია მოთავსებული. სხვა ფასადები მოკლებულია დეკორატიულ გაფორმებას. სამხრეთი კარის თავზე ჩასმულ ქვის ფილაზე რვასტრიქონიანი მხედრული წარწერაა, რომლის მიხედვითაც ვიგებთ ეკლესიის განახლების თარიღსა და დამკვეთთა ვინაობას, ხოლო დასავლეთი ფასადის თორმეტსტრიქონიანი მხედრული წარწერა – შეკეთების დროის ამსახველია. წახნაგოვანი გუმბათის ყელის თითოეულ „ნაკვეთზე“, დეკორატიულ მოჩარჩოებაში მოქცეული, ვიწრო და მაღალი სარკმლებია გაჭრილი. წახნაგთა წიბოებს თითო ლილვი დაუყვება, რომლებიც ზედა არეზე არსებულ ჰორიზონტალურ ლილვს ერთვის. ტაძრის ფასადები დასრულებულია მარტივი, სამსაფეხურიანი კარნიზით, ხოლო გუმბათის ყელის ლავგარდანი – ოთხსაფეხურიანია.

აღსანიშნავია, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია არაგვის ერისთავთა საგვარეულო სალოცავსა და საძვალეს წარმოადგენდა.

**საკვანძო სიტყვები:** ბოდორნა; ბოდორნის ღვთისმშობლის ტაძარი; არაგვის საერისთავო; არაგვის ხეობა; არქიტექტურა; ბოდორნის სვეტი; ბოდორნის გამოქვაბულები; გვიანი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა; კუპელჰალეს არქიტექტურული ტიპი.

## THE CHURCH OF THE NATIVITY OF THE VIRGIN OF BODORNA

## LATE MEDIEVAL GEORGIAN ARCHITECTURE IN THE CONTEXT OF THE ERA

## ABSTRACT

The present article examines the Church of the Nativity of the Virgin of Bodorna, within the Dusheti Municipality and its historical context. Notably, the church represents a fine example of late medieval Georgian architecture and clearly bears the distinct characteristics of its time. Its plan, and especially its spatial configuration, reveal certain peculiarities and, one might say, elements of *originality*, which appear to result not so much from the architect's creative vision as from the limitations imposed by technical constraints. Of particular interest is the historical context of the church and its connection to the noble lineage of the Aragvi Eristavis.

According to the inscriptions on the body of the church, the ruined church that once stood on the site was renovated in 1717 by Mitrophane Ninotsmindeli, son of Aragvi Eristavi, and the housemaster Kaiqubat Kobiashvili. Later, in the mid-18th century, Kaiqubat's son added a small chapel to the southern side of the church, which no longer exists today. The building underwent extensive restoration in 1912. The single-nave church, crowned with a dome, is constructed of cobblestone and brick. The construction materials of the church are mixed, with the alternating rows of stone and brick appearing only on the northern wall. As for the dome, its drum is built entirely of brick, while the interior and exterior walls are whitewashed. The church has two entrances – on the south and west sides – the latter of which was added during the 1912 restoration.

In the sanctuary, a tall arched window is located along the central axis of the semicircular apse, with a small niche on either side. A stone altar is placed against the apse wall, and the floor of the sanctuary is elevated in relation to that of the nave. There is a whitewashed iconostasis featuring the royal doors and a small opening to the north. Each wall of the church contains a single window: the arches of the southern and northern windows are ogival, while the western window and the eight lighting openings in the drum of the dome are all semicircular in shape. The sub-dome structure features two ogival arches springing from suspended pilasters on the longitudinal walls, which support two-tiered transverse arches set perpendicular to them. This configuration forms a sub-dome square, from which pendentives are used to transition to the circular drum. The distribution and articulation of the church's exterior masses do not correspond to the internal spatial structure. To create the cross-in-square plan, the dome's drum is flanked to the south and north by double-pitched roofs over the side *arms*. As a result, the central sections of the southern and northern façades are elevated and crowned with pediments. The eastern façade features three large crosses constructed in brickwork, one of which is placed within the pediment area. The other façades lack decorative ornamentation. Above the southern door, there is an eight-line Georgian Mkhedruli inscription engraved on a stone slab, which provides information about the date of the church's renovation and the identities of its patrons. The western façade bears a twelve-line Mkhedruli inscription that records the time of repair. Each facet of the polygonal dome drum features a narrow and tall window set within decorative framing. Each facet edge is accompanied by a pilaster that connects to the horizontal cornice located at the upper section. The church's façades are finished with a simple three-tiered cornice, while the drum of the dome features a four-tiered cornice.

It is noteworthy that The Church of the Nativity of the Virgin of Bodorna served as the family shrine and burial vault of the Aragvi Eristavis.

**Keywords:** *Bodorna, Bodorna Virgin Mary Cathedral, Aragvi Saeristao, Aragvi Gorge, architecture, Bodorna Column, Bodorna Caves, late medieval Georgian architecture, Kupelhalle architectural type.*

## შესავალი

ქართული სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთგვარ *ფორმულად* იქცა, რომ გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურის შესწავლა უფრო ადრეულ ეპოქებთან შედარებით იოლია, რაც მეტწილად განპირობებულია (ხშირ შემთხვევაში) სამშენებლო წარწერათა არსებობით ან საისტორიო საბუთების შედარებითი სიმრავლით. ეს რეალურად ასეც გახლავთ – ლოგიკურია, რომ გვიანი შუა საუკუნეების შესახებ ჩვენი საისტორიო მეცნიერების ცოდნა გაცილებით თანმიმდევრული, მრავალფეროვანი და ზუსტია. ამას ისიც ემატება, რომ მეტადაა გადარჩენილი არა მხოლოდ წყაროები, საბუთები თუ ლაპიდარული წარწერები, არამედ თავად არქიტექტურული ძეგლებიც, რაც ერთობლიობაში გვაძლევს საფუძველს მაქსიმალურად სრული კონტექსტით ვიკვლიოთ ძეგლი. ამ გარემოებათა გამოისობით, თავი იჩინა ისეთი ტიპის სირთულეებმა, როგორიცაა უყურადღებობა ან „გულგრილობა“. დროთა განმავლობაში ეს ტენდენცია არასწორი პერსპექტივით განვითარდა და ჩამოყალიბდა კიდევაც ერთგვარი დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც, გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლა არც მთლად პოპულარულ საქმედ იქცა. ითვლება ისიც, რომ თითქოს ამდენი წყაროს, საბუთის, წარწერისა და *საისტორიო ცოდნის* ფონზე გვიანფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების შესწავლას პრიორიტეტი არ ენიჭება, რაც იმთავითვე არასწორია და ამის ერთი დასტურთაგანი შესაძლოა ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევაც იყოს.

ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც XVIII საუკუნეშია აგებული და მისი ზუსტი თარიღიც კი დატანილია ტაძრის სამხრეთი შესასვლელის თავზე სამშენებლო წარწერის სახით, ვერ იქნა სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული. ეს მით უფრო ითქმის ძეგლის კონტექსტუალური ანალიზის მიმართულებით. დამოუკიდებელი სახით არქიტექტურა ნამდვილად შესანიშნავად არის გააზრებული რამდენიმე ავტორის მიერ, თუმცა ძეგლის კვლევა საისტორიო საბუთების, წყაროებისა და პალეოგრაფიის ერთობლივი ანალიზის კონტექსტში არ განხორციელებულა. ეს გარემოება კი ნათლად წარმოაჩენს ამ ტიპის, განკერძოებითი, კვლევების აშკარა ნაკლოვანებას. მიგვაჩია, რომ ბოდორნის შემთხვევაში ეს პრობლემაა არა მხოლოდ არქიტექტურის, არამედ, მისი სამშენებლო წარწერის ცალსახა, ფრაგმენტული ანალიზის თავლსაზრისითაც, რასაც ასევე ჰქონდა ადგილი.

ამდენად, თითქოს კარგად შესწავლილი, გამოკვლეული და პუბლიცირებული ძეგლი – ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია – აღმოჩნდა, რომ საკმაოდ მნიშვნელოვან სამეცნიერო საკითხთა მთელ წყებას მოიცავს, რომელთა გადაჭრაც, ნაწილობრივ, ჩვენი წერილის ფარგლებშია წარმოდგენილი, ხოლო ნაწილი სამომავლო, დაბეჯითებითი კვლევის საგანია. ამ მხრივ აღვნიშნავთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ მიერ წარმოდგენილი იქნება უფრო ვრცელი გამოკვლევა, რომელიც, ვფიქრობთ, ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიისა და მისი ისტორიული „თავგადასავლის“ მაქსიმალურად სრული ილუსტრაცია იქნება.

## კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდოლოგია დიდწილად დაფუძნებულია საველე-საექსპედიციო და საარქივო-ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებზე, სადაც წარმოდგენილია მოპოვებული, აღნუსხული მასალების საისტორიო და სახელოვნებათმცოდნეო ანალიზი. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და ტოპონიმიკური, წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდები და ამასთანავე, წარმოდგენილია ლანდშაფტის, გეოგრაფიული გარემოს კვლევა-ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია ინტერდისციპლინურია და საკვლევი საგნის კონტექსტის გათვალისწინებით, გამოყენებულია შესაბამისი კვლევის მიმართულებები თუ მეთოდები.



## კვლევის შედეგები

ჩვენ მიერ წაკითხული მოხსენებისა თუ წინამდებარე სტატიის თავდაპირველი მიზანი არ გახლდათ ბოდორნის ეკლესიის შესახებ ახალი ცოდნისა და სამეცნიერო სიახლეთა წარმოდგენა. მახვილი არაგვის საერისთავოს კონტექსტში ბოდორნის ეკლესიის განხილვასა და მისი ისტორიის მიმოხილვაზე მოდიოდა, თუმცა პროცესში აღმოჩნდა, რომ ესოდენ ზუსტად დათარიღებული და თითქოს კარგად შესწავლილი ტაძარი, რომლის შესახებაც ორ ათეულამდე სამეცნიერო თუ ნახევრადსამეცნიერო სახის წერილი არსებობს, მოიცავს უმნიშვნელოვანეს საკითხთა წყებას, რომელიც უსათუოდ საჭიროებდა სამეცნიერო სჯასა და გადაწყვეტას.

კვლევის შედეგად მაქსიმალური სიზუსტითა და თანმიმდევრობით აღდგა ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის ისტორია საბუთებისა თუ საისტორიო წყაროების მიხედვით, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად იხსენიებდნენ ან გარკვეული სახით ეხებოდნენ ბოდორნის ეკლესიას და მის ირგვლივ არსებულ კლდე-ქვაბებს. ამასთანავე, მაქსიმალურად ვრცლად, რამდენადაც ამას წერილის ფორმატი ითვალისწინებდა, წარმოვადგინეთ ბოროდნის ეკლესიის შესახებ არსებული ინფორმაცია XIX და XX საუკუნეების პერიოდული გამოცემების მიხედვით, რომლებიც საკმაოდ საყურადღებო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. აქვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე გამოკვლევის ფარგლებში, ვფიქრობთ, მოცემულია საკმაოდ სრული ბიბლიოგრაფიული ანალიზი, რაც აქამდე მოცემულ ძეგლზე არ განხორციელებულა და უთუოდ საჭირო მიმართულება გახლდათ. სწორედ საისტორიო საბუთების, წყაროების, პერიოდული გამოცემებისა და სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის შედეგად გახდა შესაძლებელი ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ მეტ-ნაკლებად ახალი, მაქსიმალურად სრული (თუმცა დარჩენილია საკმაოდ მნიშვნელოვანი და კრიტიკული საკითხები, რომლებიც საგანგებო კვლევას მოითხოვს) სურათის წარმოდგენა, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ რაიმე ტიპის აბსოლუტურობაზე გვაქვს პრეტენზია. უფრო მეტიც, საისტორიო საბუთებისა და წყაროების სრული ანალიზი შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ სამომავლოდ უნდა განხორციელდეს. აღნიშნული მიმართულებით ჩვენ მხოლოდ გარკვეული კლასიფიკაციითა და თხრობის თანმიმდევრულობით შემოვიფარგლეთ და ამდენად, არ გვიცდია მათი სიღრმისეული ანალიზი.

## მსჯელობა

ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდორნის სამხრეთით, ცენტრიდან დაახლოებით 500 მეტრის მოშორებით მდებარეობს – მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, თიხნარიანი მთის ციცაბო კალთის მცირე მოვაკებაზე). ძეგლი ნაგებია მცენარეული საფარით, ხეებითა და ბუჩქნარით დაფარულ ტერასაზე, მცირე ზომის თხემზე ნაგებობის მდებარეობა გამორჩეულია და, როგორც ზოგადად ქართულ ხუროთმოძღვრებაში, მოცემულ შემთხვევაშიც გეოგრაფიულ გარემოსთან თანაშეწონილობის იშვიათი ჰარმონიულობით ხასიათდება (სურ. 1). აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ადგილას ვხვდებით გადასახვევებს საქართველოს სამხედრო გზიდან დუშეთისა და ბაზალეთის ტბისკენ, ხოლო ტაძარი, ერთგვარად, ხსენებულ *გზაჯვარედინზეა* ნაგები. ეკლესიის განთავსების გეოგრაფიული გარემოს მშვენიერებას ხაგასმით შენიშნავს ვ. ბერიძე და ამბობს: *...აქედან არაგვის ხეობის ულამაზესი ხედი იშლება – მდინარე აქ უკვე გამოსულია ვიწრო კალაპოტიდან და მის ორივე ნაპირზე ფართო ჭალებია* (ბერიძე, 1994:90).

ვიდრე უშუალოდ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ მსჯელობას დავიწყებთ, საყურადღებოა იმ ცნობებისთვის თვალის მიდევნება, რომლებიც შემორჩენილია, როგორც სოფელ ბოდორნის, ისე აქ არსებული ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო ცნობებისა თუ საბუთების თვალსაზრისით ბოდორნა არ გამოირჩევა მოხსენიებათა დიდი სიმრავლით, თუმცა არსებული მასალა საკმაო საფუძველს გვაძლევს საიმისოდ, რომ თითქმის გაბმულად ვიმსჯელოთ ბოდორნის, როგორც სოფლის, ტოპონიმის და

მისი *ცხოვრების* სხვადასხვა ასპექტზე, დაახლოებით XV საუკუნიდან – დღემდე.

ძლიერ მოკლე, თუმც კი საყურადღებო ცნობას ბოდორნის შესახებ გვაწვდის *ვახუშტი ბატონიშვილი*, რომლის ყურადღებაც სოფელში მხოლოდ ტაძრის მახლობლად არსებულმა *სვეტმა* მიიპყრო (სურ. 2-3). გეოგრაფოსი არაგვის პირისა და ბაზალეთის აღწერის პირველსავე აბზაცში მოიხსენიებს ბოდორნას და წერს: *...მისაქციელიდამ და ოჴერ-ჴიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი, და ოჴერ-ჴიდის ჩრდილოთ არს ბოდორნას ქუაბნი გამოკუეთილნი და ციხე მაგარი. ამის ჩრდილოთ ურია, მოსახლენი ვაჭარნი* (ვახუშტი, 1973:353). ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოხსენიებული *„ციხე მაგარი“*-ს ლოკალიზება სადღეისოდ ვერ ხერხდება. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს ჯ. გვასალია: *...ვახუშტი ბოდორნას ციხე მაგარს უწოდებს. ამჟამად ნაციხარის არავითარი კვალი არ შეიმჩნევა* (გვასალია, 1975:78). საყურადღებოა, რომ უშუალოდ ტოპონიმი „ბოდორნა“, *ი. ჯავახიშვილის* მოსაზრებით, დაკავშირებული უნდა იყოს მცენარე ბალბას (მოლოქი) მეგრულ სახელწოდებასთან – *„ბოდერია-ბოდორია“* (ჯავახიშვილი, 1986:174), რომელსაც საქართველოში იყენებენ არა მხოლოდ საკვებად, არამედ, ქართულ ხალხურ მედიცინაში ის გამოყენებულია, როგორც მრავალმხრივი სამკურნალო საშუალება.

1474 ან 1494 წლის 24 ივნისის ბოდორნის მონასტრის ტყავზე შესრულებულ გუჯარში ვხვდებით მეტად საყურადღებო ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება, რომ არაგვის ერისთავს, *ვამეყ შაბურისძეს* (იგულისხმება ვამეყ I შაბურისძე, არაგვის ერისთავი 1465-1474/94 წლებში), სოფელი ხანდაკი ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის შეუწირავს (ქრონიკები, 1897:291-293). როგორც აღნიშნული გუჯარი გვატყობინებს, რომელიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ვრცელი და *სიტყვაუხვია*, ვამეყს და მის თანამეცხედრეს, *დულარდუხტ ყოფილს – მონაზონ დომნეს*, სოფელი ხანდაკი ბოდორნის ღვთისმშობლისთვის კონკრეტული *დათქმებით* შეუწირავთ: *მოვედით ცდუნებისაგან გონებად და მოვიგონეთ და გულისჴმა ვყავთ მე, ერისთავთ ერისთავმან, სახით ოდენ წოდებულმან ვამეყ შაბურისძემან და ჩუჱნმან თანა-მეცხედრემან, სახელითა ოდენ დულარდუხტ-ყოფილმან მონაზონმან დომნე... დაღონებულ ვიქმნენით ცოდვათა ჩუჱნთა სიმრავლისაგან... აწ მოვედით მოწიწებით და მუჴლ-მოდრეკით და შემოგეხვეწენით... აწ ჩუჱნისა სულისა საჴსრად გკადრეთ და მოგაჴსენეთ და შემოგწირეთ ჩუჱნი მკვიდრი მამული, ხანდაკი მისითა მზღურითა, ჴევს-უკანით ვიდრე მეფისა სამზღუართა-მდის* (ქრონიკები, 1897:291).

მთლიანი ტექსტის თავი და ბოლო ერთგვარი სავედრებელია, სადაც მეორდება ერთგვაროვანი შინაარსის ფორმულები, ხოლო მისი ძირითადი ნაწილი აღაპია, რომელიც მოიცავს ბოდორნის ეკლესიისა და კეთილმსახურთა მიმართ შესაწირავის რაობას, რაგვარობას, დროს, რაოდენობასა და ა.შ. აღაპის ის ფორმა, რომელიც მოცემულ გუჯარშია წარმოდგენილი, თავისუფლად შეიძლება იწოდოს ფეოდალური საქართველოსთვის სახასიათო, პირობითი მიწათმფლობელობის განსაკუთრებულ ფორმად – ეს გახლავთ ე.წ. *„შეწირული“*. ტექსტის მიხედვით, ჩვენ ვხედავთ ვამეყ შაბურისძის დადგენილ სააღაპე ფორმას, რომელიც, გარდა საზოგადო სახისა, მოიცავს ადგილობრივ წესებსაც. აღსანიშნავია, რომ ვამეყის მიერ დადგენილია მისი და მისივე თანამეცხედრის მოსახსენიებელი დღეები, შეწირულობის რაოდენობა, შესაწირავის რაობა, მისი გაყოფა-განაწილების წესი, ლოცვებში მოხსენიების დრო თუ ტაძარში დასანთები კანდელებისა და კელაპტრების რაოდენობა. ტექსტის ბოლოს წარმოდგენილია *განკარგულება*, რომელიც მკაცრად ადგენს: *... ვერავინ საქმე დაიგდოს, თჳნიერ ხატისა მაცხოვრის მეტმან, ვერა მეფემან, ვერ დედოფალმან, ვერცა ერისთავთა, ვერც მოურავთა და ჴელისუფალთა. არა გეთხოებოდეს რა და თქუჱნსა კარსა არა მოგადგებოდეს, ჩუჱნო მკვიდრნო ყმანი, ხანდაკელნო, არა ლაშქრობად, არა მალი, ულუფად, არა მიდამი მუშაობა... არაფერი საქმე ჩუჱნსა კარსა არა მოადგებოდეს, თჳნიერ ერთისა ხატისა სამსახურის მეტი* (ქრონიკები, 1897:293).

ვამეყ შაბურისძის განხილული სიგელი საყურადღებო და მნიშვნელოვანი გახლავთ მხატვრული გაფორმების თვალსაზრისითაც, რომლის შესახებ მცირე ცნობა გვხვდება *ქრონიკებში*, სადაც მითითებულია: *...გუჯრის თავს ხელოვნურად დახატულია მაცხოვარი მაკურთხეველი და იქით-აქით ორი ანგელოზი. ქვემო ამათსა მარჯვენით დახატულია მდიდრულად შემოსილი კაცი ასო-მთავრულ წარწერით: „ე: (ერისთავი) ვამიყ“ და მარცხნით ქალი წარწერით: „პატრონი დულარდუხტ“ – ორნივე დაჩოქილნი. ეს მხატვრობა გადმოუღია და გამოუცია გაგარინს და იქიდან გადმოუხატავს „კვალს“ 1894 წ.* (ქრონიკები, 1897:291). წინამდებარე შეწირულობის წიგნის მხატვრული გაფორმების შესახებ თანამედროვე კვლევებში ვკითხულობთ: *ეროვნულ არქივში დაცული წერილობითი ძეგლებიდან ამ ნაკადის (იგულისხმება „ხალხური ნაკადი“, ნ.ა.) საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ერისთავ ვამიყ შაბურისძისა და მისი თანამეცხედრის – დულარდუხტის მიერ 1494 წლის 24 ივნისს ბოდორნის მონასტრისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნი. ვამიყის საბუთზე დართული მოხატულობა ხასხასა ფერებით არის შესრულებული, ყურადღებას იქცევს ქართველ დიდებულთა ჩაცმულობა, საოცრად მეტყველი სახეები, სიმეტრიულად განლაგებული ანგელოზები, მკაცრად გადანაწილებული ფერები; მთელ ამ კომპოზიციას კრავს მაცხოვრის გამოსახულება გადაშლილი წიგნითა და დახვეწილი გეომეტრიული თუ ყვავილოვანი ორნამენტებით* (ქართული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები, 2023:86, 262). ანალოგიური ინფორმაციაა მოცემული ეროვნული არქივის მიერ გამოცემულ მანამდელ წიგნში, სადაც ისევე, როგორც 2023 წლის გამოცემაში, მოცემულია თავად მოხატული საბუთის სურათიც (ქართული მოხატული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები, 2016:6, 40-43). ვფიქრობთ, აღნიშნული საბუთის მოხატული *თავსართი* მეტ კვლევასა და კომპარატივისტულ მსჯელობას იმსახურებს, თუმცა ჩვენი წერილის ფარგლებში მას ვერ შევეხებით.

„ქრონიკებში“ წარმოდგენილი შეწირულობის ტექსტის მიხედვით ჩვენ ვხედავთ, რომ წინამდებარე დოკუმენტის თარიღი 1474 წელი გამოდის: *...დაიწერა ქორონიკონსა :რჟბ: თ~ა ივნისსა :კდ: ჴელითა ფრიად ცოდვილისა და გლახაკისა კარისა მწიგნობრისა კედელასშვილისა საბასითა* (ქრონიკები, 1897:293). რაც შეეხება ცენტრალური არქივის ორივე ხსენებულ გამოცემას, სადაც იმავე შეწირულობის სიგელის „მოხატულობაა“ დაბეჭდილი, თარიღი 1494 წლითაა განსაზღვრული. ეს განპირობებულია ტექსტის ქორონიკონის განსხვავებული წაკითხვით: *დაიწერა ქორონიკონსა რპბ, თუესა ივნისსა კდ...,* რაც 1494 წელი გამოდის (ქისკ, 2014:146). ჩვენთვის გადაჭრით რთულია რისამე მტკიცება, თუმცა წინამდებარე საკითხი დამატებითი მსჯელობის სახით წარმოდგენილი იქნება შემდგომ კვლევაში. აღნიშნული დოკუმენტი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გვიანფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების შესახებ, რომლებიც ასევე დამატებითი, დამოუკიდებელი მსჯელობის საგანია (გვრიტიშვილი, 1955:89-90).

როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, უკვე მოგვინებით – 1629 წელს, *ზურაბ არაგვის ერისთავმა* თავად ბოდორნა წილკნის ღვთისმშობლის ეკლესიას დაუმტკიცა: *ჩვენ, ერისთავმან პატრონმა ზურაბ და ძმათა ჩვენთა გიორგიმ, დ~თ, ზაალ და რევაზ... ძველთაგან ამ საყდრის (ანუ წილკნის, ნ.ა.) შემოწირული ყოფილა ბოდორნა და კოჭლაძე... ჩუენცა აგრე დაგიმტკიცეთ* (ქრონიკები, 1897:448). მოცემული მცირე ამონარიდიდან ჩვენ ვარკვევთ, რომ აქ საქმე გვაქვს არა უშალოდ შეწირულობაზე, არამედ უკვე შეწირულის ხელმეორედ, ახალი „მმართველობის“ პირობებში დამტკიცებაზე. როგორც ჩანს, ხსენებული შეწირულობა საკმაოდ დიდი ხნის ისტორიის მქონეა, რასაც უნდა გვისაბუთებდეს ტექსტში გამოყენებული სიტყვა – „ძველთაგან“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არაგვის ერისთავთაგან ვინმეს უნდა შეეწირა ბოდორნა წილკნისთვის და ეს 1629 წლამდე უნდა მომხდარიყო – ცხადია, ჩვენთვის ეს თარიღი უცნობია.

შეწირულობის ეს მოცემულობა რომ ძალაშია ამავე საუკუნის მეორე ნახევარში, ჩანს *წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს სიგელიდან*, რომელიც შედგენილია 1669 წელს და მოიცავს ამა თუ იმ სოფლის *გამოსაღების მნიშვნელობას*. არაგვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია ბოდორნა და მასზე შეწერილი *გამოსაღები*, წილკნელისა თუ ადგილობრივი მღვდლისთვის, რომელიც ასე განისაზღვრება: *დეკანოზს – ერთს ჩაყენება, ხარი და ცხვარი. ამიტომ აძევს სახუცო, საყდარს ბევრი შემოსავალი აქვს, ყმაც ყავს. იმის ყმას დრამა არ [ა]ძევს, თითო ძღვენი. და საკანონო თუ იყოს რამე, როგორც ზევით დაგვეწეროს, ისე გამოართვით.*

*საყდრის დეკანოზი თუ მოკვდეს, ან მეუღლე მისი, ნიშანი და კარგი საწირავი წილკნელს მიართონ. აგრეთვე სხვათა მღვდელთა* (ქსძ, 1970:551-552). აღნიშნული ტექსტიდან ჩვენთვის საგანგებოდ მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის სახელზე ჩანს საკმაო შემოსავალი და ყმების არსებობა, რაც კვლავაც წარმოაჩენს მის მნიშვნელობას.

ბოდორნის მოხსენიებით კიდევ ერთ, ძალზე მოკლე ცნობას ვხვდებით თ. ჟორდანიასთან: *ქ~კს: უნა (1763 წ.) დაბრუნდა ანტონ კათალიკოსი საქართველოში (წ. კ. №35).* და იქვე: *ბოდორნის წარწერა გვიჩვენებს ანტონის დაბრუნებას 20 მარტს 1763 წ.* (ქრონიკები, 1967:281). ეს უკიდურესად მოკლე ცნობა მეტად საყურადღებოა, თუმცა იმავდროულად, გარკვეულ მიზეზთა გამო, გაუგებარიც – ბოდორნის ამჟამინდელი საფასადო წარწერები არ ინახავს ცნობას ანტონ კათალიკოსის საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამდენად, შესაძლოა, აქ ან სხვა რაიმე საბუთზე იყოს საუბარი, რომელიც ჩვენთვის უცნობია და ან ტაძარზე ოდესღაც არსებულ წარწერაზე, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს. წინამდებარე მონაკვეთი, მართალია, შეიცავს ბოდორნის მოხსენიებას, თუმცა უკონტექსტოა და რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს.

სოფელ ბოდორნასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ცნობა ასევე საბუთის სახითაა წარმოდგენილი და დათარიღებულია 1764 წლის 16 აგვისტოთი. ეს გახლავთ: *არზა გრიგოლ მღვდლისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით*, სადაც ერეკლე მეფის ბრძანების ნაწილში ვკითხულობთ: *...ქ. ჩვენი ბრძანება არის. მერმე თუ არაგვზე სხვას სურსათი არ გამოვართვით, ხომ არც ამის ყმებს გამოერთმევა. და თუ არაგვზე სურსათი გამოვართვით, რაც ბოდორნის წმიდის ღმრთისმშობლის ყმას შეხვდეს, ნუ გამოართმევთ, იმას ჩვენ გიანგარიშებთ; რაც იმათი წილი იქნება, გრიგოლ მღვდელმა აიღოს* (ქსძ, 1981:78). ერეკლე II-ის ეს ბრძანება პასუხია უშუალოდ გრიგოლ მღვდლის *ჩივილზე*, სადაც ეს უკანასკნელი მეფეს ატყობინებს: *...თქვენ რომ ბოდორნის ღვთისმშობლის ყმის წყალობა მიყავით, ორი კომლი კაცი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა...* და იქვე ამატებს, რომ ბოდორნაში *თქვენი ბრძანება მოვიდა და სურსათს აღებინებენ. ამ წყალობას ვითხოვ თქვენგანა, რომ ამათის გამოსაღებისაგან განათავისუფლოთ და თქვენი მლოცველი მამყოფოთ.* ვფიქრობთ, რომ წინამდებარე არზა სრულებით გასაგები შეინაარსისაა და არავითარ განმარტებას არ საჭიროებს. დავძენთ მხოლოდ ერთს – აქ კიდევ ერთხელ დასტურდება ის გარემოება, რომ ბოდორნის ღვთისმშობელს ჰყავს ყმა გლეხების გარკვეული რაოდენობა, მოცემულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უშუალოდ სოფელში მყოფნი, რომლებიც სხვა „გამოსაღებისაგან“ თავისუფალნი არიან. თუკი უკვე განხილულ *ვამეყ შაბურისძის* აღაპს გავიხსენებთ და მას XVIII საუკუნის II ნახევრის არსებულ ვითარებას შევადარებთ, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ბოდორნისათვის ვამეყის მიერ შეწირული სოფელი ხანდაკი და მისივე დამტკიცებული წყალობა ძალადაკარგულია, ხოლო როდის და რა ვითარებაში მოხდა ეს, უკვე სხვა საკითხია.

1794-1799 წლების იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერის ტექსტის მიხედვით, სადაც ხეობების მიხედვით წარმოდგენილია აღნიშნული ტერიტორიების საკმაოდ ზუსტი და ზედმიწევნითი აღწერილობა, ვარკვევთ, რომ ერეკლე II-ის მმართველობის ხანაში (1744-1798 წწ.), ბოდორნა, ისევე როგორც არაგვის საერისთავოს სხვა სოფლები, ერეკლე II-ის ძეს, *ვახტანგს* ეკუთვნოდა. იოანე ბატონიშვილის აღწერილობაში ვკითხულობთ: *ქ. ამასვე შეუდგების არაგვის საერისთოს სოფლები ვაკისა, რ(ომე)ლ(ნ)იც თჳს ეყოდა მეფის ძეს ვახტანგს... ქ. ბაზალეთს, რომელიც მიეწერება: ქ. ნაოდა, მოსახლენი, ქ. არჩვეთი, მოსახლენი... ქ. ბოდორნა, მოსახლენი...* (ბაგრატიონი, 1986:34).

ის, რომ ბოდორნა ბატონიშვილ ვახტანგის განმგებლობაშია, დასტურდება 1790 წლის 30 ოქტომბრის მისივე ბრძანების დოკუმენტიდან, რომელიც მიმართულია ბოდორნელი შიოლასა და ბოდორნელებისადმი – მოკლე ტექსტში ვკითხულობთ: *ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ ბოდორნელო შიოლავ და ბოდორნელნო, მერე როგორც ადამასათჳს გემსახუროსთ, ისე ამის ობლებს ემსახურენით, ნურას დააკლებთ, თორემ დიდათ გიწყენთ. ოკდონბერს ლ~კს უოჱ. რაც იმისათჳს გემსახუროსთ, ამასაც ემსახურენითდა მეტს ვერცა ეს მოინდომებს* (დოკუმენტები, 1953:155). გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ აქ საუბარი უნდა იყოს სასულიერო პირზე და ტექსტში მოხსენიებული ადამა სწორედ ბოდორნის ეკლესიის მსახური უნდა ყოფილიყო, რომლის გარდაცვალების გამოც მისი შვილები ობლად დარჩნენ. სწორედ მისი მემკვიდრეების მოვლა-პატრონობას აკისრებს ბატონიშვილი ვახტანგი ბოდორნელებს, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთი დასტურია ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი სოფლის ყმათა მსახურების, როგორც ფაქტისა.

იოჰან გიულდენშტედტის მიხედვით, რომელმაც 1771-1772 წლებში იმოგზაურა საქართველოში, მოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა და საკმაო გულისყურით აღწერა ჩვენთვის საინტერესო რეგიონი, საგანგებოდ არის გამოყოფილი არაგვის საერისთავო, მისი მდებარეობა და მასში შემავალი სოფლები. *შუა, ანუ შიდა ქართლის,* თავში მას ჩამოთვლილი აქვს ხადის, ხევსურეთის, გუდამაყრის, ფშავის და ა.შ. შემადგენელ სოფელთა ნუსხა, რომელთა შემდგომაც მოცემულია *მხარე საერისთავო.* ტექსტში ვკითხულობთ: *მხარე საერისთაო [არის] არაგვზე, ფშავის ქვემოთ. მისი სოფლებია: 1. ანანურის ციხე არაგვის მარჯვენა მხარეს. მას მიაკუთვნებენ ქალაქთა რიცხვს... 2. ავენისი, 3. ქაისხევი... 24. ბოდორნა...* (გიულდენშტედტი, 1962:273).

პლატონ იოსელიანის წიგნში – *ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა,* XVIII საუკუნის სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად, აღწერილია მეფის მოგზაურობის ისტორია სხვადასხვა მხარეში – მათ შორის, წიგნის XXX-XXXI თავებში წარმოდგენილია მონაკვეთი, სადაც რამდენიმეგზის მოიხსენიება ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. 1788 წელს გიორგი XII დუშეთში იმყოფება თანმხლებ „ამალასთან“ ერთად, რომელთა შორისაც ვხვდებით, როგორც საერო, ისე სასულიერო ჩინის მქონე პირებს – უშუალოდ ბატონიშვილისა და სამეფო კარის უახლოეს გარემოცვას. როგორც ტექსტიდან ჩანს, გიორგი XII-ის მოგზაურობის სურვილი პილიგრიმული ხასიათისა უნდა ყოფილიყო, რომელზეც თავად ერეკლე II-ისგან ნებართვაც აუღია: *დუშეთიდან დარიალადმდე სლვა მეფის ძისა, იყო სლვა მოციქულთა. ყოვლითა ნიშთა და წმინდათა ხატთა თაყვანის საცემლათა ადგილთა ზედა, მოვიდოდნენ და გალობდენ პარაკლისსა, და დაასვენებდენ ჯვართა, მიუბოძებდენ ბავრაყთა და ადიდებდენ მაცხოვრისა სახელსა. სადაცა იყოფოდა ეკკლესია შერყეული, აკურთხევდენ, და არა შერყეულთა შინა შესწირვიდენ უსისხლოსა მსხვერპლსა* (იოსელიანი, 1936:46). ტექსტის ამ მონაკვეთიდან ნათლად ჩანს მეფისწულის მოგზაურობის მიზეზიცა და მიზანიც.

აღნიშნულის პარალელურად, გიორგი XII თანმხლებ პირებთან ერთად არაგვის ხეობის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოილოცავს ყველა სალოცავს, ისადგურებს სხვადასხვა სოფელში, სადაც ლოცულობს და შესწირავს შესაწირს. მეფის ძის მოგზაურობა საბოლოოდ თბილისში სრულდება, ხოლო მისი არაგვზე მოსვლის ამბავი ადგილობრივთა შორის დიდხანს ცოცხლობდა: *გოშპარ კობიაშვილი, მოხუცი, 112 წლისა გარდაიცვალა 1864 წელს, იტყოდა: მახსოვს დღე ესე მეფის ძის გიორგის მობრძანებისა არაგვზედ; ყმაწვილი ვიყავ და მამსახურებდენ მათ თავადთა, რომელნიც ახლდნენ მას ბოდორნისა დღესასწაულსა... ეს კი კარგად და ცოცხლად მახსოვსო, რომ ათამდინ ყმაწვილნი კაცნი მოვედით არაგვისა ჭალასა ბოდორნისა ძირში და დავიჭირეთ თოფით მოკლულნი ხოხობნი და მივართვით ბატონსო... იმ დროს, როდესაც გულხეთქებით ავედით ბოდორნისა ძირში დაჭერილი და მეფის ძემან უბოძა ფული, საჩუქარი, და ჩვენ ყმაწვილებს გვეწყინა, რადგანაც არა გამოგვივიდა წყალობა რამე* (იოსელიანი, 1936:47). გარდა ამისა, გიორგი XII კიდევ ერთ ეპიზოდში იხსენიება ბოდორნის ტაძართან მიმართებით – კერძოდ, ის ძმებს შორის (იგულისხმებიან ერეკლე II-ის შვილები – ალმასხანი, იგივე *ვახტანგი* და ფარნაოზი) გარკვეული შუღლის გამო იძულებული შეიქნა ანტონ კათალიკოსთან და სიონის დეკანოზ იოანე ოსეს ძესთან ერთად ერთგვარი შუამდგომლობა ეკისრა მათ შესარიგებლად, რაც მოახერხა კიდევაც: *ექვსსა დღეს შექცევითა განატარეს მუნ დრო სიყვარულისა. აზნაურთა დამშვიდებისათვის და ნიშნად ჭეშმარიტისა კავშირისა შეჰფიცეს ყოველთა ბოდორნისა ეკლესიასა შინა დღესა 8 სეკდემბერს, რომელსაცა არს დღესასწაულიცა თვით ტაძრისა ამის გუმბეთიანისა, მაღალსა ბორძვსა ზედა. აქა სწირა თვით კათალიკოსმან ანტონი... თავადთა და აზნაურთა არაგვისაგან მხიარულებდენ მემკვიდრე გიორგი და ძმანი*

*მისნი* (იოსელიანი, 1936:48).

ჩვენ მიერ მოხმობილი მცირე ამონარიდები აღნიშნული ნაშრომიდან და პ. იოსელიანის წინამდებარე გამოცემა უაღრესად საინტერესო მასალას გვაწვდის XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და ისტორიულ-სოციალური ვითარების შესახებ, თუმცა, ამჯერად ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი უშუალოდ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია და მისი მოხსენიების კონტექსტი გახლავთ. ცხადია, ფორმატის გათვალისწინებით, ჩვენ სიღრმისეულ ანალიზს თავს ავარიდებთ – აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ წინამდებარე ტექსტის მიხედვით, დროის ამ კონკრეტულ მონაკვეთში, ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია დგას, ფუნქციონირებს და, *რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, საკმაოდ სახელმოხვეჭილიცაა*. უპირველესად მნიშვნელოვანია, რომ ტექსტში ტაძრის თვისობრივად მნიშვნელოვანი მახასიათებელია წარმოდგენილი *(...ტაძრისა ამის გუმბეთიანისა...)*, რომლის მიხედვითაც ტაძარი გუმბათიანია. ასევე მცირე მონაკვეთებიდან ჩანს, რომ ის შემაღლებაზეა ნაგები *(...მაღალსა ბორცვსა ზედა...)* და, რაც ასევე საყურადღებოა, საცნაურია მისი გეოგრაფიული გარემო, ესოდენ სახასიათო ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის. ვგრნებთ, ასევე მნიშვნელოვანი გახლავთ ის გარემოება, რომ ტაძრის მონახულება გიორგი XII-ს და მის თანმხლებთ ბოდორნის ღვთისმშობლის დღესასწაულზე გადაუწყვეტიათ *(...შეჰფიცეს ყოველთა ბოდორნისა ეკკლესიასა შინა დღესა 8 სეკდემბერს, რომელსაცა არს დღესასწაულიცა თვით ტაძრისა ამის...)*, რაც მინიმუმ ორ მნიშვნელოვან მოვლენას გვითვალსაჩინოებს – ერთია, რომ ჩვენთვის *ცნობილი* ხდება ტაძრის დღესასწაულის თარიღი, ხოლო მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ რეგიონში ბოდორნა განსაკუთრებულ სიწმინდედ მიიჩნეოდა.

საყურადღებო და მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტაძრიდანაა შესული არქივში – მათ შორის ვხვდებით ხელნაწერებს: *წმ. თეოდორე ტირონის, სტეფანწმინდის, ძალისის, ოძისის, ყანჩაეთის, ერთაწმინდის, თორტიზის, ბერშუეთის, ვარიანის, გორიჯვრის, ურბნისის* და სხვა ეკლესია-მონასტრებიდან. (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 2016:). აქვეა, რაღა თქმა უნდა, ხელნაწერები ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიიდან, რომელთა შორისაც არის 1924 წელს შემოსული *სამოციქულოს გამოკრებილი საკითხავი*, რომლის ქვედა ფენა XI-XII, ხოლო ზედა XIV საუკუნით თარიღდება – შესრულებულია ნუსხურით (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 2016:90-91; გაბიძაშვილი, 2009:119; ცსსა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1949:3-4).

ასევე 1924 წელს შემოსული ხელნაწერი – *სახარება-სამოციქულოს გამოკრებილი საკითხავები*, რომლის მომგებელიც *მერაბ ქორთოძე* ყოფილა. შესრულებულია ნუსხურად და ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებული ისტორიული პირების გათვალისწინებით, თარიღდება XVII საუკუნით (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 2016:92-158; ცსსა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1949:4). და ბოლოს, იმავე 1924 წელს შემოსული, ნუსხურად შესრულებული *ჟამნი*, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XVIII საუკუნით თარიღდება (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 2016:159-164; გაბიძაშვილი, 2011:179-180; ცსსა, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1949:5).

ჩვენ საგანგებოდ არ შევეხებით ხსენებული ხელნაწერების მიმართების საკითხს ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიასთან – ეს დამატებითი კვლევების საგანია. საყურადღებო მოცემულ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ბოდორნაში ინახებოდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხელნაწერები, საეკლესიო ნივთები, ხატები, ჯვრები და ა.შ. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მკაფიოდ მიგვანიშნებს ბოდორნის ეკლესიის მნიშვნელობაზე არაგვის ხეობის და არაგვის საერისთავოს მასშტაბით.

გარდა საისტორიო საბუთებისა, ხელნაწერებისა და ცნობებისა, სოფელ ბოდორნის, მისი ეკლესიის, კლდეში ნაკვეთი ქვაბებისა თუ სვეტის შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვხვდებით სამეცნიერო ნაშრომებსა და საგაზეთო სტატიებში. ხსენებული ინფორმაცია ყოველთვის ღრმა კვლევითი ხასიათით როდი გამოირჩევა, თუმცა არსებითია თავად ტაძრისადმი დამოკიდებულების, მისდამი მაღალი ინტერესის თვალსაზრისით სხვადასხვა დროსა და გარემოებაში.

ასე, მაგალითად: მცირე ცნობა წარმოდგენილია პირველ ქართულ გაზეთში, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდიოდა (1819 წელის 8 მარტს დაარსდა). დაარსებისავე წელს, 24 ოქტომბერს გამოსულ ნომერში ვკითხულობთ: *საქართველოს საიმერეთოს სინოდის კანტორისაგან გაიცემიან ჩყკ წლითგან იჯარით და ხარჯის გამორთმევით შემდგომნი ესე მამულნი... თბილისის ეპარხიისა ხოვლეს, კ დღის სახნავი. წილკნის ეპარხიისა ბოდორნას, დ დღისა...* (საქართველოს გაზეთი, №34, 1819:2-3). აღსანიშნავია, რომ იგივე ინფორმაცია განმეორებით დაბეჭდილია მომდევნო ნომერში, სადაც ასევე საუბარია იმერეთის ეპარქიის განკარგულებაზე (საქართველოს გაზეთი, №35, 1819:2-3).

დასტურად იმისა, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის დღესასწაულის აღნიშნვნა 8 ან 9 სექტემბერს (რეალურად 8 სექტემბერს, ხოლო ახალი სტილით 21 სექტემბერს – ყოვლადწმიდა ღვთისმშობელის შობის დღესასწაულზე) მოგვიანო პერიოდშიც ცოცხალია, გამოგვადგება 1884 წლის ცნობა გაზეთ დროებიდან: *ბოდორნის მონასტერი, რომლის დღეობაც სექტემბრის ცხრას მოდის ხოლმე, ისეთ მიუვალ ალაგზეა აგებული, რომ მლოცველნი იძულებულნი არიან ზედ კლდის ცხვირებზედ დაბინავდენ ხოლმე. ამის გამო ყოველ-წელიწადს აქ აუცილებელია, რომ რამ უბედური შემთხვევა არ მოხდეს...* (დროება, 206, 1884:1) აღნიშნული ტექსტის სრული კონტექსტის მიხედვით, ბოდორნის დღესასწაული ყოველ წელიწადს აღინიშნება და რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხშირია უბედური შემთხევები – 1884 წელს ერთი ადგილობრივი გლეხი ხევში გადაჩეხილა, რომელიც მეორე დღეს იპოვეს გარდაცვლილი. მოცემული ტექსტის გათვალისწინებით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტაძრის დღესასწაული (ერთდღიანი ცდომილების მიუხედავად, რომელიც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს) ემთხვევა 1788 წელს გიორგი XII-ის ბოდორნის მოლოცვის ისტორიაში დასახელებულ ინფორმაციას. ამავდროულად, საგაზეთო ცნობა იმასაც იუწყება, რომ დღეობა ყოველ წელიწადს აღინიშნება, რაც კიდევ ერთ მტკიცებად უნდა მივიღოთ ბოდორნის ღვთისმშობლის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ არაგვის ხეობაში.

საყურადღებო ცნობებია დაცული 1897 წლის 13 სექტემბრის გაზეთ *ცნობის ფურცლის* გამოცემაში, სადაც *შავ თვალწარბას* ფსევდონიმით გამოქვეყნებულია თითქმის ორსვეტიანი სტატია ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიისა და მისი *დღეობის* შესახებ – სათაურით: *დუშეთი, ბოდორნოს ხვთის მშობლის ეკკლესიის დღეობა,* სადაც ბუნების, გარემოს და ზოგადი აღწერილობის პარალელურად მოყვანილია ცნობა: *...ბოდორნოს მხვთის მშობლის დაბადების ეკკლესია, რომელიც დუშეთზე ხუთ ვერსის მანძილზეა... არაგვის ხეობამ გადაიხადა ამ ორ შაბათს, რვა ენკენისთვეს* (ცნობის ფურცელი, №311, 1897:3). გარდა ამისა, წერილში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული – მათ შორის, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის *დღეობა* ყოველ წელიწადს აღინიშნება *სიმხიარულით* და ყოველთვის მშვიდობით იშლებაო: *არავის არ ახსოვს, რომ აქ ვინმე დაშავებულიყო, თუმცა მლოცველთა შორის სმა-ქეიფი სუფევს. სასიხარულოთ აქ ბევრი ავადმყოფი მოსულა და შინ კარგა მყოფი დაბრუნებულა* (ცნობის ფურცელი, №311, 1897:3). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით საყურადღებო ჩანართი წარმოდგენილია შენიშვნის სახით, სადაც საუბარია იმაზე, რომ ბოდორნის გამოქვაბულები ოდესღაც გამოყენებული ყოფილა საცხოვრებლადო, რომლის შენიშვნაშიც ვკითხულობთ: *ვგონებ, პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს აქვს აღწერილი ბოდორნოს ხვთის მშობლის ეკკლესია“* (ცნობის ფურცელი, №311, 1897:3).

ერთი შეხედვით, არც მთლად არსებით, თუმცა მნიშვნელოვან ინფორმაცის ვხვდებით 1898 წლის 16 აპრილის გაზეთ ივერიაში, სადაც საინფორმაციო ფურცლებზე გვხვდება ცნობა ტაძართა მასობრივი ძარცვის შესახებ. გაძარცვულ ტაძრებს შორის სახელდება სოფელ *ნატახტარისა და კობიაანთკარის* ეკლესიები, რომელთა მძარცველი ვინმე *ნ. მ. კობიაშვილმა* დაიჭირა, რომელიც *პოლიციის თანამშრომელი* იყო. ამასთანავე გვხვდება შემდეგი სახის ცნობა: *„...ბ-ნმა ნ. მ. კობიაშვილმა ამ საქმის გამოკვლევის დროს მიაგნო კობიაანთკარის ეკლესი-*

*ისა და აგრეთვე ბოდორნის ეკლესიის გამქურდველების კვალსაც. ეს უკანასკნელი ქურდობა მოხდა ამ ექვსი თუ შვიდი წლის წინად და ბოროტ-მოქმედთ ბოდორნის ეკლესიიდგან წაიღეს თურმე მრავალი ძველი ძვირფასი ნივთი ბოდორნის ღვთის-მშობლის ხატისათვის შეწირულები ძველად ჩვენის მეფეებისა და წარჩინებულთაგან“...* („ივერია“, №80, 1898:2).

გაზეთ *ივერიის* 1903 წლის 19 აგვისტოს ნომერში ცალკე თავი ეძღვნება ბოდორნას, რომელიც სამ სვეტზეა გაშლილი და დაწერილია *ითხვისელი*-ს ფსევდონიმით. აღნიშნული წერილი ისევე, როგორც საგაზეთო სტატიათა დიდი უმრავლესობა, რომლებიც რაიმე სახით ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიას შეეხება, საწყის მონაკვეთს ბოდორნის გეოგრაფიული გარემოს აღწერასა და მისი მშვენიერების ხაზგასმას ემსახურება. *ითხვისელის* ეს სტატია მოიცავს იმგვარ ინფორმაციასაც, რომელთა დიდი ნაწილის პერიოდული გამოცემების სხვა წერილების შინაარსს დიდწილად თანხვდება. ასე, მაგალითად, ბოდორნის შესახებ ამბის თხრობისას თითქმის ყველა *ჟურნალისტი* შენიშნავს, რომ აქ დახოცილა საქართველოსთვის ბრძოლაში თავგანწირული მოსახლეობა; რომ ბოდორნის ქვაბებს თავს აფარებდნენ ადგილობრივნი, რომლებიც თემურ-ლენგის შემოსევას უმკლავდებოდნენ; რომ ეს ქვაბები ოდითგანვე ათვისებული ყოფილა თავდაცვითი ფუნქციით და ა.შ. მოცემულ გამოცემაშიც განსაკუთრებული აქცენტია დასმული იმ გარემობაზე, რომ ტაძრის ქვეშ მოქცეულია აკლდამა, სადაც გმირთა ძვლები განისვენებენ: *არაგვის ხეობა არის მხოლოდ ერთად-ერთი მოწმე ბოდორნაში დახოცილ მეომართა სჯულისა და სამშობლოს გულისთვის, რომელთა თავს ქალებით სავსეა ვეებერთელა სარდაფი... პირველად აშენებულია ციხე და უფრო ძველია ტაძარზე. ციხის გვერდზე ამოთხრილია დიდი ორმო, სარდაფი, რომელიც ამოვსილია კაცის ძვლებით... და მერე დუღაბით არის გადაქვითკირული. ამ გადაქვითკირულზე აშენებულა პატარა, მაგრამ მაღალი და კოხტა ბოდორნის ეკკლესია მღვთისმშობლის სახელზე* (ივერია, №176, 1903:2). რამდენად რეალისტური და დამაჯერებელი შეიძლება იყოს, ეს ცალკე კვლევის საგანია, თუმცა ბოდორნასთან და მის ქვაბებთან მიმართებით მუდმივად მეორდება ინფორმაცია, რომ აქ თემურ-ლენგს დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბოდორნის ქვაბებში შეხიზნული არაგვის მეომართა ნაწილი, რომლებსაც დიდი ხნის ბრძოლის შემდგომ, მტერმა ტაქტიკურად სძლია. წინამდებარე თემას მოკლედ ეხება *ჯ. გვასალია* და შენიშნავს: *ბოდორნის გამოქვაბულებს უკავშირდება თემურ-ლენგის ბრძოლა არაგვის ხეობის მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომელთაც თავი გამოქვაბულებს შეაფარეს* (გვასალია, 1983:83). ქვაბებიდან გადარჩენილი და დანებებული სამასი მეომარი თემურ-ლენგმა ღრმა ორმოში ჩაყარა და კირი დაასხა. გადმოცემით სწორედ ამ ადგილას აშენდა ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცნობაა წარმოდგენილი გაზეთის ამავე ნომერში, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შენიშვნად: *პლატონ იოსელიანის წიგნი ამ ჟამად ხელთ არა მაქვს. აქ ყოფილა როინაშვილი და სურათიც არის მის მიერ შედგენილ ალბომში და ინახება განსვენებულ როინაშვილის ფოტოგრაფიაში* (ივერია, №176, 1903:2). სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ხსენებულ ორმოზე *არის აშენებული ეს ძველი გუმბათიანი ტაძარი და ის კი არ ვიცით, როდის და რა დროს. მხოლოდ ვიცით, რომ განახლება ამ ტაძრისა ეკუთვნის არაგვის ერისთავის-შვილს მიტროფანე ნინოწმინდელს, როგორც ეს შედეგი წარწერიდან სჩანს* (ივერია, №176, 1903:2). წერილი, ცხადია, ტაძრის 1912 წლის განახლებამდეა დაწერილი და ავტორი აღნიშნავს, რომ ნაგებობა თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი და ამდენად, მნიშვნელოვან მასალას შეიცავს კვლევისთვისო.

არსებითად მნიშვნელოვან და განსაკუთრებით საყურადღებო ცნობებს ვხვდებით სახალხო გაზეთის 1912 წლის 14 სექტემბრის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც დაწერილია *„მგზავრი ლ“*-ს ფსევდონიმით და ასახავს ბოდორნის ტაძრის იმჟამინდელ მდომარეობას. აქ უაღრესად საყურადღებო გახლავთ ის ფაქტი, რომ 1912 წელს ჩატარდა ტაძრის განახლების სამუშაოები, რომლის შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებას ცნობა ჰქონდა უშუალოდ ეკლესიის სამხრეთი შესასვლელი კარის ზღუდარში არსებული წარწერიდან, რასაც ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით. ბოდორნის ტაძრის, კონკრეტულად 1912 წლის, აღდგენითი სამუშაოების შესახებ უკეთესი ცნობის მოპოვება, ვფიქრობთ, ძლიერ გაჭირდება. როგორც *„მგზავრი ლ“*-ს წერილიდან ვარკვევთ, მას სწორედ აღდგენითი სამუშაოების ახლო ხანებში მოუნახულებია ბოდორნის ღვთისმშობლის ტაძარი, რომლის შესახებაც საკმაოდ კრიტიკულ და კვალიფიციურ შეფასებას რამდენიმე მონაკვეთში გამოთქვამს. ასე მაგალითად, წერილში ვკითხულობთ: *ბოდორნის ტაძარი პატარა ზომისაა და გარეგნობით მცხეთის ტაძარს მოგაგონებთ* (უნდა იგულისხმებოდეს სვეტიცხოველი, ნ.ა.). *წლეულ შეაკეთეს ეს ეკლესია გარედან... ტაძრის კარების ზემოდან დაუტანებიათ შავი მარმარილოს ქვა, რომელზედაც ამოჭრილია ამ ამორჩეულ კაცების გვარები და სახელები, როგორც ეკლესიის შეკეთებაში მონაწილეებისა... ტაძარი შიგნიდან ჩამონგრეულია და შეულესავი... ქვის კანკელზე გაკრულია ძველებური ხატები, საჭიროა მათი შეკეთება და მომავალ კანკელში ჩართვა. ახლის დახატვა მხოლოდ ზიანს მიაყენებს ამ ტაძრის დიდებას* (სახალხო გაზეთი, №698, 1912:3). მოცემული ციტატიდან ვხვდებით, რომ *„მგზავრ ლ“*-ს საგულდაგულოდ დაუთვალიერებია ეკლესია და საგანგებო ყურადღება გაუმახვილებია მის მდგომარეობაზე, ხოლო რეკომედაციების სახით წარმოდგენილი მცირე ჩანართები აშკარად მეტყველებს ავტორის ალღოსა და გემოვნებაზე, რასაც კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს შემდეგი: *ამორჩეულ მზრუნველებს (კომიტეტის, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ) სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ დაიშურეს შრომა და დღეობისთვის მოასწრეს ამ ტაძრის აღდგენა და გამშვენიერება გარედან მაინც. მაგრამ არ შემიძლიან შენიშვნაც არ მივცე, ეკლესიას გუმბათზე სდგომია რკინის კონუსი, რომელშიაც ჯვარი ყოფილა დამაგრებული. ეს კონუსი ახლა ძირსა გდია და ამის მაგივრად სვეტიცხოვლის მაგვარ გუმბათზე გაუკეთებიათ ბუშტი იმგვარი, როგორსაც მრავლად შეჰხვდებით მოსკოვის ეკლესიების გუმბათზე. თუკი შეიძლება ამის მოშლა და შუბივით გაკეთება ძალიან კარგი იქნება, თორემ მომავალ მკვლევარებს შეცდომაში შეიყვანს ეს ბუშტი და ათქმევინებს სიტყვას მოსკოვის გავლენას ჩვენ ხუროთმოძღვრებაზე* (სახალხო გაზეთი, №698, 1912:3). აღნიშნული წერილი სხვა სახის კრიტიკულ შენიშვნებსაც შეიცავს ისევე, როგორც არა ერთ მნიშვნელოვან საკითხს იმჟამინდელი ვითარების შესახებ, ხოლო უშუალოდ მოცემული ამონარიდიდან ჩვენ ბევრს რასმე საყურადღებოს ვეცნობით – მათ შორის:

ვადგენთ, რომ ტაძრის დღეობისთვის, 8 სექტემბრისთვის, სურდათ მისი აღდგენითი სამუშაოების მოსწრება, რაც ნაწილობრივ მოხერხდა. ვარკვევთ, რომ სამუშაოები შესრულდა *კომიტეტის* მიერ, ხოლო შემსრულებელთა სახელები უკვე სამშენებლო წარწერაში მოიხსენიება, სადაც ასევე ნახსენებია თავად სიტყვა – *კომიტეტი*.

ვხედავთ, რომ განახლება-აღდგენის სამუშაოები მთლად ჯეროვნად და სრულყოფილად არ განხორციელებულა – არც ჩატარებული სამუშაოების მასშტაბის და არც *მეთოდოლოგიისა* თუ მიდგომის თვალსაზრისით.

ვხვდებით, რომ საიმდროოდ ქართული საზოგადოება მეტად გათვითცნობიერებული, გარკვეული და განათლებულია *რესტავრაციის* საკითხებში – ისევე, როგორც პოლიტიკურ ორიენტაციაში, რომელიც აშკარად და დაუფარავადაა გამოხატული.

ჩანს, რომ საზოგადოება უკიდურესი სიფრთხილით ეკიდება ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების სახეცვლილებას და მას განიცდის, როგორც კულტურული ექსპანსიის შესაძლო ფორმას.

ბოდორნის ეკლესიის შესახებ პერიოდული გამოცემები აქტიურია XX საუკუნის მეორე ნახევარშიც, თუმცა ჩვენ ყველა მათგანის განხილვას აღარ მოვყვებით – დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, სადაც, ვფიქრობთ, მეტად საინტერესო საკითხებია წამოჭრილი.

ასე, მაგალითად, 1980-იან წლებში *ს. ჯაფარიძემ* განსაკუთრებული ყურადღებით აღწერა ბოდორნის სვეტზე ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოები, რომლებიც 1985-1986 წლებში სტუდენტური რაზმებისა *(პირველი მერცხალი, მკურნალი-86)* და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. ტექსტში ვკითხულობთ: *სვეტის ფუძეში არსებული გამოქვაბული ორივე მხრიდან 1 მ. სიგანისა და 2 მ. სიმაღლის ბეტონის*

*კედლით გამაგრდა, ხოლო განგრეული კედელი 1,5 მ. სიგრძე-სიმაღლის კედლის ქვის წყობით ჩაიკეტა ისე, რომ გარედან სვეტს ხელოვნური ჩარევისა არაფერი ეტყობა“*(ჯაფარიძე, 1988:61). ბოდორნის სვეტი, ისევე როგორც აქ არსებული სახიზარი თუ საკულტო მნიშვნელობის გამოქვაბულთა კომპლექსი, მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლებია, რომლებიც დამოუკიდებელ, საგანგებო კვლევას საჭიროებს. *„ბოდორნის სვეტის“* სახელით ცნობილი ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნების ძეგლი გახლავთ 15 მეტრის სიმაღლის ნეოგენური კონგლომერატის დენუდაციური შთენილი, რომლის ძირშიც ორსენაკიანი გამოქვაბულია – ერთ კედელში ამოკაფული ნიშით. საყურადღებოა, ს. ჯაფარიძის მცდელობა, ბოდორნის აღნიშნული სვეტი და გამოქვაბული კომპლექსი დაუკავშიროს ჭიათურაში მდებარე V-VI საუკუნეების *კაცხის სვეტს* და ამდენად, ადრეული შუა საუკუნეების ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა ქრისტიანულ აღმოსავლეთში გავრცელებული მესვეტეობის კულტი (ჯაფარიძე, 1988:55-56). ეს საკითხი, ცხადია, დამატებით სამეცნიერო შესწავლას საჭიროებს ისევე, როგორც ბოდორნის სახიზარი გამოქვაბულები და, რაც მთავარია, კლდეში ნაკვეთი *გუმბათოვანი ტაძარი,* რომლის შესახებაც ლ. მარუაშვილი და კ. ხარაძე წერენ: *შიგ შესული ადამიანი რწმუნდება, რომ ეს არის გამოქვაბული – ეკლესია, რომელსაც გუმბათი და სხვა არქიტექტურული დეტალები აქვს. ადგილობრივი ხალხი მასაც „ღვთისმშობელს“ უწოდებს* (მარუაშვილი, ხარაძე, 1980).

პერიოდული გამოცემების შესახებ დამატებით მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. წარმოდგენილი მასალა გვიდასტურებს, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი ინტერესი, როგორც ადგილობრივთა მხრიდან, რომლებიც სხვადასხვა დროს ცდილობდნენ ეკლესია აღედგინათ და გაემშვენებინათ, ისე ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთა თუ *კორესპონდენტთა* მხრიდან მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ მაღალია. ეს გარემოება გვიდასტურებს ამ სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლის გამორჩეულ მნიშვნელობას არაგვის საერისთავოს საზღვრებში. ცხადია, ძეგლისადმი ინტერესი რამდენიმე თვალსაზრისითაა ესოდენ მაღალი და, მათ შორის, უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ მისი განთავსების გეოგრაფიული გარემო – ის მშვენიერი ბუნება და მიდამო, სადაც ბოდორნის ტაძარია აგებული, რასაც თითქმის ყველა მეცნიერი თუ ჟურნალ-გაზეთის კორესპონდენტი მკაფიოდ აღნიშნავს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ბოდორნა, გარდა კულტურული მიმართულებისა, აქ არსებული ქვაბებისა და უმთავრესად სვეტის გათვალისწინებით, აქტუალურია, როგორც ბუნების ძეგლი. რაღა თქმა უნდა, ზემოთ დასახელებულ გარემოებათა პარალელურად, საყურადღებო გახლავთ ორი არსებითი ფაქტორი – ერთი მხრივ ის, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია, როგორც ცნობილია, არაგვის ერისთავთა განსასვენებლადაა მიჩნეული, ხოლო მეორე მხრივ, მისი სასწაულთმოქმედი ძალის რწმენა, რომელიც საზოგადოებაში იყო გავრცელებული (გვასალია, 1975:78). სწორედ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა ბოდორნის ეკლესიის შესახებ ესოდენ საყურადღებო და არც თუ მცირე რაოდენობის *წყაროების* დაგროვება.

წყაროების, საბუთებისა და პერიოდული გამოცემების განხილვის შემდეგ უნდა დავუბრუნდეთ უშუალოდ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის არქიტექტურას – მის ანალიზს, ეპოქის კონტექსტში ძეგლის წარმოჩენის მცდელობას და წერილობით წყაროებთან უშუალოდ ნაგებობის მიმართების რაგვარობის დადგენას.

*კუპელჰალეს* ანუ *გუმბათოვანი დარბაზის* არქიტექტურული ტიპის შესახებ ბოლო დროს ყველაზე უფრო ვრცელი და სტრუქტურირებული ნაშრომი გამოცემული აქვს *ნ. გენგიურს,* სადაც განხილულია, როგორც ამ ტიპოლოგიის ცალკეული ძეგლები, ისე თავად ტიპის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია – მის წარმოშობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამეცნიერო მოსაზრება და მისი მადასტურებელი კონკრეტული დებულებები. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში *კუპელჰალეს არქიტექტურული ტიპის* გაჩენა განსაზღვრულ იქნა, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ძიებისა და განვითარების ლოგიკური, თავისთავადი და ბუნებრივი პროცესის შედეგი – სტილისტური ძიებებისა თუ ახალი შემოქმედებითი ამოცანების დასახვის კვალდაკვალ. სწორედ ამგვარად წარმოგვიდგენს *გ. ჩუბინაშვილი* წინამდებარე ტიპის ქართულ სააღმშენებლო პროცესში თავჩენის განმაპირობებელ მიზეზებს *ვაჩნაძიანის ყველაწმინდის, კუპელჰალეს ყველაზე ადრეული,* IX საუკუნის, ქართული ნიმუშის შესახებ მსჯელობისას (Чубинашвили, 1959:315-319). გუმბათოვანი დარბაზის თემას გ. ჩუბინაშვილი ავითარებს სომხური ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილ ვრცელ მონოგრაფიაში, სადაც ავტორი ტიპის სამ ქვეჯგუფს გამოჰყოფს – ყველაზე ადრეული, ე.წ. კლასიკური ნიმუშებიდან დაწყებული, მისი სხვადასხვა ვარიაციით დამთავრებული (Чубинашвили, 1967:104-125). სომხურ ხუროთმოძღვრებაში აღნიშნული ევოლუციის მოკლე და ტევადი განმარტება ნ. გენგიურს აქვს წარმოდგენილი, რომელიც შენიშნავს: *რთული ვარიანტი წარმოადგენს სტრუქტურას, სადაც მკაფიოდაა გამოხატული სიგრძივი ღერძი, გუმბათის საყრდენად კი ორი წყვილი შვერილი გვაქვს; მარტივი ვარიანტისათვის კი სახასიათოა მოკლე გეგმა, სადაც გუმბათი ერთ წყვილ შვერილსა და საკურთხევლის კუთხეებს ეფუძნება* (გენგიური, 2005:129).

ქართული სამეცნიერო ლიტერატურის პარალელურად, უთუოდ უნდა ვახსენოთ რამდენიმე უცხოელი ავტორის მოსაზრება საზოგადოდ კუპელჰალეს არქიტექტურული ტიპის გენეზისის, სხვადასხვა ქვეყანაში მისი ჩასახვა-განვითარებისა თუ უშუალოდ ქართულ „მოდელებთან“ მათი მიმართების საკითხი. აქვე დავძენთ, რომ საზოგადოდ, ხელოვნების საისტორიო მეცნიერება ამ ტიპის წარმოშობის ორ ძირითად განმაპირობებელს ასახელებს, სადაც სამეცნიერო არგუმენტაციისა თუ დამაჯერებლობის თვალსაზრისით, აშკარად გამორჩეულია *ი. სტრიგოვსკის* ფორმულირება, რომლის მიხედვითაც ეს გახლავთ გუმბათისა და ერთნავიანი დარბაზის *თანაკვეთის,* მათი შერწყმა-შეერთების შედეგად წარმომდგარი არქიტექტურული სახე (Strygowsky, 1918). ტიპის ჩასახვის სწორედ ამგვარი ფორმულირება *ესმის ნ. ტოკარსკისაც* (Токарский, 1946). აღნიშნული თეორიისგან განსხვავებულია *ა. იაკობსონის* მოსაზრება, რომელიც მის წარმოშობას არა დარბაზს, არამედ, ე.წ. გუმბათოვან ბაზილიკას უკავშირებს, რასაც დამაჯერებლად ხსნის, თუმცა შენიშნულია, რომ მის ამ ხედვას საკმაო რაოდენობის არქიტექტურული ძეგლები ვერ უქმნის მყარ საფუძველს (Якобсон, 1950). სწორედ ამ ორ ძირითად მოსაზრებას შორის *მოძრაობს* ტიპის გენეზისისადმი მიძღვნილი სხვა სამეცნიერო ნაშრომების მთავარი ხაზი, თუმცა როგორც უკვე შევნიშნეთ, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა რამდენადმე განსხვავებულია – აქ იმთავითვე ჩამოყალიბებული, წინასწარ განსაზღვრული *მოდელისადმი* კი არ ხდება ძეგლთა *მორგება,* არამედ გუმბათოვანი დარბაზის ტიპის ჩამოყალიბების განმაპირობებლად მიჩნეულია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ერთგვარი *ჰომოგენურობა.* ეს უკანასკნელი განიხილება გარდამავალი ხანის ქართული არქიტექტურის ძიებათა და მხატვრულ ამოცანათა კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ, *ამოზრდილია* წინარე, ე.წ. *კლასიკური, პერიოდის* ლოგიკური *განსრულებიდან* და თვით კი წარმოადგენს საფუძველს ქართული სატაძრო არქიტექტურის გავითარების მომდევნო საფეხურისთვის. კუპელჰალეს არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბებისა თუ მისი განვითარების შესახებ ქართულ ხუროთმოძღვრებაში არსებითი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული: გ. ჩუბინაშვილს, ლ. რჩეულიშვილს, ვ. ბერიძეს, რ. მეფისაშვილს, დ. თუმანიშვილს და ნ. ჯაბუას – უფრო ვრცლად ყველა ამ საკითხის შესახებ კი მსჯელობს ნ. გენგიური (გენგიური, 2005:129-178). ამ უკანასკნელთან უშუალოდ ბოდორნის ეკლესიის შესახებ მოკლე მსჯელობაა მოცემული, სადაც არა გვხვდება არსებითად ახალი და განსხვავებული ინფორმაცია – ის მოკლედ მოხაზავს ძეგლის აღწერით ნაწილს და სამშენებლო წარწერის მიმოხილვას (გენგიური, 2005:89-94).

ბოდორნის ღვთისმშობლის ტაძარი მარტივი გეგმარებით ხასიათდება – ესაა არც თუ დიდი ზომის, გუმბათით დასრულებული, წაგრძელებული, მართკუთხა დარბაზი, აღმოსავლეთით არსებული ნახევარწრიული აფსიდით (სურ. 4-5). ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს კუპელჰალეს ისეთივე ვარიაციასთან, როგორებიცაა თბილისის *ჯვარისმამა,* ღოუბნის *ორმოცთა,* მანავი, გურჯაანის *ქვაშვეთი* და *კულბითი* (სურ. 6-7-8-9). ნაგებობა არ გამორჩევა მაღალმხატვრული ღირებულებით, თუმცა სწორედ ამ მცირე თავისებურებათა გამო, ის საინტერესოა ეპოქის კონტექსტში. საგულისხმოა, რომ საკურთხევლის აფსიდი ნავის მთელ სიგანეზეა გაშლილი,

ხოლო რკალის ორ მხარეს, ერთმანეთის პარალელურად, მცირე ზომის ნიშებია გამოყვანილი. აქვე უნდა ითქვას, რომ კონსტრუქციული გამართულობის თვალსაზრისით პრობლემატურია კონქის ნაწილი, რომელიც სწორად არაა მორგებული მის ქვემოთ არსებულ აფსიდის მოხაზულობაზე. ძეგლის ძირითად სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა და აგური – კედლები სწორედ აღნიშნულ მასალათა შერევითაა შედგენილი, თუმცა რიგების მონაცვლეობის კონსტრუქციული და მხატვრული პრინციპი გამართულად მხოლოდ ჩრდილოეთი კედელის შემთხვევაშია დაცული (სურ. 10). შენობის შიდა თუ გარე წყობის, მისი მასალისა თუ სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით ისიც გასათვალისწინებელია, რომ ინტერიერსა და ექსტერიერში კედლები ნაწილობრივ შელესილია. ნაგებობის კვარცხლბეკი მთლიანად რიყის ქვითაა ამოყვანილი, ხოლო შენობის ზედა კორპუსი, მისი განმასრულებელი მონაკვეთი – გუმბათი, სრულად აგურითაა ნაგები (სურ. 11). ძეგლის კორპუსზე, მის სხვადასხვა მონაკვეთზე, განირჩევა XIX საუკუნის აღდგენითი საქმიანობის კვალი, სადაც ქართულ აგურთან ერთად ვხვდებით რუსული აგურის ნაწილებსაც. სადღეისოდ არსებული კომპოზიციით ნაგებობას ორი შესასვლელი აქვს – სამხრეთ თავდაპირველი (სურ. 12) და დასავლეთით, მოგვიანო აღდგენა-განახლებისას გაჭრილი. აღსანიშნავია, რომ ძეგლის აგებისდროინდელი, ავთენტური სამხრეთი შესასვლელი შეისრული ფორმისაა და მის თავზე განთავსებულია რვასტრიქონიანი მხედრული წარწერა, რომელიც ქვიშაქვის ფილაზეა ჩანაჭდევი ხაზებით შესრულებული. ხსენებული წარწერა, ტაძრის აგების მაუწყებელი ეს *საისტორიო საბუთი,* მართკუთხა ფილაზეა ნაკვეთი (სურ. 13).

ტაძრის განათების სისტემა ერთგვარი *სიმეტრიულობით* შეიძლება დავახასიათოთ – აქ მეტ-ნაკლებად ერთმანეთის პარალელურადაა წარმოდგენილი თითო სარკმელი აღმოსავლეთ-დასავლეთ და ჩრდილო-სამხრეთ კედლებში. ეს უკანასკნელნი – შეისრული ფორმისაა. სასინათლო ღიობთა ზომები თუ მათი ჭრილები დაახლოებით ერთგვაროვანია. ფორმის მიხედვით, ესაა შიგნიდან გარეთ დავიწროვებული, ნახევარწიულ-შეისრული მოხაზულობის სასინათლო არეები, რომლებიც ინტერიერის მხრიდან დამატებით, შეისრული ფორმის მქონე მოჩარჩოებაში ექცევიან, თუმცა ყველგან ასე როდია; ასე მაგალითად, აღმოსავლეთი სარკმელი არ შეიცავს დამატებით მოჩარჩოებას, მისი მოხაზულობა, როგორც საფასადო მხარეს, ისე ინტერიერში – ნახევარწიულია. საკურთხევლის სარკმლის გარდა, ყველა სხვა მაღლაა აწეული და გუმბათქვეშა კონსტრუქციის ძირს უსწორდება. ასევე, აღსანიშნავია თავად გუმბათის ყელის რვა სასინათლო ღიობი. სარკმელთა საკუთრივი ფორმები ნახევარწიულ პროფილირებას მისდევს, თუმცა ექსტერიერში აგურის ორმაგი საფეხუროვანი მოჩარჩოებით ეს უკანასკნელნი შეისრულ საპირეებში ექცევიან. საერთო სახით აღსანიშნავია, რომ გუმბათი საკმაოდ კვალიფიციური ოსტატის მიერაა აგებული. ვიდრე ექსტერიერის *მხატვრული გაა-ზრების* საკითხს დავუბრუნდებოდეთ, უნდა ითქვას, რომ საკურთხეველი ორსაფეხუროვანი შემაღლებითა და რიყის ქვით ნაგები კანკელითაა გამოყოფილი ცენტრალური, დარბაზული სივრცისგან, რომელსაც გარდა აღსავლის კარისა, ჩრდილოეთ ნაწილში კიდევ ერთი ღიობი აქვს მოწყობილი.

ძეგლის გეგმარებითი თუ სივრცითი გააზრება-გადაწყვეტის თვალსაზრისით საყურადღებოა გუმბათისა და მის ქვეშ არსებული სივრცის ურთიერთდაკავშირება, სადაც განსხვავებით გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის: *ღოუბნის, ჯვარისმამისა თუ კულბითისგან,* აქ არ გვხვდება სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების ის შვერილობები, რომლებსაც გუმბათი ეყრდნობა – არამედ, მანავის ღვთისმშობლის ეკლესიის მსგავსად, მთელი ეს კონსტრუქცია *შეკიდულია.* წინამდებარე წერილის ფარგლებში წმინდა სახის კონსტრუქციული, სამშენებლო და არქიტექტურული ელემენტების დეტალური აღწერა-ანალიზისა თუ შედარებისგან თავს შევიკავებთ; ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის იმ ზოგად-ეპოქალურ ნიშნებსა და გამოვლინებებს, რომლებიც, შესაძლოა, იმავე გვიანი შუა საუკუნეების კონტექსტში, სახასიათო და ინდივიდუალური იყოს ამ უკანასკნელისათვის. ამრიგად, დასახელებული არქიტექტურული ტიპისა და გეგმარების ფარგლებში ჩვენ გვხვდება მეტად სპეციფიკური *განწყობა*



ინტერიერში, სადაც სივრცე საკმაოდ მცირეა, *შეკუმშული,* როგორც ამას ვ. ბერიძე ლაკონურად აზუსტებს. ერთიანი სივრცითი შთაბეჭდილება განისაზღვრება ძალზე ვიწრო და მაღალი გუმბათის ყელით, რომლის სიმაღლეც აღემატება უშუალოდ დარბაზის კორპუსის ზომებს – ამდენად ცხადია, რომ სივრცით-მაორგანიზებლად მოცემული, ამგვარი პროპორციული თანაფარდობით წარმოდგენილი, დარბაზისა და გუმბათის მიმართება ამ უკანასკნელის დომინირების უპირობო განმაპირობებელია.

ძალზე ტექნიკურ-კონსტრუქციული დეტალია, თუმც კი ეპოქისა და მისი დროის შესაფერისი ოსტატისთვის საგულისხმო – გუმბათისა და ძირითადი კორპუსის ურთიერთმიმართება-მორგების საკითხი უკვე ექსტერიერში. კვლავაც ვ. ბერიძის მითითებით: *გარედან ეკლესიის მასები არ შეესაბამება ინტერიერს, ოსტატს გადაუწყვეტია თავისი ერთვნავიანი სამლოცველოსთვის „ნორმალური“ ჯვაროვან-გუმბათოვანი იერი მიენიჭებინა...* (ბერიძე, 1994:91). ამისთვის მშენებელმა, როგორც წესია, გუმბათის ყელის სამხრეთითა და ჩრდილოეთით ორკალთიანი გადახურვის მქონე *მკლავები* გამოიყვანა, რამაც განაპირობა ის, რომ შესაბამისი ფასადები ამაღლებულია და ფრონტონითაა დასრულებული; თუმცა, იგივე პრინციპი არაა გამოყენებული აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლების შემთხვევაში. აქ ჩვენ არ გვხვდება გამოყოფილი შუა ნავი – არამედ, აღმოსავლეთი და დასავლეთი ფასადების მთელი სიგანე საერთო, ორკალთიანი ფრონტონითაა დასრულებული. სწორედ ამ გარემოებამ დააწერინა ვ. ბერიძეს ზემოთ მოხმობილი შეფასება, რაც მეტ-ნაკლებად მართებულია, თუკი ძეგლის სადღეისოდ არსებულ სახეს ჩავთვლით მის ავთენტურ გადაწყვეტად, მაგრამ ამ საკითხს ეჭვქვეშ აყენებს *ე. თაყაიშვილის* ნაშრომში გამოქვეყნებული ტაძრის ფოტო, სადაც მკაფიოდ ჩანს არა მხოლოდ ძირითადი ტაძრის კონფიგურაცია და სახურავთა გადაწყვეტა, არამედ მის სამხრეთ მონაკვეთზე არსებული მიშენების რაგვარობა (Такаишвили, 1915:48). მოცემული ფოტოს მიხედვით, ჩვენ ვხედავთ, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი მკლავები სწორედ რომ *წესის* მიხედვითაა გამართული – ორივე მხარეს გვხვდება, მართალია მცირე ზომის, მაგრამ მაინც, შვერილი ფრონტონი და გვერდითი სიბრტყეების ცაკლე ფერდად გადახურვის სისტემა. ამასთანავე, აღნიშნულ ფოტოზე ჩანს, რომ ტაძარი კრამიტით იყო დახურული. საფიქრებელია, რომ ძირითადი ტაძრის დღევანდელი სახე დიდწილად 1912 წლის გადაკეთების, *აღდგენის* შემდგომაა განსაზღვრული, რასაც, როგორც ჩანს, შეეწირა კიდევაც ე. თაყაიშვილის მიერ დაფიქსირებული სამხრეთი ეკვდერი. ექვთიმესთან ისიც მკაფიოდ ჩანს, თუ რა პერიმეტრზე მდებარეობდა და რა მოცულობას იკავებდა ხსენებული სამხრეთი მინაშენი. გეგმის მიხედვით, რომელიც მის ხსენებულ წიგნშია წარმოდგენილი, სამხრეთი ეკვდერი მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე ისე იყო მიდგმული, რომ ტაძრის აღნიშნულ კედელს სრულად არ გასდევდა – დასავლეთით შედარებით მცირედ, ხოლო აღმოსავლეთით საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული კუთხეებიდან. ეს მცირე მინაშენი სამხრეთი შესასვლელის ირგვლივ იყო კონცენტრირებული და, რეალურად, სიგრძეში მთელი სამხრეთი კედლის ნაწილს იკავებდა, თუმცა ცალკე საკითხია მისი სიმაღლე (Такаишвили, 1915:47). საარქივო ფოტოზე ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არ გახლდათ მხოლოდ ეკვდერი ან მინაშენი, მისი კლასიკური გაგებით, რადგან მოცემული სათავსის სიმაღლე თითქმის ტაძრის გუმბათის ყელამდე აღწევდა, რაც, ცხადია, ეკვდერისა თუ მინაშენისთვის უჩვეულო რამ გახლავთ. აღნიშნულთან დაკავშირებით ვ. ბერიძე გამოთქვამს მოსაზრებას: *ერმაკოვისეული ძველი ფოტოს მიხედვით ეს მინაშენი კოშკივით მაღალია, ორსართულიანი მაინც: შესაძლებელია სიმაღლე მერე დაუმატეს და მინაშენი დამცველ კოშკად აქციეს. მინაშენი დღეს აღარ არსებობს, მარტო კვალი ჩანს მიწაზე...* (ბერიძე, 1994:91). მიგვაჩნია, რომ XVIII საუკუნის შუა ხანის *ბალია კობიაშვილის* მიერ გამართული ეს მცირე ეკვდერი იმთავითვე სწორედ ამ ფორმით იქნა აგებული და მისი სიმაღლეში გაზრდა მოგვიანოდ არ მომხდარა, თუმცა რა ფუნქციითა და კონკრეტული დატვირთვით, ამ საკითხე, ამჯერად, თავს შევიკავებთ დამატებითი მსჯელობისგან.

საზოგადოდ, ქართული ტაძრის საერთო მხატვრული შთაბეჭდილების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ნაგებობის საფასადო გადაწყვე-

ტა-გააზრება, რაც ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის შემთხვევაში კიდევ ერთხელ ათვალსაჩინოებს ეპოქისთვის სახასიათო ნიშნებს, ერის ზოგადკულტურული მდგომარეობისა თუ უშუალოდ, სამშენებლო საქმის, ოსტატობის, ხელობის რაგვარობის მიმართულებით. ბოდორნის ტაძრის *პერანგი* ორ რასმე მოგვითხრობს – ერთი ისაა, რომ აშკარად ვხედავთ გაუწაფავ, უბრალო, ყოველგვარ მაღალმხატვრულ აზროვნებასა და ალღოს მოკლებულ ხელოსანს, რაც მკაფიოდ გამოსჭვივის ტაძრის გარე სახის რაგვარობაში – მეტადრე სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლების სიგლუვეში, ხოლო მეორე მხრივ, ჩანს ტრადიციით შეჯერებულ-ნასაზრდოები სურვილი აღმოსავლეთი ფასადის გამშვენებისა, მისი კიდევ და კიდევ გამთავრებისა. აქ მშენებელი წარმოგვიდგენს აგურის წყობაში ჩაღრმავებით შექმნილ, სამი ჯვრით შედგენილ, კომპოზიციას, როგორც ეს აღნიშნულ ეპოქაში აგურით ნაგები ეკლესიების შემთხვევაშია გავრცელებული, სადაც ზედა ნაწილში, ფრონტონის არესთან ახლოს, ტოლმკლავა ჯვარია *ჩაღარული*, ხოლო მის ქვემოთ, აღმოსავლეთი სარკმლის გარდი-გარდმო, დიდი ზომის, ორი კვარცხლბეკიანი ჯვარი ავსებს მთელ ფასადს). თუმცა კი, მიუხედავად სურვილისა, აშკარად გამოხატული ნებისა, გამოყოს, გაამშვენოს, ფასადის აქცენტირება მოახდინოს, ჩანს უნებური შეუძლებლობა, საკმაო მხატვრული ალღოს არქონა და სათანადო განსწავლულობის ნაკლოვანება, რაც, გარდა პიროვნულისა, ეპოქისმიერიცაა. ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ უხეშია თავად ჯვრები, მათი ფორმები, პროპორციები, მიმართება საფასადო სიბრტყესთან თუ საკურთხევლის სარკმელთან. ამასთანავე, თვალს ხვდება სარკმლის თავზე და ჯვრებს შუა არსებული მართკუთხა ნიში, სავარაუდოდ სახატე, რომელიც არა ცენტრში, არამედ გვერდითაა დაძრული, რაც ასევე უკარგავს ისედაც ტლანქ კომპოზიციას – სიმეტრიულობას.

ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია, გარდა ხუროთმოძღვრული მონაფიქრისა საყურადღებოა სხვა მხრივაც – აქ, სამხრეთი შესასვლელის თავზე, მოიისფრო თლილი ქვის ფილა ინახავს კარგი კალიგრაფიით შესრულებულ მხედრულ სამშენებლო წარწერას, რომელიც რვასტრიქონიანია და ასე იკითხება:

***ქ: დედაო: ქრისტესო: ქალწულო: მარიამ: მეოხ: მექმენ: მე***
***არაგვის: ერსთავის: შვილს: ნინო: წმინდელს: მ***
***იტრა: ფონეს: და: ჩემთანა: მშრომელსა: კობიაშვილს: სა***
***ხლთუხუცეს: ქაიყუბათს: რომელთა: განვაახლეთ: ტა***
***ძარი: შენი: ბოდორნას: რომელი: დარღვეულიყო: ჟამთა: სი***
***გრძეთაგან: მე: გარდავიცვალე: ამიერ: სოფლით: და: ქაიყუბა***
***თ: სახლთუხუცესმა: სრულყო: დიდის: შრომითა: და: წარსაგებ***
***ლითა: ადიდოს: ღთნ: ორსავე: შინა: ცხოვრებასა ქკსა უე***

(გენგიური, 2005:89).

აღნიშნული წარწერის მიხედვით ქორონიკონი 1717 წელია და არა 1772, როგორც ეს შეცდომით იყო ამოკითხული ე. თაყაიშვილის მიერ (Такаишвили, 1915:49). წარმოდგენილი წარწერა რამდენიმე არსებითი ფაქტის შესახებ მიგვითითებს, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ბოდორნის ამჟამინდელი ტაძრის ადგილას სხვა ნაგებობა უნდა არსებულიყო, რომლის ნგრევა-განადგურების შემდგომაც, 1717 წელს აუშენებიათ აწინდელი ეკლესია. როგორც ექსტერიერისა თუ ინტერიერის წყობათა სტრატიგრაფია გვიჩვენებს, ძველი შენობის ადგილას, იქნებ მის გეგმაზე დაფუძნებით, ახალი ტაძარი ერთიანად აუშენებიათ – აქ არ ჩანს ძველი ნატაძრალის კედლების ფრაგმენტებიც კი. ის, რომ ბოდორნაში ნამდვილად უნდა არსებულიყო XVIII საუკუნის დამდეგს აგებულ ეკლესიამდე სხვა ტაძარი, დასტურდება მინიმუმ 1474/94 წლის 24 ივნისის ბოდორნის მონასტრის ტყავზე შესრულებული გუჯარით, რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება, რომ არაგვის ერისთავს, ვამეყ შაბურისძეს, სოფელი ხანდაკი სწორედ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის შეუწირავს (ქრონიკები, 1897:291-293; ქისკ, 2014:146). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ტაძარი სხვა ადგილას იყო აგებული, მაგრამ უფრო ლოგიკურია დავუშვათ, რომ ის სწორედ ამჟამინდელი ტაძრის ქვეშ მდებარეობდა, რასაც, ცხადია, თავისი სამეცნიერო არგუმენტაცია და გამართლება ეძებნება, თუმცა ეს უკვე დამოუკიდებელი მსჯელობის საგანია.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ე. თაყაიშვილის დასტამბული გეგმის მიხედვით, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, ტაძარს სამხრეთით, აფსიდით დასრულებული, მცირე სამლოცველოს სახის მინაშენი არსებობდა. ე. თაყაიშვილს, გარდა მინაშენიანი ტაძრის გეგმისა, წარმოდგენილი აქვს წარწერაც, რომელიც მოწმობს, რომ *კობიაშვილებს* მთავარი ტაძრის აგების შემდგომაც არ შეუწყვეტიათ ბოდორნის აღმშენებლობა და ოდესღაც სამხრეთით მდებარე მინაშენი სწორედ *ქაიყუბათის შვილს* აუგია. ექვთიმეს მიერ გამოქვეყნებული შვიდსტრიქონიანი მხედრული წარწერის შინაარსი ასეთია:

***ქ. აღვაშენე: მცირე: ესე: ეკუდ***
***ერი: წმინდათა მოციქულთ***
***ა: მე: ყოველთა: კაცთა უნარჩ***
***ევესმა: კობიაშვილმა: ზალი***
***ა: შვილმა: ქეიყუფათ: ცოდვ***
***ავათა: ჩემთა: მოსატევებლად***
***და გვამთა ჩემთა სამარხოთ***

(Такаишвили, 1915:49).

როგორც ზემოთ უკვე შევნიშნეთ, ე. თაყაიშვილს თავად *მამა ქაიყუბათის* წარწერა და შესაბამისად, ცენტრალური ტაძრის მშენებლობა 1772 წლისა ეგონა, ხოლო მისი შვილის აგებული ეკვდერი, მეცნიერის მოსაზრებით, XVIII ს-ის დასასრულისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ რეალურად ბოდორნის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის თარიღი 1717 წელია, ხოლო ეკვდერის მიშენების დრო XVIII საუკუნის შუა ხანებით განისაზღვრება.

აღსანიშნავია, რომ ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია საკმაოდ მდიდარი იყო ხატებით, ჯვრებითა თუ საეკლესიო ნივთებით, რომლებიც ე. თაყაიშვილს აქვს აღწერილი და დამატებით საგანგებო კვლევას საჭიროებს. ტაძრისადმი მოსახლეობის გამორჩეულ დამოკიდებულებას მოწმობს კიდევ ერთი წარწერა, რომელიც ამჟამად სამხრეთი შესასვლელის ზღურბლშია მოქცეული და მოგვითხრობს 1912 წელს, როგორც ჩანს, საიმდროოდ უკვე დაზიანებული ტაძრის განახლების შესახებ:

***ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია, ესე ჟამთა ვითარებისა გამო უპატრონოდ ყოფილი, იქმნა შეკეთებულ 1912 წელს კეთილმორწმუნე ქრისტიანეთა წვლილითა არაგვისა ხეობის მცხოვრებთა მუშაკობითა, ხოლო კომიტეტობასა შინა ალექსანდრე წამალოვისა, ნიკოლოზ ჩარაშვილის და იასონ ახშენაშვილისა, დედაო ღვთისაო დღეგრძელ ჰყვენ ეგენი და დაადგინე სულნი მათნი სასუფეველსა ძისა შენისასა*** (ბერიძე, 1994:94).

ჩვენ მიერ განხილული საისტორიო საბუთების, არქიტექტურული ძეგლის ანალიზისა თუ მასზე არსებული სამშენებლო წარწერების შეჯერებით, თითქოს ყველაფერი გარკვეული და მეტ-ნაკლებად (ქრონოლოგიური თანმიმდევრულობის ლოგიკის თვალსაზრისით მაინც) დამაჯერებელი ჩანს, თუმცა ჩნდება ერთი, საყურადღებო საკითხი, რომელიც უკავშირდება 1717 წლის ტაძრის წარწერაში მოხსენიებულ ნინოწმინდელ ეპისკოპოს – *მიტროფანეს* და მისი მოღვაწეობის ქრონოლოგიას. 2010 წელს დაიბეჭდა *მ. შაორშაძის* ნაშრომი წინოწმინდელ ეპისკოპოსთა მოღვაწეობისა და მათი ქრონოლოგიის შესახებ, სადაც ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბოდორნის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული მიტროფანეს ნინოწ-

მინდის კათედრაზე ყოფნის ქრონოლოგიას. ავტორის დასკვნის მიხედვით, მიტროფანეს აღნიშნულ კათედრაზე მოღვაწეობის თარიღად 1738-1740 წლებია განსაზღვრული, რასაც, მისი ხედვით, რამდენიმე დოკუმენტი ამყარებს (შაორშაძე, 2010:80). მოკლედ უნდა წარმოვადგინოთ მიტროფანე ნინოწმინდელთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომელთა ნაწილი ურთიერთსაწინააღმდეგოა და, ამდენად, საკითხის დაბეჯითებით გადაწყვეტის შესაძლებლობას ართულებს:

*მიტროფანე ნინოწმინდელი* მოხსენიებულია გერგეტის სამების დოკუმენტში – *მატიანე მოსაჴსენებელი სულთა*, სადაც ვკითხულობთ: ***ქ. უფალო! შეიწყალე არაგვის ერისთვის ბაინდურის ძმა, ნინოწმინდელი მიტროფანე, ამინ.*** (შარაშიძე, 1954:285). აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საკმაოდ უხვ ინფორმაციას XV საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით, თუმცა რამდენადაც ვხვდებით, უშუალოდ ეს მოსახსენიებელი კონკრეტული თარიღით არაა განსაზღვრული. ქ. შარაშიძე ხსენებული დოკუმენტების კომენტირებისას უშუალოდ ამ ამონარიდს დაურთავს შემდეგ შენიშვნას: *მუქი ყავისფერი მელნით დაწერილი ბაინდურ ერისთავის ძმის მოსახსენებელი „ყვავის ფრჩხილურად“ არის დაწერილი (მხედრულად)* (შარაშიძე, 1954:285).

ასევე ცნობილია, რომ ნინოწმინდელი მიტროფანეს დაკვეთით 1763 წელს ვინმე გიორგის გადაუწერია სახარება-სამოციქულო. ლ. *მენაბდე* შენიშნავს: *მიტროფანე ნინოწმინდელი ძველი ქართული ხელნაწერების გამრავლების ინიციატორი ყოფილა. მისი დაკვეთით ვინმე გიორგის 1763 წ. გადაუწერია სახარება-სამოციქულოს საკითხავები (K-№104)* და იქვე კომენტარის სახით წერს: *მიტროფანე ნინოწმიდელი ბაინდურ არაგვის ერისთავის ძმა ყოფილა... მას განუახლებია ბოდორნის ტაძარი 1772 წელს* (მენაბდე: 1962:353). ამ უკანასკნელი ინფორმაციის წყაროდ კი ლ. მენაბდეს მითითებული აქვს ე. თაყაიშვილის, ჩვენ მიერ უკვე ხსენებული, ნაშრომი.

ამასთანავე ვიცით, რომ *პ. კარბელაშვილის* მიხედვით, მიტროფანეს მოღვაწეობა ნინოწმინდის კათედრაზე 1715-1727 წლებითაა განსაზღვრული.

მნიშვნელოვანია, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი, ბოდორნის ეკლესიის სამშენებლო წარწერა, რომელიც 1717 წლით თარიღდება და აქ მოხსენიებულია მიტროფანე ნინოწმინდელი, როგორც ბოდორნის ეკლესიის მაშენებელი, თუმცა ერთი არსებითი დამატებით:

*...მე: გარგავიცვალე: ამიერ: სოფლით: და: ქაიყუბათ: სახლთუხუცესმა: სრულყო: დიდის: შრომითა: და: წარსაგებლითა: ადიდოს: ღთნ: ორსავე: შინა: ცხოვრებასა ქკსა უე.*

დაბოლოს, ჩვენ ხელთ არის კიდევ ერთი საყურადღებო დოკუმენტი – ის მოხმობილი აქვს მ. შაორშაძეს, რომელთანაც ვკითხულობთ: *ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი საბუთი (AD-184), პირობის წიგნი ნინოწმინდაში დასაფლავების აკრძალვის შესახებ, მიცემული ბოქაულთუხუცეს დემეტრე ჩოლოყაშვილის მიერ ნინოწმინდელ მიტროფანე ერისთვისშვილისთვის*, რომლის თარიღი ჯერ კიდევ გასარკვევია და სავარაუდოდ, იგი XVIII საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება (შაორშაძე: 2010:80).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ზემოთ წარმოდგენილი საბუთები არც მთლად ლოგიკურ თანხვედრაშია ერთმანეთთან. მ. შაორშაძე წინამდებარე ცნობებისა და საბუთების საფუძველზე 2010 წლის მონოგრაფიაში მიტროფანეს მოღვაწეობას კათედრაზე 1738-1740 წლებით განსაზღვრავდა, მიუხედავად არაერთი შეუსაბამობისა. მას საამისოდ გაანალიზებული აქვს ნინოწმინდელ ეპისკოპოსთა მთელი რიგი, თუმცა ეს ჩვენი კვლევის საგანი არ გახლავთ და მას დეტალურად არ შევეხებით. მსჯელობის გათვალისწინებით, მეცნიერის მთავარ არგუმენტად მიტროფანეს XVIII საუკუნის შუა ხანებში, თუ მის II ნახევარში, შესაძლო მოღვაწეობის დასტურად ორი ცნობა წარმოგვიდგება: ერთი, ესაა ვინმე *გიორგის მიერ მიტროფანეს დაკვეთით* 1763 წელს გადაწერილი სახარება-სამოციქულოს საკითხავების არსებობა (K-№104), ხოლო მეორე ცნობად მას მიღებული აქვს ე. თაყაიშვილის მიერ შეცდომით ამოკითხული ბოდორნის



სამშენებლო წარწერის *თარიღი: ...ხოლო 1772 წლის ერთი წარწერის მიხედვით, მიტროფანე ნინოწმინდელს განუახლებია ბოდორნის ტაძარი, რომლის დასრულებულ სახესაც იგი ვეღარ მოსწრებია* (შაორშაძე, 2010:80). მ. შაორშაძე კრიტიკულად უდგება პ. კარბელაშვილის ცნობას და წერს: *პ. კარბელაშვილი მიტროფანეს მოღვაწეობას ნინოწმინდის კათედრაზე 1615-1627 წლებით ათარიღებს* (სავარაუდოდ კორექტურული შეცდომაა და უნდა ეწეროს 1715-1727, ნ.ა.), *მაგრამ ეს დათარიღება მიუღებელია, რადგან, თუკი იგი 1763 წელს ჯერ კიდევ ცოცხალია, 1615-1627* (იგივე შეცდომაა სავარაუდოდ ნ.ა.) *წლებისათვის ის, ბუნებრივია, ვერცერთ შემთხვევაში ეპისკოპოსი ვერ იქნებოდა* (შაორშაძე, 2010:80).

მ. შაორშაძეს 2013-2014 წლებში გამოქვეყნებული აქვს საგანგებო წერილი – *ახალი მასალები მიტროფანე ნინოწმინდელის შესახებ*, სადაც რეალურად განხილულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საბუთი (AD-184), რომელიც ავტორს 2010 წლის მონოგრაფიაშიც აქვს მოხმობილი და, ამდენად, ის სიახლეს არ წარმოდგენდა, თუმცა ეს სხვა საკითხია. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს გახლავთ *პირობის წიგნი ნინოწმინდაში დასაფლავების აკრძალვის შესახებ, მიცემული ბოქაულთუხუცეს დემეტრე ჩოლოყაშვილის მიერ ნინოწმინდელ მიტროფანე ერისთვისშვილისთვის*, რომლის დეტალურ შინაარსობრივ ნაწილს ამჯერად არ შევეხებით. მნიშვნელოვანია, რომ ახალ წერილში მ. შაორშაძე იძლევა ხსენებული სიგელის სრულ ტექსტს და მის ორ შესაძლო თარიღს: *ზემოთ აღნიშნული მიტროფანე ნინოწმინდელისათვის მიცემული სიგელის ბოლოს ნახსენები არ არის ქორონიკონი, პირდაპირ დასმულია ტჟგ... მისი წაკითხვა, ასევე, შესაძლებელია, როგორც ტპგ. მართლაც, სიგელი დაწერილი ჩანს ან სწორედ 1695 წელს (ტპგ), ან 1705 წელს (ტჟგ)* (შაორშაძე, 2013-2014:181). მ. შაორშაძე აღნიშნული სიგელის, როგორც დამატებითი „ფაქტორის“ გათვალისწინებით, ამჯერად აკორექტირებს 2010 წლის მონოგრაფიაში წარმოდგენილ ვერსიას და მიტროფანეს მოღვაწეობას უკვე სხვაგვარად განსაზღვრავს. ის ვარაუდობს, რომ ნინოწმინდელად მიტროფანე შესაძლოა ყოფილიყო 1703 წლიდან – 1708 წლამდე მონაკვეთში და შემდგომ 1738-1740 წლებში. ამის მიუხედავად, ავტორი შენიშნავს: *გაურკვეველი რჩება ის, რომ მიტროფანე გარდაცვლილი არ ჩანს ჯერ კიდევ 1763 წლამდე, როცა მისი დაკვეთით სახარება-სამოციქულო გადაწერეს (K-104). როგორც ჩანს, აქ რაღაც შეცდომას აქვს ადგილი და მეტ დაზუსტებას მოითხოვს. თუ იგი XVII ს-ის ბოლოს ან XVIII ს-ის დასაწყისში უკვე ეპისკოპოსია, 1763 წელს მისი სიცოცხლე დიდ ეჭვს ბადებს. როგორც 1772 წლის წარწერიდან ვიცით, მისი აღდგენილია ბოდორნის ტაძარიც, თუმცა იგი მის დასრულებას ვერ მოსწრებია* (შაორშაძე, 2013-2014:181).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გადაჭრით რისამე მტკიცება, ცხადია, შეუძლებელია, თუმცა მიგვაჩნია, რომ მ. შაორშაძე არ ითვალისწინებს რამდენიმე საკითხს:

ბოდორნის ტაძრის სამშენებლო წარწერის თარიღი, ე. თაყაიშვილის წაკითხვის მიხედვით, 1772 წელია, რაც არ გახლავთ სწორი. ექვთიმეს ეს ნაშრომი 1915 წელსაა გამოცემული და მას მერე აღნიშნული წარწერა არაერთმა მეცნიერმა უკვე ახლებური ვერსიით წაიკითხა და დადგინდა, რომ იქ 1717 წელია მოცემული. ამდენად, ჩვენთვის უცნობია, თუ რატომ ვერ მიიპყრო წარწერის ახალი წაკითხვის ვერსიამ მ. შაორშაძის ყურადღება. თუკი იგი არ ეთანხმება ამ „ახალ“ წაკითხვას, მაშინ ეს სადმე მაინც უნდა ჰქონოდა აღნიშნული.

ცნობილია, რომ მიტროფანე ნინოწმინდელი არაგვის ერისთავის *ბაინდურის ძმა* გახლდათ, ხოლო ეს უკანასკნელი, ზედმეტი კონკრეტიკის გარეშე რომ ვთქვათ, სწორედ XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ფლობდა ერისთავობას, ზოგი ვერსიით – 1696-1703 წლებში. ზემოთ ხსენებული გერგეტის სამების *მატიანე მოსაჴსენებელი სულთა* ერთად იხსენიებს მიტროფანესა და მის ძმას, ბაინდურს. ეს არ გვაძლევს კონკრეტულ თარიღს, თუმცა გვიდასტურებს მინიმუმ იმას, რომ, როგორც ბაინდური, ისე მიტროფანე (ძმები, რომლებსაც წესით დიდად განსხვავებული ასაკი ვერ ექნებოდათ) XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე აქტიურად ჩანან და დაახლოებით შუა ხნისანი უნდა ყოფილიყვნენ – მათი სტატუსებიდან გამომდინარე, თუმცა ეს არ გახლავთ გადაჭრითი მტკიცება, რადგან ჩვენ ვიცით ადრეულ ასაკში გაეპისკოპოსების შემთხვევებიც.

ასევე საყურადღებოა, რომ პ. კარბელაშვილი, შესაძლოა წლების გარკვეული აცდენით, მაგრამ მაინც, მიტროფანეს ნინოწმინდელად მოღვაწეობას XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე განსაზღვრავს.

მ. შაორშაძეს კარგად აქვს შესწავლილი და წარმოდგენილი ნინოწმინდელ *საბა ტუსიშვილის* მოღვაწეობა კათედრაზე, რომლის შესახებაც გაცილებით მეტი საბუთი მოგვეპოვება. თავად მ. შაორშაძე ნინოწმინდელი საბას მოღვაწეობის პერიოდს 1744 -1783 წლებით განსაზღვრავს. ამდენად, მინიმუმ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება არასანდოდ მივიჩნიოთ 1763 წელს მიტროფანეს ეპისკოპოსობა, თუ 1772 წელს მის მიერ ეპისკოპოსის რანგში ტაძრის აგება. ეს საბას მოღვაწეობის წლებია და, სულ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელი იქნებოდა მიტროფანეს აქ *გამოჩენა*.

ერთი რამ ცხადია – დამატებით კვლევას საჭიროებს ზემოთ ხსენებული, ვინმე გიორგის მიერ შესრულებული და 1763 წლით დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც გარდა მ. შაორშაძისა, ამავე თარიღით გვხვდება ხელნაწერთა აღწერილობის პირველ ტომში, სადაც არაა განმარტებული, თუ რის მიხედვით არის წინამდებარე თარიღი მიღებული (ხელნაწერთა აღწერილობა, 1953:267). ცხადია, რომ თავად ხელნაწერს აქვს მითითებული თარიღი, თუმცა, რამდენადაც ვხვდებით, პრობლემა მის წაკითხვასა და ინტერპრეტაციაში უნდა იყოს – ეს კი შესაბამისი დარგის სპეციალისტების კვლევის საგანია.

ჩვენთვის, ამ ეტაპზე, მიტროფანეს ნინოწმინდელად მოღვაწეობის ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა არ გახლავთ პრინციპული მნიშვნელობისა, გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ 1717 წელს მის მიერ ბოდორნის ეკლესიის განახლება სრულებით ლოგიკური და დამაჯერებელი ჩანს, ხოლო დანარჩენი სამომავლოდ უთუოდ უნდა იქნას შესწავლილ-დასაბუთებული.

## დასკვნა

ჩვენ მიერ უკიდურესად მოკლედ და მეტ-ნაკლები კრიტიკულობით განხილული ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიის არქიტექტურული სახე და მისი აგება-აღდგენითი საქმიანობის ისტორია განკერძოებით, როგორც დამოუკიდებელი კვლევის საგანი, შესაძლოა არ წარმოადგენდეს უმნიშვნელოვანეს ამოცანას, თუმცა ის, როგორც გვიანი შუა საუკუნეების ქართული მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების, კულტურისა და ყოფის, ნამემკვიდრალის მიმართ დამოკიდებულების, მისი შენარჩუნების, მისთვის შემატებისა და სხვათათვის დატოვების კონტექსტში უდავოდ მრავლის მთქმელია – ეს არის გვიანფეოდალური ხანის კულტურულად დაქვეითებული, პოლიტიკურად დაქუცმაცებული, ეკონომიკურად და სულიერად დაძაბუნებული ქართველი ერის სურათი, სადაც ჩანს, როგორც ზოგადად ეროვნული, ისე ლოკალური, უშულოდ არაგვის ხეობის „ქვეყნის“ გამორჩეული დამოკიდებულება საკუთარი კულტურის, სარწმუნოებისა და, ამდენად, ეროვნული იდენტობისადმი.

ამასთანავე, ეს მცირე კვლევაც ნათლად აჩვენებს, თუ კიდევ რამდენი მნიშვნელოვანი საკითხია გასაანალიზებელი და შესასწავლი უშუალოდ ბოდორნის ეკლესიის, მისი არქიტექტურის, სამშენებლო წარწერების, საისტორიო საბუთებისა თუ ბოდორნის ეკლესიაში ოდესღაც დაცული ჯვარ-ხატების ერთიანი გააზრება-ანალიზის კონტექსტში. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ბოდორნის ეკლესიის სწორედ ასეთი, მრავალმხრივი შესწავლის მცდელობა.



## ბიბლიოგრაფია


*საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.* (1990) წ. 5, თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა.

*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* (1962) ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი: *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.*

*დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან.* (1953) II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბერიძე, ვ. (1994). *XVI-XVIII საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურა.* ქართული ქრისტიანული ხელოვნება, I, თბილისი: *კანდელი.*

ბაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა.* ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, V, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი: *მეცნიერება.*

ჯაფარიძე, ს. (1988). ბოდორნის სვეტი და ქვაბები, *ძეგლის მეგობარი,* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

*საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში.* (2010) საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი, ტომი პირველი, დავით მუსხელიშვილის საერთო რედაქციით, თბილისი: *უნივერსალი.*

*ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი.* (2013) გელა გამყრელიძის საერთო რედაქციით, თბილისი: *ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.*

*ქართლის ცხოვრება.* (1973) ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

*ქართული სამართლის ძეგლები.* (1970) *საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები* (XI-XIX სს.), ტომი III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი: *მეცნიერება.*

*ქართული სამართლის ძეგლები.* (1981) *სასამართლო არზა-ოქმები,* ტომი VII, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი: მეცნიერება.

*ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* (1897) წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, თბილისი: მ. შარაძის სტამბა.

*ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.* (1967) წიგნი მესამე (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბილისი: მეცნიერება.

იოსელიანი, პ. (1936). *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა.* ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი: ფედერაცია.

შინაური ქრონიკა, გაზეთი *დროება,* (1884). № 204, თბილისი.

დავლიანიძე, ჯ. (1989). თეთრი წუხილი. *კომუნისტი,* №131, თბილისი.

მგზავრი, ლ. (1912). ბოდორნის ტაძრის დღეობა (დუშეთის მაზრა). *სახალხო გაზეთი,* №698, 14 სექტემბერი, თბილისი.

ხარაძე, კ. (2010) ბუნების უნიკალური ძეგლები, ბოდორნის სვეტი. გაზეთი *სოფლის ცხოვრება*. №10, 23 იანვარი, თბილისი.

ხარაძე, კ. (2010). *ბოდორნა, ტურისტულ-საექსკურსიო მეგზური*. თბილისი.

ალუდაური, ბ. (2003). ბოდორნა. *ომეგა*, №12 (50), თბილისი.

*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. (1977) ბოდორნა. ტომი II, თბილისი.

გენგიური, ნ. (2005). *კუპელჰალე*. თბილისი: *პოლიგრაფი*.

გვასალია, ჯ. (1975). არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*. V, თბილისი: *მეცნიერება*.

გვასალია, ჯ. (1983). *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები*, შიდა ქართლი. თბილისი: *მეცნიერება*.

გეგნგიური, ნ. (2005) *კუპელჰალე*. თბილისი: *სიგნეტი*.

მარუაშვილი, ლ. (1980) ბოდორნა. *გაზეთი კომუნისტი*, 15 ივნისი, თბილისი.

*საქართველოს გამოჩენილი და საქმიანი ადამიანები*. (2015). ბოდორნა, თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (2018). *თხზულებანი*. ტომი 5, თბილისი: *არტანუჯი*.

*მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან*. (1964). თბილისი.

საქართველოს ეკლესიის ისტორიული ძეგლები. (1967). თბილისი.

შაორშაძე, მ. (2010). *ნინოწმინდის საეპისკოპოსო*. თბილისი: *არტანუჯი*.

შაორშაძე, მ. (2005). *XVIII საუკუნის ნინოწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, XXI, თბილისი: ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შაორშაძე, მ. (2013-2014). ახალი მასალები მიტროფანე ნინოწმინდელის შესახებ. *საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები*, VIII, თბილისი: *მერიდიანი*.

ჯავახიშვილი, ი. (1986). *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტომი V, თბილისი: *მეცნიერება*.

ბარამიძე, ა. ვათეიშვილი, ჯ. (1978). *პ. იოსელიანი, ცხოვრებისა და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნარკვევი*. თბილისი: მეცნიერება, გვ. 42-48.

რამიშვილი, რ. და სხვ. (1974). ჟინვალის ექსპედიცია, *საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს*, თბილისი: მეცნიერება, გვ. 65-75.

მენაბდე, ლ. (1962). *ძველი ქართული მწერლობის კერები*. ტომი I, ნაკვეთი პირველი, თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა*.

შარაშიძე, ქ. (1954). *საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.)*. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი, მეცნიერება.

ქორიძე, დ. (1965). *კოლხური კულტურის ისტორიისათვის*. თბილისი, მეცნიერება.

*საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტომი I, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. (1970). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

*ივერია*. (1898). დუშეთი. 16 აპრილი, ხუთშაბათი, №80. თბილისი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

*ივერია*. (1903). დუშეთი. 19 აგვისტო, სამშაბათი, №176. თბილისი: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

*საქართველოს გაზეთი*. (1819). №34. თბილისი.

*საქართველოს გაზეთი*. (1819). №35. თბილისი.

*სახალხო გაზეთი*. (1912). 14 სექტემბერი, პარასკევი, №698. თბილისი.

*დროება*. (1884). შინაური ქრონიკა. 23 სექტემბერი, კვირა, №206. თბილისი.

*ცნობის ფურცელი*. (1897). 13 სექტემბერი, შაბათი, №311. თბილისი.

*მასალები საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში*. ე. თაყაიშვილის რედაქციით. (1907). თბილისი: ძმობისა.

გაბიძაშვილი, ე. (2011). *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია*. 5, თბილისი: *თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა*.

გაბიძაშვილი, ე. (2009). *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, ეგზეგეტიკა, აპოკრიფები*. 4, თბილისი: არტანუჯი.

*ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*. (1949), შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, ტომი I, თბილისი: საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა.

*ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს ეროვნული არქივის ხელნაწერთა ფონდი*. (2016), შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ქ. ასათიანმა, თ. გაბუნიამ, თ. გელაშვილმა, მ. კირვალიძემ, ვ. შენგელიამ, მ. ჭუმბურიძემ, ი. თბილისი: საქართველოს ეროვნული არქივი.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. (2014). მრავალტომეული: ტომი III, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართლის სათავადოები*. თბილისი: *სახელგამი*.

*ხელნაწერთა აღწერილობა*. (1953). ტომი I, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკის ე. ნიკოლაძის მიერ, რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი პროფ. კ. კეკელიძე. თბილისი: *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა*.

M. Brosset, M. (1850).*Voiage Archeologique Dans La Georgie et dans L'Armenie, Execute en 1847-1848,* Sant Petersbourg.

Strygowsky, J. (1918). *Die Baukunst der Armenier und Europa*. Wien: Kunstverl. Schroll.

Токарский, Н. (1946). *Архитектура древней Армении*. Ереван: Издательство Академии Наук Армянской ССР.

Якобсон, А. (1950). *Очерк истории зодчества Армении V-XVII веков*. Москва: изд-во архитектуры и градостроительства.

Чубинашвили, Г. (1959). *Архитектура Кахетии, Исследование развития архитектуры в восточной провинции Грузии в IV-XVIII вв*. Тбилиси: Академия наук.

Чубинашвили, Г. (1967). *Разыскания по армянской архитектуре*. Т. I, Тбилиси: Мецниереба.

## გამოყენებული საილუსტრაციო მასალის წყაროები:

სურ. 1. ლაშა მთვარაძე

სურ. 2. www.about.ge

სურ. 3. Ka.wikipedia.org

სურ. 4-5. ვ. ბერიძე

სურ. 6-7. www.about.ge

სურ. 8. www.georgianencyclopedia.ge

სურ. 9. www.mematiane.ge

სურ. 10-13. ნოდარ არონიშიძე

*ნოდარ არონიშიძე*
მეცნიერ-თანამშრომელი
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი


*Nodar Aronishidze*
Researcher, Giorgi Chubinashvili National Research Centre for Georgian
Art History and Heritage Preservation
ORCID-ID: 0009-0001-3706-7925







სურ. 1. ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია – საერთო ხედი






სურ. 2-3. ბოდორნის კლდის „სვეტი“, ძირში არსებული გამოქვაბულის გეგმა და ჭრილი






სურ. 4-5. ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. 1717 წელი. გეგმა და ჭრილი ვ. ბერიძის მიხედვით



**სურ. 6.** თბილისის *ჯვარის მამის* ეკლესია. XVI საუკუნე. საერთო ხედი



**სურ. 7.** მანავის ღვთისმშობლის ეკლესია. 1794 წელი. საერთო ხედი



**სურ. 8.** გურჯაანის *ქვაშვეთის* წმინდა გიორგის ეკლესია. XVIII-XIX საუკუნეები



**სურ. 9.** კულბითის ღვთისმშობლის ეკლესია, XVIII საუკუნე, საერთო ხედი






სურ. 10. ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. 1717 წელი. ჩრდილოეთი კედლის წყობა



სურ. 11. ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. 1717 წელი. გუმბათის ყელი



სურ. 12. ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. 1717 წელი. სამხრეთი შესასვლელები



სურ. 13. ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესია. 1717 წელი. სამშენებლო წარწერა სამხრეთი კარის თავზე.



რაფიელ ერისთავის ჩიბუხი
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი



# რაფიელ ერისთავი და მისი ეპოქა

## აბსტრაქტი

რაფიელ ერისთავმა XIX საუკუნის საქართველოს განუმეორებელი ხიბლი და მიმზიდველობა შესძინა. თუ ვინმე განსაზღვრავდა ამ ასწლეულის სიტყვაკაზმული მწერლობის სიმაღლესა და სიდიადეს, ერთ-ერთი მათგანი, უთუოდ, *სამშობლო ხევსურისა*-ს ავტორიც იყო.

პოეტი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და იყო უშუალო მონაწილე და თვითმხილველი მრავალი საზოგადო მნიშვნელობის მოვლენისა, ერის კოლექტიურ მეხსიერებას წარსულის ხატად რომ შემორჩა.

მოხსენებაში თვალი მივადევნეთ და ეპოქის ფონზე წარმოვაჩინეთ რაფიელ ერისთავის დამოკიდებულება XIX საუკუნის საქართველოში განვითარებული ისეთი ისტორიული მოვლენების მიმართ, როგორებიცაა: ბატონყმობის გაუქმება, ომერ ფაშას სარდლობით ოსმალეთის ჯარების სამეგრელოში შემოჭრა ყირიმის ომის დროს, ქართველების მონაწილეობა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, კავკასიის მუზეუმის დაარსება თბილისში, *ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* დაფუძნება, ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაცია და სხვა. ყურადღება გამახვილდება რაფიელ ერისთავის იუბილეს მნიშვნელობაზე, რომელიც პოეტის მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავად, 1895 წელს ოქტომბერში, თბილისში გაიმართა. იუბილემ *საეროდღესასწაულის* ხასიათი შეიძინა და ქართული ეროვნული კულტურის ზეიმად იქცა.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; პოეტი; ეპოქა; ქართული მწერლობა; იუბილე.

## RAPHIEL ERISTAVI AND HIS ERA

## ABSTRACT

Raphiel Eristavi brought a unique charm and appeal to 19th-century Georgia. If anyone defined the heights and grandeur of literary expression in that century, one of them was undoubtedly the author of *“Samshoblo Khevsurisa.”*

The poet was always at the heart of public life, directly involved in and a witness to

many socially significant events that have been preserved in the nation's collective memory as vivid images of the past.

This paper explores Raphiel Eristavi's perspective within the context of his era and highlights his views on major historical events in 19th-century Georgia, such as: the abolition of serfdom; the invasion of Samegrelo by Ottoman forces under Omar Pasha during the Crimean War; participation of Georgians in the Russo-Turkish War of 1877-1878; the founding of the Caucasus Museum in Tbilisi; the establishment of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians; and the study and popularization of national cultural heritage, among others.

Special attention is given to the significance of Raphiel Eristavi's jubilee, held in October 1895 in Tbilisi, marking the 50th anniversary of his literary career. The event took on the character of a national celebration and became a true festival of Georgian cultural identity.

**Keywords**: Raphiel Eristavi; Poet; Era; Georgian writing; Anniversary





## შესავალი

*იონა მეუნარგია* წერდა გრიგოლ ორბელიანის შესახებ: *მთელი ჩვენი საუკუნე სავსეა გრიგოლ ორბელიანის სახელით... მის პიროვნებას ვხედავთ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველს ფურცელზე* (დროება, 1883: 22 მარტი). იგივე თამამად შეიძლება გავიმეოროთ რაფიელ ერისთავის შესახებაც, რომელმაც XIX საუკუნის საქართველოს განუმეორებელი ხიბლი და მიმზიდველობა შესძინა.

პიროვნების ღვაწლი მისი ნაღვაწ-ნააზრევით, იმ მნიშვნელოვანი საქმითა და მემკვიდრეობით იზომება, რაც მას ცხოვრებაში უკეთებია და შთამომავლობისათვის დაუტოვებია. ხშირ შემთხვევაში, ამ ღვაწლის გააზრებასა და სათანადო შეფასებას დრო სჭირდება, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ ერისა და ქვეყნის მოამაგე კაცის დამსახურება მის თანამედროვეთაც უშეცდომოდ დაუნახავთ და უღიარებიათ. ამის შთამბეჭდავი მაგალითია რაფიელ ერისთავის დაკრძალვის დამსწრე ხევსურთა წარმომადგენლების დროშა, რომელზეც ასეთი სიტყვები ეწერა: *მოდით და ნახეთ სიკვდილი პოეტისა როგორ გარდაიქცევის სიცოცხლედ* (ვაშაყმაძე, შ. 1974: 56).

რაფიელ ერისთავი 1901 წლის 18 თებერვალს (4 მარტს), 77 წლის ასაკში აღესრულა. იგი XIX საუკუნის მოღვაწედ ითვლება, რადგან მთელი ცხოვრება, ფაქტობრივად, ამ ასწლეულში გაატარა. რაფიელის მსგავსი ადამიანები, რომლებიც ნაყოფიერ შრომასთან ერთად მტკიცედ იცავენ ეთიკურ პრინციპებს, საზოგადოებაში ჰფენენ ზნეობრივ მადლს და იაკობ გოგებაშვილს თუ დავესესხებით, *მოგვაგონებენ მოციქულებს და შეადგენენ მარილს ქვეყნისას* (გოგებაშვილი, ი. 1954: 202).

*რაფიელ ერისთავს მახვილი კალამი და დაკვირვებული თვალი აქვს, ამჟამად ორ-სამ მწერალს გარდა არავინ გვეგულება ისეთი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას რაფიელ ერისთავზე უკეთ იცნობდეს და უკეთ ხატავდეს ამ ცხოვრების სურათებსა და ხასიათს* – წერდა სერგეი მესხი რაფიელ ერისთავის შესახებ, ჯერ კიდევ 1872 წელს (დროება, 1872: 19 მაისი).

მართლაც, პოეტის თვალით დანახული და აღქმული სინამდვილე ზოგჯერ უფრო მძაფრად გვაგრძნობინებს დროის სურათსა და ეპოქის სულს, ვიდრე ისტორიის ფოლიანტების მთელი წყება (აბზიანიძე, გ. კალანდაძე, ა. ასათიანი, გ. 1974: 192). ეს მით უფრო, როდესაც პოეტი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს და თუ მონაწილე არა, თვითმხილველი მაინც არის იმგვარი საზოგადო მნიშვნელობის მოვლენებისა, ერის კოლექტიურ მეხსიერებაში წარსულის ხატად და ისტორიის გამოცდილებად რომ შემორჩება ხოლმე.

თანამედროვეთა დახასიათებით, *რაფიელის მოღვაწეობის ისტორია ჩვენი ზრდისა და წარმატების ისტორიაა ... მეცხრამეტე საუკუნეში. რაფიელი ყოველ ქართულ საქმეს ყურს უგდებდა, ყოველ წმინდა ქართულს დაწესებულებაში მონაწილეობას იღებდა* (ყიფშიძე, გრ. 1895: 97-98).

## კვლევის მეთოდები

სტატია ეფუძნება პირველწყაროთა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს. გამოყენებულია ისტორიზმის, ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდები. საკვლევი საკითხის ისტორიული ფონი შესწავლილია რეტროსპექტული პრინციპით.

## შედეგები და მსჯელობა

რაფიელ ერისთავი თავად იყო თავისი ეპოქის ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი. ამ მრავალმხრივმა მოღვაწემ წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში (პოეზია, დრამატურგია), არამედ ისეთ სფეროებშიც, როგორებიცაა: ლექსიკოლოგია, პუბლიცისტიკა, ისტორია თუ ეთნოგრაფია.

*სამშობლო ხევსურისა*-ს ავტორს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა იმ სახელოვანი პლეადის გვერდით, რომელსაც ერის დიდი შვილები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ნიკოლაძე შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, რაფიელ ერისთავის შემოქმედება ჩრდილში არ მოქცეულა, პოეტმა საყოველთაო აღიარება, სახალხო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

თავისი შემოქმედებით, ნაღვაწითა და ნააზრევით რაფიელ ერისთავმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული კულტურის საგანძური.

ქვემოთ შევეცდებით, თვალი გავადევნოთ რაფიელ ერისთავის ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს ეპოქის ფონზე და წარმოვაჩინოთ პოეტის დამოკიდებულება XIX ასწლეულის საქართველოში განვითარებულ მთავარი მოვლენების მიმართ.

როდესაც 1832 წელს, *მოსაქნევად მომზადებული ქართველთა ხმალი მოქნევამდე გადატყდა* (მანწკავა, ი. 1936: 54), – ანუ, საქართველოში ანტიკოლონიური მოძრაობის ყველაზე მასშტაბური მოვლენა – 1832 წლის შეთქმულება და საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ცდა მარცხით დასრულდა, რაფიელ ერისთავი 8 წლისა იყო. მისი ოჯახის წევრთაგან შეთქმულების უშუალო მონაწილე არავინ ჩანს და ბავშვის მეხსიერებასაც ამ მოვლენის შესახებ ბევრი არაფერი შემორჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულების ერთ-ერთი ლიდერი, ფილადელფოს კიკნაძე, დაპატიმრებამდე შუამთის მონასტერში რაფიელის მასწავლებელი იყო.

1844 წელს, ოცი წლის რაფიელ ერისთავმა თბილისის კეთილშობილთა გიმნაზია დაამთავრა. მაშინ არა მხოლოდ შეთქმულთა, არამედ მთელი ჩვენი თავადაზნაურობის ეროვნული ენთუზიაზმი და შემართება უკვე ჩამცხრალი იყო, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჯერაც სულიერი დეპრესიის კვალი აჩნდა. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით თუ ვიტყვით: *ქართველობას გონებრივი და ეროვნული მიმძინარების დრო ედგა. იყვნენ მაშინაც, რასაკვირველია, თითო-ოროლანი, განსაკუთრების ძალისა და ღონის-კაცნი, რჩეულნი, სულ-მაღალნი, რომელნიც არ ისვენებდნენ, შფოთავდნენ, ჰღელავდნენ; მაგრამ მალე იმათაც გადაიწყვიტეს გულში იმედი, დასდეს ფარ-ხმალი, აღიარეს, ბრძოლა ამაო იქნებაო და მიეცნენ უფრო მწერლობას, დაემყარნენ მწიგნობრობას და დიდი ჯიგარი მამულის სიყვარულით აღვსილის გრძნობისა დაჰყარეს მეცნიერების შესწავლასა, სამშობლო ისტორიის შემუშავებასა, წიგნების თარგმნასა და ხელ-ნაწერების მოკრება-მოგროვებაზედ* (ყიფშიძე, გრ. 1895: 84). გრიგოლ ყიფშიძის ეს დაკვირვება უფრო *მიხეილ ვორონცოვის* მეფისნაცვლობის წლებს შეეხება, როდესაც ქართული ზეპური საზოგადოება წყვეტს თავისუფლებისათვის ბრძოლას, ხელს იღებს დაუმორჩილებლობა-წინააღმდეგობაზე და სამოქმედოდ კულტურულ ფრონტზე ინაცვლებს. ამასთან, კონფორმიზმის გზაზე დამდგარი ჩვენი არისტოკრატიული წოდება იმპერიის მყარ დასაყრდენად გვევლინება. რაფიელ ერისთავის სიჭაბუკის წლები იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც მეფის მთავრობა ფართო დამპყრობლურ ომს აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში და ქართველი დიდგვაროვნები თავგამოდებით იყვნენ ჩაბმულნი ამ სისხლისღვრაში, როგორც რუსეთის არმიის ოფიცრები და გენერლები. მარტო გრიგოლ ორბელიანისა და მისი ძმის – ილიას მაგალითი რად ღირს.[1] ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ხომ გული მოქმედი არმიისაკენ მიუწევდა.

გიმნაზიადამთავრებულ არაგვის ერისთავთა შთამომავალ რაფიელ ერისთავის წინაშეც ორი ალტერნატივა იდგა: ან იმპერიის რომელიმე საუნივერსიტეტო ქალაქში გამგზავრება უმაღლესი განათლების მისაღებად და ან კიდევ სამხედრო კარიერა. თვალის დაავადებამ, რომელმაც თავი მისი მოსწავლეობის პერიოდში იჩინა, ორივე არჩევანი გამორიცხა. რაფიელი სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

უნდა ითქვას, რომ რაფიელ ერისთავის თანამედროვე თავადაზნაურობის ბევრი წარმომადგენელი, რომელთაც პოლიტიკურ რომანტიზმს პოლიტიკური რეალიზმი ამჯობინეს, ცდილობდნენ ეროვნულ-ქართულისა და რუსულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების შეთავსებას. სხვა საკითხია, რამდენად წარმატებით ხერხდებოდა ამ *შეუთავსებელთა შეთავსება*, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინდელ საქართველოში იმპერიისადმი პოლიტიკური ლოიალობა და *ტახტისადმი უძრახველი სამსახური* (ყიფიანი, დ. 1930: 101) კარგ ტონად ითვლებოდა. ამის ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითები გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი არიან. მათთან ერთად, რაფიელ ერისთავიც ამ წრეში უნდა მოვიაზროთ. მართალია, წინა ორის მსგავსად, იმპერიის დიდმოხელე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ჩინ-მედლები არც რაფიელ ერისთავს დაკლებია.

პოეტის სამსახურეობრივი ნუსხა ასე გამოიყურება: 1847 წელს მუშაობა დაიწყო თარჯიმნად თიანეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში; 1849 წელს დააწინაურეს ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს კანცელარიაში, სადაც 1851 წელს დანიშნეს მაგიდის უფროსის თანაშემწედ; 1855 წელს გადაიყვანეს ქუთაისში განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროს მოხელედ; 1857 წლიდან, 10 წლის განმავლობაში, იყო ზუგდიდის მაზრის უფროსი. პარალელურად, სათავეში ედგა ასევე სამეგრელოს სამთავროს დროებით მმართველობასაც. 1867 წელს რაფიელ ერისთავი დანიშნეს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელად და იმავდროულად ასრულებდა სამმართველოს მრჩევლის მოვალეობასაც. როდესაც მას 1870 წელს რაჭის განყოფილებაში დაუპირეს გადაყვანა, რაც აშკარა დაქვეითებას ნიშნავდა, პოეტი საერთოდ გამოვიდა სახელმწიფო სამსახურიდან და ხელი კერძო ადვოკატობას – ვექილობას მიჰყო. 1889 წლის მარტიდან 1896 წლის ოქტომბრამდე რაფიელ ერისთავი კვლავ დაბრუნდა სახელმწიფო სამსახურში, ამჯერად კავკასიის საცენზურო კომიტეტში დაინიშნა ცენზორის თანამდებობაზე.

რაფიელ ერისთავს მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოებიც, მათ შორის, *წმინდა სტანისლავის III ხარისხის ორდენი, წმინდა ანას მესამე და მეორე ხარისხის ორდენები* და 1853-1855 წლების რუსეთ-ოსმალეთის (ყირიმის) ომის *სამახსოვრო ბრინჯაოს მედალი*. ვერ ვიტყვით, რომ ეს განსაკუთრებული ჯილდოები იყო, რადგან წმინდა სტანისლავის ორდენი რომანოვთა იმპერიის სახელმწიფო ჯილდოთა იერარქიაში ყველაზე დაბალ ორდენად ითვლებოდა და მხოლოდ მოხელეთა სტიმულირებისათვის იყო გამიზნული. წმინდა ანას მესამე და მეორე ხარისხის ორდენებიც მხედრულთან ერთად, სამოხელეო ჯილდო იყო და იმპერიაში ასეულობით ათას კაცს უმშვენებდა მკერდს.

რაც შეეხება ჩინს, – რაფიელმა თავისი კარიერის გზაზე გაიარა *ტიტულარნი სოვეტნიკის, კოლეჟსკი ასესორის, ნადვორნი სოვეტნიკისა* და *კოლეჟსკი სოვეტნიკის* საფეხურები. *კოლეჟსკი სოვეტნიკობა* რუსეთის იმპერიაში მოქმედი, 14 საფეხურიანი *რანგთა ტაბელით*, VI კლასის სამოქალაქო წოდება იყო და სამხედრო წოდების არმიის პოლკოვნიკის ჩინს უტოლდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა, „*...მეფის დიდმოხელის მუნდირში ცარისტული რეჟიმისადმი ამხედრებული მამულიშვილის გული ძგერდა*“ (ჯაგოდნიშვილი, თ. 1979: 31). რაფიელ ერისთავი არ ერიდებოდა ქვეყანაში დამკვიდრებული მახინჯი სოციალური ყოფის მხილებას. მან ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ და მოგვცა მისი ულმობელი კრიტიკა ლექსში „*მთხოვნელი მსაჯულისადმი*“. ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, პირდაპირი გამოწვევა იყო რეჟიმისადმი, რის გამოც პოეტმა იგი ფსევდონიმით – *იოსებ მიქაბერიძის* სახელით გამოაქვეყნა.

ცნობილია, რომ პოეტს უშუალოდ მოუწია მონაწილეობის მიღება საგლეხო რეფორმის პერიპეტიებში, რომელიც თბილისის გუბერნიაში 1864 წელს, ხოლო დასავლეთ საქართველოში ეტაპობრივად და კუთხეების მიხედვით, 1865-1871 წლებში გატარდა. სამეგრელოში ამ რეფო-

1 ქართველი თავადაზნაურობის ამ თავგამოდებას უარყოფითად აფასებდა ტიციან ტაბიძე, რომელიც ლექსში *გუნიბი* წერდა: *არ მინდა ვიყო მე პოეტი, სისხლით დამთვრალი და ერთგვარად ბოდიშობდა კიდეც: ამ ცის სიმაღლის შეგინება რომ გაუბედეს, ამის სირცხვილი, საქართველოვ, შენც ხომ გედება.* (https://www.nplg.gov.ge/opentext/index.php?m=28&y=2002&art=10643)

რმის განხორციელება (1866 წ.) ზუგდიდის მაზრის უფროსად რაფიელ ერისთავის მუშაობას დაემთხვა. რაფიელ ერისთავს სამეგრელოში სამსახურის პერიოდში შეუდგენია და კავკასიის მეფისნაცვლისათვის გაუგზავნია დებულება გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. ამ დოკუმენტში ქალთა უფლებების დაცვის შესახებაც კი პროგრესული იდეები ყოფილა გამოთქმული (აბზიანიძე, გ. და სხვ., 1974: 269).

ამავე პერიოდში დაწერა მან გამოკვლევა – *ბატონყმობა სამეგრელოში,* რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ამ კუთხის პრივილეგიური წოდება, რომლებსაც ჰყავდათ ყმები (მთავარი, ბატონიშვილები, თავადები, აზნაურები და მღვდლები), მთავრის სამოხელეო აპარატი და გლეხთა კატეგორიები (მოჯალაბე (დელმახორე), მებეგრე და აზატები), მოცემულია გადასახადებისა და ბეგარის სახეობა და სხვა. (ბოროზდინი, ნ. 1927: 86-123).

რაფიელ ერისთავი საბატონყმო რეფორმის გატარებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებული იყო ვერცხლის სამახსოვრო მედლით *За труды по освобождению крестьян.*

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირება და მისგან გამომდინარე შედეგები. საბრძოლო ოპერაციებში რუსეთის არმიის ნაწილებთან ერთად ქართული ირეგულარული შენაერთები – მილიცია, სახალხო ლაშქარი და სამხედრო რაზმებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

ყირიმის ომის მსვლელობისას (1853-1855 წწ.), რომლის ერთ-ერთ ფრონტს საქართველოც წარმოადგენდა, რამდენიმე შეტაკება გურია-აჭარის მიდამოებშიც გაიმართა. მათგან აღსანიშნავია ჩოლოქის ცნობილი ბრძოლა, რომელიც 1854 წლის 4 ივნისს გაიმართა. ბრძოლაში თავი ქართულმა მილიციამაც გამოიჩინა, რომელიც მამაცობისათვის წმ. გიორგის დროშით დააჯილდოვეს. ეს ამბები საინტერესოდ აღწერა რაფიელ ერისთავმა. მისი ნარკვევი რუბრიკით *„ჩვენი მილიციონერების ნაამბობი“,* 1854 წლის ბოლოს, გაზეთ *კავკაზში* დაიბეჭდა (*Кавказъ*, 1854: 1 დეკემბერი).

ზუგდიდის მაზრის უფროსად მუშაობისას რაფიელ ერისთავს ყირიმის ომის შედეგად გავერანებული ზუგდიდისა და სამეგრელოს სოფლების აღდგენაზე ზრუნვაც მოუხდა. ცნობილია, რომ 1855 წლის სექტემბერში, თურქთა 36-ათასიანი საექსპედიციო კორპუსით, დასავლეთ საქართველოში თურქი სარდალი, ომერ ფაშა შემოიჭრა. ოსმალო ასკერებმა განსაკუთრებით გაძარცვეს და დაარბიეს ოდიშის მოსახლეობა, ცეცხლს მისცეს მთავრის სასახლე, გაჩეხეს მისი ბოტანიკური ბაღი და სხვა. რაფიელის ხელმძღვანელობით სასახლეც შეკეთდა, ბაღიც განახლდა და გარკვეული დახმარება სოფლების მცხოვრებთაც მიიღეს.

აქვე, აუცილებელია მოკლედ შევეხოთ სამეგრელოს გლეხთა აჯანყებასაც, რომელიც 1856 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მომდევნო წლის აგვისტო-სექტემბრამდე გაგრძელდა. როდესაც ამბოხებულებს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალი *ნიკოლაი კოლუბიაკინი* შეხვდა, აჯანყების საერთო მეთაურმა, *უტუ მიქავამ,* მას სიტყვით მიმართა და კონკრეტული მოთხოვნები წარუდგინა, კერძოდ: 1. კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს, 2. აღიკვეთოს ყმებით ვაჭრობა, 3. მიეცეს გლეხს ყველა ადამიანური უფლება და საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია, 4. მოწესრიგდეს გადასახადები, 5. შემოღებულ იქნეს კანონზე დამყარებული, სამართლიანი მმართველობა და სხვა.

არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომ უტუ მიქავამ თავისი სიტყვა რაფიელ ერისთავის კონსულტაციით მოამზადა (ჯაგოდნიშვილი, თ. 1979: 29). ამის დადასტურება ახლა შეუძლებელია, მაგრამ თვით სიტყვის ჩანაწერი რომ რაფიელ ერისთავმა შემოგვინახა, – ეს უტყუარი ფაქტია (http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=13433) (17. 11. 2024).

რაც შეეხება რუსეთ-ოსმალეთის კიდევ ერთ, 1877-1878 წლების შეტაკებას, რაფიელ ერისთავმა, ამ შემთხვევაშიც, დიდი ინტერესი გამოამჟღავნა და გაზეთ *დროებაში* რამდენიმე წერილიც მიუძღვნა სამხრეთ დასავლეთ საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. სხვათა შორის, ამ ომს შეეწირა პოეტის ღვიძლი და, ანა ერისთავი-ჭავჭავაძისა, რომელიც ფრონტზე მოწყალების დად იმყოფებოდა. მას *პარტახტიანი სახადი* შეეყარა და არტაანში გარდაიცვალა. საკუთარ დასთან გამოსათხოვარ სტატიაში – *ნეკროლოგის მაგიერ* – პოეტმა ხაზი გაუსვა, რომ ქართველ ქალებს აღარ ეუცხოვებათ *მონაწილეობა იმ უფლებების მიღებაში, რაშიაც მხოლოდ მამაკაცთ ჰქონდათ ადგილი* (*დროება,* 1878: 26 აგვისტო)[1].

ხსენებულ ომში რუსეთის იმპერიის წარმატებას ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუახანებიდან ოსმალეთის მიერ მიტაცებული ისტორიული ქართული მიწა-წყლის (კოლა-არტაანი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ოლთისი) დედა-სამშობლოსთან – საქართველოსთან შემოერთება მოჰყვა. ქართველი ხალხი აღტაცებით შეეგება დამპყრობთა უღლისაგან თავდაღწეული ძმების დაბრუნებას საკუთარ ოჯახში. დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით, მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ 1878 წლის 20 ნოემბერს განთავისუფლებული აჭარის დეპუტაციას თბილისში საზეიმო შეხვედრა მოუწყო და გულთბილად უმასპინძლა.

მიჩნეულია, რომ დამხვდურთა შორის იყო რაფიელ ერისთავიც (აბზიანიძე, გ. და სხვ., 1974: 273) და მან სიტყვითაც მიმართა სტუმრებს (ჯაგოდნიშვილი, თ. 1979: 46). მაგრამ წყაროში, რომელსაც ამის დამადასტურებლად იმოწმებენ („დროება“, 1978: 23 ნოემბერი), რაფიელ ერისთავი მოხსენიებული არ არის. რაფიელზე არაფერია ნათქვამი ამავე გაზეთის არც მომდევნო ნომერში, სადაც ხსენებული შეხვედრის რამდენიმე მონაწილის ვინაობაა დასახელებული, რომლებიც წინა წერილში რატომღაც გამორჩენოდათ. რჩება ერთადერთი ვერსია, რომ რაფიელ ერისთავის სახელი ვიგულისხმოთ *დროების* ავტორის სიტყვებში *ქართული ლიტერატურის წარმომადგენლები თითქმის ყველანი იყვნენ-ო.*

რაფიელ ერისთავი არ ჩარეულა *მამათა და შვილთა* ცნობილ პაექრობაში, რომელიც საქართველოში XIX საუკუნის 70-იან წლებში გაიშალა. მასში თერგდალეულები თავიანთ წინა თაობას დაუპირისპირდნენ. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარის* თანახმად, თაობა სოციალურ-ასაკობრივი კატეგორია, ანუ დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანების ერთობლიობაა. მონაკვეთი, რომელიც ერთ თაობას მომდევნოსაგან აშორებს, საშუალოდ 30 წლით განისაზღვრება. ამ ნიშნით, რაფიელ ერისთავი მამებსა და შვილებს შუა იდგა, მაგრამ სულიერი სიახლოვე მას უფრო თერგდალეულებთან აკავშირებდა. თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებითაც იგი იმ იდეალების სამსახურში ჩადგა, რომლებიც ახალგაზრდა ინტელექტუალთა დასმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ქართულ სინამდვილეში დაამკვიდრა. მკვლევარ ამირან არაბულის სიტყვებით, *რაფიელ ერისთავი იყო ერთგვარი შუამავალი და, შეიძლება ასეც ითქვას, დამაკავშირებელი ხიდი ქართველ რომანტიკოსებსა და სამოციანელებს შორის* (არაბული, ა. 2021: 355).

*მიხაილ ვორონცოვის* მეფისნაცვლობის პერიოდში, 1850 წელს, თბილისში საბუნებისმეტყველო სამეცნიერო ორგანიზაცია – *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება* ჩამოყალიბდა. ეს იყო ფილიალი რამდენიმე წლის წინ პეტერბურგში შექმნილი საიმპერატორო საზოგადოებისა, რომლის მიზანს იმპერიის მიწა-წყლისა და მცხოვრებთა ყოვლისმომცველი შესწავლა შეადგენდა. თავის მხრივ, კავკასიის განყოფილება მოწოდებული იყო ეწარმოებინა რეგიონის გეოგრაფიული, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სტატისტიკური კვლევა და შეესწავლა აქაური ფლორა და ფაუნა. მეფისნაცვლის ძალისხმევით, განყოფილებას წლიურად 2 ათასი მანეთის სუბსიდია გამოეყო.

განყოფილებამ დააფუძნა და თბილისში გამოსცემდა ორ ჟურნალს: *Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества* და *Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества*. ეს გამოცემები, ფაქტობრივად, კავკასიის შესახებ მრავალტომეული ენციკლოპედიები იყო.

1 რაფიელ ერისთავის ეს წერილი არ არის მითითებული ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკის შესაბამის კატალოგში, ხოლო თ. ჯაგოდნიშვილის წიგნში *რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება*, დამოწმებულია გაზეთის არაზუსტი ნომერი 278, ნაცვლად 273-ისა.

რაფიელ ერისთავი *გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* ნამდვილი წევრი გახდა და ჩაერთო მის საქმიანობაში. აქტიურად თანამშრომლობდა ხსენებულ ჟურნალებთანაც. მაგალითად, 1855 წელს გამოაქვეყნა სტატია *თუშ-ფშავ-ხევსურთა ოკრუგის შესახებ* (*Записки*..., 1855: 77-146).

რაფიელმა დიდი ძალისხმევა გასწია *კავკასიის მუზეუმის* (დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი) დასაარსებლად (ჟორდანია, გ. 1951), რომელიც 1852 წელს, თბილისში, *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან* დაფუძნდა. იგი თავიდან მუზეუმის მდივნად დაინიშნა, ხოლო 1855 წელს დირექტორიც შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ გეოგრაფიულმა საზოგადოებამ უპირატესობა ცნობილ ნუმიზმატს, *ივანე ბარტოლომეის* მიანიჭა (ჯაგოდნიშვილი, თ. 1979: 25).

რაფიელ ერისთავი მონაწილეა XIX საუკუნის უმნიშვნელოვანესი ეროვნული, საზოგადოებრივი ორგანიზაციის – *ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* პირველი სხდომისა, რომელიც 1879 წლის 15 მაისს გაიმართა. იგი ილია ჭავჭავაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან, ნიკო ცხვედაძესთან, ივანე მაჩაბელსა და ალექსანდრე სარაჯიშვილთან ერთად ამ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი იყო, გამგეობაშიც აირჩიეს და საზოგადოების ხაზინადრობაც მიანდეს (გოდერიძე, ლ. 1978: 18). არათუ დამფუძნებლობა, რიგითი წევრობაც კი ამ ახლად დაარსებული *ერთ-ერთი პირველი ქართული თავისუფალი ასოციაციისა*, როგორც მას მკვლევარი *ოლივერ რაისნერი* მიიჩნევს (რაისნერი, ო. 138), საამაყო იყო.

აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავმა თავისი ბიბლიოთეკა, რომელიც სხვადასხვა დასახელების, დაახლოებით ათას ნაბეჭდ ერთეულს შეიცავდა, 1891 წელს ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავს შესწირა. მათ შორის იყო ძველნაბეჭდი წიგნები და ძველი ხელნაწერებიც (1712 წელს გამოცემული *ვეფხისტყაოსანი*, 1817 წელს საჩხერეში დასტამბული *სახარება* და სხვა.). პოეტის ბიბლიოთეკის კახეთიდან თბილისში ჩამოტანას 38 მანეთი დასჭირვებია (ჩხიტუნიძე, თ. 1980: 28).

1897 წელს საზოგადოების გამგეობამ კერძო შემოწირულობათა გაერთიანებით *სამუზეუმო ფონდის* შექმნა გადაწყვიტა. რაფიელ ერისთავის შემოწირულობა ამ ფონდში არ გაუერთიანებიათ და ცალკე კოლექციად დატოვეს. დაიწყო თანხის შეგროვებაც მუზეუმისათვის შენობის ასაგებად. ეს ვერ განხორციელდა, მაგრამ პოეტის ბიბლიოთეკა არ გაფანტულა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმდიდრესი წიგნსაცავ-მუზეუმი დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში ცალკეა გამოყოფილი რაფიელ ერისთავის კოლექცია და მზადდება მისი ელექტრონული კატალოგი.

რაფიელ ერისთავი თანამშრომლობდა თბილისში გამომავალ რუსულ გაზეთ *კავკაზთან*, რომელშიც პერიოდულად ბეჭდავდა ეთნოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის წერილებს საქართველოს ცალკეული კუთხეების მცხოვრებთა შესახებ. ეს იმ დროს მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან *კავკაზი* რუსეთის იმპერიის დიდ ქალაქებშიც ვრცელდებოდა და რუს და რუსულენოვან საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლეოდა გაეცნო ქართველი ხალხის წარსული, მისი ყოფა, კულტურა და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რაფიელ ერისთავის წვლილი საქართველოს სიძველეების, მნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, ქართული ფოლკლორის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ საქმის ენთუზიასტებს შორის *პეტრე უმიკაშვილთან, თედო რაზიკაშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, ლადო აღნიაშვილთან* და სხვებთან ერთად რაფიელ ერისთავსაც ვხედავთ (გოდერიძე, ლ. 2005: 190).

რაფიელ ერისთავმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული ზეპირსიტყვიერების, გამოცანების, ანდაზების, ხალხური ლექსების შეგროვებისა და გამოცემის საქმეს. მან ჟურნალ *„კრებულში“* არაერთგზის გამოაქვეყნა მის მიერვე ჩაწერილი ხალხური პოეზიის ნიმუშები, მათ შორის, მესტვირული ლექსები, *მდაბიური ანდაზები* და სხვა. რაფიელ ერისთავის ნაკვესები იბეჭდებოდა ასევე გაზეთ *ივერიაში* (*ივერია*, 1895: 24 ოქტომბერი). ილია ჭავჭავაძემ და რაფიელ ერისთავმა შეკრიბეს და 1873 წელს გამოსცეს *გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები*, ხოლო 1879 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის მიერ ჩაწერილი *ქართული გამოცანები*.



რაფიელ ერისთავი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ერთ-ერთ დამაარსებლად მიიჩნევა. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია მას *საველე და სამუზეუმო ეთნოგრაფიული საქმიანობის ფუძემდებლად* და კავკასიური მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის *პირველ კურატორად* მოიხსენიებს. რაფიელ ერისთავმა პირველმა დააყენა მუზეუმში დაცული ეთნოგრაფიული მასალის კატალოგიზაციის საკითხი და შეიმუშავა მისი რეესტრების შედგენის ინსტრუქცია. მუზეუმის დირექციამ მოიწონა ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც დაიწყო კატალოგის შედგენა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში კატალოგი დაცულია სათაურით: *Общий каталог имуществ музея кавказского отдела императорского русского географического общества* (რაზმაძე, მ. 2006: 90-92).

რაფიელ ერისთავი სულხან-საბა ორბელიანის *ქართული ლექსიკონის* პირველი გამომცემელი და რედაქტორია. 1873 წელს მანვე გამოსცა *შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი*, ხოლო 1884 წელს – *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან*. მისსავე კალამს ეკუთვნის *ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის*. პოეტმა დაამუშავა მეცნიერების არაერთი დარგის (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია) ტერმინოლოგია, შეაგროვა ასევე მასალები ქართული დიალექტების ლექსიკონის შესადგენად და სხვა.

1859 წელს რაფიელ ერისთავმა ანაკლიაში, ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე, მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებიც ჩაატარა, რაც დასავლეთ საქართველოში ფაქტობრივად პირველი პრეცედენტი იყო (კიღურაძე, ნ. 1985: 3).

რაფიელ ერისთავის ინიციატივით, 1886 წელს, სოფელ ქისტაურში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების *ორწლიანი სასწავლებელი* გაიხსნა, რომელიც მალე პირველი საფეხურის *ოთხწლიან სკოლად* გადაკეთდა. ეს მეტად საგულისხმო ამბავია, რადგან მე-19 საუკუნის თუნდაც ბოლო პერიოდისათვის, ოთხწლიანი სკოლით საქართველოს ბარის ბევრი დაბა და სოფელი ვერ დაიკვეხნიდა.

რაფიელ ერისთავმა გადმოაკეთა და გალექსა *სულხან-საბა ორბელიანისა* და *ივან კრილოვის* იგავ-არაკები, რომლებიც ცალკე წიგნებადაც გამოსცა. პოეტმა, როგორც *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისიის წევრმა, დიდი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის ამ უკვდავი ქმნილების ახალი რედაქციის შემუშავებაში. პოემის ოცზე მეტი ხელნაწერისა და ნაბეჭდი გამოცემის ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე, კომისიამ მოამზადა *ვეფხისტყაოსნის* ახალი რედაქცია, რომელიც 1888 წელს *მიხაი ზიჩის* ილუსტრაციებით და *გიორგი ქართველიშვილის* დაფინანსებით გამოიცა.

1881 წელს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა თაოსნობით თბილისში საქართველოს თეატრალური საზოგადოება დაფუძნდა. მის თავკაცად ილია ჭავჭავაძე აირჩიეს. დამფუძნებელთა შორის იყო რაფიელ ერისთავიც, რომელსაც 1884-1886 წლებში საზოგადოების თავმჯდომარეობაც ჰქონდა მინდობილი. რაფიელი, ისე როგორც მისი თანამედროვე არაერთი ქართველი მწერალი, არც სცენაზე დგომას თაკილობდა, მსახიობობდა კიდეც და იყო თეატრალური კრიტიკოსიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი დრამატურგიული მოღვაწეობა, რასაც ცხადყოფს თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე შექმნილი მისი პიესები: *ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს, მბრუნავი სტოლები, იჭვიანი* და სხვა.

ცნობილია, რომ პირველი სახალხო უნივერსიტეტები საქართველოში ოფიციალურად 1907

წლიდან ჩამოყალიბდა. გაცილებით ადრე, ამ სიახლის ერთ-ერთი ინიციატორი რაფიელ ერისთავი იყო. 1882 წელს მან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს თხოვნით მიმართა და მიიღო გუბერნატორის ნებართვა, წაეკითხა საჯარო ლექციები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე, რომლის პროგრამაც დაცულია მწერლის არქივში (ხელნაწერთა ცენტრი, რ. ერისთავის ფონდი, საქმ. 128).

რაფიელ ერისთავის ბიოგრაფიის საინტერესო ფურცელია პოეტის საქმიანობა ცენზორის თანამდებობაზე.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდგომ (1881 წ.) მთელს რუსეთში საცენზურო საქმე განსაკუთრებით გამძაფრდა. საგანგებო ცირკულარების თანახმად, გამოქვეყნებულ ტექსტში არ დაიშვებოდა არათუ სახელმწიფოებრივად მიუღებელი რაიმე შეხედულება, არამედ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მთავრობასთან და კანონმდებლობასთან უმნიშვნელო შეხებაც კი. სასტიკად იკრძალებოდა რადიკალური თვალსაზრისის გამოხატვა, მოითხოვდნენ ყოველგვარი ლიბერალური იდეისა და ოპოზიციური აზრის ძირფესვიან ამოძირკვას (Рейфман, П. https://web.archive.org/web/20100920043011/http://reifman.ru/russ-tsenzura/glava-7/) (12. 10. 2024).

რუსეთის იმპერიის ცენზურას *თუჯის ხუფს,* ხოლო ცენზორებს *აზრის ჯალათებს* უწოდებდნენ, რომლებიც ცერბერივით იდგნენ სახელმწიფო იდეოლოგიის სადარაჯოზე. ცენზურა *ყოველდღე მაჯლაჯუნასავით გულზე გვაწვა და სულს გვიხუთავდა. ეს იყო ჩვენი სულთამხუთავი, ჩვენი „სული ბოროტი“,* – წერდა იაკობ მანსვეტაშვილი (მანსვეტაშვილი, ი. 1985: 83).

ცენზორებს არამხოლოდ ბეჭდური გამოცემების, გაზეთებისა და წიგნების კონტროლი, არამედ უცხოეთიდან შემოტანილი ლიტერატურის შემოწმებაც და საჭიროების შემთხვევაში, მისი გაყიდვიდან ამოღებაც ევალებოდათ (ქართული პრესისა და ბეჭდვითი მედიის ცენზურის ისტორია; https://idfi.ge/ge/georgian_press_and_print_media_history ) (15. 11. 2024).

რაფიელ ერისთავი კავკასიის საცენზურო კომიტეტში 1889 წლის მარტში დაინიშნა, უმცროსი ცენზორის თანამდებობა ეკავა (ხელფასი 2 ათასი მანეთი) და 4 პერიოდული გამოცემის გარდა, 180 ხელნაწერის შემოწმებაც უწევდა (Патрушева, Н. 2013: 222).

ცენზორის შერჩევა არ იყო ადვილი საქმე. კეთილსაიმედოობის, მმართველობისადმი ლოიალობისა და მთავრობის მხრიდან დიდი ნდობის პარალელურად, ცენზორობის კანდიდატს წიგნიერება და ფართო ერუდიციაც ესაჭიროებოდა. თბილისური სომხური გაზეთის *„მშაკ“-ის* გამომცემელ *გრიგორ არწრუნის* სიტყვებით, ცენზორი უნდა ჩასწვდენოდა მიღებული ინსტრუქციების ჭეშმარიტი არსს და მექანიკურად არ მიჰყოლოდა მის პუნქტებს, რაც მისგან განათლებულობის გარდა გამოცდილებასა და მიუკერძოებლობას მოითხოვდა (Даниелян, Т. 2023: 164).

რაფიელ ერისთავმა ახალ სამსახურში *ლუკა ისარლიშვილი* შეცვალა, რომელიც მანამდე რვა წლის განმავლობაში იკავებდა ცენზორის პოსტს და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს მკაცრად უკრძალავდა გაბატონებული სახელმწიფო იდეოლოგიის საწინააღმდეგო ნებისმიერი მასალის გამოქვეყნებას. ამ მხრივ პოეტი უფრო ლიბერალი იყო. იმ ხანად *წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის* თავმჯდომარე, ალექსანდრე ჯაბადარი, იგონებდა: *„...რაფიელ ერისთავი გულით და სულით მოწადინებული იყო, როგორც კარგი ქართველი და მსურველი სამშობლოს კულტურულად განვითარებისა, რამდენადაც შეეძლო, ხელი შეეწყო ყველა ისეთ დაწესებულებისათვის, რომელთაც საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა. ერთხელ შინაურულად მითხრა: მე არ ვიცი, ცენზორად როდემდე ვიქნები. თუ საეჭვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროდ წარმომიდგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარო* (ჯაბადარი, ალ. 1934: 273).

ცნობილია, რომ ცენზორმა, რაფიელ ერისთავმა, ნება დართო დაბეჭდილიყო ალექსანდრე ყაზბეგის აკრძალული წიგნების 4 ტომი, ვიზა მისცა მამია გურიელის ლექსების კრებულის



ბეჭდვას და სხვა.

1896 წლის მაისში, *ივერიის* თებერვლის ნომრებში (№№ 39-41) *თომაანთ კობას* ფსევდონიმით დაბეჭდილი ფელეტონი *სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ,* რომელშიც აღწერილი იყო თბილისის სასულიერო სემინარიაში მოწაფეებსა და ზედამხედველს შორის მომხდარი დაპირისპირება, მეფის მთავრობამ რუსი სასულიერო პირებისა და პედაგოგების წინააღმდეგ მოსწავლეთა წაქეზებად შეაფასა. ამ საბაბით და სახელმწიფო ინტერესების შეფასებისას ვიწროეროვნული პოზიციის გამო გაზეთის გამოცემა რამდენიმე თვით შეაჩერეს (*Кавказъ*, 1896: 18 მაისი). რადგან ქართველმა ცენზორმა, რაფიელ ერისთავმა, ხსენებული სტატიის გამოქვეყნება არ აკრძალა, იგი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს (სურგულაძე, ა. 1986: 168).

რაფიელ ერისთავს მისი თანამედროვენი ხშირად სახელისა და გვარის ნაცვლად *სამშობლო ხევსურისა-ს* ავტორად მოიხსენიებდნენ. ეს ლექსი, რომელსაც ვახტანგ კოტეტიშვილმა *ფიცმიცემული სიყვარული თავისი მიწისა* უწოდა (კოტეტიშვილი, ვ. 1965: 513), პოეტმა 1881 წელს დაწერა და პირველად ჟურნალ *ივერიის* 1881 წლის სექტემბრის გამოშვებაში (№ 9), 43-44 გვერდებზე დაიბეჭდა ხელმოწერით *თ. რაფ. ერისთავი.* ლექსი მალევე გაზეთმა *დროებამ* გადაბეჭდა, ხოლო მოგვიანებით სასკოლო სახელმძღვანელოშიც შეიტანეს. აქედან მოყოლებული *სამშობლო ხევსურისა-მ* სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქართული პატრიოტული ლირიკის იმ ქმნილებათა შორის, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც ეროვნული გრძნობის უკვდავი საგალობელი.[1]

იოსებ იმედაშვილის სიტყვებით: *„რაფიელ ერისთავმა სამშობლო სულის მეფედ აღიარა და მოზარდ თაობას მეთერთმეტე მცნებად შეუქმნა სამშობლო ხევსურისა, რომლითაც ჩაამღერა: სამშობლო, დედის ძუძუ არ გაიცვლება სხვაზედა, რადგან როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“* (იმედაშვილი, ი. 2021: 82).

მკვლევართა გააზრებით, რაფიელ ერისთავის ხევსურის *„...სალი კლდეები ქართველი კაცის სულიერი სიმყარის, უტეხობის გრძნობის გასაგნებული გამოხატულება,* ხოლო თავად ლექსი *მამა-პაპათა სამყოფელთან თანშეზრდის, მასთან სულითხორცეული ერთიანობის იდეის ყველაზე უტყუარი ხატია“* (ჯაგოდნიშვილი, თ. 1979: 87). *„სამშობლო ხევსურისას ... ლოკალური ჯებირები დაუმსხვრევია და ქართველისა და სამშობლოს ურთიერთობის ზოგად სინონიმად ქცეულა“* (თავბერიძე, ე. 2005: 305).

თავისი გულშიჩამწვდომი, პატრიოტული ლირიკით, რომლის მშვენებაცაა *„სამშობლო ხევსურისა“,* რაფიელ ერისთავმა უდიდესი ღვაწლი დასდო ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოებრიობამოშლილ და კოლონიურ უღელქვეშ მოქცეული ქართველი ერისათვის XIX საუკუნეში.

ხსენებული ლექსის მნიშვნელობას ჩინებულად გვიხატავს ეკატერინე გაბაშვილი, რომელმაც 1895 წელს *იავნანამ რა ჰქმნა-ს* ანალოგიით, დაწერა რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი ფანტაზია, სამშობლო ხევსურისამ რა ჰქმნა (https://wikisource.org/wiki/%) (21. 11. 2025).

ნაწარმოების გმირი ჩინებით და ორდენებით შემოსილი გენერალი ლევან მთიშვილი, მაღალი თანამდებობის მოხელე, რომელიც ხან რუსეთში მსახურობს და ხანაც საქართველოში, ერთხელ მთავრობამ ბათუმის ოლქში სარევიზიოდ მიავლინა. იქ მას თავისი ძველი ნაცნობი შეხვდა, რომელმაც ლევანი ბათუმის ახლად გახსნილ ქართულ სკოლაში მიიყვანა. მასწავლებლის დავალებით, პატარა აჭარელმა მოწაფემ სტუმარს *სამშობლო ხევსურისა* წაუკითხა. ლევანმა არ იცოდა რაფიელ ერისთავის *ეს ქართველისთვის გულზედ ამოსაკრელი სიტყვები* და როდესაც პირველად მოისმინა, ლექსი *თავისის სინდისის მხილებლად ეჩვენა ...მასში გა-*

1 აღსანიშნავია, რომ *სამშობლო ხევსურისა* პოეტის კიდევ რამდენიმე ლექსთან ერთად გერმანულად თარგმნა და ევროპელ მკითხველს გააცნო არტურ ლაისტმა.

*იღვიძა იმ საიდუმლოებამ, რომელიც ყოველი კაცის გულშია მიყუჟული და მხოლოდღა მშობლიურ დაფ-ნაღარას ელის გასაღვიძებლად* ... ნაწარმოების ფინალში ვხედავთ, როგორ დაუბრუნდა *ხელახლა გაქართველებული* ლევან მთიშვილი მთის კალთებზე შეფენილ თავის მამაპაპურ სამკვიდროს და სოფლის ცენტრში ეკლესიას, ხოლო მის სიახლოვეს მეორე ტაძარს – სკოლას ააგებს.

აკაკი წერეთელი თავის *ჩემ თავგადასავალში* შენიშნავდა: *უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ჟამი იცვალა.* მართლაც, დრო-ჟამის ცვლილება ნებისმიერ ტექსტს, მათ შორის მხატვრულსაც უკარგავს ან უძლიერებს აქტუალობას.

რა მდგომარეობაშია ამ მხრივ რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი მემკვიდრეობა? დიდი ხნის განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობაში პატრიოტიზმის შთამნერგავი მისი ლექსები და განსაკუთრებით, *სამშობლო ხევსურისა,* დღემდე სკოლებში ისწავლება, თუმცა ბოლო დროს მასაც გამოუჩნდნენ *კრიტიკოსები.* თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ზოგიერთი *„ექსპერტი“ სამშობლო ხევსურისას* ნაციონალისტურ ხასიათზე ალაპარაკდა და მასში იზოლაციონიზმისაკენ საშიში მოწოდების საფრთხე დაინახა.

ჩემი აზრით, რაფიელ ერისთავის ამ უბერებელ ლექსში აქცენტი იზოლაციონიზმსა და კარჩაკეტილობაზე კი არა, უფრო იმ საფიქრალსა და გამოწვევაზეა მიმართული, რომელიც თანამედროვეობასაც ეხმაურება და რომლის გამოც, ჯერ კიდევ ამ 50 წლის წინ, მურმან ლებანიძე წერდა: ...*მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი/სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს! .../ვაითუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,/ვაითუ ვინმე მოვიდეს* და *დაესახლოს!* (ლებანიძე, მ. 1972: 13).

რაფიელ ერისთავზე საუბრისას, აუცილებელია მოკლედ მის იუბილეზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ პირველი საიუბილეო საღამო საქართველოში 1895 წლის ოქტომბერში, პოეტ რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავად გაიმართა. მეტი სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ იუბილეში პირველობა გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის. მართალია, 1871 წლის 7 ივლისს, თბილისში, ორბელიანის *50 წლის ოფიცრობის იუბილეი* იდღესასწაულეს და *პოეტის აფიცრად მსახურებისა ორმოცდამეათე წელი აღნიშნეს: რაც, ქალაქში გენერლობა იყო თუ დიდ-კაცობა, მოვიდნენ ამ დღეს პოეტთან იუბილეის მისალოცავად. საღამოს საზაფხულო თეატრის ბაღში გამართული იყო დიდი სადილი იუბილიარის საპატიოდ* (მეუნარგია, ი. 1905: 52).

აქვე საჭიროა შენიშვნაც, რომ ეს იყო ადმინისტრაციის მიერ მოწყობილი და არა საზოგადოებრივი ღონისძიება, რომელიც თუ უწყებრივს არა, წოდებრივ ელფერს მაინც ატარებდა და ინფორმაცია მის შესახებ არც იუბილემდე და არც შემდეგ არ გამოქვეყნებულა.

საიუბილეო სახალხო დღესასწაული, რომელიც შორს გასცდა ერთი კონკრეტული მოღვაწის დაფასების ფარგლებს და მთელი ქართული ეროვნული კულტურის ზეიმის ხასიათი მიიღო, საქართველოში 1895 წლის ოქტომბერში ჩატარდა. იგი ხალხის საყვარელი მგოსნის, რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნა და ისტორიის წარუშლელ თარიღად იქცა. ილია ჭავჭავაძე წერდა უფრო ადრე: შილერის დღეობა გერმანიაში მთელი გერმანიის დღეობა იყოო (ჭავჭავაძე, ი. 1987: 303). გადაჭარბებული არ იქნება, თუ ამ სიტყვებს რაფიელ ერისთავის იუბილესთან დაკავშირებითაც გავიმეორებთ. მით უფრო, რომ ამ მოვლენის გამო გამოცემულ სპეციალურ კრებულს სრულიად სამართლიანად *საერო დღესასწაული* უწოდეს *(საერო დღესასწაული,* 1895).

ზაქარია ჭიჭინაძის მოწმობით, რაფიელ ერისთავის ღვაწლის საჯაროდ დაფასებამდე იყო მცდელობა, საიუბილეო საღამო მოეწყოთ გრიგოლ ორბელიანისათვის, მაგრამ, მას უარი განუცხადებია, საიუბილეო ხალხი სხვა გვყავს: რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილიო (ინტერვიუ ლ. მინაშვილთან. http://gza.ambebi.ge/qveyana/istoriis-labirinthebi/1229-grigol-orbeliani-qkharabuza-gheneraliq-thu-tceshmariti-patrioti-da-didi-pirovneba.html) (14. 10. 2024).



საკუთარ იუბილეზე უარი უთქვამს იაკობ გოგებაშვილსაც. როდესაც ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს დედა ენის ავტორისათვის იუბილეს გადახდის წინადადებით მიუმართავთ, იაკობს უპასუხნია: „...იმ ქვეყანაში, რომელშიც მთები და მწვერვალები უხვად არიან, ბორცვებს და გორაკებს იუბილეს არ უხდიანო“.

კავკასიის ადმინისტრაციამ ხელი შეუშალა და, ფაქტობრივად, არ დაუშვა ილია ჭავჭავაძის იუბილეს გამართვა, რომელიც, თურმე, დიდად არც ილიას ხიბლავდა. ექვთიმე თაყაიშვილის თანახმად, პოეტს უთქვამს: „...ეს იუბილე ერთგვარი ყეენობა არისო“ (თაყაიშვილი,ე. http://www.ai-ia.info/online-arqivi/145-eqvtime-takaishvili-ilia-chavchavadze-mogoneba.htm) (19. 11. 2024).

იმავე ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, რაფიელ ერისთავის *იუბილეში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართულმა დაწესებულებამ გამოაგზავნა დეპუტატები და საჩუქარიც ბევრი შეუგროვეს.* მილოცვების შემდეგ წარმოადგინეს იუბილარის პიესები *ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ* და *ბიძიასთან გამოხუმრება.* საღამო დაგვირგვინდა იქვე, თეატრის ფოიეში, გამართულით დიდი ნადიმით, რომელსაც 200-ზედ მეტი კაცი დაესწრო: ... *იყვნენ ყველა ჩვენი მაშინდელი მოღვაწენი, მწერლები და პოეტები, იუბილარის მრავალნი პატივისმცემელნი, ჩამოსული დეპუტატების ხვადასხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა, უცხო სტუმრები* (ლასხიშვილი, გ. 1934: 61).

იოსებ იმედაშვილი გვიმოწმებს: *რაფიელ ერისთავს სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქართველ მწერალთაგან პირველს გადაუხადეს 50 წლის იუბილე* (1895 წლის 22 ოქტომბერს), *რომლის მსგავსი მანამდე არ ნახულიყო და რომელმაც გამოიწვია ქართველთა ეროვნული ამოძრავება* (იმედაშვილი, ი. 2021: 81). აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო გორშიც გაიმართა.

რაფიელ ერისთავის იუბილე მისმა თანამედროვე საზოგადოებამ აღიქვა, როგორც *იმედდაკარგულთა გამამხნევებელი დღესასწაული და ლიტერატურის მცირე მუშაკთა გულის სალბუნება და ერის პირუთვნელი მსჯავრი* (ყიფშიძე, გრ. 1895: 98).

1930-იან წლებში დაწერილ მემუარებში გიორგი ლასხიშვილი ასე გაიხსენებს რაფიელ ერისთავის იუბილეს: *ოცდაათ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, მაგრამ ახლაც, როცა მაგონდება ის ბრწყინვალე დღესასწაული, გული სიამოვნებით მიტოკავს* (ლასხიშვილი, გ. 1934: 60).

ილია ჭავჭავაძე რაფიელ ერისთავის იუბილეს გამო შენიშნავდა: *ჩვენი სანუგეშო და თავმოსაწონებელი აქ ის არის, რომ თითონ ერმაც იცნო თავისი ერთგული შვილი და საქვეყნოდ დიდის ყოფით და ამბით მადლი გადაუხადა. ეს კი იმისი ნიშანია, რომ ერი ცოტად თუ ბევრად გონებაშია ჩავარდნილი და იმ გაგებამდე მიღწეული, რომ ამისთანა სარბიელზე დადებული ღვაწლი უფრო მის-მიერ საგრძნობელია, უფრო პატივსაცემელია, უფრო მადლობის გადასახდელია* (ივერია, 1896: 4 იანვარი).

ხსენებული სახალხო ზეიმით ქართველმა ერმა მხცოვან პოეტს საჯაროდ დაუდასტურა თავისი გულწრფელი სიყვარული და გამორჩეული პატივისცემა. რაფიელ ერისთავის დაბადებისა და გარდაცვალებიდან მრგვალ თარიღებს სხვადასხვა ფორმით ეხმაურებოდნენ საბჭოთა საქართველოშიც, პოეტის დაბადებიდან 150 წლისთავს კი, 1974 წელს, სამეცნიერო სესია და მასშტაბური იუბილეც მიეძღვნა. თბილისში, მრგვალ ბაღში, დაიდგა რაფიელ ერისთავის ბიუსტი (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი). იმედია, *სამშობლო ხევსურისა*-ს ავტორის 200 წლის იუბილეს თავისუფალი საქართველოც სათანადოდ აღნიშნავს.

## დასკვნა

რაფიელ ერისთავის ცხოვრება-მოღვაწეობისა და ნააზრევის წარმოჩენა მკაფიოდ ცხადყოფს, რომ იგი მონაწილე ან თვითმხილველია თავისი დროის მრავალი მოვლენისა, რომელთაც საზოგადოებრივი თუ ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. პოეტი ეპოქის ერთგვარი მემატიანეც

იყო, რაც მის ნაწერებს დოკუმენტურ ხასიათსა და პირველწყაროს მნიშვნელობასაც სძენს.

თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობითა და მრავალმხრივი მოღვაწეობით რაფიელ ერისთავმა მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე ახალი შტრიხებით შეავსო და მნიშვნელოვნად გაამდიდრა. პოეტის ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე მის სიცოცხლეშივე სათანადოდ დაფასდა, რასაც ის იუბილეც ცხადყოფს, რომელიც საერთო ეროვნულ ზეიმად იქცა.

## ბიბლიოგრაფია


აბზიანიძე, გ. კალანდაძე, ალ. ასათიანი, გ. (1974). *ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად.* ტ. 4. XIX საუკუნის მეორე ნახევარი, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

არაბული, ა. (2021). *რაფიელ ერისთავი,* წიგნში *სიტყვის სარკმელი.* თბილისი: *უნივერსალი.*

ბოროზდინი, ნ. (1927). *რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები),* თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი. ტფილისი: გამომც. *ერმოლაოზ წულაია.*

გაზ. *დროება,* 1872 წ., 19 მაისი.

გაზეთი დროება, 1878 წ., № ?. 26 აგვისტო.

გაზეთი დროება, 1878 წ., №? 23 ნოემბერი.

გაზეთი დროება, 1883 წ., №22 მარტი.

გაზეთი *ივერია,* 1895 წ., №24 ოქტომბერი.

გოგებაშვილი, ი. (1954). *რჩეული თხზულებები,* ტ. 3. თბილისი: პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნ.-საკვლ. ინსტიტუტი.

გოდერიძე, ლ. (1978). *მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1879-1900).* საისტორიო მოამბე.

გოდერიძე, ლ. (2005). *კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები).* თბილისი: *მერიდიანი.*

გრიგოლ ორბელიანი – ‚ხარაბუზა ღენერალი თუ ჭეშმარიტი პატრიოტი და დიდი პიროვნება, ინტერვიუ ლ. მინაშვილთან, http://gza.ambebi.ge/qveyana/istoriis-labirinthebi/1229-grigol-orbeliani-qkharabuza-gheneraliq-thu-tceshmariti-patrioti-da-didi-pirovneba.html

ვაშაყმაძე, შ. (1974). *რაფიელ ერისთავი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

თავბერიძე, ე. (2005). *სანიტარული დღე.* ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი.

თაყაიშვილი, ე. *ილია ჭავჭავაძე.* მოგონება. http://www.ai-ia.info/online-arqivi/145-eqvtime-takaishvili-ilia-chavchavadze-mogoneba.htm

იმედაშვილი, ი. (2021). *ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. 1801-1952. ე-ლ. ტ. II.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

კიღურაძე, ნ. (1985). რაფიელ ერისთავი და საქართველოს არქეოლოგია. გაზეთი *თბილისი.* №42.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქმ. № 128.

კოტეტიშვილი, ვ. (1965). *რჩეული ნაწერები.* წ. 1. ქართული ლიტერატურის ისტორია XIX ს. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ლასხიშვილი, გ. (1934). *მემუარები.* ტფილისი: *პოლიტკატორღელთა საზოგადოების გამომცემლობა.*

ლებანიძე, მ. (1972). მეშინია. *ჟურნალი მნათობი.* №3.

მანსვეტაშვილი, ი. (1985). *მოგონებები.* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

მანწკავა, ი. (1936). *ქართული აზროვნების განვითარება მე 19 საუკუნეში,* პარიზი.

მეუნარგია, ი. (1905). *ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა.* ტფილისი: *წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა.*

ჟორდანია, გ. (1951). *კავკასიური მუზეუმის დაარსება.* თბილისი: *საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.*

რაზმაძე, მ. (2006). რაფიელ ერისთავი და საქართველოს ისტორიული სიძველენი. *ამირანი.* XIV-XV. თბილისი.

რაისნერი, ო. (2024). *ქართველი ერის სკოლა. საქართველოს ეროვნული მოძრაობის სოციალურ-ისტორიული გამოკვლევა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მაგალითზე* (ხელნაწერი).

*საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო (1895 წ. 22 ღვინობისთვეს).* (1895). თბილისი: ექვთიმე ივანეს ძე ხელაძის სტამბა.

სურგულაძე, ა. (1986). *ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში, 1900-1921.* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

*ქართული გამოცანები.* (1879). შეკრებილი თ. რაფ. ერისთავის მიერ, თფილისი: სტეფანე მელიქიშვილის სტამბა.

*ქართული პრესისა და ბეჭდვითი მედიის ცენზურის ისტორია.* https://idfi.ge/ge/georgian_press_and_print_media_history

ყიფიანი, დ. (1930). *მემუარები* სიმონ ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით. თბილისი: პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა.

ყიფშიძე, გრ. (1895). თ-დი რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა, *ჟურნ. მოამბე,* №X.

ჭავჭავაძე, ი. (1896). შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. *გაზეთი ივერია,* 4 იანვარი.

ჭავჭავაძე, ი. (1987). *რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად.* ტ. V. თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

ჩხიტუნიძე, თ. (1980). *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა.* თბილისი.

ჯაბადარი, ალ. (1934). მოგონებანი. ჟურნ. *მნათობი.* №№ 1-2.

ჯაგოდნიშვილი, თ. (1979). *რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება,* თბილისი: *მეცნიერება.*

Газета *Кавказъ,* 1854 г., 1 декабря.

Газета *Кавказъ,* 1896 г., 18 мая.

Даниелян, Т. (2023). Деятельность цензора С. Мелик-Меграбова в Кавказском цензурном комитете (1872-1890 гг.), *Вестник Моск. ун-та. Серия 10. Журналистика.* № 1.

Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества. (1855). Кн. 3.

Тифлис. Русское географическое общество.

Патрушева, Н. (2013). *Цензурное ведомство в государственной системе Российской империи во второй половине XIX – начале XX века*. СПб.

Рейфман, П. Из истории русской, советской и постсоветской цензуры.

https://web.archive.org/web/20100920043011/http://reifman.ru/russ-tsenzura/glava-7/

https://www.nplg.gov.ge/opentext/index.php?m=28&y=2002&art=10643

https://wikisource.org/wiki/

http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=13433

http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/001238/1896/

*ოთარ ჯანელიძე*
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Otar Janelidze*
PhD in History, Professor,
Gori State University
ORCID-ID: 0000-0003-0132-4341



# რაფიელ ერისთავი და ქართველი ერი

## აბსტრაქტი

რაფიელ ერისთავი ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია როგორც საბავშვო პოეტი და დრამატურგი. ცოტამ თუ იცის, რომ იგი მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ამ ასწლეულის ბოლომდე ქართული კულტურის დიდი მოღვაწე და საზოგადოებრივი აზრის, გარკვეულწილად, გეზის განმსაზღვრელი იყო.

აღნიშნულ პერიოდში ქართულ სინამდვილეში არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადო, ეროვნული წამოწყება და პროექტი არ განხორციელებულა მისი თავკაცობის თუ აქტიური მონაწილეობის გარეშე; იქნებოდა ეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, ქართული თეატრალური საზოგადოების დაფუძნება, საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება, *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნა და პოემის უნიკალური გამოცემა, ქართული მუზეუმის დაარსება და სხვა.

რაფიელ ერისთავი იყო დიდი სახელმწიფო მოხელე – თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოს საგანგებო საქმეთა ჩინოვნიკი და თარჯიმანი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე, გუბერნიის პროკურორი, სამეგრელოს საქმეთა მმართველი და ზუგდიდის მაზრის უფროსი. თუმცა ყველგან და ყოველთვის უპირველესად იყო დიდი პატრიოტი. სახელმწიფო სამსახურის პარალელურად იგი ნაყოფიერად იღვწოდა მწერლობაში: აქვეყნებდა ლექსებს, წერდა მოთხრობებს, დრამატულ თხზულებებს; თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში, აქვეყნებდა მძაფრ პუბლიცისტურ წერილებსა და სტატიებს, ფხიზლად იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე; ეწეოდა გასაოცრად მრავალმხრივ მუშაობას მეცნიერების სფეროში. იგი იყო ევროპული ორიენტალისტიკის მეცნიერულ ინტერესთა მიმდევარი – ლექსიკოლოგი და ლექსიკოგრაფი, გამოსცა უმნიშვნელოვანესი ორ და სამენოვანი ლექსიკონები, სათავე დაუდო ჩვენში დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების, ასევე დიალექტოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონების შედგენის ტრადიციას.

რაფიელ ერისთავი ასევე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართული ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის სფეროებში. უშუალო დაკვირვებისა და აღწერის მეთოდებით მან შეისწავლა თუშ-ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის, იმერეთის, სამეგრელოს, სამურზაყანოსა და სვანეთის ტრადიციული ყოფა, ჩაიწერა, შეკრიბა ზეპირსიტყვიერი ტექსტები და წერილების, სამეცნიერო გამოკვლევების ფორმატში გამოაქვეყნა პრესაში, სამეცნიერო საზოგადოებების კრებულებში და ცალკე წიგნებად. მის მიერ მოძიებულ და გამოვლენილ მასალას დღემდე არ დაუკარგავს არც ისტორიული და არც მეცნიერული ღირებულება, როგორც ეჭვშეუტანელ ფაქტებს და წყაროებს თანამედროვე მეცნიერული კვლევებისათვის.

აღნიშნულ, გასაოცრად მრავალმხრივ, მუშაობასთან ერთად, იგი იყო ქართველი საზოგადოებისათვის სასურველი და თავმოსაწონი ადამიანი, თავყრილობების თავკაცი და დამამშვენებელი.

ქართველი საზოგადოება რაფიელ ერისთავის დაუღალავ მოღვაწეობას შესაბამისად აფასებდა, რაც, უპირველესად, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის მუდმივი საჯარო ყურადღებისა და სიყვარულის გამოხატვაში ვლინდებოდა.

მე-19 საუკუნის არც ერთ ქართველ მოღვაწეს არ რგებია ისეთი საყოველთაო სიყვარული და დაფასება, როგორც რაფიელ ერისთავს. ეს განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა 1895 წლის 22 ოქტომბერს, როდესაც მას დაბადების 70 და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავი გადაუხადეს, რაშიც მთელმა ქართველმა ერმა მიიღო მონაწილეობა და იუბილეს საერო დღესასწაული უწოდეს. ეს იუბილე ქართველი ერის კულტურის და ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების ფაქტად იქცა და ჩვენში იუბილეების ჩატარების ტრადიციას დაუდო სათავე.

ნაშრომში გაანალიზებულია რაფიელ ერისთავის მრავალმხრივი მოღვაწეობის ფაქტები და წარმოჩენილია მისი მემკვიდრეობის ეროვნული მნიშვნელობა.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; საზოგადო მოღვაწეობა; მეცნიერება; მრავალმხრივი; იუბილე.

## RAPHIEL ERISTAVI AND THE GEORGIAN NATION

## ABSTRACT

Raphiel Eristavi is known in the history of Georgian literature as a children's poet and playwright. However, few people are aware that from the 1870s until the end of the 19th century, he was a major figure in Georgian public thought and culture, and to some extent, a key figure in shaping its direction.

During this period, not a single significant public or national initiative was carried out in Georgian society without his leadership or active involvement. Whether it was the founding of the Society for the Spreading of Literacy Among Georgians, the establishment of the Georgian Theatrical Society, the creation of a public library, the formation of a commission to research and finalize the text of *The Knight in the Panther's Skin*, the founding of the Georgian National Museum, or other major projects.

Raphiel Eristavi was a distinguished public servant – he served as Special Affairs Officer and Interpreter at the District Administration of Tusheti, Pshavi, and Khevsureti; Special Affairs Officer to the Governor-General of Kutaisi; Provincial Prosecutor; Administrator of Samegrelo Affairs; and Head of the Zugdidi District. Yet in every role, and above all else, he remained a devoted patriot. Alongside his public service, he worked prolifically in literature – publishing poems, writing short stories, and dramatic works. He collaborated with both Georgian and Russian press, publishing sharp journalistic articles and essays, always vigilantly guarding national interests. He engaged in a remarkably diverse body of work in the field of science. He was a follower of the scientific interests of European Orientalism – a lexicologist and lexicographer. He published two major bilingual and trilingual dictionaries and laid the foundation for the tradition of compiling specialized terminological dictionaries, as well as dialectological and explanatory dictionaries in Georgia.

Raphiel Eristavi also made significant contributions to the fields of Georgian ethnography and folklore studies. Using direct observation and descriptive methods, he studied the traditional life of Tush-Pshav-Khevsureti, Imereti, Samegrelo, Samurzakano, and Svaneti. He recorded and collected oral texts, publishing them in the press, in scientific journals, and as separate books in the format of scholarly studies and research. The materials he collected and uncovered have not lost their historical or scientific value to this day, serving as irrefutable facts and sources for contemporary scientific research.

In addition to his remarkably multifaceted work, he was a highly respected and admired figure in Georgian society, a leader and enhancer of gatherings.

Georgian society highly valued Raphiel Eristavi's tireless work, which was primarily reflected in the constant public attention and affection towards his life and achievements.

No other Georgian public figure in the 19th century received such universal love and respect as Raphiel Eristavi. This was particularly evident on October 22, 1895, when his 70th birthday and 50 years of public service were celebrated. The entire Georgian nation took part in the event, which was regarded as a secular holiday. This jubilee became a landmark event in the awakening of Georgian culture and national consciousness, and it laid the foundation for the tradition of celebrating jubilees in Georgia.

The work analyzes the various aspects of Raphiel Eristavi's activities and highlights their national significance.

**Keywords:** Raphiel Eristavi; Public activity; Science; Multifaceted; Anniversary.

## შესავალი

2024 წელს შესრულდა 200 წელი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, მეცნიერისა და დიდი საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის დაბადებიდან.

თანამედროვე ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში შეუმჩნეველი დარჩა ეს მართლაც მნიშვნელოვანი თარიღი მაშინ, როდესაც მე-19 საუკუნის მიწურულს რაფიელ ერისთავის იუბილე – დაბადების 70 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი – მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნა და საერო დღესასწაულს გაუტოლდა.

რაფიელ ერისთავი მისი თანამედროვეებისათვის იყო უაღრესად პოპულარული პოეტი – პატრიოტიზმის ხელშესახები ხატის მიმგნები სამშობლოს თოვლიან-ყინულებიანი მთების სახით, იყო მრავალმხრივი მოღვაწე, ხალხის მოსარჩლე და გულშემატკივარი, 70-80-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის დასაყრდენი და „თერგდალეულთა“ დიდი ავტორიტეტი, ყველა საეროვნო საქმის წამომწყები და უღლის გამწევი.

დაუჯერებლად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო მისი მოღვაწეობა. მან ნათელი კვალი დატოვა არა მხოლოდ ქართულ მწერლობაში – პოეზიასა თუ დრამატურგიაში, არამედ პუბლიცისტიკაში, ქართული თეატრის ცხოვრებაში (როგორც რეჟისორმა, მსახიობმა, დრამატურგმა), მეცნიერებაში – ეთნოგრაფიასა და ფოლკლორისტიკაში, ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში, საჯარო სამსახურში (როგორც სამეგრელოს საქმეების მმართველმა და ზუგდიდის მაზრის უფროსმა).

ძნელი წარმოსადგენია, რომ საუკუნეზე ცოტა მეტი გავიდა და რაფიელ ერისთავის სახელი მხოლოდ ქართული კულტურის მატიანეს შემორჩა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი რაფიელ ერისთავის დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობის ფაქტებისა და მოვლენების ქართველი საზოგადოებისათვის შეხსენება-გაცნობა და მისი 200 წლის იუბილეს ეროვნული მნიშვნელობის კონცეპტუალური წარმოჩენაა.

სამუშაო **ჰიპოთეზის არსი** მდგომარეობს იმის ჩვენებაში, რომ, რაფიელ ერისთავი, მოქალაქეობრივი ცნობიერებითა და მოღვაწეობის შინაარსით, ერთგვარი წინამორბედია მე-19 საუკუნის II ნახევრის ეროვნული მოღვაწეების იმ დიდი გუნდისა, რომლებიც საქართველოს ისტორიაში „თერგდალეულთა“ სახელით არიან ცნობილნი. რაფიელ ერისთავი იყო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უპირველესი და ავტორიტეტული მოღვაწე. ეს განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დუშეთიდან დაბრუნებულ ილიას მხარში ამოუდგა, მასთან ერთად გამოსცა ქართული ზეპირსიტყვიერების კრებულები და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ილიას ყველა წამოწყებაში.

## კვლევის მეთოდები

ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის ფაქტებისა და მოვლენების გამოვლენა, კონცეპტუალური დალაგება და მისი ღვაწლის დიდი შინაარსის წარმოჩენაა, **კვლევის დაკვირვების, ანალიზისა და სინთეზის** მეთოდებით, წყაროებსა და იმ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით, ვინც, ასე თუ ისე, შეხებია რაფიელ ერისთავის ცხოვრება-მოღვაწეობის საკითხებს. ამ თვალსაზრისით, გათვალისწინებულია *შ. ვაშაყმაძის, ე. არჯევანიძის, თ. ჯაგოდნიშვილის* მეცნიერული კვლევები, რაფიელ ერისთავის მდიდარი არქივის, მე-19 საუკუნის II ნახევრის ქართული და რუსულენოვანი პრესის მასალები. ამ მასალების ანალიზით, მიღებული შედეგების **სინთეზის მეთოდით,** შეჯერებით გამოვლინდება რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის კულტურული, საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობს რაფ. ერისთავის ნაღვაწის ადგილის განსაზღვრას ქართული კულტურის ისტორიაში. ნაშრომის მომზადებისას, ასევე გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდები.



## მსჯელობა

1895 წლის ოქტომბერში ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი, რეზონანსული მოვლენა გახდა რაფიელ ერისთავის იუბილე.

ქართული პრესა მთელი წლის მანძილზე აქვეყნებდა მასალებს (წერილებს, ცნობებს...) იუბილეს მზადების შესახებ. გამორჩეულად აქტიურობდა აკაკი.

1895 წელს, გაზეთ „კვალში“ მან გამოაქვეყნა წერილი (წერეთელი, 1895:3), სადაც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველად შემოიტანა ცნება *იუბილე* და ქართველობას განუმარტა მისი შინაარსი, იუბილეს ჩატარება ერის სულიერ-ინტელექტუალური სიმწიფისა და მაღალი კულტურის გამოვლენად გამოაცხადა, იუბილეს ჩატარების ღირსად კი „საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე,“ რაფიელ ერისთავი დაასახელა. ეს პირველი ასეთი მოვლენა იყო ქართული საზოგადოების ისტორიაში.

ქართველობამ გასაოცარი გულისხმიერება გამოიჩინა და უჩვეულო მასშტაბები შესძინა რაფიელ ერისთავის დაბადების 70 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილეს:

შეიქმნა იუბილეს მოსამზადებელი კომიტეტი *მარიამ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა* და *აკაკი წერეთლის* შემადგენლობით, ასევე – აღმასრულებელი კომიტეტი. ამ კომიტეტის წევრებად აირჩიეს: *გ. წერეთელი, ლ. მესხიშვილი, ნ. ცხვედაძე, ვ. გუნია, კ. მესხი.*

იუბილე 1895 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა და ჭეშმარიტ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

დილიდან ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიას უამრავი ხალხი მიაწყდა. ათ საათზე თეთრცხენებშებმული ეტლით რაფიელ ერისთავი მოვიდა. ეტლში მის პირისპირ ილია და აკაკი ისხდნენ. იქ იყვნენ ქართველი საზოგადოებისა და ხელისუფლების თვალსაჩინო წარმომადგენლები:

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი, *კონსტანტინე მუხრან-ბატონი,* კავკასიის კორპუსის სარდალი, *ივანე ამილახვარი,* თბილისის ქალაქის თავი, *არღუთინსკი,* ქართული, სომხური, რუსული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, დეპუტაციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

ეკლესიაში თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის გუნდის მიერ შესრულდა *მრავალჟამიერი,* ეპისკოპოსმა *ალექსანდრემ* და არქიმანდრიტმა *ლეონიდემ* გადაიხადეს პარაკლისი და სამღვდელოების სახელით პირველებმა მიულოცეს იუბილე.

ამის შემდეგ საიუბილეო პროცესია ქართული თეატრისკენ გაემართა. ქუჩაში ხალხი ქუდმოხდილი ესალმებოდა, ფშავ-ხევსურთა გუნდი სიმღერით მიაცილებდა, ხოლო ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლასთან ხალხი *ვაშას* ძახილით და ქართული მარშით შეეგება პროცესიას.

თეატრის დარბაზი ყვავილებით იყო მორთული. სცენის მარჯვენა მხარეს იუბილარის სავარძელი იდგა, მარცხნივ კი ულამაზესი ქართველი მანდილოსნები და საქართველოს რეგიონები იყო წარმოდგენილი.

სავარძელში დაბრძანებულ პოეტს მარჯვნივ და მარცხნივ ილია და აკაკი ესხდნენ. რაფიელს მისალოცი სიტყვებით მიმართეს საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, ქართველმა მოღვაწეებმა, მწერლებმა, პოეტებმა, პუბლიცისტებმა... წაიკითხეს საიუბილეო კომისიის სახელზე პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის ქართველი სტუდენტების მილოცვები, საინგილოს, განჯის, ყარსის, პოლტავის, ირკუტსკის, დორპატოს, ხარკოვის, ტომსკის, იალტის, დაღესტნის ქართველთა დეპეშები.

პოეტს გვირგვინები მიართვეს თბილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, რუსული ოპერის დასმა, ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ, სომხურმა დრამატულმა დასმა, ქართველმა პოეტებმა წაიკითხეს რაფიელისადმი მიძღვნილი ლექსები. საკუთარი ლექსით მიმართა სემინარიის მოსწავლემ *სოსო ჯუღაშვილმა.*

საიუბილეო თავყრილობა განსაკუთრებით დაამშვენეს აჭარა-ქობულეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ სამოსში და ჯაჭვ-ჯავშანში ჩასმულმა დეპუტაციებმა. საიუბილეო ზეიმი მთელ დღეს გაგრძელდა. საღამოს სხდომაზე ქართულმა თეატრალურმა დასმა წარმოადგინა რაფიელ ერისთავის პიესების – *„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს”* და *„ბიძიასთან გამოხუმრება”* დადგმები. შემდეგ ქარვასლის *საზამთრო ბაღში* გაიმართა ნადიმი, რომელსაც სამასზე მეტი ადამიანი დაესწრო.

ამას გარდა, საიუბილეო ღონისძიება გაიმართა ქართულ საკვირაო სკოლაში, ავჭალაში, სადაც ხალხისათვის გათამაშდა რაფ. ერისთავის პიესა *„ადვოკატები”*.

22 ოქტომბერი მთელს საქართველოში უქმე დღედ გამოცხადდა. იუბილეს ამბები ვრცლად გააშუქეს ჟურნალ-გაზეთებმა. ოთხი წლის შემდეგ. 1899 წელს, თავი მოუყარეს საიუბილეო მასალებს, წიგნად შეკრეს და *ექვთიმე ხელაძემ* გამოსცა სახელწოდებით – ***საერო დღესასწაული თ. რაფ. დავითის ძე ერისთავის იუბილეს გამო.*** ასე აღინიშნა ჩვენში საზოგადო მოღვაწისათვის გადახდილი პირველი იუბილე და ასე დაედო სათავე ჩვენში იუბილეების ისტორიას.

მსგავსი პატივი XIX საუკუნის არცერთ მოღვაწეს არ ღირსებია.

რატომ მიაგო ქართველმა ხალხმა ამგვარი პატივი რაფიელ ერისთავს? რით დაიმსახურა საერო სიყვარული?

რაფ. ერისთავი ჭეშმარიტად სახალხო მგოსანი და მოღვაწე, ქართველი ინტელიგენციის დიდი იმედი და თავისი მშობელი ხალხის ჭირისუფალი იყო. მან, შთამომავლობით დიდი ფეოდალების მემკვიდრემ, ერთ-ერთმა პირველმა გაარღვია ქართული არისტოკრატიის საუკუნოვანი გვარტომობრივი ჯებირები – ჩასწვდა ქართული ხალხური ყოფის ყოველდღიურობას, ქართველი კაცის სულს, მის ჭირ-ვარამს და ვითარცა ნამდვილმა არისტოკრატმა, სამშობლოს და ხალხს მიუძღვნა საკუთრი სიცოცხლე. მან შეგნებულად უკუაგდო სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვის სენტიმენტალური სალონური მოთქმა, ცრემლის ღვრა და რომანტიკული სევდა, მზერა თავისი თანადროული ქართული ყოფის რეალიებს, ქართველი ხალხის ლტოლვა-მისწრაფებებს მიაპყრო და მათი ჭირისუფალი გახდა.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის დიდი შინაარსი განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახდა მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან. ამ დროიდან მოყოლებული, რაფიელ ერისთავის ბადალი ავტორიტეტი ქართველ საზოგადოებას არ ჰყოლია. მან მთლიანად გაიზიარა ქართველი საზოგადო მოღვაწის ხვედრი – სახელისა და დიდების სანაცვლოდ მატერიალური, ეკონომიკური სიდუხჭირე და გაწბილება.

რაფიელ ერისთავის ცხოვრების გზა და მოღვაწეობის შინაარსი დიდწილად განსაზღვრა ცნობილ ფრანგ ორიენტალისტ *მარი ფელისიტე ბროსესთან* შეხვედრამ, მასთან საქმიანმა ურთიერთობამ და მისი მეცნიერული ინტერესების, მიზნებისა და კონცეფციის გაცნობიერებამ.

რაფიელ ერისთავმა მარი ბროსე 1847 წელს, სოფელ მატანში გაიცნო და ოჯახში – სოფელ ქისტაურში მიიწვია. მოგვიანებით, თავის წიგნში, „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847-1848 წლებში” (1850 წ.), მ. ბროსემ ასე გადმოსცა თავისი შთაბეჭდილება: *რაფიელ ერისთავმა, თავად დავითის შვილმა, საფუძვლიანად განათლება მიიღო თბილისის გიმნაზიაში და თავი გამოიჩინა გაზეთ კავკაზში მოთავსებული თავისი კარგი სტატიებით.* რაფიელ ერისთავი მარი ბროსეს კორესპონდენტი იყო. 1848 წელს თავი მიანება სახელმწიფო სამსახურს, რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად ემზადებოდა, მაგრამ უსახსრობამააღებინა ხელი და თიანეთში დაბრუნდა (1849 წ. 29 ივნისს). აქ 1855 წლამდე დაჰყო. აქვეყნებდა წერილებს *კავკაზში*. გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი *თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ.*

რაფიელ ერისთავმა დიდი წვლილი შეიტანა იმ დროის დიდ ეროვნულ პროექტში – ქართული მუზეუმის დაფუძნებაში. მუზეუმი 1852 წელს დაარსდა. რაფიელმა 1855 წელს მუზეუმს შესწირა საკუთარი საგვარეულო ნივთები, ექსპონატები, შეადგინა კატალოგი და მუზეუმი 1855 წლის



გამოფენისათვის მოამზადა. 1855 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით იყო მუზეუმის მდივანი.

მუზეუმის დირექტორად რაფიელ ერისთავი და ცნობილი ნუმიზმატი, *ივანე ბარტოლომეი* წარადგინეს. კენჭისყრაში ორივე კანდიდატმა თანაბარი ხმები მიიღო. არჩევანი ი. ბარტოლომეიზე შეაჩერეს იმ მოტივით, რომ ამ დროს (1855 წელს) რაფიელი უკვე ქუთაისში იყო გუბერნატორ *კოლუბიაკინის* კანცელარიაში თარჯიმნად და საგანგებო საქმეთა მოხელედ. ამ თანამდებობაზე იგი *ივანე მუხრან-ბატონმა* წარადგინა.

1856 წელს ზემო იმერეთში იმოგზაურა. საჩხერეში, ალექსანდრე წერეთლის სახლში, მიაკვლია *ა. გრიბოედოვის* კომედია *ვაი ჭკუისაგან* დედანს.

რაფიელ ერისთავი სწავლობდა ქართულ ყოფით კულტურას, კრებდა მასალებს და აქვეყნებდა პრესაში.

1857 წლის 17 მარტს ქუთაისის გუბერნატორმა ზუგდიდს მიავლინა *უტუ მიქავას* და *მართალი თოდუას* აჯანყების საქმის გამოსაძიებლად. გადმოცემის მიხედვით, რაფიელმა უტუ მიქავას დაუწერა სიტყვა, რომელიც კოლუბიაკინს წარუდგინეს.

1857 წლის 9 სექტემბერიდან ერისთავი დაინიშნა სამეგრელოს სამთავროს დროებითი მმართველობის თავკაცად. 1857 წლის 14 სექტემბრიდან იყო ზუგდიდის მაზრის უფროსი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქ. ზუგდიდს: შეაკეთა დადიანების სასახლე, გააშენა წყალსადენი, ჭადრების საუცხოო ხეივანი.

1861 წელს დაინიშნა სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველად – დააწინაურეს ჩინით – *კოლეჟსკი ასესორობა* უბოძეს. ამავე წლებში იგი დანიშნეს სამეგრელოს ყმა-გლეხთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი კომიტეტის წევრად, სამეგრელოს, სვანეთისა და სამურზაყანოს მაღალი წოდების პირთა უფლებების განმსაზღვრელი კომისიის წევრად, ქუთაისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად, მიანდეს სამეგრელოს საქმეების წარმოება. სამეგრელოში სახელმწიფო რეფორმების წარმატებით გატარებისათვის 1867 წელს დაჯილდოვეს *წმინდა ანას* ორდენით.

ერისთავმა ზუგდიდში 10 წელი იმსახურა. 1866 წელს კი გამოაქვეყნა გამოკვლევა *ბატონყმობა სამეგრელოში.*

რაფიელ ერისთავმა დიდი მუშაობა ჩაატარა მეგრულ-სვანური შედარებითი ლექსიკონის შესაქმნელად. მის არქივში ამის შესახებ უაღრესად საინტერესო მასალაა დაცული. ამავე დროს აგრძელებდა ლიტერატურულ საქმიანობას – გამოაქვეყნა მოთხრობები: *ნინო, ლიტერატურული საღამო,* აგრეთვე ლექსები.

1867 წელს, ზაფხულში, რაფიელი უკან, ქუთაისში გაიწვიეს. ამის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ 1861 წელს, *ცისკარში, ივანე მიქაბერიძის* ფსევდონიმით, გამოაქვეყნა ლექსი *მთხოვნელი მსაჯულისადმი* – ბატონყმობის მკაცრი კრიტიკა (მიქაბერიძე, 1861:137). აკაკიმ ამ ფაქტს საჯაროდ გაუსვა ხაზი გაზეთ *ივერიაში* (წერეთელი, 1901:1).

რაფიელი პარალელურად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებთან, სამეცნიერო საზოგადოებების კრებულებსა და ალმანახებში ბეჭდავდა წერილებს, სტატიებს, ნაშრომებს. მათ შორის, აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ *ცისკართან, საქართველოს მოამბესთან, კავკაზთან* და ა. შ.

ზუგდიდში მოღვაწეობის პერიოდში დაინტერესდა ქართული თეატრის პრობლემებით. სწორედ 70-იან წლებში შექმნა პიესები: *ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს, მბრუნავი სტოლები, იჭვიანი, დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია.* ეს პიესები ხსნად მოევლინა ქართულ თეატრს.

1867 წელს, ქუთაისში, ერისთავმა ჩამოაყალიბა სცენისმოყვარეთა დასი, რომლის ხელმძღვანელიც იყო და მსახიობიც. 1867 წლის 12 დეკემბერს ბარბარე ჯორჯაძის პიესაში *რას ვეძებდი და რა ვიპოვე* ითამაშა სირაჯ ავეტიკას როლი. დასადგმელად მოამზადა მოლიერის კომედია, *ძა-*

*ლად ექიმი*. აკაკი იყო ამ დასის აქტიური მონაწილე. 1912 წელს იგი იხსენებდა: დასის მუდმივი წევრები იყვნენ *ეფროსინე კლდიაშვილისა, ყიფიანის ქალი, აკაკი, ჭეიშვილი*. რეპეტიციები ხან რაფიელის სახლში იმართებოდა, ხან ეფროსინე კლდიაშვილისას. რაფიელი სცენაზედაც თამაშობდა და სუფლიორობდა კიდევაც.

დაქორწინდა გურულ ქალზე – ფეოდოსია ერისთავზე (მიხაი ზიჩმა ულამაზეს ქართველ ქალებს შორის აარჩია – *ვეფხისტყაოსნის* დასურათებისას – ნესტანის და მიხეილ ლერმონტოვის *დემონის* **თამარის** პორტრეტად).

ქუთაისში დაბრუნებულ რაფიელს სამეგრელოს დაუმთავრებელი საქმეების მოგვარება დაევალა, 1868 წელს ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლედ დანიშნეს. ეს დაქვეითება იყო, რადგან მანამდე ქუთაისის გუბერნიის პროკურორის და ზუგდიდის მაზრის უფროსის უფრო მაღალი თანამდებობები ეკავა..

1870 წელს რაჭაში გადაიყვანეს მომრიგებელ მოსამართლედ, მაგრამ ერისთავმა უარი თქვა, 1870 წლის 28 ივნისს გადადგა, ადვოკატობა სცადა, *დროებაში* განცხადებებიც გამოაქვეყნა ამის თაობაზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და 1872 წელს თბილისში დაბრუნდა. შემდეგ თანამშრომლობდა *დროებასთან* და ჟურნალ *კრებულთან*.

როგორც ითქვა, 70-იანი წლები ქართული ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების ახალი ეტაპის დასაწყისად იქცა. ამ დროს დაბრუნდა თბილისში დუშეთიდან ილია ჭავჭავაძე. მის ირგვლივ შემოიკრიბა ახალი თაობა. რაფიელი მის გვერდით დადგა. 1873 წელს ილიასთან ერთად გამოსცა კრებული – *გლეხური სიმღერები და ანდაზები შეკრებილი რაფ. ერისთავისა და ილია ჭავჭავაძისაგან*.

ამ დროს ფართოდ გაიშალა მოძრაობა ქართული ფოლკლორული ტექსტების გამოსავლენად, ქართული ეთნოკულტურის ძირძველობა-თავისთავადობის დასაბუთების მიზნით. ამ მოძრაობას რაფიელი და ილია ჩაუდგნენ სათავეში. რაფიელ ერისთავს ფოლკლორული ტექსტების შეკრება 1852 წლიდან ჰქონდა დაწყებული. 1873 წლის ჟურნალ *კრებულში* რამდენჯერმე გამოაქვეყნა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, 1897 წელს გამოსცა *ქართული გამოცანების* კრებული. მის არქივში უამრავი ფოლკლორული მასალაა დაცული.

ამ პერიოდში აქტიურ ლექსიკოგრაფიულ და ლექსიკოლოგიურ მუშაობასა აგრძელებს.

1873 წელს გამოსცა სამენოვანი *შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი* (1000-ზე მეტი ლექსიკური ერთეულით). პირველად გამოსცა ს. ს. ორბელიანის *ქართული ლექსიკონი* (1884, ვრცელი წინასიტყვაობით და ნარკვევით საბას ცხოვრების შესახებ).

1884 წელს გამოსცა *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა და ლითონთა სამეფოდან*. პრესა დიდი მოწონებით შეხვდა ამ პუბლიკაციას (ა ფ., 1873:1-4).

ქუთაისსა და ზუგდიდში რაფიელმა დიდძალი მასალა დააგროვა: დიალექტოლოგიური, ასევე დარგობრივი ტერმინოლოგიური, ქართულ-რუსული ანტონიმების და საკუთარ სახელთა განმარტებითი ლექსიკონებისთვის.

ამავე პერიოდში გამოაქვეყნა ეთნოლოგიური ნაშრომები სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ. გალექსა *სიბრძნე-სიცრუისას* იგავები და 1878 წელს გამოსცა. თარგმნა *კრილოვის იგავები* და გამოსცა 1881 წელს საბას *სიბრძნე სიცრუისას* იგავებთან ერთად – *იგავ-არაკნი კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდან გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან*.

აქტიური მონაწილეობა მიიღო 1878 წელს შემოერთებული აჭარის დეპუტაციასთან თბილისში გამართულ შეხვედრაში.

ქართველი საზოგადოებისათვის დიდ მოვლენად იქცა ი. მეუნარგიას მიერ *ეკატერინე ჭავჭავაძის* არქივში *ნ. ბარათაშვილის უცნობი* ნაწარმოებების აღმოჩენა. რაფიელმა 1880 წლის *ობზორში* (№393) გამოაქვეყნა წერილი და პოეტის ნაწერების ერთ კრებულად გამოცემის საკითხი დააყენა.



დაბეჭდა სახელმძღვანელო *ქართული ენის გრამატიკა ყრმათათვის*, წაიკითხა საჯარო ლექციები ქართული ენის წარმომავლობასა და ბუნებაზე, ქართული მწერლობის ისტორიაზე.

გაილაშქრა *იანოვსკის* მიერ ქართული ენის სკოლიდან განდევნის იდეის წინააღმდეგ 1881-1885 წ.წ. დაბეჭდა წერილი *დროებაში – რამდენად მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს* (1880 წ.).

დასტამბა ვრცელი *ნარკვევი სვანეთის ეთნოგრაფიის შესახებ*.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან რაფიელ ერისთავი დიდი ეროვნული წამოწყების სათაეებთანაც იდგა:

– ამ დროს დაიწყო მოძრაობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასაარსებლად. რაფიელი მის დამფუძნებელთა შორის მოექცა. კარგა ხანს ამ საზოგადოების საფინანსო საქმიანობას უძღვებოდა.

– 1879 წელს აღადგინეს ქართული პროფესიონალური თეატრი. შეიქმნა თეატრალური საზოგადოება, 1884 წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ რაფიელ ერისთავი აირჩიეს.

– 1885 წელს დაიწყო მოძრაობა საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. რაფიელ ერისთავმა პირველმა მიმართა საჯაროდ ქართულ საზოგადოებას. თავად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკას მდიდარი პირადი ბიბლიოთეკა შესწირა.

– 1881 წელს შეიქმნა *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისია. იმავე წლის 6 თებერვალს ჩატარდა პირველი სხდომა. კომისიის წევრებს 22 ხელნაწერი ჩამოურიგეს. ტექსტის კითხვა რაფიელს მიენდო. მეორე სხდომას ის თავმჯდომარეობდა. იგი იყო პოემის *ქართველიშვილისეული* გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

– 1889 წელს რაფიელ ერისთავი დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტში, ცენზორად.

– 1896 წელს საბოლოოდ გადადგა. ამის შემდეგ იშვიათად თუ გაიელვებდა ხოლმე მისი სახელი ქართულ პრესაში.

1901 წლის 12 მარტს გაიმართა რაფიელ ერისთავის ხსოვნის საღამო. აკაკიმ წარმოთქვა სიტყვა, რომელიც 1901 წლის *ივერიაში* დაიბეჭდა (№57). აღიარებას და პოპულარობას აკაკი რაფიელ ერისთავის პოეზიას მიაწერდა. საზოგადო მოღვაწე რომ ყოფილიყო, უყურადღებოდ დარჩებოდაო. ამ სიტყვებში გამოჩნდა ქართველი საზოგადოების რაფიელისადმი დამოკიდებულების შინაარსი. არადა მისი ცხოვრება არანაკლებ შთამბეჭდავი იყო.

რაფიელ ერისთავი საზოგადოების სული და გული, საქმიანი თავყრილობებისა და ნადიმების თავკაცი იყო. არც ერთი მნიშვნელოვან ამბავს არ ჩაუვლია მისი მონაწილეობის გარეშე. დასტურად ასეთი ერთი ფაქტიც იკმარებს. *ი. მანსვეტაშვილის* მოგონებით, ილია ჭავჭავაძის *ოთარაანთ ქვრივის* პირველი წაკითხვა დიდი მეცენატის – დავით სარაჯიშვილის სახლში შედგა. ესწრებოდნენ: რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, გრიგოლ ვოლსკი და სხვები.

წაკითხვის შემდეგ გაიმართა ვახშამი. თამადობდა რაფიელი, რომელსაც ქართული მწერლობის პატრიარქს და გლეხთა მგოსანს უწოდებდნენ (მანსვეტაშვილი,1936:118).

რაფიელ ერისთავი, ჩვეულებრივ, არ იმჩნევდა, რომ დიდმოხელე და ცნობილი პოეტი იყო. თავმდაბლობა, სისადავე, უპრეტენზიობა მისი არსებობის ბუნებრივი ფორმა იყო. სრულიად შეუფერებელი საქმეების კეთებაც არ ეთაკილებოდა. თითქოს სულ არ ფიქრობდა პიროვნულ ღირსებაზე. ერთხანს, თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, პოეტმა ღვინის სარდაფი გახსნა და დახლიდარობაც იკისრა.

ცხადია, ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული და მაინც, გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც რაფიელს სხვა სამოციანელებივით განცხრომით ცხოვრებას ამადლიდა.

ასეთებს საკადრისი პასუხი დიდმა აკაკიმ *ივერიის* ფურცლებიდან გასცა. აკაკი წერდა: როდის და სად ცხოვრობდა განცხრომაში? *იქ, იმერეთში რაც გადახდენია, ის ხომ არ გინდათ გაიგოთ? აბა ახლა ერთი აქაც მოიკითხეთო?.. ჰაერ-დახშულ სარდაფში გამომწყვდევა, ღვინის ყიდვა და მწვადების მომზადება სხვებისათვის, ვგონებ, რომ დიდი არაფერი ბედნიერება იყოს?... და თუ თავ. ლევან მელიქოვს მისთვის ცენზორობის ადგილი არ ეშოვნა, თქვენი ტაში და ბარაქალას ძახილი დიდხანს ვერ გააძლებინებდა* (წერეთელი, 1901:3).

რაფიელი თავის მატერიალურ სივიწროვეს არავისთან ჩიოდა. მან ადვოკატობაც კი სცადა. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადებაც გამოაქვეყნა პრესაში (*დროება*, 1870-1872, №45, 46, 49).

ქართულ საზოგადოებას ისიც შეუმჩნეველი დარჩა, რომ ვალების გადაუხდელობის გამო საჯარო ვაჭრობით გაიყიდა რაფიელ ერისთვის საგვარეულო მამულის დიდი ნაწილი – 900 დესეტინა სახნავ-სათიბი მიწა სოფელ ბოჭორმაში. პოეტი დაბეჯითებით ეძებდა საარსებო წყაროს: მოხსენებით მიმართავდა ხელისუფლებას პენსიის დანიშვნის თხოვნით.

1898 წლისათვის ნავთობის საქმეშიც სცადა ბედი: გარკვეული თანხა დააბანდა და საქმის წარმოება თავის სიძეს – *ნიკო ხიმშიაშვილს* მიანდო.

თანამედროვეთა უმრავლესობისათვის რაფიელ ერისთავი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც *ჩუმად, უყვირლათ, უანგაროთ, თავისი ქვეყნის გულისტკივილით შესდგომიან საქმეს და შეძლებისდაგვარად, ცდილობენ მოუტანონ ჩვენს დავიწყებულს და დაჩაგრულს ქვეყანას სარგებლობა* (ა. ფ., 1873:1-4).

ეროვნული საქმეებით გულშეძრული ყველა მოღვაწე რაფიელს სთხოვდა შემწეობას, მხარში ამოდგომას. თვითონაც ცდილობდა სახელმწიფო სამსახური ქართველი საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენებინა. მაგალითად, ქართული ენის ცენზორის თანამდებობაზე მყოფი ალ. ჯაბადარს სთხოვდა: *მე არ ვიცი ცენზორი როდემდე ვიქნები. თუ საეჭვო რამე გაქვთ დასაბეჭდი ცენზორის მხრივ, საჩქაროდ წარმომიდგინეთ ცენზურაში, სანამ იქა ვარო* (ჯაბადარი, 1934:273).

1862 წლის 13 აპრილს *ივანე კერესელიძე* აცნობებდა რაფიელს, რომ მისი იმედი ჰქონდა ლიტერატურულ პაექრობაში: *თუ შენ კარგა მყევხარ, მე არავისი არ მეშინიან* (*ლიტერატურული მემკვიდრეობა*, 1935:541).

1885 წლის 9 ივნისს მისი სტუმრობა თიანეთში დიდ ზეიმში გადაიზარდა (ხიზანიშვილი,1885:1). საკუთარი იუბილეს შემდეგ რაფიელ ერისთავი გაერიდა აქტიურ ცხოვრებას, თბილისს და განმარტოვდა.

1897 წელს აკაკი თელავში ესტუმრა რაფიელს. პრესაში დროდადრო იბეჭდებოდა ცნობები რაფიელის შესახებ, მაგ. ასეთიც დაიბეჭდა: *ბევრი შრომისა და მეცადინეობის გამო, ცოტა არ იყოს მოღალულ-მოქანცულია, მაგრამ გული ჭაბუკური აქვს და აღსავსე იმედებით.*

დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ რაფიელის შემოქმედებას თერგდალეულები, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე. მან დიდი მზრუნველობა გამოიჩინა რაფიელის იგავ-არაკების გამოსაცემად, წერილით შეატყობინა, რომ *ქართველ წიგნთა მბეჭდავი საზოგადოების* ფულით გამოსცემდა მის კრებულს, ზაქარია ჭიჭინაძის სტამბაში.

ქართველი მწერლები ხშირად იხსენებდნენ და პატივს მიაგებდნენ რაფიელ ერისთავს.

ვაჟას მიერ ერისთავისადმი მიძღვნილ ლექსში ყველაზე მკაფიოდ ჩანს ქართული საზოგადოების დამოკიდებულება:

*სამშობლო ხევსურისამა*
*ყველასაც გული დაღარა,*
*გრძნობა შესწირე ზვარაკად*
*შენსა სამშობლო მხარესა.*
*ბარს ვინღა ასწევს მთამდინა*
*ან მთას ვინ გააბარებსა?* (ვაჟა-ფშაველა,1901:1)

რაფიელ ერისთავი 1901 წლის 19 თებერვალს, ნაშუადღევს, 77 წლის ასაკში, აღესრულა.

შავ ცხენებზე მსხდომ ცხრა ხევსურს მიჰქონდა წარწერა: *მოდით და იხილეთ სიკვდილი პოეტისა როგორ გადაიქცევის სიცოცხლედ* (ჯაგოდნიშვილი,1986:52). დაკრძალეს ქისტაურში, 1938 წელს კი გადაასვენეს თელავში, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

1951 წელს ქისტაურში გაიხსნა სახლ-მუზეუმი, 1974 წელს აღინიშნა მისი დაბადების 150 წლისთავი, თბილისის სკვერში დაიდგა *ელგუჯა ამაშუკელის* მიერ გამოქანდაკებული ერისთავის ბიუსტი. ქუჩას რაფიელის სახელი დაერქვა.

ასე დამთავრდა XIX საუკუნის დიდი ეროვნული მოღვაწის ამქვეყნიური სიცოცხლე და მწერალი იმიერ საქართველოში გადავიდა.

## დასკვნა

რაფიელ ერისთავი XIX საუკუნის მეორე ნახევრის უთვალსაჩინოესი საზოგადო მოღვაწეა – პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ქართული კულტურის მკვლევარი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, დიალექტოლოგი, ლექსიკოგრაფი, ლექსიკოლოგი; ამასთან მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელე, ქართული თეატრის უანგარო მსახური – რეჟისორი და მსახიობი იყო. მან ბევრწილად განსაზღვრა XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის შინაარსი. ილია ჭავჭავაძესთან გვერდში დგომით, შეძლო ქართველი კაცის სამშობლოსთან სულითხორცეული განუყოფლობის ხელშესახები ხატის შექმნა დედა ენისა და თოვლიან-ყინულებიანი მთების სიმბოლოს სახით და ეროვნული განვითარების გეზის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობა მიიღო.

რაფიელ ერისთავმა თავისი პიროვნული თვისებებით და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით სამშობლოს მსახურების ბრწყინვალე მაგალითი მისცა თავის თანამედროვეებს და შეძლო წარსულიდან ჩვენი დროის ქართველებისათვის ხმის მოწვდენა.

XIX საუკუნემ იგი ღირსეულად დააფასა. ჩვენი ვალი მისი ნაღვაწის ცოდნა და მისგან სამშობლოს მსახურების სწავლაა.

## ბიბლიოგრაფია


არჯევანიძე, ე. (1965). *ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ კავკაზში გამოქვეყნებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა.*

თბილისი: *მეცნიერება.*

ა. ფ. (1873). სასოფლო წერილები. გუთნის-დედა, *სამეურნეო გაზეთი.* №17. ტფილისი.

ბროსე, მ. (1851). *არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847-1848.* (ფრანგულ ენაზე). სპბ.

ვაშაყმაძე, შ. (1962). *რაფიელ ერისთავი.* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

ვაშაყმაძე, შ. (1955). რაფიელ ერისთავის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი.

*ლიტერატურული ძიებანი. ტ. IX.*

*ლიტერატურული მემკვიდრეობა.* (1935). წიგნი 1. ტფილისი: *სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

მანსვეტაშვილი, ი. (1936). *მოგონებანი.* ტფილისი: *ფედერაცია.*

მიქაბერიძე, ი. (1861). მთხოვნელი მსაჯულისადმი. *„ცისკარი“.* №1.გვ. 137. ტფილისი.

*საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო.* (1899). თბილისი: სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.

ფშაველა, ვ. (1901). *ივერია.* №45. თ. რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზედ.

წერეთელი, ა. (1895). საყურადღებოთ. გაზ. *კვალი,* №22. ტფილისი.

წერეთელი, ა. (1901). მცირე შენიშვნა. *ივერია,* №168. ტფილისი.

წერეთელი, ს. (1901). პატარა ვანიჩკა. *ივერია,* №70. ტფილისი.

ჯაბადარი, ა. (1934). მოგონებანი. *მნათობი.* №1-2.

ჯაგოდნიშვილი, თ. (1986). *რაფიელ ერისთავი.* თბილისი: ნაკადული.

ჯაგოდნიშვილი, თ. (1979). *რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება.* თბილისი: *მეცნიერება.*

ხიზანიშვილი, ნ. (1885). *დროება,* № 131.

*თემურ ჯაგოდნიშვილი*
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*Temur Jagodnishvili*
Doctor of Sciences in Philology, Professor,
Head of the Department of Georgian Philology and Media Technologies,
“Georgian Technical University
ORCID-ID: 0009-0004-5878-8889





ღრმათ პატივცემულო

ბატონო რაფიელ!

მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოება სიხარულით და გულის სიწრფელით ეგებება ბედნიერს დღეს თქვენი ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობისას სალიტერატურო ასპარეზზე. თქვენი სასიქადულო ღვაწლი, რომელიც დიად ღირსეულათ დაფასებულია ყველასაგან, ვისაც კი სწყმს დიადი საქმე ხალხთა გონებრივი წარმატებისა, არის ჩვენთვის დაუვიწყარი მაგალითი პატიოსნური შრომის და მოქმედებისა.

ვუერთდებით რა გულწრფელათ ერთგულებისა ამ საზოგადო დღესასწაულს, ვისურვებთ, პატივცემულო ბატონო, რომ სიყვარულის მაღალი გრძნობით გამსჭვალული თქვენი კალმის ზე-გავლენა უფრო და უფრო გაძლიერებულიყოს ქვეყნის მკვიდრთა განსანათლებლათ.

მასწავლებელ და აღმზრდელ

ქალთა საზოგადოება.

29 ოქტომბერს 1895 წელს




# როგორ იქცა რაფიელ ერისთავის იუბილე სახალხო ზეიმად

## აბსტრაქტი

სტატია მიმოიხილავს რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილეს, ამ ღონისძიების საზოგადოებრივ აღქმას, მომზადების პროცესს. დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, როგორ იქცა ეს იუბილე არა მხოლოდ მწერლისადმი პატივისცემის გამოხატვად, არამედ ეროვნულ დღესასწაულად მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში.

ნაშრომში გამოყენებულია ისტორიულ-ქრონიკული ანალიზის მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები**: რაფიელ ერისთავი; იუბილე; ქართული პრესა; საერო დღესასწაული; ილია ჭავჭავაძე; აკაკი წერეთელი.

# HOW RAPHIEL ERISTAVI'S JUBILEE BECAME A PUBLIC CELEBRATION

## ABSTRACT

This article examines the public perception of Raphiel Eristavi's 50th jubilee and the preparation process. Based on documentary sources, it illustrates how the jubilee evolved into not just an expression of respect for the writer, but also a national holiday in the late 19th century. The work employs a historical-chronological analysis method.

**Keywords:** Raphiel Eristavi; Jubilee; Georgian Press; Secular Festival; Ilia Chavchavadze; Akaki Tsereteli.

## შესავალი

XIX საუკუნის მიწურულს, ქართულ საზოგადოებაში ინტელექტუალური და ეროვნული თვითშეგნების ზრდის პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშა კულტურულ-ლიტერატურულმა მოვლენებმა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი ამ პროცესისა იყო რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეო დღესასწაული, რომელიც 1895 წლის 22 ოქტომბერს აღინიშნა. დღესასწაული, როგორც აღნიშნულია, იქცა *საქართველოს ეროვნული თვითცნობიერების* გამოხატულებად და საერო დღესასწაულად (*კვალი*, № 46, 1895).

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს, როგორ იქცა რაფიელ ერისთავის იუბილე ინდივიდუალური პატივისცემის აქტიდან საზოგადოებრივ-ეროვნულ მოვლენად, როგორ წარიმართა მისი ორგანიზება და რა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა მას.

რაფიელ ერისთავის იუბილე გახდა ერთგვარი წინაპირობა და გამოხატულება ეროვნული ერთიანობისა.

## კვლევის მეთოდი

სტატია ეფუძნება 1895 წლის პრესაში გამოქვეყნებულ ორ ძირითად პირველწყაროს – გაზეთებს *ივერია* და *კვალი*. პირველწყაროების ტექსტები გაანალიზებულია თემატურად და ქრონოლოგიურად. გამოყენებულია ისტორიულ-ქრონიკული ანალიზის მეთოდი, რომელიც დაეყრდნო მედიაში გამოქვეყნებულ ტექსტებს და მათ შორის არსებულ დიალოგსა და რეფლექსიას. კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირდა იუბილეს შესახებ გავრცელებული მოსაზრებები, მომზადების სტადიები, ორგანიზაციული სირთულეები და დღესასწაულის დღის წესრიგი.

## შედეგი

- იუბილეს იდეა წამოაყენა აკაკი წერეთელმა გაზეთ *კვალში* (1895, № 22), რასაც საზოგადოება აჰყვა და გაერთიანდა (*კვალი*, №46).
- მომზადების პროცესში შეიქმნა ორი კომიტეტი (გამგე და აღმასრულებელი), თუმცა მათი პასიურობის გამო საქმე რამდენიმე თვის განმავლობაში ადგილიდან არ დაიძრულა. საბოლოოდ, პასუხისმგებლობა აიღეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა, რომლებმაც წარმატებით შეძლეს იუბილეს ორგანიზება (*ივერია*, № 141, 1895).
- რეგიონების ჩართულობამ და მათგან გამოგზავნილმა დეპუტაციებმა ღონისძიებას ეროვნული ხასიათი მიანიჭა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თუშ-ფშავ-ხევსურებისა და აჭარლების წარმომადგენლობა ეროვნული ტანისამოსით (*კვალი*, № 46).
- იუბილეს დღის წესრიგი მოიცავდა საზეიმო პარაკლისს, საჯარო მილოცვებს თეატრში, ლიტერატურულ საღამოს და დრამატულ წარმოდგენას. იუბილარს გადასცეს უამრავი მისალოცი ადრესი (*ივერია*, №№ 225-227).

## მსჯელობა

1895 წლის 22 ოქტომბერს საქართველომ რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე საზეიმოდ აღნიშნა. ამ დღეს იმთავითვე ეწოდა *საერო დღესასწაული*, რომელიც მართლაც რომ დიდებულად აღინიშნა და რომელმაც მთელი ერი გააერთიანა.

თუმცა, როგორც დღესასწაულის შემდგომ გაზეთი კვალი წერდა, მისი მომზადება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული: ... *თავადი რ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაული შეიქმნა თვალსაჩინო წუთიერ ჟამად, რომელშიაც გამოიხატა ნათლად საქართველოს ერის თვითცნობიერება. წარჩინებულნი ჩვენი მოსწრებულნი მოღვაწენი, რომელნიც კი დაესწრნენ ამ დღესასწაულზე, მოწმობენ, რომ ასეთი რამე ჯერ მათ არ გამოუცდიათ, არ უნახავთ თავის სიცოცხლეში. ორმოც-და-ათის წლის მოღვაწეობის დღესასწაულობა ჩვენი წარჩინებული პოეტისა იმავე დროს შეიქნა დღესასწაულათ საქართველოს ერის თვითცნობიერებისა.*

*ეს შემთხვევა გახდა ერთ ნათელ ჭდეთ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი ერის გამოფხიზლებისა, ამის გამო ჩვენ საჭიროთ დავინახეთ, ვუამბოთ ჩვენს მკითხველებს დაწვრილებით, თუ რანაირათ განხორციელდა ეს სანუგეში მოვლენა, ვუჩვენოთ, პირველათ ვინ აღძრა ეს საქმე, რა მწუხარებისა, დაუნდობლობისა და უიმედობის დარჯაკში განვლო ამ დღესასწაულობის მზადებამ და ბოლოს როგორ დიდებულათ დაგვირგვინდა იგი* (*კვალი*, №46, 29 ოქტომბერი).

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1895 წლის 22 მაისის გაზეთ *კვალში* (№22) დაიბეჭდა აკაკის სტატია „საყურადღებოთ“: „...*ყოველ ქვეყანაში, ყოველი ხალხისგან, გარდა ველურისა, მიღებულია, რომ თავიანთ გამოჩენილ შვილების ოცდა-ხუთი წლის მოღვაწეობა იდღესასწაულონ ხოლმე. ამ დღესასწაულს ეძახიან „იუბილეის“. ჩვენ, ქართველები არ მივდევთ ამ ჩვეულებას, ალბათ იმიტომ, რომ ოც-და-ხუთი წელიწადი არ მიგვაჩნია საკმარისათ, და მეტსა ვთხოულობთ. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ დღეს გამოდის, რომ ორ-მოც-და-ათიც თურმე არა კმარა და ასი უნდა იყოსო!? ცხადია, რომ ეს, დროს გაჭიანურება, ნამეტანი სურვილითა და უზომო სიყვარულით მოგვდის: ისე გვიყვარს ჩვენ ჩვენი მოღვაწეები, რომ სასიკვდილოთ არ გვემეტებიან, სულგრძელობით მოველით და ვუცდით საუკუნის შესრულებას და ის ანდაზა კი გვავიწყდება, რომ „თქვენს სულგრძელობას ჩემი დღეგრძელობაც ეჭირვებაო“. სწორედ ორ-მოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფიელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის შესახებ გულ-მავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა*“.

როგორც შემდეგ აღინიშნა გაზეთ *კვალში*, აკაკის ამ განცხადებას ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ქართულმა პრესამ. მეტიც, საზოგადოებამ იმაზეც კი დაიწყო საუბარი, აკაკიმ ამ სიტყვებით საკუთარი იუბილეს აუცილებლობა იგულისხმაო (*კვალი*, №46).

*კვალის* რედაქცია გულისყურით მოეკიდა აკაკის მოწოდებას და საერთო განცხადება დაბეჭდა, რომ რაფიელ ერისთავის იუბილეს გადახდისთვის შეკრებილიყვნენ და თარიღიც დაენიშნათ. მას მყისიერად გამოეხმაურა *ივერია* და ეს ბუნებრივიცაა. რაფიელ ერისთავის იუბილე ხომ იმდენად მნიშვნელოვანი და ღირებული იყო ქართველი ერისთვის, რომ გაზეთი *ივერია* გვერდს ნამდვილად არ აუვლიდა. ორივე გაზეთში დაწვრილებით იბეჭდებოდა როგორც მზადების თითოეული ეტაპი, ისე თავად იუბილე.

იუბილეს შესახებ პირველი ინფორმაცია გაზეთ *ივერიაში* 27 მაისს ჩნდება, მეთაური წერილის სახით, რომლის ავტორია ლალი, იგივე *გიორგი ლასხიშვილი*. უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელ ერისთავის იუბილეს შესახებ სტატიები ძირითადად გიორგი ლასხიშვილის მიერაა დაწერილი. ამ წერილით *ივერია* ეხმიანება აკაკის წერილს *საყურადღებოთ* – იუბილეს გამართვის მოწოდებას. გიორგი ლასხიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ამ შემთხვევაში ქართველი ერი არ გამოიჩენს ჩვეულ დაუდევრობას. ...*ორმოცდა-ათი წელიწადია ქართველი საზოგადოება ტკბება თვისის საყვარელის და სიმპატიურის მგოსანის ლექსებით და პატივისცემით თვალ-ყურს ადევნებს მისს პატიოსანს საზოგადო მოღვაწეობას. ასეთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობა, საყვარელ მოხუცისა, ვალად გვდებს, ღირსეული პატივი ვსცეთ მას, საქვეყნოდ აღვიაროთ ჩვენი სიყვარული და პატივისცემა გამოჩენილ მამულიშვილისადმი* (*ივერია*, №108, 27 მაისი, 1895წ.).

იუბილესთვის მოსამზადებელი პირველი კრება *საზაფხულო ბაღში* შედგა, რომელსაც დაესწრნენ ...*წარმომადგენელნი ქართული ჟურნალ-გაზეთებისა, წერა-კითხვის გამგეობისა, ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისა და ქართველ მსახიობთა. ამ კრებაზე ამორჩეულ იქმნა დღესასწაულობის წეს-რიგის პროექტის შესადგენათ მოსამზადებელი კამიტეტი სამი პირისაგან: გ. ე. წერეთელი, პ. ი. ყიფიანი და კ. ს. მესხი. ამათ შეიმუშავეს სადღესასწაულო*

*პროექტი, მოიწვიეს მეორე კრება, რომელზედაც დაესწრო Новое. Обозрение-ს წარმომადგენელიც, წარუდგინეს ეს პროექტი დასამტკიცებლათ და აგრეთვე გამგე და ამსრულებელი კომიტეტებიც უნდა ამოერჩიათ* (კვალი, №46).

ივლისის დასაწყისში, *ივერიის* ახალი ამბების რუბრიკაში იბეჭდება ინფორმაცია კრებებზე მიღებული გადაწყვეტილების – თარიღის დანიშვნის, კომიტეტების არჩევისა და იუბილეს მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ: *...თავ. რაფ. ერისთავის იუბილეს მოსამზადებელ კომისიამ მოიწვია გუშინ-წინ საზოგადოება, რომელსაც წაუკითხა განზრახულ დღე-სასწაულის წეს-რიგის პროექტი. რადგანაც ეს პროექტი ჯერ საბოლოოდ შემუშავებული არ არის, ამიტომ ჩვენ მას შემდგომში დავბეჭდავთ. ახლა კი მკითხველს ვაცნობებთ მხოლოდ კრების უმთავრეს გარდაწყვეტილებას. დღესასწაული დაინიშნა 22 ოქტომბრისთვის. რადგანაც პატივცემული იუბილარი სახელმწიფო სამსახურში არის ამ ჟამად, კომიტეტს დაევალა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა ოფიციალურად ნება დართულ იქმნას იუბილეს დღესასწაული. დღესასწაულის მოსამზადებლად და გარდასახდელად აღმორჩეული იქმნა ორი კომიტეტი: გამგე და აღმასრულებელი, თითოეული ხუთ-ხუთ პირთაგან; კომიტეტის წევრთა გვარს დავბეჭდავთ მაშინ, როდესაც აღმორჩეულნი თანხმობას გამოაცხადებენ და იკისრებენ დანიშნულ მოვალეობის აღსრულებას. გარდა ამ კომიტეტისა, საქართველოს პროვინციის უმთავრეს დაბა-ქალაქებშიც დაარსდება კომიტეტები, რომელთ მიენდობა ფულის შეკრება, დეპუტაციების გამოგზავნა ტფილისში და სხვა. განზრახულია საქართველოს ყოველ კუთხიდან მოიწვიონ დეპუტაციები, რომელთა წევრებათ უნდა იქმნენ ყველა წოდებისა და დაწესებულების წარმომადგენელნი. მილოცვის შემდეგ სიონში გარდახდილ იქნება პარაკლისი; შემდეგ გაიმართება ნადიმი, რომელზედაც, სხვათა შორის, მომღერლები უნდა იყვნენ მოწვეული გურია-სამეგრელოდან, ქართლ-კახეთიდან და სხვა. საღამოს თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართება; წარმოადგენენ იუბილარის პიესებს. ამბობენ – ჩვენი პატივცემული პოეტი ამ ჟამად ამზადებს ახალს პიესასო. საზოგადოდ კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამა კარგია და, თუ შესაძლებელი იქნება მისი აღსრულება, დღესასწაული დიდებულად ჩაივლის, როგორც ეკადრება ჩვენს საყვარელს მგოსანს და დიდად პატიოსანს საზოგადო მოღვაწეს* (გაზ. *ივერია*, №141, 6 ივლისი, 1895წ.).

ეს ინფორმაცია იბეჭდება 9 ივლისის გაზეთ *კვალშიც* (№29), რუბრიკაში *სხვადასხვა ამბები: თ.რ.დ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაული დაინიშნა ოქტომბრის 22-ს. საიუბილეო კრებამ გადაწყვიტა დააარსოს სამაზრო კომიტეტები, რომ ამ დღესასწაულს მიეცეს საერო მნიშვნელობა.*

მართალია, შეიკრიბნენ ორჯერ, კომიტეტებიც და თარიღიც დათქვეს, მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა. მთელი აგვისტოს განმავლობაში ... *გამგე კომიტეტის წევრებმა არ ინებეს საქმის დაწყება. დრო კი აღარ ითმენდა, ამიტომაც ენკენისთვის დამდეგს გ.ე. წერეთელი პირადათ მიიქცა თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონთან და თხოვა, მოეწვია შეერთებული სხდომა გამგე და ამსრულებელი კამიტეტების წევრებისა, რომ შედგომოდენ საიუბილეო დღესასწაულობის მზადებას. სამწუხაროთ, თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონმა უარი განაცხადა მეთაურობაზე* (*კვალი*, №46).

სექტემბრის დადგომისთანავე გამოიკვეთა, რომ საჭირო იყო სასწრაფო და აქტიური მოქმედება, რათა დღესასწაული არ ჩაშლილიყო. ამიტომაც 17 სექტემბრის გაზეთ *კვალის* ნომერში (№40) პირველსავე გვერდზე, იბეჭდება აკაკის განცხადება, რომელშიც პოეტი საიუბილეო პროგრამის შესადგენად შეკრებისთვის მოუწოდებს საიუბილეო კომიტეტის წევრებს: *უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულთ პირთ გამგე და ამსრულებელი კომიტეტებისა კეთილ ინებონ და ამ თვის 19, სამშაბათს საღამოს, საათის 7-ზე, თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მობრძანდენ თ. რაფიელ ერისთავის საიუბილეო პროგრამის შესახებ მოსალაპარაკებლათ.*

ამ განცხადების ქვემოთ კი, ასევე პირველ გვერდზე, თავად რედაქციის განცხადებაა: *თ. რაფ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაულის გამო. ამ წლის ივლისის დამდეგს მოხდა საიუბილეო კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნენ გამგე კომიტეტი და ამსრულებელი კომიტეტი შემდეგი პირებისაგან: გამგე კომიტეტის წევრებათ: ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღომელი თ. კ. ი. მუხრანბატონი, თ. მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა, თ. აკაკი წერეთელი, თავ. ილია ჭავჭავაძე და თ. პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი; ამსრულებელ კომიტეტის წევრებათ: გ. ე. წერეთელი, ნ. მ. ცხვედაძე, პ. ყიფიანი, ვალ. გუნია, კოსტ. მესხი და გიორგი ყარანგოზიშვილი.*

*რადგან საიუბილეო დღესასწაულობა ჩვენის საყვარლის მოხუცი პოეტისა მოწევნილია, ოკტომბრის 22 არის დანიშნული, დრო არის არჩეულთა პირთა გამგე კომიტეტისამ მოუწოდოს კრებას და ამსრულებელ კომიტეტს დაავალოს შემუშავებული საიუბილეო დღესასწაულის პროგრამა აღსრულებაში მოიყვანოს.*

მიუხედავად აკაკისა და რედაქციის ასეთი მხურვალე მოწოდებისა, კრება ვერ შედგა, რადგან ... დანიშნულ საღამოს მივიდენ ბანკის დარბაზში მხოლოთ ორი კაცი: თ. აკაკი წერეთელი და გ. ე. წერეთელი. სამწუხარო იყო ასეთი გულცივობა და დუმილით უარისყოფა გამგე და ამასრულებელ კამიტეტის წევრთაგან (*კვალი*, № 46).

*კვალის* მომდევნო ნომერში (№ 41, ენკენისთვე 24) სხვადასხვა ამბის რუბრიკაში დაიბეჭდა, რომ კრება ვერ შედგა: ... *სამშაფათს, სექტემბრის 19, იყო დანიშნული შეერთებული სხდომა თ. რ. დ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაულის გამართვის შესახებ ამ საქმეში ამორჩეული გამგე და ამსრულებელი კომიტეტის წევრებისა. სამწუხაროთ სხდომა არ შედგა. იმედია, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონი, რომელიც არის გამგე-კომიტეტის წევრათ ამორჩეული, მოუწოდებს ახალ კრებას და შეუდგება შესაფერს საიუბილეო განკარგულების მოხდენას.*

როგორც ჩანს, ვერც ამ განცხადებამ უშველა კრების მოწვევას, რადგან *კვალის* მომდევნო, 42-ე ნომერშიც (1 ოქტომბერი) ვკითხულობთ რედაქციის განცხადებას პირველსავე გვერდზე, პირველივე ინფორმაციად და არა სხვადასხვა ამბების რუბრიკაში: *რადგან გამგე და ამსრულებელ საიუბილეო კომიტეტებმა აქამომდე კრება ვერ მოახდინეს, რომ დაეწყოთ მოქმედება, ამისთვის საჭიროა „ივერიის“, „კვალის“, „მოამბის“ რედაქციათა, აგრეთვე წერა-კითხვისა და დრამატიულ გამგეობათა წარმომადგენელნი შევკრბეთ და შეთანხმებით მოვილაპარაკოთ საიუბილეო დღესასწაულის გამართვაზე.*

ეს იყო პირველ ოქტომბერს, თუმცა, საიუბილეო პროგრამის ესკიზი შემუშავებულია. *ივერიის* 26 სექტემბრის ნომერში (№ 206) იბეჭდება *თ. რაფიელ ერისთავის საიუბილეო პროგრამის ესკიზი, რომელიც შეიმუშავა პირველ დაწყებითმა საიუბილეო კრებამ:*

1. *დაინიშნოს საიუბილეო დღესასწაული მთავრობის ნება-დართვით ოქტომბრის 22.*
2. *ტფილისის გამგე-კომიტეტი დანიშნავს საქართველოს დაბა-ქალაქებში ადგილობრივ აგენტებს, რომელთაც დავალებული ექნებათ [რწ]მუნებური კომიტეტების შედგენა.*
3. *ადგილობრივმა კომიტეტმა თავს უნდა იდვას დეპუტაციების გამოგზავნა და იუბილიარის სახელზედ ფულის შეგროვება, როგორც საჩუქრებისთვის, ისე მის სახელზედ ფონდის დასაარსებლად.*
4. *ყოველი ადგილობრივი კომიტეტიდგან იქნება გამოგზავნილი დეპუტაცია შესაფერი ისტორიული ტანთ-საცმელით და იარაღით მორთული; ხოლო გურიიდგან, სამეგრელოდგან, ქართლიდგან და კახეთიდგან თითო გუნდი მომღერლებისა.*
5. *დილით ცხრა საათზედ უნდა იქმნეს სიონის, ან ქვაშვეთის ტაძარში იუბილიარისათვის პარაკლისი გადახდილი. შემდეგ იუბილიარს ლიტერატორთა გუნდი მოიყვანს მუხრანბატონის დარბაზში (კლუბში), სადაც იქნება დეპუტაციების მილოცვა.*
6. *სანადიმოდ წავლენ ერთ-ერთ ბაღში მიხაილოვის ქუჩაზედ.*
7. *ნადიმს შემდეგ საღამოს მოხდება დღესასწაულებრივი გამოსვლა თეატრის დარბაზა-*

*მდის, სადაც გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.*

8. *დაწვრილებით შემუშავება ამა პროგრამისა და მისის ასრულება დავალებული ექნება ამორჩეულ გამგე და ამსრულებელ კომიტეტებს.*

მიუხედავად კომიტეტების პასიურობისა, ზაფხულის განმავლობაში პრესაში ხანდახან ჩნდებოდა ინფორმაცია, ვინ როგორ ემზადებოდა ამ დღესასწაულისთვის. მაგალითად, 23 ივლისის *კვალის* ნომერში (№31), სხვადასხვა ამბის რუბრიკაში ვკითხულობთ: *თბილისის ქართველ ხელოსანთ განუზრახავთ მიართვან თავ. რ. ერისთავს საიუბილეო დღეს საწერი მაგიდა, რომლის გეგმაც უკვე შეუკვეთიათ ერთ ახალგაზრდა ხუროთმოღვრისთვის.* ეს ინფორმაცია 26 ივლისის ნომრის (№157) ახალი ამბების რუბრიკაში დაბეჭდა *ივერიამაც*, მხოლოდ დასაწყისად წაუმძღვარა: *გაზეთ კვალის სიტყვით...*

ამ მშვენიერი მაგიდის დამზადებაც არ გამორჩენია ყურადღების მიღმა *ივერიას* და 7 ოქტომბრის ნომერში (№215) ვკითხულობთ: *ტფილისის ხელოსნებს თავად რაფიელ ერისთავისათვის მისართმევად დაუმზადებიათ მშვენიერი საწერი მაგიდა კარგის ხისა, წინ ორის რაფით წიგნებისა და სხვა საჭირო ნივთების დასაწყობად; მაგიდას თავზედ ექნება დადგმული იუბილარის თავ. რაფიელ ერისთავის სურათი მშვენიერის ჩარჩოთი, რომელიც მუხის ხისაგან არის გაკეთებული და რომელიც წარმოადგენს გვირგვინს მუხის ფოთლებისას რკოებით. ნამუშევარი მართლა საუცხოვო რამ არის. თვითონ მაგიდაც გვერდებზეც სულ დაჩუქურთმებულია.* დღეს ეს მაგიდა დგას ქისტაურის რაფიელ ერისთავის სახელობის მემორიალურ მუზეუმში.

1 ოქტომბრის *კვალის* მოწოდებას, როგორმე შეკრებილიყო არა მხოლოდ კომიტეტები, არამედ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები, *ივერიაც* გამოეხმაურა და თავადაც მოუწოდა ყველას შეკრებისკენ. 3 ოქტომბრის *ივერიის* ნომერში (№211), ახალ ამბებში ვკითხულობთ, რომ *ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია კრება თავ. რაფ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაულის შესახებ. კრებას უნდა დაესწრნენ ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელ და დრამატიულ საზოგადოებათა წარმომადგენელნი.*

კრება რომ მართლაც შედგა, ამას 6 ოქტომბრის ნომრით ვიგებთ: *გუშინ საღამოს თავ. რაფიელ ერისთავის იუბილეს დღესასწაულობის მომზადებისთვის კრება მოხდა. ორშაბათს, 9 ოქტომბერს, მეორე კრება იქნება, რომლის შედეგაც მკითხველს ვაცნობებთ საბოლოო გარდაწყვეტილებას* (№214). 9 ოქტომბერს კრების დანიშვნას გაზეთი *კვალიც* აღნიშნავს (№43, 2 ოქტომბერი). კრებას ესწრებოდა ილია ჭავჭავაძეც. *კვალის* რედაქციას კი კ. დოდაშვილი წარმოადგენდა. სექტემბერში წარმოდგენილი პროგრამის ესკიზი შეიცვალა და სწორედ ამ კრებაზე შეიმუშავეს დღესასწაულის პროგრამის საბოლოო ვარიანტი.

ეს ხდებოდა თბილისში. თუმცა, რეგიონებიც ემზადებოდნენ დღესასწაულისთვის. ოქტომბრის დადგომისთანავე პრესაში მომრავლდა მათ შესახებ ინფორმაცია. ამ მხრივ კვლავ *ივერია* და *კვალი* გამოირჩეოდა, რომელშიც, ფაქტობრივად, ყოველი ეტაპი შუქდებოდა. მეტიც – ზოგჯერ გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში, იუბილესთან დაკავშირებით, რამდენიმე პუბლიკაცია თუ განცხადება გვხვდება. მაგალითად, *კვალის* 42-ე ნომერში, პირველ გვერდზე რომ ვერშემდგარი კრების შესახებ გვაუწყებდა რედაქცია, მე-3 გვერდზე, სხვადასხვა ამბების რუბრიკაში ჩნდება მოსაზრება, თუ როგორ უნდა ჩაერთოს რეგიონები იუბილეს სამზადისში: *ჩვენის პოეტის თ. რ. დ. ერისთავის იუბილეის დღე მოახლოებულია. საჭიროა ყოველ საქართველოს კუთხეში დაარსდეს ჩვენის ლიტერატურის გულშემატკივართაგან ადგილობრივი კომიტეტები, რომელთაც დაევალებათ შეამზადონ დეპუტაციები და საჩუქრები, აგრეთვე იუბილარის სახელზე სასტიპენდიო თავნის შედგენა. ამ საქმეს უნდა ყოველ კუთხეში მარჯვე და საქმის მუყაითი მეთაური. იმედია, ჩვენი მაზრების ინტელიგენცია გამოიჩენს შესაფერის მხნეობას, თფილისიდან მინდობილობა არავისთვის საჭირო არ უნდა იყოს. თითოეულმა მაზრამ და კუთხემ თვითონ უნდა ითავოს ეს საქმე და ვისაც გული შეკივა, ან მხნეობა მოსდევს, იმათ უნდა მიიღონ თავის თავზე, რომ იუბილეის მისცენ ეროვნული ხასიათი. ის იქნება პირველი მაგალითი პროვინციების ინიციატორობისა, მაზრების თვითმოქმედებისა. ვთხოვთ, ყველას საქართველოს ყოველ კუთხეში თავი გამოიდვას და ამ საგანზე თავიანთი მოქმედების ამბავი შეგვატყობინოს ხოლმე ივერიის და კვალის რედაქციებში, რომ ამით დავიცვათ ერთობა მოქმედებისა.*





ყველა კუთხის კოორდინაცია დღესასწაულის მოსამზადებლად რომ აუცილებელი იყო, ამას მოწმობს *ივერიაში* დაბეჭდილი სხვადასხვა სახის ინფორმაცია რეგიონებიდან, რომლებიც კონკრეტულ მითითებებს ითხოვდნენ. მაგალითად, 5 ოქტომბრის ნომერი (№ 213) იუწყება, რომ *გორიდგან და სხვა ქალაქებიდგანაც გვატყობინებენ, რომ ემზადებიან ღირსეულად მიეგებნენ დიდად პატივცემულის მხცოვანის პოეტის რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღეს და თანაც გვთხოვენ ვაცნობოთ, როგორ აპირებენ დღესასწაულობის გარდახდას. კარგი იქნებოდა მანდიდგან რაიმე განკარგულება მოგეხდინათ პროვინციებისათვისაო, იწერებიან ყველა მხრიდგან, თუ როგორ შევადგინოთ საიუბილეო კომიტეტებიო. ამაზედ ჩვენც ვაცნობეთ, რომ ტფილისდგან არავითარი განკარგულება ამის შესახებ არ გაეგზავნებათ პროვინციებს და ამიტომ ვურჩევთ, თითონვე იზრუნონ და შეადგინონ კომიტეტები, რომელნიც დაადგენენ, თუ როგორ სცენ პატივი იუბილარს.*

15 ოქტომბრის *კვალში* (№ 44), სხვადასხვა ამბების რუბრიკაში იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება ქუთაისი: *ქუთაისში თ. რ. დ. ერისთავის საიუბილეოთ დიდი მზადებაა: სათავად-აზნაურო შკოლის მოწაფენი ფულს აგროვებენ საჩუქრისთვის და თავნისთვის. ქუთაისის ხელოსანთა დასი აგრეთვე აგროვებს თავნს და უნდა იუბილარის სახელზე გამართოს პირველ დაწყებითი სამოხელო შკოლა. ქუთაისის საზოგადოება აგრეთვე ცალკე აპირებს იუბილარის მილოცვას.*

რაც შეეხება დღესასწაულის პროგრამას, საბოლოო ვარიანტი იბეჭდება როგორც *ივერიაში*, ისე *კვალში.*

15 ოქტომბერს *კვალი* (№44) ამცნობს მკითხველებს, რომ *...იუბილეი უთუოთ კვირას, 22 ოქტომბერს, უნდა ვიდღესასწაულოთ ამ პროგრამით:*

- *გადახდილ იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში პარაკლისი 11 1/2 საათზე.*
- *პარაკლისის შემდეგ ყველა დეპუტაციები და საზოგადოება შეგროვდება ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში. დეპუტაციები იჭერს ადგილს სცენაზე და რიგ-რიგათ მიულოცავენ იუბილარს. მათ მილოცვას შემდეგ წაკითხულ იქნება დეპეშები, ლექსები და სხვა...*
- *საღამოს 8 საათზე გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა ქართულ თეატრში.*
- *იუბილარის სახსოვრათ განზრახულია ფონდი დაარსდეს; ამისთვის შემომწირველთა სია იუბილეის დღეს დაურიგდება მსურველთ იუბილემდე და შემდეგ შემოწირულობას მიიღებენ ქართული ჟურნალ გაზეთები და გამოაცხადებენ შემომწირველთა სიას; ფულს კი გადაცემენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელსაც მიენდობა ეს ფონდი რომელსამე საზოგადო საქმეს მოახმაროს იუბილარის სახელობაზე.*

ამავე კრებაზე აირჩიეს გამგე კომიტეტის წევრები: დავით მიქელაძე, გიორგი წერეთელი და ალექსანდრე ჭყონია. მათ დამხმარედ კი – გრიგოლ აბაშიძე, ვალერიან გუნია, პეტრე ყიფიანი და ანდრია ღულაძე. თუმცა, პეტრე ყიფიანმა და ანდრია ღულაძემ უარი თქვეს. ალექსანდრე ჭყონიამ კი მოუცლელობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა. ასე რომ, დარჩნენ: დავით მიქელაძე, გიორგი წერეთელი, გრიგოლ აბაშიძე და ვალერიან გუნია. *კერძო სხდომაზე იმათ მიიპატიჟეს დასახმარებლათ – კონსტანტინე მესხი და ვლადიმერ ალექსეევ-მესხიევი (რეჟისორი ქართულ თეატრისა). ამ სხდომაზე დისციპლინის (ერთარსი მოქმედების) დასადგენათ თ. დ. მიქელაძემ წინადადება მისცა გ.ე. წერეთელს, რომ ის ყოფილიყო მეთაურად ამ საქმეში. გ. ე. წერეთელმა განაცხადა: იმ პირობით ვიკისრებ ამ მძიმე საქმეს, უკეთუ თ. დ. მიქელაძე, გრ. აბაშიძე. კ. მესხი და ვ. გუნია დამეხმარებიან როგორც რჩევით, ისე, საქმის განკარგულებაშიო. ხსენებულმა პირებმა სრული თანხმობა განაცხადეს ამ საქმეზე და ახალ ამორჩეულ საიუბი-*

*ლეო დღესასწაული მოთავენი მწყობრით, ერთგულებით და თანხმობით შეუდგნენ საქმის განხორციელებას. მათი უმთავრესი განზრახვა ის იყო, რომ დღესასწაულობას მიცემოდა, რაც შეიძლებოდა, დიდი საერო ხასიათი* (*კვალი*, №46).

მოსამზადებელი სამუშაოების ამსახველი ინფორმაციების გარდა, ოქტომბრიდან პრესაში ჩნდება პუბლიკაციები, რომლებიც რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთგვარი შეფასებაა. მაგალითად, 2 ოქტომბრის გაზეთ *კვალის* ნომერში (№43) პირველ გვერდზე, ავტორის მითითების გარეშე, იბეჭდება წერილი რაფიელ ერისთავის იუბილეს შესახებ, რომელშიც საკმაოდ საინტერესოდაა აღწერილი ქართველი ერის დამოკიდებულება მწერლისადმი და საიუბილეო დღესასწაულის აუცილებლობა: *რა უნდა ასაზრდოებდეს სამშობლო ლიტერატურას? ერის თანაგრძნობა. მაგრამ ქართული ლიტერატურა იმ წერტილზე ჯერ არ მიწეულა, რომ ერის თანაგრძნობამ მისი მწერლები ან გაათბოს, ან გააძღოს. ისინი დღემდის არიან ისეთი ცხოვრების ბნელით გარე-მოცულნი, რომ თითოეულს მათგანს ჯერ კიდევ ეკლის გვირგვინი ადგია თავზე. ჯერ შორს არის ის ბედნიერი დრო, როცა ამ ეკლის გვირგვინს ქართველი ერი მოხდის თავზე თავ-განწირულს მოღვაწეს და შეუმკობს შრომაში გათეთრებულს ჭაღარას დაფნის ფოთლებით. ყოველი ქართველი პოეტი და მწერალი დღემდის თავის კუჭს ასაზრდოვებს მხოლოთ შიმშილით, გულს ნაღვლით და სულს უნუგეშობით. ასეთს გარე-მოებაში ჩაყენებული ქართველი მწერალი ნუ თუ არ არის იგივე მოწამე, რომელსაც ტანჯვის ჯილდოთ სამარეში მიჰქონდა ხოლმე შარავანდედი უკვდავებისა. ასეთ შარავანდედათ ჩვენი დაუვიწყარი პოეტის რაფაელისთვის უნდა შეიქნეს მისი საიუბილეო დღესასწაული, რომელზედაც იმან თავის თვალით უნდა იხილოს ქართველი ერის გულწრფელი დაფასება. სხვა ქვეყნებში ამისთანა მოღვაწეს ხალხი ამდიდრებს, უზრუნველ ცხოვრებას ანიჭებს და ბედნიერების ფიალას ხელში აძლევს. ჩვენ კი ყოველივე ამის მაგივრათ შეგვიძლია შრომაში დატანჯულს ჩვენს პოეტს მხოლოთ ერთი ბედნიერი წამი საერო თანაგრძნობისა გამოვაცდევინოთ. ესეც საკმაო იქნება მისთვის, რომ ყოველივე წარსული ტანჯვები დაივიწყოს და აღტაცებით წარმოთქვას: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, მშვიდობით!“ ნუ თუ ჩვენ დავიშურებთ ამ ბედნიერს წამს იმისთვის, ვისაც თავის ტკბილი ლექსებით ამდენი აზრი და გრძნობა გაუღვიძებია ჩვენს გულში. მაშ იმედი გვაქვს, ოც-და-ორი ოქტომბერი ღირსეულ ჯილდოთ მიერთმევა ჩვენს საყვარელს, ღვაწლით შემოსილს, პოეტ-მოხუცს.*

14 ოქტომბრის *ივერიაში* იბეჭდება აპ. წულაძის წერილი თავ. რაფიელ ერისთავის იუბილეის გამო, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ „*სამშობლო ხევსურისა*“-ს ავტორი ნამდვილად იმსახურებს ღირსეულ მადლობას ერისაგან და გამოდის წინადადებით, რომ რაფიელის სახელით აშენდეს ხევსურეთში სკოლა: *ჩვენს დიდებულ მხცოვანს პოეტს სხვა მრავალ შესანიშნავ ლექსთა შორის აქვს ერთი ხელი-ხელ საგოგმანებელი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“. არ მეგულება ისეთი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი, რომელმაც ეს ლექსი ზეპირად არ იცოდეს, ვიცნობ ისეთებსაც, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, მაგრამ ეს ლექსი და მისი შინაარსი კი იციან. დიაღ ამ ლექსს დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი – მას კითხულობენ სცენაზედ, მას კითხულობენ მეჯლის-ნადიმზე და სხვაგან. ვინ იცის ამ ლექსს რამდენისთვის აუჩქროლებია გული, რამდენისთვის ნეტარების ცრემლი მოუყენებია თვალზედ, რამდენს ლახვარივით მოხვედრია გულში, ვინ იცის რამდენი სამშობლოზედ ხელ-აღებული აუკვნეს-აუცრემლებია, რამდენს მოვლინებია მოძღვრად და დაურიგებია: -უკეთურო, უბადრუკო, სამშობლოს გამცემო, იუდავ, სამშობლოს სალ-კლდეების სრა-სასახლეებში გამცვლელო, ნუ სცვლი შენს დედა-სამშობლოს სხვის ქვეყანაზედ, თუ გინდ ის სამოთხე იყოსო, აგონებს გზა-დაბნეულს ცხოვარს. დიაღ! იმდენად ძლიერია ეს ლექსი, რომ რაფაელს მეტი არა დაეწერა, მაინც უკვდავი იქნებოდა და ვიდრე ჩვენი ერი ერად იქნებოდა, „სამშობლო ხევსურის“ ავტორს მის გულში ძეგლი ექნებოდა აგებული. და აი დღეს რაკი საუკეთესო შემთხვევა გვეძლევა მისი დიდი ხნის შრომა-ღვაწლი დავაფასოთ, სამშობლოს ერთგულად სამსახურისთვის მადლობა ვუთხრათ, იმაზედ გვინდა დაფიქრება, რომ მადლობა ღირსეული იყოს და როგორც იუბილარის ღვაწლი დაუვიწყარი და ნაყოფიერია, მადლობაც მზგავსივე უნდა გამოვთქვათ – შევუფერადოთ და შევუხამოთ მედღესასწაულე პოეტის სულის კვეთებას. დეე, ის დღე იყოს სამახსოვრო ჩვენდა შვილით-შვილადმდე. ამ დღის დიდებულება უპირველესად გამოვხატოთ იმითი, რომ ჩვენზედ უკან ჩამორჩენილ მოძმე ხევსურებს, იუბილარის საყვარელს თემს, რაფაელის სახელზედ სკოლა ავუგოთ. ხევსურეთი კარგა მოზრდილი კუთხეა ჩვენის ქვეყნისა, კარგი ნიჭის პატრონი მცხოვრებლებით არის დასახლებული, წარსულში სამშობლოს დაცვაშიაც დიდი მსხვერპლი მიუძღვით და აი ეს ერი დღეს უსკოლოდ არის დატოვებული. რაფაელმა მათ უძღვნა ლექსი – „სამშობლო ხევსურისა“. ჩვენც ამ დღის მოსაგონებლად ვუძღვნათ განათლებლის ლამპარი. ავუგოთ სკოლა, საცა პატარა ხევსურები „ჩააჭიკჭიკებენ“: არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა* (*ივერია*, № 222).

მოახლოვდა 22 ოქტომბერი. როგორც ჩანს, დღესასწაულზე დასწრების მსურველი ბევრი იყო და დადგა საკითხი წესრიგის დაცვის საჭიროებისა. შესაბამისად, 18 ოქტომბრის *ივერიაში* ქვეყნდება რედაქციის განცხადება, რომ იუბილეზე დასწრების მსურველმა უნდა აიღოს კონტრამარკა: *გამგე კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თ. რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღესასწაულზედ დასასწრებად თეატრში კვირა დილით 22 ოკტომბერს საჭიროა ყოველმა მსურველმა კონტრამარკა აიღოს წესიერების დასაცავად. მსურველთ კონტრამარკა უნდა აიღონ წინდაწინ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, ივერიის, კვალის და მოამბის რედაქციებში* (№224).

19 ოქტომბრის *ივერიის* (№ 225) პირველსავე გვერდზე, პირველ ინფორმაციად იბეჭდება საიუბილეო კომიტეტის განცხადება, რომელშიც კონკრეტულადაა მითითებული, თუ ვინ რა მიმართულებითაა პასუხისმგებელი და დღესასწაულზე დასწრების მსურველმა ვის და სად უნდა მიმართოს. ეს განცხადება მეორდება 20 და 21 ოქტომბრის ნომრებშიც (№226, №227).

*საიუბილეო დღესასწაული თავ. რ. ერისთავისა*

- *დეპუტაციები და სიტყვის თქმის მსურველნი მიჰმართავენ დღესასწაულის წეს-რიგის მიმცემს გიორგი წერეთელს.*
- *ლოჟისა და სხვა ადგილის კონტრამარკებისათვის უნდა მიმართონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას და ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, ხოლო ქანდარისა და ამფითეატრის კონტრამარკებისათვის – ვლ. ალექსი-მესხიშვილსა და კ. მესხს, ქართულ თეატრის კანტორაში, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-7-მდე.*
- *ნადიმზედ დასწრების მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ვ. გუნიას შაბათს შუადღემდე.*
- *დეპუტაციებისა და მომლოცველთა შესახებ წეს-რიგის დადგენა კი მინდობილი აქვთ თეატრის დარბაზში ვლ. ალექსი-მესხიშვილს, კ. მესხსა და ვალ. გუნიას.*

იუბილე რომ უნაკლო გამოსულიყო, ასეთი გადაწყვეტილებაც კი მიიღეს – ყოველი მაზრიდან დეპუტაციები ჩამოსულიყვნენ წინა დღით, შაბათს და საღამოს ყველანი შეკრებილიყვნენ სათავადაზნაურო ბანკის თეატრში ერთმანეთის გასაცნობად და შემდგომ ერთად გაევლოთ ყოველი დეტალი. *მართლაც შაფათს დილით გამოცხადდნენ კვალის და ივერიის რედაქციებში ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოსული დეპუტაციები, რომელთაც დაევალათ იმ საღამოს შვიდ საათზე შეკრებილიყვენ ბანკის თეატრის დერეფანში მილოცვის წეს-რიგის გამოსაცხადებლათ და მათი მისალოცავის და საჩუქრების გასახილველათ. შაფათ საღამოს იმათმა კრებამ იუბილარის დღესასწაულობის მეთაურებს გული გაუნათლა. იჭვი აღარ იყო, რომ დიდებული საერო თვითცნობიერების წამი მზადდებოდა* (*კვალი*, №46).

და აი, დადგა 22 ოქტომბერი. ორივე გაზეთის პირველსავე გვერდზე საიბილეო კომიტეტის სახელით ჩნდება საიუბილეო დღესასწაულის წეს-რიგი, რომელიც 9 პუნქტს მოიცავს:

- *ოკტომბრის 22-ს, 11 საათზე ყველა დეპუტაციები და პატივისმცემელნი მოგროვდებიან*

*ქაშვეთის ეკლესიის გალავანში.*

- *11 1/2 საათზე იუბილარს მოიყვანენ ეტლით ქაშვეთის ეკლესიის გალავანში თ. აკაკი წერეთელი და თ. ილია ჭავჭავაძე.*
- *პარაკლისს გადაიხდის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე და შემდეგ იუბილარს წაიყვანენ იმავე წესით ქართული თეატრის დარბაზში.*
- *პარაკლისის გათავებისთანავე დეპუტაციები გაემგზავრებიან ქართული თეატრის დარბაზში იუბილარის დასახვედრად.*
- *დარბაზის დერეფანში იუბილარს მიეგებება სამხედრო ხორო მუზიკისა, ხოლო თვით ტეატრის დარბაზში გურულთა და რატილის მომღერალთა დასები.*
- *ამას შემდეგ დაიწყება დეპუტაციების მილოცვა დადგენილის წესისამებრ.*
- *საღამოს 8 საათზე დანიშნულია იუბილარის პატივსაცემათ ქართული წარმოდგენა. ანტრაქტებში წაიკითხავენ თ. რ. ერისთავის ლექსებს.*
- *წარმოდგენა რომ გათავდება, შემდეგ ქართული დრამატული საზოგადოება და დასი გამართავს სადღესასწაულო მილოცვას.*
- *შემდეგ გაიმართება თავად-აზნაურთა საზამთრო ბაღში ნადიმი“.*

მზიანი დღე იყო, მშვიდი, წყნარი. დილის ათი საათიდან დაიწყო ხალხმა მოსვლა ქაშვეთის ეკლესიის ეზოში და ძალიან მალე იმდენი მოგროვდა, რომ ტევა აღარ იყო, უმრავლესობა ეკლესიის გალავნის გარეთ იდგა. შუადღისას, თეთრცხენშებმული ეტლით, მობრძანდა იუბილარი. მას ახლდნენ ილია და აკაკი. პარაკლისი გადაიხადეს ალექსანდრე ეპისკოპოსმა და არქიმანდრიტმა ლეონიდემ (ოქროპირიძე). პარაკლისს ასევე ესწრებოდნენ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი, თავადი კონსტანტინე მუხრან-ბატონი, კავკასიის კორპუსის სარდალი, თავადი ივანე ამილახვარი, სახელმწიფო ქონებათა გამგე გამრეკელი, თბილისის ქალაქის თავი, თავადი ნიკოლოზ არღუთაშვილი (არღუთინსკი), ქართული, სომხური და რუსული გაზეთების წარმომადგენლები.

პარაკლისის შემდეგ ვაჟთა გუნდმა *მრავალჟამიერი* უგალობა იუბილარს, ხოლო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მოკლე და ემოციური სიტყვით მიულოცა დღესასწაული და დალოცა მაცხოვრის ხატით; ასევე მიულოცა ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა დავით ჭრელაშვილმა. სიტყვა წარმოსთქვა არქიმანდრიტმა ლეონიდემაც: *დღევანდელი დღე საქართველოში შეადგენს რაფიელის სრულ საკუთრებას. მხცოვანი და ჭაბუკი, გლეხი და თავადი, ქალი და ვაჟი, ბარათ და მთათ, ველათ, დაბათ და ქალაქათ ჰბჭობს, მსჯელობს, ლაპარაკობს და ფიქრობს მხოლოთ იმ სასიქადულო მამულიშვილზედ, რომლის „გულმა აღმოსთქვა სიტყვა სიტყვა კეთილი“, რომელმაც დაგვასაჩუქრა ხელის-ხელ საგოგმანებელი ობოლი მარგალიტებრივი ლექსებით, რომელთა კითხვას არა ერთ გზის დავუტკბივართ, ვუნუგეშებივართ, გავუმხნევებივართ, ზნეობრივ გავუზრდივართ და გავუფაქიზებივართ, ვითარცა გულითადს ლოცვას... თუ რა მადლით, რა ნიჭით და ძალით არის აღბეჭდილი იუბილარის „გულიდამ აღმონათქვამი კეთილი სიტყვა“, ამას ცხად-ჰყოფს დღევანდელი, სიყვარულით აღვსილი, პატივისცემით აღფრთოვანებული, მადლობის გადახდის სურვილით გატაცებული კრება. ამერ-იმერნი, ბარელ-მთიელნი, მღვდელნი და ერი თანაბრად შევტრფით ნიჭიერ მგოსანს ნიშნად იმისა, რომ მის ნაწერებს დიდად უმოქმედნიათ ჩვენზე, მისი მადლიანი სიტყვა ჩაგვწდომია ყველას გულის სიღრმემდე, მისი აზრი და მისწრაფება მიგვიღია ყველას სახელმძღვანელოდ* (*საერო*.. გვ. 102-107).

როდესაც რაფიელ ერისთავი ეკლესიიდან გამობრძანდა, აუარებელი ხალხი ქუდმოხდილი ესალმებოდა და ულოცავდა იუბილეს საყვარელ მწერალს.

ქაშვეთიდან დელეგაცია თეატრისკენ გაემართა. იუბილარს იქაც დიდძალი ხალხი დახვდა, რომელიც *ვაშას* შეძახილით მიესალმა, ორკესტრი კი ქართულ მარშს უკრავდა.



თეატრის დარბაზი მორთული იყო მრავალფეროვანი ყვავილებით, გვირგვინებით. სცენის მარჯვენა მხარეს იდგა იუბილარის სავარძელი...

იუბილარი სცენაზე გურულებისა და იოსებ რატილის გუნდის სიმღერით ავიდა. მას მიჰყვებოდნენ ილია და აკაკი. როგორც კი რაფიელ ერისთავი სცენაზე გამოჩნდა, შეკრებილი საზოგადოება ფეხზე წამომდგარი, ტაშისცემითა და *ვაშას* გრიალით შეეგება. კარგა ხნის განმავლობაში გუგუნებდა აღტაცებული საზოგადოება...

იუბილარი მისთვის განკუთვნილ სავარძელში დაბრძანდა. მისგან მარჯვნივ აკაკი დაჯდა, მარცხნივ – ილია. სავარძლის გვერდით იდგა დიდი მაგიდა საჩუქრებისთვის, რომლებსაც იღებდნენ კ. მესხი და ვლ. მესხიშვილი. სტუმრების სია ეჭირა ვალერიან გუნიას, რომ რიგის მიხედვით გამოეძახებინა. ხოლო გრ. აბაშიძეს ევალებოდა ხმამაღლა გამოეცხადებინა თითოეული დეპუტაცია, რომელიც მოსალოცად იყო მოსული.

მოსალოცად მოსული დეპუტაცია კი მართლაც შთამბეჭდავი იყო, განსაკუთრებით კი ეროვნულ ტანისამოსსა და ჯაჭვის პერანგში გამოწყობილი თუშ-ფშავ-ხევსურების დეპუტაცია, რომლებიც *მღაპრული დევ-გმირებივით* წამოდგნენ და იუბილარს მოკლედ მიულოცეს: *ღმერთმა დაგლოცოს, დიდხანს გაცოცხლოს, გადღეგრძელოს!* ეროვნულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი აჭარის დეპუტაციაც.

დაიწყო მილოცვები. ყოველი დეპუტაცია რიგრიგობით კითხულობდა ადრესსა და მოლოცვას. წერა-კითხვის საზოგადოების ადრესის წაკითხვის შემდეგ საზოგადოების წარმომადგენელმა, ექიმმა, ივანე ელიაშვილმა გამოაცხადა, რომ საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა, დააარსოს წიგნთსაცავი რაფიელ ერისთავის სახელზე იქ, სადაც დაიბადა საყვარელი პოეტი.

სიტყვები წარმოთქვეს: *კავკაზის* რედაქტორმა *იური მილუტინმა; ნოვოე ობოზრენიეს* რედაქტორმა *ვასილ თუმანიშვილმა; არძაგანქის* რედაქტორმა *აბგარ იოანესიანმა, მშაკის* რედაქტორმა *ალექსანდრე ქალანტარმა; ტარაზ-აღბიურის* რედაქტორმა *ტიგრან ნაზარიანმა;* გაზეთ *ნორ-დარის* წარმომადგენელმა; *გიორგი გვაზავამ.* გვირგვინები მოართვეს *თბილისის ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა, რუსული ოპერეტის* დასმა, *ქართულმა* დრამატულმა დასმა, *ქართულმა* დრამატულმა საზოგადოებამ, *სომხურმა* დრამატულმა დასმა, *რატილის* გუნდმა...

ლექსები წაიკითხეს *ნინო ორბელიანისამ, დავით მაჩხანელმა, არტემ ახნაზაროვმა, იროდიონ ევდოშვილმა, ა. წულაძემ* და სხვებმა. ახალგაზრდა პოეტის, გრიგოლ აბაშიძის, ლექსმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. *ოლღა აღლაძე, ივერიის* თანამშრომელი, თავის მოგონებაში იხსენებს: *...ქართულ თეატრში ამ იუბილეზე გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე, რომელმაც ძალიან კარგი ლექსი უძღვნა რაფიელ ერისთავს. ილია ჭავჭავაძეს ისე მოეწონა ეს ლექსი, რომ გრიგოლ აბაშიძეს გადაეხვია და გადაკოცნა. კარგად დავინახე ორივეს თვალებში როგორ ბრწყინავდა ცრემლი* (*ლიტერატურის მატიანე,* ტ.6, ნაკვეთი პირველი).

დეპუტაციების მილოცვები, დეპეშები თუ სიტყვები სამი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. დასასრულ, იუბილარმა მადლობა გადაუხადა ყველას. კვლავ სიმღერითა და *ვაშას* ძახილით გააცილეს სცენიდან საყვარელი მგოსანი. გარეთაც *ვაშას* შეძახილით შეეგება აუარებელი ხალხი. ქალები თაიგულებს უფენდნენ ფეხქვეშ, ხოლო თუშ-ფშავ-ხევსურებმა ხალხური სიმღერა შემოსძახეს.

საღამოს 8 საათისთვის თეატრის დარბაზი კვლავ შეივსო, რათა ენახათ *საიუბილეო წარმოდგენა.* დრამატულმა დასმა წარმოადგინა რაფიელ ერისთავის პიესები – *ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ* და *ბიძიასთან გამოხუმრება.*

წარმოდგენის შემდეგ სადღესასწაულო მილოცვა გამართა დრამატული საზოგადოების გამგეობამ, რომელმაც წაიკითხა ადრესი და იუბილარს მიართვა დიპლომი საზოგადოების საპატიო წევრობისა, რომელსაც ხელს აწერენ საზოგადოების თავმჯდომარე, *მიხეილ კვალიაშვილი* და მდივანი *ივანე მაჭავარიანი.*

წარმოდგენის შემდეგ ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლის *ზამთრის ბაღში* გაიმართა ნადიმი, რომელსაც სამასამდე ადამიანი ესწრებოდა, თამადობდა *გ. ყარანგოზიშვილი*. ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ორკესტრი უკრავდა, შემდეგ ქალთა და ვაჟთა გუნდი *მრავალჟამიერს* მღეროდა, რასაც *იოსებ რატილის* გუნდის სიმღერა მოსდევდა, შემდეგ – გურულების სიმღერა და ბოლოს დუდუკზე უკრავდნენ.

სუფრაზე მრავალი სიტყვა იყო წარმოთქმული, როდესაც გრიგოლ აბაშიძემ შენიშნა: *ეს რა ამბავია, ჩვენი ორი გამოჩენილი პოეტი სხედან და ხმას არ იღებენ მაშინ, როდესაც ასე საქართველოს ყოველ მხრიდან შეკრებულ საზოგადოებას ესენი ძვირათ ნახავენო. ესენი ელიან მათგან საგულისხმო სიტყვების მოსმენას და ისინი კი გაჩუმებული სხედან-ო* (*კვალი*, №46).

საპასუხოდ წამოდგა აკაკი და წარმოთქვა საკმაოდ ემოციური სიტყვა: *დიდებული მგოსანი რუსთველი, რომელიც ამ შვიდი საუკუნის განმავლობაში ასე ძლიერათ გვფენს შუქს, რომ მისი ანარეკლი სხივებით დღესაც კიდევ ზოგიერთები ბრწყინავენ. აი, რას ამბობს ერთგან: „რაღაა იგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელიაო?“ ეს სიტყვები დღეს სწორეთ ჩემზეა გამოჭრილი: რაღა სიტყვაა ის სიტყვა, როდესაც მთქმელი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს, რომ არ აღელდეს და არა ევნოს რა, როგორც ავათმყოფს – სწორეთ ეს იყო მიზეზი ჩემი დღევანდელი მდუმარებისა და არა ის, რასაც აქ ბძანებენ. ის უსამართლო სიტყვები ეკლათ მოხვდა ჩემ გულს და კიდევაც მაიძულებს, მოგახსენოთ რამ და სიმცირისათვის ნუ შემრისხავთ – თ. რაფიელ ერისთავის პოეზიის შესახებ ბევრი რამ წარმოითქვა დღეს აქ; იმ ორმოც-და-ათი წლის განმავლობაშიაც ბევრი თქმულა. მე თვითონ ერთ დროს ბეჭდვით წარმოვთქვი ჩემი აზრი და რადგანაც დასამატებელი ახალი აღარა მაქვს რა, ამისთვის პირ-და-პირ გადავალ მაგის ღირსების სხვა და სხვა მხარეებზე. ბ. რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო და ხომ მოგეხსენებათ, თუ რა ტვირთი აწვება მარტოხელა კაცს ოჯახში? რომ ოჯახი არ დაექცეს და კერა არ გაუცივდეს, ყოველიფერს უნდა წაუპოტინოს ხელი. ესეც აკეთოს – ისიც, აქაც იყოს – იქაც და თავის სიცოცხლე უნდა ათენ-აღამოს სხვა-და-სხვა მრავალ-გვარ წვრილმან საქმეების კეთებაში. როდესაც წამოეზდებიან შვილები და შვილიშვილები, ოჯახი გაკაცსულიანდება და ერთის სამუშაოს ასი და ორასი გაინაწილებს, მაშინ სულ სხვებრ წავა საქმე. საოცარი შესანიშნავიც რომ იყოს მარტოხელი მუშა, რომელიც ბევრს სხვა-და-სხვა რამეს აკეთებს და ერთისათვის მარტო ვერ იცლის, რომელიმე ნასაქმის სიდიადით ვერ გაგვაკვირვებს. მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნახვაწი – ზღვას, მაგრამ თუ ამას ათას გვარ წვრილმან ნასაქმარს ერთმანეთს შეუხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც. სწორედ ამ თვალით უნდა ვუყურებდეთ ზოგიერთ მესამოცე წლების მოღვაწეებს და მათ რიცხვში თავად რაფიელ ერისთავსაც. ორმოცი წელიწადია თვალყურს ვადევნებ მაგის მოღვაწეობას და არცერთხელ არ შემინიშნავს, რომ მაგას გულ-გრილათ გვერდი აევლოს ჩვენი შინაური საქმეებისათვის და შესაფერი თანაგრძნობა არ გამოეცხადებინოს. მაგას ყავდნენ ამხანაგები, მაგრამ ბევრი ჩამოშორდა და გადაუხვია. მარუ-ლაში, ანუ როგორც აქ ეძახიან, დოღში, ყველა ბედაურებს თანასწორათ მიაქვთ ხოლმე იერიში პირველ გამოხტომაზე, მაგრამ გზათ კი ძალა-უნებურათ ჩამორჩებიან ხოლმე ერთი-მეორეს და დანიშნულ ადგილამდე მხოლოთ მცირეოდენნი მიაწევენ. ისე იყო აქაც და ბატონმა რაფიელ ერისთავმა ორმოც-და-ათის წლის წრემდე პირნათლად მოაწია. თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში ბევრი თვალსაჩინო ადგილი სჭერია მაგას სხვა-და-სხვა ასპარეზზე და მაგის ნიჭისა და შრომის პატრონს დღეს გულმკერდი ვარსკვლავებით უნდა ჰქონდეს მოჭედილი და ჯიბე სქლათ გატენილი. მაგრამ ვერცერთს ვერა ვხედავთ დღეს! არა თუ ამ დროში, დღესაც უმეტესობას უდრეკი ხასიათი უხასიათობათ მიაჩნია და ჰკიცხავს. ეგება ამასვე ფიქრობდეს ზოგიერთები ამის შესახებაც და ეს დიდი შეცდომა იქნება. თ. რ. ერისთავი მხოლოთ მაშინ ხდებოდა იძულებული დაენებებია თავი მოღვაწეობისათვის, როდესაც გარემოება მოთხოვდა მისგან, რომ საკუთარი რწმუნების წინააღმდეგ, სხვის ნებაზე წასულიყო და გადაეხვია. მაშინ მხოლოთ ივიწყებდა თავის-თავს, ოჯახს, ცოლ-შვილს და რჩებოდა რიყეზე. ამისთანა დროს გულ-გაუტეხლობა და გულ-დაუჩაგვრელობა, სწორეთ გმირობაა და ეს ძალა კიდეც ჰქონდა



*მინიჭებული რაფიელს. აქ უადგილო არ იქნება, რომ გავიხსენოთ ერთი შემთხვევა: ერთხელ ამ ოც-და-თხუთმეტი წლის წინათ მოვინდომეთ შინაურულათ სალიტერატურო საღამოს გამართვა და რის ყოფით, ძლივს მოვაგროვეთ ოციოდე კაცი. მაშინ ეს პირველი და უცხო ანბავი იყო. ჩაისა და ხილის მორთმევის შემდეგ, როცა შევუდექით საქმეს, ათი გამოგვეპარა იმის შიშით, რომ ვაი თუ გვიწყინონო, ხუთს დაეძინა იქვე და დავრჩით მხოლოდ მარტო ხუთიოდე... მაშინ შევეკითხეთ ერთმაენთს: „ეჰ, რას უნდა მოველოდეთ?“ და უნუგეშოთ ჩვენვე მივეცით ჩვენ თავს პასუხი: „არაფერია! დღეს ხუთი იყოს, ხვალ ათი იქნება, ზეგ ასი და ამგვარათ!“.. ვაი, რომ ჩვენ ვეღარ მოვესწრებით, თვარა კეთილი თესლი უნაყოფოთ არ დარჩებაო და სხვანი... თურმე ვცდებოდით მაშინ და დღეს შემიძლია, მაშინდელის საპასუხოთ, მივუთითო ამ ხალხზე ბ-ნ იუბილარს და ვუთხრა: აი, თუმცა დაგვიანებული, მაგრამ ჭეშმარიტი პასუხი! ხომ ხედავ, სხვა-და-სხვა კუთხეებიდან ჩვენი ქვეყნისა მოსულან ქართველები, რომ იდღესასწაულონ შენი ბედნიერი დღე და თანაგრძნობა გამოგიცხადონ!.. და ზედაც კიდევ ეს დავძინოთ: ბედნიერო მოხუცო! ნუ დაივიწყებ, რომ დღემდისაც გადახდილა იუბილეები ზოგიერთების, მაგრამ ეს ამბავი კი არ ყოფილა!.. ეს ამბავი შეუძლია მხოლოთ ნიჭს, რომ გამოიწვიოს, მაგრამ რას ვამბობ? რა არის მარტო ნიჭი, თუ თანვე არ ეახლება შრომისმოყვარეობა და გულწრფელობა? და ესეები კი ყველა ერთათ მომადლებული ჰქონდა ბ. რ. ერისთავს. იცოცხლოს დიდხანს მომავალი თაობის სამოძღვრო-სამაგალითოთ“.* (საერო... გვ. 109-112)

აკაკის სიტყვის შემდეგ მსახიობმა ნატალია გაბუნიამ დუდუკის თანხლებით იმღერა აკაკის

*აღმართ აღმართ მივდიოდი მე ნელა.*

ამის შემდეგ კი სიტყვა წარმოთქვეს: *ილიამ, გიორგი წერეთელმა, ივანე მაჩაბელმა, მიხეილ მაჩაბელმა, კ. ჩხეიძემ* და სხვებმა. ნადიმის დასასრულ *კ. მესხმა* წაიკითხა იუბილარის სამადლობელი ლექსი, რომელმაც საზოგადოება ფრიად მოხიბლა. მათ გაამეორებინეს ლექსი კ. მესხს, ამის შემდეგ კი მთელი საზოგადოება წამოიშალა და მშვენიერი ლეკურიც გაიშალა.

საიუბილეო ნადიმის მხიარულებამ დილის ოთხ საათამდე გასტანა.

ასე დიდებულად და ზარზეიმით გადაიხადეს საყვარელი მგოსნის იუბილე. ოფიციალური ზეიმის გარდა, იუბილე უბრალო ხალხმაც აღნიშნა. ქაშუეთში გადახდილი პარაკლისის პარალელურად, ქართულ საკვირაო სკოლაში გაიმართა *საიუბილეო* დილა. ორასზე მეტი მოსწავლე გოგონა, მშობლებითურთ, დაესწრო ამ ღონისძიებას. წაიკითხეს იუბილარის ბიოგრაფია, შემდეგ კი მოსწავლეები თავად კითხულობდნენ რაფიელ ერისთავის ლექსებს.

ოთხი საათისთვის ავჭალის ქუჩის *იაფფასიანი სასადილოს* შენობაში ხალხისთვის გაიმართა საიუბილეო წარმოდგენა. როგორც *კვალი* წერს, ... *დიდძალი მდაბიო ხალხი მოაწყდა ამ წარმოდგენას; მაგრამ, რადგანაც შენობამ სამასზე მეტი ვერ დაიტია. გულ-დაწყვეტილი ხალხი იძულებული შეიქნა, დაბრუნებულიყო. აქა-იქ გაისმოდა უკმაყოფილო ხმა: „მანათს გაძლევთ შაურის მაგიერათ, ოღონდ შეგვიშვით“! წარმოადგინეს იუბილარის კომედია „ადვოკატები“ და ორიოდე სიტყვით გააცნეს რაფაელის ცხოვრება და იმ დღის მნიშვნელობა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ზოგიერთი მასწავლებელი ქალი და ხელოსანი* (*კვალი*, №46).

## დასკვნა

ქართველმა ერმა მართლაც საერო დღესასწაულად აქცია 1895 წლის 22 ოქტომბერი, რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელმაც ერთი გრძნობით შეკრა და გააერთიანა მთელი ერი. სწორედ ამ ერთიანობამ და ხალხისგან მიღებულმა სიყვარულმა ათქმევინა იუბილარს სამადლობელ ლექსად: *ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა, მაგრამ რაღა სჯობს ამ გრძნობას საერთოს, სანეტაროსა!...*

## ბიბლიოგრაფია


*საერო დღესასწაული, თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო* (1899). გამოცემა ექვთიმე ივანესძე ხელაძისა, თბილისი.

გაზეთი *ივერია*. (1895 წ.). №№ 108; 141; 157; 206; 211; 213; 214; 215; 222; 224; 225; 226; 227. ტფილისი.

გაზეთი *კვალი*. (1895 წ.). №№ 4; 22; 29; 31; 40; 41; 42; 43;44; 45; 46. ტფილისი.



*ია ღადუა*
ფილოლოგიის დოქტორი,
უნიკალური წიგნების ფონდის კურატორი,
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

*Ia Ghadua*
Doctor of Philology,
Curator of the Unicum Books Collection,
Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature
ORCID-ID: 0000-0002-7434-2519




# რაფიელ ერისთავის სამეცნიერო მემკვიდრეობა

## *კვლევები, იდეები, ნოვაციები*

## აბსტრაქტი


რაფიელ ერისთავი ფართო საზოგადოებისთვის ძირითადად ცნობილია როგორც საზოგადო მოღვაწე და პოეტი, რომლის ლექსებზეც თაობები გაზრდილა. თუმცა ბევრისთვის უცნობია, რომ მისი პირველი წარმატებები და ცნობადობა საზოგადოებაში უკავშირდება არა ლიტერატურულ, არამედ დამწყები სახელმწიფო მოხელის სამეცნიერო და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. 1840-1850-იან წლებში პრესაში გამოქვეყნებულმა პირველმა სამეცნიერო და პუბლიცისტურმა ნარკვევებმა რაფიელ ერისთავს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარსა და მოღვაწეს, დიდი აღიარება და ავტორიტეტი მოუპოვა. აქედან მოყოლებული, ის თავისი შემოქმედებით, წიგნიერებითა თუ პრაქტიკული საქმიანობით ერთგულად ემსახურა ქართული კულტურის წარმოჩენას, მეცნიერებას, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, თავის ერსა და ქვეყანას.

ერისთავის სამოხელეო, შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობა გამოირჩევა მრავალმხრივობით, აქტუალობით. ის იყო სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციის: *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების, კავკასიის მუზეუმის, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის* თანამშრომელი; ასევე, არაერთი კულტურული დაწესებულების დაარსების ინიციატორი. თანამშრომლობდა კავკასიასა და საქართველოში სამეცნიერო ჟურნალების რედაქციებთან, პრესასთან, აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, ენათმეცნიერულ და ლექსიკოგრაფიულ კვლევებსა და პუბლიკაციებს.

მეტად ნაყოფიერია რაფიელ ერისთავის სამეცნიერო შემოქმედება. ის ითვლებოდა საქართველოს მთიანი რეგიონის – თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ საუკეთესო ნაშრომის ავტორად; მონაწილეობდა ამ მხარის კარტოგრაფიული რუკის შედგენაში, დააზუსტა და შეასწორა გეოგრაფიული ტერმინოლოგია. ასევე, ფასდაუდებელია მისი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებები იმერეთისა და სამეგრელოს შესახებ.

რაფიელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლექსიკოლოგიის განვითარებაში: შეადგინა და გამოსცა პირველი *ქართულ-რუსულ-ლათინური მცენარეთა ლექსიკონი,* დაადგინა მცენარეთა ქართული დეფინიციები და სახელები, მათი შესატყვისობა და მიმართება რუსულ და ლათინურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიასთან. ამგვარად, რაფიელ ერისთავმა სათავე დაუდო ქართული *ფიტონომიის* (მცენარეთა სახელწოდებების შემსწავლელი მეცნიერება) განვითარებას. მან ასევე, გამოსცა

მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამენოვანი ლექსიკონი. ბევრი იმუშავა გეოგრაფიულ სახელთა, მედიცინის, ქიმიის, მეტეოროლოგიის, სამჭედლო და სადურგლო საქმისა და სხვა დარგობრივი ტერმინოლოგიის დადგენაზე.

ლექსიკოლოგიურმა ძიებებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა XIX ს-ის 80-იან წლებში, როდესაც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, *კ. იანოვსკის* ინიციატივით, ხელისუფლებამ განიზრახა სკოლებში ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლება. მან ეს გადაწყვეტილება გაამართლა ქართული ენის სიღარიბით, სიმწირითა და ამ ენაზე სამეცნიერო ტერმინოლოგიის არარსებობით. რაფიელ ერისთავის ლექსიკოლოგიური ძიებები და მის მიერ შედგენილი დარგობრივი ლექსიკონები ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სრულყოფას ემსახურებოდა. მან უჩვენა ქართული ენის განუსაზღვრელი სამეცნიერო შესაძლებლობები და ამით უარყო ქართული ენის შესახებ რუსი მოხელეების თვალსაზრისი.

მნიშვნელოვანია მისი წვლილი საქართველოში მუზეოლოგიის, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მეცნიერების, იმ დროისთვის ახალი სამეცნიერო დისციპლინების განვითარებაში. რაფიელ ერისთავმა შეიმუშავა მუზეუმის კატალოგის შედგენის გეგმა. საქართველოში საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის პირველი კატალოგის შემდგენი სწორედ რაფიელ ერისთავი იყო. თუ აღმოსავლეთ საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრები *დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის* სახელს უკავშირდება (1852 წ.), დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ პირველს არქეოლოგიური სამუშაოები რაფიელ ერისთავს ჩაუტარებია ანაკლიის ციხე-სიმაგრის მახლობლად (1859 წ.).

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა არაერთი საპატიო ჯილდოთი აღინიშნა. სამეცნიერო კვლევებისთვის მიიღო *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ოქროსა* და *კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების* ვერცხლის მედლები. სარგებლობდა სხვადასხვა საზოგადოების საპატიო წევრის სტატუსით. ამ ჩამონათვალს ემატება სოლიდური ჯილდოები – ორდენები და მედლები სამოხელეო მოღვაწეობისათვის.

სამეცნიერო ძიებებმა, იდეებმა და ნოვაციებმა, კულტურული მემკვიდრეობის აქტიურმა წარმოჩენამ და დაცვამ, კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის სამოხელეო კარიერის მიუხედავად, მის მოღვაწეობას ეროვნული სული და შინაარსი შეუნარჩუნა და თავისი დროის საქართველოს ერთგვარ სიმბოლოდაც აქცია. რაფიელ ერისთავის მოღვაწეობამ გარკვეული საფუძველი შეუმზადა, XIX ს-ის 60-იანი წლებიდან საქართველოში გაშლილ ეროვნულ და კულტურულ აღმავლობას, ასევე განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც რაფიელ ერისთავი, მოგვიანებით, თავადაც შეუერთდა.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; XIX საუკუნე; ქართველი საზოგადო მოღვაწეები; ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება; ლექსიკოლოგია; მუზეოლოგია; ეთნოგრაფია საქართველოში; არქეოლოგიური კვლევები საქართველოში; ფიტონომია.





# RAPHIEL ERISTAVI'S SCIENTIFIC LEGACY: *STUDIES, IDEAS, AND INNOVATIONS*

## ABSTRACT

Raphiel Eristavi is widely known to the public primarily as a public figure and poet, whose poems have shaped generations. However, for many, it is unknown that his first successes and recognition in society are tied not to his literary work, but to his early career as a public servant and his scientific and journalistic activities. The first scientific and journalistic articles published in the press in the 1840s and 1850s earned Raphiel Eristavi, still a young researcher and public figure at the time, great recognition and authority. From that point onward, he faithfully served the promotion of Georgian culture, science, the development of public life, and the welfare of his nation and country through his work, scholarship, and practical activities.

Eristavi's public service, creative, and scientific activities are characterized by their diversity and relevance. He was a member of several scientific organizations, including the Caucasian Department of the Russian Geographical Society, the Caucasus Museum, the Caucasus Agricultural Society, and the commission for the establishment of the *Knight in the Panther's Skin* text. He was also the initiator of the establishment of numerous cultural institutions. He collaborated with the editorial boards of scientific journals in the Caucasus and Georgia, as well as with the press, publishing ethnographic, folkloristic, linguistic, and lexicographical research and articles.

Raphiel Eristavi's scientific work was remarkably prolific. He was considered the author of the best work on the mountainous regions of Georgia – Tusheti, Pshavi, and Khevsureti. He participated in the creation of the cartographic map of this area, refining and correcting its geographical terminology. His ethnographic studies on Imereti and Samegrelo are also invaluable.

Eristavi made a significant contribution to the development of lexicology. He compiled and published the first Georgian-Russian-Latin dictionary of plants, establishing the Georgian definitions and names for plants, as well as their equivalents and relationships with Russian and Latin botanical terminology. In this way, Raphiel Eristavi laid the foundation for the development of Georgian phytonomy (the science of plant nomenclature). He also published a trilingual dictionary of plants, animals, and metals. He worked extensively on the determination of geographical names, as well as terminology related to medicine, chemistry, meteorology, blacksmithing, carpentry, and other specialized fields.

Lexicological studies gained particular relevance in the 1880s when, at the initiative of K. Yanovsky, the overseer of the Caucasus educational district, the government decided to implement the teaching of all subjects in Russian in schools. This decision was justified by the perceived impoverishment, scarcity, and lack of scientific terminology in the Georgian language. Raphiel Eristavi's lexicological work and the specialized dictionaries he compiled were aimed at refining Georgian scientific terminology. He demonstrated the vast scientific potential of the Georgian language, thereby refuting the view held by Russian officials regarding the inadequacy of Georgian as a language

## შესავალი

რაფიელ ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიას და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებს. მის სამოხელეო საქმიანობას და ლიტერატურულ შემოქმედებას საინტერესოდ ერწყმის და განსაკუთრებულად ამშვენებს საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობა. კვალიფიციური, მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა ჰუმანიტარული მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში: დრამატურგიასა და პუბლიცისტიკაში, ენათმეცნიერებასა და ლექსიკოლოგიაში, ისტორიაში, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორისტიკაში. ამავე დროს ის საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თუ საზოგადოებებთან.

აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავს დღევანდელი საზოგადოება, ძირითადად, იცნობს როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, მის პოეზიაზე თაობებია აღზრდილი. თუმცა ნაკლებად თვალსაჩინოა მისი სამეცნიერო საქმიანობა. არადა, XIX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე რაფიელ ერისთავი საზოგადოებამ გაიცნო სწორედ პრესაში გამოქვეყნებული მისი პირველი პუბლიცისტური და სამეცნიერო ნარკვევებით. აქედან მოყოლებული, მთელი ცხოვრების განმავლობაში, თავისი შემოქმედებით, წიგნიერებითა და პრაქტიკული საქმიანობით ის ერთგულად ემსახურა ქართული კულტურის წარმოჩენას, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, თავის ერსა და ქვეყანას. მან მოახერხა საოცარი წონასწორობისა და ბალანსის შენარჩუნება და მეფის რუსეთის სამოხელეო სამსახურში ყოფნის მიუხედავად, დარჩა ხალხისა და საზოგადოების საყვარელ და პატივსაცემ ადამიანად, მოიპოვა შემოქმედის, მკვლევრის, ქვეყნის მოამაგისა და საზოგადო მოღვაწის ავტორიტეტი.

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო შემოქმედება დღემდე იწვევს ინტერესს. გამოქვეყნებულია თანამედროვე ავტორთა (*მ. რაზმაძე, ნ. კიღურაძე, ვ. ითონიშვილი, ვ. შამილაძე, მ. მაყაშვილი*) ნაშრომები მისი სამეცნიერო შემოქმედების ცალკეული მიმართულებების შესახებ, შეფასებულია მისი როლი და დამსახურება კონკრეტული სამეცნიერო დარგების განვითარებაში. რაფიელ ერისთავის სამეცნიერო ძიებების შესახებ საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული, ასევე, *შ. ვაშაყმაძის, თ. ჯაგოდნიშვილის* მონოგრაფიებში (ვაშაყმაძე, 1962; ჯაგოდნიშვილი, 1986), საიუბილეო გამოცემებში, რომელთა შორის საყურადღებოა თ. ჯაგოდნიშვილის პუბლიკაცია (*ჯაგოდნიშვილი*, 2023) და *ე. კაჭარავას* კონცეფციისა და პროექტის მიხედვით ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი საიუბილეო კრებული: *რაფიელ ერისთავი – 200* (*კაჭარავა, მორჩილაძე, ქოქრაშვილი, მანია, სულავა, ბელაშვილი, შარაბიძე*, 2024). თუმცა აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავის, როგორც მეცნიერის, სრულყოფილი პორტრეტის შექმნა და ამ მიმართულებით კომპლექსური კვლევა-ძიება სამომავლო საქმედ რჩება.

წარმოდგენილ პუბლიკაციაში შევეცდებით ამ მხრივ მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ; ვუჩვენოთ რაფიელ ერისთავის სამეცნიერო შემოქმედების ძირითადი ასპექტები, სამეცნიერო იდეები და სიახლეები; წარმოვაჩინოთ, როგორ პასუხობდა მისი სამეცნიერო მოღვაწეობა ეროვნულ და ეპოქალურ გამოწვევებს, რა ადგილი მოიპოვა მისმა სამეცნიერო მემკვიდრეობამ და ნააზრევმა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

## მეთოდები

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო იდეებისა და ნააზრევის კვლევა ძირითადად დაეფუძნა მისსავე პუბლიკაციებს, სამეცნიერო ნაშრომებს, სხვადასხვა საზოგადოებებთან და მისი დროის ცნობილ მკვლევრებთან სამეცნიერო ურთიერთობების ამსახველ მასალებს, გამოუქვეყნებელ დოკუმენტებს, რომელთა დიდი ნაწილი მოვიძიეთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებსა და საქართველოს საარქივო ფონდებში. ფასეული აღმოჩნდა, ასევე, მისი მოღვაწეობის შესახებ თანამედროვე მეცნიერთა შეფასებები. კვლევა შესრულდა



for scientific discourse.

His contribution to the development of museology, ethnographic, and archaeological sciences in Georgia – fields that were relatively new at the time – is of great significance. Raphiel Eristavi developed a plan for compiling a museum catalog and was the one who created the first catalog for the museum of the Caucasian Department of the Imperial Russian Geographical Society in Georgia. While the first archaeological excavations in Eastern Georgia are associated with the name of Dimitri Megvinetukhutsesvili (1852), in Western Georgia, it was Raphiel Eristavi who conducted the first archaeological work near the Anaklia Fortress (1859).

Raphiel Eristavi's scientific and public activities were recognized with numerous prestigious awards. For his scientific research, he received a gold medal from the Caucasian Department of the Russian Geographical Society and a silver medal from the Caucasus Agricultural Society. He was honored with the title of honorary member of various societies. In addition to these, his public service work was also rewarded with solid distinctions, including orders and medals.

Scientific research, ideas and innovations, along with the active presentation and safeguarding of cultural heritage, preserved the national spirit and essence of Raphiel Eristavi's work despite his career in the Russian administration in the Caucasus. His activities turned him into a kind of a symbol of Georgia during his time. His efforts laid the groundwork for the national and cultural revival that began in the 1860s in Georgia, as well as the liberation movement, which Eristavi later joined himself.

**Keywords:** Raphiel Eristavi; 19th century; Georgian public figures; Georgian humanities; Lexicology; Museology; Ethnography in Georgia; Archaeological research in Georgia; Phytonomy.

დასახელებული მასალების ისტორიულ-შედარებითი და ისტორიულ-კულტურული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. შევეცადეთ ფართო კონტექსტში გაგვეაზრებინა რაფიელ ერისთავის სამეცნიერო შემოქმედება. წარმოგვეჩინა მისი იდეების, მიგნებების ადგილი და გავლენა XIX საუკუნის ქართულ სამეცნიერო აზროვნებაზე.

## შედეგები

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რაფიელ ერისთავის სამეცნიერო შემოქმედება რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას მოიცავდა, რომელთა განვითარებაში მან ფუძემდებლური და ნოვატორული წვლილი შეიტანა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი როლი: ქართული *ეთნოგრაფიისა* და *არქეოლოგიის*, *მუზეოლოგიისა* და *ფიტონომიის* განვითარებაში, დარგობრივი ლექსიკონების შედგენასა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დაზუსტებაში. ასევე, *ტექსტოლოგიურ და საგამომცემლო საქმიანობაში.*

## მსჯელობა

***რაფიელ ერისთავი ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისა და სამუზეუმო საქმის სათავეებთან. თანამშრომლობა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან***

რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივი, ლიტერატურული თუ სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისი მოიცავს 1845-1857 წლებს. ეს იყო პერიოდი, როდესაც ის შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად იწყებს სამოხელეო საქმიანობას და სწრაფად გაივლის კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ჩინოვნიკური კარიერის საფეხურებს; სახელმწიფო სამსახურის პარალელურად, ეს იყო ძიებების, მშობლიურ მხარეში მოგზაურობის, ისტორიული ძეგლების, წარწერების, მრავალმხრივი მასალების შეგროვების წლები.

მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მიმართ ინტერესი და ძიებები რაფიელის ცხოვრების განსაკუთრებული გატაცება იყო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება მიზეზთა გამო ვერ შეძლო, თუმცა მშობლიურ გარემოში ყურადღებით, დიდი დაკვირვებით ეცნობოდა თავისი კუთხის წარსულს, ხალხს, მათ ადათებს; ბევრს მოგზაურობდა, ცდილობდა არამარტო აღენუსხა მათი ყოფის თავისებურებები, არამედ ამოეხსნა და შეეცნო ტრადიციების ფორმირებისა და შინაარსის იდუმალება. ეს, ერთი მხრივ, მისი მხატვრული შემოქმედების ხალხურობის უმთავრესი წყარო გახდა, მეორე მხრივ კი, სამეცნიერო მემკვიდრეობის საფუძველი. მშობლიური ქვეყნის სიყვარული, მისი შესწავლის, ხალხურ კულტურასთან ზიარების წარუშლელი შთაბეჭდილებები და პოეტის ცნობიერებაში აკუმულირებული შემოქმედებითი ენერგია თანაბრად ასაზრდოებდა რაფიელ ერისთავის პოეზიასა და მის პუბლიცისტიკას, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ფოლკლორისტულ ჩანაწერებსა თუ მეცნიერულ გამოკვლევებს.

საზოგადოებამ რაფიელ ერისთავი თავდაპირველად საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ ეთნოგრაფიულ-ისტორიული ხასიათის მიმოხილვებითა და წერილებით გაიცნო, რომელსაც ის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1846 წლიდან, გაზეთ ***Кавказъ***-ში აქვეყნებდა.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული პერიოდული გამოცემა და რუსულენოვანი გაზეთი *კავკაზი (Кавказъ)* წარმოადგენდა ერთადერთ სისტემატური ხასიათის გამოცემას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. რაფიელ ერისთავის პირველი პუბლიკაციები (*Письма из Кахетии,* 1846, №25-26; *Письмо к другу,* 1846, №6; *Лазаре,* 1847, №10; *Свадьба у Грузин,* 1847, №14; *Охота за фазанами в Кахетии,* 1847, №20; *Воспоминания о холере,* 1848, №46; *Признаки весны; Царство кукушек; Происхождение сов,* 1849, №18; *Маскарад грузинской черни,* 1849, №16 და სხვა), რომლებიც 1846-1849 წლებში რუსულად ქვეყნდებოდა გაზეთ *კავკაზის* ფურცლებზე, საქართველოს სხვადასხვა მხარისა და მისი მოსახლეობის ეთნოგრაფიას, სოციალურ ყოფასა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავდა. აღნიშნულმა წერილებმა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილს, საზოგადოებაში ცნობადობა და ავტორიტეტი მოუხვეჭა.



რაფიელ ერისთავის ადრინდელი წერილები, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას შეეხება. ის აღწერს სხვადასხვა ფენის ყოფისა და კულტურის თავისებურებებს, საცხოვრებელ ნაგებობებს და ცხოვრების პირობებს: მემამულეთა ქვისა და ხის, ხოლო გლეხთა წნულ, ორგანყოფილებიან სახლებს. ეთნოგრაფიული პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს რაფიელის, როგორც უშუალო დამკვირვებლის, მიერ დაწერილ ნაშრომს კახეთის დიდი დღესასწაულის – *ალავერდობის* – მრავალფეროვანი რიტუალების, ლხინისა თუ მსხვერპლშეწირვის წესის, ოჯახების დადგმული კარვებისა და დანთებული ცეცხლის, დღესასწაულზე გამართული ბაზრობის, გართობა-თამაშობებისა და ჯირითის შესახებ (*Эристов, Письма из Кахетии, Кавказъ,* 1846, № 25-26).

პირველხარისხოვან მონაცემებს შეიცავს რაფიელ ერისთავის წერილები – ფრინველებზე ნადირობისა და მიმინოს მოშინაურების (*Эристов, Охота за фазанами в Кахетии, Кавказъ,* 1847, №20), ასევე, ამინდზე ზემოქმედების მიზნით ხალხური რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და მასთან დაკავშირებული რიტუალების შესახებ. მას ჩაუწერია, *ლაზარობის* სახელწოდებით ცნობილი, წვიმის გამოთხოვისა, თუ პირიქით, შეწყვეტის შესახებ ტაროსის ღვთაება ელიასადმი თხოვნა-ვედრების ტექსტები ლექსებისა და სიმღერების სახით *(Эристов, Лазаре, Кавказъ,* 1847, №10); საკუთარი თვალით უნახავს და აღუწერია ე. წ. ***წვიმის ხვნის*** – ამინდის გამოწვევის მაგიური რიტუალი: უღელში რამდენიმე წყვილად შებმული ქალიშვილის მიერ გუთნის მდინარეში შეთრევა და წყალში მისი გატარება. ამავე წერილში გადმოუცია ავადმყოფობისა თუ ციების ***დაძლევის*** წეს-ჩვეულებები და ლოცვები (*Эристов, Воспоминания о холере, Кавказъ,* 1848, №46). ბარის მოსახლეობის ტრადიციებსა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს მიეძღვნა, აგრეთვე, მისი წერილები ქართული ქორწილის შესახებ *(Эристов, Свадьба у Грузин, Кавказъ,* 1847, №14).

რაფიელ ერისთავმა ერთ-ერთმა პირველმა აღწერა *ბერიკაობის* დღესასწაული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული სანახაობითი ჩვეულება, მისი არსი, მონაწილე პერსონაჟების ფუნქცია, კარდაკარ ჩამოვლისა და სურსათის მოკრეფის წესი. *(Эристов, Маскарад грузинской черни, Кавказъ,* 1849, №16; *ითონიშვილი,* 1989 წ., გვ. 42-43).

ცნობილი მეცნიერი, მარი ბროსე, რომელსაც ახლო ურთიერთობა აკავშირებდა რაფიელის ოჯახთან და სიყმაწვილიდან იცნობდა მას, წერდა: *ამ ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც საფუძვლიანი განათლება მიიღო გიმნაზიაში, უკვე გამოიჩინა თავი გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული თავისი კარგი სტატიებით (Brosset,* 1850, გვ. 80).

აღსანიშნავია, რომ მწერლის ინტერესი ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მიმართ ემთხვევა XIX საუკუნის შუა წლებიდან ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში ეთნოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებას. ცნობილია, რომ ეთნოგრაფიის, მეცნიერების ინოვაციური დარგის დაბადება და განვითარება უკავშირდება ახალი იმპერიების ფორმირების პროცესს, ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებსა თუ ეროვნულ ამოცანებს. დიდი იმპერიები დაპყრობილი და დამორჩილებული ხალხების კულტურის შესწავლას და კვლევა-ძიებას მათ ყოფა-ცხოვრებაში ცივილიზაციის შეტანის სურვილით ამართლებდნენ. რეალურად აღნიშნული ძიებები კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკისა და ამ ხალხის მართვის მექანიზმის დახვეწასა და განვითარებას ისახავდა მიზნად. დაპყრობილი ქვეყნებისთვის კი, რომლებიც იმპერიების მხრიდან ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდნენ, ეთნოგრაფიული კვლევები ყოფის, კულტურის, ტრადიციების შენარჩუნების, ცოდნის გაღრმავების, ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენის საფუძველს წარმოადგენდა. ამდენად ის, ნებსით თუ უნებლიეთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს ემსახურებოდა. როგორც თვალსაჩინო ქართველი ეთნოლოგი, *ვალერიან ითონიშვილი* აღნიშნავდა: *ეთნოგრაფიული მეცნიერების ორი სხვადასხვა მიმართულებით განვითარების კვალობაზე, ერთ შემთხვევაში კოლონიურ*

*ეთნოგრაფიას უპირისპირდებოდა ეროვნული ეთნოგრაფია, ხოლო მეორე შემთხვევაში ერთიმეორეს ემიჯნებოდა რეაქციული და პროგრესული მიმდინარეობანი* (*ითონიშვილი,* 1989, გვ. 35).

ამავე პერიოდში იწყება ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბება, რომლის სათავეშიც ცნობილი ქართველი პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი აღმოჩნდა (*შამილაძე,* 2001, გვ.164-166). რაფიელ ერისთავი სწორედ პირველი მიმართულების – ეროვნული ეთნოგრაფიული მეცნიერების წარმომადგენელია. თავისი მოღვაწეობით ის ემსახურებოდა ქართველი ხალხის კულტურის, სიტყვიერების, ტრადიციების, ეროვნული თავისებურებების კვლევას და წარმოჩენას.

რაფიელ ერისთავის ხანგრძლივმა თანამშრომლობამ გაზეთ *კავკაზთან*, პუბლიცისტური წერილების სისტემატურმა გამოქვეყნებამ, დიდი როლი შეასრულა კავკასიის ეთნოლოგიისა და კულტურის კვლევებში; რუსულ ენაზე გამოცემულმა პუბლიკაციებმა ხელი შეუწყო ქართული კულტურის პოპულარიზაციას. მოკლე ხანში მწერალს გაზეთ *კავკაზის* რედაქციის მუდმივი წევრობა შესთავაზეს; 1854 წელს გაზეთმა საგანგებოდ აღნიშნა ახალგაზრდა მოღვაწის დამსახურება ამ გამოცემის მიმართ და რაფიელ ერისთავს *კავკაზის* საპატიო მოღვაწის სახელი მიანიჭა (*Кавказъ,* 1854, № 64; *ვაშაყმაძე,* 1962, გვ. 44) რაფიელის პირველი სამეცნიერო ჯილდოც 1854 წელს გაზეთ *კავკაზში* გამოქვეყნებულ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი წერილების სერიას უკავშირდება, რაზედაც ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი (*Кавказъ,* 1854, № 43, 45, 46, 47, 49, 50, 51, 52) .

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო საქმიანობის წარმატებები ეთნოგრაფიულ კვლევებსა და სამუზეუმო საქმეში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ***რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოებასა*** და მის პირველ პერიფერიულ ფილიალთან – ***კავკასიის განყოფილებასთან*** თანამშრომლობამ.

აღნიშნული *საზოგადოება* დაარსდა 1845 წელს სანკტ-პეტერბურგში. მის ამოცანას წარმოადგენდა რუსეთის და იმპერიის მიერ დაპყრობილი, შემოერთებული ტერიტორიებისა და ეთნოსების შესახებ გეოგრაფიული, სტატისტიკური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების, სარწმუნო წყაროების მოძიება, შეგროვება და შესწავლა. ამ ორგანიზაციას, დაარსებიდან იმპერიის დასასრულამდე (1845-1917 წწ.), მფარველობდნენ და ხელმძღვანელობდნენ უშუალოდ რუსეთის იმპერატორები და საიმპერატორო სახლის წარმომადგენლები, რაც *საზოგადოების* განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე მიუთითებდა (*Учреждение Отдела,* 1852, ЗКОИРГО, I, გვ. 180-184). ბუნებრივია, *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების* მიერ ეთნოგრაფიული კვლევების წარმოება ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ახალი ტერიტორიებისა და შემოერთებული ხალხების რუსეთის იმპერიასთან შეერთებისა და ინტეგრაციის პროცესს, მეორე მხრივ კი, რუსეთის იმპერიის ტერიტორიებისა და პოლიეთნიკური კულტურების სამეცნიერო ძიებებში ახალგაზრდა მკვლევრების საუკეთესო ნაწილის ჩართვას, შემოკრებასა და მოზიდვას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოების პერიფერიული განყოფილებების შექმნას, რომელმაც სულ მალე მოიცვა მთელი იმპერიის ტერიტორია. ნიშანდობლივია, რომ მისი პირველი რეგიონული ორგანიზაცია სწორედ კავკასიაში შეიქმნა. 1850 წლის 27 ივლისს დამტკიცდა *რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების (КОИРГО)* დებულება, ხოლო 1851 წლის 10 მარტს ტფილისში იზეიმეს მისი გახსნა. *კავკასიის განყოფილების* ამოცანა იყო ამ რეგიონის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სტატისტიკური შესწავლა, რისთვისაც მას გამოეყო ყოველწლიური სახელმწიფო სუბსიდია 2000 რუბლის ოდენობით. *კავკასიის განყოფილების* შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის მეფისნაცვალი, *მიხეილ ვორონცოვი. განყოფილებამ* მიიღო წესდება, აირჩია თავმჯდომარე (*ნ. ი. ვოლფი*) და განმკარგულებელი კომიტეტის წევრები: *ი. ა. ბარტოლომეი, გ. გ. გაგარინი, ა. პ. მაქსიმოვიჩი, ვ. ნ. სემიონოვი* და სხვები. (*Двадцатипятилетие Императорского Русского географического общества,* 1872, გვ. III, VIII, 260)



ცხადია, *კავკასიაში რუსეთის გეოგრაფიული საიმპერატორო საზოგადოების კავკასიის განყოფილების (КОИРГО),* როგორც პირველი პერიფერიული ფილიალის, დაარსება გამოხატავდა რუსეთის საიმპერატორო კარის განსაკუთრებულ ინტერესს კავკასიის, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული და პოლიტიკური რეგიონის მიმართ. ამ რეგიონისა და მასში შემავალი ხალხების შესწავლის პარალელურად, აღნიშნული ორგანიზაცია კავკასიაში კულტურული ექსპანსიის ერთ-ერთ იმპერიულ ინსტრუმენტს წარმოადგენდა, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ XIX საუკუნის 50-იანი წლებისთვის *კავკასიის განყოფილება* იყო ერთადერთი სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელიც სპეციალისტებს რეგიონის სისტემური კვლევის შესაძლებლობას ანიჭებდა. ახალმა წამოწყებამ უამრავი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან თანამშრომლობა XIX ს-ის 50-60-იან წლებში მეტად პოპულარული და პრესტიჟული გახდა (*Апажев, Кожоков, Дзуганов,* 2014).

*კავკასიის განყოფილების* ხელმძღვანელობამ დაარსებისთანავე შეაჩერა ყურადღება ადგილობრივი წარმოშობის ახალგაზრდა, ნიჭიერ მკვლევარზე. მუზეუმის დირექტორის, *სოლოგუბის* ინიციატივით, რაფიელ ერისთავი *კავკასიის განყოფილების* მიერ დაარსებული მუზეუმის თანამშრომლად მიიწვიეს.

რაფიელისთვის, როგორც მშობლიური ქვეყნის თავისებურებების უბადლო მცოდნისა და გულშემატკივარისათვის, ეს იყო ქართული კულტურის, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვაში წვლილის შეტანის უნიკალური შესაძლებლობა. მან სწორად შეაფასა ამ შესაძლებლობის მნიშვნელობა და შეთავაზებას დათანხმდა. რაფიელს ***კავკასიის განყოფილების მუზეუმის*** ეთნოგრაფიული კოლექციის მოწესრიგება, ნივთების აღწერა და ადგილობრივი სახელწოდებების დადგენა დაევალა. ის აქტიურად ჩაერთო საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა მხარეში მოძიებული სამუზეუმო მასალების აღრიცხვის საქმეში (*შამილაძე,* 2001, გვ. 165). მალევე, *ადოლფ ბერჟეს* სპარსეთში მივლინების გამო, რაფიელ ერისთავს მუზეუმის მდივნის მოვალეობის შესრულებაც დაევალა. ამავე დროს, ის ასრულებდა ეთნოგრაფიული განყოფილების ბიბლიოთეკარის ფუნქციასაც. მოგვიანებით, ცნობილი ეთნოლოგი, პროფესორი *გიორგი ჩიტაია* მას *კავკასიური მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის პირველ კურატორად* მოიხსენიებს (*Читая, Г., Этнографичесие исследования в грузинской ССР, Советская этнография,* 1948, №4, გვ. 177; *ჟორდანია, გ.* 1951, გვ. 42).

რაფიელი ჩვეული გონიერებითა და მონდომებით შეუდგა სამუზეუმო საქმეს: აღნუსხა ეთნოგრაფიული კაბინეტის მასალები, დააზუსტა მუზეუმში შემოსული ნივთების პირველადი რეესტრი, შეავსო და ადგილობრივი ტერმინოლოგიის მიხედვით გაასწორა საცავში დაცული ნივთების სახელწოდებები, შეიმუშავა სამუზეუმო კოლექციების კატალოგიზაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც შეადგინა მუზეუმის პირველი კატალოგი (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი,* საქ. №156). ამასთანავე, პირადი კოლექციიდან მუზეუმის ეთნოგრაფიულ კაბინეტს გადასცა ექსპონატები, რომლებიც 1856 წლის მუზეუმის კატალოგშია აღნუსხული (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი,* საქ. №107-117).

შრომისმოყვარეობამ თავისი შედეგი გამოიღო და 1855 წელს *გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ* რაფიელ ერისთავი ნამდვილ წევრად აირჩია, რაც დადასტურდა კიდეც 1855 წლის 10 ივნისს გაცემული დიპლომით (*კკსსხეც, რაფიელ ერისთვის ფონდი,* საქ. №154, ფურც. 3; *ქოქრაშვილი,* 2024, გვ. 148-149). ეს რაფიელ ერისთავის სამეცნიერო აღიარებას ნიშნავდა.

რაფიელ ერისთავი *გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* საქმიანობაში ჩაერთო იმ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობდა მისი სტრუქტურის ფორმირება. *კავკასიის განყოფილების* განმკარგულებელი კომიტეტის 1855 წლის 14 სექტემბრის დადგენილებით, გამოიყო კვლევის სამი სფერო: გეოგრაფიული, სტატისტიკური და ეთნოგრაფიული. ბუნებრივია, რაფიელმა ეთნოგრაფიის მიმართულებით ისურვა კვლევებში მონაწილეობის მიღება (კკსსხეც,

რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №157. ფურც. 1, 2).

სურ. 1, 2, 3, 4

რაფიელ ერისთავმა *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმს* გადასცა მის მიერ მოძიებული ძველებური, გამოსახულებებიანი მუყაოს ფირფიტები, რომელიც, მისი მოსაზრებით, უნდა ყოფილიყო ბანქოსებური სათამაშო, სახელწოდებით – ***განჯაფა***. აღნიშნული არტეფაქტით *კავკასიის განყოფილების მუზეუმი* განსაკუთრებით დაინტერესებულა. განყოფილების კრებამ რაფიელ ერისთავს, როგორც გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრს, დაავალა მოეკვლია ზუსტი ინფორმაცია ნაპოვნი ფირფიტების მნიშვნელობის, წარმოშობის, მათი დანიშნულებისა და მოხმარების შესახებ. ფირფიტების გამოსახულებების პირველადი შეფასებით დადგინდა მისი სავარაუდო სპარსული წარმომავლობა; ამიტომ არტეფაქტის გამოსაკვლევად და ანალოგების დასადგენად ფირფიტების თითო ეგზემპლარი გაუგზავნეს თეირანსა და თავრიზში დიპლომატიური სამსახურის რუს სახელმწიფო მოხელეებს, ორიენტალისტებს – *ნიკოლოზ ანიჩკოვსა* და *ნიკოლოზ ხანიკოვს*, რომლებიც ამავე დროს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილი წევრები იყვნენ (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი,* საქ. №155. ფურც. 12; ЗКОИРГО, 1855, III, გვ. 267-268; *ჟორდანია,* 1951, გვ.47-48). მათ მიერ დადასტურდა რაფიელ ერისთავის მოსაზრება, საკვლევი ნიმუშის სათამაშო, გასართობი დანიშნულების შესახებ. გამოგზავნეს კიდეც *განჯაფედ* ან *გენჯეფედ* წოდებული სპარსული ანალოგები (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი,* საქ. №155. ფურც. 6, 9.).

თამაში, როგორც ჩანს, სპარსეთიდან შემოსულა საქართველოში და პოპულარობით სარგებლობდა გვიანი ფეოდალური ხანის ქართულ საზოგადოებაში, რასაც სულხან-საბას ლექსიკონის განმარტებაც მოწმობს: *განჯაფა – სამღერალია* (ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისგან, 1884, გვ. 52). *მღერა* ამ შემთხვევაში *თამაშობას* ნიშნავდა. *განჯაფა*, ასევე, დასახელებული ყოფილა მაღალი წრის საზოგადოების ქალების მზითვის წიგნებშიც, რაც მის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს. *ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი* აღნიშნავს, რომ *პირველსავე რუსობის დროს საქართველოში განჯაფას თამაშობა გადავარდა და იმის მაგივრად ქაღალდის თამაშობა შემოვიდა* (*ჯამბაკურ-ორბელიანი,* 1869, გვ. 3-11).

რაფიელ ერისთავის ეპოქაში ეს თამაშობა უკვე მივიწყებული ყოფილა. აღსანიშნავია, რომ 1857 წელს ჟურნალ *ცისკარში* გამოქვეყნდა *ივანე კერესელიძის* სტატია *ცოდნისათვის განჯაფისა*. ის მოგვითხრობს რედაქციაში მოტანილი, მისთვის უცნობი ძვლის ფირფიტების შესახებ, რომლის დანიშნულება მოგვიანებით ქარელში, მწერალ *დავით ციციშვილის* სახლში სტუმრობისას შეუტყვია. მწერლის თხზულებათა შორის მას უპოვია განჯაფას თამაშის დეტალებისა და წესების აღწერა, რომლის ტექსტი გამოაქვეყნა კიდეც აღნიშნულ სტატიაში (*კერესელიძე*, 1857, გვ.48-53).

რაფიელ ერისთავს განსაკუთრებული წარმატება მოუტანა კვლევამ თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ. აღნიშნული პუბლიკაციისთვის მასალები ახალგაზრდა მკვლევარმა ჯერ კიდევ 1846-1848 წლებში, თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში სამოხელეო სამსახურის დროს შეაგროვა. მან მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტით, დაკვირვებითა და გამოკითხვით ზედმიწევნით შეისწავლა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება და ტრადიციები. ასეთ პირველწყაროებზე დაყრდნობით შექმნილი ეთნოგრაფიული ნაშრომი – ***Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе (ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის შესახებ)***, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა *გაზეთ კავკაზის* ფურცლებზე. (*Кавказ*, 1854, № 43, 45, 46, 47, 49, 50, 51, 52)

1855 წელს აღნიშნული წერილები შევსებული და რედაქტირებული სახით ერთ ნაშრომად გამოქვეყნდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჟურნალის მე-3 ტომში (*Эристов,* 1855, ЗКОИРГО, III, გვ. 75-145). ამ ნარკვევმა ავტორს საოცრად გაუთქვა სახელი, განსაკუთრებული აღიარება და სამეცნიერო ავტორიტეტი მოუპოვა. რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თანამედროვე მკვლევარი *თ. ჯაგოდნიშვილი* აღნიშნავს, რომ რაფიელი ამ კვლევისთვის რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედლით დაუჯილდოვებიათ *(ჯაგოდნიშვილი, 1986, გვ.24; ჯაგოდნიშვილი, 2023)*, რაც ახალგაზრდა მოღვაწის ნიჭისა და შრომის განსაკუთრებულ აღიარებას ნიშნავდა.

სურ. 5.

ნაშრომი, რომელიც მაღალი სამეცნიერო ჯილდოთი აღინიშნა, სტრუქტურულად მრავალფეროვანი და სრულყოფილი, ფართოპლანიანი გამოკვლევაა. მასში დეტალურადაა გაანალიზებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, მხარე. განხილულია თუშ-ფშავ-ხევსურეთის მდებარეობა, მისი საზღვრები, კლიმატი, გეოგრაფიული თავისებურებები, ბუნებრივი პირობები, მდინარეები, მინერალური წყლები, ფშავლებისა და ხევსურების ანთროპოლოგიური დახასიათება და ა. შ. ხაზგასმულია საქართველოს მთიანეთის, როგორც ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე სასაზღვრო რეგიონის, სტრატეგიული მნიშვნელობა, მისი როლი მტრისგან თავდაცვისა და ქვეყნის ტერიტორიების შენარჩუნებისთვის; რაფიელმა აღწერა ფშავლების 12, ხევსურების 5, თუშების 4 თემი, აღრიცხა თითოეულ მათგანში შემავალი სოფლები, დაადგინა მათი კომლობრივი რაოდენობა სქესის ჩვენებით; დააზუსტა ადგილობრივი გეოგრაფიული და მოსაზღვრე ჩრდილოკავკასიელ მთიელთა თემების სახელწოდებები. თანამედროვე მკვლევართა აზრით, ამ მასალების მოძიებისას, თუშ-ფშავ-ხევსურეთში ლოკალურად მოპოვებულ წყაროებთან ერთად, რაფიელ ერისთავს უნდა ესარგებლა 1843 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერის დოკუმენტებითაც (*Эристов,* ЗКОИРГО, 1855, III, გვ. 75-145; *ითონიშვილი,* 1989, გვ. 49; *შამილაძე,* 2001, გვ. 164-166; *ქოქრაშვილი,* 2024, გვ. 144-148).

რაფიელ ერისთავმა შეისწავლა და დიფერენცირებულად განიხილა მთიელთა ყოფისა და კულტურის მრავალი კომპონენტი. უჩვენა ეთნოგრაფიული სპეციფიკა, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ან აერთიანებს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის მთასა და ბარს, მის შემადგენელ კუთხეებსა და სოფლებს; განიხილა თითოეული მხარის მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობებისა და რელიგიური წარმოდგენების თავისებურებები. ავტორი გვთავაზობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების საცხოვრებელი, საფორტიფიკაციო, საკულტო ნაგებობების, სათვალთვალო პუნქტების, ჩაცმულობის, იარაღის, აღჭურვილობის ტიპოლოგიასა და კლასიფიკაციას; მოსაზრებებს მთიელთა დასახლებების ვერტიკალურ-ზონალური პრინციპის, მეურნეობის დარგებისა და მათი გაძღოლის თავისებურებების შესახებ; აღწერს საქორწინო წეს-ჩვეულებებს, საოჯახო მეურნეობაში ქალის როლს, სტუმარ-მასპინძლობის, ფიცის დადების, მზევლობის, გართობის, დასვენებისა და ნადირობის წესებს, ხალხური სამართლის ნორმებს; გვიჩვენებს რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სინკრეტულ ხასიათს, ხალხური დღესასწაულების, დაკრძალვა-გლოვის ტრადიციას, ხატის მსახურთა იერარქიას, მათ უფლება-მოვალეობებს.

რაფიელმა კრიტიკულად შეაფასა მთაში არსებული უარყოფითი მოვლენები: სისხლის აღება, ცრუმორწმუნეობა, მკითხაობა, სხვადასხვა დაავადებები; მთიელ თემთა შორის XIX საუკუნეში გადმონაშთის სახით არსებული ადრეფეოდალური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი პრობლემა – რეგულარული თავდასხმები ნადავლის მიტაცების მიზნით; ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მთიელების ურთიერთობის, იმ დროისთვის ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი, მდგომარეობა და სხვა. თუმცა ავტორი აღფრთოვანებასა და სიმპათიას ვერ მალავს მთიელთა დადებითი თვისებების – სიმტკიცისა და ზნეობრივი სიწმინდის მიმართ (*Эристов,* 1855, ЗКОИРГО, III, გვ. 75-145; *ითონიშვილი,* 1989, გვ. 44-46; *შამილაძე,* 2001, გვ. 166).

ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის, ასევე, თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის რუსეთის ხელისუფლებასთან დიპლომატიური მიმოწერის შესახებ. ამ დოკუმენტების მოძიებაში მას ფრანგი ქართველოლოგი, მარი ბროსე დაეხმარა, რომელსაც მოსკოვის არქივებში მოუძიებია საჭირო მასალები.

აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავის ნაშრომს დაერთვის თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუკა, რამაც მას განსაკუთრებული სამეცნიერო ღირსება შემატა. *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* განმკარგულებელი კომიტეტის 1855 წლის 14 აპრილის სხდომის ოქმის მიხედვით, რაფიელს საგანგებოდ შეუსწავლია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გეოგრაფიული სახელწოდებები და 1854 წელს წარმოუდგენია მათი დაზუსტებული ნუსხა. *კავკასიის განყოფილების კომიტეტმა* განხილვის შემდეგ მიზანშეწონილად ჩათვალა თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუკაზე ცდომილებები შეესწორებინათ და გეოგრაფიული ობიექტები რაფიელის ნუსხის მიხედვით დაეტანათ. მკვლევარს კი მადლობა გამოუცხადეს თუშ-ფშავ-ხევსურეთის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ამ მნიშვნელოვანი სასაზღვრო რეგიონის, გეოგრაფიული ტერმინოლოგიის მოკვლევისა და დაზუსტებისთვის. რუკის გრავირება კავკასიის კორპუსის გენერალური შტაბის კარტოგრაფიული განყოფილების უფროსმა, პოლკოვნიკმა *სემიონოვმა* შეასრულა (Эристов, 1855, ЗКОИРГО, III , გვ. 284).

სურ. 6.

ახალგაზრდა მეცნიერი ახალი კუთხით წარმოჩნდა თანამედროვეთა წინაშე. მონოგრაფიას თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულმა საზოგადოებამ (*Отчет Императорского Русского географического общества за 1855 год, 1856,* გვ.50). კვლევას დადებითად გამოეხმაურნენ საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები: *მ. ბროსე, ნ. ჩერნიშევსკი, პ. სემიონოვი (ტიანშანსკი), კ. ბოროზდინი, გ. რადე* და სხვები. გარდა *კავკაზის* მიმომხილველმა ნაშრომს მეცნიერების დიდებული და ღირებული შენაძენი უწოდა (*ვაშაყმაძე,* 1962, გვ. 39). უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელის ამ ნარკვევს სანდო წყაროდ თვლიდა *ივანე ჯავახიშვილი,* რომელმაც თავისი *ქართველი ერის ისტორიის* I ტომის ტექსტში არაერთხელ დაიმოწმა გამოკვლევის ცალკეული ადგილები (*ჯავახიშვილი,* 1960, გვ. 53, 54, 57, 58, 80, 82, 89, 93, 97, 151; *ითონიშვილი,* 1989, გვ. 64). საგულისხმოა, რომ რაფიელის ეს გამოკვლევა დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების მკვლევართა შორის.

რაფიელ ერისთავის კვლევების საინტერესო სფეროს წარმოადგენს, ასევე, ქართულ-კავკასიური პარალელების ძიება, რაც ცხადად ჩანს დაღესტანში მოგზაურობის შთაბეჭდილებების გადმოცემისას, სადაც ის სამუზეუმო ნივთების შეძენითაც ყოფილა დაკავებული (*შამილაძე,* 2001, გვ. 168).

სამეცნიერო და სამუზეუმო საქმეში წარმატებამ გაზარდა რაფიელ ერისთავის ავტორიტეტი. 1855 წლის 14 სექტემბრის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ *კავკასიის განყოფილების განმკარგულებელმა კომიტეტმა,* ეთნოგრაფიის მიმართულებით *კავკასიის განყოფილების მუზეუმის* ყოფილი დირექტორის – *ვლადიმირ სოლოგუბის* – მოულოდნელი გამგზავრების გამო, აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭი უყარა რაფიელ ერისთავისა და ცნობილი ნუმიზმატის *ივანე ბარტოლომეის* კანდიდატურას. კენჭისყრა თანაბარი შედეგით დასრულდა.

სწორედ ამ პერიოდში, ქუთაისის გუბერნატორის – *ივანე მუხრანბატონის* წარდგენით და კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით, რაფიელი გადაიყვანეს ქუთაისის გუბერნიაში სახელმწიფო-სამოხელეო სამსახურში. დასავლეთ საქართველოდან რაფიელი ვერ შეძლებდა უშუალო და მუდმივ მონაწილეობას მუზეუმის საქმიანობაში. შესაბამისად, *კავკასიის განყოფილების კომიტეტმა* ეთნოგრაფიის განხრით მუზეუმის ხელმძღვანელის პოზიციაზე *ბარტოლომეი* დანიშნა (*ЗКОИРГО,* 1855, III, გვ. 269-270; 287-288; *ჟორდანია,* 1951, გვ. 57).

ამგვარად, რაფიელ ერისთავმა დიდი ამაგი დასდო *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმის* (1852-1864 წწ.) ექსპონატების აღწერას, მოძიებას, შესწავლასა და კვლევას. დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებისთვის მას მადლობა გამოუცხადეს, რომელიც ქუთაისში, ახალ სამოხელეო პოსტზე დანიშვნის შემდეგ, საგანგებო წერილით მიიღო (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი,* საქ. №156).



***რაფიელ ერისთავის სამეცნიერო ძიებანი იმერეთსა და სამეგრელოში: დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური კვლევები, მოგზაურიბათა ჟანრის წერილები, ნარკვევები სოციალური ისტორიიდან***

*რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* საქმიანობა შედარებით შესუსტდა XIX ს-ის 60-70-იან წლებში, როდესაც დაარსდა კავკასიის კვლევის მთელი რიგი ახალი ინსტიტუციები: *კავკასიის სტატისტიკური კომიტეტი* (1867 წ.), *კავკასიის მუზეუმი* (1865/1867 წწ.), *კავკასიის არქეოგრაფიული კომისია* (1864 წ.), *კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება* (1873 წ.) და სხვა. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან კი ადგილობრივი სამეცნიერო კადრების დიდი ნაწილი აქტიურად ჩაერთო ისეთი ეროვნული, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორიც იყო: *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება* (1879 წ.), *საეკლესიო მუზეუმი* (1888 წ.), *კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება* (1881 წ.), *ქართული დრამატული საზოგადოება* (1881 წ.).

რაფიელ ერისთავი არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციის საქმიანობაში, არამედ თავადაც იყო მათი დაარსების ინიციატორი. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში სამოხელეო საქმიანობის დროს ის განსაკუთრებით დაინტერესებულა ქართული თეატრის პრობლემებით. მისი თაოსნობით, 1867 წელს, ქუთაისში დაარსდა *სცენისმოყვართა დასი,* რომლის წევრი ახალგაზრდა *აკაკი წერეთელიც* იყო. რაფიელი დასისთვის წერდა პიესებს და მსახიობებთან ერთად თავადაც აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა როლებში (*ჯაგოდნიშვილი,* 1986, გვ. 38).

ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში სახელმწიფო სამსახურის პარალელურად, რაფიელ ერისთავი, შეძლებისდაგვარად, ყველა საშუალებას იყენებდა კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და კვლევისთვის; ბევრს მოგზაურობდა იმერეთის სოფლებში, ეცნობოდა და აღწერდა მხარის ყოფასა და კულტურას. 1856 წელს ზემო იმერეთში მოგზაურობის დროს, საჩხერეში, *ალექსანდრე წერეთლის* ბიბლიოთეკაში, აღმოუჩენია *ალექსანდრე გრიბოედოვის* ცნობილი თხზულების, – *ვაი ჭკუისაგან* – ხელნაწერი. ასევე, უნახავს იმერეთის მეფის, *სოლომონ II-ის* სტამბის ორი, უკვე დაზიანებული ტიპოგრაფიული დაზგა. რუსეთის ხელისუფლების მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და აჯანყებული მეფის ოსმალეთში გადასვლის შემდეგ, *გრიგოლ წერეთელს* ისინი ქუთაისიდან საჩხერეში გადმოუტანია, სადაც ბეჭდავდნენ კიდეც საეკლესიო წიგნებს არქიმანდრიტ ზაქარიას რედაქტორობით (*ვაშაყმაძე,* 1962, გვ. 41; *Кавказ,* 1857, № 82).

საყურადღებოა მისი პუბლიკაციები იმერეთის სამეურნეო ყოფისა და კულტურის შესახებ: 1857 წელს რაფიელმა გაზეთ *კავკაზში* გამოაქვეყნა კორესპონდენციების სერია – ***წერილები იმერეთიდან***. ავტორი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის იმერეთის ისტორიული წარსულის, სოფლებისა და ქ. ქუთაისის განსახლების სტრუქტურის, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურის თავისებურებების, მნიშვნელოვანი ნაგებობებისა და უბნების შესახებ. ღირებულია მისი ცნობები იმერეთში ებრაელთა დასახლებებისა და სავაჭრო საქმიანობის შესახებ. რამდენიმე სოფლის მაგალითზე აღწერილია ბაზრობების ხასიათი. იმერეთის მოსახლეობის გარეგნობის, ქცევის წესების, ტრადიციების, სუფრისა და სტუმართმოყვარეობის, დღესასწაულების, თამაშობების, გართობის, ასევე, მიცვალებულთა დატირების, ჭირისუფალთა ქცევის, მწუხარების გამოხატვისა და სამძიმარზე მისულთა ნუგეშისცემის ფორმების შესახებ. იმერელთა გლოვის კულტურას რაფიელზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია (*Письма из Имеретии,* 1857, *Кавказ*, № 55, 62, 76, 77, 79, 82, 84; *ითონიშვილი*, 1989, გვ. 19).

ქუთაისის გუბერნიაში სამსახურის დროს რაფიელ ერისთავი აქტიურად ადევნებდა თვალს ფრონტის ხაზზე მიმდინარე მოვლენებს, კორესპონდენციებით, საგაზეთო ნარკვევებით აწვდიდა საზოგადოებას ოსმალეთთან ბრძოლის ცნობებს.

აღსანიშნავია, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, რაფიელ ერისთავის არქივის საცავებში, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარის შესახებ

არაერთი გამოუქვეყნებელი ჩანაწერია დაცული. მათი ნაწილი მკვლევარმა *ჯაგოდნიშვილმა* გამოაქვეყნა, რომელთა შორის აღსანიშნავია წერილი – ***ლეჩხუმის მაზრაში ძველი და ახალი ჩვეულების მოთხრობა ანუ იგივე ისტორია***. მასში აღწერილია ლეჩხუმის რამდენიმე სოფლის დღესასწაულები და მათი შესაბამისი რიტუალები. ავტორი გადმოსცემს საგულისხმო ცნობებს შერჩეული სოფლების ეკლესიების, საკულტო ძეგლების, დღესასწაულის მომზადებისა და მიმდინარეობის, მონაწილეთა ფუნქციების, სტუმარ-მასპინძლობის, სახიობისა თუ სადღესასწაულო სუფრის შესახებ. აღნიშნულ ნარკვევში გადმოცემული ინფორმაცია მანამდე უცნობ ფაქტობრივ მონაცემებს შეიცავს, ამდენად, ის პირველხარისხოვანი წყაროს ღირებულებას იძენს (*ერისთავი,* 1986, გვ. 23-30; *ითონიშვილი,* 1989, გვ. 20-21).

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სულიერი კულტურის შესახებ უტყუარი წყაროს მნიშვნელობისაა რაფიელის ჩანაწერები, რომელსაც მან ***ატატი კობალაძის მეუღლის გამოცანები*** უწოდა. მასში მწერალმა, მთხრობელის მიერ გადმოცემული ფორმითა და შინაარსით, აღბეჭდა შელოცვის ტექსტები – *ავადმყოფობისას, თვალყურისას, შეშინებულისას*. ამ სერიას განეკუთვნება *ღვინის დალოცვის, სადღეგრძელოს, გასათხოვარი ქალის, ვაჟის ქების* და სხვა ტექსტები (*ერისთავი*, 1986, გვ. 30-36). ცნობილი ეთნოლოგის, *ვ. ითონიშვილის* აზრით, ამგვარი შელოცვის, დღეგრძელობისა თუ დალოცვის ტექსტებს საფუძვლად დაედო ჰუმანიზმის იდეა, რაც ნუგეშისცემის, შველის, დახმარების, რწმენისა და კეთილი სურვილების საჭიროებას გამოხატავდა. ჩანაწერების ტექსტები, ამავე დროს, არ გულისხმობდა სურვილების ახდენის სრულ რწმენას, თუმცა ხაზს უსვამდა ადამიანის მანუგეშებელი სიტყვებისა და კეთილი სურვილების მოთხოვნილებას (*ითონიშვილი,* 1989, გვ. 21).

1857 წლიდან რაფიელი ქუთაისიდან სამეგრელოში გადაიყვანეს განსაკუთრებული სამოხელეო მისიით, სადაც ის დროებით ასრულებდა სამეგრელოს მმართველის მოვალეობას, წლების განმავლობაში იყო სამეგრელოს მმართველობის საბჭოს წევრი, ზუგდიდის მაზრის უფროსი. სამოხელეო საქმიანობის პარალელურად, სამეგრელოში მოღვაწეობის დროს, რაფიელმა შეაგროვა ცნობები ამ მხარის სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაზე. მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები ჯერ მოხსენების სახით გაუგზავნა *კავკასიისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს,* ხოლო მოგვიანებით, მათ საფუძველზე დაწერა ნარკვევი, რომელიც 1862 წელს გაზეთ *კავკაზში* გამოქვეყნდა. წერილში დეტალურადაა გადმოცემული სამეგრელოს სოფლის მეურნეობის, სამეურნეო ნაგებობების, ინვენტარისა და შრომის პროცესის თავისებურებები, განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის დარგების გავრცელების არეალი, მემინდვრეობის, მეაბრეშუმეობისა და მეთამბაქოეობის მნიშვნელობა, მხარის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მითითებულია ახალი დარგების – ჩაის, ბამბისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენების პერსპექტიულობა და ა. შ.

სამეგრელოში მოღვაწეობის პერიოდში ყურადღებას იპყრობს მისი წერილები, რომლებიც საქართველოს ამ კუთხის სოციალურ პრობლემებსა და საისტორიო გეოგრაფიას ეძღვნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი *მოგზაურობის* სერიიდან, რომელიც რაფიელმა 1867 წელს დაწერა და 1873 წელს ჟურნალ *Кавказская Старина*-ში გამოაქვეყნა: ***სამეგრელოში მოგზაურობის ჩანაწერები*** (*Эристов*, 1873 a, გვ. 67-83). თხზულებაში გამოყოფილია რამდენიმე მონაკვეთი, რომელიც თანმიმდევრულად აღწერს ანაკლიიდან ხონამდე მიმავალ გზას: *1. ანაკლიიდან ზუგდიდამდე; 2. ზუგდიდიდან ქვაშიხორამდე; 3. ქვაშიხორიდან მარტვილამდე; 4. მარტვლიდან ხონამდე*. რაფიელ ერისთავმა აღნუსხა ამ მარშრუტის გეოგრაფიული თავისებურებები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები და მათში დაცული საეკლესიო ნივთები, მხატვრობა, გამოვლენილი სიძველეები, არქეოლოგიური მონაპოვარი, მათ შორის, მისივე ინიციატივით ჩატარებული არქეოლოგიური ძიებების შედეგები და ა. შ.

თხრობის დროს ავტორი იმოწმებს ისტორიულ პირველწყაროებს, ხალხურ გადმოცემებს, აღწერს სახალხო დღესასწაულებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რაფიელის ცნობები ხობის მონასტრის დღეობასთან დაკავშირებული დღესასწაულის შესახებ: გამართული ჯირითის, ხალხური ცეკვა-სიმღერისა თუ მხარის მუსიკალური საკრავების შესახებ.



რაფიელი მოგვითხრობს სამეგრელოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის საყურადღებო ტრადიციის შესახებაც, რომელიც ხობის მონასტრის მახლობლად, მთა ბიაზე მდებარე მთავარანგელოზის ეკლესიის ირგვლივ სრულდებოდა. მასში მონაწილეობდნენ სამეგრელოს წარჩინებული გვარები – *ჩიჩუები, დადიანები, ეკლესიის მსახურნი* და *მალანურები* ანუ *მონაზვნები*. რიტუალი გულისხმობდა პრივილეგირებულ გვართა წარმომადგენლებს შორის ბრძოლის ინსცენირებას, ჯირითსა და ჭოკის სროლაში პაექრობას, ასევე, ლოცვას, გალობასა და სიმღერას. რაფიელის სწორი შეფასებით, აღნიშნულ რიტუალს, რომელშიც მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენა მონაწილეობდა, უძველესი ტრადიცია უნდა ჰქონოდა (*ერისთავი,* 1986, გვ. 36-41; *ითონიშვილი,* 1989, გვ. 15-16).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესწავლისას რაფიელის სამეცნიერო კვლევებში თითქმის თანაბარი ადგილი ეთმობა ეთნოგრაფიული მეცნიერების სამ ძირითად მიმართულებას: მატერიალურ კულტურას, სამეურნეო ყოფასა და სოციალურ ურთიერთობებს.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმების (1861 წელს) შემდეგ და საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადების წლებში (XIX ს-ის 60-70-იანი წწ.), რაფიელ ერისთავი, როგორც სახელმწიფო მოხელე, აქტიურად იყო ჩართული სამეგრელოს მოსახლეობის სოციალური ურთიერთობების შესწავლისა და ბატონყმობის გაუქმების რეფორმის მომზადების პროცესში. სამეგრელოში ბატონყმობის უმძიმესი ფორმების შესწავლამ კიდევ უფრო გააფართოვა რაფიელ ერისთავის მოქალაქეობრივი ცნობიერება, სადაც მებატონეების წარმოუდგენელი თვითნებობა, გადასახადების სიმრავლე და სიმძიმე უკიდურესად ართულებდა უბრალო ხალხის ყოფას.

ბატონყმური ურთიერთობების პრობლემებისა და თავისებურებების ჩვენებას მიეძღვნა ნაშრომი ***ბატონყმობა სამეგრელოში***, რომელიც რაფიელ ერისთავმა 1866 წელს გამოსცა. თხზულებაში ფასდაუდებელი ცნობებია დაცული სამეგრელოს სამთავროს სამოხელეო აპარატის, მოხელეთა ფუნქციების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საგლეხო რეფორმის შესახებ. აღნიშნული ნარკვევი ავტორმა ბატონყმობის გაუქმების მოთხოვნით, თანდართული მოხსენებითი ბარათით წარუდგინა კავკასიის მეფისნაცვალს. რაფიელის ეს ნაშრომი, ამავე თემაზე შესრულებულ *კორნელი ბოროზდინის* და *ჟან მურიეს* გამოკვლევებთან ერთად ქართულ ენაზე თარგმნა, შესავალი დაურთო და 1927 წელს ერთ წიგნად გამოაქვეყნა *თ. სახოკიამ* (*ბოროზდინი, ერისთავი, მურიე,* 1927).

ხალხთან უშუალო კონტაქტის, მეგრელთა ყოფისა და სოციალური მდგომარეობის შესწავლის შედეგად შეიქმნა რაფიელ ერისთავის სხვა ნაშრომებიც: *გლეხთა წოდების შესახებ სამეგრელოში* (*Эристов,* 1873 b, გვ. 89-94, 129-137), *პრივილეგირებული წოდების შესახებ სამეგრელოში*, რომელიც მოგვიანებით, 1873 წელს, ჟურნალ *Кавказская Старина*-ში გამოქვეყნდა (*Эристов*, 1873 c, გვ. 138-144). მათში რაფიელი სამეგრელოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, წოდებათა იერარქიას, სოციალური ფენების შიდა სტრუქტურას, დიფერენცირებულ კატეგორიებსა და უფლება-მოვალეობებს განიხილავს. ავტორმა შეისწავლა *ქვემო* და *ზემო სამეგრელოს, ლეჩხუმისა* და *ცხენისწყლის ხეობის,* ანუ *ქვემო სვანეთის,* სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა *(მოჯალაბე, მებეგრე* და *აზატი)* საყოფაცხოვრებო, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ვალდებულებები მებატონის წინაშე. მან გამოავლინა სოციალური ყოფისა და უფლებების სპეციფიკა დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ვალდებულებათა სისტემაში, შეაფასა არსებული მსგავსება-განსხვავებები: სამეგრელოში აზატი გლეხი მებატონის სასარგებლოდ იხდიდა მემინდვრეობისა და მესაქონლეობის პროდუქტებს, ხოლო ცხენისწყლის სვანეთში მხოლოდ მსხვილფეხა საქონელს – წელიწადში ერთხელ ძროხას ან ხარს. ლეჩხუმსა და ცხენისწყლის სვანეთში არ არსებულა გადასახადების ზოგიერთი სახეობა, რაც სავალდებულო იყო სამეგრელოში, მაგ.: ქრისტეშობისა და სააღდგომო ძღვენი, აღდგომის შემდეგ თხის ბოძება ძღვნად, გლეხისგან მებატონის მასპინძლობა წელიწადში ერთხელ და ა. შ. ცხენისწყლის სვანებისთვის უცხო იყო *კულუხი, საკულუხო, სადედოფლო,* რაც სამეგრელოსა და ლეჩხუმში გლეხებისათვის ვალდებულებას წარმოადგენდა (*Эристов,*

1873 b; *Эристов*, 1873 c; *ითონიშვილი*, 1989, გვ. 17).

რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურიდან ცხადად ჩანს, რომ ბატონყმობის სოციალური ხასიათი მის არსებაში თანდათან სამოქალაქო პროტესტის ფორმას იძენდა (*ჯაგოდნიშვილი*, 1986, გვ. 29-33). ამდენად, სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმებისთვის გაღებული წვლილი რაფიელისთვის მხოლოდ სამოხელეო მოვალეობის შესრულება არ იყო. სოციალურმა საკითხმა მის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მას გულწრფელად სურდა დაძლეულიყო საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი, დრომოჭმული, ფეოდალური ტრადიციები და ხალხის სოციალური ყოფა ახალი დროების შესაბამისად მოწყობილიყო.

სურ. 7., სურ. 8.

სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების რეფორმის წარმატებით გატარებისთვის, კავკასიის მეფისნაცვლის შუამდგომლობით, რაფიელ ერისთავმა 1867 წელს მიიღო საიმპერატორო ჯილდო, *წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი*. ორდენის სიგელის ტექსტის მიხედვით, ის დაჯილდოვდა საბატონო გლეხების ყოფისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული სასარგებლო შრომისთვის *(კკსსხეც,* რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. 184. ფურც. 1). იმავე წელს მიენიჭა კიდევ ერთი ჯილდო – *გლეხების გათავისუფლებისთვის გაწეული შრომისთვის (За труды по освобождению крестьян), ვერცხლის მედალი ალექსანდრეს ლენტზე, რომელიც* ალექსანდრე II-ის ბრძანებულებით 1861 წელს დაარსდა ბატონყმობის გაუქმებისა და საგლეხო რეფორმის აღსანიშნავად (ქოქრაშვილი, 2024, გვ. 139-140).

სამეგრელოს უკავშირდება რაფიელ ერისთავის არქეოლოგიური ძიებები. 1859 წელს მან გრაფ *რაზმორდიუკთან* ერთად, ანაკლიის ციხესიმაგრის მახლობლად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიკვლეული ყორღანები და უძველესი დასახლების ნაშთები გათხარა. ცნობილია, რომ პირველი არქეოლოგიური კვლევები საქართველოში *დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის* მიერ (1852 წ.), აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, უფლისციხეში ჩატარდა. დასავლეთ საქართველოში კი ერთ-ერთი პირველი არქეოლოგიური გათხრები (1859 წ.) სწორედ რაფიელ ერისთავის სახელს უკავშირდება.

ანაკლიის ციხესიმაგრის მიმდებარედ აღმოჩენლი თიხისა და სპილენძის ნივთები რაფიელმა წინაქრისტიანულ და ქრისტიანულ ეპოქებს მიაკუთვნა და გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმს გადასცა. თანამედროვე მკვლევრები რაფიელის აღმოჩენებს გვიანანტიკური – ადრეფეოდალური პერიოდის სამარხებად მიიჩნევენ, რომლის მსგავსიც, მოგვიანებით, XX ს-ში პიტიუნტის ციხესიმაგრის სიახლოვეს ბიჭვინთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა (*კიღურაძე,* 1985, გვ. 3; *რაზმაძე,* 1986, გვ. 90; 95-96; *Кигурадзе,* 2004, გვ. 68-72).

საყურადღებოა ასევე რაფიელ ერისთავის მიერ სოფ. ***კახათში*** აღმოჩენილი ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რასაც ეფუძნება მისი მოსაზრება, რომ ენგურის მარცხენა სანაპირო, რუხის ციხიდან მოყოლებული, წარსულში მჭიდროდ დასახლებული უნდა ყოფილიყო, თუმცა არაერთი თავდასხმის შედეგად ნანგრევებად ქცეულა (*კიღურაძე,* 1985, გვ. 3; *ითონიშვილი,* 1989, გვ. 16)

***რაფიელ ერისთავი – ქართული ფიტონომიის ფუძემდებელი. ტექსტოლოგი და გამომცემელი. ლექსიკოლოგიური კვლევები. თანამშრომლობა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან***

XIX ს-ის 50-80-იან წლებში რაფიელ ერისთავის სამეცნიერო მოღვაწეობა ასევე მჭიდროდ უკავშირდება ***კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას***. აღნიშნული საზოგადოება 1850 წელს დაარსდა. მან ჩაანაცვლა 1833-1849 წლებში ტფილისში არსებული *სასოფლო და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოება. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების* ამოცანა იყო კავკასიაში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური მიღწევების შემოტანა და დანერგვა, საირიგაციო სისტემების



სრულყოფა, სპეციალისტების მოწვევა და მომზადება, კავკასიის მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში საუკეთესო ჯიშების გამოყვანა, თესლებისა და ნერგების შემოტანა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, შესაბამისი სავაჭრო ბაზრების ხელშეწყობა, განვითარება და სხვა. საზოგადოებას მფარველობდა საიმპერატორო ოჯახი, მასთან თანამშრომლობდნენ ცნობილი საჯარო და კერძო პირები, მემამულეები, მეცნიერები და მკვლევრები.

სურ. 9., სურ. 10.

1856 წლის 27 დეკემბერს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საერთო კრებას რაფიელ ერისთავი ნამდვილ წევრად აურჩევია. (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ.№158*) აქედან მოყოლებული, ის აქტიურად ჩაერთო აღნიშნული საზოგადოების საქმიანობაში: იკვლევდა, აქვეყნებდა პუბლიკაციებს *საზოგადოების* პერიოდულ გამოცემებში, მონაწილეობას იღებდა სოფლის მეურნეობის გამოფენების ორგანიზებასა და საგამოფენო მასალების მოძიებაში.

1857 წლის შემოდგომაზე კავკასიის მეფისნაცვლის, *მ. ვორონცოვის* ინიციატივით დაიგეგმა ტფილისში კავკასიის ბუნებრივი და სამრეწველო ნაწარმის გამოფენის მოწყობა. მას უნდა დასწრებოდა დიდი თავადი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, რომელიც იმ პერიოდისთვის ტფილისში ვიზიტს აპირებდა. დაარსდა გამოფენის სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც თხოვნით მიუმართავს რაფიელ ერისთავისთვის, დახმარებოდა გამოფენის ექსპოზიციის შევსებასა და საჭირო მასალების მიწოდებაში (*კკსსხეც,* რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №164, ფურც.1).

რაფიელ ერისთავმა კავკასიაში სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრის სტატუსით არაერთი შესანიშნავი ეთნოგრაფიული და სამეცნიერო-დარგობრივი ნაშრომი შექმნა. ამით მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამეურნეო ყოფის და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. 1860 წლის 27 აგვისტოს კავკასიაში სოფლის მეურნეობის საზოგადოების ვიცეპრეზიდენტმა მას სთხოვა საფრანგეთში გასაგზავნი ძელქვის თესლის სამეგრელოში შეძენა ან მოგროვება, თუმცა მოუწია რაფიელის რეკომენდაციის გათვალისწინება და აღნიშნული მცენარის თესლი იმერეთსა და გურიაში მოიძია.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ 1863 წელს რაფიელ ერისთავმა კავკასიისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოს უფროსისგან მიიღო საპატიო წევრ-კორესპონდენტის წოდების მინიჭების შემოთავაზება. აღნიშნული წოდება შემოუღიათ კავკასიის მეფისნაცვლის ინიციატივით, რომლის ამოცანაც კავკასიაში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მდგომარეობის შესახებ ცნობების მოძიება-წახალისება უნდა ყოფილიყო (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №165*). იმავე ფონდის დოკუმენტიდან (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №166*) ასევე ჩანს, რომ რაფიელი 1876 წლის 21 თებერვალს სოფლის მეურნეობის მოსკოვის საზოგადოების მეაბრეშუმეობის კომიტეტის ნამდვილ წევრადაც აირჩიეს. (*ქოქრაშვილი,* 2024, გვ. 151)

სურ. 11.

1870 წელს, სახელმწიფო სამსახურის დატოვების შემდეგ, რაფიელ ერისთავის ნაყოფიერი და მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა, ურთიერთობები ადგილობრივ საზოგადოებრივ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან, ასევე, კავშირები და თანამშრომლობა საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებთან კიდევ უფრო გაფართოვდა.

პარტნიორობა *კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან* სამოხელეო სამსახურიდან გადადგომის შემდეგაც გაგრძელდა, განსაკუთრებით, რაფიელის ტფილისში ცხოვრების წლებში. 1874 წელს *კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ,* საერთო კრების თანხმობით, რაფიელ ერისთავი უმაღლესად დამტკიცებული წესდების შესაბამისად, *საზოგადოების*

*აღმასრულებელი საბჭოს წევრად აირჩია. მალე ის ამავე საზოგადოების საიუბილეო კომისიის წევრი* გახდა და აქტიურად ჩაერთო *კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების* 25 წლისთავის საიუბილეო ზეიმის მომზადებაში; მონაწილეობა მიიღო მისი პროგრამის შედგენასა და ღონისძიებების დაგეგმვაში, რომელიც 1875 წლის 25 სექტემბრიდან – 1 ოქტომბრამდე უნდა გამართულიყო. (*Записки Кавказского общества сельского хозяйства,* 1875, გვ. 105; *Обзор деятельности Императорского Кавказского общества сельского хозяйства за пятьдесят лет (1850-1900),* 1901)

1875 წელს რაფიელ ერისთავს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების საგანგებო დავალებით შეუსრულებია ნაშრომი – ***ნარკვევი იმერეთის შესახებ სასოფლო სამეურნეო თვალსაზრისით***, რომელიც იმერეთის სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის შესწავლას მიეძღვნა. ნარკვევი თავდაპირველად გამოქვეყნდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სპეციალურ პერიოდულ გამოცემაში (*Записки Кавказского общества сельского хозяйства*, 1875, №2, გვ. 85-110; №3, გვ. 127-146), ხოლო მომდევნო წელს კავკასიის მეფისნაცვლის ტიპოგრაფიის მიერ ცალკე წიგნად **დაიბეჭდა (***Эристов, 1876, Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении*).

ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი იმერეთის სოფლის მეურნეობის დარგები, მრავალფეროვანი სამეურნეო ინვენტარი, პუბლიკაციას დაერთვის სამეურნეო ყოფისა და ინვენტარის ამსახველი ვიზუალური მასალა ტაბულებისა და ჩანახატების სახით, მათი შესაბამისი ადგილობრივი დასახელებების მითითებით; ნარკვევში დახასიათებულია შრომის პროცესი, ღვინის დაყენების იმერეთისთვის დამახასიათებელი თავისებურებები: ღვინის ჭურში *დაყენების* წესი და საწნახელში ღვინის *გაყენების* ორიგინალური ტექნოლოგია, რომელიც არქაულობის ნიშნებს ატარებს. აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავის ამ ნაშრომის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ქართულ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ლიტერატურაში საწნახელში ღვინის *გაყენება* მეღვინეობის უადრეს ეტაპად არის მიჩნეული. (*Эристов,* 1876; *შამილაძე,* 2001, გვ. 166-167)

სურ. 12., სურ. 13.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რაფიელ ერისთავის მიერ იმერლების ყოველდღიური და საზეიმო ეროვნული სამოსის დეტალური აღწერა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიების მიხედვით. რაფიელის ეპოქის იმერელი მოსახლეობა ეროვნულ სამოსში იყო გამოწყობილი, თუმცა უკვე ფეხს იკიდებდა ჩაცმულობის ევროპული ტენდენციები და ფაბრიკული ნაწარმი, იგრძნობოდა აგრეთვე, მეზობელი კუთხეებისა და ქვეყნების ჩაცმულობის ტრადიციების გავლენაც, მაგ.: რაფიელმა იმერლების სამოსში *ჩერქეზკა, ყაბალახი* და *ნაბადი* ჩერქეზებისა და აფხაზების გავლენით ახსნა, მოკლე ქურქი მამაკაცებსა და ქათიბი ქალებში ქართლის გავლენას მიაწერა; მისი დაკვირვებით, ქოშები სპარსეთიდან ქართლში, ხოლო შემდეგ იმერეთში უნდა გავრცელებულიყო, ხოლო ქალის ფეხსაცმელი *ყაყაბი* – ოსმალეთიდან ჯერ სამეგრელოსა და გურიაში, იქიდან კი იმერეთში უნდა შემოსულიყო.

აღნიშნული მონოგრაფია, ისევე როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთზე შესრულებული გამოკვლევა, თამამად შეიძლება ჩაითვალოს რაფიელ ერისთავის ერთ-ერთ საუკეთესო ეთნოგრაფიულ ნაშრომად.

ფასდაუდებელია მე-19 ს-ის 70-80-იან წლებში რაფიელ ერისთავის ლექსიკოლოგიური მოღვაწეობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მის მიერ პირველი ქართულენოვანი ბოტანიკური ლექსიკონის შედგენა, მცენარეთა ქართული დეფინიციებისა და სახელწოდებების დადგენა. ნაშრომზე მუშაობისას მას უსარგებლია სამეცნიერო ლიტერატურით, მცენარეთა უცხოენოვანი ლექსიკონებით, ასევე, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებით, კარაბადინებით; მცენარეთა ჩანახატები შეუდარებია ნამდვილი ეგზემპლარებისთვის, ამავე დროს უწარმოებია ადგილობრივი სოფლის მოსახლეობისა და სპეციალისტების გამოკითხვა (*ქოქრაშვილი,* 2024, გვ. 152).



ნაშრომი გამოქვეყნდა 1873 წელს, სახელწოდებით – ***შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი შედგენილი რ. დ. ერისთოვისგან***. პირველსავე გვერდებზე ავტორი აღწერდა დასახული მიზნის სირთულეს, მისი ნაშრომის მნიშვნელობასა და ღირსებას, ასაბუთებდა მომავალში მცენარეთა სრული ლექსიკონის შექმნის აუცილებლობას: *...სახელწოდება მცენარეთა ისე ვრცელ არს, რომელ ჩემის საშუალობისათვის ფრიად ძნელის იქნება შეკრებად სრულის მცენარეთა ლექსიკონისა ქართულს ენაზედ, მაგრამ, ვგონებ, კაცმა რომ მცირედი სარგებლობაც არის მოუტანოს თავის მშობელს ენას დასწავლას, არც ეს იყოს დასაძრახისი? ... მრავალნი ბალახნი, ყვავილნი, ხენი, ხავსნი, სოკონი და ერთობ მცენარენი იხმარებიან მცხოვრებთაგან სამკურნალოდ, საჭმელათ, საღებავათ და სხვა და სხვა გვარათ ... უეჭველია რომ მათვე ეცოდინებათ მცენარეთა სახელწოდებაცა, მაგრამ ამ სახელწოდებათა გამოკვლევა და თარგმნა არ ძალუძს ერთს პირს, მოკლე ხანში მაინც; ამაში უნდა მიიღონ შრომა მსწავლულთა, სასოფლო მეურნეთა, ექიმთ და სხვათა სწავლის და ენის მოყვარეთა პირთა და მაშინ შევადგენთ და გვეცქნება სრული (შეძლების და მეცადინეობის და გვარად) მცენარეთა ლექსიკონი.* (*შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი, 1873,* გვ. 3)

სხვადასხვა ლექსიკონების შესწავლის, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვითა და საველე ეთნოგრაფიული მასალის შეკრებით, მრავალმხრივი დაკვირვებისა და შედარებითი კვლევის შედეგად, რაფიელ ერისთავმა დააზუსტა 1200-მდე მცენარის ქართული სახელწოდება, განსაზღვრა მათი ლათინური და რუსული შესატყვისები. მოძიებული მასალების საფუძველზე მან შეადგინა *მოკლე ბოტანიკური ლექსიკონი,* რომელიც მანამდე ქართულ ენაზე არ ყოფილა გამოცემული. ამით რაფიელ ერისთავმა საფუძველი დაუდო ქართული ფიტონომიის – მცენარეთა სახელწოდებების შემსწავლელი მეცნიერების განვითარებას. დარგის სპეციალისტების აზრით, რაფიელ ერისთავი ქართული ფიტონომიის ფუძემდებლადაა მიჩნეული. (*მაყაშვილი,* 1986)

სურ. 14., სურ. 15.

რაფიელ ერისთავის მიერ შედგენილი *შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი,* როგორც მნიშვნელოვანი დარგობრივი ნაშრომი, *კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების* მიერ *დიდი ვერცხლის მედლით* დაჯილდოვდა. მედალი გაიცემოდა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის განსაკუთრებული დამსახურებისა და საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტანი ნაშრომის აღსანიშნავად. რაფიელ ერისთავის დამსახურებული ეს ჯილდო სოფლის მეურნეობისა და ბოტანიკის დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავებისთვის გაწეული ღვაწლის აღიარებას ნიშნავდა (*ქოქრაშვილი,* 2024, გვ. 153-154).

აღსანიშნავია, რომ მწერლის ლექსიკოლოგიური მოღვაწეობა ამით არ ამოწურულა. ის აპირებდა მცენარეთა, ცხოველთა სამყაროსა და ლითონთა ლექსიკონზე მუშაობას: *... მე ვმეცადინეობ განვაგრძო ჩემი შრომა, უსრულესის ლექსიკონის შედგენისათვის, როგორც მცენარეთა სახელწოდებათა, ეგრეთვე შედგენისათვის მასთანვე ლექსიკონისაცა ცხოველთა (პირუტყვთა, თევზთა, მფრინველთა, მძრომთა, მწერთა და სხვათა)* და *ილეკროთა* (*შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი,* 1873, გვ. 3-4). *კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების* 1874 წლის საანგარიშო დოკუმენტიდან ჩანს, რომ რაფიელ ერისთავი გეგმავდა ქართლ-კახეთსა და იმერეთში გავრცელებულ მცენარეთა ხალხური სახელწოდებების ლექსიკონის შედგენასაც – *Словарь, простонародных грузинских и имеретинских названии растений* (*Записки Кавказского общества сельского хозяйства*, 1875, №2)

ლექსიკოლოგიურმა და ტერმინოლოგიურმა ძიებებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა XIX ს-ის 80-იან წლებში, როდესაც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, *კირილ იანოვსკის,* ინიციატივით ხელისუფლებამ განიზრახა საქართველოს სკოლებში ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლების შემოღება. ეს მოსაზრება რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოხელეებმა ქართული ენის სიღარიბითა და საჭირო ტერმინების უქონლობით გაამართლეს. მაშინ რაფიელ

ერისთავი *ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, იაკობ გოგებაშვილის* და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მხარდამხარ ჩაება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შემუშავების საქმეში. კოლოსალური შრომა, გულმოდგინება და მოთმინება, რომელიც რაფიელმა ლექსიკონებისა და დარგობრივი ტერმინოლოგიის შედგენას მოახმარა, ქართული ენის განვითარებისა და მისი სამეცნიერო სამეტყველო აპარატის სრულყოფის ამოცანას ემსახურებოდა. ამ ეროვნულ წამოწყებაში მას უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და სოფ. ქისტაურში, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის ფონდში, დაცულ ავტოგრაფებში უხვადაა ჩანაწერები და მასალები ქართული საკუთარი სახელების, რუსულ-ქართული ანტონიმების, თვეებისა და ზოდიაქოს სახელების განმარტებითი ლექსიკონებისთვის; მას ბევრი უმუშავია, ასევე, დიალექტოლოგიური ლექსიკონის შესადგენად; შეუკრებია მასალები ქართულ-იმერული, მეგრულ-სვანური და იმერულ-ქართლური დიალექტების შედარებითი ლექსიკონისთვის, რასაც მის პირად არქივში დაცული მასალების სიუხვე ადასტურებს; მოუძიებია გეოგრაფიულ სახელთა, სამჭედლო და სადურგლო საქმეთა, მედიცინის, ქიმიისა და მეტეოროლოგიის რუსულ-ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკური მასალა. სიცოცხლის ბოლო წლებში კი მუშაობდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე, რომლის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1880 წელს გააჟღერა გაზეთ *ივერიის* (1880, № 144) ფურცლებზე (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი,* საქ. №134; *ჯაგოდნიშვილი,* 1986, გვ. 66-67; *ვაშაყმაძე,* 1962, გვ. 86-87). მას დაუმუშავებია მასალები *არითმეტიკის* და *გეომეტრიის, ფიზიკისა* და *სამუნჯიბო ღეოღრაფიიდან* (ასტრონომიის), *სამზომისა* და *საწყაოსი, ქიმიისა, ზღვისა* და *შიგ ცურვისა* და *სამხედრო* ტერმინები (*ვაშაყმაძე,* 1962, გვ. 86-87). 1884 წელს წიგნად გამოიცა რაფიელ ერისთავის ***მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან***, რომელსაც ჯერ კიდევ 1873 წლიდან ჰპირდებოდა საზოგადოებას, ხოლო 1880 წელს გაზეთ *ივერიაში* გამოაქვეყნა კიდეც ლექსიკონის შედგენის გეგმა. (გაზ. *ივერია,* 1880, № 144)

დიდია რაფიელ ერისთავის დამსახურება ქართული ტექსტების კვლევისა და გამოცემის მიმართულებით. 1884 წელს ქართველმა მკითხველმა პირველად იხილა წიგნად დაბეჭდილი სულხან-საბა ორბელიანის ***ქართული ლექსიკონი***, რომლის რედაქტორი და გამომცემელი რაფიელ ერისთავი იყო: *დღევანდლამდის სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონი არ ყოფილა არსად დაბეჭდილი და ხელნაწერები კი ზოგიერთ ოჯახებში მოიპოება. მე შევკრიბე რამოდენიმე ლექსიკონები საბა-სულხან ორბელიანისა, შეუთანასწორე ერთმანეთს* და *ამრიგად შევავსე.* (*ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან,* 1884, გვ. XV) ეს გამოცემა ღირსშესანიშნავი მოვლენაა იმდროინდელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. რაფიელ ერისთავის ღვაწლი, როგორც ამ ნაშრომის ტექსტის პირველი მკვლევრისა და გამომცემლისა, უმნიშვნელოვანესია, რომელმაც სათავე დაუდო სულხან-საბა ორბელიანის გამორჩეული ნაშრომის (*სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი*) მომდევნო მეცნიერულ გამოცემებს.

1881 წლიდან რაფიელ ერისთავი მოღვაწეობდა *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენ კომისიაში, დიდი როლი შეასრულა პოემის პოპულარიზაციისა და პუბლიკაციის საქმეში; მისი თაოსნობით, 1888 წელს, დაიბეჭდა ***ვეფხისტყაოსანის*** ე. წ. ***ქართველიშვილისეული გამოცემა*** *(ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, 1888),* რომელიც ილუსტრირებულია ცნობილი უნგრელი მხატვრის *მიხაი ზიჩის* 27 ნახატით, წიგნის შრიფტი და ორნამენტები კი ეკუთვნის პირველ ქართველ გრავიორ-ქსილოგრაფს – *გრიგოლ ტატიშვილს.* პუბლიკაცია ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და ქველმოქმედმა, *გიორგი ქართველიშვილმა* დააფინანსა და მთელი ტირაჟი *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას* გადასცა საჩუქრად, (*გოდერიძე,* 2005, გვ. 48; *სულავა,* 2024, გვ. 187-198). აღნიშნული პუბლიკაცია გარკვეული ტექსტოლოგიური ნაკლოვანებების მიუხედავად, *ვეფხისტყაოსნის* ერთ-ერთ გამორჩეულ და ღირსშესანიშნავ გამოცემად ითვლება.



რაფიელ ერისთავმა შეკრიბა და სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოაქვეყნა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ანდაზები, გამოცანები: ***ქართული სახალხო პოეზია – გლეხური სიმღერები*** (*კრებული,* 1873, №7, 10), ***ძველი მესტვირული ლექსები*** (*თეატრი,* 1886, №27-30, 33); ***მდაბიური ანდაზები*** (*თეატრი,* 1888, №21, 23, 24) და სხვა (*იმედაშვილი,* გვ. 82). განსაკუთრებით აღსანიშნავია, ასევე, 1885 წელს მისი რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემული, ანტონ კათალიკოსის ***ქართული ღრამატიკა*** (*ქართული ღრამატიკა,* 1885).

რაფიელი წლების მანძილზე მუდმივად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან: *ცისკარი, საქართველოს მოამბე, დროება, ივერია,* რომელშიც აქვეყნებდა თავის პუბლიცისტურ წერილებსა თუ მხატვრულ შემოქმედებას, პოეზიას, რამაც უდიდესი პოპულარობა და აღიარება მოუტანა თავის ქვეყანასა და ხალხში.

XIX ს-ის 70-80-იანი წლების მიჯნაზე რაფიელ ერისთავი საქართველოში შექმნილი არაერთი საზოგადოების დაფუძნებაში მონაწილეობდა. 1879 წელს ტფილისში, მისი თაოსნობით, შეიქმნა *ქართული დრამატული საზოგადოება,* ის იყო ამ საზოგადოების პირველი გამგეობის წევრი. ამავე წელს, თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწეებთან ერთად, მონაწილეობდა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* დაფუძნებასა და მისი წესდების შემუშავებაში; 1879 წლის 15 მაისიდან 23 დეკემბრამდე ასრულებდა აღნიშნული საზოგადოების ხაზინადარის მოვალეობას. ჩართული იყო სიღნაღისა და თელავის მაზრებში *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* სკოლების გასახსნელად ადგილობრივ ადმინისტრაციასთან წარმოებულ მოლაპარაკებებში, ასევე, ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შედგენასა და სასწავლო-სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში. 1892 წელს ყოველი ეროვნული საქმის ნაყოფიერი და თავდადებული სამსახურისთვის, რაფიელ ერისთავს სიცოცხლის ბოლომდე მიენიჭა *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრის სტატუსი* (*გოდერიძე,* 2005, გვ. 59-61).

სურ. 16.

მოღვაწეობის გვიანდელ პერიოდში რაფიელ ერისთავი კვლავ *თანამშრომლობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* გამოცემებთან, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მთიელთა ყოფის შესახებ გამოცემული ლიტერატურის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 1881 წელს, ტფილისში, გამოიცა *გუსტავ რადეს* ნაშრომი *ხევსურეთი და ხევსურები* (*Радде,* 1881), რომელიც *გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* ჟურნალის რედაქციის თხოვნით, რაფიელ ერისთავმა კრიტიკულად შეისწავლა თანდართული რუკებითურთ; ამოიწერა ავტორის კონკრეტული ცდომილებები ნაშრომის შესაბამისი გვერდების მითითებით, შეიტანა მათში შესწორებები, რის საფუძველზეც შეადგინა 8 გვერდიანი წერილი – ***Отпечатки и поправки в монографии „Хевсурия и хевсуры“*** *(მინიშნებები და შესწორებები მონოგრაფიაში „ხევსურეთი და ხევსურები“),* რომელიც 1890 წელს აღნიშნული ჟურნალის (ЗКОИРГО) XIV ნომერში გამოქვეყნდა (*Эристов,* 1890 a, ЗКОИРГО, გვ. 104-111).

იმავე ნომერში დაიბეჭდა გ. რადეს ნაშრომის შესახებ რეცენზიის ტექსტიც სათაურით – *Заметки о монографии „Хевсурия и хевсуры“ (შენიშვნები მონოგრაფიის შესახებ „ხევსურეთი და ხევსურები“),* რომელიც წინ უძღვის რაფიელის *მინიშნებებსა* და *შესწორებებს.* ის არ არის ხელმოწერილი და მიჩნეულია ჟურნალის რედაქციის რეცენზიად (*Заметки о монографии „Хевсурия и хевсуры“,* ЗКОИРГО, 1890, გვ. 97-103). საყურადღებოა, რომ რეცენზია მთლიანად შედგენილია რაფიელ ერისთავის *შესწორებების* მიხედვით (*Эристов,* 1890 a, ЗКОИРГО, გვ. 104-111), ამიტომ მეცნიერ *ვ. ითონიშვილის* ვარაუდით, შესაძლოა მასვე ეკუთვნოდეს (*ითონიშვილი,* 1989, გვ. 57-58). ამ ვარაუდს ჩვენც ვიზიარებთ და საყურადღებოდ ვთვლით მასში გადმოცემულ ზოგიერთ მოსაზრებას, რომელიც ასახავს ქართული და რუსული იმპერიული ეთნოგრაფიული აზროვნების წინააღმდეგობას: რეცენზიაში კრიტიკულადაა განხილული გუსტავ რადეს მსჯელობა ქართველი მთიელების წარმომავლობის შესახებ. მცდარად არის მიჩნეული მისი თვალსაზრისი აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის გენეზისის თაობაზე და ნაშრომის ავტორის

მოსაზრების საპირისპიროდ, ხევსურები, ფშავლები, თუშები ხაზგასმით ქართველ მთიელებად არიან აღიარებულნი; აქვე გაკრიტიკებულია, გ. რადეს მიერ, მთიელთა აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში ქისტების შეყვანა.

მიუხედავად იმ ნაკლოვანებისა, რომ რეცენზიის ავტორი თუშებს, ხევსურებსა და ფშავლებს *ხალხებს* უწოდებს და არა ეთნიკურ ჯგუფებს, საკმაოდ მაღალმეცნიერულ დონეზეა გააზრებული წოვა-თუშების საკითხი: მათი არაქართული წარმომავლობის დაშვების შემთხვევაშიც კი, წოვა-თუშები – ქართული ტრადიციებით, ყოფით, სარწმუნოებით, კუთხურ ენასთან ერთად ქართული ენით, თუშების შემადგელობაში მყოფ ქართველ მთიელთა ჯგუფად არის აღიარებული (*Заметки о монографии „Хевсурия и хевсуры“,* ЗКОИРГО, 1890, გვ. 97-103; *ითონიშვილი,* 1989, გვ. 59). გ. რადეს, რუსეთის იმპერიაში ცნობილი კავკასიოლოგის, ნაშრომის კრიტიკა ასეთ მნიშვნელოვან გამოცემაში კიდევ ერთხელ ადასტურებდა, აღნიშნული საკითხების ირგვლივ, რაფიელ ერისთავის მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის აღიარებას.

ჟურნალის იმავე ნომერში გამოქვეყნებულია რაფიელ ერისთავის მიერ რუსულად თარგმნილი *ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელის)* ნარკვევი ხევსურეთის ეთნოგრაფიის შესახებ *(**Извлечение из этнографических очерков Урбнели о хевсурах**)*. რაფიელმა ნაშრომი სათანადოდ შეაფასა, თავისი შეხედულების მიხედვით დააჯგუფა მასალები და დაასათაურა, ხოლო დასკვნით ნაწილში შეეცადა აეხსნა ხევსურთა ყოფაში არსებული მოვლენები ბიბლიის ტექსტებთან შეჯერების საფუძველზე. (*Эристов,* 1890 b, ЗКОИРГО, გვ. 141-198) მასვე რუსულად უთარგმნია და დაუბეჭდავს *ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანი)* ეთნოგრაფიული ნაშრომი სვანეთის შესახებ *(**Заметки о Сванетии**)*, ამით ეს წერილები რუსი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა (*Эристов,* 1897, ЗКОИРГО, XIX, приложение II, გვ. 1-110).

რუსულ ენაზე ორი გამოჩენილი ეთნოგრაფის გამოკვლევების თარგმნა მნიშვნელოვანი იყო XIX ს-ის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელ ერისთავმა მაშინდელი სამეცნიერო პრაქტიკის ზეგავლენით, დაარღვია საავტორო უფლება და ქართველ ეთნოგრაფთა კვლევების რუსული თარგმანი თავისი გვარით გამოაქვეყნა. ამდენად, ვისაც ქართულ ტექსტებზე ხელი არ მიუწვდებოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს რაფიელი აღნიშნული ნაშრომების ავტორი იყო და არა მთარგმნელ-კომენტატორი და რედაქტორი (*ითონიშვილი,* 1989, გვ. 60). ამ ხარვეზის მიუხედავად, ხიზანიშვილის და ნიჟარაძის ნაშრომების რაფიელისეულმა თარგმანებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა მაშინდელი ქართული ეთნოგრაფიული ცოდნის მასშტაბები.

1895 წლისთვის რაფიელს სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა – *სწორედ ორმოცდაათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფიელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის შესახებ გულმავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა* – წერდა აკაკი წერეთელი გაზეთ *კვალში* გამოქვეყნებულ შენიშვნაში (გაზ. *კვალი,* 1895, № 22, გვ. 3.). აკაკის ამ ინიციატივას ქართველი საზოგადოების გულთბილი გამოხმაურება მოჰყვა. სამზადისში ჩაერთნენ სახელმოხვეჭილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: *აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, მარიამ ორბელიანი, ლადო მესხიშვილი, გიორგი წერეთელი, კოტე მესხი, ნიკო ცხვედაძე* და სხვები.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში საზოგადოება და ხალხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იუბილეს აღნიშნავდა. შემთხვევითი არ არის, რომ ეს პატივი წილად სწორედ რაფიელ ერისთავს ხვდა. იუბილეს დღე – 1895 წლის 22 ოქტომბერი – საერო დღესასწაულად იქცა. თბილისის ქუჩები ვერ იტევდა საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან წარმოგზავნილ დელეგაციებს. იუბილარმა უამრავი საჩუქარი მიიღო, ლექსები, სიმღერები, დეპეშები თუ წერილები საქართველოს, კავკასიისა თუ რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან – მწერლების, მეცნიერების, სტუდენტების, ხელოსნების, გლეხების, სხვადასხვა საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან (*ვაშაყმაძე,* 1962, გვ. 111; *საერო დღესასწაული,* 1899).



როგორც იოსებ იმედაშვილი აღნიშნავდა, რაფიელ ერისთავის იუბილემ *გამოიწვია ქართველთა ეროვნული სულის ამოძრავება* (*იმედაშვილი,* 2021, გვ. 81). მისი მნიშვნელობა გასცდა ერთი კონკრეტული საზოგადო მოღვაწის იუბილეს და ის ეროვნული იდეების გავრცელების და კულტურული ცნობიერების ამაღლების ნათელ მაგალითად იქცა.

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო ავტორიტეტზე მიუთითებს მისი ურთიერთობები თავისი დროის ცნობილ მეცნიერებთან. მასთან თანამშრომლობდნენ საქართველოს წარსულით დაინტერესებული მკვლევრები: *პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, ბესარიონ ნიჟარაძე, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო და დავით ხიზანიშვილები; უცხოელი მკვლევრები: ადოლფ ბერჟე, ივან ბარტოლომეი, გუსტავ რადე, ნიკოლაი ხანიკოვი, არნოლდ ზისერმანი, მარი ბროსე* და სხვები. რაფიელ ერისთავის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა არაერთი საპატიო ჯილდოთი აღინიშნა. სამეცნიერო ნაშრომებისთვის მიიღო *რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* ოქროსა და *კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების* ვერცხლის მედლები. სარგებლობდა სხვადასხვა საზოგადოების – *კავკასიის სოფლის მეურნეობის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული დრამატული საზოგადოების* საპატიო წევრის სტატუსით. გულისხმიერი მუშაობისთვის დაიმსახურა არაერთი კულტურული დაწესებულების, მათ შორის, *კავკასიის განყოფილების მუზეუმის* ხელმძღვანელობის ოფიციალური მადლობა. სამეცნიერო და საზოგადოებრივი დამსახურების ამ არასრულ ჩამონათვალს ემატება მისი სამოხელეო მოღვაწეობის აღმნიშვნელი ჯილდოებიც (*ქოქრაშვილი,* 2024, გვ. 129-158).

თვალს თუ გადავავლებთ რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განვლილ გზას, ცხადია, რომ მწერლის უმნიშვნელოვანესი ჯილდო მის მიმართ ხალხის დიდი სიყვარული იყო, რომელიც მუდამ თან სდევდა. რაფიელის მოღვაწეობის შედეგად მიღებული სიკეთის საპასუხოდ საზოგადოებისა და ადამიანების მიერ გამოხატული გულწრფელი მადლიერება, ყველაზე უკეთ უჩვენებს მისი ღვაწლისა და საქმის მნიშვნელობას და კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ დიდებული პიროვნების მუდმივ კავშირს მშობლიურ ქვეყანასთან, საკუთარ ხალხთან, რომელთა გულებშიც ის სამუდამოდ დარჩა.

## დასკვნა

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო მემკვიდრეობამ, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩინა მისი პიროვნული პორტრეტი: სახელმწიფოდაკარგული ქვეყნის შვილის ფარული თუ ცხადი ბრძოლა, მიმართება პოლიტიკურ რეჟიმთან, ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად საზოგადოებაში არსებული ეროვნული ნიჰილიზმის დაძლევის მისეული გზა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად გაწეული ღვაწლი.

რაფიელ ერისთავის სამეცნიერო შემოქმედებამ, კვლევებმა, იდეებმა და ნოვატორულმა მიგნებებმა XIX ს-ის მეორე ნახევარში დიდი გავლენა იქონია ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებზე, ქართული ეთნოგრაფიის, მუზეოლოგიის, არქეოლოგიისა და ფიტონომიის, ასევე ლექსიკოლოგიის, ენისა და კულტურის განვითარებაზე. რაფიელ ერისთავი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების სათავეებთან აღმოჩნდა. მისმა სამეცნიერო, პუბლიცისტურმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას იმ ეპოქაში, როდესაც ქვეყნის კულტურული და ენობრივი იდენტობა საფრთხის წინაშე იდგა. რაფიელ ერისთავის კვლევები, მის მიერ შექმნილი ნაშრომები, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვან მემკვიდრეობას წარმოადგენს. მისი მოღვაწეობა დღემდე აქტუალურია და რჩება ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, იდენტობის შენარჩუნებისა და ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების მაგალითად.

## ბიბლიოგრაფია


ბოროზდინი, კ., ერისთავი, რ., მურიე. (1927). *ბატონყმობა სამეგრელოში* (მასალები). თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი. *გამომცემელი ერმოლაოზ წულაია.* ტფილისი.

გოდერიძე, ლ. (2005). *კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.* თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

ერისთავი, რ. (1986). ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები. თემურ ჯაგოდნიშვილის რედაქციით. თბილისი: *მეცნიერება.*

ვაშაყმაძე, შ. (1962). *რაფიელ ერისთავი (ცხოვრება და მოღვაწეობა, შემოქმედება).* თბილისი: გამომცემლობა *საბჭოთა საქართველო.*

*ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ, თფილისი, სტამბა ი. მარტიროსიანცისა, 1888.*

ითონიშვილი, ვ. (1989). *ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები.* თბილისი: გამომცემლობა *მეცნიერება.*

იმედაშვილი, ი. (2021). *ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი,* 1801-1952 (ე-ლ), II ტომი. თბილისი: *ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა.*

კაჭარავა ე., მორჩილაძე ა., ქოქრაშვილი ხ., მანია ე., სულავა ნ., ბელაშვილი თ., შარაბიძე თ., *რაფიელ ერისთავი – 200,* რედაქტორები თ. ღუდუშაური, თ. თვალავაძე. თბილისი: *საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.*

კერესელიძე, ი. (1857). *ცოდნისათვის განჯაფისა. ცისკარი,* №12.

კიღურაძე, ნ. (1985). *რაფიელ ერისთავი და საქართველოს არქეოლოგია.* გაზ. *თბილისი,* №42.

მაყაშვილი, ზ. (1986). *რაფიელ ერისთავი – ქართული ფიტონომიის ფუძემდებელი. თბილისი, №77.*

*მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი/Краткий грузино-русско-латинский словарь.* (1884), ტფილისი.

ჟორდანია, გ. (1951). *კავკასიური მუზეუმის დაარსება: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის შესწავლისათვის.* თბილისი: მეცნიერებათა აკადემია.

რაზმაძე, მ. (1986). *რაფიელ ერისთავი და საქართველოს სიძველენი. ამირანი,* XIV-XV, გვ. 90-98.

სულავა, ნ. (2024), *„ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა და რაფიელ ერისთავი. რაფიელ ერისთავი – 200,* პუბლიკაცია მომზადდა კაჭარავა ე., მორჩილაძე ა., ქოქრაშვილი ხ., მანია ე., სულავა ნ., ბელაშვილი თ., შარაბიძე თ. ავტორობით. რედაქტორები თ. ღუდუშაური, თ. თვალავაძე. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ქოქრაშვილი, ხ. (2024). *რაფიელ ერისთავის ჯილდოები სამოხელეო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის. რაფიელ ერისთავი – 200,* პუბლიკაცია მომზადდა კაჭარავა ე., მორჩილაძე ა., ქოქრაშვილი ხ., მანია ე., სულავა ნ., ბელაშვილი თ., შარაბიძე თ. ავტორობით. რედაქტორები თ. ღუდუშაური, თ. თვალავაძე. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

*საერო დღესასწაული,* თ. (1899). *რაფიელ ერისთავის იუბილეს გამო* (1895 წ. 22 ღვინობისთვეს). ტფილისი: სტამბა ექვთიმე ივანეს-ძე ხელაძისა.

*ქართული ღრამატიკა.* (1885). შედგენილი ანტონ I-ის მიერ, გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით, ტფილისი: ექვთიმე ხელაძის სტამბა.

*ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან.* (1884). რაფ. ერისთავის რედაქტორობით და შენიშვნებით. ტფილისი.

შამილაძე, ვ. (2001). *ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ.* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.

*შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი,* (1873). *შედგენილი რ. დ. ერისთოვისგან,* ტფილისი.

ჯაგოდნიშვილი, თ. (1986). *რაფიელ ერისთავი.* გამომცემლობა *ნაკადული,* თბილისი.

ჯაგოდნიშვილი, თ. (2023). *დიდი ეროვნული მოღვაწე (რაფიელ ერისთავის დაბადების 200 წლისთავის გამო).* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. https://doi.org/10.52340/idw.2023.67..

ჯავახიშვილი, ი. (1960). *ქართველი ერის ისტორია,* ტ. I. თბილისი.

ჯამბაკურ-ორბელიანი, ა. (1869). *ჩვენი ძველი სახლეულობანი. მნათობი,* ყოველთვიური სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი, მაისი-ივნისი.

Brosset, M. F. (1850). *Voyage Archeologique en Transcaucasie, Rapports sur un voyage archéologique dans La Géorgie et dans L'Armenie, executé en 1847-1848.* St.-Peterburg.

Апажев, А., Кожоков, М., Дзуганов, Т., & Кожоков, А. (2014). *Роль Императорского Русского географического общества в развитии академической науки на Кавказе. Мир Науки* (Научный интернет журнал), Выпуск 4.

*Двадцатипятилетие Императорского Русского географического общества.* (1872/2013). [Электронный ресурс]. СПб. https://elib.rgo.ru/handle/123456789/211876

*Заметки о монографии „Хевсурия и хевсуры“.* (1890*). Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества (ЗКОИРГО),* кн. XIV, вып. I. Тифлис, гз. 97-103.

*Записки Кавказского общества сельского хозяйства.* (1875). №2.

*Записки Кавказского общества сельского хозяйства.* (1875). №3.

*Кавказъ.* (1854). № 64.

Кигурадзе, Н. (2004). *Археология на страницах „Кавказская старина“. Культурис историиса да теориис сакитхеби,* № 20.

*Обзор деятельности Императорского Кавказского общества сельского хозяйства за пятьдесят лет (1850-1900).* (1901). Выпуск I. Составил секретарь Общества Императорского Кавказского общества сельского хозяйства Иоселиани. Тифлис: Тип. К.П. Козловского.

*Отчет Императорского Русского географического общества за 1855 год.* (1856). СПб.

Радде, Г. (1881). *Хевсурия и хевсуры (опыт монографии). Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества (ЗКОИРГО),* XI, вып. II. Тифлис.

Семёнов, П. (1896). *История полувековой деятельности Императорскаго Русскаго Географическаго Общества 1845-1895,* часть I. СПб.

*Учреждение Отдела. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества (ЗКОИРГО).* (1852). I. Тифлис,].

Читая, Г., *Этнографические исследования в грузинской ССР, Советская этнография,* 1948, #4.

Эристов, Р. (1846). *Письмо к другу, Кавказъ,* № 6;

Эристов, Р. (1846). *Письма из Кахетии. Кавказъ,* №25-26.

Эристов, Р. (1847). *Лазаре. Кавказъ,* №10.

Эристов, Р. (1847). *Свадьба у Грузин. Кавказъ,* № 14.

Эристов, Р. (1847). *Охота за фазанами в Кахетии. Кавказъ,* №20.

Эристов, Р. (1848). *Воспоминания о холере. Кавказъ,* №46.

Эристов, Р. (1849). *Маскарад грузинской черни. Кавказъ,* №16.

Эристов, Р. (1849). *Признаки весны; Царство кукушек; Происхождение сов. Кавказъ,* №18.

Эристов, Р. (1854). *Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе. Кавказъ,* №№43, 45, 46, 47, 49, 50, 51, 52.

Эристов, Р. (1855). *Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе. Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества (ЗКОИРГО),* кн. III, Тифлис.

Эристов, Р. (1873 a). *Путевые записки по Менгрелии. Кавказская старина,* №3.

Эристов, Р. (1873 b). *О крестьянском сословии в Менгрелии, Кавказская старина,* №№4, 5, 6.

Эристов, Р. (1873 c). *О привилегированных сословиях в Мингрелии, Кавказская старина,* №6.

Эристов, Р. (1876). *Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении.* Тип. Гл. упр. наместника кавк., Тифлис.

Эристов, Р. (1890 a). *Отпечатки и поправки в монографии Хевсурия и хевсуры. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества (ЗКОИРГО),* XIV, вып. I. Тифлис.

Эристов, Р. (1890 b). *Извлечение из этнографических очерков Урбнели о хевсурах. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества (ЗКОИРГО),* XIV, вып. I. Тифлис.

Эристов, Р. (1897). *Заметки о Сванетии. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества (ЗКОИРГО),* XIX, приложение II. Тифлис.

*გაზეთი თეატრი.* (1886). № 27-30.

*გაზეთი თეატრი.* (1888). №21.

*გაზეთი ივერია.* (1880). №144.

*გაზეთი კვალი.* (1895). №22

*კრებული.* (1873). №7.

## საარქივო მასალა

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (კკსსხეც), რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №107-117.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №134.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №154.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №155.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №156.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №157.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №158.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №164.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №165.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №166.

კკსსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, საქ. №184.

*ხათუნა ქოქრაშვილი*
ისტორიის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

*Khatuna Kokrashvili*
PhD in History, Senior Scientific Researcher
T. Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia (UG)
ORCID-ID: 0009-0001-3876-2591

КАВКАЗСКІЙ ОТДѢЛЪ
ИМПЕРАТОРСКАГО
Русскаго Географическаго
ОБЩЕСТВА.

№ 45.
Апрѣля „10“ 1855 г.

Тифлисъ.

Милостивый Государь,

Князь Рафаилъ Давыдовичъ

Кавказскій Отдѣлъ Императорскаго Русскаго Географическаго Общества, желая пользоваться просвѣщеннымъ участіемъ Вашимъ въ трудахъ своихъ, избрало Ваше Сіятельство Дѣйствительнымъ Членомъ.

Сообщая о семъ Вамъ, Милостивый Государь, и препровождая при семъ Положеніе объ Отдѣлѣ, покорнѣйше прошу принять увѣреніе въ моемъ совершенномъ почтеніи

Его Сіятельству
Князю Р. Д. Эристову.

сურ. 1. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიმართვა რაფიელ ერისთავს, განყოფილების (КОИРГО) ნამდვილ წევრად არჩევის გამო, (რუსულ ენაზე. 1855, 10 აპრილი), კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი, №153.



Императорское
Русское Географическое
Общество

избрало

Губернскаго Секретаря

Князя Рафаила Давыдовича Эристова

своим членомъ Сотрудникомъ.

Вице-Президентъ М. Модестовъ

№ 703.

10 Іюня 1855 года
С. Петербургъ

За Секретаря

сურ. 2. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრობის დიპლომი რაფიელ ერისთავს (რუსულ ენაზე. 1855, 10 ივნისი), კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №154, ფურც. 3.

КАВКАЗСКІЙ ОТДѢЛЪ
ИМПЕРАТОРСКАГО
РУССКАГО ГЕОГРАФИЧЕСКАГО
ОБЩЕСТВА.

№412.
„23" Ноября 1855 года.

ТИФЛИСЪ.


Дѣйствительному Члену Кавказскаго Отдѣла ИМПЕРАТОРСКАГО Русскаго Географическаго Общества, Кмето Рафаилу Давидовичу Еристову

Желая опредѣлительнѣе ознакомиться съ личнымъ составомъ своихъ членовъ, готовыхъ, *въ особенности занятіями своими*, споспѣшествовать цѣлямъ Отдѣла и, въ тоже время имѣя въ виду правильнѣйшее распредѣленіе своихъ занятій, распорядительный Комитетъ Кавказскаго Отдѣла ИМПЕРАТОРСКАГО Русскаго Географическаго Общества, въ засѣданіи 14 Сентября сего года, положилъ: учредить при Отдѣлѣ, по тремъ различнымъ родамъ его занятій, *три* Отдѣленія: 1) Собственно Географическое, Статистическое и Этнографическое, и 2) обратиться къ Гг. Д. Членамъ съ просьбою о добровольномъ съ ихъ стороны причисленіи себя къ которому либо изъ этихъ трехъ Отдѣленій.


Въ слѣдствіе сего и согласно заключенію Комитета 14 минувшаго Сентября, Его Сіятельство, Г. Предсѣдательствующій въ Отдѣлѣ покорнѣйше проситъ Васъ, Милостивый Государь, доставить въ Канцелярію Отдѣла, не позже 1-го Января 1856 г. свой отзывъ: по которому изъ предположенныхъ трехъ Отдѣленій, Вы, на случай могущаго представиться Вамъ участія въ трудахъ Отдѣла, желаете быть зачислены и состоять на будущее время: по Географическому-ли, или Статистическому, или Этнографическому?

*Правитель Дѣлъ Отдѣла,*
*Дѣйствительный Членъ* Е. Вуджиевскій

სურ. 3. რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების (КОИРГО) წერილი რაფიელ ერისთავს, შეტყობინება გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სტატისტიკური განყოფილებების დაარსების შესახებ. თხოვნა, 1856 წლის 1 იანვრამდე აცნობოს, რომელ განყოფილებაში განაგრძობს სამსახურს. (ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1855, 23 ნოემბერი), კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №157, ფურც. 1.



სურ. 4. რაფიელ ერისთავის განცხადება ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ჩარიცხვის თაობაზე (ავტოგრაფი, ფანქრით შესრულებული. შავი პირი. რუსულ ენაზე. 1855, 25 დეკემბერი), კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №157, ფურც. 2.




О ТУШИНО-ПШАВО-

ХЕВСУРСКОМЪ ОКРУГѢ.

СТАТЬЯ ДѢЙСТВИТ. ЧЛЕНА ОТДѢЛА, КН. Р. ЭРИСТОВА.

სურ. 5. რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული ნაშრომი თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ. დაჯილდოვდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ოქროს მედლით.





სურ. 6. თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის რუკა (1854 წ.). ადგილობრივი გეოგრაფიული დასახელებები შესწორებული და დაზუსტებულია რაფიელ ერისთავის მიერ.



სურ. 7. წმინდა ანას მე-2 ხარისხის საიმპერატორო და სამეფო ორდენი. 1867 წელს დაჯილდოვდა რაფიელ ერისთავი საბატონო გლეხების ყოფისა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული სასარგებლო შრომისთვის.




სურ. 8. ვერცხლის მედალი, გლეხების გათავისუფლებისთვის გაწეული შრომისთვის, რომლითაც რაფიელ ერისთავი 1867 წელს დაჯილდოვდა.



СЕКРЕТАРЪ
КАВКАЗСКАГО ОБЩЕСТВА
Сельскаго Хозяйства

№ 151.

Г. Тифлисъ.

22 мая 1857 года.

Милостивый Государь,

Князь Расцамъ Давыдовичъ.

Въ общемъ собраніи Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства 27 декабря прошлаго 1856 года, Вы избраны въ действительные члены Общества.

Имѣя честь увѣдомить Васъ Милостивый Государь, и препровождая при семъ экземпляръ Высочайше утвержденнаго устава Общества, покорнѣйше прошу принять увѣреніе въ совершенномъ моемъ почтеніи и преданности

Его Сіятельству
Кн. Р. Д. Эристову.

სურ. 9. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მიმართვა რაფიელ ერისთავს, 1856 წლის 27 დეკემბერს საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩევის გამო, (რუსულ ენაზე. 1857, 22 მაისი), კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №158.

**КОМИТЕТЪ**
ВЫСТАВКИ ЕСТЕСТВЕННЫХЪ
и
промышленныхъ произведеній
**КАВКАЗА.**

№ 172.
22 мая 185 7 г.
Въ Тифлисѣ.

Милостивый Государь
Князь Рафаилъ Давыдовичъ.

Его Сіятельству Князю Намѣстнику угодно открыть, нынѣшнею осенью, въ Тифлисѣ, выставку естественныхъ и промышленныхъ произведеній Кавказскаго и Закавказскаго края.

Учрежденный по сему предмету Комитетъ льститъ себя надеждою, что Вы, по извѣстному рвенію Вашему къ успѣхамъ просвѣщенія и общаго благосостоянія, не откажете оному съ своей стороны въ содѣйствіи.

Препровождая къ Вамъ, Милостивый Государь, программу о цѣли и составѣ выставки и форму особаго реэстра, который долженъ находится при каждомъ представляемомъ предметѣ, я, по званію Предсѣдателя Комитета, долгомъ поставляю просить Васъ о доставленіи въ Комитетъ предметовъ, кои, по Вашему мнѣнію, заслуживаютъ особеннаго вниманія быть на выставкѣ.

Изъ прилагаемой программы Вы усмотрѣть изволите, что выставка представитъ также промышленникамъ удобный случай для сбыта ихъ произведеній. Лица же, которыя окажутъ въ этомъ дѣлѣ какія-либо отличія, свидѣтельствующія объ ихъ стремленіи къ общей пользѣ, не останутся безъ вознагражденія.

Въ заключеніе долгомъ считаю присовокупить, что предполагаемая выставка вѣроятно будетъ удостоена вниманія Его Императорскаго Высочества, Великаго Князя Константина Николаевича, который пожалуетъ въ Тифлисъ осенью нынѣшняго года.

Примите увѣреніе въ совершенномъ почтеніи и преданности

Ю. Виттенъ

Его Сіятельству,
Кн. Р. Д. Эристову.

სურ. 10. კავკასიის ბუნებრივი და სამრეწველო ნაწარმის გამოფენის კომიტეტის თხოვნა რაფიელ ერისთავს, 1857 წლის შემოდგომაზე ტფილისში დაგეგმილი გამოფენის ორგანიზებაში თანადგომის შესახებ. (რუსულ ენაზე. 1857, 22 მაისი), კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №164



ИМПЕРАТОРСКАГО
**МОСКОВСКАГО ОБЩЕСТВА**
СЕЛЬСКАГО ХОЗЯЙСТВА.
**КОМИТЕТЪ ШЕЛКОВОДСТВА.**

Марта 17 дня 1876 года.
№ 355

Его Сіятельству,
Господину Дѣйствительному Члену
Комитета Шелководства, Князю Рафаилу Давидовичу Эристову.

Комитетъ Шелководства въ засѣданіи своемъ 21-го Февраля избралъ Васъ, Милостивый Государь, своимъ Дѣйствительнымъ Членомъ. - Извѣщая Васъ объ этомъ, Комитетъ подтверждаетъ себѣ надѣяться, что дѣятельнымъ участіемъ въ занятіяхъ и предпріятіяхъ Комитета, Вы будете постоянно содѣйствовать успѣшному достиженію его цѣлей. - Диплома будетъ доставленъ по изготовленіи. -


Помощникъ Директора: Аванасій Бязевъ

Секретарь Комитета: И. Вельо

სურ. 11. სოფლის მეურნეობის საზოგადოების მოსკოვის მეაბრეშუმეობის კომიტეტის მიმართვა რაფიელ ერისთავს, კომიტეტის ნამდვილ წევრად არჩევის გამო (რუსულ ენაზე. დოკუმენტი დათარიღებულია: 1876, 23 მარტი), კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №166.




სურ. 12. იმერელი გლეხის ქალი. ილუსტარაცია რაფიელ ერისთავის ნარკვევიდან იმერეთის სასოფლო-სამეურნეო ყოფის შესახებ.



სურ. 13. ჭურჭელი იმერეთის სოფლიდან. ილუსტარაცია რაფიელ ერისთავის ნარკვევიდან იმერეთის სასოფლო-სამეურნეო ყოფის შესახებ.





КРАТКІЙ

ЛАТИНСКО-РУССКО ГРУЗИНСКІЙ БОТАНИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ.

Составилъ кн. Р. Д. Эристовъ.

(Удостоенъ Кавказскимъ Общ. Сел. Хоз. большой ручной серебряной медали).

შემოკლებული

ლათინური, რუხული ჲ ქართული მცენარეთა ლექსიკონი. შედგენილი თ. რ. დ. ერისთავისაგან.

(დაჯილდოებულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისგან დიდის ხელის ვერცხლის მედლით).

ТИФЛИСЪ.


ВЪ ТИПОГРАФІИ ГЛАВНАГО УПРАВЛЕНІЯ НАМѢСТНИКА КАВКАЗСКАГО.

1873.

სურ. 14. რაფიელ ერისთავის ნაშრომი „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, დაჯილდოვდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დიდი ვერცხლის მედლით.




სურ. 15. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დიდი ვერცხლის მედალი.



დაწესება
გამგეობის ყრილობისა „წიგნის-ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ 15 მაისს 1879 წ.
სხდომა დაიწყო ნაშუადღევს 3 საათზე. ყრილობაში დესპან უკლა წევრი
ქაშეზიანი.
წესდების 198-ის ძალით ყრილობა შეუდგა თავმჯდომარის ამორჩევას
სკრუტინის გზით ხმების უმრავლესობით. დაინიშნენ:
თავმჯდომარის ამხანაგად — ი. ქ. ჭავჭავაძე.
სკრუტინად — ა. ივ. ხახანაშვილი.
ხმების — ჩ. ქ. ერისთავი.
მაშინვე ყრილობა ქამეცნის დაინიშნა 17 მაისს, ვინაიდან ამ დროს
ქალაქში არეულობის შეფერხება ნ. სხდომა დაიხურა 4 საათზე.
ილია ჭავჭავაძე.
ე. ანდრონიკაშვილი.
ივ. ჯ. ჯავახიშვილი.
ს. ს. ცინცაძე.

სურ. 16. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების დოკუმენტი, დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.



# რაფიელ ერისთავი, როგორც ეთნოგრაფი და კულტურის კულტივატორი XIX საუკუნის ქართულ ერთიან სააზროვნო და წარმოსახვით სივრცეში

## აბსტრაქტი

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში კულტურული ინიციატივებისა და კროს-მიმდინარეობების კონტექსტის პარადიგმა იცვლება და *კულტურული ნაციონალიზმის* გარკვეული მონახაზი იქმნება. ამ პერიოდის ისტორიის პროგრამული ინიციატივა ფოკუსირდება ნაციონალიზმზე, თანმხლები კულტურული აქტივობებით, რასაც *კულტურის კულტივაცია* ეწოდება. ქართული ნაციონალური სივრცის ჩამოყალიბებაში, ლიტერატურულთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნოგრაფიული ნარატივები, რის შედეგადაც ე.წ. *კულტურის კულტივატორები* ჩნდებიან.

კულტურული ნაციონალისტების სოციოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი პოეტს, დრამატურგს, პუბლიცისტს, ფოლკლორისტს, ლექსიკოგრაფს, ისტორიკოსს, ეთნოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს, რაფიელ ერისთავს უჭირავს, რომლის კულტურული აქტივობა სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში თავსდება.

რ. ერისთავის მიერ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში უშუალო დაკვირვებით შეკრებილი და გამოცემული ეთნოგრაფიული მასალა დღეს პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს.

ნაშრომში შესწავლილია რ. ერისთავის მიერ სამეგრელოში დაფიქსირებული, დღეისთვის უკვე მივიწყებული, ერთი რიტუალი – *ბიობა*, იგივე *მალანურობა* – როგორც პირველწყარო. აღნიშნული რიტუალი შესწავლილია შედარებითი-ისტორიული მეთოდით, რომლის მეშვეობითაც გამოვლენილია ცვლილებები მის დროით განზომილებაში.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ეთნოგრაფიული ფაქტების აღწერასთან ერთად, მნიშვნელოვანი იყო, ასევე თვითონ რ. ერისთავის, როგორც იდეების გამავრცელებლის ფუნქციაც. ნაჩვენებია, XIX საუკუნის სოციო-კულტურულ სივრცეში როგორ იქცა ეთნოგრაფია, ლიტერატურასთან ერთად, მნიშვნელოვან ბაზად ნაციონალური ნარატივების და კულტურული ცნობიერების ამაღლების საშუალებად და რა როლი და ფუნქცია ჰქონდა ამ საქმეში რ. ერისთავს. ნაჩვენებია, როგორ დაბრუნდა და აქტიური გახდა ეთნიკური ტრადიცია ეთნოგრაფიული აქტივობით; როგორ გამოავლინა ყველაფერმა ამან იმდროინდელი საზოგადოების ეთნიკური ფესვები, რაც წინ მიუძღოდა ნაციონალისტურ იდეოლოგიას.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული სივრცე; წამოსახვითი სივრცე; კულტურის კულტივაცია; კულტურული ნაციონალიზმი; ნაციონალური იდეოლოგია; ეთნიკური ტრადიცია – *მალანურობა*.

# RAPHIEL ERISTAVI – ETHNOGRAPHER AND CULTIVATOR OF CULTURE IN THE 19TH CENTURY GEORGIAN UNIFIED INTELLECTUAL AND IMAGINATIVE SPACE

## ABSTRACT

In the context of cultural initiatives and cross-currents in the second half of the 19th century in Georgia, the paradigm shifts, and a certain outline of cultural nationalism begins to emerge. The historical programmatic initiative of this period focuses on nationalism, accompanied by cultural activities, which is referred to as the *cultivation of culture*. In the formation of the Georgian national space, alongside literature, ethnographic narratives take on particular importance, leading to the emergence of so-called *cultivators of culture or cultural nationalists*.

In the sociography of cultural nationalists, a special place is held by the poet, playwright, publicist, folklorist, lexicographer, historian, ethnographer, and public figure Raphiel Eristavi, whose cultural activities are situated within the socio-political context.

The ethnographic material directly collected and published by R. Eristavi from Eastern and Western Georgia today acquires the significance of a primary source.

In the work, the ritual *Bioba* (also known as *Malanuroba*) recorded by Eristavi in Samegrelo, which is now forgotten, is studied as a primary source. This ritual is analyzed using the comparative-historical method, through which changes in its temporal dimension are revealed.

The report emphasizes that, alongside the description of ethnographic facts, the role of Raphiel Eristavi himself as a disseminator of ideas was also crucial. Within the socio-cultural context of the 19th century, the work shows how ethnography, together with literature, became a significant foundation for national narratives and the promotion of cultural consciousness, and highlights the role and function R. Eristavi played in this process. It also illustrates how, through his ethnographic activity, ethnic traditions were revived and became active again, shedding light on the ethnic roots of society at that time, which ultimately paved the way for nationalist ideology.

**Keywords:** cultural space, imaginary space, cultivation of culture, cultural nationalism, national ideology, ethnic tradition – Malanuroba



## შესავალი

სტატია ფოკუსირდება ეთნოგრაფიის, როგორც თვითშემეცნების საშუალებისა და კულტურის ურთიერთმიმართებაზე, რომელიც XIX საუკუნის საქართველოში განვითარდა. საქართველოს ისტორიაში ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყანა კარგავს სახელმწიფოებრიობას რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (აღმოსავლეთ საქართველო 1801 წელს, დასავლეთ საქართველო – 1810 წელს), იყოფა ორ (თბილისისა და ქუთაისის) გუბერნიად და ექვემდებარება რუსულ მმართველობას; უძველესი ქართული ორთოდოქსული ეკლესია (ავტოკეფალური 750 წლიდან, რომლის მეთაურად 1008 წლიდან ითვლებოდა კათოლიკოს-პატრიარქი) გადაიქცა საქართველოს საეგზარქოსოდ, რომელსაც რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართული ენა სრულიად აიკრძალა სკოლებში (წიფურია, 2010: 183-195).

XIX საუკუნეში ქართული კულტურის პარადიგმა იცვლება. აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური და კულტურული ზეგავლენები მცირდება, შესაბამისად, რუსული კოლონიური ზეგავლენა იზრდება. იზრდება ინტერესი ევროპული კულტურის მიმართ. ხალხის ღირებულებათა სისტემაში ბეჭდური სიტყვის, ლიტერატურის გაძლიერებისა და წერა-კითხვის ფართოდ გავრცელების ფონზე საზოგადოებაში იზრდება დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეა და იქმნება ახალი, მოდერნული ტიპის სოციალური სივრცე (წიფურია, 2010: 183-195. იხ. აგრეთვე: Abakelia, 2021:1044-1045). კულტურული ინიციატივებისა და კროს-კულტურული აქტივობების კონტექსტში პარადიგმის ცვლილება ვლინდება მკაფიოდ გამოხატული კულტურული ნაციონალიზმის სახით. ამ პერიოდის ისტორიაში პროგრამული ინიციატივა, თანმხლები კულტურული აქტივობებით, ფოკუსირდება ნაციონალიზმზე, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში განისაზღვრება როგორც *კულტურის კულტივაცია* (Leersen, 2005:4-33).

კულტურის წარმოსახვისთვის აუცილებელი ხდება ხალხური ყოფის შესწავლა, რამაც ბიძგი მისცა ხალხური კულტურის მოტივირებული კვლევის დაწყებას. ახალ საუკუნეში ეთნოგრაფიისათვის ყალიბდება საცავი, ან სხვაგვარად, სამუშაო ნიადაგი.

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ხდება ზეპირსიტყვიერი კულტურის დაფიქსირება, რომელიც განვითარდა ფილოლოგიური, მითოლოგიური და ეთნოლოგიური მიმართულებებით. ფიქსირდებოდა მკვეთრად გამორჩეული ტექსტების რეგიონალური ქვე-ვარიაციულობა, რომელიც ერის იდენტობის შიგნით ერთერთ ვარიაციას წარმოადგენდა. იქმნებოდა მჭიდრო ფსკვნილი (კვანძი) ერის კულტურული და პოლიტიკური განვითარების მიცელიუმში, რაც კულტურის უნიკალურობას ქმნიდა. *ლეერსენი* ამგვარ უნიკალურობას არქმევს *რომანტიკულ ნაციონალიზმს*, რომელშიც გულისხმობს: ენის, ისტორიის და კულტურული მახასიათებლების მქონე ერის კულტურული პროდუქტიულობის ზრდას და მისი შედეგის გავრცელებას პოლიტიკური ცნობიერების ასამაღლებლად(Leersen, 2005:4-33; 2001, 37-44).

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სოციო-კულტურულ და სააზროვნო სივრცეში ქართული ნაციონალური სივრცის ჩამოყალიბებაში, ლიტერატურულთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნოგრაფიული ნარატივები. დროსა და სივრცეში დაშორებულ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ერთდროულად იწყება ეთნოგრაფიის განვითარების ინტენსიური პერიოდი. ამ დროს დაარსდა პარიზის ეთნოლოგიური საზოგადოება (1839), ნიუ-იორკის ეთნოლოგიური საზოგადოება (1842), ლონდონის ეთნოლოგიური საზოგადოება (1843). პეტერბურგში, 1845 წელს, დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება, რომლის ბაზაზე ეთნოგრაფიული განყოფილება იქმნება (ჩიტაია, 1924: 14-14; მისივე, 2001:64-78).

აღნიშნული პერიოდი ემთხვევა კოლონიური პოლიტიკის განვითარებას, რომლის დროსაც კოლონიური ხალხი და მათი შესწავლა მნიშვნელოვანი ხდება. ასეთ შემთხვევებში იწყება *კულტურების კულტივაცია* და კულტურულ სივრცეებში ჩნდებიან ე.წ. კულტურის კულტივატორები და ნაციონალური პროექტები კულტურული ისტორიების ნაწილებად იშლება (Leersen, 2005: 4-33).

კულტურული ნაციონალისტების სოციოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია: პოეტს, დრამატურგს, პუბლიცისტს, ფოლკლორისტს, ლექსიკოგრაფს, ისტორიკოსს, ეთნოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს, რაფიელ ერისთავს (1824-1901 წწ.), რომლის კულტურული აქტივობა სოციო-პოლიტიკურ კონტექსტში თავსდება.

1850 წელს, თბილისში, დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოება. 1852 წლის მაისში რ. ერისთავის უშუალო მონაწილეობით თბილისში, რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოების ბაზაზე, დაფუძნდა კავკასიური მუზეუმი (ჩიტაია 1926,14-16), რომელიც ნაციონალური აქტივობის ცენტრად იქცა. მუზეუმის თანამშრომლები ცდილობდნენ ეთნიკური კულტურა დაეფიქსირებინათ, გაეცოცხლებინათ და მისი პოპულარიზაცია გაეწიათ. რ. ერისთავი, სხვა კულტივატორებთან (სკოლის მასწავლებლებთან და პოეტებთან) ერთად, აგროვებდა ანდაზებს, ხალხურ გადმოცემებს, ხალხურ წეს-ჩვეულებებს და სხვა, და გახდა სოციალური და პოლიტიკური *ავანგარდის უნებლიე აქტივისტი*.

## რაფიელ ერისთავი როგორც ქართული კულტურის ერთეული რეპრეზენტატორი

რაფიელ ერისთავი, როგორც საზოგადო მოღვაწე და ინტელექტუალი, მთელი თავის შემოქმედებითა და მოღვაწეობით გახდა კულტურული ნაციის ერთერთი რეპრეზენტატორი და რამდენადაც კულტურული ნაციის კულტურა მასალად იყენებდა ეთნოგრაფიას, ფოლკლორსა და ისტორიას, იგი, სხვებთან ერთად, ერის *წარმოსახვითი ერთობის* შემქმნელად გვევლინება.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რ. ერისთავი აგროვებდა ხალხური პოემების, რწმენა-წარმოდგენების, რიტუალების ნიმუშებს. როგორც ეთნოგრაფიული ფაქტების უშუალო მოწმე და დამკვირვებელი, იწერდა ტექსტებს მთხრობლებისგან, აკვირდებოდა მათ მიერ წარმოდგენილ პერფორმანსებს და პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ მასალას, რომელსაც დღეს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს.[1]

რ. ერისთავის შემოქმედებას მრავალმა მეცნიერმა – ისტორიკოსმა, ეთნოგრაფმა, არქეოლოგმა თუ ფილოლოგმა *(ჩიტაია, გ.ჟორდანია, მ. გეგეშიძე, ვ. ითონიშვილი, ოთ. მიმინოშვილი, ა, ჯაგოდნიშვილი, რაზმაძე, ვ, შამილაძე, ქ. ხუციშვილი* და სხვები) მიუძღვნა ნაშრომი. ამ ნაშრომების შეფასება არც ამ სტატიის კვლევის ფოკუსს წარმოადგენს, არც მის მიზანს და არც ფორმატი იძლევა ამის შესაძლებლობას. შესაბამისად, ისინი ქვემოთ, არგუმენტაციისა და განმარტებისას, სათანადოდ (საჭიროებისამებრ) იქნებიან მითითებულნი.

რ. ერისთავის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიულ მასალის მნიშვნელობისა და ღირებულების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოტანილი და გაანალიზებულია მის მიერ სამეგრელოში დაფიქსირებული რიტუალი, რომელიც *ბიობა*, იგივე *მალანურობის* სახელითაა ცნობილი და რომელიც უკვე XIX საუკუნის ბოლოსთვის ფრაგმენტული სახით იყო შემორჩენილი.

## კვლევის მეთოდი

ქვემოთ განხილული და გაანალიზებული *მალანურობის* წეს-ჩვეულება აღწერილია რ. ერისთვის მიერ მისი სამეგრელოში, ზუგდიდის მაზრის და სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველის თანამდებობაზე ყოფნის დროს (1857-1867 წწ.). არსებული მასალის მიხედვით, *მალანურობის* წეს-ჩვეულებამ პირველად რ. ერისთავის აღწერილობით მოაღწია ჩვენამდე.

1 რაფიელ ერისთავი, როგორც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის მკვლევარი, 1846 წელს პერიოდულ პრესაში უმნიშვნელოვანესი ჩანახატებითა და ნარკვევებით გამოჩნდა. ხოლო 1855 წელს მნიშვნელოვანი ნარკვევით თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ; ლეჩხუმის მაზრის, იმერეთის, რაჭის, სამეგრელოსა და სვანეთის ძველი და ახალი ჩვეულებების მოთხრობებითა და ისტორიებით და სხვა (შამილაძე, მიმონოშვილი, 2009: 157-181).



ამის შემდეგ, აღნიშნული წეს-ჩვეულება, ი.ჭავჭავაძის დავალებით, აღუწერია *ჯაჯუ ჯორჯიკიას* სამეგრელოში და 1910 წელს სახალხო გაზეთის 170-ე ნომერში გამოუქვეყნებია. 1930-იან წლებში *მალანურობა* აღწერილია კონსტანტინე გამსახურდიას *„მთვარის მოტაცება“-ში.* ხოლო 1948 წელს დ. *ჯანელიძის* მიერ ქართული თეატრის ხალხურ საწყისებში (ჯანელიძე, 1948: 299-302). ამის შემდეგ, 1970-ან წლებში დ. ჯანელიძე კვლავ დაუბრუნდა მალანურობის თემას და მალანურობის *საკვირველი სახილველი* ქართულ ხალხურ სანახაობათა კულტურაში მოაქცია. საკულტო-სანახაობრივი მასალის განხილვის საფუძველზე მან მალანურობა *ამირანიანთან* დააკავშირა (ჯანელიძე, 1988: 55-66).

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ დღეისთვის ფრაგმენტულად შემორჩენილი, უკვე უჩვეულო, წეს-ჩვეულების ფაქტები? რა ტიპის მოდელის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა მოცემული მასალა? მიუხედავად იმისა, რომ რ. ერისთავის აღწერილობა სხვა აღწერილობებთან შედარებისას ყველაზე ვრცელი და ძველია, ის მაინც ფრაგმენტულია. ფრაგმენტული დოკუმენტების ანალიზისას კი, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ვიყენებთ შედარებებს და, შესაბამისად, შედარებით-ისტორიულ მეთოდს.

## სანახაობა, რელიგიური რიტუალი თუ მისტერიის ფრაგმენტი?

რ. ერისთავის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, (ერისთავი, 1986 :36) ხობის მონასტერთან, აღმოსავლეთით, არის მთა, სახელად *ბია*, სადაც არის წმ. მთვარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელთანაც უხსოვარი დროიდან იკრიბებოდა ქვემო და ზემო ბიის მოსახლეობა. მარიობის შემდეგ, ღვთისმშობლის დღესასწაულის დამთავრებისას, აგვისტოს 20 რიცხვიდან 23-მდე[1] (იულიუსის კალენდრის მიხედვით – ნ.ა.), კვირას, ნაშუადღევს, იქ იკრიბებოდა ორივე სქესის წარმომადგენელი საყვირის ცემით, რათა არავინ დაავადებულიყო. მალანურების დანიშვნის დროისთვის,[2] როცა ყველა შეიკრიბებოდა, ეკლესიის კარის წინ ირჩევდნენ და აყენებდნენ მალანურებს. მალანურები, რ. ერისთავის განმარტებით, *...ვითომ ეკლესიის მყოფნი მლოცველნი მონაზონნი არიან, რომელთაც დიდად ეშიშვიან ყველაფერზედ რასაც ისინი იტყვიან უსმენენ.* მალანურებად ირჩევენ 12 პირს, უცოლო ყმაწვილთ (აუცილებლად უცოლო 12 პირს). არჩევის წესი, როგორც ჩანს, მკაცრად უნდა დაეცვათ, რადგან მალანურებად დანიშნული ყმაწვილების არჩევაც არ შეიძლებოდა. მალანურებს ირჩევდნენ მეხატურები,[3] რომლებსაც ასეთი შემთხვევისთვის მათი ტაძრის ხატი ეპყრათ [ხელთ]. ამ თორმეტთაგან 6 მალანური მეფის (იგულისხმება იმერეთის მეფე – ნ.ა.) მხარეს ეკუთვნოდა და ექვსი დადიანის მხარეს, ყველა ხობის მონასტრის საეკლესიო ყმათაგანი იყო, შემძლეობით თანასწორნი. მათგან ერთი ინიშნებოდა დადიანად და მეორე (იმერეთის) მეფედ, რომელთაც მიეცემოდათ ხუთი თანმხლები.

1 ამ წესის შესრულების ხანგრძლივობა სხვადასხვა დროს ჩაწერილი მასალის მიხედვით განსხვავებულია, მაგ. დ. ჯანელიძის მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, მალანურები გათლილი ჯოხებით, ლოცვით დადიოდნენ ოჯახებში 15 დღის განმავლობაში. რის შემდეგაც, 12 მალანური თვისი მღვდლებით ( როგორც ეტყობა მეხატურებით – ნ.ა.) ეკლესიაში ლოცულობდნენ, რომ მიქელ-გაბრიელს ვინმე არ წაეყვანა (იხ.: ჯანელიძე,1988:55-56).

2 სავარაუდოდ, საყვირის ხმებს ავსულები უნდა განედევნა ადამიანებისგან. ამგვარი რწმენა კარგად ჩანს ილორის წმ. გიორგისთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და რიტუალში (იხ.: აბაკელია, 1985: 145-155).

3 მეხატური – ხატის მსახურია, რომლესაც გულზე ხატი ჰკიდია ან ხელში უჭირავს და მონაწილეობს მრავალ რელიგიურ დღესასწაულში. ჩემს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით შუამავალია ადამიანსა და ზებუნებრივ არსების ხატებას შორის. მაგ.: წმ.გიორგისა და ადამიანებს შორის ე.წ. ხატზე გადაცემის რიტუალის შესრულებისას ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში (აბაკელია, 1985:145-155) ამ ტექსტში მის ფუნქციებს ემატება მალანურთა არჩევაც და მრევლის დალოცვა.

მალანურთა დანიშვნის შემდეგ მეხატურნი[1] ეკლესიის წინა კარიდან იწყებდნენ ლოცვას მალანურებთან და სხვა მამაკაცებთან ერთად. მალანურთა მოქმედებაში მონაწილეობდა ორი მეხატური, ერთი მედროშავე (ბავრაყის მატარებელი), და ერთი მესაყვირე (მებუკე). ყველა ერთად იწყებდა ეკლესიის ირგვლივ შემოვლას.

მალანურები მარხულობდნენ და იყვნენ ფეხშიშველნი, თავზე მხოლოდ (პლატოკი) თავსაფარი უნდა ჰქონოდათ ამოხვეული. ამასთანავე მაჭუკნი ე.ი. თითო საჟენი თხილის ჯირითნი (პატარა სასროლი ჯოხები), ჭრელად შეღებილი და მათთან ერთად ჰქონდათ სიგრძით თითო ვერშოკი (4,4 სმ) რვა თუ ცხრა წელში პირად გახლეჩილი და გათლილი ჯოხი. მეხატური [მაგ.: დავით შონია] დადგებოდა ეკლესიის კარზე. დასავლეთით მაყურებელთან ერთად დაილოცებოდა მეგრულად, ხელმწიფისა, და დადიანისთვის, ბატონებისთვის და განსაკუთრებით მათი ეკლესიის შემავალთათვის (მრევლისთვის). ხოლო სხვანი, იქ მყოფნი, მალანურებთან ერთად მიუგებდნენ ამინს: გრძლად ზუზუნით. დაუკრავდნენ სამჯერ საყვირს, დაიწყებდნენ მარჯვნით ირგვლივ შემოვლას, ლექსით. ერთხმად იძახდნენ განუწყვეტლად: აის, გაის, აის გაის ეკლესიის ოთხივე მხარეს. ერთი მათგანი ხმამაღლა გრძლად დაურთავდა *ხოვირიელეისოს*. გაბმით აისა გაისა, აისა გაისა და როდესაც დაუპირდაპირდებოდნენ სამხრეთით ეკლესიის კარს, მაშინ ერთი მათგანი კიდევ დაიყვირებდა ვრცლად და იტყოდა *ლუისო სო-კირიელეისო*.[2] მაშინვე მეხატურებთან ერთად დაბრუნდებოდნენ მარჯვნივ და კვალად იწყებდნენ განუწყვეტლად: აისა გაისა,აის გაის-გაის ძახილს და დაუკრავენ სამჯერ ბუკსა და მასვე ეტყოდნენ: აის-გაის, გაის, სამჯერ შემოვლისას. როცა გაათავებდნენ სამჯერ შემოვლას და როდესაც მივიდოდნენ ეკლესიის წინა კართან, შეჩერდებოდნენ და ერთი მათგანი დადგებოდა მათ შორის შუაში, დააბჯენდა ჯოხს მიწაზე, რომელთანაც მალანურები თავის ჯოხებს აბჯენდნენ ერთად (თავმოყრით). მაშინ შუაში მდგომი ისევ დაიყვირებდა ბოხის ხმით *ლეისო-ს* და ხატსა და ბავრაყსაც (დროშასაც) შეიტანდნენ ეკლესიაში. ერთის მხრით, მეფე და მეორეს მხრით, დადიანი დასხდებოდნენ თავიანთი თანმხლებით.

გამორჩეულ პირს, მოციქულს, დადიანი გზავნიდა მეფესთან და იწყებოდა ერთმანეთის ვინაობის გამოკითხვა, შელაპარაკება და ერთმანეთის დამცირება. დღეს დაღამებამდე ასე გაატარებდნენ.

მალანურნი და მისი მსახურნი ეკლესიაში რჩებოდნენ და მთელი ღამე სულ სიმღერაში და შექცევით უნდა გაეტარებინათ. ხოლო სხვანი წავიდოდნენ. ცისკარზე მალანურებს ეკლესიისთვის უნდა შემოეარათ ბუკის ცემით და თავისებური ლოცვით, ე.ი. ჩქარის სიტყვით: გაის, გაის, გაის, გაის, ვიდრე ირგვლივ შემოატარებდნენ (სავარაუდოდ, ხატს, ბუკს და დროშას – ნ.ა.).

ორშაბათს, ათი საათიდან იწყებოდა კვლავ შეკრება. დაახლოებით სამ საათამდე საკმაო რაოდენობის ხალხი შეიკრიბებოდა და უნდა მომხდარიყო კაკვის გადაზიდვა მალანურების მიერ. მეოთხე საათზე მოურავის თანდასწრებით შემოიტანდნენ კაკვს და დადებდნენ გაზომილ ადგილას, მეტ-ნაკლებობა თუ გამოაჩნდებოდათ რომელიმე მხარეს კაკვის მიცემაზე, მაშინ აუცილებლად ჩხუბს ატეხავდნენ მალანურები.

კაკვი იყო ორი საჟენი ზომის ერთი მეორეზე წნელით გადაბმული მსხვილი მაგარი ჭოკი. მას გამოიტანდნენ, დადებდნენ შუა ადგილას და უცდიდნენ, როდის მიეცემოდათ მასთან მისვლის საშუალება. მაგრამ სანამ ცხენოსანნი და ქვეითნი ორ ნაწილად არ გაიყოფოდნენ, მანამდე არ ეძლეოდათ ნება.

როცა შემოიტანდნენ კაკვს და დადებდნენ დანიშნულ ადგილას, ნიშანს მისცემდნენ მალანურებს და ისინიც მაშინვე თავდაუზოგავად გამოიქცეოდნენ ეკლესიის კარიდან კაკვისკენ (დაახლოებით) ორმოცდაათს ნაბიჯზედ (ერისთავი, 1985: 40).

იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი მხარე ვერ გადაიტანდა თავის მხარეზე კაკვს, მაშინ მათი მხარენი კარგავდნენ მოთმინებას და მიეშველებოდნენ და დაერეოდნენ ცხენოსანნი და ქვეითნი, შეუერთდებოდნენ მათ და გასწევდნენ თავის მხრისკენ. დაურთავდნენ ერთმანეთს კეტებს და მათრახს და დაასივებდნენ ერთი მეორეს და, რა თქმა უნდა, ერთი მხარე გადაიტანდა კაკვს. რომელი მხარეც გადაიტანდა, ერთად შეიკრიბებოდნენ და იწყებდნენ სიმღერას და მხიარულებას, ხოლო მეორე მხარე დაღონებული რჩებოდა. იტყოდნენ, მოგებულ მხარეს უთუოდ მოსავალი და ხორაგობა მრავალი ექნებაო. შემდეგ ისევ მეგრულ სიმღერას, ცეკვას და ჯირითს (გამართავდნენ )...ხოლო მალანურნი დადგებოდნენ ეკლესიის კარზე და დალოცავდნენ თითოეულ მისულს, ვინც კი მივიდოდა და დაალოცვინებდა თავს. ასე ეგონათ, რომ თუ მალანურები არ დალოცავდნენ, ვერ იცოცხლებდნენ დაულოცველად, და თუ გადასცემდნენ ვინმეს (ხატზე - ნ.ა.), უთუოდ ერთი წლის განმავლობაში მოკვდებოდა. მალანურებს დალოცვისთვის იმდენს აძლევდნენ, რამდენსაც ხატს შესწირავდნენ.

ამ დღეს კიდევ შემოუვლიდნენ ეკლესიას, როგორც წინა ჯერზე, ღამეს იქ დარჩებოდნენ მალანურნი, ხოლო სხვანი წავიდოდნენ.

სამშაბათს, პირველ საათამდე, შეიკრიბებოდნენ სხვა და სხვა მხარისა მრავალნი და უნდა გაეტარებინათ ეს დღეც სიმღერასა და ცხენის ჯირითში. მეორე საათზე, მალანურებთან ერთად მივიდოდნენ ეკლესიის წინა კარზე, მეხატურნი შევიდოდნენ ეკლესიაში, გამოასვენებდნენ ხატებს და მათთან ერთად დროშასა და ბუკს გამოიტანდნენ, მეხატური იწყებდა მეგრულად ლოცვას, ხოლო სხვანი მიუგებდნენ ამინს ზუზუნით და იწყებდნენ ირგვლივ შემოტარებას. ერთი მათგანი, წინანდებურად ხმას ამოიღებდა და იტყოდა: *სო კორიელო*-ს და დაბრუნდებოდნენ მარჯვნივ და ხმის შეუწყვეტავად იტყოდნენ, აის გაისა, გაის, გაის, და ვიდრე სამჯერ ირგვლივ უვლიდნენ ეკლესიას ყოველ მეხუთე ნაბიჯზედ მებუკე ბუკს გრძლად სცემდა.

როცა სამჯერ შემოვლას გაათავებდნენ, მაშინ ეკლესიის წინა კარიდან იწყებდა ექვსი ვაჟკაცი გრძლად ვითომ გალობას. ორ მეხატურს ეჭირა ორი ხატი, მესამეს ბავრაყი და მეოთხეს ბუკი. და ექვსიც ვითომ მგალობელი იყო. ამათ თან მიჰყვებოდნენ მალანურნი და მათი ეკლესიის მრევლი, ესე იგი მამრნი – მხოლოდ მამაკაცები. ეკლესიის კარიდან, წინა დღით სადაც კაკვი იდო, მანამდე უნდა მისულიყვნენ გალობით და იქიდან მარჯვნით მობრუნებულიყვნენ და რომელიმე დაიძახებდა გაის, გაის, გაის და სხვებიც აჰყვებოდნენ. იქით და აქეთ ყოველ მეხუთე ნაბიჯზე ბუკს უკრავდნენ და რომ დაბრუნდებოდნენ, მაშინ მალანურებს გზას უტოვებდნენ და ერთიანად გამოიქცეოდნენ. როცა ეკლესიას მიუახლოვდებოდნენ, მაშინ თითოეულს სირბილით უნდა ესროლა თავისი მაჭუკი და გადაევლო ეკლესიის თავზედ. გაუჩერებლად, თითოეულს გაქცევით უნდა აეღო თავისი მაჭუკი და უნდა გაქცეულიყო სადმე წყალზე ტანის დასაბანად. როცა ბანაობას გაათავებენ მალანურები, მეხატურნი მიეგებებოდნენ ხატით და დროშით წამოიყვანდნენ გალობით და დააყენებდნენ აღმოსავლეთით, გარეთ საკურთხევლის პირდაპირ. და ამ დღეს იქ რჩებოდნენ დაღამებამდე და ილოცებდნენ, ხატს ისევ ეკლესიაში შეასვენებდნენ, ხოლო სხვანი სხვაგვარად თამაშობდნენ და მღეროდნენ, დაღამებისას წავიდოდნენ თავიანთ სახლებში და ამით თავდებოდა ბიობა (ერისთავი, 1985: 40). [1]

ასეთია მალანურობის ტექსტის შემოკლებული და პერიფრაზირებული ვერსია.

## დასკვნა

აღნიშნული წეს-ჩვეულების ორი სახელწოდება *ბიობა* და *მალანურობა* – შეესაბამება, ერთი მხრივ, სოფლის სახელწოდებას (სოფ. ბია), ხოლო მეორე მხრივ, რიტუალის შემსრულებლე-

1 ორი მეხატურია, რადგან ისინი ორ გუნდს წარმოადგენენ.

2 *ხოვირიელეისო, ლუისო სო-კირიელეისო* და *ლეისო* – კირიე ელეისონის (უფალო შეგვიწყალეს) ადგილობრივი დამახინჯებული ფორმაა (ნ.ა.).

1 რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები. 1986წ.

ბის, მალანურების სახელწოდებას.

რას ავლენს ზემოთ მოტანილი ანტითეტური სანახაობა, რომელიც ორ (მეფისა და მთავრის) ჯგუფს შორის თამაშდება. გართობა-სანახაობის მოდელია თუ რაღაც სხვა რამესთან გვაქვს საქმე? სიმბოლოებით და სიმბოლური ქმედებებით დატვირთულ ტექსტში ჩემი ყურადღება რამდენიმე მომენტმა მიიპყრო. მკვეთრად მამაკაცური ორიენტაციის მქონე რიტუალმა, მალანურების ასაკმა, ხაზგასმამ, რომ ისინი უცოლოები უნდა ყოფილიყვნენ და დანიშნულებიც კი არ უნდა ყოფილიყვნენ. ამ ჩვეულების შესრულებისას ლოცვებითა და გალობით (ასევე, რიტუალური განბანვით) განწმენდამ, რომელიც მათ საკრალური რიტუალისთვის ამზადებდა და რომელზეც მთელი საზოგადოების კეთილდღეობა იყო დამოკიდებული.

ეკლესიაში გამოკეტვის წესმა, ე.ი. ფაქტობრივად *დატყვევებამ,* (სიმბოლურად მათი სიბნელის მიერ შთანთქმამ, რაც სიმბოლურ დონეზე სიკვდილის ტოლფასია, რასაც შემდეგ, ასევე სიმბოლურად, ხელმეორედ დაბადება მოსდევს), რომელშიც მათ მთელი ღამე ლოცვასა და გალობაში უნდა გაეტარებინათ. თუ რ. ერისთავის მიერ განმარტებული *მალანური მონაზონს* ნიშნავს, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ საქმე გვაქვს *მონაზვნად აღკვეცასთან?* ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, ღამენათევ და ტრანსფორმაციაგავლილ ყმაწვილ კაცთა ერთი სტატუსიდან მეორეში – მალანურობაში გადასვლამ, რიტუალის მეშვეობით ტრანსფორმაციამ, რომელიც იწვევდა ფიზიკური სიძლიერის, გონებამახვილობისა და სულიერი თვისებების განვითარებას, დაფარული ძალების გაღვიძებას; განწმენდამ და სიტყვის სიძლიერემ, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; მრევლის მონაზონ-მგალობელთა სიტყვისადმი დამოკიდებულებამ (მათი ეშინიათ, რასაც ამბობენ ყველაფერს უსმენენ, მალანურები თუ არ დალოცავენ, ისინი ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე დგებიან), მათმა მოძრაობამ სიბნელიდან სინათლეში, შეჯიბრმა, რომელიც სოფლის საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მოთხოვნებთან (კარგ მოსავალთან) არის დაკავშირებული და სხვა.

გამოკეტვა და ტრანსფორმაცია ინიციაციასა და სიმბოლიზმზე მიგვანიშნებს. მრავალი ელემენტი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სახალხო ინიციაციასთან (ინიციაციის ერთერთ ფორმასთან), რომლის დროსაც კანდიდატს საზოგადოება საჯაროდ აღიარებს. ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეულია ინიციაციის დესაკრალიზებული რიტუალი, რომელიც მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩა, როგორც გართობა-სანახაობა ინიციაციური მოტივებით, რომლის შესრულებაზე დამოკიდებული იყო კარგი მოსავალი და საზოგადოების კეთილდღეობა.

მალანურობა, როგორც კულტურული მოვლენის გამოვლინება, მოიცავს აუდიტორიას (მეფეს და მთავარს თავისი ამალებით), ვიზუალურ, ტექსტურ და პერფორმატულ მედიას და, ასევე, ცოდნის სხვადასხვა გამოხატულებას, რაც იძლევა კრიტიკული რეფლექსირების საშუალებას. არის ეს უბრალოდ გართობა-სანახაობითი ტრადიცია, თუ რაღაც უფრო დიდის შემადგენელი ნაწილი? ცხადია, რომ მალანურობა ბიის მოსახლების ცხოვრებაში რაღაც მთელის ნაწილია, ეპიზოდია. და მაინც, რომელი მთელის ნაწილია მალანურობის ეპიზოდი? მოცემული მასალის შესწავლით და ანალიზით შევეცადე გამომევლინა არქაული რელიგიური ფორმა, რომელიც შემონახულია უფრო მოგვიანო ხანის იდეებში, რწმენებსა და პრაქტიკაში. რიტუალი, რომელსაც დღეისთვის დაკარგული აქვს რელიგიური აურა.

მალანურობის ტრადიცია საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ, თუ რა ხარისხით შეიძლება უძველესი სცენარი გადაფასდეს და გადაკეთდეს უფრო განვითარებული საზოგადოების მაღალ რელიგიაში. ის რომ ქრისტიანულ ჩარჩოში თამაშდება, ამაზე მრავალი ფაქტი მიგვითითებს: ეკლესიის შემოვლა *კირიე ელეისონის (უფალო შეგვიწყალენ)* მოკლე შეძახილებით, მალანურთა მსვლელობა ხატით, დროშით და ბუკით და სხვა. ის რომ აგრიკულტურული რიტუალიდან მომდინარეობს, ამაზე მიგვანიშნებს რიტუალის მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს ყანების ნაყოფიერებას. ისტორიის გარკვეულ მომენტში აგრიკულტურული რიტუალები იტვირთება ახალი რელიგიური ღირებულებით, რომელიც ქრისტიანობამ მოიტანა, თუმცა ის ინარჩუნებს მარტივ აგრიკულტურულ სტრუქტურასაც. აღნიშნული მასალის შესწავლამ და ანალიზმა მიმიყვანა დასკვნამდე, რომ აღნიშნული რიტუალის სახით საქმე გვაქვს დღეისთვის უკვე დესაკრალიზებულ ინიციაციურ განცდასთან, რომელიც ერთი მხრივ, გართობა-სანახაობად ქცეულა, ხოლო მეორე მხრივ, საღვთო ეზოთერულ ქმედებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული მასალა, რომელსაც თავდაპირველი მნიშვნელობა დაუკარგავს და დესაკრალიზაცია განუცდია, შეიძლება რეკონსტრუირდეს როგორც ინიციაციური განცდა.

დაბოლოს, სტატიაში ხაზგასმულია არა მარტო რ. ერისთვის მიერ შეკრებილი საველე ეთნოგრაფიული მასალის მნიშვნელობა, არამედ ასევე რ. ერისთავის, როგორც იდეების გამავრცელებლის როლიც და შევეცადე მეჩვენებინა, თუ როგორ არის შესაძლებელი კულტურის დაფარული და თითქმის მივიწყებული ტრადიციების გააქტიურება, რომელიც წინ უძღვის ნაციონალურ იდეოლოგიას და ერთიანობის განცდას.

## ბიბლიოგრაფია:


აბაკელია, ნ. (1985).ქრისტიანული წმინდანები დასავლურ-ქართულ რწმენა-წარმოდგენებში (წმ.გიორგი). *მაცნე, ისტორიის სერია,* №3.

ერისთავი, რ. (1985). ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წერილები, გამოსცა თ. ჯაგოდნიშვილმა, თბილისი; მეცნიერება.

ჩიტაია, გ. (1926).ქართული ეთნოლოგია, *მიმომხლველი,* ტფილისი.

ჩიტაია, გ. (2001). ქართული ეთნოგრაფიის ისტორია. სვეტები: *საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში,* მეცნიერება, თბილისი, ტ 4.

შამილაძე, ვ. მიმინოშვილი, ო. ( 2009) საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, ტ.1. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.

Abakelia, №. (2001). Ethnography, popular culture and popular education : Georgian. In *Encyclopedia of Romantic Nationalism in Europe*. Vol. 2. 1043-1044. Edited by Joep Leerssen. electronic version; Amsterdam: Study Platform on Interlocking Nationalisms, https://ernie.uva.nl/).

Leersen, J. (2005). The cultivation of culture. Towards a definition of Romantic Nationalism in Europe. *Opleidong Europese Studies 2*, Universiteit van Amsterdam.

Leersen, Joep, Introduction. *Encyclopedia of Romantic Nationalism in Europe* (Second, revised edition) vol1. Edited by Joep Leersen. Amstrdam University Press, 37-44.



*ნინო აბაკელია*
პროფესორი ემერიტუსი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Nino Abakelia*
Professor Emeritus,
Ilia State University.
ORCID-ID: 0009-0004-4586-8206



საშრობი რაფიელ ერისთავის საწერი მოწყობილობიდან
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

# რაფიელ ერისთავი და ხალხური ტრადიციები

## აბსტრაქტი


ქართველი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ერისთავის (1824-1901 წწ.) შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს ეროვნულ ტრადიციებს, რადგან ეთნოკულტურა ემსახურება ეროვნული თვითმყოფადობისა და ცხოვრების ქართული წესის შენარჩუნების ამოცანებს. მკვლევარის მოღვაწეობაში უმთავრესი იყო ეროვნული სულისკვეთება, რასაც მისი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ნაშრომები ასხივებს. ძნელია სხვა ქართველი მწერლის დასახელება, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში ასე უხვად იყენებდეს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. რაფიელ ერისთავი გვევლინება ხალხური ტრადიციებისა და ყოფითი რეალიების როგორც შემკრები, ასევე შემსწავლელი და გამომყენებელი. ერთმანეთთან ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი მხატვრული და სამეცნიერო მოღვაწეობა, რასაც თავის დროზე პროფესორმა *ვალერიან ითონიშვილმა* მიაქცია ყურადღება. აღნიშნულმა მკვლევარმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოსა და ქართველი ხალხის უანგარო სიყვარულით გაჯერებულ მის შემოქმედებას.

წინამდებარე ნაშრომი ვალ. ითონიშვილის დაკვირვებებს და ძველი თუ ახალი თაობის მკვლევარების დამოკიდებულებას აშუქებს. რაფიელ ერისთავის დამსახურება მის სიცოცხლეშივე აღიარეს და სათანადო პატივიც მიაგეს. აკაკი წერეთლის ინიციატივით, 1895 წლის 22 ოქტომბერს ჩატარებულმა რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა იუბილემ ეროვნული დღესასწაულის ხასიათი მიიღო და ქართველთა ეროვნული გამოღვიძება გამოიწვია. ამიტომ სათანადო შეფასებას მოითხოვს მისი შრომატევადი და კვალიფიციური საქმიანობა ქართველი ხალხის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის დამახასიათებელ თავისებურებათა შესწავლის საქმეში. იგი თანაბარი გულმოდგინებით სწავლობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხურ ტრადიციებს, მთისა და ბარის სოციალურ ურთიერთობებს, სულიერ თუ მატერიალურ კულტურას. რაფიელ ერისთავის მიერ აღწერილი და გამომზეურებული ხალხური ტრადიციების ნიუანსები, ფოლკლორული მასალები პირველხარისხოვანი ეთნოგრაფიული წყაროებია, რომლებსაც თავადაც უხვად იყენებდა მხატვრულ ნაწარმოებებში. რაფიელ ერისთავს გეგმაზომიერი და ინტენსიური კვლევითი საქმიანობა სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროსაც არ შეუწყვეტია. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებთან. მათი ურთიერთობა საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლით არ შემოიფარგლებოდა და ფართო საზოგადოებრივ საქმიანობასაც მოიცავდა. ისინი ხალხის წიაღში, ერის მტკიცე ხასიათში ხედავდნენ ქვეყნის გაძლიერების საშუალებას.



**საკვანძო სიტყვები:** ხალხური ტრადიციები; ეროვნული სულისკვეთება; საზოგადო საქმიანობა; ეთნოგრაფიული სინამდვილე; სოციალური ურთიერთობები.

# RAPHIEL ERISTAVI AND FOLK TRADITIONS

## ABSTRACT

In the work of the Georgian writer, scholar, and public figure Raphiel Eristavi (1824-1901), national traditions hold a place of honor, as ethnoculture serves the goals of preserving national identity and the Georgian way of life. At the core of his scholarly activity was a strong national spirit, which was shaped and strengthened through his ethnographic and folkloric studies. It is difficult to name another Georgian writer who so abundantly incorporated examples of folk creativity into their literary works. Raphiel Eristavi appears as a collector, researcher, and creative user of folk traditions and everyday realities. His literary and scholarly work are closely intertwined – an aspect that was noted in his time by Professor Valerian Itonishvili. This researcher dedicated several studies to Eristavi's work, which was written with selfless love for Georgia and the Georgian people. This paper highlights the observations of Valerian Itonishvili as well as the perspectives of both earlier and more recent generations of researchers.

Raphiel Eristavi's contributions were recognized and honored during his lifetime. On the initiative of Akaki Tsereteli, the event held on October 22, 1895, marking the 50th anniversary of Eristavi's public career, took on the character of a national celebration and sparked a wave of national awakening among Georgians. Therefore, his diligent and highly qualified work in studying the distinctive features of the Georgian people's traditional everyday culture deserves proper recognition. With equal dedication, he explored folk traditions from both Eastern and Western Georgia – examining the social relationships of the highlands and lowlands, as well as their spiritual and material culture. The nuances of folk traditions and folkloric materials gathered by R. Eristavi serve as primary ethnographic sources, which he himself frequently incorporated into his literary works. The researcher continued his systematic and intensive work even while serving in government positions. He maintained close relationships with contemporary public figures of the time. Their collaboration focused on the study of Georgia's history and culture. They shared the belief that the strength of the country lay in the people themselves – in their steadfast character and deep-rooted traditions.

**Keywords:** Folk traditions; national spirit; public activity; ethnographic reality; social relations



## შესავალი

ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ხალხური მემკვიდრეობა – ტრადიციული ნორმები, რომელიც საფუძვლად დაედო რაფიელ ერისთავის როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ნაწარმოებებს. ამ სფეროში მის დამსახურებას, პირდაპირ თუ ირიბად, არაერთი მკვლევარი შეეხო. მათ შორის: *ვალ. ითონიშვილი, თ. ჯაგოდნიშვილი, ქს. სიხარულიძე, ვ. არჯევანიძე, მ. ჩიქოვანი, მ. ვაშაყმაძე, ო. მიმინოშვილი* და სხვები. აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავი თანაბარი გულმოდგინებით იკვლევდა ქართველი ხალხის მატერიალური, სულიერი, სამეურნეო და სოციალური ურთიერთობის რთულ საკითხებს. ის კარგად იცნობს იმ დროისთვის მოწინავე ევროპული სკოლის შედარებით-ისტორიულ მეთოდს და წინასწარი პროგრამით განსაზღვრულ ინტენსიურ-საველე მუშაობას ეწევა. ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან მყოფი რაფიელ ერისთავის მოღვაწეობისადმი თვალის გადევნება მეცნიერების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებთან მიმართებაში, რაც ვალერიან ითონიშვილის გააზრებით წარმოვადგინე. ხალხური ტრადიციების მარგალიტების გამომზეურებითა და პუბლიკაციით რაფიელ ერისთავს დამსახურებული ადგილი უჭირავს მის თანამედროვეებსა და შთამომავლებს შორის. საქართველოში ეთნოგრაფიული ცოდნის განვითარების უმთავრესი ეტაპების და მიმართულების შესწავლით კიდევ ერთხელ უნდა გამოჩნდეს ეთნოლოგიის საბოლოოდ ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში რაფიელ ერისთავის, როგორც ძველი თაობის წარმომადგენლის, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლი.

## კვლევის მეთოდი

ხალხთა ეთნოკულტურის საკვლევად ეთნოლოგია (ანთროპოლოგია) მრავალფეროვან მეთოდებს და საშუალებებს იყენებს. სახელდობრ: საველე, კომპლექსურ-ინტენსიურ (მას ქართულ მეთოდსაც უწოდებენ), შედარებით-ისტორიულ, სტრუქტურულ-ფუნქციურ და სხვა მეთოდებს. ჩამოთვლილ ჯგუფური ხასიათის მეთოდებს შორის, მკვლევარი ძირითადად ერთ-ერთს ირჩევს, მაგრამ საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, სხვა მეთოდიც შეიძლება გამოიყენოს. მაგ.: სტატისტიკური, არქეოლოგიური, ბიოგრაფიული... საკვლევი თემის (რაფიელ ერისთავი და ხალხური ტრადიციები) შესასწავლად ბიოგრაფიული და მეორეული ანალიზის მეთოდი დაგვჭირდა, რადგან რაფიელ ერისთავის მიერ წარსულში შეკრებილი ხალხური სიტყვიერების მასალის ხელახალი ანალიზი ვალერიან ითონიშვილის ინტერპრეტაციით ვცადეთ. ძველი და ახალი თაობის მკვლევართა დაკვირვებას თან გასდევს პირველადი ავტორის (რაფიელ ერისთავის) ბიოგრაფიული გზის მნიშვნელოვანი დეტალები.

## შედეგები

არსებული, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის საფუძველზე დასტურდება, რომ რაფიელ ერისთავმა და მისმა თანამედროვეებმა საკუთარი ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლის მიზნით ეთნოგრაფია/ეთნოლოგია ეროვნულ ნიადაგზე განავითარეს.

მწერალი და მეცნიერი საფუძვლიანად იცნობდა ქართველი ხალხის არა მხოლოდ მატერიალურ კულტურას (საცხოვრებელ ნაგებობებს, ინვენტარს, მეურნეობის დარგებს, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფას), არამედ სულიერ კულტურასაც, განსაკუთრებით – მთიელთა ეთნოკულტურას.

იგი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს გადაუსხვაფერებლად წარმოადგენდა, რამაც განაპირობა მისი შემოქმედების ხალხურობა.

მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ რაფიელ ერისთავის მხატვრულ ნაწერებში გამოყენებულ ეთნოგრაფიულ მასალას სანდო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეთნოლოგიის (ზოგიერთი მოსაზრებით, ანთროპოლოგიის) რიგი საინტერესო საკითხების შესწავლისათვის.

## მსჯელობა

*ქართული საისტორიო მეცნიერების სრულფასოვანი ცოდნა შეუძლებელია იმ დიდი მემკვიდრეობის შესწავლის გარეშე, რაც საუკუნეების მანძილზე შეიქმნა ეთნოგრაფიული მასალების დაგროვებისა და ინტერპრეტაციის შედეგად. ჩვენი წინამორბედების ღვაწლის დაფასება განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს დღევანდელ ვითარებაში, როდესაც უაღრესად გაიზარდა ეთნოგრაფიის მეცნიერული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა, დაკონკრეტდა მისი პრაქტიკული დანიშნულება თანამედროვე ცხოვრებაში. მას დიდი ფუნქციები დაეკისრა ტრადიციების გენეზისის, გამძლეობის ფაქტორების, შესანარჩუნებელი და დრომოჭმული წეს-ჩვეულებების მეცნიერული კვალიფიკაციის სფეროში* (ითონიშვილი, 1989:3).

ქართული ეთნოლოგიის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის გამოჩენილ ქართველ მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – რაფიელ ერისთავს (1824-1901 წწ.); ხალხის ყოფითი კულტურის, ტრადიციების გულმოდგინე მკვლევარი ეროვნული თვითმყოფადობისა და ცხოვრების ქართული წესის შენარჩუნების ამოცანებს დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდა. რაფიელ ერისთავმა და მსგავსი სულისკვეთების მქონე ადამიანებმა, რომელთაც *გურამ ასათიანმა თანამდევი სულები* უწოდა, ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ჩვენ – დღევანდელ ქართველებს – იმედის თვალით შეგვეხედა მომავლისათვის (ასათიანი,1983:52).

განსაკუთრებული მოხსენიების ღირსია რაფიელ ერისთავის ლექსი, *სამშობლო ხევსურისა*, რომელიც მან მოზარდ თაობას მეთერთმეტე მცნებად შეუქმნა (იმედაშვილი, 2021:81). ამ ლექსმა ავტორს იშვიათი აღიარება მოუტანა, რადგან ქართული პოეზიის შედევრად იქნა შერაცხული. საქმე იმაშია, რომ პოეტი ისე ცოცხლად, ისე ძლიერად გვიხატავს მთიელის სიყვარულს სამშობლოსადმი, რომ თავის ძლიერ გრძნობასა და სიყვარულს ჩვენც გადმოგვცემს, რაც გადამდებია ყოველი ქართველისათვის და ამ ლექსის ღირსება-მნიშვნელობაც სწორედ ამაში მდგომარეობს (გომართელი, 1966:244-245).

ნიშანდობლივია, რომ მკვლევარს, მწერალს, მეცნიერს არც თანამედროვეებისაგან და არც შთამომავლებისაგან დაჰკლებია პატივი. 1895 წლის 22 ოქტომბერს, აკაკი წერეთლის ინიციატივით ჩატარებულმა რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ ეროვნული დღესასწაულის ხასიათი მიიღო და ქართველთა ეროვნული გამოღვიძება გამოიწვია. ამის საფუძველი იყო პოეტის ეროვნული სულისკვეთება, რასაც ეთნოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ნარკვევებმა დაუდო სათავე. მკვლევართა შეფასებით, რაფიელ ერისთავი ხალხური შემოქმედების მდიდარი ნიმუშების არა მხოლოდ შემკრები და შემსწავლელი, არამედ გამომყენებელიცაა (სიხარულიძე, 1956:101). ხშირ შემთხვევაში, არა მარტო მის მიერ მოძიებულ და აღნუსხულ მასალას აქვს შენარჩუნებული პირველწყაროს ღირებულება, არამედ თვით პოეტის დაკვირვებასაც (ერისთავი, 1986:3). ამიტომ სათანადო შეფასებას მოითხოვს ის ღვაწლი, რაც რაფიელ ერისთავს მიუძღვის ქართველი ხალხის ტრადიციული ყოფითი კულტურის დამახასიათებელ თავისებურებათა ორიგინალური აღწერის, მათი ობიექტური შეფასებისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაცნობის საქმეში (მიმინოშვილი, 2005:11). უპრიანი იქნება, მისი შრომატევადი და კვალიფიციური მუშაობა დაბადებიდან 200 წლისთავზე პროფესორ ვალ. ითონიშვილის დაკვირვებით შეჯამდეს. ამავე მკვლევარმა რაფიელ ერისთავის დაბადებიდან 150 წლისთავის საიუბილეო თარიღს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. მოგვიანებით კი – *საქართველოს ეთნოლოგიის ნარკვევებში* – ვრცლად განიხილა



მისი, როგორც ეთნოგრაფიული ნარკვევები, ასევე მხატვრული ნაწარმოებების ეთნოგრაფიული წყაროები. აწ განსვენებული მკვლევარი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული რაფიელი, როგორც მწერალი და ეთნოგრაფი, მისი მხატვრული შემოქმედება და სამეცნიერო მემკვიდრეობა (ითონიშვილი, 1989:39). მართალია, ქართულ მწერლობაში ეთნოგრაფიული მოვლენების მხატვრული გადმოცემა იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგრამ ამ მხრივ იგი შეუდარებელია. თუ სხვა მწერლებთან და პოეტებთან ეთნოგრაფიული მასალა გამოყენებულია ამა თუ იმ მხატვრული სცენის გასაცოცხლებლად, რაფიელ ერისთავის მხატვრული ხერხები, მისი რითმა და მეტრი მხოლოდ ეთნოგრაფიული სინამდვილის სრულყოფილ გადმოცემას ემსახურება. იგივე შეიძლება ითქვას მისი მხატვრული პროზის შესახებ, რომელიც მთიელთა ცხოვრების, მათი დღესასწაულებისა და ტრადიციების თავისებურებებს ეხება. ამავე დროს, ყველა ეთნოგრაფიულ წერილსა თუ ნარკვევს ეთნოგრაფიული საილუსტრაციო მასალა ამშვენებს, რაც ნაშრომისა და ავტორის ღირსებას აძლიერებს, რადგან ბევრ შემთხვევაში ეს მასალა მის მიერ არის მოძიებული (შამილაძე, მიმინოშვილი, 2009:177, 179).

მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, რაფიელ ერისთავი სამოცი წლის მანძილზე ქმნიდა ზემოაღნიშნულ ნაშრომებს, რომლებიც დაემთხვა უცხოეთში ეთნოგრაფიის / ეთნოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესს. ამ დროს კოლონიური პოლიტიკის გამტარებლები დამორჩილებული ხალხების ყოფისა და კულტურის აქტიური შესწავლით ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი ამბიციები და თან შეემუშავებინათ მათზე ბატონობის ეფექტური მეთოდები. ამიტომ, საკუთარი ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. რაფიელ ერისთავი გატაცებით ჩაება ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ინტერესს უნდა მომსახურებოდა (ითონიშვილი, 1989:34). *იმ დროს, როდესაც გადიად დამდგარი მოსისხლე ძილისპირულს უმღეროდა ათასი ბედუკუღმართობით ნაგვემ ხალხს, მათ თვალის მოხუჭვის უფლება არ მისცეს თანამემამულეებს... საქვეყნო საქმისათვის მუდმივი ღვიძილი ასწავლეს მათ* (ასათიანი, 1983:52).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში რაფიელ ერისთავის წინამორბედნი იყვნენ *პლატონ იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი* და სხვები. ამ სწავლულთა მუშაობა წინ უძღოდა სამოციანელთა თვალსაჩინო მოღვაწეობას. რაფიელ ერისთავი სამოციანელთა წინამორბედიც იყო და თანამედროვეც (ითონიშვილი, 1989:68).

რაფიელ ერისთავმა სიყრმიდანვე შეიყვარა ქართველი გლეხი და მისი ყოფა. ის ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს აკვირდებოდა ქართულ სოფელს, გულმოდგინედ სწავლობდა მშრომელთა ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მკვლევარს არ შეუწყვეტავს ქართული ეთნოკულტურის მასალების შეკრება-პუბლიკაცია და შეფასება. *მან პირველმა შემოიტანა ქართულ ეთნოგრაფიაში ცალკეული წეს-ჩვეულებებისა და დღესასწაულების სპეციალური კვლევის მეთოდიკა. მის მიერ პირველადაა აღწერილი ყოფის ისეთი ელემენტები, რომელიც დღესაც იშვიათობას წარმოადგენს* (მიმინოშვილი, 2005:35); მაგალითად, რაფიელ ერისთავის მონოგრაფია *თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ*, სადაც მთიელთა ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მხარეა განხილული, საველე, ცოცხალი სინამდვილიდან შეგროვებული მდიდარი მასალაა და ერთ-ერთ სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენს. ქართველი მთიელების ძველი, ტრადიციული კულტურით გატაცებული მკვლევარი შორს იდგა ერთგვარი იდეალიზაციისაგან და არც ბარის მოსახლეობა დარჩენია უყურადღებოდ. სახელდობრ, სამეგრელოს სოციალური ისტორია და სოციალური ურთიერთობები, საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებები, იმერეთისა და ლეჩხუმის ისტორიული წარსული, იმდროინდელი ვითარება, ცხოვრების წესი და სულიერი კულტურა აისახა სამეურნეო-ეკონომიკური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებში. მკვლევარის აღნიშნულ საქმიანობას ხელი შეუწყო ზუგდიდის მაზრის უფროსის

და ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდმა 1857-დან 1870-იან წლებამდე (ითონიშვილი, 1989:18-19). მკვლევარი ნაშრომებს დასავლეთ საქართველოში ესოდენ ხანგრძლივი ცხოვრებისა და სამსახურის პერიოდში შესწავლილ ყოფით თავისებურებებზე იმდროინდელი პერიოდული პრესის (მაგ., გაზეთი *კავკაზი*) ფურცლებზე აქვეყნებდა და პოპულარიზაციას უწევდა ქართულ კულტურას. მან ხალხური ტრადიციებიდან შეისწავლა ზოგიერთი ხალხური დღეობა, ქცევის წესები გლოვისას და ლხინისას, სუფრის კულტურა, ხალხური თამაშობები, სასოფლო და საოჯახო დღესასწაულები, სტუმარ-მასპინძლობის რიტუალი, შელოცვა-დალოცვა და ა. შ. მას არც სამეურნეო ყოფა, ჩაცმულობა, სახლის ინტერიერი, კარ-მიდამო და სხვა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, საკითხები დარჩენია კვალიფიციური აღწერისა და შესწავლის გარეშე.

რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივი, ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1845-1857 წლები) თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში სამსახურს და თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში მუშაობის პერიოდს დაემთხვა. ამ ხანებში მეცნიერი სწავლობდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფისა და რელიგიური აზროვნების რიგ თავისებურებებს (ითონიშვილი, 1989:40). რაფიელ ერისთავის მიერ აღწერილი: დღეობა – ალავერდობა, მსხვერპლშეწირვის წესი, ბაზრობა, ჯირითი, გართობა-თამაშობანი, ქორწილი, ნადირობა, ამინდის მართვის ხალხური რიტუალები და სხვა, რომელთა შესრულების პროცესის დამსწრე და მნახველი თავად იყო, ეთნოგრაფიული პირველწყაროს მნიშვნელობას არ კარგავენ. საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის ნაირსახეობის შესახებ მკვლევარმა იმთავითვე აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიული ყოფის სპეციფიკა არა თუ ერთ კუთხეს განასხვავებდა მეორისაგან, არამედ ცალკეულ სოფელსაც კი გააჩნდა გარკვეული სახის ინდივიდუალობა (ითონიშვილი, 1989:45). *მთისა და ბარის განსხვავებულ ტრადიციებზე აღარ არის საუბარი მაშინ, როდესაც რაფ. ერისთავი ერთმანეთისაგან განასხვავებდა გალობას, ქართულ სიმღერას და სოფლურ სიმღერას* (ჯაგოდნიშვილი, 1979:36).

საქართველოს ძლიერება სოფელსა და გლეხკაცის შრომა-საქმიანობაში მოიაზრებოდა, რაც მტერმაც კი იცოდა. ამიტომ აფრთხილებდა არჩილი (1647-1713 წწ.) თანამედროვეებს: *თუ ამოწყდეს გლეხიკაცი საქართველო დაძაბუნდა-ო.* სწორედ ხალხურობა, ხალხური კილო, ფიქრი, სურვილი, ინტერესი გამოარჩევს რაფიელ ერისთავის შემოქმედებას, რომელიც ქართველი ხალხისა და საქართველოს უანგარო სიყვარულით შეიქმნა. იგი ხალხის გულისნადებს და ჭირ-ვარამს საკუთარი აზროვნებით კი არა, გლეხის, უბრალო ადამიანის შეხედულებებით ზომავდა. სახელდობრ, *ილია ჭავჭავაძის გლეხის ფიქრი და მწუხარება საზოგადო ფიქრი და მწუხარებაა ცხოვრების პირობების მიერ აღძრული და გამოწვეული, რაფიელის გლეხის მხიარულება და მწუხარება მხოლოდ მისი საკუთარი, ინდივიდუალურია, ისეთი მიზეზებით გამოწვეული, როგორც ხარის სიკვდილი ან სეტყვისაგან ყანის წახდენა* (გომართელი, 1966:246).

რაფიელ ერისთავი არა მხოლოდ თვითონ სწავლობდა ყოფისა და კულტურის თავისებურებებს, არამედ აქტიურად ეხმიანებოდა გამოქვეყნებულ ნაშრომებს *(ნ. ხიზანიშვილის, ბ. ნიჟარაძის)*, თარგმნიდა მათ სათანადო კომენტარებით. ამით ის ხელს უწყობდა ღირებული სამეცნიერო მემკვიდრეობის ფართო ასპარეზზე გატანასა და პოპულარიზაციას. თუმცა რ. ერისთავმა ერთგან დაარღვია საავტორო უფლებათა ნორმები, მაგრამ ამ ხარვეზის მიუხედავად, საგრძნობლად გააფართოვა ქართველი ხალხის ყოფითი კულტურის ცოდნის მასშტაბები. ეთნოგრაფიის დარგში მისი დამსახურება, პირველ რიგში, ორიგინალური გამოკვლევებით ფასდება (ითონიშვილი, 1989:61). ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ მისი მხატვრული შემოქმედება ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემებით უხვად არის ნასაზრდოები. სეზონური სამეურნეო შრომითი პროცესი: მკა, კალოობა, რთველი, ღვინის დაყენება, ურთიერთდახმარების ჩვეულება, გაჭირვებული ოჯახების თანადგომა მხატვრულად, მაგრამ ფოტოგრაფიული სიზუსტითაა აღბეჭდილი. პოეტს გულწრფელად უყვარდა ქართველი გლეხი, მოსწონდა მისი შრომისუნარიანობა, ტრადიციული მიწათმოქმედება, სახვნელი იარაღების



გამოყენების დახვეწილი ხერხები და შედეგიანობა (ითონიშვილი, 1989:73). ამიტომ მისმა *სამშობლო ხევსურისას* მადლმა გაუმყარა ნიადაგი ქართველი კაცის ცნობიერებაში დიდი ილიას მიერ შემდგომში დამკვიდრებული მამულის ცნებას (ერისთავი, 1986:4). თანამედროვე საზოგადოების დიდ ნაწილს უტრადიციო საზოგადოების წარმატების სჯერა, მაგრამ არც წინაპრების თავდადებული, შეუპოვარი შრომა ჩაივლის უკვალოდ და კიდევ მრავალი თაობა დაიწყებს თავის სულიერ ბიოგრაფიას შედევრის – *სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ,* დაუვიწყარი სტრიქონებით.

ასეთი, სულიერად აღორძინებული საქართველო მოიტანეს ჩვენამდე წინაპრებმა, რომლებიც თვით ხალხის წიაღში, მისი ხასიათის პირველქმნილ თვისებებში ხედავდნენ ქვეყნის გაძლიერების შინაგან პოტენციალს (ასათიანი, 1983:52). მათ ამიტომ დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი თანამედროვეებისა და მადლიანი შთამომავლების ხსოვნაში. ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ რაფიელობა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქისტაურში 1976 წლიდან დიდი ზეიმით ტარდებოდა. გულმოდგინებას, საქმეში ობიექტურობას, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულს, ყოფითი კულტურის, ტრადიციების ცოდნა-დაფასებას მუდამ ეყოლება მოჭირნახულე, გულშემატკივარი.

## დასკვნა

ხალხური ტრადიციები (წეს-ჩვეულებები, ადათობრივი ნორმები, რიტუალები), როგორც ეროვნული კულტურის ნაწილი, აყალიბებენ მისი შემქმნელი ხალხის თვითმყოფადობას, თვითშეგნებას, იდენტობას. მწერალთა და მკვლევართა შორის, რაფიელ ერისთავი ერთ-ერთი იმათაგანია, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნული კულტურის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში. მისი უკვდავი ნაშრომები პირუთვნელად ასახავს იმდროინდელ სინამდვილეს და ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს ერის ეთნოკულტურის რეკონსტრუქციისათვის.

## ბიბლიოგრაფია:


ასათიანი, გ. (1983). *თანამდევი სულები,* თბილისი: მერანი.

გომართელი, ი. (1966). *რჩეული თხზულებანი,* ტ. 1, თბილისი: *ლიტერატურა და ხელოვნება.*

ერისთავი, რ. (1986). *ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები,* გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარების დაურთო თ. ჯაგოდნიშვილმა. თბილისი: *მეცნიერება.*

ითონიშვილი, ვალ. (1989). *ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები,* თბილისი: *მეცნიერება.*

იმედაშვილი, ი. (2021). *ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი,* ტ. II, თბილისი: *ეროვნული ბანკის გამომცემლობა.*

მიმინოშვილი, ო. (2005). *ქართული მწერლობა და საქართველოს ეთნოლოგია,* თბილისი: ნეკერი.

სიხარულიძე, ქ. (1956). *ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება,* თბილისი: *სახელგამი.*

შამილაძე, ვ. მიმინოშვილი, ო. (2009). *საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია,* ტ. 1, თბი-

ლისი: *უნივერსალი.*

ჯაგოდნიშვილი, თ. (1979). *რაფიელ ერისათავი და ხალხური შემოქმედება,* თბილისი: *მერანი.*

*ირმა კვაშილავა*
ისტორიის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

*Irma Kvashilava*
PhD in History, Senior Scientific Researcher,
TSU Iv. Javakhishvili Institute of History and Ethnology.
ORCID-ID: 0009-0002-5244-3033



# რაფიელ ერისთავის ბიბლიოფილური მისწრაფებების კვალდაკვალ

## აბსტრაქტი

ცნობილი ქართველი მოღვაწის – რაფიელ ერისთავის ბიბლიოფილური მისწრაფებები მოიცავს მისი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და შემოქმედების არაერთ ასპექტს: 1. *ხელნაწერი წიგნების მოძიებას*; 2. *შესასყიდი წიგნების შერჩევაში ავტორიტეტული რეკომენდაციის უფლებით სარგებლობას*; 3. *ახალი გამოცემების ინიციატივებს*; 4. *წიგნების სტრუქტურულ და კონცეპტუალურ სრულყოფაზე ზრუნვას*; 5. *საბიბლიოთეკო საქმის ინსტიტუციურ გამართულობაზე მუშაობას*; 6. *ბიბლიოფილური ინტერესების ხარისხის ზრდის მცდელობას საზოგადოებაში* და ა. შ.

გარდა იმისა, რომ ჩვენთვის საგულისხმოა რაფიელ ერისთავის ამ დარგში სხვადასხვა ორგანიზაციის ფარგლებში საქმიანობის ამსახველი ფაქტების აღდგენა-რეკონსტრუქცია, ასევე კვლევის მეტად საინტერესო იმპულსს გვაძლევს პირად წერილებში მოხმობილი ფაქტების კვალდაკვალ სვლა. ამ წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ რაფიელ ერისთავი იცნობს და უკავშირდება *ინფორმატორებს, ბიბლიოფილებს, აგენტებს* და ინტერესდება ნებისმიერი შინაარსისა და წარმომავლობის ხელნაწერის შეგროვებით. მისი არქივიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ მას მოუძიებია შემდეგი თემატური რაობის *სამ ათეულამდე* ხელნაწერი წიგნი: *აგიოგრაფიული და საღვთისმსახურო ძეგლები, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი ტექსტები...*

როგორც ჩანს, რაფიელ ერისთავი დეტალურად ინტერესდებოდა ამ ხელნაწერი წიგნების მფლობელების ვინაობითა და ამ არტეფაქტების დაცულობის ისტორიით, რასაც მოწმობს მისი ერთი ინფორმატორის საგულდაგულოდ ხაზგასმული აქცენტები. რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცული ცნობები ხელნაწერთა მფლობელების, გამავრცელებლების, გამყიდველების შესახებ ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ხაზი სწორედ აქ ნახსენები ხელნაწერების იდენტიფიკაციაცაა, ამავე წყაროებში მოცემული ხელნაწერის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საფუძველზე, რაც მოგვცემს ამ მრავალპროფილური მოღვაწის კიდევ ერთი, საგულისხმო როლის დაზუსტების საშუალებას.

**საკვანძო სიტყვები:** ბიბლიოფილი; ხელნაწერი წიგნი; პირადი არქივი; პირადი წერილები; რაფიელ ერისთავი.

# IN THE FOOTSTEPS OF RAPHIEL ERISTAVI'S BIBLIOPHILIC PURSUITS

## ABSTRACT

The bibliophilic pursuits of the renowned Georgian figure Raphiel Eristavi encompass many aspects of his public life and creative work: 1. The search for manuscript books; 2. Exercising authoritative recommendations in the selection of books to be purchased; 3. Initiatives for new publications; 4. Attention to the structural and conceptual refinement of books; 5. Work on the institutional development of library affairs; 6. Efforts to elevate the quality of bibliophilic interests in society, and more.

Besides the importance of reconstructing and documenting Raphiel Eristavi's activities within various organizations in this field, the study also gains a particularly interesting impulse by following the facts mentioned in his personal correspondence. Based on these sources, it becomes clear that Raphiel Eristavi was acquainted with and connected to informants, bibliophiles, and agents, and showed interest in collecting manuscripts of any content and origin. From his archive, it is known that he sought about thirty manuscript books on the following thematic areas: hagiographic and liturgical monuments, the history of Georgia, translated texts, and more.

It appears that Raphiel Eristavi was keenly interested in the identities of the owners of these manuscript books and the history of the preservation of these artifacts, as evidenced by the careful emphasis of one of his informants. The information preserved in R. Eristavi's personal archive about the owners, distributors, and sellers of manuscripts is of invaluable importance. One of the key directions of our research is the identification of the manuscripts mentioned here, based on the identifying data provided in the same sources. This enables us to clarify another significant role of this multifaceted figure.

**Keywords:** Bibliophile; Manuscript; Personal Archive; Personal letters; Raphiel Eristavi.



## შესავალი

რაფიელ ერისთავი როგორც უფროსი თაობის, ისე მისი შემდგომი მოაზროვნეების იდეებისა და მისწრაფებების, ფასეულობებისა და ცხოვრების წესის ერთგვარი გამტარია. შესაბამისად, მის ნააზრევსა თუ სამოქალაქო აქტივობაზე დაკვირვებით ამ ეპოქის გზაჯვარედინის ტენდენციების ამოკითხვაა შესაძლებელი, მით უფრო, თუ ძირითად საკვლევ წყაროდ რაფიელ ერისთავის პირად არქივს დავისახავთ, როგორც ავთენტურ და არამოდელირებულ მასალას.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული რაფიელ ერისთავის პირადი არქივი შედგება 1097 ერთეულისაგან, აქედან მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეხება 328 საარქივო დოკუმენტი, 717 კი პირადი წერილია, რომელთაგან თავადაა 39 წერილის ავტორი და 678-ისა – ადრესატი. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული წერილების ერთი ნაწილი მისი ოჯახის წევრებისგანაა, წერილების დანარჩენ, დიდ ნაწილში იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეების, როგორც მისი ადრესანტების, საგულისხმო პალიტრა იკვეთება.

ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლის დროს ისმება ორი მთავარი აქცენტი – *ადრესანტები, წერილების ავტორები* და *თემები, საკითხები, ინტერპერსონალური კომუნიკაციის ობიექტები.* რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცული ეპისტოლური მემკვიდრეობის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ მისი ადრესანტების, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების პროფესიული პალიტრა მოიცავს კულტუროლოგიური და ჰუმანიტარული სფეროების ფართო სპექტრს, დაწყებულს: ეთნოგრაფიით, ეთნოლოგიით, საგამომცემლო და პუბლიცისტური საქმით, ლექსიკოლოგიით, ფოლკლორული ექსპედიციებით, კულტურული მემკვიდრეობის მოძიებით, კვლევითა და პუბლიკაციით, ქართული ენის სიწმინდეზე ზრუნვით, და დამთავრებულს – ბუნებისმეტყველებითა და ანთროპოლოგიით, რაც ერისთავის მეტად მრავალწახნაგოვან ინტერესებს წარმოაჩენს.

ადრესანტების ასეთი კონფიგურაცია აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ რაფიელ ერისთავი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში (ჩვენი წერილების ქრონოლოგია მოიცავს 47-წლიან მონაკვეთს, 1848-1895 წლებს), საკუთარი ინტელექტუალური უნარებითა და მაღალი საზოგადოებრივი რეპუტაციით, ინტენსიურად იყო ჩართული პროგრესული სამოქალაქო თუ ეროვნული საქმეების რაციონალურად მართვაში. სწორედ ამ მასშტაბურ მასალაზე დაკვირვებით გამოიკვეთა რაფიელ ერისთავის ინტენსიური საზოგადოებრივი აქტიურობის ერთი ხაზი – მისი მაღალი ხარისხის ბიბლიოფილური ინტერესები.

## კვლევის მეთოდები

საკვლევ წყაროდ აღებული გვაქვს რაფიელ ერისთავის პირადი არქივის მიმოწერის ნაწილი, სადაც შესაძლებელია მისი, როგორც ინტერესების, ისე პრაქტიკული საქმიანობის რაკურსების გამოვლენა. ხელნაწერთა მოკვლევის, მოძიების, რაფიელ ერისთავამდე მიღწეული არტეფაქტების შესახებ ამ მასალაში მოპოვებული ცნობები შევაჯერეთ ხელნაწერთა მთავარ საცავებში დაცულ ხელნაწერთა აღწერილობებისა და კატალოგების მონაცემებთან.

ამ დოკუმენტური წყაროების ინტეგრირებით, ასევე ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით, შედარებითი და ემპირიული ანალიზით, ვცადეთ ისტორიული და კულტურული კონტექსტის მეტ-ნაკლები სიზუსტით რეკონსტრუქცია.

## მსჯელობა და შედეგები

ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით ვიცით, რომ რაფიელ ერისთავი, თავისი მაღალი

საზოგადოებრივი და პროფესიული კვალიფიკაციის რეპუტაციით, ჩართული იყო მეცხრამეტე საუკუნეში საექსპერტო-სარეკომენდაციო საქმიანობაში. ამ კონტექსტში უსათუოდ უნდა ვახსენოთ მისი წიგნის საგამომცემლო *ქართველთა ამხანაგობის საბჭოს* წევრობა. ის ინტენსიურად, ხშირად ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ესწრებოდა ამ გაერთიანების სხდომებს, ასევე იყო *ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისა* და *გამოცემის* კომიტეტის წევრი, სადაც თანაშემწეობას უწევდა კომისიის თავმჯდომარეს – გრიგოლ ორბელიანს.

რაფიელ ერისთავის ეპისტოლური მემკვიდრეობის ერთი საყურადღებო ნაწილი სწორედ ძველი ხელნაწერების შეკრებასა და გამოქვეყნებას ეძღვნება.

შედარებით გვიან, 1881 წელს, როდესაც უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა მისი ეს მისწრაფება და მოიპოვა კიდეც შესაბამისი კომპეტენცია და ავტორიტეტი, ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით, *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომ სწორედ მისთვის დაევალებინათ გამომცემელ გრიგოლ ჩარკვიანისაგან შესასყიდი წიგნების შერჩევა. *გრიგოლ ჩარკვიანი* იყო 70-იანი წლების ბოლოდან თბილისში არსებული წიგნის მაღაზიის მფლობელი, რომლის საკუთრებაშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, არაერთი ქართული ხელნაწერი წიგნიცაა. ამავე, 1881 წელს, რაფიელ ერისთავსა და *ნიკოლოზ ცხვედაძეს* დაევალათ ბიბლიოთეკის პროექტისა და წიგნების შეგროვების გეგმის შედგენა.

რაფიელ ერისთავი კულტურული მემკვიდრეობის ამ ძეგლების კოორდინირებას ამ ფაქტამდე ბევრად ადრე იწყებს. ის უკავშირდება ინფორმატორებს, ბიბლიოფილებს, ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა მფლობელებს და ინტერესდება ნებისმიერი შინაარსისა და წარმომავლობის ხელნაწერით.

რაფიელ ერისთავის პირად არქივში ინახება *ფირუზ მაყაშვილის* სამი წერილი (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქ.* №№ 860,862), რომლებშიც ავტორი სიხარულით სწერს ადრესატს მისთვის სამ ათეულამდე წიგნის მოძიების შესახებ. როგორც ჩანს, რაფიელ ერისთავი დეტალურად ინტერესდებოდა ამ წიგნების მფლობელების ვინაობითა და ამ არტეფაქტების დაცულობის ხარისხით და ისტორიით, რაზეც მოწმობს წერილების ავტორის საგულდაგულო აქცენტები. თავის მხრივ, ფირუზ მაყაშვილს, რომლის წერილებსაც აშკარად ეტყობა ბიბლიოფილებისთვის დამახასიათებელი, ვნებამდე მისული ძალისხმევა წიგნების მოპოვების საქმეში, თავის წრეში მოუძიებია 29 ხელნაწერი, რომელთაგანაც ორი – *ფუტკარი* და *დილარიანი (სარგის თმოგველის* ამ სახელწოდების თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა ეს სახელი *ზაქარია ჭიჭინაძეს* უწოდებია სხვა თხზულებისთვის. ამის პარალელურად, არსებობდა ასევე *პეტრე ლარაძის* მიერ ამავე სახელწოდებით დასათაურებული ტექსტი) – წერილთან ერთად გამოუგზავნია რაფიელ ერისთავისთვის. იმ ორი ხელნაწერის გარდა, რომლებიც, წერილის თანახმად, რაფიელ ერისთავამდე უნდა მისულიყო, მისთვის ფირუზ მაყაშვილის მიერ მოძიებული ხელნაწერი წიგნების ნუსხაში კიდევ სამ ათეულამდე შემდეგი ხელნაწერი შედის: 1.*სოფლის შესაქმე;* 2. *ფუტკარი;* 3. *დილარიანი;* 4. *მარტირიკა;* 5. *დიდი ვასილის მოთხრობა*; 6. *სიმეტანია;* 7. *მარგარიტი*; 8. *ნარკვევი. დავით ბაგრატიონისა;* 9. *ანდრია სალოსი;* 10. *საქართველოს ისტორია თარგმნილი ფრანციცულიდამ თარხანოვისაგან* 1782 წ.; 11. *ნარკვევი დაბეჭდილიც და მასში ხელნაწერიც სხვა და სხვა მოთხრობები. შაჰაბაზისაგან დავით გარესჯის მონასტრის მოაოხრება და წამება მუნ მყოფთა ხილვა მარტომყოფს დანიელიისა 1764 წ;* 12. *ცხოვრება წმ. იოანესი, ევთვიმიანესი და მის ძისა ალექსისა და სხვათა*; 13. *აღწერა გრემის ქალაქისა და მოაოხრება შაჰაბაზისაგან; ნოშრევან და ბაბალეს ანბავი.* ეს წიგნი ვპოვე 1864 წ. გიორგი ჯორჯაძის სახლში გადაგდებული მაღლა გული ჩარდახშია; 14. *ნუმა პომფილია, თარგმნილი გიორგი ავალოვისაგან 1795 წელსა* ეს ვპოვე გიორგი ჩოლოყაშვილის სასახლეში 1873 წელსა; 15. *თალამასალის წიგნი სტროლაბის სასწავლებელი ხოჯა ნასირ თუსელისა,* ვპოვე გ. ჩოლოყაშვილის სახლში; 16. *წამება წმ. ივლიტასი*; 17. *წამება წმ. პარასკევასი;* 18. *მოთხრობა ათანასესი;* 19. *ცხოვრება წ. ნისიმესი.* ნარკვევის წიგნში იხილე; 20. *ცხოვრება მარიამ ეგვპატელისა სოფრონის მიერ აღწერილი;* 21. *წმ. იოანე ოქროპირისა;*



22. *ნაცვალ სიტყვაობა გადმოწერილი კიკნაძე ბერისაგან 1817ში;* 23. *ეპიტაფიებია წარწერილი იმერეთის მეფის არჩილის ძისათვის, თქმული მეფის გიორგი 13ის ძის იოანესაგან,* და *წამება ქეთევან დედოფლისა ლექსად თქმული საბა ორბელიანისაგან;* 24. *წამება წმ. გაიანესი და რიფსიმესი;* 25. *ცხოვრება წმ. შიოსი;* 26. *ცხოვრება წმ. იოანესი და სხვათა. ;* 27. *მარიამ ბატონიშვილის ლექსი.* ელეგიურია ნარკვევის წიგნში ბოლოში იხილეთ; 28. და *ბაქარიანი.* ჰქონია ჩვენ ბიძაშვილს მაშიკოს, გიორგი ანდრონიკოვის ცოლს რომელსაც წაუღია ჩვენი სახლიდამ გურჯაანში. თუ ისაჭიროთ მისწერეთ წიგნი და თითონ მოგართმევთ; 29. *ხრონოღრაფი* (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქ.* № 861).

რაფიელ ერისთავისთვის მოძიებული წიგნების თემატური რაობა ასეთია: *აგიოგრაფიული* და *საღვთისმსახურო ძეგლები, საქართველოს ისტორია, ნათარგმნი ტექსტები...*

ხელნაწერების გადამწერთა თუ მფლობელთაგან ნახსენები არიან: *კიკო თადიაშვილი, გრიგოლ მაყაშვილი, სვიმონ მაყაშვილი, ექვთიმე ნიკოლიშვილი,* ვინმე *ქობულაშვილი.*

ჩამოთვლილთაგან *საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდის (H)* ხელნაწერთა გადამწერებსა და მფლობელებს შორის მართლაც იდენტიფიცირდება გრიგოლ მაყაშვილი, სვიმონ მაყაშვილი და ქობულაშვილი. ეს უკანასკნელი, ონანა მდივანი ქობულაშვილი, გვევლინება *ბარამგულიჯანიანის* ავტორად.

რაც შეეხება ხელნაწერთა იდენტიფიკაციას, საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც, მაგალითად, ფირუზ მაყაშვილის მიერ ჩამოთვლილ ხელნაწერთაგან, ხელნაწერ წიგნთა კოლექციაში ანტონ პირველის *მარტირიკის* 13 ნუსხა მოიძიება, ჩვენ კი არ გვაქვს რაიმე სახის ისეთი სპეციფიკური მახასიათებელი, რომელიც დაგვადასტურებინებდა ფირუზ მაყაშვილის ნუსხაში შეტანილი ხელნაწერის იგივეობას. *ჟან-პიერ ფლორიანის გიორგი ავალიშვილის* მიერ ქართულად თარგმნილი *ნუმა პომფილიას* ტექსტი კი მხოლოდ ერთადერთ ხელნაწერად – H 456 ნომრად გვხვდება, ისევე როგორც *ვახტანგ მეექვსის* მიერ თარგმნილი *ხოჯა ნასირ ედ დინ თუსის თალი მასალის* ანუ *სტროლაბის სასწავლებელი წიგნის* ხელნაწერი – H 457.

როგორც ხელნაწერების დღევანდელი დაცულობის ადგილებიდან – სხვადასხვა ფონდიდან – ჩანს, რაფიელ ერისთავთან გაგზავნილი ნუსხის შემადგენელი წიგნები, დათქმისამებრ, 1870-იანი წლების შემდეგ დაბრუნებია მფლობელებს. დათქმა კი ასეთი იყო: *როგორც მოგეხსენებათ ჩვენი, ქართველების, ამბავი, როდესაც თხოვნა დავუწყე წიგნებისა, არ იყო, რო არ დაუმძიმდათ მოცემა, შემდეგ რო ავუხსენი და უანბე თქვენის მხრითა, დაბეჭდას უპირებს ყველა ქართულს წიგნებსა, რომელთაც ღირს შესანიშნავათ და საინტერესოთ დაინახვენ მეთქი, დავხწიე, როგორც იყო, ესენი იმაზე შიშობენ, ვაი თუ დაგვეკარგოსო და აღარ დაგვიბრუნდესო; ყოველ გზით დავარწმუნე, რო თავის დროზე, რასა დროს განიხილავს, უკანვე დიდის მადლობით მოგერთმევათ მეთქი* (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქ.* № 861).

ამ მიზეზით ეს ხელნაწერები არა ერთ კოლექციაში ერთად თავმოყრილი, არამედ მოგვიანებით, სხვადასხვა გარემოების გამო, სხვადასხვა ადგილას მოხვედრილა. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ, ძირითადად, მეოცე საუკუნის დასაწყისში *საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდში* (რაკი ამ ორგანიზაციის ნიშა კულტურული მემკვიდრეობის ამ სეგმენტის სისტემური მენეჯმენტი იყო) მოუყრია თავი.

ხელნაწერთა იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ორი ნაშრომის – ვახტანგ მეექვსისა და გიორგი ავალიშვილისეული თარგმანების მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერები ერთმანეთის მოყოლებით, მზარდ ნომრებად – H 456 და H 457 – არის გატარებული ზემოთ აღნიშნული საზოგადოების კოლექციაში, რაც იმას ადასტურებს, რომ ისინი, დიდი ალბათობით, ერთი და იმავე მფლობელისგან, ერთსა და იმავე დროს აღწერილა და აღრიცხულა არტეფაქტების ამ ფონდში.

მართალია, ფირუზ მაყაშვილის ტექსტში ნახსენებია მის მიერ რაფიელ ერისთავისთვის შეგრო-

ვილი თუ თავისი პირადი კოლექციის კუთვნილი 29 ხელნაწერი, თუმცა დადასტურებით მაინც ვერ ვიტყვით, ამ ხელნაწერებმა საბოლოოდ მიაღწიეს თუ არა რაფიელ ერისთავამდე. დანამდვილებით კი ვიცით ერთი რამ: წერილის ავტორს, ამ წერილთან ერთად, ადრესატისთვის გაუგზავნია ორი ხელნაწერი, რომლებსაც, დიდი ალბათობით, რაფიელ ერისთავამდე უნდა მიეღწია.

*ფუტკარი* (ლოცვანი და ბერძნული ეკლესიის ზოგიერთი წმინდანის ცხოვრების კრებული) კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციაში გვხვდება ორ – *A 60 (XII-XIII სს) და A-691 (XVI-XVII); დილარიანი* კი – ექვს ნუსხად – *H 53 (XIX), H 908 (XIX), S 1193 (XIX), S 2388 (XIX), Q 180 (XIX), Q 1076 (XVIII).*

*დილარიანის* ერთი ხელნაწერი, H 908, ხელნაწერთა აღწერილობის თანახმად, შეძენილია *დიმიტრი გრიგოლის ძე მაყაშვილისაგან.* ხელნაწერის მაყაშვილების ოჯახიდან წარმომავლობას ადასტურებს ფირუზ მაყაშვილის წერილის ფრაგმენტიც: *ეს ზემო ხსენებული წიგნები ჩვენი საკუთრება არის (კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქ. #861).* მართლაც, 1875 წლის წერილში ხელნაწერის მფლობელად მამა, გრიგოლ მაყაშვილია მითითებული. უშუალოდ ხელნაწერის ყდაზე დატანილია შემდეგი მინაწერი: *ეს დილარიანი არის კნიაზ გიგო იოსების ძე მაყაევისა* (ქუთათელაძე ლ., კასრაძე ნ,: 1951). სულ მცირე, 32 წლის შემდეგ (*საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება* დაარსდა 1907 წელს, ხელნაწერთა H კოლექცია მისი საკუთრებაა) კი, შეიძლება დავუშვათ, რომ ხელნაწერს *საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების* ფონდს აბარებს გრიგოლ მაყაშვილის შვილი – დიმიტრი გრიგოლის ძე მაყაშვილი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ხელნაწერი უშუალოდ ხელში ჰქონია რაფიელ ერისთავს, რასაც სათანადო არგუმენტების უქონლობის გამო ვერ დავადასტურებთ მეორე ხელნაწერ ტექსტთან *(ფუტკარი)* მიმართებით.

ეს წერილები 1875 წლისაა. უშუალოდ რაფიელ ერისთვის მიერ შესრულებული ტექსტი კი, რომელშიც ის სწორედ ხელნაწერთა შეგროვება-გამოცემის ინიციატივის მნიშვნელობაზე საუბრობს და ხაზს უსვამს ამ საქმეში საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობას, უთარიღოა. ის ასეთი თხოვნით მიმართავს ჩვენთვის არაიდენტიფიცირებულ ადრესატს, ვინმე *ნესტორს*:

*თბილისში რაოდენთამე პირთა გამოაცხადეს მხურვალე სურვილი დაბეჭდისა ძუჱლის ქართულის წიგნებისა, სიგელთა სიმრავლე დროისა ძალით ძველდება, ლპება და იკარგება ჩუჱნთვის უსარგებლოდ და უნაყოფოდ. კეთილი ესე ჰაზრი უწინაც რაოდენჯერმე აღმოჩენილა ჩუჱნ შორის, მაგრამ ვერ შესრულებულა სხუად სხუათა მიზეზთა გამო, რომელთა რიცხუში უმეტესი ნაწილი მიეწერება ჩუჱნთავე დაუდევნელობასა, რადგანაც – დასწყევლოს ღმერთმან – ვიყავით როგორღაც გულაყრილნი ჩუჱნეს სამშობლოს ენაზედ* (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქ.* № 360).

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაფიელ ერისთავის ეს წერილი დაწერილია *ილია ჭავჭავაძისა* და *სერგეი მესხის* თაოსნობით თხზულებებისა და სახელმძღვანელოების გამოსაცემად თბილისში *წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის ჩამოყალიბების,* ანუ 1875 წლის ოქტომბრის, შემდეგ. წერილში ნახსენებია *პლატონ იოსელიანი.* ის გარდაიცვალა 1875 წლის ნოემბრის ბოლოს. ეს ფაქტები ქრონოლოგიურ საზღვრებში აქცევს წერილს – ის დაწერილია 1875 წლის ოქტომბრიდან ამავე წლის ნოემბრის ბოლომდე. როგორც ჩანს, რაფიელ ერისთავს, *წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის* კომიტეტის წევრს, მეტად ოპერატიულად უმოქმედია და ამ ორ ფაქტს შორის პერიოდში, ერთი თვის განმავლობაში, ამ საქმისთვის საიმედო რამდენიმე პირისთვის მიუმართავს. ამ წერილის ადრესატების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იმავე წელს, ე. ი., დარჩენილ ერთ თვეში, რაფიელ ერისთავს საიმედო პირების დახმარებით სამ ათეულამდე ხელნაწერის გზა-კვალისთვის მიუგნია.

რაფიელ ერისთავი ამ წერილში ჩვენთვის უცნობ ადრესატს, ვინმე ნესტორს, სთხოვს, რაც შეიძლება მალე მოჰყვეს რეაგირება ამ ინიციატივას, გაჩნდნენ ხელმოწერის მსურველები



და წინასწარი შეწირულობით უზრუნველყონ მოძიებული და კარგად შესწავლილი ხელნაწერების გამოცემა. სხვა შემთხვევაში, წერილის ავტორი ქართული ხასიათის ერთ მანკიერებასა და მისგან გამოწვეულ ხიფათზე ამახვილებს ყურადღებას: *ამ აზრის აღსრულებას აღარ უნდა დაყოვნება, თვარემ გული ქართველისა პირველს დაწყებაში ფრიად ფიცხი, შემდეგ მალე აგრილდება, მალე ჰსწყინდება მას კარგიცა და ავიცა* (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქ.* № 360).

როგორც ჩანს, ყველაზე კომპეტენტური ამ საქმეში ამ დროს პლატონ იოსელიანი იყო. სწორედ მას, როგორც *ქართულის ენისა მცოდნეს,* მიენდო *განხილვაცა ძუჱლის წიგნებისა, რომელნიცა არიან განმზადებულნი დასაბეჭდავად, რათა დაიცუას მან ბეჭუდში სრულიადი კანონი მართლწერისა, რომელიცა ჩუჱნს ჟურნალებში უმეტეს ირღუევა გამოუცდელობისა გამო მწერალის“* (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქ.* № 360). საყურადღებოა, რომ აქ წერილის ავტორი არა მხოლოდ მასალის შეგროვებაზე, არამედ საგამომცემლო კონცეფციაზეც მსჯელობს.

## დასკვნა

რაფიელ ერისთავის პირად არქივზე დაკვირვებით, გამოიკვეთა მისი ბიბლიოფილური მისწრაფებების რამდენიმე ვექტორი:

- ხელნაწერი წიგნების მოძიება;
- შესასყიდი წიგნების შერჩევაში ავტორიტეტული რეკომენდაციის უფლებით სარგებლობა;
- ახალი გამოცემების ინიციატივები;
- წიგნების სტრუქტურულ და კონცეპტუალურ სრულყოფაზე ზრუნვა;
- საბიბლიოთეკო საქმის ინსტიტუციურ გამართულობაზე მუშაობა;
- ბიბლიოფილური ინტერესების ხარისხის ზრდის მცდელობა საზოგადოებაში და ა. შ.

რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცული ცნობები, გარდა იმისა, რომ მოღვაწის ინტერესებისა და საქმიანობის მეტად საპატიო, ერთი სფეროს ინტერესების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა, ეს მასალა ხელნაწერთა მფლობელების, გამავრცელებლების, გამყიდველების კვლევისა და შესწავლისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა.

ზოგადად, პირად არქივში რაფიელ ერისთავის სახე რეკონსტრუირდება როგორც პროგრესული მოღვაწის პორტრეტი, რომელმაც მარტივად დაძლია თავისი ეპოქის სოციალური და ისტორიული სტერეოტიპები, თავისი პოტენციალი და შესაძლებლობები ყველაზე პროგრესული იდეოლოგიებისკენ მიმართა, შეძლო ერთნაირად ყოფილიყო ყველა თაობის წარმომადგენლის საიმედო ადრესატი და, რაც მთავარია, საზოგადო საქმე აკეთა ისე, რომ მასში ადგილი ჰქონოდა ყველას, ძველ და ახალ თაობებად, რეტროგრადებად და ლიბერალებად კონფრონტაციული დაყოფის გარეშე.

## ბიბლიოგრაფია

*კკსსხეც,* რაფიელ ერისთავის არქ. № 360 – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის პირდი არქივი №360


*კკსსხეც,* რაფიელ ერისთავის არქ. № 861 – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართვე-


ლოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის პირდი არქივი № 861

ქუთათელაძე ლ., კასრაძე ნ. (1951). *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა*, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), თბილისი.


*ესმა მანია*
ფილოლოგიის დოქტორი,
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.


*Esma Mania*
Doctor of Philology,
Senior Scientific Reserch at
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts,
ORCID-ID: 0000-0002-6168-5678






ფირუზ მაყაშვილის წერილი რაფიელ ერისთავს.
კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქ. №861







რაფიელ ერისთავის წერილი ნესტორს.
კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქ. №360

# რაფიელ ერისთავის პუბლიცისტიკა

## აბსტრაქტი


XIX საუკუნის გამოჩენილი მოღვაწისა და პოეტის, რაფიელ ერისთავის პუბლიცისტური წერილების ფორმა და თემატიკა დიდწილად დაკავშირებულია საქართველოში ჟურნალისტიკის განვითარების პროცესთან. მწერლის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენის პერიოდში საქართველოში ძირითადად რუსულენოვანი პრესა გამოდიოდა და შესაბამისად, რაფიელ ერისთავის პირველი პუბლიკაციებიც რუსულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა.

სამსახურებრივი მოვალეობის გამო რ. ერისთავს გარკვეული დროით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უწევდა ცხოვრება. საკუთარი სამშობლოს შეცნობის ბუნებრივი სურვილი განაპირობებდა რ. ერისთავის მიერ ეთნოგრაფიული შინაარსის წერილების მთელი სერიის შექმნას. მათში რ. ერისთავი ძირითადი თემის პარალელურად მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობასაც აღწერდა, რაც ამ ნაშრომებს საზოგადოებრივად აქტუალურს ხდიდა და პუბლიცისტიკისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას მატებდა.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა დაარსდა ქართული ჟურნალ-გაზეთები, რ. ერისთავმა აქტიურად დაიწყო მათთან თანამშრომლობა. ქართული პრესის განვითარების კვალად, რაფიელ ერისთავის პუბლიცისტიკამ შეიძინა მეტი სიმწვავე, გახდა უფრო მრავალფეროვანი, მრავალთემატური და აქტუალური.

ამრიგად, *რაფიელ ერისთავის პუბლიცისტიკა* პირობითად ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ: საწყისი პერიოდი – თანამშრომლობა რუსულ პრესასთან და შემდეგი პერიოდი – თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. რაფიელ ერისთავის პუბლიცისტური წერილები გამოირჩევა გადმოცემული ინფორმაციის სისრულით და წარმოადგენს საქართველოს ღირებულ კულტურულ მემკვიდრეობას.



**საკვანძო სიტყვები:** პუბლიცისტიკა; რუსული პრესა; ქართული პრესა; ეთნოგრაფიული ნაშრომები; აქტუალური საკითხები; სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

# RAPHIEL ERISTAVI'S JOURNALISTIC ESSAYS

## ABSTRACT

One of the most remarkable aspects of Raphiel Eristavi's legacy is his series of public letters, published continuously over many years in the Georgian press. His writings stand out for their thematic diversity and analytical depth. At the time of his debut in public life, the press in Georgia was primarily Russian, which is why his earliest publications appeared in Russian-language journals and newspapers.

Raphiel Eristavi's early articles were first published in periodicals such as the newspapers *Kavkaz* and *Novoe Obozrenie*, as well as in journals like *Notes of the Caucasian Department of the Russian Geographical Society (ZKORGO)* and *Notes of the Caucasian Society of Agriculture*.

Due to his professional duties, Raphiel Eristavi spent periods of time living in various regions of Georgia. His natural curiosity and desire to explore his homeland laid the foundation for a series of ethnographic letters. In addition to ethnographic observations, these letters also contained valuable information of a physical-geographic and economic-geographic nature.

Raphiel Eristavi's works were highly regarded in the imperial capital, notably by N. Chernyshevsky. His piece *Records Concerning the Oblast of Tush-Pshav-Khevsur* was recognized by the Russian Academy of Sciences as the finest literary work of 1855 and was selected as one of five works recommended for presentation to the Emperor.

In the 1850s, as the Georgian press was being established, Raphiel Eristavi began actively working within it. Apart from his literary work, distinguished by its high artistic value and immediately gaining the attention and affection of the public, Eristavi also published letters in the Georgian press addressing relevant issues facing Georgian society.

Raphiel Eristavi was also involved in nearly every significant event in the socio-cultural life of Georgia. Notable among his contributions was his involvement with the Society for the Spreading of Literacy among Georgians, as well as his efforts to bring attention to key issues in Georgian culture and society – such as the social conditions of the population, the development of mathematical terminology in the Georgian language, and the formulation of a Georgian botanical dictionary, among others.

Raphiel Eristavi's opinion journalism stands out for its thematic depth, problem-solving approach, coherence and relevance to the demands of the era, and it represents a valuable part of Georgia's cultural heritage.

**Keywords:** Publicism / Journalism; Russian Press; Georgian Press; Ethnographic Studies; Current Issues; Socio-Economic Conditions



## შესავალი

რაფიელ ერისთავი საზოგადოებრივ ასპარეზზე XIX საუკუნის 40-იან წლებში, თბილისის გიმნაზიის დამთავრებისთანავე გამოჩნდა (1845 წელი). ეს ის პერიოდია, როდესაც ქართული ჟურნალისტიკის ისტორია ორი ათეული წლის მანძილზე მხოლოდ სამი ქართულენოვანი პერიოდული გამოცემით შემოიფარგლება – გაზეთები: *საქართველოს გაზეთი* (1819-1821წწ.), *ტფილისის უწყებანი* (1828-1832წწ.) და ჟურნალი *სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი* (1832წ.). ცხადია, მცირეტირაჟიანი და ხანმოკლე ისტორიის გაზეთები ვერ შექმნიდა მყარ საფუძველს ქართულ პუბლიცისტიკისთვის. ქართველ ავტორთა ჟურნალისტური მოღვაწეობა დიდწილად დაკავშირებული იყო საქართველოს რუსულენოვან პრესასთან.

ასე მოხდა რაფიელ ერისთავის შემთხვევაშიც. ბუნებრივი ნიჭი და განათლება, მათ შორის, რუსული ენის ღრმა ცოდნა, მას საშუალებას აძლევდა საკუთარი შეხედულებები და ცხოვრებისადმი დამოკიდებულება რუსულ პრესაში გამოეხატა.

მწერლის მრავალმხრივი მოღვაწეობის შესწავლას ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა, თუმცა, ფაქტობრივად, მისი პუბლიცისტიკა ცალკე განხილვის საგანი არასდროს ყოფილა. ჩვენი ინტერესი მიმართულია რაფიელ ერისთავის პუბლიცისტური ხასიათის ლიტერატურისაკენ. პრესაში გამოქვეყნებული მასალების შესწავლის გზით გვსურს ვნახოთ მწერლის პუბლიცისტიკის საწყისი ნიშნები და მისი განვითარების პირობები, საზოგადოებას გავაცნოთ რაფიელ ერისთავის მეტ-ნაკლებად ღირებული პუბლიცისტური მემკვიდრეობა.

## მეთოდი

კვლევის პროცესში ჩვენ გამოვიყენეთ წყაროთმცოდნეობითი, ისტორიულ-კონტექსტუალური ანალიზი, დისკურსული, შინაარსობრივი, კომპარატიული და კრიტიკული მედია ანალიზი.

## მსჯელობა

XIX საუკუნის 40-იან წლებში ქართული პრესა ფაქტობრივად აღარ არსებობდა. რუსულ ენაზეც მხოლოდ ერთადერთი გაზეთი გამოდიოდა – *ამიერკავკასიის მაცნე* (*Закавказский Вестник*). 1846 წელს თბილისში დაარსდა ახალი რუსულენოვანი გაზეთი *Кавказъ* (1846-1918 წლები). სწორედ ამ გაზეთთან დაიწყო ახალგაზრდა რაფიელ ერისთავმა აქტიური თანამშრომლობა. გაზეთი *კავკაზი* იყო პირველი პერიოდული გამოცემა, რომელშიც შედგა მისი, როგორც პუბლიცისტისა და მეცნიერის ნათლობა.

1846 წელს გაზეთ *კავკაზის* № 25-სა და 26-ში დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის კორესპონდენციები – *წერილები კახეთიდან* (*Письма из Кахетии*), ხელმოწერით – *К.[нязь] Р. Эристов*. ეს იყო ეთნოგრაფიული შინაარსის მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევები, რომლებსაც პირადი წერილების ფორმა ჰქონდა.

რ. ერისთავის ეთნოგრაფიული ნაშრომის დაბეჭდვა მეტად ხელსაყრელი იყო გაზეთ *კავკაზისთვის*, რადგან, როგორც ცნობილია, ამ გამოცემის მიზანი იყო, შეძლებისდაგვარად გაეცნო რუსული საზოგადოებისთვის იმპერიას შემოერთებული ტერიტორიების მკვიდრ ხალხთა ყოფა-ცხოვრება და პირიქით – დაპყრობილი ხალხებისათვის უფრო ახლობელი და ასატანი გამხდარიყო რუსული ცხოვრების სტილი და მმართველობა.

*წერილების* ავტორი თავის მეგობარს აღუწერს კახეთის ყოფა-ცხოვრებას, მის გეოგრაფიულ თავისებურებებს, ხალხის ზნე-ჩვეულებებს და მათ გასაჭირს ლეკების გამუდმებული თავდასხმების გამო. კახელების დახასიათებისას რ. ერისთავი საუბრობს მათ საუკეთესო ადამიანურ თვისებებზე და არც კრიტიკულ გამოთქმებს ერიდება. წერილების ბოლოს, ღვინის დაწურვის

პროცესის ავტორისეულ აღწერაში, მკითხველი კარგად გრძნობს მშობლიური კუთხისადმი მის დიდ სიყვარულს:

*ხვალ ჩემთან მოვკრეფ ყურძენს. ვფიქრობ, რომ მისი კრეფის დრო ყველგან, სადაც კი ბუნებამ ამით გაალამაზა მიწა, არის წელიწადის საუკეთესო დრო და სასიამოვნო საქმე. რომ განახა, როგორ იწურება ყურძენი, მარტო ეს სანახაობა გაგამხიარულებდა. საწურებში, ქვის დიდ აუზებში, მევენახეები ფეხებით სრესენ ყურძნის მწიფე მტევნებს, აუზის მილებიდან სწრაფად გამოედინება შუშხუნა წვენი და სხვადასხვა მილებით ჩაედინება ქვევრებში. ასეთ წუთებში გგონია, თითქოს თვით ბახუსია იქ და გულუხვი ხელით ლოცავს მევენახეთა შრომას, სიუხვეზე იღიმება, და ყველანი მხიარულობენ, თითქოს საოჯახო ზეიმზე არიან. კაცები და ქალები სიმღერებით დაატარებენ ხილით სავსე კალათებს, სიცილი და ხუმრობა ახლავს შრომას, და ვერც კი იგრძნობ, როგორ დგება ღამე* (*Эристов,* 1846: 8).

აღნიშნული წერილების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს მომდევნო, 1847 წლის 8 თებერვალს (№ 6) დაბეჭდილი *წერილი მეგობარს* (*Письмо к другу*). რაფიელ ერისთავი, თითქოსდა, თელავიდან თბილისში უგზავნის თავის მეგობარს ამ წერილს და უამბობს, თუ როგორ განვითარდა თელავი. მეგობრის სახელი არც ამ წერილშია ნახსენები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მეგობრისადმი მიმართვა უფრო ლიტერატურული ხერხია. როგორც ჩანს, რ. ერისთავს ამ ფორმით სურდა მეტი დამაჯერებლობა შესძენოდა წერილში მის მიერ მოთხრობილ ამბებს. აღსანიშნავია, რომ ამ წერილს იქვე მოჰყვება თვით ანონიმი *მეგობრის* საპასუხო წერილი სათაურით *პასუხი მეგობარს თელავში* (*Ответ другу в Телави*). მასში *მეგობარი* რ. ერისთავს უამბობს, რომ თელავის მსგავსად განვითარდა თბილისი, ერევანი, ბაქო და სხვა ქალაქებიც.

როგორც აღვნიშნეთ, ეს კორესპონდენციები დაწერილია პირადი წერილის ფორმით და ორივე მათგანი ერთ მიზანს ემსახურება – აჩვენოს საზოგადოებას, თუ როგორ მკვიდრდება ახალი ცხოვრება ერთ დროს ჩამორჩენილ რეგიონში. მეგობრის საპასუხო წერილი ხელმოუწერელია. თუ გავითვალისწინებთ თხრობის სტილს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ავტორიც რაფიელ ერისთავია.

1847 წელს *კავკაზში* რაფიელ ერისთავის კიდევ ორი წერილი დაიბეჭდა: *ქართველების ქორწილი* (*Свадьба у грузин* – 1847, 5 апр., №14) და *ნადირობა ხოხბებზე კახეთში* (*Охота за фазанами в Кахетии* – 1847, 17 мая, № 20). ცხადია, კახეთში გაზრდილი მწერალი კარგად იცნობდა იქაურ წეს-ჩვეულებებს და აღწერილ მოვლენათა გადმოცემის დროს იგი ეყრდნობოდა ისტორიულ ცოდნასა და პირად გამოცდილებას. ყოველ წერილს ერთვის სქოლიო სიტყვათა განმარტებებით. რაფიელ ერისთავის თხრობის ენა არის სადა, თავისუფალი ზედმეტი დეტალებისაგან, რაც ეთნოგრაფიული წერილების კითხვას აადვილებს.

რ. ერისთავი 1847 წელს თუშ-ფშავ-ხევსურეთში თარჯიმნობდა. ამ ნაკლებად საინტერესო საქმიანობის პარალელურად, იგი დაკვირვებით ეცნობოდა მთიელთა ცხოვრებას და მნიშვნელოვან ჩანაწერებსაც აკეთებდა, რომლებსაც საბოლოოდ ერთიანი, ვრცელი ნაშრომის სახე მისცა და 1854 წელს გამოაქვეყნა *კავკაზში* სათაურით *ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ: მდებარეობა, ფართობი, საზღვრები, დაყოფა და მმართველობა* (*Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском округе: Положение, величина, границы, разделение и правление*). ამ ჩანაწერების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ მომდევნო წელს იგი დაიბეჭდა ჟურნალშიც – *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები* (*Записки кавказского отдела русского географического общества [ЗКОРГО]. Кн. III. – Тифлис, 1855*).

როგორც ცნობილია, რაფიელ ერისთავი 1855 წელს ქუთაისში გადაიყვანეს განსაკუთრებულ დავალებათა უფროს მოადგილედ. ხოლო 1857 წლიდან 1867 წლამდე იგი ზუგდიდის მაზრის უფროსად მუშაობდა და ხელმძღვანელობდა სამეგრელოში საგლეხო რეფორმის გატარებას. დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო მოხელედ მუშაობის პარალელურად, პოეტი ეცნობოდა, აღწერდა და პრესაში აქვეყნებდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ამსახველ მასალებს. თბილისიდან ქუთაისამდე მგზავრობა და იმერეთის გაცნობით შექმნილი შთაბეჭდილებანი რ. ერისთავმა აღწერა სტატიების სერიაში: *წერილები იმერეთიდან* (*Письма из Имеретии*), რომლებიც 1857 წელს *კავკაზში* ოთხი თვის (ივლის-ოქტომბრის) განმავლობაში ქვეყნდებოდა.



სახელმწიფო სამსახურში მყოფი რ. ერისთავისათვის საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოგზაურობა ცოდნის შევსებისა და ახალ-ახალ შთაბეჭდილებათა აღქმის საშუალება გახდა. *წერილები იმერეთიდან* ასე იწყება: *ბედი ბურთივით მათამაშებს, მომისვრის ხოლმე ერთი კუთხიდან მეორეში, კავკასიის ხეობიდან რომელიმე ჯურღმულსა და ქვაბულში. სამაგიეროდ, ეს ჯურღმულები, როგორც მრავალი საინტერესოს შემცველი, ჩემი გადატანილი წვალებისა გამო მასაჩუქრებენ მასალათა სიუხვით: სტატისტიკურით, ისტორიულითა და ეთნოგრაფიულით, რის შესახებაც მინდა გიამბოთ* (*Эристов,* 1857: 9).

რაფიელ ერისთავმა გაზეთ *კავკაზში* გამოაქვეყნა 20-ზე მეტი წერილი სხვადასხვა თემატიკაზე. მათი უმრავლესობა ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებია, რომლებშიც სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული ინფორმაციის გარდა უხვადაა გეოგრაფიული შინაარსის ცნობებიც.

რაფიელ ერისთავის წერილების და, მათ შორის, ეთნოგრაფიული წერილების მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ კონკრეტული კუთხეების მაცხოვრებელთა ზნე-ჩვეულებების პარალელურად ავტორი ხშირად ყურადღებას ამახვილებს მათ სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათ პრობლემებზე და ამ პრობლემათა გამომწვევ მიზეზებზე.

ასეთებია, მაგალითად, 1861 და 1862 წლებში იმავე *კავკაზში* გამოქვეყნებული წერილები: *ზუგდიდი. 28 სექტემბერი* (Зугдиди. 28-го сентября) და *სამეგრელოს სასოფლო-სამეურნეო ქრონიკა* (Сельско-хозяйственная хроника Мингрелии). პირველ წერილში ავტორი საუბრობს სამეგრელოს მოსახლეობის მძიმე ცხოვრებაზე, უამინდობისაგან განადგურებულ მოსავალზე, რომელსაც გამოუწვევია შიმშილი და ავადმყოფობები, გახშირებულა სიკვდილიანობაც. მეორე შემთხვევაში სათითაოდ და დაწვრილებით აღწერს სასოფლო პროდუქტების მოსავლიანობის მდგომარეობას, ეხება მათი რეალიზების გზებსა და სხვა მსგავს საკითხებს, რომლებიც სამეგრელოს მოსახლეობის ცხოვრების დონეს განაპირობებდა მოცემულ ეტაპზე.

ეთნოგრაფიულ წერილთა ასეთი თემატური მრავალფეროვნება, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა, ამ წერილებს პუბლიცისტური ჟანრის ელემენტებს მატებს.

მეორე რუსულენოვანი პერიოდული გამოცემა, რომელშიც რაფიელ ერისთავი აქვეყნებდა თავის სტატიებს, არის ზემოთ დასახელებული ჟურნალი ***Записки кавказского отдела русского географического общества.*** (*რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები.* 1852-1919.). *კავკაზისაგან* განსხვავებით, ეს გამოცემა დარგობრივი მიმართულების იყო, რაც განსაზღვრავდა კიდეც მის შინაარსს. სამეცნიერო დანიშნულების გარდა, ჟურნალს პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. მასში გამოქვეყნებულ მასალას ეცნობოდა სამეცნიერო საზოგადოებაც და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც, რათა სრული ინფორმაცია მიეღოთ იმპერიის შემადგენელი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებების შესახებ.

რაფიელ ერისთავმა, გარდა ზემოთ დასახელებული თხზულებისა *თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის* შესახებ, *გეოგრაფიული საზოგადოების ჩანაწერებში* 1897 წელს გამოაქვეყნა მეორე ეთნოგრაფიული ნარკვევი: *შენიშვნები სვანეთის შესახებ.* აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე მცირე ნარკვევების ბეჭდვა მან ჯერ გაზეთ *ნოვოე ობოზრენიეში* (*Новое обозрение*, 1896: №№ 4426, 4442,4457; 1897:№ 4555) დაიწყო. ჟურნალისთვის განკუთვნილი მასალა კი შინაარსით, სტრუქტურითა და მოცულობით ვრცელი სამეცნიერო ნაშრომია.

მრავალფეროვანი იყო რაფიელ ერისთავის ინტერესთა სფერო. საქართველოს ბუნება, მისი სასოფლო-სამეურნეო შესაძლებლობები, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება, განათლება და კულტურული განვითარება – ყოველივე ეს მას, როგორც სამშობლოს მოყვარულ ადამიანს, საკუთარი ზრუნვის საგნად მიაჩნდა. ამის გამოხატულებაა მისი აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში.

1872-1873 წლებში, თბილისში, გამოდიოდა რუსული ყოველთვიური ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული შინაარსის ჟურნალი ***Кавказская Старина*** *(კავკასიის სიძველენი)*. სულ გამოიცა ამ ჟურნალის *რვა ნომერი*, რომელთაგან 1873 წელს რამდენიმე ნომერში დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის ორი სტატია: *გლეხთა წოდების შესახებ სამეგრელოში (О крестьянскомъ сословии въ Мингрелии)* და *სამეგრელოში მოგზაურობის ჩანაწერები (Путевыя записки по Мингрелии)*. დასახელებული ნაშრომები მრავალ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს დასავლეთ საქართველოს ამ კუთხის შესახებ. ერთ შემთხვევაში ავტორი აღწერს სამეგრელოს მცხოვრებთა სოციალურ იერარქიას, თითოეული საფეხურზე მყოფთა უფლებრივი მდგომარეობის დახასიათებით. მეორე შემთხვევაში კი წერილი დაწერილია სამოგზაურო ჟანრისთვის დამახასიათებელი ფორმით, რომელშიც გადმოცემულია ამ კუთხის შესახებ არსებული გეოგრაფიული და ისტორიული ინფორმაცია. მთელი თხრობა ემოციური ტონითაა გაჟღენთილი, რაც ნაშრომებს შთამბეჭდავს ხდის.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დაინტერესებული იყო კავკასიის მკვიდრთა ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლით. სხვადასხვა ავტორები ადგილობრივ პრესაში აქვეყნებდნენ ეთნოგრაფიული ხასიათის სტატიებს, რომელთაგან ყველა ერთნაირი სამეცნიერო ღირებულებისა არ იყო. რაფიელ ერისთავის ნაშრომები მათგან გამოირჩეოდა გადმოცემული ინფორმაციის სიღრმითა და მოცულობით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩათ იმპერიის დედაქალაქში. 1854 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს, *ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ*, გამოხმაურება მოჰყვა სანკტ-პეტერბურგში გამომავალ ჟურნალ ***Современник***-*ში (სოვრემენნიკ)*. მისმა რედაქტორმა, *ნიკოლაი ჩერნიშევსკიმ*, ***ЗКОРГО***-ს *(Записки Кавказского отдела Русского географического общества)* მე-3 წიგნის (1855 წ.) მიმოხილვისას დიდი ყურადღება დაუთმო და მაღალი შეფასება მისცა რ. ერისთავის აღნიშნულ თხზულებას (Чернишевский**,** 1857**:** 7).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1855 წლის ლიტერატურულ ქმნილებათა შორის მონარქის ყურადღების ღირსად მიიჩნია და გამოყო ხუთი ნაწარმოები. მათ შორისაა რაფიელ ერისთავის ზემოთ დასახელებული სტატია *ჩანაწერები თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ (Императорская Академия наук,* 1857: 6*)*.

რ. ერისთავი ქართული ტრადიციების ასახვისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიზუსტეს. მისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობის გრძნობით ეპყრობოდა იგი სხვა ავტორების შრომებსაც და კრიტიკასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, ეთნოგრაფიულ თემასთან დაკავშირებით, გაზეთ *კავკაზის* (1854,№ 50) ფურცლებზე გაიმართა პოლემიკა *რაფიელ ერისთავსა* და *ნიკოლოზ ბერძნიშვილს* შორის *(Н. Берзенов)*. რ. ერისთავმა გააკრიტიკა ნ. ბერძნიშვილი, რადგან მის წერილში *ჭონა*, საშობაო რიტუალი, არასწორად აღწერილად მიიჩნია. ამას მოჰყვა საპასუხო წერილები როგორც *ნ. ბერძნიშვილის*, ასევე *ქართველი მწერალი ქალის* ფსევდონიმით გამოქვეყნებული ანონიმი ავტორისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი პუბლიკაციები რაფიელ ერისთავმა გამოაქვეყნა რუსულ პრესაში (გაზ. *კავკაზი* 1846 წ. და ა.შ.). 1852 წლიდან კი, როდესაც საქართველოში დაარსდა ქართული პერიოდული გამოცემა – ჟურნალი ***ცისკარი*** და შემდგომაც, ქართული პრესის განვითარების კვალდაკვალ, იგი მუდმივად თანამშრომლობდა ამ ჟურნალ-გაზეთებთან.

ლიტერატურის ნიმუშების გარდა, რომლებიც გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული ღირებულებით და იმთავითვე დაიმსახურეს ქართველი ხალხის ყურადღება და სიყვარული, რ. ერისთავი ქართულ პრესაში აქვეყნებდა წერილებს, რომლებიც შეეხებოდა ქართველი საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხებს.

რაფიელ ერისთავის ავტორიტეტი ბევრი გამოცემისათვის დიდი სტიმული იყო და ისიც არ იშურებდა თავის მადლიან სიტყვას. *იაკობ გოგებაშვილი* რ. ერისთავის შესახებ წერდა: *ამ ბოლო წლებში არც ერთი ხეირიანი ლიტერატურული გამოცემა არ დაარსებულა, რომ იგი თავის კალმით არ დახმარებოდეს* (*გოგებაშვილი*, 1881: 5). წლების განმავლობაში უაღრესად ნაყოფიერი



იყო რ. ერისთავის თანამშრომლობა ***დროებასთან, ივერიასთან, კრებულთან, მნათობთან, ნობათთან*** და სხვა პერიოდულ გამოცემებთან.

რ. ერისთავის ყურადღების მიღმა არც ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხები დარჩენილა. წერილში *რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს?* პოეტი ეხმიანება გორის სასულიერო სემინარიის დირექტორის, *სემიონოვის* მოსაზრებას, რომ სკოლებში საგნები საწყისი ეტაპიდანაც უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზე. მთავარ საბუთად, საკუთარი აზრის გასამყარებლად, სემიონოვი ასახელებს ტექნიკურ მეცნიერებათა ტერმინოლოგიის არარსებობას ქართულ ენაზე. რ. ერისთავი ამის საპასუხოდ წერდა: *თუ ბატ. სემიონოვი, ან სხვა ვინმე, იჭვნეულობს, რომ ქართველებს სახელწოდებანიც არ მოეპოებათო სასწავლებელი საგნებისა და მათში ხმარებულის სიტყვებისა: ნივთებისა, სხეულთა და სხვანი, – ამაში შემცდარნი ბრძანებულან. სწორედ ამაზედ მსურს უპასუხო იმ ბატონებს, რომელნიც ეჭვში არიან ქართული ენის ვითომც სიღარიბეში და მიზანიც ეს გახლავსთ ამ სტატიისა.* ***ქართული ენა დიახ მდიდარია*** (*ერისთავი*, 1880: 3).

ამის შემდეგ რ. ერისთავი მიმართავს წიაღსვლებს საქართველოს ისტორიულ წარსულსა და ქართული ენის ლექსიკოლოგიაში. იგი სათანადო საბუთების მოხმობით, მათ შორის ქართული და რუსული სიტყვების შედარებითი ანალიზის გამოყენებით, უდასტურებს სემიონოვს მისი მოსაზრების უსაფუძვლობას.

ვიღაც სემიონოვისა და მისთა მსგავსთა გამოხტომების საპასუხოდ ქართველმა საზოგადოებამ დაიწყო ზრუნვა ტექნიკური ტერმინოლოგიის შესაქმნელად და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, რ. ერისთავმაც მიიღო მონაწილეობა – იმუშავა ტერმინებზე და შემდეგ მიმართა *დროების* რედაქტორს თხოვნით, რომ სხვათა მიერ შემუშავებულ მათემატიკურ ტერმინებთან ერთად, მისი ნაშრომიც წარედგინა საზოგადოებისათვის შესაფასებლად: *უკეთესნი იქნებიან იგინი სხვებზე, თუ უმდარესნი, – ეს დაფასება ეკუთვნის საზოგადოებას და ზემოხსენებულს კრებას. ჩემი სურვილია მხოლოდ, რომ ეს სიაც დაიბეჭდოს შესადარებლად და მასზედ კრიტიკის წარმოსათქმელად, რადგან ყოველი პირადი თავის-მოყვარეობა საზოგადო საქმეში უადგილოა და რადგან საზოგადო საქმეა მხოლოდ პატივსადები ამ შემთხვევაშიაც* – აცხადებს თავმდაბლად რ. ერისთავი *(ერისთავი*, 1883:1).

რ. ერისთავს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ქართული კულტურის თითქმის არც ერთი სფერო. ერთი მხრივ, იგი აქვეყნებდა მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ნიმუშებს, მეორე მხრივ კი, ზრუნავდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-გადარჩენაზე. 1880 წლის 15 ნოემბერს *დროებაში* დაბეჭდილ წერილში, როგორც *ვეფხისტყაოსანის* ტექსტის დამდგენი საredაქციო კომიტეტის წევრი *იაკობ გოგებაშვილსა* და *იონა მეუნარგიასთან* ერთად, იგი მიმართავს საზოგადოებას ამ საქმეში თანადგომისა და თანამშრომლობის თხოვნით.

წერილში *ვახუშტის კარტა ანუ რუკა* (*დროება*, 1880:, № 221) იგი ვახუშტი ბაგრატიონის რუკის მნიშვნელობასა და მისი სრულად აღდგენის აუცილებლობაზე საუბრობს.

წერილში, *ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით* (*დროება*, 1883, 24 ნოემბ., №236) რ. ერისთავი გამოხატავს თავის სიხარულს *ფილიმონ ქორიძის* მიერ ქართულ გალობათა ნოტებზე გადატანის გამო. აქვე გამოთქვამს სურვილსა და რჩევას, რომ ფ. ქორიძემ გააფართოვოს თავისი საქმიანობა და მიიწვიოს საზანდრები, იმოგზაუროს სხვადასხვა კუთხეში და ნოტებზე გადაიღოს იქაური სიმღერებიც.

რჩევის გარდა, რ. ერისთავი ფ. ქორიძეს პრაქტიკულ დახმარებასაც სთავაზობს და წერილთან ერთად აქვეყნებს ქართული სიმღერების, მის მიერ შედგენილ, სხვადასხვა თემატიკის სიებს.

კულტურის საკითხების პარალელურად, რაფიელ ერისთავი ყურადღებას უთმობდა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობასაც. წერილში, *კახეთში გახლდით,* (*ერისთავი,* 1883:3) აღწერილია კახეთში გამეფებული სიღარიბე, რომლის მიზეზების გარკვევას ცდილობს ავტორი. ერთ-ერთ ასეთ მიზეზად იგი ასახელებს ცუდ გზებს, რაც ხელს უშლის ამ კუთხის ეკო-

ნომიკურ გაძლიერებას; უმთავრეს მიზეზად კი მიიჩნევს ღვინით მოვაჭრეების, სირაჯების, არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას კახელი მეღვინეებისადმი, რომლებიც მოტყუებითა და თაღლითური გზებით ახერხებენ ბევრად იაფად შეიძინონ კახური ღვინო. ამ ვითარებას თვალნათლივ აჩვენებს რ. ერისთავის წერილის ბოლოს დართული სცენა, რომელშიც აღწერილია სირაჯის მიერ კახელებისაგან ღვინის ყიდვა.

საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულ პოეტს მისი საქმიანობის შემფასებელ-კრიტიკოსებიც ბევრი ჰყავდა. რაფიელ ერისთავი ზოგჯერ, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი პოზიციის დასაცავად, პრესასაც მიმართავდა. თავის საპასუხო წერილებში, როგორც წესი, იგი უკომპრომისოა, თუკი იცის, რომ სიმართლე მის მხარესაა. ამის მაგალითია წერილი *პასუხად (უცნობ რეცენზენტს) გან-ჭარ-ხან-ძილს* (*დროება*, 1884: № 206), რომელიც *სულხან-საბა ორბელიანის* ლექსიკონის გამოცემასთან დაკავშირებით დაიწერა. ასეთივე პათოსითაა გამსჭვალული მისი პასუხები *გ. თუმანიშვილის* მიერ გამოთქმულ შენიშვნებზეც პიესა *ადვოკატები-ს* შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რაფიელ ერისთავის მკვეთრი რეაქცია *ევ. მჭედლიძის* მიერ *დროებაში* (1880: №№ 109, 111) გამოქვეყნებულ რეცენზიაზე, რომელიც რ. ერისთავის მიერ შედგენილ *გრამატიკის სახელმძღვანელოს* ეხება (*ღრამმატიკა: მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა*,1880). ვრცელ წერილში, *ევ. მჭ-ძეს (პასუხად)*, რომელიც დროების სამ ნომერში გრძელდება, პუბლიცისტი დეტალურად განიხილავს რეცენზენტის პრეტენზიებსა და მითითებულ ე.წ. ხარვეზებს. რ. ერისთავის პასუხები თითოეულ საკითხზე, უპირველესად, არის საქმიანი, ლოგიკური და ამავე დროს გაჯერებულია სარკაზმით. რ. ერისთავი არ მიიჩნევს საჭიროდ, შეინარჩუნოს თხრობის აკადემიური ტონი და დროდადრო დაცინვასაც არ ერიდება. წერილის ბოლო მონაკვეთში ქართულ ანდაზასაც იშველიებს: *ისეთმა ფურმა უნდა დამწიხლოს, რომ ჩემზედ მეტს იწველიდესო* (ერისთავი, 1880: 2).

რაფიელ ერისთავის, როგორც ქართულ კულტურაზე მზრუნველი მამულიშვილის კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშია მისი მოწოდება სრული *რუსულ-ქართული ლექსიკონის* შექმნისათვის ერთიანად დარაზმვისაკენ *(აზრი სრულის რუსულ-ქართულის ლექსიკონის შედგენის თაობაზედ.* (*ივერია*, 1888: № 144).

განათლებულ და მითუმეტეს, ლექსიკოლოგიაში მუშაობის გამოცდილების მქონე ადამიანს კარგად ესმოდა ასეთი ლექსიკონის შედგენის აუცილებლობა და ის სირთულეებიც, რაც ამ საქმესთან იქნებოდა დაკავშირებული. რ. ერისთავმა მოიფიქრა სქემა, რომლითაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ განათლებულ ადამიანებს შეეძლებოდათ ჩართულიყვნენ მუშაობის პროცესში და თავიანთი დიალექტით გაემდიდრებინათ ლექსიკონი, ბოლო ეტაპზე კი მცოდნეთა ჯგუფი საბოლოოდ დაამუშავებდა შეგროვებულ მასალას.

ამ ინიციატივას ქართველი საზოგადოება მოწონებით შეხვდა. *ალექსანდრე სარაჯიშვილი* რაფიელ ერისთავის ამ მიმართვასა და მის შედეგთან დაკავშირებით წერდა, რომ *ივერიის* რედაქციას ბევრი ადამიანისაგან მიუღია წერილები, რომლებშიც ისინი გამოთქვამდნენ სურვილსა და მზადყოფნას, ეშრომათ ლექსიკონის შესავსებად (*ივერია*, 1888: №152).

## დასკვნა

თუ განვაზოგადებთ რაფიელ ერისთავის კულტურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ მისი პუბლიცისტიკა პირობითად ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ: *პირველი პერიოდი* – თანამშრომლობა რუსულ პრესასთან და *მეორე პერიოდი* – თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან.

რუსულ პრესაში მწერალი ძირითადად აქვეყნებდა ეთნოგრაფიული შინაარსის ნაშრომებს, რომლებშიც სამეცნიერო-ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, ჩართული იყო პუბლიცისტიკის ჟანრისათვის დამახასიათებელი ელემენტები:



ინფორმაცია მოცემული კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

მოსახლეობის პრობლემებისა და მათი გამომწვევი მიზეზების წარმოჩენა;

ეთნოგრაფიული ინფორმაციის ემოციური აღწერა, პირადი ინტერესებისა და განცდების გამოტანა საზოგადოების წინაშე.

რაფიელ ერისთავის პუბლიცისტური მოღვაწეობის მეორე ეტაპი დაკავშირებული იყო ქართული პრესის წარმოშობა-განვითარების პერიოდთან. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებული ქართული ჟურნალ-გაზეთების საშუალებით მას მეტი სივრცე მიეცა საკუთარი მსოფლმხედველობრივი დიაპაზონის გამოსავლენად. რაფიელ ერისთავი აქვეყნებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის წერილებს, რომლებიც ეხებოდა ქართული კულტურისა და, ზოგადად, ქართველი ხალხის ცხოვრების აქტუალურ საკითხებს.

ჩვენი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რაფიელ ერისთავი ქართული ჟურნალისტიკის ადრეული ეტაპის ერთ-ერთ გამორჩეულ და მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს. მისმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული პრესის ფორმირებასა და განვითარებაში.

## ბიბლიოგრაფია


ერისთავი, რ. (1883). ბ. რედაქტორო! გაზ. *დროება*. №251.

ერისთავი, რ. (1880). ევ. მჭ-ძეს: (პასუხად). გაზ. *დროება*. №№138;140;141

ერისთავი, რ. (1883) კახეთში გახლდით. გაზ. *დროება*. №122.

ერისთავი, რ. (1880). რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს? გაზ. *დროება*, №212.

ი.ს. [გოგებაშვილი, ი.] (1881). ახალი წიგნები. იგავ-არაკნი. ჟურ. *ივერია*. №12.

Императорская Академия наук (1857). გაზ. *Кавказ*. 22 дек., №100. – (Особое прибавление к №100 газеты) *Кавказъ* 1857 года.

[Чернишевский, Н.](1856). *Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества*. Книжка III. Изд. Под ред. Вердеревского. Тифлис. 1855. Жур. *Современник*. Том LVI [56]. СПб

Эристов, Р. (1846) Письма из Кахетии. გაზ. *Кавказъ*. №26.

Эристов, Р. (1857) Письма из Имеретии. გაზ. *Кавказъ*. №52.



*მაია მიქაბერიძე*
საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის საარქივო ფონდის განყოფილების უფროსი.

*Maia Miqaberidze*
Head of the Department of the Georgian National Bibliographic Archive Fund.
ORCID-ID: 0009-0008-3133-275X

# КАВКАЗСКАЯ СТАРИНА

ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ

ИСТОРИЧЕСКІЙ, АРХЕОЛОГИЧЕСКІЙ, ЭТНОГРАФИЧЕСКІЙ И БИБЛІОГРАФИЧЕСКІЙ.

ГОДЪ I

Январь № 3-й 1873

Подъ редакціею А. Д. Ерицова.

ТИФЛИСЪ.
Типографія главнаго управленія намѣстника кавказскаго
1873.



## IV.

### Путевыя записки по Мингреліи *).

### *I. Отъ Анакліи до м. Зугдиды.*

У впаденія р. Ингура [1]) стоитъ небольшое мѣстечко Анаклія [2]). Оно никогда не играло значительной роли, хотя и было извѣстно древнимъ. Я полагаю, что въ двухъ верстахъ отсюда, на правомъ берегу р. Ингура, вверхъ, гдѣ нынѣ с. Ганарджіасъ-мухури, была одна изъ существовавшихъ, на восточномъ берегу Чернаго моря, греческихъ колоній. Въ этомъ убѣждаютъ меня курганы, находимые въ лѣсахъ, обломки старыхъ кирпичей и другіе признаки бывшаго населенія.

Въ одномъ изъ кургановъ былъ найденъ здѣшними азнаурами Чхоларіевыми довольно большой мѣдный колоколъ. Послѣ того, въ 1859 году, я, съ графомъ де Розмордюкомъ велѣли разрыть одинъ курганъ и нашли въ немъ могилу съ глинянымъ кувшиномъ у ногъ и съ глиняною небольшою урною или слезницею у изголовья. Нами при рытіи найдены также небольшіе мѣдные крестики, которые и были отправлены мною тогда-же въ тифлисскій музеумъ. Послѣ того раскопокъ мы не производили, тѣмъ болѣе, что и первая попытка моя была изъ простого любопытства, а не съ археологическою цѣлью. Да и благоразуміе требовало не увлекаться подобными изысканіями, чтобы недокопаться до какой-нибудь чумной могилы, или общей для чумныхъ ямы; а это могло случиться легко, потому что чума свирѣпствовала въ Мингреліи еще не такъ давно (съ 1811 по 1813 г.).

При рытіи кургана меня удивило не открытіе ничтожныхъ вещей, а смѣсь признаковъ временъ до-христіанскихъ съ христіанскими. Но это объясняю тѣмъ, что вещи въ курганѣ и въ насыпи на немъ могли быть разныхъ временъ и вѣроятно относились къ эпохамъ, предшествовавшимъ разнымъ опустошительнымъ нашествіямъ.

*) Писаны въ 1867 году.

[1]) Энгуръ ენგური, ეგური, древняя Riocharis, Sigania, Singames.

[2]) Древняя Гераклея.

Въ Анакліи, на лѣвомъ берегу р. Ингура, въ 200 саженяхъ отъ моря, существуетъ старая крѣпостца съ башнями, построенная турками въ 1703 году. Съ сѣверо-западной стороны стѣна крѣпости уже обвалилась въ рѣку, которая съ каждымъ годомъ напираетъ къ мѣстечку и грозитъ снести какъ самую Анаклію, такъ и единственную въ этой части дорогу на Редутъ-Кале и Поти.

До 1800 года, здѣсь еще держались турки и тутъ-же былъ притонъ всевозможныхъ плѣнопродавцевъ. Послѣ того крѣпостію силою завладѣлъ абхазскій владѣтель Келешъ-Ахметъ-Бекъ, но когда умеръ Григорій Дадіанъ и дѣйствительный статскій совѣтникъ Литвиновъ требовалъ отъ Келешъ-Бека возвращенія наслѣдника Мингреліи 10-лѣтняго Левана, находившагося заложникомъ за какой-то долгъ отца, и когда Келешъ-Бекъ отвѣтилъ уклончиво, то иначе нельзя было достичь цѣли какъ взятіемъ крѣпости въ Анаклія, что и было выполнено командиромъ Бѣлевскаго полка генералъ-маіоромъ Рыкгофомъ. Крѣпость была взята въ теченіи трехъ часовъ [3]).

[3]) Изъ грузинской рукописи очевидца. Между тѣмъ у Н. Дубровина мы находимъ, что въ Анакліи стоялъ тогда турецкій гарнизонъ (вѣроятно вмѣстѣ съ Абхазскимъ) и что князь Циціановъ велѣлъ возвратить крѣпость, боясь столкновенія съ портою. Молодой-же владѣтель былъ возвращенъ Келешъ-Бекомъ добровольно, послѣ переговоровъ Литвинова съ присланнымъ, по поводу взятія Анаклія турецкимъ чиновникомъ Сеид-Ахмед-Эриб-эфендіемъ *).

*) Не считаемъ лишнимъ привести здѣсь краткій историческій очеркъ объ Анаклія, составленный нижепоименованными лицами по запросу кн. Циціанова отъ 30 сентября 1804 г. за № 396. «Анаклія построена предками Дадіани и служила пристанью древнимъ Дадіанамъ, какъ повѣствуетъ намъ и грамота ихъ, но по перемѣнчивости обстоятельствъ оставалась впустѣ. Во время-же возстанія Имеретіи и Одиша Келешъ-бекъ возымѣлъ смѣлость и поставилъ тамъ человѣка, укрѣпивъ ее для себя. Затѣмъ Каціа Дадіани, усмиривъ Имеретію, собралъ Одишское и Лечгумское войско и, подступивъ къ Анаклія, взялъ ее и овладѣлъ свою собственностію, а стражемъ ея опредѣ-



№ 122. 26 ივნისი, ქვირა. 1866—1883 26 ივნისი, ქვირა. № 122.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განსახადებისა

«დროების» ფასი

# ტელეგრამები

## „დროებაზედ"

ნახევარ წლით პირველის იანვრიდამდე წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

იენისის პირველის რიცხვების ნომრები რედაქციაში აღარ არის.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჯილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქროვის თამბაქოს მაღაზიაში,


გორში, სახოგადოების დუქანში, აბანოს თუთვეყთან.

ხქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ცენტრალურის სააგენტოსი.»)

ლონდონი, 24 თებერვალს. ზოგიერთი გუბერნიების შეუძლებელი მდგომარეობის გამო, ინგლისის პარლამენტის ორივე პალატაში ბრძანდებიან ლორდები და წევრები, რომელნიც ეხებიან ირლანდიის საქმეებს. ამ ორ პალატაში ბევრი ლაპარაკი იყო ირლანდიის შესახებ. ლორდ დერბის ნათქვამით, ირლანდიის ნახევარი მოსახლეობა ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც ხშირად შიმშილობა ხდება. ამ ნახევარ მოსახლეობაში ბევრი ისეთი ადგილია, სადაც ხშირად ხდება ხოლერიანი ავადმყოფობა. ამ ადგილებში ხალხი ცხოვრობს ისეთ ქოხებში, სადაც ადამიანის ცხოვრება ძნელია



2 „ᲓᲐᲠᲘᲔᲑᲐ“ № 212 1880 წ.

აღილად დასახელონ თავიანთებური სახელწოდებითაც.

Ბევრი სიტყვები მოიპოება უცხო ქვეყნისა რუსულს ენაში შემოტანილი, რომლების სახელწოდება ქართველებს სასესხებლათ არ გაჰხდომიათ და არც გაუხდებიათ. მაგალითათ: **абажуръ**—ტრო, **никникъ**—არიფანა, **муфта**—ქუდი, **ветеринаръ**—ბაეტარი.—**პეტარი**, **киттель**—ბიალონე, **фартукъ**—არდაგი, **бухгалтеръ**—იკანელი, **биржа**—ბარკანი, **такса**—ნიხრი, **характеръ**—ნიშატი, **оркестръ**—ნოაგი, სახიობა, **амфибія**—ორჩხოელი, **лингвистъ**—სადური, **этажъ**—სართული, ქორი, **мозаика**—სახოთი და სხვანი მრავალნი.

ზედით მოეხსენება, რომ სემიონოვისაგან საეკვო ხსენებული წიგნები ზოგი გვაქვს და ზოგი გვქონია-თქო, რომლის დამტკიცებას ეიფუძნებდით ქართულს ლექსიკონში და სხვა და სხვა წიგნებში მოხსენებულის სიტყვებით.

**ა ნიშნები:**

**Астрономія ფიზიკას და სიმუნჯობა** (ასტრონომიის) დეკორაციებიდგან:

**Карта**—რუკა, **островъ**—უსტიქა, კუნძული, თარო, თალქა. თალკე, ზერთოვის, **мысъ**—კონცხი, **проливъ**—სრუტი, **заливъ**—უმე, ყურე. **созвѣздіе**—ვარსკლავ-კრებული, **горизонтъ**—კრტრო., **пожаръ степной**—ხანძარი, **небесныя явленія**—ცისიერი, **горизонтъ неба**—ორანო, **пещера**—ამქაფუთი, **отмель**—თავ-თხელი, **орбита**—მეღტარო, **аэролитъ**—მეღგარი, **времена года**—ჯგუფი, არე **стихіи**—ახო, **метеоръ**—ვარსკლავ-მორბედი, **тропикъ-рака**—ივლიანე, **солнечный путь**—მარიოტა, **сѣверъ**—ნოტა, **югъ**—ოხოტა, **равноденствіе**—ბეურიობა, **радуга**—ცისშვილდე, ირისე **звѣзда вѣтровъ**—ვარსკლავი ქარისა *) და სხვანი მრავალნი.

**Названіе планетъ — Орбита планетъ**

მზე—**Ахъ̀ломела—солнце.**
მთვარე—**Мирано—луна.**
არეს—**Цимцимела—марсъ.**
ᲛᲔᲠᲘᲐ—**Церцванэ—меркурій.**
ზევსი—**Комумела—юпитеръ.**
**Аворкедеро мелтъэра венера.**
ᲥᲠᲝᲜᲘᲡ ᲐᲚᲐᲑᲐᲡᲢᲠᲝ **сатурнъ.**
ბურჯი, ანუ **Чкадоцѣна. Зодіакъ.**
**Перери овенъ.**
**Ахоро телецъ.**
**Мархвіери близнецы.**
**Хирхвіани ракъ.**
**Лемпи левъ.**
**Жалеული дѣва.**
**Ხაწორი вѣсы.**
**Ღრიანკელი скорпіонъ.**
**მშვილდოსანი стрѣлецъ.**
**Ობოს რქა козерогъ.**

*) ქარის ვარსკლავს 32 სახელწოდება აქვს ქართველთაგან, როგორც ევროპელებისას.—ასეთივ სამ ორმოცდა ექვსამეულში—ქარი.

მერწყულ **водолей.**
**Თევზი рыба.**

Ამას გარდა არიან მრავალნი ვარსკვლავები ყოველი კაცისათვის თვალსაჩინონი: **Მადგარი**, ძონდოო, **Ჭვარი**, **Ამაკრისა**, **ძალლი-ეარსკვლავი**, **წოგარი**, **ხარაბარია** და სხვანი მრავალნი.

2) **ჯიოშტეგებან და გომეტრიაღგან** ბევრი — 10,000, ბევრის ბევრი — 100,000, უშქარი—1,000,000, უმტი—10,000,000, უმტის უმტი—100,000,000; გვერდი, სამკუთხა—**треугольникъ**, სწორგვერდა—**равносторонній треугольникъ**, წვეული—**равнобедренный треугольникъ**, კიბისგვარი — **разносторонній треугольникъ**, ქიმათა—**паралельный**, კარაკონი—**циркуль**, ოდრიკალი—**дуга**, ოწინარი—**рычагъ** და სხვანი.

3) **Სჩოშა და სწეჭა.—Метрологія.**

**Გრიცი—мѣра сыпучихъ тѣлъ**, დანგი—3 **карата**, ზუზა—1¹/₂ **драхмы**, ალაგი—**миля**, ეკი—3 **мили**, კუდი—**листъ**, კაბალონი—**полъ листа**, გვერდი—**страница**, რუში—¹/₁₀, შაბათისგზა—**тысяча шаговъ**, მარჩილი—60 **коп.** და სხვანი მრავალნი, რომლებიც აქ ვერ დაეწერე, რადგან სტატია ვერ შეიწყარებდა სიმრავლის გამო, ამიტომ რომ, ჩემი ხელ-ნაწერი, საზომ-საწყაოს სახელები შეიდგენს ᲐᲡᲘᲡ თაბახს..

Აქ მთლიად იმის დაყრძენ, რომ ქართველებს აქვთ საათის მსელელობის რაყვების სახელები, რომლის მცავსი იქნება ბევრს სხვა რუსულს ხალხსაც არა ჰქონდესთ. მაგალითებრ: საათს, ანუ ქამსა აქვს—ოთხი წუთიანი ანგა, საყე, ნაქუსი **мачта.**
ბაგირი **канатъ.**
ძელი **поперечная жердь, къ которому привѣшиваютъ паруса**
Ზრომანი, გემი **корабль.**
Ბატარღა **военный корабль.**
Ქობანო **судно.**
Ზარბუნა **кочерма.**
Ხომირო **паузокъ.**
ნუშა **яликъ.**
Ოლენჭკარდარი **ладья.**
Ოჩრჩხომელი **кашъ.**
Ოკრჩხომელი **барка.**
Ბატარღა **судно** და სხვანი მრავალნი რიგით როგორათაც: კარაბა, ზარბუნა, კარჩხაა, ხომალდი,—
Ხტოლი **эскадра.**—
Ფაკეტი **пассажиръ.**—
Ნაცი-მეუფრასეო სახელწოდებანი იყვენენ: ნავ-ა — **судостроитель**, მეთაური—**адмиралъ**, მპირველობნი—**лейтенантъ**, ნაეკოსლარი—**капитанъ**, ნაეტური—**шкиперъ**, კომიტი (ცის მზომელობით ნავთ მაყვანებელი) და სხვანი.

**Სამხედრო და სამშვიდო. Военные и боевые.**

Ბატერეა, ფლასკონა, — **траншея**, ზარბაზნები—**блокада**, ზამბულაკი—**фальконетъ**, ფილთამები, ქვემეხი—**мортира**, ფილაკანი — **бомбарда**, ზარბაზანი—**орудіе**, შილინდი—**салютація**, დარაი—**флангъ**, აღლუმი **смотръ войскамъ**, დენთი—**порохъ**, მეციხოვნე — **гарнизонъ**. ასპარი — ნიგადი — **вспомогательное войско**, შაეცეცხლა — **бомба**, გუნდი — 6-ტ. **войско**, დროშა—**знамя**, ხალი **перемиріе**, კომპანიანი—**полководецъ** და სხვანი მრავალნი.

ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲜᲝ ᲗᲝᲛᲣᲜ-ᲘᲐᲠᲝᲚᲘᲜᲔ: ხმალი, ისარი, ჩაჩანი, ჩიფხუტი, ჩამალახი და სხვანი და სხვანი.

Ოვითოეულის ამთავანის სახელწოდებათა ლექსიკონი გამოვა 3—6 თაბახამდის და გარდა ამისა, მე მაქვს ახლათ შედგენილი ლექსიკონები: მცენარეთა, ცხოველთა და ლილოთინთა, რომლებიც შედგებენ: ლილოთინთა ლექსიკონი—**შკადს** თაბახს, ცხოველთა—**ოდგადას** თაბახს და მცენარეთა—**ოთხმაგიშკას.**

მე ასეც ვგონებ, რომ ბუნების ისტორიისათის, თუ რუსულმა ენამ არ იხმარა ლათინური სიტყვები, ვერას მოაბრუნებს და ქართულს კი არ გაუჭირდება. — მოქცთ მაგალითათ: ურბი, ლაფანი, სხვა და სხვა რიგი ხილი, სხვა-და-სხვა გვარი ყურძენი,—ამაგების სახელები არ არის რუსულში.—ამ ხუთი წლის წინათ ცხამხში არც კი იცოდნენ რა იყო და მეჯვედასა დაარქვეს.—1858 წელში ერთ რიგს სურას მეთაიჩეში მყოფმა რევერმა დაარქვა—**რაგნერა** და ეხლა ამ სახელსა ხმარობენ. ბევრი ისეთი მცენარეებიც არის ჩვენს ქვეყანაში, რომ ჯერ ბუნების მეცნიერთაც არ უწოდებიათ სახელები და ჩვენ კი ახსებობენ, რაგორათაც: თ. ბალახი, ქრთილა, ადრეული, ალილეჩა, ამუნა, ანწახლა, ბეგნა, გარდმირდა, გოშხცხეირა, დულუმმო და სხვანი მრავალნი.

მაშ ისე ისა სჯობია, რომ ბ. სემიონოვი ამ გვარებში კი არ გვეჯიბრებოდეს და ნაწნს არ გვეკებდეს; არამედ მიჰყვეს იმ აზრს, რასაც თვით პედაგოგი მოითხოვს და როცა ჩვენ სახელმძღვანელო წიგნების უკანასკნელთით შეეგებოლოთ ცნება და მოსწავლენი, მაშინ (რული ენა ექნება აღმოუხრას ქართული ენა, რაგორათაც ეხლა მარტო ამის სურელს აცხადებს თავის ახრში.

ი. რაფავა ერისთავი.
5 ოქტომბერს.

## ᲗᲔᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲐᲓᲕᲘᲡ ᲡᲮᲔᲓᲝᲑᲐ

6 ოქტომბერს.

სხდომას დაესწრნენ 25 ხვისანნი.

Მოსმენილ იქმარის აღგილი უჩინარეს ᲐᲐ. ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲕᲡ.

სხდომის გახსნის დროს ბატ. მიმინოვმა წაიკითხა ტელეგრამმები, რომლებიც იმას გაუგზავნია, ძალაქის სახელოსნო სასწავლებლისა და პირველ დაწყებითი სკოლის გამრთველ გამო, დიდ მთავარ ნამესტნიკთან, თ. ᲘᲚᲘ. ᲓᲐᲠᲐᲒᲐᲜᲘᲡᲙᲘ ქერივთან, თ. ᲘᲚᲘ. Ო. Მუშკოვთან და იმათი პასუხი იმ ტელეგრამებზე. რჩევამ დაადგინა გამოეცხადის მადლობა სკოლის გამა-



# რაფიელ ერისთავი ოსმალოს საქართველოს შესახებ

*ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა ...*

*ილია ჭავჭავაძე*

## აბსტრაქტი

რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცული დოკუმენტური მასალა, თუ მისი *ოსმალოს საქართველოსადმი* მიძღვნილი პუბლიკაციები, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, *სამუსლიმანო საქართველოს* ეროვნულ სივრცეში დასაბრუნებლად, ამ პერიოდში წამოწყებულ საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობის დიდ ეროვნულ მნიშვნელობას.

რაფიელ ერისთავი, როგორც მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ამ მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. მისი წერილები, ფელეტონები, ლექსები და ეთნოგრაფიული ჩანაწერები, *სამუსლიმანო საქართველოს* დაბრუნებასა და დაბრუნების შემდგომ *სამუსლიმანო საქართველოში* ქართული იდენტობის, ენისა და კულტურის რეანიმაციას ემსახურება. მწერალს ქართული ენისა და წერა-კითხვის ცოდნა, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების უმთავრეს პირობად მიაჩნია. ეს განწყობა ნათლად გამოიკვეთა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას. მნიშვნელოვანია რაფიელ ერისთავის ძალისხმევა *სამუსლიმანო საქართველოში* განათლების გავრცელებისა და სკოლების დაარსების საქმეში.

რ. ერისთავის *დროება*-ში გამოქვეყნებულ ოსმალოს საქართველოსთან დაკავშირებულ პუბლიკაციაში მკაფიოდ იკვეთება აზრი, რომ *ენა, კულტურა, ტრადიცია* და *საერთო ისტორიული მეხსიერება* დაკარგულის, ქართულ, ისტორიულ წიაღში დაუბრუნების საფუძველია. ამ საკითხის მიმართ, მისმა პუბლიცისტურმა საქმიანობამ, მისივე თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებული, რაფიელ ერისთავის არქივში დაცული ხელნაწერების ფრაგმენტული მონაცემები თუ მისი პუბლიკაციები მნიშვნელოვანი მასალაა *სამუსლიმანო საქართველოს ისტორიის* კვლევისათვის. განსაკუთრებული ინფორმაციის მატარებელია ამ საკითხთან დაკავშირებით არსე-

ბული მისი პუბლიკაციები.

ჩვენი ნაშრომის მთავარი მიზანია, რაფიელ ერისთავისეული *სამუსლიმანო საქართველოს (აჭარა, ტაო-კლარჯეთი, სამცხე)* შესახებ არსებული მასალების და მონაცემების თავმოყრა, ამ მასალების გაანალიზება-კვლევა, ისტორიულ კონტექსტში გააზრება და მაჰმადიანი ქართველების, ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გაღრმავებაში რ. ერისთავის როლის განსაზღვრა. ასევე, რაფიელ ერისთავის *სამუსლიმანო საქართველოს შესახებ* არსებული პუბლიკაციების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა-გააქტიურება.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; სამუსლიმანო საქართველო; ოსმალოს საქართველო; ოსმალეთი; მეფის რუსეთი; ტაო-კლარჯეთი.

## RAPHIEL ERISTAVI ABOUT OTTOMAN GEORGIA

## ABSTRACT

The documentary materials preserved in Raphiel Eristavi's personal archive, along with his publications on Ottoman Georgia, further highlight the profound national significance of the socio-cultural movement of that period aimed at reintegrating *Muslim Georgia* into the national space.

Raphiel Eristavi, as a writer, publicist, and public figure, was one of the prominent representatives of this movement. His essays, feuilletons, poems, and ethnographic notes were all aimed at both the return of *Muslim Georgia* and the revival of Georgian identity, language, and culture in the region after its reintegration. The writer regarded the knowledge of the Georgian language and literacy as the primary condition for deepening national self-awareness. This attitude was clearly expressed in his speech at a meeting of the Society for the Spreading of Literacy among Georgians.

Raphiel Eristavi's efforts in promoting education and establishing schools in *Muslim Georgia* are particularly noteworthy. His writings on Ottoman Georgia clearly convey the belief that language, culture, tradition, and collective historical memory form the foundation for restoring these lost regions to their Georgian historical roots. In this regard, his work as a publicist played an important role in shaping contemporary public opinion and advancing the development of national and state consciousness.

The fragmented manuscript materials preserved in Eristavi's archive, as well as his published writings, are significant sources for the study of the history of Muslim Georgia. His published works on the subject are of particular informational value.

The primary aim of this paper is to collect, analyze, and contextualize materials related to Muslim Georgia (Adjara, Tao-Klarjeti, Samtskhe) from Raphiel Eristavi's perspective and to determine his role in strengthening the national and civic self-awareness of Muslim Georgians. Furthermore, it aims to bring the writer's publications on *Muslim Georgia* into academic circulation and enhance their scholarly relevance.

**Keywords:** Raphiel Eristavi, muslim Georgia, Ottoman Georgia, Ottoman Empire, Tsarist Russia, Tao-Klarjeti





## შესავალი

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ოსმალეთის მარცხის შემდეგ აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გათავისუფლება საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა იმედი და მოლოდინი, რომ სამუსლიმანო საქართველო ქართულ სივრცეს დაუბრუნდებოდა. ამ პერიოდის ქართველ საზოგადო მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ინტეგრირების პროცესში ისტორიის, ენისა და ეროვნული თვითშეგნების მნიშვნელობა. მთელი საზოგადოებრივი ძალისხმევა მაჰმადიან ქართველებში ეროვნული იდენტობის გაცნობიერება-გაძლიერებისაკენ იყო მიმართული.

სტატიის მიზანია აჭარაში, ტაო-კლარჯეთსა და სამცხეში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველობის ქართულ სივრცეში ინტეგრირების პროცესში, ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, რაფიელ ერისთავის ხედვის, როლისა და შემოქმედების გათვალისწინება. ქართულ ისტორიოგრაფიაში რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობა, ამ თვალსაზრისით, საგანგებოდ განხილული დღემდე არ ყოფილა. ამ მიზნით, ჩვენ თავი მოვუყარეთ *ოსმალურ საქართველოსთან* დაკავშირებულ მწერლის კუთვნილ ყველა ცნობას თუ პუბლიკაციას და სამეცნიერო ბრუნვაში გასააქტიურებლად, როგორც პირველწყაროს, ხელახლა ვაქვეყნებთ.

## კვლევის მეთოდი

კვლევის დროს გამოვიყენეთ წყაროთმცოდნეობაზე დაფუძნებული კონტექსტუალური კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებით შევეცადეთ წყაროზე დაყრნობით ისტორიულ და საზოგადოებრივ კონტექსტში დაგვენახა წყაროს მიზანი და მნიშვნელობა. რაფიელ ერისთავის ოსმალოს საქართველოსთან დაკავშირებული პუბლიცისტიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა მისი ადგილი და წვლილი ეროვნულ მოძრაობაში. *გამოვიყენეთ* თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კაბინეტური მეთოდი. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დახმარებით, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ოსმალოს საქართველოსთან დაკავშირებული რაფიელ ერისთავის შემოქმედება. როგორც საარქივო მასალის, ასევე პრესაში გამოქვეყნებული წერილების შეჯერების საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა რაფიელ ერისთავის როლი იმდროინდელი ქართული საზოგადოების სამუსლიმანო საქართველოს მიმართ დამოკიდებულების, პრიორიტეტების ფორმირებისა და ინტეგრაციის პროცესში.

## კვლევის შედეგი

- თავი მოვუყარეთ და ვაქვეყნებთ რაფიელ ერისთავის მასალებს როგორც წყაროს *ოსმალოს საქართველოს* შესახებ, რაც მომავალში ქართულ ისტორიოგრაფიაში გათვალისწინებული იქნება საკითხის კვლევისას;
- წყაროების კვლევისა და გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ რ. ერისთავი ერთ-ერთი პირველია ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან, ვინც ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხით დაინტერესდა. აღნიშნულის დასტურია მისი, XIX საუკუნის 50-იანი წლების *Кавказъ*-ში გამოქვეყნებული, *ოსმალოს საქართველოსთან დაკავშირებული* სტატიები;
- რაფიელ ერისთავის პუბლიკაციები ემსახურება საერთო ეროვნულ მიზანს – ქართული კულტურული და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას, ასევე *ოსმალოს საქართველოს* ერთიანი საქართველოს ისტორიულ და კულტურულ სივრცით კონტექსტში გააზრებას;
- ეროვნული იდენტობის აღდგენის პროცესში განათლება საკვანძო იარაღად იქცა. ამ კონტექსტში რაფიელ ერისთავი სკოლების მნიშვნელობასა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისა და

განმტკიცების მთავარ ინსტრუმენტად მიიჩნევდა;

- ამ პერიოდის პუბლიცისტიკა ცხადყოფს, რომ ქართული ინტელიგენცია სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის განწყობის შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა;
- რ. ერისთავის პუბლიკაციები, მიუხედავად ლიტერატურულ-მხატვრული ჟანრისა, როგორც პირველადი წყარო, საინტერესოა და მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. აღნიშნული წყაროების სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანა დაინტერესებულ მკვლევრებს შესაძლებლობას აძლევს ფართო რაკურსით დაინახონ, შეაფასონ და დასკვნა გამოტანონ იმ პერიოდის მოვლენებთან მიმართებაში.

## მსჯელობა

1877 წელს მეფის რუსეთსა და ოსმალეთს შორის ისევ გაჩაღდა ომი, რომელშიც მეფის რუსეთმა მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. ომის დასრულების შემდეგ, სან-სტეფანოს ზავით და შემდეგ, ბერლინის კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, მეფის რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა ყარსი, არტაანი, აჭარა, ოლთისი. *ოსმალოს საქართველოს* XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი მოღვაწეები იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობენ. აღნიშნულის აქტუალობას მოწმობს მათი ამ პრობლემის თაობაზე გამოქვეყნებული წერილები და ამ მიმართულებით მათი აქტივობები, ქართული საზოგადოების ინტერესის გაღვივება აღნიშნული რეგიონების მიმართ. საზღვრებს მიღმა მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების შესახებ ახალი ინფორმაცია ქართველი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში განსაკუთრებული ინტერესი იღვიძებს რეგიონის მიმართ. ნელ-ნელა მკვიდრდება ტერმინი *ოსმალეთის/ თურქეთის საქართველო.*

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძემ საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით იმოგზაურა აჭარის რეგიონში. თავის ნაშრომში – *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში* – გარდა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებისა, აჭარის სამეურნეო საქმიანობის შესახებ ცნობებსაც გვაწვდის. 1877 წელს გაზეთ ივერიის ფურცლებზე გამოქვეყნდა მისი ორი სტატია *ოსმალოს საქართველო ანუ მესხეთი.* (*ივერია*, №№10,11.1877). სადაც ის წერს, რომ მიუხედავად ოსმალოთა ბატონობისა, იქაურ ქართველთ არ დავიწყებიათ არც სჯული და არც ზნე-ჩვეულებები. *ისინი თითქმის არ განსხვავდებიან ჩვენში არც ხასიათით, არც ზნეობით და არც ჩვეულებით და არც შინაურის ყოფა ცხოვრებით* წერს ავტორი (*ივერია*, №11.1877). ახალი ინფორმაცია საზღვრებს მიღმა მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების შესახებ, რომელიც მანამდე ქართველი საზოგადოებისთვის მიუწვდომელი იყო, რაოდენ საინტერესო და სასიხარულო იყო, წარმოდგენა რთული არ არის. რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში განსაკუთრებული ინტერესი იღვიძებს რეგიონის მიმართ. ნელ-ნელა მკვიდრდება ტერმინი ოსმალეთის/ თურქეთის საქართველო.

1870-იან წლებში გაზეთ *დროების* ფურცლებზეც აქტიურად იბეჭდებოდა სამუსლიმანო საქართველოს შესახებ წერილები, სადაც აქტიურად იყო წარმოჩენილი იქაურ ქართველთა ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებები. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშა საზოგადო მოღვაწემ, სერგეი მესხმა. 1875 წლის დროების ფურცლებზე ის წერს: *ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე ნამდვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი... მაგრამ ჩვენ? ვის ახსოვს ჩვენში, რომ ჩვენ გვერდით აქვე, მთებს გადაღმა ორას ათასამდი ქართველი ცხოვრობს, რომ ჩვენ ერთი ქვეყნის შვილნი, ძმები ვართ, რომ ჩვენ შორის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მათ ძალ-დატანებით სარწმუნოება შეუცვლიათ.. ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველს მცირეც არის ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს დროებაში.* (დროება,1875. №76). გაზეთ დროების ფურცლებზე უამრავი წერილი დაიბეჭდა, მათ შორის, რაფიელ ერისთავის წერილები. საზოგადო მოღვაწეები და მწერლები ცდილობდნენ საკუთარი სიტყვით მაინც დედასამშობლოს მოწყვეტილი ხალხი ერთიან ქართულ სივრცეში დაებრუნებინათ. გაჩნდა იმედი, რომ ისტორიული ერთობა სამუსლიმანო საქართველოსთან აღდგებოდა. ამისათვის ქართველი საზოგადო მოღვაწეები ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ საგაზეთო პუბლიკაციების გამოქვეყნებით, თუ ადგილზე აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით, რათა გამაჰმადიანებულ ქართველებში ეროვნული თვითშეგნება გამოეღვიძებინათ. სამუსლიმანო საქართველოს შემოერთების პროცესში ერთიანობის აუცილებლობის წარმოჩენა მთავარი ლაიტმოტივი გახდა ქართულ პუბლიცისტიკაში, ერთიანობა კი ეფუძნებოდა საერთო ისტორიის გააზრებასა და ენის, როგორც იდენტობის მთავარი ასპექტის ხაზგასმას. *ივერიისა* და *დროების* ფურცლებზე იბეჭდებოდა ქართველი მწერლებისა და პუბლიცისტების წერილები.

1875-1877 წლებში, მაშინ, როდესაც ოსმალეთ-რუსეთის ომი მიმდინარეობდა, აკაკი წერილს აქვეყნებს, სათაურით *ოსმალეთის ქართველებს: ჩვენო ერთო ტომო და ერთ მოგვარე ძმებო!* – ასე იწყებს თავის წერილს აკაკი. *დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნეობითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და დაგვაშორა ერთმანეთს ქვეშემრდომობით. მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთის ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით. იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, როგორც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისთვის თავგანწირულად შეერთებულად ვანთხევდით.* კრიტიკულ მომენტში, როდესაც ოსმალოს საქართველოს დაბრუნება-არ დაბრუნების საკითხი სასწორზე იდგა, მნიშვნელოვანი იყო იქაურ მაცხოვრებელთა კეთილგანწყობის მოპოვება. ოსმალეთსა და მეფის რუსეთს შორის ომში ოსმალოს ქართველებს სწორი არჩევანი უნდა გაეკეთებინათ და საკუთარ ფესვებს დაბრუნებოდნენ: *დღეს ისეთი დრო დაგვიდგა და ისეთი ნიშნები სჩანს, რომ ორივეს გვმართებს დაფიქრება ძმურად და საერთოდ: თუ ვინცობაა ჩვენს ფლობელებს შუა მოხდეს შუღლი და ასტყდეს ომი, ჩვენ როგორ დავიჭიროთ თავი? ... ჩვენი ვალია დღეს მოფიქრება. ჩვენ ნუ შევეხლებით ერთმანეთს, მოვიცადოთ, ველოდეთ საერთო კეთილდღეობას, მოვემზადოთ მისთვის და ბედი თვით გვიჩვენებს, სად რა სჯობს ჩვენთვის.* (ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი, აკაკის ფონდი დოკ. №2173/965; წერეთელი, 2010. გვ.63).

რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ძველი ტაო მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, არა ერთი პუბლიკაცია ქვეყნდება იქაური ყოფისა და ისტორიის შესახებ. მაგალითად, ილია ალხაზიშვილი დროების ფურცლებზე აქვეყნებს წერილს ტაოში მოგზაურობის შესახებ (დროება, 1877. №137). აღსანიშნავია სოლომონ ასლანიშვილის (ბავრელი) წერილი აჭარის შემოერთებასთან დაკავშირებით (ერთი სიხარული [აჭარის შემოერთების გამო] *დროება*, 1878. № 186) . დიმიტრი ბაქრაძე, ივერიის ფურცლებზე აქვეყნებს წერილს *ზოგიერთი რამ ჩვენს ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვა. [ოსმალოს საქართველო, ანუ მესხეთი)* (*ივერია*, 1877. №10) .ზაქარია ჭიჭინაძე, გაზეთ ივერიის ფურცლებზე აქვეყნებს *წერილს მაჭახელიდან* (*ივერია*, 1893. №158). *მდებარეობა. მოსახლეობის ზნე-ჩვეულება, სოფელ პეტრულში დაცული ეკლესია* (*ივერია*, 1893. №165) და ა.შ. ეს მცირე ჩამონათვალია იმ ავტორებისა, რომლებიც პრესის ფურცლებზე მაჰმადიანი ქართველების შესახებ წერილებს აქვეყნებდნენ და ქართულ საზოგადოებას აცნობდნენ.

ოსმალთა მძიმე და ხანგრძლივმა ბატონობამ თავისი დაღი დაასვა იქაურ ქართველობას. *სამუსლიმანო საქართველოს სახელი შეცვლილი აქვს* – წერს ზაქარია ჭიჭინაძე – *ერთის შეხედვით კაცი მასში მყოფ ხალხს ქართელსაც ვეღარ სცნობს, რადგან იგინი საკმარისადაც გადასხვაფერებულან. გარდა ასეთი გადასხვაფერების, დღეს ოლთისისკენ ისეთ სურათებს ნახავს კაცი, რომ ვერავინ იფიქრებს, თუ ოდესმე იქაურობა ქართველი ტომით იყო მოფენილი და ეს ადგილები ნამდვილს საქართველოს საკუთრებას შეადგენდა ძველის-ძველადგანვე* (ჭიჭინაძე, 1911, გვ.11).

ოსმალეთ-რუსეთის ომების კონტექსტში საქართველოს თემატიკით რაფიელ ერისთავი გაცილებით ადრე ინტერესდება. როგორც ირკვევა, რ. ერისთავი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა

შორის ერთ-ერთი პირველია, ვინც ამ საკითხს სათანადო ყურადღება მიაქცია.

ჩვენი კვლევის მთავარი მიზნიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ რ. ერისთავის პრესაში დაბეჭდილი მასალების, როგორც პირველწყაროს, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ხელახლა გამოქვეყნება.

როგორც აღვნიშნეთ, *ოსმალოს საქართველოს* საკითხით რაფიელ ერისთავი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში ინტერესდება. ამ პერიოდში გაზეთ *Кавказъ*-ში მისი რამდენიმე სტატია თუ ფელეტონი ქვეყნდება. პირველ რიგში სწორედ ამ მასალაზე შევაჩერებთ ყურადღებას:

- **რაფიელ ერისთავი *ოსმალოს საქართველოს* შესახებ გაზეთ *Кавказъ* -ის ფურცლებზე**
- **1854 წელი.** გაზ. ***Кавказъ*** (№93)

***Рассказы наших миллиционеров. Воспоминания.***

*...ეს იყო იმ დაუვიწყარ დღეს, 4 ივნისს, ჩოლოქის ბრძოლის დღეს. ბასრი შაშხანები მცველებივით იდგნენ ქვეყნის სამსახურში. ბძოლის ჟინმა გამოიღვიძა, მებრძოლები შეუდრეკელნი იყვნენ. თითქოს თვალწინ მიდგას ის ვაჟკაცი თუში, რომელიც თავისი გაბედული ბედაურით შევარდა და მთლიანად გაანადგურა თურქული რაზმი. აი, ასე მოხდა ეს ამბავი. ერთი ვინმე გადარეული თურქი (ალბათ მათგან ყველაზე გულადი) ახალგაზრდა თუშს თავს დაესხა. სტაცა ხელი შტიკს, თუმცა, თუშთან რას გახდებოდა? თუშურმა შაშხანამ საკადრისი პასუხი გასცა თურქს. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. თურქული შტიკი ცხენს მოხვდა და ცხოველს ეს არ ესიამოვნა. გაბრაზდა ცხენი, დაიფრუტუნა და გაქუსლა პირდაპირ თურქების მიმართულებით. ისე მიფრინავდა, მისი ქუსლებიდან ნაპერწკლები იფრქვეოდა და აგორებულ მტვერში ილეოდა. „ვეღარ დაბრუნდება ჩვენი ვაჟკაცი“ – ამბობდნენ თუშის მეგობრები -„მტრის ტყვია მოხვდებაო.“ მაგრამ ნურას უკაცრავად. გავიხედოთ და თურქები ისე შეშინდნენ, იარაღიც კი დაავიწყდათ. ცხენის ხმა მათ კავალერიის ხმად მოეჩვენათ, ამის კი ისე ეშინია თურქს. სად უნდა გაქცეულიყვნენ? ისევ ბუჩქებში. ზუსტად აქ გამოიჭირეს ჩვენმა ვაჟკაცებმა. მაშინვე დაიფანტნენ და გაიქცნენ. ისე გარბოდნენ თავქუდმოგლეჯილი რუსული კავალერიისგან. ჩვენი თუში კი მიქროდა და მიქროდა წინ. ხმალს იქნევს და სულს უფრთხობს. ბათუმიც მოახლოვდა. დამშვიდდა ცხენი, გადაუარა სიბრაზემ, ოფლით დაიფარა, ნესტოებიდან ცეცხლის ნაპერწკლები სცვივა, თვალები აგუგუნებულ ნახშირს უგავს. თუშმა ცხენი გააჩერა. ჩამოვიდა და უკან დაბრუნდა, თითქოს არაფერი მოხდარიყო. მხოლოდ შაშხანა გაწმინდა სისხლიდგან და თოფი დოლბანდით. ხედავს, გარშემო სიცარიელეა. მხოლოდ გვამები ყრია თურქებისგან მიტოვებული და ცხენები დაბოდიალობენ. ცხენს შევარჩევო – იფიქრა თუშმა. ჯობს, ყველა ერთად წავიყვანო! თუმცა, სიხარბის გამო არა, მტრის ჯინაზე. წაიყვანა ცხენები და ფეხს აუჩქარა. მისი ცხენი ჩამორჩა, დაღლილი იყო.როგორ არ დაიღლებოდა?! თურქთა მთელი რაზმი დაფანტა, თუშს დათვური სამსახური გაუწია. ახლა კი მისთვის ცუდი მეგზური გახდა. სხვა გზა არ იყო. თუშმა ტანჯულ ცხენს შეხედა. „მშვიდობით, მეგობარო – უთხრა – „შინ წადი. იქ დაგელოდებიო“. და ამგავარად, თუში თავის გზას დაადგა. თან უკან იხედებოდა, ცხენს შორიდან სალამს უძღვნიდა. დაბინდდა. მხოლოდ დასავლეთით მოსჩანდა ჩამავალი მზის სხივი. ისიც ბუუტავდა, სადაცაა ჩაქვრებოდა და ღამის ბნელ სუდარას ამოეფარებოდა დარცხვენილი ლამაზმანივით. დიდხანს იარა თუშმა, ბევრი იშრომა ამ დღეს. დრო იყო, ცოტა დაესვენა. რაღაც სოფელი გამოჩნდა. შეიარა თუშმა. სტუმარს სიხარულით მიეგებნენ. დაასვენეს მგზავრი, რომ დილით მხნედ ყოფილიყო. მეორე დღეს ისევ გზას დაადგა. მხიარულად და მშვიდად მიაბიჯებდა, თითქოს საკუთარ მიწაზე ყოფილიყო. კიდევ ერთი სოფელი გამოჩნდა. ხალხის ჯგუფი გამოჩნდა. ნუთუ თურქები იყვნენ? შაშხანა ჩამოიხსნა მხრებიდან. ერთი გმირი ამდენი ადამიანის წინააღმდეგ. სიცოცხლეს როდის დასთმობდა უბრძოლველად. სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მათ. ერთი გასროლის მანძილზე იყო. თუში ელოდა შაშხანა მომარჯვებული. თურმე ჩვენები ყოფილან. ერთ-ერთმა გურულმა შაშხანა დააგდო და თუშის მიმართულებით წამოვიდა. შეეგებნენ ერთმანეთს. თურმე გურულები ყოფილან. გაიმართა საუბარი, ხმაურიანი, მხიარული. უყვებოდნენ ერთმანეთს ამბებს. მაგრამ მარტო გურულები ლაპარაკობდნენ.*



*თუში ისმენდა. „აქ რას აკეთებთ ძმობილო“ როგორც იქნა ჰკითხა. „ვნადირობთ, მეგობარო, ყველა დავაფრთხეთ. გინდა შენც ფეშქაშად მოგცემთ“ და აჩვენებს თურქულ მონეტებს გურული. პირი იბრუნა თუშმა. „რუსული საკმარისად მაქვსო“ – უთხრა – „შინ ხუთი, ექვსი ათასი ცხვარი მელდება. შენი თურქული მონეტები რაში მჭირდება? ჩვენთან არც კი შეხედავენ. დროა, გზა გავაგრძელოო“ – დასძინა თუშმა. დიდი ხანია, რაც თურქებს უთვალთვალებს, რომ ჩვენმა რაზმმა იცოდეს. „შენ, როგორც ჩანს, იმათთაგან ხარ, ვინც გულად თავად ადრონიკოვის სამსახურში ხარ“ – „ბატონი თავადი ანდრონიკოვი? ასეთი არ მყავს და არც მყოლია. ჩემი ბატონი, თუ ასე ძალიან გაინტერესებს, ცნობილი მალხაზი-შვილია.“ „ რა თქმა უნდა“ – შეჰკივლეს გურიელებმა – „ზუსტად ის არის ანდრონიკოვი. მალხაზი-შვილი ხომ მისი მამის სახელია, ესე იგი, შვილია გმირისა“. „რას ამბობთ? თქვენზე კარგად ეს ვის ეცოდინება? ჩემს ბატონს ასე რომ დაუძახოთ კახეთში, ვერავინ მიხვდება და დაგცინებენ. იტყვიან, საიდან მოვიდაო. „ მერე კი გაბრაზებულმა თუშმა წაიბურტყუნა რაღაც და ხალხს გაერიდა. რამდენიმე წუთის მერე კი თქვა: „იცოდეთ, რომ ბატონს ვეძახით ჩვენს უფროსს, რომელიც სიცოცხლეზე მეტად გვიყვარს, ზუსტად იმ მალხაზი-შვილს, „რისხვით დაესხა თავს თურქებს, მიწასთან გაასწორა ისინი. თავისი მახვილი და ტყვია გააცნო. თურქები კი ისურვებდნენ აერიდებინათ ეს შეხვედრა თავიდან, თუმცა, აწ გვიანი იყო... გააქციეს თურქები, როგორც ცხვრის ფარა“. გურულები გაოცებული უყურებენ ერთმანეთს. შესცქერიან თუშს, რომელსაც საკმაოდ მრისხანე გამომეტყველება ჰქონდა და აღარ იციან, ეჭვი შეეპაროთ, თუ აღფრთოვანდნენ. კიდევ ცოტა ხანს გაჩერდა გმირი, არადა ბევრი დრო დაკარგა, თორემ მოუწევს ხმლის ქნევა ისევ. „მშვიდობით, მეგობრებო.“ თქვა ბოლოს. ცხენს მოახტა და გაქუსლა. მიიწევს წინ თუში უკანმოუხედავად, თითქოს წინ თურქებს ხედავსო. გურულები უკან მოიტოვა. ამდენი ხანი გზად არავინ გამოჩნდა. უცებ ვიღაცის ცხენი გამოჩნდა. შორიდანვე ჩანდა, რომ თურქის არ იყო. ისევ გაქუსლა თუშმა. ისე სწრაფად, რომ ჩქილქებს ძლივს იქნევდა ცხენი. „ცუდი ცხენი ხარ“, დაიბუზღუნა თუშმა – „თურქის ბედაურად თუ გამოდგები. გული არ მომდის შენკენ. ისევ თურქის სუნი აგდის. რომ დაგტოვო ნაკუწებად აგჩეხავენ. ვერც თან წაგიყვან. ჯობს, გურულებთან წადი, მათ სხვა ცხენებიც დავუტოვე.„ უნაგირი მოხსნა თუშმა, პირჯვარი გადაიწერა და გზას გაუდგა. „შინ დაბრუნების დროა, წაიბურტყუნა. მაინც ცოდოა ბებერი ცხენი.*

საინტერესოა, რომ ამ ნომერში რაფიელ ერისთავი თავს დადაევ მაგარსკის ფსევდონიმით იხსენიებს.

- **1854 წელი. გაზ. Кавказъ.** (№ 94)

*23 ივლისს კუკიის ქუჩებში დიდი ალიაქოთი იდგა. მოქალაქეები, რომლებიც გერმანიის კოლონიიდან ბრუნდებოდნენ, ველიდან, რომელსაც დიდუბე ეწოდება, სადაც განგალებული იყო კავალერიის ქართული რაზმი, რომელმაც ჩოლოქის ბრძოლაში თავი გამოიჩინა. საღამო ჟამს მეც ბანაკისკენ გავემართე, რაზმის მეთაურთან, თავად ჯ-ოვთან. ჩემდა სასიხარულოდ იქ შევხვდი რაზმის მეთაურებსა და მათ დამხმარეებს. როცა ამ რაზმზე ევსაუბრობთ, პატივით და ქებით უნდა მოვიხსენიოთ ის მეომრები, რომლებიც მართლაც რომ ბრძოლისთვის არიან დაბადებულები. არასდროს დამავიწყდება მათი გულახდილი, ღირსეული, ბედნიერი სახეები, რომელიც მხოლოდ მტრის წინაშეა მრისხანე. ვინმეს თუ მოგიხდებათ შეხვედრა ამ რაზმის რომელიმე მებრძოლთან, უშიშრად ჩამოართვით ხელი, როგორც ადამიანს, რომელიც მებრძოლის სახელს ატარებს – ადამიანს, რომელიც ყოველთვის მზად არის თავი გაწიროს მეფისა და სამშობლოსთვის. საკმარისია ამ ადამიანებს შეხედოთ, რომ დარწმუნდეთ, რომ ისინი არ არიან ლაჩარი, ახირებული ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ცხოვრობენ, მხოლოდ თავისი ვარცხნილობა ადარდებთ და იცვლიან 365 ლაკის ფეხსაცმელს, ხელთათმანს და ეშინიათ ორპირი ქარის. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც დენთის სუნით არიან დაკვამლული, ბრძოლაში გამოწვრთნილი, ადამიანები, რომლებსაც არ სჭირდებათ დიდი ძალისხმევა, რომ გადაიტანონ სიცივე, შიმშილი, ცუდი პირობები, ყოფითი სირთულეები, და ამას თუ დავამატებთ, მათთვის არ არსებობს ცნება შიში და საფრთხე, რომ ისინი ცივსისხლიანად და ვაჟკაცურად გადაეფარებიან ზარბაზანს. თეატრალურ კიოსკთან შე-*

ძენილი ბილეთით რომ საინტერესო სპექტაკლზე მოხვდები – მხოლოდ ასე შეიძლება წარმოდგენა შეიქმნა ამ გმირებზე. კარგი გამონათქვამია: „ომი ჰბადებს მეომრებს“. ეს სიტყვები ყველაზე მეტად მათ შეეფერება. ისე შეეჩვივნენ ომს, ისე, რომ ყველაზე ბედნიერები მაშინ არიან, როდესაც მტრის წინაშე დგანან. უფრო მეტს ვიტყვი, ამ ადამიანებისათვის ხმლების ქნევისა და ტყვიის ხმა ყველაზე მხიარული მელოდიაა, დენთის კვამლი კი ჰავანური სიგარის ბოლს ჰგავს. აი, ასეთი ვაჟკაცებისგან შედგება ეს რაზმი. რა თქმა უნდა, მათ შორის ახალგაზრდებიც არიან, თუმცა, ეს ცოტა ხნის წინ დაფრთიანებული არწივებიც კი დიდ იმედებს გვაძლევენ. ასეთი ადამიანების გარემოცვაში მომიხდა ყოფნა 23 ივლისს. ამ საღამოს თავადი ჯ..ოვი, საკმაოდ მხიარულ ტალღაზე იმყოფებოდა, მისი რაზმის წევრები ენაწყლიანი იყვნენ. ყოველი მათგანი იხსნებდა და ყვებოდა უამრავ საინტერესო ამბავს მათი ლაშქრული ცხოვრებიდან. როგორც იქნა, საქმე ჩოლოქის ამბავამდეც მივიდა. თავადმა ჯ.. ოვმა, ჩემი თხოვნით დაიწყო მოყოლა ბოლო ლაშქრობის შესახებ. „კეთილი, მოვყვები, რამე თუ დამავიწყდება, ეს ბატონები შემახსენებენ“ და თავის მეგობრებზე მიანიშნა. – „პირველ რიგში, ბატონებო, უნდა ითქვას, რომ“ – დაიწყო საუბარი თავადმა ჯ.. ოვმა – „ როდესაც გავიგე თურქეთთან უთანხმოებისა და თავადი ანდრონიკოვისა და ბებუთოვის გმირობის შესახებ, სურვილმა ამიტანა თურქებთან ბრძოლაში ჩავრთულიყავი, რომ გამეგო, ნუთუ ამჯერადაც, ისეთივე დამთმობნი იყვნენ, როგორც 1828 წელს ახალციხესთან ბრძოლაში, როდესაც ჯერ ახალგაზრდა პრაპორშჩიკი ვიყავი და არა ერთი მათგანი იმ ქვეყნად გავისტუმრე. ქართულ ქვეითთა პოლკში მსახურისას, საიდანაც მოსჩანდა კავკასიის მთების მწვერვალები, წასვლას ვფიქრობდი, მაგრამ პოლკის მიტოვება არ შეიძლება, თურქეთის საზღვარზე არ გამიშვებენ, ამიტომ, ის იყო იმედი გადამეწურა საბრძოლო რაზმში მოხვედრაზე, რომ უცებ მოულოდნელი სიხარული მეწვია და მივიღე საბუთი ჩემი დანიშნვნის შესახებ. ბევრი ახალგაზრდა მოვიდა, რომ რაზმში ჩაწერილიყო. ერთი მეორეზე უკეთესი. თუმცა, თქვენც კარგად ხედავთ,“ დაამატა თავადმა ჯ.. მა „ეს რა ხალხია.. მოკლედ,“ – გააგრძელა -„ რაზმი შედგებოდა ასი წარჩინებულისა და ხუთასი გლეხისაგან, ყველა რჩეული, უმეტეს წილად, გამოცდილი ადამიანებისაგან და დღემდე არა ერთი მოხალისე ეწერება. არ არის საჭირო გავიმეორო, რა გრძნობები ამოძრავებდათ მათ, იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ რუსული ტახტისადმი ერთგულება. ამის შესაძლებლობა მალევე მიეცათ“. „ეს ამბავი არ დაგავიწყდებათ, თქვენ მაშინ დაიჭერით“ – ჩავერთე საუბარში ჯ..სთან. „მართალია. მაგრამ ეს იარა უბრალოა, უშურვებელი“ – მიპასუხა. „შეიძლება, ეს იარა თქვენთვის უბრალო იყოს, სამაგიეროდ, კარგი საქმე გააკეთეთ. მარტო რაზმის გმირობა რად ღირდა. უცხოელებიც კი სამართლიანად ქებას ასხამდნენ ყველა გაზეთში“. „– იცით“ -თქვა თავადმა ჯ..მ და ხელი თმაზე გადაისვა – „აი, ამდენად მაინტერესებს უცხოელების აზრი. ჩვენთვის მთავარია ქება იმისგან დავიმსახუროთ, ვისთვისაც ვიბრძოდით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.“ „გეთანხმებით, თავადო“ ვუპასუხე „ხელმწიფის მადლობა ყველაზე ძვირფასია.“ „ჩვენც ამას ვაფასებთ“ – მიპასუხა. წუთიერი დუმილის შემდეგ დაამატა: „მხოლოდ ერთი რამის მეშინია, რომ ზამთრამდე უმოქმედოდ არ დავრჩეთ“. შემდეგ კი ამბის მოყოლა გააგრძელა. „რაზე გავჩერდი?“ – „გაჩერდით იმაზე“, – უპასუხა ერთ-ერთმა მეთაურმა -„როგორ ჩამოაყალიბეთ რაზმი“. „ჰო, წარმოიდგინეთ, მეომრები ეწერებოდნენ ჩემთან და მევედრებოდნენ შესაძლებლობა მიმეცა მათთვის ეომათ ოსმალებთან (თურქებთან), რომლებიც, გარდა იმისა, რომ ქრისტიანებს ავიწროებენ, კიდევ მოინდომეს ჩვენს საზღვრებში შემოჭრა. ამგვარად, რაზმი ჩამოყალიბდა. ყველა მზად იყო, სამსახურში ჩამდგარიყო. 17 აპრილს, მხიარული სიმღერითა და ზურნის თანხლებით ლაშქრობაში წავედით. გზად ნიშანდობლივი არაფერი მომხდარა გარდა წვიმისა, ტალახისა და ადიდებული მდინარისა, რომლის გამოც თავიდან ფეხებამდე გავილუმპეთ. 24 მაისამდე ბანაკში ვიდექით. სურამთან ახლოს სოფელ სათივესთან, საღამოს კი, მიღებული ბრძანების თანახმად გადავედით სადგურ მალეთში. ბევრი არაფერია მოსაყოლი გზად შთაბეჭდილებების შესახებ, იმერეთის ბუნებისა და ასე შემდეგ. იმიტომ, რომ ცუდმა ამინდმა ბუნებაც, ჩვენც და მთელი კაცობრიობაც წყობილებიდან გამოიყვანა. 28 მაისს ჩვენი ორპირში მისვლის დღეა. იმით არის ნიშანდობლივი, რომ ამ დღეს შევიტყეთ ერისთოვის თურქებზე გამარჯვების შესახებ ნიგოეთის მაღლობებზე. მეორე დღეს შევხვდით ჩოხატაურში გურიის



რაზმს და განვლაგდით რიონის პირას ცხენისწყლამდე, რომელიც ცნობილია საჯავახოს სახელით. დაჭრილი და დატყვევებული თურქები მოჰყავდა თავად ერისთოვს. ამის შემხედვარე ჩემი მეომრები დაღონდნენ, მოეჩვენათ რომ უკვე აზრი აღარ ჰქონდა თურქებთან ბრძოლას. გურიაში შესვლამ და საბაჟოსა და მილიციასთან და მთელ რაზმთან შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეომრებზე, სუფსის ხიდზე გადავედით იმ იმედით, რომ ჩვენს მიზანს მივაღწევდით. გავიგეთ, რომ მტერი ნასაკირალში იდგა, 6 ვერსტის დაშორებით ჩვენგან და ორი დღის განმავლობაში ვისმენდით ზარბაზნის ხმას ბანაკის მიმართულებით და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეომრები სულ იმეორებდნენ, როგორც იქნა, ოსმალებს შევებრძოლებითო. ამასობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, 2 ივნისს გავიგეთ, რომ მტერმა უკან დაიხია. ოზურგეთისკენ გავეშურეთ, იქ კი დასნეულებული თურქების გარდა არავინ იყო. მათმა რაზმმა დატოვა მიწისთხრილები გარკვეულ პროვიზიასთან ერთად. ვერაფერს ვიზამდით. დავბანაკდით მდინარე ზუჯის მეორე ნაპირას. მოთმინება ნელ-ნელა ივსებოდა. საბედნიეროდ, საღამოს გვიბრძანეს საომრად მოვმზადებულიყავით. მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. ხმლებს ლესავდნენ საგმირო სიმღერების თანხლებით და იმაზე აღარ ფიქრობდნენ, რომ მეორე საღამოს მტრის გარემოცვაში სიმღერის დრო არ იქნებოდა. გარიჟრაჟზე ფეხოსნები დაიძრნენ. ხუთი საათისთვის ჩვენ ფეხდაფეხ გავუყევით გზას. მზეს სხივებით ტყე უკვე გაენათებინა. უკვე ერთი საათი იყო, რაც ვიდექით გზაზე და ველოდით ბრძანებას, რომ მტერს თავს დავსხმოდით, რომელიც ჩვენგან სულ რამდენიმე ვერსტის დაშორებით იდგა. როგორც იქნა, გაისმა სროლის ხმა. ჩემს მებრძოლებს გადავხედე. თვალებში ცეცხლი უელავდათ. ამას მოჰყვა ზარბაზნის გასროლა, ამას მეორე, მესამე. შემდეგ კი ცეცხლი გაიხსნა. ყველაფერი ეს ერთ დიდ ყიჟინაში გადაიზარდა. რაზმელებს შორის მოუთმენლობამ დაისადგურა. გამოირჩეოდა თავადი ვახ.. ოვი, რომელიც კითხულობდა, როდისღა, თავადო? ომი ჩვენ გარეშე დამთავრდებაო „ ჩვენდა სასიხარულოდ, ახალგაზრდა თავადი ანდ... ოვი მოვიდა და გვიბრძანა შეტევაზე გადავსულიყავით. ცხენებით დავიძარით ვაშას ძახილით და ჩავებით ბრძოლაში. ვაკვირდებოდი, რომელ მხარეს წავსულიყავით. გურულები შტიკებით იგერიებენ თავსმოხვეულ თურქებს. ვუბრძანე ორას მეომარს დახმარებოდნენ გურულებს. მეორე ასეულს კი, რომელსაც თავადი ამი .. ოვი მეთაუროობდა, ვუბრძანე მარჯვენა ფლანგი გაემაგრებინა. ჩემს მეთაურებს ვუბრძანე შორს არ წასულიყვნენ და ახლოს მდგარიყვნენ ხაზზე და ერთად ემოქმედათ. ამის შემდეგ ოთხასი მეომარი, კბილებამდე შეიარათებული ყიჟინით თურქებზე შეტევაზე გადავიდა. მე კი დარჩენილი ორი ასეულით ცენტრისკენ უნდა დავძრულიყავი. ვიცოდი, რომ მტრის რიგებში შეიძლება ყოფილიყვნენ საზღვრისპირას მცხოვრები აჭარლები და ქობულეთელები, რომლებიც ქართულად კარგად ვერ ლაპარაკობდნენ. სახის ტიპითა და სამოსით გურულებს ძალიან ჰგავდნენ, ამიტომ შეიძლებოდა ისინი თავისიანებად მიგვეჩნია, თანაც, მაღალი ბალახი და კვამლი გვიშლიდენ ხილვადობას და შეუძლებელი იყო მტრის გარჩევა. ჩემს რაზმელებს შევძახე მათ გასროლით მიპასუხეს. მერე კი შევძახე: მომყევით, მეგობრებო-მეთქი, ცხენს დეზი გადავუჭირე და მტრის შუაგულში შევიჭერი. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ მართლაც კარგად იბრძოდნენ, ცივსისხლიანად, მედგრად, ღიმილით, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. თუმცა, ჩვენი დარტყმების შედეგად ყველა დაიღუპა. ერთი ამბავი არ დამავიწყდება. როდესაც მტრის შუაგულში შევვარდი, ერთმა თურქმა ჩემი ცხენიდან ჩამოგდება განიზრახა. მაგრამ ვესროლე და ის დაეცა. მაგრამ მერე ისევ წამოდგა. ამან ძალიან გამაკვირვა. როდესაც დავინახე თურქის ჩაფხუტზე წრე ზუსტად იქ, სადაც ვესროლე, ძალიან გამაკვირვა და მაშინვე გადავწყვიტე გამეფრთხილა ჩემი მებრძოლები ესროლათ არა თავში, არამედ კისერში, ან მხარზე. ამასობაში, მარცხნივ მივიხედე და ვიგრძენი როგორ დამჭრეს ბარძაყში. ჩემს მტერს შაშხანით ვერ გავუსწორდებოდი, ამიტომ ვეცი მას და გამოთრევას შევეცადე. აქ მესმის როგორ მიყვირიან: ფრთხილად, ბატონო, მარცხნივ! უკან მოვიხედე და ვხედავ, მეორე თურქი როგორ აპირებს დაჭრას. ვეცი მას მარცხენა ხელით და შტიკზე წამოცმევა ვცადე. მერე ორივე თურქი მეცა, რომ ცხენიდან ჩამოვეხსნე, მაგრამ მე მაგრად ვიყავი ჩაჭიდებული მათზე ხელებით და ვეჯაჯგურებოდი აქეთ-იქეთ. დიდი ხანი ვიყავი ამ მდგომარეობაში, მაგრამ შიში, გარწმუნებთ, ერთი წუთითაც არ დამეუფლა. ამასობაში ჩემი მებრძოლები წინ მიიწევდნენ, რომ დამხმარებოდნენ.

*ჩემი მეგობარი დაიღუპა შუ... ძე. მა... შვილი მხოლოდ დაიჭრა ყურში. დანარჩენებმაც გამოიღვიძეს და ჩემკენ გამოეშურნენ, რომ ამ უბედურებისაგან დავეხსენი. დიდი ხანია ვყვები, თუმცა, სულ ერთ წუთში მოხდა ყველაფერი. მახსოვს, რომ შაშხანა მომაწოდეს და მას მერე, რაც პირველი საფრთხე გადავიარე, ჩემს მებრძოლებთან ერთად წინ გადავედი შეტევაზე და საბოლოოდ გავანადგურეთ მტერი. ვინც არ ნებდებოდა, არ ვინდობდით. როცა თურქული გვარდია გავანადგურეთ, მათი დიდგული ჯარისგან არაფერი დარჩა. მტერი უკან ვაქციეთ. ისმოდა სროლები და ყვირილი. მტერი ტყეში გაიფანტა. თურქები თხრილებსა და ბალახებში იმალებოდნენ. ისინი უნდა გამოგვედევნა ხმლებით. ამგარად, დავედევნეთ მტერს, სანამ თვალს არ მოეფარნენ საზღვარზე ქობულეთიდან. ამასობაში თავად ანდრონიკოვის გამოგზავნილი მსტოვარი მოვიდა და გვიბრძანა დევნა შეგვწყვიტა. უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი ცხენებიც დაიღალნენ, მეც ისე, რომ ხმლის მოქნევის თავი აღარ მქონდა.*

(თავადი რ. ერისტოვი)

- **1854 წელი. გაზ. Кавказъ.** (№95)

*ამგვარად, როცა დავანებეთ თავი მტრის დევნას, – გააგრძელა მოყოლა თავადმა ჯ.. მ, – ბრძოლის საწყის წერილთან მოვედით. აქ გენერლები და ჯარი ვაშას შეძახილებით გვხდებოდნენ. ცხენიდან ჩამოვედი და მივედი გენერალ მაიორ თავად გა.. -სთან, რომელთანაც ახლოსაც იჯდა თურქეთის სამსახურის მთვრალი პოლკოვნიკი. ისინი ფრანგულად საუბრობდნენ, მგონი. ეს იქედან ჩანდა, რომ ის პოლკოვნიკი ჩემზე აჩვენებდა. მერე კი თავადმა გა...მ გადმომცა, რომ თურქს აინტერესებდა, რა როლი მეკისრა ჩოლოქის ბრძოლაში. მას აუხსნეს. მერე კი მთვრალი რაღაცას გაცხარებით ყვებოდა. რასაც ყვებოდა, თავადმა მერე ყველაფერი მომიყვა. „რამდენიმე დღის წინ ხმა დაირხა ბანაკში, რომ თქვენთან მოვიდა კავალერია, რომელიც უშიშარი იყო და არავის ინდობდა. ადამიანები კი არა, ნამდვილი კაციჭამიები იყვნენ. ჩვენ ვიცინოდით ამაზე დღევანდელ დღემდე. ახლა კი, როცა მოწმე გავხდი ამ ბრძოლის, ვაღიარებ, რომ თქვენს კავალერიას ნაადრევად დავცინეთ და მართლაც ქებას იმსახურებს. გუშინ გავეცით ბრძანება, რომ ნ ათასმა რჩეულმა მებრძოლმა, როგორც კი გამოჩნდება ეს კავალერია, ალყა შემოარტყას და ცოცხლად მოგვგვაროს. დღეს, როდესაც ბრძოლა მიმდინარეობდა, წახემსება გადავწყვიტეთ, გვეგონა, რომ ამხელა ჯართან შედარებით თქვენი ძალები სუსტი იყო. თავიდან ასე გვეგონა. ამასობაში შემოგვესმა უცნაური ხმები, ცხენების ჯირითის ხმა და მერე კი გამოჩნდა მოჯირითე ძალა, ზურნის თანხლებით და უშიშარი მხედრები პირდაპირ ჩვენი მიმართულებით წამოვიდნენ. გარწმუნებთ, გულითადად ვიცინოდით, რადგან ვერ ვხვდებოდით, სად მოდიოდნენ. ჩვენ მათ შეშლილებად ვთვლიდით, ვერ წამოვიდგენდით, რომ ამ შეშლილებს შეეძლოთ ჩვენი სიცილი ცრემლებად ექციათ. ვინ არიან ეს ვაჟკაცები, რომლებსაც შეეძლოთ ჩვენი გვარდიელების უკუქცევა? დაეშალა, გაენადგურებინა, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვაპირებდით შტიკებითა და იარაღით გაკეთებას. ისე მარდად ისროდით, როგორც თქვენი ცხენოსნები გადაადგილდებოდნენ. „იცით, რა? – თქვა პოდპორუდჩიკმა თავადმა ერ... მა, რომელიც თავად ჯ..ს მიმართავდა“ კინაღამ თავი არ დამაკარგვინეს ამ მთვრალი პოლკოვნიკის დამსახურებით“. „ ეს როგორ?“ „ძალიან მარტივად, ერთმა თუშმა თურქი ოფიცერი მოკლა. ხუმრობით ჩაფხუთი დაიხურა, გარდაცვლილის ქურთუკი მოიცვა და გზა გააგრძელა. მომესმა მუქარის ხმა. მოვიხედე და ვიღაც ჩემკენ მოიწევს შაშხანით. ის თურქად მივიჩნიე. თუმცა, თუში გაჩერდა. ვურჩიე გარდაცვლილის ტანსაცმელი გაეხადა და მერე ეს ტანსაცმელი თურქ პოლკოვნიკს ვაჩუქე, იმიტომ რომ საკუთარი შემოეხია, როცა ის მთვრალი დაიჭირეს. „მართლაც, რომ სიფრთხილე გამოგიჩენია“. თქვა თავადმა ჯ.. მ ღიმილით. „კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ ჩვენი მეომრები ნადავლის ხელში ჩაგდებას არ ცდილობდნენ.“ „ამის თავი ჰქონდათ?“ აღნიშნეს დანარჩენებმა „ მე კი, თქვა თავადმა ერ...მა, ნადავლის გარეშე არ დავრჩენილვარ. ბრძოლის მერე როცა ტყით ვბრუნდებოდი, ოთხი კატერი ვნახე, სალაშქრო სკივრებით დატვირთული. რომ გავხსენი, თქვენი აზრით, შიგნით რა აღმოჩნდა? „რა თქმა უნდა, ფული“ უპასუხეს. „ ვერ მიხვდით“ თქვა ერ..მა. „თურქებს ფული? ნურას უკაცრავად. პირველ სკივრში თეთრეული, ოფიცრის მუნდირი, მეორეში თამბაქო და ბრინჯი, მესამეში რკინის ყინჩები, მეოთხეში – ნა-*





*ლები“. „რა კარგი აღმოჩენაა“ აღნიშნა თავადმა ჯ..მ „თუშებს მოეწონათ და ვაჩუქე.“ „თქვენ რა ჩაიგდეთ ხელში“ ხუმრობით იკითხა ჯ..მ. მისი აღმატებულება ტახტის მემკვიდრე უფლისწულის დრაგუნსკის ვიტენბერგის პოლკის პოდპორუდჩიკს „მისი თავი ვის ჰქონდა“,უპასუხა თავადმა ერ..მა, თავიდანვე თავადი ამ... მა, თქვენი ბრძანებით, მტერს შეუტია. მერე კი გზირივით, რომელიც ნაცვალის სამსახურში იდგა, ხან ერთ ასეულს ხან მეორე ასეულს აწიოკებდა. ყველაზე საინტერესო ბრძოლის პირველი ნაწილი იყო. როცა ჩვენ თურქების კარვებს მივუახლოვდით და ისინი ცეცხლით შეგვხვდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც არ გავჩერდით. მერე კი რას ვხედავთ? თურქების პირველმა ეშელონმა ცეცხლი გახსნა, მეორე გვიმიზნებდა, მესამე კი იარაღს ტენიდა. შაშხანებზე გადავედით. თურქები შტიკებით დაგვხვდნენ, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლეს. მაშინვე გაქუსლეს. მთელი ძალით გარბოდნენ, ჩვენ კი, როგორც ცხვრებს, ისე ვიჭერდით და ვცემდით. ბევრი მათგანი მწყერებივით ბალახებში დაიმალა. ისეთი ბალახი იყო, ცხენიდან ვერ ვხედავდით, მაგრამ მაინც მოვახერხეთ მათი გამოჭერა. „ყველა დაიჭირეთ“ – ვკითხე? „რა თქმა უნდა, ჩემ დაქვემდებარებაში თუშების ასეული იყო. მთიელებს ჩვევა არ აქვთ, რომ მტერი ტყვედ აიყვანონ, ყველას ხოცავდნენ“. „მე ხომ ვუბრძანე მებრძოლებს, ვინც მოწყალებას გვთხოვს, ყველა ტყვედ აიყვანეთ-მეთქი, „ თქვა თავადმა ჯ..მ. „მართალია, უპასუხა თავადმა ერ... მა, მაგრამ თუშებთან რას გააწყობთ? ვუთხარი არ ეცემათ ისინი, დანებებას მოითხოვდა, მაგრამ თუშები, მაგათი თავი სად გვაქვსო, პასუხობდნენ. ყოველ მთვრალს ორი ადამიანი სჭირდება, რომ ბანაკში მივიყვანოთ, თუ ამათ მივხედავთ, მაშინ თურქების დიდი ნაწილი გაიქცევაო.“ თუშები მართალი იყვნენ. მაგრამ, მაინც გავუმეორე, რომ არ შეიძლება, და როცა ვუთხარი, ტყვედ აიყვანეთ, ვინც იარაღს დაყრის მეთქი, კინაღამ მეც გამომასალმეს სიცოცხლეს. „ეს როგორ?“ ვკითხე. „წყეული თურქი – აგრძელებდა მოყოლას ერ.. ვი, თითქოს ბანზე ამიგდო სიტყვა. მინდა, რომ ტყვია დავახალო შუბლში. მითხრა, რომ დაჭრილია და მთხოვა ტყვედ ამეყვანა. დავუყვირე, იარაღი დაეყარა, ეს თურქი კი სულ მეხვეწებოდა შემებრალებინა. იარამ დამასუსტა და იარაღი მჭირდება, რომ დავეყრდნო. მინდოდა მასთან მისვლა, რომ ტყვედ ამეყვანა, ამ დროს თუში მიმიხვდა, რას ვაპირებდი, მივიდა თურქთან ამ დროს კი სროლის ხმა გაისმა და ჩემი თუში დაეცა. თურქი მერე ცხენისკენ გაიქცა, ის ის იყო უნდა გაქცეულიყო, რომ ერთ-ერთმა მებრძოლმა დაუყვირა, სად მიბრძანდებიო, ჩემი მოგობარი მოკალი, ცხენი მაინც დაგვიტოვეო და ამ სიტყვებით თურქი ადგილზე შუაზე გააპო. ამის მერე არაფერი დაგვრჩენოდა, გარდა იმისა, რომ ყველანი დაგვეხოცა, თქვა თავადმა ერ.. მა. „იცით, ერთ-ერთ თურქს უნდოდა ასეთი ოინის ჩატარება ჩვენთანაც. მაგრა არ გამოუვიდა. სიღნაღის ასეულისკენ მივიჩქაროდი, რომ დავხმარებოდი. ვხედავ, რომ ერთი ჩვენი მებრძოლი თურქს გადაეყარა, ისიც სთხოვს, რომ შეიბრალოს. რომ ჩვენი რაზმის მეთაურის ანდრონიკოვის ნახვა უნდოდა, ამასობაში კი პისტოლეტს ტენიდა. დავუძახე მებრძოლს, რას ელოდები, ვერ ხედავ, რისთვის ემზადება-მეთქი. როგორც კი მიხვდა, რაში იყო საქმე, ჩვენმა მებრძოლმა „მეთაურს ვერ ნახავო“ და ამ სიტყვებით თურქს ხმალი მოუქნია და ისიც ცხენიდან ჩამოვარდა? როგორი იყო ელ..ძე ბრძოლაში?“ ვიკითხე. პირადად ვიცნობდი, თავისი გმირობით სახელი ჰქონდა განთქმული. „პირველ ბრძოლაში როგორც ყოველთვის, ისე იბრძოდა, თქვა თავადმა ერ..მა, „თავდადებულად, მერე კი შაშხანა დადო და თქვა: „ამ დედაკაცების ცემა რად ღირსო? და თან ახალგაზრდა თუშებს აქებდა. ერთ-ერთმა მებრძოლმა ძალიან გამაცინა. გავიგონე, რომ თქვა – თხუთმეტი. მოვიხედე და ახალგაზრდა თუში ჭრის ხელს მოკლულ თურქს. ამ საქციელით ტრადიციის მიხედვით თუშები ამტკიცებენ, რაოდენ გმირულად იბრძოდა. ძლივს დავითანხმე, რომ ომში ასეთი რამ არ შეიძლება, რომ არ აჭრიან მკლავებს მოკლულებს. თუშმა ამის მერე მთელი თავისი ნადავლი მოისროლა. „მებრძოლები ხომ კარგად მოქმედებდნენ? „ვკითხე თავადს „ აი, ესეც მტკიცებულება, თქვა თავადმა ამ..ოვმა. თავადი ნჩ..ძე დაჭრეს მხარში. ურჩიეს გადახვევაზე წასულიყო, მან კი „არა, ის უფრო გულადია, ვინც დაჭრილი იბრძვისო“ ორიოდე წუთი სული მოითქვა და ისევ ცხენზე ამხედრდა და ბძოლის დასრულებამდე იბრძოდა. „ყველანი ვაჟკაცურად იბრძოდნენ“, აღნიშნა თავადმა ზ. ჯ..მა. დაჭრილებმა ჩვენი გაბრიყვება სცადეს. სამედიცინო პუნქტში წაყვანაზე ყველა უარს გვეუბნებოდა. თქვენ წინ გასწით, ჩვენ მერე წაგვიყვანენო. როდესაც თავადი ერ..ვი დაჭრეს, რაღას ვიზამდით. ის კი მაინც თავისას*

*გაიძახოდა: წადით, ასეულს არ ჩამორჩეთო. ვერაფერს გავხდი. გავერიდე და ვუყურებდი, რომ ვინმეს დაჭრილისთვის არ ესროლა. ერთმა თურქმა თავადთან მიახლოება განიზრახა, მაგრამ გაუღიმა და ხელი არ ახლო. ვერ ვხდები, რატომ არ ესროლა თურქმა? ალბათ შერცხვა 17 წლის ბიჭთან საქმე რომ უნდა დაეჭირა, ვინ იცის. სანამ არ დავრწმუნდი, რომ თავადი უსაფრთხოდ იყო, ვერ დავტოვე. სამაგიეროდ, ისეთ სცენებს ვუყურებდი, აგრძელებდა საუბარს თავადი ჯ...ი, თურქებმა ბოლოს და ბოლოს ლაჩრებივით დაყარეს იარაღი მიწაზე, პირჯვარს იწერდნენ. ქრისტიანი! ქრისტიანი! გაიძახოდნენ. როგორ უნდა მოგვეკლა ისინი? – ახალგაზრდა რო..ვი? – თქვა ერთ-ერთმა მებრძოლმა. წარმოიდგინეთ, დაჭრილი იყო და იბრძოდა ბრძოლის დასასრულამდე. როცა შევნიშნე, მთელი ახალუხი სისხლში ჰქონდა. რო– ვს თავიდან ეგონა, რომ სხვისი სისხლის შხეფები იყო, მაგრამ ბანაკში რომ დაბრუნდა, იგრძნო, რომ ხელი ეყინებოდა. შტიკით ჰქონდა ჭრილობა მიყენებული, მალე გამოჯანრმთელდება. „კიდევ ერთი გასაოცარი ამბავი „ აღნიშნა თავადმა ერ..მა. ჯობს მოგიყვეთ. ერთ-ერთ თუშს ტყვია ხელში მოხვდა. მაგრამ დაჭრილიც კი წარმოუდგენლად ვაჟკაცურად იბრძოდა. მხოლოდ მესამე დღეს ჩოლოქის ბრძოლიდან ავადმყოფს ხელი გადაუხვიეს და მაშინ დაიჩივლა, რომ ბარძაყიც სტკივა და იცით რა აღმოჩნდა, ის გამჭოლი ტყვია, რომელიც ხელში მოხვდა, ბარძაყზეც მოხვდა. რა ვაჟკაცია, არა? მეხუთე დღეს აღმოაჩინა, რომ მძიმედ დაჭრილია. უკვე გამოჯანრთელდა კიდეც. „დიდი დანაკარგი გვქონდა?“ ვიკითხე. „დანაკარგი დიდი არ გვაქვს. ორი მებრძოლი დავკარგეთ თავადი დავით ვახვახოვი და ზაქარია ანდრონიკოვი. „საბრალო ვახვახოვი“, თქვა თავადმა ჯ..ძემ, როცა თურქებისკენ მივემართებოდით, რა ბედნიერები ვიყავით. ტყვიამ მოკლა ჩემი მეგობარი, სიკვდილის წინ მთხოვა, ჩემი მკვლელი ხელიდან არ გაუშვათო – რთული იყო ზაქარია ანდრონიკოვის სიკვდილის ყურება. როდესაც დავბრუნდით ბრძოლის ველიდან, მოიყვანეს დაჭრილი ანდრონიკოვი. თავიდან მხნედ იყო, იღიმებოდა, ხუმრობას ცდილობდა, რამდენიმე საათის მერე გართულდა მდგომარეობა, ტკივილი ძლიერდებოდა. დაჭრილს მეგობრები შემოეხვივნენ, ის კი სულ იღიმებოდა. ამბობდა, რომ ჭრილობა ხელს უშლიდა. მერე წყალი მოითხოვა, მაგრამ არ მისცეს. ამ დროს მოვიდა თავადი ივანე მალხაზოვიჩ ანრდონიკოვი და ეცადა თავადის დამშვიდებას. დაჭრილი დიდხანს შესცქეროდა ჩოლოქის გმირს, როგორც თავის ნათესავს და ახლობელს, ვერ ცნობდა, მას, რომელსაც ოდესღაც როგორც მამას, და მეგობარს თვლიდა. როგორც იქნა, რამდენიმე წუთიანი სიჩუმის მერე მიმართა ანდრონიკოვს: „გილოცავ გამარჯვებას. მე კი სიკვდილმა დამამარცხა. შინიდან შორს გადახვეწილი სულს მივაბარებ. ასეთი გამარჯვების მერე სიკვდილიც მშვენიერია. ვის შეშურდება ჩემი სიკვდილის.“ „ყოჩაღ,ზაქარია“, თქვა გენერალმა ანდრონიკოვმა. „გმირის სახელი გინდოდა და მიიღე კიდეც. ნუ გეშინია, მალე დაგაყენებთ ფეხზე“. „არა“, უპასუხა დაჭრილმა, „მე უკვე ფეხზე ვეღარ დავდგები. შინ მინდა წასვლა. გევედრები არ დატოვო..ხომ იცი, ვისაც გაბარებ. ჩემი ერთადერთ ბიჭსა და მეუღლეს“; დაჭრილმა ვერ დაასრულა და მიიძინა. რამდენიმე წუთში ისევ გაახილა იმისათვის, რომ ისევ დაეხუჭა ქუთუთოები. მოხუცმა ანდრონიკოვმა ცრემლები ვერ შეიკავა. როგორ არ გვეტირა? მეორე დღეს ვახვახოვი და ანდრონიკოვი დაკრძალეს პატივით მონასტერში, სადაც განისვენებს თავადი გურიელი, რომლის საფლავი მარმარილოთია მოპირკეთებული. დაკრძალვის შემდეგ თვალებში ვერ ვუყურებდი მებრძოლებს. რკინის კაცები დამწაშავეებივით დადიოდნენ, რთული იყო საყვარელი მეთაურების დაკარგვა. მხოლოდ ერთი აზრი, რომ გმირულად დაეცნენ, მართლმადიდებლური რწმენისთვის, ხელმწიფისათვის, რუსეთისთვის მათ ტკივილს აამებდა. ბოლოს სიტყვებით თითქოს გაიყინა თავადი ჯ.. ცხადი იყო, რომ მას ეს მოგონებები სულს უმძიმებდა. სხვებიც გაჩუმდნენ და ამით საუბარი დასრულდა და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.*

თავადი რ. ერისტოვი.

- **1856 წელი.** გაზ. ***Кавказъ*** (№ 8)

***Кавказская Летопись***

აქ წარმოვადგინეთ ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ომერ-ფაშას ქუთაისისკენ ლაშქრობას შეეხება.



*ქუთაისი. (ბერჟესთვის მიწერილი წერილიდან) ომერ ფაშას მოძრაობა სამეგრელოში, ან როგორც ზოგიერთი ამბობს, თურქი სერასკერის (ერთი და იგივეა) დემონსტრაციამ ჩვენი ძალების ყარსისაგან შემოტყუების მიზნით, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კარგი იქნებოდა თუ ეს მითქმა-მოთქმები ჭეშმარიტებასთან ახლოს რომ იყოს. გამოჩნდნენ ადამიანები, უფრო სწორად, ავი ენები, ფუჭი, მატყუარა ჭორიკნები (უცხოური გაზეთების კორესპოდენტები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ომერ ფაშა ქუთაისისკენ დაიძრა და შედეგად ქალაქი სრულად დაიცალაო. ზოგიერთი იმასაც კი ამბობდა, რომ ომერ-ფაშა ქუთაისში შევიდა და მისმა ჯარმა კი სურამის მაღლობები დაიკავა და იქედან ტფილისს ემუქრებაო.*

*სინამდვილეში რა მოხდა? მართლაც რომ დაიძრა თურქი სერასკერი და ის მოძრაობდა ზედმეტად ნელა, უფრო იმაზე ფიქრობდა, რუსებს რომ გადაეყრებოდა, თურქული ჯარიდან რაც დარჩა, ისიც არ დაკარგა, და ამ ჯარმა თავიდან დააპირა, ქალაქისთვის მუქარა გაეგზავნა, როგორც ადრე, როცა აზიის სხვა მტრები შემოიჭრებოდნენ ხოლმე. ომერ ფაშა მალე დარწმუნდა თავის ეჭვებში, როცა მოხდა ენგურის ამბავი ჩვენი ბატალიონის ორნახევარმა ექვსი საათის განმავლობაში შეაჩერა თორმეტი ათასიანი თურქი ჯარი და უკუაქცია ისინი და ენგურის ტალღებმა ასობით თურქი წაიღო. შემდეგ ჩვენებმა წინ წაწევა დაიწყეს. თურქებმა უკან დაიხიეს ენგურამდე, სადაც ჩვენებმა დატოვეს იმ მიზნით, რომ უკეთესი მახე დაეგოთ, მტერი შეეტყუებინათ მათთვის ხელსაყრელ პუნქტში.*

*ომერ ფაშამ მიზანს, გარდა იმისა, რომ ყარსიდან გამოიტყუა ჩვენები, მაინც მიაღწია, თუმცა ეს მისი მიზანი არ ყოფილა. ჩვენები იქედან წამოვიდნენ მხოლოდ მას მერე, რაც ყარსი რუსული იარაღის წინაშე დაეცა. რაც შეეხება ომერ ფაშას ქუთაისისკენ წასვლას და დაცარიელებულ ქუთაისს (როგორც მტრები ამბობენ), ისე ბრწყინვალედ დაიწყო, მაგრამ კატასტროფით დასრულდა, რომელსაც თურქები არასდროს დაივიწყებენ. არ ისურვებდა თურქი სერასკერი ქუთაისში შემობრძანებლიყო? მისი ჯარიდან რამდენიმე პირი მართლაც შემოვიდა ქალაქში. ესენი იყვნენ თურქი ოფიცრები და ჯარისკაცები, თავად ომერ ფაშამ მდ. ტეხურა გადაიარა (ქუთაისიდან 60 ვერსტის დაშორებით), შორიდან შემოუარა ქუთაისს და საკმარისი მარაგის არარსებობის გამო საბრალო მეგრელებს სიმინდი და ღომი წაართვა და გადაუხადა ორჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე ღირდა და იმ ფულით გადაიხადა, რომელსაც მხოლოდ ქათმები თუ აკენკავენ, რომელიც თურქეთშიც კი არ არის გამოყენებული.*

*ტეხურას ნაპირზე ომერ ფაშა იჯდა და ელოდა ამინდს, იმ დროს კოლხიდა ნისლში იყო გახვეული, წვიმდა და მდინარეები ნაპირებზე გადმოდიოდა. რა უნდა ექნა? პროვიზიაც არ გამოუგზავნეს კონსტანტინოპოლიდან. წინ წაწევაც არ შეიძლებოდა, მდინარეები ადიდებული იყო. სერასკერმა უკან დაიხია. ამასობაში ჩვენი მარდი ცხენოსანი მილიცია არ შეუშინდა იმ მდინარეს, გადავიდნენ მეორე მხარეს და დაიწყეს პარტიზანული ომი.*

*ომერ ფაშამ, შეშინებულმა ჩვენი მილიციელებითა და ადგილობრივი მაცხოვრებლებით, საკმაოდ ენაწყლიანად მოგვმართა: ნუთუ ღირს ასე დაუნდობლად ბრძოლა? – და უკან დაიხია. ქუთაისის აბანოებშიც კი იბანავა, რაზეც ძალიან გაკიცხეს ჯარში. სამაგიეროდ მათ კარგად იბანავეს ტეხურაში, როდესაც ისინი რედუტკალესკენ იხევდნენ. მდინარე ისე ადიდდა, რომ საბრალო თურქებს მოუსწრო ციხიდან 12 ვერსტის დაშორებიდან. სამი დღის განმავლობაში წყალში იდგნენ, ვერც წინ და ვერც უკან იხევდნენ. ძლივს გადაურჩნენ თურქები სიკვდილს, ყველა დასნეულდა (თითქმის ჯარის ერთი მეოთხედი) და განლაგდნენ რედუტში. ამ შეუმდგარი ლაშქრობის შემდეგ და დიდი დანაკლისის მერე თურქები ბუზებივით იხოცებოდნენ. აქედან ჩანს, რომ ქუთაისი ვერ იქნებოდა დაცარიელებული. შეიძლება ქალაქიდან ორი ან სამი ოჯახი გავიდა, მაგრამ ეს ხომ ქალაქს ვერ დააცარიელებდა? ყალბის ინფორმაციის გამავრცელებლებს კი მივმართავ კითხვით: შეიძლება ქალაქს დაცარიელებული ვუწოდოთ, სადაც იმართებოდა წვეულებები, ილხენდნენ ქალებიც და კაცებიც და ცეკვავდნენ ვიდრე ათ წყვილ ფეხსაცმელს არ გამოიცვლიდნენ. აღარ შეგაწყენ თავს იმის მტკიცებაში, თუ რეალურად რა მოხდა, ჯობს, მოგიყვე სასიხარულო ამბები, ვიდრე გასაბრაზებელი.*

***რაფიელ ერისთავი ოსმალოს საქართველოს შესახებ გაზეთ დროების ფურცლებზე***

- **1875 წელი. გაზეთი დროება. №№ 80,81**

***ცნობანი ოსმალოს საქართველოს შესახებ***

გაზეთ დროებაში *(№№80, 81)* ქვეყნდება მისი მეტად საინტერესო წერილი ***ცნობანი ოსმალოს საქართველოს შესახებ.*** ამ სტატიის ფრაგმენტის ავტოგრაფი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში რაფიელ ერისთავის პირად არქივში (კკხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №137/150). ამ წერილის, როგორც უკვე მივიწყებული პირველწყაროს მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ მისი სრული სახით ხელახალი გამოქვეყნება.

*ამბობენ – იქნება ზოგნი კიდეც უმატებდნენ – ზოგს კი ისტორიული ფაქტები გვიმტკიცებს, რომ თამარ მეფის დროს საქართველოს სამზღვარი იყოვო: სამხრეთით – ტრაპიზონი, ანუ უკეთა ვსთქვათ, ჭანეთის დასასრული – რკინის პალომდის[1]. აღმოსავლეთით – კასპიის ზღვა; დასავლეთით – შავი ზღვა და ჩრდილოეთით – კავკასია. ეს უკანასკნელი სამზღვარი თვითვე შემავალი ყოფილა საქართველოსი, ასე რომ მოზდოკი და ჭირიურთი საზღვარს შიგნით თურმე ირიცხებოდნენ და მცხოვრებნი ამ უკანასკნელის ადგილებისა ყოფილან უმეტესნი წილნი ქართველნი; ხოლო დღეს არიან მათი დანაშთენნი რამოდენიმე მოსახლენი, ენა აქვთ ქართული და ჩაცმა ქალთა ქართულივე.*

*ერთობ მთის ხალხნი და მათ შორის წმინდა ქართველის ჯილაგისა, როგორათაც: სვანნი, მთიულნი, გუდამაყრელნი, ფშავნი, ხევსურნი, მოხევენი და სხვანი ყოფილან მორჩილებასა და მმართველობაში ქართველი მეფისა, მხმარებელნი მისთავე კანონთა და მოხარჯენი: ზოგნი – ლაშქრობით, ზოგნი სულადით და ზოგნი ფულით და სხვითა და სხვითა, ასე რომ დიდოთათვის იტყვიან, სიღარიბისა გამო, ესენი ვალდებულ იყვნენო – ეზიდნათ ბაფხულში, კავკასიის მთიდან ბარათ მეფეთათვის ყინული!*

*მაშინ ქრისტიანობა ყოფილა ყველგან გავრცელებული, ამას გვიმტკიცებენ წერილნი, დღესაც არსებულნი ეკკლესიანი და მათნი ნანგრევები ზემოხსენებულ საზღვრებ შიგნით. ასე გაშინჯეთ, რომ კავკასიის მთის ისეთს ადგილებშიაც ყოფილა ეკლესიები, სადაც დღეს მცხოვრებნი აღვიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას, მაგრამ იმ ნანგრევ ეკლესიებს კი დღესაც თაყვანსა სცემენ და ზვარაკსა სწირავენ ხოლმე!...*

*ამის დამტკიცებას ძრიელ ადვილათ ჰნახავს მსურველი ადგილობრივ, რომელ კუთხეშიაც კი ისურვებს ამ გარემოების შემოწმებას. მიბრძანდით, თუნდა ახალციხეს...*

*ამ მაზრის ხალხი მესხნია და ჯავახებსავით დიდი ხანი არ არის, რაც ძალით შეუცვლევინებიათ ოსმალთ სარწმუნოება, მაგრამ, მათი სახე და გვარები კი: (გურგენიძე, ათაბაგი, ერისთავი, თაქთაქიშვილი და სხვანი) ამტკიცებენ მათს ქართულს ჩამომავლობას...*

*იტყვიან, იმ დროებაში საქართველოში რვა მილიონი მცხოვრები ირიცხებოდაო თურმე. ოსმალეთ, ყიზილბაშთ და სხვათა მძლავრთა ხალხთა არ მოუსვენეს ქართველებს, დასწვეს, დადაგეს, გადაასახლეს მთელ-მთელი სოფლები – და შემცირდა საქართველო...*

*მაგრამ, რა დროს ისტორიული სურათებია? ჯერ ჩვენი შინაგანი არა ვიცით რა. ჩვენი მეზობლისას არას ვეძებთ; მერმე კიდენ ისეთი მეზობლებისას, რომელნიც ოდესმე შეადგენდნენ ჩვენსას ერთს ჯიშს, ერთ სულს და ერთს ხორცს, და რომელნიც დღესაც ძმებთა გვსახავენ, გვესტრფიან და ისე გვინდობენ , როგორც ძმა-ძმას...*

*მაშ მიუბრუნდეთ ახლა იმ ცნობათა, რომელთა თქმა აღგითქვით დასაწყისში, შესახებ იმ ჩვენის მეზობლებისა, რომელნიც დღეს ოსმალეთ ქვეშევრდომათ ირიცხებიან.*

1 ავტორის მინიშნება: რკინის პალოს უწოდებენ ზღვის პირზედ აშენებულ ბურჯს, რომელიც დღესაც ზღვაში სჩანს ჭანეთის სოფლის ათინას პირდაპირ, აშენებულს ვითომც თამარ მეფისგან.



II

*ამბობენ და მჯერა კიდეც, რომ 1828 წელში, როდესაც უეცრათ მოხდა შერიგება ჩვენსა და ოსმალთა შორის, მაშინ ვითომც, სამხრეთის საზღვრათ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის, დაედოთ ჭოროხის მდინარე; მაგრამ, შეცდომით მოხდა, თუ ევროპიულმა ენამ ვერ გამოსთქვა აღმოსავლეთის ანბანი, ჭოროხი შეეცვალოთი ჩოლოქათ და ნახევარი საქართველო ჩაუვარდა ამნაირათ ხელში ოსმალოს.*

*მართალია, ზოგი იმ მხარისა მანამდიც ეპყრათ ხელთ ოსმალებს და არ იყო დიდიხანი გასული, რაც ქართველები გაეთათრებინათ ძალით, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი, ვგონებ ამ ბოლოს გარიგებაზედ დარჩა იქით, იმ გარიგების დროს, ასე გაშინჯეთ, სახელმწიფო ვენახები და ჭურ-მარანიც კი, რომელნიც ოდესმე გურიის მთავარს ეკუთვნოდა, გაღმა დარჩა და იმ დროს გურიაში სამსახურში მყოფმა სფირიდონ მაჭავარიანმა ცოტა ღვინის გამოტანა ძლივსღა მოასწრო.*

III

*დღეს ოსმალეთში ირიცხება საქართველოს ნაწილისა შემდეგი მაზრები: ქობულეთი, ხინო, ზედა-აჭარა, დაბლა-აჭარა, შავშეთი, არდანუჯი, ლივანა, პარხალი, ფორჩხა, ჩაქვი და ჭანეთი ანუ ლაზისტანი.*

*თუ ეჭვი შეუვა ვისმე, რომ ეს ქვეყნები საქართველოს ნაწილი არ იქნებოდაო, ამის დამრღვეველს საბუთათ ჩამოგითვლით იქაურ მცხოვრებთა ზოგიერთს გვარებს და ზოგიერთის სოფლების სახელებს, რომლებიც დაამტკიცებენ მათს ქართულს ჩამომავლობას:*

*გვარები:*

***ქობულეთში:*** *თამაზიშვილი, თავდგირიძე, ქარცვიძე, ჯაში, დუმბაძე, იმნაიშვილი, გუგუნავა, ბეტუკაშვილი, მაქავანიძე, ხუტულაშვილი, ჭყონია და სხვანი.*

***ხინოში:*** *გეგიძე, დადიანიშვილი და სხვანი.*

***ზედა-აჭარაში:*** *ხიმშიაშვილი, მიქელაძე, იმნაძე, კორინთელი, ნეკეიძე, ბერიძე, შავაძე, ლებიძე, კარჭალიძე და სხვანი.*

***დაბლა-აჭარაში:*** *თავდგირიძე, სურმანიძე და სხვანი.*

***შავშეთში:*** *ერისთავი, ხიმშიაშვილი, თევთიძე, კოპაძე, ბასილიძე, წიქარიძე, ავლიშვილი, გუჯაბაძე, ღოთიაძე, პანჩიძე, ყომაშიძე, სოლაყიძე, საღარიძე, ბერიძე, შალიკაშილი, თურმანიძე, ლასურიძე და სხვანი.*

***არდანუჯში:*** *კავკასიძე და სხვანი.*

***ლივანაში:*** *ათაბაგი, ვაშალიძე, კვირიხიძე (ძველათ მაჭახელას მგალობელი),ზაქარისძე, გვარელაძე, ირემაძე და სხვანი.*

***პარხალში:*** *ღებრაძეები[1]*

***ჩაქვში:*** *ბეჟანიშვილი, ქიქავა, ხალვაშვილი, სამებაშვილი და სხვანი.*

***ბათუმში:*** *შარვაშიძე, ქორქია, კოკაია, ღვამიჩავა და სხვანი.*

***ჭანეთში:*** *მოურავისშვილი, ჟორდანია და სხვანი.*

*თ. რაფიელ ერისთავი*

1 ავტორის კომენტარი: აქ შესანიშნავია, რომ სოფელს ერმენხევში დარჩომილან გაუთათრებელნი ხუთი კომლი და აქვე მოჰყავთ მამაპაპით ერთგვარში ჩამომავალი სამღვდელო პირნი, რომლებიც თავიანთ შვილებს სამღვდელოთა ხდიან ხოლმე; დღესაც მათში არიან: მოხუცებული მღვდელი ანტონ ღებრაძე და იმისიშვილი მღვდელი იოსებ.

IV

*აქ მოგვყავს იმ სოფლების სახელები, რომლითაც იმათ ქართულ ჩამომავლობას კიდევ უფრო ცხადათ დაინახავთ:*

***ქობულეთის მაზრაში:*** *ქაქუთი, ჭახათი, ტყე-მაგარა, ხინო, – (აქ საეპისკოპოსოა; კარგი ეკკლესია ყოფილა ხინო-წმინდელისა), ხუცუბანი, საყდარი თეთრისანი, ქობულეთი, ციხისძირი – ქაჯეთის ციხეს რომ ეძახიან, დაგვა, ზერაბოსელი და სხვანი.*

***ბათუმის მაზრაში:*** *ბათუმი – (ქალაქი; ჩინებული ნავთსაყუდელი, მყუდრო ბოღაზია). ჩაქვი, – გოგირდის თბილი წყლებია აქ და საყდრები დანგრეული, კახაბერი, – ამას ახლავს დიდი ტყეები და სხვანი.*

***ფორჩხის მაზრაში:*** *მარანდიდი, მაჭახელი, ფორჩხა – აქაური მცხოვრებნი კარგნი მენავენი არიან და კაი მეჭურჭლე და მეაგურეები.*

***ლივანის მაზრაში:*** *მდინარის ჭოროხის მარჯვნივ: არტვინი – დიდი ქალაქია, ჭოროხი ჩამოდის აქ და ბათუმამდის სანავეა, ოპიზა – აქ არის ძველი ეკკლესია ივანე ნათლისმცემლისა, სოფორო. – აქ არის ძველი მონასტერი, ჩიმარეყი წყალთბილა, ბერტა, აქ საყდარია. დოლისხანა. – აქ საყდარია; ყურძენი იცის ჩინებული, ტოლგო, ეგლეზე, ვარჟღანი, ვაზარია, სინქოთი. – აქ ვენახებია დაბალ ხეებზედ. ახალდაბა, ბაღინი, თაოსკარი, შუახევი, კლასიკური, ოთინგო, აქ თბილი წყალია გოგირდისა, კინცხურეთი, ზედობა, ხება, იდრიკა, ხინწკანა, ოღნაური და სხვანი.*

*ლივანაშივე, ახლა გაღმა, ჭოროხის მარცხნივ: ორჯოხი, ცხრია, გულჟანი, ნაუცია, ხათილა, ნაღვარევი, ომანა, დამპალი, ნაზნარი, კაპრია, წითლისგარა, ჟღო, სველიანა, კონტრომი, ანჩი. – დიდი ეკლესია, – აქედან ამბობენ წამოსვენებულს პირიღვთისის ხატს, რომელიც ტფილისში, ანჩისხატში ასვენია. ხავთი, ხარავალი, შავგულა, ვართხელი, არაბეთი, ახიზა, მუკერი, ჩარა.*

***არდანუჯის მაზრაში:*** *არდანუჯი – ქალაქია, ციხე და დიდი საყდარი აქვს; მთა ახლავს კორსნია, ფეთობანი, სამიწყალი, გვარაშეთი, ნორგიალი, ჩრდილი, პორტა, – აქ საყდარია, ხერთვისი[1], ლონგოთისხევი, ხევა, გულოშანი, გულიჯე, მეცეკილი, უცოთი, არაშენი, – აქ საყდარია, ტანზოთი, – აქ საყდარია დიდი, ხაპტახორი, ღვიმისხანა, – იტყვიან: აქ ვერცხლის მადანს სთხრიდნენო ძველათ, უნისხევი, ვარტელია, ხემეგროტი, ბაცა, მაცალხეთი, იშკინარი, სახრე, კლარჯეთი, თუნთია, ანაკლია, ბიჟა, ანაკეთი, ანჭკორა, ოპისჭალა და სხვანი.*

***შავშეთის მაზრაში:*** *ყვორილა, ჯინალი, ცლობანი, მიქელეთი, ციხის-ძირი, – ქალაქია. ტბეთი, აქ დიდი ეკლესიაა. წითვეთი, ველი, უხედი, სათლე, – აქ ციხეა და დიდი მონასტერი. ოქროპაგეთი, – აქ ორი დიდი ეკლესიაა. ქუჩენი, რაბათი, ბერია, წეფთა, – აქ დიდი ციხეა მთაზედ, ახალდაბა, – ფრიად დიდი სოფელია. – დაბაკეთილი, მორგელი, წიკლობანი, ციხია, აგარა, სულესი, შავშეთი, შავქედი, სამჭედი, სოფორო, ბალვანა, კოშლიეთი, კვატეტრისი, ვერხნალი, ხანთუშეთი, ცეცხლაური, მოროხოზი, ზენდაბა, ცორცელი იმერხევი, – ფრიად დიდი სოფელია, წეთილეთი, წყალმიერი, იმხრეული, დიობანი, ივეთი, სვირევანი, ჯვარისხევი, უბე, დაბა, ხელწვრილი, დევაძე, ბაზგარეთი, ზაკიეთი, ბელთიეთი, ჩიხორი, ჩხისხევი, ფხიკური და სხვანი.*

***ქვედა აჭარაში:*** *ქედა, საღორეთი და სხვანი მრავალნი.*

***ზედა-აჭარაში:*** *ორჯომი, ჭვანა, ხულა, დიდ-აჭარა, ნიგაზეული, მსხალტა, ბაკო, ხიხოსძირი, ხირხათი და სხვანი.*

***ჯანეთში:*** *გონია, აბუსლა, მაკრიალი, ხოფა, – ხოფის შემავალი სოფლები: ჩხალა, ჭადა, ემშილი და სხვანი.*

*კაპისპირა, არხავე, ვიწე, ათინა, – ეს არის სამძღვარი ძველი საქართველოისა და აქ არის ზღვის პირს ბურჯი, რკინის პალოთ წოდებული.*

V

*უნდა ვსთქვა, რომ, რაც გვარები ჩამოვსთვალე, სულ თავად-აზნაურობის ჩამომავლობას ეკუთვნის და როგორც გვარების, უმეტეს სოფლების სახელწოდებანი ნახევარიც კიდევ არ ვიცი.*

*ამასთან უადგილო არ იქნება ვსთქვა, რომ ყოველს სოფელში არის ეკკლესიის ნანგრევი; ბათუმის მახლობლათ ერთი დიდი ეკკლესია დაუნგრევიათ ოსმალებს, ვითომც იმისთვის, რომ ამ საყდრის თლილი ქვები[1] მასალათ მოუხმარიათ წყლის გაყვანის დროს ქალაქს ბათუმში; იქნება ეს ასე იყოს, მაგრამ უფრო ჰგონებენ იმისთვის დაარღვიესო ეს ეკლესია და სხვანიც ყველა სოფლებში, (საცა კი შეძლეს დარღვევა), რომ მოესპოთ ნიშნები ქრისტიანობისა და ისტორიული.*

*ამავე აზრით ბევრს თურმე ჩამოართვეს საბუთები (ვითომც განსახილველათ და აღარ დაუბრუნეს), რომლითაც ჰქონდათ მათ, ძველათ, ბოძებული ყმა და მამული საქართველოს მეფეებთაგან.*

VI

*ზემო აღნიშნული მაზრები და სოფლები სავსეა მცხოვრებლებით და იგენი რომ შევადაროთ ჩვენს ღუბერნიებს, გამოვა უმეტეს თფილისის და ქუთაისის ღუბერნიებისა, და რადგან თვით ამ უკანასკნელ ღუბერნიებთაგანში ირიცხება უმეტეს ხუთასი ათასი სულისა (ორივე სქესი), მაშ სადმე ოსმალეთის საქართველოში – გაბედვით ვიტყვი – უნდა იყოს უმეტეს ერთის მილიონის ქართველის ჯიშისა, რომელნიც დღეს ლაპარაკობენ ქართულათ[2], ჩაცმა და ჩვეულება აქვთ ქართული, მხოლოთ ოსმალურს ფესკას კი იხურავენ თავზე და წვიმაში ჩაბალახს ხმარობენ. ენა მათი არის წმინდა ძველებური ქართული და სახე მოგაგონებთ საქართველოს მიწის შვილს.*

*ხალხია ფრიად ახოვანი, ღონიერი და გულადი.*

*მდებარეობა ადგილისა – მთიანი, გარდა ზღვის პირისა, და ამისათვის ცუდგზოვანი; ჰაერი კარგი.*

*ნაყოფი მრავალი, გარდა მაღალი მთებისა, სადაც მხოლოდ ქერი და ცერცვი მოდის და ამ უკანასნელისგან აკეთებენ ზოგიერთს ადგილს მჭადებს და იმასა სჭამენ.*

*მდინარენი არიან ჩქარნი, წმინდანი და სავსე თევზითა.*

*ამ წყალებზედ აშენებული თლილის ქვის ხიდები გააშტერებენ კაცს სიდიდითა, სილამაზითა, სიმტკიცითა და მით უფრო, რომ უთაღონი არიან, ასე რომ შორიდამ რკინის ხიდი ეგონება კაცსა.*

VII

*აქაურნი მცხოვრებნი, რომელსაც კი ჰკითხოთ, გეტყვიან სახელებს: თამარ-მეფისას და ერეკლესას; სხვა საქართველოს მეფეებისა კი აღარა ახსოვთ რა.*

*ზოგიერთმა მათგანმა იციან ქართული წერა-კითხვა და დიდი სურვილი აქვსთ, რომ ამ ენის მასწავლებელი იყოლიონ თავიანთ შვილებისათვის; თხოულობენ, მაგრამ ვერ უშოვნიათ,*

1 ავტორის კომენტარი: ახალციხის უეზდში რომ ხერთვისია, იმაში ნუ არევთ.

1 ავტორის კომენტარი: იმ ქვებზედ ზოგიერთებზე ქართულათ ზედწარწერილებიც ყოფილა.

2 ავტორის კომენტარი: მხოლოთ ოცი ათასი მოსახლე ლაზები კი ლაპარაკობენ მეგრულს

*ვერც ოსტატი და ვერც წიგნები.*

*ვითომ რა მამაკვდინებელი ცოდვა იქნება, რომ ეს თხოვნა და სურვილი შუესრულოს ვინმემ იმ ხალხსა, რომელსაც დიდი სიყვარული აქვს ქართველებისა და საცა ქართველის სახელს გაიგონებენ, ან ნახამს მას, უკიდურესს აღტაცებას მიეცემა ხოლმე?*

*ერთს ფაქტს მოგახსენებთ: ქობულეთსა და აჭარაში გადასულიყო ერთი რაჭველი მესტვირე; დიდი და პატარა, ქალი და კაცი ამ საზანდარს შამოჰხვეოდა; დიდის სიამოვნებით და აღტაცებით უგდებდნენ თურმე იმის სიმღერებს ყურს, აძლევდნენ საჩუქარს და საცა ლხინი და მეჯლიში იყო, ან მუშაობა ნადით, მესტვირეც იქა ჰყავნდათ ხოლმე. გაუტკბა საზანდარს იქაურობა, შამოიარა თითქმის მთელი ის ქვეყნები და აღარ ისურვა დაბრუნება: იქვე მოკვდა.*

*ძველებურის სიმღერების, ლექსების, ისტორიის მასალების და სხვა ამ გვარების შემკრებლებს ურჩევთ გაისეირნონ ოსმალეთს საქართველოში: იმათი შრომა უნაყოფო არ დარჩება.*

თ. რაფიელ ერისთავი

წერილი საინტერესოა იმ კუთხით, რომ მრავლადაა მოწოდებული ფაქტობრივი, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ინფორმაცია მოსახლეობის, მათი კულტურის, ენობრივი გარემოსა და ისტორიული მეხსიერების შესახებ. რაფიელ ერისთავი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ოსმალეთის შემადგენლობაში მოქცეულ სამხრეთულ საქართველოს მხარეებში (აჭარა, შავშეთი, არტანუჯი, ლივანა, ბორჩხა, ჭანეთი და სხვა) მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ეთნიკურად ქართველია. არიან *ქართველის ჯიშის*, აქვთ ქართული გარეგნობა, ზედმიწევნით იცავენ ტრადიციებს, და რაც მთავარია, ჯერ კიდევ ფლობენ ქართულ ენასა და კულტურულ მეხსიერებას. ავტორი მოსახლეობის რაოდენობასაც ასახელებს, ეს დაახლოებით ერთი მილიონი ქართველია, რაც იმდროინდელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ციფრია. მოსახლეობის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება სრულ შესაბამისობაშია ქართულ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან. მიუხედავად ისლამის გავლენისა (განსაკუთრებით აჭარასა და ჭანეთში), ***ცნობანი ოსმალოს საქართველოს შესახებ*** ნათელს ხდის, რომ ოსმალოს საქართველოში ქრისტიანობა უმთავრესი რელიგიაა და მოსახლეობა კვლავაც ქართულ ენაზე მეტყველებს. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი, მომავალმა თაობებმა იცოდნენ მშობლიური ენა.

- **1878 წელი. გაზეთი დროება. № 239**

***სადილი ახლად-შემოერთებული ქართველებისათვის***

რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ, საქართველომ აჭარა, ართვინი და არტაანი დაიბრუნა. ამ მონაპოვარის აღსანიშნავად, 1878 წლის 22 ნოემბერს, თბილისში საზეიმო სადილი გაიმართა. საზეიმო სადილის შესახებ ინფორმაცია სათაურით ***სადილი ახლად-შემოერთებული ქართველებისათვის*** გაზეთ *დროების* ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ამ საგაზეთო წერილმა შემოინახა, ეროვნულ წიაღში დაბრუნებულ გამაჰმადიანებულ ქართველ სტუმართა პატივსაცემად გრ. ორბელიანის, ალ. ზუბალოვის, დ. ყიფიანისა და აკ. წერეთლის სადილზე წარმოთქმული სიტყვები (*დროება*, 1878, № 239).

მართალია, რაფიელ ერისთავი ამ წერილში საერთოდ არ იხსენიება, მაგრამ *ოსმალოს საქართველოს* საკითხის კვლევისათვის წერილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც პირველწყაროს გაცოცხლება, საჭიროდ მივიჩნიეთ და სრული სახით ხელახლა ვაქვეყნებთ.

*რამდენთამე ქართველთა და მათ შორის ყველაზე პირველად უფ. დ. ი. ყიფიანს მოუვიდათ თავში ჩინებული ჰაზრი, რომ მოიპატიჟონ დეპუტაციათ ჩამოსული ოსმალოს საქართველოს ქართველები და, სხვით თუ არაფრით, ერთად, ძმურად პურის-ჭამით, საზოგადო სუფრაზე ამთავით მაინც დაუმტკიცონ მათ თავის თანაგრძნობა და სიყვარული.*

*დიდის სიამოვნებითა და სიხარულით მიიღეს თფილისის ყველა ქართველებმა ეს ამბავი და ამ ორშაბათს მართლაც ამ მიზნით გამართული იყო სადილი მუხრანსკის სახლებში, კლუბის დიდს ზალაში.*



*ორ საათზე საზოგადოებამ დაუწყო მოგროვება. სამზე ამ დიდს ზალაში მოგროვილი იყვნენ ყველანი, ვინც კი ამ ჩვენს დედა-ქალაქში წარჩინებული და გამოჩენილი არიან თავისი ჭკუით, შთამომავლობითა და ჩინებით.*

*მასპინძელთ რიცხვი იყო სულ ოთხმოცდაათ კაცამდინ; ამათში ერივნენ: თ. გრ. დ. ორბელიანი. კ. ქ. მამაცაშვილი, თ. ი. ა. ანდრონიკოვი, თ. დ. დ. ჯორჯაძე, დ. პ. ფურცელაძე, ღენერლები: თ. გ. სუმბათოვი, ა.საგინოევი, თ. ის. თუმანოვი, კობიევი, ტერ-ღუკასოვი და სხვ. ქართული ლიტერატურის წარმომადგენელნი თითქმის ყველანი იყვნენ, გარდა ილ. ჭავჭავაძისა, რომელიც ამ ჟამად ქალაქში არ იმყოფება; იყვნენ: თ. აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ი. კერესელიძე, პ. უმიკაშვილი, ნ. ავალიშვილი, დროების რედაქტორი და სხვ. და სხვ.*

*სტუმრები სულ-ყველანი იყვნენ – 16 კაცი; საკუთრივ დეპუტაციის გარდა იყო აგრეთვე ღენ.-მაიორი შეიფ-ბეგი ხიმშიაშვილი.*

*სწორეთ სამ საათზე სინოვაგეს მოთავემ უფ. დ. ი. ყიფიანმა მოიწვია საზოგადოება სუფრაზე, რომელიც სამის მხრით იყო გამართული. შუაში დაბრძანდა თ. გრ. დ. ორბელიანი; მას მოუსხდნენ: მარცხნივ ჰუსსეინ-ბეგ ბეჟანოღლი, მარჯვნივ შერიფ-ბეგი ხიმშიაშვილი; შემდეგ მარცხნივ იჯდა ნურიბეგ ხიმშიაშვილი, მარჯვნივ ჰუსსეინ-ბეგი აბაშიძე, ჰასსან-ბეგ ბეჟან-ოღლი, მუფთი-ეფენდი სურმანიძე, ართვინის დეპუტატები, მღვდლები და სხვ.*

*შუა-ჭამაზე, როდესაც შამპანის ღვინო შემოიტანეს თ. გრ. დ. ორბელიანი სავსე სტაქანით ხელში წამოდგა და წარმოსთქვა შემდეგი ჩინებული, გრძნობით სავსე სიტყვა:*

**თ. გრ. ორბელიანის სიტყვა**

*ბატონებო!*

*რა მოასწავებს დღეს ჩუენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო, განშრებულნი, დიდს ხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, – ანაზდეულად, მოულოდნელად, შეჰხუდენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა.*

*ჩუენცა ეგრეთუ საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩუენნი ძმები. თვალი, გული გვეჭირა თქუენკენ, ბატონებო და ვენატროდით, როდეს აღმოვა ჩუენთვის მზე შეერთევისა! (საზოგადოებაში მოისმის გაცხარებული ტაშის-კვრა).*

*და აი, გვისმინა ღმერთმანცა და დღეს ჩუენ შორის ვხედავთ დაშორებულთა ძეთა და მოხარულნი ვჰმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩუენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად!... და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიც, უნდა ვიყუნეთ ჩუენ ერთად, ვითარცა ერთნი დედა საქართველოს შვილნი.*

*„მაგრამ, ბატონებო, ვინ არის, ღვთის გარდა, მიზეზი ესრეთი ჩუენის გაბედნიერებისა? ყოვლად-მოწყალე დიდი იმპერატორი, აღმადგენელი და მფარველი ძელისა ივერიისა! და კურთხევაცა ღუთისა მოუფინოს დიდებულსა გვირგვინოსანსა თავსა მისსა მრავალ და მრავალჟამიერ, საბედნიეროდ დიდისა მას იმპერიისა.*

*„ბატონებო! ღმერთმან გვიდღეგრძელოს ჩუენი იმპერატორი „არავის არ შეგვენატროსა“ ! ურრრაააა?“*

*ამ სიტყვების შემდეგ ხანგრძლივი ურა დიდხანს არ შეწყვეტილა საზოგადოებაში.*

*თ. გრ. ორბელიანის შემდეგ წარმოდგა უფროსი წევრი დეპუტაციისა ჰუსსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი და წმინდა ქართულის ენით, რამდენიმე სიტყვით, წარმოსთქვა სადღეგრძელო დიდის მთავრისა კავკასიის ნამესტნიკისა.*

შემდეგ წარმოდგა უფ. ალ. ზუბალოვი და სთქვა:

**უფ. ალ. ზუბალოვის სიტყვა**

*მოწყალნო ხელმწიფენო!*

*რაც უნდა მძიმე ხვედრი შეხვდეს ხალხსა, საზოგადოებასა, თუ ბოლოს ყოველივე კარგათ გათავდება, დიახ კაცმა მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა.*

*შემდგომ მრავალწლის ჩხუბისა, სისხლის ღვრისა და სიმძლვარისა ორთა ხალხთა შორის, რუსეთის და ოსმალოს საქართველოისა, მიუხდომელმა განგებამა ისე მოიყვანა საქმე, რომ დღეს ეს ორი ჩამომტერებული ხალხი ერთათ შეყრილნი ვართ სუფრაზე და ვდღესასწაულობთ განხეთქილობის მოსპობას ჩვენ შორის, ჩვენს ძმურათ შეყრასა და „ძველებურათა ჩვენებურათა“ – იმ კაის გულითა, რომელსაც როგორც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, ისე თქვენშიც ვეგულებით.*

*ძველათ, დიახ მრავალგვარი სიმდიდრე და სიკეთე ჰქონია საქართველოსა და ეხლა ერთ-ღა მაინც საუნჯე კიდევ გვაქვს უნაკლულოთ, ესე იგი კაი გული, ის გული, რომელიც ყოველთვის აღძვრის თავგანწირულობით ყოველ საზოგადო კეთილ საქმეზედა ძმურის სიყვარულისათვის.*

*ამ გვარ თვისებისა გამო ჩვენის გულისა უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა ნებით თუ უნებურათ, ხომ ჩვენი ხართ, და რა გავიცანით ერთმანეთი და რა კიდევ უფრო ერთმანეთში უკეთ გავიცნობთ, მაშინ, უეჭველია, სულ ჩვენი იქნებით, ერთნი ვიქმნებით და ერთათ გავსწევთ უღელსა საზოგადო წარმატებისათვის!...*

*მაგრამ ვის ჰმართებს კიდევ ქება და პატივი ამ ჩვენი შეერთებისათვის? ბატონებო, სტაქანები დაამზადეთ! ეს ქება და პატივი დიახ გვმართებს, რომ უძღვნათ ძრიელ რუსეთის ხალხსა! და ეს სადღეგრძელო იყოს პატივ-ცემისათვის რუსეთის ხალხისა ურაააა!*

უფ. ა. ზუბალოვის შემდეგ ილაპარაკა უფ. დ. ი. ყიფიანმა, რომელმანც სთქვა შემდეგი სიტყვა:

**უფ. ფ. ყიფიანის სიტყვა**

*დღევანდელისთანა დღე დიდი ხანია სანატრელი იყო ჩვენთვის. ორიოდ სიტყვა მომახსენიებინეთ ამისი განსამარტებელი. ერთხელ საქართველოც ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზედ გვემოწმებიან – ერთის მხრივ გმირული საისტორიო საქმეები, რომელსაც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთის სახელისა, როგორც, მაგალითად ვახტანგ გორგასლან, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი თამარ მეფე; – მეორეს მხრით გვემოწმებიან ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოსაკითხავები, როგორიც, მაგალითად, ციხე-სიმაგრეები და ტაძრები შიგნით, და ტაძრები გარეთ, დიდის სიშორიდამ რომ მოგვითხრობენ ქართველების ქველობასა და ღვთისმოყვარეობას, – ათონის მთიდამ, მაგალითად, იერუსალიმიდამ.*

*ბუნების გამომძიებლობით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრავი არა არის რა და არც ჩვენი ერთობა და სიმაგრე მდგარა უძრავად. დროთა ბრუნვაში სხვა-და-სხვა შეტაკება მომხდარა ერთი ისეთიცა, რომ დაურღვევია ჩვენი გვარ-ტომობითი კავშირი, – და ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაური ქართველებს იქაური ქართველებისა არა გსვემია რა, – ისინი ჩვენთვისა სწუხდნენ, ჩვენ იმათთვის; – ჩვენ იმათი აღარა ვიცოდით-რა, იმათ ჩვენი.*

*„მან იცის კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, ჩვენ რომ დიდებულის რუსთ სახელმწიფოსათვის არ მიგვენდო თავი. იმის მღთიურმა ხალხმთათვის მრუნვამ მოგვამადლა ეს შეერთება ამდენის ხნის დაშორებულებსა. როგორც კნიაზმა გრიგოლ დიმიტრის ძემ წარმოთქვა, მისი დიდებულების უქვეშევრდომილესს მადლობას განუზომელათა ვზდით ჩვენს გულში და რადგან ახლა აგვიხდა სამას-წლეული ნატვრა, ვისურვოთ, კნ. გირგოლის სიტყვისამებრ, სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილის კავშირისა უკუნისამდე, – და ამ ჩვენს ძველს მოძმეებს რომ თვალითა ვხედავთ და ძმურის სიყვარულით შევჰხარით, შევსვათ სადღეგრძელო იმათი!“*



*ეს ჩინებული სიტყვაც დიდის აღტაცებით მოისმინა საზოგადოებამ.*

*მაგრამ ყველაზე მომატებული შთაბეჭდილება მოახდინა და ყველაზე მომატებული აღტაცება გამოიხმო თ, აკაკი წერეთლის შემდეგმა სიტყვამ:*

**თ. აკაკი წერეთლის სიტყვა**

*ბატონებო!*

*ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირათ დავსწრებივართ ქართულ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულ-გახსნილობა ყოფილა.*

*მაგრამ ისიც კი არ დაგვრჩენია შეუნიშნავად, რომ ხან-და-ხან იმ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს ჭმუნვის ღრუბელი გადაკვრია; თითქოს იმათ იმ დროს რაღაცა სწყვეტდათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღასაც ისაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზედ!...*

*დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ სხვა გვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო!*

*და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითოეული თქვენგანიც კარგათა გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა-ვითარებისაგან დაშორებულის ჩვენის იმ მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელ-ახლათ ჩვენთან შამოერთება და ძმურად შეკავშირება.*

*დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ არ გაგვიფუჭებია!*

*და რა იყო ბატონებო ის ანდერძი?*

*...აქ მე ნამეტანს არ ვიტყვი.. ეს ანდერძი იყო: დედა-ენა და ერობა! ამაების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევიათ და დიდი მსხვერპლი შეუწირვიათ ჩვენ ნეტარ-სახსენებელ მამა-პაპებს.*

*პირველი, ე. ი. ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არა-თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელნიც რამოდენიმე საუკუნოების განმავლობაში დაშორებულები გვყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროთ.*

*მეორე ე.ი. ერობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთ გვარად აუბეჭდავთ როგორც გარეგანის ისე შინაგანის საკუთრად ქართველს ერის საკუთვნელ ნიშნებათ, რომ დღესაც ქართველი ერის შეხედვისა-თანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენ მოძმეებსაც; ამის დასამტკიცებლათ შორს ნუღარ წავალთ, საკმაოა, რომ აქვე, ამ სუფრაზედ, მივიხედ-მოვიხედოთ.*

*ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქედაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენ შორის ძმური კავშირი თურმე არაოდეს არ ყოფილა მოშლილი!...*

*დიახ, დღემდი თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივსცემთ ერთმანეთს ხელს, დავადგებით ერთს გზას და მივმართავთ ერთს მიზანს.*

*აქ ესეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ იმ ჩვენ სამაგალითო მამა-პაპებს სხვათა შორის ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ: მტრის და მოყვრის პასუხისგება! მისგანაც კი რამ კეთლი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ.*

*ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადებს და ვინც ავვისრულებს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დაუმტკიცოთ სიყვარული...*

*თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვა-*

*ლდახუჭული...*

*მზათ ვიყოთ, რომ ბედს, საიდამაც უნდა მოდიოდეს, კარი გავუღოთ, – და უბედობას ვეწინააღმდეგოთ!*

*ეს იქნება ამ ანდერძის სისრულეში მოყვანა!...*

*მაგრამ, რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დრო და ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენის შვილების გამოზრდა... მივცეთ გზა განათლებას. და შემდეგ მათ ენერგიასა და ცოდნას მამებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენ წინაპრებთან პირ-შავათ არ დავრჩეთ...*

*ხანგრძლივი ბრავოს და ურას ძახილითა და ყვირილით დააჯილდოვა ჩვენი ჩინებული, ნიჭიერი პოეტი საზოგადოებამ ამ სიტყვების თქმისათვის, რომელშიაც იმან ასე მარტივად და ამავე დროს ასე ღრმა გრძნობით გამოხატა ის, რაც თითოეულს ჰქონდა გულში. ყველანი მიდიოდნენ თ. აკაკი წერეთელთან და ულოცავდნენ ამ მშვენიერი სიტყვის წარმოთქმისათვის და თან მადლობას სწირავდნენ...*

*სადილი ამით გათავდა. ყველანი წამოდგნენ სუფრიდამ. მაგრამ სანოვაგე კი ჯერ არ გათავებულა: ნასადილევს დიდხანს იყო კიდევ ლეკურისა და დავლურის თამაში, თვითონ დელეგატებმაც კი ითამაშეს თავიანთებური ფერხული, რომელიც, უეჭველია, ჩინებული გრაციოზული თამაში უნდა იყოს. სუფრაზე და სუფრის შემდეგაც იყო ქართული სიმღერა, მრავალ-ჟამიერ და სხვ.*

*ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა საზოგადოება და ლაპრაკობდნენ, სჯიდნენ; ყველასათვის სალაპარაკო საგანი იყვნენ ახლად შემოერთებული ქართველები; ყველასი ყურადღება აქ მყოფ იმათ წარმომადგენლებზე იყო მიქცეული. ერთს გროვაში მოიგონეს ის პირნი, რომელთაც პირველად დაიწყეს ამ ოსმალოს საქართველოს გაცნობა და დალიეს სადღეგრძელო ჩვენი ლიტერატურის პატივცემულ მოღვაწისა და უფ. დ. ბ. ბაქრაძისა, აგრეთვე თ. აკ. წერეთლისა, თ. გრ. გურიელისა, რომელიც საუბედუროთ ამ მისთვის სასიამოვნო დღეს არ დასწრებია აქ, უფ. გ. ნ. ყაზიბეგსა და სხვ.*

*მეშვიდე საათზე საზოგადოებამ დაიწყო დაშლა. ერთი აქ დამწრე პირთაგანი ვერ ვნახეთ ჩვენ, რომ სიამოვნება და კმაყოფილება არ ჰქონოდეს სახეზე გამოხატული. როგორც ჩინებულად ამბობს აკაკი ჭმუნვის ღრუბელი აქ არავის ჰქონდა სახეზე გადაკრული. ყველას თითქო რაღაც ეპოვნოს, თითქო რაღაც შეეძინოს, ისე იყვნენ გახარებულნი და პირნათელნი. და მართლაც ესე იყო; ჩვენ ვიპოვნეთ ჩვენი დაკარგული ძმები; ჩვენ ახლად შევიძინეთ ჩვენი თანამემამულენი, რომელნიც შავ ბედის ბრუნვისაგან თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში გვყავდნენ მოშორებულნი, გაცალკევებულნი; ჩვენ ისინი შევიძინეთ, იმათ ჩვენ შეგვიძინეს. ამ დღეს საქართველოს შვილნი განაწილებულ საქართველოს შეერთებას ვდღესასწაულობდით. ეს იყო ჩვენი მხიარულებისა და ნეტარების უმთავრესი მიზეზი. ამით აქვს ამ დღეს – 1878 წლის 20 ნოემბერს ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობა!...*

ს.მ

- 1878 წელი. გაზეთი დროება. № 173

დროების ამ ნომერში ქვეყნდება რაფიელ ერისთავის წერილი ***ნაცვლად ნეკროლოგისა.*** წერილი ეძღვნება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ-ის საომარი მოქმედებების დროს ფრონტის ხაზთან, არტაანში, საქველმოქმედო მიზნით, მოწყალების დად წასულ და უდროოდ დაღუპულ რაფიელის დას – ანა ერისთავ-ჭავჭავაძეს. წერილი კიდევ ერთი მტკიცებულებაა ამ პერიოდის ქართული საზოგადოებისათვის, მათ შორის ქართველი ქალებისათვის, ოსმალოს საქართველოს საკითხის ეროვნული მნიშვნელოვნებისა. მასში კარგად ჩანს მგლოვიარე მწერლის პროგრესული აზროვნება, მისი *ქალთა სქესის* საზოგადოებრივ-საქველმოქმედო აქტივობისადმი დადებითი დამოკიდებულება.

- 1882 წელი. გაზეთი დროება. №126

1882 წლის 6 ივნისს შედგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრება, რომელსაც რაფიელ ერისთავიც ესწრებოდა. ერთ-ერთ საკითხად განხილული იყო ბათუმში სკოლის არსებობის მიზანშეწონილობა. ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების წევრებმა თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს. ეს მოსაზრებები საინტერესო წყაროა *ოსმალოს საქართველოს* ქართულ წიაღში დაბრუნების შემდგომი ვითარების კვლევის თვალსაზრისით. ამ სხდომაზე რაფიელ ერისთავი გამოვიდა შემდეგი სიტყვით: *თუ აქამდე სკოლა ვერ გამაგრდა, ეგ კიდევ არაფერია... იქაც ეხლა ძლივს დამკვიდრდა ხალხი წასასვლელი ვინც იყო, წავიდა, დარჩენილი დარჩა. ახლა გვიჭირს და უჭირთ იქ სკოლა. ბაირაღი გაგვიშლია სკოლისა და ნუ უკვე სირცხვილეულნი უნდა დავბრუნდეთ უკანა. გრიგოლ გურიელი უწინავე, როცა ჯერ არ შემოგვიერთებულიყვნენ მაჰმადიანი ქართველები, მთხოვდა ოსტატი და წიგნები გამოგვიგზავნეთო და ეხლა, როცა შემოგვიერთდნენ – ახლა, როცა სკოლაც გვაქვს დამყარებული, ცოტად მაინც არის, ახლა უნდა მოვსპოთ იქ სკოლა.*

რაფიელ ერისთავის პირად არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩვენ დაგვხვდა მხოლოდ ერთი საქაღალდე, ნომრით 137/156. სხვა სამეცნიერო წყაროებში მითითებულ მასალაში (№ 140, 142, 149, 150, 161. 2), სამწუხაროდ, რელევანტურ შინაარსს ვერ მივაკვლიეთ.

## დასკვნა

როგორც ვხედავთ, ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები, ისევე, როგორც, ზოგადად, ქართული საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება 70-80-იან წლებში მიმართული იყო სამუსლიმანო საქართველოს ქართველობისადმი. მნიშვნელოვანი იყო ახლადშემოერთებული ტაოსა და აჭარის მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, მოსახლეობაში სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, ენის, როგორც, კულტურისა და იდენტობის მთავარი მახასიათებლის გაძლიერება. ამისთვის კი, ის მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, იქნება ეს ეთნოლოგიური კვლევები, პუბლიცისტიკა, პოეზია, საზოგადოებრივი აქტივობა – მიმართული იყო მხოლოდ ერთი მიზნისკენ – დედასამშობლოს მოწყვეტილი ქართველობა ისევ თავის ისტორიულ წიაღს დაბრუნებოდა.

რაფიელ ერისთავი აქტიურად ჩაერთო ოსმალეთის მიერ დაკავებული საქართველოს ისტორიული რეგიონების შესწავლის, ისტორიული სამშობლოს წიაღში დაბრუნების პროცესში, რაც გულისხმობდა მაჰმადიან ქართველებში ეროვნული ღირებულებების გაღვივებას მათი კულტურულ და საგამანათლოებლო პროცესებში ინტეგრირების საშუალებით. მისი არქივიდან და გაზეთ დროებაში გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, რომ ის ერთ-ერთი პირველია, ვინც დიდი ყურადღება მიაქცია ისტორიული ტაოს, ჭანეთის, შავშეთის, აჭარისა და სხვა რეგიონების გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და კულტურულ აღწერას. მიუხედავად იმისა, რომ ერისთავის პირადი მოგზაურობის მტკიცებულება არ არსებობს, შესაძლებელია, რომ იგი გიორგი გურიელის ჩანაწერებს ეყრდნობოდა. მისი ხელნაწერები, მათ შორის სათაურით *ცნობანი შესახებ იმ საქართველოს ნაწილისა, რომელიც დღეს ოსმალოს უპყრია*, ბევრ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს: დასახელებულია ძველი ქართული დასახლებები, აღწერილია ქართველთა ცხოვრების წესი, ენა, ტრადიციები, რელიგიური მდგომარეობა და მმართველობის ფორმები. ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომის დაწყებისას გამოქვეყნებულ წერილში ერისთავს განსაკუთრებული ტკივილით აქვს გადმოცემული სამშობლოსგან მოწყვეტილი ქართველების მდგომარეობა. ის ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ამ მიწებზე მცხოვრებნი კვლავ ინარჩუნებდნენ ქართულ იდენტობას – ენის, ჩაცმულობისა და კულტურის დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალურმა ზეგავლენამ გარკვეული ცვლილებები მოიტანა. მნიშვნელოვანია, რომ ავტორი ცდილობს საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსთვის წარმოაჩინოს, რომ ეს რეგიონები ქა-

რთული ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია და იქ მცხოვრებ ხალხს დარჩენილი აქვს კავშირი ქართულ ფესვებთან.

## ბიბლიოგრაფია:


ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამდ. I (1940). ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით. თბილისი.

აკაკის ფონდი დოკ. № 2173 / 965, გამოქვეყნდა „აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა“. (2010). თბილისი.

გაზეთი *კავკაზი*,1854. № 93

გაზეთი *კავკაზი* ,1854. № 94

გაზეთი *კავკაზი*, 1854. № 95

გაზეთი *კავკაზი*, 1856. № 8

გაზეთი *ივერია*, 1877. №№ 10, 11. ტფილისი.

გაზეთი *დროება*,1877. № 137, 6/IX , ტფილისი.

გაზეთი *ივერია*, 1877. № 5 /V. ტფილისი.

გაზეთი *ივერია*, 1877. № 10. 5 /V. ტფილისი.

გაზეთი *დროება*, 1875. № 76. ტფილისი.

გაზეთი *ივერია*,1877. № 9. ტფილისი.

გაზეთი *დროება*,1875. №№ 80,81. ტფილისი.

გაზეთი *დროება*,1878. № 239. ტფილისი.

გაზეთი *დროება*,1882. № 126. ტფილისი .

რადე, გ., (2018). *ოსმალოს საქართველოს შესახებ*. თბილისი. *არტანუჯი*.

ყაზბეგი, გ.,(1995). *სამი თვე თურქეთის საქართვლოში*. ბათუმი. აჭარა.

წერეთელი, აკ. , (1960). *თხზულებათა სრული კრებული* 15 ტომად, ტ.11, თბილისი.

ჭიჭინაძე, ზ.,(1911). *ისტორია ოსმალეთში ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი*. ბათუმი.

ვაშაყმაძე, შ., (1962). *რაფიელ ერისთავი*

ჯაგოდნიშვილი, თ., (1986). *რაფიელ ერისთავი*

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის არქივი № 137/150

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის არქივი, № 29 /№ 56 , № 458, 1876 წ, 30 აგვისტო.



*თეა მეშველიშვილი*
ისტორიის დოქტორი,
საქართველოს უნივერსიტეტი

*Tea Meshvelishvili*
PhD in History
University of Georgia
ORCID-ID: 0009-0005-5556-6970








ბერლინის სამშვიდობო შეთანხმების მიხედვით ოსმალეთსა და მეფის რუსეთს შორის კავკასიის საზღვარი (13 ივლისი 1878)
თურქეთის შეიარაღებული ძალების ისტორია, 1985. ანკარა



ყირიმის ომში გაერთიანებული ჯარის მთავარსარდლები მარშალი სენტ-არნო, ექრემ ომერ ფაშა, ლორდი რაგდანი
თურქეთის შეიარაღებული ძალების ისტორია რუსეთ-ოსმალეთის ყირიმის ომის კავკასიის ფრონტი (1853-1856). 1986, ანკარა




აღმოსავლეთ ანატოლიის კავკასიის ფრონტის გეოგრაფიული მდგომარეობა
თურქეთის შეიარაღებული ძალების ისტორია, რუსეთ-ოსმალეთის ყირიმის ომის კავკასიის ფრონტი (1853-1856). 1986, ანკარა.



# რაფიელ ერისთავი – კავკასიის მუზეუმის პირველი კურატორი

## აბსტრაქტი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი მოვლენა, რომელშიც ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რაფიელ ერისთავს მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანა. შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამოცი წლის მანძილზე იგი უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების, კავკასიური მუზეუმის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული თეატრის, იმ პერიოდის ჟურნალ -გაზეთების დაარსებასა და საქმიანობაში.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა მრავალმხრივია. იყო: პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, პუბლიცისტი, ეთნოლოგი, ისტორიკოსი, მთარგმნელი, ბოტანიკოსი... მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების, ასევე ქართული ფოლკლორის შესწავლის საქმეში.

პუბლიკაცია ეხება *რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან* დაარსებულ მუზეუმში რაფიელ ერისთავის მოღვაწეობას 1855-1861 წლებში. ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ამავე მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციების არქივებში მოძიებულ XIX საუკუნის დოკუმენტების, აგრეთვე ამავე პერიოდის საინვენტარო დავთრებისა და კატალოგების შესწავლის შედეგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა *კავკასიური მუზეუმის* განვითარებისა და წინსვლის საქმეში, მისი *ეთნოგრაფიული* და *ისტორიული კაბინეტების* მოწყობაში.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; კავკასიური მუზეუმი; პირველი კატალოგი; ეთნოგრაფიული კოლექცია.

# RAPHIEL ERISTAVI – THE FIRST CURATOR OF THE CAUCASIAN MUSEUM

## ABSTRACT

In the second half of the 19th century, there was scarcely an event in Georgia's cultural and public life to which the renowned writer and public figure, Raphiel Eristavi, did not make a significant contribution. Over the course of his sixty years of creative and public work, he was directly involved in the establishment and activities of the Caucasian Department of the Russian Geographical Society, the Caucasian Museum, the Society for the Spread of Literacy, the Georgian Theatre, as well as the creation and operation of periodicals and newspapers of the time.

Raphiel Eristavi's work is multifaceted – he was a poet, playwright, lexicologist, publicist, ethnologist, historian, translator and botanist. His contribution to the establishment and development of the Georgian ethnographic school, as well as his work in the study of Georgian folklore, is of great significance.

This publication focuses on Raphiel Eristavi's work at the museum established under the Caucasian Department of the Russian Geographical Society during the years 1855-1861. Based on available scholarly literature, 19th-century documentation found in the archives of the Simon Janashia Museum of Georgia and its history and ethnography collections, as well as the study of inventory books and catalogs from the same period, it can be confidently stated that the renowned writer and public figure played a significant role in the development and advancement of the Caucasian Museum, particularly in the organization and curation of its ethnographic and historical cabinets.

As a member of the Caucasian Department of the Russian Geographical Society, founded in Tbilisi in 1851, Raphiel Eristavi actively contributed to the society's publications by submitting ethnographic studies and fieldwork reports. This affiliation played a key role in the founding of the Caucasian Museum in 1852. Eristavi was later invited by the museum's director, V. A. Sologub, to oversee the registration and classification of the museum's collections, as well as to assist in developing its ethnographic and historical exhibitions. His meticulous cataloging methods and dedicated efforts significantly enriched the museum's ethnographic holdings – setting a standard that even later cataloging initiatives by Gustav Radde did not surpass.

Notable was Eristavi's hands-on approach to acquiring museum artifacts, favoring personal field exploration and direct engagement with local communities over the conventional practice of collecting rare items. His dedication to ethnographic research also extended to archaeological excavations in Anaklia, with the recovered artifacts subsequently incorporated into the museum's collection. Through his active participation in the Museum's and the Department's initiatives throughout the 1860s, Eristavi earned recognition both from the Caucasian Museum and the Russian Geographical Society. His contributions significantly advanced the Ethnographic Cabinet of the Caucasian Museum, establishing it as the Russian Empire's leading regional center for ethnographic study.

**Keywords**: Raphiel Eristavi; Caucasian Museum; the first Museum catalog; etnnographic collection.



## შესავალი

XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან კავკასიაში რუსეთის იმპერიის დამპყრობლური მმართველობა მოქნილი და შედარებით ლმობიერი გახდა. რუსეთი ცდილობდა იმპერიული მიზნები შენიღბულად, თითქოსდა ქართველ ხალხზე ზრუნვად წარმოეჩინა. ამ ახლებური პოლიტიკის გამტარებელი მეფისნაცვალი *მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვია*. მიხეილ ვორონცოვის მეფისნაცვლობის პერიოდში (1844-1854 წწ.) ბევრი მნიშვნელოვანი კულტურული და სამეცნიერო ღონისძიება განხორციელდა. მის სახელსვე უკავშირდება 1850 წელს თბილისში *რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების* დაარსება, რომლის მიზანიც კავკასიის გეოგრაფიული, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული კვლევა, ფლორის და ფაუნის შესწავლა იყო (ჩხაიძე. 2001:73).

*გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების* საქმიანობაში რუსეთის იმპერიის მოხელე-მკვლევარების გვერდით, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმ დროის ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: *გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი*... რაფიელ ერისთავი ამ საზოგადოების ნამდვილ წევრად, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 1854 წელს აირჩიეს (ჩხაიძე. 2001:72).

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრობა რაფიელ ერისთავს საშუალებას აძლევდა ორგანიზაციის ჟურნალებსა და პერიოდულ გამოცემებში *(ტფილისის უწყებანი, კავკაზი, კავკასიის სიძველენი, კავკასიის კალენდარი)* გამოექვეყნებინა ეთნოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციები, საველე თუ საექსპედიციო მუშაობის ანგარიშები. გამოქვეყნებულ მასალებში ობიექტურადაა გაშუქებული საზოგადოებრივი ყოფისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ამ პუბლიკაციებში მნიშვნელოვანია არა მარტო მის მიერ შეგროვებული მასალა, როგორც პირველწყარო, არამედ ჩატარებული კვლევები და მოსაზრებებიც. ამ წერილებით რაფიელ ერისთავი პოპულარიზაციას უწევდა და თავგამოდებით იცავდა ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს.

სწორედ *კავკასიური განყოფილების გეოგრაფიული საზოგადოების* სხდომაზე, 1852 წლის 10 (22) მაისს, გადაწყდა, რომ თბილისში დაარსებულიყო ***მუზეუმი***, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა კავკასიის ბუნების ამსახველი მასალა და კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის ნიმუშები. საკითხი მუზეუმის დაარსების შესახებ სხდომაზე წამოაყენა გრაფმა *ვლადიმერ სოლოგუბმა* (ჟორდანია. 1951:16).

უნდა აღინიშნოს, რომ რაფიელ ერისთავის წარმატებული სამუზეუმო საქმიანობა ცალსახად უკავშირდება მის ეთნოგრაფიულ მოღვაწეობას. საარქივო მონაცემებითა და პუბლიკაციებით ირკვევა, რომ *გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმთან* თანამშრომლობა რაფიელ ერისთავს დაარსების დღიდან ჰქონია, თუმცა მუზეუმში თანამშრომლად მიწვევა და თანამდებობაზე დანიშვნა ძირითადად მისმა ეთნოგრაფიულმა და ისტორიულმა პუბლიკაციებმა განაპირობა. ქართული მატერიალური კულტურის სათანადო ცოდნა მნიშვნელოვნად ეხმარებოდა მას სამუზეუმო კოლექციების შეგროვებასა და კატალოგიზაციაში (ჩხაიძე. 2003:21-32).

მწერლის ეთნოგრაფიული მოღვაწეობა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი ქართველ მეცნიერთა მიერ. მისი მოღვაწეობის ამ სფეროს ნაშრომები მიუძღვნეს *გიორგი ჩიტაიამ, გერცელ ჩაჩაშვილმა, ვალერიან ითონიშვილმა, გიორგი ჯალაბაძემ, ოთარ მიმინოშვილმა, ანდრო ლეკიაშვილმა*... პუბლიკაციაში *„ქართული ეთნოლოგია“*, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას რაფიელ ერისთავი დახასიათებული ჰყავს, როგორც საველე და სამუზეუმო-ეთნოგრაფიული საქმიანობის ფუძემდებელი საქართველოში. აქვე იგი სამართლიანად უწოდებს მას *კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული კაბინეტის პირველ კურატორს* (Читаия. 1958: 177).

რაფიელ ერისთავის სამუზეუმო მოღვაწეობას შეეხო გივი ჟორდანია ნაშრომში, *კავკასიური მუზეუმის დაარსება*. ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი რაფიელ ერისთავის როლი გეოგ-

რაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმის ეთნოგრაფიული და ისტორიული კაბინეტების მოწყობაში (ჟორდანია. 1951:16).

სტატიაში შევეცადეთ წარმოგვედგინა რაფიელ ერისთავის, როგორც ეთნოგრაფიული კოლექციების კურატორის საქმიანობა, მის მიერ ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვება, სამუზეუმო ფონდების შექმნაზე ზრუნვა, ორგანიზება, დაცვა-აღრიცხვა, კატალოგის შედგენა, რაც მისი სამეცნიერო-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ორგანულ ნაწილად აღიქმება.

ამ მიმართულებით კვლევაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარა მუზეუმის არქივში დაცული კატალოგები და საინვენტარო წიგნები, კავკასიის მუზეუმის ანგარიშები და პერიოდული გამოცემები, რაფიელ ერისთავის მიერ მუზეუმში შემოტანილი ექსპონატები.

## კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შედარებით-ანალიტიკური, ფოტოგრაფირებისა და მასალების შეგროვების მეთოდები. ისტორიული მეთოდის დახმარებით თავი მოვუყარეთ არქივებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში დაცულ ცნობებს და მოპოვებული მასალა გავაანალიზეთ მომიჯნავე მეცნიერებებში დაგროვებული ცოდნის გამოყენებით. შედარებითმა ანალიტიკურმა მეთოდმა კი წარსულის ამსახველი საერთო სურათის აღდგენის საშუალება მოგვცა.

## შედეგები

რაფიელ ერისთავი ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი და მუზეოლოგია. მატერიალური, სულიერი და სოციალური საკითხების კვლევას მუზეუმში მუშაობის დროსაც აგრძელებდა. აღსანიშნავია, რომ კავკასიის მუზეუმის არსებობის მანძილზე იგი ერთადერთი ქართველი თანამშრომელი იყო, რომელიც ცარიზმის კოლონიალური ჩაგვრის პირობებში თავისი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით პატრიოტულ სულისკვეთებასა და ეროვნულ თვითშეგნებას აღვიძებდა.

რაფიელ ერისთავი ოფიციალურად სულ ნახევარი წლით ასრულებდა კავკასიური მუზეუმის მდივნის (ზედამხედველის) მოვალეობას. ამ ხნის განმავლობაში მან შრომატევადი და უაღრესად საჭირო სამუშაო შეასრულა. ექსპონატების დაცვისა და მოვლა-პატრონობის გარდა, სისტემაში მოიყვანა ეთნოგრაფიული და ისტორიული განყოფილების (კაბინეტის) კოლექციები, ზრუნავდა მათ შევსებასა და მოწესრიგებაზე.

რაფიელ ერისთავის უშუალო ძალისხმევითა და დამსახურებით, გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური მუზეუმის ეთნოგრაფიულ კაბინეტს 1856 წელს უკვე ჰქონდა დაბეჭდილი საკუთარი, რვა გრაფისაგან შემდგარი, ექსპონატების *საინვენტარო კატალოგი*, რომელიც, დღევანდელი გადასახედიდან, ბევრად უფრო სრულყოფილი და ინფორმაციულია, ვიდრე 1867 წელს *გუსტავ რადდეს* დირექტორობის დროს შედგენილი კატალოგი. გუსტავ რადდეს კატალოგში საგნების აღწერილობა და დანიშნულება გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური მუზეუმის კატალოგიდან პირდაპირაა გადაწერილი. ახლად რეგისტრირებული ექსპონატების აღწერილობები მოკლედ და არასრულადაა მოცემული. შედარებით სრულფასოვნად არის შესრულებული ეთნოგრაფიული ნაწილი, რაც რაფიელ ერისთავის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.[1]

1 სამუზეუმო საინვენტარო წიგნები ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების დაცვა-აღრიცხვის დეპარტამენტში.



## მსჯელობა

მიხეილ ვორონცოვის გადაწყვეტილებით, თბილისში დაარსებული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმი პეტერბურგის ეთნოგრაფიული მუზეუმის ანალოგიური უნდა ყოფილიყო. ამიტომაც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო მხოლოდ ეთნოგრაფიული მიმართულება, მაგრამ შემდგომ, რადგანაც მრავლად შეგროვდა ბუნების ამსახველი კოლექციები (*ფრიდრიხ ბაიაერნის* და *ალექსანდრე ივანიცკის* მიერ შეგროვილი ბოტანიკური, ზოოლოგიური და მინერალოგიური კოლექცია), გადაწყდა, რომ მუზეუმს კომპლექსური ხასიათი ჰქონოდა. ამგვარად, ჩამოყალიბდა სამი მიმართულება (კაბინეტი) – ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ისტორიული. ეთნოგრაფიის დარგში დირექტორად აირჩიეს მეფისნაცვლის ერთგული, განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე *ვლადიმერ სოლოგუბი*, რომელსაც კავკასიაში *ხელოვნების საქმეების სამინისტროს* მმართველსაც უწოდებდნენ. ახლადდაარსებულმა მუზეუმმა ბინა დღევანდელი ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სახლის მეორე სართულზე დაიდო.

მუზეუმის დირექციამ მთავარ ამოცანად სამუზეუმო მასალის მოძიება და ფონდების შევსება დაისახა. ბიუჯეტის სიმწირის გამო, ექსპონატები ძირითადად შემოწირულობების გზით შემოდიოდა. ამ პერიოდის შემომწირველთა შორის იყვნენ როგორც *გეოგრაფიული საზოგადოების* წევრები, ისე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები – *ვლ. სოლოგუბი, მ. ვორონცოვი, ალ. ივანიცკი, ე. მაკინცევი გ. ერისთავი, ლ. ჩოლოყაშვილი, მ. თუმანიშვილი, მ. ჭილაშვილი, დ. ყიფიანი*... დაარსების პირველსავე წელს მუზეუმს უკვე ჰქონდა *105 ერთეული ექსპონატისგან შედგენილი მცირე კოლექცია*. 1853 წელს ეს კოლექცია გაზრდილა 17-ჯერ, მომდევნო წელს კი 30-ჯერ. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი *1853-1860 წლები – კავკასიური მუზეუმის მეორე პერიოდი* ყოფილა. სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა მუზეუმში რაფიელ ერისთავი. 1859-1861 წლებში ექსპონატების შემოსვლამ იკლო. მცირე სახსრები კოლექციის გაზრდის საშუალებას არ იძლეოდა (ჟორდანია. 1851:32).

ცნობები მუზეუმში შემოსულ კოლექციებზე, თანამშრომლებზე, ზოგადად, სამუზეუმო საქმიანობაზე პერიოდულად იბეჭდებოდა გაზეთ *Кавказъ*-ის ფურცლებზე, *Записки КОИРГО*-ში, ხოლო ჟურნალ *Кавказский Календарь*-ში 1854 წლიდან 1864 წლამდე ყოველწლიურად იბეჭდებოდა მოკლე ანგარიშები მუზეუმისა და მისი კოლექციების მდგომარეობის შესახებ.

1847 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, ეთნოლოგმა *ნიკოლაი ნადიჟდინმა* შეიმუშავა *პროგრამა-კითხვარი*, რომელიც ითვალისწინებდა მასალის შეკრებას შემდეგი ექვსი პუნქტის მიხედვით – ადგილმდებარეობის აღწერა, სალაპარაკო ენა, საოჯახო ყოფა, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრება, ზნეობრივი თვისებებისა და განათლების დაფიქსირება, ხალხური ზეპირსიტყვიერება (Надеждин. 1847:61-15). პროგრამა შედგენილი იყო კონკრეტულად რუსი ხალხის ყოფისა და კულტურის შესასწავლად, თუმცა გამოყენების მიზნით დაიგზავნა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა გუბერნიაში. ამ კითხვარის განხილვის საფუძველზე, 1854 წელს, *კავკასიური მუზეუმის* დირექციამ შეადგინა მსგავსი პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა, თუ როგორ უნდა შეეგროვებინათ ველზე ტექსტური მასალა და რა ნიშნით უნდა შეერჩიათ სამუზეუმო ექსპონატები.

პროგრამაში *Исчисление предметов желательных для этнографическаго Музея Географическаго Общества* ჩამოთვლილია ეთნოგრაფიული არტეფაქტების ცამეტი სახეობა, რომელთა შეგროვება მნიშვნელოვანი იყო მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციების გამდიდრებისთვის: *1. სამოსი – ქალის და მამაკაცის ეროვნული კოსტიუმის სრული კომპლექტი, 2. საცხოვრებელი სახლის ინტერიერის მოწყობილობა, 3. ხის, ქვის, მინის, სპილენძის საოჯახო ჭურჭელი, 4. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ნივთები (საქსოვი დაზგა, სამეურნეო იარაღები), 5. მუსიკალური ინსტრუმენტები, 6. ხალხური ავეჯი. 7. საბავშვო გასართობი საგნები და სათამაშოები, 8. საცხოვრებელი სახლების მოდელები, 9. საწესო-სარიტუალო ნივთები, 10. გამწევი-სატრანსპორტო საშუალებები, 11. სამიწათმოქმედო იარაღები, 12. საბღვაო-სანაოსნო ინვენტარი, 13. საზომი და*

*ასაწონი ხელსაწყოები* (Семенов. 1896:1324-1327).

პროგრამა-კითხვარის შედგენაში, როგორც ეთნოლოგი და გეოგრაფიული საზოგადოების წევრი, რაფიელ ერისთავიც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ *კავკასიური მუზეუმის* მიერ პროგრამის განხილვა და მისი გაზიარება *არ ნიშნავდა ნადეჟდინის პროგრამის გადამღერებას*. ის პირდაპირ რომ არ გადმოუღიათ, ამაზე რ. ერისთავის მიერ შეგროვებული ნივთიერი მასალა და მისი ეთნოგრაფიული წერილებიც მეტყველებს, რომლებიც სტრუქტურულად და თემატიკით სრულიად განსხვავდება ნ. ნადეჟდინისა და სხვა გეოგრაფიული პროგრამების პუნქტებისგან. რ. ერისთავი ეთნოგრაფიულ საკითხებზე მუშაობისას მასალას უშუალო დაკვირვებითა და გამოკითხვის საშუალებით კრებდა, მასალის და ექსპონატების შეგროვებამდე კი კონკრეტულ რეგიონზე მორგებულ კითხვარს წინასწარ, დამოუკიდებლად ადგენდა. *ამავე პრინციპით მუშაობდნენ იმ პერიოდის ცნობილი ეთნოგრაფები და საზოგადო მოღვაწეები* (შამილაძე, მიმინოშვილი. 2009:168).

მუზეუმთან თანამშრომლობა რაფიელ ერისთავს, მარი ბროსეს რჩევით, მისი დაარსებისთანავე დაუწყია. 1855 წლის იანვარში კავკასიური მუზეუმის დირექტორმა ვ. სოლოგუბმა რაფიელ ერისთავს, როგორც გამოცდილ ეთნოლოგს, ოფიციალურად შესთავაზა სამსახური, საფონდო სამუშაოების მოწესრიგების მიზნით. მას უნდა ეწარმოებინა ექსპონატების რეგისტრაცია, განესაზღვრა მუზეუმში შემოსული ეთნოგრაფიული და ისტორიული ექსპონატების ზუსტი, ადგილობრივი სახელწოდება. იმის გამო, რომ მუზეუმში მხოლოდ არაქართველები მუშაობდნენ, ამ საკითხების გადაჭრა მათთვის სირთულეს წარმოადგენდა და ბევრ უზუსტობას იწვევდა.

იმავე წლის აპრილის თვეში, მოვალეობის შემსრულებლის, *ა. ბერჟეს* სპარსეთში მოულოდნელად გამგზავრების გამო მუზეუმის მდივნის (ზედამხედველის) და ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე, დროებით რაფიელ ერისთავი დაინიშნა. ის ამ თანამდებობას 1855 წლის 14 სექტემბრამდე, ა. ბერჟეს დაბრუნებამდე, იკავებდა *(Записки КОИРГО.* 1855:289).

რაფიელ ერისთავმა, როგორც გამოცდილმა მუზეუმელმა კარგად იცოდა, რომ სამუზეუმო საქმიანობის მთავარი ქვაკუთხედი კოლექციების აღრიცხვა-დაცვა, მოვლა-მოწესრიგება და კატალოგიზაციაა. განყოფილების ანგარიშებიდან ჩანს, რომ მან მასზე დაკისრებული შრომატევადი სამუშაო მოკლე დროში პირნათლად შეასრულა – სისტემაში მოიყვანა მუზეუმში შემოსული ეთნოგრაფიული და ისტორიული ექსპონატები, განსაზღვრა მუზეუმში შემოსული კოლექციების სამუზეუმო ღირებულება, დაადგინა მათი წარმომავლობა, ავთენტურობა, ფუნქცია. შეაჯერა ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა, შეასწორა და შეავსო ეთნოგრაფიის და ისტორიული კაბინეტების ექსპონატების სახელწოდებანი.

ამასთან ერთად, განყოფილებას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი სამუზეუმო კოლექციათა კატალოგიზაციის შესახებ. მოხსენებითი ბარათი, მუზეუმის ექსპონატების კატალოგების, ანუ რეესტრების, წარმოების შემოღების შესახებ, განყოფილების საზოგადოების სხდომას მან გააცნო და წარმოადგინა კატალოგების შედგენის ნიმუშები. კატალოგიზაციის შემოღება იმ დროისთვის უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენდა. რაფიელ ერისთავის წინადადება კომიტეტის სხდომაზე მოიწონეს და ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისთვის თავმჯდომარის სახელით ***გულითადი მადლობა*** გამოუცხადეს (Записки КОИРГО. 1855:290).

იმავე 1855 წელს *გეოგრაფიული საზოგადოების განყოფილების კომიტეტისგან* რაფიელ ერისთავს მადლობა თუშ-ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული კვლევისათვისაც გამოეცხადა.

რაფიელ ერისთავის მიერ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუკაზე გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებათა შესწორების შემდგომ, რუკა დაერთო რ. ერისთავის ნარკვევს თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ. ნაშრომი გამოიცა განყოფილების *მოამბის* მე-3 ტომში. ამ გაწეული სამუშაოს გამო რ. ერისთავს კომიტეტისგან გამოეცხადა მადლობა (Записки КОИРГО. 1855:73-145).

*სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის* დაცვა-აღრიცხვის დეპარტამენტის არქივში დაცული (ადრე ინახებოდა ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში) ამ კატალოგის სახელწოდებაა *Общий каталогъ имущества Музеума Кавказского отдела Императорского Русского географичесского общества*, სადაც შეტანილია ეთნოგრაფიული და ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატები. ბოლო გვერდზე მუზეუმის დირექციის თავმჯდომარის, ბარონ *ა. ნიკოლაის* და მდივნის, *ა. ბერჟეს* დამოწმებაა. კატალოგი წარმოადგენს ზონარგაყრილ, დალუქულ და დანომრილ დავთარს, შევსებულს 1856 წლის 13 ნოემბრის რიცხვით (სურ. 1). კატალოგი მოიცავს 99 ფურცელს. ფურცლები შევსებულია ორი სხვადასხვა პიროვნების ხელით. აქედან რამდენიმე ფურცელი სრულიად შეუვსებელია. ჩანაწერების უმრავლესობა, მოგვიანებით, შავი ფანქრით გადაუხაზავთ და ნომრები მიუწერიათ. ეს ნომრები *გ. რადდეს* დროინდელ კატალოგში მუზეუმის კარადის ნომრებს აღნიშნავდა (სურ. 2).

*აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კატალოგში ექსპონატების დახასიათების პარამეტრები ძირითადად ემთხვევა დღეს მიღებულ წესს. შედგება რვა გრაფისგან. შევსებულია შემდეგი მონაცემების მიხედვით: ნივთის სახელწოდება, შემოსვლის დრო, რაოდენობა, ადგილობრივი სახელწოდება, წარმომავლობა, შენიშვნა, აღწერილობა, შემომტანის ვინაობა, ნივთის ნომერი. არ არის მითითებული მასალა და ზომები. სადაურობა შენიშვნაში იყო მითითებული.*

გეოგრაფიული საზოგადოების იმავე წლის ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ რაფიელ ერისთავს განყოფილებისთვის წარუდგენია იმ საგნების სიაც, რომლებიც, მისი აზრით, უნდა ამორიცხულიყო მუზეუმის რეესტრიდან, როგორც არასამუზეუმო მნიშვნელობის ნივთები, რამდენადაც ისინი არც ეთნოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით არ წარმოადგენდა რაიმე ფასეულობას. თუმცა მუზეუმის ახლადდანიშნულმა დირექტორმა *ი. ბართოლომეიმ* მხოლოდ რამდენიმე ნივთი ამოიღო, დანარჩენი კი ისევ შეიტანეს მუზეუმის რეესტრში (ჟორდანია. 1851:46).

რაფიელ ერისთავის სამუზეუმო საქმიანობაში მნიშვნელოვანი იყო მისი როლი და ძალისხმევა ნივთების მოძიებასა და შეგროვებაში. ცნობილია, რომ მუზეუმს მწირი ბიუჯეტი ჰქონდა – სულ 600 მანეთი, საიდანაც 300 მანეთს შენობის ქირაში იხდიდნენ. ეს თანხა ვერ გაწვდებოდა როგორც მუზეუმის შენახვას, ისე ფონდების ზრდას და ახალი კოლექციების შეძენას. ამიტომაც მუზეუმი, ძირითადად, შემოწირულობის გზით ივსებოდა. რაფიელ ერისთავიც, საქართველოს რომელ რეგიონშიც არ უნდა ყოფილიყო სამუშაოდ, ყველგან ცდილობდა სამუზეუმო ნივთების მოძიებასა და მუზეუმში მოტანას, რასაც საკუთარი ხარჯებით ახერხებდა.

მუზეუმის ფონდებში დაცულია რაფიელ ერისთავის მიერ შემოტანილი ნივთები *იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან, ახალციხიდან*. მის მიერ შემოწირული ნივთები კატალოგში[1] გატარებულია *107-117 ნომრებად: 1. სავაზნე ჩანთა (საინვ. № 6-1865/1) – წითელი ტყავის ბუდე, ტყავისავე თასმებითა და აბზინდიანი ღვედით. მოყვება 17 ვაზნა. ზომა (სმ): 35X19;* (სურ. 3). *2. ლიფლიფა (საინვ. № 35-1866/1) – ქუჩებისა და შენობების გასანათებელი საშუალება. თავი, ბოლო და ხუფი დაფანჯრული სპილენძისაა, საშანდლე თითბრის, საკიდი რკინის, ტანი გოფრირებული გასანთლული ტილოსი. D-17, 5 სმ. სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში 50 სმ. ახალციხე* (სურ. 4). *3. დიპლიპიტო (საინვ. № 26-1866/1) – დასარტყმელი საკრავი, შედგება დიდი და პატარა ზომის კონუსისებური თიხის ჭურჭლისგან (ქილისგან), რომელზედაც გადაკრულია ხარის ბუშტი. ქილები ერთმანეთთან ღვედითაა გადაბმული. ზომა: სიმაღლე 25 სმ. დიდი ქილის D-17 სმ. პატარასი-9 სმ.* (სურ. 5); *4. ზურნა (საინვ. № 31-1866/1) – ტანი ხის, გამოჩარხული, აქვს ლითონის გარსაკრავი, რომელზეც ცხვრა ნახვრეტი აქვს გაკეთებული. ჩასაბერი შემკულია ვერცხლის მოსევადებული რკალით. თბილისი* (სურ. 6). *5. საქსოვი იარაღის-მაქოს მოდელი (36-1866/1) – ყდანის (საქსოვი) ნაწილი, ხის ბრტყელი ჯოხი, ორივე მხარეს დაფანჯრული. შემოტანილია იმერეთიდან; 5. აბანოს ქოში (66-1881/1) – ოჩოქოში, წყვ. ხის, სააბანოე. შემკულია ძვლით, ქვემოდან, მაღალ ქუსლებს შორის გადებული აქვს რკინის დეტალი, რომელზეც ჩამოკიდებულია სამკუთხა რკინის ფირფიტები. წინ დამაგრებული აქვს ტყავის სქელი სალტე. ზომა: სიგრძე-13*

1 საინვენტარო წიგნი №1. დაცულია ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციებში.

*სმ.* (სურ. 7); *6. სამეურნეო იარაღის მოდელები (საინვ. № 36-1866/2, 3, 4...) – ხის ტარით და ფოლადის პირით. არის ცულის, წალდის ცელის. . . მოდელები. შემოტანილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. საშუალო სიგრძე-25 სმ.* (სურ. 8).

აღსანიშნავია რაფიელ ერისთავის მიერ მუზეუმში შემოტანილი და მის მიერვე გამოკვლეული ძველებური სათამაშოს, ბანქოს ფირფიტები – ე. წ. **„განჯაფა“**. რაფიელ ერისთავის გამოკვლევით, ბანქო მე-18 საუკუნეში სპარსეთიდან გავრცელებულა საქართველოში. გეოგრაფიული საზოგადოების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეს ნივთი მუზეუმს შეუძენია, თუმცა რატომღაც კავკასიის მუზეუმის კატალოგებში იგი არ იძებნება (გაზეთი *„Кавказъ“*. 1856:17, 151-152). როგორც ჩანს, ექსპონატი ეთნოგრაფიის განყოფილების პირველ საინვენტარო დავთარში (1865-1902 წწ) მოგვიანებით გაუტარებიათ ნომრით *15-1875/1-41*. დავთარში ჩაწერილი მისი აღწერილობა მსგავსია რ. ერისთავის მიერ შემოწირული *განჯაფის* აღწერილობისა – *მუყაო, მოხატული, ნაწილობრივ ვარაყიანი, სანდილოზგადაკრული, სახეები ადამიანთა და ცხოველთა, სხვადასხვა ზომის. ბანქო დაწებებულია ერთ პლანშეტზე. დაზიანებულია, სპარსეთი.* გვერდით მინაწერი აქვს, რომ ეს ექსპონატი *ამ წელს უკვე იყო მუზეუმში.* როგორც ჩანს, ნივთი საინვენტარო დავთარში 1875 წელს დაარეგისტრირეს, თუმცა სამწუხაროდ არ მიაწერეს შემომტანის ვინაობა, რაც, როგორც ჩანს, ქართველი მკვლევარის სახელის მიჩქმალვას ემსახურებოდა.

რაფიელ ერისთავი არა მარტო ეთნოგრაფიული კოლექციებით ამდიდრებდა *კავკასიური მუზეუმის* ფონდებს, არამედ განათხარი მასალითაც. ცნობილია, რომ მას თავადვე უწარმოებია არქეოლოგიური გათხრები ანაკლიაში, რის შედეგადაც მოპოვებული ნივთები მუზეუმისთვის გადაუცია, რომლებიც კატალოგშიც გაუტარებიათ (რაზმაძე. 2006:90).

ჩატარებული სამუშაოებით რაფიელ ერისთავმა სამუზეუმო საქმიანობის: ექსპონატების გამოვლენის, ფიქსაციის, ფონდებში დაცვა-აღრიცხვის, პასპორტიზაციის, სათანადო კატალოგის შედგენის კვალიფიციური, პროგრესული ევროპული სკოლის კვლევის ამ მიმართულების ცოდნა და გამოცდილება გამოამუღავნა. სწორედ ამან განაპირობა მის მიერ შეგროვებული სამუზეუმო ექსპონატების მრავალფეროვნება.

როგორც ცნობილია, 1861 წლის მაისში კავკასიის განყოფილების მუზეუმი უსახსრობის გამო დაიხურა. კოლექციის ადგილმდებარეობის ბედი, სანამ ის გ. რადდეს ახლად შექმნილ მუზეუმს გადაეცემოდა, დღემდე გაურკვეველია. გ. ჟორდანიას აზრით, ნაწილი ინახებოდა საქმეთა მმართველის ბინაზე, ნაწილი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო კოლექცია, *სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუზეუმის* შენობაში. ითვლება რომ ამ პერიოდში რამდენიმე ნივთი დაიკარგა კიდეც.

*გუსტავ რადდეს კატალოგში გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური მუზეუმიდან ეთნოგრაფიული და ისტორიული 135 ნივთის სია 131-ე გვერდზეა რუსულად ჩაწერილი* სათაურით – *მიღებულია საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილებიდან, რომლებიც შემოსულია არა უგვიანეს 1856 წლისა.*

კატალოგების სიების შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ *გ. რადდეს* კატალოგის სიებში არ შეუტანიათ რაფიელ ერისთავის მიერ შემოწირული შემდეგი ნივთები: *ქოში, დიპლიპიტო, ზურნა, სავაზნე,* რომლებიც ჩაწერილი იყო *პირველ კატალოგში.* სამაგიეროდ ისინი დარეგისტრირებული აღმოჩნდა *განყოფილების საინვენტარო დავთარში.* როგორც გაირკვა, ექსპონატები მოგვიანებით, 1875 წელს გაუტარებიათ სხვა ნომრებით და საინვენტარო დავთარში შემომტანის ვინაობა არ მიუწერიათ. მხოლოდ მელნით აქვს მიწერილი, რომ ეს ნივთები *ამ წელს უკვე დახვდათ მუზეუმში.*

ამრიგად, *კავკასიური მუზეუმის პირველი კატალოგის* მიხედვით, რაფიელ ერისთავის მიერ შემოტანილი *ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური 15 ნივთიდან* საინვენტარო დავთარში *მხოლოდ ექვსზეა* მიწერილი *რაფიელ ერისთავის სახელი, ისინი გატარებულია 1866 წლით.*



დანარჩენი ექსპონატები მომდევნო წლებში დაარეგისტრირეს და შემომტანის ვინაობა არ მიუთითეს.

კატალოგებში აღნიშნულია, რომ *მუზეუმში ეს ნივთები შემოიტანა ა. ბერჟემ თავად რაფიელ ერისთავის მეშვეობით,* რაც იმას გულისხმობს, რომ შემგროვებელ-შემომწირველი რ. ერისთავია, იმ დროს ა. ბერჟე ასრულებდა *რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების* თავმჯდომარის მოვალეობას და იყო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. თუ ა. ბერჟეს მოვალეობას შეადგენდა ნივთების მიღება, მაშინ რატომ სხვა შემომწირველებთან არ გვაქვს იგივე შემთხვევა კატალოგში?! სავარაუდოა, რომ მუზეუმის იმდროინდელი ხელმძღვანელობა წარმატებული ქართველი თავადის ღვაწლის დამალვას ცდილობდა.

მიუხედავად მუზეუმში ასეთი შრომატევადი და ნაყოფიერი სამუშაოს ჩატარებისა, მუზეუმიდან *ვლ. სოლოგუბის* გათავისუფლების შემდგომ, საარჩევნო კენჭისყრის შედეგად, თანაბარი ხმების მიღების მიუხედავად, რაფიელ ერისთავი მუზეუმის ერთ-ერთი დირექტორის თანამდებობაზე არ აირჩიეს. საბაბად რ. ერისთავის ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს განყოფილების უფროსად მსახურება და მოუცლელობა იქცა. საბოლოოდ საბჭომ ორი კანდიდატიდან *(რ. ერისთავის და ი. ბართოლომეი)* ი. ბართოლომეი აირჩია.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის მუზეუმის დირექტორი, *გუსტავ რადდე* ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებდა *რაფიელ ერისთავს.* კავკასიის მუზეუმის მოკლე ისტორიის შესახებ ნაშრომში, გ. რადდე აღნიშნავდა, რომ ეთნოგრაფიის კაბინეტი განსაკუთრებით მდიდრდებოდა ძვირფასი შემოწირულობებითა და შენაძენით, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობდა თავად *რაფიელ ერისთავის, ტოკარევის, მაკინცევის, ბერჟეს* შემოწირულობანი.

ამ ციტატაში რაფიელ ერისთავი, სხვებისგან განსხვავებით, ტიტულითა და სრული სახელით არის მოხსენიებული. ასევეა, მის მიერ შემოწირული ნივთების კატალოგში (Радде. 1891).

## დასკვნა

დიდია რაფიელ ერისთავის დამსახურება კავკასიური მუზეუმის ორგანიზებასა და განვითარებაში. მით უფრო, რომ იმ დროისთვის ის იყო ერთადერთი ქართველი ეთნოლოგი და სამუზეუმო საქმის მცოდნე, რომელიც სპეციალურად მიიწვიეს მუზეუმში ფონდების მოსაწესრიგებლად, ექსპონატების იდენტიფიცირებისთვის, ადგილობრივი ტერმინოლოგიის დასადგენად და დასაზუსტებლად.

სამწუხარო ფაქტია, რომ კავკასიის მუზეუმში ეროვნულ კადრებს უგულვებელყოფდნენ, მუზეუმში ძირითადად უცხო ეროვნების ადამიანები მუშაობდნენ. რაფიელ ერისთავის შემდგომ, არც გ. რადდეს და არც ალ. კაზნაკოვის დირექტორობის დროს მუზეუმში ქართველ მეცნიერს აღარ უმუშავია. ქართველი საზოგადო მოღვაწეები სამეცნიერო, სამუზეუმო და შემგროვებლობით საქმიანობას 1907 წელს ჩამოყალიბებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, და შემდგომ, საეკლესიო მუზეუმში ეწეოდნენ.

რაფიელ ერისთავი არ იყო უბრალოდ სამუზეუმო ნივთების შემგროვებელი და შემომწირველი. როგორც მუზეუმის ნამდვილი კურატორი, ექსპონატების პასპორტიზაციას, დაცვა-აღრიცხვასა და შესწავლას ახორციელებდა. პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერმა უარყო იმ დროს გავრცელებული შეგროვების *რარიტეტული* მეთოდი, იგი ადგილზევე იკვლევდა ნივთის ფუნქცია-დანიშნულებას, მათ წარმომავლობას, სახელწოდებებს, პუბლიკაციებით ახდენდა ამ ნივთების პოპულარიზაციას.

მიუხედავად იმისა, რომ რაფიელ ერისთავი არ აირჩიეს მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე, ის მაინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა განყოფილებისა და მუზეუმის ცხოვრებაში. მისი დიდი დამსახურებაა ის, რომ კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიის კაბინეტი იმპერიის მასშტაბით

ერთ-ერთ წამყვან სამხარეო-ეთნოგრაფიულ ცენტრად იქცა.

2002 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის 150 წლისთავთან დაკავშირებით, მუზეუმის საგამოფენო სივრცეში მოეწყო პირველი კოლექციების გამოფენა, სადაც სხვა ექსპონატებთან ერთად წარმოდგენილი იყო რაფიელ ერისთავის მიერ შემოტანილი კოლექციები (შარიქაძე, კვანტიძე. 2002:24).

რაფიელ ერისთავს და მის თანამედროვე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს კარგად ესმოდათ მუზეუმების და სამუზეუმო საქმიანობის მნიშვნელობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის, ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობის შენარჩუნების, მეცნიერებისა და განათლების განვითარების საქმეში. კავკასიის მუზეუმის შექმნამ დაღუპვას გადაარჩინა კულტურული მემკვიდრეობის ბევრი ძეგლი, რომლებიც ამჟამად ამ მუზეუმის პირმშო, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული.

## ბიბლიოგრაფია


ითონიშვილი, ვ. (1989). *ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები,* თბ. 1989 წ თბ. გამომც. მეცნიერება, თბილისი.

ვაშაყმაძე, შ. (1962). *რაფიელ ერისთავი,* თბილისი.

მიმინოშვილი, ო. (2005). *რაფიელ ერისთავი ქართული ეთნოგრაფიის სათავეებთან.* ქართული მწერლობა და საქართველოს ეთნოგრაფია, თბილისი.

ჟორდანია, გ. (1951). *კავკასიური მუზეუმის დაარსება,* თბილისი.

რაზმაძე, მ. (2006). რაფიელ ერისთავი და საქართველოს ისტორიული სიძველენი, *ჟურნ. ამირანი,* XIV-XV. თბილისი.

შარიქაძე, თ. გ. კვანტიძე (2002). საქართველოს საელმწიფო მუზეუმში დაცული პირველი ეთნოგრაფიული კოლექციები. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.* ტ. № 44. თბილისი

ჩიტაია, გ. (1926). ქართული ეთნოლოგია, *მიმომხილველი,* საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო. ტფილისი.

ჩაჩაშვილი, გ. (1953). ქართული ეთნოგრაფიის ისტორიიდან, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,* ტ. XVII. თბილისი.

ჩხაიძე, გ. (2001). რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების მუზეუმი. ჟურნ. *კავკასიის მაცნე. №3.* თბილისი.

ჩხაიძე, გ. (2003). *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932).* საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

ერისთავი, რ. (1854). Записки о Тушино-Пшаво-Хевсурском Округе. გაზეთი *Кавказъ. №47.*

შამილაძე ვ., მიმინოშვილი ო., (2009). *საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია,* ტ.1. თბილისი. ტფილისი.

Эристов, Р. (1856). *О Ганджапе,* გაზეთი Кавказъ. #17. Тифлисъ.

Надеждин, Н. И. (1847) *Об этнографическом изучения народности русской.* Записки Императорского русского географического общества.

Радде, Г. (1891). *Краткий очерк истории развития Кавказского Музея в первые 25 лет сушествования.* Изд. тип. А. А. Михельсона. Тифлисъ.

Семенов, П.П. (1896). *История полувековой деятельности императорскаго русскаго географическаго общества*, часть 2. Петербург.



*მანანა ხიზანაშვილი*
ისტორიის მაგისტრი,
ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციების კურატორი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი.


*Manana Khizanashvili*
Master of History,
Curator of Historical and Ethnographic Collections,
Georgian National Museum.
ORCID-ID:0009-0000-6566-3305

*გულნარა კვანტიძე*
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
მთავარი კურატორი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი.


*Gulnara Kvantidze*
Doctor of History
Chief Curator
Georgian National Museum
ORCID-ID: 0000-0002-5582-0693




ა



ბ



გ



დ

სურ. 1. ა.ბ.გ.დ. რაფიელ ერისთავის მიერ შევსებული კავკასიური მუზეუმის პირველი კატალოგი




ა



ბ



გ



დ

სურ. 2. ა.ბ.გ.დ. კავკასიის მუზეუმის კატალოგი № 2



სურ. 3.
სანათი ლიფლიფა



სურ. 4.
მუსიკალური საკრავი – დიპლიპოტო



სურ. 5. მუსიკალური საკრავი – ზურნა



სურ. 6. აბანოს ქოში სომხური წარწერით



სურ. 7. სამეურნეო დანიშნულების სამუშაო იარაღის მოდელები



# განჯაფა, როგორც კულტურული არტეფაქტი

## აბსტრაქტი

კვლევა შეისწავლის XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის – რაფიელ ერისთავის ხელნაწერებში დაცულ ინფორმაციას *განჯაფა*-ს (ასევე *განჯიფა*) არსებობის შესახებ. *განჯაფა* ტრადიციული ქართული თამაშია, რომელიც საქართველოში სპარსეთიდან შემოვიდა. რაფიელ ერისთავის წერილებში დაცული ინფორმაცია უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ *განჯაფა*, როგორც კულტურული არტეფაქტი. კვლევის მიზანია გააანალიზოს *განჯაფას* კონტექსტი და მნიშვნელობა რაფიელ ერისთავის ნაწერებში და შეისწავლოს სათამაშო კარტი, როგორც მნიშვნელობის მატარებელი. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს თამაშების როლის ახსნას სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში სხვადასხვა თეორიის საფუძველზე, როგორიცაა: *თომას მ. მალაბი, გრანტ მაკკრაკენი* და *არჯუნ აპადურაი*. ამ ავტორების თეორიის კომბინაცია საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ *განჯაფა*, როგორც არტეფაქტი, რომელიც ატარებს კულტურულ მნიშვნელობებს, რომლებიც გადაადგილდებიან სხვდასხვა კონტექსტებში და აქვთ *მეტაკომუნიკაციური მახასიათებლები*.

**საკვანძო სიტყვები:** *განჯაფა; მეტაკომუნიკაცია; კულტურული ცვალებადობა; მნიშვნელობის ცვლილება.*

# GANJAFA AS CULTURAL ARTIFACT: EXAMINING PLAYING CARDS AS CARRIERS OF MEANING

## ABSTRACT

This study examines the information about the existence of Ganjafa (also Ganjipa) in the manuscripts of Raphiel Eristavi, a prominent 19th-century Georgian public figure and writer. “Ganjafa” is a traditional Georgian game introduced to Georgia from Persia. The information preserved in Raphiel Eristavi’s writings offers a unique opportunity to understand the “Ganjafa” as a Cultural Artifact. The study aims to analyze the context and meaning of “Ganjafa” in Raphiel Eristavi’s writings and to Examine Playing Cards as Carriers of Meaning. The results obtained will contribute to explaining the role of games in social and cultural life based on various theories, like Thomas M. Malaby, GRANT McCracken, and Arjun Appadurai. Combination of these authors’ theories allows me to analyze “ganjafa” as an artifact which carries cultural meanings that move across contexts and have “metacommunicative characteristics”.

**Keywords:** Ganjafa; metacommunication; cultural variability; change of meaning.

## შესავალი

XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის – რაფიელ ერისთავის ხელნაწერებში დაცულია ინფორმაცია *განჯაფას* (ასევე *განჯიფა*) შესახებ. *განჯაფა* ტრადიციული ქართული თამაშია, რომელიც საქართველოში სპარსეთიდან შემოვიდა. წერილებიდანვე ვიგებთ იმას, რომ რაფიელ ერისთავს, კარტი გადაუცია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისათვის, ხოლო შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, დაცული იყო ეროვნულ მუზეუმში. სამწუხაროდ, დღევანდელ დღეს, კარტი ფიზიკურად ვერ მოიძებნა. რაფიელ ერისთავის წერილებსა და სხვადასხვა წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაცია უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ *განჯაფა* (ბანქო), როგორც კულტურული არტეფაქტი და ბანქოს თამაში. სანამ უშუალოდ *განჯაფა*-ზე გადავიდოდეთ, მანამდე მინდა მოკლედ თამაშისა და კონკრეტულად, კარტის თამაშის არსზე შევაჩერო ყურადღება.

თამაშები კულტურის უაღრესად მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, როგორც ადამიანების ცხოვრებაში მათი მნიშვნელობის, ასევე შემოქმედებითობისა და სხვადასხვა უნარების განვითარების თვალსაზრისით. თამაშების მეშვეობით ხდება ახალი პრაქტიკებისა და ინტერპრეტაციების გენერირება (Malaby, 2007, P.9).

*ბრაიან სმიტის* აზრით, თამაში თავისი არსით ორაზროვანია. ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ, რა არის თამაში. ის სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა რამეს ნიშნავს. თამაში შესაძლოა იყოს, როგორც სერიოზული, ასევე არასერიოზული, ქაოტური, სტრუქტურირებული, განვითარებაზე ორიენტირებული ან უბრალოდ გასართობი. თამაში შესაძლოა მრავალ მიზანს ემსახურებოდეს და მიზნები ურთიერთსაწინააღმდეგო იყოს. თამაში ადამიანის ცხოვრებაში კონკრეტულ ფუნქციას ასრულებს (Sutton-Smith, 2001, PP.1-9, 225).

არსებობენ ისეთი მეცნიერებიც, მაგალითად *ჰუიზინგა*, რომელიც ამტკიცებს, რომ *თამაში არ არის მხოლოდ კულტურული ფენომენი, არამედ, სინამდვილეში უფრო ძველია, ვიდრე თავად კულტურა და წარმოადგენს ადამიანური ცივილიზაციის პირველად ჩამოყალიბების ელემენტს* (ჰუიზინგა, 1955, გვ. 1), ცვლის ტრადიციულ აზროვნებას იმით, რომ კულტურა წარმოიშობა თამაშიდან და არა პირიქით. ის აცხადებს, რომ *კულტურა წარმოიშვება და ვითარდება თამაშში* (გვ. 46).

კარტის თამაშების ისტორიაში ორი ძირითადი მიმართულება არსებობს: დიფუზია და დამოუკიდებელი ევოლუცია. როგორც კი თამაში რომელიმე ადგილას დამკვიდრდება, მას შეუძლია დამოუკიდებლად განვითარდეს. ეს იმიტომ ხდება, რომ კარტის თამაში დიდწილად ადგილობრივი კულტურის საკითხია. საერთაშორისო, ან თუნდაც ეროვნული, ტურნირები ძალიან თანამედროვე ფენომენია. კარტის თამაში, როგორც წესი, მხოლოდ ადგილობრივ დონეზე თამაშდება და ამიტომ თამაშის რეჟიმი, საკმარისი დროის განმავლობაში, ლოკალურ ვარიაციებს ავითარებს, რაც ხშირად იწვევს მის მნიშვნელოვან გადახრას თავდაპირველი ფორმიდან (Leyden, 1982, P.X).

განჯიფას თამაშების შესწავლა არ იძლევა კონკრეტულ პასუხს მისი თავდაპირველი წარმოშობის არეალის შესახებ, მაგრამ თავისი არსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განჯიფას თამაშები ხრიკების თამაშებია, ისევე როგორც ევროპული კარტის თამაშების დიდი უმრავლესობა, თუმცა იმდენად რადიკალურად განსხვავდება ევროპული თამაშების პრინციპებისგან, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე მიმართულებით პირდაპირი კავშირი არსებობდეს (იქვე).

## მეთოდოლოგია:

ეს კვლევა იყენებს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ისტორიულ დოკუმენტურ ანალიზს, არტეფაქტების *ბიოგრაფიების* შესწავლის მეთოდს, სიმბოლური მნიშვნელობების დეკოდირების მეთოდსა და კულტურული მნიშვნელობების ინტერპრეტაციის, კერძოდ, დისკურსული ანალიზის მეთოდებს. ძირითად წყაროს წარმოადგენს რაფიელ ერისთავის ხელნაწერები, რომლებიც დაცულია ქართულ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და შეისწავლება ისტორიული კონტექსტუალური ანალიზის მეთოდით. განჯაფას, როგორც კულტურული არტეფაქტის ინტერპრეტაცია ეფუძნება სამი ძირითადი თეორიტიკოსის: თომას მალაბის *კონტინგენციური განსახილველობის* კონცეფციას, გრანტ მაკკრაკენის *მნიშვნელობის მობილობის მოდელს* და არჯუნ აპადურაის *საგნების სოციალური ცხოვრების* თეორიას. ეს თეორიული ჩარჩო საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ განჯაფა არა უბრალოდ როგორც თამაში, არამედ როგორც მეტაკომუნიკაციური არტეფაქტი, რომელიც ატარებს კულტურულ მნიშვნელობებს და მისი *სოციალური ცხოვრების* განმავლობაში ტრანსფორმირდება სხვადასხვა კონტექსტში.

## მსჯელობა:

განჯაფა არის სათამაშო კარტი, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა ინდოეთში, ირანში, ეგვიპტეში, ნეპალში, სირიაში, თურქეთსა და საქართველოში. პირველად განჯაფას შესახებ ინფორმაცია გვხვდება *იბნ თაგრი ბირდისის* ეგვიპტურ და სირიულ ანალებში, სადაც ის მოხსენიებულია ერთ-ერთ ისტორიაში, რომელიც, სავარაუდოდ, 1399-1412 წლებს შორის მოხდა დამასკოში. აღნიშნული ისტორიის მიხედვით, ერთ-ერთმა მამლუქმა, რომელიც მოგვიანებით სულთანი გახდა, თავის თანამებრძოლებთან ერთად ითამაშა *კანჯაფა (კანჯიფა)* და მოიგო დიდი თანხა. არსებობს საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ მამლუქები კარტს თამაშობდნენ, რადგან *თოფქაფის* სასახლის მუზეუმში დაცულია მამლუქთა სათამაშო კარტი წარწერით – *კანჯაფა*. აღნიშნული კარტები პირველად აღწერა და გამოაქვეყნა ლ.ა. მაიერმა 1939 წელს. კანჯაფას კარტს მეცნიერთა ერთი ნაწილი ათარიღებს 1500 წლით, ხოლო მეორე ნაწილი – XIII საუკუნით. (Leyden, 1982, P.4) განჯაფას კარტს საქართველოშიც ფულზე რომ თამაშობდნენ, ეს ფაქტი დასტურდება თეიმურაზ მეორის ნაწარმოებში *სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება*-ში:

> *აქა ყუმრის თამაშობის ამბავი*
>
> *დღისაგან თქმა:*
>
> *784*
>
> *ერთსა მცირეს შესაქცევსა აწ მოგითხრობ კაცისასა,*
>
> *ვისაც სწადს და გაეწყობა თამაშობას ყუმრისასა,*
>
> *შექცევასა დაიწყებენ, დღისით მღერას ნარდისასა,*
>
> *თვით ცდილობენ ერთმანერთში მოგებასა თეთრისასა.*
>
> *785*
>
> *ნარდითა და განჯაფითა, ბანქოთ ბევრს თეთრს მოიგებენ,*
>
> *ვინც აჯობებს, გამოართმევს, მოგებულს წინ დაიდებენ,*
>
> *ყუმარბაზნი ხალისითა დაღალვას არ გაიგებენ,*
>
> *ორი-სამი დღე მოებას, ყუმარს აღარ აიღებენ.*
>
> (http://defencegeorgia.blogspot.com/2017/11/).

საკუთრივ სიტყვა *განჯაფა* სპარსული სიტყვაა და ნიშნავს *საგანძურს, ხაზინას ან განძს*. 1514-15 წლებში სპარსმა პოეტმა, აჰლი შირაზმა შექმნა, კომპოზიცია *რუბაიატ-ი-განჯიფა*, რომელიც ეძღვნებოდა განჯაფას სპარსულ, 96 ვარაყიან ვარიანტს. აღნიშნული კომპოზიცია სასიყვარულო ლირიკის შემცველია და პრაქტიკულად არაფერს გვეუბნება კარტის თამაშის წესებზე, მაგრამ შეიცავს ინფორმაციას 8 ძირითადი არკანის შესახებ: 1. Ghulam (slave); 2. Taj (crown);

3. Shamsher (sword); 4. Ashrafi (gold coin); 5. Chang (harp); 6. Barat (document); 7. Tanka (silver coin); 8. Qimash (stores). აჭლი შირაზმა პოემა მიუძღვნა თავის მფარველს, სეფიანთა დინასტიის პირველ შაჰ ისმაილს, რომელიც სავარაუდოდ, აღნიშნული თამაშით იყო გატაცებული. ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ როდიდან შემოვიდა და დამკვიდრდა თამაში განჯაფა საქართველოში არ მოიპოვება, თუმცა მეფე თეიმურაზ მეორემ, რომელიც 1700-1762 წლებში მოღვაწეობდა, განჯაფას მიუძღვნა *ყუმარზედ ზმა ლექსად თქმული:*

*ამის**გან ჯაფა**ს ბევრს ვნახავ, ვინ მზესა დაედარების,*
*ალ**ალთა ფი**ცსა არ სჯერა, მას სხვა რა მოეგვარების?*
*ამა**ყი ზი**ლიხანსავით, უწყენს, ვინც მოეხმარების,*
*ა**ბა რათ** იწყენს ხუმრობას, თუ მე კი არ მემტერების?*
*დიაღ არ ჩადის ავადა, რად არ მომყვების მეო-და?*
*ხ**მა ლი**ზღობაში წამერთვა, შემამწყრა ჩემი მზეო-და.*
*მომ**ჩანგი**ს წელში გაყრითა დავსწყევლე რიცხვი, დღეო-და,*
*რა**თა ჯი**ჯინი გარდამხდა, რათ აღარ მახსენეო-და?*
***ყუ მაში**ნ ბალიშად ვნახე თავსქვეშე დადებულები,*
*ე**ყარა ჯი**ბეს მას ვარდი, ფიცხლავ ცხვირს მეცა სულები,*
*ა**თი ფი**ალის ღვინის სმით ეშყმან შემიკრა გულები,*
***ვარა ყი**ზილბაშს ნამყოფი, გავსინჯე ჩემი თქმულები.*
*თ**ვალი**ს ბაია ხილვითა ვერ გაუმართე მზესაო,*
*იამ სუნნელი მიკმია, აღარ მომიდებს, ცეცხლსაო,*
*იმას ნაფირი დაეკვრას, ვიშუშპრო მუდამ დღესაო,*
*არა **ხარ ჯი**ქი, მე მაზა ლბილი ჩამიდევ ხელსაო,*
*მომართულ ფიცხელს ჩემზედა ისარსა თუ მკრავ გულსა-და,*
*ცხენსა ასალსა უნაგრით შევადგამ არაბულსა-და,*
*მზის მეტოქ მინდობილს მაგდებ, ღვთის მადლს, რას ეტყვის ჯულსა-და?*
*ნაილაჯობა შენგნითა ჩემი წაგიწყმედს სულსა-და!*

(https://www.georoyal.ge/?MTID=11&id=1804)

ეს ლექსი, პირველ რიგში, მეტყველებს იმაზე, რომ ამ პერიოდში აღნიშნული თამაშით გატაცებული იყო სამეფო კარი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელები იყვნენ გაბატონებულნი. შესაბამისად, ამ პერიოდში არსებობდა გაძლიერებული პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური კავშირები სპარსეთთან და ლოგიკურია ისიც, რომ განჯაფა სპარსეთიდან შემოსულიყო, დამკვიდრებულიყო სამეფო კარზე და შემდეგ გავრცელებულიყო ფართო საზოგადოებაში. თუმცა შესაძლებელია უფრო ადრეც, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდანაც შემოსულიყო, რადგან სწორედ ამ პერიოდში იზრდება სპარსელების გავლენა, მაგრამ რადგანაც ზუსტი ცნობები XVIII საუკუნიდან მოგვეპოვება, სჯობს თამაშის საქართველოში შემოსვლის თარიღად XVIII საუკუნის დასაწყისი ვივარაუდოთ (განჯაფას წარმომავლობისა და გავრცელების არეალის კვლევა-ძიება მეცნიერულად საინტერესოა, თუმცა ამ შემთხვევაში, ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ განჯაფა, როგორც გარკვეული მნიშვნელობის მატარებლი კარტი, რომელის საფუძველზეც, სხვადასხვა თეორიებზე დაყრდნობით, ავხსნით თამაშების როლს სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში).



1855-57 წლით დათარიღებული წერილობითი წყაროებიდან ვიგებთ რომ ამ დროისთვის აღნიშნულ თამაშს უკვე აღარ თამაშობდნენ და საზოგადოებაში ამ თამაშის შესახებ არსებული ცოდნა უკვე დაკარგულია (*ცისკარი* №12, 1857, გვ. 48). 1857 წელს რ. ერისთავი ეთნოლოგებს, ლინგვისტებსა და მოსახლეობას მივიწყებული ძველი ქართული თამაშის აღდგენისკენ მოუწოდებს (ლელო № 76, 1957, გვ.4). პოეტმა, დრამატურგმა და ეთნოგრაფმა რაფიელ ერისთავმა 1855 წელს შეიძინა განჯაფას კარტი და გადასცა რუსეთის იმპერიული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას. აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაციას ვიგებთ თავად რაფიელ ერისთავის ხელნაწერებიდან, სადაც დაცულია განყოფილებისადმი მიწერილი რამდენიმე წერილი. მიმოწერიდან ვიგებთ, რომ განყოფილებას რაფიელ ერისთავისთვის მიუმართავს: *დაავალეთ თქვენს უდიდებულესობას, ჩაერთოს თქვენს მიერ ნაპოვნი ფირფიტების მნიშვნელობის, წარმოშობისა და გამოყენების შესწავლაში და სექციას მოახსენოს თქვენი ორივე ჩანაწერის გამოძიების შედეგები* (ერისთავი, 155 / № 7). არ მოიპოვება იმის უტყუარი მტკიცებულება, თუ რა დონეზე შეუსწავლია რაფიელ ერისთავს აღნიშნული ფირფიტები, რადგან გამოქვეყნებული სტატია ან რაიმე სახის ოფიციალური ჩანაწერი არ იძებნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გეოგრაფიული საზოგადოების მდივნის თანამდებობას დროებით მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით იკავებდა, ლოგიკურია, რომ აღნიშნულ საკითხზე სიღრმისეული მუშაობა აღარ გაეგრძელებინა. მომდევნო წერილიდან ჩანს ის, რომ გეოგრაფიული საზოგადოება დაეთანხმა რაფიელის მიერ გამოთქმულ აზრს – *რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა სათამაშო კარტი, რვაჯერ მსგავსი, თუმცა საკმაოდ უხეშად დამზადებული, იმავე კარტისა, რომელიც დღესაც გამოიყენება სპარსეთში და რვაჯერ ასევე გენჯეფეს უწოდებენ* (ერისთავი, 155 / № 7). კარტის სპარსულ წარმომავლობას კი ადასტურებენ სპარსეთში, თეირანსა და თავრიზში მოღვაწე ხანიკოვი და ანიჩკოვი: *სხვადასხვა დროს შევაგროვე რამდენიმე ასეთი კარტი, ძველი და ახალი ნახატები, რომლებსაც განჯის სპარსელები ანუ ოსნები (ასნაფი) ეწოდებათ, და მაქვს პატივი, მისი უდიდებულესობის, პრინცი ვასილი ოსიპოვიჩის არყოფნის შემთხვევაში, ისინი აქვე გადავუგზავნო რუსეთის იმპერიული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას.* ამის შემდეგ, უკვე 1857 წლის პერიოდულ ლიტერატურაში დაბეჭდილ ერთ სტატიას ვაწყდებით სათაურით – ცოდნისათვის განჯაფისა, რომელსაც თ. ნიკოლაოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეს უძღვნის რედ. კერესელიძე. აღნიშნული სტატიიდან ვიგებთ, რომ საქართველოში ერეკლე II-ის მეფობამდე, ნაცვლად სათამაშო ქაღალდებისა, უხმარიათ მათივე მსგავსი ძვლის ფირფიტები, რომელნიცა მხატვრობითა თვისითა წარმოუდგენენ მოთამაშეთა სხუა და სხუათა მნიშვნელობათა და რომელსაცა ჰწოდებია „განჯაფა“, ეს ფირფიტები გვქონდა რედაქციაში, გარნა ვერას გზით ვერ მივხვდით, თუ ვითა ჰქონიათ ხმარებაში ძველ დროს (ცისკარი №12, 1857, გვ. 48). როგორც ცნობილია, ერეკლე მეორე მოღვაწეობდა 1744-1798 წლებში, შესაბამისად, თუ 1857 წელის სტატიაში ადასტურებენ, რომ ვერ გაურკვევიათ თამაშის რაობა, აღნიშნული კარტის ირგვლივ არსებული ცოდნა 1798 -1857 წლებს შორის პერიოდში დაკარგულა. ეს უკვე ის პერიოდია, როდესაც ისტორიულად 1801 წლიდან აღმოსავლეთ საქართველო მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში და შესაბამისად, ლოგიკურია, რომ სპარსული თამაში ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. 1857 წელს გამოქვეყნებული სტატიიდან მოვიყვან იმ ადგილს, სადაც საუბარია განჯაფას თამაშის წესებზე. მართალია, იმ დროს ვერ გაურკვევიათ თამაშის რაობა, თუმცა დღევანდელ დღეს, თანამედროვე შესაძლებლობებითა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ჩვენთვის სრულიად გასაგებია ამ თამაშის წესები და შევეცდებით, რომ ეს წესები თანამედროვე ქართულითაც მაქსიმალურად დეტალურად ავხსნათ:

*განჯაფა არის ხელი რვა: პირველი არის ყიზილი, რომლისაცა ბატონს ეწოდება ალთაფი. და ამის პირველობის ცნობის ნიშანი არის მზე ლომსა ზედა. მეორე არის ყუმაში, მესამე არის ბარათი, მეოთხე არის ჩანგი, მეხუთე არის ხრმალი, მეექვსე არის თაჯი, მეშვიდე არის აღაღჩი, და მერვე ყარაჯი* (ცისკარი №12, 1857, გვ. 48).

- საქართველოში შემოსულ და დამკვიდრებულ *განჯაფას* სპარსულ ვარიანტში არის 8

ძირითადი *მასტი* : 1. ყიზლი/ ალთაფი, აღნიშნულ კარტზე გამოსახულია ლომი; ლომის თავზე კი მზე; 2. *ყუმაში* და ა.შ.

*აღრიცხულთა ამათ თვითოეულთა ხელთა არიან ვარაყნი თორმეტ-თორმეტნი, და თითოს ხელის თორმეტს ვარაყში პირველი არის ბატონი, რომელიც განირჩევა ქოლგის დახურვით და მეორე არის ვეზირი, ხოლო ორივე ესენი არიან ცხენოსანნი, ზემოთქმულს ალთაფს გარდა და ალთაფსაცა ჰყავს ვეზირი ცხენოსანივე* (ცისკარი № 12, 1857, გვ. 49).

- უფრო მარტივად რომ ვთქვათ, 8 *მასტი* შედგება 12-12 კარტისგან, სადაც ყველაზე ძლიერი კარტი არის ალთაფი, რომელიც ლომის გამოსახულებითაა. ალთაფს ასევე ჰყავს ვეზირი, რომელიც ცხენოსნის სახითაა გამოსახული. ყველა დანარჩენ 7 მასტს ჰყავს ბატონი და ვეზირი, რომლებიც ცხენოსნების სახითაა გამოსახული. ანუ, 96 კარტში 16 ყველაზე ძლიერი კარტია და ამ 16 კარტში – *ალთაფი* გამორჩეული და უძლიერესია (მაგ. როგორც თამაშ ჯოკერში – *ჯოკერი*)

*არამედ შვიდთა ამათ ბატონთა, ცხენოსანთა და ქოლგიანთა და რვათა ვეზირთა აქვთ გარჩევა ერთმანეთისაგან ესრეთ: ალთაფის ვეზირს აქვს ყიზილი, ყუმაშის ბატონსა და ვეზირს აქვთ ყუმაში, ბარათის ბატონსა და ვეზირს აქვთ ბარათი, ეგრეთვე ჩანგის ბატონსა და ვეზირსა – ჩანგი. ხრმლის ბატონსა და ვეზირსა – ხრმალი. თაჯის ბატონსა და ვეზირსა – თაჯი. აღაღჩის ბატონსა და ვეზირსა ეგრეთვე აღაღჩი. ყარაჯის ბატონსა და ვეზირსა სიშავე* (ცისკარი № 12, 1857, გვ. 49).

- აქ უკვე აღწერილია, როგორ გამოიყურებიან მასტები. სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროებიდან ზუსტად ვიცით აღნიშნული მასტების მნშვნელობები, რაზეც ზემოთ ერთხელ უკვე გავამახვილე ყურადღება (1. Ghulam (slave); 2. Taj (crown); 3. Shamsher (sword); 4. Ashrafi (gold coin); 5. Chang (harp); 6. Barat (document); 7. Tanka (silver coin); 8. Qimash (stores).)

*განმყოფისათვის განჯაფისა. განჯაფა განიყოფება მაშინ, სწორედ და რიგზე რვა ხელად. თუ ითამაშებენ სამნი და ამათში მდებარის განჯაფისაგან აღიღებს ერთი მათგანი სამსა ვარაყსა. ერთსა თვითონ იპყრობს და ორს თავისთან მსხდომარეთ მისცემს და რომლისაც უმჯობესი ვარაყი იქნება გაყოფა იმას ერგება და მარჯვნივ მჯდომარე გადაუჭრის მას, რომლისგანაცა იწყების დარიგება და განყოფა, ესრეთი: მისცემს მარჯვნივ მჯდომარესა ოთხსა ვარაყსა და ეგრეთვე შემდგომით შემდგომად არიგებს ოთხ-ოთხსავე დასრულებამდე განყოფისა. ამას შინდა დამრიგებელი ესე პირველსა და დასასრულს დარიგებაში უჩენს პირს ვარაყსა და ამით საშუალ დაფარვით განუყოფს და განყოფილი ესე განჯაფა სულ ერთობით არის ვარაყი თვითეული ოთხმოცდა თექვსმეტი და რიცხვისა ამისაგან სამთა მოთამაშეთა ერგების ვარაყი თითოს და თითოსა ოცდათორმეტ-ოცდათორმეტი* (ცისკარი №12, 1857, გვ. 50).

- თამაშობს სამი ადამიანი აქ საუბარია დარიგების წესზე. სამ კაცს თითო-თითო კარტი ერგება და არიგებს საუკეთესო კარტის მფლობელი. მარჯვნიდან მარცხნივ ხდება დარიგება. დასტა (კალოდა) ბოლომდე დარიგდება და ერთ ადამინს 32 კარტი შეხვდება.

*დაწყობისათვის განჯაფისა. თითო და თითო მოთამაშე სამნივ დააწყობენ თავიანთ განჯაფას, ან ვარაყსა, რომელიც რგებიათ ესრეთ: პირველად დადებენ ბატონს და ამასთან თავისავე ვეზირს, მაგრამ დაწყობაში უნდა იცოდეს მოთამაშემ, რომ რვა ხელი, რომელიცა ზემოთ განჯაფის ცნობაში აღვირიცხეთ ამა ოთხისა ცოტა სჯობს: ყიზილისა, ყუმაშისა, ბარათისა და ჩანგისა სჯობს ცოტა. ეს ასე უნდა დაიწყოს ბატონთან ხომ ვეზირი იქნება და ვეზირთან იაქე, იაქესთან ორი, ორთან სამი, ეგრეთვე შემდგომისა შემდგომი ვიდრე ათამდე. ეგრეთვე ამის შემდგომისა სჯობს ბევრი ხრმლისა, თაჯისა, აღაღჩისა და ყარაჯისა და ეს ასე უნდა დაიწყოს. ბატონის შემდგომს ვეზირთან უნდა იყოს. ათი ათთან ცხრა, და ცხრა, ცხრასთან რვა. და ასე ერთმანეთთან გარიგებით და დაწყობით უნდა იყოს ვიდრე იაქემდე* (ცისკარი №12, 1857, გვ. 50).

უფრო მარტივად რომ ვთქვათ

*ამა ოთხისა ცოტა სჯობს* (ანუ ერთი 10-ზე ძლიერია)



*ყიზილი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 9, 10*

*ყუმაში*

*ბარათი*

*ჩანგი*

*ამა ოთხისა ბევრი სჯობს* (10 ერთზე ძლიერია)

*ხრმალი 10, 9, 8, 7, 6, 6, 4, 3, 2, 1*

*თაჯი*

*აღაღჩი*

*ყარაჯი*

*გამორჩევისათვის ხარჯისა. ხარჯი ასე უნდა გამოარჩიოს მოთამაშემ, რომ ყიზილისა , ყუმაშისა, ბარათისა და ჩანგისა, რადგანაც ცოტა სჯობს, ცოტა უნდა შეინახოს, ბევრი უნდა ხარჯში მისცეს: ხოლო ხრმლისა, თაჯისა, აღაღჩისა, ყარაჯისა, რომ ბევრი ჰსჯობს, ცოტა ხარჯში უნდა მისცეს და ბევრი უნდა შეინახოს.*

- ანუ პირველი ოთხი მასტიდან პირველ რიგში, თავიდან უნდა მოიშოროს/ გადაყაროს 10, 9. . და ა.შ და ბოლოსთვის მოიტოვოს 1,2. . .ხოლო მეორე ოთხი მასტიდან 1,2,3 . . . უნდა მოიშოროს და 10,9, 8. . . ბოლოსთვის მოიტოვოს. ანუ აღნიშნული თამაში ძალიან დიდ ყურადღებასა და კონცენტრაციას მოითხოვს.

*თამაშობისათვის განჯაფისა. სამს მოთამაშეში, რომელსაც პირველი ბატონის ალთაფი ერგება. ის ითამაშებს პირველად და ამ ალთაფის ვარაყს გადმოაგდებს და ერთს სხვას ყიზილის ვარაყს მოთიფედ თანავე გამოატანს, რომელიც ბევრი იქმნება ყიზილის ვარაყში იმას და მაშინ მოსცემენ ორნი თანა მოთამაშენი ორ-ორი ვარაყს ხარჯად: კიდევ ისევ ითამაშებს, ასე რომ თავის ვარაყებს გასინჯავს, თუ ბატონი და ვეზირი ერთის ხელისავ ორივ ერთად ჰყავს, ბატონს ათამაშებს და თან მოთამაშეთაგან ხარჯსა აიღებს. თუ ვეზირი ჰყავს და ბატონი არა ჰყავს და სხვას რგებია იმის ასნაფიდან ერთს უკუმოვსს ვარაყს გადმოაგდებს და ბატონს გამოითხოვს სათამაშოდ და მერმე ვისაც ბატონი ჰყავს ათამაშებს და ხარჯს ის წაიღებს. ამას ეწოდება ახსნა თავისა. სამს მოთამაშეში, რომელიც მარჯვნივ უზის, ერთმანეთის მოთიფენი არიან, თუ თავისი მოთიფე არის, რომელიც ითამაშებს და ბატონს გადმოაგდებს, თიფით მოვა და ისე დაჰკრავს. თუ მოთიფე არ არის მარტო ბატონს ათამაშებს და თუნდა მოთიფე არ იყოს იმაზედაც მივა თიფით, თუ მეორისგან წართმევისა არ ეშინია და თუ ან ათი ან იაქე ჰყავს იმავე ბატონისა მაშინ შეუშინებლად მივა თიფით და სამნივ ასე ზემო დაწერილს რიგზე ითამაშებენ: აგრეთვე კიდევ იაქე ჰყავს და ვეზირი არა, მაშინ ვეზირს გამოითხოვს სათამაშოდ და იმას აუხსნის თავსა. მაშინ ვისაც ჰყავს იმის ვეზირი, გადმოაგდებს და წაიღებს ხარჯს; ესრეთვე უპირველეს ასნაფებსაც აუხსნიან თავს ერთმანეთში და ითამაშებენ. რომელიც თავის ხელში დაჰხედავს რომ ასახსნელი აღარ ეყოლება, მაშინ რაც სათამაშოები ექნება ყველას ათამაშებს და ამას ჰქვია ხელის გამოსვლა: ამ დროს ცხენიანებს გადმოყრის და ხარჯს აიღებს და ცხენიანებს რომ გააკეთებს მას უკან ვარაყის გადმოგდებაში იტყვის „ბაიაღ თუ ბაიაღი“ იყოსო. ბაიაღი ეს არის რომ სხვას იმაზე უკეთესი იმ ასნაფის ვარაყი არ ჰქონდეს. ამასაც ამიტომ იტყვის, თუ ეს არა თქვა, ვისაც იმაზე მჯობი ვარაყი ექნება, დაჰკრავს და წაიღებს ბაიაღებს, რომ გაათავებს და აღარ ეყოლება, მერმე ხელს გადაჰკვრენ, ხელის გადაკვრა ეს არის, რაც ვარაყები ექნება თვითოსა და თვითოს არევენ თავიანთ ხელში. მაშინ, რომელიც მარჯვნივ უზის, გამოსთხოვს მისი მერამდენეც ვარაყი ექნება და რომ მოსცემს, მაშინ, რომელსაც უმჯობესი ვარაყი აქვს, იმისავე ასნაფისა დაჰკრავს და წაიღებს ვიდრე დასასრულამდე ერთმანეთთან არ ითამაშებენ. თუ ოთხი ან უფრო ცოტა ვარაყი არის დარჩომილი, ხელს აღარ გადაკრავენ, ის შეყრის, ერთი მათგანი ვარაყი პირგამოჩენით იქმნება და ან პირგამოუჩენლად, მაშინ, ვისაც იმისი ვარაყი ექმნება უმჯობესი, დაჰკრავს და ის წაიღებს და ესრეთ დაასრულებენ თამაშობას.*

განჯაფა რომ ძველ საქართველოში პოპულარული ყოფილა ეს დამოწმებული მათელ რიგ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (ცისკარი №12, 1857, გვ. 51).

თამაშს ის იწყებს, ვისაც *ალთაფი* მოუვა. გადმოაგდებს ალთაფს და დამატებით *ყიზლის მასტი*-დან ერთ კარტს, რომელიც ამ მასტებიდან ყველაზე სუსტი უჭირავს ხელში – იმას. დანარჩენი ორი მოთამაშეც იმავე პრინციპით ორ მასტს მოიშორებს თავიდან ანუ ყველაზე სუსტებს გამოატანენ ე.წ. ხარჯში. თამაშს ისევ ის მოთამაშე აგრძელებს, რადგან უძლიერესი კარტი მას ეჭირა და სხვებმა კარტები ხარჯში მას მისცეს. მეორეჯერ გამოსასვლელად გასინჯავს ხელში რა კარტები უჭირავს და უკვე დააკვირდება 8 მასტიდან, რომელი მასტის ბატონი და ვეზირი უჭირავს ხელში და იმ მასტს გამოვა მეორეჯერ, რა თქმა უნდა ბატონს გამოვა და იმავე პრინციპით აიღებს ხარჯს სხვა მოთამაშეებისგან. თუ, მაგალითად, ჰყავს ვეზირი და არ ჰყავს ბატონი, ამ მასტებიდან გამოვა ყველაზე დაბალ კარტს და მოითხოვს მოწინააღმდეგემ ათამაშოს ბატონი და უკვე ვინც ბატონს ათამაშებს, ხარჯიც მისი იქნება. ამას ეწოდება ახსნა თავისა ანუ სვლა სხვა მოთამაშეზე გადადის. მოთამაშიდან მოთამაშეზე სვლის გადასვლასაც თავისი წესი აქვს; უპირატესობა ენიჭება *მოთიფეს* ანუ ხელ მარჯვნივ მჯდომ მოთამაშეს, რომელიც ათამაშებს ბატონს და თიფსაც გამოვა, ანუ, ერთ კარტსაც მოაყოლებს ხარჯში. თუ ხელმარჯვნივ მჯდომი არ არის, მაშინ ათამაშებს მხოლოდ ერთ კარტს, რომელიც იქნება ბატონი, მაგრამ თიფსაც გამოვა იმ შემთხვევაში, თუ წართმევის არ შეეშინდება, ანუ, ხელში ექნება იმავე მასტის ყველაზე ძლიერი კარტები ან ერთიანი ან ათიანი. ასე, ამ პრინციპით გრძელდება თამაში სანამ ბატონებისა და ვეზირების კარტები არ შემოაკლდებათ. ბოლოს, რა კარტებიც დარჩებათ, იმ კარტებით აგრძელებენ თამაშს, მაგრამ ამ კარტებშიც უნდა ახსოვდეს, რომელი მასტების რა კარტებია გასული, რადგან ისეთი კარტი უნდა გამოვიდეს, რომ იმ მასტის მასზე ძლიერი კარტი სხვას არ ეჭიროს; თან უნდა თქვას *ბაიაღ თუ ბაიაღი,* თუ ამას არ იტყვის, სხვა მასტის უფრო ძლიერი კარტით წაართმევენ ხარჯს. ამ პრინციპით ითამაშებენ მანამ, სანამ ხელში კარტები არ ამოეწურებათ, ხოლო როცა კარტი აღარ ექნებათ, მერე *ხელს გადაჰკვრენ.* ხელის გადაკვრა ნიშნავს იმას, რომ მარჯვნივ მჯდომ მოთამაშეს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ხელიდან აცლის ერთ კარტს. როდესაც თამაშში ოთხზე ნაკლები კარტი დარჩება, ერთმანეთს ხელიდან კარტებს აღარ ამოაცლიან; ითამაშებენ პირგამოჩენით ან პირგამოუჩენლად (კარტის ჩვენებით ან პირიქით), ვისაც შესაბამისი მასტის ძლიერი კარტი აღმოაჩნდება, ის წაიღებს ხარჯს და ამით დასრულდება თამაში.

თამაშის წესებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ *განჯაფა* თავისი სოციალური ცხოვრების საწყის ეტაპზე ასრულებდა სათამაშო ნივთის ფუნქციას, რომელიც ხშირად შთაგონების წყარო ხდებოდა სამეფო კარის წარმომადგენლებისთვის. მოპოვებულმა მასალებმა ცხადყო, რომ *განჯაფამ* საქართველოში შემოსვლიდან და დამკვიდრებიდან მის მივიწყებამდე, სამუზეუმო ექსპონატად გარდაქმნამდე – ახალი სიცოცხლის დაწყებამდე – გარკვეული ცხოვრების გზა გაიარა. ახლა შევეცდებით აღნიშნული საკითხი ავხსნათ სხვადასხვა თეორიების საფუძველზე.

სპარსული წარმოშობის განჯაფა განსხვავდება ინდური განჯაფისგან, როგორც ვიზუალური თვალსაზრისით, ასევე თამაშის წესებითაც.

განჯაფას თამაში სრულად ემორჩილება *მალბის* მიერ შემოთავაზებული შემთხვევითობის 4 ძირითადი ტიპიდან პირველ სამს (1. სუფთა შემთხვევითობა – კარტის არევა, კამათლების გაგორება და ა.შ; 2. სოციალური შემთხვევითობა – სხვა მოთამაშეების განზრახვების, ცოდნისა და რესურსების გაურკვევლობა; 3 შესრულებითი შემთხვევითობა – მოქმედებების შესრულებისას წარმატების ან წარუმატებლობის რისკი; 4. სემიოტიკური შემთხვევითობა – ერთი და იგივე შედეგი სხვადასხვა კონტექსტში შესაძლოა სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს) (Malbay, 2007, PP. 96-102). შესაბამისად, ისეთი თამაშიც კი როგორიც განჯაფაა, კულტურულად განპირობებულია და ის დროის რაღაც მონაკვეთში ფუნდამენტურ კავშირში იყო ყოველდღიურ ცხოვრებასთან.



სამომხმარებლო საზოგადოებაში კულტურული მნიშვნელობა განუწყვეტლივ გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეში (McCracken, 1986, 71-72). მაგ. განჯაფა, როგორც სათამაშო კარტი, ჯერ გავრცელდა ჩინეთში ან ინდოეთში, შემდეგ სპარსეთში და სპარსეთიდან საქართველოში. ჩვენ დანამდვილებით არ შეგვიძლია იმის მტკიცება, თუ სად წარმოიშვა აღნიშნული კარტი, თუმცა ზუსტად ვიცით, რომ განჯაფა თავისი კულტურული მნიშვნელობით გავრცელებული იყო ყველა ზემოთ ნახსენებ ქვეყანაში. კულტურული მნიშვნელობა ჯერ სამომხმარებლო საქონელზე გადადის, შემდეგ კი ამ საქონლიდან ინდივიდუალურ მომხმარებელზე (McCracken, 1986, 71-72). რაში მდგომარეობს *განჯაფას* კულტურული მნიშვნელობა? მაგალითად: ის, რომ კარტის ვიზუალი, როგორც ხელოვნების ნიმუში, მზადდება კულტურული ელემენტების – რელიგიის, მითოლოგიის და სხვათა გათვალისწინებით; ასევე ითვალისწინებენ იმასაც, თუ რომელი სოციალური ფენისთვის არის გათვლილი. მაგ. სამეფო კარისთვის კარტი იბეჭდებოდა ძვირფას, სპილოს ძვლის ფირფიტებზე, ხოლო ფართო საზოგადოებისთვის უკვე – მუყაოზე და ა.შ. ასევე, თავდაპირველად განჯაფას თამაშობდნენ სამეფო კარზე, ხოლო შარდენის ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ განჯაფას მხოლოდ დაბალი სოციალური ფენა თამაშობს. სამომხმარებლო საქონელი ხშირად სცილდება კომერციულ ღირებულებას და ის იძენს გარკვეულ მნიშვნელობას. მას აქვს უნარი ატაროს და გადასცეს კულტურული მნიშვნელობა. ტრადიციულად, კულტურული მნიშვნელობა მიიღება კულტურულად ჩამოყალიბებული სამყაროდან; უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კულტურიდან გადაეცემა, გადადის სამომხმარებლო საქონელზე. შემდეგ ნივთიდან ინდივიდზე; უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მნიშვნელობა სამ ადგილას მდებარეობს. კულტურულად კონსტრუირებულ სამყაროში, სამომხმარებლო საქონელში და ინდივიდუალურ მომხმარებელში... და მოძრაობს შემდეგი ტრაექტორიით: სამყაროდან საქონელში/ნივთში და ნივთიდან ადამიანში/ზე. (McCracken, 1986, 71-72)

შესაბამისად, განჯაფას, როგორც კარტის კულტურული მნიშვნელობის თავდაპირველი ადგილმდებარეობა, კულტურულად კონსტრუირებული სამყაროა. ეს არის ყოველდღიური გამოცდილების სამყარო. მოკლედ რომ ვთქვათ, სამომხმარებლო საქონელი არის ორივე – როგორც კულტურის შექმნილი, ასევე კულტურის შემქმნელი. რა გზებით შეიძლება ნივთი კონსტრუირებული სამყაროდან გადავიდეს სამომხმარებლო საქონელში? მაგალითად მაკკრაკენის აზრით ეს შეიძლება იყოს

1. გაცვლის რიტუალები (საჩუქრის მიცემა);
2. ფლობის რიტუალები (ობიექტის პერსონალიზაცია);
3. მოვლის რიტუალები (საქონლიდან მალფუჭებადი თვისებების ამოღება);
4. ჩამორთმევის რიტუალები (საქონლის განადგურებისას მნიშვნელობის მიცემა).

რომ დავაკვირდეთ განჯაფას კარტს, როგორც ნივთს, როგორც სამომხმარებლო საქონელს, ის აუცილებლად არის შინაარსის მატარებელი, რომელმაც რაღაც ცხოვრებისეული გზა გაიარა .

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა, რაც ამ თვალსაზრისით განჯაფასთან მიმართებით უნდა დაისვას, არის: აქვს თუ არა განჯაფას თავისი ბიოგრაფია? და თუ აქვს, რას ნიშნავს ის, რომ განჯაფას აქვს ბიოგრაფია? როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ბიოგრაფიაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ვსაუბრობთ ცხოვრებაზე. როგორ შეიძლება განჯაფას ჰქონდეს ცხოვრება? რა კავშირშია განჯაფას ბიოგრაფია ადამიანის ბიოგრაფიასთან? აქვს თუ არა ორივე ბიოგრაფიას ცხოვრების მსგავსი მახასიათებლები?

პრაქტიკული თვალსაზრისით, განჯაფა ასრულებდა გარკვეული ინსტრუმენტის როლს კონკრეტული ინდივიდების ცხოვრების ისტორიაში. ამის გასაგებად საჭიროა გავიგოთ მეტაფორულად რა სახის *ცხოვრების გზა* გაიარა უშუალოდ განჯაფამ. ამ *ცხოვრების გზაში* მაგ. *ელენა ვასილიადუ* გულისხმობს არტეფაქტის მუზეუმში მოხვედრამდე და მუზეუმში მოხვედრის შემდგომ პერიოდს, სადაც მუზეუმამდელი ცხოვრება განსაზღვრავს ობიექტის სოციალურ ურთიერთობებში ჩართულობას, ხოლო მუზეუმში ცხოვრება ობიექტის წარსული ბიოგრაფიისადმი

მიდგომით განიხილება. (Vassiladou, 2016, PP. 4-6)

როდესაც სრულდება ინდივიდსა და ნივთს შორის ურთიერთობა, მაშინ ხდება ნივთის მეტაფორული კვდომა. კვდომაში იგულისხმება ის, რომ ნივთი ან დაიკარგა ან დაიწვა ან უბრალოდ დაივიწყეს. ამასთანავე, ნივთის სიკვდილს განიხილავენ როგორც კონსერვაციის შესაძლებლობას, რაც არის დამატებით კიდევ ერთი მეტაფორული გზა. ამ შემთხვევაში, რა გზა გაიარა განჯაფამ ? კონკრეტული გეოგრაფიული არეალიდან წამოიღო თავისი კულტურული მნიშვნელობა საქართველოში, სადაც ის მოერგო ადგილობრივ კულტურასა და საზოგადოებას, გავრცელებული იყო ჯერ სამეფო კარზე, შემდეგ ფართო საზოგადოებაში, გარკვეული ისტორიული პროცესების შემდეგ ნელ-ნელა დაკარგა თავისი ფუნქცია და მნიშვნელობა, რაფიელ ერისთავის წყალობით მოხვდა მუზეუმში, შემდეგ, წლების განმავლობაში, იყო მივიწყებული და თუ განხორციელდა თამაშის აღდგენა მომავალში, მოხდება მისი მეტაფორული თავიდან დაბადება. ანუ, განჯაფამ თავისი ცხოვრების გზაზე გაიარა გზა და შეიქმნა ბიოგრაფია, *არჯუნ აპადურაი* ამბობს, რომ გარდა იმისა, რომ ნივთებს გააჩნიათ საკუთარი ბიოგრაფია, მათ ასევე აქვთ უნარი გადაადგილდნენ სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში, შეიცვალონ მნიშვნელობაც. მაგ.: სპილოს ძვალი არის ნედლეული საამქროში, სპილოს ძვლის განჯაფას კარტი იყო მოდური ნივთი ბაზარში/ბაზრობაზე, ვიღაცისთვის იყო სათამაშო კარტი, ხოლო წლების შემდეგ მუზეუმის არტეფაქტი გახდა. თითოეული ეტაპი მას სძენს განსხვავებულ კულტურულ მნიშვნელობას. აპადურაის აზრით, თითოეულ ნივთს აქვს სტატუსის ცვლილების უნარი: მაგ.: *ნივთი ხდება საბაზრო საქონელი* ნიშნავს იმას, რომ ის გაყიდვადია ბაზარზე. შემდეგ შესაძლოა განიცადოს *დეკომოდიზაცია*, ანუ, დატოვოს ბაზრის სფერო და განიცადოს *რეკომოდიზაცია* – დაუბრუნდეს ისევ ბაზარს. მაგ.: ოჯახური რელიქვია გაიყიდა აუქციონზე – ნიშნავს იმას, რომ გახდა საბაზრო საქონელი; იყიდა კოლექციონერმა – ნიშნავს იმას, რომ შეიძინა პირადი მნიშვნელობა; შესწირა მუზეუმს – ნიშნავს იმას, რომ გახდა კულტურული არტეფაქტი (Appadurai, 1986, გვ.15). ზუსტად ანალოგიური გზა გაიარა განჯაფამაც, იყო უბრალო სამომხმარებლო საქონელი, სათამაშო ნივთი, გამოისყიდა რაფიელ ერისთავმა, გადასცა მუზეუმს, ამის წყალობით ის გახდა კულტურული არტეფაქტი.

როგორც მაკკრაკენი, ასევე აპადურაი ყურადღებას ამახვილებენ მოძრაობაში არსებულ მნიშვნელობაზე: მაკკრაკენისთვის მნიშვნელობა კულტურიდან გადადის საქონელში, საქონლიდან ინდივიდზე, ხოლო აპადურაისთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ მოძრაობენ თავად ობიექტები სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, იძენენ და კარგავენ სხვადასხვა ტიპის ღირებულებას. საბოლოო ჯამში, იმის გასაგებად თუ რას ნიშნავს საგნები, ჩვენ უნდა მივყვეთ მათ მოგზაურობას სხვადასხვა სოციალურ სამყაროში, რადგან ერთი და იმავე ნივთს აქვს განსხვავებული მნიშვნელობა იმის მიხედვით, თუ სად იმყოფება ის თავის *სოციალური ცხოვრების* მოცემულ ეტაპზე. მაგ.: თეიმურაზ მეორის დროს *განჯაფა* ასრულებდა სათამაშო ნივთის ფუნქციას და იყო სრულიად განსხვავებულ *სოციალურ ცხოვრებაში*, ვიდრე დღევანდელ დღეს, როდესაც ის სამუზეუმო ექსპონატია.

## დასკვნა:

წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რაფიელ ერისთავის – XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ხელნაწერებში დაცული ცნობების საფუძველზე, სპარსული ფესვების მქონე ქართული ტრადიციული თამაში *განჯაფა* ხელახლა იქნა აღმოჩენილი და განახლებული მნიშვნელობით დაიბრუნა სიცოცხლე. ჩატარებულმა კვლევამ ნათელი მოჰფინა თამაშის არსებობისა და განვითარების ისტორიას, რომელიც დამაჯერებლად აიხსნა მაკკრაკენის, აპადურაისა და მალბის თეორიული მოდელების გამოყენებით.

*განჯაფა*, როგორც კულტურული პროდუქტი, განიხილება ყოველდღიურ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, რომელიც იძენს გარკვეულ კულტურულ მნიშვნელობას. ამ კუთხით, იგი გადის სამ ძირითად ეტაპს: მნიშვნელობას იძენს კულტურულ კონტექსტში, შემდეგ გარდაისახება საგნად (სამომხმარებლო ობიექტად) დაბოლოს გადადის ინდივიდზე. ამგვარი მოძრაობა აღწერილი ტრაექტორიით ხორციელდება: კულტურიდან – საგანში და საგნიდან – ინდივიდზე. ასევე, განჯაფამ გაიარა თავისი სოციალური ცხოვრების რამდენი ეტაპი: იყო სათამაშო ნივთი, კონკრეტული ინდივიდებისთვის შთაგონების წყარო, აზარტი, ფულის გამომუშავების საშუალება. შემდეგ მოხდა მისი მეტაფორული კვდომა და თავიდან დაბადება.

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ თამაშის წესები უკვე აღდგენილია და მისი დაბეჭდვა გადაწყვეტილი, სამომავლო კვლევისთვის საინტერესოა, როგორ განვითარდება განახლებული *განჯაფას* ცხოვრება ახალ სოციალურ გარემოში – შეძლებს თუ არა ის ფართო საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას, რა როლი ექნება მას და საერთოდაც, შეძლებს თუ არა შეინარჩუნოს ფუნქციური დატვირთვა მომავალში?

## ბიბლიოგრაფია


ერისთავი, რ., (155 / № 7), მასალები (მიმართვები, მიწერ-მოწერა) რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში წარდგენილი ფირფიტების (განჯაფას) შესახებ (რუსულ ენაზე).

*ლელო №76,* აღვადგინოთ ეს თამაში განჯაფა, 1957, თბ. კომუნისტი.

*ცისკარი №12*, ცოდნისათვის განჯაფისა, 1857, თბ. ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

გადმოწერილია 07.20. 2025 აქედან – defence and history: ქართლის მეფის თეიმურაზ მეორის პოეზიიდან.

გადმოწერილია 07.20. 2025 აქედან – https://www.georoyal.ge/?MTID=11&id=1804.

Appadurai, A., (1986), *The Social Life Of Things*, Cambridge.

Caillois, R., (2001), *Man, Play and Games*, Urbana and. Chicago,University Of Illinois Press.

Leyden, R. V., (1982), *Ganjifa The Playing Cards Of India*, London, Victoria and Albert Museum.

Malaby, Th. M., (2007), *Beyond Play: A New Approach to Games*, Sage Publications, 10.1177/1555412007299434.

McCracken, G., (1986), *Culture and Consumption: A Theoretical Account of the Structure and Movement of the Cultural Meaning of Consumer Goods*, Journal Of Consumer Research.

Sutton-Smith, B., (2001), *The Ambiguity Of Play*, Cambridge, Massachusetts London, England, Harvard University Press.

Vassiliadou, E., (2016), *The Two Lives of Objects: Artefacts and Artworks*, Amsterdam.

Huizinga, J., (1980), *Homo Ludens A Study Of The Play-Element In Culture*, London, Boston and Henley, Routledge & Kegan Paul.



*მანანა წერეთელი*
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს უნივერსიტეტი

*Manana Tsereteli*
Assoc. Prof.
The University of Georgia
ORCID-ID: 0009 0004 2597 1791



სპარსული განჯაფა



ინდური განჯაფა

# რაფიელ ერისთავი – სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარი

## აბსტრაქტი

მწერალი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი (1824-1901 წ.წ.) მრავალმხრივი მოღვაწე იყო. თავისი ცხოვრების გარკვეულ მანძილზე ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეგრელოსთან. რაფიელ ერისთავი დაინტერესებული იყო მხარის ისტორიით, ეთნოგრაფიითა და ფოლკლორით. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უშუალოდ ნახვით და ფაქტის ადგილზე გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებებს. ამ მიზნით მან საგანგებოდ შემოიარა ეს მხარე. ამ მოგზაურობას მან საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა. ეს არის სამეგრელოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესანიშნავი ნარკვევი. იგი ავტორია აგრეთვე ნარკვევებისა სოციალურ ურთიერთობათა შესახებ სამეგრელოში, სახელდობრ, პრივილეგირებულ წოდებათა, გლეხთა კატეგორიების, სამღვდელოებისა და ბატონყმური ურთიერთობების შესახებ.

რაფიელ ერისთავი სამეგრელოს ისტორიის შესახებ მასალებს აწვდიდა ადოლფ *ბერჟეს* და *მარი ბროსეს*; ახლო ურთიერთობა ჰქონდა *კორნელი ბოროზდინთან*, რომელიც ასევე მუშაობდა სამეგრელოს ისტორიაზე. 1862 წელს ადოლფ ბერჟე ზუგდიდში ჩავიდა და მასთან ერთად მოიარა სამეგრელო. რაფიელ ერისთავის ინტერესი სამეგრელოს ისტორიისადმი კარგად ჩანს ად. ბერჟეს მიერ მისთვის გაგზავნილ წერილებში. ადოლფ ბერჟესაც აინტერესებდა მასალები სამეგრელოს შესახებ, რომლის გაგზავნასაც მას სთხოვდა. ამ თანამშრომლობის შედეგია ბერჟეს შესანიშნავი ნარკვევი სამეგრელოს შესახებ.

რაფიელ ერისთავის პირად არქივში დაცულია მრავალი მასალა სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, რომელიც საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; სამეგრელო; სამეგრელოს ისტორია; სამეგრელოს ეთნოგრაფია.

# RAPHIEL ERISTAVI – RESEARCHER OF THE HISTORY AND ETHNOGRAPHY OF SAMEGRELO

## ABSTRACT

Writer and public figure Raphiel Eristavi (1824-1901) is also known for his work as a lexicologist, historian, ethnographer, and folklorist. At a certain stage of his life, he developed a close connection with Samegrelo, a region of western Georgia.

In 1855, Raphiel Eristavi was appointed Senior Official for Special Assignments in the Kutaisi Governorate. While carrying out his duties during the peasant revolt in Samegrelo, he served as an interpreter, translating the words of the revolt's leader, Utu Mikava, for the Vice Governor of Kutaisi, Nikolay Kolyubakin, in the village of Kvashikhori. Following the establishment of Russian rule in Samegrelo, Eristavi served as head of the Zugdidi district from 1857 to 1867. During this period, he also supervised the planning and implementation of the peasant reform in the region.

As head of the Zugdidi district, Raphiel Eristavi made a significant contribution to the development of the district. According to the memoirs of his daughter, Anastasia Eristavi-Kakhidze, Raphiel Eristavi had a deep affection for Zugdidi. In the Dadiani Palace, having already lived through half of his life, he met Teodosia Eristavi, the young daughter of a Gurian prince, who would become his lifelong companion. They were married in 1863.

Raphiel Eristavi took a deep interest in the history, ethnography, and folklore of the Samegrelo region. He placed great value on firsthand observation, believing that direct experience was essential for understanding historical and cultural realities. To this end, he traveled extensively throughout the region, documenting his impressions. He dedicated a special essay to this journey – a remarkable work on the history and historical geography of Samegrelo. Eristavi also authored essays on various aspects of regional life, including the clergy, peasant categories and privileged classes, serfdom relations, and more.

Raphiel Eristavi provided materials on the history of Samegrelo to Adolf Bergé and Marie Brosset, and maintained a close relationship with Kornely Borozdin, who also researched Samegrelo's history. In 1862, Bergé arrived in Zugdidi and toured Samegrelo alongside Eristavi. The writer's deep interest in Samegrelo's history is evident from the letters he received from Bergé, who frequently requested additional materials about the region. Their collaboration culminated in Bergé's remarkable essay on Samegrelo.

Raphiel Eristavi's personal archive contains a substantial collection of materials on the history and ethnography of Samegrelo, many of which merit detailed scholarly investigation.

**Keywords:** Raphiel Eristavi; Samegrelo; History of Samegrelo; Ethnography of Samegrelo.



## შესავალი

რაფიელ ერისთავს საპატიო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის. იგი ასევე ცნობილია როგორც ლექსიკოლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი. თავისი ცხოვრების გარკვეულ მანძილზე იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეგრელოსთან.

1855 წელს რაფიელ ერისთავი ქუთაისის გუბერნიაში განსაკუთრებულ დავალებათა უფროს მოხელედ დაინიშნა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დროს, 1857 წლის 20 მაისს, *ქვაშიხორში*, რაფიელ ერისთავი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს *ნიკოლოზ კოლიუბაკინს* (1856-1857 წ.წ.) სურ. 1. აჯანყების მეთაურის _ უტუ მიქავას სიტყვას უთარგმნიდა. სამეგრელოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ, 1857-1867 წლებში, ის ზუგდიდის ოკრუგის უფროსად მუშაობდა. იმავდროულად, იგი სამეგრელოში საგლეხო რეფორმის მომზადებას და გატარებას ხელმძღვანელობდა. ზუგდიდის ოკრუგის უფროსად ყოფნისას რაფიელ ერისთავმა დიდი ღვაწლი დასდო ზუგდიდის კეთილმოწყობას (ვაშაყმაძე, 1962).

რაფიელ ერისთავს მისი ქალიშვილის, ანასტასია ერისთავი-კახიძის მოგონებით, ძალიან უყვარდა ზუგდიდი. ზუგდიდთანაა დაკავშირებული მისი ქორწინება (გუგუშვილი, 1985). მას აქ არც შემოქმედებითი მოღვაწეობა შეუწყვეტია. პოეტის არაერთი მხატვრული ნაწარმოები სწორედ სამეგრელოში დაიწერა. ამასთანავე, რაფიელ ერისთავი დიდად იყო დაინტერესებული მხარის ისტორიით, ეთნოგრაფიითა და ფოლკლორით.

ნაშრომში განხილულია რაფიელ ერისთავის ღვაწლი სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლაში.

## მეთოდები

ნაშრომი ემყარება წყაროებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ისტორიული შემეცნების, სისტემური, კომპლექსური კვლევის; წყაროების გამოვლენის, შერჩევის, კრიტიკული ანალიზის, ფაქტების ნამდვილობის დადგენისა და საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებულ კვლევის სხვა აკადემიურ მეთოდებს. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძვლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ისტორიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, საკითხი სხვადასხვა ისტორიული მოვლენების დინამიკაში შევისწავლოთ.

## შედეგები

რაფიელ ერისთავი პირველი იყო, რომელმაც სამეგრელოს სამთავროს სამოხელეო წყობა, სოციალური ურთიერთობები სამეგრელოს სამთავროში, პრივილეგირებული წოდებები და გლეხთა კატეგორიები, მათი უფლება-მოვალეობები შეისწავლა. იგი დაწვრილებით აღწერს მოხელეთა და მსახურთა უფლება-მოვალეობებს. მის მიერ გამოვლენილი მონაცემები შუქს ჰფენს სოციალურად დიფერენცირებული მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებებს, რასაც, მხარის ისტორიულ შესწავლასთან ერთად, მისი ეთნოგრაფიული კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

## მსჯელობა

რაფიელ ერისთავი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უშუალოდ ნახვით და ფაქტის ადგილზე გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებებს. მან ამ მიზნით საგანგებოდ შემოიარა სამეგრელო. ამ მოგზაურობას მან საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა – *Путевыя записки по Мингрелии* (*სამეგრელოში*

*მოგზაურობის ჩანაწერები*), რომელიც ჟურნალში *Кавказская Старина (№3)* 1873 წელს გამოქვეყნდა. ეს არის სამეგრელოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესანიშნავი ნარკვევი. გარდა ამისა, მან სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ უამრავ მასალას მოუყარა თავი, რომელსაც უშურველად აწვდიდა *ადოლფ ბერჟეს* და *მარი ბროსეს* სურ. 2-3.

1862 წლის მაისში კავკასიოლოგი, არქეოგრაფი და ისტორიკოსი *ადოლფ ბერჟე* (1828-1886 წ.წ.) ზუგდიდში ჩავიდა და რაფიელ ერისთავთან ერთად მოიარა სამეგრელო. ამის თაობაზე ად. ბერჟე წერდა: *თავადს სურდა ჩემთვის სამეგრელოს გაცნობა და ამიტომ არ მომშორებია ამ მხარეში ჩემი ყოფნის განმავლობაში. მე ალბათ ვერ გამოვხატავ მადლიერებას ჩემს მიმართ გამოვლენილი კეთილი დამოკიდებულებისათვის* (ბერჟე, 2021, გვ. 90). რაფიელ ერისთავის ინტერესი სამეგრელოს ისტორიის საკითხებისადმი კარგად ჩანს ადოლფ ბერჟეს მიერ მისთვის გამოგზავნილ წერილებში. ადოლფ ბერჟე 1855 წლის 16 ივლისის წერილში მას სთხოვდა გაზეთ *Кавказь*-ისთვის სამეგრელოს შესახებ წერილები დაეწერა (ხეც, რ. ერისთავის ფონდი, საბ. 389); ურჩევდა, ნაშრომი სამეგრელოს შესახებ თბილისში დაესრულებინა, სადაც უამრავ მასალას ნახავდა ამ თემაზე (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 413, საბ. 418). ამასთანავე, იგი რაფიელ ერისთავს სამეგრელოს შესახებ წერილებსა და მასალებს უგზავნიდა (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 420).

ადოლფ ბერჟე თვითონაც დიდად იყო დაინტერესებული სამეგრელოს შესახებ მასალებით. 1863 წლის 12 იანვრის წერილში იგი რ. ერისთავს სთხოვდა ცნობებს სამეგრელოს გლეხობის შესახებ (ხეც, რ. ერისთავის ფონდი, საბ. 436); 1863 წლის 17 აგვისტოს წერილში – ცნობებს ზოგადად სამეგრელოს შესახებ (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 439); ერთ-ერთ უთარიღო წერილში – სამეგრელოს სოფლების სიას (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 449). ად. ბერჟე რ. ერისთავს უზიარებდა ინფორმაციას სამეგრელოს ისტორიაზე მუშაობის თაობაზე. 1863 წლის 18 იანვრის წერილში ბერჟე რ. ერისთავს წერს, რომ დაამთავრა შესავალი და პირველი თავი ნაშრომისა სამეგრელოს შესახებ (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 437). 1862 წლის 22 დეკემბრისა და 1863 წლის 23 მარტის წერილებში ბერჟე რ. ერისთავს აწვდის ცნობებს სამეგრელოს შესახებ თავისი ნაშრომის თაობაზე (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 434, საბ. 438). ამ თანამშრომლობის შედეგია ად. ბერჟეს შესანიშნავი ნარკვევი *Voyage en Mingrelie, execute en 1862 par Adolphe Berge* (*მოგზაურობა სამეგრელოში 1862 წელს*) (ბერჟე, 2021). ადოლფ ბერჟეს აინტერესებდა არა მარტო სამეგრელოს ისტორიის მასალები, არამედ სამეგრელოსა და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ფოლკლორული მასალებიც. 1861 წლის 25 ნოემბრის წერილში იგი რაფიელ ერისთავს სთხოვდა მისთვის სვანური, აფხაზური და სხვა ხალხური სიმღერები შეეგროვებინა (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 414).

რაფიელ ერისთავს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ ქართველოლოგთან, *მარი ბროსესთან* (1802-1880 წ.წ.). რაფიელ ერისთავი მას 1847 წლიდან იცნობდა. 1847 წლის სექტემბერში, როდესაც მარი ბროსე სამეცნიერო ექსპედიციის ფარგლებში კახეთში მოგზაურობდა, დავით ერისთავისაგან მიიღო მიწვევა და რაფიელ ერისთავის თანხლებით გაემგზავრა სოფელ ქისტაურში, სადაც ბრწყინვალედ უმასპინძლეს ერისთავების ოჯახში. რაფიელ ერისთავის მეშვეობით მან ვრცელი ინფორმაცია მიიღო თუშების ეთნოგრაფიის, სულიერი კულტურის, ენისა და ფოლკლორის შესახებ, დაათვალიერა აქაური სიძველეები (Brosset, 1851, Premier rapport, p. 79-80; მაღრაძე, 2007: 31-32). 1861 წლის 14 ივნისის, 1 ივლისის და 21 ოქტომბრის წერილებში ბერჟე რ. ერისთავს წერს მარი ბროსესთვის საჭირო მასალების, მათ შორის ისტორიული დოკუმენტების გაგზავნის თაობაზე (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 408, საბ. 409).

მარი ბროსე დიდად მადლიერი იყო რ. ერისთავის მისთვის მასალების გაგზავნის გამო (ხეც, რ. ერისთავის ფონდი, საბ. 419). 1862 წლის 28 აპრილის წერილით ბერჟე რ. ერისთავს ატყობინებდა, რომ ბროსეს სჭირდებოდა ხობისა და ცაიშის მონასტრების გუჯრები (ხეც, რ. ერისთავის ფონდი, საბ. 421). როგორც ჩანს, რაფიელ ერისთავმა ბერჟეს გაუგზავნა ეს მასალები, ვინაიდან, 1862 წლის 29 ივნისის წერილში ბერჟე წერს, რომ ბროსეს გაუგზავნა ხობისა და ცაიშის მონასტრების გუჯრების პირები (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 423); 1862 წლის 4 აგვისტოს და 20 ოქტომბრის წერილებში ბერჟე კვლავ სთხოვს მასალებს ბროსესთვის (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 427, საბ. 431). 1862 წლის 24 ნოემბრის წერილში ბერჟე წერს, რომ მის მიერ გამოგზავნილ საბუთების პირებს მიაწვდის ბროსეს პეტერბურგში (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 433); 1863 წლის 12 იანვრის წერილში ბერჟე უკვე წერს, რომ მისგან მიღებული დოკუმენტები ბროსეს გაუგზავნა (ხეც, რ. ერისთავის ფონდი, საბ. 436).

რაფიელ ერისთავს ახლო ურთიერთობა ჰქონდა *კორნელი ბოროზდინთან*, რომელიც ასევე მუშაობდა სამეგრელოს ისტორიის საკითხებზე.

*კორნელი ბოროზდინი* (1828-1896 წ.წ.), რუსი მემუარისტი და პროზაიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სულ მალე, 1853 წელს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში გაამწესეს სურ. 4. 1854 წლის აპრილიდან იყო სამეგრელოს სამთავროს მმართველის ეკატერინე დადიანის შვილების აღმზრდელი, ხოლო 1857-1860 წლებში სენაკის ოკრუგის უფროსი. იგი ავტორია ნარკვევებისა სამეგრელოს შესახებ: *Крепостное состояние в Мингрелии (ბატონყმობა სამეგრელოში)*, *Из прошлого Мингрели (სამეგრელოს წარსულიდან)*, *Омер-паша в Мингрелии. Из воспоминаний о Вост. войне 1853-56 г. (ომერ ფაშა სამეგრელოში. 1853-1856 წწ. აღმოსავლეთის ომზე მოგონებებიდან)*, აგრეთვე მოგონებებისა სამეგრელოს შესახებ (*Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия с 1854 по 1861 г.*), რომლებიც XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა.

კორნელი ბოროზდინი 1885 წლის 17 თებერვლის წერილში რაფიელ ერისთავს სთხოვდა *Исторический Вестникъ*-ისთვის საისტორიო ხასიათის ნარკვევები დაეწერა (ხეც, რ. ერისთავის ფონდი, საბ. 461). ერთ უთარიღო წერილში კ. ბოროზდინი წერს, რომ ახალი წლიდან მისი რედაქტორობით უნდა გამოვიდეს გაზეთი *Кавказские Ведомости* და რ. ერისთავს სთხოვს წერილებს ამ გაზეთისთვის (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 466).

რ. ერისთავი სერიოზულად აპირებდა მუშაობას სამეგრელოს ისტორიაზე, ალბათ ამიტომაც შეაგროვა დიდძალი მასალა სამთავროში სოციალური ურთიერთობების, სამეგრელოს სასამართლოს მუშაობის და ზოგადად სამეგრელოს სამთავროს შესახებ (ხეც, რ. ერისთავის ფონდი, 306, 310, 311), ამონაწერები 1820-1859 წლების საარქივო მასალებიდან სამეგრელოს სამთავროს შესახებ (ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 309) და სხვა. ამ მასალებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ სამეგრელოს სამთავროში ვახტანგ მეფის სამართალი მოქმედებდა.

სამეგრელოში ყოფნის წლებში რ. ერისთავი იკვლევდა სამეგრელოს სამთავროში სოციალურ ურთიერთობებს. მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის მდგომარეობის შესახებ მასალების შეგროვებისა და ანალიზის შედეგები აისახა მის ნარკვევებში *О крестьянском сословии в Мингрелии (გლეხთა კატეგორიების შესახებ სამეგრელოში)* (Эристов, 1873ბ, №4-5; №6), О привилегированных сословиях в Мингрелии (*პრივილეგირებული წოდებების შესახებ სამეგრელოში)* (Эристов, 1873გ, №6). მოგვიანებით, თედო სახოკიამ რუსულიდან ქართულად თარგმნა რ. ერისთავის ორივე ნარკვევი, გააერთიანა და საერთო სათაურით *ბატონყმობა სამეგრელოში* დაბეჭდა (ერისთავი, 1927: გვ. 86-123) სურ. 5.

ნარკვევში *О крестьянском сословии в Мингрелии (გლეხთა კატეგორიების შესახებ სამეგრელოში)*, განხილულია სამეგრელოს გლეხთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო ნარკვევში *О привилегированных сословиях в Мингрелии (პრივილეგირებული წოდებების შესახებ სამეგრელოში)*, შესწავლილია სამეგრელოს პრივილეგირებული წოდების იერარქია, ნაჩვენებია ამ წრიდან გამოსულ პირთა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობანი.

ნარკვევში პრივილეგირებული წოდებების შესახებ სამეგრელოში, რ. ერისთავის მიხედვით, მაღალი წოდება, რომელსაც ყმები ჰყავს, სამეგრელოში შემდეგია: მთავარი, მონასტრები ანუ სასულიერო უწყება, ბატონიშვილები (დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები), თავადები, აზნაურები და თეთრი სამღვდელოება ანუ მღვდლები. მისი ცნობით, ყმები ჰყავდათ არაპრივილეგირებული წოდების წარმომადგენლებსაც, სახელდობრ, გლეხებს (ერისთავი,

1986ა: გვ. 135; ერისთავი, 1927: გვ. 111-112).

სამეგრელოს სამთავრო კარი ისე იყო მოწყობილი, როგორც იმერეთის სამეფო კარი და სიმდიდრითა და ფუფუნებით მას არ ჩამოუვარდებოდა. მთავარს ჰყავდა სამოხელეო აპარატი და აურაცხელი შინამოსამსახურენი და შინაყმები.

უაღრესად საინტერესოა რ. ერისთავის ცნობა, რომ სამთავრო კარზე შემდეგი მოხელეები იყვნენ: 1. სახლთუხუცესი, 2. მდივანბეგთუხუცესი, 3. ბოქაულთუხუცესი, 4. მოლარეთუხუცესი, 5. ბაზიერთუხუცესი, 6. კილიპტართუხუცესი, 7. მეჯინიბეთუხუცესი, 8. მეთოფისთავე, 9. მეღვინეთუხუცესი, 10. კურძუალთუხუცესი, 11. მესტუმრე, 12. მოურავი, 13. მოლარე, 14. ბოქაული, 15. მზარეული, 16. ქეშიკი, 17. მეღვინე, 18. ხაბაზი, 19. მეხულე, 20. ხელოსანი (სოფლის მამასახლისი), 21. ფარეში (მოსამსახურე), 22. კურძუალი, 23. ბაზიერი, 24. მეჯინიბე, 25. მეჯოგე, 26. მეღომისრცხილე. ქალთაგან მთავარს ემსახურებოდნენ: გამდელი, პირისფარეში, მედოშაკე, მოახლე (ერისთავი, 1986ა: გვ. 136; ერისთავი, 1927: გვ. 112-113).

პირველი ცხრა სახელო თავადებს ეჭირათ, ათიდან ჩვიდმეტის ჩათვლით – აზნაურებს, დანარჩენი გლეხებსა და გლეხის ქალებს, – მოჯალაბეებს, მებეგრეებს, აზატებს (ერისთავი, 1986ა: გვ. 136; ერისთავი, 1927: გვ. 113). ამასთანავე, მისი ცნობით, მოხელეები ინიშნებოდნენ ვითარებისა და საჭიროების მიხედვით. მაგალითად, როდესაც გაიგებდნენ გარკვეულ ადგილას თევზი ბლომად გაჩენილაო, დანიშნავდნენ მეთევზეს, რომელსაც მხოლოდ თევზის ჭერა ევალებოდა; როდესაც წისქვილს ააგებდნენ – დანიშნავდნენ მეწისქვილეს; როდესაც მთავარს სტუმრები ეწვეოდნენ, მათ ერთ-ერთ ფარეშს მიუჩენდნენ, რომელსაც ამის შემდეგ *ჩიხოული* ერქვა და ა. შ. (ერისთავი, 1986ა: გვ. 136; ერისთავი, 1927: გვ. 113). ნიშანდობლივია, რომ დედოფალსაც ჰქონდა მამულები, ჰყავდა საკუთარი სახლთუხუცესი, მოურავები და ხელოსნები. ამასთანავე, საქალებოში მთავარი პირი იყო გამდელი, რომელსაც ექვემდებარებოდა: პირისფარეში – პირადი მსახური ქალი ან დედოფლის ლაქია; მედოშაკე – საბან-გობანის გამგე და მოახლე (ერისთავი, 1986ა: გვ. 140; ერისთავი, 1927: გვ. 117).

რაფიელ ერისთავი დაწვრილებით აღწერს მოხელეთა და მსახურთა უფლება-მოვალეობებს. ის პირველი იყო, რომელიც სამეგრელოს სამთავროს სამოხელეო წყობას, სამეგრელოს სამთავროში სოციალურ ურთიერთობებს, პრივილეგირებულ წოდებებს, გლეხთა კატეგორიებს და მათ უფლება-მოვალეობებს იკვლევდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს სამთავროს და მის სამოხელეო აპარატს კარგად იცნობდა, მისთვისაც ბევრი რამ გაუგებარი იყო. იგი კიდევაც აღნიშნავს, ჩვენ ჩამოვთვალეთო მთელ რიგ თანამდებობათა სხვადასხვა, ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი სახელწოდებანი (ერისთავი, 1986ა: გვ. 136; ერისთავი, 1927: გვ. 113).

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიასა და სამართლის ისტორიაში კარგად არის შესწავლილი სამეგრელოს სამთავროს სამოხელეო წყობა, რაშიც დიდი წვლილი რ. ერისთავს მიუძღვის. აქ მხოლოდ რამდენიმე საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას.

რ. ერისთავი აღნიშნავს, რომ ომის დროს მთავრებს ჰყავდათ სარდლებიც, ამ სახელოზე თავადები ინიშნებოდნენ (ერისთავი, 1986ა: გვ. 136; ერისთავი, 1927: გვ. 113). მიჩნეულია, რომ სარდლის სახელო ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში XVII ს. მეორე ნახევრიდან არსებობდა (სოსელია, 1966: გვ. 306). XIX ს. დამდეგის მასალებზე დაყრდნობით მამია დუმბაძემ დაასკვნა, რომ ოდიშის სამთავროში სამი სარდალი იყო: ოდიშის სარდალი, სამეგრელოს ცხენოსანი ლაშქრის სარდალი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი (დუმბაძე, 1949: გვ. 26). ქართული სამართლის ისტორიის მკვლევრის, ბადრი კვარაცხელიას აზრით, ოდიშის სამთავროში ოთხი სარდალი უნდა ყოფილიყო: საკუთრივ ოდიშის, ლეჩხუმის, სამურზაყანოს და სვანეთის (კვარაცხელია, 2009: გვ. 38). თუმცა, ამჯერად, ეს არ არის მთავარი. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში იყო სარდლის სახელო, ხოლო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ, 30-იანი წლებიდან, სარდლის სახელო გაუქმდა. სამთავროს ფეოდალური ლაშქარი მთავარს გამოჰყავდა. რადგან სამეგრელოს სამთავროში 50-60-იან წლებში სარდლის სახელო არ იყო, ამიტომაც არ იხსენიებს მას რაფიელ ერისთავი.

სამეგრელოს სამთავროს მოხელეებს შორის რ. ერისთავი ასახელებს *ხელოსანს*, რომელსაც ის სოფლის მამასახლისთან აიგივებს (ერისთავი, 1986ა: გვ. 138; ერისთავი, 1927: გვ. 115). თუ ვინ უნდა ყოფილიყო სოფლის ხელოსანი, ამის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. საკითხის საგანგებოდ შესწავლის შედეგად ისტორიკოსი დერმიშა გოგოლაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამეგრელოში, როგორც ჩანს, სოფლის მამასახლისს მართლაც ხელოსანი ეწოდებოდა (გოგოლაძე, 1992: გვ. 114). აღსანიშნავია, რომ რ. ერისთავის ცნობით, სოფლად თავისი ხელოსნები ჰყავდათ აგრეთვე *კერძო მემამულეებს* (ერისთავი, 1986ა: გვ. 138; ერისთავი, 1927: გვ. 115). ისტორიკოსი ოლია სოსელიაც ეთანხმება რ. ერისთავს სამეგრელოს სამთავროში სოფლის მამასახლისისა და ხელოსნის იგივეობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ასევე უნდა ყოფილიყო სათავადოშიც (სოსელია, 1966: გვ. 214). საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად, დ. გოგოლაძემ დაადგინა, რომ ხელოსანი სოფელში ამა თუ იმ უწყებრივი კატეგორიის გლეხთა (სამეფო, საბატონო, საეკლესიო) უფროსის თანამდებობა იყო. მისი აზრით, ხელოსანი მამასახლისის ცნების იდენტური იყო, მაგრამ მხოლოდ *უფროსის* მნიშვნელობით, რადგან თანამდებობით *ხელოსანი,* ისე როგორც მამასახლისი, *უფროსს* ნიშნავს; მაგრამ მთავარი ისაა, რომ *ხელოსანი* მთელი სოფლის უფროსი მამასახლისი კი არ იყო, არამედ სოფელში, შერეული ფეოდალური საკუთრების არსებობისას, ამა თუ იმ კატეგორიის გლეხთა უფროსი, თავისი მებატონე-ფეოდალის მიერ დანიშნული (გოგოლაძე, 1992: გვ. 115). ამასთანავე, ის არ გამორიცხავს, რომ სოფლის ადგილობრივ უფროსს *მამასახლისის* ნაცვლად *ხელოსანი* რქმეოდა (გოგოლაძე, 1992: გვ. 116). *ხელოსნისა* და *სოფლის მამასახლისის* ურთიერთ მიმართებასთან დაკავშირებით, სამართლის ისტორიკოს ბ. კვარაცხელიას დასკვნა უფრო კატეგორიულია. მისი აზრით, მამასახლისი და ხელოსანი სამეგრელოში ერთი და იგივე სახელოს ორი სხვადასხვა სახელი იყო (კვარაცხელია, 2009: გვ. 133). გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაფიელ ერისთავის ცნობით, გვიანფეოდალური ხანის სამეგრელოში *ხელოსნები მოურავების თანაშემწეებად ითვლებოდნენ და მოურავებს იქეთ-აქეთ გასაგზავნ-გამოსაგზავნად ჰყავდათ სამსახურისა და ბატონის საქმეების გამო* (ერისთავი, 1986ა: გვ. 138; ერისთავი, 1927: გვ. 115). დ. გოგოლაძეც ხელოსნების მოვალეობას ასე განსაზღვრავს: ისინი სხვადასხვა სახის მოვალეობას ასრულებდნენ: თვალყური ეჭირათ საბატონო გადასახადების წესიერად აკრეფაზე, ებარათ საბატონო მარან-ბეღლების მოვლა-პატრონობა, ასრულებდნენ თავიანთი ბატონისა და მოურავის განკარგულებებს (გოგოლაძე, 1992: გვ. 117). სამეგრელოს სამთავროში რუსული მმართველობის დამყარების დებულებაში (1857 წ. 24 ოქტომბერი) აღნიშნულია, რომ სოფლის მმართველობას შეადგენდნენ ყველა სოფელში – *ხელოსანი* და *გადასახადების ამკრეფი. ორივე აირჩევა სასოფლო საზოგადოებების მიერ* და *ამტკიცებს ოკრუგის უფროსი* (Положение, 1858, გვ. 836). ამდენად, სამეგრელოს სამთავროში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, სოფლის ადგილობრივ უფროსს ხელოსანი ერქვა და სავსებით მართალია რ. ერისთავი, როდესაც გვიანფეოდალური ხანის სამეგრელოს სამთავროში *ხელოსანს სოფლის მამასახლისთან* აიგივებს.

ამჯერად, ჩვენი ამოცანა არ არის სამეგრელოს სამთავროს სამოხელეო წყობის განხილვა რ. ერისთავის ცნობების საფუძველზე, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხზე შევჩერდებით.

სამეგრელოს სამთავროს სამოხელეო წყობის განხილვისას რ. ერისთავი ცალკეული მოხელეების მოვალეობებს განმარტავს და ზოგიერთი სახელოს ეტიმოლოგიასაც გვთავაზობს. მაგალითად, ქეშიკი – თურქულად პირადი მცველი; მდივანბეგი – თურქულად და სპარსულად ნიშნავს მრჩეველს, საბჭოს წევრს (ერისთავი, 1986ა: გვ. 138; ერისთავი, 1927: გვ. 115).

სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესისა და ისტორიკოსის, ნიკო დადიანის, ცნობით, ქეშიკების მოვალეობას შეადგენდა მთავრის და სამთავრო სასახლის დაცვა, მთავრის ბრძანებით შეპყრობილთა დარაჯობა. ქეშიკების უფროსს ქეშიკთუხუცესი ეწოდებოდა (დადიანი, 1897, გვ. 34; კვარაცხელია, 2009: გვ. 99). რ. ერისთავის დროს, გვიანფეოდალური ხანის სამეგრელოში, ქეშიკს უკვე დაკარგული ჰქონდა თავდაპირველი ფუნქცია. მისი ცნობით, ქეშიკს სამეგრელოში

ეძახდნენ მოხელეს, რომელსაც ევალებოდა საქონლით ხარკის აკრეფა; ქეშიკი ამ საქონელს რიგ-რიგად ჰკლავს და იგივეა სუფრაზე მოხარშული ხორცის მიმრთმევი (ერისთავი, 1986ა: გვ. 138; ერისთავი, 1927: გვ. 115).

ამდენად, უაღრესად საინტერესოა რ. ერისთავის ცნობა ქეშიკის მოვალეობის ტრანსფორმაციის შესახებ.

რაც შეეხება მდივანბეგს, მოსამართლის აღმნიშვნელი ეს სახელო საქართველოში XVI საუკუნიდან შემოვიდა. *მდივანბეგი* მოსამართლის აღმნიშვნელი სხვა ტერმინების – *მსაჯულის, მოსამართლის* პარალელურად იხმარებოდა. მდივანბეგების *უხუცესს* მდივანბეგთუხუცესი, მსაჯულთუხუცესი ეწოდებოდა. მდივანბეგს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ფეოდალურ მოხელეებს შორის – იგი მეფის, მთავრის სახელმწიფო მოსამართლე იყო. მდივანბეგი არ ჰყავდა არც ერთ ფეოდალს, მაშინ როდესაც ცენტრალური აპარატის სხვა სახელოთა თანამოსახელე თანამდებობანი ცალკეულ საფეოდალოებშიც არსებობდა (გაბაშვილი, 1942: გვ. 179-185; სურგულაძე, 1952: გვ. 313-358; კვარაცხელია, 2009: გვ. 51-55).

ნარკვევში გლეხთა კატეგორიების შესახებ სამეგრელოში, ავტორი ეხება გლეხთა სამი კატეგორიის – მოჯალაბე, მებეგრე, აზატი, – უფლებრივ მდგომარეობას და ყოფას. ამ კატეგორიის გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობა, მათი ფეოდალური ვალდებულებები და ყოფა-ცხოვრება რ. ერისთავმა შეისწავლა სამეგრელოს სამთავროში შემავალ მხარეებში: ქვემო სამეგრელოში, ზემო სამეგრელოში, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ამ მხარეების სამეურნეო-ეკონომიკური პირობებისა და სოციალური ვითარების შესაბამისად ნარკვევში ნაჩვენებია ის სპეციფიკა, რაც მოსახლეობის ყოფისათვის იყო დამახასიათებელი. ეს სპეციფიკა გამოხატული იყო ვალდებულებათა იმ სისტემაში, რომელიც ამ კუთხეების სოციალურ ფენებად დაყოფილი საზოგადოების ცხოვრებაში არსებობდა. ნიშანდობლივია, რომ განსხვავება შეიმჩნევა მთისა და ბარის მცხოვრებთა გადასახადების სახეობის, მოცულობისა და რაობის მიხედვით. რაფიელ ერისთავის მიერ გამოვლენილი თავისებურებები არა მარტო ერთ კუთხეს განასხვავებდა მეორისაგან, არამედ განსხვავება შეინიშნებოდა თვით ერთი კუთხის შიგნითაც (ითონიშვილი, 1989: გვ. 17-18). აღსანიშნავია ისიც, რომ რ. ერისთავს მოჰყავს სამეგრელოს სამთავროს მხარეებში: ქვემო სამეგრელოში, ზემო სამეგრელოში, ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გამოყენებული მარცვლეულის, სითხის, მიწის საზომ-საწყაოები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და საქონლის ფასები, რასაც ფეოდალურ ურთიერთობათა და ზოგადად, ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ ნარკვევების წყაროდ გამოყენებულია უმთავრესად ისტორიული მონაცემები და შედარებით ნაკლებად ეთნოგრაფიული მასალები, რადგან ამ შემთხვევაში ავტორის მიზანს არა იმდენად მოსახლეობის ყოფისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლა წარმოადგენდა, არამედ სამეგრელოს ისტორიის საკითხების კვლევა XIX საუკუნის სოციალურ ურთიერთობათა პრიზმაში. რ. ერისთავის მიერ გამოვლენილი მონაცემები შუქს ჰფენს, აგრეთვე, სოციალურად დიფერენცირებული მოსახლეობის სამეურნეო-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ყოფის თავისებურებებს, რასაც მხარის ისტორიულ შესწავლასთან ერთად მისი ეთნოგრაფიული კვლევისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს (ითონიშვილი, 1989: გვ.18).

უაღრესად მნიშვნელოვანია რაფიელ ერისთავის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნარკვევი – *სამეგრელოში მოგზაურობის ჩანაწერები*, რომელიც დაწერილია 1867 წელს. მასში გამოყოფილია რამდენიმე ნაკვეთი: 1. ანაკლიიდან ზუგდიდამდე; 2. ზუგდიდიდან ქვაშიხორამდე; 3. ქვაშიხორიდან მარტვილამდე; 4. მარტვილიდან ხონამდე. ასეთი თანმიმდევრობით ავტორი გვაცნობს მხარის გეოგრაფიულ მდებარეობას, გზებს, ეპიზოდებს ამა თუ იმ სოფლის ისტორიული წარსულიდან, უმთავრეს ციხესიმაგრეებს (ანაკლიის ციხე, რუხის ციხე, ხეთის ციხე) და ეკლესია-მონასტრებს (ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის, ცაიშის, ხობის, სენაკის, მარტვილის ტაძრებს), იქ დაცულ ჯვარ-ხატებს, წმინდა ნაწილებს, მხატვრობას, რაც ძვირფას მასალას წარმოადგენს მხარის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის (ითონიშვილი, 1989: გვ. 15-16).



ავტორი დაწვრილებით აღწერს სოფელ ანაკლიას, მის ციხე-სიმაგრეს, სადაც, გადმოცემით, ტყვეთა ბაზარიც ყოფილა. გვაწვდის საისტორიო წყაროების ცნობებს ანაკლიის შესახებ, ეხება მის იმჟამინდელ მდგომარეობას. მისი ცნობით, ანაკლიაში ყოფილა საბაჟო, ასევე ქუთაისის ცხენოსანი ირეგულარული პოლკის მხედართა საგუშაგო და 30-მდე დუქანი და სასაწყობე ფარდული. ამ ფარდულებში ინახებოდა სამეგრელოდან გასატანი პალმის ხე (ბზა) და სიმინდი, რომელიც ყოველწლიურად გაჰქონდათ ოსმალეთში, პირველი – 10-20 ათასი ფუთი, ხოლო მეორე – 100 ათას ფუთამდე. ანაკლიის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად მიაჩნია ის, რომ ენგურის შესართავში იჭერდნენ ზუთხს, ყველაზე გემრიელს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. აქ ცხოვრობდა მუსლიმთა რამდენიმე ოჯახი, როგორც ჩანს, თურქების ბატონობის შემდეგ დარჩენილები, ან შესაძლოა, ოსმალეთიდან სამხედრო ვალდებულებას გამოქცეული ლაზები, რომლებიც თავს ოსმალეთის ქვეშევრდომებს უწოდებდნენ და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. თუმცა, რ. ერისთავს შთაბეჭდილება დარჩა, რომ ისინი უფრო კონტრაბანდით იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე მიწათმოქმედებით; ამასთანავე, უფრო მეტ ოსტატობას მიმდებარე სოფლების ახალგაზრდა, ლამაზი, მაგრამ ღარიბი ქალების გულების დაპყრობაში ჩენდნენ (Эристов, 1873ა: გვ. 68). ასე საინტერესოდ ახასიათებს ავტორი არა მარტო ანაკლიას, არამედ სხვა დასახლებულ პუნქტებსაც.

რ. ერისთავის დაკვირვებით, ანაკლიიდან ორიოდე ვერსის დაშორებით, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ბერძნული კოლონიზაციის დროინდელი დიდი დასახლება არსებულა, რაც დასტურდებოდა აგურის, კერამიკის მრავალრიცხოვანი ნამტვრევებით, ყორღანებით და ძველი დასახლების სხვა ნაშთებით. ეს ადგილი ტყით ყოფილა დაფარული. ერთ-ერთ ასეთ ყორღანში, ადგილობრივ მცხოვრებლებს, აზნაურ ჩხოლარიებს, სპილენძის ზარი უპოვნიათ (Эристов, 1873ა: გვ. 67).

მიწისზედა ძეგლების აღწერასთან ერთად, რაფიელ ერისთავი დაინტერესებულა არქეოლოგიური გათხრებით. 1859 წელს მას გრაფ როზმორდიუკთან[1] ერთად, ანაკლიის ციხის მახლობლად, ერთ-ერთ ყორღანზე, არქეოლოგიური გათხრები ჩაუტარებია სურ. 5. აქ აღმოჩენილა სამარხი, სადაც თიხისა და სპილენძის ნივთები გამოვლენილა, რომლებიც კავკასიის მუზეუმისათვის ჩაუბარებია (Эристов, 1873ა: გვ. 67). თანამედროვე მკვლევრები აღნიშნულ აღმოჩენებს გვიანანტიკური ხანა-ადრეფეოდალური ხანის სამარხებად მიიჩნევენ (კიღურაძე, 1985). მალევე გათხრები შეუჩერებიათ ადგილობრივი მოსახლეობის რჩევით, რადგან გადმოცემით, ახლომახლო, 1812-1813 წლების ჟამიანობის დროს გარდაცვლილები ყოფილან დაკრძალულნი (Эристов, 1873ა: გვ. 67). არქეოლოგიური ძიებისას მისი ყურადღება მიუპყრია სოფელ კახათში ძველი ციხესიმაგრის ნანგრევებს. გადმოცემებისა და სხვა მრავალი ნიშნის გათვალისწინებით, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ენგურის მარცხენა ნაპირი რუხის ციხიდან მოყოლებული, მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, თუმცა შემდეგ დასახლება განადგურებულა (Эристов, 1873ა: გვ. 68; კიღურაძე, 1985). ასევე ყურადღებას იმსახურებს რაფიელ ერისთავის, როგორც მკვლევარ-არქეოლოგის, სხვა დაკვირვებები, მაგალითად, ხეთის ციხე-სიმაგრის ნანგრევების

1 გრაფი როზმორდიუკი – ჟანტი დე როზმორდიუკი, გრაფი, საფრანგეთის მოქალაქე. სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა (1846-1853 წ.წ.) 1848 წელს სამეგრელოში მოიწვია მეაბრეშუმეობის განვითარების მიზნით. ზუგდიდში დააარსა აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმო, რისთვისაც დაზგა-დანადგარები საფრანგეთიდან ჩამოიტანა; მანვე ჩამოიყვანა ამ საქმის მცოდნე ორი ფრანგი ქალი – მარი და სიუზეტი, რომლებმაც თავიანთი ხელობა ადგილობრივებს შეასწავლეს. ეს ფრანგი ქალები სამეგრელოში დარჩნენ და აქვე მისთხოვდნენ ადგილობრივ მკვიდრთ. ზუგდიდის აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმოს პროდუქცია კარგი ხარისხის იყო და რუსეთსა და საფრანგეთში იყიდებოდა. საწარმო თურქებმა დაწვეს 1856 წელს, ომერ-ფაშას ლაშქრის უკანდახევისას. ამის გამო გრაფი როზმორდიუკი სტამბოლში ჩავიდა და ომერ-ფაშას საფრანგეთის ელჩთან უჩივლა. საფრანგეთის ელჩმა ოსმალეთის ხელისუფლება აიძულა მისთვის კომპენსაციის სახით 15 ათასი მანეთი გადაეხადა. ამის შემდეგ მან მალევე აღადგინა საწარმო, რომელმაც 1863 წლამდე იარსება (ტუღუში, 2022: გვ. 38, 50-51).

აღწერა და სხვა მსგავსი ცნობები.

მიჩნეულია, რომ პირველი არქეოლოგიური გათხრები საქართველოში კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის (1844-1854 წ.წ.) დავალებით ისტორიკოსმა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა (1815-1878 წ.წ.) 1852 წელს, უფლისციხეში ჩაატარა (მაღრაძე, 2007: გვ. 42). ასევე მიჩნეულია, რომ დასავლეთ საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრები რაფიელ ერისთავის სახელს უკავშირდება (რაფიელ ერისთავი – 200, 2024: გვ. 33). თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ პირველი არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში უკავშირდება სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს (1846-1853 წ.წ.), რომელმაც ნოქალაქევში ანტიკური ხანის სიძველეები მოიპოვა (Brosset, 1851, Septieme rapport, p. 60-61). ამ ფაქტს მკვლევარი ლეილა მაღრაძეც იცნობს, თუმცა საქართველოში პირველი არქეოლოგიური გათხრების მესვეურად ისტორიკოს დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს მიიჩნევს (მაღრაძე, 2007: გვ. 48-51). რა თქმა უნდა, ეს ფაქტი არაფრით აკნინებს რ. ერისთავის ღვაწლს.

ამდენად, საქართველოში არქეოლოგიური გათხრები პირველად დავით დადიანმა ჩაატარა ნოქალაქევში, შემდეგ უკვე დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა – უფლისციხეში. დავით დადიანის შემდეგ, სამეგრელოში არქეოლოგიური გათხრები რაფიელ ერისთავმა აწარმოა.

უაღრესად საინტერესოა რ. ერისთავის ცნობები სამეგრელოს მთავრის, ლევან V დადიანის (1805-1846 წ.წ.) შესახებ. მისი ცნობით, მთავარს შესანიშნავი პიროვნული თვისებები ჰქონდა. უყვარდა ლაღი ცხოვრება, კარგი ღვინო, იყო ქალების თაყვანისმცემელი; ამასთანავე, იყო კარგი მონადირე, კარგი მხედარი და კარგი მსროლელი. მას შეეძლო მთელი სისწრაფით გაჭენებული ცხენი გაეჩერებინა, ჩამომხტარიყო და მისი დომბეადან გასროლით გაეცეული ირემი მოეკლა. დომბეას ეძახდნენ მთავრის საყვარელ თოფს, რომლითაც ძველად კავკასიური ბიზონი, ადგილობრივების თქმით – დომბა, მოუკლავთ. იქვე რაფიელ ერისთავი იმასაც აღნიშნავს, რომ ნადირობა სამეგრელოს ყველა მთავრის საყვარელ გასართობს წარმოადგენდა და მოჰყავს ცნობები ქართული მატიანეებიდან ლევან I დადიანისა და მანუჩარ დადიანის ტრაგიკული ნადირობის შესახებ (Эристов, 1873а: გვ. 68-69). რ. ერისთავის ცნობით, აქაურ ტყეებში ნადირი ისე ბლომად ყოფილა, რომ ირმები და გარეული თხები თვით ზუგდიდის შემოგარენშიც კი ჯოგებად დაეხეტებოდნენ. ზუგდიდის მახლობლად შემოღობილ პარკში სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს, ჰყოლია ირმებისა და გარეული თხების ჯოგები. მოგვიანებით, ყირიმის ომის დროს (1853-1856 წ.წ.) თურქების მიერ სამეგრელოს ოკუპაციისას, ისინი ისკანდერ-ფაშას ბრძანებით დაუხოცავთ (Эристов, 1873а: გვ. 69).

რ. ერისთავი ახასიათებს ზუგდიდს, ეხება მის ეტიმოლოგიასაც. მისი ცნობით, იმ დროს ზუგდიდი პატარა დაბა ყოფილა, სადაც განთავსებული იყო ყოფილი კავკასიის 31-ე სახაზო ბატალიონის შტაბ-ბინა, რომელიც აქ ბაქოდან 1858 წელს გადმოუყვანიათ. აქვე ყოფილა 300-მდე კიოსკი და დუქანი, 40-მდე კერძო სახლი.

რ. ერისთავი იძლევა საინტერესო ცნობებს ზუგდიდისა და მისი ბოტანიკური ბაღის შესახებ (Эристов, 1873а: გვ. 69-70). დადიანების სასახლეებისა და ბაღის აღწერისას ერთი საინტერესო ფაქტის შესახებაც მოგვითხრობს: მისი ცნობით, დადიანების სასახლეში თურმე ჰომერული ნადიმები იმართებოდა, რომელთა მსგავსი იშვიათად, თუმცა მაინც იმართება შემცირებული სახით იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. ამ ნადიმებზე მოაქვთ მრავალი კერძი, როგორც ცივი, სხვადასხვა მჟავე და ტკბილი სოუსით, ასევე ცხელი კერძები მთლიანად შემწვარი ცხვრებით, ხბოებით, გოჭებით. ყოფილა შემთხვევები, როცა ასეთი ნადიმისას შემოუტანიათ მთლიანად შემწვარი ძროხა, რომლის მუცელშიც იყო შემწვარი ხბო, მასში ბატკანი, ბატკანში ქათამი, ქათამში კვერცხი; სმა მიდიოდა საშინელი: ცნობილი მსმელები სვამდნენ 10-15 ბოთლ ღვინოს; სვამდნენ, საუბრობდნენ და სადილი ზოგჯერ ვახშამში გადადიოდა, ზოგჯერ კი მომდევნო დღემდე გრძელდებოდა. რ. ერისთავის ცნობით, საკვირველი იყო მათი შესაძლებლობა, მიერთმიათ უზარმაზარი რაოდენობით საკვები და დაელიათ უზარმაზარი რაოდენობით ღვინო, ამასთანავე გაკვირვებას იწვევდა ეტიკეტიც და მათი მოთმენის უნარიც, სუფრის წევრები თითქმის მთელი დღის განმავლობაში ისხდნენ, ადგილიდან არ დგებოდნენ და სუფრას არ ტოვებდნენ (Эристов, 1873а: გვ. 70).

უაღრესად საინტერესოა ნარკვევში ხობის ღვთისმშობლის ტაძრის აღწერა სურ. 6. მისი ცნობით, ტაძარში დაცული იყო ღვთისმშობლის კვართი, ჩასვენებული მოოქროვილ და ძვირფასი თვლებით შემკულ კიოტში; წმ. მარინეს ხელის მტევანი, წმ. ივლიტას ხელის მტევანი, ძელი-ცხოვლის ნაწილი და სხვ. მონასტერს ჰქონია სასულიერო შინაარსის ქართული წიგნების ბიბლიოთეკა. საგლეხო რეფორმის გატარებამდე მას ეკუთვნოდა 470 კომლი გლეხი, რომლებიც 2550 მანეთს უხდიდნენ; ჰქონდა ვენახი, წისქვილი, მიწები და ტყეები (Эристов, 1873а: გვ. 74). ავტორის ცნობით, ყოველწლიურად, ღვთისმშობლის მიძინების დღეს, აქ სატაძრო დღესასწაული იმართებოდა ჯირითის, ცეკვების, სიმღერების თანხლებით. იგი მოკლედ აღწერს ამ დღესასწაულის ზოგიერთ თავისებურებას, სახელდობრ, ცეკვებსა და სიმღერებს. ყოველ წელს 15 აგვისტოს, – წერს რ. ერისთავი, – აქ ტარდება სატაძრო დღესასწაული, სადაც თავს იყრიან მლოცველები, როგორც შორეული ადგილებიდან, ასევე მიმდებარე სოფლებიდან. ღვთისმსახურების შემდეგ აქვე იმართება ბაზრობა. აქვე ტარდება ჯირითი, იმართება ცეკვა და სიმღერა.

აქაურების ცეკვა ორგვარია: პირველ შემთხვევაში, ქალთა და ვაჟთა წყვილები ცეკვავენ დაირის ან სიმღერისა და მაყურებლების ტაშის აკომპანიმენტით; ამ დროს მოცეკვავე ქალი კეკლუცობს და თითქოს გაურბის მოცეკვავე ვაჟს, ეს უკანასკნელი კი მარჯვედ და ვნებიანად მისდევს მას. მეორე, ესაა ფერხული. ამ დროს ორივე სქესის მოცეკვავეები, ხელიხელჩაკიდებულნი, მღერიან მხიარულ ვნებიან სიმღერებს, მოძრაობენ წრიულად, ნელ-ნელა ცეკვის ტემპს უმატებენ და რიტმულ მოძრაობას აძლიერებენ (Эристов, 1873а: გვ. 74-75).

რ. ერისთავი საინტერესოდ აღწერს სენაკს, ნოქალაქევს, ბანძას. მისი ცნობით, რამდენიმე წლის წინ ბანძაში აღმოუჩენიათ განძი, რომელიც ოქროსა და სპილენძის მონეტებისაგან და ძვირფასი ქვებისაგან შედგებოდა. სპილენძის ერთი მონეტა, წარწერით გიორგი დადიანი, მასაც შეხვედრია (Эристов, 1873а: გვ. 77). მარტვილის ძირში განლაგებული იყო პატარა დაბა ნაოღალევი ბაზრით. 1800-იან წლებში აქ განთავსებული იყო ბელევსკის პოლკის შტაბ-ბინა. პოლკს პოლკოვნიკი, თავადი აფხაზი, მეთაურობდა (Эристов, 1873а: გვ. 79). ავტორს მხედველობაში ჰყავს ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი (1764-1832 წ.წ.), შემდეგში რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი.

ივანე აფხაზი, პოდპოლკოვნიკის წოდებით, 1820 წლიდან 44-ე ეგერთა პოლკს მეთაურობდა. 1821 წელს მას პოლკოვნიკის, ხოლო 1826 წელს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა. 1827-1829 წლებში ის კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი იყო, ხოლო 1829-1830 წლებში მაჰმადიანური პროვინციების – ყარაბაღის, ნუხისა და შირვანის მმართველი; 1830-1831 წლებში – ვლადიკავკაზის კომენდანტი. პოლონეთის აჯანყების დროს, 1831 წელს, მოქმედ არმიაში გაიწვიეს. დანიშნულების ადგილისაკენ მიმავალი, იმავე წლის შემოდგომაზე ბრესტ-ლიტოვსკში ქოლერით გარდაიცვალა (ბერძნიშვილი, 1980: გვ. 159-160). რ. ერისთავი ცდება, როდესაც წერს, რომ ივანე აფხაზი ბელევსკის პოლკის მეთაური იყო, თუმცა ამას, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება ნაოღალევს. ასე იწოდებოდა XIX საუკუნეში მარტვილის მონასტრის მიმდებარე დასახლება მდინარეებს აბაშასა და ინჩხიას შორის, ამჟამინდელი ქალაქ მარტვილის ცენტრი.

რ. ერისთავი ქვაშიხორს ასე აღწერს: ქვაშიხორი, მეგრულ ენაზე ნიშნავს იცხოვრე ქვებში ან ქვებს შორის. მართლაც, სოფელი განლაგებულია ქვიანი მთის ფერდობზე; მხოლოდ ნიკოლოზ და ელიზბარ დადიანების შთამომავლების კუთვნილი სახლებია განლაგებული მდ. ტეხურის ნაპირზე, ერთადერთ მინდორზე. ამ მთებს შორის დასავლეთით ბატონობს ეკისა და უნაგირას მთები, აქვეა შხეფის ციხე (Эристов, 1873а: გვ. 75). ქვაშიხორი მეგრულად ქვის სახლს//ქვის საცხოვრისს ნიშნავს. ასე ერქვა სოფელს, რომელიც მდებარეობდა შხეფის მთის კალთებიდან მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირამდე. სახელწოდება მომდინარეობს შხეფის ციხიდან, რომელიც XVI-XVII საუკუნეებში დადიანთა სამთავრო სახლის რეზიდენციას, ციხე-სახლს (ჯიხა-ხორა)

წარმოადგენდა.

ნარკვევში რ. ერისთავი საინტერესო ცნობებს გვაწვდის გზებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის შესახებ. იგი დაწვრილებით ახასიათებს გზებს ანაკლიიდან ზუგდიდამდე, ზუგდიდიდან ქვაშიხორამდე, ქვაშიხორიდან მარტვილამდე, მარტვილიდან ხონამდე. მისი ცნობით, სოფელ დარჩელში, მდ. ჯუმზე ხიდი 1858 წელს აუგიათ; მდ. ხობისწყალზე ბორანი ყოფილა გამართული (Эристов, 1873ა: გვ. 68, 75). რ. ერისთავის ცნობით, მარტვილიდან ხონისაკენ მიმავალი გზა ნოჯიხევისა და მარსილის მინდვრებზე ჩადიოდა, ხონისაკენ მიმავალი გზა მარცხნივ უხვევდა და ძველ საფოსტო გზაზე ორად იყოფოდა: ერთი, სოფელ ხუნწის გავლით ბომბუას ხიდისკენ მიემართებოდა, ხოლო მეორე – დიაგონალურად, ნაგვაზაოს ზემოთ და ხუნწის ქვემოთ, მიემართებოდა ბორნისაკენ, რომელსაც გლეხი სურმავები ამუშავებდნენ. ამ ბორნის ზემოთ და ქვემოთ კიდევ ყოფილა გამართული ბორნები: ერთი ხუნწის ქვემოთ, ხოლო მეორე – ადგილ სახარიასთან, რომელსაც თავადი წულუკიძეები ამუშავებდნენ (Эристов, 1873ა: გვ. 79).

30-50-იან წლებში სამეგრელოდან, რედუტ-კალედან, იმერეთისაკენ საფოსტო გზა გადიოდა. მას ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ აქ ფოსტა მოძრაობდა. მას ზემო სამეგრელოს სამხედრო გზას ან ესპეხოს გზას ეძახდნენ. გენერალ-მაიორი აკიმ ესპეხო 1837-1841 წლებში იმერეთის მმართველი იყო. სწორედ მისი მმართველობის დროს გაიყვანეს ეს გზა, რომელიც რ. ერისთავის ცნობით, 1838 წელს მაიორმა ლობოდამ დააპროექტა. გზა სოფელ ხუნწის, ბუმბუას ხიდისა და სოფელ მათხოჯის გავლით ხონისაკენ მიემართებოდა. 70-იან წლებში ის უკვე მიტოვებული იყო და ძველ საფოსტო გზას ეძახდნენ (Эристов, 1873ა: გვ. 79).

რ. ერისთავი რამდენჯერმე ახსენებს ბომბუას ხიდს და მის ისტორიაზე ჩერდება. ხუნწსა და გორდს შორის, მდ. ცხენისწყალზე გადებული იყო ხიდი, რომელსაც ბომბუას ხიდს//ბუმბუას ხიდს ეძახდნენ. ამ ხიდის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: ძეს აქ ხიდი ... გორდს ცხენისწყალზედ (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: გვ. 762). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ აქ წინათ ხის ხიდი ყოფილა, რომელიც ქვის ბურჯებზე იყო დაყრდნობილი (კვეზერელი-კოპაძე, 1972: გვ. 95). შემდეგ აქ ბონდი გაუკეთებიათ. იმავე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ცხენისწყალზე ბონდი ყოფილა: არამედ წყალი ესე, ვინაითგან არა უტევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთვის შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე სახელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქუეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ხიდი იგი, გარნა უწყიან ოდიშსა შინა ხშირად ხიდი ესე და უწოდებენ ბონდსა (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: გვ. 748).

მდინარე ცხენისწყალი ლეჩხუმის ვიწროებიდან სოფელ გორდის ქვემოთ გამოდის. ამ ადგილას ცხენისწყლის კალაპოტი ძალზე ვიწროა და ორივე ნაპირი კლდოვანია. ნაპირებს შორის მანძილი აქ 23-25 მეტრს შეადგენდა. სწორედ აქ იყო აგებული ხიდი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე იმერეთსა და სამეგრელოს შორის ცხენისწყალზე ერთადერთი ხიდი იყო (კვეზერელი-კოპაძე, 1972: გვ. 94). მისი სახელის მიხედვით ფიქრობდნენ, რომ ის ძვ. წ. I საუკუნეში რომაელი სარდლის პომპეუსის მიერ იყო აგებული. როგორც ჩანს, რ. ერისთავიც იზიარებდა ამ შეხედულებას და კითხვას სვამდა: ხომ არ არის ახლანდელი ხიდი გადებული პომპეუსის მიერ აგებულზე, მის მიერ მითრიდატე პონტოელის დევნისას, ამიტომ ხომ არ შემორჩა თვით სახელწოდება ბუმბუას ხიდი? (Эристов, 1873ა: გვ. 79-80).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ავტორთაგან ფილოლოგი და ისტორიკოსი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929 წ.წ.) ერთადერთია, რომელიც ხიდის სახელს პომპეუსს არ უკავშირებს. სამეგრელოში 1876 წლის სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშში იგი წერდა: სოფელ გორდამდე 6-7 ვერსზე, მთის ძირას ცხენისწყალზე არის ხიდი, რომელსაც ბომბუას ხიდს უწოდებენ. ზოგიერთი ამაში ხედავს პომპეუსის სახელის დამახინჯებას და მას თარგმნის, როგორც პომპეუსის ხიდი ... სამეგრელოში ამ ხიდს ბომბუაშვილის ხიდს უწოდებენ. აზნაური ბომბუაშვილები კი აქვე ხიდის მახლობლად ცხოვრობენ... ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წინანდელი წნული ხიდი, ბონდის ხიდი, ამ აზნაურებს აუგიათ და ამის გამო მათ რაღაც დამოკიდებულება ჰქონიათ ხიდთან, ან უბრალოდ ეს ხიდი მათი მამულის სიახლოვეს იყო და ამის გამო ასეთი სახელით იხსენიებდნენ, რათა განესხვავებინათ მისი მსგავსი ხიდებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით იმ დროს მრავლად იყო... ძველი, ვაზისაგან დაწნული დაკიდული და მოქანავე ხიდის ნაცვლად ახლა აქ აგებულია ახალი მყარი ხიდი, რომელიც ყველაზე უკეთესია, რაც კი სამეგრელოში მინახავს (Цагарели, 1877: გვ. 67).

დღეისათვის, ისტორიოგრაფიაში სწორედ ა. ცაგარელის მოსაზრებაა გაზიარებული (კვეზერელი-კოპაძე, 1972: გვ. 94-95).

*სამეგრელოში მოგზაურობის ჩანაწერებში* რ. ერისთავი შორეული წარსულის მოვლენების გასარკვევად, არქეოლოგიისა და საისტორიო გეოგრაფიის მონაცემებთან ერთად, იყენებს ქართულსა და უცხოურ საისტორიო წყაროებს; ეყრდნობა ლიტერატურულ მონაცემებს, ფოლკლორულ მასალებს, ხოლო ზოგიერთი საკითხის გაშუქებისას უშუალო მოწმისა და დამკვირვებლის როლში გვევლინება. ამა თუ იმ სოფლისა და მოვლენის შესახებ, რომელსაც ის თხრობისას ეხება, გვთავაზობს ცნობებს საისტორიო წყაროებიდან.

რ. ერისთავის სამეცნიერო ნარკვევები, რომლებიც სამეგრელოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის საკითხებს შეეხება, უაღრესად საინტერესოა როგორც წყაროთმცოდნეობითი, ასევე ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით და კვლავაც ინარჩუნებს სამეცნიერო მნიშვნელობას. როგორც თედო სახოკია აღნიშნავდა, *რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული წერილები, რუსულ გაზეთ „კავკაზში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი (ბატონყმობა სამეგრელოში) დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის შესწავლის მსურველს* (სახოკია, 1984: 23).

## დასკვნები

ამრიგად, რაფიელ ერისთავი სამეგრელოში მოღვაწეობისას დაინტერესებული იყო მხარის ისტორიით, ეთნოგრაფიით, ფოლკლორით. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უშუალოდ ნახვით და ფაქტის ადგილზე გაცნობით მიღებულ შთაბეჭდილებებს, რაც საფუძვლად ედო მის მუშაობას სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე. იგი ავტორია სამეგრელოს ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ნარკვევებისა, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ სამეცნიერო მნიშვნელობა. მისი, როგორც თვითმხილველის, ცნობები უაღრესად მნიშვნელოვანია სამეგრელოს ისტორიის კვლევისათვის. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია რაფიელ ერისთავის ღვაწლი სამეგრელოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლაში.

## ბიბლიოგრაფია


ბატონიშვილი ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV, თბილისი.

ბერჟე, ად. (2021). *მოგზაურობა სამეგრელოში 1862 წელს*. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ანთელავამ; წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბეჟან ხორავამ, თბილისი.

ბერძნიშვილი, მ. (1980). *მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის*. I, თბილისი.

ბოროზდინი, კ. (1934). *სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი*. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, ტფილისი.

გაბაშვილი, ვ. (1942). დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით. *ენიმკის მოამბე*, ტ. 13. თბილისი.

გოგოლაძე, დ. (1992). *ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.). სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია*. თბილისი.

გუგუშვილი, შ. (1985). მაზრის უფროსი. გაზ. *მებრძოლი*, №106.

დადიანი, ნ. (1897). *დასტურ-ლამა*. ტფილისი.

დუმბაძე, მ. (1949). *სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში. მიმომხილველი, 1.*

ერისთავი, რ. (1927). *ბატონყმობა სამეგრელოში*. წგნ.: *კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები)*. თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი, ტფილისი.

ერისთავი, რ. (1986ა). *О крестьянском сословии в Мингрелии*. წგნ.: *რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები*. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თემურ ჯაგოდნიშვილმა, თბ., 1986.

ერისთავი, რ. (1986ბ). *О привилегированных сословиях в Мингрелии. წგნ.: რ. ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები*. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თემურ ჯაგოდნიშვილმა, თბ., 1986.

ვაშაყმაძე, შ. (1962). *რაფიელ ერისთავი*. თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (1989). *ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები*. თბილისი.

კვარაცხელია, ბ. (კ.). (2009). *სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XVI-XIX სს-ში*. თბილისი.

კვეზერელი-კოპაძე, ნ. (1972). *საქართველოს ძველი ხიდები*. თბილისი.

კიღურაძე, ნ. (1985). რაფიელ ერისთავი და საქართველოს არქეოლოგია. გაზ. *თბილისი*, № 42.

მაღრაძე, ლ. (2007). *მარი ბროსეს არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში*. კრებ.: საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები, თბილისი.

*რაფიელ ერისთავი – 200*. (2024). პროექტის იდეისა და კონცეფციის ავტორი ეკა კაჭარავა. თბილისი.

სახოკია, თ. (1984). *ჩემი საუკუნის ადამიანები*. თბილისი.

სოსელია, ო. (1966). *ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან*. თბილისი.

სურგულაძე, ივ. (1952). *საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის*. ტ. 1, თბილისი.

ტუღუში, ა. (2022). *ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან*. თბილისი.

Brosset, M. (1851). *Brosset Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848*. St. Petersburg.

Цагарели, А. (1877). *Сообщение о поездке в Мингрелию*. Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества, т. V.

Эристов, Р. (1873а). Путевыя записки по Мингрелии. *Кавказская Старина*, №3.

Эристов, Р. (1873б). О крестьянском сословии в Мингрелии. *Кавказская Старина*, №№4-5, 1873.

Эристов, Р. (1873в). О привилегированных сословиях в Мингрелии. *Кавказская Старина*, № 6.



## საარქივო წყარო

ხეც _ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რ. ერისთავის ფონდი, საბ. 306, იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებულება სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისა და იქ რუსეთის მმართველობის შემოღების შესახებ. 4.01.1867.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 309, ამონაწერები საარქივო მასალებიდან სამეგრელოს სამთავროს შესახებ.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 310, მასალებიდან სამეგრელოს სამთავროს შესახებ.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 311, მასალებიდან სამეგრელოს სამთავროს შესახებ.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 389, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 16.07.1855.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 408, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 14.06.1861.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 409, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 1.07.1861.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 413, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 18.11.1861.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 414, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 25.11.1861.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 418, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 24.01.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 419, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 31.03.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 420, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 21.04.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 421, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 28.04.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 423, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 29.06.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 427, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 4.08.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 431, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 20.10.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 433, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 24.11.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 434, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 22.12.1862.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 436, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 12.01.1863.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 437, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 18.01.1863.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 438. ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 23.03.1863.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 439. ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, 17.08.1863.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 449, ად. ბერჟეს წერილი რ. ერისთავისადმი, უთარიღო.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 461, კ. ბოროზდინის წერილი რ. ერისთავისადმი, 17.11.1885.

ხეც. რ. ერისთავის ფონდი, საბ. 466, კ. ბოროზდინის წერილი რ. ერისთავისადმი, უთარიღო.

*ბეჟან ხორავა*
ისტორიის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
საქართველოს უნივერსიტეტი,
თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

*Bezhan Khorava*
PhD in History, Senior Scientific Researcher,
T. Beradze Institute of Georgian Studies,
the University of Georgia (UG)
ORCID-ID: 0000-0001-2345-6789



სურ. 1. ნიკოლოზ კოლიუბაკინი (1856-1857) ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ა. ა. კოლიუბაკინა, Воспоминанія, 1894 წელი.



სურ. 2. ადოლფ ბერჟე (1828-1886). არქეოგრაფი, კავკასიის მკვლევარი. კკსხეც № 1096-03r, რაფიელ ერისთავის პირადი არქივი



სურ. 3. მარი ფელისიტე ბროსე (Marie-Félicité Brosset) (1802-1880). ფრანგი ორიენტალისტი, ქართველოლოგი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 4. კორნელი ბოროზდინი (1828-1896) სახელმწიფო მოხელე, ადვოკატი, მწერალი. კკსხეც, № 1096-05r, რაფიელ ერისთავის პირადი არქივი





სურ. 5. ჟანტი დე როზმორდუკი – ფრანგი გრაფი. საფრანგეთის მოქალაქე. ზუგდიდის აბრეშუმის სახვევი ქარხნის მეპატრონე, № 1097-30r -კკსხეც, რაფიელ ერისთავის პირადი არქივი





სურ. 6. ხობის მონასტერი (XIII-XIV სს.) ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელ ნოჯიხევი. ნინო ჩიხლაძის კოლექცია



# რაფიელ ერისთავი ზუგდიდში

## აბსტრაქტი

გამოჩენილი ქართველი პოეტის, დრამატურგის, ლექსიკოლოგის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის (1824-1901 წწ.) დაბადებიდან 200 წელი შესრულდა. თავის დროზე, 1895 წლის ოქტომბერში, რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე საქართველოში დიდი ზეიმით აღინიშნა და საერთო-სახალხო დღესასწაულად იქცა.

რაფიელ ერისთავი 1857 წელს ზუგდიდის ოკრუგის უფროსად დაინიშნა. სამეგრელოს გლეხთა აჯანყების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავრო ფაქტობრივად გააუქმა და აქ რუსული მმართველობა შემოიღო. ასეთ რთულ ვითარებაში, გამწვავებული სოციალური ურთიერთობების პირობებში მოუხდა მას ადმინისტრაციული საქმიანობა. სამთავროს აწეწილი საქმეების მოწესრიგებასა და ადმინისტრაციული საქმეების ნაყოფიერად წარმართვაში მას უთუოდ შველოდა კეთილი, ახლო მეგობრული ურთიერთობა სამთავრო სახლის წევრებთან და ადგილობრივ ინტელიგენციასთან. იგი ზრუნავდა ზუგდიდის კეთილმოწყობასა და გამშვენიერებაზე, შემოქმედებითი მოღვაწეობისთვისაც ნახულობდა დროს. აქ შეიქმნა მისი ლექსების ერთი ნაწილი; აქვე დაიწერა მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები. ნაშრომში შესწავლილია რაფიელ ერისთავის სამეგრელოში მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე.

**საკვანძო სიტყვები**: რაფიელ ერისთავი; სამეგრელო; ზუგდიდი; დადიანების სასახლეები.

# RAPHIEL ERISTAVI IN ZUGDIDI

## ABSTRACT

Two hundred years have passed since the birth of the prominent Georgian poet, playwright, lexicologist, historian, ethnographer, and public figure Raphiel Eristavi (1824-1901). As early as October 1895, the 50th anniversary of Raphiel's public service was celebrated with great festivity across Georgia, marking a nationwide event.

In 1857, Raphiel Eristavi was appointed head of the Zugdidi district. Following the peasant uprising in Samegrelo, the Russian authorities effectively abolished the

Principality of Samegrelo and established direct Russian governance in the region. Amid this difficult period of heightened social tensions, Eristavi had to carry out his administrative duties. His kind and close friendships with members of the princely house and local intelligentsia undoubtedly helped him restore order in the principality's troubled affairs and manage administrative work effectively. He also took great care in improving and beautifying Zugdidi, all while finding time for his creative pursuits. During this time, he composed part of his poetry and wrote historical and ethnographic essays. This study explores various aspects of Raphiel Eristavi's activities in Samegrelo.

**Keywords:** Raphiel Eristavi; Mengrelia, Zugdidi; the Dadiani Palaces.





## შესავალი

ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, პოეტმა, ეთნოგრაფმა, ლექსიკოლოგმა, რაფიელ ერისთავმა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ულამაზესი წლები სამეგრელოში გაატარა. წლების განმავლობაში იგი ზუგდიდის ოკრუგის უფროსი იყო და ზრუნვას არ აკლებდა ამ მხარეს. ამის ნათელი დასტურია მისი ზრუნვა ზუგდიდის კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ რაფიელ ერისთავს სამეგრელოში არც შემოქმედებითი მოღვაწეობა შეუწყვეტია. აქ შეიქმნა მისი ლექსების ერთი ნაწილი; აქვე დაიწერა მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები. აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავი ზუგდიდში დაქორწინდა.

## მეთოდები

კვლევა ეფუძნება წყაროების კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის, ვერიფიკაციის, კომპლექსურ და საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებულ კვლევის აკადემიურ მეთოდებს, რაც საშუალებას გვაძლევს, შეძლებისდაგვარად, სრულად და ობიექტურად წარმოვაჩინოთ ისტორიული ფაქტები და მოვლენები.

## შედეგები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა რაფიელ ერისთავის სამეგრელოში მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე. გარდა ადმინისტრაციული საქმიანობისა, რომლის დროსაც რაფიელ ერისთავი ზრუნავდა ზუგდიდის კეთილმოწყობისა და გამშვენებისათვის, იგი შემოქმედებითი საქმიანობითაც იყო დაკავებული. მისი არაერთი მხატვრული ნაწარმოები სწორედ ზუგდიდში დაიწერა. ასევე, იგი ავტორია სამეგრელოს ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნარკვევებისა, რასაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ადგილობრივ მოღვაწეებთან.

## მსჯელობა

რაფიელ ერისთავი იმ ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელმაც თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ულამაზესი წლები სამეგრელოში გაატარა. ეს ის პერიოდია, როცა რუსეთის ხელისუფლება სამთავროს გასაუქმებლად საბაბს ეძებდა. ასეთ ვითარებაში, სამეგრელოში მოხდა აჯანყება უტუ მიქავას ხელმძღვანელობით და მალევე, სამეგრელოში რუსული მმართველობა შემოიღეს. 1857 წლის 9 სექტემბერს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მოწერილობის თანახმად, რაფიელ ერისთავი მიავლინეს ზუგდიდის ოკრუგის მმართველის *მოვალეობის შემსრულებლად*. ამავე წლის 14 სექტემბერს კი – ზუგდიდის ოკრუგის უფროსად (ტუღუში, 2022: გვ. 31). სურ. 1

რაფიელ ერისთავი თერთმეტი წელი მოღვაწეობდა სამეგრელოში, ზუგდიდში, – 1868 წლის იანვრის ბოლო რიცხვებამდე.

გარდა სახელმწიფოებრივი საქმეებისა, იგი სამეგრელოში შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები და ნარკვევები სამეგრელოზე, სვანეთზე, იმერეთზე, ფშავ-ხევსურეთზე. ის პირველი რედაქტორი და გამომცემელი იყო სულხან-საბას ლექსიკონისა, იყო რამდენიმე პიესის ავტორი, ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას.

სამეგრელოში დაიწერა მისი ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად: ლექსი *მთხოვნელი მსაჯულისადმი*. ლექსის ხელნაწერის ქვეშ მიწერილია: *ზუგდიდი 17 ნოემბერი 1857 წელი*. ლექსის თემა სამეგრელოს ცხოვრებიდან არის აღებული და დაწერილია ზუგდიდის მაზრის სოფლებში მიღებული შთაბეჭდილებებით. ლექსზე – *შავი ბღვა* მიწერილია: *15 ენკენის*

*თვე 1866წ. ანაკლია.* ასევე, ზუგდიდშია დაწერილი სატრფიალო ლექსი *წრეს გადასული წრეში შემოსულს, თ-ს, კითხვა* და სხვა. პოემა – *ნაამბობი მოხუცისა* პოეტს ზუგდიდში დაუსრულებია.

საყურადღებოა *კორნელი ბოროზდინის, რაფიელ ერისთავისა* და *ჟიულ მურიეს* წიგნი – *ბატონყმობა სამეგრელოში* (დაიბეჭდა 1927წ.) (სურ. 2) თედო სახოკიას წინასიტყვაობით, სადაც ვკითხულობთ: *ნაშრომი დაიწერა 1866 წლამდე, სამეგრელოში ბატონყმობის გადავარდნამდე, რაფიელ ერისთავს თავისი თვალით აქვს ნანახი ჩვენი ცხოვრების წესწყობილება. მისი დეტალური აღწერა მეტად სერიოზულია და ბოროზდინთან ერთად სრულ სურათს იძლევა სამეგრელოში ბატონყმობის არსებობისას.*

აღსანიშნავია *მოგზაურობის ჩანაწერები,* რომელიც რუსულენოვან ჟურნალ *Кавказская Старина*-ში 1867 წელს გამოქვეყნდა. მასში აღწერილია სამეგრელო (ზსიემ, ლიტ. ფონდი, დოკ. №1913). ნაშრომში ავტორი ეხება მეგრელების ტრადიციებს, სამეგრელოს ღირსშესანიშნაობებს, ეკლესია-მონასტრებს, იქ დაცულ სიწმინდეებს. ავტორი აღწერს ზუგდიდის გეოგრაფიულ მდებარეობას, სოფლებს: *კოკს, კახათს, ანაკლიას... რუხის ციხე-სიმაგრეს, ცაიშის ტაძარს, ხობის მონასტერს; ცაიშის სამკურნალო მინერალურ წყლებს, ურთას; მთა ურთიდან მოსჩანს ზღვა, ზღვიდან – ურთა* (რ. ერისთავი), მდინარეებს *ჯუმს, მუნჩიას, ცივს, ბიას, ოჩხომურს...*

იხსენიებს დადიანების სასახლეებს, მათ უმშვენიერეს ბოტანიკურ ბაღს: *ეს არის მთელს იმპერიაში იშვიათი ბოტანიკური ბაღი არაჩვეულებრივი მცენარეებითა და ხის ეგზოტიკური ჯიშებით* – წერს პოეტი. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია *შმიდტის* მიერ შედგენილი ბოტანიკური ბაღის გეგმა (ზსიემ, დოკ. №9876). სურ. 3, 4

მოგზაურობის ჩანაწერებში რაფიელ ერისთავი ყურადღებას ამახვილებს ზუგდიდის ეტიმოლოგიაზე. *ზოგიერთი* – წერს ის – *ზუგდიდის სახელწოდებას ხსნის ქართული სიტყვა ზურგ-დიდიდან (დიდი ზურგი, მაღალი დიდი ქედი), მაგრამ მე მგონია ეს ეტიმოლოგია ძალიან გადაჭარბებულია (გაჭიმულია – натянута). სინამდვილეში, მოსახლეობის დიდი ნაწილი განფენილია იმ ადგილზე, სადაც ქვით ნაშენი წმინდა გიორგის სახელობის ბიზანტიური სტილის ეკლესიაა, რომელსაც შემოვლებული აქვს ქვის მაღალი ზღუდე მაცხოვრის გორაზე. იგი მე-13-14 საუკუნეებით თარიღდება* (ზსიემ, ლიტ. ფონდი, დოკ. № 1913).

რაფიელ ერისთავი აღწერს ომერ ფაშას შემოსევისას სამეგრელოში, ოსმალების მიერ სასახლეებისა და ბაღისთვის მიყენებულ ზარალს. მტერმა გადაწვა, გაძარცვა სასახლეები, აჩეხა და მიწასთან გაასწორა ულამაზესი ბაღი და ტყვედ წაიყვანა დადიანების მებაღე-დეკორატორი, *ჟოზეფ ბაბინი.* ამის შემდეგ უცნობია თუ რა ბედი ეწია მას (გოგია,1947: გვ. 89). ბაღის ხელახალი აღორძინებისთვის ეკატერინე დადიანმა იტალიიდან მოიწვია სწავლული მებაღეები, ძმები *გაეტანო და ჯოვანი ბამბერლეტები,* რომლებმაც ბაღი აღადგინეს. თუ რა ზიანი მიადგა ბაღს და იქ არსებულ სასახლეებს, ამაზე პასუხი გასცა 2018-2019 წლებში ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, არქეოლოგ რევაზ პაპუაშვილის ხელმძღვანელობით.

გამოვლინდა საინტერესო ცნობები ბაღში რამდენიმე სასახლის არსებობის შესახებ. მათგან ერთი, დავით დადიანის დროს აშენებული (1838 წ.) სამთავრო სასახლე, ორსართულიანი იყო. მისი პირველი სართული ქვით იყო ნაგები, ხოლო მეორე სართული – წაბლის ხის ფიცრებით და 28 ოთახისგან შედგებოდა. სასახლის დაგეგმარება იტალიელ არქიტექტორს ჯოვანი სკუდიერის ეკუთვნის. მეორე იყო *ჯვარედინი სასახლე,* რომელიც აღწერილი და ჩახატული აქვს ფრანგ ქართველოლოგს, *მარი ბროსეს* (1848 წ.). (სურ. 5) მისი პირველი სართული ქვითა და აგურით ყოფილა ნაგები, მეორე სართული კი ხით და არაჩვეულებრივი ჩუქურთმები ჰქონია. სასახლე ჯვრის ფორმის ყოფილა. მას ჰქონია სალხინო დარბაზი, სადაც 500 კაცი ეტეოდა. სურ. 6 აქვე ყოფილა შესანიშნავი *ორანჟერეა,* ქვითა და აგურით ნაშენი, ორსართულიანი, მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, რომელიც *დავით* დადიანმა და *ეკატერინე* დადიანმა მებაღეს, *ჟოზეფ ბაბინს* აუშენეს. სურ. 7. აქვე შემორჩენილია *საჯირითო* მოედნის კედლის ნაშთები. დადიანები და მიურატები ყოველ დღესასწაულზე აქ ყაბახს, ცხენბურთს, ჯირითს მართავდნენ. სურ. 8. ჯერჯერობით რეალურად გამოიკვეთა ორი სასახლის ნაშთი, რომელიც დაკონსერვებულია. ტერიტორია ჯერ კიდევ შესწავლას მოითხოვს და მომავალში არაერთი სიურპრიზია მოსალოდნელი; ამის მაგალითს იძლევა *ჯვარედინი სასახლე* თავისი განუმეორებელი და უნიკალური არქიტექტურით (პაპუაშვილი, ქარჩავა, ქვაჩახია, 2020). არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ მისი არამარტო კონსერვაცია, არამედ რესტავრაციაც შესაძლებელია.





როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაფიელ ერისთავს სამეგრელოში მოღვაწეობა მოუწია გლეხთა აჯანყების დროს, როცა დაძაბული, გამწვავებული დაპირისპირება იყო თავადაზნაურობასა და აჯანყებულებს შორის. რაფიელ ერისთავი მეტად ალალი, უეშმაკო, პატიოსანი პიროვნება იყო, მას განაწყენებული კაცი არ ჰყოლია. როგორც *თედო სახოკია* აღნიშნავს, ის ძალისხმევას არ ზოგავდა, რომ შემრიგებლური, პოზიტიური როლი შეესრულებინა ორივე მხარესთან. რაფიელ ერისთავი კარგად იცნობდა უტუ მიქავას. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, *კორნელი ბოროზდინის* მიერ მოთხრობილი *ეკატერინე დადიანისა* და *უტუ მიქავას შეხვედრის* ამბავი.

*ერთხელ, ზუგდიდის ოკრუგის უფროსმა, თავადმა რაფიელ ერისთავმა, მარტვილის მონასტერში შემოიარა,* – წერს კორნელი ბოროზდინი, – *თან ახლდა ცნობილი ბელადი აჯანყებისა უტუ მიქავა. იქვე ყოფილა დედოფალი (ნადედოფლარი) ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა, რომელსაც მიქავასთან შეხვედრის სურვილი გამოუთქვამს...* სურ. 9

*იმ დროს, როცა ერისთავი არქიმანდრიტის სახლის აივანზე იჯდა, მონასტერში ეკატერინეც მოვიდა. ერისთავი შესაფერისი პატივისცემით მიეგება. ეკატერინემ სთხოვა რაფიელს დამჯდარიყო და მასთან ლაპარაკი გააბა. მოართვეს ჩაი. ამ დროს ვიღაცამ მისი ამალიდან უჩურჩულა ეკატერინეს, თავად ერისთავს მიქავა ახლავსო. ამ ამბავმა ის ძალიან დააინტერესა და ითხოვა მისთვის წარედგინათ სამეგრელოს რევოლუციის დანტონი. ერისთავმა იხმო მიქავა, ისიც ამოვიდა აივანზე და მდაბალი სალამი ჰკადრა ეკატერინეს. ამან უფრო ახლოს მოიხმო და მეტად ალერსიანი კილოთი დაუწყო ლაპარაკი:*

*– შვილო – უთხრა მიქავას, – გლეხებისაგან არჩეული მეთაური რატომ პირდაპირ ჩემთან არ მოხველი და არ მომახსენე მათი გაჭირვება და უბედურება?*

*უტუს პასუხიდან ნათელი იყო, რომ დედოფალთან მოლაპარაკებით საქმეს არა ეშველებოდა რა* (ბოროზდინი, 1934).

რაფიელ ერისთავს ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონია *ეკატერინე ჭავჭავაძესთან, ნიკო მინგრელსკისთან, გრიგოლ დადიანთან (კოლხიდელი), ნიკო ტარიელის ძე დადიანთან, იონა მეუნარგიასთან, თედო სახოკიასთან* და სხვებთან.

ასეთი ურთიერთობის საილუსტრაციოდ გამოდგება პოეტის ექსპრომტი, მიძღვნილი გრიგოლ დადიანისადმი:

*ბატონს შობას ძღვენი უნდა,*
*აქ ბრძანდება დადიანი,*
*მე წისქვილი შორს დამირჩა*
*ვერ მოვართვი ქადიანი,*
*თევზაობაც დამავიწყდა,*
*არ ვარგივარ ბადიანი,*
*მამ კახურით და ნადირით,*
*ვეახლები მწვადიანი.*

რაფიელ ერისთავი რამდენიმე სიტყვით ახასიათებს სამეგრელოს მთავარს, *ლევან V* დადიანს: *ის შესანიშნავი იყო თავისი კარგი თვისებებით, სიმამაცით, უყვარდა თავისუფლება, კარგი ღვინო, თაყვანს სცემდა ქალთა სქესს, იყო ძლიერი მონადირე.*

საინტერესოა რაფიელ ერისთავის წერილი *მიხეილ მეუნარგიასადმი* (ზსიემ, ლიტ. ფონდი, დოკ. №23402). მიხეილ მეუნარგია იყო ცნობილი ხატმწერის, *პეპუ მეუნარგიას* შვილი, იონა მეუნარგიას მამა, ცაიშის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მღვდელი.

*6 ოკტომბრის დღესა*

*ჩუენთა წელსა*

*ბლაღოჩინს მღვდელს მეუნარგიას (მიხეილი)*

*მოწერილობასა ზედა თქვენისა მაქვს პატივი უწყებად რომელ ამასთანავე მიეწერა მეუნაგირეს პეხუროვასა გარდახთევინება მცხოვრებთა სოფლის კოკის და დარჩელის სარგებლობა ეკლესიის ადგილის მოსავლისაგან მეათედი ნაწილი მოდი და შთაგაბარებს თქვენ ზუგდიდის ოკრუჟნის ნაჩალნიკი თავადი რაფიელ ერისთავი*

(ზსიემ, ლიტ. არქივი, დოკ. №2).

რაფიელ ერისთავი ზუგდიდში ყოფნის დროს დაოჯახებულა. აქ გაუცნია მომავალი მეუღლე, გრიგოლ დადიანის მეუღლის – *ტერეზია გურიელის* ახლო ნათესავი, *თეოდოსია დავითის ასული ერისთავი*, დადიანების კანცელარიის თანამშრომლებთან, *ანრი გეგეჭკორთან* და *კონსტანტინე ალშიბაიასთან* სტუმრობისას. სუფრის თამადად რაფიელი აურჩევიათ. ქალის სილამაზით მოხიბლული რაფიელი საოცრად მგზნებარე და მჭევრმეტყველი, ენაწყლიანი და ყურადღებიანი ყოფილა ახალგაზრდა ქალის მიმართ. თეოდოსია კი თურმე მონუსხული მისჩერებოდა, თვალს ვერ აშორებდა პოეტს.

რაფიელ ერისთავის მეგობრებისთვის გასაოცარი იყო 50 წელს მიღწეული დარბაისელი პოეტის ასეთი სახეცვლილება. ერისთავის ასული კი მაშინ მხოლოდ 17 წლისა ყოფილა. მეორე დღეს რაფიელმა თავისი გრძნობები ლექსად გადმოღვარა და აღელვებულმა წაუკითხა თურმე გეგეჭკორს. ერთი თვის შემდეგ, 1863 წლის 21 იანვარს, თავისი მეგობრების, კონსტანტინე ალშიბაიასა და ანრი გეგეჭკორის ჩარევით რაფიელ ერისთავი თეოდოსია ერისთავზე დაქორწინდა.

რაფიელ ერისთავმა დიდი წვლილი შეიტანა ქალაქ ზუგდიდის დაგეგმარებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაშენდა ფრანგული სტილის შესანიშნავი ბულვარი ჭადრებისა და ნაძვების ხეივნით, რომელსაც შუაში წყლის არხი ჰყოფს. ეს ხეივანი თურმე პირდაპირ დადიანების სასახლეს უერთდებოდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში, კომუნისტების მმართველობის დროს გაუკაფავთ და სტადიონი გაუშენებიათ.

საინტერესოა მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული პუბლიცისტური წერილი – *რაფიელ ერისთავი ზუგდიდში* (ზსიემ, ლიტ. ფონდი, დოკ. №1919), რომლის ავტორია მწერალი და ჟურნალისტი *შალვა შენგელი*. ავტორი 1954 წელს სახლში სწვევია რაფიელის ქალიშვილს, მხცოვან ქალბატონს, ანასტასია ერისთავი-კახიძეს, რომელსაც უსაუბრია მამის დიდ სითბოსა და სიყვარულზე სამეგრელოსა და ამ კუთხის მცხოვრებელთა მიმართ.

*მამაჩემს უყვარდა ზუგდიდი, იქ ქუჩაც გაუყვანია, მაგრამ ჭადრები მგონი მოუჭრიათ, მართალია შვილო?* – უკითხავს ქალბატონ ანასტასიას.

– *ჭადრები კი არ მოუჭრიათ, გადაჭრეს, განაახლეს, პირიქით, უვლიან დიდი პოეტის გაშენებულ ხეივანს* – უპასუხია შენგელს. ერისთავის ასულს თურმე ძალიან ესიამოვნა ეს პასუხი.

*ზუგდიდის მაზრის მოსაგონრად,* – აღნიშნავს ანასტასია ერისთავი, – *ძვირფასი ვერცხლის ლანგარი შემოგვრჩა წარწერით, რომელიც ზუგდიდელ მასწავლებლებს მიურთმევიათ მამასთვის. მე კი საჩუქრად გადავეცი სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის მუზეუმს.*

*ზუგდიდი უყვარდაო რაფიელს,* ზუგდიდსაც უყვარდა *თავისი* ბრწყინვალე ენამზე პოეტი, რომელსაც ამ მხარის ცხოვრების, ჩაგრული ადამიანების სახეები ლექსებით ჩამოუქანდაკებია.

1867 წელს სამეგრელო ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. 1868 წლის 1 თებერვალს რაფიელ ერისთავი ქუთაისში გადაიყვანეს მომრიგებელ მოსამართლედ, მაგრამ იქაც სამეგრელოს საქმეებს არჩევდა.

რაფიელ ერისთავის დიდი დამსახურებისა და პატივისცემის ნიშნად ზუგდიდის ცენტრში, ბულვარის თავში აღმართულია ქართველი მოქანდაკის, *რომან შეროზიას* მიერ შექმნილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ბრინჯაოს ბიუსტი. სურ. 10.



როგორც ირკვევა, ზუგდიდში რაფიელ ერისთავს უცხოვრია დღევანდელ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე, №48-ში, დარჯანიების ერთსართულიან ოდა სახლში, რომელიც დღემდე თითქმის პირვანდელი სახით არის შემორჩენილი. (სურ. 11) სამწუხაროდ, მას არა აქვს მემორიალური დაფა, რადგან სათანადო დოკუმენტი ვერ მოიძებნა. ოჯახის წევრები ეყრდნობიან წინაპართა ზეპირ გადმოცემას, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია და სახლს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი უნდა მიენიჭოს.

## დასკვნა

ამრიგად, სტატიაში გარკვეულია რაფიელ ერისთავის სამეგრელოში მოღვაწეობის, მისი ზუგდიდში ცხოვრების დეტალები. როგორც ირკვევა, რაფიელ ერისთავი სამეგრელოში მოღვაწეობისას დიდად ზრუნავდა ზუგდიდის კეთილმოწყობასა და გამშვენიერებაზე. მას აქ არც შემოქმედებითი მოღვაწეობა შეუწყვეტია. პოეტის არაერთი მხატვრული ნაწარმოები სწორედ სამეგრელოში დაიწერა. ასევე, იგი ავტორია სამეგრელოს ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნარკვევებისა, რასაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ზუგდიდში მიკვლეულია ის სახლი, სადაც რაფიელ ერისთავი ცხოვრობდა და მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი უნდა მიენიჭოს.

## ბიბლიოგრაფია


ბოროზდინი, კ. (1934). *სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებები.* თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, ტფილისი: *სახელგამი.*

გოგია, ი. (1947). *გლეხთა აჯანყება სამეგრელოში.* ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1. თბილისი.

პაპუაშვილი, რ., ქარჩავა, ზ., ქვაჩახია, მ., (2020). *ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის არქეოლოგია და არქიტექტურა.* თბილისი: გამომცემლობა *არტანუჯი.*

ტუღუში, ა. (2012*). ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან,* თბილისი: გამომცემლობა *არტანუჯი.*

ზსიემ (ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი), ხელნაწერთა ფონდის ლიტერატურული ფონდი, დოკ. № 2. რ. ერისთავის წერილი მ. მეუნარგიასადმი.

ზსიემ, ლიტ. ფონდი, დოკ. №1913, რ. ერისთავი, მოგზაურობის ჩანაწერები.

ზსიემ, ლიტ. ფონდი, დოკ. №1919, შ. შენგელი, რაფიელ ერისთავი ზუგდიდში.

ზსიემ, დოკ.№ 9876.



*ნაზი ქორთუა*
ხელნაწერთა ფონდის მცველი,
დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

*Nazi Qortua*
Custodian of the Manuscripts Fund
Historical-Architectural Museum of the Dadiani Palaces
ORCID-ID: 0009-0001-6390-6980




სურ. 1. ზუგდიდი. ჟიულ მურიეს ჩანახატი. ჟიულ მურიე, სამეგრელო, (ძველი კოლხეთი), თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2018



სურ. 2. ჟიულ მურიე (ფრანგ. Jules Mourier) (დ. 1846 – გ. წ. უცნობია) – ფრანგი პუბლიცისტი, გამომცემელი, მოგზაური. პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა




სურ. 3. ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე დადიანის (1847-1903) (ნიკოსეული) სასახლე ზუგდიდში. ინტერიერი, XIX საუკუნის 80-იანი წლები. არქიტექტორი ვასილიევი (სებ)





სურ. 4. მისი ბრწყინვალების, თავად ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკის მაიორატული მამულის კუთვნილი ბოტანიკური ბაღის გეგმა. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი




სურ. 5. ჯვარედინი სასახლის გეგმა. მარი ბროსეს ჩანახატი.დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი



სურ. 6. ჯვარედინი სასახლის ნაშთი



სურ. 7. დადიანების სასახლის ბაღის ორანჟერეა




სურ. 8. საჯირითო მოედნის კედლის ნაშთები





სურ. 9. ეკატერინე დადიანი. ჟიულ მურიე, სამეგრელო, (ძველი კოლხეთი), თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2018




სურ. 10. რაფიელის ძეგლი ზუგდიდში. მოქანდაკე რომან შეროზია



სურ. 11. დარჯანიების ერთსართულიანი ოდა სახლი, სადაც რაფიელ ერისთავი ცხოვრობდა ზუგდიდში. დღ. კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, №48



# რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონიკები

## საარქივო მასალების მიხედვით

### აბსტრაქტი

რაფიელ ერისთავი მრავალმხრივი მოღვაწეა. სახელმწიფო სამოხელეო საქმიანობასთან ერთად, აღსანიშნავია მისი ღვაწლი: პოეზიაში, პროზაში, დრამატურგიაში, პუბლიცისტიკაში, ტექსტოლოგიაში, თარგმანში, ეთნოგრაფიაში, გეოგრაფიაში, საგამომცემლო და სამუზეუმო საქმიანობაში, ურთიერთობა პრესასთან, დამოკიდებულება ქართველი ხალხისა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხისადმი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რაფიელ ერისთავის ღვაწლი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართული ენის დაცვა-განვითარებაში, შენარჩუნებაში, მისი წვლილი ქართულ ლექსიკოლოგიასა და ტერმინოლოგიაში (რამდენიმე ტერმინოლოგიური და განმარტებითი ხასიათის ლექსიკონი, *მოკლე სქემა პირველისა ნაწილისა ღრამმატიკისა...*, ლექციები ქართული ენის შესახებ – *ქართულის ენის დაარსებასა და წარმატებაზედ* და სხვა).

რაფიელ ერისთავის შემოქმედების მნიშვნელობა და ღირებულება მოკლედ და მკაფიოდ ჩამოაყალიბა იაკობ გოგებაშვილმა. ეს არის მწერლის *ორიგინალობა, ქართულის ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო* (*ივერია*, 1881, №12).

სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის წყალობით, რაფიელ ერისთავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის გაცნობის შესაძლებლობა მიეცა. ის რუტინულ სამოხელეო ერთფეროვნებას თავისი მრავალმხრივი ინტერესებით იმსუბუქებდა. მშობლიური კახეთის გარდა, ასე გაიცნო და შეისწავლა მწერალმა *თიანეთი, იმერეთი* და *სამეგრელო*. ამჯერად, ჩვენი კვლევის საგანია იმერეთში, კერძოდ, ქუთაისში, მწერლის გატარებულ წლებთან დაკავშირებული დღემდე უცნობი დოკუმენტური მასალა, რომელიც რ. ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის კვლევაში დამატებითი შტრიხების შეტანის საშუალებას იძლევა.

კვლევის შედეგად წარმოდგენილია: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექციების განყოფილების, *კირილე ლორთქიფანიძისა* და *ტრიფონ ჯაფარიძის* პირად არქივებში, ისტორიული საბუთების არქივში, ეთნოლოგიის ფონდსა და მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული, მკვლევართათვის და საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი და გამოუქვეყნებელი მასალები. ეს დოკუმენტური მასალები საშუალებას იძლევა რაფიელ ერისთავის იმერეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი, იმერეთთან დაკა-

ვშირებული ეპიზოდები ახალი ცოდნით შევავსოთ. ამავდროულად, აღსანიშნავია მათი მნიშვნელობა ზოგადად, ამ პერიოდის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების უკეთ წარმოსადგენად.

**საკვანძო სიტყვები:** მოღვაწე; სახელმწიფო სამსახური; შემოქმედება; საარქივო მასალა; პოეზია.

## CHRONICLES OF THE LIFE AND WORK OF RAPHIEL ERISTAVI BASED ON ARCHIVAL MATERIALS.

## ABSTRACT

Raphiel Eristavi was a multifaceted figure. Alongside his work in public administration, he made significant contributions to poetry, prose, drama, journalism, textual studies, translation, ethnography, geography, publishing, and museum work. His engagement with the press, his attitude toward the Georgian people, and his deep connection to various regions of Georgia are also noteworthy.

Raphiel Eristavi's contributions to the Georgian language and literature are particularly noteworthy – especially his efforts to protect, develop, and preserve the language, as well as his role in the fields of Georgian lexicology and terminology. He authored several terminological and explanatory dictionaries, a brief outline of the first part of Georgian grammar, lectures on the Georgian language, its foundation and success, and more.

The great merits of Raphiel Eristavi's work were succinctly and clearly articulated by Iakob Gogebashvili: originality of the writer, the imprint of Georgian life, pure Georgian language, and appropriate tone (Iveria, 1881, No. 12).

Thanks to his work in public service, Raphiel Eristavi had the opportunity to become familiar with various regions of Georgia. He enriched the routine monotony of bureaucratic duties with his wide-ranging intellectual and cultural interests. In addition to his native Kakheti, he came to know and study Tianeti, Imereti, and Samegrelo.

The present study focuses on previously unknown documentary material related to the years Eristavi spent in Imereti – particularly in Kutaisi. These materials shed new light on both his life and creative work.

As a result of this research, a range of previously unpublished documents has been brought to light. These are preserved in the Kutaisi State Historical Museum – in the Department of Manuscripts and Rare Books – as well as in the personal archives of Kirile Lortkipanidze and Trifon Japaridze, the Archive of Historical Documents, the Ethnology Fund, and the museum's scientific library. These sources provide valuable data that contribute to a more complete understanding of Raphiel Eristavi's life and activities in Imereti, as well as his connection to the region. At the same time, they offer important insights into the broader socio-cultural landscape of the period.

**Keywords:** figure; state service; work; archival material; poetry.





## შესავალი

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის ორი ძირითადი მხარე საუკეთესოდ შეაფასა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა, *მარი ბროსემ,* რომელთანაც მას ახლო და აქტიური სამეცნიერო თანამშრომლობა აკავშირებდა: *...რაფიელის პიროვნებაში ჩასახლდა ორი* ***მე: მე*** *მამულიშვილისა, რომელსაც თვითგამოვლენის შემოქმედებითი ასპარეზი ჰქონდა, გადაშლილი, და* ***მე*** *მეფის მოხელეობის გზაზე დამდგარი მსახურისა. ასეთად დარჩა რაფიელ ერისთავი სიცოცხლის ბოლომდე, ორსახოვანი და ძლიერი. ხოლო საბოლოოდ პირველმა რომ სძლია მის მეორე* ***მეს****, ამაში ცხოვრების დიდი კანონზომიერება გაცხადდა.* ***მამულისათვის ნამუშაკევმა*** *აჭარბა მოხელეობის ნამსახურეობის ნუსხას.* (ჯაგოდნიშვილი, 1986: 22).

ყველგან და ყოველგვარ საქმიანობაში ყოველთვის იკვეთებოდა მყარ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი მამულიშვილის პოზიცია და სამშობლოს ხსენებისას ქართველის გონებაში მაშინვე ტივტივდება რაფიელ ერისთავის ლექსი ***სამშობლო ხევსურისა.*** *მაინც რა არის სამშობლო? იქნებ რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია,* ***როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!*** *...* (დუმბაძე, 1984: 167).

ორსავ თვალს რომ ერჩივნა, იმ ქვეყნის სიყვარული უადვილებდა რაფიელ ერისთავს მძიმე წლებში სამოხელეო სამსახურში ყოფნასა და საქმიანობას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც ამ სიყვარულით დააბიჯებდა და ყველგან წარუშლელ კვალს ტოვებდა, რაც ხშირ შემთხვევაში დოკუმენტურადაა აღნუსხული.

ჩვენი ნაშრომის მიზანიც, სწორედ დოკუმენტებში განივთებული, *იმერული კვალის* კვლევა-წარმოჩენაა.

## კვლევის მეთოდი

ნაშრომში გამოყენებული გვაქვს ისეთი საბაზისო მეთოდები, როგორიცაა: საარქივო მასალების მოძიება, აღწერა, კლასიფიკაცია, ანალიზი, შედარება, სინთეზი. საკვლევი დოკუმენტური მასალის ენობრივმა და პალეოგრაფიულმა არაერთგვაროვნებამ აუცილებელი გახადა დაკვირვებისა და შედარების მეთოდების გამოყენება. აღნიშნული მეთოდების გამოყენების შედეგად, მოხერხდა ზოგიერთი ხელნაწერი ტექსტის ბუნდოვანი ადგილების აღდგენა, კვლევის შედეგებისა და დასკვნების განზოგადება.

## შედეგი

- მოძიებულია რაფიელ ერისთავის იმერეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტური მასალა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა;
- ნაშრომში პირველად ქვეყნდება რაფიელ ერისთავის იმერეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის ამსახველი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექციების განყოფილების, კირილე ლორთქიფანიძისა და ტრიფონ ჯაფარიძის პირად არქივებსა და ისტორიული საბუთების არქივში, ეთნოლოგიის ფონდში დაცული მასალები;
- მოძიებული საარქივო მასალის ნაწილი *(ავტოგრაფები, პირადი წერილები, პუბლიკაციები...)* გაშიფრული და გაანალიზებულია, ნაწილი – გასაშიფრია; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალები საინტერესოა, როგორც საკუთრივ რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული ეპიზოდების რეკონსტრუქციის, ისე ზოგადად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის გასაცოცხლებლად.

## მსჯელობა

წარმოდგენილ ნაშრომში რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდები, ძირითადად, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში და მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული საარქივო მასალებისა თუ პუბლიკაციების მონაცემებზე დაყრდნობითაა შესწავლილი.

რაფიელ ერისთავი 1955 წელს გადაიყვანეს ქუთაისში განსაკუთრებულ დავალებათა უფროსის მოადგილედ. იმერეთისა და ქუთაისის შთაბეჭდილებები მას აღწერილი აქვს სტატიების სერიაში *წერილები იმერეთიდან*, რომელთაც გაზეთ *კავკაზში* აქვეყნებდა. საინტერესოა მისი ერთ-ერთი წერილი, რომელშიც მოთხრობილია იმერეთის, კერძოდ, ხონისა და კულაშის შესახებ. ავტორი აღწერს იმერელთა საყოფაცხოვრებო პირობებს, იქვე კმაყოფილებით მოიხსენიებს ხონელთა სამაგალითო სტუმარ-მასპინძლობას: *მოვედით ხონში... იმერეთის სოფლებში მაცხოვრებლებს აქვთ დიდი ეზოები, ბევრი კოხტა ხით... აქვთ ნაგებობები, მაგალითად, ბეღელი, სადაც ინახავენ სიმინდს, ფქვილს... ეზოები ქვემო იმერეთში არის კოინდრიანი... ხონში ჩვენ ვისადილეთ პატივსაცემ მოხუცთან, თავად ს. ც.-სთან. აი, როგორ უნდა მასპინძლობა. ზოგადად, იმერეთში იციან კარგი გამასპინძლება, მთავარია, გქონდეთ მადა. საყვედურის თქმა შეიძლება მხოლოდ რამდენიმე კერძის შესახებ, რომლებიც ძალიან ცხიმიანია...* (*კავკაზი*. 1857: №77, 395).

ამავე წერილში რაფიელ ერისთავი აღწერს სოფელ კულაშს, მის მოსახლეობას და ეხება ტოპონიმ *კულაშის* ეტიმოლოგიასაც: *ხონიდან ჩვენ წავედით კულაშში. ეს არის ძალიან დიდი სოფელი, რომელიც ეკუთვნის თავად მიქელაძეს. კულაშის მოსახლეობა შედგება ქართველებისა და ებრაელებისაგან. არსებობს ლეგენდა, როგორ გადაეცა მიქელაძეების გვარს ეს სოფელი. ამ ლეგენდის მიხედვით, ერთხელ იმერეთის რომელიღაც მეფე ესტუმრა ღირსეულ მოხუცს, მიქელას. მან უმასპინძლა იმერეთის მეფეს და ბოლოს საჩუქრად გადასცა ვერცხლის კულა (ღვინის სასმისი, რომელიც შემკული იყო ძვირფასი ქვებით). მეფემ მიიღო საჩუქარი და მიქელას გადასცა სოფელი, რომელსაც, სასმისის სახელწოდებიდან გამომდინარე, დაერქვა კულაში* (იქვე).

იმერეთსა და ქუთაისში მოღვაწეობის წლებში რაფიელ ერისთავს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან, *კირილე ლორთქიფანიძესთან* (1839-1919 წწ.), რომელმაც თანამედროვეობას შემოუნახა უნიკალური საარქივო მასალები.

როგორც ცნობილია, კირილე ლორთქიფანიძე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დასაყრდენი ქუთაისსა და მთელ დასავლეთ საქართველოში. ამასთან, იგი *იყო ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი, რომელსაც 1916 წლის 14 იანვარს უანდერძა პირადი უმდიდრესი არქივი და იშვიათი ბიბლიოთეკა, ხელნაწერი და სტამბური წიგნები... რაც კირილეს გააჩნდა ძვირფასი და ღირებული, დღეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული. ესაა მისი პირადი არქივი, საბანკო არქივი, უნიკალური ბიბლიოთეკა, ძველი სტამბის წიგნები, ხელნაწერები და მემორიალური ნივთები, რომლებიც, მისივე ანდერძის თანახმად, მუზეუმში შემოვიდა 1919 წელს* (დ. ბერძენიშვილი).

კირილე ლორთქიფანიძის არქივში, რომელიც მოიცავს 1858 წლიდან 1917 წლამდე პერიოდს, დაცულია ავტობიოგრაფიული, საზოგადოებრივი, ლიტერატურული და კულტურის ისტორიის ამსახველი მასალა, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დოკუმენტები: ავტოგრაფები, პირადი წერილები, პუბლიკაციები... სულ 1303 საბუთი. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, სილოვან ხუნდაძისა და სხვათა გვერდით რაფიელ ერისთავთან დაკავშირებული საარქივო მასალები, სულ ცხრა დოკუმენტი. მათ შორის არის:

**რაფიელ ერისთავის კერძო წერილი კ. ლორთქიფანიძისადმი** – გაზეთ *შრომაში* რ. ერისთავის ლექსის დაბეჭდვის თაობაზე:[1]

*საყვარელო კირილე ბეჟანისო! გიგზავნი ლექსს „მუხთალს“. თუ იტვირთებს „შრომა“ და შეესაბამება ან გაზეთის მიზანს და მიმართულებას, ან დროებას, რადგან ამ არჩევანებმა ბევრი გზა და კენჭი გაამრუდეს, იმ შემთხვევაში დაბეჭდეთ, თუ არა და – ფურნე მანდაც ბევრი იშოვება. ან კი ფურნე რათ უნდა: ერთი სპიჭკა და მაგის ჯანი!*

*სხვებრ ვისურვებ თქვენდა ყოველს კეთილს და წარმატებას. მეც მიგულვეთ, თქვენის მარადის პატივისმცემელი, უვნებლათ. დავშთები უმორჩილესი, ✱, რაფიელ ერისთავი.*

*აბზ. ხელისმოწერის ნაცვლათ, ამ შემთხვევაში მე მსურს ვარსკვლავი იყოს ხმარებული, თუ სასტამბეთ შეიქნა ეს ლექსი.*

**რაფიელ ერისთავის წერილი კირილე ლორთქიფანიძეს,** ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. კ. ლორთქიფანიძის არქივი. ა/ 2173/285 (სურ. 1.)

კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცული, რაფიელ ერისთავის ორი არაკის (ლექსად თქმული) ავტოგრაფი. ერთ-ერთია არაკი – ***მომკალი და კელა.*** ტექსტი სულ ორი გვერდია.

არაკი ***მომკალი და კელა.*** ბ/ 2173/ 286 (სურ. 2.)

არაკი ***დათვი და ცხვრები.*** ისიც არის რაფიელ ერისთავის ავტოგრაფი. ხელნაწერი მოიცავს ოთხ გვერდს.

არაკი ***დათვი და ცხვრები.*** გ/ 2173/ 287 (სურ. 3.)

დაცულია ასევე, კირილე ლორთქიფანიძის ორგვერდიანი ხელნაწერი, სადაც კირილე ლორთქიფანიძე სწერს რაფიელ ერისთავს ლიტერატურული საღამოს მოწყობის თაობაზე:

*ბატონო რაფაელ!*

*ჩვენი თეატრის ანტრეპრენიორი ამბობს, რომ თუ შაბათს არა, სამშაბათს არ შემიძლიან თეატრის მოცემაო, რადგანაც ამ დღეს ერთი ფრანცუზი იჭერსო. მაშ როგორ გვირჩევთ? თუ გამოცდილებით, ე.ი. წინა წლების მაგალითით ვიცით, რომ დიდი მთავარი დილაობით ნიშნავს სხდომას, ანთუ საღამობით და მის დასწრების დროს საქმე უფრო ჩქარა თავდება სხდომაზედ, მაშინ თქვენ შეგეძლებათ ვგონებ ლიტერატურულს საღამოზედაც დასწრება, თუ თქვენი საკითხავი მესამე განყოფილებაში შევიტანეთ.*

*თუ ეს არ მოხერხდა მაშინ საღამო ან ორშაბათს უნდა დავნიშნოთ და ან ოთხშაბათს. ახლა შენს მოსაზრებას ვუცდით; როგორ სჯობს, შაბათს, ორშაბათს თუ ოთხშაბათს?*

*შენი კირილე ლორთქიფანიძე*

იქვე გაკრული ხელით არის მიწერილი პასუხი რაფიელ ერისთავის მიერ:

*ბატონო კირილე!*

*ისევ ვამჯობინებ საოთხშაბათოთ, ჩემის მხრით და თქვენ უკეთ უწყით.*

*თქვენი ერთგული თ. რ. ერისთავი*

1 სტატიაში გთავაზობთ ამ და სხვა ხელნაწერი და ზოგიერთი ნაბეჭდი საარქივო მასალის ჩვენეულ წაკითხვას, დოკუმენტებს კი წარმოვადგენთ დანართის სახით ნაშრომის ბოლოს.

**კირილე ლორთქიფანიძის წერილი რაფიელ ერისთავს.** დ/2173/443 (სურ. 4.)

რაფიელ ერისთავი მოხსენიებულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ რამდენიმე დოკუმენტში. ერთ-ერთია ნიკო ნიკოლაძის სამ გვერდიანი წერილი, სადაც ავტორი ეხება რაფიელ ერისთავის კრიტიკას გორისელის სტატიაში:

*ძმაო კირილე!*

*დღეისწორ პარასკევს მოვედი ქუთაისს. გზაზე ვიყავი თვრამეტი აგვისტოდან ოცდარვა სეკტემბრამდი. აქაური საზოგადოების ამბავი ხომ შენც გეცოდინება, ქალები და კაცები არიან სწორეთ როგორც გინახავს უწინ. პატარა პროგრესი კი არის: ლაპარაკობენ ლიტერატურაზე. მართლა: გორისელმა აქ შემეხვერწა თქვენთან ბოდიშის მოხდით. რათ არ დამიჯერე, ნუ დაწერ სტატიასთქო ექვთიმეზე? ხომ მისი ბრალი არ ყოფილა, წარმოიდგინე, გორისელს დაუწერია სტატია რომელშიაც გაულანძღია რაფაილ ერისთავი მისი ლექსისათვის რომელშიაც სწერია რომ მე ხომ კატა არა ვარ [რომ] შენ დაგიჭირო ერთი სიტყვით [–] ლექსის პატრიოტობა [– –] მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი „აყვავებულა მდელო მაგალითათ და ანტონის და ჩახრუხაძის ლექსები: ვითომ აი ამისანა ლექსები უნდა წერონო. ჩვენ ერისთავს, (ესე იგი მიხვდებით ვის, ანუ ესე იგი კერესელიძეს ჩვენ პუშკინს და სხვ.) ჭკუაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცვლიო; მაშინვე აუღია ხელში რედაკტორის, ცენზორის და არ ვიცი კიდევ ვისი კალამი, გორისელის სტატიიდგან რაფაილის ლანძღვა გამოუშვია, ჭავჭავაძის გინება კი თავისი ჩაუმატებია, და ეს ყოველიფრათ უგვარო სტატია შეგვხდა ჩვენ წასაკითხავათ. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიაც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე უთხარი: ჩვენ სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა, რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქვს, თქვენ კი, ჯერ ჟურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს ვკარგავთქო.“ გორისელმა ფიცი, მტკიცი აი ღმერთი*

*აი ხატი, არც კი მცოდნია თუ ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო, მაგ სიტყვებით: „ვიღაც ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო, და სხვანი“ კერესელიძის ჩამატებული არისო. გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეო და იმ სტატიის შავს მოგიტანო წაგაკითხებო, თუ იმ სტატიაში რამე სწერიაო მაგისანაო სულ მაგინეთო. მეც უთხარი თუ თქვენ არ დაგიწერიათ ჩვენ ბოდიშს მოვითხოვთთქო, მაგრამ არც ჩვენა ვართთქო მაგაში დანამაურნი.*

*აქაური პოლიცმეისტერი კარგი კაცია, როგორც პატიოსნებით აგრეთვე სწავლით. ფილოსოფია, კრიტიკა, პოლიტიკური ეკონომია [მრევლი] ჩვენს კანდიდატებზე უფრო კარგათ ესმის და იმან შემხვდა გუშინწინ მოწამეთას და მკითხა გორისელი მასე საშინელათ რათ გალანძღეთო? მე უთხარი, რომ კაცი რომ სხვის [ბოსტანში] შევა უკითხავათ, და იქ ყოვერიფერს აურევს დაურევსთქო, იმას ისე ეკადრებათქო. მაშინ პოლიცმეისტერმა მითხრა: თქვენ ხომ არ ერეოდით მის სლედსტვიებშიო? მაშ არც იმას უნდა გაელანძღა თავისი გასაყიდელი კალამით ლიტერატურაო. როგორ მოგწონს? აქ ყველანი ამბობენ გორისელზე: по умому вору мӳка.)*

*(ჭავჭავაძის ჟურნალმა აქ ფურორი მოახდინა ჯერ ჯეროვნით. გენაცვალე კირილე რამე სტატია გაგზავნე დასაბეჭდავათ უსათუოთ გააგზავნე.)*

*კირილე: შენ რომ მეუბნებოდი აღარ გამოგიშობენო როგორ დაგემართა გამოცრუება? რამდენი წინასწარ მეტყველობა აგიხდა და ეს კი ფუკე ანუ ფუკე გამოგივიდა. მე რომ მოვიდომო ეხლავე წამოვალ აი დავიკარგე, მაგრამ აპრელის დამლევამდი არ წამოვალ. შენ რომ დამარიგე, [მასე] ნახეთ კაცო გამოურევ ან თან წამოვიყვან მერე კი ძლიერ ბევრი წამოვლენ.*

*გიმნაზიელები ძლიერ კარგები არიან, საქმეც და სწავლაც კარგათ ესმისთ.*

*[კონკუბინა] აქ ჯერ უზურში არ არის.*

*[„ფარისეველზე“ თელი ქუთაისი გადარეულია ანეკდოტი: გორისელმა გაჯავრდა ვითომ ჩემზე დაწერილი არისო. აკაკიმ უთხრა: მე ეს ლექსი საზოგადოთ დავწერეო, და ვინც თავისთავზე მიიღებსო ალბათ მართლა ფარისეველი არისო, და ჩემი ბრალი არ არისთქო. თელ ქუთაისს*



*მოწონს მაგნაირი პასუხი და თელი თელი ქუთაისი ამბობს, რომ ეს ლექსი დაგეროტიპული პორტრეტიაო გორისელისო. Каково?! Прогрессор, [–] прелесть!]*

*ბუვეს წიგნი არ გაიყიდა და ჩვენ საზოგადოებას ენდურება. გაუნათლებელი ხალხიაო – არაფერი ესმისო!! მე ჯერ არ მინახავს, როგორც კი ვნახავ მაშინვე ვეტყვი რომ საზოგადოებას ნუ ენდურის, კარგი წიგნი დაწეროს და თუ არ გაეყიდა, მე გარდაუხდი მის წაგებას. ჩვენთვის ნაპოლეონის ცხოვრება და ანეგდოტები რა საჭიროა?*

*ახლა დავალაგე ბევრი წიგნები დავსწერე დღეს Современный Слово´-ს Кавкази´-ს და Ис´кра´-ს რედაქციებში ტომპაკოვთან, და ამ სიგძე წიგნი კიდევ. სახუმარო კი არ არის!*

*შენ ხომ იცი რარიგათ მიყვარს მე წიგნის წერა?*

*შენი ნ. ნიკოლაძე*

*მ. დ. (спрячь PS) ორი ამ სიგძე წიგნი*

*მე კი ყოველ კვირაში აქაურ ამბებს მოგწერ*

*მ. მ. დ. (с PP.S.) შეცდომაები მაპატიე Буду перечитать письмо.*

*ფულებს იმ ფოჩტაში გამოგიგზავნი.*

**ნიკო ნიკოლაძის წერილი კირილე ლორთქიფანიძეს** (ე/2173/758) (სურ. 5.)

1895 წლის შემოდგომაზე ქართველი საზოგადოება ცნობილი პოეტისა და მოღვაწის რაფიელ ერისთავის იუბილეს აღსანიშნავად ემზადებოდა. საიუბილეო კომიტეტის წევრები: მარიამ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი იუბილეს ჩატარების დღედ 22 ოქტომბერს აცხადებდნენ. როგორც თ. ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს, *ინტერესს ამ „სახალხო დღესასწაულისადმი“ ისიც აძლიერებდა, რომ ქართულ ეროვნულ სინამდვილეში ამგვარი ღონისძიება პირველად ტარდებოდა. ქართველი საზოგადოება თავისი არსებობის მანძილზე პირველად ემზადებოდა, საქვეყნოდ საჩინო ადგილზე, სავარძელში ჩაებრძანებინა ღვაწლმოსილი მოღვაწე და სიცოცხლეშივე პირადად ეთქვა მადლობა, გამოეხატა აღტაცება და სიყვარული* (ჯაგოდნიშვილი, 1986: 6).

საიუბილეო სამზადისი იყო ქუთაისშიც. საერთოეროვნული პათოსი იგრძნობა ცნობილი მოღვაწის სილოვან ხუნდაძის წერილშიც, რომელსაც იგი სწერს კირილე ლორთქიფანიძეს რაფიელ ერისთავის პატივისცემის ნიშნად ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის დარბაზში, კნ. სოფიო ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ასულის სახლში, საიუბილეო ლიტერატურული დილის მოწყობის თაობაზე. მოწვევის ტექსტი დაცულია კ. ლორთქიფანიძის არქივში. წერილი 1895 წლის 21 ოქტომბრითაა დათარიღებული:

*18 21/X 95*

*მოწყალეო ხელმწიფევ*

*ბ. კირილე ბეჟანის ძევ!*

*უმორჩილესათ გთხოვთ, მობძანდეთ 22 ოკტომბერს, კვირას, 12 საათზე, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის დარბაზში, კნ. სოფიო ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ასულის სახლში, რათა დაესწროთ საიუბილეო-ლიტერატურულ დილას, რომელიც იმართება ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთაგან თ. რაფიელ ერისთავის პატივსაცემათ.*

*ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის*

*გამგებელის მაგიერი ს. თ. ხუნდაძე“*

**სილოვან ხუნდაძის მოსაწვევი წერილი კირილე ლორთქიფანიძეს** (ვ/ 2173/ 1062) (სურ. 6)

ქუთაისში ჩატარებულ საიუბილეო ღონისძიებას სილოვან ხუნდაძის ლექსიც მოჰყოლია: *რა-ფიელ ერისთავის საიუბილეოთ (ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის მოწაფეთა მიმართ),* რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „კვალში“ (№45) 1895 წ., ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლეებს კი იუბილარისთვის მილოცვაც გაუგზავნიათ.

კირილე ლორთქიფანიძის საარქივო მასალებში დაცულია რამდენიმე პროგრამა

***პროგრამა ლიტერატურული საღამოსი –*** დ. ერისთავთან, პ. უმიკაშვილთან, დ. ყიფიანთან, გ. ჩიქოვანთან, ა. წერეთელთან და ი. ჭავჭავაძესთან ერთად რაფიელ ერისთავიც მონაწილეობს. პროგრამაზე აღნუსხულია მკითხველთა და საკითხავთა სია. რაფიელ ერისთავს წაუკითხავს *სცენები ხალხის ცხოვრებიდგან.* წაკითხულ თხზულებათაგან ახალი ყოფილა მხოლოდ აკაკის მოთხრობა *ქალი რა თვეა.*

*„პროგრამმა ლიტერატურული საღამოსი,*

*რომელიც 18 აპრილს უნდა მოხდეს გაიმართოს*

*მკითხველნი: დავ. ერისთავი, რაფ. ერისთავი, პეტრ. უმიკაშვილი, დიმ. ყიფიანი, გიორ. ჩიქო-ვანი, აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძე.*

*საკითხავნი:*

1. *„ქალი რა თვეა“*
2. *„ცოლი როგორ შევირთე,“ მოთხრობა აკ. წერეთლისა.*
3. *ბედი ქართლისა, კარი პირველი, ნიკ. ბარათაშვილისა.*
4. *სცენები ხალხის ცხოვრებიდგან რაფ. ერისთვისა.*
5. *„შეშლილი“ გიორგი ერისთვის კომედია.*
6. *„მავნე სულები“ ამბავი მოხევის ცხოვრებისაგან დ. ყაზიბეგისა.*
7. *ნაწილი პოემისა „აჩრდილი“ თხზ. ილ. ჭავჭავაძისა.*
8. *„რომეო და ჯულიეტა“ შექსპირისა.*
9. *„გამოსალმება“ გრ. ორბელიანისა.*
10. *„სცენები“ აკ. წერეთლისა.*
11. *„გოგჩის ტბა“ ალ. ჭავჭავაძისა.*
12. *„კაცია ადამიანი“ მოთხრ. ილ. ჭავჭავაძისა.*

*ამ თხზულებათაგან ახალი მარტო აკ. წერეთლის თხზულება „ქალი რა თვეა“ არის“.*

***პროგრამა ლიტერატურული საღამოსი.*** (სურ. 7.)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი. 8/ 2173/ 1130

***პროგრამა სალიტერატურო და სამუსიკო საღამოსი.*** სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად რ. ერისთავიც მონაწილეობს. საღამო გამართულა 1875 წლის 4 აპრილს თბილისის საზაფხულო თეატრში:

*„1875*

*თ ფ ი ლ ი ს ი*

*პ ა რ ა ს კ ე ვ ს, 4 ა პ რ ი ლ ს*

*თფილისის საზაფხულო თეატრში იქნება*

*ქ ა რ თ უ ლ ი*

*სალიტერატურო და სამუსიკო საღამო,*

*კეთილი საქმის შესაწევრად,*

*რ ო მ ე ლ შ ი ა ც მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ს მ ი ი ღ ე ბ ე ნ*

*უ ფ ა ლ ნ ი:*

*ხ. აბგარიანი, ი. ა. დანდუროვი,*

*დ. გ. ერისთავი რ. დ. ერისთავი,*

*დ. ი. ყიფიანი, ა. რ. წერეთელი,*

*ი. გ. ჭავჭავაძე და M-me M.*

*პ რ ო გ რ ა მ მ ა*

*პირველი განყოფილება*

*1. უვერტიურა ვერდის ოპერის „იოანნა დარკისაგან, დაუკრავს იტალიანური ორკესტრი.*

*2. ერთი ალაგი გ. ნ. სუნდუკიანცის „პეპოსაგან“, წაიკითხავს რ. დ. ერისთავი.*

*3. „მუშა“ ლექსი ი. გ. ჭავჭავაძისა, წაიკითხავს . . . დ. გ. ერისთავი.*

*4. „ადვოკატის დილა“, წაიკითხავს ავტორი . . . . . ა. რ. წერეთელი.*

*5. ერთი ალაგი „მგზავრის წერილებისაგან“, წაიკითხავს ავტორი ი. გ. ჭავჭავაძე.*

*6. დუეტი ადგილობრივის სიმღერებისაგან, დაუკრვენ თარზედ და სკრიპკაზედ . . . . . უფ. ხ. აბგარიანი და ი. დანდუროვი.*

*მეორე განყოფილება*

*1. უვერტიურა როსსინის ოპერისა „მილჰელმ ტელლისაგან“, დაუკრავს . . . . . იტალია-ნური ორკესტრი.*

*2. „ბაგრატ V“ ახალი ისტორიული პოემა, წაიკითხავს ავტორი ა. რ. წერეთელი.*

*3.*

*4. სოლო ადგილობრივის სიმღერებისაგან დაუკრავს, თარზედ. უფ. ხ. აბგარიანი.*

*5. ერთი ალაგი შექსპირის „შავლოხასაგან“, წაიკითხავს . . დ. ი. ყიფიანი.*

*6. ერთი ალაგი გ. დ. ორბელიანის „სადღეგრძელოსაგან“, წაიკ. დ. გ. ერისთავი.*

*7. „დ. ო. ვის დარდები“, ლექსი გ. დ. ორბელიანისა, წაიკით. ი. გ. ჭავჭავაძე.*

*განყოფილება მესამე*

*1. უვერტიურა პედროტტის ოპერისაგან „ყველა მასკებითა“, დაუკრავს . . . . . იტალიანური ორკესტრი.*

*2. ერთი ალაგი „ვეფხვის-ტყაოსნისაგან, წაიკითხავს . . დ. ი. ყიფიანი.*

*3. „სცენები ხალხის ცხოვრებიდგან“, წაიკითხავს ავტორი . რ. დ. ერისთავი.*

*4. რამდენიმე ხანა ილ. ჭავჭავაძის პოემის „აჩრდილისა“ წაიკ. დ. გ. ერისთავი.*

*5. დუეტი ადგილობრივის სიმღერებისაგან, დაუკრვენ თარზედ და სკრიპკაზედ . . . . . უფ. ხ. აბგარიანი და ი. დანდუროვი.*

*6. „სცენა საპატიმროში“. წაიკითხავს ავტორი . . . ა. რ. წერეთელი.*

*7. ერთი ალაგი მოთხრობის „კაცია, ადამიანისა“. წაიკით. ავტ. ი. გ. ჭავჭავაძე.*

*პირველსა და მეორეს განყოფილების*

*შემდეგ ადგილობრივს ჰანგებს სკრიპ-*

*კებზედ დამღერს M-me M.*

*ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი*

*ლ ო ჟ ე ბ ი:*

*ლიტერიანი . . . . . 19 მან.*

*4 №-დამ 18 №-მდის . . . . . 8 მან.*

*დანარჩენები . . . . . 6 მან.*

*კ რ ე ს ლ ე ბ ი:*

*1 რიგისა . . . . . 3 მან.*

*2 და 3 რიგისა . . . . . 2 მან. 50 კ.*

*4 და 5 რიგისა . . . . . 2 მან.*

*სკამები თ ი თ ო მ ა ნ ე თ ი. გალლერეის ადგილები ო რ ი შ ა უ რ ი.*

*ბილეთები ისყიდება თეატრის კასსირის უფ. პ ე ტ რ ო ვ ს კ ი ს ა ს და*

*პარასკევს დღეს თვითონ თეატრის კასსაში.*

*დაიწყობა საღამოს 7|2 საათზე“.*

***პროგრამა სალიტერატურო და სამუსიკო საღამოსი.*** (სურ. 8.)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი. თ/ 2173/ 11761

პროგრამა, რომელიც აღწერს „კეთილი საქმის შესაწევრად“, ანუ ქველმოქმედებისთვის, თბილისში გამართულ სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს, წარმოდგენას გვიქმნის XIX საუკუნის 70-იანი წლების თბილისის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ.

როგორც ცნობილია, რაფიელ ერისთავი ერთხანს ცენზორის მოვალეობასაც ასრულებდა. იგი არც ამ ასპარეზზე არ ივიწყებდა თავის პრინციპებსა და ღირებულებებს, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის თანამოღვაწეებსა და თანამედროვეთ. 1889–1896 წწ.-ში რაფიელ ერისთავი კვლავ სახელმწიფო სამსახურშია, კერძოდ, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ცენზორია. *მაშინ ცენზორობა პრესტიჟული საქმიანობა ნამდვილად არ ითვლებოდა. ლუკა ისარლოვის ცენზორობის სუსხი ქართულ ლიტერატურას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დავიწყებული. თუმცა, როგორც თედო სახოკია აღნიშნავს, სულთამხუთაობასა და ადამიანის ჯალათობასთან გათანაბრებულ ამ ხელობას უსახსროდ დარჩენილმა ასაკოვანმა პოეტმა მაინც მოჰკიდა ხელი და მეტად ლიბერალური ცენზორიც გახდა* (ნ. კუპრეიშვილი, 2025).

კ. ლორთქიფანიძის არქივმა შემოგვინახა ქუთაისში, ნ. ი. გამრეკელოვის ტიპო-ლითოგრაფიაში, 1892 წელს გამოცემული აკაკი წერეთლის მესტვირული შაირები ***ხოლერა.*** საარქივო მასალა მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტით: ერთი მხრივ, მასში დაცულია აკაკი წერეთლის ავტოგრაფი. ძირითადი ტექსტის მარჯვენა მხარეს ავტორს (აკაკის) მონიშნული აქვს XI თავში ჩასამატებლად მისივე ხელით დაწერილი ტექსტი. მისივე ხელით არის ჩამატებული, აგრეთვე, ორი ტაეპი მომდევნო, XII თავში; მეორე მხრივ, დოკუმენტი გვაცნობს რაფიელ ერისთავის, როგორც ცენზორის, საქმიანობის ერთ ეპიზოდს: შაირის აღნიშნული ნაწილი (XI თავი) ცენზორს – რაფიელ ერისთავს – არ მიუჩნევია მიზანშეწონილად და წითელი ფერის მელნით გადაუხაზავს, თუმცა ის არ შეხებია იქვე, XII თავში, აკაკის მიერ, ასევე ხელით, ჩამატებულ ორ სტრიქონს: *...არც ერთს მათგანსა, მგონია, ხელი არ მიეწოდება...* ტექსტის ბოლო გვერდზე არის რაფიელ ერისთავის მინაწერი (დასკვნა) და ხელმოწერა რუსულად (წითელი მელნით) (სურ. 9.)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი. 2173/ 972

***„ხოლერა***

*მესტვირული შაირები*

*აკაკისა*

***ქუთაისი***

*ტიპო-ლიტოგრაფია ნ. ი. გამრეკელოვისა*

***1892***

*სუდებში დაეხეტება*
*და დუქან-დუქან მსვლელია!*
*გარეშე სტუმრათ არ ვარგა,*
*შინ ცუდი მასპინძელია.*
*შეძულებია გუთანი,*
*თოხი, ნამგალი, ცელია.*
*ადრე რომ დედა-მიწისა*
*სულ ოფლით იყო მრწყველია,*
*დღეს ღვინისა და სისხლისა*
*ბოროტათ დამთხეველია!...*
*სხვებს რომ უყურებს უგნური,*
*იმათი მიმბაძველია!...*
*ეტყობა ამის მარჯვენას*
*ღვთის მადლი გამოელია, –*
*მიწა მოსავალს უკავებს,*
*ვენახს უსეტყვავს ელია!*
*ამისი გამობრუნება*
*ხელ ახლად მეტად ძნელია...*
*აღარ ვარ ამის მოსარჩლე* (გვ. 1, 52)
*და კალთის დამფარველია!*
*ამისი ბინაც აქ იყოს,*
*სადაც ხოლერის სთველია!..*

*XI*

*მერე სთქვა, ახლა გავსინჯოთ*
*მღვდელი და დიაკონია!...*
*ღირსი არ შემხვდა სხვა წრეში,*
*აქ კი ვიპოვნი მგონია.*
*ეტყობა, მათი ამბავი*

*ცაში არ გაუგონია:*
*გამოიცვალა წესები,*
*წახდენ ჟამნი და დრონია...*
*სადღაა მღვდელი ქართველი?*
*სხვაგვარად თავ-მომწონია!*
*წიგნების კითხვა ეშლება,*
*არც ესმის ტიბიკონია,*
*დათვურად ბღავის და ფიქრობს,*
*ხომ ტკბილი იადონია!*
*ხატს წმინდა სანთელს არ უნთებს,*
*შიგ გარეული ქონია.*
*საწყალ მრევლს გამოელია*
*დრამით ძალი და ღონია,*
*სხვა გზას ადგია, მაგრამ ჯერ*
*კიდევ გასავალს ფონია!...*

*XII*
*დაღონდა წმინდა გიორგი*
*ხმამაღლა იწყო გოდება:*
*ვაი, მიმტყუნა იმედმა,*
*წამიხდა ჩემი ვედრება!...*
*ყველა წრე გაფუჭებულა,*
*წამხდარა ყველა წოდება!*
*არც ერთს მათგანსა, მგონია,*
*ხელი არ მიეწოდება*
*ყველაც რომ გაწყდეს ხოლერით,*
*ზეცას რათ შეეცოდება...*
*და ღმერთს რა უთხრას გიორგიმ!*
*გული მით დაეკოდება* (გვ. 2, 53)
*მაღლით ნათელი ადგია*
იმის ბრწყინვალე შუბსაო,
ამ შაირების გამომთქმელს
*სწყალობდეთ თითო რუბსაო“.*
*აკაკი* (გვ. 3, 54)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში არის ასევე, ცნობილი მოღვაწის *ტრიფონ ჯაფარიძის* (1876-1937) არქივი. იგი იყო ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამაარსებელი, შემდგომ ამავე მუზეუმის დირექტორიც.

*მისი მოღვაწეობის პერიოდში მუზეუმის ფონდები შეივსო მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური და ჭედური ხელოვნების ძეგლებით, ძველი ხელნაწერი წიგნებითა და ისტორიული დოკუმენტებით; როგორც საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებული, დიდ ინტერესს იჩენდა ისტორიული ძეგლების აღრიცხვისა და*



*დაცვის საქმისადმი* (საქ. ბიოგრ. ლექსიკ.). ტრიფონ ჯაფარიძის არქივში დაცულია მისი ***განცხადება,*** რომლის თანახმადაც მას განუზრახავს *პროვინციული* ლექსიკონის გამოცემა. ტრიფონ ჯაფარიძე ჩამოთვლის სულხან-საბა ორბელიანის, ჩუბინაშვილის, ერისთავის, ჭყონიას, ბერიძის მიერ გამოცემულ ლექსიკონებს. ხუთ ლექსიკონს შორის ასახელებს რაფიელ ერისთავის ლექსიკონს. როგორც თავად აღნიშნავს, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მას დაუგროვდა დიდძალი მასალა, *ხალხის სიბრძნის საუნჯე*, რის საფუძველზეც შეადგინა ლექსიკონი, სადაც *ჩაწერილია 2000 სიტყვა, რომლებიც არ არის იმჟამად არსებულ 5 ქართულ ლექსიკონში, ზოგიერთი თუ არის, სხვა მნიშვნელობით* (ტრ. ჯაფარიძე). დოკუმენტი სულ ორი გვერდია, გაკრული ხელით ნაწერი, ძნელად ამოსაკითხი:

***განცხადება*** სურ. 10. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ტრიფონ ჯაფარიძის არქივი. 6407/60

*1911 წლიდან ქუთაისში დავაარსე საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი საზოგადოება და როგორც თავმჯდომარემ მისი [ხელმძღვანელობა მივიღე] და იმ წლიდან სხვათა შორის მიზნათ დავისახე სხვა სამუზეუმო მასალათა შორის ხალხური სიტყვიერების ნიმუშები შემეკრიბა და ისე დამუშავებული დამემზადებია გამოსაცემად, როგორც პროფესორებისაგან გვქონდა ნაჩვენები თუ რუსეთის გამოცემებში ნახული. ჩემი განზრახვა ჩემდა სასიამოვნოდ (.....) უფრო გამიმტკიცდა, როცა დავრწმუნდი, რომ ნიმუშები საინტერესო და საყურადღებო აღმოჩნდა, 1922 ქუთაისში სახელმწიფო მუზეუმი დაარსდა და მას საფუძვლად დაედო საისტსაეთნოგ. საზოგადოების ექსპონატები და მე მუზეუმის დირექტორობა დამეკისრა ეს ჩემი განზრახვა უფრო . . [იყო] . ამგვარად [დღეს] მე დამიგროვდა დიდძალი მასალა, საიდანაც დასაბეჭდათ მზათა მაქვს 1) წიგნათ ანდაზები – რუსულათ 4000, რომელთა რიცხვშია ისიც, რაც სხვადასხვა დროს სხვა გამოცემაში და ნახევარზე მეტი ისეთია, რომელიც ჯერ არსად დაბეჭდილი არ არის. ანდაზები დაწერილია ანბანზე აქვს წინასიტყვაობა და ბევრ ანდაზას შესაფერი ახსნა გა-*

*ნმარტება ტექსტის გარეშე, რაც ან ამუქებს ანდაზის აზრის ისტორიულ [მომენტს], ან შინაარსს ან შემთხვევას, რომელსაც ესა თუ ის უნდა გამოეწვია. ანდაზებს დაბეჭდვის დროს გაუკეთდება სიმფონია, რაც სავსებით ხელს შეუწყობს ანდაზების სისტემატიზაციას.*

*2) ამავე გეგმით [–] გამზადებულია – გამოცანები რიცხვით 1500, 3) არაკები პროვინციალური*

*ლექსიკონი, სადაც ჩაწერილია 2000 სიტყვა, რომელიც არ არის არსებულ ქართულ 5 ლექსიკონში /სულხ. ორბელიანის, ჩუბინაშვილის, ერისთავის, ჭყონიას, [უ] ბერიძის/ და ზოგიერთი თუ არის სხვა მნიშვნელობით. ამავე ლექსიკონში დამატებით არის ხალხური 4) არაკები და 5) ლექსები. მზადდება თავისებური გამოთქმები და სხვადასხვა [სასანდრის] წარმოშობა ხალხურიდან: საფლავის სახელები, გვარები, მდინარეების, მთების და სხვა.*

*მოგახენებთ ამას და გთხოვთ მომცეთ საშუალება, გამოვცე დამზადებული წიგნები, თუ ყველა არა, სასინჯათ თუნდა პირველ რიგში ანდაზები. რომ ამ გამოცემით ყველა მოქალაქეს საშუალება მიეცემა თვალწინ იქონიოს ხალხის სიბრძნის საუნჯე და თანაც ყველას, ვისაც სურვილი ექნება ამ დარგში იმუშაოს, საშუალება მიეცემა კიდევ ჩასწეროს ანდაზა, თუ ასეთს გაიგონებს, რომ ჩემ კრებულში არ ამოჩნდება, და ამნაირად მომავალში ხალხური თქმულებათა სიღრმე მთლიანად დაცული იქნება.*

*ზედმეტად მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ ხალხურის სიტყვიერების ნიმუშების გამოცემა აუცილებელია, რადგან სიტყვიერების საგნის დამუშავება რომელიმე მკვლევარისგან შეუძლებელია ისთე, თუ მას ხელში არა აქვს ხალხური შემოქმედების ნიმუშები, რაც შეიძლება, მეტი ნიმუშები.*

მესამე დოკუმენტი ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. კატალოგში წერია რ. ერისთავი, მაგრამ არ არის მითითებული ნომერი. (ინფორმაცია მოგვაწოდა ც. მუმლაძემ).

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია 1898 წლის 30 მაისით დათარიღებული ყირიმ დადიშქელიანის სამ გვერდიანი წერილი რაფიელ ერისთავისადმი.

*მის ბრწყინვალებას*

*ზუგდიდის ოკრუჟნის ნაჩალნიკს უ~ლს კოლეჟსკის სეკრეტარს კ~ზ რაფაელ ერისთავს!*

*თ~დის ყირიმ დადიშქელიანისაგან*

*უმორჩილესი თხოვნა*

*ბოძებულობისა ძლით ჩემდამო მენგრელიის მთავრისა მიერ, მე ვფლობ უმემკვიდროდ გარდაშენებულის თ~დის ვახტანგ დეისმას ძის ჩიჩ[უ]ას, ძმებთაგან ნაწილად მისდამი რგებულსა ყოველთა უძრავ მ[ოძრა]ვთა ყმა მამულსა თვისსა. – ადრევე შემოცილებისა გამო ჩემდ[ა] სამკვიდროთა ისრეთთა ადგილთა სახელ წოდებით ხაპიას ტევრშიდ ბიელებთ მიერ, მისმა უგანათლებულესობამ ჩენილ განსარჩეველად მიანდო რა მენგრელიის უზენაესს სასამართლოდ ყოფილთა მდივანბეგებთა, რათამცა მოეპოათ მათ ჩვენ შორის უშორესი ჯანჯვლა და საჩივარი, რომლებთა განკარგულებისა ძლით დაკავდა ადგილი იგი ვიდრე სამართლად განრჩევადმდე და დადებულისა განჩინებისა მათისა აღსრულების მოყვანადმდე, არცა ერთი მხარე არ შევხებოდით. – შემდგომ ესრეთის განკარგულების ქმნისა მაგა სასამართლოსა მიერ შედგა რა განჩინება სჯულ დებულებისამებრ არსებულის მენგრელიასა შ~ა კანონთა, რომელიც აწ ისრეთი შედგენილი იმდებარების სოვეტშიდ არხივსა შ~ა. – დაკავებულსა მას ადგილსა და სასარჩლოსა შეეხენ რა ყ~დ უმართლოდ ჩემზედ მომჩივნად აღძრულნი მცხოვრებნი ბიელებნი დროსა ზოგად გლეხთა ალახორებისასა – მისთვის მე თხოვნითა მოვიქეც თქ~ნის წინა მოადგ[ი]ლის კაპიტნის ტრუბაიცკისადმი, რათამცა აღეკრძალა მას იგი მცხოვრებთათვის გარდახდომა წინათ განკარგულებისა, თუმცა მან ქმნა მისის მხრით განკარგულება აღკრძალვისათვის მათისა [გ]არნა მას დროზედ ვითარ ზოგად ხალხნი თავის უფალნი არ [მ...]მაშინ[ა] ც. – შემდგომ მისსა ვ~დ ვსთხოვე თანა შემწესა თ~ქნს [-]მიქაბერიძეს მსგავსად წინანდლის ტრუბაიცკისადმი თხოვნისა [–]კეთილ ინება მიწერილობად აზნაურის ბეჩუნა ჯორჯიკისადმი, რათამცა აღეკრძალა მათ მცხოვრებთათვის შეხება მაგ საცილო ტევრთა არცა ეს ისმინეს. – აწ იგინი რომელნიმე ესახლებიან, რომელნიმე ყანად იყენებენ და სასარგებლო ტყესა აფუჭებენ ესრედ – უმორჩილესად გთხოვთ თქ~ნო ბრწყინვალებავ ამა ჩემის თხოვნისამებ, ვითარ სოვეტისაგან გამოითხოვოთ აღსასრულებელად შემდგარი განჩინება იგი, ეგრეთვე აღეკრძალოს მცხოვრებთა მათ დაოხრება ტევრისა მის, რომელნი თანდათან მომატებულად აოხრებენ იგინი ესრედ განკარგულების უსმენარნი ხალხნი. –*

*თ ~დი ყირიმ დადიშქელიანი*

20 აპრ.. 1858 ს

სურ. 11. **ყირიმ დადიშქელიანის წერილი რაფიელ ერისთავს**, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმი, ისტორიული საბუთების არქივი. №461

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, კირილე ლორთქიფანიძის პირად ბიბლიოთეკაში, ინახება რაფიელ ერისთავის რამდენიმე წიგნიც:

- რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ლექსები და სიმღერები, ტფ., 1873 (32 გვ.).
- რ. ერისთავი, იგავ-არაკნი, გადმოკეთებულნი *სიბრძნე-სიცრუისაგან* და *გალექსილნი*, ტფ., 1878.
- რ. ერისთავი, ნინო (მოთხრობა), ტფ., 1878.
- რ. ერისთავი, თხზულებანი (ლექსები), ნაწ. I, ტფ., 1882.
- რ. ერისთავი, თხზულებანი (ლექსები), ნაწ. II, ტფ., 1890.
- რ. ერისთავი, თხზულებანი, ტ. I, ტფ., 1893.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულია ფაიფურის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი (სერვიზი) და მინის ჭიქა, რომელსაც იყენებდა რაფიელ ერისთავი.



როგორც აღწერილობაშია მითითებული, ჭურჭელი შეძენილია 1928 წლის 26 სექტემბერს მიხეილ ერისთავისაგან, რომლის ოჯახშიც ცხოვრობდა რაფიელ ერისთავი ქუთაისში საქმიანობის პერიოდში.

სერვიზი შედგება 3 სხვადასხვა ზომის თეფშის, შედარებით პატარა ზომის სინის, ლამბაქისა და ყავის ფინჯნისაგან:

სერვიზის ყველა კომპონენტის შემკულობა ერთი და იგივეა: თეფშების პირს შემოყოლებული აქვს ცისფერი ხაზოვანი (ზიგზაგით) ორნამენტი, რომელიც ზოგან გადადის შავი ფერის ყვავილოვან-ხაზოვან მოხატულობაში. თეფშების ბაკოსა და ფინჯნის გარე ზედაპირზე გამოსახულია ნუსხურით შესრულებული მონოგრამა (მხოლოდ ლამბაქს არა აქვს მონოგრამა). წარწერა ქარაგმიანია.

აღწერილობის მიხედვით ფაიფურის ჭურჭელი დამზადებული უნდა იყოს XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ფაიფურის ჭურჭელთან ერთად დაცული მინის ჭიქა შემონახულია დაუზიანებლად. იგი დამუშავებულია ფაქიზად. ტანი ფუძიდან პირისაკენ თანდათან ფართოვდება. გაფორმებულია მცენარეული ორნამენტით – შუაში ნუსხური მონოგრამით: *რაფიელ ერისთავი.*

აღწერილობის მიხედვით, მინის ჭიქაც XIX საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება. მუზეუმში შესულია XX საუკუნის 30-იან წლებამდე.

სურ. 12. **ფაიფურისა და მინის ჭურჭელი რაფიელ ერისთავის მონოგრამით.** ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ეთნოლოგიის ფონდი.

რაფიელ ერისთავის შესახებ დოკუმენტები არ აღმოჩნდა ქუთაისის სახელმწიფო არქივში. ამის მიზეზი, დირექტორის მერაბ კეზევაძის ვარაუდითა და ინფორმაციით, შეიძლება იყოს ის, რომ დროთა განმავლობაში ბევრი რამ განადგურდა, კერძოდ: 1906 წ. იანვარში დაიწვა ქუთაისის საგუბერნიო არქივის დიდი ნაწილი (110000 საქმე) (ჟურნ. *მწვანეყვავილა*, 2016-2019); პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914 წ., საარქივო დოკუმენტაცია ევაკუირებული იყო ჩრდ. კავკასიაში, ქ. გეორგიევსკში. მაშინ ბევრი ფონდი განადგურდა. ზოგი ფონდი 1923 წ. სარგის კაკაბაძემ დააბრუნა ქუთაისში.

ქუთაისში დღესაც მიაგებენ პატივს დიდ მამულიშვილს რაფიელ ერისთავს. ნაშრომში *გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა (1811-1923)* მ. კეზევაძე საინტერესოდ მოგვითხრობს გელათის მონასტერში 1811-1923 წლებში ბერმონაზონთა, მათ შორის, *მარტოდმყოფელთა* მოღვაწეობის შესახებ. დაწვრილებით აღწერს ღვაწლს გელათის ღვთისმშობლის შობის მონასტრის მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზისა (მორჩაძისა), რომელმაც სიცოცხლეშივე დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. მარტოდმყოფელობასთან ერთად, ის საერო პირთა თანადგომასაც ახერხებდა, რაც გამოიხატებოდა მის მიერ ათობით ბავშვის მონათვლასა და მრავალი პირისადმი გაწეული მატერიალური დახმარებაში.

სწორედ მასთან კონტექსტში იხსენიებს ავტორი რაფიელ ერისთავს: *ასეთი მადლიანი მღვდელ-მონაზვნის მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1855 წელს შეუნიშნავს ცნობილ ქართველ მწერალსა და ეთნოგრაფს რაფიელ ერისთავს, რომლის შესახებაც გაზეთ კავკაზში დაბეჭდილ ოკრიბაში მოგზაურობის აღწერაში მოგვითხრო* (კეზევაძე, 2023: 3).

რაფიელ ერისთავის პოეზიის ღირსებებზე წერს ქუთაისელი მწერალი და მეცნიერი გია ხოფერია: *აკაკის მშვენიერი წერილები აქვს დაწერილი რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ. იგი ყოველთვის ქომაგობდა ამ დიდებულ მამულიშვილს, სამშობლო ხევსურისას ავტორს. არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი საჯაროდ იმ ღირსებებზე, რითაც გამოირჩეოდა რაფიელ ერისთავის პოეზია* (ხოფერია, 2010: 202).

## დასკვნა

რაფიელ ერისთავის სახელთან დაკავშირებული საარქივო და სხვა სახის მასალის გაანალიზების შედეგად წარმოჩნდა არა მხოლოდ რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის იმერეთთან დაკავშირებული საინტერესო ეპიზოდები, არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ვითარება.

## ბიბლიოგრაფია


ბერძენიშვილი, დ. *კირილე ლორთქიფანიძე: განმანათლებლობა საქართველოში: იდეები და მოღვაწეები (ბიოგრაფიები).* https://nateba.webbreeze.net/biographies/203-lortkipanidze;

გაზეთი *კავკაზი*. 1857. №77, 395; ტფილისი;

გაზეთი *დროება*. 1882. №42. ტფილისი;

გაზეთი *ივერია*, 1881, №12. ტფილისი.

დუმბაძე, ნ. (1984) *წერილი „სამშობლო“: შთაბეჭდილებები, წერილები, გამოსვლები,* თბილისი.

კეზევაძე, მ. გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა (1811-1923), წერილი მეორე. *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი,* №3, 2023.

კუპრეიშვილი, ნ. *რაფიელ ერისთავი (1824-1901): განმანათლებლობა საქართველოში: იდეები და მოღვაწეები (ბიოგრაფიები).* https://nateba.webbreeze.net/biographies/266-eristavira

ტრიფონ ჯაფარიძე. საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00006094/

ხოფერია, გ. *აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებების ზოგიერთი საკითხი: ქართველური მემკვიდრეობა*, ტ. XIV, 2010. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.


ჯაგოდნიშვილი, თ. (1986) *რაფიელ ერისთავი.* თბილისი.




*რუსუდან საღინაძე*
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Rusudan Saginadze*
PhD in Philology, Professor,
Akaki Tsereteli State University.
ORCID-ID: 0000-0001-9230-0243





ქუთაისი, სამეგრელო, ჯუდა მერკვე, არტანჯი, თბილისი. 2018.





სურ. 1. რაფიელ ერისთავის წერილი კ. ლორთქიფანიძეს (ა/2173/285)




სურ. 2. რაფიელ ერისთავის ლექსის მომკალი და კელა ავტოგრაფი (ბ/ 2173/ 286)










სურ. 3. არაკის დათვი და ცხვრები ავტოგრაფი (გ/2173/287)


ქართული გაზეთი
„დროება“
Редакція газеты „Дроэба“
ქუჩაზე სახლში.
„ „. 187 წ.
ტფილისი.






სურ. 4. კირილე ლორთქიფანიძის წერილი რაფიელ ერისთავს – ორი გვერდი (დ/2173/443)







ხელნაწერი. ნ. ნიკოლაძის წერილი ილიასადმი (ე/2173/758)

18 21/X 95

მეტად პატივცემული
ბ. კირილე ლორთქიფანიძე ბრძ!

აქამდის ჩვენისათვის ცნობილი, მაგრამ 22 აპრილიდან, ჯვარის, დიდის ბრძ საღამოზე, ქართველის საზოგადო-საბავშვო სკოლის დასაბმელში, ეგ. ნაღვარ ხიდარის ლიტერატურული ძალ ამაღლის ნაწილში, ჩვენის დაკვეთით საიუბილეო საზოგადო-საბავშვო სკოლის შესაწევნელად თ. ჩვენის პიესის სამკვიდრო ასლის გადმოწერა.

ქართველი საზოგადო-საბავშვო სკოლის კომიტეტი მადლობით ბ-ლ. ბატონს

სურ. 6. სილოვან ხუნდაძის მოსაწვევი წერილი კირილე ლორთქიფანიძეს (ვ/2173/1062)





ნაგვიანევი ლიტერატურული საღამო,


ჩქმული 18 აპრილის უნდა [illegible]

შეიტანებიან: ლიტ. ყრილობის, ილ. ყრილობის, ჯგუფის უფასოების, ლიტ. ყოფილის, ეკონ. ჩიქობავის, ს. ბერძენიშვილის და იგივ. ტრუფანდის.

პროგრამა:
1. „ძველი ჩვენი თეატრი", პიესა ს. ბერძენიშვილის.
2. ჭკვიანი ქალიშვილი, კომიკური სცენა, რეჟ. შალიაშვილის.
3. ნაწყვეტი ბერიას ლიტერატურიდან ილ. ყრილობის.
4. ცეკვა ორი, ეკონ. ყრილობის ვაჭრის.
5. „ჩვენ ბედნიერი ვიყავით ბავშვობის დროს", ლ. ყიფიანის.
6. ბიბლიური ამბები, ორი სცენა, თხზ. ილ. ტრუფანდისა.
7. „ჩემი ქალი", მეორე სცენა.
8. „ჯაბა ბერიშვილი", ეკონ. ჩიქობავის.
9. „ნაცარქექია", ს. ბერძენიშვილის
10. „ჯაფარიძის ქორწილი", ილ. ტრუფანდისა.
11. „კაცია, ადამიანი" ეკონ. ილ. ტრუფანდისა.

ამ თხზულებათაგან ახალი მხოლოდ ს. ბერძენიშვილის თხზულება „ძველი ჩვენი თეატრი" არის.

სურ. 7. პროგრამა ლიტერატურული საღამოისა (ზ/2173/1130)



1875

თფილისი

პარასკევს, 4 აპრილს

თფილისის საზაფხულო თეატრში იქნება

ქართული

სალიტერატურო და სამუსიკო საღამო,

კეთილის საქმის შესაწყნარად,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ

შემდგომნი:

ზ. აბაკარიანი, ი. ა. დანღუროვი,

დ. გ. ერისთავი რ. დ. ერისთავი,

დ. ი. ყიფიანი, ა. რ. წერეთელი,

ი. გ. შავშავაძე და M-lle M.

პროგრამა

პირველი განყოფილება

1. შვერტიურა მერადის ოპერის „იოანნა დარკისაგან“, დაუკრავს იტალიანური ორკესტრი.
2. პრთი ალაგი ბ. ნ. ხუნდაძისა „ჯემოსაგან“, წაიკითხავს ავტორი . . . დ. შრისთავი.
3. „მშვიდ ლექსი ი. ბ. მაცნავაძისა, წაიკითხავს . . . . . დ. ბ. ერისთავი.
4. „ბედოკადის დიდა“, წაიკითხავს ავტორი . . . . . ა. რ. წერეთელი.
5. პრთი ალაგი „ქრისტეფორეს წერილებისაგან“, წაიკითხავს ავტორი ი. ბ. ჯაშვაძაძე.
6. დეტი ადგილობრივის სიმღერებისაგან, დაუკრავენ თარზედ და სკრიპკაზედ . . . . . შუ. ხ. აბგარიანი და ი. დანღუროვი.

მეორე განყოფილება

1. შვერტიურა როსინის ოპერისა „მსილჰელმ ტელლისაგან,“ დაუკრავს . . . . . იტალიანური ორკესტრი.
2. „ზღვაზედ“ ახალი ისტორიული პოემა. წაიკითხავს ავტორი ა. რ. წერეთელი.
3. „ქართველ ქალებს“ სიმღერებიდან ნაწყვეტი, წაიკითხავს . . . . . დ. გ. ერისთავი.
4. ხოლო ადგილობრივის სიმღერებიდან ნაწყვეტი, დაუკრავენ თარზედ და სკრიპკაზედ . . . . . შუ. ხ. აბგარიანი და ი. დანღუროვი.
5. პრთი ალაგი შექსპირის „შეილოხისაგან“, წაიკითხავს . . . დ. ი. ყიფიანი.
6. პრთი ალაგი ბ. დ. ორბელიანის „სადღეგრძელოსაგან“, წაიკ. დ. ბ. ერისთავი.
7. „დ.ო.ვის დარდები“, ლექსი ბ. დ. ორბელიანისა, წაიკით. ი. ბ. ჯაშვაძაძე.

განყოფილება ცხენზე

1. შვერტიურა პედროტის ოპერისაგან „შველა მაცხებითა“, დაუკრავს . . . . . იტალიანური ორკესტრი.
2. პრთი ალაგი „ქეთევან-ტყვოსნისაგან, წაიკითხავს . . . დ. ი. ყიფიანი.
3. „ხატები ხალხის ცხოვრებიდგან“, წაიკითხავს ავტორი . ნ. დ. ერისთავი.
4. რამდენიმე ხანა ილ. მაჩაბლისა „ამირდილასა“ წაიკ. დ. ბ. ერისთავი.
5. დეტი ადგილობრივის სიმღერებისაგან, დაუკრავენ თარზედ და სკრიპკაზედ . . . . . შუ. ხ. აბგარიანი და ი. დანღუროვი.
6. „ხატება სპარტაკოზზე“ წაიკითხავს ავტორი . . . . ა. რ. წერეთელი.
7. პრთი ალაგი მოთხრობის „ძმაცია, ადამიანისა“. წაიკით. ავტ. ი. ბ. ჯაშვაძაძე.

პირველსა და მეორეს განყოფილების შემდეგ ადგილობრივს ჭანგებს სკრიპკებზედ დამღერს M-lle M.

ადგილების ფასი

ლოჟებში:

ლიტერიანი . . . . . 12 მან.
4 №-დან 13 №-მდის . . . . . 8 მან.
დანარჩენები . . . . . 6 მან.

კრესლებში:

1 რიგისა . . . . . 3 მან.
2 და 3 რიგისა . . . . . 2 მან. 50 კ.
4 და 5 რიგისა . . . . . 2 მან.

სკამები თითო მანეთი. გალერეის ადგილები ორი შაური.


ბილეთები იყიდება თეატრის კასიორის უკუ. ჰეტროვსკისას და ჰარასკევს დღეს თეთონ თეატრის კასასთან.

დაიწყობა საღამოს 7½ საათზე.

Печатать дозв. 3 Апреля 1875 года. Отв. р. Полицмейстер. Вышняк.

Типография Е. Хелашвили.

სურ. 8. პროგრამა სალიტერატურო და სამუსიკო საღამოსი (თ/2173/11761)



ოლერა


მესტვირული შაირები

აკაკისა

ქუთაისი

ცივო-ლიტოგრაფია ნ. ი. გამრეკელოვისა

1892



52.

— IX —

სულებში დაცხტება
და დუქან-დუქან მსელელია!
ბარე'შე სტუმრათ არ ვარგა,
შინ ცუდი მასპინძელია.
შეძულებია გუთანი,
ოხი, ნამგალი, ცელია.
ძერე რომ დედა-მიწისა
სულ ოფლით იყო მრწყველია,
დღეს ღვინისა და სისხლისა
ბოროტათ დამთხეველია!...
სხვებს რომ უყურებს უგნური,
იმათი მიმბაძველია!...
ტყუილა ამის მარჯვენას
ღვთის მადლი გამოელია,—
მიწა მოსავალს უკაცებს,
ვენახს უსტყვეს ძლია!
ამისი გამობრუნება
ხელ ახლად მეტად ძნელია...
აღარ ვარ ამის მოსარჩლე

53.

XI

— X —

და კალთის დამფარველი!
ამისი ბიწაც აქ იყოს,
სადაც ხოლერის სთველია!..

XI

XII

დაღონდა წმინდა გიორგი,
ხმამაღლა იწყო გოდება:
ეაი, მიმტყუნა იმედმა,
წამიხდა ჩემი ვედრება!...
შველა წრე გაფუჭებულა,
წამხდარა ყველა წოდება!
[illegible]
შველაც რომ გაწყდეს ხოლერით,
ზეცას რათ შეეკოდება...
და ღმერთს რა უთხრას გიორგიმ!
გული მით დაეკოდება.

— XI —


მაღლით ნათელი ადგია
იმის ბრწყინვალე შუბსაო.
ამ შაირების გამომთქმელს
სწყალობდეთ თითო რუბსაო.

აკაკი.


Цензурное на напечатание
было отправлено 12 января
1894 года, Тифлисъ. Цензоръ
Князь Д. Урусовъ.


სურ. 9. აკაკი წერეთლის მესტვირული შაირები – ხოლერა (2173/972)





სურ. 10. ქუთაისის საისტორიო საზოგადოების და მუზეუმის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის, ტრიფონ ჯაფარიძის ხელნაწერი (6407/60)





სურ. 11. ყირიმ დადიშქელიანის წერილი რაფიელ ერისთავს, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმი, ისტორიული საბუთების არქივი. №461



სურ. 12. ფაიფურისა და მინის ჭურჭელი რაფიელ ერისთავის მონოგრამით. ჭურჭლის კოლექციის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულობის შესახებ, ინფორმაცია მოგვაწოდა ისტორიის დოქტორმა ეკა კაჭარავამ. ფოტო მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ამავე მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ ნონა ქარციძეს.

# რაფიელ ერისთავი ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის შესახებ

## აბსტრაქტი


სტატიაში განხილულია XIX საუკუნის 50-იანი წლების მოწინავე ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლის, მწერალ რაფიელ ერისთავის მოღვაწეობა სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში; კერძოდ, მისი საყურადღებო დაკვირვებები ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკისა და სტილის საკითხებზე; როგორიცაა: ენის სიწმინდის დაცვა, ქართული ენის ლექსიკური ფონდის გააქტიურება, სამწიგნობრო ენისა და დიალექტების ურთიერთობა, ძველი და ახალი სიტყვების ხვედრითი წილი სამწიგნობრო ენის განვითარებაში, დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავება (სიტყვაწარმოება, თარგმნა, სესხება), ლექსიკოლოგიური თუ ლექსიკოგრაფიული პრობლემები და ამოცანები, სალიტერატურო ენის საორიენტაციო სტილისა და სტილური მრავალფეროვნების საკითხი და სხვა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით ხაზგასმულია მწერლის მჭიდრო კავშირი მაშინდელ ერთადერთ პერიოდულ ორგანოსთან – ჟურნალ *ცისკართან*, ასევე – მუშაობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა და სხვა.

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა განვითარებულია მწერლის საარქივო ფონდში არსებულ ხელნაწერებზე დაყრდნობით, რომლებიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოტანილია შემდეგი დასკვნა:

რაფიელ ერისთავი – XIX საუკუნის მოწინავე ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი – თავისი თეორიული დებულებებითა და ლიტერატურული ღვაწლით ხელს უწყობს სწორი ორიენტირების გამოკვეთას სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის კვლევაში, კერძოდ:

1. აგრძელებს მეცნიერული მუშაობის ტრადიციას; ითვალისწინებს მემკვიდრეობით ცოდნას და ლოგიკურად განავითარებს წინა პერიოდის მწიგნობართა მეთოდოლოგიას;
2. ერთიან სისტემად აყალიბებს განსხვავებულ / საპირისპირო პოზიციათა საუკეთესო იდეებს, ერთი მხრივ – არქაულ ლექსიკასთან, მეორე მხრივ – ახალ სიტყვებთან დამოკიდებულებაში;
3. სალიტერატურო ენის ბაზის შექმნისა და შესწავლისათვის საჭიროდ მიიჩნევს:

– ძველი ხელნაწერებისა და ფოლკლორული მასალების შეკრებას,

– ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული კვლევების გაფართოებას;

4. ახალი ცნებების გადმოცემისათვის მთავარ პრინციპად ირჩევს ენის ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას (თარგმნას), ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უცხო სიტყვის სესხებას;
5. სტილთან დაკავშირებით, თანაბრად წამოჭრის სამწიგნობრო ენის საორიენტაციო სტილისა და სტილური მრავალფეროვნების საკითხებს, რომლებიც ერთმანეთს არ გადაფარავს; ორივეს დადებითად გადაწყვეტა, როგორც დრომ აჩვენა, მნიშვნელოვანი იყო და არის სამწიგნობრო ენის განვითარებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; ქართული სამწიგნობრო ენა; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

## RAPHIEL ERISTAVI ON THE VOCABULARY AND STYLE OF THE GEORGIAN LITERARY LANGUAGE

## ABSTRACT

The article discusses the scholarly and educational activities of Raphiel Eristavi, a prominent figure of the progressive Georgian society of the 1850s. It focuses in particular on his insightful observations concerning the vocabulary and style of the Georgian literary language. Among the key issues he addressed are: preserving the purity of the language; promoting the use of the Georgian vocabulary; the relationship between the literary language and regional dialects; the balance between old and new words in the development of the literary language; the formation and development of terminology in various fields (including word formation, translation, and borrowing); as well as lexicological and lexicographic challenges. He also explored stylistic matters, such as the dominant style of the literary language and the importance of stylistic diversity.

In this context, from the point of view of providing significant information to the public, the article highlights Eristavi's close connection with the only Georgian-language periodical of the time, the magazine *Tsiskari*, and his active role in the Society for the Spreading of Literacy among Georgians, as well as his broader literary contributions.

The discussion in the presented article is based on manuscripts from Raphiel Eristavi's archive, preserved at the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts of Georgia. Through the study and analysis of these documents, the following conclusions have been drawn:

Raphiel Eristavi continues the tradition of scholarly inquiry through both his theoretical writings and literary works. He builds upon the methodological approaches of earlier scholars, contributing to a clearer orientation in the study of vocabulary and style within the Georgian literary language. Notably, he systematizes the best ideas from differing, at times opposing perspectives incorporating both archaic and modern vocabulary. His principal approach to expressing new concepts emphasizes, first and foremost, the use of the Georgian language's own lexical and word-forming resources. When such resources are insufficient, he advocates for the careful borrowing or translation of foreign terms.

He strives to create a solid foundation for the literary language and to use it for scientific purposes – on the one hand, by collecting old manuscripts and folklore materials; on the other, by expanding lexicological and lexicographic studies.

With regard to style, he gives equal attention to both the issue of a guiding stylistic standard and the need for stylistic diversity in the literary language – two aspects that do not negate one another. As time has shown, finding a positive resolution to both has been, and continues to be, crucial for the development of the literary language.

**Keywords:** Raphiel Eristavi; Georgian literary language; the Society for the spreading of literacy among Georgians.

## შესავალი

ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიაში გამორჩეულად მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება XIX საუკუნის მეორე ნახევარი: სწორედ ამ დროს, მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ, იმპერიული პოლიტიკის საპირისპიროდ, აქტიურად დაიწყო ბრძოლა ეროვნული მწერლობის განვითარებისა და ქართული ენის უფლებების აღდგენისათვის საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო სფეროში. ილია ჭავჭავაძესა და ზოგადად *სამოციანელებს* მყარი ნიადაგი მოუმზადა ჯერ კიდევ 50-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა თაობამ, რომელიც მაშინდელი ერთადერთი ქართული პერიოდული ორგანოს – ჟურნალ *ცისკრის* ფურცლებიდან ახმიანებდა ერის სატკივარს, ბჭობდა ქართული სამწიგნობრო ენის პრობლემებზე. ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი მწერალი, მთარგმნელი და მკვლევარი რაფიელ ერისთავი.[1]

ჩვენი კვლევის მიზანია იმ ღვაწლის წარმოჩენა, რომელიც რაფიელ ერისთავს მიუძღვის ქართული სამწიგნობრო ენის პრობლემური საკითხების წინ წამოწევასა და საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად ქცევაში. მისი განსაკუთრებული კვლევის სფეროს წარმოადგენდა სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური ბაზის შევსებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გააქტიურების საკითხი, რომელიც თავის მხრივ, არაერთი მიმართულებით მუშაობას მოითხოვდა; კერძოდ: ძველი და ახალი სიტყვებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა; როგორც წერილობითი ძეგლებიდან, ისე დიალექტებიდან (ხალხის ცოცხალი მეტყველებიდან) მომდინარე ლექსიკური მასალის გამოყენება ახალი ცნებების გადმოსაცემად; დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავება; ენის სიტყვაწარმოებითი მოდელების ამოქმედება სპეციალური ლექსიკის შესაქმნელად; უცხო სიტყვების თარგმნასა და სესხებას შორის ლოგიკური შესაბამისობის დადგენა; სალიტერატურო ენის საორიენტაციო სტილისა და სტილური მრავალფეროვნების ურთიერთმიმართების განსაზღვრა და სხვა.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობას სამეცნიერო სფეროში განსაზღვრავს მემკვიდრეობითი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. მან თავისი მართებული მიდგომით განავითარა წინა პერიოდის მწიგნობართა სამეცნიერო კვლევის ტრადიცია და სწორი ორიენტირებით გზა მისცა მომდევნო პერიოდის მოღვაწეებს სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის რეფორმების გატარებაში.

ჩვენ შევისწავლეთ დღემდე გამოქვეყნებული ქართველოლოგიური ნაშრომები, რომლებიც რ. ერისთავის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს ასახავს. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მწერლის ენათმეცნიერული შეხედულებების დაზუსტების კიდევ ერთ ცდას, რითაც დახმარებას გაუწევს დარგის სპეციალისტებსა და დაინტერესებულ პირებს.

## კვლევის მეთოდი

მწერლის დამსახურების წარმოსაჩენად შევარჩიეთ საარქივო კვლევის, ანალიზისა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ პოზიციათა შედარება-შეპირისპირების მეთოდები; ძირითადად, დავამუშავეთ რ. ერისთავის პირად არქივში დაცული ხელნაწერები, რომლებიც ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში.

## კვლევის შედეგი

საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე აშკარად გამოიკვეთა რაფიელ ერისთავის, როგორც ქართული ენის დაუღალავი მუშაკის, **მრავალმხრივი კვლევითი საქმიანობა** სალიტერატურო ენის ქმნადობის უწყვეტ პროცესში. მწერლისთვის მნიშვნელოვანია **სწორი ორიენტირების** დასახვა სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის კვლევაში, რაც გულისხმობს:

- წინა პერიოდის მწიგნობართა მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებას;
- საზოგადოებაში არსებულ საპირისპირო პოზიციათა საუკეთესო იდეების ერთ სისტემად გაერთიანებას პრობლემური საკითხების მართებულად გადაჭრისათვის;
- სამწიგნობრო ენის ლექსიკური ბაზისა და სიტყვაწარმოებითი მოდელების მაქსიმალურად ამოქმედებას თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად;
- სტილთან დაკავშირებული საკითხების სამსჯელოდ გამოტანას და სხვა.

ყურადღებას იქცევს მწერლის **დაინტერესება საჭირო ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდებით,** კერძოდ: რაფიელ ერისთავს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჟურნალ *ცისკრის* რედაქციასთან, უგზავნიდა საბეჭდ მასალებს, აქტიურად ეხმარებოდა ჟურნალის გავრცელებასა და ხელისმომწერთა მოძიებაში, რაზეც დიდად იყო დამოკიდებული *უკეთ* და *წარმატებით გამოცემა სამშობლოს ლიტერატურისა* (რ. ერისთავის ფონდი № 835); ჟურნალის რედაქტორი, ივ. კერესელიძე, პირდაპირ სწერს: *გთხოვ, რაფაელ, ძმაო, როგორც უფროს ძმას და მეგობარს, განაგრძელო შენი თანამშრომლობა, თუ მწერლობით, თუ ხელისმომწერთათვის. მანდ შენი ხმა კიდევ სხვა არის* (რ. ერისთავის ფონდი #836; იხ., ასევე რ. ერისთავის ფონდები: №№ 833, 834).

ამავე თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია მწერლის საქმიანობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ასევე – მისი ლიტერატურული მოღვაწეობა (იხ. ქვემოთ) და სხვა.

## მსჯელობა

რ. ერისთავის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ძიებებიდან გამოვყოფთ მის დაკვირვებებს სამწიგნობრო ენის ლექსიკასა და სტილზე.

**ენის სიწმინდის დასაცავად** და თანამედროვეთა მეტყველებაში მოზღვავებული უცხო სიტყვების საპირისპიროდ, **ქართული ლექსიკური ფონდის გააქტიურებისათვის** მნიშვნელოვანია რაფიელ ერისთავის, როგორც ორიგინალური ნაწარმოებების ავტორისა და მთარგმნელის, დამოკიდებულება. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ *ივერიის* 1881 წლის № 2-ში დაბეჭდილი რეცენზიის ნაწყვეტი, რომელიც მის მიერ შესრულებული თარგმანების ენას ეხება:

*ქართული ენა ეხლანდელს მწერლობაში ისე მდიდრად არსად არა სჩანს, როგორც რაფ. ერისთვის ნაწერებში; აქ ენას ნაკლებად ეტყობა დანათესავება რუსულს და სხვა უცხო ქვეყნურს ენასთან; აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავ ხასიათს აძლევს თვით უცხო-ქვეყნურს თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ეხლა ჩვენში, როდესაც სხვა მწერლის ნაწარმოებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურს თხზულებასაც კი მცირედ ეტყობა ქართულობა. თ. რაფ. ერისთავმა რომ ისურვოს ქართულ ლექსიკონის დაწერა, ყველას ჩუბინოვს დაგვავიწყებს. ეს არის უმთავრესი ღირსება ჩვენი პატივცემულ პოეტისა* (გვ. 133).

რ. ერისთავი თავის ლექციაში *ქართული ენის დაარსებასა და წარმატებაზედ*[1] განსაკუთრებით

---

1 ამავე თაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელზე – ბარბარე ჯორჯაძეზე იხ. ჩვენი სტატია: „*ბარბარე ჯორჯაძის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში*“, *ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული*, ქუთაისი: 2021, გვ. 50-58.

1 ლექციის სახელწოდება ამოღებულია *დროების* 1882 წლის #42-ში დაბეჭდილი განცხადებიდან: შაბათს 27 თებერვალს 1882, წელსა არწრუნის თეატრში თ. რ. ერისთავი წაიკითხავს ლექციას ქართულს ენაზედ ქართულის ენის დაარსებასა და წარმატებაზედ.
რ. ერისთავის ფონდში დაცულ ხელნაწერში ეს სახელწოდება არ დასტურდება – მითითებულია ***ლექცია I***; შდრ., იქვე, ***ლექცია II*** წარმოადგენს ქართული ლიტერატურის მიმოხილვას.

ამახვილებს ყურადღებას ქართული ენის **ლექსიკური ფონდის სიმდიდრესა და თავისთავადობაზე;** მაგ., მსჯელობს რა სიტყვათა სესხებაზე, ჩვენს ქვეყანასთან სხვა ხალხების *მეგობრული, ანუ აღებ-მიცემური თუ მძლავრული* (დამპყრობლური) ურთიერთობის შედეგად ენაში შემოსულ და დამკვიდრებულ სიტყვებზე, დასძენს, რომ *ქართული ენა არ ყოფილა, იმ ხანებში, ისე ღარიბი, რომ ...მიეღო უცხო ენიდგან ისეთი სახელწოდება, რომლის სამაგიერო თვითონ არა ჰქონდეს. და თუ რომელიმე სიტყვები შემოვიდა ჩვენს ენაში, ...სანაცვალო მაინც ...მოიპოებოდა ქართულში* (რ. ერისთავის ფონდი № 133, ფურ. 21).

მწერალი საუბრობს ლექსიკის (იგულისხმება ძირეული სიტყვები) *ნაკლულოვანებაზე, რაც სხვა თემის ენებისთვისაც* არ იყო უჩვეულო; ცდილობს ლოგიკური ახსნა მოუძებნოს **წარმოებითა და კომპოზიციით** (ამ *ნაკლულოვანების* საკომპენსაციო საშუალებებით) მიღებული სიტყვაფორმების არსებობას და გარკვეული თანმიმდევრულობა დაიცვას მაგალითების ჩამოთვლისას, რასაც კომპოზიტების ნაწილში უფრო აღწევს (მაგ.: *გულუხვი, გულმწყრალი, გულფიცხი... სულმოკლე, სულსწრაფი... ერთპირი, ორპირი... შუადღე, შუაღამე* და სხვა. (იქვე, ფურ. 17).

რ. ერისთავი ლექსიკის *ნაკლულოვანებით* ხსნის სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობის შემთხვევებსაც, როგორიცაა, მაგ.: *ქვაბი – სახარში ჭურჭელი / კლდე გამოკვეთილი; შტო, ანუ რტო – ხისა / მდინარისა* და სხვა, თუმცა იქვე დასძენს, რომ ასეთი ფორმები რაოდენობრივად ცოტაა, *მაგიერში, ჩვენი ენა წარმოგვიდგენს სიმრავლეს და სიუხვეს სახელწოდებათა ერთისა და იმავე საგნისას, მოქმედებისას, მნიშვნელობისას*; ამ შემთხვევაში მწერალი მცენარეთა, პირუტყვთა და სხვა ცხოველთა სახელების მიხედვით მსჯელობს სინონიმებზე – *ერთისა და იმავე ლექსის თანამოსახელე და თვისად სიტყვებზე* (იქვე, ფურ. 18, 19, 20; 23).

რ. ერისთავის დაკვირვების თანახმად, ცალკე საკითხია **სამწიგნობრო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება**. ის განსაკუთებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის: ფშავის, ხევსურეთის, თუშეთის... *(მთის ხალხის)* მეტყველების შესწავლას, რომელსაც შემოუნახავს სალიტერატურო ქართულში დაკარგული ლექსემები (იქვე, ფურ. 20-21).

საყურადღებოა რ. ერისთავის პოზიცია ენის ლექსიკური ფონდის შედგენილობაზე, კერძოდ, **ძველი და ახალი სიტყვების ხვედრით წილზე** სამწიგნობრო ენის განვითარებაში.

მწერალი არქაულ სიტყვებზე შენიშნავს, რომ *სამწუხაროდ, ისპობიან... ჩვენს ლიტერატურაში*; ამის მიზეზად მიაჩნია თანამედროვე საზოგადოების დაუდევრობა *თუ უცოდინრობა* და, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია, კავშირის გაწყვეტა წინა საუკუნეებში შექმნილ ორიგინალურ მწერლობასთან – ქართული ლექსიკის დაუშრეტელ წყაროსთან. მისივე დაკვირვებით, ძველი სიტყვები გამოუყენებლობის გამო იმდენად *მიყრუებულან* და გაბუნდოვანებულან, რომ *თუ პირველათ რუსულათ არ დაასახელა, ზოგიერთმა იქნება ვერც კი გაიგოს პირდაპირ ქართულად* (რ. ერისთავის ფონდი № 133, ფურ. 26).

ანალოგიურად მსჯელობს მწერალი თავის მოთხრობაში ***Литературный вечеръ***, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ *ცისკრის* 1862 წლის ნოემბრის ნომერში (№ 11); მისი სიტყვები შეიცავს ერთგვარ მოწოდებას თანამედროვეებისადმი, რომ აღადგინონ კავშირი წინა პერიოდის მწიგნობრულ ტრადიციებთან და გაუფრთხილდნენ წარსულის ენობრივ მემკვიდრეობას: *წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ მოვსცდით იმ საუკუნეს, როცა... [ძველი მწერლობის ნიმუშები] იწერებოდა... ბევრი მათგანი მეთორმეტეს და მეცამეტეს საუკუნეში არიან ნაწერი. ახლა კი სხვა და სხვა სიტყვა შემოგვაქვს ჩვენ ენაში და ჩვენები კი გვავიწყდება!... დაუკვირდეთ, ჩაუაროთ და მოვიგონოთ, ვიპოვით დაკარგულს, გავიხსენებთ დავიწყებულს* (გვ. 250).

რ. ერისთავი წინააღმდეგია, ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში არსებული სიტყვების *სანაცვალოდ, სხვა და სხვა ენებიდგან ახალ-ახალი ლექსების* შემოტანისა და უმჯობესად მიიჩნევს ისევ ძველი სიტყვების გაცოცხლებას: *ჩემის აზრით უმჯობესია ისევ ჩვენი სიტყვები აღვადგინოთ, ვიდრე სხვებისგან სესხობას და თუ აღარ ვიცით ძველი ქართული ენა, – გავიცნოთ და გავაცოცხლოთ. შესწავლა ხომ ძველ სიტყვებსაც დასჭირდებათ და ნასესხებთაც* (რ. ერისთავის ფონდი № 133, ფურ. 29).



იგივეა მწერლის პოზიცია 1882 წლის 20 ნოემბერს, ქალაქის სამმართველოს დარბაში გამართულ პირველ სატერმინოლოგიო კრებაზე, როცა განსხვავებით კრების სხვა მონაწილეთაგან (ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი), საჭიროდ თვლის ახალი ტერმინების შემუშავებამდე, პირველ რიგში, ძველი სამეცნიერო ტერმინების მოძიებასა და შესწავლას. ამავე აზრს განავითარებს ის ჟურნალ *მეურნის* 1888 წ. № 13-ში დაბეჭდილ წერილშიც ძველი და ახალი ტერმინების შეპირისპირებისას; შდრ.: ალღო – ინსტინქტი; საბუთი – დოკუმენტი... (დამოწმ.: იორდანიშვილი, 2015, გვ. 147).

უცხო სიტყვებისადმი დამოკიდებულების საკითხში საყურადღებო შეფასების საფუძველს გვაძლევს რ. ერისთავის პოზიციის შედარება, ერთი მხრივ, მისივე თაობელის – ირაკლი ლორთქიფანიძის, ხოლო მეორე მხრივ, 60-იანელთა იდეური წინამძღოლის – ილია ჭავჭავაძის შეხედულებებთან:

ირ. ლორთქიფანიძე რადიკალურად წინააღმდეგია ენაში უცხო სიტყვების შემოტანის. წერილში „ჰსჯა“ ის აღნიშნავს: *უმჯობეს არს გავიხსენოთ დავიწყებულნი სიტყუანი და სასმენელნი ჩუენნი შევაჩვიოთ მათ, ვიდრეცა სრულიად დავივიწყოთ მოფარულნი ჩუენგან და ნაცულად მათსა შევიწყნაროთ უცხო.* (*ცისკარი*. 1857. № 7, გვ.45). ამ განცხადების შემდეგ ის წარმოადგენს ძველი ლექსიკით ახალი სიტყვების ჩანაცვლების მაგალითებს: *ნაცულად* ***სალიტერატუროსა*** *ვსთქვათ* ***მეტყუელებისა****, ხოლო ნაცულად* ***ჟურნალისა ოქმი****... ნაცულად* ***რედაკტორისა*** *ვიხმაროთ დიდის ხნიდამ ცნობილი ჩუენდა* ***მესტანბე*** *ანუ* ***აღმბეჭდველი****, ნაცულად* ***პოეზიისა მოშაირობა*** *და* ***მოლექსეობა****, ნაცულად* ***პროზისა წართქმა*** *ანუ* ***წარმოთქმით წერა****,* ***კრავატი*** *შავსცვალოთ* ***ცხედრად*** *ანუ* ***სარეცელად****,* ***კრესლო სავარძელად*** *და ესრეთ შემდგომნი* (იქვე).

ამავე ხაზის გაგრძელებას ვხედავთ უფროსი თაობის სხვა წარმომადგენელთა *(სარდიონ ალექსიევ-მესხიევი, ბარბარე ჯორჯაძე, რევაზ ერისთავი)* ე.წ. *ბრალდებაში* ი. ჭავჭავაძის მიმართ, რომ უცხო *ლექსების* შემოტანით დაამძიმა სალიტერატურო ენა; მათი შეხედულებები ასევე მოწმობს ჩვენთვის მნიშვნელოვან ფაქტს, კერძოდ: **სამწიგნობრო ენის სიწმინდის დაცვაზე ორიენტირებული საზოგადოების ერთი ნაწილისათვის არ არის ნათელი ენაში შემოჭრილი უცხოენოვანი ლექსიკის არაერთგვაროვნება:** ერთ ჭრილშია განხილული და, შესაბამისად, ერთიანად უკუგდებული, როგორც რუსული (კრავატი, კრესლო...), ისე საერთაშორისო (რედაქტორი, პოეზია...) სიტყვები.

უფროსი თაობის წარმომადგენელთა შეხედულების საპირისპიროა ი. ჭავჭავაძის პოზიცია. კერძოდ: ი. ჭავჭავაძე მიჯნავს *საჭირო* და *არასაჭირო* უცხო სიტყვებს, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, ერთი მხრივ – ინტერნაციონალიზმებსა და ნასესხობებს, მეორე მხრივ – ბარბარიზმებს. სიტყვა *კრიტიკის*, ასევე ქართულში და ქართულიდან ნასესხები ლექსემების *(ოჯახი, სახლი...)* მაგალითზე ის ამტკიცებს, *არასაჭირო* სიტყვებისგან განსხვავებით, ენის *საჭირო* სიტყვებით გამდიდრების აუცილებლობას, ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე: *ყოველ ხალხსა, ცოტაოდენს განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია... ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის ცრუობს, – რომელიცა ძრახავს მაგგვარ სიტყვების შემოტანას ენაში* (ჭავჭავაძე, 1986, გვ. 49; დაწვრილებით, იხ.: ვაშაკიძე, 2009, გვ. 61-66).

უნდა აღინიშნოს, რომ **რ. ერისთავის პოზიცია** ერთგვარად *არიგებს* საწინააღმდეგო შეხედულების წარმომადგენელთა: ერთი მხრივ – თანათაობელების, მეორე მხრივ – ი. ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრების საუკეთესო იდეებს და **სწორ მიდგომად** ყალიბდება, რაც დღესაც არ კარგავს ღირებულებას დარგის სპეციალისტთათვის; კერძოდ: რ. ერისთავს უცხო სიტყვების **სესხება**, სხვა ცივილიზებულ საზოგადოებათა კვალად, გამართლებულად მიაჩნია ენაში **შესაბამისი მნიშვნელობის სიტყვის არარსებობის შემთხვევაში**: *თუ ვინიცობაა ჩვენს ენაში აღარ მოიძებნება სამაგიერო ლექსები, ...ვეღარც ჩვენ ვითაკილებთ სესხობას, რადგან ჩვენზედ უფრო განათლებულნი და დაწინაურებულნი, არ იუცხოებენ ხოლმე ახლად მოგონილის სიტყვის მიღებას* (რ. ერისთავის ფონდი #133, ფურ. 29).

უცხო სიტყვის სესხებასთან შედარებით, მწერალი უპირატესობას ანიჭებს მის **თარგმნას**, რაც პირდაპირ კავშირშია ენაში არსებულ ლექსიკურ თუ სიტყვაწარმოებით საშუალებებზე დაყრდნობით შესაბამისი შესატყვისის მოძიება-შემუშავებასთან; ის წერს: *თუ შევიძლებთ, აწრი გადმოვიტანოთ და გამოვსთქვათ ქართულისავე სიტყვით* (*ცისკარი*, 1862, № 11, გვ. 237). საკითხისადმი ასეთი მიდგომით **რ. ერისთავი ლოგიკურად აგრძელებს და განავითარებს ძველი პერიოდის მწიგნობართა მთარგმნელობით საქმიანობაში შემუშავებულ მეთოდოლოგიას** (ვაშაკიძე, 2009, გვ. 193; მელიქიშვილი, 1975).

აღნიშნული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს უცხო სიტყვებისათვის ქართული შესატყვისის მოძიების მცდელობა რ. ერისთავის დასახელებული მოთხრობის პერსონაჟთა დიალოგებში:

- „**Литературный вечеръ**... მე გადავთარგმნე **სალიტერატურო საღამოთ**.
- მე გადავთარგმნე **სალიტერატურო მეჯლიშათ**...
- [ზოგიერთებმა] სთქვეს, რომ ...**ლიტერატურნის ვახშმათ** გადაითარგმნოსო.
- ...მაშ როგორ გადასთარგმნით ამ სიტყვებს **Вокально инструментальный концертъ**?
- **ვოკალნო ინსტრუმენტალნი კონცერტათ** “ („ცისკარი“, 1862, № 11, გვ. 240).
- „მაშ, **აფიშკა** რაღაა, სთქვით.
- არა, ეგრეთ უნდა ითქვას... მანამ კარგად არ შეეთვისება ხალხს ეს სიტყვა მათსავე ურთიერთს ლაპარაკში“ (იქვე, გვ. 241).
- „**პიკნიკს** როგორღა გადათარგმნი?
- ...პიკნიკი ქართულად ითქმის **არიფანა**“ (იქვე, გვ. 257).

წარმოდგენილი მაგალითებიდან აშკარაა, თუ როგორ მოძალებულია საზოგადოების მეტყველებაში რუსული და რუსული ორთოგრაფიით გაფორმებული საერთაშორისო სიტყვები. ამ არაერთგვაროვანი მასალის დასამუშავებლად კი ჯერ არ არის სათანადო პირობები. ამაზე მიგვითითებს მწერლის შენიშვნა, რომ ისიც კი, ვისაც *სურვილი ჰქონდა ეზრუნვა ქართულის ლიტერატურისთვის, ...უფრო რუსულს ეწყობოდა* (იქვე, გვ. 255-256). ამ ფონზე თანამედროვეთათვის ერთგვარ მხილებას თუ გაფრთხილებას წარმოადგენს რ. ერისთავის სიტყვები: *თქვენ ყველანი რუსულს, ფრანციცულს, ლათინურს, ლემენცურს და კიდევ რაღაც ჯანდაბურებს კითხულობთ, სწერთ და ქართულს კი – სულ არა, ან სწერთ ძალიან ცოტას; სხვას ჰმატებთ და თქვენს ენას კი – არაფერი* (იქვე, გვ. 275).

რ. ერისთავი აქტიურად იღვწის ძველი ხელნაწერებისა და ფოლკლორული მასალის შეკრება-გამოცემისათვის **სამწიგნობრო ენის ბაზის შესაქმნელად**: *პირველი ჩვენი მოვალეობა ეს უნდა იყოს... რომ ძველებური წიგნები დავბეჭდოთ და განვავრცელოთ... ბევრი კარგი თხზულებები არის მიმალული სხვადასხვა ოჯახებში... რამდენი სხვა გვარი თხზულება იპოვება, ღირსი დაბეჭდვისა, ნამეტნავად ისტორიული, როგორც რომ გუჯრები, ოქმები, წყალობის წერილები... სავსეა მონასტრები* (იქვე, გვ. 241-242).

აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა *ქ. შ. წ. კ. გ.* საზოგადოების (რომლის წარმომადგენელი რ. ერისთავიც იყო) ხელმძღვანელობით. მწერლის არქივში დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც სწერენ მას ქართული ხელნაწერი წიგნების, ასევე ანდაზებისა და ლექსების შეკრების თაობაზე (რ. ერისთავის ფონდები: №№ 860, 861, 862). აქვეა უთარიღო შავი ავტოგრაფიც – ეს არის რ. ერისთვის მიმართვა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისადმი ქართული ხელნაწერი წიგნების შეგროვებისა და დაცვის შესახებ. წარმოდგენილია სია იმ ოჯახებისა, სადაც მწერალს ეგულებოდა ძველი ქართული წიგნები და მიმართვა თანამედროვეთადმი, შეეწირათ ეს ძველი წიგნები ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის ან ეთხოვებინათ გადასაწერად; შესაბამისად, *უმეტნაკლოთ და შეუბღალავათ* უკან *აახლებდნენ* (რ. ერისთავის ფონდი №172).

საყურადღებოა რ. ერისთავისა და ი. ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი, 1872-73 წლებში გადამუშავებული და 1873 წელს ცალკე წიგნად გამოცემული ფოლკლორული მასალა სახელწოდებით: *ქართული სახალხო პოეზია (გლეხური სიმღერები, ძველი მესტვირული ლექსები და მდაბიური ანდაზები)*. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის რ. ერისთავს; აქ ის მკაფიოდ მიუთითებს ფოლკლორული მასალების, როგორც ჩვენი საზოგადოების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის, *ბევრი მოსწრებული სიტყვისა და აწრის,* ისე *ნამდვილი ქართული ენის ბრუნვისა და მიმოხვრის* ამსახველი წყაროების დროულად (სანამ *სრულებით არ დავიწყებია ხალხსა*) შეკრების მნიშვნელობაზე (იხ. ასევე: ჯაგოდნიშვილი, 1986, გვ. 20; ვაშაყმაძე, 1974, გვ. 23).

სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდის სამეცნიერო დანიშნულებით გააქტიურებისათვის გატარებულ ღონისძიებად კვალიფიცირდება ფართოდ გაშლილი **ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მუშაობა** (ვაშაკიძე, 2009, გვ.105-110), რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილეა რ. ერისთავი. მის არქივში დაცული ხელნაწერები მოწმობს, რა დიდი მუშაობა გაუწევია მას დარგობრივი, თარგმნითი თუ განმარტებითი ლექსიკონებისათვის მასალების მოსაძიებლად (იხ. რ. ერისთავის ფონდები: №№ 118, 119 120, 121, 122, 123, 124, 125, 126).

როგორც ცნობილია, 1873 წელს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების უწყებებში დაიბეჭდა რ. ერისთავის *ლათინურ-რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი*, რომლის შევსებული რედაქციაც შეცვლილი სახელწოდებით: *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან* 1884 წელს გამოვიდა (ვაშაკიძე, 2009, გვ. 109). ამავე წელს, რ. ერისთავის რედაქტორობით, გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ასევე *„დროების“* №144-ში დაიბეჭდა მისი წერილი *აწრი სრულის რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენის თაობაზე*, რომელშიც წამოჭრა ქართული ენის *უსრულესი* და *უკილო* ლექსიკონის შედგენის საკითხი. რ. ერისთავი მუშაობდა *ქართულ-რუსული ლექსიკონის* მოსამზადებლად, რომლის გეგმაც 1880 წ. დაიბეჭდა *ივერიის* №144-ში (ჯაგოდნიშვილი, 1986, გვ. 13).

1884 წელს შევსებული რედაქციით გამოცემული ლექსიკონის წინასიტყვაობაში თავს იყრის მწერლის საყურადღებო დაკვირვებები ლექსიკოგრაფიული მუშაობის ამოცანებსა თუ წინაადმდეგობებზე. მივუთითებთ რამდენიმე მათგანს:

– რ. ერისთავი მსჯელობს სალექსიკონო საქმის დანიშნულებაზე, კერძოდ, მისი მიზანი იყო დახმარება როგორც *სწავლის მოყვარე ქართველებისათვის* – მათთვის უცნობი სახელწოდებების მოსაძიებლად *რუსულ და ლათინურ ენებზედ*, ისე – უცხოელთათვის, რათა ენახათ *ხსენებულნი სახელწოდებანი ქართულს ენაზედ* (ერისთავი, 1884, გვ. 5-6);

– მწერალი საუბრობს აღნიშნული პერიოდის სალექსიკონო მუშაობის განსაკუთრებულ სირთულეზე – *დახშულ საწიგნეებზე*, რომ მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო წინა პერიოდის ლექსიკოგრაფიული ნაშრომები (მაგ., ფრანგ პატრ ფილიპეს მიერ შედგენილი *ქართულ-იტალიანური მცენარეთა ლექსიკონი*, ასევე *იოანე ბატონიშვილის ნაშრომი);*

– რ. ერისთავი მართებულად შენიშნავს, რომ სალექსიკონო მუშაობა ერთი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება; ეს საპასუხისმგებლო საქმე **საყოველთაო** უნდა იყოს და მასში მონაწილეობა მიიღონ **ენის და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა** – *მსწავლულთა, სასოფლო მეურნეთა, ექიმთა და სხვათა სწავლის და ენის მოყვარეთა პირთა;*

მეცნიერული თვალსაზრისით, უდავოდ ღირებულია მწერლის პოზიცია მცენარეთა სახელების მოძიება-შესწავლაზე საქართველოს – მცენარეებით მდიდარი ქვეყნის – სხვადასხვა კუთხეში: *ქართლში, კახეთში, მთიულეთში, ფშავ-ხევსურეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, ჯავახეთში, ოდიშში, გურიაში, ჩაქვში, ჭანეთში, ლივანაში და სხვაგან, სადაც დღესაც ლაპარაკობენ ერთი და იმავე ქართული ენით* (ერისთავი, 1884, გვ. 6); წარმოდგენილი ამონარიდი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში ასევე იკითხება რ. ერისთავის მართებული პოზიცია სამწიგნობრო ქართულ ენაზე, როგორც *ყოველთა ქართველთა* გამაერთიანებელ ფენომენზე (ვაშაკიძე, 2009, გვ. 31-37); ასეთი მიდგომა მწერალს, სხვა დიდებულ ქართველთა დარად, ეროვნული ცნობიერების მატარებელ წინაპართა (გიორგი მერჩულე) სულიერ მემკვიდრედ წარმოაჩენს.

რ. ერისთავის კვლევის ობიექტია **დარგობრივი ტერმინოლოგია**, რომელსაც ძლიერ არგუმენტად იყენებს იმპერიული საგანმანათლებლო კურსის მესვეურთა პოზიციის გასაბათილებლად, თითქოს შეუძლებელი იყო ქართულ ენაზე სასკოლო დისციპლინების სწავლება სათანადო წიგნებისა და ტერმინების არქონის გამო. აქ საუბარი ეხება რ. ერისთავის წერილს *რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს?* რომელიც დაიწერა 1880 წლის აგვისტო-სექტემბერში გამართულ ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობაზე გორის საოსტატო სემინარიის რექტორის – *სემიონოვის* – შეურაცხმყოფელი განცხადების პასუხად (*დროება*, 1880, № 212).

აღნიშნულ წერილში მწერალი, იხსენებს რა წინა საუკუნეების საქართველოს მაღალგანვითარებულ კულტურას და *გალექსილ თუ პროზად დაწერილ, სამღვთო თუ საერო* მწერლობის ნიმუშებს, მიმოიხილავს სხვადასხვა დარგის *(ფიზიკის და სამუნეჯიბო – ასტრონომიული, გეოგრაფიის, არითმეტიკისა და გეომეტრიის, ქიმიის, სამედიცინო, სამხედრო...)* ტერმინებს და აკეთებს დასკვნას, რომ ქართულ სამწიგნობრო ენას საკმაოდ მყარი ბაზა ჰქონდა სამეცნიერო ლიტერატურის შემუშავებისათვის და *სასესხებლად არ გახდომია* ბევრი ტერმინი, რომლებიც თუნდაც რუსულში ლათინური ან სხვა წარმომავლობის ნასესხობის სახით იყო შესული; მაგალითისათვის ასევე წარმოადგენს *ბუნების მეცნიერთათვის* ჯერაც დაუდგენელ მცენარეთა ქართულ სახელებს, როგორიცაა: *თობალახი, ქრთილი, ადრეულა, ალილეჩა, ამუჯა, ანჩხლა, ბეჟანა, გარდამრიდა, გობისცხვირა, დულუმბო* და *სხვანი მრავალნი* (გვ. 2). ანალოგიურად მსჯელობს მწერალი თავის ლექციაში *„ქართული ენის დაარსებასა და წარმატებაზედ.*

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია რ. ერისთავის აქტიური მონაწილეობა ტერმინების დამდგენ კრებებში (იორდანიშვილი, 2015, გვ. 138-142). მისი ტერმინოლოგიური მუშაობის მთავარ მახასიათებლად უნდა განისაზღვროს **მემკვიდრეობითი ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება – ენაში არსებული ლექსიკური თუ სიტყვაწარმოებითი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება ახალი ცნებების გადმოსაცემად,** რასაც უდავოდ მოწმობს მწერლის გამოსვლები, სამეცნიერო თუ მხატვრულ თხზულებებში გამოხატული პოზიცია.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით **სტილის** საკითხს**.** სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ რ. ერისთავის ნაწარმოებები **არაერთგვაროვანი სტილის** ნიმუშებს წარმოადგენს, კერძოდ, რ. ერისთავის *ლექსები, კომედიები, სცენები დაწერილია ხალხური ენით* და განსხვავდება, მაგ., *ზოგი მისი სტატიის* ან მისი რედაქციით გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის წინასიტყვაობის *არქაიზმებით* და *ხელოვნური ფორმებით* დამძიმებული ენისაგან; აღნიშნული ფაქტი, წინამორბედ მკვლევართა (არნ. ჩიქობავა, ივ. გიგინეიშვილი...) დაკვირვების თანახმად, ახსნილია ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებული *სამი სტილის თეორიის* გავლენით, რომელიც *პრინციპში უარყოფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმარისობას* და რომლის კრიტიკაც ი. ჭავჭავაძის (ქართული ენის რეფორმატორის) სახელთან არის დაკავშირებული (იორდანიშვილი, 2015, გვ. 133-134).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური აზრი ჩვენც გვქონდა განვითარებული 2009 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში *(ტერმინთშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში),* თუმცა ასევე წარმოვადგენდით პროფ. თ. უთურგაიძის განსხვავებულ შეხედულებასაც, რომ *ანტონს არასოდეს დაუცავს სამი სტილის თეორია და რაც მთავარია, იგი იბრძოდა ერთიანი სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის მთელს საქართველოში, რასაც მიაღწია კიდეც* (გვ. 52-55).

დღევანდელი გადასახედიდან, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია მკვლევართა ერთი ნაწილის შეფასება ანტონ კათალიკოსის *სამი სტილის* თეორიის შესახებ; ამჯერად ჩვენი დასაყრდენია რ. ერისთავის დასახელებულ მოთხრობაში გამოხატული პოზიცია, რომელიც ე. წ. *სამი სტილის* თეორიის ლოგიკური გააზრების საფუძველზე ჩანს შემუშავებული:

*პასუხად კითხვაზე, რა ენით უნდა იწერებოდეს სტატია... მაღალის ენით თუ დაბალის ენით?* მოთხრობის პერსონაჟები (რომელთაც თავი მოუყრიათ ქართული ლიტერატურის ბედზე სასაუბროდ) ასე მსჯელობენ:

> *– შეიძლება იყოს სტატია, რომელსაც მოუხდება მდაბიური ენა ანუ წერა, გამოთქმა, გამოხატვა აზრისა; აგრეთვე იქნება სტატია, თხზულება, რომელსაც შეჰშვენის ენა მაღალი ანუ ენა საშუალი, გამოთქმა ღრმა, ანუ მდაბიური.*
>
> *– წერა, კარგი და საზოგადო ის არის, რომელიც ყველასთვის გასაგონია, ესე იგი მდაბიური.*
>
> *– ...შეათანასწორეთ წერილები, თხზულებანი ჩვენს დრომდის და ჰნახავთ, რომ სხვა და სხვა გვარათ და სხვა და სხვა ენით არიან ნაწერნი, მაგრამ, მათში ჩვენ არამც თუ ვერას დავიწუნებთ, კიდეც მოგვწონს* (*ცისკარი*, 1862, № 11, გვ. 248).

ვფიქრობთ, წარმოდგენილ დიალოგში მოთხრობის ავტორის მიერ მართებულად არის დასმული და ერთ ჭრილში დანახული ორი თანაბრად მნიშვნელოვანი საკითხი: ერთი მხრივ, **სამწიგნობრო ენის საორიენტაციო სტილის საყოველთაოობა**, რომ ყველასთვის *გასაგონი*, ანუ გასაგები იყოს, ხოლო მეორე მხრივ – **ენის სტილური მრავალფეროვნების საჭიროება,** რაც ისტორიულად და დღევანდელ რეალობაშიც გამოიხატება სამწიგნობრო ენის შემოქმედებითი და პრაქტიკულ-გამოყენებითი სფეროების (მხატვრული; სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი და სხვ.) გამოყოფა-ფუნქციონირებით; ასეთი ვითარება, ბუნებრივია, ჩამოყალიბდა სამწერლობო ენაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე ლოგიკური პროცესების შედეგად.

მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას: მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა პოზიციური დაპირისპირება თემაზე *ნაირსტილოვანი თუ ერთიანი სალიტერატურო ენა?* ფაქტობრივად, მოხსნილია – სტილთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები: **საორიენტაციო სტილი** და **სტილური მრავალფეროვნება** ერთმანეთს არ გადაფარავს; ორივეს დადებითად გადაწყვეტა მნიშვნელოვანი იყო და არის სამწიგნობრო ენის განვითარებისათვის.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი:

რაფიელ ერისთავი – XIX საუკუნის მოწინავე ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი – თავისი თეორიული დებულებებითა და ლიტერატურული საქმიანობით ხელს უწყობს სწორი ორიენტირების გამოკვეთას სამწიგნობრო ენის ლექსიკისა და სტილის კვლევაში, კერძოდ:

1. აგრძელებს მეცნიერული მუშაობის ტრადიციას; ითვალისწინებს მემკვიდრეობით ცოდნას და ლოგიკურად განავითარებს წინა პერიოდის მწიგნობართა მეთოდოლოგიას;
2. ერთ სისტემად აყალიბებს განსხვავებულ / საპირისპირო პოზიციათა საუკეთესო იდეებს, ერთი მხრივ – არქაულ ლექსიკასთან, მეორე მხრივ – ახალ სიტყვებთან დამოკიდებულებაში;
3. სალიტერატურო ენის ბაზის შექმნისა და შესწავლისათვის საჭიროდ მიიჩნევს:

– ძველი ხელნაწერებისა და ფოლკლორული მასალის შეკრებას;

– ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული კვლევების გაფართოებას;

4. ახალი ცნებების გადმოცემისათვის მთავარ პრინციპად ირჩევს ენის ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას (თარგმნას), ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უცხო სიტყვის სესხებას;

5. სტილთან დაკავშირებით თანაბრად წამოჭრის სამწიგნობრო ენის საორიენტაციო სტილისა და სტილური მრავალფეროვნების საკითხებს, რომლებიც ერთმანეთს არ გადაფარავს; ორივეს დადებითად გადაწყვეტა, როგორც დრომ აჩვენა, მნიშვნელოვანი იყო და არის სამწიგნობრო ენის განვითარებისათვის.

## ბიბლიოგრაფია


ერისთავი, რ. (1884). *მოკლე ქართულ-რუსული-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან. შედგენილი თ. რაფ. დავ. ერისთოვისაგან.* ტიფლისი.

ვაშაკიძე, ი. (2009). *ტერმინთშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში.* თბილისი: *უნივერსალი.*

ვაშაყმაძე, შ. (1974). *რაფიელ ერისთავი.* თბილისი: *განათლება.*

იორდანიშვილი, ლ. (2015). *რაფიელ ერისთავის ენა.* თბილისი: *თსუ გამომცემლობა.*

მელიქიშვილი, დ. (1975). *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი.* თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (1986). *რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტომი III.* თბილისი.

ჯაგოდნიშვილი, თ. (1986). *რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები.* თბილისი: *მეცნიერება.*

*გაზეთი „დროება“, № 212.* (1880). ტფილისი.

*გაზეთი „დროება“, №144.* (1884). ტფილისი.

*გაზეთი „ივერია“, №2.* (1881). ტფილისი.

*ჟურნალი „ცისკარი“, №7.* (1857). ტფილისი.

*ჟურნალი „ცისკარი“, № 11.* (1862). ტფილისი.

*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის ფონდები: №№ 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 126, 133, 172, 833, 834, 835, 836, 860, 861, 862.* (...). თბილისი.



*იამზე ვაშაკიძე*
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
კავკასიის უნივერსიტეტი

*Iamze Vashakidze*
PhD in Philology,
Associate Professor,
Caucasus University
ORCID-ID: 0009-0008-3596-341X




# მცენარეთა სახელები რ. ერისთავის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში და მათი ადგილი მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში

## აბსტრაქტი


XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწე, რაფიელ ერისთავი, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თავი მოუყარა მცენარეთა ქართულ სახელებს და მათი მეცნიერული სისტემატიზაცია სცადა. მნიშვნელოვანია მისი ლექსიკონები:

- ***შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი* (1873);**
- ***მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან* (1884).**

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოვკვეთოთ რ. ერისთავის ლექსიკონების მნიშვნელობა და მასში წარმოდგენილი მცენარეთა სახელების ადგილი *მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში* (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ჭელიძე, 2025. იბეჭდება).

აღნიშნულ ლექსიკონებზე დაყრდნობით განხილულია შემდეგი საკითხები:

I. რ. ერისთავის ლექსიკონების წინასიტყვაობები;

II. ლექსიკონების სტრუქტურა;

III. ორი გამოცემის შედარებითი ანალიზი;

IV. ლექსიკონების მონაცემთა ასახვა მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში.

რ. ერისთავის ლექსიკონებს ახლავს მნიშვნელოვანი წინასიტყვაობები, რომელთა მიხედვით ირკვევა ავტორის მიზნები, მასალის მოპოვებისა და შესწავლის მეთოდოლოგია, ლექსიკონების აგების პრინციპები.

*მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში* სრულად ავსახეთ რ. ერისთავის ლექსიკონების მონაცემები, მათ შორის, დაუზუსტებელი, განუმარტავი სახელები.

ამ ლექსიკონებში წარმოდგენილი მასალის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა შემდეგი:

- მცენარეთა რიგი სახელების ამოცნობა;
- არაერთი სამეცნიერო დასახელების დაზუსტება, შეცვლა, დაწერილობის გასწორება;
- მცენარეთა იმ სახელების გამოვლენა, რომლებიც მხოლოდ რ. ერისთავის ლექსიკონების დამსახურებით შემოგვრჩა;

- მცენარეთა დიალექტურ სინონიმთა კორპუსის მნიშვნელოვნად გამდიდრება;
- განმარტებების მიხედვით არაერთი ახალი სამეცნიერო დასახელების შექმნა;
- სხვა, ლექსიკოგრაფთა მიერ განუმარტავი სახელების ამოცნობა.

რ. ერისთავის ლექსიკოგრაფიულმა ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა მცენარეთა ქართული სახელების მეცნიერულ სისტემატიზაციას. მის ლექსიკონებში თავმოყრილი მასალა, მრავალი თვალსაზრისით, ფასდაუდებელი აღმოჩნდა *მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონისათვის*.

**საკვანძო სიტყვები**: მცენარეთა ქართული სახელები; ერისთავის ლექსიკონები; ნომენკლატურული სახელები; დიალექტური მასალა; მცენარეთა ახალი სახელები.

## PLANT NAMES IN RAPHIEL ERISTAVI'S LEXICOGRAPHICAL WORKS AND THEIR ROLE IN THE COMPREHENSIVE DICTIONARY OF PLANT NAMES

## ABSTRACT

The renowned 19th-century scholar Raphiel Eristavi was among the first to compile and systematize Georgian plant names. His significant lexicographical works include:

*Abridged Latin-Russian-Georgian Dictionary of Plants (1873)*

*Short Georgian-Russian-Latin Dictionary of Plants, Animals, and Minerals (1884)*

The aim of this study is to highlight the significance of R. Eristavi's dictionaries and to examine the inclusion and placement of the plant names found in them within the forthcoming *Comprehensive Dictionary of Plant Names* (Khotcholava-Matchavariani, Chelidze, 2025, in print).

Based on these dictionaries, the following issues are discussed:

I. The prefaces of Raphiel Eristavi's dictionaries

II. The structure of the dictionaries

III. A comparative analysis of the two editions

IV. The representation of the dictionaries' data in the *Comprehensive Dictionary of Plant Names*

R. Eristavi's dictionaries are accompanied by important prefaces that reveal the author's objectives, the methodology of material collection and study, and the principles of dictionary compilation.

In the *Comprehensive Dictionary of Plant Names*, we have fully incorporated the data from Raphiel Eristavi's dictionaries, including names that are unspecified or unexplained. Based on the analysis of the material presented in these lexicons, the following has been accomplished:

- Identification of a range of plant names;
- Refinement, revision, and standardization of multiple scientific names;
- Recognition of plant names preserved solely due to Eristavi's lexicons;
- Significant enrichment of the corpus of dialectal synonyms;
- Creation of new scientific names based on provided definitions;
- Identification of names previously unexplained by other lexicographers.

Raphiel Eristavi's lexicographical works laid the foundation for the systematic study of Georgian plant names, and the material compiled in these dictionaries has proven invaluable for the *Comprehensive Dictionary of Plant Names*.

**Keywords:** Georgian plant names; Eristavi's lexicons; nomenclature; dialectal materials; new plant names.

## შესავალი

მცენარეთა ქართული სახელების მოძიება, მათი სრულად თავმოყრა და სისტემატიზაცია აუცილებელი საფეხურია ენის ლექსიკის ამ გამორჩეული სფეროს შესასწავლად არაერთი მიმართულებით, ამიტომ *მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის* შედგენისას შევეცადეთ თავი მოგვეყარა მცენარეთა ქართველური სახელებისათვის სრულად, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი წყაროებიდან, მოგვეხდინა მათი სისტემატიზაცია.

წინამდებარე შრომის მიზანია, გამოვკვეთოთ რ. ერისთავის ლექსიკონების მნიშვნელობა და მასში დადასტურებული მცენარეთა სახელების ადგილი მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ჭელიძე, 2025, იბეჭდება).

XIX საუკუნის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა, რაფიელ ერისთავმა, მეტად საინტერესო ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობაც დაგვიტოვა. ჩვენი ინტერესის საგანია მცენარეთა სახელები რ. ერისთავის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში, ეს ლექსიკონებია:

- ***შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი* (1873 წ.);**
- ***მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან* (1884 წ.).**

*მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის*[1] მასალაში სხვადასხვა ზეპირი თუ წერილობითი წყაროების გვერდით გამორჩეული ადგილი უკავია რ. ერისთავის ამ ლექსიკონების მონაცემებს, რადგან ისინი, თავის მხრივ, არაერთ მნიშვნელოვან წყაროს ემყარება.

რ. ერისთავი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მცენარეთა ქართული სახელების სისტემატიზაციას მიჰყო ხელი. ამგვარი ლექსიკონების შედგენა და გამოცემა იმ პერიოდისათვის რთული და საპასუხისმგებლო საქმე გახლდათ, ვინაიდან მანამდე ბეჭდური სახით ისინი ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა.

ლექსიკონების შედგენას წინ უძღოდა სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები. რ. ერისთავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც ის წლების მანძილზე მსახურობდა, თავად მოუძიებია მცენარეთა დიალექტური სახელები. ამის შესახებ მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაშიც: *რ. ერისთავის საარქივო მასალა და პრესაში გამოქვეყნებული წერილები გვიჩვენებს, რომ ავტორი მცენარეთა სახელებით და თვისებებით ადრე დაინტერესებულა. 1857 წელს, იმერეთში მოგზაურობის დროს, სხვა ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, მცენარეთა ადგილობრივი დასახელებანიც შეუკრებია, დაუმუშავებია, დაუძებნია მათი რუსულ-ლათინური სახელწოდება და ჟურნალ კავკაზში გამოუქვეყნებია... იმერეთის გარდა მსგავსი მუშაობა ჩაუტარებია: ქართლში, კახეთში, მთიულეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, გურიაში, სამეგრელოში* (იორდანიშვილი, 2015: 158, 161).

რ. ერისთავის მცენარეთა სახელების პირველი ლექსიკონი დაიბეჭდა *კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წერილებში*, რასაც მაშინვე მოჰყვა დადებითი შეფასება. გამოწვეული ინტერესის გამო, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას კვლავ განუზრახავს ლექსიკონის შევსებულ-განახლებული ვერსიის დაბეჭდვა და 1884 წელს რ. ერისთავმა კვლავ გამოსცა ლექსიკონის ახალი, უკვე შესწორებული და შევსებული რედაქცია. ლექსიკონის მეორე გამოცემასაც პრესა დადებითად გამოეხმაურა.

## კვლევის მეთოდი

კვლევაში გამოყენებულია ტექსტუალური ანალიზის მეთოდი. საკვლევი მასალა რ. ერისთავის ხსენებულ ორ გამოცემაში წარმოდგენილი მცენარეთა სახელებია. ისინი, გარკვეულ შემთხვევებში, შედარებულია სხვა მონაცემებსაც.

## მსჯელობა, შედეგები

რ. ერისთავის ამ მნიშვნელოვან ლექსიკონებზე დაყრდნობით განვიხილავთ შემდეგ საკითხებს: **I. რ. ერისთავის ლექსიკონების წინასიტყვაობანი, II. ლექსიკონების სტრუქტურა, III. ლექსიკონების ორი გამოცემის შედარება, IV. რ. ერისთავის ლექსიკონების მონაცემთა ასახვა *მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში*.**

## I. რ. ერისთავის ლექსიკონების წინასიტყვაობანი.

ორივე ლექსიკონს ახლავს წინასიტყვაობა, შესრულებული ქართულ და რუსულ ენებზე. მათში მკაფიოდ და ლაკონურადაა ჩამოყალიბებული ლექსიკოგრაფის მიზნები, ლექსიკონთა აგების პრინციპები, ერთგვარი მეთოდოლოგია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გამოცემის წინასიტყვაობა, ძირითადად, მსგავსია, შეინიშნება გარკვეული სხვაობაც, ამასთან, პირველი გამოცემის რუსული და ქართული წინასიტყვაობები მეტად ვრცელია.

**ა. ქართული წინასიტყვაობები.** ორივე ლექსიკონის წინასიტყვაობა მეტად საყურადღებოა. მათში შემდეგი საკითხებია წარმოდგენილი:

**ლექსიკონის შექმნის მიზანი.** რ. ერისთავი ასახელებს 3 მიზანს, რისთვისაც გაუწევია ეს სამუშაო:

- მიაწოდოს ქართველებს მცენარეთა ქართული სახელების შესაბამისი ლათინური სახელწოდებანი;
- უცხოელთათვის მისაწვდომი გახადოს მცენარეთა ქართული დასახელებანი;
- მშობლიური ენის ლექსიკური ფონდის შეკრება-შესწავლაში შეიტანოს *მცირედი* წვლილი.

ამ მიზნებით კარგად იკვეთება იმდროინდელი ქართული სპეციალური ლიტერატურის ნაკლოვანებანი და საზოგადოების ინტერესის არსებობა.

**სამუშაო მასალის თავისებურება.** როგორც საკითხის შესანიშნავი მცოდნე, რ. ერისთავი ზუსტად აფასებს სალექსიკონო მასალის თავისებურებას – მცენარეთა სახელების მრავალფეროვნებას და ხელშესახებ სიუხვეს, ხოლო ლექსიკონის შედგენისას მთავარი სირთულე ამ მრავალრიცხოვან სახელთა შეკრება, გამოკვლევა და თარგმნაა (სათანადო ლათინური სამეცნიერო სახელებისა და რუსული შესატყვისების მისადაგება) და რაკი ეს საქმე ერთი კაცისათვის, მით უფრო, ხანმოკლე პერიოდში, შეუძლებელია, რ. ერისთავი მიიჩნევს, რომ სასურველი შედეგების მისაღწევად დარგის სპეციალისტთა და საქმის მოყვარულთა ერთობლივი მუშაობაა საჭირო.

**შესაძლო ნაკლოვანებათა განხილვა.** დაკვირვებულმა ლექსიკოგრაფმა იცის, რომ მისი ლექსიკონები დაზღვეული ვერ იქნება ხარვეზებისგან. ავტორი აცხადებს, რომ მზადაა მიიღოს და სამომავლოდ გაითვალისწინოს ყველა მართებული შენიშვნა.

ლექსიკონის მეორე გამოცემაში ავტორს შეაქვს მცენარეთა ის სახელები, რომელთა განმარტებაც თავად ვერ მოუხერხებია. წინასიტყვაობაში ის გამოთქვამს იმედს, რომ უკვე შეკრებილი მასალა მომავალში საქმის გამგრძელებლებს უსათუოდ დაეხმარება. დღეს ცხადი ხდება, რომ ამ მონაცემების წყალობით მცენარის არაერთი სახელი გადაურჩა დაკარგვას.

**ლექსიკონის წყაროები.** ორივე ლექსიკონის წინასიტყვაობაში მითითებულია წერილობითი წყაროები და სპეციალური ლიტერატურა, რომლითაც უსარგებლია რ. ერისთავს:

1 *მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი* ოთხ ნაწილად გამოიცემა: I. ქართული, II. მეგრულ-ლაზური, III. სვანური, IV. ჯიშების სახელები. ამჟამად მზადაა და იბეჭდება I ნაწილი.

- ბოტანიკური ლიტერატურა: *ა.ნ. ანენკოვის შედგენილი მცენარეთა ლექსიკონი*[1]*; ბ.ნ. სიტოვსკისა და ა. ა. ოვერინის მცენარეთა ლექსიკონი*[2]*; კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წერილები; ფერადი ბოტანიკური ატლასები და ჩანახატები მცენარეთა გამოსახულებებით;*
- ლექსიკონები: *ს.ს. ორბელიანის ლექსიკონი*[3]*; დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონი*[4]*;*
- სამედიცინო ლიტერატურა: *სხვა და სხვა კარაბადინები;*
- ველზე მუშაობით მოპოვებული მასალა;

**სალექსიკონო მასალის რაგვარობა.** 1873 წლის ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ სალექსიკონე მასალა 3 სახისაა: 1. მცენარეთა დაზუსტებული ქართული სახელები, განმარტებული ლათინური და რუსული სახელწოდებებით; 2. მცენარეთა ქართული სახელები, რომელთა განმარტებები საეჭვოდ მიაჩნია; 3. მცენარეთა ქართული სახელები, რომელთა ლათინური შესატყვისებისათვის ჯერ ვერ მიუკვლევია.

მეორე გამოცემაში სახელთა ამგვარი დიფერენცირება გარკვეული პირობითი ნიშნებითაა უზრუნველყოფილი, რასაც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს: *რა სახელწოდებათაც ჯვარი უზის, ის სახელწოდებანი ნამდვილ ახსნილათ მიმაჩნიან..., ხოლო რომელთაც გრგოლი უზის – ისინი საეჭვოთ შევრაცხე და დანარჩენნი კი ჯერეთ აუხსნელნი დამირჩნენ* (ერისთავი, 1884: VI).

1973 წლის გამოცემის წინასიტყვაობას დართული აქვს ერთი საინტერესო შენიშვნა, რომელიც გვამცნობს, რომ სალექსიკონე მასალაში გარკვეული სიმბოლური ნიშნით – ვარსკვლავებით – აღნიშნულია თავად რ. ერისთავის მიერ მოძიებული მცენარეთა ახალი სახელები.

**სირთულეები ლექსიკონთა შედგენისას.** რ. ერისთავი ზუსტად მიუთითებს იმ თავისებურებებზე, რითაც გამოირჩევა მოცემული სალექსიკონე მასალა და, რაც გარკვეულ სირთულეებსაც ქმნის:

- დიალექტური სინონიმების სიუხვე, მრავალგვარობა;
- საქართველოს ფლორის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, ამა თუ იმ გვარის შემადგენელ სახეობათა სიმრავლე.

**საქართველოს კუთხეები, ადგილობრივი მოსახლეობა და დიალექტები.** გარდა სამენოვანი დასახელებისა *(ქართული, ლათინური, რუსული)* ორივე ლექსიკონი ითვალისწინებს ქართული დიალექტებისა და ერთ-ერთი ქართველური ენის – მეგრულის – მონაცემებს. ამ თვალსაზრისით მისი თვალსაწიერი ისტორიული საქართველოს დიდ ნაწილს სწვდება. საქართველოს კუთხეების ჩამოთვლისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართულზე, როგორც დასახელებული მხარეების მკვიდრთა მშობლიურ ენაზე. აქვე აღნიშნულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მცენარეთა სახელების უზადო ცოდნა, მცენარეთა გამოყენება ამა თუ იმ დანიშნულებით.

**მასალის მოსაპოვებლად ველზე მუშაობის აუცილებლობა.** ორივე გამოცემის წინასიტყვაობებში ლექსიკოგრაფი სწორად აღნიშნავს, რომ მცენარეთა სახელების ლექსიკონისათვის სათანადო მასალის შეკრება, ამოცნობა და ქართული დასახელებებისთვის ლათინური სახელის მისადაგება რთული საქმეა და მიაჩნია, რომ მასალის შეკრებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ:

- ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომელთაც შემოინახეს მცენარეთა ხალხური სახელები;
- სპეციალისტებმა, დაინტერესებულმა პირებმა.

**დაკარგული ან მიუწვდომელი ხელნაწერები.** ორივე წინასიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ აქამდე მცენარეთა ქართული სახელების ლექსიკონი ბეჭდური სახით არ არსებობდა, ხოლო ხელნაწერები, რომელთა შესახებ რ. ერისთავს მხოლოდ ცნობები ჰქონია, მისთვის მიუწვდომელი აღმოჩენილა. მათ შესახებ რ. ერისთავი საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ვიგებთ, რომ არსებულა შემდეგი ხელნაწერები:

- **პატრი ფილიპეს *ქართულ-იტალიური მცენარეთა ლექსიკონი,*** რომლითაც თავის დროზე უსარგებლია დავით ჩუბინაშვილს. მას ლექსიკონიდან აუღია 572 სახელი, თუმცა ყველა მათგანი არ განუმარტავს;
- **იოანე ბატონიშვილსაც** ჰქონია ნაშრომი (გამოცემა მოხერხდა 1986 წელს – ავტ.). როგორც თავად გულისტკივილით აღნიშნავს, ორივე ეს შრომა ერისთავისთვის მიუწვდომელი გამხდარა: *ვისაც კი მოვკითხე და ვსთხოვე შემწეობა, ანუ ეთხოვებინათ პატრი ფილიპეს ლექსიკონი, ან იოანე ბატონიშვილის ნაშრომი, მივიღე სრული და მტკიცე უარი* (ერისთავი, 1873: 3).

**სამომავლო გეგმები.** ორივე ლექსიკონის წინასიტყვაობაში საუბარია სამომავლო გეგმებზე. პირველი ლექსიკონის წინასიტყვაობაში წარმოდგენილი განზრახვა რ. ერისთავმა წარმატებით შეასრულა მეორე, შევსებული და გაუმჯობესებული ლექსიკონის გამოცემით, რომელშიც მცენარეთა სახელებს დაემატა, ასევე, ცხოველთა და ლითონთა სახელებიც. საგულისხმოა, რომ ავტორი არც ამჯერად მიიჩნევს საქმეს დასრულებულად, ამიტომ მკითხველს კვლავ სთხოვს დახმარებას, რომ მისცენ შენიშვნები, მიაწოდონ ახალი ცნობები, რადგან აგრძელებს შრომას *ამგვარისავე უუსრულესი ლექსიკონების შედგენისათვის* (ერისთავი, 1884: VII ).

**ბ. რუსული წინასიტყვაობები.** ორივე გამოცემის რუსული წინასიტყვაობა იმეორებს ქართულ ტექსტს, თუმცა შეინიშნება სხვაობაც, განპირობებული იმით, რომ ეს წინასიტყვაობანი მიემართება რუსულენოვან მკითხველს, რომელიც სათანადოდ არ იცნობს საქართველოს. რუსული წინასიტყვაობებიდან გამოვყოფთ რამდენიმე საინტერესო ასპექტს:

1. როცა რ. ერისთავი წერს მცენარეთა სამყაროს მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეზე, ახსენებს არა საქართველოს, არამედ კავკასიას, ხოლო 1884 წლის გამოცემაში ამატებს, რომ ამიერკავკასია *(Закавказье)* გამორჩევით მდიდარია ადგილობრივი წარმოშობის მცენარეებით, რაშიც მათი ბოტანიკური სახელების (ლათინური ნომენკლატურული სახელები – ავტ.) ზედსართავები მარწმუნებსო და ასახელებს მათ: *Ponticum, Caucasica, Iberica*... ლექსიკოგრაფი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ მცენარეებს ადგილობრივი დასახელებებიც გააჩნია.
2. როცა რ. ერისთავი ჩამოთვლის საქართველოს კუთხეებს, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ იქაური მოსახლეობა, მიუხედავად კუთხეთა და დიალექტთა სხვადასხვაობისა, ერთი მოდგმისანი არიან და მათ აერთიანებთ ქართული სამწერლობო ენა, მეტყველება. აქვე მიუთითებს, რომ მეგრელების მეტყველება განსხვავდება ქართულისაგან ზუსტად ისე, როგორც უკრაინული *(მოლოროსიული)* რუსულისგან.
3. მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ჩამოთვლილი და განმარტებულია ის შემოკლებანი, რომლებიც ლექსიკონში მცენარეთა ქართულ სახელებს ახლავს და ამ სახელთა კუთხურ წარმომავლობას აღნიშნავს: *Груз. – Грузинское. Имер. – Имеретинское. Гур. – Гурійское. Мингр. – Мингрельское. Пшав. – Пшавское. Мтіул. – Мтіульское. Рач. – Рачинское* (ერისთავი, 1884: III-IV).
4. 1873 წელს გამოცემული ლექსიკონის მეორე ნაწილში რუსული სახელები ახსნილია ქართული შესატყვისებით, რომლებიც რუსული ასოებითაა ჩაწერილი. ეს საჭიროებს



1 П. В. Анненков, Ботанический словарь, М. 1859.

2 Опыт русско-кавказской флоры, в применении к сельскому хозяйству и домашнему быту, А. Овериным и Н. Ситовским. Т. 1-. – Тифлис, 1858-1859.

3 ს.ს. ორბელიანის „*ლექსიკონი ქართული*“ გამოიცა 1884 წელს. რ. ერისთავი იყო მისი პირველი გამომცემელი და რედაქტორი.

4 დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი, Санктпетербург, 1840.

დამატებით განმარტებას, ამიტომ რ. ერისთავი წინასიტყვაობაში ზოგიერთი ქართული ასო-ბგერის *(თ, ფ, ქ, ყ, ძ, წ, ჭ, ჯ)* წაკითხვისა და წარმოთქმის თავისებურებებზე საუბრობს, ხოლო მათ გადმოსაცემად იშველიებს ფრანგულ და რუსულ ბგერათშეხამებებს *(th, ph, gh; кг, дз, тц, тч, дж)*. ავტორი მცენარეთა ქართული სახელების მაგალითზე აჩვენებს ამგვარად ჩაწერის აუცილებლობას.

5. პირველი გამოცემის წინასიტყვაობის ერთ-ერთ სქოლიოში მოცემულია მეტად საგულისხმო მითითება, რომ ვარსკვლავით (*) აღნიშნულია მცენარეთა ის სახელები, რომლებსაც არ გააჩნდათ ადგილობრივი დასახელებები, ამიტომ ერისთავს უცხოენოვანი სახელების ან მცენარის ნიშან-თვისებების გათვალისწინებით **მათთვის თავად შეუქმნია ქართული სახელები.**
6. ამავე სქოლიოში გვაქვს ერთი საინტერესო შენიშვნაც – მცენარეთა ნასესხები სახელები განსაკუთრებული ნიშნით იმიტომ არ არის აღნიშნული, რომ ისინი უკვე შეთვისებულია მოსახლეობის მიერ და საბოლოოდ დამკვიდრებული ქართულ ენაში (ერისთავი, 1873: 6).

## II. ა. ერისთავის ლექსიკონების სტრუქტურა.

**პირველი გამოცემა: *შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი* (1873 წ.).**

ეს ლექსიკონი საკმაოდ რთული სტრუქტურისაა და შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან, რომელთაც ერთვის ცალკეული მონაკვეთები. თითოეული დასათაურებულია რუსულ ენაზე. გვაქვს ერთი ქართული ქვესათაურიც – *ბანდუკი მცენარეთა ლექსიკონისა*. წინასიტყვაობა ქართულ და რუსულ ენებზეა, სარჩევი – რუსულ ენაზე. ლექსიკონი მცენარის **1151** სახელს შეიცავს, განუმარტავი სახელების ჩათვლით.

ლექსიკონის პირველ ნაწილში ავტორს შეუტანია: *ნამდვილად გამოკვლეულ მცენარეთა სახელწოდებანი*, სულ 375 ერთეული. ამოსავლად აღებულია მცენარის ლათინური სახელწოდება. მასალა გაწყობილია ლათინურ ანბანთრიგზე, სათანადო ნუმერაციით. სახელებს ახლავს სათანადო რუსული და ქართული ახსნა, სადაც ქართულ სახელებთან მითითებულია მათი კუთხური წარმომავლობაც: *35.* ***Apium graveolens L.*** *Сельдерей, ѳхрахоში (груз. имер.), маѳдано, маკიდო (гур.), маკინდოლი (мингр.).*

ლექსიკონის ამ ნაწილშივეა ვარსკვლავებით აღნიშნული და წარმოდგენილი რ. ერისთავის მიერ შემოტანილი მცენარეთა სრულიად ახალი სახელები *(სულ 16 ერთეული)*. ეს ქართული ოფიციალური სახელები თავად შეურჩევია, მაგ.: **5. Aesculus Hippocastanum L.* ***ცხენისწაბლა*** *(груз.), *133. Ecbalium Elaterium Rich.* ***კიტრანა*** *(груз.), *224. Oxalis Acetosella L.* ***კურდღლის მჟაუნა*** *(груз.) და სხვა.*

ლექსიკონის პირველ, ძირითად ნაწილს ერთვის მცენარეთა ქართული სახელების ჩამონათვალი *(21 ერთეული)* ლათინური შესატყვისით, თუმცა ამ მონაკვეთის სათაურშივე მითითებულია, რომ ისინი ჯერაც დასაზუსტებელია. აქ ქართულ სახელს მოსდევს ლათინური და ზოგჯერ რუსული მნიშვნელობაც, მაგ., *19.* ***ძირხვენა, დელხვინი.*** *Lappa tomentosa Lam. Лопух, Лапушник.* ამ სახელთა დიდი ნაწილი რ. ერისთავს ლექსიკონის მეორე გამოცემაში დაუზუსტებია.

ამ ლექსიკონის მეორე ნაწილში მცენარეთა რუსული სახელები გაწყობილია რუსულ ანბანთრიგზე *(375 ერთეული)*, თითოეული მცენარის სახელს გასწვრივ უზის ციფრი, რომელიც რუსული სახელწოდების ლათინური შესატყვისის რიგითი ნომერია ლექსიკონის ძირითად ნაწილში. ყოველ რუსულ დასახელებას ახლავს ქართული ახსნა, ჩაწერილი რუსული ასოებით, ქართულ ახსნას ამჯერადაც ერთვის მცენარის კუთხური დასახელება, ფრჩხილებში კი ჩასმულია მისი სადაურობა. მაგ., ***Кукуруза*** *Симинди (груз. имер., гур.), Лазути (мингр.) 372.*



მეორე ნაწილის რუსულ მონაკვეთს მოსდევს *ბანდუკი მცენარეთა ლექსიკონისა*, რომელშიც მცენარეთა მხოლოდ ქართული სახელწოდებებია, გაწყობილი ქართულ ანბანთრიგზე *(სულ 375 ერთეული)*. მცენარეთა ქართულ სახელებს არ ახლავს ლათინური შესატყვისები, მაგრამ მათ გასწვრივ დასმულია ციფრები, რომელთაც იგივე ფუნქცია აქვს, რაც რუსულ ჩამონათვალში.

ეს ქართული სახელები მეტწილად წარმოდგენილია დიალექტური სინონიმებით (ზოგჯერ ჩანს მეგრული სახელებიც), თუმცა მათი სადაურობა აქ ფრჩხილებში აღნიშნული არ არის. *ქართულ ბანდუკში* მოცემული სინონიმის თითოეული წევრი ანბანთრიგზე თავ-თავის ადგილას ისეა მოთავსებული, რომ სინონიმები არ შორდება ერთმანეთს.

ლექსიკონის მესამე ნაწილში მოცემულია მცენარეთა გვარ-სახეობების ქართული დასახელებები, რომელთა შესატყვისი ლათინური სახელი რ. ერისთავს იმდროისათვის ვერ დაუძებნია. ქართულ ანბანთრიგზე ჩამოწერილია *566* მცენარის სახელი, მათი სინონიმები კი ცალ-ცალკე ანბანთრიგზე თავ-თავის ადგილასაა მოცემული.

მესამე ნაწილის ამ მონაკვეთს მოსდევს მცენარეთა ჯიშების ქართული დასახელებები, ლათინურ-რუსული შესატყვისის გარეშე. აქ სახელები ერთგვარ ბუდეებადაა დაჯგუფებული: მაგ., ***მსხალი:*** *ბორბალა, გვერდწითელა, გულაბი, თავრუჯული, მალაჩინისა, მილახური... შთამბეჭდავია ვაზისა და სოკოს სახეობათა ჩამონათვალი. შეინიშნება გარკვეული უზუსტობანიც: 1. ზოგჯერ ერთ ბუდეში ჩანს არა მხოლოდ ჯიშები, არამედ სახეობებიც; 2. უზუსტობაა შემდეგ ტერმინთა გამოყენებაში: რუს.* ***род*** *– გვარი,* ***вид*** *– სახეობა.*

ლექსიკონს ახლავს ე. წ. *დამატება-შესწორების* მონაკვეთი, რუსულ ენაზე დაწერილი, მცირე შესავლით. რ. ერისთავი გვამცნობს, რომ სალექსიკონე მასალის დაბეჭდვის შემდეგ მან დააზუსტა არაერთი სახელი, რომელთა ლათინურ და რუსულ ჩამონათვალს გვთავაზობს სათანადო ქართული შესატყვისებით *(სულ 24 ერთეული)*, ამასთან, შესაბამისი ნუმერაციით მიუთითებს, ლექსიკონის რომელ ნაწილში უნდა აისახოს ესა თუ ის ცვლილება. აქვე ავტორი ასწორებს კორექტურას და ჩამოთვლის გამორჩენილი სახელებს.

**მეორე გამოცემა: *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან* (1884 წ.).**

ამ გამოცემაში *მცენარეთა სახელებს* ემატება *ცხოველთა* და *ლითონთა სახელებიც* (რასაც ავტორი წინასიტყვაობაშიც მიუთითებს), შესაბამისად, ლექსიკონი ორჯერ მეტი მოცულობისაა. მასში მცენარეთა სახელები ცალკე განყოფილებადაა წარმოდგენილი. ის შევსებულია ახალი მასალით (სულ 10204 ერთეული) და მკაფიო სტრუქტურისაა.

ამ ლექსიკონის ძირითად ნაწილს წარმოადგენს არა ლათინური, როგორც ეს პირველ გამოცემაშია, არამედ ქართული სახელები, რომლებიც ახსნილია ჯერ რუსული და შემდგომ ლათინური შესატყვისებით. ყოველ სალექსიკონო ერთეულს თავისი რიგითი ნომერი უზის, მაგ.: *1198* ***+ ჯონჯოლი*** *(груз. имер., гур.),* ***კაპარი*** *(мингр., Рач.), Клекачка. Starpyllea pinnata L.*

ლექსიკონის ამ გამოცემაში დიალექტურ დასახელებათა რიცხვი გაზრდილია ფშაური, მთიულური და რაჭული მონაცემებით.

მეორე ლექსიკონში პირობითი ნიშნებით წარმოდგენილი განუმარტავი სახელები სამი რიგისაა:

- აუხსნელი სახელები: *48.* ***არგანი****, 203.* ***დანამასტაკი****, 225.* ***ვარდკანაფა;***
- სახელები, რომელთაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს *რომელს ბუნებითს* სამეფოს ეკუთვნის: *10.* ***ადრაგუნი*** *(ყვავილია), 29.* ***ალიჩეჩა*** *(ბალახია);*
- სხვა მცენარესთან მსგავსების მიხედვით არის ახსნილი სახელები: *80.* ***ბალასინი*** *(ბალახია კიტრივით).*

ლექსიკონის ძირითად ნაწილში გვაქვს სიტყვების განლაგების *ბუდეების სისტემა*. ბუდეს ქმნის ხეხილის ჯიშები. ბუდის თავში მოცემულია მცენარის ქართული დასახელება შესაბამისი რუსულ-ლათინური ახსნით. ბუდეში შემავალ მცენარეთა ჯიშების სახელები ანბანთრიგითაა წარმოდგენილი; თავის მხრივ, თითოეული ჯიშის სახელწოდება თავ-თავის ანბანთრიგით შეტანილია ლექსიკონის ძირითად, ქართულ ნაწილში. ამ წესითაა მოცემული ქლიავის, ვაშლის, ყურძნის, მსხლის, ლობიოს და სხვათა ჯიშები. ფასდაუდებელია რ. ერისთავის ორივე ლექსიკონში წარმოდგენილი მცენარეთა ჯიშების აღმნიშვნელი ხალხური დასახელებანი.

მცენარეთა ლექსიკონის ძირითად ნაწილს ერთვის ორი განყოფილება: 1. ანბანთრიგზე დალაგებული რუსული სახელები *(**Айва** ..... 429; **Ретрушка** ..... 659)*. 2. ანბანთრიგზე დალაგებული ლათინური ნომენკლატურული სახელები *(**Acacia vera Willd** ..... 552; **Calendula officinalis L.** ..... 611)*. აქ არ ჩანს ლექსემათა ქართული ახსნა-განმარტებანი, თუმცა თითოეულ მათგანს თავისი რიგითი ნომერი უზის, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სათანადო მცენარის ქართული სახელის მიგნება ლექსიკონის ძირითად, ქართულ ნაწილში.

ლექსიკონის მეორე გამოცემას არ ახლავს შენიშვნების, დამატებებისა და შეცდომების გასწორების დანართები.

## III. ლექსიკონის პირველი და მეორე გამოცემების შედარება

ხელშესახებია სხვაობა რ. ერისთავის ლექსიკონების პირველ და მეორე გამოცემებს შორის. წარმოვადგენთ რამდენიმე განსხავავებას:

1. ლექსიკონის მეორე გამოცემა ეყრდნობა პირველს და მდიდრდება ახალი მასალით.
2. ზოგიერთი ფიტონიმი დასტურდება მხოლოდ პირველ გამოცემაში და არ ჩანს მეორეში, მაგ.: *362. **ურნალი**; 153. **იარასი** ..... 81.*
3. მეორე გამოცემის სტრუქტურა არ არის გადატვირთული ცალკეული მონაკვეთებით, რაც ნიშანდობლივია პირველი გამოცემისათვის. მასში ქართულ ანბანთრიგზე გაწყობილი მცენარეთა ქართული სახელები სრულად თავმოყრილია ძირითად ნაწილში.
4. თუკი 1873 წლის გამოცემის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ლათინური სახელების ჩამონათვალი (რუსული და ქართული განმარტებებით), მისი მომდევნო მონაკვეთები კი რუსული და ქართული სახელებია, 1884 წლის გამოცემის ძირითადი ნაწილი უკვე ქართული სახელების ჩამონათვალია, რაც მცენარეთა ქართული სახელების ლექსიკონისათვის უდავოდ სწორი გადაწყვეტილებაა.
5. მეორე გამოცემაში დაზუსტებულია არაერთი, მანამდე განუმარტავი, სახელი, ასევე, გასწორებულია მისი ლათინური შესატყვისი, მაგალითად, 1873 წლის გამოცემაში სახელი **ლიმონი** ლათინურად არასწორადაა მითითებული – ***Citrus medica*** , 1884 წლის გამოცემაში კი ეს შეცდომა გასწორებულია და გვაქვს: ***ლიმონი*** *(груз.) Лимон.* Citrus Limonium Risso, აქვე **Citrus medica**-ს ქართულ სახელად წარმოდგენილია **ბადრანგი**.
6. პირველი ლექსიკონის ბოლო თავში ჩამოთვლილია ის სახელები, რომელთა ლათინური და რუსული შესატყვისები ავტორს მოგვიანებით დაუზუსტებია, თუმცა ძირითად ნაწილში ვერ შეუტანია. ეს ქართული სახელები სათანადოდაა ასახულია მეორე გამოცემის ძირითად ნაწილში, რუსული და ლათინური განმარტებებით.
7. მეორე გამოცემაში ზოგიერთი მცენარის ქართულ დასახელებას ახლავს აღწერითი ხასიათის განმარტება, მაგ.: **კოდრიენა** *კოდრიენას ფოთოლს მხლათ ხმარობენ;* **სკიჯა** *ერთნაირი ყურძენია.* ხშირად ამგვარი განმარტებანი მცენარის ამოცნობას აიოლებს.
8. რიგ შემთხვევაში განსხვავებულია მცენარეთა სახელების დაწერილობა:
   - პირველ გამოცემაში **ჴ**-ით დაწერილი სახელები მეორეში, მეტწილად, **ხ**-ითაა წარმო-





დგენილი, შდრ.: **ჴარის-ჩლიქა, ჴარის-კბილა** (1873) და **ხარის-კბილა, ხარის-ჩლიქა** (1884);

   - ქართული სახელებისათვის, რიგ შემთხვევაში, დეფისის გამოყენება მართებულადაა შეცვლილი, მაგ.: ხარ-თუთა (1873) და ხართუთა (1884), თუმცა საკმაოდ დასტურდება პირუკუ შემთხვევებიც – სწორი ფორმის არასწორი დაწერილობით შეცვლა, მაგ.: მიწისვაშლა, **ცხენისწაბლა** (1873) და **მიწის-ვაშლა**, **ცხენის-წაბლა**, (1884წ.).

*მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში* მცენარეთა სამეცნიერო სახელების დაწერილობა გაიმართა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად.

## IV. რ. ერისთავის ლექსიკონების მონაცემთა ასახვა *მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში.*

რ. ერისთავის ლექსიკონების გამოცემის შემდეგ მცენარეთა ქართული სახელებით დაინტერესება არ განელებულა ქართულ პრესასა თუ ცალკეულ მკვლევართა ნაშრომებში. ეს ლექსიკონები შეუცვლელი აღმოჩნდა იმ დრომდე, ვიდრე გამოიცემოდა ცნობილი ბოტანიკოსის, *ალექსანდრე მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონი* (1961 წ.), რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვარა, როგორიცაა:

1. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (წერილობითი, ზეპირი) მცენარეთა ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური სახელების მოძიება, თავმოყრა;
2. ამ მრავალფეროვანი მასალის სისტემატიზაცია ბოტანიკურ და ლინგვისტურ მეცნიერებათა გარკვეული წესების გათვალისწინებით;
3. მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელების ჩამოყალიბება, დამკვიდრება;
4. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის* რვატომეულისათვის (1950-1964 წწ.) სათანადო მასალის მომზადება და სხვა.

მაყაშვილის *ბოტანიკური ლექსიკონის* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროა რ. ერისთავის ლექსიკონის მეორე გამოცემა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფასდაუდებელი მასალა მაყაშვილის ლექსიკონში სრულად მაინც არ ასახულა.

*მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის* შედგენისას, სხვა სიახლეებთან ერთად, მიზნად დავისახეთ მასში რ. ერისთავის ლექსიკონების მასალა სრულად წარმოგვედგინა. (საზოგადოდ, ჩვენს ლექსიკონში თვალსაჩინო ადგილი უკავია ისტორიულ ლექსიკონებს, *კარაბადინებს*, სხვა წერილობით წყაროებს). ჩვენთვის ძირითადია რ. ერისთავის მეორე, შევსებულ-განახლებული გამოცემა, ხოლო პირველიდან შეგვაქვს მხოლოდ ის სახელები, რომლებიც მეორე გამოცემაში არ ჩანს, ან განსხვავებული დაწერილობითაა წარმოდგენილი. ლექსიკონში შევიტანეთ ყველა განუმარტავი სახელიც. მათი ერთი ნაწილის დაზუსტება მოხერხდა კიდეც.

რ. ერისთავის ლექსიკონებში წარმოდგენილი მცენარეთა სახელები მეტად ღირებული მონაცემია ქართული ბოტანიკური ნომენკლატურის ჩამოყალიბებაზე დასაკვირვებლად, მაგალითად, გამოვლინდა, რომ ლათინურ საერთაშორისო ნომენკლატურაში დამკვიდრებული ქართული წარმოშობის სახელი **Zelkova (ძელქვა)** ძველ ქართულ ტექსტებში, ძველ ლექსიკონებსა და ქართულის დიალექტებში დასტურდება არა მხოლოდ ***Zelkova carpinifolia***-ს, არამედ სხვა ხემცენარეთა აღმნიშვნელადაც, შესაბამისად, ქართულ ლექსიკონებში მისი განმარტებისას თვალშისაცემია არაერთგვაროვნება.

სწორედ რ. ერისთავის განმარტება აღმოჩნდა გადამწყვეტი ამ უზუსტობის აღმოსაფხვრელად, რადგან, როგორც ირკვევა, პირველად სწორედ მის ლექსიკონებში გამოჩნდა ხემცენარის **გვარის** აღმნიშვნელი ის ლათინური სახელი, რომელიც დაამკვიდრეს ევროპელმა ბოტანიკოსებმა მე-19 საუკუნეში, შდრ.: ***ძელქვა*** *(имер., гур., мингр.) Дзельква.* ***Zelcowa crenata*** *Spach.*

(ერისთავი, 1873, 1884).

ამის გათვალისწინებით, *მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში* სახელწოდება **Zelkova (ძელქვა)** ოდენ გვარის აღმნიშვნელად გამოიყო, ხოლო მისი სახეობა გაფორმდა საერთაშორისოდ დამკვიდრებული ***Zelkova carpinifolia* (Pall.) Dipp**) სახელის მიხედვით – **რცხილაფოთოლა ძელქვა** (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ჭელიძე, 2025), რაც ალ. მაყაშვილის *ბოტანიკურ ლექსიკონში* წარმოდგენილი სახელისაგან განსხვავდება სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტის ქართული შესატყვისის დამატებით.

რ. ერისთავის მონაცემებზე დაყრდნობით, *მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში* შევიტანეთ იმ მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელები, რომლებიც არ ჩანს ალ. მაყაშვილის *ბოტანიკურ ლექსიკონსა* და სხვა წერილობით წყაროებში. მაგალითები.**: გუნდრუკის ხე** *Styrax benzoides* W. G. Craib; **ჯორილა** Aconitum excelsum Rchb**.**, **ყაყაჩოვარდა** *Papaver rhoeas* L, და სხვა.

ზოგიერთი სახელი რ. ერისთავს მეტად ოსტატურად თავად შეუქმნია ლათინური სახელის მიხედვით, მაგ.: **ბალახკოვზა** *Cochlearia officinalis* L.), **მორიელისკუდა** *Doronicum scorpioides Lam.*) და სხვა.

ალ. მაყაშვილმა არაერთი მცენარის ქართულ სამეცნიერო სახელად რ. ერისთავის ლექსიკონში დადასტურებული სახელწოდებები შეარჩია, რის შემდეგაც ისინი წარმატებით დამკვიდრდა ქართულ სამწერლობო ენასა თუ სამეცნიერო მიმოქცევაში. ჩვენ ჩავატარეთ გარკვეული კვლევები და მათზე დაფუძნებით, მეტი სიზუსტისათვის, ზოგიერთი დასახელება შევცვალეთ. მაგ.: მაყაშვილის *ბოტანიკურ ლექსიკონში* **Quercus ilex-**ის სამეცნიერო სახელად დასტურდება **ქვამუხა**, რომელიც რ. ერისთავის ლექსიკონის განუმარტავ სახელთა წყებიდანაა. ***ქვამუხა*** რუსულის პირდაპირი თარგმანია, კალკია. ჩვენ ვცვლით ამ სამეცნიერო სახელს და შემოგვაქვს **ბაძგფოთოლა მუხა,** რომელიც ლათინური ნომენკლატურული სახელის მიხედვითაა შექმნილი (Quercus *მუხა* და ilex *ბაძგი*). *ბინომინალურობის* პრინციპით შექმნილ ამ სახელში სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტისათვის (*ბაძგფოთოლა*) ამოსავალია მცენარის ფოთლის ფორმა. ამ ცვლილებით თავიდან ავირიდეთ ის უზუსტობანი, რომლებიც დავადასტურეთ ქართულ და მეგრულ ლექსიკონებში (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ჭელიძე, 2020: 139-148).

მეტად ღირებული აღმოჩნდა რ. ერისთავის ლექსიკონებში მოცემული მცენარეთა სახელების განმარტებები და მათი ლათინური თუ რუსული შესატყვისები, რომელთა გათვალისწინებით მოხერხდა არაერთი მცენარის ამოცნობა და ამ სახელთათვის სათანადო ადგილის მიჩენა. მაგალითად, დენდრონიმი ***ლეღვსუარი*** შდრ.: ***ლეღვსუარი*** *{ეგვიპტური ლეღვი, ფურცელთა ზედა ისხამს ლეღვსა, სქელი ფურცელი იცის}. Индейская фига. Opintia Ficus indica Mill. Ficus stipulosa (?) священная смоковница. Ficus religiosa L.* (ერისთავი,1884).

სპეციალური კვლევისა და ლექსიკოგრაფის მიერ მითითებული ამ ლათინური სახელების გათვალისწინებით, სახელი **ლეღვსუარი** ჩვენს ლექსიკონში დავადასტურეთ ოთხი სხვადასხვა ხემცენარის სინონიმურ სახელად, ესენია:1. **სიკომოროსი, ლეღვთუთა ფიკუსი** *Ficus sycomorus* L., **2. წმინდა ფიკუსი** *Ficus religiosa* L., 3. **ღერონაყოფა ფიკუსი** *Ficus caulocarpa* (Miq.) Miq**.,** 4. **ბანიანი** *Ficus benghalensis* L**.** (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, 2022-2023: 120-127).

*მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი,* სწორედ რ. ერისთავის მონაცემების საფუძველზე, გამდიდრდა არაერთი ქართული დიალექტური და მეგრული სახელით, მაგ. *რაჭ.* **ბაჯი** (ბარამბო *Melissa officinalis* L.), *ქართლ.-კახ.* **პურისცომა** (ბაღის მარწყვი *Fragaria virginiana* Duch.), *იმერ.* **ბუცავა** (ბეგიაური *alium vaill antii* DC.).

*განსაკუთრებით საყურადღებოა მცენარეთა ის სახელები, რომლებიც შემოგვენახა მხოლოდ რ. ერისთავის ლექსიკონებში. ისინი, მეტწილად, განუმარტავია, ან ბუნდოვანი მითითებებითაა წარმოდგენილი, ამიტომაც სათანადო მცენარის ამოცნობა სპეციალურ კვლევას მოითხოვს.*

ასეთია, მაგალითად, სახელი **აია,** რომელიც რ. ერისთავის ლექსიკონში დაუზუსტებელ სახელთა რიგშია. მის ამოცნობაზე მუშაობამ საინტერესო ვარაუდამდე მიგვიყვანა: ჩვენი მოსაზრებით, **აია** მცენარე **ბაბუაწვერას** *Taraxacum* მეგრულ-ლაზური სახელია, რომელიც შემონახულია გაზაფხულის ბუნიობის დღესასწაულთა ციკლის რიტუალებსა და ზეპირსიტყვიერებაში.

## შედეგი

რ. ერისთავის მცენარეთა სახელების ლექსიკონები ეყრდნობა ქართულ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციებს, ამასთან, ითვალისწინებს იმდროინდელი უცხოური ბოტანიკური ლიტერატურის, სათანადო ლექსიკონების მონაცემებსა და მიღწევებს.

ლექსიკონების წინასიტყვაობებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ავტორის მიზნები, ლექსიკონთა აგების პრინციპები, ერთგვარი მეთოდოლოგია, მოცემულია არაერთი საგულისხმო ცნობა იმ ეპოქის ლექსიკოგრაფიული მუშაობის თაობაზე საქართველოში.

ორივე ლექსიკონი მდიდარია მცენარეთა ქართული ოფიციალური სახელებითა და ქართული დიალექტური მასალით, ასევე, მეგრულის მონაცემებით. კვლევამ ცხადყო, რომ მცენარეთა სახელების დიდი ნაწილი ავტორს თავად მოუძიებია, დაუზუსტებია, განუმარტავს, არაერთისათვის კი სამეცნიერო სახელიც შეურჩევია.

ლექსიკონის მეორე გამოცემა ეყრდნობა პირველს და მდიდრდება ახალი მასალით, დახვეწილია მისი სტრუქტურა, დაზუსტებულია მრავალი სახელის განმარტება.

ირკვევა, რომ რ. ერისთავის ლექსიკონებში მცენარის არაერთი დიალექტური, ნასესხები თუ უძველესი წარმოშობის სახელია შემონახული, ახსნილი და გადარჩენილი, რითაც ეს ლექსიკონები კიდევ უფრო ღირებული ხდება.

ფასდაუდებელია რ. ერისთავის ლექსიკონებში წარმოდგენილი მცენარეთა ჯიშების აღმნიშვნელი ხალხური დასახელებანი, რიგ მცენარეთა მეგრული სახელები, რაც მომავალში სრულად აისახება *მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის* მომდევნო ნაწილებში.

მასალაზე მუშაობისას მოხერხდა განუმარტავ სახელთა ერთი წყების ამოცნობა და მათი კუთვნილ ადგილას განთავსება; მიმოქცევაში შემოვიდა არაერთი მცენარის ქართული სამეცნიერო დასახელება, ზოგიერთი ქართული ნომენკლატურული სახელი კი დაზუსტდა, ან გასწორდა დაწერილობის თვალსაზრისით.

## დასკვნა

რ. ერისთავის მრავალფეროვან სამწერლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან თავი მოუყარა მცენარეთა ქართულ (ქართველურ) სახელებს როგორც სამწერლობო ენიდან, ასევე ცოცხალი მეტყველებიდან, დაამუშავა მეტად მრავალფეროვანი მასალა, თავად თარგმნა და შექმნა არაერთი ქართული სამეცნიერო სახელი.

რ. ერისთავმა დაგვიტოვა ფასდაუდებელი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, რომლებიც ღირებულია როგორც ლინგვისტურ-ლექსიკოლოგიური, ასევე ბოტანიკური, ეთნობოტანიკური კვლევებისათვის. ამ ლექსიკონებმა საფუძველი ჩაუყარა ქართული მცენარეული ლექსიკის სისტემატიზაციას. მათში დადასტურებული მცენარეთა არაერთი ოფიციალური სახელი დღემდე გამოიყენება.

რ. ერისთავის ლექსიკონებში თავმოყრილი მასალა შეუცვლელი წყარო აღმოჩნდა *მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონისათვის.*

## ბიბლიოგრაფია

ერისთავი, რ. (1873). *შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი. შედგენილი თ. რ. დ. ერისთოვისაგან.* Тифлис.

ერისთავი, რ. (1884). *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან. შედგენილი თ. რაფ. დავ. ერისთოვისაგან.* Тифлис.

იორდანიშვილი, ლ. (2015). *რაფიელ ერისთავის ენა.* თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მაყაშვილი, ა. (1961*), ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი.* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.* (1964). პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VIII, თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ნ. ჭელიძე, დ. (2020). რომელი მცენარის სახელი უნდა ყოფილიყო ჭყორი? *ეტიმოლოგიური ძიებანი XVII.* გვ. 139-148.


ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ნ. (2022-2023). ძველ ქართულ ლექსიკონებში დადასტურებულ რიგ ფიტონიმთა ადგილი „მცენარეთა სახელების კრებსით ლექსიკონში“ (ლეღვსულელი, ლეღვსუარი). *ეტიმოლოგიური ძიებანი XIX.* გვ. 120-127.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ნ. ჭელიძე, დ. (2025). *მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი.* თბილისი: თსუ გამომცემლობა (იბეჭდება).

*ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი*
ფილოლოგიის დოქტორი,
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
ლექსიკოლოგიის განყოფილება.

*Nana Khotcholava-Matchavariani*
PhD in Philology,
Senior Researcher,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lexicology Department, Arnold Chikobava Institute of Linguistics
ORCID-ID: 0009-0002-9749-2648





КРАТКІЙ

ЛАТИНСКО-РУССКО ГРУЗИНСКІЙ БОТАНИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ.

Составилъ кн. Р. Д. Эристовъ.

(Удостоенъ Кавказскимъ Общ. Сел. Хоз. большой ручной серебряной медали).

შემოკლებული

ლათინური, რუსული და ქართული მცენარეთა ლექსიკონი. შედგენილი თ. რ. დ. ერისთოვისაგან.

(დაჯილდოებულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისგან დიდის ვერცხლის მედალით).

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ ГЛАВНАГО УПРАВЛЕНІЯ НАМѢСТНИКА КАВКАЗСКАГО.

1873.

# КРАТКІЙ
## ГРУЗИНО - РУССКО - ЛАТИНСКІЙ
## СЛОВАРЬ,
### ИЗЪ ТРЕХЪ
## ЕСТЕСТВЕННЫХЪ ЦАРСТВЪ ПРИРОДЫ.

Составилъ Кн. Раф. Дав. **Эристовъ**

# ᲔᲠᲝᲒᲚᲔ
## ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი:
მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდგან.

შედგენილი თ. რაფ. დავ. ერისთავისგან.

ТИФЛИСЪ.
Типографія Канцеляріи Главноначальствующаго гражд. частію на Кавказѣ.
1884.



# ქართული ლექსიკონი

შედგენილი

საბა-სულხან ორბელიანისაგან.

გამოცემული


რაფ. დ. ერისთვის რედაქტორობით

და

ალექსანდრე მაისკაბოძის საფასითა.

ავკორის სურათით.

თბილისი
ორსენ ალავნდაძის და ამხ. ლაბმბა
1884.



ქართული ლექსიკონი

შედგენილი


საბა-სულხან ორბელიანისაგან.

გამოცემული

წარ. დ. ერისთავის რედაქტორობით

ალექსანდრე მიხეილის ასულისა.

ტფილისი
პრესში ალექსანდრის და ამხ. ლეონტიევა
1884.





# რაფიელ ერისთავის მხატვრული ენის ესთეტიკა

## აბსტრაქტი

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საკმაოდ გრძელ გზაზე საეტაპო მნიშვნელობას იძენს XIX საუკუნის მეორე ნახევარი, დრო ქართული აზროვნებისა, როდესაც ცოცხალი მეტყველება თუ მისი ცალკეული ელემენტები გამორჩეული სიცხადით იჭრება სალიტერატურო ენაში და ჩვენ წინაშე სრულიად ახლებურად გააზრებული, თავისთავადი ბუნების მქონე ესთეტიკური პლასტი იშლება. რაფიელ ერისთავის, როგორც კლასიკოსი მწერლისა და მრავალმხრივი მოღვაწის, ენობრივი სამყარო თავისი შინაარსით 60-იანელთა მსოფლმხედველობის განუყრელი ნაწილია, თუმცა მას ინდივიდუალურობის ის სიღრმე და სტილური ელფერი დაჰკრავს, რომელიც საკუთრივ მისეულია და მის ნაწერებს ვერასდროს მივაკუთვნებთ რომელიმე სხვა 60-იანელ შემოქმედს.

შეიძლება ითქვას, რომ სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების იმგვარი დაახლოება, როგორსაც რ. ერისთავის თხზულებებში (იგავებში, მოსწრებულ სიტყა-პასუხებში, გამოცანებში, ვოდევილებსა თუ სხვა ნაშრომებში) ვხვდებით, თავისი ფორმა-შინაარსით მართლაც უნიკალურია, უნიკალურობის საფუძველს კი სალიტერატურო ენის კონსერვატიულ ესთეტიკურ ფორმაზე უარის თქმა და ლიტერატურაში ცოცხალი მეტყველების დამკვიდრება ქმნის. რაფიელ ერისთავის ენაში საერთო სახალხო აზრიც (ანდაზები, გამოცანები) და თავად ცოცხალი მეტყველებაც ესთეტიკური განცდის ობიექტი ხდება. თვალნათლივ ჩანს, რომ მწერლის შემოქმედების არსებითი წყარო ხალხი, და ამავე ხალხის ეთნოკულტურული ღირებულებებია, ხოლო ამ ღირებულებებთან გრძნობადი კონტაქტი უშუალო კომუნიკაციით მყარდება. ამ შემთხვევაში მწერალს კომუნიკაციის გამტარის ფუნქცია ენიჭება. ცოცხალი მეტყველების *არაცოცხალ მეტყველებად* გარდაქმნა მნიშვნელოვანი გადახვევა იქნებოდა მსოფლმხედველობრივი მაგისტრალიდან. სწორედ ამიტომ, რ. ერისთავის მიერ შემეცნებული ობიექტები (მაგ., იგავ-არაკთა პერსონაჟები) უბრალოების ესთეტიკით იმოსებიან და ასე იძენენ სიცოცხლისუნარიანობას. ენობრივი სისადავე თუ *სიმარტივე* მწერლის წარმოსახვითი საგნების გააზრების საშუალებას აძლევს მკითხველს და რადგან მხატვრული ჭვრეტა, თავის მხრივ, ცნობიერების ინდივიდუალურ მობილიზებას ემყარება, ხოლო განჭვრეტის აქტი ესთეტიკურ ემოციებზეა დამყარებული, ენობრივი კულტურა და მისი ინდივიდუალური ფორმები სარკისებრი ანარეკლის ხასიათს იღებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რ. ერისთავის მხატვრულ სიტყვაში ყველაფერი გამოითქმის ისე, როგორც ეს ცოცხალ, ხალხურ მეტყველებაშია, ხელოვნურობისა და ტრადიციული *სამშვენისების* გარეშე.

რაფიელ ერისთავისათვის საზოგადოებრივი აზრის სიმყარე ეროვნული საფუძვლებით, ქართული კულტურის ხანგრძლივობით განიზომება; ამიტომაცაა, რომ

მის მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ანდაზებს, გამოცანებს, იგავ-არაკებს, თქმულებებს, ანუ, ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, საერთო სახალხო სიბრძნეს.

რაფიელ ერისთავის ენაში თითოეული მხატვრული გამოსახულება ესთეტიკური ობიექტის მატარებელი ვერბალური ნიშანია, რომელიც საერთო სახალხო ენის მოცემულობებიდანაა შერჩეული. იგავებისა თუ გამოცანების კითხვისას თვალნათლივ ცხადდება მათი წარმომავლობა, გენეტიკური ტიპი და მენტალური წახნაგები. ტექსტების გააზრებისას მკითხველი იმ ინფორმაციულ სიბრტყეზე გადადის, სადაც ენის ესთეტიკური შენობა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული მახასიათებლებით იგება. ის ფაქტი, რომ რაფიელ ერისთავი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავად დედაენის არსის გააზრებას (ლექსი *დედა ენა – რომელი როგორ ხმარობს ენასა... გამგებელია ამისი ზენა*), თუ მშობლიური ენის სიღრმეთა წვდომას (რ. ერისთავის ხელნაწერი – *პროგრამა ლექციებისა ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ*), თვალნათლივ აჩვენებს მისი შემოქმედებითი ენის კონცეპტუალურ წესრიგს, რომელიც მას საკუთარ მხატვრულ სამყაროში გააზრებულად შემოაქვს და ინდივიდუალობას ენობრივ თავისუფლებაში ავლენს.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავის თხზულებები; მხატვრული ტექსტი; ენის ესთეტიკა.

## AESTHETICS OF RAPHIEL ERISTAVI'S ARTISTIC LANGUAGE

## ABSTRACT

It must be said, without exaggeration, that the second half of the 19th century was a period of remarkable Georgian intellectual and creative development – a time when elements of spoken language began to enter the literary language with exceptional clarity, revealing an aesthetic "valley" of individual expression in a completely new light. As a classic writer and multifaceted figure, Raphiel Eristavi's linguistic world is an inseparable part of the intellectual landscape of the 1860s. Yet, his work also bears a distinct depth and individuality of style that sets him apart – his writings cannot be confused with those of any other contemporary of the time.

It can be said that the integration of literary language and living speech in Raphiel Eristavi's writings – such as his parables, riddles, vaudevilles, and other works – is truly unique in both form and content. This uniqueness stems from his rejection of the conservative aesthetic norms of literary language and his deliberate incorporation of colloquial speech into literature. In Eristavi's language, both collective public wisdom (as expressed through proverbs and riddles) and living, everyday speech become objects of aesthetic appreciation.

It is evident that the essential source of his creative inspiration lies in the people themselves and in their ethnic and cultural values. His emotional connection with these values is fostered through direct communication with the public. In this sense, the writer assumes the role of a conduit – channeling the voice of the people into literary expression. Transforming living speech into "non living speech" would have been, in his view, a deviation from the ideological purpose of his work. This is why the characters and objects in Eristavi's fables, for instance, are infused with the aesthetics of simplicity, allowing them to come to life with genuine vitality.

Linguistic modesty or "simplicity" enables the reader to grasp the writer's imagined objects with clarity. Since creative contemplation is rooted in the mobilization of individual consciousness and the act of contemplation itself arises from aesthetic emotion, linguistic culture and its unique forms become a kind of "mirror reflection." In other words, in Raphiel Eristavi's literary language, everything is spoken just as it is in living folk speech – without artificiality or traditional embellishments. For Eristavi, the strength of public opinion is measured by national foundations and the enduring legacy of Georgian culture. This is why proverbs, riddles, fables, and sayings – expressions of common people's wisdom – occupy such a central place in his work.

Each fictional image in Raphiel Eristavi's language functions as a verbal sign that carries an aesthetic object, drawn from the conditions and expressions of common folk speech. When reading his parables or riddles, their origin, genetic type, and psychological characteristics become clearly apparent. In interpreting these texts, the reader enters an informational plane where the aesthetic structure of the language is shaped by the lexical and grammatical features of living, spoken language. Eristavi's deep concern for the nature and essence of the mother tongue is evident in his poem *Mother Tongue* ("How one uses language... is decided by the Lord") and in his manuscript *Program of Lectures on the Georgian Language and Literature*. These works reflect the conceptual structure of his creative language – one that he deliberately integrates into his artistic vision, revealing his individuality through linguistic freedom.

**Keywords:** Raphiel Eristavi's writings; artistic text; language aesthetics.

## შესავალი

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საკმაოდ გრძელ გზაზე საეტაპო მნიშვნელობას იძენს XIX საუკუნის მეორე ნახევარი, დრო ქართული აზროვნებისა, როდესაც ცოცხალი მეტყველება, თუ მისი ცალკეული ელემენტები, გამორჩეული სიცხადით იჭრება სალიტერატურო ენაში და ჩვენ წინაშე სრულიად ახლებურად გააზრებული, თავისთავადი ბუნების მქონე ესთეტიკური პლასტი იშლება. რაფიელ ერისთავის, როგორც კლასიკოსი მწერლისა და მრავალმხრივი მოღვაწის, ენობრივი სამყარო თავისი შინაარსით 60-იანელთა მსოფლმხედველობის წინმსწრები და მისი განუყრელი ნაწილია, თუმცა ინდივიდუალურობის ის სიღრმე და სტილური ელფერიც დაჰკრავს, რომელიც საკუთრივ მისეულია. და მართლაც, რაფიელ ერისთავის ნაწერებს ვერასდროს მივაკუთვნებთ რომელიმე სხვა შემოქმედს.

რადგან *ესთეტიკურ საქმიანობაში ცნობიერება მოდიფიცირდება ესთეტიკურ ცნობიერებად* (ყულიჯანაშვილი, 2006: 43), რ. ერისთავის მხატვრულ ენასაც საფუძვლად ავტორის მიერ განჭვრეტილი ობიექტები ედება საფუძვლად. უნდა ითქვას, რომ მის ნაწერებში, რომლებიც თავიანთი მრავალმხრივობითა თუ მრავალფენიანობითაა (ვგულისხმობთ ლექსებს, ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს, სალექსიკონო მასალასა თუ სხვა.) გამორჩეული, ენობრივი მსოფლმხედველობის მაგისტრალური ხაზი ფაქტობრივი უცვლელობითაა დაცული. შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის შინაგანი განწყობა, აღსანიშნი საგნებისა და გადმოსაცემი აზრის მრავალფეროვნება ერთ, ძირითად ენობრივ ფორმას იღებს, ხოლო ამ ფორმას მარტივად შეიძლება ეწოდოს *სადა მეტყველება*, უბრალოება (ამ სიტყვის დადებითი კონტექსტით) ან ხალხურობა.

## მეთოდი

სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდი. მსჯელობა და დასკვნები ანალიტიკური და კრიტიკული მიდგომების საფუძველზეა განვითარებული, რაც, თავის მხრივ, ანალიზის მეთოდს ეყრდნობა. ასევე, გამოყენებულია აღწერითი და შედარებითი მეთოდები. ნაშრომში დაცულია ლოგიკური თანამიმდევრობის პრინციპი და სამეცნიერო მსჯელობა აგებულია ძირითადი თეორიული ცოდნისა და რაფიელ ერისთავის ენაში მოძიებული მასალის, მათ შორის, საარქივო მასალის მიხედვით.

## შედეგი

რ. ერისთავის უკვე გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ, კერძოდ საარქივო მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მის მიერ სადა (სასაუბრო) მეტყველებით ჩაწერილ-გადმოცემული ამბები, ანდაზები, გამოთქმები და სხვა, მწერლისავე მსოფლმხედველობის და სამოქალაქო პოზიციის შემადგენელი ნაწილია. ცალსახად გამოიკვეთა, რომ *უბრალოების* ესთეტიკა თუ ერთგვარი ხალხურობა ლაიტმოტივად გასდევს რ. ერისთავის ნაშრომთა ენობრივ ქსოვილს, რაც უპირველესად ეროვნული მსოფლგანცდითაა შეპირობებული.

## მსჯელობა

მსჯელობას ძირითადად იმ საარქივო მასალაზე დაყრდნობით გავშლით, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული და ავტორის მიერ საგანგებოდ ჩაწერილ გამონათქვამებსა თუ ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებს უკავშირდება. საქმე ის არის, რომ ვერბალური კომუნიკაციის ეს ფორმები ეთნოკულტურული შინაარსისაა და ერის სიბრძნისა თუ მისი მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფადი არსებობის გამომხატველია. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რ. ერისთავის დაინტერესება, აღნუსხოს და შთამომავლობას გადმოსცეს თავის თანამედროვე ყოფაში მოსმენილი ფრთიანი გამოთქმები, ანდაზები, ეთნოგრაფიული მასალები და სხვა.



კითხვას ასე დავსვამთ – რა იყო მწერალ-მოღვაწის ძირითადი მოტივატორი, რომელიც მას ამგვარი მოქმედებისაკენ მოუწოდებდა? ვფიქრობთ, სამართლიანი ვიქნებით, თუკი ვიტყვით, რომ ქცევის საფუძველი პირდაპირპროპორციულია ქართული სახელმწიფოს არსებობა-არარსებობისა თუ მისი მომავალი პერსპექტივის საკითხისა. ქართული სალიტერატურო ენა ყოველთვის ორგანულად იყო გადაჯაჭვული სახელმწიფოებრიობის იდეასთან, იმ საშიშროებებთან, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქაში, სხვადასხვა პოლიტიკური ვითარების ფონზე იჩენდა ხოლმე თავს და მოაზროვნე ინტელიგენციას კონკრეტული მოქმედებისაკენ უბიძგებდა. არნ. ჩიქობავა შენიშნავს: *ქართული სალიტერატურო ენა მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული კულტურის პროდუქტიცაა და ამ კულტურის იარაღიც*-ო (ჩიქობავა, 1950: 005). მეცნიერი იქვე დასძენს, რომ: *ენას ელევა სიცოცხლის დღეები, თუ მას ეზღუდება სარბიელი, უსუსტდება საზოგადოებრივი საძირკველი, მცირდება მომხმარებელთა წრე* (ჩიქობავა, 1950: 005). XIX საუკუნის I ნახევარში, მწარე და დაუნდობელი რუსიფიკატორული პოლიტიკის ფონზე, სარბიელშესუსტებულ ქართულ ენასთან, ეროვნული სახელმწიფოს უძირითადესი ნიშნისა და ეთნოკულტურის არტერიული მახასიათებლის – ენის – რყევასთან, ასიმილაციის რეალურ საშიშროებასთან გვაქვს საქმე. უთუმცაოა აზრი, რომ *ყოველგვარ ვითარებაში, განსაკუთრებით ისტორიულ ძნელბედობათა ჟამს, ეროვნული თავისთავადობა, თვითმყოფადობა სწორედ მასთან [ქართულ ენასთან – ი.ს.] იყო გაიგივებული* (არაბული, 2004: 24). გამომდინარე ნათქვამიდან, ცხადი ხდება ის პრინციპული გზა, რომელსაც რ. ერისთავი თავისი შემოქმედებითი ენით გადის – პირველწყარო ქართველი ხალხია, მისი ტრადიციული კულტურა, ამიტომ აზრის ენობრივი გამოხატულება მას არ უნდა მოსწყდეს, სათქმელი დედნური უნდა იყოს, ხალხური და ეროვნული. ეს უკვე აზრში მოცემული აზრია, მწერლის ჩანაფიქრი და მეტიც – მსოფლმხედველობითი გზა, რომელსაც რაფიელ ერისთავი ყველა თავის თხზულებასა თუ ნაწერში უცდომლად იცავს და რომელიც, მისდა სასახელოდ, ერთი ათეული წლით წინ უსწრებს 60-იანელებს. საერთო ეროვნული ენის მემკვიდრედ ყოფნა რ. ერისთავს თავის წილ მოთხოვნებს უყენებს და ისიც სამშობლოს, მისადმი სიყვარულსა თუ პატივისცემას საკუთარ ნაწერებში უბრალოების, სისადავისა თუ ხალხურობის ესთეტიკით აცხადებს.

რაფიელ ერისთავის ხელნაწერთა შორის ყურადღებას იმსახურებს მწერლის არქივში დაცული №145-ე დოკუმენტის მე-4 გვერდი, რომელიც მის მიერ ჩაწერილ გამონათქვამებს უკავია და ფანქრითაა შესრულებული (ერისთავი, ხელნაწერი № 145). ასეთთა სრული რაოდენობა 21-ია, რაც შეეხება 22-ეს (რომელიც ჩამოთვლილთა შორის მე-18-ა) ავტორს ჯერ მისი ჩაწერა განუზრახავს, შემდეგ კი დღესაც საკმაოდ ცნობილი ანდაზის ორი სიტყვა ჰორიზონტალური ხაზით გადაუშლია (ციხე შიგნიდან [ტყდება]). თავად ავტორი მათ *გამონათქვამებს* უწოდებს და ყოველგვარი კომენტარის გარეშე გვთავაზობს შეკრებილ მასალას. ლოგიკურია, რომ ეთნოკულტურულ ჭეშმარიტებათა განმარტებანი ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა. ამას შესაძლებელია თავისი ახსნა ჰქონდეს – ან ის უნდა ვიფიქროთ, რომ ფრაზათა აღნუსხვა მას გაცილებით საშურ საქმედ მიაჩნდა (განმარტებანი მხოლოდ ამის შემდგომაა შესაძლებელი); ან ის, რომ ტრადიციულ გამონათქვამებს საერთო სახალხო ხასიათი აქვს, მათი კონცეპტები ადვილადაა გასაგები მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთათვის. ისინი მორალურ გაკვეთილებსა თუ სწავლებებს შეიცავს და საზოგადოების ის სიბრძნეა, რომელიც დროის სტანდარტულ გააზრებაში არ ჯდება, საყოველთაოა და ჟამთა ვითარებასაა აცდენილი, ზოგადი დროის შემცველია.

ავტორის მიერ მოყვანილ ანდაზათა თუ გამონათქვამთა შორისაა ისეთებიც, რომლებიც დღესაც საკმაოდაა გავრცელებულია და ქართული სამეტყველო კულტურა მათ XXI საუკუნის პლასტშიც კარგად იცნობს. ასეთებია, მაგალითად:

- ძალა აღმართსა ხნავს.
- დედის ნაცვალი – თვალში ნაცარი.[1]

1 შენიშვნა: ყველა მოყვანილ მაგალითში სასვენი ნიშნები, ძირითადად, ჩვენ მიერაა დასმული, ტექსტებში კი

- ვაის გავეყარეო, ვუის შევეყარეო.
- შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს სჯობს.
- უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევა

და მისთ.

რადგან ანდაზებისა და გამონათქვამის ძირითადი დანიშნულება კულტურის მატარებელთა შორის ცხადი ნორმების ჩამოყალიბება და მათ ქცევებზე ერთგვარი კონტროლის დაწესებაა, ვფიქრობთ, რომ თითოეული ასეთი ჩანაწერი საზოგადოებრივი ცხოვრების ეთიკური სახის განსაზღვრის თვალსაზრისით რ. ერისთავის ტრადიციისადმი დამოკიდებულებასაც გამოხატავს და ეპოქის მიდგომებსაც. მოქმედების გონივრული ხერხები, ან უბრალოდ, უდავო ჭეშმარიტებანი, მზა ვერბალურ მასალად მოგვეწოდება ისე, რომ კომუნიკატორ პირთა შორის ერთი ეთნოკულტურაა, ხოლო მეორე – მისი სამიზნე – ამავე ეთნოკულტურის მატარებელი და შემმეცნებელი კონკრეტული პირი. ნათქვამიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ რა ღირებულება აქვს თითოეული ასეთი გამონათქვამის ფიქსაციას. რ. ერისთავის მხრიდანაც მათი ჩაწერა-დაფიქსირება გააზრებულად ხდება, რასაც საძირკვლად ედება რუსეთის იმპერიის ზეწოლის პირობებში ყველაფერი ქართულის შენარჩუნების და ეროვნულ ღირებულებათა შერყვნის თავიდან აცილების მცდელობა.

განსაკუთრებული ისტორიული ღირებულებისაა ისეთი გამონათქვამები, რომლებიც დღეს ნაკლებადაა გავრცელებული და რომელთა შესაბამის კრებულებში შეტანა აუცილებლობად გვესახება. ანდაზების ენის, მეტაფორული აზროვნების, ქართული ისტორიული კულტურის, ეთნოსოციუმის შესწავლისა თუ სხვა მიმართულებებით ძიებისას ისინი უდავოდ ძალზე ფასეულია. ასეთებია, მაგალითად:

- როცა არის თხა, მგელი[ც] არის.
- ორი ბატონის ყმა ვიყავ, ხან ერთი მცემს, ხან – მეორე.
- ავი კაცი აღდგომასაც ავია.
- ამანათს მგელი ცაში ინახავს.
- ტრედს მისი სიმშვიდით ნისკარტი მოსჭრეს.
- მიმპარავი ძაღლი უარესია მყეფარზედ.

საინტერესოა, რომ ზემოთ დასახელებულ ხელნაწერში რ. ერისთავის მიერ ფიქსირებულ არცერთ ანდაზასა თუ გამონათქვამს არ ახლავს მათი ერთ-ერთი ენობრივი მახასიათებელი, ე.წ. სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ო, რომელიც :...*მოლაპარაკე ან სხვა პირის ნათქვამის ან განწრახვის უცვლელად განმეორების გამოსახატავად* გამოიყენება (შალამბერიძე, 1984: 117). დავძენთ, რომ ანდაზებსა თუ გამოთქმებთან -ო ნაწილაკის დართვა იმ მთქმელ, ზოგად კომუნიკატორ პირზე მიუთითებს, რომელიც დროთა სიღრმეში სიბრძნის, გონივრული აზრისა თუ ვერბალური ფრაზის საწყისად წარმოიდგინება. -ო ნაწილაკის დაურთველობას მცირეოდენი სემანტიკური ნიუანსი შეაქვს ანდაზა-გამოთქმების არა მხოლოდ ფორმაში, არამედ – შინაარსშიც. რ. ერისთავის მიერ ჩაწერილ მასალაში ავტორი თითოეულ მათგანს წარმოგვიდგენს, როგორც უდავო, შეუცდომელ ტრადიციულ ჭეშმარიტებას, გადმოცემულ აზრს ტემპორალური მოტორიკისაგან ათავისუფლებს და, რაც ყველაზე მთავარია, მას თეზისის სახეს აძლევს.

ყურადღებას იმსახურებს რ. ერისთავის ის ხელნაწერები (ერისთავი, ხელნაწერი №145/ №146), რომლებშიც ავტორის მიერ თავმოყრილია მოსწრებული სიტყვა-პასუხები. ჩანაწერები დაუთარიღებელია და ძირითადად, ფანქრით შესრულებულ 4 ფურცელს მოიცავს. რ. ერისთავის ფოკუსშია მოქცეული იუმორით შეფერადებული ამბები, აზრის სისხარტე, რომელსაც გონი-



სიტყვათა გადმოტანისას დაცულია ავთენტურობა.

ერება და კულტურის მატარებელი სოციუმის ზნეობრივი მხარე უდევს საფუძვლად. მისთვის საგანძურია ყველაფერი ის, რასაც ქართული იერსახე და მშობლიური ხასიათი აქვს. როგორც *გრ. კიკნაძე* აღნიშნავს: თავად *იუმორის წარმოშობა ადამიანის განვითარების გარკვეულ დონესთან არის დაკავშირებული, რომ ის ადამიანის, როგორც ონტოგენეტური, ისე საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურს გულისხმობს* (კიკნაძე, 1953: 130). და მართლაც, იუმორი არსებითად გადმოსაცემი ობიექტის (ამ შემთხვევაში ამბის) შინაგანი არსის გაცნობიერების ხერხია, საშუალება თუ მიდგომა. რ. ერისთავის მიერ ჩაწერილი ყოველი ამბავი ნაწილია, თუმცა ისინი იმ მთელის შემადგენლობაში თავსდებიან, რომელსაც ადამიანის ქცევა-მოქმედების, მისი შიგთავსის განსაზღვრა შეუძლია. მწერლისათვის ეს ყველაფერი ქართველთა ცხოვრების ორგანული, ღირებული პლასტია და, რადგან მისი მხრიდან მიზანი გათვითცნობიერებულია, ფიქსირდება ყველაფერი, რაც ეროვნულ ნიადაგს ებმის ან ამავე ნიადაგზე იზრდება. ნათქვამის საილუსტრაციოდ ზემოთ დასახელებულ ხელნაწერში ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ამბავთა შორის ავტორის მიერ მე-11 ნომრად გამოტანილ ჩანაწერს მოვიყვანთ:

> *გურული თავადი მოდიოდა საქართველოში, ნიჩბისში გადმოხტა დასასვენებლათ და ამ დროს ნახა, რომ ორი კაცი ჩხუბობს და ერთმანეთს უშვერის სიტყვებით ლანძღავენ, [თავადმა] ეს ლანძღვა იწყინა და იუცხოვა; მოჩხუბრებიც წავიდენ ერთმანეთის ლანძღვით და გინებით. ამ დროს მოვიდა მღვდელი. მგზავრმა გურულმა შესჩივლა გლეხების უწმაწური ლანძღვა.*
>
> *მღვდელმა წარმოსთქვა: ვაჲ იმათ დედას, რომ აქ არ ვიყავ, თორემ იმ დედას ასე და ისე უზამდიო!..*
>
> *გურულმა თავადმა ყურებში თითები დაიცო და თქვა: ამისგან ველოდი ყოფა ქცევას და ნეტავი უარესი არ გამეგონაო* (ერისთავი, ხელნაწერი №№145;146: 3-4).

ცალსახად ნათელია, რომ მოთხრობილ ამბავს ის *სიმარტივე* გასდევს, რომელიც სასაუბრო, ცოცხალი მეტყველებით წესრიგდება. ვითარების, ყოფის აღწერის ეს, ე.წ. დესკრიფციის, ხერხი ქართული კულტურისა და მწერლის თვითგამოხატვის ჩარჩოში ჯდება. სახეზეა ენობრივი სისუფთავე, დაწმენდილობა, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიმკვრივე და უბრალოება. ამ ეპოქაში ქართული სალიტერატურო ნორმების არარსებობა არავის ავალდებულებს, მეტადრე მხატვრულ შემოქმედს, თანამედროვე ნორმატიული წესებით იმოქმედოს, ამიტომ მოთხრობილ ამბავში დაცული ენობრივი ფორმები თუ მათი დაწერილობა „დასასვენებლათ“ თუ „ყოფა ქცევას“ (ნაცვლად თანამედროვე ნორმებით დაწესებული ფორმებისა – დასასვენებლად; ყოფაქცევას) არსებითად არაფერს ცვლის იმის დასადასტურებლად, რომ, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, რ. ერისთავის ენობრივი სამყარო თავისი მსოფლხედვით წინამავალი და წინმსწრებია 60-იანელთა ენობრივი მიმართულებისა.

ცალკე შევჩერდებით რაფიელ ერისთავის იმ ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებზე, რომლებიც ქართული კულტურის, ქართველთა ისტორიული ყოფა-ცხოვრების ძალზე მნიშვნელოვან მასალას შეიცავს და საქართველოს კონკრეტულ კუთხეში, კერძოდ, მწერლის თანამედროვე ლეჩხუმში გავრცელებული დღესასწაულების აღწერას ეთმობა. როგორც მოგვიანებით ვაჟა-ფშაველა იტყვის: *ადამიანის ფიქრისა ერთი საქებური თვისება – მოვლენათა მიზეზის ძიებაა, როცა ადამიანის ფიქრი კითხულობს: „რადა? რისთვის? საიდან და როგორ?!“ ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა* (ვაჟა-ფშაველა, 1961: 178). როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც სწორედ ეს კეთილგონიერება უბიძგებს რ. ერისთავს ჩაინიშნოს, ჩაწეროს ყურთასმენილი თუ გამოკითხული წეს-ჩვეულებების მიმდინარეობა. მის მიერ დაფიქსირებული სახალხო თუ ეკლესიური დღესასწაულები ისევე ეკუთვნის ეროვნულ საგანძურს, როგორც სხვა საყურადღებო ნაწერები. საქმე ის არის, რომ ჩაწერილი ტექსტების მიახლოებითი დრო (რადგან ხელნაწე-

რები უთარიღოა) ხელს არ უშლის მკვლევარს ამ ტექსტებში მისთვის საინტერესო არაერთი რამ ამოიკითხოს. თავად ავტორი ამ ხელნაწერებს ამგვარად ასათაურებს: *ლეჩხუმის მაზრაში ძველი და ახალი ჩვეულების მოთხრობა, ანუ ისტორია* (ერისთავი, ხელნაწერი №1069 /№ 310). საგანგებოდ შევჩერდებით ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ჩანაწერზე, რომელიც სოფელ დერჩში[1] გავრცელებულ ქრისტიანულ (?) დღესასწაულს აღწერს და რომელიც მწერლის ეპოქაში წელიწადში ერთხელ, 14 სექტემბერს, იმართებოდა. მას ავტორი *ჯვარის ამაღლებას* უწოდებს. სახალხო დღესასწაულის ერისთავისეული ეს ჩანაწერი განსაკუთრებით იმით არის საინტერესო, რომ ის ბოლომდე ქრისტიანული არ მოჩანს და წინარე რელიგიის, ერთ-ერთი წარმართული ღვთაების თაყვანისცემის, კვალი ატყვია. გადმოცემული ამბის მიხედვით:

*მოემზადებოდენ წინეთ ერთის კვირის პურ ღვინით, მარხვის საჭამადებით, მოიწოდებდენ მოყვასთა და მეგობართა, გარეშე სოფლებიდამ გათხოულს ქალი შვილებს ქმრებით და ოჯახობით, მღვდელი შეუდგება მცხოვრების სახელზე წირვას, შემდექ წირვისა მიჩენილნი კაცნი აასვენებენ წმიდათა ხატთა, გამოიტანებენ ბაირაღს, ესე იგი დროშას... მივლენ იქ, სადაცა არის ერთი აღყვანილი მაღალი გორა, ამას უწოდებენ საქოზიას. აქ ასვენებია ხეს ქვეშე რკინის ჯვარები.*

მას შემდეგ, რაც გალობით სამგზის შემოურბენენ გარშემო რკინის ჯვრებს, *სამნი თუ ოთხნი შეაწყობენ ხმას და იწყებენ (კვირაია, აი, აი, აქა, ოჰო, ოჰო“)... 1 დღეზედ იცოდენ ესრეთ და ეხლაც აღასრულებენ ამგვარს უფრო გლეხნი.*

ვფიქრობთ, რომ სოფ. დერჩში გავრცელებული *ჯვარის ამაღლების* ჩვეულების ღრმა ისტორიულ ფენაში ღვთაება კვირიას თაყვანისცემა მოჩანს, რომელისთვისაც ბოლომდე ვერ უცვლია ფერი ასწლეულობით ნაქადაგებ ქრისტიანობას. აშკარაა, რომ ჯვრების გარშემო მოგალობე ადამიანები ღვთაება კვირიას შესთხოვენ წყალობას, ამაზე კი საგალობლის სიტყვები მიანიშნებს: ***კვირაია, აი, აი, აქა, ოჰო, ოჰო***. სამწუხაროდ არ ვიცით, ამით შემოიფარგლებოდა თუ არა საგალობლის ტექსტი, რომელიც გაცილებით მეტის თქმის საშუალებას მოგვცემდა, მაგრამ ის კი ნამდვილად ცხადია, რომ თხოვნა-ვედრების ადრესატი *კვირია//კვირაია* უნდა ყოფილიყო, რომელიც სხვადასხვა პირობის საფუძველზე (იმისდა მიხედვით, ადგილზე 2, 3, 4 თუ ზოგჯერ 5 ჯვარი დახვდებოდათ) *სიმართლეს* და *ნაყოფიერს წელიწადს* მოასწავებდა.

ზ. კიკნაძე წერს: *გარემო ქმნის იმპროვიზაციის პირობას. ერთი მხრივ, არსებობს იმპროვიზაციის უნარი, მეორე მხრივ, არსებობს აუდიტორიის მზაობა იმპროვიზაციის მოლოდინისთვის. იმპროვიზაცია, რომელიც ვარიანტს ბადებს, კონკრეტული სიტუაციით არის განპირობებული* (კიკნაძე, 2008: 29). წარმართულ ღვთაებათა თაყვანისცემის ქრისტიანულ ვერსიებად მოდელირება მართლაც სიტუაციითა თუ გარემო პირობების აუცილებლობით განპირობებული კულტურული ფენაა, უძველესის, ძველისა და ახლის ბმა, ანუ სხვაგვარადაც რომ ვთქვათ, უძველესის არდაკარგვის სურვილისა და ახლის აღიარების სინთეზი.

ჩვენ მიერ ნიმუშად მოყვანილმა ერთმა მაგალითმაც კარგად აჩვენა თითოეული ასეთი ამბის მნიშვნელობა. ისინი უამრავი საინტერესო ნიუანსისაგან შედგება. მაგ., დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვს ის, თუ რა კავშირშია ჯვართა რაოდენობა ნაყოფიერებასთან, ან რატომ გამოაქვთ ბაირაღი დღესასწაულში მონაწილეებს და ბევრი სხვა. ამ მიმართულებით ძიება ეთნოლოგიის სფეროა, ამიტომ ჩვენ ნათქვამით შემოვიფარგლებით. ხელნაწერებში დაცული ტექსტების გამოქვეყნება საშური საქმე რომაა, ეს უდავოა. ჩვენი მხრიდან კი ვიტყვით იმას, რომ სადაც, რა სფეროშიც არ უნდა ცდიდეს კალამს რ. ერისთავი, ის თავისი ეპოქის სამეტყველო ენის ფარგლებიდან არ გადის, ხალხურობასაც უნარჩუნებს მას და ეპოქის ხასიათსაც.

ცოდნამ, გამოცდილებამ, მწერლურმა ნიჭმა თუ შემოქმედებითმა მრავალწახნაგოვნებამ რ. ერისთავს საშუალება მისცა, მოემზადებინა *ლექციების ციკლი ქართული ენისა* და *ლიტერატურის შესახებ*. ამისათვის მას სპეციალური *პროგრამაც* შეუდგენია და ლექციებიც წაუკითხავს 1882-1885 წლებში, რასაც რ. ერისთავის ხელნაწერთა ფონდში დაცული ერთი დოკუმენტი ადასტურებს. მიუხედავად ინფორმაციული სიმწირისა, მწერლისა და მოღვაწის ეს ავტოგრაფი იმითაა საინტერესო, რომ აქ პუნქტობრივადაა გაწერილი ის საკვანძო თემები, რომლებსაც აუდიტორიის წინაშე კითხულობდა. რასაკვირველია, ლექციების წაკითხვის თაობაზე თანხმობის მიღება რუსეთის იმპერიის პირობებში არცთუ ისე გაუადვილდებოდა ამ საქმის ინიციატორ-აღმსრულებელს, მაგრამ ცხადია, რომ მას ეს პროგრამა დაუმტკიცეს. მწერლის ავტოგრაფზე სასწავლო ოლქის მზრუნველის მინაწერი იუწყება, რომ რ. ერისთავს ტფილისის გუბერნატორის თანხმობის საფუძველზე ეძლევა ნება, პროგრამის მიხედვით საჯარო ლექციები წაიკითხოს, სასწავლო ოლქის მზრუნველის მინაწერი კი 1882 წლის 23 თებერვლითაა დათარიღებული და ახლავს შესაბამისი ბეჭედი, რომელზეც მითითებულია *კავკასიის სასწავლო ოლქის კანცელარია* (ერისთავი, ხელნაწერი №132 /№ 128). წასაკითხი ლექციების ჩამონათვალს თან ერთვის რ. ერისთავის ხელმოწერაც. ხელნაწერი შესრულებულია შავი მელნით რუსულ ენაზე და მას ამგვარი თანმიმდევრობა აქვს:

- ზოგადი თვალსაზრისი საზოგადოდ ენების კვლევასა და შედარებაზე ენათმცოდნე ფილოლოგების წყაროთა მიხედვით.
- ქართული ენის წარმოშობის თეორია. ქართულ ენასთან ნათესაობა.
- ამ ენის ელემენტთა შედგენილობა.
- მისი ნაკლოვანებები და სიმდიდრე.
- ქართული ანბანის გამოსახულება.
- ქართული ლიტერატურა (სასულიერო და საერო) XII საუკუნემდე.
- ქართული ლიტერატურა (სასულიერო და საერო) XII საუკუნიდან ჩვენს დღემდე.[1]

წასაკითხ სალექციო მასალებში გამოკვეთილი აქცენტები არა მხოლოდ ნათლად აჩვენებს რაფიელ ერისთავის დამოკიდებულებას ქართული ეროვნული ღირებულებების მიმართ, არამედ ნაციონალური უფლებების შეზღუდვის ფონზე მის გააქტიურებასაც, რომელსაც, როგორც უტყუარადა ჩანს, საკუთარ მოქალაქეობრივ ვალდებულებად აღიქვამს. ენის წახდენა, მისი დავიწყება თუ ღარიბ ენად გამოცხადება დაუშვებელია, ამიტომ რ. ერისთავი საკუთარი ლექციების ციკლით ცდილობს წვლილი შეიტანოს გაუკუღმართებულ ხედვებში, სწორი გეზი და მიმართულება მისცეს საზოგადოებას, რომელსაც რუსიფიკატორული პოლიტიკა არტერიულ სისხლძარღვზე შეეხო. ეს სისხლძარღვი კი ენაა, ეთნოკულტურული იდენტობის უძირითადესი მდგენელი, ხოლო მისით დაწერილი და ნამხატვრულები ლიტერატურა თანამდევ ღირებულებას ქმნის. ერთი სიტყვით, მედლის ორი, განუყოფელი მხარე – ენა და ლიტერატურა – ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის გზაზე საუკუნეები (თუ ათასწლეულები არა) ასრულებს წინამძღოლის ფუნქციას, ამიტომ რუსეთის იმპერიის მიერ ერის მენტალურ აზროვნებაში ღრმად შეღწევის მცდელობას მედგარი წინააღმდეგობა სჭირდება. სხვა შემთხვევაში სავალალო ვითარება დადგება – გარდაუვალი გახდება რუსეთის იმპერიის კულტურულ სივრცეში ქართველთა ასიმილირება. რ. ერისთავის მოღვაწეობის ჟამს ეს პროცესი არათუ დაწყებით ეტაპს გადის, არამედ შემდგარი გამოიყურება. საკმარისია, დაკვირვებული თვალით შევხედოთ 1832 წლის შეთქმულების მასალებს, ნათლად დავინახავთ, რომ დამპყრობლის პოლიტიკის შედეგად ქართული არისტოკრატიის, კერძოდ, დიდგვაროვნთა სახელების რუსიფიცირება უკვე სახეზე გვაქვს. იმპერიის განზრახვა ჯერ განათლებული, მოწინავე საზოგადოების რუსულ კულტურასთან შერწყმა იყო, დაბალი სოციალური კლასი ხომ თავისთავად გაჰყვებოდა არასასურველი დინების მიმართულებას. მაგალითად, ს. დოდაშვილის დაკითხვის ოქმში ქართველი თავადები დაფიქსირებული არიან, როგორც *თ. აფხაზოვი, ალ. ორბელიანოვი,*

1 სოფ. დერჩი ამჟამად წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, წყალტუბოდან 55 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. მოსახლეობა ძირითადად ლეჩხუმიდანაა ჩამოსახლებული.

1 შენიშვნა: თარგმანი რუსული ენიდან ჩვენია – ი.ს.

*თ. ფალავანდოვი, თ. ჩოლოყაევი, ე. ერისთოვი და ს. დოდაევი* (გოზალიშვილი,1935: 140-143). ვფიქრობთ, რომ ამ ერთი ნიმუშის მიხედვითაც ნათელია ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების სიმწვავეცა და დამპყრობლის პოლიტიკის სამიზნეებიც, ამიტომ სამშობლო მღვიძარებას მოითხოვს. რ. ერისთავი ამ გამოღვიძება-გამოფხიზლების პროცესში ორგანულადაა ჩართული, ის ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ ლექციების ციკლს უძღვება, თავისდა წილად ამბობს ქართულ სათქმელს. და როგორც თ. ჯაგოდნიშვილი თავისი ნაშრომის დასკვნით ნაწილში იტყვის: *რაფიელ ერისთავის მხატვრული და მეცნიერულ-პუბლიცისტური შემოქმედება, მისი მოქალაქეობრივი ცხოვრება იმ რწმენას ეფუძნებოდა, რომ დიადი მიზნით შეკავშირებული ეხილა თავისი ერი* (ჯაგოდნიშვილი, 1986: 134).

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების იმგვარი დაახლოება, როგორსაც რ. ერისთავის თხზულებებსა თუ ნაწერებში ვხვდებით, თავისი ფორმა-შინაარსით მართლაც უნიკალურია, უნიკალურობის საფუძველს კი სალიტერატურო ენის კონსერვატიულ ესთეტიკურ ფორმაზე უარის თქმა და ლიტერატურაში ცოცხალი მეტყველების დამკვიდრება ქმნის. რ. ერისთავის ენაში საერთო სახალხო აზრიცა (ანდაზები, მოსწრებული სიტყვა-პასუხები, თქმულებები და სხვ.) და თავად ცოცხალი მეტყველებაც ესთეტიკური განცდის ობიექტი ხდება.

თვალნათლივ ჩანს, რომ მწერლის შემოქმედების არსებითი წყარო ხალხია და ამავე ხალხის ეთნოკულტურული ღირებულებები, ხოლო ამ ღირებულებებთან გრძნობადი კონტაქტი უშუალო კომუნიკაციით მყარდება, მწერალს კი კომუნიკაციის გამტარის ფუნქცია ენიჭება. ცოცხალი მეტყველების *არაცოცხალ მეტყველებად* გარდაქმნა მნიშვნელოვანი გადახვევა იქნებოდა მსოფლმხედველობრივი მაგისტრალიდან, სწორედ ამიტომ, რ. ერისთავის მიერ შემეცნებული ობიექტები უბრალოების ესთეტიკით იმოსებიან და ასე იძენენ სიცოცხლისუნარიანობას. ენობრივი სისადავე თუ *სიმარტივე* მწერლის წარმოსახვითი საგნების გააზრების საშუალებას აძლევს მკითხველს და, რადგან მხატვრული ჭვრეტა, თავის მხრივ, ცნობიერების ინდივიდუალურ მობილიზაციას ემყარება, ხოლო განჭვრეტის აქტი ესთეტიკურ ემოციებზეა დამყარებული, ენობრივი კულტურა, მისი ინდივიდუალური ფორმები სარკისებრი ანარეკლის ხასიათს იღებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რ. ერისთავის მხატვრულ სიტყვაში ყველაფერი გამოითქმის ისე, როგორც ეს ცოცხალ, ხალხურ მეტყველებაში გამოითქმის, ხელოვნურობისა და ტრადიციული *სამშვენისების* გარეშე. რ. ერისთავისათვის საზოგადოებრივი აზრის სიმყარე ეროვნული საფუძვლებით განიზომება, ქართული კულტურის ხანგრძლივობით, ამიტომაცაა, რომ მის დანატოვარში განსაკუთრებული ადგილი უკავია ანდაზებს, გამოცანებს, იგავ-არაკებს, თქმულებებს, ანუ, ორიოდე სიტყვით რომ ვთქვათ, საერთო სახალხო სიბრძნეს.

რ. ერისთავის ენაში თითოეული მხატვრული გამოსახულება ესთეტიკური ობიექტის მატარებელი ვერბალური ნიშანია, რომელიც საერთო სახალხო ენის მოცემულობებიდანაა შერჩეული. იგავებისა თუ გამოცანების კითხვისას თვალნათლივ ცხადდება მათი წარმომავლობა, გენეტიკური ტიპი და მენტალური წახნაგები. ტექსტების გააზრებისას მკითხველი იმ ინფორმაციულ სიბრტყეზე გადადის, სადაც ენის ესთეტიკური შენობა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკურ-გრამატიკული მახასიათებლებით იგება, მაგ.: *ქათმით გამოძღა მელია / და მოიღერა ყელია* (იგავი მგელი და მელა); ან: *რა კარგი რამ ხარ, ჩემო დაიავ!/ შენ გენაცვალოს ჩემი თავია* (იგავი: *ყვავი და მელა*) (ერისთავი, 1895: 3; 9-11).

ის ფაქტი, რომ რ. ერისთავი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავად დედაენის არსის გააზრებასა (ლექსი *დედა ენა – რომელი როგორ ხმარობს ენასა... გამგებელია ამისი ზენა* (ერისთავი, 1882: 7) თუ მშობლიური ენის სიღრმეთა წვდომას *(პროგრამა ლექციებისა ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ*), თვალნათლივ აჩვენებს მისი შემოქმედებითი ენის კონცეპტუალურ წესრიგს, რომელიც მას საკუთარ მხატვრულ სამყაროში გააზრებულად შემოაქვს და ინდივიდუალობას ენობრივ თავისუფლებასა და სისადავეში ავლენს.



## დასკვნა:

- რ. ერისთავის მიერ ჩაწერილი ანდაზები და გამონათქვამები მკაფიოდ განსაზღვრავს მისივე ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის კულტურის სახეს, კერძოდ, შემოქმედის დამოკიდებულებას ეროვნული ტრადიციებისადმი. ამასთან, კარგადაა გააზრებული რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წნეხის ქვეშ ეროვნული ღირებულებების შენარჩუნების აუცილებლობა.
- მწერლის მიერ ჩაწერილ ანდაზებში -ო ნაწილაკის დაურთველობა შინაარსობრივი დისკურსითაა ანგარიშგასაწევი. ავტორი თითოეულ მათგანს მოგვაწოდებს, როგორც უდავო ტრადიციულ ჭეშმარიტებას, გადმოცემულ აზრს კი ათავისუფლებს დროის მსოფლგაგებისაგან.
- რ. ერისთავის მიერ ფიქსირდება ყველაფერი, რაც ეროვნულ ნიადაგს ებმის, მათ შორისაა, მაგალითად, *გურულის ამბავი*. საზოგადოდ, მოთხრობილ ამბებს გასდევს ერთგვარი *სიმარტივე*, რომელიც უბრალოების ესთეტიკად უნდა შეფასდეს.
- რ. ერისთავის *ქართულ ენასა* და *ლიტერატურაში* წასაკითხ სალექციო მასალებში გამოკვეთილი თემები ასევე ნათლად აჩვენებს შემოქმედის დამოკიდებულებას ქართული ეროვნული ღირებულებების მიმართ და ამ ღირებულებათა გააქტიურების მცდელობას ნაციონალური უფლებების შეზღუდვის ფონზე.
- მწერლის შემოქმედების უძირითადესი წყარო ხალხია. აქედან გამომდინარე, ცოცხალი მეტყველების *არაცოცხალ მეტყველებად* გარდაქმნა მნიშვნელოვანი გადახვევა იქნებოდა მისი მსოფლმხედველობრივი მაგისტრალიდან. რ. ერისთავის სადა ენობრივი ფაქტურა 60-იანელთა ენობრივი მსოფლხედვის წინმსწრებია.

## ბიბლიოგრაფია:


არაბული, ა. (2004). *ქართული მეტყველების კულტურა*. თბილისი: უნივერსალი.

გოზალიშვილი, გ. (1935). *1832 წლის შეთქმულება*. ტ. I. ტფილისი: *სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა*.

ერისთავი, რ. (1882). *თხზულებანი თ.რ.დ. ერისთავისა*. ნაწილი I, ტფილისი: არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის გამოცემა, გრ. ჩარკვიანის სტამბა.

ერისთავი, რ. (1895). *იგავ-არაკნი, გადმოკეთებული თავად რაფიელ ერისთავის-მიერ*. ტფილისი: *ქართველთა ამხანაგობის გამოცემა*.

ერისთავი, რ. პირადი საარქივო ფონდი. ხელნაწერი № 132 /№ 128. *პროგრამა ლექციებისა ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ*. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ერისთავი, რ. პირადი საარქივო ფონდი. ხელნაწერი №145: *გამონათქვამები*. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ერისთავი, რ. პირადი საარქივო ფონდი. ხელნაწერი №145 / №146: *მოსწრებული სიტყვა-პასუხები და ანდაზები, ჩაწერილი რ. ერისთავის მიერ ახალ სენაკში (?)*. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ერისთავი, რ. პირადი საარქივო ფონდი. ხელნაწერი №1069 / № 310: *ლეჩხუმის მაზრაში ძველი და ახალი ჩვეულების მოთხრობა ანუ ისტორია*. კ. კეკელიძის სახ. საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

კიკნაძე, გრ. (1953). *ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის.* თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კიკნაძე, ზ. (2008). *ქართული ფოლკლორი.* თბილისი: *თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,* თბილისი, 2008.

ვაჟა-ფშაველა. (1961). *ფიქრები.* პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. V. გვ. 177-183. თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

ყულიჯანაშვილი, ა. (2006). *ესთეტიკა.* თბილისი: *მერიდიანი.*


შალამბერიძე, გ. (1984). *ქართული მართლწერა.* მეოთხე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: *განათლება.*


ჩიქობავა, არნ. (1950). *წინასიტყვაობა.* ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, გამოცემული არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I. გვ. 005-017. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჯაგოდნიშვილი, თ. (1986). *რაფიელ ერისთავი.* თბილისი: *ნაკადული.*

*ინგა სანიკიძე*
ასოცირებული პროფესორი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Inga Sanikidze*
Associate Professor,
Iv. Javakhishvili Tbilisi state university
ORCID-ID: 0009-0004-8031-9528 /





არ. კალანდაძის და ალ. დრევიჩის გამოცემა.

თხზულებანი

თ. რ. დ. ერისთავისა.

(ავტორის სურათით.)

ნაწილი I.

ლექსები.

თბილისი, 1882

გრ. ჩარკვიანის სტამბა ლ.-მელიქ. ქუჩ. ზიალოვის შენობაში.



# რაფიელ ერისთავი – საბავშვო პოეტი

## აბსტრაქტი


რაფიელ ერისთავი XIX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ის ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან ერთად გამორჩეული, მრავალმხრივი მოღვაწე და ეროვნულ საქმეთა მოთავე იყო.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა სკოლა, ეკლესია, თეატრი, პრესა, ქართული ენა... ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურმა, *თერგდალეულებმა,* სწორედ განათლებას მიანიჭეს უმთავრესი მნიშვნელობა. ამ დროს რაფიელ ერისთავის პოეზიაში განსაკუთრებული სიყვარულით შემოვიდა ბავშვთა სამყარო. თითქმის ყველა საბავშვო ჟურნალ-გაზეთის ახალი ნომერი რაფიელის საყმაწვილო ლექსით იხსნება.

1881 წელს ჟურნალი *ივერია* ქვეყნებს რაფიელ ერისთავის ლექსებს: *დედაენა* და *სამშობლო ხევსურისა,* რომლებმაც პატრიოტული გრძნობით აღავსო ყველას გული. ლექსი *მიპატიჟება სასწავლებელში* იაკობ გოგებაშვილმა სასკოლო სახელმძღვანელოში შეიტანა. რაფიელ ერისთავმა თარგმნა ი. კრილოვის იგავ-არაკები, აგრეთვე გალექსა სულხან-საბა ორბელიანის იგავები. რაფიელ ერისთავის საბავშვო ლექსები არტურ ლაისტმა თარგმნა და დაბეჭდა გერმანულ და პოლონურ პრესაში.

რაფიელ ერისთავის საბავშვო პოეზია შრომისა და სწავლისკენ მოუწოდებდა ბავშვებს. მას იაკობ გოგებაშვილთან ერთად სამართლიანად მიიჩნევენ ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლად.

ნაშრომის მიზანია: რაფიელ ერისთავის საბავშვო და საყმაწვილო პოეზიის პოპულარიზაცია, მისი ლექსების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ინიცირება, საყმაწვილო კრებულებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში გათვალისწინება. სასურველია, რაფიელ ერისთავის საბავშვო და საყმაწვილო პოეზიის კრებულის პუბლიკაცია.



**საკვანძო სიტყვები:** საბავშვო პოეზია; სულიერება; პატრიოტული; პოპულარული; განათლება.

# RAPHIEL ERISTAVI AS A CHILDREN'S POET

## ABSTRACT

Raphiel Eristavi, through his multifaceted activities, emerged as one of the prominent figures in Georgia during the second half of the 19th century. Alongside renowned national leaders such as Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli and Iacob Gogebashvili, he played a significant role in shaping Georgian cultural and public life.

In the 1880s, the Russification policy targeted nearly all pillars of Georgian national identity and spirituality. Schools, the church, the theatre, the press, and the Georgian language all came under severe attack. In response, the leaders of the national liberation movement – the *Tergdaleulebi*, recognized education as their highest priority. It was during this critical period that the world of children entered Raphiel Eristavi's poetry with genuine affection. His poems frequently appeared at the beginning of nearly every new issue of children's magazines and newspapers, earning him recognition as a beloved and popular children's poet.

In 1881, the magazine *Iveria* published Raphiel Eristavi's poems *Dedaena* and *Motherland of the Khevsuri*, both of which stirred strong patriotic feelings in readers' hearts. His poem *Invitation to School* was included by Iakob Gogebashvili in his school textbook. Eristavi's children's poetry inspired young readers to value hard work and education.

Raphiel Eristavi's children's poems were translated by Arthur Leist and published in both the German and Polish press.

It is also worth noting that Raphiel Eristavi translated Ivan Krylov's fables and adapted Sulkhan-Saba Orbeliani's fables into verse form.

Alongside Iakob Gogebashvili, Raphiel Eristavi is regarded as one of the founders of Georgian children's literature.

**Key words**: Children's Poetry; Spirituality; Patriotic; Popular; Education.



## შესავალი

რაფიელ ერისთავი XIX საუკუნის საქართველოში გამორჩეული ლირიკოსი პოეტი და სამშობლოს უანგარო მსახური იყო. რაფიელ ერისთავის ცხოვრებით, მოღვაწეობითა და შემოქმედებით სხვადასხვა დროს არაერთი მკვლევარი დაინტერესდა (სილოვან ხუნდაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვალერიან ითონიშვილი, თემურ ჯაგოდნიშვილი, შოთა ვაშაყმაძე და სხვები).

მისი მოღვაწეობის დროისათვის, ორიგინალური ქართული საყმაწვილო ლიტერატურა მეტად მწირი იყო, ჭარბობდა რუსულიდან გადმოქართულებული ლიტერატურა.

რაფიელ ერისთავის საბავშვო პოეზია მოზარდებს ბეჯით სწავლას, გარჯას და სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდა. მისი საბავშვო პოეზია ზნეობრივ-ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულებებითაა გამსჭვალული და აქტუალობას დღესაც არ კარგავს.

რაფიელის ლექსები აქტიურად ქვეყნდებოდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში: *ბუნების კარში, ნობათში, საბავშვო კალენდარში, ჯეჯილში.* ბავშვებისთვის საყვარელ ნაწარმოებებად იქცა: *დედა ენა, მერცხალი, გაზაფხული, რთველი, მიპატიჟება სასწავლებელში, ზამთარი, ბზობა, ჩიტი, ჯერ შრომა, მერე ხტომა* და სხვა.

იაკობ გოგებაშვილის *ბუნების კარში* რაფიელ ერისთავის პორტრეტი ილიასა და აკაკის სურათებთან ერთად იყო გამოსახული.

კვლევის მიზანია, ლიტერატურული ტენდენციების გათვალისწინებით, რაფიელ ერისთავის საბავშვო ლიტერატურის კვლევა განვითარების კონტექსტში, კონკრეტული ასპექტების ანალიზი და წარმოჩენა. ნაშრომში წამოწეულია რაფიელ ერისთავის პოეზიის არსებითი მახასიათებლები, კერძოდ ის, რაზედაც იაკობ გოგებაშვილი ამახვილებდა ყურადღებას: *განსაკუთრებული აღმზრდელი ხასიათი,* ანუ როლი სკოლისაც და სარწმუნოებისაც – როდესაც ლიტერატურას ორივე ფუნქცია უნდა შეეთავსებინა. სწორედ ამ ნიშნით არის გაანალიზებული რაფიელ ერისთავის საბავშვო და საყმაწვილო ტექსტები, რომლებსაც გამოარჩევს ხალხური კილო და პოეტური მანერის სისადავე.

კვლევის შედეგად ნათელი ხდება, თუ რა დიდი დატვირთვა ჰქონდა რაფიელ ერისთავის საყმაწვილო პოეზიას რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, მაშინ, როდესაც ენა და განათლება ამ პოლიტიკის მესვეურების უმთავრესი სამიზნე იყო.

### კვლევის მეთოდი

ლიტერატურული მასალის ანალიზი რაფიელ ერისთავის თანამედროვეთა შეფასებებსა და XIX საუკუნის პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ რეცენზიებსა და სტატიებს ეფუძნება. კვლევისას გამოყენებულია სიღრმისეული კვლევის, წყაროთმცოდნეობითი, შედარებითი, შეპირისპირებითი და ანალიზის მეთოდები.

### შედეგი

ნაშრომში ყოველმხრივ გაანალიზებულია რაფიელ ერისთავის საბავშვო და საყმაწვილო პოეზიის ის მხარეები, რომლებიც აქამდე ნაკლებად იყო შესწავლილი. აქტუალური პრობლემატიკის წარმოჩენით მთლიანობაშია გააზრებული მწერლის მხატვრული სამყაროს თავისებურებანი, წინ წამოწეულია ძირითადი ტენდენციები, ახლებურად არის დანახული მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი.

### მსჯელობა

რაფიელ ერისთავი იმ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვშია, რომელთა შემოქმედება და პირო-

ვნება ერთნაირად მომხიბვლელია თანამედროვეთათვის. სისადავით და გულწრფელობით ნაზავ მის პოეზიაში საბავშვო ლექსები განსაკუთრებული სილაღით და უშუალობით გვამახსოვრებს თავს, რაც სავსებით ბუნებრივია. თედო სახოკიას დახასიათებით, იგი ალალი გულის პატრონი, უეშმაკო და მიმნდობი იყო. ისე განვლო წუთისოფელი, ერთი განაწყენებული ადამიანიც კი არ ჰყოლია.

ბავშვობიდან დაჰყვა კახეთის ფერადი სანახების და მშობლიური ოჯახის სითბო. სოლომონ ხუნდაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, *მთიანმა მშვენიერმა ბუნებამ, სადაც გაიზარდა, სიყრმიდანვე აღაფრთოვანა მისი პოეტური წარმოსახვა და ჩაუსახა გულში სამშობლო ქვეყნისადმი აღტაცებული სიყვარული, რომელიც შემდეგში ასე ძლიერად გამოიხატა მის შემოქმედებაში* (ხუნდაძე, 1928:3).

ჯერ ოჯახში გაეცნო და შეუყვარდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, შემდეგ ყრმა რაფიელის ცნობიერებას საგრძნობი კვალი დაამჩნია შუამთის მონასტერთან გახსნილ სასწავლებელში ფილადელფოს კიკნაძესთან გატარებულმა დრომ.

ეს სასწავლებელი მთელ კახეთში ერთადერთი იყო, სადაც ყმაწვილის სათუთ ბუნებას შინაგანი თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული და წარმოსახვის უნარს უვითარებდა ბავშვებს. შუამთიდან გაყოლილი ოცნებებით შეაღო თბილისის გიმნაზიის კარი, სადაც ბოლო კლასებში დაწერა ლექსი *დარიგება*.

28 წლის რაფიელ ერისთავის პირველი ლექსები 1852 წელს *„ცისკარში“* გამოქვეყნდა. მისი ლექსი *ყვავილს* წუთისოფლის ამაოებაზეა. ყვავილიც ადამიანივით ამ წუთისოფლის სტუმარია და ისე უცებ ჭკნება, რომ რიგიანად ვერ ასწრებს აყვავებას.

*გაზაფხულისა დიდებავ,*

*სტუმარო, მოკლე ხნისაო,*

*ტურფაო, ნაზო, სუნნელო,*

*მშვენებავ მინდორ-ტყისაო,*

*რა აჰყვავდები, ფოთოლსა*

*დაგიჭკნობს სხივი მზისაო,*

*დილას მოხვალ და საღამოს*

*მგზავრი ხარ შორი გზისაო* (ერისთავი, 1893:15).

ეს პირველი ლექსი ყმაწვილთა გულებს მშვენიერებას აზიარებდა და თან გონებრივ საზრდოსაც აწვდიდა. *ეს მიმართვა ყვავილისადმი, რომელიც მთავრდებოდა აყვავება-ჭკნობის დრამატული შედარებით სიყმაწვილე სიბერესთან, ძალზედ ნიშანდობლივი იყო, რადგან რაფიელ ერისთავის პოეტურ მანერას შემდგომშიაც განასხვავებდა მეტყველების სწორედ ამგვარი სისადავე, ფოლკლორული ტრადიციის გავლენა და ზოგჯერ მიამიტური, ზოგჯერ კი ღრმააზროვანი შეგონება-განზოგადებანი* (ბორცვაძე, 1989:165).

პირველივე ლექსი უკვე ხალხური პოეზიის გამოძახილია, რომელმაც ასაზრდოვა რაფიელ ერისთავის შემოქმედება. ხალხური კილოთია დაწერილი რაფიელ ერისთავის საბავშვო ლექსების უმრავლესობა, რომლებიც, ესთეტიკური სიამოვნების მიღებასთან ერთად, ეხმარება ბავშვებს სამყაროს შეცნობაში. ამ დროს დიდ როლს ასრულებს ბუნების სურათები. სწორედ სურათებით მეტყველია წელიწადის დროები ლექსებში: *გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, რთველი, მევენახის სიმღერა, პურის მოსავალი თუ სხვა.*

აი, როგორ ცოცხლად არის გადმოცემული პურის მკის სცენა, *ხალისიანობით და მზიანი ფერებით* (კოტეტიშვილი, 1959:512):

*გაზაფხული გაგვიფრინდა,*

*გაითოხნა სიმინდები,*

*თივა დადგეს, ანეულსა*

*დასდგომია ამინდები,*

*აგერ-აგერ ყანებშია*

*„ჰოოპუმას“ იძახიან,*

*ჩამოგიცხა, ჩამოგვიცხა,*

*ქერს მორჩნენ და*

*პურსა მკიან...*

*მტრედი, გვრიტი და ქერდანი*

*იქ ირევა ნამჯაშია,*

*მაგრამ მომკლებს ვინ აჯობებს*

*მღერასა და გარჯაშია!* (ერისთავი, 1893:157).

ჟურნალი *ივერია* იწონებს რაფიელ ერისთავის ლექსებს: *ზამთარს* და *გაზაფხულს*, თუმცა იქვე დასძენს: *მაგრამ სიცხოველით, გამომხატველობით და ენის სიმარტივით ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ამ წიგნში დაბეჭდილ „ზაფხულს“. ამ პატარა ლექსში არის აღწერილი ზაფხულის ორი უმთავრესი საქმე: მკა და ლეწა და ძნელია, წარმოიდგინოთ, თუ არ წაგიკითხავთ, როგორ ყოველივე წინადადება ამ ლექსში ბავშვის გონებაზედ არის გამოჭრილი, როგორ ყოველივე მათგანი სახავს რომელსამე მუშაობას და მოაგონებს ბავშვს ნამგლის ტრიალს, მუშის გუგუნს, ჰოოპუნას, კევრზედ ჯდომას* (*ივერია*, 1881:155).

ჟურნალი *ივერია* იმასაც დასძენდა, რომ ბავშვებს იზიდავთ ისეთი დღესასწაულები, რომლებიც მათ გონებას შთაბეჭდილებებით ამდიდრებენ, ახალისებენ, და თუ ეს შთაბეჭდილება ლამაზად გალექსილია, ამაზე უკეთესს საკითხავს ვერას უშოვითო (*ივერია*, 1881:135).

ასე ლამაზად გალექსილია *ბზობა* და *აღდგომა*, რომლებიც ორი დიდი ქრისტიანული დღესასწაულისთვის მზადების ამაღლებულ განწყობას გადმოსცემს. ლირიკული გმირი მიმართავს ვანოს, რომ დროულად ადგეს და ტაძარში ბზობაზე წავიდეს.

*ბზობა არის, ბზობა არის,*

*წამო, ვანო, საყდარშია,*

*იქ ლაპლაპებს კელაპტრები*

*ნათელა და კაშკაშია“* (ერისთავი, 1893:151).

მსგავსი პოეტური ინტონაციით გამოირჩევა ლექსი *„აღდგომა“. ყველა ახლით მოკაზმულა, ყველას ტუჩზედ ღიმი უქრის,* საყდარში აღდგომის დღესასწაულზე მიიჩქარიან, უხარიათ წითელი კვერცხების მიჭახუნება:

*ქრისტე აღდგა! – მიყვარს ეს დღე -*

*მიყვარს, მიყვარს, მიყვარს დიდად;*

*მოდი, გიგო, გადაგკოცნო!*

*„ქრისტე აღსდგა“! – „ჭეშმარიტად“!* (ერისთავი, 1893:150).

რაფიელ ერისთავს *მარტივი, ბავშვური კილოთი გაულექსავს ის, რასაც ბზობა და აღდგომა მოაგონებს ყმაწვილს* (*ივერია*, 1881:135). აღდგომა იმ შთაბეჭდილებებს აცოცხლებს, რომლებიც ყველა ბავშვის მეხსიერებაშია – შუაღამის ზარის რეკვა, საყდრისკენ კელაპტრებით მსვლელობა, ლიტანია... ამ შთაბეჭდილებებისთვის განუყრელია სამი სიტყვა – *„ქრისტე აღდგა – ჭეშ-*

*მარიტად!“* რაფიელ ერისთავის ლექსი შვიდი წლის ბავშვმაც რომ წაიკითხოს, სიამოვნებით აღელდება და კითხვის ხალისიც გაეღვივიძებაო.

მწერლის სურვილია, მომავალ თაობებს ბავშვობიდან, განათლებასთან ერთად, შრომის სიყვარულიც დაჰყვეთ. შრომა უმთავრესია, უდიდესი სიხარულის მომტანია. აქ ჩანს შრომისადმი რაფიელ ერისთავის ქრისტიანული თვალთახედვა – შრომა სათნოებაა და სულისთვის სარგებელია. მისი სურვილია, რომ მომავალი თაობა ქრისტიანული ზნეობითა და შრომის სიყვარულით აღიზარდოს. იგი შრომისა და სწავლისკენ მოუწოდებს ყმაწვილებს:

*წამოდექით, ყმაწვილებო,*

*თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი, -*

*ზარმაცები ღმერთს არ უყვარს, -*

*წიგნს მოჰკიდეთ აბა ხელი!“* (ერისთავი, 1893:200).

*მიპატიჟება სასწავლებელში* 1883 წლის *ნობათის* პირველ ნომერში დაიბეჭდა. იაკობ გოგებაშვილი მას *ნობათის* პირველ მარგალიტს უწოდებდა. მართალია, ლექსი რუსულიდან არის გადმოქართულებული, მაგრამ *რაფიელ ერისთავმა განავრცო და ქართული იერი მისცა. ამიტომაც ის პოეტის ორიგინალურ თხზულებებშია შეტანილი* (მიქაძე, 2014:35).

ამ ლექსზე დროებაც წერდა: *ქართულად არის გაფურჩქნული, ქართულად მონათლული და ქართულს ტანისამოსში გამოწყობილი. როგორც სხვა ლექსები პატივცემული პოეტისა ეს ლექსიც შესანიშნავი წმინდა ხალხური ენით, პოეტური კილოთი და თბილი გრძნობით. იგი სწორედ რომ, კარგი შემატებაა ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქამდინ მეტად ღარიბია საბავშვო ლექსებითა* (დროება, 1884:2).

რაფიელის მეორე ლექსიც, *ჯერ შრომა, მერე ხტომა (სწავლობს გიგლა ტიტინა),* რუსულიდან არის გადმოქართულებული, თუმცა *ყმაწვილური აზრი და გრძნობა შესაფერისი ენით არის გამოთქმული* და ამიტომ უცხო ენის ზეგავლენა არ ეტყობაო. (ხუნდაძე, 1918:28).

ლექსი 1868 წელს რუსულიდან თარგმნა და *ბუნების კარში* დაბეჭდა იაკობ გოგებაშვილმა. უფრო გვიან კი რაფიელ ერისთავმა გადმოაკეთა, ქართული იერი და პოეტური სისადავე შეჰმატა.

ჟურნალი *ივერია* წერდა: *ქართული ენა ახლანდელს მწერლობაში ისე აქ მდიდრად არსად არა სჩანს, როგორც რაფ. ერისთავის ნაწერებში; ენას ნაკლებ ეტყობა ნათესაობა რუსულს და უცხო ქვეყნურს ენასთან: აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავ ხასიათს აძლევს თვით უცხო ქვეყნურს თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ჩვენში* (თუმანიშვილი, 1881:133).

1884 წლის ჟურნალ *ნობათის* პირველი ნომერი რაფიელის ამ ლექსით იხსნება:

*სწავლობს გიგლა ტიტინა,*

*მზემ შემოუჭყიტინა:*

*– გიგლავ, გეყოფა სწავლა,*

*ახლა კარგია გავლა...*

*გამო, შეითამაშე,*

*არვინ ეტყვის მამაშენს* (ერისთავი, 1884:65).

გაკვეთილების სწავლის პროცესში გიგლას არ იზიდავს გართობა. თამაში მხოლოდ სწავლის შემდეგ შეიძლება. საგულისხმოა სტრიქონი: *ზარმაცები ღმერთს არ უყვარს.* რაფიელ ერისთავს უსაქმურობა გონიერი ადამიანის ცხოვრებად არ მიაჩნია. მსგავსი თემატიკის ტექსტებში იგი მომავალი თაობის აღზრდის საკუთარ შეხედულებებს აყალიბებს. და რაც ნიშანდობლივია, ქრისტიანული სულისკვეთება ყველგან იგრძნობა.



სოფელში დაბადებულმა და გაზრდილმა პოეტმა კარგად იცის, რომ ბავშვი სოფელში უნდა იზრდებოდეს, სადაც საკუთარი თვალით ნახავს იქაურ ცხოვრებას, შრომას ისწავლის, გაეცნობა ხალხის ზნე-ჩვეულებებს. რაფიელის საბავშვო ლექსები სოფლის მეტყველი სურათხატებია, რასაც თან ახლავს შრომის პროცესის და ხალხის ზნე-ჩვეულებების აღწერა.

ამ ლექსებში ჩართულია სოფლელი ბავშვების ცხოვრების ეპიზოდები.

ლექსისთვის *ზამთარი* ქვესათაურად *ყმაწვილის მოგონებანი* წაუწერია. პოეტური წარმოსახვა თავად პოეტის ბავშვურ მოგონებებს აცოცხლებს და უფაქიზესი სული შეიგრძნობა – ბავშვობისდროინდელი წმინდა ოცნებები.

თოვლის მოსვლა პოეტს პატარაობას და ზამთარს აგონებს. როგორც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, *თემურ ჯაგოდნიშვილი* აღნიშნავს, საყურადღებოა, რომ რაფიელ ერისთავი ბავშვის სულიერ სამყაროში შეღწევის გზად საკუთარი ბავშვობის ხსოვნის სურათოვან გადმოცემას სახავს (ჯაგოდნიშვილი,1986:95).

*მახსოვს, როცა ბალღი ვიყავ,*

*მიხაროდა თოვლის მოსვლა,*

*თოვლის გუნდის გაკეთება,*

*სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა* (ერისთავი, 1893:10).

რაფიელ ერისთავის საბავშვო და საყმაწვილო პოეზიის თავისებურება პოეტურად გაცოცხლებული ეთნოგრაფიული მასალაა. მან იცოდა, რომ ბავშვები ასე უფრო კარგად შეიმეცნებდნენ ეროვნულ ტრადიციებს. რაფიელ ერისთავი პოეტური რიტმით აღწერს რთველის პროცესს, რაც მთლიანად წარმართავს განწყობილებას: წითლად ღუის დამწიფებული ყურძენი, მკრეფავები მტევნებს კრეფენ, კალათები იზვირთება. ხაზგასასმელია რთველის თანამდევი დიდი სიხარული და ბუნებრივი თხრობა. აღწერის სურათში ჩართულია შეხმიანება გიგოსთან, რაც სიხალისეს ჰმატებს ინტონაციას:

*აბა, გიგო, კრჩხა თუ გინდა,*

*ან ჯაგანი, ან აკიდო,*

*შენი წილი ზამთრისათვის*

*მოდი, ზურგზე წამოგკიდო“*(ერისთავი, 1893:158).

ყურძნის საწნახელში დასაწურად, მარნისკენ მიმავალი საურმე სავსეა გოდრებით. მოჩქრიალე ტკბილს უმაძღარი ქვევრი დაუხვდა. ეს ნაშრომი უფლის ნაკურთხია, რადგან ვაზი წმინდა მცენარეა. ღვინოც ღვთისგანაა.

*დაილოცა ღვთის ნაკურთხი,*

*ჩვენის ოფლით მონაგარი,*

*მაშ პირველად ღვთისთვის იყოს,*

*ზედაშე და კელაპტარი* (ერისთავი, 1893:159).

ქართველი კაცისთვის პურიც, ღვინის მსგავსად, წმინდაა. ღვინო და პური მნიშვნელოვანი სიმბოლოებია ქრისტიანობაში – ზიარება პურით და ღვინით ხდება. ლექსში „*პურის მოსავალი*“ პოეტი ამბობს:

*ბიჭო, პური შემოსულა,*

*ღელავს, ბზინავს ოქროსფერად,*

*უფლის თვალი შიგ ტრიალებს, -*

*მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ...*

*შიგ ნუ ჩავწვავთ, ცოდვა არის,*

*ნუ გავხდებით ჩვენ ღვთის მტერად!* (ერისთავი, 1893:162).

აკაკი წერეთელი *ივერიაში* შემთხვევით არ წერდა: *რაფიელის ლექსებში ერთი პატარა ლექსი ურევია* ***პურის მოსავალი,*** *რომელიც ობოლი მარგალიტია მთელ ჩვენ მწერლობაში* (წერეთელი, 1901:2).

რაფიელის აზრით, პურის მტერი ღვთის მტერია, გუთანიც კი ღმერთის ნაკურთხია...

*შენი ჭირიმე, გუთანო,*

*ნაკურთხო, მაღალ ღვთისაო* (ერისთავი, 1893:163).

პურ-ღვინო განუყრელი ცნებებია პოეტისთვის, მისი მეკვლე პურ-ღვინის მადლით დგამს ოჯახში პირველ ნაბიჯს.

*შემოვდგი ფეხი, გილოცავთ,*

*გწყალობდეთ წმინდა ბასილი,*

*იმისი მადლით იყავით*

*პურით და ღვინით აღვსილი“* (ერისთავი, 1893:185).

პოეტი ყმაწვილებს აცნობს რა მეკვლეობის ტრადიციას, ქრისტე ღმერთის პატივსაცემად ჩვენში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებსაც შეამეცნებინებს. უფლის და მოყვასის სიყვარული უმთავრესია. შური არ არის სათნო საქმე. ქრისტიანული ხედვით, შური მტანჯველი ვნებაა. მეკვლეს მოტანილი პატარა ტყვიაც გაფრთხილებაა, რომ ადამიანმა არ დაკარგოს ამგვარი ვნებისადმი სიფხიზლე.

*ეს მოხვდეს თქვენსა მოშურნეს*

*და დაგიმარცხდეთ მტერია:*

*განათლდეს ჩვენი ქვეყანა*

*გამრავლდეს ჩვენი ერია“*(ერისთავი, 1893:186).

შურისგან გაწმენდის შემდეგ ადამიანი უნდა განათლდეს ღვთის ძალით და მადლით. პოეზია ეხმარება ბავშვს სამყაროს აღქმაში, უმძაფრებს ესთეტიკურ განცდას, იტვირთავს განმანათლებლის ფუნქციას, ხოლო როდესაც უჭირს მამულს, ენას და სარწმუნოებას, წინ აღუდგება ეროვნულ გადაგვარებას.

რაფიელ ერისთავის შემოქმედების უმთავრესი მოტივი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში, ლექსში *იავნანა, ვარდო – ნანა, იავ-ნანინაო,* ახალდაბადებული ყრმის აკვანთან, იგი ერთგვარ მორალურ კოდექსს აყალიბებს – ყრმა წინაპარს უნდა ემსგავსოს; მტერს ვაჟკაცობა და გმირობა უჩვენოს; ამ ბრძოლაში წინ წაიძღვაროს უფლის სახელი; ძირს დაცემული მტერი შეიბრალოს; ღმერთს ადიდებდეს; პატივს სცემდეს დედას და მამას.

რაფიელ ერისთავის *იავნანა, ვარდო – ნანა, იავ-ნანინაო* ექვსი წლით წინ უსწრებს ილია ჭავჭავაძის *ნანას,* რომელიც 1859 წელს პეტერბურგში დაიწერა.

**რაფიელი:**

*ქართველს ემსგავსე დიდებით,*

*შენს წინა-პარსაო,*

*რომ თრთოდეს და ეშინოდეს*

*შენი შენს მტერსაო...*



.....

.....

*გაიზრდები და მოითხოვ*

*თოფსა და ხმალსაო,*

*მტერს უჩვენებ ვაჟკაცობას*

*და შენსა ძალსაო* (ერისთავი, 1893:17).

**ილია:**

*ჩემის მამულისათვის*

*მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,*

*მისი სიკეთისათვის*

*გაგწირავ და გაბრძოლებ* (ჭავჭავაძე, 1987:86).

რაფიელ ერისთავის პირველივე ნაწარმოებებს ეროვნული სულისკვეთება გამოარჩევდა. იმ პერიოდში იგი ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოში მაგიდის უფროსის თანაშემწედ მუშაობდა. მიხეილ ვორონცოვის შენიღბულ მშვიდობას არ ენდობოდა და იმ ქართველ ინტელიგენტთა რიცხვში მოიაზრებოდა, ვინც ცდილობდა, ჟურნალი იქნებოდა თუ თეატრი, გარუსების შეფარული მცდელობისათვის დაეპირისპირებინა, ეროვნული თვითშეგნება გამოეფხიზლებინა.

იმხანად ცარიზმმა, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახელწოდება, ხმარებიდან ამოიღო ცნება *საქართველო.* ბუნებრივია, ღირსეული მამულიშვილები, და მათ შორის რ. ერისთავი, ვერ შეეგუებოდნენ ამ ნაბიჯს. 1861 წლის 18 იანვარს პეტერბურგში იწერება ილიას გაზაფხულს, რომელსაც თითქმის 20 წლის შემდეგ, პოეტური ინტონაციით რაფიელი თავის გაზაფხულით ეხმიანება:

*გამოზაფხულდა, გათბა დღე,*

*ჩამოგვეხიზნენ მერცხლები,*

*ბუდე მიაკრეს ჭერშია,*

*დადეს ნაჭორფლი კვერცხები,*

*იქვე სხდებიან ტყუპადა,*

*დასჭიკჭიკებენ ტკბილადა, –*

*დროა ჩვენც გამოვიღვიძოთ,*

*რას მივარდნილვართ ძილადა!* (ერისთავი, 1893:187).

გამოღვიძების თემა უმძაფრესად დგას ქართულ მწერლობაში: ჭიკჭიკებენ მერცხლები, ბავშვებს უხარიათ, მოხუცებსაც გაუთბათ ძვლები, სიცოცხლის წყურვილი ყველგან იგრძნობა, მაგრამ ეს გამოღვიძება არ არის ჩვეულებრივი გამოღვიძება, ილიასეული *სულ ძილი, ძილის* გამოძახილია.

ამიტომ იყო, რომ უკვე მოხუც პოეტს საიუბილეო საღამოზე თბილისის სათავად-აზნაურო სკოლამ ასე მიმართა: *მოსწავლე-ახალგაზრდობა ამ ცქრიალა საამური ლექსებით სწავლობს და ითვისებს ტკბილ დედა-ენას; იფაქიზებს, იცხოველებს სულსა და გულს; იღვიძებს და ინათლებს გონებას. შენი ლექსების წყალობით მოსწავლე-ახალგაზრდობა ინერგავს გულში წრფელ სიყვარულს ჩვენი მრავალტანჯული კაცობისადმი; აი სად მოელის შენისთანა კეთილ მთესავს უხვი სამკალი (საერო დღესასწაული,* 1899:47*).*

1881 წლის აპრილში ჟურნალმა „*ივერია*“-მ რაფიელ ერისთავის *დედა-ენა* გამოაქვეყნა.

*მიყვარს მე ჩემი ენა მშობლისა,*

*რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა.*

*ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,*

*ჩემის ტოლების მღერა-ჟღივილსა!..*

*ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,*

*მიყვარს სამშობლოს მე დედა – ენა* (ერისთავი,1881:130).

ეს ბოლო ორი სტრიქონი ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული პატრიოტულ წერილებს. რაფიელ ერისთავისთვის ენის დაკარგვა აკვნისა და საფლავის დაკარგვას ნიშნავს და ამით ყველაფერია თქმული. პოეტი, უწინარესად, იმ ადამიანებს აკრიტიკებს, რომლებიც გადააგვარა დროებამ და მშობლიური ენა დაავიწყებინა:

*აკვანს და საფლავს ნუ ჰკარგავ შენა,*

*თორემ დაგწყევლის შენც დედა – ენა* (იქვე).

აღსანიშნავია, რომ 1881 წელსვე, 6 აგვისტოს, *ივერიამ* გამოაქვეყნა რაფიელ ერისთავის *სამშობლო ხევსურისა*. ლექსში პატრიოტიზმის უდიდესი გრძნობაა გადმოცემული. მას იმდროინდელ საქართველოში არა მხოლოდ ბავშვები სწავლობდნენ ზეპირად. *დედა-ენის* მსგავსად, ეს ლექსიც სამშობლოს სიყვარულს შთააგონებდა ქართველებს. ის იმ დიდი გრძნობითაა დაწერილი, რა გრძნობითაც ხევსური სამშობლოს სახელს ჰფიცავდა..

*ვის არ ახსოვს, თუ ზეპირად არ იცის* ***სამშობლო ხევსურისა****, ეს ფიცმიღებული სიყვარული თავისი მიწისა, რომელიც ისევე შეურყვნელია, როგორც ხევსურეთის მთის გვირგვინები* (კოტეტიშვილი, 1959:511). *რაფიელი,* – დასძენდა ვ. კოტეტიშვილი, – *თვით ხევსურეთის მუხლზე არის დაბადებულ-აღზრდილი და დაბერებული, სადაც ჯვაროსანთა სიმტკიცით ფიცულობდნენ და ადგილის დედას ეწირებოდნენ* (კოტეტიშვილი, 1959:511).

ტექსტი მძლავრი პოეტური პათოსით გამოირჩევა. ეს ხმა და პათოსი ჰაერივით სჭირდებოდა იმდროინდელ ქართველობას გამოსაფხიზლებლად. ამიტომაც უწოდეს ***სამშობლო ხევსურისას*** *მეთერთმეტე მცნება*. ის ზეპირად იცოდა თითქმის ყველა ქართველმა. *იგი სამუდამოდ დაურჩება მოზარდ ქართველობას მეთერთმეტე მცნებად* (*საერო დღესასწაული, თ. რაფ. ერისთავის იუბილეს* გამო, 1899:11).

*სამშობლო ხევსურისა* ქართველებს სამშობლოს აყვარებდა, *გადაგვარების მოსურნეთ* კი აფრთხილებდა. ამ სტრიქონებს მაშინ შემოკრული ზარის ძალა ჰქონდა.

დღევანდელობის გადასახედიდან, ვფიქრობ, რაფიელ ერისთავმა ლექსი-წინასწარმეტყველება დაწერა. ამ ლექსის გამოძახილია მურმან ლებანიძის *მეშინია*, რომელიც დაცარიელებული სოფლების რეკვიემია.

*ეს სოფლები, ეს ლიქოკი, ეს არხოტი,*

*ცარიელა ეს პარტახი საიგავო,*

*მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი*

*სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს* (ლებანიძე, 2022:43).

რატომ სამშობლო ხევსურისა და არა კახისა ან იმერლისა, გურულისა?! რაფიელ ერისთავი კარგად იცნობდა ხევსურეთს და სწორედ მის სპეტაკ მთებში დაბადებული ხევსურის წმინდა და შეულახავი გულიდან ამონახეთქი დაგვიტოვა, როგორც ანდერძი. იქნებ ამ ხმამ უნდა გამოაფხიზლოს თანამედროვე ქართველობა და მშობლიური სახლებისკენ მიაბრუნოს?!..



უნდა ითქვას ისიც, რომ ვერც *დედა-ენას* და ვერც *სამშობლო ხევსურისას* ხელაღებით ვერ მიაკუთვნებ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას. ეს ლექსები არღვევენ ასაკობრივ საზღვრებს და ერთნაირად იპყრობენ როგორც ბავშვის, ასევე უფროსის გონებას.

საგულისხმოა, რომ რაფიელ ერისთავმა თარგმნა კრილოვის იგავ-არაკები, სულხან-საბა ორბელიანის *სიბრძნე-სიცრუისას* 15 რჩეული იგავ-არაკი გალექსა, თითოეულს ბოლოში ქართული ანდაზებიც დაურთო. წინასიტყვაობაში რაფიელი აღნიშნავდა: *გავლექსე იმ განზრახვით, რომ ყრმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდნენ ბოროტსა მიმოდრეკილობასა და შეისწავლონ ძველებური ქართული მდაბიო ენა, რომლითაც საბა ორბელიანი გვიხატავს არაკებში მოქმედთა პირთა* (ერისთავი, 1878).

იაკობ გოგებაშვილი რაფიელ ერისთავის გალექსილ იგავ-არაკებს მნიშვნელოვან შენაძენად მიიჩნევდა ქართული და კერძოდ, საბავშვო ლიტერატურისათვის – მოზარდში აზროვნებისა და მსჯელობის უნარს ავითარებს და ბავშვის გონებისა და სულის საუკეთესო საზრდოაო.

რაფიელ ერისთავი ითვალისწინებდა ბავშვის სულის სიფაქიზეს და იმასაც, რომ ლექსი ბავშვებს არა მარტო ესთეტიკური სიამოვნების მიღებაში, არამედ სამყაროს აღქმაში დაეხმარებოდა. მხატვრული ხერხებიც ამ მიზანს ემსახურება. რაფიელ ერისთავი ხშირად იყენებს ასონანსურ რითმებს, გამეორებებს. ეს ფორმა ბავშვებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველი და ადვილად შესათვისებელია:

*შევებმოდი მე ციგაში,*

*და ზედ მიჯდა გოგიელა,*

*გადაბრუნდის ჩვენი ციგა -*

*კოტრიელა, კოტრიელა!* (ერისთავი, 1893: 145).

რიტორიკული მიმართვები, კითხვა-პასუხი ბავშვების საყვარელი ფორმაა. ეს ფორმა ეხმარება ბავშვებს, იოლად გაერკვნენ ლექსის მთავარ იდეაში.

რაფიელ ერისთავის საბავშვო პოეზია მდიდარია ხატოვანი შედარებებით, მეტაფორებით, იდიომებით, ანდაზებითა და ფრაზეოლოგიზმებით. აქ ენას ესთეტიკური ფუნქციაც ენიჭება, აზრის გამოხატვასთან ერთად მხატვრული სახეებისა და ხასიათების აგებასაც ემსახურება:

*წეროებს ვხედავ ცაშია,*

*დამწკრივდნენ როგორც ისარი.*

*წინა უკანას ხმას აძლევს*

*უყვირის, როგორც ციცარი,*

*არ სცილდებიან ერთმანეთს,*

*ვით ძმა ძმას შენაფიცარი* (ერისთავი, 1893:153).

ან:

*ყანავ, შენ ჩემო ყანაო,*

*ნამი გიამა განაო!*

*გიხდება ოქროს ქოჩორი,*

*რამ შეგქმნა მაგისთანაო!* (ერისთავი, 1893:169).

არსებითია, – რასაც იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულად აღნიშნავდა – ფოლკლორული ტრადიციების ერთგულება და მძლავრი პოეტური პათოსი: *თ. რაფიელის ლექსები ნამდვილს პოეტურს კილოზედ არიან დაწერილნი და შეზავებულნი პოეტურის მარილით* (გოგებაშვილი, 1955:273-274). ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: *მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური*

*გრძნობით (საერო დღესასწაული თ. რაფიელ ერისთავის იუბილეს გამო*, 1899:112-113).

ხალხის გულისნადების მომღერალი, რაფიელ ერისთავი, ბავშვების საყვარელ მწერლად იქცა.

## დასკვნა

საბავშვო ნაწარმოები უნდა ზრდიდეს თავისი ქვეყნისადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობას და ახასიათებდეს პირადი სარგებლობის დავიწყება სამშობლოს სიკეთისათვის, თავდადება მამულის ბედნიერებისათვის (გოგებაშვილი, 1940:1750).

ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა რაფიელ ერისთავის პოეზიას, სახელმძღვანელოებში *დედა ენა* და *ბუნების კარი* სისტემატურად აქვეყნებდა მის პოეტურ ქმნილებებს. *ბუნების კარში* იაკობმა რაფიელის 20-მდე ლექსი შეიტანა.

ამ ლექსებში ვერ ნახავთ სევდას, პესიმიზმს, ყველა სტრიქონი სიცოცხლისა და შრომის სიყვარულით, უფლის დიდი რწმენითაა გაჯერებული. ისინი, ერთი მხრივ, ახალი თაობის აღზრდას და სულიერი კულტურის გამდიდრებას ისახავდნენ მიზნად, მეორე მხრივ, ბავშვებს სამშობლოს, ენის, რწმენის სიყვარულს უნერგავდნენ. ასე რომ, უდავოა მათი აღმზრდელობით-შემეცნებითი მნიშვნელობა, რაც, ამავდროულად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში დიდი ეროვნული საქმე იყო.

## ბიბლიოგრაფია:


ბორცვაძე,ზ. (1989). *ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა 1980-1921 წ.წ.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.

გაზეთი *დროება*. (1884). *ბიბლიოგრაფია*. № 007.

გოგებაშვილი, ი. (1955). *თხზულებანი ათ ტომად*, ტ. IV. თბილისი.

გოგებაშვილი, ი. (1940). *რჩეული ნაწერები*, II.

ერისთავი, რ. (1881). დედა – ენა. ჟურნალი *ივერია*, №4.

ერისთავი, რ. (1893). *თხზულებანი თ.რ. ერისთავისა*. სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხანაგობისა. ტფილისი.

ერისთავი, რ. (1878). *იგავ-არაკნი. გამოკრებულნი „სიბრძნე-სიცრუიდგან“ და გალექსილნი. თ. რაფ. ერისთავის* – მიერ. თფილისი.

ერისთავი, რ. (1884). ჯერ შრომა, მერე ხტომა. ჟურნალი *მნობათი*. №1. ტფილისი.

თუმანიშვილი, მ. (1881). თეატრი. ჟურნალი *ივერია*. № 2.

კოტეტიშვილი, ვ. (1959). *ქართული ლიტერატურის ისტორია (XIXს)*. თბილისი: *საბჭოთა საქართველო*.

ლებანიძე, მ. (2022). *ხელახლა წაიკითხება, ხელახლა – სუყველაფერი!*. თბილისი.

მიქაძე, თ. (2014). *ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ...* და მისი ავტორი. ჟურნალი *ანეული*, № 3.

ჟურნალი *ივერია*. (1881). № 9, (გვ.135-138), №10 (გვ. 155-158). ტფილისი.

*საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო (1895 წ. 22 ღვინობისთვეს)*. (1899). თბილისი, სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.

წერეთელი, ა. (1901). მცირე შენიშენა. *ივერია*.№ 168.

წერეთელი, ა. (1895) თ. რ. ერისთავის ორმოც-და-ათი წლის იუბილეს ისტორია. „*კვალი*“. № 46.

ჭავჭავაძე, ი. (1987). *თხზულებანი. ტომი I. პოეზია*. თბილისი: მეცნიერება.


ხუნდაძე, ს. (1918). *ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. IV. რაფიელ ერისთავი*. ქუთაისი: ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ქუთ. განყ. სტამბა.


ჯაგოდნიშვილი, თ. (1986). *რაფიელ ერისთავი*. თბილისი: *ნაკადული*.





*თამარ შაიშმელაშვილი*
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

*Tamar Shaishmelashvili*
Academic Doctor of Philology,
Assistant-Professor, Georgian Technical University
ORCID-ID: 0009-0003-4480-9119






# XIX საუკუნის ქართული მწერლობა და ქალის ხედვა

*ბარბარე ჯორჯაძე*

## აბსტრაქტი

ძველთაგანვე, ქართველ ქალებს ოჯახში, პოლიტიკურ და სოციო-კულტურულ სივრცეში გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი ეპყრათ. თუმცა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ძნელბედობის ჟამს ქართველი ქალები უპირატესად შვილების აღზრდითა და საოჯახო საქმით იყვნენ დაკავებულნი. საქართველოში ქალის როლზე სხვადასხვა პერიოდში ისლამური სახელმწიფოების დამპყრობლურმა პოლიტიკამაც იქონია დიდი ზეგავლენა. XIX საუკუნიდან ქართველი ქალებიც, დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, ნელ-ნელა ერთვებიან თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლასა და შემოქმედებით ცხოვრებაში. ქართველი ქალის ისტორიულად ძლიერმა სიმბოლიკამ რეალური კონტურები შეიძინა. XIX საუკუნის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული სტერეოტიპის დამრღვევი, არსებული რეალობის შემცვლელი და სიახლის ერთ-ერთი პირველი მაუწყებელი *ბარბარე ჯორჯაძე* (1833-1895 წწ.) გახლდათ.

ბარბარე ჯორჯაძემ ლიტერატურის ყველა ჟანრში სცადა ბედი. ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი პოეტური, პროზაული, დრამატურგიული ტექსტები და კრიტიკული წერილები. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა მამათა და შვილთა ბრძოლაში. ჯორჯაძემ დაამტკიცა, რომ: „...*როგორც ბევრს ჰგონიათ ქალის დანიშნულება მარტო გარეგანი მშვენიერება არ არის, რომ ქალის ძალა შინაგან მშვენიერებაზეა დაყრდნობილი, რომელიც ხანგრძლივი და მარადის უკვდავია*“. ბარბარე ჯორჯაძის ტექსტების თემატიკა დიდად იყო განსაზღვრული მწერალი ქალის თანამედროვე პერიოდის საქართველოს რთული და მძიმე პოლიტიკური ისტორიით. სწორედ ბარბარე ჯორჯაძისნაირი აქტივობის ადამიანი აუცილებლად უნდა ჩართულიყო ქართულ თეატრალურ ცხოვრებაშიც. მისი კომედიით *რას ვეძებდი და რა ვპოვე*, 1879 წლის 5 სექტემბერს, განახლებული ქართული პროფესიული თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა.

ძალზედ საგულისხმოა, მწერალი ქალის წერილი *ორიოდე სიტყვა ქართველი კაცების საყურადღებოდ*. განსაკუთრებული თემაა ბარბარე ჯორჯაძის ფართოდ ცნობილი *სამზარეულოს წიგნი*, რომელმაც გამორჩეული როლი ითამაშა ქართული კულინარიის, როგორც კულტურის, ჩამოყალიბების საქმეში. ბარბარე ჯორჯაძე იყო *პირველი მერცხალი*, ვის შემდეგაც საზოგადოებამ კარი გაუღო სხვა ქართველ მწერალ ქალებს.

**საკვანძო სიტყვები:** XIX საუკუნის ქართული მწერლობა; მწერალი ქალები; ბარბარე ჯორჯაძის პროზა, დრამატურგია, კულინარული წიგნი.

# WOMAN'S VISION AND 19TH CENTURY GEORGIAN WRITING

*BARBARE JORJADZE*

## ABSTRACT

Since ancient times, Georgian women have held a distinguished and significant place not only within the family but also in political and socio-cultural spheres. However, during Georgia's long periods of hardship, women were primarily responsible for raising children and managing household affairs. Their roles were further shaped by the expansionist policies of Islamic states over various historical periods. Beginning in the 19th century, despite numerous obstacles, Georgian women gradually started to participate in the struggle for equality and became increasingly involved in creative and intellectual pursuits. The historically strong symbolic image of the Georgian woman began to take on tangible form. One of the first to challenge prevailing stereotypes in 19th-century Georgian literature and public life and to advocate for change and new ideas was Barbare Jorjadze (1833–1895).

Barbare Jorjadze explored a wide range of literary genres. Her poetry, prose, dramatic works, and critical essays were regularly published in Georgian periodicals. She actively engaged in the generational *Clash of Fathers and Sons*, challenging traditional views. Jorjadze famously asserted, "As many believe, a woman's purpose is not solely external beauty; rather, her strength lies in inner beauty, which is lasting and eternally immortal." The themes of her writings were deeply influenced by the complex and turbulent political history of contemporary Georgia. Naturally, such an active figure was also drawn into Georgian theatrical life. The inaugural season of the newly revived Georgian professional theatre opened on September 5, 1879, with her comedy *What I Was Looking for and What I Found*. Particularly notable is her letter *A Few Words for the Attention of Georgian Men*, which sparked significant discussion. Another important contribution was her widely known *Cookbook*, which played a crucial role in shaping Georgian cuisine as a cultural phenomenon. Barbare Jorjadze was the "first swallow," paving the way for future generations of Georgian women writers to enter the literary world.

**Keywords:** 19th-century Georgian literature; women writers; Barbare Jorjadze's prose, drama, cookbook



## შესავალი

XIX საუკუნიდან ქართველი ქალებიც დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ ნელ-ნელა ერთვებიან თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლასა და შემოქმედებით ცხოვრებაში. კონსერვატორების ნაწილი, *ზოგიერთი ჯიუტი და გონებადახშული პირი, მამაპაპური იდილიის მომხრე*, აქტიურად ილაშქრებდა ქალთა უფლებების წინააღმდეგ. ისინი კატეგორიულები იყვნენ ქალის გონებრივი შესაძლებლობების შეფასებაში და მიიჩნევდნენ, რომ ჩვენ თუ *რაშიმე მამა-პაპის ჩვეულებას გადავუდგებით*, სულ დავიღუპებით და ევროპელებივით გავხდებოდით. *ყოველივე ღონისძიება უნდა მოვიხმაროთ, რომ საქართველოში ევროპიდან სწავლა-განათლება არ შემოგვეპაროს* – ამბობდნენ ისინი. მათი აზრით, ქალისათვის საფუძვლიანი სწავლა-განათლება ზედმეტი ბარგი იყო და მას მხოლოდ ქალის გარყვნა და ზნეობრივი დაცემა უნდა მოჰყოლოდა. ამ აზრის საწინააღმდეგოდ, პირველად სწორედ ქართველი მამაკაცების ახალმა თაობამ, 60-იანელებმა, გაილაშქრეს. ისინი არა მარტო ქალების დამცველებად მოგვევლინენ, არამედ ახალისებდნენ კიდეც მათ და ყოველ სასიკეთო საქმეში მხარში ედგნენ, თუმცა, ხშირად ქალების პასიურ პოზიციასაც მკაცრად აკრიტიკებდნენ. XIX საუკუნის ქართული პრესაც ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ქალთა მოძრაობის საკითხები გაეშუქებინა.

ცხოვრება ახალ, განათლებულ, ენერგიული ქმედებებით და სურვილებით აღჭურვილ ქალებს ითხოვდა, ვინც ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე ხმას აიმაღლებდა. ქართველი ქალების ერთ-ერთი პირველი დამცველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე აღმოჩნდა, რომლის წერილი *ქართველი ქალები* ჟურნალ *ცისკარში* (*ცისკარი*.1860: № 4) დაიბეჭდა. ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და ქართული პრესაც ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ ქალთა მოძრაობის საკითხები გაეშუქებინათ.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის პოზიცია. ილია ქალთა ემანსიპაციის ერთგული დამცველი გახლდათ და ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი შეხედულებები არაერთხელ გამოუთქვამს, თუმცა ამავე დროს ქალებისგანაც მოითხოვდა საჯაროდ დაეცვათ არა მარტო თავიანთი უფლებები, არამედ თავიანთ მოვალეობებშიც კარგად გარკვეულიყვნენ (*ჭავჭავაძე* 1883:138).

სალიტერატურო სივრცეში, აკაკი წერეთლის შემდეგი გონებამახვილური სიტყვები კარგად წარმოაჩენს ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადაპტაციის აუცილებლობას. ქალებს აკაკისათვის **იგივე მნიშვნელობა ჰქონდათ, რაც ბარომეტრს ჰაერის ცვლილებაში.** თუ ქალები ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მაღალ საფეხურზე იდგნენ, მაშინ იმ ხალხსაც დარი *ედგა* და *თუ დაბლად იყვნენ ხალხის ცხოვრებაც იცარებოდა* (*წერეთელი*.1961:107).

ნიკო ნიკოლაძემ ქალთა საკითხს არაერთი წერილი უძღვნა. კრიტიკოსის რჩევაა, ქალებმა დაამტკიცონ, რომ მათ არავის შველა არ სჭირდებათ, პირიქით, სხვისი დახმარების უნარიც შესწევთ. *მხოლოდ ამ შემთხვევაში,* ფიქრობდა ის, *ქალი არ დაემსგავსება მოსამსახურეს, რომელსაც თავმომწონე და მედიდური პატრონი ლაზათიან სამოსს აცმევს და ხანდახან ალერსიან სიტყვასაც მიუგდებს. მოინდომეთ, ისწავლეთ, ეცადეთ, ერთმანეთს დაეხმარეთ და ბედნიერება თქვენს ხელშია* (*დროება*. 1869: №38 ).

ქალთა საკითხის ისტორიის კვლევისას ვაჟა-ფშაველა ფიქრობდა, რომ *დღეს ქალებიც თხოულობენ მამაკაცებთან თანასწორ უფლებას. სჯობს მიეცეს თუ არა რას იტყვი? მე ამ საკითხზე გაჭიანურებულ პასუხს არ მოგცემ... მე მხოლოდ ამას ვიტყვი: დიდად და დიდად საჭიროა დაკმაყოფილდეს ქალთა მოთხოვნილება. მჯერა, მწამს და ვერც ვერავინ შემაცვლევინებს ამ რწმენას* (*ვაჟა-ფშაველა*. 1964:116).

გიორგი წერეთლის შეხედულებით, საზოგადოებაში ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა, პირველ რიგში, ქალებისათვის ჯეროვანი განათლების მიღებაზე იყო დაფუძნებული. წერეთლის სურვილი იყო, რომ ქართველი ქალები ევროპაში გამგზავრებულიყვნენ და განათლება იქ მიეღოთ.

სერგეი მესხი მაგალითების მოხმობით თანამემამულეებს უმტკიცებდა, რომ ქალის ტვინსაც, ისევე, როგორც მამაკაცისას, ძალუძდა კაცობრიობის სასიკეთოდ მუშაობა და ყველა საქმისა და მოვალეობის შესრულება. მესხს მიაჩნდა, რომ *დედათა მონობისაგან თავდახსნისათვის* შემდეგი ღონისძიებების ჩატარება იყო საჭირო, კერძოდ: ქალებისათვის სამოქალაქო უფლებების *შეძენა*, მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და *ჭკუა-გონების* გახსნა *(ანუ ჯეროვანი სწავლა-განათლების მიღება)*. ქართველი ქალისადმი პატივისცემა და მათი პოზიცია საზოგადოებაში კარგად ჩანს, საერო მოღვაწეების გარდა, სასულიერო პირების შრომებშიც.

თანასწორუფლებიანობის დაცვისა და სამწერლო-კულტურულ სივრცეში ქცევის ახალი ნორმების დამკვიდრების გზა არ იყო ადვილი გასავლელი. XIX საუკუნის მწერალ ქალებს ხშირად უხდებოდათ თავიანთი *სამწერლო უფლებების* დაცვა და დამტკიცება, რადგან იყვნენ ისეთი კრიტიკოსებიც, ვინც ქალ მწერალთა ნაწერებს კაცების მიერ შექმნილ საუკეთესო ლიტერატურულ ნიმუშებს ადარებდნენ და ამ უკანასკნელთა უპირატესობას წარმოაჩენდნენ. ასეთი მცდარი მიდგომა ხელს უწყობდა, რომ ქალი მწერლები მეორეხარისხოვანი ლიტერატურის ავტორებად წარმოჩენილიყვნენ.

## კვლევის მეთოდი

საკვლევი მასალა ითხოვს ქრონოლოგიურ ჭრილში გამოყენებულ იქნეს კულტურულ-ისტორიული მეთოდი.

## შედეგი

ბარბარე ჯორჯაძე თანაბრად ცდიდა კალამს პოეზიასა და პროზაში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი პროზაული თხზულებები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ უკუღმართობათა მთელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მწერალი ქალის ბიოგრაფიასთან. ჯორჯაძის მოთხრობების სიუჟეტთა უმეტესობა კახეთზე ლეკების თავდასხმებს ეხება. ჯორჯაძე, რომელიც ტრადიციების მოწინააღმდეგეთა სასტიკი ბრალმდებელია, სიყვარულს დედაკაცის არსებობის უპირველეს მოვალეობად სახავს, რაც მის მოთხრობებშიც აისახა. მწერალი ქალის მოთხრობამ *„ტიტია და ივანემ“* მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პიკარესკული პროზის განვითარებაშიც. ბარბარე ჯორჯაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა მამათა და შვილთა ბრძოლაში. ცხადია, შეუძლებელი იყო, რომ ბარბარე ჯორჯაძის მსგავსი აქტივობის ადამიანი არ ჩართულიყო ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. მისი პიესა *რას ვეძებდი და რა ვპოვე* მყარად დამკვიდრდა ქართული თეატრის რეპერტუარში. სწორედ ამ პიესით რამდენჯერმე გაიხსნა თბილისის ქართული დრამის სეზონი. მწერალი ქალის *სამზარეულოს წიგნი* მართლაც სრული, უნაკლო და გამორჩეული ნაშრომია. წიგნმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული კულინარიის, როგორც კულტურის, ჩამოყალიბების საქმეში. ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია ჯორჯაძის *ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ*. ის ერთ-ერთი პირველი მოღვაწე ქალია, ვინც დაუფარავად გამოხატა სურვილი, ქალისათვის შესაფერი განათლების მიღების თაობაზე და ენების ცოდნის აუცილებლობაზე. ბარბარე ჯორჯაძემ თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც მანდილოსანმა მწერალმა, ვინც მხურვალე მონაწილეობა მიიღო თავისი ეპოქის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში.

## მსჯელობა

ბარბარე ჯორჯაძე რაფიელ ერისთავის და გახლდათ. მან წერა-კითხვა და პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. *უწინდელ დროში თავად-აზნაურობას თურმე საძნელოდ მიაჩნდა ქალის სასწავლებლად პენციონში მიცემა და ოჯახშივე ასწავლიდნენ საღმრთო-საერო წიგნებს...* – წერდა იგი ანასტასია თუმანიშვილს. თანამედროვეთა ცნობით, საღმრთო წერილის



გარდა, მან თითქმის მთელი *ვეფხისტყაოსანი* ზეპირად იცოდა, თავისი დროისთვის საკმაოდ განათლებულ ქალად ითვლებოდა და *ძველი მწიგნობრობაც ძალიან კარგად ჰქონდა შეთვისებული.*

ბარბარე ჯორჯაძეს პირად ცხოვრებაშიც ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, ის ცამეტი წლის ასაკში გაათხოვეს და ოჯახის გაძღოლის მთელი სიმძიმეც ყმაწვილ ქალს დააწვა მხრებზე. რაფიელ ერისთავისადმი მიწერილ ბარათში ვკითხულობთ: *რაც რამ მებადა ყველაფერი დავაგირავე ან გავყიდე.* მწერალმა ქალმა ეს როლიც ღირსეულად იტვირთა.

ბარბარე ჯორჯაძის პირველი ლექსი *სევდიანი ქალი მდინარის პირას მჯდომი* 1859 წელს, ჟურ. *ცისკარში* დაიბეჭდა. ჯორჯაძის ლექსები რომანტიკული ლირიკის ძლიერ გავლენას განიცდის და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქმე გვაქვს დაახლოებით ერთი ეპოქისა და სკოლის პოეტებთან, რომელთა მსგავსი განწყობილება და ლიტერატურული ტენდენციები ერთსა და იმავე ნიადაგზე იყო აღმოცენებული. პოეტ ქალზე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკას განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია. გაგიკვირდებათ და ჯორჯაძის პოეზიაზე ილია ჭავჭავაძის გავლენაც იგრძნობა.

აკაკი წერეთელთან კი მას საკმაოდ თბილი ურთიერთობა აკავშირებდა. აკაკის მწერალი ქალის ლექსი *არაგვი* განსაკუთრებით მოსწონდა. აკაკი იგონებს:

*მე რადგან ბარბარეს არ ვიცნობდი, ალექსანდრე ორბელიანმა წამიყვანა მის გასაცნობად. მწერალი ქალი სოფლიდან ჩამოსული, კერესელიძესთან ჩამომხტარიყო, რომელთანაც ნათელმირონობა ჰქონდა. სახლის პატრონმა ჩვენი მოსვლის მიზეზი რომ გაიგო ძალიან იამა და მითხრა: ის ქალი ახლა საკუთარ ოთახში ზის და წერს და ისე შეგიყვან უცბად, რომ თითონაც არ იცოდესო. მომავლო ხელი და ძალით წამიყვანა.*

აკაკი წერეთელი მას სოფიო ლიონიძეს ადარებდა და თვლიდა, რომ *იგი კეთილად ამოქმედებს თავის გონებას და განჭვრეტა საგნების რიგიანი და მართალი აქვს.* თავად ჯორჯაძე მგოსნის თაყვანისმცემელი იყო და რამდენიმე ლექსიც აქვს აკაკისათვის მიძღვნილი.

პოეტური ღირსების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ჯორჯაძის ლირიკა სამყაროს მხოლოდ რელიგიურ-მისტიური ხედვით, *წარსულის გარდამეტებული ქებით,* შეიძლება უფრო დაბლა დგას, ვიდრე მის წინამორბედთა, ან მის თანამედროვეთა მხატვრული ტექსტებია. ვახტანგ კოტეტიშვილი, როდესაც ჯორჯაძის შემოქმედებას განიხილავს, წერს, რომ *ძველი ენითა და იარაღით ახალი აზრისა და გრძნობის გამოთქმა შეუძლებელია* (კოტეტიშვილი 1965: 292), მაგრამ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ბარბარე ჯორჯაძე იყო *პირველი მერცხალი,* ვის შემდეგაც ჟურნალ *ცისკარმა* ფართოდ გაუღო კარი სხვა ქართველ მწერალ ქალებს.

ბარბარე ჯორჯაძე თანაბრად ცდიდა კალამს პოეზიასა და პროზაში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი პროზაული თხზულებები. ჯორჯაძის მოთხრობების სიუჟეტთა უმეტესობა კახეთზე ლეკების თავდასხმებს ეხება. ლეკიანობა საქართველოს სხვა მრავალ განსაცდელთან ერთად კიდევ ერთ დიდ უბედურებად მოევლინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ უკუღმართობათა მთელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მწერალი ქალის ბიოგრაფიასთან. ოჯახის წევრების მოგონებების თანახმად, ის ხშირად ყოფილა ლეკების შემოსევების თვითმხილველი.

ლეკიანობისადმი მიძღვნილ *ციკლში* ბარბარე ჯორჯაძემ რამდენიმე მოთხრობა გააერთიანა. *დიკლო შინაქოში* (ჯორჯაძე 1986:45) ავტორის საუკეთესო მოთხრობადაა მიჩნეული, რომელიც ტრაგიკულ კონფლიქტზეა აგებული. *შამილის ჯარის ჩამოსვლის დროს კახეთში 1854 წლის 4 ივლისს, თელავი და გაღმა მხარის სოფლები* (ჯორჯაძე 1986: 75) მოთხრობებში მწერლის განსაკუთრებული თანადგომა იგრძნობა ქართველი ქალისადმი. მკითხველი ადვილად რწმუნდება, რომ მთავარი პერსონაჟი თავად ბარბარე ჯორჯაძეა. ამის დასტური ერთ-ერთ ეპიზოდია, როდესაც თამაზ ჯორჯაძის მეუღლე თამარი, გაცხარებით შეებმება რამაზ ანდრონიკაშვილს: *ცოდვა არ არის, თქვენ კაცები გერქვათ, მე კი დედაკაცი.* ჯორჯაძე ერთერთი

პირველი ქართველი მწერალი ქალია, ვინც იუმორს მიმართავს, რითაც დამთრგუნველი სიტუაციის გადმოცემისას ერთგვარად ამსუბუქებს სათქმელს. მოთხრობებში: *შამილის ჯარის ჩამოსვლის დროს კახეთში 1854 წლის 4 ივლის ქისტაურს* (ჯორჯაძე 1986: 63) და *შამილის ჯარის ჩამოსვლის დროს კახეთში 1854 წლის 4 ივლის ახმეტა* ტექსტებში კარგად არის დაჭერილი ქართველის ბუნებისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი იუმორი და უდარდელობა. ბარბარე ჯორჯაძე, ლეკიანობისადმი მიძღვნილ მოთხრობების ციკლში გულწრფელი, არსებობის საზრისზე, სიკვდილ-სიცოცხლის, სიკეთისა და ბედნიერების პრობლემაზე ჩაფიქრებულ მწერლად წარმოგვიდგება, ვისთანაც ადამიანობის რაობა მჭიდროდ უკავშირდება მოვალეობისა და ზნეობრიობის ცნებას. ავტორის მიზანი ყოველთვის მოსალოდნელი უბედურების წინაშე ადამიანში გადარჩენის ინსტიქტის გაღვიძებაა და არა შემგუებლობისა და *ჭირთა თმენის* შეგრძნების ჩანერგვა. გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტსაც, რომ უმეტეს შემთხვევაში, ჯორჯაძის ნოველების მთავარი პერსონაჟი ქალია. მწერალი კარგად გრძნობს და ადვილად ხვდება, თუ როგორ მოიქცევა ქალი ამა თუ იმ სიტუაციაში და რა გამოსავალს იპოვნის შექმნილი ვითარებიდან, მნიშვნელობა არ აქვს მოთხრობის გმირი თავადის ქალია თუ უბრალო გლეხის გოგო.

საინტერესოა, რომ ავტორი, რომელსაც საზოგადოება, როგორც ტრადიციების მოწინააღმდეგეთა სასტიკ ბრალმდებელს, მორალის კანონებისა და ზნეობრივი საფუძვლების ერთგულ დამცველად იცნობდა, სიყვარულს *დედაკაცის არსებობის უპირველეს აზრად* და *ბედნიერებად* მიიჩნევს და ძალადობრივი ქორწინების სასტიკი მგმობელია[1], მაგალითად, მოთხრობაში *„სოფელი ხევთა პირას“. „თაზო მომღერალში“* კი სიყვარული სოციალური ბარიერის გამო იმთავითვე განწირულია. არაორდინარულ თემატიკაზეა აგებული *„ალავერდობა“. „დარეჯან გულის პასუხის“ შემდეგ ქართველი მკითხველი მოუთმენლად ელოდა ბარბარე ჯორჯაძის ახალ ნაწერებს. მოთხრობას, „ტიტია და ივანე,“* მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის *ქართული პიკარესკული პროზის განვითარებაში* (ბრეგაძე 2011: 138). საგულისხმოა, რომ მწერლის მოთხრობები შეიცავს უხვ ეთნოგრაფიულ ცნობებს, ტრადიციების, ადათ-წესების, რიტუალების ჩატარების შესახებ. ძველ, ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო ამბებს, ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ საინტერესო ისტორიებს. მოთხრობები გამოირჩევა გულახდილობით, თითქოს მარტივი სიუჟეტით, ტრაგიკული სიტუაციის კომიკური ინტერპრეტაციით, რიგ შემთხვევებში ავტობიოგრაფიული სიცხადითა და საკითხის კატეგორიული დაყენებით. თუმცა, ყველა დროს თავისი გამოხატვის ენა აქვს და ანტონ კათალიკოსის *მაღალი შტილით* ხელოვნურად შექმნილი ენით დაწერილმა ტექსტებმა მომდევნო თაობის მკითხველ აუდიტორიაში გაართულა მწერალი ქალის ტექსტების აღქმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქართულ სინამდვილეში სოციალურ ძალთა ახალი გადაჯგუფება იწყება და ილია ჭავჭავაძის ინიციატივით სულიერ ფასეულობათა გადაფასების ხანა დგება. უფროსი თაობის მხატვრული ტრადიციებისადმი მომდევნო თაობის საკმაოდ მძაფრი დაპირისპირება ცალკეულ მწერალთა *უბრალო ახირების* შედეგი არ ყოფილა. იგი მწერლობის ძირეული ცვლილებების მოთხოვნილებით იყო ნაკარნახები. ერთმანეთს დაუპირისპირდა არა მარტო ორი თაობა, არამედ ორი მრწამსი, ცხოვრების ორი წესი. განხეთქილება პირველად *წმინდა ლიტერატურული* საკითხების, უმთავრესად ენის, გარშემო ჩამოვარდა. ახალი თაობისათვის ამ დავაში წმინდა ლიტერატურულ საკითხებს უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე საერთო მსოფლმხედველობას, *ქ. ირემაძე* უფროს და უმცროს თაობებს შორის დაპირისპირების არსს განმარტავს: ახალი ლიტერატურული მოთხოვნილებები და ინტერესები, რომლებიც მოჰქონდათ *შვილებს*, მოითხოვდა ახალ გამოთქმით ფორმებს, ახალი დროის შესაფერისი სალიტერატურო ენის (ლექსიკურ, ორთოგრაფიულ და გრამატიკულ) სისტემას. ბარბარე ჯორჯაძის წერილიც, *განრკვევა* 1860 წლის *ცისკრის* № 3-ში დაიბეჭდა.

*განრკვევამ* ქართულ საზოგადოებაში საოცარი ვნებათაღელვა გამოიწვია. სტატიის გამოქვეყნებამდე რედაქტორმა კერესელიძემ განცხადება დაბეჭდა, რომელშიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა სამწერლო ასპარეზზე ქართველი ქალის, ბარბარე ჯორჯაძის წარმატებულ დებიუტთან დაკავშირებით: *ბრწყინვალეო კნეინა, ბარბარე ჯორჯაძევ! მშვენიერის კალმით ნაღვაწი თხზულება თქვენი წერილით, სადაც მსჯელობთ გონივრულათ, მივიღეთ რედაქციაში, რომელიცა ფრიად მოხარულია თქვენის ამ საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის, დიდათა გმადლობთ. არ არის ეჭვი, თქვენის მიხედვით, გაბედამენ უპატივცემულესნი მწერალნი ქალნი თავიანთ ნაღვაწის გამოგზავნას* (*ცისკარი,* 1859:1).

*განრკვევა* პასუხია ლავრენტი არდაზიანის *ცისკარშივე* დაბეჭდილ კრიტიკულ სტატიაზე. არდაზიანმა, ფაქტობრივად პირველმა, პრინციპულად დააყენა სამწერლო ენის გამარტივებისა და მის სასაუბრო ენასთან დაახლოების საკითხი. ბარბარე ჯორჯაძემ სრულიად საპირისპირო პოზიცია დაიკავა. იგი განსაკუთრებით არდაზიანის საღმრთო წერილის ენის წინააღმდეგ გალაშქრებამ აღაშფოთა. ის ძველ სალიტერატურო ტრადიციებზე იყო გაზრდილი და ბოლომდე ამ ტრადიციების ერთგულ მიმდევრად დარჩა. როგორც ცნობილია, არდაზიანმა ამ გამოწვევას არ უპასუხა.

ჯორჯაძის წერილი *რამდენიმე აზრი ახლანდელს მდგომარეობაზედ* (*ცისკარი.* 1860: № 11) შეფასდა, როგორც *ტრადიციის აფეთქება ახალი განათლების პირთა წინააღმდეგ, ვინც ამაყობდა რელიგიურ დოგმებისადმი ურწმუნოებით.* 1861 წელს ქვეყნდება ბარბარე ჯორჯაძის კრიტიკული წერილი *ანუკა ბატონიშვილის მოთხრობაზედ* (*ცისკარი,* 1861:3). სტატია *კნ. ნინა ერისთავის* ფსევდონიმით იბეჭდება და გრიგოლ რჩეულიშვილს ეხება. ავტორი ტენდენციურად არის განწყობილი გრ. რჩეულიშვილის მიმართ. ჯორჯაძის რწმენით, მწერალმა *წასაბაძ ნიმუშად უნდა დასახოს და სამაგალითოს სახით აჩვენოს ჩვენი წარსული, თუ რა ცუდი იყო ძველად, არ უნდა გაამჟღავნოს.* ის რჩეულიშვილს დანაშაულად უთვლის და ბრალს სდებს მას, რომ *შემოქმედებით ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცა,* სახელოვან ისტორიულ პერსონაჟებთან ფამილარული დამოკიდებულება გამოხატა და სამეფო კარის შინაური ამბები დამცინავად აღწერა. მსგავსი რამ არ მოხდებოდა ქართველ დიდებულთა ცხოვრებაშიო – წერს იგი. მწერალმა ქალმა რჩეულიშვილს, *კახეთის მებუკის* ფსევდონიმით მეორე წერილიც დაუწერა, რომელშიც უკვე *ცისკრის* რედაქციას *უყენებს სასტიკ* დანაშაულს მკრეხელური ნაწარმოების გამოქვეყნებისათვის:

*გამოსცეს უსხოლიოდ, ჩვენი თავის მოსაჭრელად. <...> ეხლაც შევნატრით იმ ძველს დაკრძალულებას და ზეციურს სიმშვიდეს.* როგორც ცნობილია, რედაქციამ, თუმცა *ქარაგმულად,* მაგრამ მაინც გაღიზიანებული შენიშვნა დაურთო, *საიდანაც ნათლად ჩანს, რომ გრიგოლ რჩეულიშვილს უჭერდნენ მხარს,* მიუხედავად ამისა, ქალის *სამწერლო სარბიელზე მოკამათედ* გამოსვლამ დიდი ყურადღება მიიპყრო და საერთო აღტაცება გამოიწვია. როდესაც თავადებმა, გადაწყვიტეს, გრ. რჩეულიშვილს ფიზიკურად გასწორებოდნენ, რადგან რჩეულიშვილი ძველ ტრადიციებზე აღზრდილ თავადაზნაურობაში წარმოუდგენელ პროტესტს იწვევდა, ჯორჯაძეც მათ მხარეზე დადგა: *„...ჰოი, რა დღე დააყენეს, მიეხვივნენ და კინაღამ დააღრჩვეს* –კმაყოფილი წერდა ის.

1861 წლის *ცისკრის* მეოთხე ნომერი ეთმობა ილია ჭავჭავაძის წერილს *„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის შეშლილის თარგმანზედ,* რომელიც ახალი *ლიტერატურული სკოლის მანიფესტად შეიძლება ჩაითვალოს* (ქიქოძე 1965: 241). ამ წერილში პირველად გაუღერდა ქართველი ერისთვის ილიას საპროგრამო სიტყვები: *სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.*

ილია დარწმუნებული იყო, რომ სალიტერატურო კრიტიკა *ყოველგვარი ყიზილბაშობისა და პირმოთნეობისაგან* თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ის ილაშქრებს *სენტიმენტალური, ყალბი გრძნობის, მტირალა და წირპლიანი მწერლების წინააღმდეგ <...> მწერალმა გვერდი უნდა აუაროს წარსულ დროთა სიცრუესა და ცდომილებას* (*ცისკარი.*1861: №4). ჭავჭავაძე *ზედმიწევნით პროფესიულად* განიხილავს თარგმანისა და სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულე-

1 ის 12 წლის ასაკში კახელ თავად ზაქარია ჯორჯაძეს მიათხოვეს. მე ისეთი პატარა ვიყავ, ჯვარს, რომ გვწერდნენ თამაშობა მეგონაო“ – იხ. (ციციშვილი. 2015:).

ბათა პრინციპულ პრობლემებს. ის სასტიკად გმობს მხატვრული აზროვნების შეზღუდულობას, *ფორმალისტურ კოპწიაობას*, რიტორულ მეტყველებას, *ღვარჭნილ სტილს.*

ილია ქართული ენის საკითხებს ეხება. მისი თვალსაზრისით, *ადამიანის ენა*, ისევე, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, იცვლება, ვითარდება, <...> რახან თანამედროვე და ძველი დროის ქართველის მეტყველებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა, ამიტომ ერთიმეორისგან უნდა განირჩეოდეს თანამედროვე სალიტერატურო და ძველი ლიტერატურული ენა. ილიას აზრით, ქართული ენა უნდა გამარტივებულიყო, დაახლოებოდა ხალხურ მეტყველებას, გაწმენდილიყო ყოველგვარი არქაიზმების, რუსიზმებისა და ძველი ასოებისგან, რადგან მათი გამოყენების საჭიროება აღარ არსებობდა, რაც თავის მხრივ, მართლწერის გაადვილებას გამოიწვევდა. ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, რომ *ხალხი იყო ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა* (*ცისკარი* .1965: №2).

*ცისკრის* იმავე ნომერში დაიბეჭდა ილიას ლექსებიც: *გაზაფხული, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გახსოვს ტურფა.* ჭავჭავაძის წერილმა *ცისკრის* ფურცლებზე ცხარე პოლემიკა გამოიწვია. მას ძველი თაობის რამდენიმე წარმომადგენელი – *რევაზ ერისთავი, მიხეილ ბარათაშვილი* და *ბარბარე ჯორჯაძე* გამოეპასუხა. მათში ყველაზე აქტიური ჯორჯაძე გახლდათ. *ძველთაგან ილიას ყველაზე დიდი ბრძოლა ბარბარე ჯორჯაძემ გაუწია.* (კოტეტიშვილი 1965: 290).

მწერალი ქალი არ შეხებია იმ საკვანძო საკითხებს, რომელიც ჭავჭავაძემ ყურადღების ცენტრში დააყენა, ის მხოლოდ ენის საკითხებით შემოიფარგლა. *დიდებულ არიან კანონნი, რომელნიც არიან მართალნი და რომელთაცა გამოცვლა დიდი გმობა უნდა იყოს <...> ყოველი ამათ განხილვა, გამოძიება და ახალთ კანონთა დადება ჩვენი საქმე არ არის <...> ენაში როგორ შემოურევს ამ უშვერს, მორყვნილს, ბიჭბუჭურ სიტყვებს* – წერდა იგი. მას დაუშვებლად მიაჩნდა ქართული ანბანიდან იმ შვიდი ასოს ამოღება, რომელთა შესატყვისი ბგერები, ილიას აზრით, ქართველთა მეტყველებაში აღარ ისმოდა. ჯორჯაძის პოლემიკურ წერილში, *რამდენიმე სიტყვა თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ*, მწერალი ქალი კატეგორიულად აყალიბებს თავის პოზიციას, ის ერთგულად იცავდა ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორიის *ჟანრობრივ რეგლამენტს.* ანტონ კათალიკოსის *თეორეტიკით და კატეღორიებით* დამძიმებული ენის უცვლელობის დაცვაში ხედავდა *ეროვნულ-ისტორიული საფუძვლების სიმტკიცის აუცილებელ პირობას* – წერდა ქართული კრიტიკა. მწერალმა ქალმა თავისი პოზიციების განსამტკიცებლად *ცისკარში* დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის *გაზაფხულიც* დაიწუნა. ეძებდა რა მათში გრამატიკულ შეუსაბამობებსა და შეუფერებელ გამოთქმებს: *ილია ჭავჭავაძეს რაც მოხვდება და როგორც იმისათვისა სწერს, რომ გაუგონია პოეტების ფანტაზიას თავისუფლება აქუსო და პოეტებს ამგუარები მიეტევებათო, ზემოთ შემეძლო მეთქო აბრახუნებს მეთქი.* მწერალი ქალი ილიას სასტიკად უწუნებდა სალიტერატურო სივრცეში უცხო სიტყვების – ესთეტიკურის, სენტიმენტალურის, დრამატიზმის და სხვათა შემოტანას. *სასაცილონი იყვნენ თავისი უშვერობითა* – წერდა იგი. ილია ჭავჭავაძემ თავის საპასუხო წერილში (*ცისკარი*.1861:№6) სრული თანმიმდევრობით დაარღვია ჯორჯაძის მცდარი, არქაული შეხედულებები ენისა და მეტყველების საკითხთან დაკავშირებით. ამხილა რა მისი *მოსაზრებათა უსუსურობა, ხელოვნებითი თეორეტიკა,* რაც ილიას *სქოლასტიკოსობის ნაშთად* მიაჩნდა.

1861 წლის *ცისკრის* მეშვიდე ნომერში რედაქცია მიმართავს მწერალ ქალს, *რომ სამწუხარო მიზეზის* გამო ისინი ვერ ბეჭდავენ მის სტატიას და შემდეგ ნომერში წერილის აუცილებელ გამოქვეყნებას პირდებიან. რედაქცია იქვე მიანიშნებს, რომ: *ამით დაასრულებენ ურთიერთმანეთს შორის სასტიკ ბაასს.* ჯორჯაძის *პასუხს პასუხი* შემდეგ ნომერშიც არ გამოქვეყნდა. ამჯერად რედაქცია საცენზურო კომიტეტში მის დაკარგვას იმიზეზებდა. ილიასადმი რისხვით აღვსილი ჯორჯაძის წერილი *პასუხს პასუხი ცისკრის* მეცხრე ნომერში იბეჭდება (*ცისკარი*. 1861: № 9). *მე აზრადაც არ მქონდა პასუხის გაცემა,* – წერს ჯორჯაძე, – *მაგრამ რადგან ჭავჭავაძის პასუხი შორავს ზრდილობას და უშვერობით დაუბადებია ახალი ენა. <..> ჩვენი ენა დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი, მხოლოდ გზა აბნევია თქვენებრ მწერალთა წყალობით* („ცისკარი".1861:№ 9). ჯორჯაძე იწონებდა ილიას გაკრიტიკებულ ლექსს: *არჩილ კახიებრ ბალასანკინა მოებრ, ... აქ რა არი ზნეობის შემარყვნელელი სიტყვა* – უკვირს მას, *რით არ სჯობია ბიჭბუჭების ლექსებს, რომელსაც თქვენ აქებთ ხოლმე.* (*ცისკარი*.1861:№ 9).



ჯორჯაძის ილიასადმი მიძღვნილ წერილებში, შეიძლება ითქვას, მოწინააღმდეგის დამცირება უფრო მეტია, ვიდრე დასაბუთებული კრიტიკა, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჯორჯაძე ღრმად იყო დარწმუნებული თავისი პოზიციის სისწორეში. მისთვის არ არსებობდა საკუთარი ადამიანური ენერგიის, ძალის, ნიჭისა და უნარის გამოვლენის სხვა ასპარეზი, გარდა მწერლობისა. საგულისხმოა, რომ ბარბარე ჯორჯაძეს ჰყავდა თავისი გულშემატკივრებიც, ჟურნალ *ცისკრის* რედაქციაში – ი. კერესელიძე, დ. ბაქრაძე, *რეაქციონერები* აღტაცებული იყვნენ ჯორჯაძის ტრადიციებისა და შეხედულებების ერთგულებით. *ცისკრის* რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობდნენ ჯორჯაძეს, რადგან მოითხოვდნენ მწერალი ქალებისადმი მეტ პატივისცემას.

აკაკი გაწერელია არქაისტული ენის დამცველ *უკიდურეს წარმომადგენლებად* თვლიდა: *გრ. ორბელიანს, პლ. იოსელიანს, ხოლო საშუალოთ – ალ. ორბელიანს, სარ. ალექსიევ-მესხიევს, ბარ. ჯორჯაძეს და გ. ბარათაშვილს* (*გაწერელია*.1962:122).

ცხადია, შეუძლებელი იყო, რომ ბარბარე ჯორჯაძის მსგავსი აქტივობის ადამიანი არ ჩართულიყო ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. ქართული მწერლობა ყოველთვის მეთაურობდა ქართულ თეატრალურ ცხოვრებას. როგორც ჩვენი კლასიკოსები წერდნენ, სცენიდან წარმოთქმული ყოველი ცოცხალი სიტყვა თავისი ზემოქმედებითი ძალით გამოირჩევა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ამიტომაც არის თეატრი *ტრიბუნა* ეროვნული იდეალების გამოსახატავად. დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოსათვის კი სწორედ თეატრში *აქცენტირდებოდა ეროვნული ენის შენახვისა და ეროვნული ცნობიერების ამაღლების პრობლემა.* 1850 წლიდან დაწყებული, თითქმის მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქართულ სცენაზე გიორგი ერისთავის სკოლის დრამატურგია იყო გაბატონებული. მან პირველმა მოგვცა *თეატრის სამყარო* და განსაზღვრა მისი მიმართულება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბარბარე ჯორჯაძის ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. მისი დრამატურგიული მოღვაწეობა 1862 წლიდან იწყება, როდესაც სახაზინო თეატრის სცენისმოყვარეებმა 17 თებერვალს მწერალი ქალის დრამა – *„შური"* დადგეს. პეტრე უმიკაშვილი ამ ფაქტს უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევდა: *დრამამ საზოგადოებას გაახსენა ქართული სცენის საჭიროება და მიძინებისგან გამოაფხიზლა იგი* (*უმიკაშვილი.* 1899: 211). ბარბარე ჯორჯაძის სასახელოდ, მისი კომედიით – *რას ვეძებდი და რა ვპოვე* – გაიხსნა 1879 წლის 5 სექტემბერს განახლებული ქართული პროფესიული თეატრის პირველი სეზონი. ამ მოვლენას *ქართული თეატრის მზის მობრუნება ეწოდა.* სწორედ XIX საუკუნის ქართულმა დრამატურგიამ, კერძოდ, გიორგი ერისთავმა, დაუდო საფუძველი, *განამტკიცა ქართული სასაუბრო ენა* და ჩვეულებრივი სიტყვებით აალაპარაკა თავისი გმირები *(ვახტანგ კოტეტიშვილი).* როგორც ნონა კუპრეიშვილი წერს: *დრამატურგია ყოველდღიურობის გახმოვანების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რომელიც წერის თვალსაზრისითაც ფრიად ეკონომიურია, შესაძლებლობებით კი მრავალფეროვანი. მწერლობის ამ დარგს ახასიათებს ცხოვრებისეული სცენისა და კულისებისადმი ერთნაირი ინტერესი და ამიტომაც თვითგამოხატვის საშუალებად ინტონაციებით მდიდარ მეტყველებას ირჩევს, რაც პერსონაჟებს მათ სოციალურ სტატუსსა თუ რეგალიებზე არანაკლებად ახასიათებს* (კუპრეიშვილი. 2017:) ბარბარე ჯორჯაძის დრამატული ტექსტების ენას თუ გადავხედავთ, ის უფრო ახლოს დგას ცოცხალ სასაუბრო ენასთან, განსხვავებით მისი პროზისა და პოეზიისაგან. ეს გარემოება არცაა გასაკვირი, რადგან ზოგადად, დრამატურგიის ენა უფრო გასაგებია, რაც ამ ჟანრისათვისაა დამახასიათებელი. დრამატურგი მის თანადროულ სასაუბრო ენას იყენებს პერსონაჟის ხასიათის გამოსაძერწად.

ბარბარე ჯორჯაძის პიესების სიუჟეტები უმთავრესად საყოფაცხოვრებო არაკზეა დამყარებული, მაყურებელი მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა და მხიარულებას, სიცილს, ხშირ შემთხვევაში კი თანაგრძნობასაც იწვევდა. *ჯორჯაძეს ქართული თეატრის განვითარების საქმეში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის. მისი შემოქმედება იყო ის ხიდი, რომელზედაც ქართულმა*

*თეატრმა უგზოობისა და ძნელბედობის დროს გადაიარა* – წერდა დროება (დროება. 1879:182). სერგეი მესხის თვალთახედვით: *მშვენიერია ენითაც, შინაარსითაც სცენის მხრითაც.* გიორგი ერისთავის ვაჟი დავითის აზრით : *კნ. ბ.ჯორჯაძეს მიმადლებული ჰქონდა საუცხოო დრამატული ნიჭი. იგი თავისი პიესების მასალას იმავე წყაროდან იღებდა, საიდანაც თავ. ერისთავი და ანტონოვი. მასაც, როგორც იმათ, მთავარ მოქმედ პირებად აუცილებლად ჰყავს: ქართველი მემამულე, გლეხები, ბობოლა სომეხი, შემდეგ მდიდარი სომხის ქალი, რომელიც კნეინობას ეძებს კოტრ ქართველ თავადზე გათხოვების მეშვეობით. იმ დროს, როცა ზემოთხსენებული მწერლების მთელი კომიზმი ფარსებში და ბალაგანურ ქარაგმებში იყო ჩაქსოვილი, კნ. ჯორჯაძის ცხოვრებისეული სინამდვილე და კომიკური ვითარება პირველ პლანზე აქვს წამოწეული.* 1898 წლის *ცნობის ფურცელში* მიხეილ ნასიძე ბეჭდავს რეცენზიას: *ჯორჯაძე ისტორიულად ადრე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, იმ დროს როდესაც ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა ფეხს იდგამდა. მას შემდეგ ჩვენი ლიტერატურა გაიზარდა, ჰასაკში მოვიდა და ამიტომ უსამართლო იქნებოდა წავუყენოთ ავტორს დღევანდელი მოთხოვნილებანი* (*ცნობის ფურცელი.* 1898:703).

ბარბარე ჯორჯაძემ ხუთი პიესა დაწერა: დრამა *„შური“*, კომედია *„რას ვეძებდი და რა ვპოვე“*, კომედია *„მკითხავი“*, ისტორიული დრამა *„მშვენიერი კეკელა“* და ვოდევილი *„სარკით მოტყუება“*. *„შური“* და *„რას ვეძებდი და რა ვპოვე“* ბარბარეს თხოვნით მის ძმას, რაფიელს ჩაუსწორებია. პიესაში *„შური“* (*„ცისკარი“*.1862:№2) მოქმედება ვახტანგ ზარიბძის ოჯახში ხდება. ვახტანგი XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისთვის კარგად ნაცნობი, კეთილი, წარსულზე მომტირალი, *გონებადახშული* თავადის განსახიერებაა. დრამაში წმინდა ადამიანური, პიროვნული ხასიათების კონფლიქტია. ზარიბძის ქალიშვილსა და მის შეყვარებულს შორის ჩადგომას, ვახტანგისავე ოჯახში გაზრდილი ობოლი სიდონია ცდილობს. (სათაური *„შური“*-ც ამაზე მიგვანიშნებს – თ.ც.). ავტორის სათქმელიც სწორედ ის არის, რომ სულიერად უანგარო და ზნეობრივად მანკიერი, სათნო და მდაბალი ადამიანები საერთო ენას ვერასდროს გამონახავენ. ერთი ადამიანის სულიერი დეგრადაცია, ყოველთვის მეორე ადამიანის უბედურებას იწვევს. ანგარება, მოტყუება ფულისათვის და ფული მოტყუებისათვის, აი ამ ორ *ცნების კიდეთა შორის მოთავსებულ რკალში* მოქმედებენ მისი გმირები. მწერალი ხვდება, რომ ლიტერატურის ობიექტი უკვე ყოფითობა, ყოველდღიურ, ყოველგვარ ამაღლებას მოკლებული ცხოვრება გამხდარა. *„შური“* შეიძლება დღევანდელ მკითხველზე ნაძალადევ შთაბეჭდილებას სტოვებდეს, სამაგიეროდ, პიესა მწერლის სიცოცხლეშივე, ქართული თეატრის სცენაზე არაერთხელ წარმატებით დაიდგა. *შურის დამთავრებისას მაყურებელთა ტაშის კვრა და ძახილი შეიქმნა მთხზველი ქალის ქებისა. მწერალი ქალი იჯდა ზემოთ ლოჟაში მშვენიერი სახით და მინამ არ გადაუხადა მადლობა არ შეწყვეტილა ტაშის კვრა* (*ცისკარი.* 1862:№2). ის პირველად 1861 თბილისში გათამაშდა. 1862 წლის 17 თებერვლის წარმოდგენას თავად ავტორი დასწრებია. ქართული პრესა მყისიერად გამოეხმაურა ამ ფაქტს. *„შურის“* ცალკეული გამოცემაც ერთბაშად გასაღდა და სცენაზეც წარმატება ხვდა წილად. *უნდა გენახა წარმოდგენაზე რა ამბავი იყო* – წერდა ივანე კერესელიძე რაფიელ ერისთავს.

1865 წელს ჟურნალ *ცისკარში* (*ცისკარი.*1865: № 9) დაიბეჭდა, ბარბარე ჯორჯაძის პიესებში ყველაზე საინტერესო, სამმოქმედებიანი კომედია, *„რას ვეძებდი და რა ვპოვე“*. თუ გადავხედავთ XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიას, დავინახავთ, რომ მასში ყველაზე განვითარებული ჟანრი კომედია იყო. კომედიამ, იმ პერიოდის თეატრის რეპერტუარში, არა მარტო წამყვანი ადგილი დაიკავა, არამედ ეროვნული სცენური ხასიათების შექმნის წყაროდაც *კომედიური ტიპი გახადა.*

ბარბარე ჯორჯაძის ეპოქის თავადაზნაურობის მცირე ნაწილი, ინდივიდუალური მიდრეკილებების, ხასიათის სიმტკიცისა და ნებისყოფის დაძაბვის წყალობით სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებდა. ბევრმა მათგანმა კი, პირიქით, ახალ ცხოვრებას ალღო ვერ აუღო. უქმად დროს ტარებაში, შეძლებაზე *გარდამეტებულ ხარჯვაში*, ამპარტავნებასა და სიზარმაცეში ქონებას კარგავდა, რომელსაც სომეხი ვაჭრები იოლად *გადაიბარებდნენ* ხოლმე. უსახსროდ და უსაქმოდ



დარჩენილი ქართველობა, ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვებით, *„გონებრივად მთვლემარე და ზნეობრივად ციებით შეპყრობილი,* სომეხ ვაჭართა ქვრივებზე და ქალიშვილებზე დაქორწინებით ცდილობდა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო გასათხოვარი, სომხის შეუხედავი საპატარძლოები კი ქართველ კნეინებად გახდომაზე ოცნებობდნენ. ქართველები ვაჭრობას ჯერ არ კადრულობდნენ, ამ კასტის წარმომადგენლებსაც ქედმაღლურად უყურებდნენ, თუმცა, მათი ქონებით სარგებლობას არ თაკილობდნენ. გერონტი ქიქოძის შეხედულება რომ მოვიშველიოთ, ხდება *რაინდის გასოვდაგრება. „რას ვეძებდი და რა ვპოვე“* XIX საუკუნის ქართველებისათვის სწორედ ამ მტკივნეულ და საჭირბოროტო თემას ეხება. პიესის კომიკური არსი კომპოზიციაში პოულობს გამოხატულებას. მხოლოდ წარსულ დიდებაზე დამყარებული ამბიციით შეპყრობილი, ახლა კი დაგლეჯილ *ჩერკესკაში* გამოწყობილი იულონ სიმირიძე გამოსავალს მდიდარი სომხის ქალზე დაქორწინებაში ხედავს. იულონის ყოფას ცხოვრების სირთულე თავის დაღს ასვამს და ზნეობრივი არჩევანის წინაშე აყენებს. კომედიაში *„რას ვეძებდი და რა ვპოვე“*, სიუჟეტური ხაზის განმავითარებელი პროფესიონალი მაჭანკალი ქალია, რომელიც სიმირიძეს მდიდარი სომხის *შოვნაში* ეხმარება. საპატარძლოს ჩვენების ეპიზოდში სხვა ქალის ჩვენება, მისტიფიკაციის ეს ხერხი, ქართულ დრამატურგიაში პირველად სწორედ მწერალი ქალის პიესაში გვხვდება. მან პირველმა, ქართულ კომედიაში, შემოიტანა მაჭანკალი ქალის ნიღაბი, ერისთავთან და ანტონოვთან ამ როლში ყოველთვის მამაკაცები გვევლინებოდნენ. გადის დრო, სუნდუკიანცისა და ცაგარელის პიესებში მაჭანკლის სახე განვითარებას ჰპოვებს და უფრო რელიეფური და მრავალფეროვანი ხდება. ჯორჯაძის, ჭავჭავაძის, ცაგარელის, სუნდუკიანცის მაჭანკლები ერთმანეთს ჰგვანან თავიანთი საზოგადოებრივი ნიღბით, მაგრამ ინდივიდუალური განსხვავებაც გააჩნიათ (დავითაია 1975: 83). ვალერიან გუნიამ პირველმა შენიშნა ჯორჯაძის მაქთაღასა (*„რას ვეძებდი და რა ვპოვე“*) და ცაგარელის ხანუმას შორის მსგავსება, ისინი მართლაც დებივით ჰგვანან ერთმანეთს. კარგად, რომ დავუკვირდეთ, მათ ერთნაირი ფრაზები, სიტყვები და ტირადები აქვთ, მაგრამ, განსხვავებით მაქთაღასგან, ხანუმა გაქნილი პროფესიონალი, კეთილი და მიმზიდველი ოინბაზი, იუმორით აღსავსე, ავ-კარგიანი ქალბატონია. ქართულ დრამატურგიას ცაგარელის ხანუმამდე კეთილი მაჭანკლის ნიღაბი არც ჰყოლია.

ბარბარე ჯორჯაძის პიესაზე პრესაში ერთიმეორის მიყოლებით აღტაცებული რეცენზიები იბეჭდება. ბოლო წლებშიც კი კომედია *„რას ვეძებდი და რა ვპოვე“* მტკიცედ იყო დამკვიდრებული ქართული თეატრის რეპერტუარში. *ამ პიესით რამდენჯერმე გაიხსნა თბილისის ქართული დრამის სეზონი* (*ცისკარი.*1862:№2). ჯორჯაძე ყოველთვის ესწრებოდა თავისი პიესების დადგმებს. *„რას ვეძებდი და რა ვპოვეს“* პრემიერაზე ოჯახის წევრების მოგონების თანახმად, ავტორი მეტადრე კმაყოფილი დარჩენილა, რადგან სცენაზე ზედმიწევნით ხორციელდებოდა თითოეული მისი ჩანაფიქრი და ნაზრახი. იმ პერიოდის მკითხველისა და მაყურებლისთვის კომედიაში მძაფრი დრამატული კოლიზიაცაა – გრძნობათა, ინტერესთა და გარემოებათა შეჯახება. პიესაში თითქოსდა სიძულვილის ადგილი არ რჩება და ის აღშფოთების ნაცვლად ადამიანებში მხოლოდ სიცილს იწვევს.

ავტორის დანარჩენი პიესები *„მშვენიერი კეკელა“* (ისტორიული დრამა), კომედია *„მკითხავი“* და ვოდევილი *„სარკით მოტყუება“* საკმაოდ სუსტი პიესებია. ბარბარე ჯორჯაძე, როგორც მსახიობი, მონაწილეობდა განახლებული ქართული თეატრის წარმოდგენებში, მის არტისტულ ტალანტს მაშინდელი რეცენზენტები კარგ შეფასებას არ აძლევდნენ, თუმცა ის ფაქტი, წერდნენ კრიტიკოსები, რომ იგი სცენაზე მონაწილეობას იღებდა, ბარბარე ჯორჯაძის პიროვნების დახასიათებისათვის მაინც მნიშვნელოვანია.

ლიტერატურასა და ხელოვნებას თავისი დაუწერელი კანონები აქვს. საკმაოდ ხშირად დრამატურგი უცებ აღზევდება და ხდება პოპულარული, მაგრამ შემდეგ მალევე ივიწყებენ მას. ეს სულაც არ არის გასაკვირი და არც მწერლის ღვაწლს აკნინებს, რადგან, ბუნებრივია, წლებისა და, მით უმეტეს, საუკუნეების შემდეგ ჯორჯაძის ოდესღაც წარმატებული პიესები, სხვა თაობისა და განსხვავებული მენტალიტეტის მქონე მკითხველ აუდიტორიაში შეიძლება ისეთ ემოციას აღარ

აღძრავს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ეპოქასა და კულტურულ-ლიტერატურულ კონტექსტს ენიჭება. ლიტერატურამ იცის მწერლები, რომელთა შემოქმედება მაღალმხატვრულობით არ გამოირჩევა, მაგრამ ისინი გარდაუვალი ისტორიული მნიშვნელობისანი არიან, რადგან კლასიკოსებთან ერთად ქმნიდნენ შემოქმედებით გარემოს და ხელს უწყობდნენ მკითხველთა გემოვნების განვითარებას.

ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია ჯორჯაძის *„ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“* (*კვალი*.1893:14). ავტორისათვის ყოვლად მიუღებელია ქალებისადმი არსებული დამოკიდებულება, რახან ქალად დაბადებულხარ, სწავლა რა შენი საქმეაო. კაცი უნდა მიხვდეს და შეიგნოს, რომ განათლებული „დედაკაცი“ ნებისმიერ საქვეყნო საქმეში ღირსეულად იდგება მეუღლის გვერდით. ქალს *პირუტყვულმა ყოფამაც კი ვერ ჩაუკლა ნიჭი და გონება და თუ აქამომდე მოაღწია მდიდარმა ქართულმა ენამ, ქალის მეოხებით მოაღწია*. ჯორჯაძე ერთ-ერთი პირველი მოღვაწეა, ვინც დაუფარავად გამოხატა სურვილი, ქალისათვის შესაფერი განათლების მიღების თაობაზე და ენების ცოდნის აუცილებლობაზე. *ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი მოშურნეობას და მისცენ თავიანთ დებს თანასწორი სწავლა და მიმართულება* – მოითხოვს იგი (*კვალი*.1893:14). საგულისხმოა, რომ ავტორი ამ წერილით მიმართავს კაცებს, რადგან დარწმუნებულია, რომ ამ საკითხის მოგვარებაში მათ უნდა გაუწიონ დახმარება ქალებს. ეს ჯერ კიდევ არ არის ქალების გაერთიანებისა და მათი უფლებების მოპოვების მიზნით ბრძოლისკენ მოწოდება. ნიშანდობლივია, რომ მიმართვა ეკუთვნის ყმაწვილ კაცებს, მომავალ თაობას, *დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა* – წერს იგი. ქართულ კულტურულ კონტექსტში მიმდინარე ცვლილებებმა მისცა ჯორჯაძეს ამ წერილის დაწერის იმპულსი. მონიავას აზრით, სტატია *კალმის ერთი მოსმით არის დაწერილი, თხრობის ტონი მკაცრი და შეუპოვარი, ენა სხარტი და ცოცხალია.*

XIX საუკუნის 80-იან წლებში მწერალმა ქალმა ბავშვებისთვის პირველდაწყებითი სკოლის სახელმძღვანელო შეადგინა, რის შესახებაც ატყობინებს რაფიელ ერისთავსა და მეგობარ მწერალ ქალს, ანასტასია თუმანიშვილს. ეს სტატია არ გამოქვეყნებულა. ჯორჯაძის პუბლიცისტური წერილები *რამდენიმე აზრი ახლანდელ მდგომარეობაზედ, ორიოდე სიტყვა ვეფხისტყაოსნის შესახებ,* გვარწმუნებს მწერლის ღრმა ინტერესზე *ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების შეცნობა-გაანალიზების საქმეში* – წერს მედეა მაღალაშვილი. ბარბარე ჯორჯაძეს ეკუთვნის, აგრეთვე, *წარმოშობა არაგვის ერისთავთა და მიზეზი იმათის კახეთში გადმოსახლებისა* (*ცისკარი*.1862:№ 1). მწერალი ქალი ისტორიკოსისათვის შესაშური ოსტატობით გადმოგვცემს თავისი გვარის, არაგვის ერისთავების, ისტორიას. თხრობას უძველესი დროიდან იწყებს და დაწვრილებით გვიყვება იმ ტრაგიკულ თავგადასავალს, რამაც მისი წინაპრები კახეთში გადმოიყვანა.

ბარბარე ჯორჯაძის *სამზარეულოს წიგნი,* მის მოღვაწეობაში ცალკე ეტაპად შეიძლება გამოიყოს. კულინარია ხელოვნებაა, როგორც მუსიკა, ლიტერატურა, მხატვრობა, არქიტექტურა. დროთა განმავლობაში იცვლება კერძების შემადგენლობა და დამზადების მეთოდები, მაგრამ გემრიელი საჭმლისგან მიღებული საიმოვნების შეგრძნება უცვლელი რჩება. სამზარეულო ერის ტრადიციული კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელი და შემადგენელი ნაწილია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს კერძების დამზადების განსხვავებული წესები აქვთ და სწორედ ეს მრავალფეროვნება ქმნის ერთიან ქართულ სამზარეულოს. მწერალი ქალის *„სამზარეულოს წიგნი“* მართლაც სრული, უნაკლო და გამორჩეული ნაშრომია. ის ქართულ ოჯახებში მაგიდის წიგნად იქცა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. წიგნმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული კულინარიის, როგორც კულტურის, ჩამოყალიბების საქმეში.

მაღალი წარმოშობის ქალებს კერძების მომზადებასაც ასწავლიდნენ, თუმცა სამზარეულოში ტრიალი მათ არ ეხებოდათ. განსხვავებით, ბარბარე ჯორჯაძე თავად მშვენიერი დიასახლისი გახლდათ. 1874 წელს მან პირველმა გამოსცა, ქართული სინამდვილისთვის უჩვეულო და საკითხავად უცხო წიგნი, რომელშიც თავმოყრილია ნაირფეროვანი ქართული ტრადიციული კერძების რეცეპტები. ეს გამოცემა უმალ გაიყიდა და გამომცემელ *ახპატელოვს* იგი ხელმეორედ დაუბეჭდავს. ავტორი წიგნის მესამე გამოცემასაც აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა. ამ საქმეს მისმა ქალიშვილმა, მანანა ჯორჯაძე-გეხტმანმა მოჰკიდა ხელი. აი, რას წერს იგი:

*განსვენებული დედაჩემი, იმ დიასახლისთაგანი იყო, რომელიც სახლში მინაური საქმის კეთებას და ოჯახის მოვლა-პატრონობას არ თაკილობდა. თვითონ იყო დიასახლისი და სხვებსაც აგულიანებდა, რომ ოჯახისთვის მიეხედნათ და ფეხზე დაეყენებინათ <...> მწერლობითაც სურდა გაეწია „პროპაგანდა“ დიასახლისთა შორის* მანანა ჯორჯაძე-გეხტმანმა 1914 წელს თავიდან გამოსცა დედის ეს მართლაც უნიკალური შრომა.

ბარბარე ჯორჯაძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩენას დიდი ტრიუმფი მოყვა. მას ქება-დიდება და ტაში შეხვდა და სიმწარეც ბევრი იგემა. ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ ესმოდა და აფასებდა მწერალი ქალის შემოქმედებას წარსულის მკითხველი, რომელიც მისი ლიტერატურული ტექსტებიდსადმი საკმაოდ ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა.

ეფემია ანდრონიკაშვილი *ცისკრის* ფურცლებზე *ექსპრომტით* მიმართავს: *ბადრო მზეო, ბრწყინვალეობ მარადა.* გიორგი თუმანიშვილი კი: *ჰოი მნათობო კახთა შორის და მდედრთა სქესო,...პოეტავ დიდო!.* გიორგი ანდრონიკაშვილი *ცისკრის* დამამშვენებელს უწოდებდა. *რიგს არ აკლებს, არც მოთხრობას, ხან კამათში იბრძვის, მხნეობს, მღერის ლექსს წყობილსა და ზოგჯერ დრამას მოაზრეობს* – წერდა ნიკო დადიანი. მწერალი ქალიც წარმატებისგან თავბრუდახვეული, ძმას, რაფიელ ერისთავს უზიარებდა: *ვსჩხაპამ რაღა, რაღაც ჩხაპაა ძალიან ფორსი გამიკეთა, ყოველი ქალი თუ კაცი ერთმანეთს თითით უჩვენებენ, ეს მწერალი ქალი არისო.* მკითხველი საზოგადოება ოცნებობდა მასთან შეხვედრას. ბარბარე ჯორჯაძე პირველი მწერალი ქალი გახლდათ, ვინც პრესაში იბეჭდებოდა, ეს კი ქართული საზოგადოებისთვის *სასიამოვნო მოულოდნელობა* აღმოჩნდა.

ბარბარე ჯორჯაძის ლიტერატურული ტექსტები დამოკიდებული იყო მისი პერიოდის კულტურულ კონტექსტსა და ლიტერატურულ გემოვნებაზე, ამიტომ შესაძლოა ზედმეტად მკაცრად მოგვეჩვენოს ვახტანგ კოტეტიშვილისეული შეფასება: *შეიძლება დიდი ნიჭი ჰქონდა, მაგრამ შემოქმედებაში ვერ გვიჩვენა. მის გვერდით მოღვაწეობდნენ მეტი პოტენციის ხალხი, მათ შესახებ თუ არას ვამბობთ და ბარბარე ჯორჯაძეს გამოვყობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, თუნდ როგორც მანდილოსანმა მწერალმა, მხურვალე მონაწილეობა მიიღო იმ ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ ძველებს გაუმართა <...> ისტორიისათვის იგი ერთი პუნქტაგანია, რომელსაც მკვლევარი გზას ვერ აუქცევს* (კოტეტიშვილი 1965: 297).

ბარბარე ჯორჯაძის ცხოვრების გზა ია-ვარდით მოფენილი არასდროს ყოფილა. ბევრი სიმწარეც იწვნია, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია. მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა, უკან არასდროს იხევდა და ამ თვისებების წყალობით წარმატებასაც აღწევდა. მუდამ ცდილობდა გამკლავებოდა გასაჭირს, არ ეპუებოდა განსაცდელს, წინ მამაკაცური სიჯიუტით მიიწევდა. ცხოვრებას ებრძოდა, ოჯახს უძღვებოდა, შვილები დაზარდა და საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, მწერლობაშიც თავისი სიტყვა თქვა.

მთავარი მაინც ის არის, რომ მას ყოველთვის საკუთარი, თუნდაც ვიღაცის აზრით, მცდარი შეხედულება გააჩნდა. კრიტიკულ შენიშვნებსაც მტკივნეულად აღიქვამდა, ვერ ეგუებოდა და არც აღიარებულ ავტორიტეტებს ეპუებოდა. უფროსი თაობისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას ვერ იტანდა, მოწინააღმდეგის მიმართაც *საკადრისი* პასუხი ყოველთვის მზად ჰქონდა. იყო ქალი, მწერალი და პიროვნება, რის გამოც თანამედროვეთა და შთამომავალთა პატივისცემა დაიმსახურა.

## დასკვნა

ბარბარე ჯორჯაძის ცხოვრების გზა ია-ვარდით მოფენილი არასდროს ყოფილა. ბევრი სიმწარეც იწვნია, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია. მტკიცე და შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა, უკან

არასდროს იხევდა და ამ თვისებების წყალობით წარმატებებსაც აღწევდა. მუდამ ცდილობდა გამკლავებოდა გასაჭირს, არ ეპუებოდა განსაცდელს, წინ მამაკაცური სიჯიუტით მიიწევდა. ცხოვრებას ებრძოდა, ოჯახს უძღვებოდა, შვილები დაზარდა და საზოგადოებრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, მწერლობაშიც თავისი სიტყვა თქვა. მთავარი მაინც ის არის, რომ მას ყოველთვის საკუთარი, თუნდაც ვიღაცის აზრით, მცდარი შეხედულება გააჩნდა. კრიტიკულ შენიშვნებსაც მტკივნეულად აღიქვამდა და ვერ ეგუებოდა, უფროსი თაობისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას ვერ იტანდა, მოწინააღმდეგის მიმართაც „საკადრისი" პასუხიც ყოველთვის მზად ჰქონდა. იყო ქალი, მწერალი და პიროვნება, რის გამოც თანამედროვეთა პატივისცემა დაიმსახურა. ბარბარე ჯორჯაძე იყო „პირველი მერცხალი", ვის შემდეგაც საზოგადოებამ კარი გაუღო სხვა ქართველ მწერალ ქალებს.

## ბიბლიოგრაფია


ბრეგაძე, ლ. (2011). *ლიტერატურული (გამო)ძიებანი.* თბილისი. *არტანუჯი.*

გაწერელია, აკ. (1962 ). *რჩეული ნაწერები. ტ. I.* თბილისი. *საბჭოთა მწერალი.*

დავითაია, ე. (1975). *კოტე ყიფიანი.* თბილისი. *ხელოვნება.*

კოტეტიშვილი, ვ. (1965). *რჩეული ნაწერები.* თბილისი. *საბჭოთა საქართველო.*

კუპრეიშვილი, ნ. (2017). *ენა, როგორც პერსონაჟი.* წიგნში ენის კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში. თბილისი.

უმიკაშვილი, პ. (1899). ჩვენი თეატრის თავგადასავალი. გაზეთი *ივერია,* № 211.

ციციშვილი, თ. (2015). *ბარბარე ჯორჯაძე.* წიგნში ქართული რეალიზმის სათავეებთან. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

წერეთელი, აკ. (1961). *თხზულებათა სრული კრებული.* ტ. 14. თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (1888) . დედათა ემანსიპაციის შესახებ. გაზეთი *„ივერია".* №138.

ჯორჯაძე, ბარ. (1988). *რჩეული თხზულებანი.* თბილისი. *საბჭოთა საქართველო.*

Блум Херолд. (1998) *Страх влияния. Карта перечитивания.* Екатеринбург: Издательство Уральского университета.

ჟურნალი *ცისკარი* (1860). №3; (1861).№№5;9;

გაზეთი *ივერია* (1895). №30.

ჟურნალი *კვალი* 1893. №14.


## სასარგებლო გმუღები:


ვაჟა-ფშაველა, PRO DOMO SUA, 2011, https://tagiweb.wordpress.com/2011/12/12/pro-domo-sua/ 14.10.2024

ვაჟა-ფშაველა, ენა, 2012, https://tagiweb.wordpress.com/2012/02/12/ena/ 15.10.2024

ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა იპ. ვართაგავასი, 2012, https://tagiweb.wordpress.com/2012/01/22/kritika-b-ip-varthagavasi/ 15.10.2024

სოლომონ ტაბუცაძე, გავლენის თეორია, 2008, https://literaturatmcodneoba.tsu.ge/litr-mim-77.pdf 19.10.2024.

ყიფშიძე გრიგოლ, მოამბე, თბილისი, 1895, N10 file:///C:/Users/user/Downloads/Moambe_1895_N10.pdf 14.10.2024

ჯალიაშვილი მაია, გავლენის აპოლოგია – ვაჟა-ფშაველა, ანდრე ჟიდი და უმბერტო ეკო, 2022, https://mastsavlebeli.ge/?p=34914 19.10.2024.



*თამარ ციციშვილი*
ფილოლოგიის დოქტორი,
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

*Tamar Tsitsishvili*
Doctor of Philology,
Senior Scientific Researcher,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.
ORCID-ID: 0009-0008-8872-1916






გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი



ბარბარე ჯორჯაძის მარაო.
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

# ანა ერისთავი-ჭავჭავაძე: პიროვნული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მთავარი პარადიგმა

## აბსტრაქტი


XIX საუკუნე საქართველოს ისტორიის გამორჩეული ხანაა: ერთი მხრივ, ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული ტრაგიკული განცდა, კოლონიური მმართველობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ექსპანსია იმპერიული მეთოდებით, მეორე მხრივ, ბრძოლა ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად, კულტურული პროცესები და ამ პროცესებში ჩართული საზოგადოება, ახალი ჰორიზონტები...

ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ერის კონსოლიდაციის პროცესმა ხელი შეუწყო პიროვნული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდას. ამ თვალსაზრისით, საქართველოში დიდ როლს ასრულებდნენ დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს წარჩინებული ქართული ოჯახები. ერთ-ერთი ასეთი ოჯახის წარმომადგენლები არიან რაფიელ ერისთავი და მისი დები – ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე და ანა ერისთავი-ჭავჭავაძე.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დროს, როდესაც სამი საუკუნის წინანდელი ტერიტორიების და თვისტომთა დაბრუნების იმედი გაჩნდა, ამ საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად ქართული წარჩინებული საზოგადოება ხმლითა თუ კალმით ძალისხმევას არ იშურებდა. ამ დროს იქმნება ე. წ. *საქველმოქმედო თემები,* რომელთა მისიასაც ფრონტისთვის სხვადასხვა ხასიათის, მათ შორის სამედიცინო დახმარების გაწევა ჰქონდა დაკისრებული. ერთ-ერთ ასეთ *საქველმოქმედო თემში* გაწევრიანდა და ფრონტის ხაზზე სხვა მოწყალების დებთან ერთად გაემგზავრა პოეტ რაფიელ ერისთავის და – ანა ერისთავი-ჭავჭავაძე.

სტატიაში გადმოცემულია ანა ერისთავისა და მისი მეუღლის – ნიკოლოზ (დიდი ნიკო) ჭავჭავაძის ცხოვრების ეპიზოდები. ანა ერისთავი, ჭკვიანი, თავისუფალი და დამოუკიდებელი, ძლიერი და მამაცი, სათნო, ამ პერიოდის წარჩინებული ქართველი ქალის სახეა. იგივე შეიძლება ითქვას მის მეუღლეზე. ერთი ქართული ოჯახის სამაგალითო ცხოვრება ეპოქის მთავარი მოვლენების მეტად რეალისტური აღქმისა და ცოცხლად გააზრების საშუალებას იძლევა.



**საძიებო სიტყვები:** ანა ერისთავი; რუსეთ-ოსმალეთის ომი; ქველმოქმედება; კოლონიური პოლიტიკა; მოწყალების და.

# ANA ERISTAVI-CHAVCHAVADZE: THE MAIN PARADIGM OF PERSONAL AND SOCIAL RESPONSIBILITY


## ABSTRACT

The 19th century is a remarkable period in Georgian history marked by dual realities: on one hand, the tragic loss of Georgian statehood, colonial domination, and the imposition of political, economic, and cultural control through imperial policies; on the other hand, a determined struggle to preserve national identity, the flourishing of cultural movements, and the active engagement of society in shaping new horizons.

The process of national consolidation aimed at preserving Georgian identity fostered a growing sense of personal and civic responsibility. In this regard, distinguished Georgian families from both Western and Eastern regions played a significant role. Notable among the members were Raphiel Eristavi and his sisters – Barbare Eristavi-Jorjadze and Ana Eristavi-Chavchavadze.

During the Russo-Ottoman War of 1877-1878, when hopes rose for the return of territories and compatriots lost three centuries earlier, Georgian noble society devoted every effort, both by sword and by pen, to support this cause. At that time, charitable societies were established with the mission of providing various forms of aid to the front, including medical assistance. Among these was a society that included Ana Eristavi-Chavchavadze, sister of the poet Raphiel Eristavi, who joined fellow nurses and traveled to the front lines to offer her help.

The article presents episodes from the lives of Ana Eristavi and her husband, Nikoloz (Great Niko) Chavchavadze. Ana Eristavi – intelligent, independent, strong, courageous, and gracious-embodies the ideal of a distinguished Georgian woman of her era. The same qualities can be attributed to her husband. The exemplary life of this Georgian family offers a vivid and authentic insight into the major events of their time.


**Keywords:** Anna Eristavi; Russian-Ottoman War; Charity; Colonial Policy; nurce.



## შესავალი

XIX საუკუნე საქართველოს ისტორიის რთული და საინტერესო გამოწვევების ხანაა. კოლონიური მმართველობის მძიმე ტვირთი – იმპერიული იდეოლოგიურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული ექსპანსია, ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოწვეული ტრაგიზმი, ბრძოლა ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად, კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების უპრეცედენტო აქტივობა ქვეყნის განსხვავებული მომავლისათვის – მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს ამ ეპოქის ძირითადი აქცენტები.

ქართული ეთნიკური ერთობის კონსოლიდაციის პროცესმა ხელი შეუწყო პიროვნული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ზრდას ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მთავარი საზრუნავი გახდა ეთნოკულტურული ღირებულებების დაცვა-განვითარება და კულტურულ-საგანმანათლებლო ვექტორის გაძლიერება.

ამ პროცესში მონაწილეობდნენ როგორც ცალკეული პიროვნებები, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო საზოგადოებები. ეს იყო საერთო-ეროვნული მოძრაობა და ყველაფერი მხოლოდ ერთ – საქართველოს გადარჩენისა და ეროვნული აღორძინების კონტექსტში განიხილებოდა.

რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლებული ქართველობა ახალი სკოლების, გამომცემლობების, თეატრების, პროფესიული ორგანიზაციებისა თუ საქველმოქმედო საზოგადოებების დაარსებით უპირისპირდებოდა. ზოგადმა კულტურულ-საგანმანათლებლო აღმავლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართველ წარჩინებულ *ქალთა ბედზეც* და მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა.

## კვლევის მეთოდი

ნაშრომში გამოყენებულია საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის კვლევის, ფაქტების მნიშვნელობის განსაზღვრისა და მათ შორის კავშირის დადგენის, კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა ურთიერთგანპირობებისა და შეჯერების, მეცნიერული ანალიზის, სინთეზისა და მოვლენის ინტერპრეტაციის მეთოდები.

## მსჯელობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ სოციუმში ქალის ტრადიციული როლი და ფუნქცია (მეუღლე, დედა) მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. ქართველი ქალი ტოვებს ოჯახის ჩარჩოებს და კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ-საქველმოქმედო ცხოვრებაში აქტიურად ერთვება. თავისთავად ცხადია, კონსერვატული ქართული ცნობიერებისათვის ეს გენდერული ხასიათის ცვლილება არ იქნებოდა მარტივი.

იმ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც *თერგდალეულებმა* შექმნეს, ქალის აქტივობას უდიდესი როლი ეკისრებოდა. სწორედ ამ დროს ჩნდება გენდერულ საკითხებზე წერილები პუბლიცისტიკაში. ქალთა უფლებების შესახებ წერდნენ არჩილ ჯორჯაძე, დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვები. საკუთარი უფლებების დასაცავად თავად ქალებმაც აიმაღლეს ხმა. ამ პერიოდში საქართველოში ქალთა მოძრაობამ ფართო მასშტაბი მიიღო.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართველ ქალთა ემანსიპაციის პროცესი გააქტიურდა. შეინიშნება ქართველი ქალების ევროპაში, ოჯახისგან ფარულად, სასწავლებლად გაპარვის ტე-

ნდენცია. სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ქალი ტოვებს ქვეყანას და ევროპაში განათლების მისაღებად მიემგზავრება (მაგ. შვეიცარიაში: დები ნიკოლაძეები, დები ხელთუფლიშვილები, რომელთაც იქ ქართული ეროვნული საზოგადოება, სახელწოდებით *უღელი,* დააარსეს და სხვანი) (ნიკოლაძე, 1950:42; ანთელავა, https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/75).

ქართულ სოციუმში ამ მეტად მნიშვნელოვანი ცვლილების თვალნათლივ წარმოჩენა ქართველი მწერლის, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის ოჯახის წევრების, მისი უახლოესი ნათესავების, დების – ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძისა და ანა ერისთავი-ჭავჭავაძის მაგალითზეა შესაძლებელი. ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე და მისი მოღვაწეობა მეტადაა ცნობილი საზოგადოებისათვის, რასაც ვერ ვიტყვით რაფიელის მეორე დაზე – ანა *დავითის ასულ ერისთავზე* სურ. 1

ანა ერისთავი კახეთში, ახმეტაში ჩასახლებული არაგვის ერისთავთა შთამომავალი თავადის – *დავით რაფიელის ძე ერისთავის* ოჯახში დაიბადა. დებს შორის უფროსი – ბარბარე -1833 წელს დაიბადა. ლიტერატურაში შეცდომით, ანას დაბადების თარიღადაც 1833 წელია მითითებული. ანა ერისთავი 1835 წელს უნდა იყოს დაბადებული.

მამა – დავით ერისთავი – ადრე დაქვრივდა და შვილებს მარტო ზრდიდა. ქვრივს, ოთხი შვილის აღზრდაში დახმარებას ძიძა – დილავარდისა უწევდა. მიუხედავად გოგონების, ბარბარესა და ანას ნიჭიერებისა და სწავლის სურვილისა, ბუნებით კონსერვატორმა მამამ ქალიშვილების სასწავლებელში შეყვანა საჭიროდ არ მიიჩნია. გოგონები შინაურ განათლებას უნდა დაჯერებულიყვნენ.

ამ პერიოდის საქართველო ქალთა საკითხისადმი კონსერვატორული მიდგომით თანადროული ევროპული სახელმწიფოებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. აღნიშნულის დასტურია ინგლისელი ქალი მწერლების – ჯეინ ოსტინისა და დები ბრონტეების რომანები.

დების განათლებულობას დიდად შეუწყო ხელი მდიდარმა საოჯახო ბიბლიოთეკამ. მიუხედავად შინაური განათლებისა და ნაადრევი ქორწინებებისა, თვითგანვითარებისა და წიგნიერების წყალობით, ისინი უაღრესად განათლებულ, დამოუკიდებელ და პროგრესულ ქალბატონებად ჩამოყალიბდნენ. ანა ერისთავის წიგნიერებას დიდად მოუხიბლავს ერისთავების მამულში, ქისტაურში, მათ ოჯახში სტუმრად მყოფი ფრანგი ორიენტალისტი, მარი ფელისიტე ბროსე.

მარი ბროსემ პირველად 1847-1848 წლებში იმოგზაურა კახეთში. დავით ერისთავის მიერ ქისტაურში სტუმრად მიწვეული ბროსე გააცა დავით ერისთავის მდიდარმა საოჯახო ბიბლიოთეკამ და სრულიად ახალგაზრდა რაფიელ ერისთავის სიღრმისეულმა ცოდნამ. ამასთანავე, ფრანგმა მეცნიერმა საგანგებოდ აღნიშნა დავით ერისთავის ქალიშვილის, ოჯახის უმცროსი წევრის, ანას წიგნიერება და წაკითხულის გააზრების უნარი.

ნიჭიერებითა და განათლებით გამორჩეული ანა, დის, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მსგავსად, მეტად ადრეულ ასაკში გაათხოვეს. სამწუხაროდ, დედით ნაადრევად დაობლებული, არცერთი დის ქორწინება იღბლიანი არ გამოდგა. ანა ერისთავი მიათხოვეს ნიკო (დიდ ნიკოდ წოდებულ) ზურაბის ძე ჭავჭავაძეს. შემდგომში რუსეთის იმპერიის არმიის გამორჩეული გენერალი, ნიკო ჭავჭავაძე, კახეთში დიდ მამულებს ფლობდა.

ამ პერიოდის საქართველო რუსეთის იმპერიის ომებში იყო ჩაბმული. ამ ომების მთელი სიმძიმე საქართველოს, როგორც საზღვრისპირა ქვეყანას და მის მოსახლეობას აწვებოდა. რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში შესაძლებელი იყო წართმეული ისტორიული ქართული ტერიტორიებისა და მოსახლეობის სამშობლოს წიაღში დაბრუნება. ამ პოლიტიკის მსხვერპლად იქცა რუსეთის იმპერიის ერთგული დასაყრდენი – ქართული სამხედრო არისტოკრატია. კავკასიელ ხალხთა შორის ქართველთა იმპერიისადმი გამორჩეულ ერთგულებას აღნიშნავდნენ ამ მოვლენათა თანამედროვე რუსი სამხედრო ისტორიკოსი ვ. ა. პოტო (1836-1911წწ.)



(პოტო, 1905:152) და თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ვ. ი. ჟელიხოვსკი (1831-1880 წწ.) (ავალიანი1979:97).

ქართული სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო ანა ერისთავის მეუღლეც – ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე სურ. 2. ნიკო ჭავჭავაძე 1830 წლის 22 ოქტომბერს ყვარელში დაიბადა. მამამისი, ზურაბ მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე, სამხედრო პირი – შტაბს-კაპიტანი იყო. ნიკომ თბილისის გიმნაზიის დასრულებისთანავე, 1846 წელს, მუშაობა დაიწყო ქართულ მილიციაში. მილიცია კახეთს შამილის რაზმებისაგან იცავდა. კავკასიის ომის მიმდინარეობისას, ამ მილიციაში სამსახური ომში მონაწილეობის ტოლფასი იყო. დამსახურებისათვის ნიკო 1849 წელს წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა, ხოლო 1850 წლის 21 აპრილს – ოფიცრის ჩინი მიენიჭა. ცხენოსანი მილიციის ასეულის მეთაურმა მონაწილეობა მიიღო ყირიმის ომში, იბრძოდა ბაშკადიკლარსა და ჩოლოქთან. ჩოლოქთან მძიმედ დაიჭრა და სახალხო მკურნალმა, თურმანიძემ, იხსნა სიკვდილისგან. გამოჯანმრთელების შემდეგ ომებში უშუალო მონაწილეობა დიდხანს აღარ მიუღია, თუმცა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სამხედრო თანამდებობებს იკავებდა.

ყირიმის ომის შემდეგ ჯერ ჩეჩნეთსა და დაღესტანში იბრძოდა. 1859 წელს, დარგოს აღებისა და შამილის დატყვევების შემდგომ, დარგოს ოლქის მმართველად დაინიშნა. მალევე – დაღესტნის ოლქის მმართველად. ის ათი წლის მანძილზე იკავებდა დასავლეთ დაღესტნის სამხედრო გუბერნატორის პოსტს. 1871 წელს ნიკო ჭავჭავაძეს გენერალ-მაიორის სამხედრო ჩინი მიენიჭა. 1872 წლიდან განჯის გენერალ-გუბერნატორია და ამ დროიდან საიმპერატორო ამალაშიც ირიცხება.

ნიკო ჭავჭავაძე ანა ერისთავზე სამხედრო კარიერის აღმასვლის საწყის ეტაპზე (1849/1850 წწ.) დაქორწინდა. მისი კარიერული წინსვლა მეუღლეების მუდმივი განშორების საბაბი იყო. ამას მათი უშვილობაც ემატებოდა. როგორც ჩანს, ეს ფაქტორები გონიერი ქალის პრეფერენციებზე აისახა და ოჯახური ბედნიერების სანაცვლოდ საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავდა.

ნიკო ჭავჭავაძეს, მემკვიდრეობით მიღებული ყვარლის მამულების გარდა, დიდი ხელფასი და პენსია ჰქონდა. ის უხვად ეხმარებოდა თავის მშობლიურ მხარეს – გაჰყავდა გზები და სარწყავი არხები, შემწეობას გასცემდა უპოვართათვის. უშვილოდ დარჩენილი ცოლ-ქმარი ჭავჭავაძეები დიდ დახმარებას უწევდნენ ყვარლელ ახალგაზრდებს, საკუთარი ხარჯით აგზავნიდნენ სასწავლებლად ევროპასა თუ რუსეთში. აღსანიშნავია, რომ სიმამრისა და ცოლისძმის, რაფიელ ერისთავის მსგავსად, დიდ ნიკოს საქართველოში გამორჩეული ბიბლიოთეკა ჰქონდა. ნიკო ჭავჭავაძემ ეს ბიბლიოთეკა სიცოცხლეშივე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უსახსოვრა.

1877 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე, ჩრდილოეთ კავკასიაში ანტირუსულმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების ჩასახშობად, როგორც დიდი ავტორიტეტის მქონე გენერალი, ამ დროისათვის ოსმალეთის ომის წინა ფრონტზე მებრძოლი ნიკო ჭავჭავაძე გაიგზავნა. მან უდიდესი როლი ითამაშა ამ აჯანყების ჩახშობაში – მოლაპარაკებებისა და სამხედრო მეთოდების გამოყენებით ოსტატურად მოახერხა აჯანყებულთა დამშვიდება (მეგრელიძე, 1970: 80-84).

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, როდესაც ქართველობას ისტორიულად კუთვნილი ქართული მიწებისა და თვისტომთა დაბრუნების იმედი გაუჩნდა, ქვეყანაში საქველმოქმედო საზოგადოებების შექმნამ მასშტაბური ხასიათი მიიღო.

ე. წ. *საქველმოქმედო თემების* მხრივ, ფრონტისთვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევა, ფრონტის ხაზზე მოწყალების დების გაგზავნასაც ითვალისწინებდა. ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციაში გაწევრიანდა და 1877 წელს, რუსეთ-ოსმალეთს შორის წარმოებულ ომში, სხვა მოწყალების დებთან ერთად არტაანში, ფრონტის ხაზზე, გაემგზავრა რაფიელ ერისთავის და, *ანა დავითის ასული ერისთავი-ჭავჭავაძე.*

იმდროინდელ არტაანში არსებულ ვითარებას კარგად აღწერს გაზეთ დროებაში გამოქვეყნე-

ბული სტატიების ციკლი სათაურით, წერილები არტაანიდან. წერილების ავტორი, ფსევდონიმით ჭია-ჭამია, იყო პუბლიცისტი ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილი, რომელიც სხვადასხვა ფსევდონიმით (ლას, ლას-მანი, კრაზანა, ლ. უდელი, უჩინო) იბეჭდებოდა.

ლ. მჭედლიშვილის მიერ აღწერილი, ანა ერისთავის თანამედროვე არტაანი ასე გამოიყურებოდა: უსუფთაო ქუჩები, წიდის სუნი, რომელსაც აქ შეშის ნაცვლად გამოიყენებდნენ, იმერული, ზოგან ახალციხის მაზრის მსგავსი შენობები, ვიწრო ქუჩები...

არტაანი მოზრდილ სოფელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. მას დაჰყურებდა ციხე, რომელსაც ადგილობრივები თამარის ციხეს ეძახდნენ. დასახლების აღმოსავლეთ ნაწილში იდგა დიდი, ყაზარმული ტიპის შენობები, ისინი ფაშების, საჭიროებისას კი ჯარის სადგომად გამოიყენებოდა. აქ იყო ტელეგრაფის, სასმართლოს, ჰოსპიტლების შენობები, შედარებით მდიდარი ადამიანების საცხოვრებელი სახლები. არტაანს მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფდა. მაშინ აქ ორი ხის ხიდი ყოფილა. სახლების დიდი ნაწილი ან ომს დაენგრია, ან თავად აეყარათ მცხოვრებლებს და ოსმალეთის სიღრმეში გადასულიყვნენ. არტაანის ბაზარში ბევრ ადგილას ისმოდა ქართულად საუბარი. ეს ახალციხელი სომხები და ებრაელები იყვნენ, რომლებიც აჭარიდან სავაჭროდ ჩამოსულ ხალხთან ქართულად საუბრობდნენ, ვინაიდან აჭარლების ენაც ქართული იყო. აჭარლებს არტაანის ბაზარზე ჩამოჰქონდათ ხილი, ერბო და სხვა პროდუქტები...

არტაანში იმყოფებოდნენ ბათუმის მაზრიდან მოსული ლაზები, რომლებიც ასევე ქართულად ლაპარაკობდნენ. ჟურნალისტ ლევან მჭედლიშვილს გაუცვნია ლაზი ბიძაშვილები – ჰუსეინ და ჰასან ქარაბაძეები. მათ უთქვამთ, რომ ბათუმის მაზრაში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, დედაკაცებს საუბართან ერთად წერა-კითხვაც მხოლოდ ქართულად ეხერხებათ, რასაც შთამომავლობასაც ასწავლიანო...

ქართველ ჟურნალისტს ადგილობრივებმა უამბეს, როგორ წაართვა მათ, ადგილობრივებს, საკუთარი სახლები რუსულმა ჯარმა და იქ სომხები ჩაასახლა... არტაანელ ქართველ მოლას უთქვამს, რომ ეს ჩვენი წინაპრების სამშობლოა და სომხებმა მიითვისესო. არტაანის სიძველეები – გულიავერდი და რამაზანი დანგრეული იყო. ყაზარმებში რომის, არყის, კონიაკის, პრეფერანსის, ჩინოვნიკური ჭორებისა და ინტრიგების სუნი ტრიალებდა. იყო საუბარი ჩინებზე, ორდენებსა და ჯამაგირებზე, სიცივე და წვიმები შეადგენდნენ აქაურ ცხოვრებას, ზოგჯერ თეატრალური ჯგუფებიც ჩამოდიოდნენ იმპერიის ქალაქებიდან, მათ შორის თბილისიდანაც (დროება, 1878:189).

ასეთ მძიმე პირობებში მოუხდა, თითქმის ერთი წლის მანძილზე, ანა ერისთავს მოღვაწეობა. ის ჯერ 60 დაჭრილს უვლიდა, შემდეგ დაჭრილთა რიცხვი გაიზარდა. ანა განურჩევლად ყველაზე ზრუნავდა, ყველას უვლიდა. მის მეტად მძიმე სამუშაოს კიდევ უფრო ართულებდა არტაანის მძიმე ჰავა და გაუსაძლისი სამუშაო პირობები.

დასუსტებული ქალი ერთთვიანი შვებულებით თბილისში გამოისტუმრეს. გზად, არტაანის მიდამოებშივე, ხელი მოიტეხა. მგზავრობის გაგრძელება ვერ შეძლო, გზიდანვე უკან მიბრუნდა და მალევე გააგრძელა საქმიანობა. გაუფრთხილებლობით ახლად შეხორცებული ხელი კვლავ მოიტეხა, რასაც ჯარში ტიფის ეპიდემია და მისი ტიფით დაავადება დაერთო. ანა ერისთავი-ჭავჭავაძე 1878 წლის 18 აპრილს, არტაანში, ოჯახისგან შორს, გარდაიცვალა.

დის ნაადრევი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ბარბარე ჯორჯაძემ გაზეთ დროებაში გამოქვეყნებული ლექსით (სურ. 3-4), ხოლო რაფიელ ერისთავმა წერილით – ნეკროლოგის მაგიერ (დროება 1878: 173) გამოხატეს.

რაფიელის წერილიდან ირკვევა, რომ ანა არტაანში პირველად 1877 წლის 7 მაისს ჩავიდა, მაშინ, როდესაც ქალაქი რუსულმა ჯარმა დაიკავა. ანას მეუღლე, ნიკო ჭავჭავაძე ამ დროს ამავე ფრონტზე იმყოფებოდა, თუმცა მალე ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყების ჩასახშობად გადაიყვანეს.



რაფიელის წერილი, გარდა პირადი ტკივილისა, ავლენს XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში ქალთა მოძრაობისადმი საზოგადოების კრიტიკულ, არასწორ დამოკიდებულებას. ასევე, კარგად ჩანს ქალთა საკითხის მიმართ მწერლის, კონსერვატული ქართული საზოგადოებისაგან განსხვავებული, ლოიალური განწყობა. წერილში ის ერთგვარად ცდილობს საზოგადოების თვალში ანას თამამი გადაწყვეტილების გამართლებას. რაფიელ ერისთავი სინანულით აღნიშნავს, რომ ქველმოქმედ ქალთა თავგანწირვა ზოგჯერ უგუნურთაგან გაკიცხვის საგანი ხდებოდა.

ყველამ უწყით, რომ შედგა მრავალი წრე „ქველმოქმედ თემთა“, ვიცით რარიგ პატიოსნურად მომზადებულნი და პატიოსნების განძრახვით და გამბედაობით გაემგზავრნენ იგინი ომის ველისაკენ, სადაც მათ მოელოდათ მრავალგვარი შრომა, ნაკლულოვანება, სიცივე, სიცხე, წვიმა, ტალახი, თოვლი, ზოგჯერ შიმშილი და უძილობა... ამ ქველმოქმედთა შორის... გაემგზავრა თავის სურვილით, ბედისაგან ხელაღებული და ბოლომდის უბედური, ერთი დიდი კაცის ცოლიც, კნეინა ანნა დავითის ასული ჭავჭავაძისა (დროება, 1878:173). ცნობილი ძმის ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს ანა ერისთავი-ჭავჭავაძის არცთუ ბედნიერი პირადი ცხოვრება.

ჩვენ სადა გყვანდით, სისხლ-ხორცნი და ნათესავები, რომ არ გივლიდით, არ დაგიცხრეთ სენი შემწველი, მანდ იქნებოდი როგორც მწირი, ვინმე უცნობი, უჭირისუფლო, ვით გლახაკი ცრემლდაუყრელი – წერდა ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე დისადმი მიძღვნილ ლექსში.

ანა ერისთავი-ჭავჭავაძე დაკრძალულია არტაანში. მის მეუღლეს, ნიკო ჭავჭავაძეს, რომელმაც ცოლის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი იცოცხლა, ცოლი აღარ შეურთავს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1880 წელს, დაღესტნის ოლქის მმართველად და ჯარების სარდლად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ჯერ გენერალ-ლეიტენანტის, შემდეგ გენერალ-ადიუტანტისა და კავალერიის გენერლის ჩინი მიიღო. სამხედრო-ადმინისტრაციული თანამდებობების გარდა, ნიკო ჭავჭავაძე მრავალი სამხედრო ორდენისა და ჯილდოს მფლობელი იყო. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ დიდი ნიკო თბილისში დასახლდა და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა.

ნიკო ჭავჭავაძე 1897 წლის 9 მარტს გარდაიცვალა. გარდაცვლილმა თავისი ქონება ახალგაზრდების განათლებისა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს შესწირა. გაზეთი ივერია გარდაცვლილის შესახებ წერდა:

ხმის ამომღები კაცი მოგვიკვდა და ჭკუიანი, მოსარჩლე და გაბედული ქომაგი გამოგვეცალა ხელიდამ. აქ დაკლება დიდი უბედურებაა, ქვეყნისათვის დიდად საგრძნობელი დანაკლისია, მით უფრო, რომ მთელს ჩვენს სამშობლოში ორი-სამი ხმის ამომღები კაცი_ღა გვეგულებოდა და ამათში ერთი აწ განსვენებული თ. ნ. ზ. ჭავჭავაძე იყო. გვეცლებიან ჩვენდა სუბედუროთ ხელიდამ ესენი და ჩვენდა საუბედუროდვე, მომდევართ ვეღარა ვხედავთ. მიდიან და აღარავინ მოდის მათდა სამაგიეროდ. აი, ამაშია უბედურება.... ბევრმა არ იცის, რა გულუხვად გაუსტუმრებია აწ მიცვალებულს ღარიბნი და უნუგეშონი, როცა მისთვის გაუწვდიათ ხელი და როდის არ გაუწვდიათ? ბევრმა არ იცის რამდენისთვის შემწეობა აღმოუჩენია არამცთუ მარტო ფულით, რომელსაც ერთობ არა ჰზოგავდა გაჭირვებულთათვის, არამედ სიტყვით, დახმარებით, შუამდგომლობით სადაც ჯერ არს. ბევრნი მის მიერ ნუგეშცემულნი ტირილით და გლოვით გააცილებენ მის კუბოს და უანგარო ცრემლს დაღვრიან მის საფლავზე ... (ივერია, №45, 1897).

აქვეა ნათქვამი, როგორი პრინციპული და შეუპოვარი იყო ნიკო ჭავჭავაძე, როდესაც რუსული სამოხელეო სისტემა ძალმომრეობას იჩენდა და ქართველი ხალხის უფლებებს არღვევდა. გენერალი საკუთარი ხალხის ინტერესების დასაცავად ცალკეულ ფაქტზე ახდენდა რეაგირებას, უშურველად იყენებდა პირად ნაცნობობასა თუ მეგობრობას.

12 მარტს ნიკო ჭავჭავაძის სახალხო გლოვა თბილისში გაიმართა. დაკრძალვის ცერემონიაში ქართველებთან ერთად კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მოსახლეობა მონაწილე-

ობდა. გარდაცვლილს გამორჩეული პატივი მიაგეს დაღესტნელებმა. გამოსათხოვარი სიტყვა და ლექსი აკაკი წერეთელმა წარმოთქვა (ივერია, 1897, № 47).

ნიკო ჭავჭავაძე ყვარლის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მისივე შემწეობით აგებულ (1890 წ.) ეკლესიაში დაიკრძალა.

## დასკვნა

- ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს წარჩინებული ქართული ოჯახის ისტორიას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრეთა მიერ შემუშავებული ნაციონალური პროექტის განხორციელებაში;
- მსგავსი იყო ორივე ქართული ოჯახის, ერისთავებისა თუ ჭავჭავაძეების ფასეულობები და მისწრაფებები. წიგნიერება, სამშობლოს სიყვარული და მასზე ზრუნვა, ქველმოქმედება იყო მათი ცხოვრების წესი. დიდია ორივე ოჯახის წვლილი და მსხვერპლი ქართველი ერის იდენტობის შენარჩუნებაში, პროგრესული, დემოკრატიული და ჰუმანური იდეების დანერგვაში, ეთნო-ისტორიული და ეთნო-კულტურული ღირებულებების გადარჩენაში;
- ქართული ეთნიკური ერთობის კონსოლიდაციის პროცესმა ხელი შეუწყო პიროვნული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაზრდას ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისათვის ბრძოლაში. სწორედ ეს პიროვნული პასუხისმგებლობა გამოჩნდა ანა ერისთავის გადაწყვეტილებაში – მიეტოვებინა ოჯახური გარემო, სანათესაო და მოწყალების დად წასულიყო ფრონტზე, სადაც წყდებოდა საქართველოსთვის მტკივნეული – დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი.
- ანა ერისთავი-ჭავჭავაძის ქმედება საინტერესოა საქართველოში ამ დროს საყოველთაოდ გააქტიურებულ გენდერულ და ქალთა ემანსიპაციის საკითხის კონტექსტშიც. ეს კარგად ჩანს მისი ძმის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ერისთავის დის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ წერილში. დები – ბარბარე და ანა ერისთავები ამ მოძრაობას არა მარტო თეორიულად ემხრობოდნენ, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც იყვნენ მასში ჩართულები;
- წერილით შევეცადეთ XIX საუკუნის ქართველი პროგრესული, ძლიერი, დამოუკიდებელი ქალის, ანა ერისთავი-ჭავჭავაძის ღვაწლი გამოგვეკვეთა. სამწუხაროდ, არსებული მასალის სიმწირე არ იძლევა მისი პორტრეტის უკეთ წარმოჩენის საშუალებას.

## ბიბლიოგრაფია


ავალიანი, გ. (1967). რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან: *ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში*. თბილისი.

გაზეთი *დროება*. 1867 №32; 1878 №№173,189.

გაზეთი *ივერია*. 1897№№45, 47.

მეგრელიძე, შ. (1979). *ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები*. თბილისი.

ნიკოლაძე, რ. (1950). ვ. პეტრიაშვილი და თერგდალეულები, წგნ.: *ვასილ პეტრიაშვილი*. თბილისი.

Потто В. А. (1905). *История Нижегородского драгунского полка*. მოსკოვი.

ანთელავა, ქ. (2014). *ქველმოქმედი ქალები XIX საუკუნის აშშ-სა და საქართველოში: ფილანტროპიის პარალელები*. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი *სპეკალი https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/75.*



*დოდო ჭუმბურიძე*
ისტორიის დოქტორი, პროფესორი,
მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი,
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

*Dodo Chumburidze*
PhD in History, Professor,
Senior Scientific Researcher,
T. Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia (UG)
ORCID-ID: 0009 0005 6286 1708




სურ. 1. ანა დავითის ასული ერისთავი-ჭავჭავაძე (1835-1878)


რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის და, ნიკოლოზ (დიდი ნიკო) ჭავჭავაძის მეუღლე.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



სურ. 2. ნიკოლოზ (დიდი ნიკო) ჭავჭავაძე (1829-1897)





სურ. 3-4. ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის მიძღვნა დის – ანა ერისთავი-ჭავჭავაძისადმი.
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი №№18543-93-18543-94-95



# ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი

## აბსტრაქტი

ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის ასაკთა შორის განსხვავება 13 წელიწადია; ისინი თანამედროვეები არიან; თუმცა რაფიელს 60-იანელები *უხუცესად* და *მოხუც პოეტად* მოიხსენიებენ. ეტყობა, ერთ ათეულ წელსაც, საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვეყანაში თერგდალეულების გამოჩენამდე რაფიელ ერისთავმა მრავალი სახელმწიფო სამსახური გამოიცვალა და ყველგან და ყოველთვის ემსახურებოდა ქართულ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ის უფროსი თაობის წარმომადგენლად ითვლებოდა, რაფიელი გვერდში ამოუდგა ახალ თაობასა და მის თავკაცს – ილია ჭავჭავაძეს. ე.წ. *მამათა და შვილთა ბრძოლის დროს*, როდესაც ილიამ მკაცრი პასუხი გასცა ბარბარე ჯორჯაძეს (რაფიელის დას) ენის საკითხებთან დაკავშირებით და მას სხვა ახალთაობელებიც აჰყვნენ, ჩანს, რაფიელ ერისთავმა პოლემიკაში ჩართვისგან თავი შეიკავა. ვფიქრობთ, თუ არა მას, იგავ-არაკების მთარგმნელსა და შემქმნელს, პოეზიაში მთის კილოს შემომტანს, გლეხთა გულშემატკივარს, სხვას ვის უნდა სცოდნოდა სახალხო ენის შემოტანის აუცილებლობის მნიშვნელობა სალიტერატურო ქართულში?! რაფიელს ილიასთან ახლო ნათესაური ურთიერთობაც ჰქონდა – მისი ბიძა და ილიას გამზრდელი მამიდა, მაკრინე, ცოლ-ქმარნი იყვნენ; თუმცა შემორჩენილი ეპისტოლეებიდან, საქმიანი დოკუმენტებიდან და პუბლიკაციებიდან მათი ურთიერთობა ძირითადად ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ხასიათისა უფროა. რაფიელ ერისთავმა შეაფასა ილიას მიერ ჟურნალ *კრებულში* გამოქვეყნებული გლეხური სიმღერები და ამ ფაქტს დიდი ეროვნული საქმე უწოდა. ამას მოჰყვა რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის ერთობლივი კრებულის – ***გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები*** – ცალკე წიგნად გამოცემა.

ილია ჭავჭავაძესთან რაფიელ ერისთავს მრავალი საზოგადო საქმე აკავშირებდა. ისინი ერთობლივი მონაწილეები იყვნენ წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობის სხდომებისა, *ქშწკგ* საზოგადოების კრებებისა, *მეფე ლირის* დადგმისთვის საჭირო მსახიობების შესარჩევი კონკურსისა; *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დადგენისა და გამოცემის კომისიის სხდომებისა, სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოებისა.

ილიამ გაითვალისწინა რაფიელ ერისთავის მისწრაფება და კომპეტენცია ძველი ხელნაწერების შეკრება-გამოქვეყნებისა და 1881 წელს, *ქშწკგ საზოგადოების* სხდომაზე, სწორედ მას დაავალა გრიგოლ ჩარკვიანისაგან შესასყიდი წიგნების შერჩევა; ასევე, ამავე წელს – ბიბლიოთეკის პროექტისა და წიგნების შეგროვების გეგმის შედგენა.

1884 წელს არტურ ლაისტის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ილიამ ჯერ სადილი გამართა, შემდეგ კი, 31 დეკემბერს, ქართველი მოღვაწეები ახალი

წლისა და *ივერიის* პირველი ნომრის გამოსვლის შესახვედრად მიიწვია. საახალწლო სუფრის თამადა შეუცვლელი რაფიელ ერისთავი ყოფილა. მიღებული შთაბეჭდილებები აღწერილია არტურ ლაისტის მოგონებებში, ასევე, *ილია ბახტაძის (ხონელის)* ავტორობით *ივერიაში* დაბეჭდილ პუბლიკაციაში.

ილიასა და რაფიელის ურთიერთობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა 1887 წლის დეკემბერში, დავით სარაჯიშვილის სახლში გამართულ ნადიმზე, სადაც ილიამ „*ოთარაანთ ქვრივი*“ წაიკითხა. ნაწარმოების რაფიელისეული შეფასება შემოგვინახა პოეტის პირად ფონდში დაცულმა ერთტაეპიანმა ლექსმა – . *დღევანდლამდის, ჭეშმარიტად ქვრივი მე არ მყვარებია*

რაფიელ ერისთავის კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოღვაწეობის დროს, ილიას მიერ რაფიელისადმი გაგზავნილი ბარათებიდან ყველაზე მეტად საინტერესოა 1889 წლის წერილი, რომელშიც ის თხოვს რაფიელს *მიხეილ ნასიძის* ლექსის შეუცვლელად დატოვებას. რაფიელი, თავისი თავის საზიანოდ, ილიას სურვილს აკმაყოფილებს.

1895 წელს ილიამ მონაწილეობა მიიღო რაფიელ ერისთავის 50 წლის იუბილის პროგრამის შედგენაში, ზეიმზე მთელი საღამო მგოსნის გვერდით იჯდა და სიტყვითაც გამოვიდა.

რაფიელ ერისთავის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო ილია ჭავჭავაძისთვის. მისი სულის მოსახსენიებლად *ქმწკგ საზოგადოებამ* ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადა, რომლის ორგანიზატორიც ილია იყო.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; ილია ჭავჭავაძე; ურთიერთობა;

## ILIA CHAVCHAVADZE AND RAPHIEL ERISTAVI

## ABSTRACT

The age difference between Ilia Chavchavadze and Raphiel Eristavi is 13 years; though contemporaries, people of the 1860s often referred to Raphiel as the elder and “old poet.” It seems that even a decade could make a considerable difference in terms of public involvement and activism. Before the rise of the *Tergdaleulebi* movement, Raphiel Eristavi had already held numerous government positions and consistently served the Georgian cause. Despite being seen as part of the older generation, Raphiel aligned himself with the new generation and its leader, Ilia Chavchavadze. During the so-called *Clash of Fathers and Sons*, when Ilia harshly responded to Barbare Jorjadze (Raphiel’s sister) regarding language issues, and when other younger figures followed his lead, Raphiel seemed to refrain from engaging in the polemics.

Who, if not him – the translator and creator of fables, the introducer of mountain dialects into poetry, the advocate of the peasants – would have understood the importance of incorporating the folk language into literary Georgian? Raphiel had a close familial relationship with Ilia – his uncle and Ilia’s foster mother, Makrine, were husband and wife. However, from the surviving letters, business documents, and publications, their relationship appears to be primarily of a literary and social nature. Raphiel Eristavi praised the peasant songs published by Ilia in the *Krebuli* magazine, calling it a great national achievement. This was followed by the publication of their joint work – *Peasant Songs, Poems and Proverbs* – released as a separate book.

Raphiel Eristavi was closely connected with Ilia Chavchavadze through numerous social activities. They were both active participants in the publishing sessions of the Georgian Publishing Society, the meetings of the Society for the Spreading of Literacy among Georgians, the actor selection contest for the staging of *King Lear*, the sessions for determining and publishing the text of *The Knight in the Panther’s Skin*, and various charitable events.

Ilia took into account Raphiel Eristavi’s aspiration and competence in collecting and publishing old manuscripts, and in 1881, at a meeting of the Society for the Spreading of Literacy among Georgians, he entrusted him with the selection of books to be purchased from Grigol Charkviani. That same year, he also assigned him the responsibility of drafting the library project and the plan for collecting books. In 1884, in connection with Arthur Leist’s arrival in Georgia, Ilia first hosted a dinner and then, on December 31, invited Georgian figures to celebrate the New Year and the release of the first issue of *Iveria*. Raphiel Eristavi was the irreplaceable *tamada* (toastmaster) leading the New Year’s table. The impressions gathered from that time are described in Arthur Leist’s memoirs, as well as in the publication printed in *Iveria* by Ilia Bakhtadze (Khoneli).

The relationship between Ilia and Raphiel is particularly evident at the feast held in December 1887 at Davit Sarajishvili’s home, where Ilia read *Otaraant Widow*. Raphiel’s assessment of the work has been preserved in a single-line poem kept in the poet’s personal archive: ‘Until today, I had never truly loved a widow…’

Among the notes Ilia sent to Raphiel during the latter’s service on the Caucasus Censorship Committee, the most interesting is the 1889 letter, in which Ilia asks Raphiel to leave Mikheil Nasidze’s poem unchanged. Raphiel, even to his own detriment, honors Ilia’s request. Ilia took part in organizing the program for Raphiel Eristavi’s 50th anniversary celebration held in 1895; he sat beside the poet throughout the evening and also delivered a speech.

Raphiel Eristavi’s death was a great loss for Ilia Chavchavadze. To honor his memory, the Society for the Spreading of Literacy among Georgians held a memorial service at Kashveti Church, which was organized by Ilia himself.

**Keywords**: Raphiel Eristavi; Ilia Chavchavadze; relationship

## შესავალი

ილია ჭავჭავაძესა და რაფიელ ერისთავს შორის ასაკობრივი განსხვავება 13 წელიწადია; ისინი თანამედროვეები არიან; თუმცა რაფიელს 60-იანელები *უხუცესად* და *მოხუც პოეტად* მოიხსენიებენ. ეტყობა, ერთ ათეულ წელსაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. ქვეყანაში თერგდალეულების *გამოჩენამდე* რაფიელ ერისთავმა მრავალი სახელმწიფო სამსახური გამოიცვალა და ყველგან და ყოველთვის ემსახურებოდა ქართულ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ის ძველი თაობის წარმომადგენლად ითვლებოდა, რაფიელი მხარში ამოუდგა ახალ თაობასა და მის თავკაცს – ილია ჭავჭავაძეს, ე.წ. *მამათა და შვილთა ბრძოლის დროს*, როდესაც ილიამ პასუხი გასცა ბარბარე ჯორჯაძეს, გიორგი ბარათოვსა და რევაზ ერისთავს და მას სხვა ახალთაობელებიც აჰყვნენ, ჩანს, რაფიელ ერისთავმა პოლემიკაში ჩართვისგან თავი შეიკავა. ვფიქრობთ, თუ არა მას, იგავ-არაკების მთარგმნელსა და შემქმნელს, პოეზიაში მთის კილოს შემომტანს, გლეხთა გულშემატკივარს, სხვას ვის უნდა სცოდნოდა სახალხო ენის შემოტანის აუცილებლობის მნიშვნელობა სალიტერატურო ქართულში?! რაფიელს ილიასთან ახლო ნათესაური ურთიერთობაც ჰქონდა – მისი ბიძა და ილიას გამზრდელი მამიდა, მაკრინე, ცოლ-ქმარნი იყვნენ; თუმცა შემორჩენილი ეპისტოლეებიდან, საქმიანი დოკუმენტებიდან და პუბლიკაციებიდან მათი ურთიერთობა ძირითადად ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ხასიათისა უფროა და საზოგადო მოღვაწეთაგან ეს არც არის გასაკვირი.

## კვლევის მეთოდი

სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მეთოდი. მსჯელობა და დასკვნები ანალიტიკური და კრიტიკული მიდგომების საფუძველზეა განვითარებული, რაც, თავის მხრივ, ანალიზის მეთოდს ეყრდნობა. ასევე, გამოყენებულია აღწერითი მეთოდები. ნაშრომში დაცულია ლოგიკური თანამიმდევრობის პრინციპი; სამეცნიერო მსჯელობა აგებულია ძირითადი თეორიული ცოდნის, იმდროინდელი ქართულ პრესასა და საარქივო ფონდებში მოძიებული მასალის მიხედვით.

## შედეგი

რაფიელ ერისთავმა შეაფასა ილიას მიერ ჟურნალ *კრებულში* გამოქვეყნებული გლეხური სიმღერები და ამ ფაქტს დიდი ეროვნული საქმე უწოდა (რ. ერისთავი, *ქართული სახალხო პოეზია, კრებული*, 1873, № 7). ამას მოჰყვა რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის ერთობლივი კრებულის – *გლეხური სიმღერები, ლექსები* და *ანდაზები* – ცალკე წიგნად გამოცემა (ერისთავი, ჭავჭავაძე, 1873). მანამდე კი, ორ საზოგადო მოღვაწეს შორის საქმიანი მიმოწერა გაჩაღდა. 1881 წლის 21 ივნისს ილია ჭავჭავაძე ერისთავს ატყობინებს, რომ *ქართული წიგნის მბეჭდავმა საზოგადოებამ* გადაწყვიტა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის გამოცემა, რამაც გამოიწვია რაფიელ ერისთავის კრებულის გამოცემის შეფერხება. ილია ჰპირდება რაფიელს დაბეჭდვისათვის საჭირო თანხის მოძიებას ხელისმომწერთა მეშვეობით. 5 თვის შემდეგ ქმწკგ საზოგადოება ამტკიცებს რაფიელ ერისთავის *იგავ-არაკების* თარგმანის გამოცემის ხარჯებს (სეა, ფ. 481, 45). ძალიან მალე, 1881 წელსვე, მართლაც გამოიცა *იგავ-არაკნი კრილოვისაგან* და *სიბრძნე-სიცრუიდგან, გალექსილი თ. რაფიელ ერისთავისაგან.*

ილია ჭავჭავაძესთან რაფიელ ერისთავს ბევრი საზოგადო საქმე აკავშირებდა. ისინი ერთობლივი მონაწილეები იყვნენ: წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობის სხდომებისა, ქმწკგ საზოგადოების კრებებისა, *მეფე ლირის* დადგმისთვის საჭირო მსახიობების შესარჩევი კონკურსისა, რომელიც გაიმართა ილია ჭავჭავაძის სახლში (ყიფიანი, 1964, გვ. 27); *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დადგენისა და გამოცემის სხდომებისა, სადაც ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი კომისიის თავმჯდომარის – გრიგოლ ორბელიანის – თანაშემწეები იყვნენ (დროება, 1880, №250).



რაფიელ ერისთავი და ილია ერთად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოში. მაგალითად, 1875 წლის 4 აპრილს იმართება სალიტერატურო-მუსიკალური საღამო *ერთი კეთილი საქმის შესაწევრად*. გრიგოლ ორბელიანის შეფასებით (წერილი ი. მესხიშვილისადმი, *დროება*, № 176), *ძალიან ცუდად გამოჩნდნენ რ.ე და დ.ყ.* (ე. ი. რაფიელ ერისთავი და დიმიტრი ყიფიანი), *რაღაც ღმერთი გაუწყრათ. სულ ვერ წაიკითხეს. და ძალიან კარგად იყვნენ დ.ე. გლ. ი. ჭ. და ა. წ.* (ე.ი. დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი). მთავარი ის იყო, რომ საღამოს მონაწილეებმა, რომლებთანაც ურთიერთობას ესწრაფვოდა ქართული საზოგადოება, შემოსავალი, 254 მანეთი, მომავალი ქართული სცენის სასარგებლოდ თეატრის მოღვაწეებს გადასდეს.

რაფიელ ერისთავი ილია ჭავჭავაძესთან ერთადაა, როცა ილია და სერგეი მესხი, 1875 წელს ქართული წიგნების გამომცემელთა ამხანაგობას აყალიბებენ. ამხანაგობას გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს ძველ და ახალ საუკეთესო მწერალთა თხზულებები, ისტორიული და სახელმძღვანელო წიგნები. თავდაპირველად ბეჭდავენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს (ს. მესხი, წერილები, 1950, 203-204). ილია და რაფიელი ერთად მონაწილეობდნენ ამ ამხანაგობის სხდომებსა და კრებებზე.

ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი ერთად მოღვაწეობენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, რომლის თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანია, თავმჯდომარის თანაშემწე – ილია ჭავჭავაძე. საზოგადოების 28 წევრს შორის რაფიელ ერისთავიცაა (კრების ანგარიში გამოქვეყნებულია *დროებაში* (1879 წ. № 101).

1879 წლის 1 სექტემბერს საფუძველი ეყრება ქართულ მუდმივ თეატრს. ამ დღეს წარმოადგინეს ბარბარე ჯორჯაძის კომედია *რას ვეძებდი და რა ვპოვე*, რომელშიც ავეტიკა სირაჯის როლს რაფიელ ერისთავი ასრულებს. ქართველი მსახიობები მოითხოვენ, რომ „ტრუპპის“ (დასის) მმართველობა მიანდონ მათთვის სასურველ მოღვაწეებს, რომელთა შორისაც ასახელებენ ილიას, აკაკის, დიმიტრი ყიფიანს, რაფიელ ერისთავსა და კიდევ რამდენიმე კაცს.

## მსჯელობა

მსჯელობისას დავეყრდნობით იმდროინდელ ქართულ პრესას: გაზ. ივერიას, ჟურნალ კვალს, გაზეთ დროებას, აგრეთვე კორნელი კეკელიძის სახელობის სახელმწიფო ეროვნულ ცენტრში დაცულ რაფიელ ერისთავის არქივს (არქ. № 955), საქართველოს ეროვნულ არქივში არსებულ ცნობებს (სეა, ფ. 480, ფ. 481) და თანამედროვეთა მოგონებებს.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროა ძველი ხელნაწერების შეკრება და გამოქვეყნება, რაც მის ეპისტოლეებშიც დასტურდება. რაფიელი უკავშირდებოდა ინფორმატორებს, ბიბლიოფილებს, ინტერესდებოდა ნებისმიერი შინაარსისა და წარმომავლობის ხელნაწერით, შეეძლო მათი მნიშვნელობის განსაზღვრა და ზრუნავდა მათი გამოქვეყნებისათვის. მისი ეს მისწრაფება და კომპეტენცია გაითვალისწინა ილია ჭავჭავაძემ და 1881 წელს, *ქმწკგ საზოგადოების* სხდომაზე, სწორედ მას დაავალა გრიგოლ ჩარკვიანისაგან შესასყიდი წიგნების შერჩევა (სეა, ფ.481, 2). გრიგოლ ჩარკვიანი იყო გამომცემელი და თბილისში ქართული წიგნის მაღაზიის მფლობელი, მას ჰქონდა არაერთი ქართული ხელნაწერი წიგნი. ამავე, 1881 წელს, რაფიელ ერისთავსა და ნიკოლოზ ცხვედაძეს დაევალათ ბიბლიოთეკის პროექტისა და წიგნების შეგროვების გეგმის შედგენა (სეა, ფ.481, 2).

1884 წელს, არტურ ლაისტის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ილია მართავს საღილს და მოსაწვევებს უგზავნის ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. მათ შორისაა რაფიელ ერისთავი. ილია ქართულ საზოგადოებას აცნობს არტურ ლაისტს და ქართული კულტურისადმი გაწეულ მის ღვაწლს. რაფიელს კი ამ გაცნობამდე აქვს ურთიერთობა გერმანელ მწერალთან და პუბლიცისტთან. საქმე ისაა, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე დაუკავშირდა არტურ ლაისტი ქართველ მოღვაწეებს, მათ შორის – რაფიელ ერისთავს. მან გამოთქვა რაფიელის გაცნობისა და თხზულებების თარგმნის სურვილი, რასაც ადასტურებს ერისთავის არქივში დაცული, არტურ ლაისტის მიერ რაფიელისადმი მიწერილი, ფრანგულენოვანი წერილი.

ამავე წლის 31 დეკემბერს ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის – რაფიელი – ილიამ სადარბაზო ბარათებით მიიწვია ახალი წლისა და *ივერიის* პირველი ნომრის გამოსვლის აღსანიშნავ შეხვედრაზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით არტურ ლაისტი წერს: *ახალი წლის ღამეს ახალი გაზეთის შესახვედრად ილიასთან ორმოცამდე კაცი შეიკრიბა, რომელთაგანაც მაგონდება: ვანო მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, გიგო ყიფშიძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ღოღობერიძე, ასათიანი (მაშინდელი ქუთაისის ქალაქის თავი), პეტრე უმიკაშვილი და სხვ. სწორედ ღამის 12 საათზე სტამბიდან მოიტანეს დიდი ფორმატის ახალი გაზეთის რამდენიმე ეგზემპლიარი. ამ ღამეს პირველად ახალი გაზეთის სადღეგრძელო დასცალეს ღვინით სავსე ჭიქები, შემდეგ მრავალჟამიერი შემოსძახეს და მერე კი რედაქციის რომელიღაც წევრმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა სტატიებისა და ლექსების* (ლაისტი,1963: 57).

ახალი წლის სუფრის თამადა შეუცვლელი რაფიელ ერისთავი ყოფილა. ილია ხონელი მხატვრულად აღწერს ამ ამბავს: *არც ერთს საჩუქარზედ არ გავცვლიდი იმ სიამოვნებას, რომელიც მარგუნა ახალმა წელმა. მე ჩემის თვალით ვნახე, თუ როგორ დიდი ხნის დადუმებულმა საბეჭდავმა მაშინამ, ხელახლად აატრიალა თავის ბორბლები და სიხარულის გვირგვინით გადმოისროლა პირველი ნომრები ახალის გაზეთისა. ვნახე ისიც, თუ როგორ შამოჰყვა ეს ჩვენი ყველა სატრფოზე უტკბესი სატრფო პაწია ახალ წელს რედაქციის დარბაზში, სადაც ამ დროს ყველა ჩვენი ლიტერატურისათვის გულ შემტკივარ ქართველთათვის მეჯლისი იყო გამართული, გავიგონე ის ტაშის კვრა, ის სიხარულის კიჟინა, რომელმაც თითქო აიტანა ზევით ერთი სახლი ახალბებუთოვის ქუჩაზე. უხუცესმა და „უუტოლუმბაშესმა“ ჩვენმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა კისრად აიღო ახლად-შობილის მონათვლა, ასხურა მას „მილით მოსაყვანი“ ყვარელის ღვინო, მოაყარა ზედ მარილი და დალოცა ექსპრომტით ნათქვამი ლექსებით. ამგვარი ლექსები ამ სამახსოვრო საღამოს ბუზებსავით დაჰფრინავდნენ სუფრაზედ* (*ივერია*, 1886, №3).

1884 წლის მე-3 ნომერში ილიამ გამოაქვეყნა ახალი წლის ღამეს დავით ერისთავის მიერ გამოთქმული ექსპრომტები, რომელთა ადრესატები რაფიელ ერისთავი, ილია და *ივერიაა*.

ილია პირადად ესწრება რაფიელ ერისთავის ვოდევილებს და *ივერიაში* ბეჭდავს მის ლექსებს.

ილიასა და რაფიელის ურთიერთობის ხასიათი კარგად გამოჩნდა 1887 წლის დეკემბერში, დავით სარაჯიშვილის სახლში გამართულ ნადიმზე, სადაც ილიამ *ოთარაანთ ქვრივი* წაიკითხა:

საღამოს რვა საათი იქნებოდა. სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ *ივერიის* ყველა თანამშრომელნი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი ... და კიდევ ბევრნი სხვანი (ჭავჭავაძე, 1939: 289).

იაკობ მანსვეტაშვილის მოგონების თანახმად, ილიას პრეზენტაცია ვახშმით დასრულდა. ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, ვახშამს ლაზათი დასდო სუფრის თამადამ, მოხუცმა რაფიელ ერისთავმა, ***რომელიც განთქმული იყო, როგორც ჩვენი მწერლობის პატრიარქი და გლეხთა მგოსანი. რაფიელი იყო ამასთანავე ენა-წყლიანი, ჭკუა-მახვილი, ოხუნჯი, ხოლო ამისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი ძველებური ქართული, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დაჰლევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითაც მიჰმართავდა, ხან ექსპრომტით ლექსსაც ჩააკერებდა.*** მახსოვს კარგად: ალექსანდრე ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო იყო... ეს ჩოლოყაშვილი ქართული ბანკის დირექტორი იყო და იმ ხანებში არჩეულ იქმნა ხმოსნად ქალაქის საბჭოში (дума) და აი ასეთი სიტყვით მიჰმართა რაფიელმა: – ალექსანდრე, გიყვარდა კეთილი ცხოვრება და სულ იმას ნატრობდი, რომ კაი მსუქანი ლუკმა გეშოვნა. აკი აგიხდა ნატვრა: ეხლა ქალაქის „дума“ ხელში გიჭირავს, სთალე და სთალე, ნუ დაზოგავ, მსუქანი დუმააო. მერე პეტრე უმიკაშვილი ადღეგრძელა, ერთგული საზოგადო მოღვაწე და ქართული მწიგნობრობის მოყვარული. ალავერდი ნიკ. ერისთავთან გადავიდა და თან დააყოლა: შენთვის მომინდვია, ყური უგდე პეტრეს და, თუ ჭიქა არ გამოცალოს, ულვაში აუწიეო. ყველას სიცილი წასკდა. რადგან ყველამ და მათ შორის რაფიელმაც იცოდა, რომ პეტრე წვერ-ულვაშს არ ატარებდა,



იპარსავდა, რაც მაშინ ქართველებში ძალიან იშვიათი იყო და რის გამოც პეტრე ნიშანში ჰყვანდათ ამოღებული და სულ ამ უულვაშობას დასცინოდნენ (მანსვეტაშვილი, 1936,: 116).

*ოთარაანთ ქვრივის* რაფიელისეული შეფასება მანსვეტაშვილის მეხსიერებას არ შემოუნახავს. რაფიელისეული შეფასება შემოგვინახა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში რ. ერისთავის პირად ფონდში დაცულმა ილია ჭავჭავაძისადმი მიწერილმა ერთტაეპიანმა ლექსმა:

**ილია ჭავჭავაძეს**

*დღევანდლამდის, ჭეშმარიტად ქვრივი მე არ მყვარებია,*
*ჩემი ტუჩი ქვრივის ტუჩებს, ვფიცავ არა ჰკარებია,*
*დღეს კი – დახე ამ დროებას, წმინდის გულით შამოგჩივი:*
*შამიყვარდა უბედური, შენი „ოთარაანთ ქვრივი“.*

(ერისთავი, ხელნაწერი №132)

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის დროს კავკასიის საცენზურო კომიტეტში, ბუნებრივია, რომ მასთან, როგორც ქართული მასალის ცენზორთან, ურთიერთობა აქვს ყველა იმდროინდელ რედაქტორსა და გამომცემელს, მათ შორის – ილია ჭავჭავაძეს. ილიას მიერ რაფიელისადმი გაგზავნილი ბარათებიდან ყველაზე მეტად საინტერესოა 1889 წელს გაგზავნილი ბარათი, რომელშიც ის თხოვს რაფიელს, რომ მიხეილ ნასიძის ლექსიდან, *ახალი იავნანა*, არ ამოიღოს სიტყვები – *Многие лета*. ლექსი, რომელიც ქართული საზოგადოების მამხილებელი იყო და ამ მხილებას აძლიერებდა რუსული ფრაზის გაშარჟება, სრულდებოდა ასე: *სამშობლო და დედაენა რად გინდა ნეტაო,/ გამოთვერ და შემოსხაძე: მწოლოე ლეტაო.... გეფიცებით, ამ ლექსს ამოუშლელად თვითონ ლუკა სტეფანისძეც კი დაუბრკოლებლად გაუშვებდა. თქვენი ჭირიმე, ლექსს ნუ წაახდენთ. პასუხის გება ჩემი იყოს, თუ ვინმემ რამ შეჰნიშნოს* (კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქ. № 955) – სწერს ადრესატს ილია ჭავჭავაძე. *ლუკა სტეფანისძეში* ილია გულისხმობდა ლუკა ისარლოვს, იმპერიული იდეოლოგიის გამცველსა და შეუბრალებელ ცენზორს. რაფიელმა, რომელიც თავისი თავის საზიანოდ ყოველთვის ითვალისწინებდა ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა სურვილებს, რა თქმა უნდა, შეუსრულა ილია ჭავჭავაძეს თხოვნა და აღადგინა ამოშლილი რუსული ფრაზა.

1895 წელს ქართველმა ხალხმა რაფიელ ერისთავს გულით მიულოცა 50 წლის იუბილე, რომელიც სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ილიამ მონაწილეობა მიიღო საიუბილეო კომიტეტის სხდომაში, სადაც დაამტკიცეს საიუბილეო ზეიმის დაწვრილებითი პროგრამა. (ი. გიორგაძე, ნ. გურგენიძე 1987 : 252). იუბილე 22 ოქტომბერს გაიმართა: *შუადღე ახლოვდებოდა, რომ იუბილარი ლანდოთი, შვენიერი წყვილი თეთრი ცხენებით შებმული, მობრძანდა ქალშვეთის ეკლესიაში. მის გვერდით ისხდნენ თ. ი. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი* (*კვალი*, 1895, № 46 : 3). სცენაზე რაფიელი ილიასა და აკაკისთან ერთად შემოვიდა და დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი ესტრადის ქვემოთ. მარჯვნივ აკაკი ეჯდა, ხოლო მარცხნივ – ილია. წარმოდგენის შემდგომ ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლის საზამთრო ბაღში გაიმართა ვახშამი. იუბილარის გვედით აქაც ილია და აკაკი ისხდნენ. პირველი სადღეგრძელო იუბილარისა დალიეს, შემდეგ – ილიასი და აკაკისა. სიტყვები წარმოთქვეს ილიამაც და აკაკიმაც.

1895 წლის 24 ოქტომბერს, *ივერიის* 230-ე ნომერში, ქვეყნდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადრესი რაფიელ ერისთავისადმი, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო. ადრესს ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი, ილია ჭავჭავაძე და გამგეობის წევრები... წიგნის მაღაზიებში კი გამოჩნდა მშვენიერი ფოსტის ქაღალდები თამარის, შოთას, რაფიელ ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის სურათებით.

1895 წლის აგვისტოში ჟურნალი *ნივა* (№ 35) აქვეყნებს ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილ სტატიას პორტრეტებით. სტატიის ავტორია ვ. ველიჩკო. მისი მიზანია რუს მკითხველს წარუდგინოს ორი გამორჩეული ქართველი მწერალი და გააცნოს მათი შემოქმედება. ველიჩკოს სტატიის შემდეგ ილიასა და რაფიელ ერისთავს ინგლის-რუსეთის ლიტერა-

ტურული საზოგადოების წევრობას, ბიოგრაფიული ცნობების მიწოდებას სთხოვენ და აპირებენ მათი ლექსების ინგლისურ ენაზე თარგმნას (ი. გიორგაძე, ნ. გურგენიძე 1987:274).

1897 წელს გერმანიაში, ფრაიბურგში, გამოდის *ბაუმჰარტნერის* წიგნი – *მსოფლიო ლიტერატურის ისტორია,* I ტომი, რომელშიაც ყველაზე თვალსაჩინო და წარჩინებულ ქართველ პოეტებად მოხსენიებულნი არიან გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, რაზიკაშვილი და გურიელი (*ივერია,* 1898, 11 თებერვალი, № 31).

1900 წელს ილიასა და რაფიელ ერისთავს ირჩევენ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებათმეცნიერების, ეთნოგრაფიის და ანთროპოლოგიის საზოგადოების წევრებად *(ცნობის ფურცელი,* 1900, №1277; *ივერია,* 1900, №231).

1901 წელს რაფიელ ერისთავი გარდაიცვალა. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო ქართული კულტურისათვის. ილია კვლავ განსვენებული პოეტის გვერდითაა. ის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით სამძიმრის დეპეშას უგზავნის თელავში რაფიელის სიძეს – ვასილ კახიძეს, შემდეგ კი მონაწილეობს ქართველი საზოგადოების თათბირში, რომელიც განიხილავს რაფიელის ხსოვნისა და უკვდავყოფის საკითხს. მეორე დეპეშით ის ატყობინებს რაფიელის ოჯახს ქართული საზოგადოების სურვილს, რაფიელ ერისთავის თბილისში დაკრძალვის შესახებ, აგრეთვე იმას, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავის თავზე იღებდა ყველა ხარჯს. ოჯახიდან მიღებული უარის შემდგომ (განსვენებულის სურვილი იყო მშობლიურ სოფელ ქისტაურში დასაფლავება) წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა სხვაგვარად ეცა პატივი განსვენებული პოეტისათვის. 25 თებერვალს, ქაშვეთის ეკლესიაში ჩატარდა რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რომლის ორგანიზება (გაზეთებში გამოცხადება) ილიამ ითავა და პანაშვიდს თავადაც დაესწრო.

## დასკვნა

- ქართულ კულტურულ სივრცეში ახალი ეპოქის დადგომამდე, 60-იან წლებამდე, რაფიელ ერისთავმა მრავალი სახელმწიფო სამსახური გამოიცვალა და ყველგან და ყოველთვის ემსახურებოდა ქართულ საქმეს.
- მიუხედავად იმისა, რომ რაფიელი ძველი თაობის წარმომადგენლად ითვლებოდა, ის გვერდში ამოუდგა ახალ თაობასა და მის თავკაცს – ილია ჭავჭავაძეს და ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ დროს თავი შეიკავა პოლემიკაში ჩართვისგან.
- იგავ-არაკების მთარგმნელსა და შემქმნელს, პოეზიაში მთის კილოს შემომტანს და გლეხთა გულშემატკივარ მწერალს კარგად ესმოდა სახალხო ენის შემოტანის მნიშვნელობა სალიტერატურო ქართულში.
- რაფიელს ილიასთან ახლო ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა – მისი ბიძა და ილიას გამზრდელი მამიდა, მაკრინე, ცოლ-ქმარნი იყვნენ; თუმცა შემორჩენილი საქმიანი დოკუმენტებიდან და პუბლიკაციებიდან მათი ურთიერთობა ძირითადად ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ხასიათისაა.
- ილია ჭავჭავაძესთან რაფიელ ერისთავს მრავალი საერთო საქმე აკავშირებდა. ისინი ერთად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადოებების საქმიანობაში. ეს საზოგადოებებია: წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობა, ქშწკგ საზოგადოება, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებათმეცნიერების, ეთნოგრაფიის და ანთროპოლოგიის საზოგადოება
- რაფიელ ერისთავი და ილია ერთად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოში. ისინი ერთად მასპინძლობდნენ 1884 წელს საქართველოში ჩამოსულ გერმანელ მწერალსა და პუბლიცისტს, არტურ ლაისტს.
- კავკასიის საცენზურო კომიტეტში მოღვაწეობის დროს, 1889 წელს, რაფიელმა გაითვალისწინა ილია ჭავჭავაძის თხოვნა, რითაც, თავისდა საზიანოდ, დაარღვია ცენზურის კანონი.
- ილია გულწრფელად აფასებდა რაფიელ ერისთავის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რაც გამოიხატა მწერლის 50 წლის იუბილესა და დაკრძალვის ცერემონიალის ორგანიზებაში.



## ბიბლიოგრაფია:


გორგაძე ი., გურგენიძე ნ. (1987). *ილია ჭავჭავაძე _ ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე.* თბილისი: *მეცნიერება.*

გაზეთი *დროება.* (1875). №176, ტფილისი.

გაზეთი *დროება.* (1879). №101, ტფილისი.

გაზეთი *დროება.* (1880). №250, ტფილისი.

ერისთავი რ. (1873). ქართული სახალხო პოეზია, ჟურნ. *კრებული,* №7, თფილისი..

ერისთავი, რ. პირადი საარქივო ფონდი. ხელნაწერი №132, კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გაზეთი *ივერია.* (1886). №3, ტფილისი.

გაზეთი *დროება.* (1898). შ№31, ტფილისი.

გაზეთი *დროება.* (1900). №231, ტფილისი.

გაზეთი *კვალი.* (1895). №46, ტფილისი.

*კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,* რაფიელ ერისთავის არქ. №955.

არტურ ლაისტი (1963). *საქართველოს გული,* თბილისი: *ლიტერატურა და ხელოვნება.*

მანსვეტაშვილი ი. (1936), *მოგონებანი,* თბილისი: ფედერაცია.

მესხი ს. (1950), *წერილები,* სოხუმი. *აფხაზეთის სახელგამი.*

ჟურნ. *ნივა.* (1895), №35;

*საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №481, აღწერა 1, საქმე №45).*

ჭავჭავაძე ილ. (1939). *საიუბილეო კრებული,* თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გაზეთი *ცნობის ფურცელი.* (1900), №1277, ტფილისი.



*თამარ შარაბიძე*
ასოცირებული პროფესორი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,


*Tamar Sharabidze*
Associate Professor,
Iv. Javakhishvili Tbilisi state university
ORCID-ID: 0009-0004-5900-9082



ილია ჭავჭავაძე. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ილია ჭავჭავაძე. რაფიელ ერისთავის ფოტოარქივი. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. № 1096-27r




ილია ჭავჭავაძის სავიზიტო ბარათი. რაფიელ ერისთავის არქივი. № 957-03v



# რაფიელ ერისთავის შემოქმედება გერმანულ ენაზე

## აბსტრაქტი

ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის შემოქმედება ქართული ლიტერატურისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ მისი ნაწარმოებები გერმანულად პოეტის სიცოცხლეშივე ითარგმნა და გამოქვეყნდა. 1887 წელს გერმანელი მწერლის, მთარგმნელის, გამომცემლის არტურ ლაისტის მიერ ითარგმნა და გამოიცა კრებული ***ქართველი პოეტები*** (*Leist, Arthur, Georgische Dichter*, Leipzig, 1887). ეს არის პირველი ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე, რომელშიც 32 ხალხური ლექსი და თერთმეტი ავტორის 89 ლექსია შესული. მათ შორის: *გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის* და სხვათა ლექსები. ამ ანთოლოგიამ მნიშვნელოვან წვლილი შეიტანა ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში. აღსანიშნავია, რომ 1900 წელს არტურ ლაისტმა მოამზადა და ლაიფციგში დაბეჭდა ამ ანთოლოგიის ხელმეორე, განახლებული გამოცემა.

2015 წელს გამოცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, რომლის შედგენასა და გამოცემაზე იმუშავეს *გერტ რობერტ გრიუნერტმა* და *ნინო პოპიაშვილმა* (*Gert Robert Grünert, Nino Popiaschwili (Hgs), Anthologie georgischer Lyrik "Ich aber will dem Kaukasos Zu, Pop Verlag Ludwigsburg,* 2015), შეტანილია რაფიელ ერისთავის ლექსი *სამშობლო ხევსურისა*.

ნაშრომში განვიხილავთ რაფიელ ერისთავის ნაწარმოების გერმანულ თარგმანებს, ყურადღებას ვამახვილებთ არტურ ლაისტის შრომებში რაფიელ ერისთვის შესახებ არსებულ ცნობებსა და პოემების თარგმნის თავისებურებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; არტურ ლაისტი; ანთოლოგია.

# RAPHIEL ERISTAVI'S LITERARY WORK IN GERMAN

## ABSTRACT

The literary work of the Georgian poet and public figure Raphiel Eristavi is significant in many ways for Georgian literature. Notably, his writings were translated into German and published during his lifetime. In 1887, the German writer, translator, and

publisher Arthur Leist translated and published the collection *Georgian Poets* (Leist, Arthur, *Georgische Dichter*, Leipzig, 1887). This was the first anthology of Georgian poetry in the German language, containing 32 folk poems and 89 poems by eleven authors, including Grigol Orbeliani, Alexandre Chavchavadze, Nikoloz Baratashvili, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vazha-Pshavela, Raphiel Eristavi, and others.

This anthology made a significant contribution to Georgian-German literary relations. It is also worth noting that in 1900, Arthur Leist prepared and published a second, revised edition of this anthology in Leipzig.

In the anthology of *Georgian Poetry*, published in 2015 and compiled and edited by Gert Robert Grünert and Nino Popiashvili (Gert Robert Grünert, Nino Popiaschwili (Hgs), *Anthologie georgischer Lyrik: „Ich aber will dem Kaukasos zu“*, Pop Verlag Ludwigsburg, 2015), Raphiel Eristavi's poem *Motherland of Khevsuri* is included.

In this paper, we examine the German translations of Raphiel Eristavi's works, with particular focus on the information about Eristavi found in Arthur Leist's works and on the peculiarities of the translation of the poems by him.

**Keywords:** Raphiel Eristavi; Arthur Leist; anthology.





## შესავალი

თარგმანი, როგორც კულტურათშორისი ურთიერთობა, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მიზანსა და დანიშნულებას ემსახურებოდა. მიუხედავად ამისა, მხატვრული ლიტერატურის თარგმნის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ენათა და კულტურათა გაზიარება და კავშირების დამყარება იყო. მხატვრული ლიტერატურის თარგმანი განიხილება, როგორც ორი ენის კულტურული სინთეზი, და შესაბამისად, კულტურისა და ლიტერატურის ურთიერთობის შედეგი.

ქართული ლიტერატურის თარგმნას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გერმანულ ენაზე ქართული ლიტერატურა XIX საუკუნიდან ითარგმნება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ქართული ლიტერატურის თარგმნის თვალსაზრისით, სხვადასხვა ეპოქაში, გერმანული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენაა. გერმანული ითვლება ენად, რომელზეც ყველაზე ხშირად ითარგმნებოდა და დღემდე ითარგმნება ქართული ლიტერატურა. გერმანულ ენაზე თარგმანები არა მარტო ყველაზე მრავალრიცხოვანია, არამედ აქ ჩანს ლიტერატურის აშკარა უპირატესობა სხვა სახის ნაწარმოებებთან შედარებით; ეს თარგმანები ასევე ჟანრების, ავტორებისა და სხვადასხვა დროს შექმნილი ორიგინალური ნაწარმოებების ფართო სპექტრს აერთიანებენ (წიგნის პლატფორმა, 2015, გვ. 16).

ქართველი პოეტის, პუბლიცისტის, რაფიელ ერისთავის შემოქმედება მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისათვის. აღსანიშნავია, რომ მისი შემოქმედება თარგმნილი და გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზე პოეტის სიცოცხლეშივე, რაც გერმანელი მწერლის, ჟურნალისტის, მთარგმნელის, *არტურ ლაისტის* (1852-1927 წ.წ.) სახელს უკავშირდება. იგი XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაინტერესდა საქართველოთი გერმანელი მწერლის, *ფრიდრიხ ბოდენშტედტის* რჩევით. არტურ ლაისტი 1884 წლიდან რამდენჯერმე იმყოფებოდა საქართველოში ხანგრძლივად. გამოსცა რამდენიმე ნაშრომი ქართველების შესახებ. მათ შორის: ***Georgien: Natur, Sitten und Bewohner*** (Leipzig 1885); ***Georgische Dichter*** (Leipzig 1887); ***Schota Rustaweli: Der Mann Im Tigerfelle*** (Dresden 1898); ***Das Georgische Volk*** (Dresden 1903) და სხვა.

გერმანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არტურ ლაისტი, 1892 წლიდან დამკვიდრდა საქართველოში და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ცხოვრებაში. 1906 წელს თბილისში დააარსა სტამბა და გერმანულენოვანი გაზეთი – *Kaukasische Post*. 1923 და 1927 წლებში კი თბილისში გამოიცა არტურ ლაისტის თხზულებათა კრებული ***საქართველოს გული*** ორ წიგნად. არტურ ლაისტი დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## კვლევის მეთოდი

გამოკვლევაში გამოვიყენებთ პირველადი და მეორეული წყაროების ანალიზის მეთოდს, გამოვავლენთ და წარმოვადგენთ პირველად წყაროებს. ნაშრომში კომპარატივისტული კვლევის მეთოდებით შევადარებთ რაფიელ ერისთავის გერმანულენოვან თარგმანებს.

## შედეგი

ნაშრომი განიხილავს რაფიელ ერისთავის ნაწარმოებების გერმანულ თარგმანებს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საგანგებო კვლევა არ შესრულებულა. ნაშრომში წარმოდგენილია რაფიელ ერისთავის ლექსების როგორც არტურ ლაისტის მიერ შესრულებული, ასევე, სხვა მთარგმნელების მიერ გამოქვეყნებულ თარგმანები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ რაფიელ ერისთავის ლექსების გერმანულ თარგმანებზე. მათ შორის, ჩვენი დაკვირვებით, რაფიელ ერისთავის ლექსის პირველ გერმანულენოვან პუვლიკაციაზე, რომელიც გამოქვეყნებულია 1885 წელს არტურ ლაისტის წიგნში: *Georgien, Natr,*

*Sitten und Bewohner (საქართველო, ბუნება, წესები და მაცხოვრებლები);* შემდგომ, არტურ ლაისტის 1887 წელს გამოქვეყნებულ პირველ ქართულ გერმანულენოვან ანთოლოგიაში *ქართველი პოეტები*, აგრეთვე, 1900 წელს, ამავე ანთოლოგიის გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემაში.

ნაშრომში წარმოჩენილია რაფიელ ერისთავის ლექსის 2015 წელს გამოქვეყნებული თარგმანი წიგნში: *ქართული პოეზიის ანთოლოგია*, შემდგენლები და გამომცემლები *გერტ რობერტ გრიუნერტი* და *ნინო პოპიაშვილი* (Gert Robert Grünert, Nino Popiaschwili (Hgs), *Anthologie goergischer Lyrik Ich aber will dem Kaukasos Zu*, Pop Verlag Ludwigsburg, 2015).

ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტეთ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანულენოვან სასცნობარო და ლიტერატურულ ლექსიკონებში არსებული ცნობები ქართული ლიტერატურის შესახებ, რომლებშიც იხსენიება რაფიელ ერისთავი. კერძოდ, 1886 წელს, ლაიპციგში გამოცემული ორიენტალისტური ჟურნალი, *Literatur-Blatt für Orientaliche Philologie, Leipzig, Otto Schulze*, რომელში სხვა ქართველ მწერლებთამ ერთად მოხსენიებულია რაფიელ ერისთავი. 1893 წლის *Brockhaus Konversations Lexikon*, ტ. 7, პუბლიკაცია, რომელშიც მოხსენიებულია რაფიელ ერისთავი და სხვ.

## მსჯელობა

არტურ ლაისტი 1882 წელს, საქართველოში ჩამოსვლამდე, სწერს წერილს რაფიელ ერისთავს. წერილი დათარიღებულია 1882 წლის 17 ივლისით და შესრულებულია ფრანგულ ენაზე. გერმანელი მთარგმნელი ქართველ მწერალს მიმართავს პრინცის წოდებით, მადლობას უხდის წერილისათვის და აღნიშნავს, რომ მოხიბლულია ერისთავის პოეზიით, უკვე სცადა რამდენიმე ლექსის პოლონურად თარგმნა, განსაკუთრებულ აღფრთოვანებას გამოთქვამს ლექსის, *სამშობლო ხევსურისას* გამო, მოჰყავს ლექსის პირველი სტრიქონი და მიუთითებს, რომ ეს ლექსი გამოხატავს მთარგმნელის სურვილსაც, ევროპულ საზოგადებას გააცნოს ქართული ლიტერატურა, რომელიც მომავალშიც ბევრ საინტერესო თემასა და მოტივს ჰპირდება მკითხველს. არტურ ლაისტი აღნიშნავს, რომ ემზადება ქართველი მწერლების კრებულის გამოსაცემად, განზრახული აქვს რაფიელ ერისთავის თხზულებების თარგმნა და თბილისში ჩამოსვლისას პირადად გაცნობის იმედს გამოთქვამს (იხ. დანართი 1, 2, 3).

ერთი წლის შემდგომ, 1883 წლის 20 იანვარს, არტურ ლაისტი ჟურნალში *Magazin für Literatur des In und Auslandes (ჟურნალი ჩვენის ქვეყნისა და უცხო ლიტერატურისა)*, აქვეყნებს წერილს – *მივიწყებული ლიტერატურა*. ეს წერილი იმავე წელს ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა *ივერიამ*. ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში – *ევროპიელის აზრი ჩვენს ლიტერატურაზედ*, – აღნიშნულია: *ერთს ნემენცურს ჟურნალში, რომელიც, ვგონებთ ლეიპციგში გამოდის, დაბეჭდილია ერთის ნემეცის, არტურ ლაისტის წერილი შესახებ ჩვენის ლიტერატურისა... ავტორი ჩვენის მხრივ დიდის მადლობის ღირსია ამ თანაგრძნობით.*

არტურ ლაისტის პუბლიკაცია, *მივიწყებული ლიტერატურა*, მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს მდებარეობას, ისტორიას და ლიტერატურას. გერმანელი ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით, პოეზიის თავისებურებებზე, მოტივებზე, აღმოსავლურ გავლენაზე და სხვა. წერილში საგანგებო ადგილი ეთმობა ქართულენოვან პერიოდულ გამოცემებს, აგრეთვე, თანამედროვე ქართველ ავტორებს, რომელთა შორის ავტორი პირველ რიგში ასახელებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს, ხოლო შემდგომ, რაფიელ ერისთავსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს: *საკმაოდ მდიდარია ქართველების პოეზია, მეტადრე ლირიკა, რომელსაც თუმცა აღმოსავლური კილო ეტყობა, მაინც გრძნობიერის მელოდიით გამოსთქვამს საქართველოს ხალხის აწინდელ მდგომარეობას. რასაკვირველია, უმთავრესს საგანს ამ ლექსებისას შეადგენს ჩივილი დაკარგულს დიდებაზედ და იმედი უკეთესის მომავლისა... თ. რაფ. ერისთავი და ნიკ. ბარათაშვილი საუკეთესო თანამედროვე ლირიკები არიან. პირველის კალამს ეკუთვნის ბევრი მშვენიერი, მამულის სიყვარულით აღტაცებული ლექსი* (*ივერია*. 1883, №1, გვ. 160-161 (იხ. დანართი 4).

გერმანელი მწერლის დიდი დაინტერესება ქართული ლიტერატურით კიდევ უფრო გაღრმავდა საქართველოში ცხოვრების პერიოდში. პირველად (1884 წელს), ჩამოსვლისთანავე, არტურ ლაისტი უკვე ინტენსიურად მუშაობს ქართული პოეზიის თარგმანებზე, მოგზაურობს საქართველოში, ეცნობა ქართულ კულტურას, მონაწილეობას იღებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში, ქართველი მწერლების შეხვედრებში, ლიტერატურულ საღამოებში და სხვა.

ლაისტს საქართველოში ჩამოსვლამდე უკვე ჰქონდა წერილობითი ურთიერთობა ქართველ მწერლებთან, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძესთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა გერმანელი მწერლისა და მთარგმნელის საქართველოში ყოფნის წლებში. საგულისხმოა, რომ არტურ ლაისტის ჩამოსვლის შესახებ კარგად იცოდნენ ქართველმა მწერლებმა. *მისი ჩამოსვლის პირველ დღეს ილიამ გამართა წვეულება, სადაც, როგორც ყოველთვის, რაფიელ ერისთავი იყო თამადა. ი. ჭავჭავაძემ საგანგებოდ გააცნო რაფიელ ერისთავი არტურ ლაისტს, როგორც ქართული პოეზიის უხუცესი, მამა-პაპური სუფრის ტრადიციული თამადა და მმებით მოლაპარაკე დარბაისელი ქართველი* (ვაშაყმაძე. 1962, გვ. 94-95).

*ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში*, რაფიელ ერისთავის ფონდში, დაცულია მოსაწვევი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს გაუგზავნია რაფიელ ერისთავისათვის არტურ ლაისტისადმი მიძღვნილ წვეულებაზე დასასწრებად. *პარასკევს, 1-ს ივნისს სადილად სამ საათზედ ჩემს სახლში მოწვეული მყავს თქვენი პატივისმცემელი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი. გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ* (რაფ. ერისთავის ფონდი. № 227).

ქართველი მწერალი, რაფიელ ერისთავი, შემდგომაც მრავალჯერ შეხვდა გერმანელ მწერალსა და მთარგმნელს. ეს შეხვედრები ასახულია სხვადასხვა წყაროებში, მათ შორის, *დავით ერისთავის, იაკობ მანსვეტაშვილის*, თვით არტურ ლაისტის ნაშრომებში.

1885 წელს ლაიპციგში გამოიცა არტურ ლაისტის წიგნი: *Georgien, Natur, Sitten und Bewohner (საქართველო, ბუნება, წესები და მაცხოვრებლები)*. წიგნი განიხილავს საქართველოს ისტორიას, კუთხეებს და ეხება ქართულ ლიტერატურასაც. სხვა ქართველ ავტორებთან ერთად, ლაისტი საუბრობს *რაფიელ ერისთავის* შესახებ (დანართი 5). აღნიშნავს, რომ მისი მუზა მთლიანად ეძღვნება სოფლის ბუნებას და ხალხურ სიმღერებს ახალი სახით აცოცხლებს. მისი ლექსების ძირითადი თემა გლეხის ცხოვრება და სოფლის იდილიით გამოწვეული სიხარულია, ავტორი იშვიათად ეხება მთელი სამყაროს ამაოებას (ლაისტი. 1885, გვ. 124-125). ხოლო შემდგომ მოჰყავს რაფიელ ერისთავის ლექსების, *სამშობლო ხევსურისა-ს* ოთხი სტროფი და ლექსის, *ღმერთო, მაშორე!-ს* სამი სტროფი (ქართულად ლექსი ექვსსტროფიანია).

1887 წელს გამოიცა გერმანელი მწერლის, მთარგმნელის, გამომცემლის, არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი კრებული, *ქართველი პოეტები*. ეს არის ქართული პოეზიის პირველი ანთოლოგია გერმანულ ენაზე, რომელშიც 32 ხალხური ლექსი და თერთმეტი ავტორის 89 ლექსია შესული; მათ შორის: გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის და სხვათა ლექსები. ამ ანთოლოგიამ დიდი წვლილი შეიტანა ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობებში.

აღსანიშნავია, რომ არტურ ლაისტმა 1900 წელს ანთოლოგიის განმეორებითი, შევსებული გამოცემაც მოამზადა და დაბეჭდა ლაიპციგში. როგორც არტურ ლაისტი იხსენებს, ანთოლოგიის შექმნისა და თარგმნისათვის მას მოსამზადებელი სამუშაოები დაუწყია ილია ჭავჭავაძესთან ერთად.

გასათვალისწინებელია, რომ ქართული პოეზიის პირველი გერმანულენოვანი კრებული გამოიცა XIX საუკუნის ბოლოს. ქართული ლიტერატურის განვითარება ამ პერიოდში დაკავშირებულია ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ტრავმის ლიტერატურულ

რეცეფციებთან, ისევე, როგორც ევროპული და ნაციონალური ლიტერატურული ასპექტების ნარაციასთან. აღმოსავლური ლიტერატურული გავლენები ეტაპობრივად დაძლეულია. ამასთან, ისტორიულ და ეროვნულ თემებთან ერთად, მნიშვნელოვანია სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური საკითხების ასახვა მხატვრულ ტექსტებში. არტურ ლაისტი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ სურათს ასე აღწერს: *საქართველოში მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება ახალი ხანა. ცივილიზებული მოძრაობა ამ ჯერზე ფეხს ნელ-ნელა იკიდებს, ჯეროვანი მსვლელობა მას ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან ეძლევა... ევროპულმა ცივილიზაციამ მიიზიდა, გაიტაცა ყველას ფიქრი და გონება* (ლაისტი, 1963, გვ. 187). საინტერესოა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების შეფასება, რომელშიც ლაისტის ორი პერსპექტივა შეინიშნება: ევროპელის შეფასება და საქართველოს გულშემატკივრის აზრი. *აქვე ისმის კითხვა: ქართველთა გონებრივ ცხოვრებაში არის თუ არა გონებრივი მოძრაობის რაიმე გარკვეული საკუთარი გეზი და მიმართულება? წარმოდგენილი აქვს თუ არა ხელმძღვანელ საზოგადოებას ყველასაგან ცხადად ნაგრძნობი და შეგნებული იდეალები და მისწრაფებანი? – უნდა ითქვას, რომ ერთიც და მეორეც შეინიშნება, მაგრამ ის ცხადად არ არის გარკვეული და საფუძვლიანად დამუშავებული; როგორც ერთი, ისე მეორე, საზოგადოების ერთობლივ კუთვნილებას არ შეადგენს, არც ხელმძღვანელი საზოგადოება არ იზიარებს მას ერთობლივად, რის გამოც ეს იდეალები და მისწრაფებანი, საზოგადოებრივ საქმეებზე ერთნაირად არ მოქმედებს. როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიაც პროგრესთან ერთად შეინიშნება ცივილიზაციის შემაფერხებელი სხვადასხვა გარემოებანი, რომელთათვისაც აქ ნიადაგი უფრო ხელისშემწყობია, ვიდრე სხვაგან. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვერ ახდენს იმდენ გავლენას ცხოვრების განვითარებაზე, რადგან მის საწინააღმდეგოდ კარგად არიან შიარაღებული პროგრესის მომხრე ის ახალი ადამიანები, რომლებსაც ხელში განათლების დროშა უჭირავთ* (ლაისტი, 1963, გვ. 189–190).

არტურ ლაისტი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მიმოხილვისას მიუთითებს: *ქართულ ლიტერატურაში, რასაკვირველია, ამ საუკუნეთა დიდი საკითხების გადაწყვეტას ვერ ნახავთ, მაგრამ აქ ხშირად შეხვდებით საღ მსჯელობას აწინდელ მდგომარეობასა და სამართლიან წუხილს საზოგადოების განუვითარებლობაზე. ქართულ ლიტერატურაში, ამასთან ერთად, წარსულის შესწავლისადმი ლტოლვა შეინიშნება, რაც განათლებული მომავლის შინაგანი მნეობრივი საჭიროებაა ხოლმე... ასეთი რამ ერთგვარად მოჩანს ლიტერატურის ყოველ სფეროში: პოეზიასა, პროზასა და დრამატურგიაში. ეხლანდელი ქართული პოეზია უფრო ლირიკულია, ამიტომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს აწმყოს უფრო ბეჯით გამომხატველად* (ლაისტი, 1963, გვ. 190).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XIX საუკუნის ბოლოს, ანთოლოგიის შექმნისა და გამოცემის პერიოდის საქართველოში, დაწესებული ცენზურა ლიტერატურულ ნაწარმოებებში ეროვნული დამოუკიდებლობის თემატიკას ზღუდავდა და ზოგ შემთხვევაში კრძალავდა, თუმცა, რასაკვირველია, ცენზურა არ შეხებია არტურ ლაისტის მიერ გამოცემულ ანთოლოგიას (პოპიაშვილი, 2020).

თავად არტურ ლაისტი ქართული პოეზიის გერმანულენოვან ანთოლოგიაზე მუშაობას ასე აღწერდა: *დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორთავენი გულმოდგინედ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქართულ ენაში მაინცდამაინც გაწაფული არ გახლდით. ამიტომ ილია სიტყვასიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს, რაც სრულიად არ ამახინჯებდა არც აზრსა და არც ლექსის პოეტურ სილამაზეს. ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე* (ლაისტი, 1963, გვ. 4).

არტურ ლაისტმა 1887 წელს, ქართული პოეზიის კრებულში, ***ქართველი პოეტები***, გამოაქვეყნა რაფიელ ერისთავის სამი ლექსი: *სამშობლო ხევსურისა, ვარსკვლავს და ღმერთო, მაშორე!* (ლაისტი 1887, გვ. 97–100 (დანართი 6).



ჩვენი დაკვირვებით, 1885 წელს გამოცემულ წიგნში, *Georgien, Natr, Sitten und Bewohner (საქართველო, ბუნება, წესები და მაცხოვრებლები)*, რაფიელ ერისთავის თარგმნილი ლექსები ლაისტმა კიდევ ერთხელ გადაამუშავა. ამას მოწმობს ლექსის, **„ღმერთო, მაშორე!“** გერმანული თარგმანი. კერძოდ, 1885 წელს გამოქვეყნებულია ლექსის სამი სტროფის თარგმანი, ხოლო 1887 წელს, კრებულში ***ქართველი პოეტები,*** ლექსის ხუთი სტროფის თარგმანია გამოქვეყნებული (ლექსი ექვსსტროფიანია); ასევე, მეორე თარგმანში ჩანს რედაქციული ცვლილებები. საზოგადოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ არტურ ლაისტის თარგმანებში არ არის შენარჩუნებული ლექსების რეფრენი, მაგ. ლექსში *სამშობლო ხევსურისა*, რეფრენი: *არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!*, ასევე, ლექსში *ღმერთო მაშორე*, რეფრენი: *ღმერთო, მაშორე, ღმერთო მაშორე!*. ასევე, ლექსები თარგმნილია პოეტურად, თუმცა ზოგიერთი სტროფი ამოკლებულია, ან გაერთიანებულია რამდენიმე სტროფი.

მოვიყვანთ თარგმანებს სრულად:

**Die Heimat des Chewsuren**

Dort, wo geboren sind mein Pfeil und Bogen,
Wo meine Väter leben, wo ihr Grab,
Wo ich zum wackern Manne ward erzogen,
Dort ist mein Heim, das Liebste, das ich hab’.

Nichts ist mir treuer als der Heimat Thale,
Als jene Felsen, wo der Adler haust,
Wo wild der Giessbach tobt in seinem Falle,
Wo von der Firne die Wawine Saust.

In eurer Ebne ich an Sehnsucht leide,
Mein Herz strebt rastlos zu den Bergen hin.
Hier ist für mich das Leben keine Freunde
Und dort mocht’ ich selbst von dem Tod nicht fliehn

Kein Zauber lockt mich in der Städte Mitte,
Mag Lust und Reichtum anderen Gedeih’n.
Ich geb’ dafür nicht meine Sennenhütte,
Noch meiner harten Swelle Ruhestein.

**An den Stern**

Stern, an deinem Zauberglanz
Sängt Träumend meine Seele Ganz,
Himmelslicht, du brings mir nah’
Ein Erdenlicht, das ich einst jah,

Das so wie du am Himmelszelt
Erglänzt hat auf der Erdenwelt,
Und das mir nahm ein Missgeschid
Wie dich der Morgen nimmt dem Vild,

**Bewahre Gott!**

In diese Kirche komm ich, Herr, in Demut,
Sei Gnädig mir und mein Gebet erhör,
Bewahre mich vn allem Erdenübel,
Vor Pharisäern aber, Herr, noch mehr!

Stärk mein Gedächniss, auf dass nützlich Wissen
Fürs ganze Leben eigen mir mög' sein,
Jedoch bewahre mich von dummen Lehrern,
Von Genusregeln, Griechisch und Latein!

Geld hab ich nicht, wer will den welches borgen?
Auch hab ich alte Schulden schon genug,
Bewahre mich von allen Leihanstalten
Und der Tifliser Wucherer Betrug!

Den Hof mach ich mit Eyser allen Frauen,
Nur alten Jungfern weich ich aus,
Bewahre mich vor alten Klatscherinnen.
Halt jern dies Bott von meinem Saus!

Ich lieb die Seimat und die Mutteriorade.
Herr, jegne mein Georgierland,
Bewahre es vor giergen Argenauten,
Vor ihnen schüf uns deine Hand!
(Leist, 1887, გვ. 97-100).

1900 წელს ლაიპციგში იბეჭდება არტურ ლაისტის თარგმნილი წიგნის, ***ქართველი პოეტები-ს***, მეორე, შევსებული გამოცემა. იმ რამდენიმე წელიწადში, რომლებიც აშორებს პირველსა და მეორე გამოცემებს, ჩანს, რომ მთარგმნელმა ინტენსიურად იმუშავა და ამ კრებულში შეიტანა 39 ხალხური ლექსი და 21 ქართველი პოეტის 112 ლექსი. მეორე გამოცემაში მთარგმნელს შეუტანია რაფიელ ერისთავის ოთხი ლექსი. კერძოდ, კვლავაც დაუბეჭდავს *საამშობლო ხევსურისა,* 5 სტროფი, რეფრენის გარეშე, ლექსი *ვარსკვლავს*, სატრფიალო ლექსი *თ. ე-ისას (რათ გინდა სარკე, შე ცელქო, შენა?)*, თარგმნილია უსათაუროდ და *ღამის მეხრის სიმღერა.*

წიგნს ახლავს მინიატურები. რაფიელ ერისთავის ლექსების ბოლოსაც დართულია მინიატურა – ვაჟის პორტრეტი (დანართი)

***

„Mein holder Schalk, wozu brauchst du 'non Spiegel?
Du weisst ja längst schon, dass du reizend bist.
Das kalte Glas vermag dir nicht zu zeigen
Den ganzen Zauber, der dir eigen ist.

Jedoch willst du dein treues Bildnis sehen,
Blick einmal nur tief in mein Herz hinein!
Dort wirst du es in aller Schönheit schauen,
Denn eingeprägt liegt dort sein Widerschein".

**Der Hirt auf der Nachtwache**.

Der Nachthirt bin ich, einsam und allein,
Gehüllt in meinen Mantel hüte ich
Die Büffel, die hier seit dem Morgenschein
Den Acker pflügten bis der Tag entwich.
Sobald die goldne Sonne untergeht,
Treib ich das Zugvieh her aufs Weideland
Und wenn der Wolf zu nahn sich untersteht,
Bekommt er einen Schuss aufs Fell gebrannt.
Wenn dann die Nacht kommt, lausch ich ohne Rast,
Jedoch kein Laut die Stille unterbricht.
Das müde Vieh nur in der Runde grast,
Sucht Futter sich im schwachen Dämmerlicht.
Mitunter höre ich den Uhu schrein
Und seinen Ruf hab ich schon oft verflucht,
Er schreit wie ein verirrtes Zickelein,
Das im Gebirge seine Herde sucht.
Das Vieh steht grasend bis am Weiderand.
Ich höre, wie das Gras es zupft und kaut.
Mich schläfert, doch ich halte mutig stand
Und seh den Morgenstern, der nieder schaut.
Jetzt bangt mir vor der dunkeln Nacht nicht mehr,

Von meinen Augen ist der Schlaf entflohn,
Dem Himmelsrande naht der grosse Bär,
Die Dämmerung zeigt ihren Schimmer schon.
Dann steigt die Morgenröte auf mit Pracht,
Von ihrem Glanze wird's mir hell im Herz,
Im Saatfeld ist die Lerche aufgewacht
Und schwingt sich singend himmelwärts.
Sobald die Sonne aufgeht, wird das Vieh
Zum neuen Tagwerk in den Pflug gespannt
Und mir pflügt man dann auch für meine Müh
Im Nu mein winziges Stückchen Ackerland".
(Leist, გვ. 86-89).

არტურ ლაისტის მთარგმნელობითი საქმიანობა ძალზე მნიშვნელოვანია ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების თვალსაზრისით. ის მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც ა. ლაისტმა გასწია ქართული ლიტერატურისა და კულტურის პოპულარიზაცისათვის, მართლაც განსაკუთრებული და გამორჩეულია. ა. *ლაისტი აკმაყოფილებდა ყველა პირობას, რომელიც ჭეშმარიტ მთარგმნელს შეიძლება წავუყენოთ: მან იცოდა ქართული ენა, ცხოვრობდა საქართველოში, იცნობდა ჩვენი ხალხის ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, ისტორიას, ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავის თანამედროვე ქართველ მწერლებთან, რომელთა თხზულებებსაც თარგმნიდა, მშვენივრად იცოდა, რაღა თქმა უნდა, მშობლური გერმანული მწერლობა და თვითონაც იყო ნიჭიერი ლიტერატორი* (ბრეგაძე 2010).

არტურ ლაისტის მიერ მომზადებულ ანთოლოგიას დიდი ლიტერატურული, კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის, ქართულ-გერმანული და ქართულ-ევროპული ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების თვალსაზრისით. ჩვენ მოვიძიეთ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლების რამდენიმე გერმანულენოვანი გამოცემა, რომლებშიც არტურ ლაისტის წიგნებია მოხსენიებული და აღწერილი, ჩამოთვლილ ქართველ მწერლებს შორის კი დასახელებულია *რაფიელ ერისთავი.*

1886 წელს, ლაიპციგში გამოცემულ ორიენტალისტურ ჟურნალში, *Literatur-Blatt für Orientaliche Philologie, Leipzig, Otto Schulze*, მოხსენიებულია ქართველი პოეტები, რომლებიც არტურ ლაისტმა თარგმნა, მათ შორის რაფიელ ერისთავი (დანართი 7).

1888 წელს, მიუნხენში გამომავალ ჟურნალში ***Die Gesellschaft, Münchener Halbmonatschrift*** (ჟურნ. *საზოგადოება*), მე-4 ნომერში, გამოქვეყნებულია არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი რაფიელ ერისთავის ლექსი *ვარსკვლავი* (გვ. 241). ლექსს წინ უძღვის მოკლე მიმოხილვა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ქართველი პოეტის ლექსში სიზმარეული საღამოს სურათია აღწერილი (დანართი 8).

1893 წელს გამოცემულ *Brockhaus Konversations Lexikon*, ტ. 7, აქვეყნებს სტატიას *ქართული ენა* (გვ. 829), სადაც მოკლედ არის განხილული ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის საკითხები. ქართველ ავტორებთან: *ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი* და სხვებთან ერთად, დასახელებულია *რაფიელ ერისთავი* (დანართი 9).

1898 წელს გუსტავ ფოკის წიგნების მაღაზიამ გამოსცა წიგნების სარეკლამო კატალოგი: *Buchhandlung Gustav Fock, Billige Buecher*, მე-4 გვერდზე, სხვა ქართველ პოეტებთან ერთად დასახელებულია *რაფიელ ერისთავი.*



XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არტურ ლაისტი თვითონაც აქვეყნებს წერილებს საქართველოს შესახებ. 1898 წელს, ჟურნალში *Das Literarische Echo* (*ლიტერატურული ექო*) 521-1522 სვეტებში გამოქვეყნებულია არტურ ლაისტის წერილი *ქართული პოეზია*, სადაც მოკლედ არის დახასიათებული ქართველი ერის პოეტური ბუნება, ქართველი ხალხი და ქართული ლიტერატურა (გვ. 829). სხვა ქართველ ავტორებთან ერთად დასახელებულია რაფიელ ერისთავიც. ა. ლაისტი *რაფიელ ერისთავს* იხსენიებს 1903 წელს, დრეზდენში გამოქვეყნებულ წიგნში, ***ქართველი ხალხი***.

აღსანიშნავია ა. ლაისტის მოსაზრებები და მოგონებები საქართველოს, ქართველი ხალხის, საქართველოს ბუნების, კუთხეების, ქართული კულტურისა და ლიტერატურის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია წიგნში, ***საქართველოს გული***. აქ გერმანელი მწერალი და მთარგმნელი აღწერს საქართველოში გატარებულ დღეებს, მოგზაურობას, შეხვედრებს ქართველ მწერლებთან და სხვა. საგულისხმოა, რომ რამდენიმე მოგონებაში ჩნდება *რაფიელ ერისთავიც*. მოგონებაში, *ერთი დღე სოფელში*, იხსენებს შეხვედრას ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, რომელთა შორის იყვნენ *ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, რაფიელ ერისთავი* და სხვები: *აქ იყო სამი მაღალი ტანის ქართველი... პატივცემული იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვე(თ)აძე... მათ გვერდით იჯდა რაფიელ ერისთავი, მაღალი ტანის მოხუცებული, თეთრ-წვერა, წყნარი, რომელიც არც თავის გარეგნობით, არც ლაპარაკით არავითარ დიდ შთაბეჭდილებას არა სტოვებდა, მაგრამ ის იყო ნამდვილი პოეტი და როცა გოგებაშვილი და ცხვე(თ)აძე გატაცებული კამათობდნენ, ის დინჯად ათვალიერებდა გარშემო მიდამოებს და სტკბებოდა მათი სილამაზით. ისმოდა ირგვლივ ფრინველების ჭიკჭიკი და ხმაური"* (ლაისტი. 1963, გვ. 38). ამავე წიგნში ლაისტი ახასიათებს თანამედროვე ქართველ მწერლებს. გერმანელი მწერალი *რაფიელ ერისთავს* ვაჟა-ფშაველასთან ერთად მოიხსენიებს და აღნიშნავს: „...*მგოსანთაგან განსაკუთრებით ორი იყო, რომელთაც გამოსვლისთანავე მკითხველის ყურადღება მიიბყრეს, რადგან ქართულ პოეზიაში მათ ახალი ქვეყანა შემოიტანეს, სახელდობრ გლეხთა ქვეყანა. ესენი იყვნენ რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა. რაფიელი უფრო სუსტი იყო, მაგრამ დროის შესაფერი. ვაჟა-ფშაველა კი, მქისე ფშაველი მღვდლის შვილი, რომელმაც არა მხოლოდ ახალი ქვეყანა გადაშალა, არამედ ახალი პოეზიაც შეჰქმნა* (ლაისტი. 1963, გვ. 145).

*რაფიელ ერისთავს* იხსენიებს გერმანელი ეთნოგრაფი, ბუნებისმეტყველი, გეოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, *გუსტავ რადე* (1831-1903წ.წ.) თავის ნაშრომში Die Chews'uren und ihr Land (ხევსურები და მათი ქვეყანა), 1878 წ., სადაც მიუთითებს, რომ ხევსურეთში მსახურობდა თავადი რაფიელ ერისთავი, რომლის მშობლიური ენა ქართული იყო და ამიტომაც ადგილობრივებს განსაკუთრებით ეხმარებოდა (Radde.1878, გვ. 63).

2015 წელს გერმანიაში გამოიცა *ქართული პოეზიის ანთოლოგია*, შემდგენლები და გამომცემლები *გერტ რობერტ გრიუნერტი* და *ნინო პოპიაშვილი* (Gert Robert Grünert, Nino Popiaschwili (Hgs), *Anthologie goergischer Lyrik Ich aber will dem Kaukasos Zu*, Pop Verlag Ludwigsburg, 2015). ანთოლოგია წარმოადგენს ქართული პოეზიის ყველაზე დიდ კრებულს გერმანულ ენაზე, რომელშიც თავმოყრილია 81 ავტორის 240 ლექსი. ანთოლოგია 580 გვერდისაგან შედგება. (დანართი 9). წიგნში შესულია ახალი, მანამდე გამოუქვეყნებელი თარგმანები, მათ შორის, რაფიელ ერისთავის ლექსი *სამშობლო ხევსურისა* (მთარგმნელები: მ. ლისოვსკი, გ. რ. გრიუნერტი).

Die Heimat des Chewsuren
Das, wo ich geboren wurde, wo ich aufwuchs und den ersten Pfeil
schoß in den Wind,
Das, wo ich meine Ahnen ringsum spüre
und genau weiß wo ihre Gräber sind,

Und das auch, was mich prägte schon seit Jugend – all das
ist Heimat mir, wo ich mich find'.
Nein, nicht einmal gegen der Unsterblichkeit Baum tausch'
je ich ein die Felsenwand,
Nie meine Heimat, noch nicht mal im Traum, gegen ein Paradies
in fremdem Land!..
Nein, wohl, ich ziehe die schwarze Felswand vor,
bedeckt sehr rauh mit Firn mit Eis und Schnee,
Dort wo der Adler droben nistet, das klare Wasser
donnernd abstürzt aus der Höh',
Und des Steinbocks und der Gemse würziges Fleisch
genügen als Wildbret mir eh'...
Nein, nicht einmal gegen der Unsterblichkeit Baum tausch'
je ich ein die Felsenwand,
Nie die Heimat, noch nicht mal im Traum, gegen ein Paradies
in fremdem Land!
Wär' ich im Tal auch mal vergnügt, sehnt sich alsbald doch
nach dem Berg die Seele,
Die Felswand zieht das Herz magnetisch an, und lockt und ruft,
ich fühl' dann was mir fehle,
Lieber da den jähen Tod erleiden, statt verbittern
in des Tales Höhle!..
Nein, nicht einmal gegen der Unsterblichkeit Baum tausch'
je ich ein die Felsenwand,
Nie meine Heimat, noch nicht mal im Traum, gegen ein Paradies
in fremdem Land!
Ja würden sogar alle Herrlichkeit und Reichtum mir im Tal
zuteil als mein,
Ein ganzes Schloß samt goldnem Thron, dem Heere noch dazu,
der Flotte obendrein,
Nein, dieses alles wahrlich wollt' ich nicht, ich schwör's
bei meinem Leben, wahrlich nein...
Nein, nicht einmal gegen der Unsterblichkeit Baum tausch'
je ich ein die Felsenwand,
Nie meine Heimat, noch nicht mal im Traum, gegen ein Paradies
in fremdem Land!



Die nährende Mutter, die Heimat, ist unveräußerlich,
so will es die Natur,
Beide sind mir sehr teuer, mein Freund, sogar der Augen Licht
hingegen keine Spur,
Ja, wie's den Herrgott gibt im Himmel, so auf der Welt
die Heimat einmal nur...
Nein, nicht einmal gegen der Unsterblichkeit Baum tausch'
je ich ein die Felsenwand,
Nie meine Heimat, noch nicht mal im Traum, gegen ein Paradies
in fremdem Land!

თარგმანში შენარჩუნებულია რეფრენი, თარგმნილია ყველა სტროფი.

## დასკვნა

ქართველი პოეტის, პუბლიცისტის, რაფიელ ერისთავის შემოქმედება მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისათვის. მისი შემოქმედება თარგმნილი და გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზე პოეტის სიცოცხლეშივე. არტურ ლაისტის მთარგმნელობითმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას გერმანულენოვან საზოგადოებაში. რაფიელ ერისთავის ლექსები პოეტის სიცოცხლეში რამდენჯერმე გამოქვეყნდა გერმანიაში გამოცემულ კრებულებში. ასევე, რაფიელ ერისთავის შესახებ აღნიშნულია თანადროულ გერმანულენოვან ენციკლოპედიებსა და სხვა საცნობარო გამოცემებში. ამასთან, რაფიელ ერისთავის ლექსი, *სამშობლო ხევსურისა*, ითარგმნა და გამოიცა 2015 წელს გამოცემულ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში.

## ბიბლიოგრაფია


*Brockhaus Konversations Lexikon*, Brockhaus in Leipzig Berlin und Wien, in sechyehn Bänden, B. 7 Leipyig u. A. 1892-1895, B. 7-1893

*Buchhandlung Gustav Fock*, Billige Buecher, 1898

*Das Literarische Echo* 1898 1. Oktober

*Die Gesellschaft, Münchener Halbmonatschrift*, 4 1888, Sem. 1 Drezden, Leipzig

Grünert, Gert Robert, Popiaschwili, Nino, (Hgs), *Anthologie goergischer Lyrik "Ich aber will dem Kaukasos Zu"*, Pop Verlag Ludwigsburg, 2015

Leist, Arthur (1885), Georgien, Natur, Sitten und Bewohner, Leipzig, Verlag von Wilhelm Friedrich.

Leist, Arthur (1903), *Das georgische Volk*, Dresden.

Leist, Arthur (1900), *Georgische Dichter*, Dresden-Leipzig.

Leist, Arthur (1887), *Georgische Dichter*, Leipzig.

*Literatur-Blatt für Orientaliche Philologie* Leipzig Otto Schulze

Radde, Gustaw (1878), *Die Chews'uren und ihr Land*, Cassel.

არტურ ლაისტის წერილი რაფიელ ერისთავს

ბრეგაძე, ლევან (2010), *მოგზაურობა კავკაზიშე პოსტის ფურცლებზე*, თბილისი; *არტანუჯი*.

ერისთავი, რაფიელ (1893), *თხზულებანი, I*, ტფილისი, ქართველი ამხანაგობის გამომც.

ერისთავი, რაფიელ (1882), *თხზულებანი, ნაწ. 1.* გრ. ჩარკვიანის სტამბა.

ვაშაყმაძე შ (1962), *რაფიელ ერისთავი, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება*. გამომც. *საბჭოთა საქართველო*, თბ.

ლაისტი, არტურ, *საქართველოს გული*, წიგნი შეადგინა, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თეიმურაზ ფირალიშვილმა. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, გამომცემლობა *ლიტერატურა და ხელოვნება*, თბილისი, 1963 .

პოპიაშვილი, ნინო, *ნაციონალური ლიტერატურის კანონი და ქართული ლიტერატურა*, მესამე სამეცნიერო კონფერენცია, ინოვაციები ქართულ ლიტერატურაში, თბ., 2020.

პოპიაშვილი, ნინო, *ნაციონალური ლიტერატურული კანონი და იდეოლოგიური კონტექსტი თარგმანში ქართული პოეზიის გერმანულენოვანი თარგმანების მაგალითზე*, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016.

ჟურნ. *ივერია* 1883, №1.


ქართული ენიდან 1991 წლიდან მიმდინარე მთარგმნელობითი პროცესის მიმოხილვა, ფაქტები, ტენდენციები, რეკომენდაციები, *პროექტი „წიგნის პლატფორმა“*, 2015.

*ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია*, ელგუჯა ხინთიბიძის რედაქციით, თბილისი, 2011.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფ. ერისთავის ფონდი № 227.

*ნინო პოპიაშვილი*
ფილოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Nino Popiashvili*
PhD in Philology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
ORCID-ID: 0000-0001-9182-2066


Georgische Dichter.

Verdeutscht

von

Arthur Leist.

Know ye the land of the cedar and vine,
Where the flowers ever blossom, the beams ever shine?
*Byron, „The Bride of Abydos.“*

Leipzig,

Verlag von Wilhelm Friedrich.

K. K. Hofbuchhändler.

1887.

სურ. 1. არტურ ლაისტი, ქართველი პოეტები, ლაიპციგი 1887

# Georgische Dichter.

Übersetzt

von

**Arthur Leist.**

Neue, vielfach vermehrte Ausgabe.




Dresden und Leipzig
**E. Pierson's Verlag**
1900.

სურ. 2. არტურ ლაისტი, ქართველი პოეტები, დრეზდენი და ლაიპციგი, 1900



# Literatur-Blatt
für
# Orientalische Philologie

UNTER MITWIRKUNG VON

DR. JOHANNES KLATT IN BERLIN†

HERAUSGEGEBEN VON

PROF. DR. ERNST KUHN IN MÜNCHEN.

**Mit Unterstützung der Deutschen Morgenländischen Gesellschaft.**

Subscriptions-Preis für den Band von vier Heften 15 M.

**III. Band.**

**Inhalt:**


| | Seite |
|---|---|
| Bibliographie | 1—64 |
| Recensionen | 1*—32* |
| Hirth, China and the Roman Orient. Von G. von der Gabelentz | 1* |
| de Groot, Het Kongsiwezen van Borneo. Von G. v. der Gabelentz | 3* |
| de Rosny, Kami yo no maki. Histoire des dynasties divines. I. Von G. von der Gabelentz | 4* |
| Kellner, Das Lied vom Könige Nala. Von P. v. Bradke | 6* |
| Kihn und Schilling. Praktische Methode zur Erlernung der hebräischen Sprache. Von A. Müller | 9* |
| Socin, Arabische Grammatik. Von A. Huber | 17* |
| Robertson Smith, Kinship and marriage in early Arabia. Von Ign. Goldziher | 19* |
| von Arnhard, Maṣḥafa ṭemqat. Liturgie zum Tauffest der Aethiopischen Kirche. Von F. Praetorius | 28* |
| Ibrahim Hilmy, The literature of Egypt and the Soudan. Von A. Erman | 31* |
| Kleinere Mittheilungen | 32* |





LEIPZIG
**OTTO SCHULZE**
21 QUER-STRASSE 21.
1886.

სურ. 3. ორიენტალისტური ფილოლოგიის ლიტერატურული ჩანართი, ლაიპციგო, 1886



Die

# Gesellschaft.

Monatsschrift

für

## Litteratur und Kunst.

Begründet von Dr. M. G. Conrad.

Herausgegeben von

**M. G. Conrad** und **Karl Bleibtreu.**

Heft 6. — 1888.

Leipzig.

Verlag von Wilhelm Friedrich.

K. K. Hofbuchhändler.



სურ. 4. საზოგადოება – ყოველთვიური ჟურნალი ლიტერატურასა და ხელოვნებაში #6 1888



Antiquariats-Lager-Verzeichnis No. 144.

# Billige Bücher

*für jedermann.*

## Buchhandlung Gustav Fock

Gesellschaft m. beschr. Haftung

Neumarkt 40 * Leipzig * Magazingasse 4

Telegr.-Adresse: Buchfock Leipzig. * Fernsprecher: Amt I, 937.

*Aus meinem zwei Millionen Bände umfassenden Bücherlager stelle ich eine Reihe von Werken, die schon einmal versandt gewesen sind und deren Äusseres infolgedessen etwas gelitten hat, laut vorliegendem Verzeichnis zu*

**ganz niedrigen Ausnahme-Preisen**

**zum Ausverkauf.**

*Für Vollständigkeit und sauberen Zustand der Exemplare übernehme ich volle Garantie und tausche nicht Gefallendes bereitwilligst gegen andere in diesem Katalog enthaltene Werke um!*

***Es bietet sich hier eine äusserst günstige Gelegenheit zur Ergänzung und Neubegründung von Bibliotheken; insbesondere seien***

**Volks- u. Schul-Bibliotheken**

*auf die ganz ungewöhnlich billigen Preise aufmerksam gemacht.*


Inhalts-Übersicht:


I. Schönwissenschaftliche Litteratur (Klassiker, Dichtungen, Anthologien, Romane, Erzählungen 2c.) Seite 1.
II. Pracht- und Bilderwerke Seite 7.
III. Theologie. Predigten. Andachts-Schriften Seite 8.
IV. Werke belehrenden u. wissenschaftlichen Inhalts Seite 12.
V. Jugendschriften und Volksschriften Seite 40.
VI. Verschiedenes Seite 51.
VII. Musikalien 2c Seite 62.


Bestellungen und Anfragen bitten genau wie folgt zu adressieren: Buchhandlung Gustav Fock G. m. b. H. Leipzig.



სურ. 5. გუსტავ ფოკის წიგნების მაღაზია, იაფი წიგნები. ლაიპციგი



Каменка, 9-го Ноября 1881.
через Конец
Балтийская ж.д.

Mon prince!

Mille fois merci pour votre aimable envoi, qui m'a fait beaucoup de plaisir. Vos poesies sont très-belles et j'ai déjà essayé d'en traduire quelques-unes en polonais. Le plus me plait "Родина Лебедя", qui est déjà traduite, Elle commence par:
„Ja góry moje, me góry rodzinne."
C'est justement mon intention de traduire tout qui est meilleur en Votre littérature pour donner à notre société la preuve que le vrai beau a des cultivateurs au de-là du Caucase et que la nation georgienne promet beaucoup pour l'adenir.
Chanter Votre beau pays et Votre brillant passé, c'est ma seconde tache et en vu de cela j'ai l'intention de séjourner en Georgie pendant quelques mois. Si rien ne m'empeche, j'arrive au derniers jours du mois d'Août à Tiflis et je serai très-heureux de faire Votre connaissance personnelle.
Vous aurez aimablement la bonté d'exprimer mes hommages à M. le prince David Eristoo et avec l'espoir de faire bientôt. Votre estimée connaissance je reste avec la plus haute
Reverance
Votre dévoué
Arthur Leist.

არტურ ლაისტის წერილი რაფიელ ერისთავისადმი ფრანგულ ენაზე. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



# აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავის ღვაწლის შესახებ

## აბსტრაქტი

აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავს 60-იანი წლების მოღვაწეთა გუნდის ერთერთ გამორჩეულ წევრად მიიჩნევდა და შეუპოვარი, პრინციპული ხასიათის გამო განსაკუთრებულ პატივის სცემდა. აკაკის დაკვირვებით, რაფიელთან ერთად ბევრი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მაგრამ უმეტესობა ნელ-ნელა ჩამოსცილდა ამხანაგებს, რადგან საქვეყნო საქმეს პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა არჩია.

რაფიელ ერისთავის, როგორც საზოგადო მოღვაწის საქმიანობას სათანადოდ დანახულად და დაფასებულად არ მიიჩნევდა აკაკი. მართალია, ზუგდიდში მაზრის უფროსობისა და ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მან ბევრს დაამახსოვრა თავი, მაგრამ არასდროს ყოფილა ხაზგასმული მისი დამსახურება არც ხელისუფლების და არც საზოგადოების მხრიდან;

აკაკის ნიშანდობლივად მიაჩნია, რომ რაფიელი ენერგიულად იღვწოდა ქართული თეატრის ასაღორძინებლად: პიესებსაც წერდა, სცენაზეც თამაშობდა, რეჟისორობდა, სუფლიორობდა. რაკი მუდმივი ქართული თეატრი არ არსებობდა, სწორედ სცენისმოყვარეთა შრომასა და გულმოდგინებაზე იყო დამოკიდებული, შედგებოდა თუ არა ქართული წარმოდგენა და მიიღებდა თუ არა საზოგადოება სულიერ საზრდოს.

აკაკი წერეთელი ზრუნავდა, რომ რაფიელ ერისთავის შესანიშნავი თხზულებები და თარგმანები მკითხველამდე მისულიყო. სხვათა შორის, გრ. ჩარკვიანმა მართლაც გამოსცა რაფიელის მიერ თარგმნილი კრილოვის იგავ-არაკები, რაც ქართველი მკითხველისათვის მართლაც ძვირფასი შენაძენი იყო.

აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის ურთიერთობა შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ ქვეყნის სამსახურში ჩამდგარ ადამიანებს.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავის მხატვრული შემოქმედება; საზოგადო მოღვაწეობა.

# AKAKI TSERETELI ON THE ACHIEVEMENTS OF RAPHIEL ERISTAVI


## ABSTRACT

Akaki Tsereteli considered Raphiel Eristavi to be one of the outstanding members of the 1860s generation of public figures and held him in high regard due to his determined and principled character. According to Akaki's observation, many entered the field of public activity alongside Raphiel, but most did not follow his path, choosing instead to prioritize their personal well-being over the public good. It is true that during his time working as the head of the district in Zugdidi and as a conciliation judge in Kutaisi, he made a strong impression, but his merits were never particularly recognized by either the authorities or society.

Akaki considered it significant that Raphiel worked energetically to revive Georgian theatre: he wrote plays, acted on stage, directed, and served as prompter. Since a permanent Georgian theatre did not exist, the staging of Georgian performances and the spiritual nourishment of the public depended entirely on the efforts and dedication of theatre enthusiasts.

Akaki Tsereteli took care to ensure that Raphiel Eristavi's excellent works and translations reached readers. Incidentally, Grigol Charkviani indeed published Krylov's fables translated by Raphiel, which was truly a valuable acquisition for Georgian readers.

Akaki compared Raphiel to a bee, tirelessly working for the benefit of others. According to Tsereteli, it would be a great act of ingratitude on the part of Georgian society if his merits were not celebrated. Fortunately, this call from the poet did not go unanswered either, and on October 22, 1895, an anniversary was held to mark the fiftieth year of Eristavi's literary and public activity.

The relationship between Akaki Tsereteli and Raphiel Eristavi is an excellent example of the attitude that individuals engaged in public service should have towards one another.



**Keywords:** Artistic work of Raphiel Eristavi; public work






## შესავალი

აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავს 60-იანი წლების მოღვაწეთა გუნდის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრად მიიჩნევდა და შეუპოვარი, პრინციპული ხასიათის გამო განსაკუთრებულ პატივს სცემდა. პოეტის დაკვირვებით, რაფიელთან ერთად ბევრი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, მაგრამ უმეტესობა ნელ-ნელა ჩამოსცილდა *ამხანაგებს*, რადგან საქვეყნო საქმის კეთებას პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა არჩია. აკაკი წერეთლის აზრით, რაფიელ ერისთავის, როგორც საზოგადო მოღვაწის დამსახურება მისივე თანამედროვეთა მხრიდან არ იყო სათანადოდ დაფასებული. ასევე, აკაკის ღრმა რწმენით, ქართული სალიტერატურო კრიტიკაც ვალში იყო ამაგდარი პოეტის წინაშე. ჩვენი მიზანია აკაკის თხზულებებიდან ამოვკრიბოთ მასალა რაფიელ ერისთავის შესახებ, რათა გამოვკვეთოთ, თუ კონკრეტულად როგორი დამოკიდებულება ჰქონდა პოეტს უფროსი თანამედროვის მიმართ.

## კვლევის მეთოდი

დასახული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ მასალის შეგროვების, სტრუქტურირებისა და ანალიზის მეთოდები. აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მოცულობითაც დიდია და ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ამიტომაც ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ როგორც აკაკის პოეტური ტექსტები, ისე მხატვრული პროზა და პუბლიცისტური ნაწერები, რათა გამოგვევლინა ყველა ის ფრაგმენტი, რომელშიც ავტორი ამა თუ იმ მოსაზრებას გამოთქვამდა რაფიელ ერისთავის შესახებ.

## შედეგი

კვლევამ დაადასტურა ჰიპოთეზის მართებულობა – აკაკი წერეთელი რაფიელ ერისთავს მართლაც მიიჩნევდა 60-იანი წლების მოღვაწეთა შორის გამორჩეული პირადი ღირსებებისა და ნიჭის მქონე პიროვნებად, რომელმაც მატერიალური კეთილდღეობა უყოყმანოდ შესწირა მსხვერპლად საქვეყნო საქმეს. სწორედ ეს გარემოება იყო რაფიელ ერისთავის მიმართ აკაკის განსაკუთრებული სიყვარულისა და პატივისცემის მიზეზი. გამოიკვეთა ისიც, რომ აკაკი დიდად აფასებდა რაფიელის პოეტურ ნიჭს და განსაკუთრებით გამოყოფდა მის დამსახურებას კრილოვის იგავ-არაკების თარგმნის საქმეში.

## მსჯელობა

აკაკი წერეთლის შეფასებით, 60-იანი წლები *დიდი მარტოხელობის დრო* იყო; შესაბამისად ყველა, ვისაც ამ ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა, განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. *სამკალი ფრიად იყო, ხოლო მუშაკნი – მცირედ,* ამიტომაც არავითარ საქმეს არ უკადრისობდნენ ისინი და სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, საერთო საქმის საკეთილდღეოდ თითო აგურს მაინც დებდნენ. მათი მოღვაწეობის ამგვარი ხასიათი საქმეში ჩაუხედავ ადამიანზე ერთგვარი ზედაპირულობის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა რეალურად ეს ასე არ არის.

აი, რას წერდა ამ საკითხზე აკაკი: *რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო და რა საოცარი, შესანიშნავიც იყვეს მარტოხელა მუშა, მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნაღვაწი – ზღვას, მაგრამ თუ ამის ათასგვარ წვრილმან ნასაქმარს ერთმანეთს შევუხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც. სწორედ ამ თვალით უნდა ვუყურებდეთ ზოგიერთ მესამოცე წლების მოღვაწეებს და მათ რიცხვში რაფიელ ერისთავსაც* (წერეთელი, 1899: 109-110).

1881 წელს აკაკი წერს ლექსს *მწერლების ფერხული,* რომელიც მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა და პირველად 1940 წელს გამოქვეყნდა თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომში. ამ ოთხსტროფიან ნაწარმოებში ავტორი ასახელებს 12 მწერალს, რომლებსაც, მისი აზ-

რით, საკუთარი ხმა აქვთ და ლიტერატურის განვითარებაზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. დანარჩენების შესახებ კი ამბობს:

*სხვები მხოლოდ ბანს აძლევენ*
*ჭიკჭიკობენ ტკბილად ყველა!* (წერეთელი, 2011: 8)

რა თქმა უნდა, საინტერესოა, ვინ არიან ეს მწერლები: *ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ილია ჭავჭავაძე, ანტონ ფურცელაძე, ცახელი (პარმენ თვალჭრელიძე), რაფიელ ერისთავი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ლომოური, ალექსანდრე ყაზბეგი და სოფრომ მგალობლიშვილი.*

*ანტონ უსტვენს საიმედოდ,*
*ჯერ ჭყლოპინობს ბარტყ-ცახელი,*
*ქედანივით ყელს იღერებს*
*მოღუღუნე რაფაელი.* (წერეთელი, 2011: 8)

გ. აბზიანიძის აზრით, ასევე რაფიელ ერისთავს ეძღვნება ლექსი სახელწოდებით ალბომში, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1893 წელს ჟურნალ *კვალში.*

*ყმაწვილი სჯობდი მოხუცსა,*
*მოხუცდი, სჯობხარ ყმაწვილებს!*
*ასეა, ვისაც ბუნება*
*თვის ძალას გაუნაწილებს.*

*ახალი ცუდი ძველ კარგის*
*ვისგან რა შესაფარდია?*
*ვარდი რომ კიდეც ჭკნებოდეს,*
*მაინც ვარდი და ვარდია.*

*ის თუმც აღარ ხარ, რაც იყავ,*
*შენთანვე შეფარდებითა,*
*მაინც შენ გირჩევს გონება*
*და გრძნობა ნეტარებითა.*

*იცოცხლე, იმხიარულე,*
*ციურიც ნიჭით გბნობილო!*
*არ მინდა დაგასახელო,*
*ისეც ყველასგან ცნობილო!* (წერეთელი, 2011:249)

რაფიელ ერისთავის, როგორც საზოგადო მოღვაწის, საქმიანობას სათანადოდ დანახულად და დაფასებულად არ მიიჩნევდა აკაკი. მართალია, ზუგდიდში მაზრის უფროსობისა და ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მან ბევრს დაამახსოვრა თავი, მაგრამ, აკაკის აზრით, არასდროს ყოფილა ხაზგასმული მისი დამსახურება არც ხელისუფლების და არც საზოგადოების მხრიდან; ეს მით უფრო გულდასაწყვეტად მიაჩნდა პოეტს, რომ რაფიელი მრავალმხრივი მოღვაწე იყო და ბევრი მიმართულებით დატოვა ნათელი *კვალი.*

ნიშანდობლივად მიაჩნია აკაკის, რომ რაფიელი ქართული თეატრის ასაღორძინებლად ენერგიულად იღვწოდა: პიესებსაც წერდა, სცენაზეც თამაშობდა. რეჟისორობდა, სუფლიორობდა. ერთი სიტყვით, არავითარ საქმეს არ უკადრისობდა, რადგან იცოდა, თეატრი იყო იმგვარი ადგილი, სადაც *ხალხი იმოძღვრება და იწვრთნება.* რაკი მუდმივი თეატრი არ არსებობდა, სწორედ სცენისმოყვარეთა შრომასა და გულმოდგინებაზე იყო დამოკიდებული, შედგებოდა თუ არა ქართული წარმოდგენა და მიიღებდა თუ არა საზოგადოება სულიერ საზრდოს.



აკაკი წერეთელი ზრუნავდა, რომ რაფიელ ერისთავის შესანიშნავი თხზულებები და თარგმანები მკითხველამდე მისულიყო:

*ერთი მწერლის მეტი არ გვეგულება, რომ თავის სამშობლო ქვეყანა იცოდეს იმ გვარის ცოდნით, რომელიც ზემოთ ვთქვით და გადარჯულებულად არ სწერდეს. ეს მწერალი არის თ. რაფიელ ერისთავი და საჭიროა, რომ მის ნაწერებს ყურადღება მიექცეს. სხვათა შორის, იმას აქვს კრილოვის ზღაპრები და ცოდვა რა არის, რომ ის ასე ხელ-ნაწერათ რჩებოდეს და ობროდობროები კი იბეჭდებოდეს, როგორც სახალხო რამ?* (წერეთელი, 2023: 463)

სხვათა შორის, აკაკის ამ შენიშვნის გამოქვეყნებიდან მალევე, იმავე 1878 წელს, გამოსცა გრ. ჩარკვიანმა რაფიელის მიერ თარგმნილი *ი. კრილოვის იგავ-არაკები,* რაც ქართველი მკითხველისათვის მართლაც ძვირფასი შენაძენი იყო.

აკაკი წერეთელი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართულ პერიოდულ პრესაში რაფიელ ერისთავის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებს და უპასუხოდ არასდროს ტოვებდა უმართებულო კრიტიკას. ასე მაგალითად, როდესაც ივ. გომართელმა ჟურნალ *კვალში* (1901, №29) გამოაქვეყნა წერილი *ქართული საერო პოეზია,* მასში, სხვა მწერლებთან ერთად, იმსჯელა რაფიელ ერისთავის შესახებაც. ამ პუბლიკაციას აკაკი წერეთელი გამოეხმაურა თავისი სტატიით *მცირე შენიშვნა* (*ივერია,* №168, კვირა, 5 აგვისტო):

*ბატ. ივ. გომართელმა კვალის №29-ში თავისს „ქართულ საერო პოეზიაში“, თ. რ. ერისთავის შესახებ ორი უმთავრესი აზრი წარმოსთქვა და ორივე დიდი შეცდომა და უნებური ცილის წამებაა. პირველი: სამოცდა ათ წლამდე რაფიელ ერისთავის ერთად-ერთი მოტივი ქალები და წარსულ გმირთა დიდება იყო. ამ დროის განმავლობაში მან ფრიად სუსტი და წარმავალი ნიჭი გამოიჩინა, რადგანაც ცალიერი რითმა და ქება წარბთა და წამწამთა არც ნიჭსა და არც პოეზიას არ შეადგენსო და სხვანი. ეს აზრი... მეტად გაცვეთილი აზრია ...პეტრარკას ლაურასადმი სონეტები, რომელთაც ხალხის გრძნობა-გონებაში ფესვი გაიდგეს და დაუვიწყარი გახდენ, არ ვარგებულან გომართლის აზრით! ძველთა გმირთა მოხსენებაც თურმე უგნურება ყოფილა! და მაშ მსოფლიო ლიტერატურაში ჰომეროსმა, ვირგილიუსმა, მილტონმა, დანტემ, ტორკვატო ტასომ, არიოსტომ, ჰაფიზმა, ფირდოუსმა და სხვათა როგორღა მოიპოვეს საშვილიშვილოდ დაუვიწყარიო სახელი? თვით ჩვენი რუსთველის „ვეფხის ტყაოსანი“, რომელმაც ენა და ეროვნება შეგვინახა, რა არის, თუ არა საგმირო ეპოპეია? ნიჭი და ხელოვნება საგნის დიადობაში კი არ არის, მათ გამოხატვაში და გათვალისწინებაშია, გინდ დღევანდელი ვარამი იყოს და გინდ გარდასული ძველებური ამბავი!*

ივ. გომართელის მეორე შენიშვნასაც – თითქოს რაფიელ ერისთავი ყმების განთავისუფლების წინააღმდეგი იყო – აკაკი ცილისწამებად მიიჩნევს, თუმცა თვლის, რომ კრიტიკოსს ეს ფაქტების უცოდინრობით დაემართა; პოეტი შეახსენებს საზოგადოებას, რომ რ. ერისთავი საქმით დიდი თანამგრძნობი და მომხრე იყო დაჩაგრულებისა. რომ მას საიდუმლო კავშირიც ჰქონდა სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მოთავეებთან და რომ რაფიელსვე მიაწერენ იმ ვრცელი ისტორიული სიტყვის ავტორობას, რომელიც *უტუ მიქავამ* გენერალ *კოლუბიაკინის* წინაშე წარმოთქვა. ხოლო სოციალური უსამართლობის თემაზე დაწერილი ერთი ლექსის გულისთვის, რომელიც ი. მიქაბერიძის სახელით კ. ლორთქიფანიძის გამოცემულ კრებულში მოჰყვა – *მთხოვნელი მსაჯულისადმი* (დაიბეჭდა 1861 წელს ჟურნ. *ცისკარში,* №1) – სამსახური დაკარგა. ეს ლექსი, როგორც ბატონყმობის წინააღმდეგ პროტესტის აშკარა გამოვლინება, პირველი ნაბიჯი იყო ქართულ ლიტერატურაში. იგი წინ უსწრებდა დ. ჭონქაძისა და ი. ჭავჭავაძის მიერ ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს. შესაძლოა, ჭეშმარიტებისაგან შორს არ იყოს ვ. კოტეტიშვილის ვარაუდი, რომ *„კაკო ყაჩაღის“* სიუჟეტად ი. ჭავჭავაძეს ამ ლექსის შინაარსი გამოუყენებია (იხ.: კოტეტიშვილი, 1959: გვ. 508).

საგულისხმოა სოციალური უსამართლობის თემაზე შექმნილი რ. ერისთავის თხზულებათა ილიასეული შეფასებაც:

*ჯერ ბატონყმობის (გადავარდნის) ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დედა აჩვენა მსაჯულთან. „სხვა რად ბატონობს ჩემსა ნაშობსაო, შვილი ჩემია და ბატონმა წამართვა, მიბრძანე: ვისი უპყრია ძალაო“. ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვავე ჩივილი ყმობით გაუპატიურებული ღმრთის კერძო ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს, მართლადა ჰაინესი არ იყოს, „დაწყევლილი საკითხი“ – ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობს, „ვისი უპყრია ძალი?“.. ამ სახით ვხედავთ, რომ რ. ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად* (ჭავჭავაძე, 1953: 223).

აკაკი რაფიელ ერისთავს ფუტკარს ადარებდა, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობს, რომ *სიწმინდით შეაზავოს საქვეყნო ძღვენი*. ამიტომ იყო, რომ მოუწოდებდა სრულიად საქართველოს: *ორ-მოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე თ. რაფაელ ერისთავი და დიდი უმადურობა იქნება ჩვენგან მის შესახებ გულ-მავიწყობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა.*

ეს პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ტექსტი 1895 წელს გამოაქვეყნა პოეტმა გაზეთ *კვალში* (№22, 21 მაისი) სათაურით „*საყურადღებოდ*“. ერთი შეხედვით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ აკაკი 1895 წელს რაფიელ ერისთავის შესახებ წერს, სამწერლო ასპარეზზე რაც გამოვიდა, მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდაო, რადგან ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსები – „დარიგება“ და „ყვავილს“ 1852 წლის ჟურნალ ცისკარში (№7) დაიბეჭდა (ანუ მხოლოდ 47 წელი უნდა იყოს გასული); მაგრამ სავარაუდოდ, აკაკიმ იცის, რაფიელ ერისთავმა გიმნაზიაში სწავლის პერიოდშივე რომ დაიწყო ლექსების წერა; ხოლო სასწავლებლის დამთავრებისთანავე (1845 წ.), როცა თიანეთში სასამართლოში თარჯიმნად დაიწყო მუშაობა, რეგულარულად აქვეყნებდა რუსულ ენაზე დაწერილ ბრწყინვალე ეთნოგრაფიულ ნარკვევებს.

საბედნიეროდ, აკაკი წერეთლის ეს მოწოდება უპასუხოდ არ დარჩა და 1895 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა რაფიელ ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ეს იყო ქართულ სინამდვილეში პირველი მასშტაბური იუბილე. ცხადია, აკაკი სიტყვით გამოვიდა ამ იუბილეზე და შესანიშნავი სიტყვაც წარმოთქვა.

ორი წლის შემდეგ, 1897 წლის სექტემბერში, აკაკი თელავში ჩადის და მოინახულებს პოეტს, რომელიც ამ პერიოდში თავის სიძესთან, ვასილ კახიძესთან ცხოვრობდა. აი, როგორ იგონებს აკაკი ამ შეხვედრას: *ერთხელ კიდევ მქონდა შემთხვევა, რომ თელავში მენახა თავადი რაფიელ ერისთავი. დიდად გაიხარა და ახალგაზრდული აღტაცებით იგონებდა ბევრ რამეს საზოგადო საქმის გამოისობით ... მე ყურს ვუგდებდი და მაგონდებოდნენ ძველი გმირები, სხეულის დაძაბუნების შემდეგ ყრუ უდაბნოებს რომ მიმართავდნენ ხოლმე და ლოცვაში ავედრებდნენ ღმერთს საქართველოს. მომაგონდნენ და მეც გავმხნევდი: „არა, არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს-მეთქი. მაშინ თუ თორნიკე ერისთავები იყვნენ, დღეს რაფიელ ერისთავები გვყავს სანუგეშოდ-მეთქი* (წერეთელი, 1961:12).

რაფიელ ერისთავი 1901 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა. ილიას სურდა პოეტის ნეშტი თბილისში ჩამოესვენებინათ და პანთეონში დაეკრძალათ, მაგრამ სიძემ იუარა – განსვენებულის ანდერძის თანახმად, ქისტაურში უნდა დავკრძალოთ ერისთავთა საგვარეულო საძვალეშიო. აკაკიმ ვერ შეძლო დაკრძალვაზე ჩასვლა, მაგრამ სიტყვით გამოვიდა ქაშუეთის ეკლესიაში გამართულ პანაშვიდზე. ასევე, 11 მარტს გამართულ ლიტერატურულ საღამოზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მოიცავს შესანიშნავ დაკვირვებებს მწერლის შემოქმედების თავისებურებების შესახებ.

1911 წელს აკაკი მეოთხედ ეწვია თელავს და, ცხადია, ამჯერადაც მოიწადინა ქისტაურში ჩასვლა, რათა პატივი მიეგო უფროსი თანამედროვის ხსოვნისათვის. აკაკი სხვა სტუმრებთან ერთად ფეხით წაბრძანებულა რაფიელის საფლავის მოსანახულებლად, რომელიც სოფლიდან სამი კილომეტრის მოშორებით მდებარე მთაზე ყოფილა. აკაკის მუხლი მოუყრია საფლავთან და უთქვამს:

*განისვენე, დიდო მოხუცო, განისვენე, სადაც შობილხარ, გაზრდილხარ და გისროლია ისარი, სად მამა-პაპა გეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი!* ამის შემდეგ პარაკლისი გადუხდევინებია.

მართალია, აკაკი ძალიან ნასიამოვნები დარჩენილა ერისთავების მასპინძლობით, მაგრამ ტყეში მიკარგული და ყურადღების გარეშე დარჩენილი საფლავის ხილვით დადარდიანებულა. თავისი გულისტკივილი კიდეც გამოუთქვამს პოეტის ნათესავებთან. მისთვის შეუხსენებიათ, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავიდანვე სურდა ერისთავის თბილისში დაკრძალვა, მაგრამ პოეტის ანდერძის თანახმად უარი ვთქვითო. აკაკი ცოტა ხანს ჩუმად მჯდარა, შემდეგ კი უთქვამს:

*ძალიან დაგიშავებიათ. რაფიელის განსასვენებელი ადგილი აქ, ტყეში კი არა, სწორედ დედაქალაქში, ქართველ მწერალთა პანთეონში უნდა ყოფილიყოო. იმ დიდებული ადამიანის საფლავი უნუგეშო მდგომარეობაშია, ხის მოაჯირი სულ დამპალა და მალე აღარ დაეტყობა, რომ არა თუ იქ მწერალი რაფიელ ერისთავი ასაფლავია, არამედ თვით საფლავის ნიშანიც აღარ დარჩება. ჩვენ მარტო ბრტყელი ლაპარაკი ვიცით და საქმეს კი ყველა გავურბივართ* (წერეთელი, 1911: .3).

ორი ათეული წლის შემდეგ ახდა აკაკის ოცნება. მართალია დედაქალაქში არა, მაგრამ რაფიელ ერისთავი თელავში, კახთა მეფეების სასახლის ეზოში გადმოასვენეს. 1938 წელს, ნოემბერში, სულ რაღაც სამი ათეული წლის შემდეგ, რაც გარდაიცვალა რ. ერისთავი, გაძნელდა საფლავის პოვნა. საბედნიეროდ, ხანდაზმულ ადამიანებს ახსოვდათ და არც შემცდარან. ნეშტი ახალ სასახლეში გადაასვენეს და წამოასვენეს თელავში. ინიციატორი იყო თელავის სახელმწიფო ისტორულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მაშინდელი დირექტორი, *ალექსანდრე მამულაშვილი*. სხვათა შორის, აქვე, მუზეუმის ეზოშია დაკრძალული რაფიელის და, ბარბარე ჯორჯაძე.

## დასკვნა

ამრიგად, აკაკი წერეთელი თავის სტატიებში ხშირად საუბრობდა რაფიელის დამსახურებაზე როგორც ქართული ლიტერატურის განვითარების, ისე ქართული თეატრის აღორძინების საქმეში. ასევე, აკაკი თვლიდა, რომ რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მკითხველისათვის; სწორედ მისი ძალისხმევის შედეგად დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის მიერ შესანიშნავად თარგმნილი ი. კრილოვის არაკები.

ასევე, აკაკი ყურადღებით ეცნობოდა რაფიელ ერისთავის შესახებ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებებს და თუ საჭიროდ მიიჩნევდა, მკაცრად ილაშქრებდა უმართებულო ბრალდებების წინააღმდეგ.

აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის ურთიერთობა შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთის მიმართ საქვეყნო სამსახურში მდგარ ადამიანებს.

## ბიბლიოგრაფია


გომართელი ივ. (1901). ქართული საერო პოეზია. ჟურნ. *კვალი*, №29.

კოტეტიშვილი, ვ. (1959). *ქართული ლიტერატურის ისტორია*, თბილისი: *საბჭოთა საქართველო*.

წერეთელი აკ. (1895). საყურადღებოდ. გაზ. *კვალი*, № 22.

წერეთელი აკ. (1899). კრებ.: *საერო დღესასწაული, თ.რ. ერისთავის იუბილის გამო.*

წერეთელი აკ. (1901). მცირე შენიშვნა. გაზ. *ივერია*, №168.

წერეთელი აკ. (1961). თხზ. სრ. კრებ. თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

წერეთელი აკ. (2011). თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. II, თბილისი: ლიტ. ინსტიტუტის გამომცემლობა.

წერეთელი აკ. (2023). თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. XI, თბილისი: საქართველოს მაცნე.

ჭავჭავაძე ი. (1899). *კრებ.: საერო დღესასწაული, თ.რ. ერისთავის იუბილის გამო.*

ჭავჭავაძე ი. (1953). თხზ. სრ. კრებ., ტ. III, თბილისი: *მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.*

გაზ. *სახალხო გაზეთი,* (1911). № 373.

ჟურნ. *ცისკარი,* (1861). № 1, ტფილისი.

*ნანა ფრუიძე*
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს უნივერსიტეტი.

*Nana Pruidze*
PhD Georgian Philology,
Associated Professor,
University of Georgia.
ORCID-ID: 0009-0003-0358-2974




აკაკი წერეთელი. პორტრეტი. ავტორი ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი ალექსანდრე ლონგინოზის ძე ბერიძე (1858–1917)

# ალექსანდრე ყაზბეგისა და რაფიელ ერისთავის ურთიერთობათა ისტორიიდან

## აბსტრაქტი


ლიტერატურის ისტორიამ XIX ს-ის მეორე ნახევრის ორი დიდი მწერლის – *რაფიელ ერისთავისა* და *ალექსანდრე ყაზბეგის* – ურთიერთობის საინტერესო ფაქტები შემოგვინახა, თუმცა ისინი ცალკე საკითხად გამოკვეთილი და გაანალიზებული არასდროს ყოფილა. ამიტომ საკითხის შესასწავლად გადაისინჯა XIX ს-ის მეორე ნახევრის საცენზურო კომიტეტის ოქმები, რაფიელ ერისთავისა და ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა სრულ კრებულებში დასტამბული მასალები, ბიოგრაფიული ქრონიკები და მემუარული დოკუმენტები. წინამდებარე ნაშრომი განსაკუთრებით გაამდიდრა სოფელ ქისტაურში რ. ერისთავის მუზეუმში დაცულმა ხელნაწერებმა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ალ. ყაზბეგსა და რ. ერისთავს საზოგადოებრივ-ლიტერატურულის გარდა ოჯახური ურთიერთობებიც ჰქონიათ. რ. ერისთავი ცენზორად მუშაობდა, როცა ალ. ყაზბეგმა გამოაქვეყნა ეთნოგრაფიული თხზულება *მოხევეები და იმათი ცხოვრება*, რომელიც რაფიელმა მაშინვე თარგმნა და გამოაქვეყნა *რუსეთის საიმპერატორო-საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში*. რ. ერისთავი ასევე ეხმარებოდა მწერალს 1891-92 წლების თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაში და საზოგადოებრივ ასპარეზზე სხვა მოღვაწეობაშიც.

ალ. ყაზბეგიც სამართლიანად გამოესარჩლა რ. ერისთავს, როდესაც *გუსტავ რადდემ* თავის წიგნში გაპარული შეცდომები გადააბრალა რ. ერისთავის ნაშრომებს ხევსურების შესახებ. *გადაკარგულ მხარეში* ყაზბეგმა მკაცრად გააკრიტიკა რადდეს ნაშრომი და დაიცვა რ. ერისთავის პოზიციები.

ამ ორ დიდ მწერალს ნათესაური კავშირიც ჰქონდა. ალ. ყაზბეგის და – დარია, ცოლად ჰყავდა რ. ერისთავის ძმას – იოსებს. ყაზბეგი ხშირად სტუმრობდა ქისტაურს. იმართებოდა საინტერესო შეხვედრები, ხელოვნების საღამოები, რომლის დროსაც ალ. ყაზბეგი საზოგადოებას თავისი ცეკვით აკვირვებდა.

შესწავლილი მასალიდან იკვეთება, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ რ. ერისთავსა და ალ. ყაზბეგს სოფლის მოსახლეობასთან, მემუარული მასალები კი ადასტურებს, რომ გლეხებს *ღვიძლი შვილივით* და *მამასავით* ჰყვარებიათ ისინი. რაფიელის ან ალექსანდრეს გამოჩენა ქისტაურში ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე; ახლო-მახლო სოფლებშიც ეპატიჟებოდნენ ამ ორ, დიდ, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

ნაშრომში გაანალიზებული წყაროები ბევრ საინტერესო ცნობას იძლევა ალ. ყაზბეგისა და რ. ერისთავის ბიოგრაფიათა უცნობი შტრიხებით გასამდიდრებლად.



**საკვანძო სიტყვები:** ერისთავი; ყაზბეგი; ურთიერთობის ფაქტები; ქისტაური; თხზულებათა კრებული; ბიოგრაფიული შტრიხები.

# ON THE HISTORY OF THE RELATIONSHIP BETWEEN ALEXANDER KAZBEGI AND RAPHIEL ERISTAVI

## ABSTRACT


The history of literature has preserved interesting facts about the relationship between two great writers of the second half of the 19th century – Raphiel Eristavi and Alexander Kazbegi. However, this topic has never been distinctly identified and analyzed as a separate subject. Therefore, to study the matter, we examined the Censorship Committee records from the second half of the 19th century, materials published in the complete collections of works by R. Eristavi and Alexander Kazbegi, as well as biographical chronicles and memoir documents. The research was especially enriched by manuscripts preserved at the R. Eristavi House Museum in the village of Kistauri.

The study found that A. Kazbegi and R. Eristavi maintained social, literary, and familial relations. R. Eristavi was working as a censor when A. Kazbegi published his ethnographic work *Mokheveebi da Imati Tskhovreba* (The Mokheves and Their Lives), which Raphiel immediately translated and published in the *Proceedings of the Caucasian Section of the Russian Imperial Geographical Society*. R. Eristavi also assisted Kazbegi in publishing the complete collection of his works in 1891-92 and supported him in other social and literary endeavors. Similarly, A. Kazbegi justly defended R. Eristavi when Gustav Radde attributed certain errors in his book to Eristavi's research on the Khevsurs. In *Gadakarguli Mkhare* (A Remote Land), Kazbegi harshly criticized Radde's work and defended R. Eristavi's positions.

These two great writers also shared close family ties. A. Kazbegi's sister, Daria, was married to R. Eristavi's brother, Ioseb. Kazbegi frequently visited Kistauri, where literary and artistic gatherings took place, often astonishing the audience with his dancing skills.

The analyzed materials reveal the nature of R. Eristavi and A. Kazbegi's relationship with the local villagers. Memoirs confirm that they were loved by peasants like "their own son and father." The arrival of either Raphiel or Kazbegi in Kistauri would turn into a celebration, and they were often invited to nearby villages as well. These two national writers and public figures held a significant place in the cultural and social life of the time.

The sources analyzed in this study offer many interesting insights that enrich the biographies of A. Kazbegi and R. Eristavi with previously unknown details.



**Keywords**: Eristavi; Kazbegi; Relationship Facts; Kistauri; Collection of Works; Biographical Details.






## შესავალი

XIX ს-ის 60-80-იანი წლები ერთ-ერთი საუკეთესო ხანა იყო ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი კლასიკოსები, რომელთა შემოქმედებამაც წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოების განვითარებაზე. მათ რიგში ღირსეული ადგილი უჭირავთ რაფიელ ერისთავსა და ალექსანდრე ყაზბეგს.

ლიტერატურის ისტორიამ ამ ორი დიდი მწერლის ურთიერთობის საინტერესო ფაქტები შემოგვინახა. ეს ურთიერთობა კი ორგვარი იყო: ლიტერატურული და ნათესაური.

სამეცნიერო ლიტერატურაში რ. ერისთავისა და ალ. ყაზბეგის ურთიერთობის საკითხები გამოკვეთილი და შესწავლილი არ ყოფილა, განსაკუთრებით, მათი ოჯახური კავშირები. ნაშრომის მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ როგორც სამეცნიერო, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა აღნიშნულ მწერალთა ბიოგრაფიის უცნობი ფაქტები.

სანამ უშუალოდ აღნიშნული თემის ანალიზზე გადავიდოდეთ, უნდა შევეხოთ XIX ს-ის 60-80-იანი წლების მოღვაწეთა ურთიერთობის განსაკუთრებულ ხასიათს.

ცნობილია, რომ ეს პერიოდი ურთულესი იყო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. XIX საუკუნის I ნახევარში დასრულდა აჯანყებების ის სერია, რომელიც რუსული მმართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული და მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. დასაცავი გახდა ეროვნული ღირებულებები: ქართული ენა, რომელსაც მტრის ენა ანაცვლებდა, ტრადიციები, რომლებიც ქრებოდა, ეკლესიები, რომლებიც რუსი მოხელეების მიერ იძარცვებოდა ...

*სამშობლო* და *ქვეყნის ინტერესები – ქონდრის კაცებისთვის* გაუგებარი ცნებებია, მაგრამ ისეთი ბუმბერაზები, რომლებიც იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ, სხვა ზნეობრივი კოდექსით ცხოვრობდნენ. თითოეულ მათგანს პირადი სიამოვნება-უსიამოვნება გვერდზე ჰქონდა გადადებული ქვეყნის ინტერესების გამო. აკი ასეც განმარტა, ნიკო ნიკოლაძემ, *ინტელიგენტის* ცნება – ვისაც საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენება შეუძლიაო.

ამიტომ იმდროინდელი ნებისმიერი ცხარე კამათი, როგორც თაობათა შორის, ისე თაობათა შიგნით, მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ იყო მიმართული. ცნობილი მოვლენები – მამათა და შვილა ბრძოლა, პოლემიკა არჩევნების გამო, კამათი სათავადაზნაურო ბანკის გარშემო, საგრამატიკო პაექრობა თუ სხვა – ისეთ მძაფრ ხასიათს ატარებდა, რომ კაცი იფიქრებდა, მოკამათეები არასოდეს გასცემენ ხმას ერთმანეთსო, მაგრამ შემონახული ფაქტობრივი მასალა საწინააღმდეგოს ადასტურებს.

1894 წელს საგრამატიკო პაექრობაში ჩართულ აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს შორის მწვავე კამათი გაიმართა ზმნის – *აღგიარებ – გაღიარებ* ფორმათა სისწორის გამო. კამათმა ისეთი დაძაბული ხასიათი მიიღო, რომ სილოვან ხუნდაძემ მედიატორობაც კი იკისრა ამ ორ დიდ მოღვაწეს შორის. შეიცვალა თუ არა მათი ურთიერთობა? აკაკი და იაკობი უერთგულეს მეგობრებად დარჩნენ. ცნობილია გოგებაშვილის თავგანწირვა პოეტის ავადმყოფობის დღეებში და აკაკის მისდამი მიწერილი ბარათები: *არის ხოლმე გარემოება, როცა ადამიანი მადლობასაც ვეღარ ახერხებს... შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონით მივითვალე,* – სწერდა აკაკი იაკობ გოგებაშვილს (წერეთელი, 1963 , გვ. 112).

1896 წელს ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის უსიამოვნებები ბანკის საკითხებზე, როგორც იტყვიან, კულმინაციურ წერტილს გადაცილებული იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ილია სამართლიანი და ობიექტური ყოფილიყო ივანე მაჩაბლისადმი. 1896 წლის 9 თებერვალს, *ივერიის* №30-ში, იგი ხელმოუწერლად აქვეყნებს ჟურნალ *მოამბის* პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას, რომელშიც აღტაცებას ვერ მალავს ივანე მაჩაბლის მიერ შექსპირის *იულიუს კეისრის* თარგმანის გამო (გორგაძე, გურგენიძე. 1987, გვ.258). ასევე, 1873 წელს აკაკისა და ნიკოლაძეს სერიოზული უსიამოვნებები ჰქონდათ ლიტერატურულ საკითხებზე. თუმცა

როცა საქმეს სჭირდებოდა, ისინი ივიწყებდნენ უსიამოვნებებს, მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე, გაზეთ *ობზორის* გამოცემის ნებართვის აღებისას, აკაკის სთხოვს დახმარებას, პოეტი ორ წერილს უგზავნის მას *ობზორში* დასაბეჭდად.

ცხარედ კამათობდნენ ილია და ნიკო ნიკოლაძე ბანკის საკითხებზე. აკაკიმ *უდროო ბრძოლა* უწოდა მათ პაექრობას. ნიკო ნიკოლაძე გაზეთ *დროებაში* აქვეყნებს წერილს – *განა საჭირო უდროოა?* : *გუშინწინ აკაკი ამტკიცებდა დროებაში, რომ ის ბრძოლა, რომელიც თფილისის მოამბეში ატყდა უფ. ილია ჭავჭავაძესა და ჩემს შუა, უდროოა და მტერს გულს გაუხარებსო...* (დროება, 1876, №56).

ასე გამოირიცხებოდა ხოლმე ეროვნულ მოღვაწეთა ურთიერთობებიდან პირადი ინტერესები და წყენა. ყოველივე აღნიშნულის თაობაზე, აკაკისავე სიტყვებით, შეიძლება მოკლე დასკვნის გაკეთება: იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ *ბევრი მოეთხოვებოდათ და ცოტა შეენდობოდათ,* რომ მათი გადადგმული ყოველი ნაბიჯი, საქციელი *საშვილიშვილო ტაბლად დაედგმებოდა თვითეულ მათგანს* და არა მარტო თითოეულ მათგანს, ერის ზნეობასაც ზოგადად (*ცნობის ფურცელი,* 1898, №425).

## კვლევის მეთოდი

საკითხის შესასწავლად გავაანალიზეთ XIX ს-ის მეორე ნახევრის საცენზურო კომიტეტის ოქმები, რ. ერისთავისა და ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა სრულ კრებულებში დასტამბული მასალები, ბიოგრაფიული ქრონიკები და მემუარული დოკუმენტები. განსაკუთრებული როლი ითამაშა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის მუზეუმში დაცულმა ხელნაწერებმა და ავტოგრაფებმა, რომლებმაც საინტერესო ფაქტებით გაამდიდრა ნაშრომი.

## შედეგი

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საცენზურო კომიტეტის ოქმებში დღემდე ინახება ცენზურის მიერ აკრძალული ალ. ყაზბეგის რამდენიმე თხზულება: „დილა ქორწილის შემდეგ“ (ფონდი 480 საარქ. №638), ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობები: „ელისო“, „ციცკა“, „ციკო“ და სხვ. (ფონდი 480 საარქ. №2303) და ა.შ. ბიოგრაფიული ქრონიკებისა და მემუარული მასალის შესწავლით რ. ერისთავისა და ალ. ყაზბეგის მოღვაწეობის უცნობ დეტალებს მოეფინა ნათელი, ხოლო ქისტაურის რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში დაცულმა ავტოგრაფულმა მასალებმა საინტერესო ფაქტებით გაამდიდრა ნაშრომი.

## მსჯელობა

შესავალში ნახსენებ მორალურ ფონზე განვითარდა ალ. ყაზბეგისა და რ. ერისთავის ურთიერთობაც. მათი პირველი ლიტერატურული გადაკვეთა 1880-იან წლებში შედგა, როცა სერგეი მესხმა *დროებაში* (1880, №156-174) დაბეჭდა ყაზბეგის ეთნოგრაფიული ნარკვევი *მოხევეები და იმათი ცხოვრება.* ამ დროს რაფიელ ერისთავი ცენზორად მუშაობდა. მას იმდენად მოსწონებია ნაშრომი, რომ მაშინვე რუსულად თარგმნა და *რუსეთის საიმპერატორო-საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში* გააგზავნა დასაბეჭდად.

*პირველად სანდროს ნაწერებთაგან დაიბეჭდა „დროების“ ნომრებში მისი ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევისა, რაც მაშინვე გადაითარგმნა რუსულად რაფიელ ერისთავის მიერ და დაიბეჭდა* – იგონებს ილია ჭყონია (ჭყონია, 1988, გვ. 221). ამ ჟესტით რაფიელ ერისთავმა წაახალისა ახალგაზრდა მწერალი და შემდგომი მუშაობისაკენ უბიძგა.

მალევე, 1881 წლის *ივერია-ში* (№№131-147), დაიბეჭდა ალ. ყაზბეგის წერილი *გადაკარგული მხარე,* რომელიც წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას *გუსტავ რადდეს* ნაშრომზე *ხევსურეთისა და ხევსურების შესახებ.* ყაზბეგს რადდეს ნარკვევში შეუმჩნევია ბევრი უზუსტობა და გადაუწყვეტია ამ ყველაფრის განმარტება, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ გუსტავ რადდე იშველიებდა რ. ერისთავის ეთნოგრაფიულ ნაშრომებს ხევსურეთის შესახებ: *ზოგიერთი, ე.ი. ეთნოგრაფიული ნაწილი მაქვს ამოკრებილი ბ. რ. ერისთავის თხზულებიდამ, ზოგიც იქ მყოფ ჩინოვნიკებისა და სასულიერო პირთაგან ნაამბობი და ალაგობრივ შემოწმებული* – წერდა რადდე (ყაზბეგი, 1950, გვ. 51).

*გადაკარგული მხარე* საკმაოდ ვრცელი ნაშრომია და მასში შესწორებულია ყველა ის უზუსტობა, რაც რადდეს აქვს დაშვებული. ეს ნარკვევი ერთგვარ სამართლიან გამოსარჩლებასაც წარმოადგენდა ხევსურეთის შესახებ რ. ერისთვის ნაშრომებისას, რადგან მათში მსგავსი ლაფსუსები და შეცდომები არ ფიქსირდებოდა.

*ბ. რადდესთვის ვერც ბ. რ. ერისთავის თხზულებას, ვერც მღვდელ-ჩინოვნიკობას და ვერც ადგილობრივ შემოწმებას ვერა უშველია-რა. ენის უცოდინრობას ბევრი ისეთი რამ უთქმევინებია, რაც ხევსურეთში ან სრულებით არ არის, ან სულაც სხვა მნიშვნელობა აქვს. ესევე შეცდომილება სჩანს სხვადასხვა ადგილების სახელებში, რომელნიც უწყალოდ არიან დამახინჯებულნი* – წერს ალ. ყაზბეგი (ყაზბეგი, 1950, გვ. 51).

საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ალ. ყაზბეგის მიერ გაკრიტიკებული რადდეს რამდენიმე დასკვნა:

*ერთ ადგილას რადდე ამბობს, რომ ხევსურეთში სხვადასხვა სოფლები ერთსა და იმავე ადგილს სხვადასხვა სახელს არქმევენო. ეს მე შემცდარს აზრად მიმაჩნია* – წერს ყაზბეგი და ვრცელი მსჯელობით გვიხსნის რადდეს ამ შეცდომის მიზეზს (იქვე, გვ. 51);

*ყინვა და სიცივე, გ. რადდეს სიტყვებით, ოც გრადუსამდე ადის, მაგრამ, ვგონებ ზოგან ბევრად მეტი უნდა იყოს, რადგანაც ზოგიერთი სოფლები ექვსიათას ფუტზეც მაღლა დგანან, მაგალითად – გურო 6.500 სიმაღლეზედ არის* (იქვე, გვ. 53);

*ხევსურეთის სიმდიდრეზედ, ბ. რადდე ამბობს, რომ დიდად ღარიბი არისო და ქერიც კი ერთიხუთს მეტს ვერ აძლევსო. არ ვიცი, ვის სიტყვებზედ აფუძნებს ამ გამოკვლევას ავტორი, მაგრამ ეს კი სარწმუნოა, რომ მთის მამულებში საზოგადოდ და ხევსურეთშიც რაც კი მოდის, ბლომად მოდის* (იქვე);

*ხევსურებს საქონელი ცოტა ჰყავთ,* – წერს რადდე, – *რადგან ხევსურეთში იმდენს თივას ვერ აგროვებენ, რომ გრძელსა და ცივს ზამთარში დიდი საქონლის გამოკვება შეიძლონო. თუ მიზეზი მხოლოდ ეს არის, მაშ, ფშაველები, თუშები და მოხევეები როგორღა იჩენენ დიდს საქონელს, როდესაც იმათი და ხევსურების მდგომარეობა, ჰაერისა და მოსავლის შესახებ, თითქმის ერთგვარია? ვგონებ, რომ აქ მიზეზი თივის უქონლობა არ არის* (იქვე, გვ. 54);

*რა კი ცოლ-ქმარს ადვილად გაყრის ნება აქვს, ბ. რადდეს ჰგონია, რომ ქმარს გადაუხდევინებლად შეუძლიან გააგდოს თავისი ცოლი და ამგვარად რამდენიც უნდა ცოლი გამოიცვალოსო... დამნაშავემ ისეთი გადასახადი უნდა გადაიხადოს, რომ ადვილად ვერ აუვა* (იქვე, გვ. 58);

*ხევსურების უშვილობაზედ რადდე ამბობს: ცნობილია, რომ უწინდელ დროში სვანებში ჰხოცავდნენ ზოგიერთს თავიანთ ახალდაბადებულ ქალებს და ასე მოქმედობდნენ იმ მიზეზით, რომ ეშინოდათ, მეტად არ გამრვლებულიყვნენ და ცხოვრება სამძიმოთ არ გაჰხდომოდათ, ეგევე შეიძლება ვთქვათ ხევსურთ ქვეყანაზედ... ხევსურებში დიდ სირცხვილად მიაჩნდათ, თუ შვილი ქორწინების შემდეგ ოთხის წლის წინათ გაუჩნდათ... და რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში შვილი არ ეყოლოთ, „ჩასახვისათვის შეერთებას“ ბოლომდე არ ათავებენ (რადდე, გვ. 79-80). თვითონ ამ სიტყვებიდგანვე მტკიცდება, ზოგიერთ ცნობებს რა მსუბუქად მოჰკიდებია ბ. რადდე. ვინ უამბობდა ასე დაწვრილებულს ამბავს ცოლ-ქმართ საიდუმლო ცხოვრებიდან. თითონ ხევსურები არ უამბობდნენ, სასულიერო წოდების პირთ, მღვდლებს არ ეცოდინებოდათ და ჩინოვნიკების სიტყვაზედ დანდობა კი, თითონ რადდე ამბობს, ძნელიაო* (იქვე, გვ. 60);

ყაზბეგის აზრით, რადდე ასევე შეცდომას უშვებს, როცა ამბობს, ხევსურეთში სატირლად ქალებს ქირაობენო, მთის ხალხებში ეს არავის უნახავს, *რომ ვისმე სატირლად ქირაობდნენ* და *ამგვარ შრომისათვის ფულს აძლევდნენ* (იქვე, გვ. 61);

*რადდე ლაპარაკობს კიდევ იმისთანა სამარეებზე, რომელნიც ვითომ მიწის ზეით ყოფილიყვნენ გაკეთებულნი, მაგრამ არც რ. ერისთავი, არც ზისერმანი არაფერს არ ამბობენ ამაზე და არც მე გამიგონია. მართალია, როგორც ხევსურეთში, ისე სხვა მთიან ადგილებში, მაგალითად, ხევში აკლდამები ბევრია, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს აკლდამები ხალხთა დიდი გადმოსახლების დროს იყოს გაკეთებული აქ გადმოვარდნილ უცხო ტომთაგან* (იქვე, გვ. 62).

გუსტავ რადდეს ნაშრომში აღმოჩენილ თითოეულ შეცდომას ალ. ყაზბეგი საკმაოდ ვრცელ გამოკვლევას ურთავს და ამით ნათლად გამოკვეთს ამა თუ იმ შეცდომა-უზუსტობის არსს.

ალ. ყაზბეგის შენიშვნებს დაეთანხმა რ. ერისთავი და მანაც გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია გუსტავ რადდეს აღნიშნულ ნაშრომზე: *Заметка о монографии Хевсуретия и Хевсуры, Записки, кн.* XIV, 1892 (ст. 81-111).

ალ. ყაზბეგის შემოქმედებისადმი რ. ერისთავის ამაგსა და პატივისცემას გამოხატავს ერთი ფაქტი; 1890-იან წლებში გამომცემლები ყველაზე მეტად ალ. ყაზბეგის თხზულებების დაბეჭდვით იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ მწერლის ნაწერების უცვლელად გამოცემა, ადგილობრივი ცენზურის პირობებში, შეუძლებელი იყო. ალ. ჯაბადარი იგონებს: *ჩვენ გვინდოდა ყველა მისი ნაწერები ისე მაინც გამოგვეცა, როგორც გაზ. დროებაში იბეჭდებოდა ფელეტონებად. ამ დროს ცენზორად იყო ჩვენი პოეტი, რაფიელ ერისთავი. ვფიქრობდით, რომ რაფიელი დაგვეხმარებოდა* (ჯაბადარი, 1928, გვ. 249).

როცა ყველაფერი მომზადდა, სამწუხაროდ, რ. ერისთავი შვებულებაში იყო გასული და დაბრუნება არ შეეძლო, რადგან მის მოვალეობას უკვე ასრულებდა უფროსი ცენზორი *ქიშმიშევი*, რომელმაც წაკითხვისას *ელგუჯა* და *მამის მკვლელი* თითქმის გაანახევრა. მაშინ ალ. ჯაბადარის გამომცემლობამ თბილისის საცენზურო კომიტეტს გვერდი აუარა და თხზულებები პეტერბურგის კომიტეტს წარუდგინა, რომელიც თავის მხრივ, ქართულენოვან ნაწერებს ნიკო მარს უგზავნიდა საცენზუროდ... გამომცემლობამ პეტერბურგიდან მალე თანხმობა მიიღო და ალ. ყაზბეგის თხზულებათა პირველი კრებულიც გამოვიდა.

*რაფიელ ერისთავმა (ცენზორმა) შინაურულად იცოდა, რომ ამ ხერხს მივმართეთ,* – წერს ალ. ჯაბადარი, – *რასაკვირველია, თანაგრძნობით უყურებდა ამას და თვითონაც მოუთმენლად ელოდა ამ წიგნების გამოსვლას* (ჯაბადარი, 1928, გვ. 250).

რ. ერისთავი კარგა ხანს მუშაობდა ცენზორად. გამორიცხული არ არის, რომ მისი ცენზორობა მიზანმიმართულ ხასიათსაც ატარებდა, რადგან ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, სხვა გამოცემებს და, ზოგადად, ქართულ მწერლობას ერთი საიმედო ადამიანი ეგულებოდა საცენზურო კომიტეტში, რომელსაც კრიტიკულ მომენტებში, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარების გაწევა შეეძლო.

გარდა კონკრეტული წერილობითი ფაქტებისა, რაფიელ ერისთავი ყოველთვის მხარს უჭერდა და ამხნევებდა მწერალს. მემუარულ მასალაში ვკითხულობთ: ალ. ყაზბეგი ...*მივიდა პირდაპირ ზაქარიასთან* (ჭიჭინაძე – ე. ზ., მ. ა.), *რომელიც იმ დროს წიგნებს ითვლიდა და აწყობდა ზოგს დახლზე და ზოგს თაროებზე და გაუმართა საუბარი ერთი თავის სასცენო ნაწარმოების შესახებ, რომლის სცენაზე დადგმის იმედს მას ამ ხანათ აძლევდნენ თურმე რაფიელ ერისთავი და კოტე ყიფიანი...* (ჭყონია, 1988, გვ. 219).

ამ მცირე პასაჟიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ალ. ყაზბეგს, ზემოთ დასახელებული პირების სახით, ჰყავდა გულშემატკივრები და ზოგიერთი თანამედროვისგან უსამართლო ლანძღვით გულნატკენ მწერალს შეეძლო მათი იმედი ჰქონოდა.

ალ. ყაზბეგი რომ კარგად იცნობდა რაფიელ ერისთავის შემოქმედებას და მისი დიდი პატივისმცემელიც იყო, ერთი უბრალო ფაქტითაც დასტურდება. რ. ერისთავის ლექსი *სამშობლო ხევსურისა*, რომელიც მიჩნეულია ქართული პოეზიის შედევრად, როგორც ჩანს, იმდენად ასოცირდა ავტორთან, რომ ალ. ყაზბეგმა რაფიელისადმი მიძღვნილ წიგნს – *სახალხო ლექსები. მოხევეთა და მოხევის სიმღერები* – ადრესატის გვარ-სახელის ნაცვლად დააწერა: *ხევსურის სამშობლოს ავტორს / მოჩხუბარიძისგან.*

ამ ორი დიდი მწერლის ურთიერთობა მხოლოდ საზოგადოებრივი თუ ლიტერატურული თანამშრომლობით არ ამოიწურებოდა. ისინი ოჯახებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

ალექსანდრე ყაზბეგის და, დარია (იგივე დარიკო), ცოლად ჰყავდა რაფიელ ერისთავის ძმას, *იოსებ (იგივე სოსიკო) ერისთავს.*

როგორც დარიკოს შვილიშვილი – *მარიამ ერისთავი* იგონებს, სოსიკო კარგი გარეგნობის კაცი იყო – ახოვანი და ვაჟკაცური შეხედულების, ასევე კარგი მეურნეც. ამიტომ გასათხოვარ ქალებს დიდი შეცილება ჰქონიათ სოსიკოზე. სოსიკოს და რაფიელის დები – ანა და ბარბარე – სახუმარო დეპეშებს უგზავნიდნენ ერთმანეთს სოსიკოს ცოლის შერთვის თაობაზე: *Не женился Сосико, беспокоюсь Анико – не беспокойся, Анико, уж женился Сосико.* ამის გამო თურმე რაფიელი და მისი და, ბარბარე, ამხანაგებთან ერთად გულიანად იცინოდნენ... *მაგრამ ყაზბეგის ოჯახიდან გამოგზავნილმა მაშვალმა სოსიკოს ბედ-იღბალი გადაწყვიტა. სოსიკოს, რაფიელის ძმას, ალექსანდრე ყაზბეგის და მიათხოვეს,* – წერს მარიამ ერისთავი (რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი, ქისტაური, №103/1950).

ვინ იყო დარიკო თუმანიშვილი?

როდესაც ალ. ყაზბეგის დედა მიხეილ ყაზბეგს მისთხოვდა, ის დაქვრივებული იყო და დარიკო 3-4 წლისა იქნებოდა. მიხეილმა შვილივით შეიყვარა პატარა გოგონა და მამასავით თავს ევლებოდა (იქვე). მემუარული მასალიდან ირკვევა, რომ *დარიკო საზოგადოებაში სახელგანთქმული იყო თვისი შესანიშნავი ხელსაქმით: სოფლის ქალიშვილებსაც, პატარძლებსაც ის ასწავლიდა ხელსაქმეს, ქარგვა იყო თუ კერვა, ტანსაცმლისა და ფარდაგ-ხალიჩების შეხამება და ქსოვა. დარიკოს თავისი ხელით მოქარგული გულისპირი და ფარდაგები მაზლისათვის – რაფიელისათვის და რძლისთვის – ფეოდოსიასთვის მიურთმევია. დარიკო მაშინდელი ქართველი ქალის კვალობაზე განათლებულიც იყო. მან მთლიანად ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“. იგი სათნო და მზრუნველი ცოლი და დედა იყო* (რესმ, ძირითად შემოსულობათა ფონდი №2002/8, 180).

სოსიკოს და დარიკოს ქორწილის შესახებ მათი შვილიშვილებისა და კიდევ რამდენიმე პირის მოგონება არსებობს. მაგალითად, დარიკოს შვილიშვილი მარიამ ერისთავი წერს: *დარიკო, ალ. ყაზბეგის და, ბებიაჩემი (მამაჩემის დედა), გამოუთხოვებიათ სოფელ სტეფანწმინდიდან ქისტაურში. ასე შორს რომ გაათხოვეს დარიკო, ეს უტყუარი ნიშანი იყო იმისა, თუ რაოდენ პატივს სცემდა ყაზბეგის ოჯახი რაფიელის ოჯახს* (რესმ №103, 1950).

მარიამ ერისთავს აღწერილი აქვს ბებია-პაპის ქორწილი, რომელიც სხვათა მოგონებების პასაჟებსაც ემთხვევა.

როგორც ავტოგრაფებიდან ირკვევა, ერისთავთა მდიდრულად მორთულ-მოკაზმულმა მაყრიონმა შეიჯირითა *ყაზბეგიანთა* კარ-მიდამოში სიმღერით. გაიმართა დიდებული ქორწილი, რომელიც ერთი კვირა გაგრძელდა. შემდეგ კი მოხევეებმა თავისი ლამაზი პატარძალი მდიდრული მზითევით კახეთს გამოისტუმრეს. ერთი კვირა იყო ნეფე-დედოფალი გზაში, რადგან მათ ხალხი ეგებებოდა და ულოცავდა, იშლებოდა სუფრები და იმართებოდა ლხინი. რასაკვირველია, დარიკოს თან ახლდა ძმა – ალ. ყაზბეგი, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრე საზოგადოება თავისი შესანიშნავი ცეკვით. დარიკო სიმაყით შესცქეროდა ძმას და ყველმოღერებული მალულად ურჩევდა საცოლეს.

თუ რა ურთიერთობა ჰქონდა და-ძმას (დარიკოსა და ალექსანდრეს) კარგადაა აღწერილი სხვადასხვა წერილობით დოკუმენტში:

*ალექსანდრე ყაზბეგი და დარიკო განუყრელი მეგობრები იყვნენ. და-ძმა ძალიან განიცდიდა დაშორებას და ამიტომ ალექსანდრე თავის დის ხშირი სტუმარი იყო. კახეთის საუკეთესო ახალგაზრდობა, როგორც კი გაიგებდა ალექსანდრეს ქისტაურს ჩასვლას, ერთიმეორეს ეცილებოდა, ერთი სოფლიდან მეორეში იწვევდნენ... ალექსანდრეს კახეთში სტუმრობა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, იგი აქ თავს შინაურად გრძნობდა. დარიკოც ბედნიერი იყო ძმის სტუმრობით, გახარებული ღამეებს ათევდა, რომ ძმისთვის მოექსოვა საცეკვაო ტანსაცმელი, პაჭიჭები, ქისები და სხვა* (რესმ, ძშწ №2004/8, 180).

დარიკოს და იოსებს სამი შვილი შეეძინათ: ნუგზარი (იგივე დავითი), ნიკოლოზი (ნიკა) და ბარბარე. დარიკოს ძმასთან განშორების შემდეგ ხშირად მოწყენილობა იპყრობდა, ამიტომ შვილებთან ერთად ხშირად გადიოდა მახლობელ ტყეში და იქ ატარებდა დროს... ტრაგედიაც ზუსტად იქ დატრიალდა. ერთ დღეს ტყეში სასეირნოდ გასული დარიკო მოკლული იპოვეს...

ამ ფაქტის შესახებ კიდევ რამდენიმე დოკუმენტია შემონახული რაფიელ ერისთავის მუზეუმში. ერთ-ერთია სოფელ ქისტაურის მკვიდრის – გაიოზ გზირიშვილის მოგონება, რომელიც ადასტურებს ალ. ყაზბეგის სტუმრობას ქისტაურში და საინტერესო ცნობასაც შეიცავს რ. ერისთავისა და სოფლის მცხოვრებთა ურთიერთობის შესახებ:

*როცა პირველად ვნახე, მაშინ რაფიელი, ახლა რომ მუზეუმია, იქ ცხოვრობდა. იმავე სახლში ცხოვრობდა რაფიელის ძმა იოსები, რომელსაც სოსიკოს ეძახდნენ. სოსიკოს პირველი მეუღლე იყო ალექსანდრე ყაზბეგის და... ესეც იქიდან ვიცი, რომ ჩვენი ოჯახი სოსიკოანთ, ე.ი. რაფიელის მამის ნაყმევები ვართ და იმათვე ვემსახურებოდით ხოლმე ჭირში და ლხინში. ერთხელაც დიდი ლხინი ჰქონდათ. ლხინი იმათთვის იშვიათი ხომ არ იყო? ერთი მაღალი და კოხტა ტანის ბიჭმა კარგად იცეკვა და თავისი ცეკვით მთელი ხალხი გააკვირვა, მაშინ აქეთ-იქიდან იძახდნენ – ეგ პირდაპირ ალ. ყაზბეგიაო... შემდეგ სოსიკოს ცოლი თურდოში, ე.ი. ვარდისუბნის რიყეში მოჰკლეს. რ. ერისთავი თავის მოხუცებულობის ცხოვრებას მეტწილად თბილისში ატარებდა და იშვიათად ჩამოდიოდა სოფელში. რაფიელი რომ ქისტაურში ჩამოვიდოდა, მთელი სოფლის ხალხი მიეგებებოდა, როგორც ღვიძლს...* (მოგონებათა წიგნი: *რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგონებები*. რესმ №2295).

ალექსანდრე ყაზბეგის მეგობარი ქალი, სოფელ ქისტაურში მცხოვრები, ნინო რაზმაძე იგონებს:

*ყაზბეგი დაიარებოდა სტუმრად სოფ. ქისტაურში თავისი სიძის – იოსებ ერისთავის ოჯახში. ქისტაურში მას ვხედავდი უფრო შემოდგომობით, რთველში, ანდა ალავერდობისას. ერისთავების ოჯახში სანდროს ჩამოსვლაზე დიდი ზეიმი იყო. ახლო-მახლო სოფლებიდან ნათესავებს ან მეგობრებს იწვევდნენ და ისინი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.*

*დარიკოს, იოსებ ერისთავის ცოლს, ძლიერ უყვარდა სანდრო. როცა იგი ქისტაურში იყო სტუმრად, დარიკო ოჯახში ტრიალებდა და სტუმრებს მხიარულ გუნებაზე ხვდებოდა, გაისტუმრებდა თუ არა ძმას, ოჯახსაც გაურბოდა და განმარტოებული უყვარდა სიარული. მისმა ასეთმა მოქმედებამ ავადმყოფური ხასიათი მიიღო. ერთ დღეს დარიკო მოკლული ნახეს ტყეში. მკვლელობა დააბრალეს ვინმე კახიანს, რომელიც დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ კახიანი ციხეში გარდაიცვალა* (ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №26787-ხ).

ქისტაურის გარდა, ალ. ყაზბეგი ხშირად სტუმრობდა კახეთს, განსაკუთრებით კი თელავს, სადაც უამრავი მეგობარი ჰყავდა. მწერალი ხვდებოდა თელავის მოწინავე საზოგადოებას, ეხმარებოდა სახალხო სკოლებსა და სახელოსნოებს, მათთან ერთად აწყობდა ლიტერატურულ საღამოებს, რომლებიც სახალხო ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე. ეს კი ხელს უწყობდა პატრიოტული გრძნობების გაღვივებას საზოგადოებაში. ნაშრომში გამოყენებული მასალებიდან ასევე იკვეთება რაფიელ ერისთავის ურთიერთობის ხასიათი სოფლის მოსახლეობასთან, რომელთაც ღვიძლი შვილივით და მამასავით ჰყვარებიათ იგი.



## დასკვნა

გაანალიზებული მემუარული თუ სხვა წერილობითი წყაროები ძალიან ბევრ საინტერესო მასალას იძლევა ორი დიდი მწერლის – ალექსანდრე ყაზბეგისა და რაფიელ ერისთავის როგორც ურთიერთობის ისტორიისათვის, ისე მათი ბიოგრაფიების უცნობი შტრიხებით გასამდიდრებლად.

შესწავლილი მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეროვნულ მოღვაწეთა ურთიერთობა სხვა მორალური კოდექსით იმართებოდა, რომ ისინი ერთმანეთს მხარში ედგნენ და მათთვის მთავარი იყო არა პირადი ურთიერთობები, არამედ სამშობლოს გადარჩენის იდეა.

## ბიბლიოგრაფია:


გორგაძე, ი., გურგენიძე, ნ. (1987). *„ილია ჭავჭავაძე, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“*, თბილისი: *მეცნიერება*.

ყაზბეგი, ა. (1950). *თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად*, ტ. V, თბილისი: *საბჭოთა მწერალი*.

წერეთელი, ა., (1963). *თხზულებათა სრული კრებული თხუტმეტ ტომად*,. ტ. XV, თბილისი: *საბჭოთა საქართველო*.

ჭყონია, ი. (1988). ჩემი დღე და სოფელი. ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი, *ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა*, თბილისი: *განათლება*.

ჯაბადარი, ალ. (1928). *ზოგი რამ ალ. ყაზბეგის თხზულებათა ბეჭდვის ისტორიიდან*, *ჟურნალი მნათობი*, №2.



*ელისაბედ ზარდიაშვილი*
ფილოლოგიის დოქტორი;
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

*მაია არველაძე*
ფილოლოგიის დოქტორი;
შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

*Elisabed Zardiashvili*
PhD in Philology;
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.
ORCID-ID: 0009-0004-0016-9727

*Maia Arveladze*
PhD in Philology;
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature.
ORCID-ID: 0009-0001-2607-5620




ალექსანდრე ყაზბეგი
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი



# გავლენის ინტერპრეტაცია ორი მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების მაგალითზე – რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა

## აბსტრაქტი

ლიტერატურული გავლენა სიტყვაკაზმული მწერლობის განუყოფელი ნაწილია. ის შეიძლება ეხებოდეს მხატვრულ ენას, სტილს, წერის მანერას, თემატიკასა და სხვა. ცხადია, ასეთი გავლენა სულაც არ აკნინებს შემოქმედის ნიჭს.

ლიტერატურათმცოდნეებმა არაერთი ასეთი გავლენა შეისწავლეს და გააანალიზეს. *რაფიელ ერისთავისა* და *ვაჟა-ფშაველას* სახელებიც ამ კონტექსტში დავაწყვილეთ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1895-1896 წლებში ჟურნალ *მოამბესა* და 1896 წელს გაზეთ *ნოვოე ობოზრენიეში (Новое Обозрение)* გამოქვეყნდა გრიგოლ ყიფშიძის ლიტერატურული წერილები, რომლებიც, სხვასთან ერთად, ეხებოდა რაფიელ ერისთავისა და ძმებ რაზიკაშვილების შემოქმედების გავლენას.

წერილში *თ-დი რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა*, მკვლევარმა არ გაიზიარა იონა მეუნარგიას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რაფიელ ერისთავის ლექსმა, *სამშობლო ხევსურისამ* შექმნა *მთელი სკოლა* და თითქოს ამ სკოლაში ძმები რაზიკაშვილები პირველობენ.

მკვლევარი უარყოფს ყოველგვარ გავლენას და თვლის, რომ ეს გავლენა კი არ იყო, არამედ დროის შედეგი – *საერთო თვისება მათ შორის დიდია, გარნა განსხვავებაც დიდია. ერთფერობა აიხსნება ნიჭის ნათესავობით, სულის თვისტომობით და არა ზეგავლენით, ერთმანეთის მიბაძვით.* ასეთივე პათოსით არის გამსჭვალული მეორე წერილიც, რომელიც 1896 წელს გაზეთ *ნოვოე ობოზრენიეში* დაიბეჭდა.

ვაჟა-ფშაველასთვის უცხო არ ყოფილა ასეთი დამოკიდებულება. საუბრობდნენ მისი შემოქმედებისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენაზეც.

ვაჟა-ფშაველამ ამ მოსაზრებებს წერილებით: *კრიტიკა იპ. ვართაგავასი* და *Pro Domo Sua* (ჩემ შესახებ) უპასუხა. ამჯერად, ჩვენთვის საყურადღებოა მეორე წერილი, რადგან ის უშუალოდ რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას გავლენას ეხება.

ვაჟა-ფშაველა თვლის, რომ ლიტერატურული გავლენა აბსოლუტურად მისაღები და კანონზომიერია. საკუთარ მოსაზრებას კი ლიტერატურაში არსებულ *თანდათანობით კანონზე* დაყრდნობითა და რამდენიმე არგუმენტით ამყარებს: *ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდი-*

*ლებათა. რამ უნდა ააჟღეროს მისი ჩანგი თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი, ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამაღელვებელი, ან ბუნების მოვლენით მოუყრუა ყური? აი ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული გახლავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს (Pro Domo Sua).*

რაც შეეხება უშუალოდ რაფიელ ერისთავის შემოქმედების გავლენას, პოეტი პასუხობს: *თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შეძრა იგი. ამასთანავე, ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა (Pro Domo Sua).*

ერთი რამ ცხადია, რომ რაფიელ ერისთავის *საერო კილომ* ვაჟა-ფშაველას გამბედაობა შესძინა, რომ უკვე გაკაფული გზა გაეგრძელებინა.

წერილში ვაჟა-ფშაველა თამამად საუბრობს ამ საკითხზე და ასახელებს იმ მწერლებსა და ნაწარმოებებს, რომლებიც იქცა მისი შესანიშნავი ქმნილებების ინსპირაციად.

საინტერესოა, თავად მწერლის დამოკიდებულება გავლენის, როგორც მოვლენის, მიმართ. მწერალი თვლის, რომ ის კანონზომიერია და აუცილებელიც კი არის საკუთარი ნიჭის გასავითარებლად; ის შესაძლებლობაა, რომ მწერალმა იპოვოს საკუთარი სტილი, აღმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** *გავლენა; რაფიელ ერისთავი; ვაჟა-ფშაველა; ჰაროლდ ბლუმი; აპოფრადესის რევიზიის პროპორცია.*

## INTERPRETATION OF INFLUENCE THROUGH THE CREATIVE LIVES OF TWO WRITERS: RAPHIEL ERISTAVI AND VAZHA-PSHAVELA

## ABSTRACT

Literary influence is an integral part of artistic writing. It may affect the literary language, style, manner of writing, themes, and more. Clearly, such influence in no way diminishes the talent of the writer.

Literary scholars have studied and analyzed many such influences. The names of Raphiel Eristavi and Vazha-Pshavela are paired in this context as well.

It all began when, in 1895–1896, Grigol Kipshidze's literary essays were published in the journal *Moambe* and in 1896 in the newspaper *Новое Обозрение*. These essays, among other topics, addressed the influence of Raphiel Eristavi and the Razikashvili brothers' works.

In the article *Noble Raphiel Eristavi and His Literary Activity*, the scholar did not agree with Iona Meunargia's view that Raphiel Eristavi's poem *Samshoblo Khevsurisa* (*The Khevsur's Homeland*) gave rise to an entire school, in which, supposedly, the Razikashvili brothers were the leading figures. The researcher rejects any notion of influence and believes that what appears to be influence is, in fact, the result of the era – *there are many common features between them, but there are also significant differences. The similarity is explained by a kinship of talent and a kindred spirit, not by influence or imitation*. The same tone is found in a second article, which was published in 1896 in the newspaper *Новое Обозрение*.

Such views were not unfamiliar to Vazha-Pshavela, as discussions also emerged regarding the influence of folk oral tradition on his work. Vazha-Pshavela responded to these opinions through two letters: *Critique of Ip. Vartagava* and *Pro Domo Sua (About Myself)*. In this case, the second letter is of particular interest to us, as it directly addresses the influence between Raphiel Eristavi and Vazha-Pshavela.

Vazha-Pshavela believed that literary influence is entirely acceptable and natural. He supports this view by referring to the principle of gradual development in literature and by offering several arguments: *influence on a writer is absolutely necessary – without it, a writer would be an empty, meaningless being, unless they also possess the ability to vividly express impressions. What could make their lyre sound, if they had never heard a story or a poem, encountered a moving life experience, or attuned their ear to a phenomenon of nature? These are the external factors, while it is the inner heart that absorbs them and gives them form* (from *Pro Domo Sua*).

Regarding the direct influence of Raphiel Eristavi's work, the poet responds: *"Raphiel's poems, written in a secular tone – and, moreover, in our native mountain dialect – stirred my heart in a different way, moved it differently. At the same time, let us not forget that although I was still an apprentice then, I already knew many folk poems from Pshavi and Khevsureti. I loved that dialect – it held a special place in my heart."* (from *Pro Domo Sua*)

One thing is certain, Raphiel Eristavi's secular tone gave Vazha-Pshavela the courage to continue along a path that had already been paved. In his letter, Vazha-Pshavela speaks openly about this matter and names the writers and works that served as inspiration for his own remarkable creations.

It is interesting to note the writer's own attitude toward influence as a phenomenon. The writer believes that influence is natural and even necessary for the development of one's talent; it is an opportunity for a writer to find their own style and discover their own abilities.

**Keywords:** *Influence; Raphiel Eristavi; Vazha-Pshavela; Harold Bloom; the proportion of the revision of Appadurai's.*

## შესავალი

გავლენა შემოქმედებითი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ის ხელოვანის სულიერი წვრთნის მეტად იდუმალი და ხშირად ამოუხსნელი პროცესია. ცნების მრავალმხრივობა და სირთულე განაპირობებს მწერალთა არაერთგვაროვან დამოკიდებულებას მის მიმართ, რის გამოც ერთი ნაწილი თამამად საუბრობს გავლენის შესახებ და აღიარებს კიდეც მის ზემოქმედებას, მეორე ნაწილი კი თავს არიდებს ამ საკითხზე საუბარს. გავლენაზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ ის არ გულისხმობს გამეორებას და ამდენად, არც შემოქმედის ნიჭს აკნინებს.

ლიტერატურათმცოდნეებმა არაერთი გავლენა შეისწავლეს და გააანალიზეს. თავისი ფართო შინაარსის გამო ეს ცნება მოითხოვს ინტერპრეტაციას კონკრეტულ ავტორთა ინტერესებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის გათვალისწინებით.

სტატიაში შესწავლილია გავლენის ტიპი *რაფიელ ერისთავისა* და *ვაჟა-ფშაველას* შემოქმედების მაგალითზე. კვლევა ჩატარდა პოეტთა ადრეული შემოქმედებითი ნიმუშების, ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილების ანალიზის, ასევე, *ჰაროლდ ბლუმის* გავლენის თეორიის შესწავლის საფუძველზე.

## კვლევის მეთოდი

რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას პოეტური ქმნილებანი, ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც უშუალოდ გავლენის შესახებ საუბრობს, გავლენის შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომები დაგვეხმარა საკვლევი მასალის მეთოდების განსაზღვრაში. ნაშრომის გასაანალიზებლად გამოვიყენეთ მასალის შეგროვების, დაკვირვების, სტრუქტურირებისა და ანალიზის მეთოდები.

## შედეგი

კვლევამ დაადასტურა ჰიპოთეზის მართებულობა – გავლენა სხვადასხვა ფორმით, ნებით თუ უნებლიეთ, შეიძლება განიცადოს ყველა ხელოვანმა. ნიჭიერი შემოქმედისთვის ის შთაგონების გაღვივების, გამბედაობის, სტიმულისა და ინდივიდუალიზმის, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის წინაპირობად იქცევა. რაფიელ ერისთავის *საერო კილომ* გზა მისცა ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნას.

## მსჯელობა

1885 წელს ჟურნალ *მოამბის* მეათე ნომერში დაიბეჭდა *გრიგოლ ყიფშიძის* წერილი, *რაფიელ ერისთავი და მისი სალიტერატურო მოღვაწეობა*, რომელშიც ავტორი არ ეთანხმება *იონა მეუნარგიას* აზრს იმის შესახებ, თითქოს რაფიელ ერისთავის ლექსმა *სამშობლო ხევსურისამ* შექმნა მთელი სკოლა ქართულ ლიტერატურაში და ეს გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა ძმების, რაზიკაშვილების შემოქმედებაში: *გარნა ვერ დავეთანხმებით პატივცემულს მწერალს და მცოდნეს ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურისას, რომ ვითომ რაფიელის ლექსმა სამშობლო ხევსურისამ შექმნა მთელი სკოლა ქართულს ლიტერატურაში და ამ სკოლაში პირველი ადგილი უჭირავთ ძმათა რაზიკაშვილთა* ( ყიფშიძე, 1895, №10). ავტორს არგუმენტად მოჰყავს ის ფაქტი, რომ რაზიკაშვილების ლირიკული ლექსები 1881 წლიდან 1890 წლამდე დროებასა და *ივერიაში* იბეჭდებოდა, ზუსტად იმავე დროს, როცა რაფიელ ერისთავის საუკეთესო *საერო* ლექსები გამოქვეყნდა. ამის გათვალისწინებით, რაფიელ ერისთავი მათზე ვერ მოახდენდა გავლენას. აუცილებელია დავაზუსტოთ, რომ რაფიელ ერისთავის პირველი ლექსები ბევრად ადრე, 1852–1854 წლებში გამოქვეყნდა, ამდენად ეს მიზეზი ვერაფერს შეცვლის, ვერ გამოდგება საფუძვლიან საბუთად.



გრიგოლ ყიფშიძე მიჯნავს რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას ლირიკული მემკვიდრეობის ხასიათსაც, ხოლო ვაჟა-ფშაველას, როგორც პოეტის ორიგინალურობას, უსულო საგანთა ამეტყველებაში ხედავს: *ეს ჟანრი, დაბადებული იგავთა წერის ჩვეულებისაგან, დიდად ჰფასობს ყველა ქვეყნის ლიტერტურაში და იშვიათნიც არიან მწერალნი, რომელთაც შეთვისებული აქვთ ასეთი უნარი წერისა* (ყიფშიძე, 1895, №10).

ამდენად, გრიგოლ ყიფშიძე გამორიცხავს რაფიელ ერისთავის პოეტურ ქმნილებათა გავლენას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე, ხოლო *კილოთა* მსგავსებას მწერალთა ნიჭიერებას, მოზღვავებულ ეროვნულ გრძნობასა და დროს უკავშირებს: *ჩვენის ფიქრით, აქ გავლენა კი არ არის, დრომ მოიტანა და ერთბაშად, ერთსა და იმავე დროს იფეთქა რამდენგანმე, როგორც ძლიერმა ეროვნულმა გრძნობამ, ისე ერის ჭეშმარიტ წარმომადგენელთა დასურათებისად მიმართულმა ბუნებითვე ნიჭიერ მგოსანთა გრძნობამ და გაჩნდა რაფაელიცა, ალ. ყაზბეგიცა, ბაჩანაცა და ვაჟაცა* (ყიფშიძე, 1895, №10). საკითხის სრულყოფილებისთვის კი მკვლევარი მიუთითებს, რომ აუცილებელია არა მსგავსებაზე, არამედ განსხვავებაზე დაკვირვება, რამეთუ *ერთფერობა აიხსნება ნიჭის ნათესავობით, სულის თვის-ტომობით* ( ყიფშიძე,1895, №10). გარდა ამისა, შემოქმედებითი ძიების სირთულე განაპირობებს იმასაც, რომ ბევრმა თავიდანვე ვერ მიაგნო თავის პოეტურ გზას, ცოტა იყოყმანა, ვიდრე არჩევანს გააკეთებდა.

სტატიაში გრიგოლ ყიფშიძის დამოკიდებულება და პოზიცია გამოკვეთილია, თუმცა მკვლევრის ზოგიერთ მოსაზრებას თავად ვაჟა-ფშაველაც არ ეთანხმება. წერილში *Pro Domo Sua* (ლათინური გამოთქმაა და ნიშნავს: *ჩემ შესახებ, ჩემი ინტერესებისთვის*) ვაჟა-ფშაველა, სხვასთან ერთად, გრიგოლ ყიფშიძის სტატიასაც გამოეხმაურა.

ვაჟა-ფშაველას წერილი საყურადღებოა, როგორც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული ფაქტის დაზუსტების, ასევე მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებების გააზრების თვალსაზრისითაც.

კერძოდ, პოეტი აზუსტებს წერის დაწყების დროს და აღნიშნავს, რომ 1878 წელს გაზეთ *დროებაში* გამოაქვეყნა მისი პირველი კორესპონდენცია ფშავისა და ხევსურეთის შესახებ. *საქმე ის არის, რომ ათი წელი კი არ არის, რაც მე წერა დავიწყე, მეტია; მაშინ გამუდმებით არ ვწერდი და არც შემეძლო, რადგან ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობდი, შეგირდი გახლდით. წერა დავიწყე 1878-ში კორესპონდენციებიდამ შესახებ ხევსურეთისა და ფშავისა დროებაში* (ვაჟა-ფშაველა, 2011 ). მეტი სიცხადისთვის კი მწერალი ასახელებს თავის ლიტერატურულ ფსევდონიმებს: *ლ. რ-ს, ლ.ზ-რ-ს, კათაკმეველს* და იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებშიც აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს.

ვაჟა-ფშაველა ერთგვარად აკნინებს თავის ნიჭს, როცა საკუთარ ლექსებზე წერს, თითქოს მათში არაფერი იყოს განსაკუთრებული. ბოლოს კი კონკრეტულ კითხვას პასუხობს: *ჰქონდა თუ არა ძმებზე, რაზიკაშვილებზე, რაფიელ ერისთავის შემოქმედებას გავლენა.*

ავტორი ღირსების საკითხად მიიჩნევს, კითხვაზე პასუხის გაუცემლობას, ვაჟა-ფშაველა გაკვირვებას გამოხატავს მათ მიმართ, ვისაც გავლენა ეუხერხულება და სამარცხვინო ფაქტად მიაჩნია, რადგან თვლის, რომ ზემოქმედება მწერალზე აუცილებელია. პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული თუ ფსიქო-ემოციური ფაქტორები ყოველთვის უწყობს ხელს მხატვრული ტექსტის შექმნას, ამასთან ერთად შემოქმედი, ზოგჯერ გაცნობიერებულად, ზოგჯერ გაუცნობიერებლად, განიცდის გავლენას; მთავარი კი ამ პროცესში პოეტის შემოქმედებითი უნარია.

*ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვითომ ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვისი გავლენა. მე კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვიან კანონი თანდათანობისა. აქ საკვირველი არა არის-რა. გამოჩენილი რუსების კრიტიკოსი ბელინსკი განა ტყუილად ამბობს სახელოვანს რუსების პოეტს პუშკინზე: რომ დერჟავინი არ ყოფილიყო, პუშკინიც არ იქნებოდაო. დიდებული პოეტები, გენიოსად ცნობილნი, ხშირად უნიჭო პოეტებს ჰბაძავდენ წინა – პირველად, მაგრამ იმათ თავისებურებას ეს*

*არაფერს უშლიდა. ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შ თ ა ბ ე ჭ დ ი ლ ე ბ ა თ ა. რამ უნდა ააჟღეროს მისი ჩანგი თუ ან ამბავი არ გაიგონა, ან ლექსი, ან საქმე, გარემოება ცხოვრებისა არა ნახა ამაღელვებელი, ან ბუნების მოვლენით მოუყრუა ყური? აი ეს გარეგანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი გული გახლავთ, რომელიც ამათ ითვისებს, ყალიბში ასხამს* (ვაჟა-ფშაველა, 2011).

ვაჟა-ფშაველას აზრით, გავლენა აუცილებელია ემოციის გასაღვივებლად, რადგან შემოქმედის ნიჭიერების საზომი უჩვეულო მხატვრულ სახეთა შექმნაა, ნანახითა და გაგონილით აღძრული ემოციის წარმოჩენა. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ავტორი იმოწმებს რამდენიმე მაგალითს. მისივე თქმით, ლევ ტოლსტოის ესთეტიკური კრედო ორმა უბრალო რუსმა გლეხმა განსაზღვრა: *მთელ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ორს რუსის მოაზრე კაცს ჰქონდა დიდი მნეობრივი გავლენა, გამიფართოვეს აზრი და ნათლად დამიხატეს ჩემი შეხედულება ქვეყანაზე. ეს კაცები არ იყვნენ არც რუსის პოეტები, არც სწავლულები, მქადაგებელნი; ეს კაცები იყვნენ და დღესაც ცოცხალნი არიან, მიწის მუშა გლეხკაცნი: სიუტაევი და ბონდარევი, რომლებიც მთელ სიცოცხლეს მიწის მუშაობას ალევენ* (ვაჟა-ფშაველა, 2011).

ამდენად, ვაჟა-ფშაველა გავლენას ბუნებრივ და კანონზომიერ პროცესად მიიჩნევს და წერს: *ვინ იქნება ისეთი თავხედი და გაუგებარი, რომ აქაო და სიუტაევს და ბონდარევს ჰქონდათ გავლენა ტოლსტოიზე, ამიტომ ყველა ტოლსტოის ნაწერები მისი კი არა, გლეხთა, სიუტაევისა და ბონდარევის, გონების ნაწარმოებიაო* (ვაჟა-ფშაველა, 2011).

მწერალს, მეტი დამაჯერებლობისათვის, პუშკინის მაგალითიც მოჰყავს. *პუშკინი ეუბნება ერთს გამოჩენილს საერო ნაწარმოებთა მკრებელს, როცა იგი მოვიდა მასთან: იცით, მე თქვენს ლექსებს ვიპარავო. ჩვენებმა რომ ეს გაიგონონ, დაიძახებენ: „ბიჭოს! პუშკინი ქურდი ყოფილა, ხალხისათვის უპარნია ლექსებიო!“ დიაღ, პუშკინის შემოქმედებაზე საერო ნაწარმოებთა, ვინც კი იცნობს რუსეთის საერო ლიტერატურას, დამეთანხმება, რომ დიდი ზემოქმედება ჰქონდა. იმან შეისისხლხორცა ერის სულიერი სალარო და ამაშია კიდეც მისი დიდებულება, ამას ნაკლად კი არა, უდიდეს ღირსებად უთვლიან ჭკუათმყოფელნი* (ვაჟა-ფშაველა, 2011 ).

ხშირად უბრალო ადამიანთა ცხოვრებისეული მაგალითი მწერლის აზროვნებას კაცობრიობისა და ადამიანის უმნიშვნელოვანესი საფიქრალისკენ მიმართავს, როგორც აღნიშნულ შემთხვევებში.

ამ ვრცელი ამონაწერიდან პოეტის ხედვა და ესთეტიკური მრწამსიც ჩანს. ვაჟა-ფშაველა გულახდილად წერს, რომ რაფიელის ლექსებმა, როგორც *საერო, მთის კილოთი* შექმნილმა, სხვანაირად იმოქმედა მასზე. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მიუხედავად ასაკისა და გამოუცდელობისა, მას ბევრი ხალხური ლექსი სცოდნია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს პოეტს უკვე დაწყებული ჰქონდა შემოქმედებითი მოღვაწეობა, თუმცა *საერო კილოზე* წერას ვერ ბედავდა. რაკი რაფიელმა გადადგა პირველი ნაბიჯი და *ივერიამაც* გზა გაუხსნა ამ კილოს, მასაც გაბედულება მოემატა:

*რა თქმა უნდა, თ.რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვბღაჯნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა* (ვაჟა-ფშაველა, 2011 ).



აღსანიშნავია ისიც, რომ *ნობათის* რედაქტორმა *საერო კილოს* გამო დაიწუნა მწერლის ნაწარმოებები. სამი წლის განმავლობაში დღის სინათლე არ აღირსა *შვლის ნუკრის ნაამბობსა* და *მოხუცის ნათქვამს* (*შვლის ნუკრის ნაამბობი*, ისიც ნახევარი, მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაიბეჭდა). ის, რაც *ნობათის* რედაქტორმა დაიწუნა, *ივერიის* რედაქტორმა აღტაცებით მიიღო.

ვაჟა-ფშაველა მეტად გულახდილად და თამამად საუბრობს ლიტერატურულ გავლენაზე. არც იმას მალავს, რომ *მოხუცის ნათქვამზე* მუშაობისას მასზე ზეგავლენა მოუხდენია ილია ჭავჭავაძის *დემეტრე თავდადებულს*. მისი მხატვრული გარდასახვა კი მწერლის ცნობიერებითი სივრცის თანმდევი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. მთავარი შემოქმედებითი პროცესია და არა თემატური და შინაარსობრივი მსგავსება. მწერლის ოსტატობა კი სწორედ ამ ეტაპზე ვლინდება.

ვაჟა-ფშაველასათვის შემოქმედებით პროცესში მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითობის განცდა, რადგან ქართული პოეზიის საგანძურიდან ის ენის ფორმებს სწავლობს, რომ კვლავ გააცოცხლოს, გაამდიდროს სალიტერატურო ქართული. *სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყვნელის ენით მესაუბრედ კიდევ მთიელნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება, და ამ გაკიცხულის ფორმებსაც იმათგან ვიძენ, ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დამიფაროს! რა არის აქ საწყინო? შემოტანა მრავლის ფორმებისა, თუ კი სადმე მოგვეპოვება, კაი ნიშანი მგონია, ხოლო ფორმების გატანა და შემცირება – ერის გალახვად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმაჩნია* (ვაჟა-ფშაველა, 2012 ).

ენის მაგალითად პოეტს თავისი დიდი წინამორბედები – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი მოჰყავს. *გაურყვნელი ენით მოსაუბრედ კი მთიელი ხალხი, ენის მარგალიტები სწორედ მათშია დაუნჯებული.*

ხალხური პოეზიის გავლენაზე ავტორი საუბრობს კიდევ ერთ საინტერესო წერილში – *კრიტიკა იპ. ვართაგავასი*. ვაჟა განმარტავს, რა არის მის შემოქმედებაში ხალხური და რა – საკუთარი შემოქმედების ნაყოფი. *ბევრი ამბავი და ზღაპარი, მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველისძველი ამბავიო“, „ზღაპარიო“, „თქმულებაო“, იმ მოსაზრებით, დაბეჭდვის დროს დაბრკოლება არა ჰქონიყო. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულად უნდა ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც ხალხური თქმულების მითვისება. როგორც ამის უფლება არა აქვს არავის, ისე – თავის ფანტაზიის ნაცოდვილარის ხალხისთვის მისაკუთრება, ხალხურ ამბად გასაღება* (ვაჟა-ფშაველა, 2012). მწერალი ფაქიზად და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება როგორც საკუთარ, ისე სხვათა ნააზრევს, როცა მკითხველს სხვათა ნაშრომის მითვისებაზე, ანდაც საკუთარის ხალხისთვის მიწერაზე მსჯელობს. ამით კიდევ ერთხელ ავლებს ზღვარს გავლენასა და გამეორება-მისაკუთრებას შორის. პირველს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს, მეორეს – დანაშაულად.

გავლენის თემაზე არსებული მრავალრიცხოვანი თეორიული ნაშრომების მიუხედავად, ეს მოვლენა ბოლომდე შესწავლილი მაინც არ არის.

გავლენა სხვადასხვა მოდიფიკაციით დამუშავებულია *რ. ბარტის, რ. რიფატერის, ჟ. კრისტევას, ჟ. ჟენეტისა* და სხვა მეცნიერთა ნაშრომებში.

გავლენის თეორია ფუნდამენტურად დაამუშავა ამერიკელმა მეცნიერმა, *იელის კრიტიკოსთა ჯგუფის* თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ჰაროლდ ბლუმმა. ლიტერატურული აღიარება მას სწორედ გავლენის თეორიამ მოუპოვა, რომელსაც თანდათან ხვეწდა და აფართოებდა. განსხვავებით სხვა ავტორთაგან, რომლებიც იკვლევდნენ ისტორიულსა და ფორმალურ კავშირს, *ბლუმის თეორია* ეფუძნება იმ ურთიერთობის კვლევას, რომელიც არსებობს კონკრეტულ ავტორსა და არსებულ რეალობას შორის (ბლუმი, 1998:18-19).

ჰაროლდ ბლუმის გავლენის თეორიის მიხედვით, ლიტერატურა თავისი არსით წინააღმდეგობრივია. ყოველი ავტორი წინამორბედს ეჯიბრება. ნიჭიერი პოეტი ახერხებს საკუთარი ტექსტების ძირეულ ტრანსფორმაციას, *ბლუმის თეორიის* მიხედვით, არასწორ წაკითხვას, რასაც,

მისივე აზრით, *გავლენის შიში* განაპირობებს. ისიც, რომ პოეტი ახალ ტექსტში განსხვავებულ მხატვრულ საშუალებებს მიმართავს, სწორედ *გავლენის შიშითაა* განპირობებული. ამ პროცესის თანმდევია განცდა და ფორიაქი ე.წ. *ახალი პოეტის დაბადებამდე.*

*ბლუმის თეორიის* მიხედვით, *გავლენისა* და *პოეზიის ისტორია* პრაქტიკულად იდენტური ცნებებია. პოეზიის ისტორია ურთიერთკითხვისას, საოცარ სივრცეში იქმნება. ამასთან, უნიჭო პოეტს წინაპრის მხოლოდ იდეალიზების უნარი აქვს, ნიჭიერი შემოქმედი კი თავისებურად გადაამუშავებს – ახალს შექმნის. ის მუდმივად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, რადგან ამ სტიქიურ პროცესში მუდმივად შიშის წინაშე დგას.

ბლუმმა შეისწავლა და გააანალიზა სისტემა, რომელსაც *რევიზიის პროპორციები უწოდა*. ესენია:

- კლინამენი, იგივე პოეტური გადაკითხვა. ასეთი გადაკითხვა ავსებს წინამორბედის ნაშრომს. ცდილობს შეინარჩუნოს ლექსიკა, ამავე დროს ახალი სიცოცხლე შესძინოს, გადაამუშაოს;
- ტესერა, განსრულება და ანტითეზა;
- კენოზისი, იგივე გამეორება და მემკვიდრეობითობის წყვეტა. ეს ის შემთხვევაა, როცა ავტორი ცდილობს არ გაიმეოროს, პრაქტიკულად გაწყვიტოს კავშირი წინამორბედთან;
- დიამონიზაცია, როცა პოეტი გამოხატავს რეაქციას წინამორბედის განდიდებაზე, ესაა თვითგანწმენდა წინამორბედისგან გამიჯვნის გზით;
- აპოფრადესი – როდესაც პოეტის ნაწარმოები ღია რჩება წინამორბედისათვის და იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოეტმა თვითონ დაწერა წინამორბედისათვის დამახასიათებელი ტექსტი.

ჰაროლდ *ბლუმის თეორიის* მიხედვით, ვფიქრობთ, ვაჟა-ფშაველას გავლენა აპოფრადესისის რევიზიის პროპორციაშია. რაც გულისხმობს იმას, რომ ავტორი წერს იმავე კილოთი, რომელიც უკვე არსებობდა, თავად ქმნის წინამორბედისთვის დამახასიათებელ ტექსტს. თუმცა არ იმეორებს, ახალ პოეტურ გზას სახავს. ვაჟა-ფშაველამ, რა თქმა უნდა, შექმნა სრულიად განსხვავებული მხატვრული სამყარო, რომლის შემოქმედიც მხოლოდ თავადაა.

## დასკვნა

დასასრულ, რომ შევაჯამოთ, გავლენა შემოქმედებითი ცხოვრების კანონზომიერი პროცესია. ყველა ნიჭიერ მწერალზე ვიღაც ან რაღაც ახდენს გავლენას. ღირსეული მწერალი აღიარებს იმ გავლენას, რომელიც გაცნობიერებული აქვს და იმასაც, რომელზეც არ უფიქრია, თუმცა არ გამორიცხავს, რომ გავლენა უნებლიეთ განიცადა და არა მიზანმიმართულად. გავლენა საუკეთესოდ ავლენს მწერლის ნიჭიერებასა და ინდივიდუალიზმს, რადგან საუკეთესოდ, ბუნებრივად უწყობს ხელს შემოქმედებითი პროდუქტის დახვეწასა და სრულყოფას. გავლენის ტიპს ჰაროლდ ბლუმის თეორიის მიხედვით თუ განვსაზღვრავთ, ვფიქრობთ, ვაჟა-ფშაველას გავლენა აპოფრადესისის რევიზიის პროპორციაშია.

## ბიბლიოგრაფია


Блум Херолд. (1998) *Страх влияния. Карта перечитивания.* Екатеринбург: Издательство Уральского университета




## სასარგებლო ბმულები:


ვაჟა-ფშაველა, PRO DOMO SUA, 2011, https://tagiweb.wordpress.com/2011/12/12/pro-domo-sua/ 14.10.2024

ვაჟა-ფშაველა, *ენა,* 2012, https://tagiweb.wordpress.com/2012/02/12/ena/ 15.10.2024

ვაჟა-ფშაველა, *კრიტიკა იპ. ვართაგავასი,* 2012, https://tagiweb.wordpress.com/2012/01/22/kritika-b-ip-varthagavasi/ 15.10.2024

სოლომონ ტაბუცაძე, *გავლენის თეორია,* 2008, https://literaturatmcodneoba.tsu.ge/litr-mim-77.pdf 19.10.2024.

ყიფშიძე გრიგოლ, *მოამბე,* თბილისი, 1895, №10 file:///C:/Users/user/Downloads/Moambe_1895_N10.pdf 14.10.2024

ჯალიაშვილი *მაია, გავლენის აპოლოგია -ვაჟა-ფშაველა, ანდრე ჟიდი და უმბერტო ეკო,* 2022, https://mastsavlebeli.ge/?p=34914 19.10.2024.



*ნანა კუპრაძე*
ფილოლოგიის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს უნივერსიტეტი.

*Nana Kupradze*
PhD in Georgian Philology ,
Associated Professor,
University of Georgia.
ORCID-ID: 0009-0002-0913-3734



ვაჟა-ფშაველა
ინტერნეტ-რესურსი



# მიხაი ზიჩის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისთვის – ვეფხისტყაოსანი

## აბსტრაქტი


1888 წელს ქართული საზოგადოების დიდი ძალისხმევით და განსაკუთრებული მონდომებით გამოიცა ე.წ. *გიორგი ქართველიშვილისეული ვეფხისტყაოსანი*. წიგნი შეიმკო მხატვარ, *მიხაი ზიჩის* 27 ილუსტრაციით.

*ვეფხისტყაოსნის* ამ გამოცემის მომზადების ისტორიის ზოგადკულტურული კონტექსტი თავადაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა შოთა რუსთაველის პოემის საბოლოოდ შეჯერება-შეთანადების ურთულესი პროცესი და როგორ ითარგმნა ტექსტი ფრანგულად. მოვლენებს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ეროვნული იდენტობის საკითხისადმი გამორჩეულად საფუძვლისმიერი დამოკიდებულება სძენს. ერთადერთი მუდმივა, რომელიც საშუალებას გაძლევს საკუთარი თავი საერთაშორისო პრიზმაში დაინახო და, იმავდროულად, ზოგადსაკაცობრიო კონტექსტთან შენი კულტურის, და შესაბამისად, მსოფლმხედველობრივი მახასიათებლის უწყვეტი ბმა სხვათათვის საცნაური გახადო.

ამ თვალსაზრისით, სახვითი ხელოვნება, ეფუძნება, რა ვიზუალურ სახე-ხატებებს, ლიტერატურასა და პოეზიასთან შედარებით, მეტად უნივერსალურ ენას ფლობს. შესაბამისად, ის ინფორმაციაც, რომლის მატარებელიც არის ამ პოემისათვის შესრულებული ილუსტრაციები, თავისთავად უკიდურესად მნიშვნელოვანია დ არა მხოლოდ წმინდა მხატვრულ-ფორმისმიერი ღირებულების თვალსაზრისით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართველიშვილისეული *ვეფხისტყაოსნის* მომზადება-გამოცემის მთელი ისტორია რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე ვითარდებოდა. ამის გამო, გარეშე თვალისთვის ზოგჯერ ბუნდოვანიც კია ამა თუ იმ მოვლენის საფუძვლისმიერი განმაპირობებელი და ორიენტირი. ეს პერიოდი ზოგადკულტურულ კონტექსტშიც არაერთმნიშვნელოვანი მახასიათებლებით გამოირჩა. ცხადია, ამ დუალიზმის კვალი ზიჩის მიერ *ვეფხისტყაოსნისთვის* შექმნილ ილუსტრაციებსაც თან სდევს. ლოგიკურია, რომ ამ გამოცემაში ერთად მოიყარა თავი და სხვადასხვა ფორმით ასახვა პოვა ყველა იმ ისტორიულ-პოლიტიკურმა მახასიათებელმა, რაც ურთულეს ვითარებაში მყოფ XIX საუკუნის საქართველოს გამოარჩევს. ასევე, ყველა იმ მხატვრულმა ტენდენციამ, რაც ქართულ, ევროპულ თუ რუსულ მხატვრობაში იყო იმხანად აქტუალური. გამოცემამ, განსაკუთრებით კი მისმა მხატვრულმა მხარემ, ორიგინალურად აირეკლა პოემის თანადროული ეპოქის ვიზუალური მხატვრული ესთეტიკაც. იგულისხმება გამოცემის შესამკობად გამოყენებული ორნამენტული მოტივი, რომელიც *გრიგოლ ტატიშვილს* შუასაუკუ-

ნეების ქართული ხუროთმოძღვრების სხვადასხვა ჩუქურთმიდან აქვს გადმოტანილი. ზიჩის ილუსტრაციებმა *ვეფხისტყაოსნის* გაფორმებაზე მომუშავე შემდგომი თაობის მხატვრებზეც იქონია ძლიერი გავლენა. ქართული წიგნის გრაფიკის ისტორიაში კი ზიჩის მიერ ილუსტრაციების შექმნის პროცესი დარჩა როგორც ერთი, კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული გაფორმებისას, ზოგადსახალხო ჩართულობის უპრეცედენტო მაგალითი.

**საკვანძო სიტყვები:** *ვეფხისტყაოსანი* ; ზიჩი; წიგნის ილუსტრაცია; გრავიურა.

# MIHÁLY ZICHY'S ILLUSTRATIONS FOR SHOTA RUSTAVELI'S POEM *THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN*

## ABSTRACT

In 1888, through the great effort and special dedication of Georgian society, the so-called *Giorgi Kartvelishvili edition (Kartvelishviliseuli)* of *The Knight in the Panther's Skin* was published. The book was adorned with 27 illustrations by the artist Mihály Zichy.

The broader cultural context behind the preparation of this edition of *The Knight in the Panther's Skin* is itself highly significant. It is a story of the complex process of finalizing and reconciling Shota Rustaveli's poem and how the text was translated into French. What gives these events particular intensity is the profoundly rooted attitude toward the question of national identity.

From this perspective, visual art – based as it is on imagery – possesses a more universal understanding compared to literature and poetry. Accordingly, the information conveyed by the illustrations created for this poem is of exceptional importance in itself, and not only from the standpoint of purely artistic or formal value.

It is important to note that the entire process of preparing and publishing the so-called Kartvelishvili edition of *The Knight in the Panther's Skin* unfolded against the backdrop of Russian imperialist policies. As a result, to an external observer, the underlying motivations and guiding principles of certain events may at times appear obscure. This historical period was marked by a number of complex and ambiguous cultural characteristics. Understandably, the illustrations created by Mihály Zichy for *The Knight in the Panther's Skin* also bear traces of this duality. It is only logical that this edition brought together – and reflected in various forms – all the historical and political characteristics that distinguished 19th-century Georgia in its most difficult period, as well as all the artistic trends that were prevalent at the time in Georgian, European, and Russian art.

The edition, and especially its visual design, offered an original interpretation of the artistic aesthetic of the poem's contemporary period. This includes the ornamental motifs used to decorate the publication, which Grigol Tatishvili borrowed from various carvings in medieval Georgian architecture. Zichy's illustrations influenced the subsequent generations of artists who worked on *The Knight in the Panther's Skin*. In the history of Georgian book graphics, the process of creating illustrations by Mihály Zichy remains an unprecedented example of widespread public involvement in the artistic design of a single literary work.

**Keywords**: Mihály Zichy; Shota Rustaveli; Vepkhistkaosani; Book illustration; Engraving

## შესავალი

1888 წელს ქართული საზოგადოების დიდი ძალისხმევით და განსაკუთრებული მონდომებით გამოიცა ე.წ. გიორგი ქართველიშვილისეული *ვეფხისტყაოსანი*. წიგნი უხვად შეიმკო სხვადასხვა ტიპის *სამკაულით*, მათ შორის აღსანიშნავია მხატვრული შრიფტი, დეკორირებული სათაური ასოები, თავსართ-ბოლოსართები, შექმნილი გრიგოლ ტატიშვილის მიერ ქართული შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრული ორნამენტების მოტივებზე. ეს დეტალები პეტერბურგში ამოიჭრა და მომზადდა სტამბისთვის. *ვეფხისტყაოსნის* საბოლოოდ გარედაქტირებულ-შედარებული ტექსტი, ივანე მაჩაბლის უშუალო ზედამხედველობით, თბილისში დაიბეჭდა. წიგნს მხატვარ მიხაი ზიჩის 27 ილუსტრაცია ამშვენებდა. ნამუშევრები იმ 34 ნახატიდან შეირჩა, გრაფიკოსმა *ვეფხისტყაოსნისთვის* თავდაპირველად გამიზნული 12 ილუსტრაციის ნაცვლად რომ შექმნა და უსახსოვრა ქართველ ხალხს. ილუსტრაციების კლიშეები (ფოტოცინკოგრაფია) ვენაში, *ანგერერ-გეშლის* სახელოსნოში დაამზადებინა თავად ხელოვანმა და მეთვალყურეობაც თვითონ იკისრა (*დროება*, 1885: №188); დაბეჭდვით კი კომპოზიციები გერმანიაში, ლაიფციგში დაიბეჭდა. მეტი ზეიმურობისთვის გამოცემაში ფერადი ილუსტრაციაც განთავსდა, რომელიც ნაწარმოების გაფორმებისთვის შექმნილ კომპოზიციებს შორის არ განიხილებოდა. ამ გამოსახულებაზე შოთა რუსთაველი თამარ მეფეს დიდ გრაგნილს გადასცემს, ზედ წარწერით -*ვეფხისტყაოსანი*. ეს სცენა, მკითხველისთვის უმთავრესი ამბის მაუწყებელი გახდა. ის საკუთრივ პოემის შექმნის შესახებ მოუთხრობდა მნახველს და გასაგებია, რატომაც გაკეთდა მასზე აქცენტი (იგულისხმება მისი ფერადოვნება). აღნიშნული ილუსტრაცია პეტერბურგში, *ბრეგზეს* ქრომოლითოგრაფიის სახელოსნოში დაიბეჭდა. რელიეფური ტვიფრით დამუშავდა წიგნის ყდა და ყუაც.

ასე რომ, 1888 წლის გაზაფხულზე *დამთავრდა მოწინავე ინტელიგენციის მიერ რვა წლის წინათ დაწყებული დიდი კულტურული საქმე* (გორდეზიანი.1960: 54).

*ვეფხისტყაოსნის* ამ გამოცემის მომზადების ისტორიის ზოგადკულტურული კონტექსტი თავადაც მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონეა. ამბავი, რომელიც ქართველი ხალხის წარჩინებულმა შვილებმა შექმნეს... ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა შოთა რუსთაველის პოემის საბოლოოდ შეჯერება-შეთანადების ურთულესი პროცესი და როგორ ითარგმნა ტექსტი ფრანგულად. მოვლენებს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ეროვნული იდენტობის საკითხისადმი გამორჩეულად საფუძვლისმიერი დამოკიდებულება სძენს. ერთადერთი მუდმივა, რომელიც საშუალებას გაძლევს საკუთარი თავი საერთაშორისო პრიზმაში დაინახო და იმავდროულად, ზოგადსაკაცობრიო კონტექსტთან შენი კულტურის და შესაბამისად, მსოფლმხედველობრივი მახასიათებლის უწყვეტი ბმა გახადო სხვათათვის საცნაური. ამისთვის ყველა იმ მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელიც კონცეფციისა თუ შინაარსის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ფორმისმიერად ორიგინალური და არსებითი ისტორიულ-პოლიტიკური დატვირთვის მქონეა, ხელმისაწვდომობა მარტივად უნდა ხორციელდებოდეს. *რადგან ქართველი ერი, როგორც შემადგენელი კაცობრიობისა, მის წინაშეცაა ანგარიშვალდებული და ფლობა მსგავსი მასშტაბის სიმაღლისა და მნიშვნელობის მხატვრული ნაწარმოების კიდევ სხვა პასუხისმგებლობებსაც მოიცავს, თუ გლობალურ ჭრილში ვიმსჯელებთ. ამასთან ეს შენატანი მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში ეროვნული შენატანია და ის ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინაშეც გავალდებულებს* (გორდეზიანი.1960: 34).

ამ თვალსაზრისით, სახვითი ხელოვნება, ეფუძნება რა ვიზუალურ სახე-ხატებებს, ლიტერატურასა და პოეზიასთან შედარებით, მეტად უნივერსალურ ენას ფლობს. ეს უკანასკნელნი კი, ვერბალურ-ტექსტუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, სათანადო თარგმანებას საჭიროებენ. ცხადია თარგმანების მხოლოდ პირველი და კატეგორიულად აუცილებელი საფეხური იგულისხმება, რადგან პროცესი რეალურად ბევრად რთული და მრავალპლანიანია. თუმცა მანამ, სანამ ენობრივი თარგმანი არ არსებობს, მოვლენის სხვა, მეტად სიღრმისეულ წვდომაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. ამიტომ ცალსახად აუცილებელი იყო *ვეფხისტყაოსნის* საბოლოო რედაქციის შექმნა, მისი სათანადოდ გამოცემა და სხვადასხვა ენაზე თარგმანის დაწყება. 1887 წელს, ამ გამოცემის პირველი, საცდელი ფორმის დაბეჭდვასთან დაკავშირებით იონა მეუნარგია ივანე მაჩაბელს წერდა ... *ეს პირველი გამოცემა არის „როშკოშისა“, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმეო?* (ურუშაძე, 1958: 96).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მთელი ეს ამბავი ცარისტული რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე ვითარდება; ამის გამო, გარეშე თვალისთვის ზოგჯერ ბუნდოვანიც კია, ამა თუ იმ მოვლენის საფუძვლისმიერი განმაპირობებელი და ორიენტირი.

1880 წლის 15 ნოემბერს, გაზეთ *დროებაში* (*დროება*, 1880: № 241) გამოქვეყნდა *ვეფხისტყაოსნის* ახალი გამოცემის ინიციატორთა ერთგვარი განცხადება. *რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერებთან შედარება-შეთანადების საფუძველზე ახალი რედაქტირებული გამოცემის მომზადების საჭიროებას ამცნობდნენ საზოგადოებას და მოუწოდებდნენ ყველას მიეღო მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან საქმეში.

1881 წელს იონა მეუნარგიას თაოსნობით შედგა *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისია (*დროება*, 1881: № 222), რომელშიც შედიოდნენ: *ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი* და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწენი. ტექსტის რედაქტირებამ დიდხანს გასტანა. პროცესი, არც თუ იშვიათად, წინააღმდეგობრივ ხასიათსაც კი იძენდა და მაინც, *გიორგი ქართველიშვილისეული ვეფხისტყაოსნის* მომზადება-გამოცემა იმ მოვლენებს შორისაა, თუ როგორ ქმნიდა ერთიანი ეროვნული იდეის ირგვლივ შეკრულ-კონსოლიდირებული ქართული საზოგადოება საკუთარ მომავალს. ეს ყოველივე, ისევე, როგორც *ვეფხისტყაოსნის* ილუსტრირების ისტორია, საფუძვლიანადაა ნაკვლევი. *ბენო გორდეზიანი* მონოგრაფიაში – „*ზიჩი საქართველოში*“ (თბ. 1960), გურამ შარაძე წიგნში – „*მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა*“ (თბ. 1978) და *მიხეილ ქვლივიძე* თავის ნაშრომში „*ვეფხისტყაოსნის დასურათებანი*“ (თბ. 1967), დეტალური სიზუსტით აღადგენენ პროცესების თანმიმდევრობას და სრულად აცოცხლებენ მოვლენათა ქარგას. ძნელია რაიმე დაამატო, ან ახალი თქვა, მით უფრო, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ გაზეთები *დროება* და *ივერია* მუდმივი ანგარიშვალდებულების განცდით, უწყვეტად აცნობდნენ მკითხველს ნებისმიერ ინფორმაციას *ვეფხისტყაოსნის* ახალი გამოცემის მომზადების შესახებ – მნიშვნელოვანს თუ უმნიშვნელოს. ასე რომ, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ისტორიული პირველწყაროს მოძიებაც არ არის რთული.

ერთადერთი, რაზეც შესაძლოა ყურადღება გამახვილდეს, ამ გამოცემისთვის შესრულებული ილუსტრაციები და მათი მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლებია. საინტერესოა, რატომ შეჩერდა კომისიის არჩევანი მიხაი ზიჩის კანდიდატურაზე, რა ტიპის ილუსტრაციები შექმნა მან *ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული* გამოცემისთვის. რა განაპირობებს ამ ნამუშევრების მაღალმხატვრულ ღირებულებას და რა მიმართებაშია ეს ფაქტორი მთლიანად მოვლენის ზოგად ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობასთან.

## კვლევის მეთოდი

წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია მსგავსი ტიპის მასალაზე მუშაობისას საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული კვლევის არაერთი მეთოდი. იგულისხმება ფორმის ანალიზი, რადგან უმთავრეს საკვლევ ობიექტს ვიზუალური გამოსახულებები ქმნის. ამასთან, გამოიყენება კომპარატივისტული კვლევის მეთოდი. ცხადია, როგორც უმეტეს შემთხვევაში, ამჯერადაც მოვლენის განკერძოებით, იზოლირებულად შესწავლა, მისი თანადროული ზოგადისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, წარმოუდგენელია. ამასთან, ამ დროს არის არასწორი დასკვნების გაკეთების საფრთხე.

აქ მნიშვნელოვანია საკუთრივ ზიჩის ფაქტორი. წარმოშობით უნგრელი ხელოვანი, რომელიც ლამის მთელი ცხოვრების მანძილზე რუსეთის იმპერატორების კარზე მოღვაწეობდა,

აფორმებს ქართველი ერის ერთ-ერთ უმთავრეს წიგნს – *ვეფხისტყაოსანს*. ცხადია, იმ ნამუშევრების ანალიზისას, რომლებიც მხატვარმა საბოლოოდ შექმნა, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ნახსენები ელემენტი: ევროპული ხაზი ხელოვანის შემოქმედებით ინდივიდუალურ ხელწერაში, რუსული მხატვრული სკოლის გავლენები, ფოტოგრაფიის როლი და ზიჩის ინტერესი სამყაროს ასახვის ამ ახალი შესაძლებლობისადმი. აქ გასათვალისწინებელია იმპერიალისტური პოლიტიკური წნეხი, რასაც გვერდს ვერასგზით აუვლიდა კარის მხატვრის შემოქმედება და ბოლოს, ქართველი ხალხის მოლოდინი იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რუსთაველის პოემის შესატყვისი მხატვრული გამოსახულებები.

ნამუშევრების მხატვრული ანალიზი, და აქ უპირატესად იგულისხმება ფორმის ანალიზი, საშუალებას ქმნის ასევე გავითვალისწინოთ ზიჩის შემოქმედებითი მოღვაწეობის თანადროული მხატვრული ტენდენციები, როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში. ის, თუ რამდენად იქონია გავლენა ამ ყოველივემ მხატვრის მიერ საბოლოოდ შექმნილ ნამუშევრებზე და ისიც, თუ რამდენად აირეკლა ამ ილუსტრაციებმა იმჟამინდელი ქართული რეალობა, გაცოცხლებული, სულ ცოტა, *ცოცხალი სურათების* სახით, რომელშიც XIX საუკუნის მიწურულის ქართველი დიდგვაროვნები მონაწილეობდნენ.

სწორედ ამ მახასიათებლების გამთლიანების ხარჯზე იკვეთება საბოლოოდ ის უმთავრესი მხატვრული თავისებურებები, რასაც ზოგად ისტორიულ-კულტურული კონტექსტის თანდართვით კონკრეტული ნამუშევრის სპეციფიკაზე გავყევართ უმეტესწილად.

## შედეგები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ზიჩის მიერ *ვეფხისტყაოსნის* ილუსტრაციების პირველი ვერსიები მეტად ზღაპრისეული იყო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხატვარი ამ ნაწარმოების მხოლოდ შინაარსობრივი ნაწილის დასურათებას ახდენს. საწყის ეტაპზე შექმნილ ნამუშევრებში, რომელთაც ისედაც უმეტესად ესკიზური ხასიათი აქვს, კომპოზიციები მრავალფიგურიანია, გარემო ზოგადი კონტურებითაა მონიშნული, თუმცა დიდი ალბათობით, შემდგომი დაკონკრეტების მიზნით. ასევე შექმნილია არაერთი ცალკეული პერსონაჟის დამოუკიდებელი, კვლავაც ესკიზის ტიპის გამოსახულება, თუმცა გარემოს ამსახველი ჩანახატებისგან განსხვავებით, აქ ნაჩვენებ პერსონაჟებს კონკრეტული პორტრეტული ნიშნებით დატვირთული იერი გამოარჩევს. აშკარაა, რომ ზიჩი დამოუკიდებლად მუშაობდა ჯამური კომპოზიციის სქემებზე და დამოუკიდებლად – ტიპაჟებზე. ცხადია, მუშაობის პრინციპის განსაზღვრაში ხელოვანი აბსოლუტურად თავისუფალია, თუმცა საგულისხმოა, რომ დიფერენცირებული ხატვის მეთოდი ძალიან წააგავს თეატრალური სანახაობის გაფორმების ხერხს, რადაც გვევლინება კიდეც, გარკვეულწილად, *ვეფხისტყაოსნისთვის* დადგმული ცოცხალი სურათები; თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, უმთავრესად მაინც უკუ თანმიმდევრობით. ჩვენ, როგორც წესი, განვიხილავთ ვერსიას, სადაც ქართველების მიერ გამართული *ცოცხალი სურათების* მიხედვით ზიჩი ქმნის ჩანახატებს. ამასთან, წყაროების მიხედვით, ის თავადაც აქტიურად მონაწილეობს ამ ცოცხალი სურათების დადგმის პროცესში. საფიქრებელია, რომ მისი ჩართულობა სწორედაც კომპოზიცია-მიზანსცენების შექმნაში და ეროვნულ ყაიდაზე უკვე შემოსილი პერსონაჟების ამ კომპოზიციისთვის სიუჟეტის შესაბამისად მორგება-მისადაგებაში მდგომარეობდა. ამიტომ, ვფიქრობ, ჩნდება შესაძლებლობა, შემორჩენილი ესკიზების ნაწილი, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთაც მხოლოდ გარემოს შექმნის მინიშნებითი ხასიათი აქვთ, შესაძლოა ცოცხალი სურათებისთვის წინმსწრებად შექმნილი ესკიზები იყოს და არა პირიქით.

*ვეფხისტყაოსნის* ზიჩისეულ საბოლოო ილუსტრაციებში მრავალფიგურიანი კომპოზიციების რაოდენობა არც თუ დიდია. პერსონაჟები ყოველგვარი კონკრეტული პორტრეტული მახასიათებლებისგან თავისუფლდებიან და განზოგადების ხარისხიც მკვეთრად მატულობს. ბუნებრივია, მსგავსი პრინციპით შესრულებული გამოსახულებები *ვეფხისტყაოსნისეული* სამყაროს დასურათხატებისთვის მეტად მისაღებად მიიჩნიეს.



შექმნილი ილუსტრაციების ანალიზისას უკვე ნახსენები ორი ეტაპი, მთლიანი შემოქმედებითი პროცესის განხილვისას, მკვეთრად განირჩევა და აშკარაა, რომ ისინი მხატვრის მიერ ტექსტის განსხვავებული სიღრმით წაკითხვის სხვადასხვა პერიოდს უკავშირდება, რაშიც რუსთველის პოემის *ქართველიშვილისეულ* გამოცემაზე მომუშავე კომისიის როლი განუზომლად დიდია.

მნიშვნელოვანია მხატვრულ-გამომსახველობითი ენაც, რომელსაც მიმართავს ხელოვანი ამ ნამუშევრების შექმნისას. ზიჩი ევროპული წარმომავლობის და ცოდნის მხატვარი იყო. მის შემოქმედებას რუსეთის არაერთი იმპერატორის კარზე მუშაობამ თავისი კვალი დაამჩნია. ცხადია, ის ვერ ითვალისწინებს ქართულ ეროვნულ მხატვრულ სკოლას, ვერც მოახერხებდა ამას და არც ქართველთა მოლოდინი იყო ასეთი. ამოცანა იმთავითვე ქართველთა უმთავრესი ნაწარმოების ლოკალური, ვიწრო კონტექსტიდან გამონთავისუფლებას და ერთიან, ზოგადსაკაცობრიო რკალში განთავსებას ისახავდა მიზნად. *ვეფხისტყაოსანს* მისთვის კუთვნილი ადგილი უნდა დაეკავებინა მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამორჩეულ ნიმუშებს შორის. ამას, უპირველესად, ტექსტის თარგმანი სჭირდებოდა და ამაზე არავინ დაობდა. თუმცა ქართველიშვილისეულ გამოცემაზე მომუშავე ჯგუფმა ეს პროცესი ვიზუალური თარგმანების გზითაც წაიყვანა. ამიტომ შეირჩა ევროპულ ყაიდაზე მომუშავე ხელოვანი. ის ფაქტი, რომ გრაფიკოსი ამ დროს რუსეთის იმპერატორის კარის მხატვარიც იყო, ვფიქრობ, იმხანად ქვეყნის ურთულესი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, წამოწყების წარმატებით დასრულებისათვის დამატებით გარანტად აღიქმებოდა.

ეროვნული ხაზის გაძღოლა კი ქართველიშვილისეულ გამოცემაში წიგნის არა ფიგურატიულმა გამოსახულებებმა, არამედ დეკორატიულმა შემკულობამ იტვირთა. გრიგოლ ტატიშვილისეული ორნამენტი, რაც შუა საუკუნეების ქართული ჭედურობისა და რელიეფის მიხედვით იყო შექმნილი – ერთი მხრივ უკიდურესად განზოგადებული და ამასთან, მკაფიოდ სახელდებული იყო, რადგან თითოეული მოტივის უკან კონკრეტული ისტორიულ-კულტურული ძეგლი და მისი თანმდევი ამბავი იხილვებოდა. მსგავსი ვიზუალიზირების ხერხი, უფრო ზუსტად კი ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ურთიერთმიმართების პრინციპი, რასაც ის მორჩილებდა, ამ პოემის ილუსტრირების ისტორიაში აღარც ერთხელ აღარ გამეორებულა, რაც ქართველიშვილისეული გამოცემისთვის შექმნილ არა მხოლოდ ცალკეულ ნამუშევრებს, არამედ გაფორმების ერთიან კონცეფციასაც გამორჩეულ ღირებულებას სძენს.

## მსჯელობა

უჩვეულოდ წარიმართა მიხაი ზიჩის (1827–1906 წწ.) ბიოგრაფია. წარჩინებული გვარის უნგრელი მხატვარი, ცნობილი ავსტრიელი ფერმწერის, *ფერდინანდ-გეორგ ვალდმიულერის* მოსწავლე, რუსეთის მეფის კარზე XIX საუკუნის 40-იან წლებში ხატვის მასწავლებლად იწყებს მუშაობას. მართალია, ის მალევე ტოვებს სამეფო კარს, თუმცა არ ტოვებს რუსეთს და რჩება სანქტ-პეტერბურგში. ზიჩი რვა წლის განმავლობაში ფოტოგრაფ *ვენინგერის* ატელიეში რეტუშორად მუშაობს. ფოტოგრაფიაში მისი ცოდნა შემდგომაც ბევრჯერ იჩენს თავს მისსავე გრაფიკულ ნამუშევრებში, განსაკუთრებით, კომპოზიციური მახასიათებლების აწყობა-გადანაწილების თვალსაზრისით. ფოტოგრაფიას, ილუსტრაციების შექმნისას, ტექნიკური დამხმარე ელემენტის სახითაც იყენებს. ცოცხალი სურათები *ვეფხისტყაოსნისთვის* ამის კარგი მაგალითია. პოემის გაფორმებაზე მუშაობა მხატვარმა სწორედ ცოცხალი სურათების შექმნა-ჩახატვით დაიწყო. ან პირიქით, შესაძლოა *ვეფხისტყაოსნის* ცოცხალი სურათების დადგმა-გაფორმების დროს გაჩნდა ამ ნაწარმოებისთვის ილუსტრაციების შექმნის იდეა. ამ თანმიმდევრობის ზედმიწევნითი სიზუსტით აღდგენა, ალბათ, უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია, რაც შედეგის რაგვარობის თვალსაზრისით მაინც არაფერს ცვლის. ფაქტია, ილუსტრირების პროცესზე, როგორც ცოცხალმა სურათებმა, ასევე ამ სურათების ამსახველმა ფოტომასალამ გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ამ ეპოქის მხატვართა უმეტესობა, ევროპასა და რუსეთში, ისედაც გატაცებულია ფოტოგრა-

ფიით. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იმპრესიონიზმის გაჩენის კვალდაკვალ, ეს ტენდენცია ძლიერდება და სახვით ხელოვნებაში მიმდინარე ახალი ფორმათქმნის ურთულეს პროცესებშიც კი აისახება. მიხაი ზიჩი, ქრონოლოგიურად, აღნიშნულ მოვლენებს ოდნავ წინ უსწრებს. ის, როგორც მისი არაერთი თანამედროვე, ჯერ მხოლოდ აღფრთოვანებულია ფოტოკამერის შესაძლებლობებით და სამყაროს ხედვის იმ ახალი რაკურსით, რაც მსგავს ტექნიკურ ნოვაციას სდევს თან. თუმცა ფოტო-კადრისეული სპეციფიკური მახასიათებლების და მხატვრის თვალით დანახული გარემოს ზედდება-გამთლიანების შედეგად ტრანსფორმირებული გამოსახულების შექმნა მაინც ზიჩის შემდგომი თაობის ხელოვანთა შესასრულებელი ამოცანაა.

მიხაი ზიჩისთვის უცხო არ არის ფერწერული ან გრაფიკული ნამუშევრების, მით უფრო ფიგურატიული კომპოზიციების, ფოტოგამოსახულებების მიხედვით აწყობის პრაქტიკა. წინასწარული ფოტო იძლეოდა ხელოვანისთვის მაქსიმალურად მისაღები კომპოზიციური მოდელის შერჩევის საშუალებას. ამასთან, მსგავსი ანაბეჭდი უბრალოდ აიოლებდა შემდგომში მუშაობის პროცესს, რადგან მხატვარს არ სჭირდებოდა ყოველ ჯერზე ნატურასთან მუშაობა – ის გამოსახულების ფოტოთი ხელმძღვანელობდა.

აშკარაა, რომ ზიჩი კარგად მუშაობს ფოტოკომპოზიციის საფუძველზე. მართალია, საქართველოში ცოცხალ სურათებს მანამდეც დგამდნენ, თუმცა ზიჩის გადაწყვეტილება სწორედ ამ ფორმით გაეცნო და ზიარებოდა *ვეფხისტყაოსნისეულ* სამყაროს – მრავლისმეტყველია.

ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც რუსთაველის პოემის ახალ, ყოველმხრივ გამორჩეულ გამოცემას გეგმავდა, მალევე მიხვდა, რომ მაღალი მხატვრული რანგის ილუსტრაციები მათ ამოცანას მხოლოდ დაეხმარებოდა. XIX საუკუნის მიწურულის საქართველოში არაერთი უცხოელი მხატვარი მოღვაწეობდა, ადგილობრივი პროფესიონალი მხატვრების ჩამონათვალი არც თუ დიდია, მაგრამ მათ არ აქვთ ის წოდება და სახელი, რასაც იმპერატორის კარის მხატვარი ფლობდა. ამასთან, ზიჩი ევროპულ მხატვრულ ტრადიციასაც კარგად იცნობდა და რაც მთავარია, უკვე ბევრი ჰქონდა ნამუშევარი წიგნის ილუსტრირების მიმართულებით (ბაირონის *დონ ჟუანი* (1880 წ.), პუშკინის *ბაღჩისარაის შადრევანი* (1860 წ.), გოეთეს, შილერის, შექსპირის, გოტიეს ნაწარმოებები, შუასაუკუნეების რუსული საგმირო ეპოსი *იგორის ლაშქრობის ამბავი* (1954) და ა.შ.). ასე რომ, არაა რთული იმის მიხვედრა, თუ რატომ შეაჩერეს ქართველებმა არჩევანი სწორედ ამ მხატვარზე, რომელიც 1881 წელს საქართველოს სტუმრობდა. ის უკვე დიდი ხანია გეგმავდა კავკასიაში მოგზაურობას და იმავდროულად, ლერმონტოვის *დემონის* ილუსტრაციების ახალ ვერსიებზეც მუშაობდა.

საგულისხმოა, რომ ზიჩი მანამდეც იყენებდა კავკასიის თემატიკას თავის ნამუშევრებში. ამ რეგიონში მიმდინარე უწყვეტი ომების ფონზე ეს თემა მეფის რუსეთში იმხანად მოღვაწე მხატვრებისთვის განსაკუთრებული მიმზიდველობით გამოირჩეოდა. 1842 წელს *გრიგოლ გაგარინი* დაღესტნის ექსპედიციაში მონაწილეობს, 1848 წლიდან კი საქართველოში გადმოჰყავთ ვორონცოვთან სამუშაოდ. ამ დროს ზიჩიც ითხოვს, რომ კავკასიაში გაუშვან, თუმცა უარს ეუბნებიან და ისიც საკუთარი ფანტაზიით იწყებს კავკასიის სცენების ხატვას (იგულისხმება მისი 12 ავტოლითოგრაფია, გამოცემული 1853 წელს). მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ასე რომ, 1880-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოსული მხატვარი უკვე საკუთარი მკაფიო ხელწერის მქონე, შემოქმედებითად დასრულებული ხელოვანია.

საყურადღებოა თავად მოვლენის – *ცოცხალი სურათების* – რაობის საკითხიც. ეს სიმბიოზია, ამასთან პარადოქსული სიმბიოზი. სადაც თეატრალური წარმოდგენა და ფოტოატელიეში, აპარატის წინ, მარადისობასთან ზიარებას მომლოდინე სტატიკური, კოსტუმირებული სანახაობა ერწყმის ურთიერთს. ერთის მხრივ თეატრი, რომელიც მხოლოდ აწმყოში არსებობს და ფოტოგრაფია – რომელიც უმთავრესად მომავალზეა ორიენტირებული. ცოცხალი სურათებისთვის სასცენო გარემოს შესაქმნელად ზიჩი დეკორაციებს იყენებს, რომელთაც ქაღალდზე დახატული უკანა ფონის სახე აქვს. წინასწარ იდგმება მიზანსცენები, იქმნება და იკერება კოსტიუმები, პერსონაჟებს უკეთდებათ გრიმი და საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ ცოცხალ ცხენებსაც კი.



სცენარის მონახაზს თავად მხატვარი ქმნიდა, მოქმედი გმირების როლებს კი წარმოსადეგი გარეგნობის მქონე ქართველი დიდგვაროვნები ასრულებდნენ *(აღსანიშნავია, რომ სხვა არაერთ ქართველ დიდებულთან ერთად, თბილისში გამართულ ცოცხალ სურათებში რაფიელ ერისთავიც მონაწილეობდა და ის როსტევანს განასახიერებდა)*.

ცოცხალი სურათების მიხედვით შექმნილი ზიჩისეული ნამუშევრები სწრაფი ჩანახატისთვის ჩვეული ესკიზურობით და თამამი, თავისუფალი მონასმით ხასიათდება. აშკარაა, მხატვრის ამოცანა გამოსახულების გამთლიანებული, ერთიანი კომპოზიციური სქემების შექმნა და მათში ცალკეული ფიგურებისთვის სათანადო ადგილების მონიშვნაა. საწყისი ეტაპის ამ ნამუშევრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ადვილი მისახვედრია, რომ ზიჩი მხოლოდ ამბის ვიზუალურ ვერსიას მიჰყვება. მას მოსწრონს აღმოსავლეთის ქვეყნებში განვითარებული, პოემის ნახევრადზღაპრული, ჰეროიკულ-რომანტიკული ხასიათის შინაარსობრივი ქარგა და ხიბლავს შესაძლებლობა, იმუშაოს უამრავ სახასიათო ელემენტზე, იქნება ეს სამოსი, აქსესუარები, ავეჯისა თუ ჭურჭლის დეტალები და ა.შ. აქ ჯერ საკუთრივ ნაწარმოების არანაირი სიღრმისეული ინტერპრეტაცია არ ხდება, რაც გასაგებიცაა, რადგან მხატვარს *ვეფხისტყაოსანი* გარდამთხრობთა ვერსიებით აქვს მოსმენილი და დიდი ალბათობით, მხოლოდ შინაარსს იცნობს. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ *ვეფხისტყაოსნისთვის* ცოცხალი სურათების მიხედვით შექმნილი ზიჩის პირველი ჩანახატები მკაფიო თეატრალური ელფერის მქონეა და ამბის ზედაპირული, მექანიკური გაფორმების ნიშნებით ხასიათდება.

ცოცხალი სურათების სპეციფიკიდან გამომდინარე, კატეგორიულად იკრძალებოდა სცენაზე ყოველგვარი მოძრაობა თუ საუბარი. მხოლოდ რამდენიმე სურათში იყო ნებადართული მოსახსახურეების გადაადგილება და ცეკვა. ამ დროს ფარდის მიღმა პოემის შესაბამისი მონაკვეთი იკითხებოდა. სანამ ზიჩი *ვეფხისტყაოსნისთვის* ათ სურათს ააწყობდა (რამაც დამოუკიდებელი სანახაობის სახე შეიძინა), მანამდე ამგვარი ჩვენებების პრაქტიკა ბევრად მოკრძალებული იყო. რაიმე თეატრალური წარმოდგენის ბოლოს ერთი ან ორი ცოცხალი სურათი, როგორც დამატებითი *სამშვენისი,* ისე იდგმებოდა.

1882 წელს გაზეთი *კავკაზი* მკითხველს აუწყებს, რომ *...მხატვრულ-დრამატული საღამო 6 თებერვალს, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი წარმატებით ჩატარდა. „ვეფხისტყაოსნიდან“ ცოცხალი სურათების ნახვამ თეატრში იმდენ ადამიანს მოუყარა თავი, რომ თეატრი, უკიდურესად გაძვირებული ბილეთების ფასების მიუხედავად, გადავსებული იყო. მთელი თბილისი იყო აქ. საღამო კრილოვის ერთმოქმედებიანი კომედიით დაიწყო – „ეს ჩემი პატარა ახირებაა“. კომედიის დასრულებისთანავე დაიწყო ცოცხალი სურათები. ფარდა აიწია და მაყურებლის წინაშე თინათინის კორონაციის სცენა გამოჩნდა, თითქოს სცენა „ათასერთი ღამიდან“. სცენის სიღრმეში, დიდი ფუფუნებით მორთულ ესტრადაზე, აღმართული იყო სამეფო ტახტი; მასზე იჯდა მშვენიერი თინათინი (თავადის ქალი ს. ჩოლოყაევა), რომელიც მამისკენ – როსტევანისკენ (თავადი რ. ერისთავი) იწვდიდა ხელს. როსტევანი იხრება დედოფლისკენ და უწვდის მას სკიპტრას, დიდებული ქალბატონები, ბატონები და პაჟები გადანაწილებულნი არიან სამეფო ტახტის მარჯვნივ და მარცხნივ. უკან როსტევანის შეიარაღებული ჯარი იდგა ალმებით. რამდენიმე წამი უყურებდა მაყურებელი ამ სურათს, შემდეგ ფარდა დაეშვა და ისევ ორჯერ აიწია, რათა კიდევ რამდენიმე დამატებითი წუთი ეცქირა მაყურებელს (*Кавказъ*, 1882: № 36).*

რაც შეეხება გაზეთ დროებას, ცხადია ამ ამბავს ისიც გამოეხმაურა: *როგორც ეტყობა ბატონი ზიჩი დიდის ამბით აპირებს ამ შაბათს „ვეფხვის ტყაოსნიდამ“ ცოცხალ სურათების დადგმას საზაფხულო თეატრში. სულ, როგორც გვაცნობებენ, ათი სურათი იქნებაო, რომელშიაც მომეტებული ნაწილი ქართველი არისტოკრატები და არისტოკრატკები იღებენ მონაწილეობასო. ნამდვილი ვეფხვის ტყავი იქნებაო, ნამდვილი ხავერდისა და სხვა ძვირფასი ტანისამოსები; ხელოვნურად დახატული დეკორაციები ასს კაცზე და ქალზე მეტი არიან მონაწილეები. მარტო ტანისამოსებში და დეკორაციებზე ას თუმანზე მეტი დაიხარჯაო. სურათების ბოლოს იქნება ქორწილი ლეკურით, რომელშიაც სამი საუკეთესო მოლეკურეები მიიღებენ მონაწილეობასო. ამ დიდი ხარჯის ამოსაგებად სამჯერ აპირებენ ცოცხალი სურათების გამეორებას და მერე კი,*

*როგორც დიდის სიამოვნებით შევიტყვეთ, მოთავეთ ჩინებული განზრახვა აქვთ თურმე, რომ ყველა ტანისამოსი და დეკორაციები ქართულ დრამმატიულ დასს შესწირონ.* („დროება“.1882: № 26)

პარალელურად, ზიჩი ესკიზებს ქმნიდა, ამ მიზანსცენებს ფოტოებსაც უღებდნენ, ფოტოს უღებდნენ ცოცხალი სურათის მონაწილე, შესაბამის კოსტუმში გამოწყობილ, პერსონაჟებსაც სხვადასხვა მოძრაობის დროს. მსგავსი გამოსახულებები ეხმარებოდა მხატვარს საბოლოო ვერსიაზე მუშაობისას. ზიჩის დადგმული *ვეფხისტყაოსნის* ცოცხალი სურათების ჩვენება გაიმართა როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში (ჯერ დაიდგა 10 სცენა, შემდგომ დაემატა ერთი – შოთა რუსთაველის მიერ თამარ მეფისთვის პოემის გადაცემის ეპიზოდი (*დროება*.1882: № 35; *Кавказъ*.1882: №№ 44,48 ). ორივე ქალაქში ხელოვანი თავად ხელმძღვანელობდა სანახაობის აწყობას. მაყურებელი აღფრთოვანებული იყო წარმოდგენით. ამის შესახებ ბევრს წერს იმდროინდელი პრესა. საყურადღებოა, რომ ერთსადაიმავე პერსონაჟს სხვადასხვა დროს სხვადასხვა პიროვნება განასახიერებდა. ქუთაისში სანახაობა სრულად ახალი ტიპაჟებით დაკომპლექტდა. აქაც გამორჩეულად წარმოსადეგი აღნაგობის ქართველი თავად-აზნაურობა შეირჩა და მხატვარმაც ისინი ისევ დახატა.

ზიჩის მიერ *ვეფხისტყაოსნისთვის* შექმნილ, ჩვენს ხელთ არსებულ, ყველა ილუსტრაციას მთლიანობაში თუ განვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ საბოლოო ვერსიას არაერთი მოსამზადებელი ეტაპი უძღოდა წინ. აქ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ცოცხალი სურათების ჩანახატები და წიგნისთვის გამიზნული ილუსტრაციების საბოლოო ვარიანტები.

მხატვარი ბევრს მუშაობდა პერსონაჟებზე, ცალკე – გარემო-ანტურაჟზე, შემდგომ კრავდა და ამთლიანებდა მათ ერთ კომპოზიციად. პერიოდი, როცა ის დგამდა ცოცხალ სურათებს, ნაწილ-ნაწილ უყვებოდნენ ტექსტის შინაარსს, აცნობდნენ ქართულ რეალობას, ადამიანებს და წეს-ჩვეულებებს, სტუმრობდა ქართველი დიდებულების სახლებს, მოგზაურობდა და ნახულობდა საქართველოს რეგიონებს და ა.შ., იყო მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი ნამუშევრების საბოლოო ვერსიების შესაქმნელად. აღწერილიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე ზიჩი რუსეთში გაემგზავრა. ამ დროისთვის მას შეგროვილი ჰქონდა უამრავი, სხვადასხვა ტიპის მასალა წიგნის საბოლოო გაფორმების შესაქმნელად. და მაინც, ილია ჭავჭავაძემ მიიღო გადაწყვეტილება, სპეციალურად მხატვრისთვის, ფრანგულად ეთარგმნათ *ვეფხისტყაოსანი* (ცხადია იგულისხმება პროზაული თარგმანი). თარგმანის მომზადება იონა მეუნარგიას დაევალა, რასაც ამ უკანასკნელმა წარმოუდგენლად მოკლე დროში გაართვა თავი:

*ი.მეუნარგიას თარგმანი, როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში გაეგზავნება მხატვარ ზიჩის სახელმძღვანელოდ იმ სურათების დახატვისათვის, რომელნიც უნდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულს გამოცემას ჩაერთოს.* (დროება. 1884:№257 )

აშკარა იყო, სარედაქციო კომისია ხვდებოდა, რომ უცხო ტომის კაცისთვის *ვეფხისტყაოსნის* არსის და მასშტაბის საფუძვლიანი წვდომა მხოლოდ მონაყოლის ან ფრაგმენტულად დადგმული სანახაობის საშუალებით შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომაც გაუგზავნეს ზიჩს პოემის ფრანგული ვერსია; თუმცა საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სარედაქციო ჯგუფის ერთ-ერთ შეკრებაზე ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს – ამ თარგმანს თავად მხატვარიც ითხოვს და ელისო. ამის შემდგომ, პროცესში იმხანად პეტერბურგში მყოფი ქართველებიც ერთვებიან და სრულად ნიკო ნიკოლაძის და ვასო მაჩაბლის (ივანე მაჩაბლის ძმა) აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს გამოსახულებების საბოლოო ვარიანტებზე მუშაობის ურთულესი ეტაპი (იგულისხმება როგორც ილუსტრაციები, ასევე ტატიშვილისეული ასო-ნიშნების და ორნამენტების კლიშეების დამზადების საქმე), რაც თბილისში სარედაქციო ჯგუფისთვის ნამუშევრების გადასამოწმებლად გადმოგზავნასაც მოიცავდა.

ილუსტრაციების ბოლო ვერსიაში მხატვარმა უამრავი ნიუანსი შეცვალა და გაითვალისწინა. თითქმის სრულად გაქრა ყოველგვარი პორტრეტული მსგავსება ცოცხალ სურათებში მონაწილე პროტოტიპებთან. სასურათე ზედაპირზე საბოლოოდ გამოსახული ნებისნიერი გმირი



(ცხადია გრძნეულების გარდა) ზუსტი მინიშნებებისგან თავისუფალი და ზოგადქართული მახასიათებლების მქონე გახდა. ამ ხერხით *ვეფხისტყაოსნის* აღნიშნულმა დასურათებამ განზოგადებულის კატეგორია შეიძინა. მხატვრობა ზიჩისეულ რეალისტურ მანერაში იყო შექმნილი, თუმცა დოკუმენტური ნამდვილობის ელემენტი არ ფიგურირებდა, რაც *ვეფხისტყაოსნისეულ* მასშტაბს მეტად ესადაგებოდა.

ნამუშევრებში იმძლავრა ისტორიული დროისა და სივრცის მიღმა მყოფმა სამყაროსეულმა განცდამ. ეს აღარ იყო კონკრეტულ ქვეყანაში, კონკრეტულ დროს მომხდარი ამბის დასურათხატებული თხრობა და მხატვრის გამომსახველობითი მანერაც, რომელიც ილუსტრაციებისთვის შეირჩა, უკვე შორს იყო გრაფიკულ-კონტურული დეტალური, ზედმიწევნითი გამოწერილობისაგან, რაც პირველ ესკიზებს ახასიათებდა. ზღაპრისმიერი გარემოს ელფერი გამოსახულებებმა შეინარჩუნა, მაგრამ ზღაპარი ამჯერად იგავმეტყველების მხატვრული ხერხის ვიზუალური მეტაფორის შემოტანის საშუალებად იქცა და შესაბამისად, ნაწარმოებთან ორგანული ბმაც შეიძინა. ილუსტრაციების საბოლოო ვერსიაში მხატვარმა აბსოლიტური უპირატესობა დრეკად, მოქნილ, მსხვილ მონასმს მიანიჭა. კომპოზიციის დინამიკამ და ფორმის გამოწერის ოდნავმა ბუნდოვანებამ, განპირობებულმა ემოციისმიერი საწყისის პრიორიტეტით, რომანტიზმისთვის ჩვეული, ძლიერი მხატვრული ნაკადი გახადა საცნაური. გამომსახველობითმა აქცენტებმა მთლიანად პერსონაჟებზე გადაინაცვლა. მსგავს კომპოზიციებში შენარჩუნებულია ზოგადი ხასიათის მითითება გარემოზე (როსტევანის სასახლე თინათინის გამეფების სცენაში, ტყე – ტარიელის ნახვის სცენაში, ქაჯეთის ციხე – როცა ნაწარმოების გმირები მის დასალაშქრად ემზადებიან). პირობითობის შთაბეჭდილება კი რაიმე მცირე დეტალის ზუსტი გამოწერის საშუალებით მიიღწევა. ამ განცდას გამოსახულების შექმნისას გამოყენებული ამოდიდებული კადრის ეფექტიც აძლიერებს. მით უფრო, რომ პლანობრივი დაცილების ინტერვალები დიდია, ფონის მონაკვეთი კი საგრძნობლად გაბუნდოვნებული. ამით ავტორი ახერხებს ძლიერი ვიზუალური აქცენტების შემოტანას, რასაც შუქ-ჩრდილის ეფექტითაც აძლიერებს. მაქსიმალურად მოახლოებული, მხოლოდ მთავარ მოქმედ გმირებზე კონცენტრირებული კომპოზიციის აგების ხერხი, შესაძლოა მხატვარზე, მაყურებელზე, ან გნებავთ კამერაზე ორიენტირებული პოზირების განცდას აჩენდეს. ზოგ შემთხვევაში მოქმედების არე იმდენად წინა პლანზეა წამოწეული, რომ ის, ძალაუნებურად, მის წინ არსებულ არასასურათე სივრცესაც მოიაზრებს კომპოზიციის წარმოსახვით გაგრძელებად. თუმცა ილუსტრაციების ის ნაწილი, სადაც სიუჟეტური სცენები სიღრმეშია სრულად გაშლილი – საპირისპიროს ავლენს.

ზიჩი იყენებს როგორც ზიარი სივრცეების პრინციპს, როცა კადრი იმდენადაა ამოდიდებული, რომ მაყურებლისა და მხატვრული ერთეულის სივრცეთა თანაზიარობა ნამუშევარშივეა დეკლარირებული, ასევე დამოუკიდებელი სივრცეების ხერხს, როცა კონტაქტი ასეთი მკაფიო და გამოხატული არ არის. თუმცა გამოსახულების ფრაგმენტულობაში გაცხადებული ხედვის წერტილი აღმქმელის ფაქტორს მაინც მუდმივად მოიაზრებს.

გამორჩეულად დასამახსოვრებელია ქაჯეთის ციხისკენ მიმართული გრძნეულის ფრენის ამსახველი კომპოზიცია, სადაც დინამიკურობა რაკურსის ხარჯზე მიიღწევა. დაღმავალი სპირალის პრინციპზე აწყობილი მოძრაობა მაყურებელს აიძულებს ნამუშევარი ვერტიკალზე, ზევიდან ქვევით აღიქვას, რაც იმ სააზროვნო სივრცისთვის, რომელიც ფურცელზე გამოსახულებას უმთავრესად მარცხნიდან მარჯვნივ ხედავს, ცალსახად, ძლიერი ეფექტის მატარებელია. კომპოზიცია, ბევრ სხვა მახასიათებელთან ერთად, ჯერ ისევ საწყისი ეტაპის მოდერნისეულ ელემენტებსაც ამჟღავნებს. ეს თავისებურება მხატვრის სხვა არაერთ ნამუშევარშიც იჩენს თავს.

ზიჩის ნამუშევრები XIX საუკუნის ხელოვნებისთვის სახასიათო ბევრ ნიშანს მოიცავს: რეალიზმი, ფორმისმიერი ნამდვილობა, რომანტიზმი და მისთვის დამახასიათებელი ემოციური ნაკადი, ფოტოკადრის ეფექტები და მოდერნისეული ელემენტები. თუმცა არის კიდევ ერთი თავისებურება, ის რის შესახებაც მიხეილ ქვლივიძე თავის ნაშრომში წერს: *ზიჩი ხდება სამეფო ოჯახის წევრთა ცხოვრების ამსახველი მხატვარი-ქრონიკერი, სალონური ფუქსავატობა, კოსმოპოლიტური გააზრება ამა თუ იმ თემისა ზიჩის შემოქმედების ნიშანდობლივ თვისებას*

*წარმოადგენს* (ქვლივიძე, 1967: 127).

მეფის კარზე ხანგრძლივმა მუშაობამ, უფრო ზუსტად კი, სხვათათვის მოსაწონი სურათების შექმნის აუცილებლობამ, ზიჩის მხატვრობას სპეციფიკური კვალი დაამჩნია. ზედაპირულობა და მსუბუქი, თუმც კი მკაფიოდ განცდადი, *ბიდერმეიერის* ეპოქისეული *მოტკბო* ელფერი სდევს ზიჩის სხვადასხვა დროის დაზგურ ნამუშევრებს. აქ საკმარისია ლერმონტოვის *დემონისთვის* და იმრე მადაჩის *ადამიანის ტრაგედიისთვის* შესრულებული ილუსტრაციების დასახელებაც, მით უფრო, რომ ქრონოლოგიურად ისინი *ვეფხისტყაოსნის* ილუსტრაციებზე მუშაობის პერიოდს სრულად ემთხვევა.

რუსთაველის პოემისთვის შექმნილი ილუსტრაციების საბოლოო ვერსიებში აღნიშნული ეფექტი თითქმის მინიმუმზეა დაყვანილი. მეტიც, ის მხოლოდ იმ სცენებში შეინიშნება, და თან მსუბუქად, სადაც შინაარსობრივი ქარგა თავისთავად რომანტიკულისკენაა მიდრეკილი. ყველა სხვა შემთხვევაში ზიჩი ახერხებს წიგნის ილუსტრაციის იმ სტანდარტის მიღწევას, როცა ფორმისმიერი გამომსახველობითობა საკუთარ თავში იტევს ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ მასშტაბს.

ვფიქრობ, ქართველთა დაჟინებამ, მხატვარი მაქსიმალური სისრულით გასცნობოდა ტექსტს, თავისი შედეგი გამოიღო და ისიც ხელოვანის უტყუარი ალღოთი მიხვდა, რომ ოპტიმალური გამოსავალი დეტალიზაციის მინიმუმამდე დაყვანასა და განზოგადების ხარისხის მაქსიმალურ ზრდაში მდგომარეობდა. ზიჩი XIX საუკუნის რეალიზმის წარმომადგენელია, რაც გულისხმობს, რომ მისთვის არ არის ადვილი უარი თქვას ფორმისმიერ ნიუანსირებაზე, ცალკეული ელემენტების სკურპულოზური სიზუსტით ასახვაზე, ფაქტურების აქცენტირებაზე და სხვა.

თუმცა ნამუშევრები ცხადყოფს, რომ ხელოვანი ამჯერად უპირატესობას ძლიერ ლაქობრივ კონტრასტებს და მკვეთრი შუქ-ჩრდილებით დიფერენცირებული სივრცითი თუ მოცულობითი არეების ურთიერთმონაცვლეობას ანიჭებს. აქ არსებითია მასალაც, რითაც მხატვარი მუშაობს. ნახშირი ისედაც არ იძლევა მოჭარბებული დეტალიზაციის ეფექტის შექმნის საშუალებას. თეთრი გუაშის მონასმებით ამოყვანილი გამოსახულების ცალკეულ აქცენტებს სასურათე ზედაპირის საერთო სიშავეში მოზომილი დეკორატიულობის განცდა შემოაქვს, განათების უჩვეულო წყაროდ გვევლინება და ფაქიზი რაფინირებულობის შეგრძნებას ბადებს. ცხადია, ანაბეჭდებში ეს დეტალები აღწერილის ანალოგიურად აღარ იკითხება, თუმცა კომპოზიციებში გაბნეული ნათელი ტონით მოვარაყების ეფექტი სწორედ მისი დამსახურებაა.

1888 წლის *ქართველიშვილისეული* გამოცემა *ვეფხისტყაოსნის* სტამბურ გამოცემებს შორის მართლაც ერთ-ერთი გამორჩეულია. მისი შემკულობა უცნაურად ირეკლავს ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ისტორიას. *გრიგოლ ტატიშვილისეული* შრიფტი და ჩუქურთმა შუა საუკუნეების ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრების შემამკობელი რელიეფისა და ამავე პერიოდის ჭედურობის თუ ხელნაწერების ნიმუშების მიხედვით შეიქმნა. ამის თაობაზე *ვეფხისტყაოსნის* გამოცემას ბოლოსიტყვაობაში კონკრეტული შენიშვნაც კი ერთვოდა თან:

*მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს – მცხეთას, უფლის-ციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათს, საფარას, კაბენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს – თავისი წილი უდევს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს აღბეჭდილი* (ურუშაძე, 1958: 100).

ილუსტრაციები XIX საუკუნისათვის ჩვეული მხატვრული გამომსახველობითობის შესაბამისი ჰქონდა რუსეთის მეფის კარზე მოღვაწე, თუმც კი ევროპული წარმომავლობის და იქვე განსწავლული მიხაი ზიჩის მიერ შექმნილი. იმპერატორი მკაცრად აკონტროლებდა ზიჩის მუშაობას. როგორც *ბენო გორდეზიანი* აღნიშნავს თავის ნაშრომში, მას შემდეგ, რაც *ვეფხისტყაოსნის* ცოცხალი სურათების მოწყობის ამბავმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, რუსეთის სამეფო კარმა სასწრაფოდ მოითხოვა მეფის კარის მხატვრის მუშაობის გადამოწმება, რის გამოც პოლიციამ



ყველა სურათს ფოტო გადაუღო და პეტერბურგში გაგზავნა (გორდეზიანი, 1960: 43).

1888 წლის შემოდგომაზე ზიჩი კიდევ ერთხელ ჩამოდის საქართველოში. მან კვლავაც ქართულ თემატიკას მისადაგებული არაერთი ნამუშევარი შექმნა. ამ ვიზიტის დროს ხელოვანმა *ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის კომიტეტს* პოემის ილუსტრირებისთვის მის მიერ შექმნილი ნამუშევრები უსახსოვრა. იგულისხმება ის 34 გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც პირველად 1885 წელს გამოიგზავნა საქართველოში და საიდანაც სარედაქციო ჯგუფის წევრებს ნაწარმოების შესამკობად საჭირო ილუსტრაციები უნდა შეერჩიათ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი *„ივერია“* წერს: *ზიჩის განუზრახავს ამ სურათების დედნები საჩუქრად უძღვნას ჩვენს წ.-კ. საზოგადოებას“* (*ივერია*. 1889: №55). უკვე მომდევნო ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ ივერიაში მკითხველს ამცნობს, რომ მხატვარმა აღნიშნული განახორციელა კიდეც და *როგორც უწინ ვაუწყეთ მკითხველებს, ზიჩის თავის ხელით ნახატი სურათები „ვეფხისტყაოსნისა“, რომელთა რიცხვში ურევია იმისთანანიც, რაც არ დაბეჭდილა, შეუწირავს წ.-კ. საზოგადოებისათვის ნიშნად თავისის თანაგრძნობისა საქართველოს ერის მიმართ* (*ივერია*. 1889: №74).

## დასკვნა

XIX საუკუნე ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთია საქართველოს ისტორიაში: სახელმწიფოებრიობის ყოველგვარი ნიშნისგან განძარცვული ქვეყანა უკიდეგანო იმპერიის გუბერნიადაა ქცეული. გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. გახშირდა შიდა და გარე დაპირისპირებები, გლეხთა აჯანყებები და ა.შ., გაუქმდა ბატონყმობა. არაერთხელ დადგა საფრთხის ქვეშ ქართველთა ეროვნული ერთიანობის საკითხი, რამაც საბოლოოდ, საუკუნის მიწურულს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახე შეიძინა და ცარიზმს დაუპირისპირდა.

აღნიშნულის მიუხედავად, შესაძლოა გარკვეულწილად ამის გამოც, ეს პერიოდი ზოგადკულტურულ კონტექსტში არაერთმნიშვნელოვანი მახასიათებლებით გამოირჩა. საქართველოში პოპულარობა მოიპოვა ევროპული კულტურული სივრცისთვის ორგანულმა მრავალმა მოვლენამ თუ ტენდენციამ. მათი უმეტესობა რუსეთზე გავლით, ნაწილი კი თავისთავადი იმპორტის შედეგად იმკვიდრებდა ადგილს ქართულ რეალობაში. ასევე მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლური გავლენები, მით უფრო, რომ ამ დროს რუსეთი, თავად ევროპელი რომანტიკოსების დარად ორიენტალიზმით გატაცებული, ცდილობდა კავკასიის რეგიონის, და მათ შორის საქართველოს, ეგზოტიკურ კონტექსტში წარმოჩენას.

ეს მახასიათებელი ზიჩის კავკასიის თემაზე შექმნილ ნამუშევრებშიც მკაფიოდ იკვეთება. მათ შორის *ვეფხისტყაოსანშიც*. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მსგავსი ტენდენცია ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარეც შეიძლება აიხსნას, თუმცა ზოგადად ამ რეგიონის თემაზე მხატვრის მიერ შექმნილ ნამუშევრებს თუ ჯამურად განვიხილავთ, მარტივი მისახვედრია, რომ კავკასიის, როგორც აღმოსავლურ-ეგზოტიკური გარემოს ინტერპრეტაციის ხაზი, მასთანაც ძლიერია.

მსგავს ვითარებაში *ვეფხისტყაოსნის* სასტამბო ვერსიის მომზადებას, ამ პროცესში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფას, მოვლენის ირგვლივ ქართული სამეცნიერო თუ მხატვრული სააზროვნო გონის საუკეთესო წარმომადგენლების კონსოლიდირებას და ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო სიმბოლოს, ქართულ-ევროპულ ყაიდაზე გაფორმებული გამოცემის უზრუნველყოფას, ცხადია, ისტორიულ-პოლიტიკურ ასპექტშიც სათანადო, სრულიად გამორჩეული დატვირთვა ჰქონდა.

ტყუილად ხომ არ წერდა, 1887 წელს, სვანეთში მყოფი *იონა მეუნარგია ვეფხისტყაოსნის* ამ გამოცემის რედაქტორს, ივანე მაჩაბელს, პოემის პირველი საცდელი ფორმის დაბეჭდვის შესახებ: *ჩვენი თაობის შეცდომაზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის*-ო(ურუშაძე, 1958: 96).

1888 წლის *ქართველიშვილისეული* გამოცემა *ვეფხისტყაოსნის* სტამბურ გამოცემებს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია.

მისი შემკულობა უცნაურად ირეკლავს ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

## ბიბლიოგრაფია


გორდეზიანი, ბ. (1960). ზიჩი საქართველოში. თბილისი. საბჭოთა საქართველო.

შარაძე, გ. (1978). მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა. თბილისი. *ხელოვნება.*

ურუშაძე, მ. (1958). პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი. თბილისი: *ხელოვნება.*

ქვლივიძე, მ. (1967). „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებანი. თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

გაზეთი *დროება*. (1880). № 241, ტფილისი.

გაზეთი *დროება*. (1881). № 222, ტფილისი.

გაზეთი *დროება*. (1882). №№ 26,35,ტფილისი.

გაზეთი *დროება*. (1884). № 257, ტფილისი.

გაზეთი *დროება*. (1885). № 188, ტფილისი.

გაზეთი *ივერია*. (1888). № 54, ტფილისი.

გაზეთი *ივერია*. (1889). № 55, ტფილისი.

გაზეთი *ივერია*. (1889). № 74, ტფილისი.

გაზეთი *Кавказъ*. (1882). № 36, ტიფლისი.


გაზეთი *Кавказъ*. (1882). № 44, ტიფლისი.

გაზეთი *Кавказъ*. (1882). № 48, ტიფლისი.



*თამარ ბელაშვილი*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის
ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

*Tamar Belashvili*
PhD in History of Art,
G. Chubinashvili National Research Centre for Georgian
Art History and Heritage Preservation
ORCID-ID: 0009-0001-3706-7925







1. მიხაი ზიჩი. ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. 1888.
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



2. მიხაი ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. 1888.
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



3. მიხაი ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. 1888.
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი



4. მიხაი ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. 1888.
კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

# ვეფხისტყაოსანის ქართველიშვილისეული გამოცემა და რაფიელ ერისთავი

## აბსტრაქტი

სტატია ეხება XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე (1880 წ.) შოთა რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დადგენის მიზნით შექმნილ კომისიას. ნაშრომში მიმოხილულია კომისიის შექმნის ისტორია და მიზნები, რომელიც სხვადასხვა ხელნაწერებისა და რედაქციების შეჯერებით რუსთველისეული ტექსტის აღდგენას ისახავდა მიზნად. ხაზგასმულია ავტორიტეტული კომისიის როლი, რომელიც ქართველ მწერალთა და მეცნიერთაგან შედგებოდა. განხილულია ის სირთულეებიც, რაც კომისიის წინაშე წამოიჭრა, მათ შორის, ხელნაწერთა სიმცირე. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ *ვეფხისტყაოსნის* ახალი გამოცემის ინიციატორები იყვნენ რაფიელ *ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი* და *იონა მეუნარგია,* რომელთა მიზანიც ნაბეჭდი ტექსტისა და ხელნაწერების შეჯერებით ახალი რედაქციის შექმნა იყო.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი; იაკობ გოგებაშვილი; იონა მეუნარგია; ვეფხისტყაოსანი; რედაქციები; ილია ჭავჭავაძე.

# THE KARTVELISHVILI EDITION OF *THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN* AND RAPHIEL ERISTAVI

## ABSTRACT

The article discusses the commission established around the late 1870s and 1880s to determine the text of Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin*. The study reviews the history and objectives of the commission, which aimed to restore Rustaveli's original text by comparing various manuscripts and editions. It emphasizes the authoritative role of the commission, composed of prominent Georgian writers and scholars. The challenges faced by the commission are discussed, including the scarcity of manuscripts. The paper claims that the initiators of the new edition of *The Knight in the Panther's Skin* were Raphiel Eristavi, Iakob Gogebashvili, and Iona Meunargia, whose goal was to create a new edition by reconciling the printed text with the manuscripts.

**Keywords:** R. Eristavi; I. Gogebashvili; I. Meunargia; I. Chavchavadze; The Knight in the Panther's Skin; Edits.

## შესავალი

*ვეფხისტყაოსნის* პირველი გამოცემიდან მეორემდე, 1712 წლიდან 1841 წლამდე, 129 წელი გავიდა. პოემის ტექსტის ისტორიაში ორივე გამოცემა საეტაპო იყო. 1888 წლამდე შოთა რუსთველის პოემა კიდევ რამდენჯერმე გამოიცა. 1888 წლის გამოცემა, ისევე როგორც 1712 წლის ვახტანგ მეექვსისეული და 1841 წლის ბროსე-ჩუბინაშვილი-ფალავანდიშვილისეული გამოცემები, *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული, კრიტიკულად დადგენილი ტექსტია. რაც შეეხება კომისიის მუშაობის სტილს და მეთოდს, თითოეული მათგანი იმ ეპოქის მოთხოვნებს, მეცნიერულ დონეს, კერძოდ, ტექსტოლოგიური მეცნიერების დონეს შეესაბამებოდა, რომელშიც ყოველი მათგანი დადგინდა და გამოსაცემად მომზადდა. ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს არსებული შეხედულებები *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისიის ინიციატორებთან დაკავშირებით და წარმოაჩინოს *რაფიელ ერისთავის,* როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი ფიგურის, როლი.

## კვლევის მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა წყაროებში დაცულ, მათ შორის პრესაში გამოქვეყნებულ, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, იონა მეუნარგიასა და სხვათა წერილებს, მიმოხილვებს. გამოყენებულია წყაროთმცოდნეობითი მეთოდი.

## შედეგი

- გაზეთ *დროების* № 241-ე ნომერში არსებული წერილის მიხედვით ცნობილი გახდა, თუ ვის ეკუთვნოდა ამ ახალი გამოცემის იდეა. ესენი იყვნენ: *რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია.*
- აღმოჩნდა, რომ მანამდე ამ საქმის დამწყებად მცდარად მიიჩნევდნენ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც კომისიის წევრი იყო, მაგრამ გამოცემის იდეის ინიციატორი არ ყოფილა.
- რაფიელ ერისთავი აქტიურად მონაწილეობდა *ვეფხისტყაოსნის* ახალი რედაქციის შემუშავების საქმეში.

## მსჯელობა

შოთა რუსთველის პოემის, *ვეფხისტყაოსნის,* ტექსტოლოგიური საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, 1880 წელს, შეიქმნა კომისია, რომლის წევრები, პოემის სხვადასხვა ხელნაწერთა და რედაქციების შედარების საფუძველზე, ცდილობდნენ რუსთველისეული ტექსტის აღდგენას, რაც, შეუძლებელი თუ არა, ძნელად მოსაგვარებელი საქმე იყო და უმჯობესია თუ ვიტყვით, რომ ცდილობდნენ დედანთან მიახლოებას. 1880-1881 წლებში შოთა რუსთველის პოემის, *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრები, შემაფერხებელი პრობლემების არსებობის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ ინტენსიურად შეკრებას. უმთავრესი პრობლემა, რომლის წინაშე დადგა კომისია, სხვადასხვა რედაქციის ხელნაწერის არასაკმარისი რაოდენობა იყო, რათა მათი შედარების საფუძველზე პოემის ტექსტის რუსთველისეულ ვარიანტთან მეტ-ნაკლები მიახლოება გამხდარიყო შესაძლებელი.

წერილობითი და ზეპირი წყაროების მიხედვით, *ვეფხისტყაოსნის* ახალ რედაქციაზე მუშაობისა და გამოცემის ინიციატორები იყვნენ: *რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია,* რომელთაც გამოცემის მიზნად დასახეს ახალი რედაქციის ტექსტის დადგენა ნაბეჭდი ტექსტისა და ხელნაწერების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე. 1880 წლის 15 ნოემბერს, გაზეთ *დროების* 241-ე ნომერში გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და იონა მეუნარგიას პირველი ერთობლივი საინფორმაციო წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ავტორთა მოსაზრებები *ვეფხისტყაოსნის* ახალი გამოცემის მომზადების შესახებ. მათი აზრით, ეს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე იყო და მის აღსრულებაში, შესაძლებლობისამებრ, მონაწილეობა უნდა მიეღო ყველას, მთელ ქართველ საზოგადოებას, ვისთვისაც ძვირფასი იყო რუსთველის სახელი და ვისთვისაც *ვეფხისტყაოსანი* ნაციონალურ სიმდიდრეს წარმოადგენდა *(ერისთავი, გოგებაშვილი, მეუნარგია,*1880:1-2). ავტორებმა საგანგებოდ მოიხმეს ჰომეროსის თხზულებებზე მუშაობის გამოცდილება ანტიკურ ეპოქაში, როდესაც *არისტოტელი და შემდეგ ალექსანდრიის მთელი აკადემია შრომობდნენ აღედგინათ ნამდვილი პოემა ჰომერისა (ერისთავი, გოგებაშვილი, მეუნარგია,* 1880:1). ამ კონტექსტში აღნიშნეს – რაც ჰომეროსი იყო ბერძნებისათვის, ისაა რუსთველი საქართველოსთვის. ეს ორი ბუმბერაზი შემოქმედი პირველებმა სწორედ რაფიელ ერისთავმა, იაკობ გოგებაშვილმა და იონა მეუნარგიამ შეადარეს ერთმანეთს. ისაუბრეს მომავალი გამოცემის მიზანდასახულობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო და რით იქნებოდა გამორჩეული წინა გამოცემებისაგან ახალი, კომისიის მიერ მომზადებული გამოცემა, რადგან საუკუნეების განმავლობაში ტექსტი შეიცვალა, გადამწერთაგან ზოგმა შეგნებულად, ზოგმა უნებლიეთ, ზოგი რამ დაამატა, ზოგი რამ ამოიღო და დღეს რომ რუსთველს თავისი თხზულება ენახა, იქნებ უარიც კი ეთქვა მის ავტორობაზე. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, მათ მომავალ კომისიას მიზნად დაუსახეს: 1. *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის შეთანხმება ხელნაწერთა ტრადიციულ წაკითხვებთან და გამოცემათა ვარიანტების გათვალისწინება; კერძოდ: ნაკლული ადგილების აღდგენა ხელნაწერული მონაცემების მიხედვით და ჩამატებულ/შემატებული სტროფების ამოღება; ე.ი. ტექსტი უნდა გამართულიყო ხელნაწერთა ვარიანტებისა და გამოცემების კვალობაზე; 2. მართლწერისა და ორთოგრაფიის მოწესრიგება, რადგან ერთი ასოს შეცდომით დაწერა, ერთი სასვენი ნიშნის შეცდომით დასმაც კი ტექსტის არასწორ აღქმას გამოიწვევდა და 3. შესაძლებლობისამებრ, ინტერპოლატორთა ვინაობის გამორკვევა, ტექსტიდან მათი ჩანართ/დანართი სტროფების გამოყოფა. წერილის ავტორები მიზნად ისახავდნენ პოეტის ბიოგრაფიის აღდგენას არსებული მონაცემების საფუძველზე. შემდეგ ავტორები სთხოვენ საზოგადოებას, ხელნაწერი წიგნები ათხოვონ კომისიას და კონკრეტულ პირებს *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ. წერილის ავტორებმა წარმოადგინეს გეგმა, რომლის განხორციელებისათვის საჭირო იყო კომპეტენტური კომისიის შექმნა, ამიტომ კომისიის წევრობა სთხოვეს: *გრიგოლ ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვახტანგ ორბელიანს, გიორგი წერეთელს, სერგეი მესხს, ნიკო დადიანს, დავით გიორგის ძე ერისთავს, იმერეთის ეპისკოპოსს, გაბრიელ ქიქოძეს* და სხვებს. კომისიას შესთავაზეს ამ საკმაოდ მძიმე და შრომატევადი სამუშაოს დასრულება 25 შეხვედრის შემდეგ. პირველი შეკრება დაინიშნა 24 ნოემბერს, 6 საათზე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიის შენობაში. ყოველი მომდევნო სხდომა ორი დღის შემდეგ უნდა გამართულიყო. სხდომების მოწვევის შესახებ ცნობა/განცხადება გამოქვეყნდებოდა გაზეთ *დროებაში,* რომლის რედაქტორებთან უკვე შეთანხმებულნი იყვნენ გაზეთში გვერდის გამოყოფის თაობაზე. დასახელებულმა პირებმა პატივად მიიჩნიეს კომისიაში მუშაობა და თანხმობა განაცხადეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 31 მარტს გამართულ მე-13 სხდომაზე, რომლის თავმჯდომარე *დავით ერისთავი* იყო და რომელსაც დასწრებია *ნიკო ნიკოლაძე* (ეს საგანგებოდაა აღნიშნული კომისიის ანგარიშში), *პეტრე უმიკაშვილმა* გააკეთა განსაკუთრებული განცხადება იმის თაობაზე, რომ საზოგადოებისათვის აეხსნათ და კარგად განემარტათ ტექსტის დადგენის მეთოდი; კომისიის მიზანი *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის გასწორება კი არ არის, არამედ მხოლოდ ხელნაწერთა ვარიანტების ერთმანეთთან შეთანხმება; კომისია *თავის მხრით არც ერთ ასოს არ ასწორებს პოემაში* (იმედაშვილი, 1957:74).

სამუშაოს შესასრულებლად შეიქმნა უაღრესად ავტორიტეტული და კომპეტენტური კომისია, რომელშიც შედიოდნენ ქართველი მწერლები და მეცნიერები: *გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, არქიმანდრიტი გრიგოლი, ივანე მაჩაბელი, თედო ჟორდანია,* იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), დი-

მიტრი ყიფიანი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, სერგი მესხი, ვახტანგ ორბელიანი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო დადიანი, *დავით ჯორჯაძე, ნინო ორბელიანისა, ეკატერინე გაბაშვილი, გიორგი იოსელიანი, ილია წინამძღვრიშვილი, ოლღა გურამიშვილი* და სხვები. კომისიას მისი დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე, ე. ი. 1883 წლამდე, ხელმძღვანელობდა *გრიგოლ ორბელიანი,* მდივნის მოვალეობას ასრულებდა *იონა მეუნარგია,* რომელსაც ევალებოდა სხდომების ოქმების შედგენა და საზოგადოებისათვის სხდომების შედეგების მიწოდება; შესაბამისად, სხდომების ანგარიშები დროდადრო იბეჭდებოდა გაზეთ *დროებაში,* რომელშიც, რედაქციასთან შეთანხმებით, გვერდი გამოყოფილი იყო. იონა მეუნარგია გადმოგვცემს, რომ ილია ჭავჭავაძეს *ვეფხისტყაოსანზე* მუშაობა იმდენად საპატიო საქმედ მიაჩნდა, რომ თავის ორფურცლიან ავტობიოგრაფიაში, რომელიც მან ენციკლოპედიისათვის დაწერა, სპეციალურად აღნიშნა: *ვიღებდი მონაწილეობას ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენელ კომისიაში*-ო.

კომისიას პირველ ხანებში ხელთ არ ჰქონდა საკმაო რაოდენობის *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერები. როდესაც 1880 წლის 15 ნოემბერს გაზეთ *დროებაში* გამოქვეყნდა *რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა* და *იონა მეუნარგიას* ზემოხსენებული საინფორმაციო წერილი, რომელშიც საუბარი იყო *ვეფხისტყაოსნის* რაობისა და მნიშვნელობის შესახებ ქართველი ერისათვის და მოწოდება, აღინიშნა, რომ ამ ეროვნულ საქმეზე ზრუნვა თითოეული ქართველი მოქალაქის მოვალეობა იყო.

ამის შემდეგაც რამდენჯერმე გამოქვეყნდა *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისიის მიმართვის ტექსტი საზოგადოებისადმი *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერთა თხოვების თაობაზე. სოფელ-სოფელ დაიგზავნა წერილები, პირადად გაუგზავნეს ოცამდე პირს, რომლებთანაც ეგულებოდათ *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერები. მოსახლეობას თხოვნით მიმართეს:

*ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნოს წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს უკლებლად ყოვლის მიზეზის გარეშე.*

მაგრამ ამ განცხადებამ და მიმართვებმა დადებითი შედეგი ვერ გამოიღო, რის გამოც გაზეთ *დროების* 27 დეკემბრის № 266-ში დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის მიერ ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის მიმართვის ტექსტი:

*ქართულის გაზეთით მოხსენებული გექნებათ, რომ სურვილია შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნებთან“. ამისათვის მოწვეულნი არიან ქართულის მცოდნე პირნი და აგრეთვე ყოველივე, ვისაც ექნება ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, ათხოვოს წიგნი ამ კეთილის საქმის მოსურნეთა. მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ სასარგებლო საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ გქონდესთ, ან თუ შოვნა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნოთ ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა, თქვენი წიგნი უნაკლოდ მოგერთმევათ. თქვენი გულითადი პატივისმცემელი თავადი გრიგოლ ორბელიანი, 30 ნოემბრის 1880 წ. ადრესი: Тифлис, в концелярию общества распространения грамотности, на Саперной ул. 41* (იმედაშვილი,1957:66).

გრიგოლ ორბელიანის თხოვნის შემდეგ კიდევ რამდენიმე ხელნაწერი შემოვიდა კომისიაში და 22 ხელნაწერი შეგროვდა.

გაზეთ *დროების* 1880 წლის რამდენიმე ნომერში, კერძოდ: 6 ივლისის №143, 9 დეკემბრის № 259, 13 დეკემბრის № 263 და 21 დეკემბრის №270-ში, ქვეყნდებოდა ცნობები *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერთა ოჯახებში აღმოჩენის შესახებ, რასაც ერთვოდა მათი მოკლე დახასიათება-აღწერილობა.

ეს ხელნაწერებია: 1. *პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან* მიღებული ხელნაწერი, რომელიც ვრცელი რედაქციისაა. მასში ყურადღებას იქცევს სხვა ხელნაწერთაგან განსხვავებული უცნობი დაბოლოება ბეჭდური ტექსტით; 2. თავად *გრ. დ. გურიელისაგან* კომისიამ მიიღო ცნობა, რომ *პელაგია წერეთლისას,* გურიელთა შთამომავალს, ჰქონდა იმერეთის მეფის, სოლომონ დიდის, *სოლომონ პირველის* ნაქონი ხელნაწერი, რომელიც სოლომონის ასულის, დარეჯან ბატონიშვილისაგან მის ვაჟს, *ივანე აბაშიძეს* გადაეცა („*დროება*“, 1880, № 259), შემდეგში ხელნაწერი ინახებოდა გურიელების ოჯახში და პელაგია გურიელმა ნესტორ წერეთელზე ქორწინებისას მზითვად წაიღო. აქედანაა მისი ზედწოდებაც, *წერეთლისეული* ხელნაწერი, ესაა S-5006, რომელიც მდიდარია მინიატურებით და რომლის საარაკო თავგადასავალი მოთხრობილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც ეს ხელნაწერი საქართველოდან გატანას, ფაქტობრივად, დაკარგვას გადაარჩინა (თაყაიშვილი, 1968); 3. *დავით ბეგთაბეგოვის* სახლში დაცული ხელნაწერი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ბეგთაბეგისეული/გიორგი მეფისეული ხელნაწერის სახელით, რადგან იგი გადაუწერია გიორგი მეთერთმეტის დაკვეთით მის მდივან-მწიგნობარს, *ბეგთაბეგ თანიაშვილს* 1680 წელს. ესაა ხელნაწერი H-54, რომელიც ტექნიკური და ვიზუალური თვალსაზრისით *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ტექსტობრივად არ გამოირჩევა; 4. პელაგია გურიელ-წერეთლისამ დიმიტრი ყიფიანს მიაწოდა ცნობა იმის შესახებ, რომ საჩხერელ თავადს, ა. დავითის ძე წერეთელს, ჰქონია ძვირფასი ხელნაწერი, რომელიც სიძველითა და სანდოობით თვით პელაგიას კუთვნილ ხელნაწერს აღემატებოდა („*დროება*“, 1880, № 270). ესაა 1671 წელს *აღმურაანთ გასპარას* მიერ გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც ბეჟან წერეთლის ხელნაწერის სახელითაცაა ცნობილი (აღმურაანთ გასპარამ *ვეფხისტყაოსნის* სხვა ხელნაწერიც გადაწერა).

კომისიის პირველი სხდომა უნდა გამართულიყო 1880 წლის სექტემბრის დასაწყისში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. ძირითადი მიზეზი მაინც ხელნაწერთა უკმარისობა იყო. კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, პოემის ხელნაწერის რამდენიმე ეგზემპლარი საკმარისი არ იქნებოდა შესადარებლად, რადგან პირველ ეტაპზე კომისიას ხელთ მხოლოდ 10 ხელნაწერი ჰქონდა.

1881 წლის დამდეგისათვის. ასე თუ ისე, ეგზემპლარები მოგროვდა, სულ – 22 ხელნაწერი, მაგრამ ეს რაოდენობაც მოწმობს, რომ საზოგადოება დიდი გულისყურით არ მოჰკიდებია ამ ეროვნულ-კულტურული საქმის წამოწყებას. 1881 წლიდან მაინც შესაძლებელი გახდა მუშაობის დაწყება.1881 წლის თებერვალში *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობას შეუდგა. იონა მეუნარგია გაზეთ *დროების* ფურცლებზე მთელი წლის განმავლობაში დროდადრო აქვეყნებდა მუშაობის ანგარიშს.

*ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დამდგენმა კომისიამ პირველი სხდომის ჩატარება შეძლო 1881 წელს 6 თებერვალს, როდესაც სარედაქციო კოლეგია შეიკრიბა და მუშაობას შეუდგა. **სხდომას ესწრებოდნენ:** *გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია, პეტრე უმიკაშვილი, არქიმადრიტი გრიგოლი, სერგეი მესხი, ნიკო დადიანი, ივანე მაჩაბელი, თედო ჟორდანია, ილია წინამძღვრიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, დავით ჯორჯაძე, დიმიტრი დადიანი, გიორგი იოსელიანი, ვახტანგ თულაშვილი, მომავალი ჟურნალ იმედის ახალი რედაქტორი მიხეილ გურგენიძე*;

*ნესტან-დარეჯნის სქესიდამ სხდომას დაესწრნენ და ვარიანტის კითხვაში მონაწილეობა მიიღეს: კნ. ოლ. თად. ჭავჭავაძისამ, ქეთ. ირ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, კნ. ნინო ორბელიანისამ, ეკატ. გაბაშვილისამ და ა. შაიშმელოვისამ* (იმედაშვილი, 1957: 64). აკაკი წერეთელი არ ესწრებოდა სხდომას, რაც ყველასათვის მოულოდნელი და საკვირველი იყო. კომისიამ გადაწყვიტა, რომ კომისიის ანგარიშები საჯარო გაეხადა; შესაბამისად, იონა მეუნარგია, რომელსაც სხდომების მდივნობა დაევალა, გაზეთ *დროების* ფურცლებზე მთელი წლის განმავლობაში დროდადრო აქვეყნებდა მუშაობის ანგარიშს.

უკვე აღინიშნა, რომ პირველი სხდომის დაწყებისას კომისიას ხელთ ჰქონდა *22 ხელნაწერი.* იონა მეუნარგიამ ჩამოთვალა გამოცემები, რაც ხელთ ჰქონდათ და მოკლედ დაახასიათა შეგროვილი ხელნაწერები; მათ შორისაა *პოემის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი 1646 წლისა,* რომელიც ეკუთვნოდა ნიკო კორინთელს; ესაა *მამუკა თავაქალაშვილისეული ხელნაწერი,*

რომელიც მან გადაწერა დადიანის კარზე ტყვეობისას და დაურთო მინიატურები; ასევე, კომისიას ხელთ ჰქონდა ზემოხსენებული ბეჟან წერეთლის მემკვიდრეების წიგნი, *აღმურაანთ გასპარას* გადაწერილი ხელნაწერიც; სამი ეგზემპლარი *ნანუჩა ციციშვილის* მიერ გადაკეთებული; ოთხი – *ლარაძის* მიერ არტანუჯში ნაპოვნი წიგნებიდან *(შემდეგში ე. თაყაიშვილმა, ალ სარაჯიშვილმა, ა. შანიძემ, ს. ცაიშვილმა გაარკვიეს, რომ ეს ხელნაწერები არ იყო არტანუჯული რედაქციისა; მეტიც, არტანუჯული რედაქციის არსებობა არ დადასტურდა, მისტიფიკაცია აღმოჩნდა);* ხუთიოდე – გადმოწერილი ვახტანგ მეექვსისეული და 1841 წლის ნაბეჭდი წიგნებიდან, დანარჩენი კი-სხვადასხვა ვარიანტები პოემისა. *ხელნაწერ წიგნთა შორის კომისიის წევრთა კუთვნილი ხელნაწერებიც იყო.* საბოლოოდ, რედაქციას მუშაობის დაწყებისას ხელთ ჰქონდა კონკრეტულ პირთა ხელნაწერები, კერძოდ: *ელისაბედ ქავთარაძის, თავად დავით თუმანოვის, თავად ალექსანდრე მამაცოვის, თავად გიგო მუხრანსკის, ბატონ ზაქარია ჭიჭინაძის (სამი ცალი), თავად ალექსანდრა მელიქოვის, დიმიტრი ბაქრაძის, ეფრემ მარჯანიძის, თავად ბეჟან წერეთლის მემკვიდრეების, თავად ნესტორ წერეთლის, იოსებ მერკვილაძის, ნიკო კორინთელის, თავად რაფიელ ერისთავის, თავად გიორგი თუმანოვის, აღალო თუთაევის, პეტრე უმიკაშვილის, ბატონ კეზელისა და იონა მეუნარგიას პირადი ბიბლიოთეკებიდან* (იმედაშვილი,1957:71).

პირველი სხდომის ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის იონა მეუნარგიამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ თელავიდან *კნეინა ნინო ივანეს ასულმა ყარალოვმა* გამოგზავნა თავისი კუთვნილი *ვეფხისტყაოსანი;* ე.ი. *კომისიას 23 ხელნაწერი დაუგროვდა.* ამ წიგნების გარდა რედაქციას ჰქონდა ერთი ეგზემპლარი *ვახტანგ მეფის მიერ 1712 წელს გამოცემული რედაქციიდან;* 1841 წელს *მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილისა და ზაქარია ფალავანდიშვილის* მიერ გამოცემული *ვეფხისტყაოსანი*; 1860 წელს *დავით ჩუბინაშვილის* მიერ პეტერბურგში გამოცემული წიგნი; 1867 და 1875 წლებში თბილისში გამოცემული ეგზემპლარები პოემისა. რედაქციის თავმჯდომარის, გრიგოლ ორბელიანის, თქმით, ამ ხელნაწერებიდან უპირატესად მიიჩნევდნენ ვახტანგისეულ გამოცემას, რადგან *მეფეს შეეძლო უკეთესი ვეფხისტყაოსნები ეშოვნა და უკეთესი ვარიანტებიდან დაებეჭდა პოემის პირველი გამოცემა* (მეუნარგია.1881:3). მაგრამ *დროებაში* გამოქვეყნებულ ცნობებზე დაკვირვება მოწმობს, რომ კომისია აქტიურად იყენებდა მეორე გამოცემასაც, რადგან პირველსავე სხდომაზე *ბროსე-ზაქალავანდიშვილ-ჩუბინაშვილის სანკტ-პეტერბურგული გამოცემის* ტექსტსაც კითხულობდნენ. მათ მიზნად დაისახეს რუსთველის პოემის დედანთან მიახლოებული ტექსტის დადგენა ვარიანტების საშუალებით; ასევე, წიგნისთვის მცირე ლექსიკონის დართვა და განმარტებების შედგენა, ლიტერატურული მასალისათვის ჩანართი სტროფების აღწერა.

პირველსავე სხდომაზე გადაწყდა მუშაობის მეთოდი და ხანგრძლივობა, სულ 25 შეხვედრა დაიგეგმა. სხდომებზე თავმჯდომარეები იცვლებოდნენ, პირველ სხდომას გრიგოლ ორბელიანი თავმჯდომარეობდა. ოცდაორ წამკითხველს შორის დარიგდა 22 ხელნაწერი სათითაოდ და დაიწყო მუშაობა. იონა მეუნარგიამ თავის გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნა, რომ პირველ სხდომაზე ბროსეს გამოცემიდან *ტექსტს ხმამაღლა კითხულობდა რაფიელ დავითის ძე ერისთავი,* სხვები ხელნაწერებს ადევნებდნენ თვალს. წაიკითხეს 31 სტროფი და მასში 12 შესწორება შეიტანეს. გაზეთში გამოქვეყნებულ ანგარიშში ჩამოთვლილია ეს შესწორებები, რომელთაგან ზოგი მართებული იყო, ზოგი კი ეჭვს იწვევდა და შემდგომ გამოცემებში შესწორდა კიდეც. ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ სიტყვა *ვეფხვი* შეესწორებინათ და დაეწერათ *ვეფხი*; ეს წინადადება წამოაყენა გრიგოლ ორბელიანმა და კომისიამ იგი ერთხმად გაიზიარა; სტროფში მეოთხე ტაეპის წინ შემაერთებელი „და“ კომისიამ ზედმეტად მიიჩნია და იგი ამოღებულ იქნა, რადგან, კომისიის აზრით, იგი მე-17 მარცვლად აღიქმებოდა და რიტმს არღვევდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1888 წლის გამოცემაში მეოთხე ტაეპის წინ „და“ მართლა არ დაბეჭდილა[1].

1 რუსთველური „და“ არაერთგზის გამხდარა კვლევის საგანი სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, მისი რაობისა და დანიშნულების საკითხი განიხილეს ნ. მარმა, შ. ძიძიგურმა, ვ. ბერიძემ, ს. ცაიშვილმა.



მეორე სხდომა 17 თებერვალს გაიმართა და ტექსტს კითხულობდა *ილია ჭავჭავაძე,* რომლის ჩინებული, საოცრად ტკბილხმოვანი კითხვა, იონა მეუნარგიას დახასიათებით, ერთობ სასიამოვნო მოსასმენი იყო. ამ სხდომაზე 52 სტროფი წაიკითხეს. პირველი სხდომის შესწორებების თაობაზე *აკაკი წერეთელმა* გამოთქვა თავისი მოსაზრებები, რომელთა ნაწილი კომისიამ გაიზიარა, ნაწილი – არა. *26 თებერვალს სხდომას თავმჯდომარეობდა რაფიელ ერისთავი,* წაიკითხეს 23 სტროფი. *იონა მეუნარგიამ დროებაში* გამოქვეყნებულ ანგარიშში საგანგებოდ გამოყო 10 მარტის სხდომა, რიგით მეშვიდე, რადგან სხდომაზე იმყოფებოდნენ *ვეფხისტყაოსნის საუკეთესო მცოდნე ქალები. ამ სხდომას ესწრებოდა რაფიელ ერისთავი და აქტიურად მონაწილეობდა განხილვებში ტექსტის დასადგენად. ასევე, მე-16 სხდომას 24 აპრილს თავმჯდომარეობდა რაფიელ ერისთავი.* იონა მეუნარგიამ გაზეთში გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნა 13 მარტს გამართული მერვე სხდომის მიმდინარეობა, რომელზეც *კომისიის წევრები მოითხოვდნენ 88-ე სტროფის ამოღებას, რასაც მხარი არ დაუჭირეს რაფიელ ერისთავმა და თედო ჟორდანიამ.* იონა მეუნარგიასვე ცნობით, 1881 წლის ივნისში კომისიამ მუშაობა დროებით შეწყვიტა და კიდევ ერთხელ მიმართა საზოგადოებას, ეთხოვებინათ ხელნაწერები. იქვე ნახსენებია ცნობა ერთ-ერთი ხელნაწერის შესახებ, რომლის მიხედვით, ნიკოლოზ ელიოზოვის ოჯახში პლატონ იოსელიანს უნახავს *ალექსანდრე მეფის* (1443 წ.) ნაქონი *ვეფხისტყაოსანი,* რომლის მოძებნა სურდათ, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. ეს ხელნაწერი დღემდე დაკარგულია.

კომისიამ მუშაობა განაახლა შემოდგომაზე. 6 თებერვლიდან მოყოლებული, სხდომები ტარდებოდა საადგილმამულო ბანკის შენობაში. გაზეთ *შრომაში,* ქუთაისში, 28 ოქტომბრის მეცხრე ნომერში, გამოქვეყნდა ცნობა ბანკის შენობაში შეკრებილი კომისიის წევრთა შენობიდან ბანკის თანამშრომელთა მიერ გაყრის თაობაზე, რომლებმაც განაცხადეს, ნაბრძანები გვაქვსო, რის გამოც *დროების* რედაქტორი *თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე ამ ურიგო საქციელისთვის უჩიოდა საადგილმამულო ბანკის მმართველს, თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს,* რაც საკმაოდ კურიოზულად გამოიყურებოდა, რადგან სრულიად ნათელი იყო, რომ ბრძანების გამცემი ილია ჭავჭავაძე არ იყო, ცხადია, არც მისი თანათავმჯდომარე სერგეი მესხი. ეს ცნობა ირიბად მიუთითებს, რომ ბრძანება, როგორც ჩანს, ცენზურიდან მოდიოდა. 1881 წლის 29 ოქტომბერს გაზეთ *დროებაში ქაიხოსრო გელოვანმა* გამოაქვეყნა მომცრო წერილი, რომელშიც აღშფოთება გამოხატა საადგილმამულო ბანკის შენობაში *ვეფხისტყაოსნის* სარედაქციო კოლეგიის სხდომების აკრძალვის გამო (*დროება.* 1881, № 271).

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა, კომისიამ იმუშავა მთელი 1881 წლის განმავლობაში და თავისი დროის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური დონის ტექსტი მოამზადა გამოსაცემად, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი გახდა *გიორგი ქართველიშვილის* მეცენატობით 1888 წელს. ამ გამოცემის სტერეოტიპული ასლი გამოქვეყნდა 1988 წელს. პოლიგრაფიული თვალსაზრისით *ქართველიშვილისეული* გამოცემა ერთ-ერთი საუკეთესოა *ვეფხისტყაოსნის* გამოცემათა შორის, მაგრამ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, იგი სათანადოდ მომზადებული არ იყო, რაზეც მიუთითებდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში. ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გამოცემის მომზადებაში არ მონაწილეობდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების ის პროფესორები, რომელთაც ხელეწიფებოდათ ტექსტოლოგიური მუშაობის წარმართვა და, მეტ-ნაკლებად, ჰქონდათ საამისო გამოცდილებაც (ჯავახიშვილი, 1956: 8). იგულისხმებოდნენ *დავით ჩუბინაშვილი* და *ალექსანდრე ცაგარელი,* რომლებიც კომისიის წევრებად იყვნენ არჩეულნი, რამდენიმე სხდომის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ დასახელებულ ქალაქებში საუნივერსიტეტო პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობა კომისიაში აქტიური თანამშრომლობის საშუალებას არ აძლევდა. ამიტომ, მიუხედავად ქართველ მწერალთა და თბილისელ მეცნიერთა უდიდესი ძალისხმევისა რუსთველის პოემის ტექსტის დასადგენად, კომისიამ ვერ ჩაატარა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, რადგან არ იყო შესწავლილი პოემის ტექსტის ისტორია, არ იყო განსაზღვრული ხელნაწერთა და იმ დროისათვის არსებულ გამოცემათა მნიშვნელობა, განსაკუთრებით ვახტანგისეული, ბროსე-ჩუბინაშვილ-ფალავანდიშვილისეული და ჩუბინაშვილისეული გამოცემების ღირსება-ნა-

კლოვანებები. ამის გამო 1888 წლის გამოცემამ სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, სარედაქციო კომისიის მუშაობას ამაოდ არ ჩაუვლია, რადგან კომისიის წევრები *ტექსტს ზოგად ესთეტიკისა და ლოგიკური კავშირის თვალსაზრისითა და საზომით მიუდგნენ: წინათ ხომ ასეთი განხილვა არავის სერიოზულად ფიქრადაც არ მოსვლია* (ჯავახიშვილი, 1956: 8).

1888 წლის გამოცემისათვის *ვეფხისტყაოსნის* ილუსტრირებისა და მხატვრული გაფორმების საქმეში საგანგებოდ უნდა აღინიშნოს *მიხაი ზიჩისა* და *გრიგოლ ტატიშვილის* უდიდესი წვლილი. გამოცემისთვის სპეციალურად ჩამოასხმევინეს ახალი შრიფტი, ილუსტრაციები დაუკვეთეს საგანგებოდ ამ საქმისათვის მოწვეულ რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვარს – მიხაი ზიჩის, ეროვნებით უნგრელს, რომელმაც თავისი შემოქმედების ეს საუკეთესო ნიმუშები საქართველოს უსასყიდლოდ დაუტოვა (მიხაი ზიჩის ღვაწლის შესახებ: შარაძე, 1978). მიხაი ზიჩის მიერ წიგნისათვის 27 ილუსტრაცია შეიქმნა. ამათგან ერთი ფერადი ილუსტრაციაა, რომელიც პეტერბურგში დამზადდა, ხოლო სურათების ცინკოგრაფიული დამუშავება თვით ზიჩიმ შეუკვეთა უცხოეთში.

ცნობილია, რომ მიხაი ზიჩიმ ქართული ენა არ იცოდა, მას გაუჭირდებოდა ქართული თხზულების ღრმა და საფუძვლიანი წვდომა ახსნა-განმარტების გარეშე. ამიტომ, ილია ჭავჭავაძის წინადადებით, გადაწყდა პოემის თარგმნა რომელიმე ევროპულ ენაზე, რაც იკისრა იონა მეუნარგიამ, რომელსაც საფრანგეთსა და ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტში ჰქონდა განათლება მიღებული და შესანიშნავად იცოდა ევროპული ენები, მათ შორის ფრანგული ენა. მხატვარს მალევე ხელთ ჰქონდა *იონა მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი,* რომლის გამართვაში მთარგმნელს კონსულტაციებს უწევდნენ და ეხმარებოდნენ *ფრანგი ჟულ მურიე, ავსტრიელი ბერტა* და არტურ ზუტნერები.

ზიჩი საქართველოში ჩამოვიდა 54 წლის ასაკში. მას ლერმონტოვის *დემონისათვის* უნდა შეექმნა ილუსტრაციები. იგი იმყოფებოდა თბილისშიც. როდესაც მიხაი ზიჩის რუსთველის პოემის დასურათება შესთავაზეს, თავდაპირველად თანხითაც იყო დაინტერესებული, მაგრამ ქართველი საზოგადოების გაცნობის შემდეგ უარი განაცხადა გაწეული სამუშაოს საფასურის აღებაზე. იმდენად შეუყვარდა საქართველო, რომ უნგრეთში ჩასული დაუკავშირდა იქაურ საზოგადო მოღვაწეს *ბელა ვიკარს,* რომელსაც ასევე შეაყვარა რუსთველის პოემა, რის შემდეგაც თარგმნა *ბელა ვიკარმა ვეფხისტყაოსანი* უნგრულ ენაზე და 1917 წელს გამოსცა უნგრეთში.

ეს ევროპულ ენაზე და, საერთოდ, მსოფლიოში რუსთველის ქმნილების სრულად თარგმნის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო. მას წინ უსწრებდა *მარჯორი უორდროპის* მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებული პროზაული თარგმანი.

*ვეფხისტყაოსნის* ილუსტრაციებზე მუშაობის დაწყებამდე მიხაი ზიჩი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ტიპაჟების შესარჩევად ცოცხალ სურათებს დგამდა პოემის ცალკეული ეპიზოდისათვის. მასში მონაწილეობდნენ სილამაზითა და მოხდენილობით განთქმული ქართველი მანდილოსნები და ვაჟკაცები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. თამარ მეფისათვის *პოემის მირთმევის* ცნობილ სცენაში თამარ მეფეს განასახიერებდა *ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა,* რომლის მშვენიერებას პოეტმა *გიორგი შარვაშიძემ* ლექსი მიუძღვნა; შოთა რუსთველს – პოეტი *მამია გურიელი,* ხოლო *ვეფხისტყაოსნის* გმირებიდან: *ტარიელს – პოეტი გიორგი შარვაშიძე, ნესტან-დარეჯანს – დესპინე ფაღავა, თინათინს – ნინო წერეთელი, ფატმანს – მარიამ მირიანაშვილი, როსტევანს – რუსეთ-თურქეთის ომის გმირი, გურიის ლაშქრის უფროსი ქაიხოსრო ქაჯაია.* ამათ გარდა, ცოცხალ სურათებში მონაწილეობდნენ: *დიმიტრი წერეთელი, მარო მაჩაბელი, ანტონ წულაძე, ჯაბა გურიელი, დადეშქელიანი* და სხვები.

ჟურნალ *ივერიაში* გამოქვეყნებულ სტატიაში ქართული თეატრის შესახებ პეტრე უმიკაშვილი გაკვრით აღნიშნავდა, რომ *ვეფხისტყაოსნის* ცოცხალი სურათების დადგმის მნიშვნელობა მიხაი ზიჩის ილუსტრაციების მიხედვით, რომლებიც თეატრსა და სხვა შენობებში იდგმებოდა, ხალხს მიიზიდავდა თეატრში და ვარაუდობდნენ, რომ ქართულ თეატრსაც ეშველებოდა (უმიკაშვილი, 1885: 122-133; იმედაშვილი, 1957: 102).

ზემოთ აღინიშნა, რომ წიგნის გაფორმებაზე იმუშავა *გრიგოლ ტატიშვილმა,* რომელიც პირველი ქართველი გრავიორი მხატვარ-ქსილოგრაფი იყო; თავის დროზე მან გააფორმა იაკობ გოგებაშვილის *დედა ენა* და *ბუნების კარი,* რუსთველის *ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული* გამოცემა, *ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, შიო მღვიმელის, ავქსენტი ცაგარელის* თხზულებათა გამოცემები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გრავიურა *გრიგოლ ტატიშვილს* დაუმზადებია *ვეფხისტყაოსნის* 1888 წლის გამოცემისათვის.

მას საგანგებოდ სთხოვეს წიგნის მხატვრულად გასაფორმებლად საჭირო ესკიზების დამზადება, რისთვისაც გამოიყენა ძველი ქართული ხელნაწერების საზედაო და სათაურის ასოები, ძველი ეკლესიების ფრესკული მხატვრობა და ჩუქურთმები. მან შემოიარა და გადმოხატა ქართული ეკლესია-მონასტრების ჩუქურთმების მოხაზულობა, გრაფიკულად დაამუშავა, გაეცნო ძველი ქართული ხელნაწერების მხატვრული გაფორმების ელემენტებს, თავსამკაულებსა და ბოლოსამკაულებს, რამაც ქართველიშვილისეული გამოცემა მხატვრული გაფორმებისა და დასურათების ბრწყინვალე ნიმუშად აქცია, რის შედეგადაც ამ წიგნმა პოლიგრაფიული თვალსაზრისით 1901 წელს იოჰან გუტენბერგის მშობლიურ ქალაქში, მაინცში, გამართულ წიგნის კონკურსზე *გუტენბერგის სახელობის ჯილდო* დაიმსახურა, ხოლო მაინცის ქალაქისთავმა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას* შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: *ეს მშვენიერი საჩუქარი სასახელოა ქართული სტამბისათვის და სამუდამოდ უნდა დარჩეს გუტენბერგის ქალაქში.* უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ტატიშვილმა შექმნა ქართული, სომხური და რუსული სააფიშო შრიფტი. 1892 წელს გამოსცა ალბომი *ქართული ანბანი,* 1900 წელს *ქართული ჩუქურთმა,* რომელმაც პარიზში მსოფლიო გამოფენაზე ქების ფურცელი დაიმსახურა.

როცა *ვეფხისტყაოსნის* ტექსტი მომზადდა და მისი გამოცემის ტირაჟის საკითხი დაისვა, ილია ჭავჭავაძემ 2000 ცალის დაბეჭდვა მოითხოვა; აღნიშნა, რომ ქართველ ხალხში *ვეფხისტყაოსანზე* ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო და არის. ძველად ამ პოემას ქალებს მზითევში ატანდნენ და ახლაც ასე იქნებაო. *დავით ერისთავს* ამის გამო *ილიასთვის* უთქვამს: *ძველად არ ვიცი, მაგრამ ახლანდელი სასიძოები ასეთ მზითევს არ დასჯერდებიან-ო.*

როგორც მიუთითებენ, დაიბეჭდა *2700* ცალი. გამოცემა იმდენად მდიდრული და ძვირფასი აღმოჩნდა, რომ კომისია დაივიწყეს და ის გამომცემლის სახელით გავრცელდა. ქართველიშვილისეულის სახელით ცნობილი ეს მდიდრული გამოცემა დაიბეჭდა და გამოვიდა 1888 წელს.

*ვეფხისტყაოსნის* 1888 წლის გამოცემაზე ინიციატორთა მუშაობამ იმ მხრივაც შეასრულა დადებითი როლი, რომ შემდგომში სტიმული მიეცა რუსთველის პოემის ნუსხათა შეკრებისა და აღწერის საქმეს. ამ მხრივ ენერგია, დრო და სახსრები არ დაიშურა დიდმა მეცნიერმა *ექვთიმე თაყაიშვილმა,* რომელმაც გამოავლინა და შეაგროვა *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერები, მათ შორის საუკეთესო ეგზემპლარები. მან არაერთი მათგანი გადაარჩინა დაღუპვას, დაკარგვას, შეადგინა ხელნაწერთა კატალოგი, აღწერა და მოგვცა მათი ზუსტი კლასიფიკაცია. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვით, მან შეძლო სხვადასხვა გზით თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი ხელნაწერის შეგროვება, რომელთა შორის ზოგიერთი ძალზე საყურადღებო გამოდგა, როგორც ვარიანტებით, ისე საუცხოო მხატვრობითა და აშიათა შემკულობით. საერთოდ კი მოკრიბა ცნობა *24 ხელნაწერის* შესახებ და თვითონვე ამბობდა, რომ ზოგი მათგანის შეძენა პირდაპირ საარაკო თავგადასავლად იქცა თვით ხელნაწერთათვისაც, მათი პატრონებისათვისაც და ჩემთვისაცო. მათ შორის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხელნაწერები შეიძინა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის.

მოკლე ცნობა *ვეფხისტყაოსნის* 1888 წლის გამოცემის შესახებ:

ვეფხისტყაოსანი – ტფილისი, გამოცემული გ.დ. ქართველიშვილის მიერ, ი. მარტიროსიანცის

სტამბა. 1888.– ყდა, 359 გვ. [26] ჩართ. ფურც. ილ. (34 x 26) – სურათები: მხატვარი მიხაი ზიჩი; სურათების ფოტო-ცინკოგრაფია – ვ. ანგერერი (ვენა); ფერადი ილუსტრაცია – ქრომოლითოგრაფია – ბრეზე (პეტერბურგი); არშიები (Sic!), მთავრული ასოები და ბოლო სამკაულები – გრიგოლ ტატიშვილი, ამომჭრელი – ლემანი (პეტერბურგი). მხატვრობა გადმოღებულია საქართველოს სიძველეებიდან. გამოცემაზე პასუხისმგებელი – ივანე მაჩაბელი, რომელმაც წაიკითხა ბეჭდური გამოცემისათვის მომზადებული საბოლოო ტექსტი და თვალყურს ადევნებდა სტამბის საქმიანობას. ახლავს დანართი: „გამომცემლობისაგან“. მწვანე ყდა. ოქროტვიფრული ორნამენტი ჩარჩოს სახით გასდევს ყდის პირველ ფრთას, რომლის შუაგულში შოთა რუსთველის მოოქრული პორტრეტია; ფორზაცი თეთრი მუარისებრი. ფერადი ფრონტისპისი. ილუსტრაციები ვიქტორ ანგერერსვენის ფოტოცინკოგრაფიაში დაუმზადებია. წიგნის სათაური ასოებისა და ორნამენტების შესრულებისას პირველმა ქართველმა გრავიორ-ქსილოგრაფმა, გრიგოლ ტატიშვილმა ძველი ქართული ხელნაწერებითა და ციხე-ეკლესიების ორნამენტებით ისარგებლა, ხოლო წიგნის სამკაულები ბრეზეს ქრომოლითოგრაფიაში განახორციელა.

აღსანიშნავია, რომ *ვეფხისტყაოსნის* ამ გამოცემის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის ცენზურისაგან 1887 წელს კომისიამ თანხმობა მიიღო. წიგნის გამოსაცემად დამზადდა ახალი შრიფტი, სათაურის ასოები, სხვადასხვა ქართული ტაძრებიდან აღებული ორნამენტები, გასაფორმებელი ნახატები. მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით გაფორმებული *ვეფხისტყაოსანი* გამოიცა 1888 წელს და ისტორიაში შევიდა, როგორც ქართველიშვილისეული გამოცემა. *ვეფხისტყაოსნის* გამოცემაზე დაიხარჯა 12000 მანეთი. გიორგი ქართველიშვილმა გამოცემის მთელი ტირაჟი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა საჩუქრად და მისგან შემოსული თანხით სტამბის გამართვის საკითხი დააყენა.

რუსთველის პოემისადმი სიყვარული და ინტერესი რაფიელ ერისთავს სხვა დროსაც გამოუხატავს. მნიშვნელოვანია გაზეთ *დროებაში* 1885 წლის 9 და 10 მარტს გამოქვეყნებული ცნობები (9.03, № 52; 10.03. № 53), რომლებიც გვამცნობენ, რომ *არწრუნისეული თეატრის შენობაში რაფიელ ერისთავმა წაიკითხა საჯარო ლექცია IV-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის შესახებ და ყველაზე ვრცლად ისაუბრა შოთა რუსთველსა და მის ვეფხისტყაოსანზე.* გაზეთის 53-ე ნომერში რ. ერისთავს უსაყვედურეს, რომ მან წუნი დასდო *ვეფხისტყაოსანს* იმაში, რომ მისი გმირები იდეალს არ წარმოადგენენ და ავტორი უბრალო კაცებს გვიხატავს თავიანთი სიკეთითა და სიავითო. ამავე დროს, აქებდა, რომ *ღვთისმოყვარეობა უმთავრესს თვისებას შეადგენს მასში გამოხატული პირებისა* (*დროება*, 1885, № 53).

ამრიგად, როგორც დროებიდან დამოწმებული მასალა და ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, ვეფხისტყაოსანის ტექსტის დამდგენი კომისიის შედგენის ინიციატივა ეკუთვნით *რაფიელ ერისთავს, იაკობ გოგებაშვილსა და იონა მეუნარგიას*. ამაში წვლილი უნდა მიუძღოდეს იმ ფაქტს, რომ პატარა რაფიელს *ვეფხისტყაოსნის* სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაუნერგა *დედამ, ნინო ავთანდილის ასულმა ამილახვარმა*, და აზიარა მის სიბრძნეს, როდესაც *ასმენდა ვეფხისტყაოსანს;* შესაბამისად, რაფიელ ერისთავს კარგად ჰქონდა გათავისებული რუსთველის პოემის როგორც შინაარსი, ისე მისი მნიშვნელობა-ფასეულობა ქართველთათვის, რაც არაერთგზის აღინიშნა მის ბიოგრაფიაში.

დროებაში გამოქვეყნებული საინფორმაციო სტატიით ირკვევა, რომ ამ დიდი საქმის ინიციატორი ილია ჭავჭავაძე არ ყოფილა. ამ სტატიით რაფიელ ერისთავმა, იაკობ გოგებაშვილმა და იონა მეუნარგიამ მიმართეს კომისიის მომავალ წევრებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძეს, მონაწილეობა მიეღოთ სარედაქციო საქმიანობაში. *რაფიელ ერისთავი აქტიურად იყო ჩართული ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, იყო რამდენიმე სხდომის თავმჯდომარე, ტექსტის წამკითხველი და ტექსტის დადგენის მონაწილე. კომისიას სამუშაოდ სხვა ხელნაწერებთან ერთად ჰქონდა მისი კუთვნილი წიგნი რუსთველის პოემისა. აგრეთვე, რაფიელ ერისთავი მონაწილეობდა ვეფხისტყაოსანის ილუსტრაციებისათვის შესაქმნელად ცოცხალი სურათების დადგმაში. მანვე არწრუნისეული თეატრის შენობაში შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესახებ საჯარო მოხსენებაც წაიკითხა, გამოთქვა მოსაზრებები ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა რაგვარობის თაობაზე, რაც მიუთითებს მის დამოკიდებულებას და სიყვარულს შოთა რუსთველის პოემისადმი.*



## დასკვნა

რაფიელ ერისთავი იყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა XIX საუკუნის მიწურულს *ვეფხისტყაოსნის* ახალი გამოცემის მომზადების ინიციატორთა შორის იაკობ გოგებაშვილთან და იონა მეუნარგიასთან ერთად. იგი არა მხოლოდ იდეის ავტორი იყო, არამედ აქტიურად მონაწილეობდა კომისიის მუშაობაში, თავად იყო რამდენიმე სხდომის თავმჯდომარე და უშუალოდ ერთვებოდა ტექსტის დადგენის პროცესში. გარდა ამისა, რაფიელ ერისთავს კომისიისთვის გადაცემული ჰქონდა საკუთარი *ვეფხისტყაოსნის* ხელნაწერი; ყოველივე ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამუშაოს შესრულებაში. მისი ინტერესი პოემისადმი გამოიხატებოდა სხვადასხვა აქტივობაშიც, მათ შორის, ილუსტრაციებისთვის ცოცხალი სურათების დადგმასა და პოემის შესახებ საჯარო მოხსენების წაკითხვაში.

## ბიბლიოგრაფია


იმედაშვილი, გ. (1957). *რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია*, თბილისი.

შარაძე, გ. (1978). *მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა*, თბილისი, *ხელოვნება*.

ჯავახიშვილი ი. (1956), *ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები*, თბილისი.

*დროება*. 1880, №№ 143; 163; 241; 259; 270.

*დროება*. 1881, №№ 31; 42; 271.

*დროება*. 1885, № 53.

*ივერია*. 1885, № 1.



*ნესტან სულავა*
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Nestan Sulava*
PhD in Philology,
Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Samtskhe-Javakheti State University.
ORCID-ID: 0000-0002-7808-8722



# *ცოცხალი სურათების* საწყისებთან

## აბსტრაქტი


ნაშრომში განხილულია *ცოცხალი სურათების* ისტორიის საწყისები საქართველოში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ცოცხალი სურათების საწყისი არ უკავშირდება არც *ვეფხისტყაოსანს* და არც უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის სახელს. სადღეისოდ არსებული წყაროების მიხედვით, *ცოცხალი სურათების* დადგმის უადრესი შემთხვევა 1859 წლით თარიღდება, როდესაც ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, *ძველი აღთქმის* და *მეფე ლირის* ინსცენირება შედგა. მომდევნო მნიშვნელოვან ცნობას რაფიელ ერისთავის წერილში ვხვდებით, სადაც დაცულია ინფორმაცია 1863 წელს, ზუგდიდში, ცოცხალი სურათების დადგმის შესახებ. ეს ორი, ილიასა და რაფიელთან დაკავშირებული ეპიზოდი, ცოცხალი სურათების ტრადიციას საქართველოში ორი ათეული წლით აძველებს. აღსანიშნავია, რომ რაფიელ ერისთავის წერილის შავი პირი, როგორც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყარო, პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ჩვენამდე მოღწეულია მ. ლერმონტოვის პოემის *დემონის* სიუჟეტზე დადგმული *ცოცხალი სურათების* უცნობი ავტორის ფოტოები. ამ ფოტოებს მიხაი ზიჩის სცენოგრაფიას უკავშირებდნენ. თუმცა, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, 1871 წლის 27 სექტემბრით დათარიღებული აფიშა, სახელწოდებით *Живыя Картины*, ცხადყოფს, რომ აღნიშნული ფოტოები ასახავს ქუთაისში განხორციელებულ დადგმას და ზიჩის სცენოგრაფიასთან არ არის კავშირში.

ამ წარმოდგენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა თეოდოსია ერისთავი, რაფიელ ერისთავის მეუღლე. აფიშა და ფოტოხელოვნების საშუალებით შემონახული *ცოცხალი სურათების* ქუთაისური სერია წარმოადგენს დამაჯერებელ დოკუმენტურ მტკიცებულებას, რომ *დემონის ცოცხალი სურათები* საქართველოში იდგმებოდა მიხაი ზიჩის ჩამოსვლამდე ათი წლით ადრე. შესაბამისად, ზიჩს საქართველოში *დემონის* ცოცხალი სურათები არ დაუდგამს, ეს ფოტომასალა 1871 წელს ქუთაისში განხორციელებულ დადგმას ეკუთვნის.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ ზიჩი უშუალოდ არ მონაწილეობდა ამ დადგმაში, მისი შემოქმედება უკვე ამ დროისათვის დადგმის ავტორებისათვის ცნობილი იყო. ამას ადასტურებს თეოდოსია ერისთავისა და ჯაბა გურიელის მონაწილეობით განხორციელებული წარმოდგენა, რომელიც დაიდგა ზიჩის სიმონსისეული გრავიურის მიხედვით. ამ სცენის ამსახველი ფოტო გამოქვეყნებულია ჟიულ მურიეს (J. Mourier) ფრანგულენოვანი ჟურნალის – LE CAUCASE ILLUSTRE-ს, 1890 წლის თებერვლის ნომერში, სათაურით *TYPES DU CAUCASE – PRINCESSE GEORGIENNE JOUANT DU „TCHONGOURI“.*

მიხაი ზიჩის საქართველოში ჩამოსვლის თარიღიდან და თანადროული პრესის მონაცემებიდან გამომდინარე დგინდება, რომ *ვეფხისტყაოსნიდამ ცოცხალი სურათების* დადგმა თბილისის თეატრის ქართული დრამატული დასის არტისტებისათვის მის ჩამოსვლამდეც კარგად ცნობილი პრაქტიკაა. ასევე, ირკვევა, რომ საქართველოში *ცოცხალი სურათები* იდგმებოდა როგორც თეატრალური წარმოდგენის ან ლიტერატურული საღამოს დასასრულს, ისე პრივატულ წვეულებებზე. არსებული წყაროები მოწმობს ამ პრაქტიკის გავრცელებას არა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქში, არამედ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში. *Tableaux Vivants* იდგმებოდა როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, ზუგდიდში და სხვა ქალაქებში, რაც მიუთითებს დადგმის ამ ფორმის ფართო გეოგრაფიულ და კულტურულ რეზონანსზე.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან *Tableaux Vivants* და აპოთეოზი თანდათან იქცევა ქართული სცენოგრაფიის ორგანულ ნაწილად და ქართველი არისტოკრატიის თავშექცევის ერთ-ერთ პოპულარულ ფორმად.

**საკვანძო სიტყვები:** ვეფხისტყაოსანი; ცოცხალი სურათები; რაფიელ ერისთავი; მიხაი ზიჩი; LE CAUCASE ILLUSTRE; თეოდოსია ერისთავი; ილია ჭავჭავაძე; *აპოთეოზი; Tableaux Vivants.*

## AT THE ORIGINS OF *TABLEAUX VIVANTS*

## ABSTRACT

The paper explores the origins of *tableaux vivants* (living pictures) in Georgia. The research found that the beginnings of this practice are not connected to either *The Knight in the Panther's Skin* or the Hungarian artist Mihály Zichy. According to existing sources, the earliest known instance of staging *tableaux vivants* dates back to 1859, when, under the initiative of Ilia Chavchavadze, scenes from the Old Testament and *King Lear* were performed. The next significant reference appears in a letter by Raphiel Eristavi, which contains information about living pictures staged in Zugdidi in 1863. These two episodes, connected to Ilia and Raphiel respectively, push back the tradition of *tableaux vivants* in Georgia by two decades. It is also noteworthy that the draft version of Raphiel Eristavi's letter, as a multifaceted and important documentary source, is being introduced into scholarly circulation for the first time.

Photographs of *tableaux vivants* based on M. Lermontov's poem *The Demon*, created by an unknown author, have been preserved to this day. These photographs were previously attributed to the scenography of Mihály Zichy. However, a poster dated September 27, 1871, held in the Georgian National Archive, titled *Живыя Картины* (Living Pictures), confirms that these photographs depict a performance that took place in Kutaisi and are not connected to Zichy's scenographic work.

One of the main participants in this performance was Theodosia Eristavi, the wife of Raphiel Eristavi. The poster and the series of *tableaux vivants* from Kutaisi, preserved through early photography, serve as compelling documentary evidence that *The Demon* was performed in the form of living pictures in Georgia ten years before Mihály Zichy's arrival. Accordingly, Zichy did not stage *The Demon* as *tableaux vivants* in Georgia; the photographic material belongs to a production staged in Kutaisi in 1871.

It can be stated with certainty that, although Zichy did not directly participate in the production of this performance, his work was already known to those involved at the time. This is confirmed by a mise-en-scène featuring Theodosia Eristavi and Jaba Gurieli, which was staged based on the engraving *Simons* by Zichy. A photograph depicting this scene was published in the French-language magazine *Le Caucase Illustré,* by Jules Mourier (J. Mourier), in the February 1890 issue, under the title *Types du Caucase – Princesse géorgienne jouant du Tchongouri.*

Based on the date of Mihály Zichy's arrival in Georgia and information from the contemporary press, it can be determined that the staging of living pictures from *The Knight in the Panther's Skin* (*Vepkhistkaosani*) was already a well-established practice among the actors of the Georgian Dramatic Troupe at the Tbilisi Theatre prior to his arrival. It also becomes evident that in Georgia, *tableaux vivants* were performed both as a conclusion to theatrical performances or literary evenings and at private gatherings. Existing sources attest to the spread of this practice not only in the country's capital but also across its western and eastern regions. *Tableaux vivants* were staged in Tbilisi, Kutaisi, Zugdidi, and other cities, indicating the wide geographical and cultural resonance of this form of performance.

From the 1850s onward, *tableaux vivants* and apotheosis gradually became an integral part of Georgian scenography and one of the popular forms of entertainment among the Georgian aristocracy.

**Keywords**: The Knight in the Panther's Skin; Living Pictures; Raphiel Eristavi; Mihály Zichy; LE CAUCASE ILLUSTRE; Theodosia Eristavi; Ilia Chavchavadze; Apotheosis; *Tableaux Vivants.*

## შესავალი

ნაშრომი მიზნად ისახავს, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ შეხედულებათა (გორგიძე, მ. 1959; ქვლივიძე, მ. 1960; ბოლქვაძე, ს.; ფერაძე, თ. 1960; ცაიშვილი, ს. 1961; ფერაძე, თ. 1964; Горгидзе, М. 1965; ადეიშვილი, შ. 1966; გორდეზიანი, ბ. 1966; ქვლივიძე, მ. 1967; თულიანი, რ. 1972; შარაძე, გ. 1978) ფონზე, ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ფორმის, ცოცხალი სურათების *(Tableaux Vivants)* ტრადიციის ისტორიულ კონტექსტში გააზრებას.

კვლევის ამოცანაა, *Tableaux Vivants*-ის შესახებ ახალი წერილობითი და ვიზუალური წყაროების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და აღნიშნული ტრადიციის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში განხილვა. კვლევის შედეგად, სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილია რაფიელ ერისთავის წერილის ავტოგრაფის შავი პირი, რომელიც მრავალმხრივ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტის ინფორმაცია *ცოცხალი სურათების* ტრადიციის დათარიღების დასაზუსტებელი ერთ-ერთი პირველწყაროა; ასევე, ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის, ფასდაუდებელი წყაროა *ცოცხალი სურათების* ქუთაისში შემდგარი წარმოდგენის აფიშა და თანადროული ფოტომასალა.

## კვლევის მეთოდი

კვლევა ეფუძნება მონოგრაფიული კვლევის მეთოდს, რაც უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ ანალიზს. კვლევის მეთოდი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

წყაროების *(როგორც გამოქვეყნებული, ასევე გამოუქვეყნებელი* – ისტორიული დოკუმენტები, თანადროული პრესის მონაცემები, ვიზუალური წყაროები, მათ შორის, თეატრალური აფიშა, ფოტომასალა და სხვა) სისტემურ მოძიებას, შესწავლას, ანალიზს, არსებული ლიტერატურისა და პირველწყაროების შედარებით ანალიზს; არსებული აკადემიური ნარატივების კრიტიკულ გაანალიზებას; შედარებითი და ინტერპრეტაციული მეთოდების გამოყენებას.

კვლევის საბოლოო ეტაპი მოიცავს შედეგების ინტერპრეტაციასა და პრეზენტაციას, რაც მიზნად ისახავს *Tableaux Vivants*-ის, როგორც ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ფორმის, ქართულ ისტორიულ კონტექსტში გააზრებას.

## შედეგი და მსჯელობა

*Tableaux Vivants*-ის წინამორბედად შეიძლება შუა საუკუნეების რელიგიური რიტუალები და საკარნავალო წარმოდგენები ჩაითვალოს. ამ წარმოდგენების მთავარი მახასიათებლებია სიმბოლიზმი, მასობრიობა და სანახაობრივი პომპეზურობა. ამ ეპოქის სანახაობები გროტესკულობითა და მასშტაბურობითაა გამორჩეული (Huizinga,1996:306). დროთა განმავლობაში ეს ფორმა ტრანსფორმირდა, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, უფრო ინტიმური, არისტოკრატული სახე მიიღო და ევროპული არისტოკრატული წრეების სალონური კულტურის ნაწილად იქცა.

პატრის პავის განმარტებით, Tableaux Vivants ქანდაკების ან ფერწერული ნამუშევრის ამსახველი სტატიკური სცენა, სასცენო პრაქტიკის ელემენტი, უანრობრივი სურათი და მომენტალური კადრის ილეთია (Patrice Pavy,1991:139). ცოცხალი სურათების სცენოგრაფიაში ესთეტიკურ შთაბეჭდილებას არა მოძრაობა, არამედ გამომსახველობა, პოზა და კომპოზიცია ქმნიდა. ეს იყო ხელოვნების საშუალებით გაყინული დრო, სადაც მოქმედება ვიზუალური გამომსახველობით იყო ჩანაცვლებული და ემოციურად დატვირთულ, ესთეტურად სრულყოფილ კადრს ქმნიდა.

ამ პერიოდის წარმოდგენები ხშირად ინდივიდუალური იმპროვიზაციაა – ინდივიდუალური პერფორმანსის ნიმუში. მაგალითად, ემმა ჰარტის, იგივე ლედი ჰამილტონის ატიტიუდები. არტისტი ცვალებადი პოზებით კლასიკური მითოლოგიის პერსონაჟების ცოცხალ იმიტაციებს ქმნიდა. ემმა ჰარტის წარმოდგენები გამოირჩეოდა პოზების მკაფიოობით, გამომსახველობითი პლასტიკით და კოსტიუმების სიმბოლურობით.



დროთა განმავლობაში ინდივიდუალური პერფორმანსები სტატიკურმა ჯგუფურმა წარმოდგენებმა ჩაანაცვლა. ამ სახის წარმოდგენები, შინაარსობრივად, ისტორიულ მოვლენებს ან მხატვრულ ნაწარმოებებს ასახავდნენ. ასეთი სცენები, როგორც წესი, ხანმოკლე იყო – თითოეულ კომპოზიციას მცირე პაუზის შემდგომ ახალი მიზანსცენა ანაცვლებდა. პაუზის ეფექტს, ხშირად, ფარდის დაშვება ქმნიდა, რაც სცენურ მონაცვლეობას დრამატულ ელფერს მატებდა. გამომსახველობითი პოზების ჰარმონიითა და სცენური კომპოზიციის სიზუსტით შექმნილი მოძრაობის ილუზია აუდიტორიაზე ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას ახდენდა. ასეთი სახის სცენებს ქმნიდნენ მადამ ჟანლისი და მხატვრები – ჟაკ ლუი დავიდი და ჟან ბატისტ იზაბე. მათი ვიზუალურად გამორჩეული და ემოციურად დატვირთული სცენური კომპოზიციების შინაარსს ისტორიული და ალეგორიული თემატიკა განსაზღვრავდა.

ამ პერფორმანსებს ემოციურ ინტენსივობას მატებდა სინქრონული პოზების ჰარმონია და კოსტიუმები, დეკორატიული ელემენტების სიმდიდრე და განათების ეფექტები. ამას თან ახლდა იმდროინდელი მწერლობის, მხატვრობისა თუ ქორეოგრაფიისათვის ორგანული ეროტიზმისა და ინტიმურობის ესთეტიკა. Tableaux Vivants იქცა არა მხოლოდ ვიზუალურ სანახაობად, არამედ ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამაერთიანებელ კულტურული რეფლექსიის ფორმად.

სანახაობრივი ეფექტის გარდა, მნიშვნელოვანი იყო წარმოდგენების შინაარსობრივი ნაწილი. სხვადასხვა სახის მხატვრული ნაწარმოების *(მითოლოგიური, ისტორიული, ლიტერატურული ან სახვითი)* იმიტაცია ამ ფორმატს ინტელექტუალურადაც მიმზიდველს ხდიდა.

წარმოდგენების აუდიტორიას, როგორც წესი, თანამედროვე საზოგადოების განათლებული და კულტურულად დახვეწილი ნაწილი შეადგენდა. ამ სახის წარმოდგენები იმართებოდა სამეფო და საიმპერატორო სასახლეებში, არისტოკრატულ სალონებში, საღამოებსა და მეჯლისებზე – ძირითადად ვიწრო, ელიტურ წრეებში. ეს ფორმა იქცა მაღალი კულტურის (elite cultural expressions) ნაწილად, სადაც ვიზუალური ხელოვნება, თეატრალური ესთეტიკა და სოციალური რიტუალი ერთმანეთს ერწყმოდა. *Tableaux Vivants* თანდათან მასობრივი რიტუალიდან ინდივიდუალურ ესთეტიკურ გამოხატულებად – ხელოვნების ფორმად ტრანსფორმირდა, რომელიც გაყინული დროის ეფექტითა და საშუალებით გადმოსცემს შინაარსს, ემოციასა და კულტურულ კონტექსტს.

XIX საუკუნეში Tableaux Vivants ფართოდ გამოიყენება თეატრში, ოპერასა თუ ფოტოგრაფიაში. ამ ფორმამ გავლენა მოახდინა კინოს განვითარებაზეც, განსაკუთრებით მუნჯი კინოს ეპოქაში, სადაც სტატიკური კომპოზიციები ხშირად სცენის ემოციურ ფონს ქმნიდა.

ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ამ ფორმას აქტუალობა სადღეისოდაც არ დაუკარგავს. ის კვლავ გამოიყენება, როგორც ექსპერიმენტული თეატრის, პერფორმანსის, მოდის და ვიზუალური ხელოვნების ნაწილი; ის ერთგვარი შეხსენებაა, რომ უმოძრაოდ, პოზითა და გამომსახველობითაც, შესაძლებელია ძლიერი ემოციური და ესთეტიკური გზავნილის გადმოცემა. ხელოვნების ამ ფორმით შესაძლებელია ქართული ტრადიციული კულტურის (ფოლკლორი, ქორეოგრაფია, მოდა) საინტერესო და ეფექტური ვიზუალიზაცია, ტრადიციის თანამედროვეობაში გაცოცხლება და პოპულარიზაცია.

სიტყვათა კომბინაცია – ცოცხალი სურათები – ქართულ კულტურულ კონტექსტში უპირველესად შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანსა და უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის სახელთან ასოცირდება. ეს როგორც ჩანს, პოემის შედევრალურობამ და საქართველოსთვის უცხოელი მხატვრის შემოქმედების განსაკუთრებულობამ განაპირობა. მიხაი ზიჩის საქართველოში მოღვაწეობასთან დაკავშირებული, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კვლევები, ძირითადად ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათების დადგმასა და ზიჩის შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეული გამოცემის ილუსტრირე-

ბას ეხება. თუმცა, რამდენად იყო ცოცხალი სურათების დადგმის პრაქტიკა საქართველოში მანამდე ცნობილი და გავრცელებული, ქართულ ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად არაფერი თქმულა.

1859 წელს, 21 წლის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ექიმ ნიკოლოზ არენდის რეკომენდაციით, პეტერბურგიდან საქართველოში ბრუნდება. მისი თაოსნობითა და ქართველი არისტოკრატიის მონაწილეობით, თბილისის პირველი გიმნაზიის შენობაში იმართება *ცოცხალი სურათების* დადგმა, რომლებიც ეფუძნება ძველი აღთქმის ეპიზოდებსა და შექსპირის მეფე ლირის სიუჟეტს. მეფე ლირის როლს თავად ილია ჭავჭავაძე ასრულებს. ეს ინსცენირება მხოლოდ შექსპირის მეფე ლირის თეატრალური ინტერპრეტაციის ჭრილში განიხილებოდა, მაშინ როდესაც ის მნიშვნელოვანი წყაროა ცოცხალი სურათების ისტორიის კვლევისათვის საქართველოში – კულტურული პრაქტიკისთვის, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ ახალი და იშვიათია ქართული საზოგადოებისათვის.

დღემდე არსებული წყაროებით, აღნიშნული დადგმა წარმოადგენს *Tableaux Vivants*-ის ერთერთ უადრეს, დოკუმენტურად დადასტურებულ შემთხვევას საქართველოში. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის პ. უმიკაშვილი გაზეთ *ივერიაში* (1899, №210), ხოლო დადგმის მონაწილეთა ჯგუფური ფოტო, ამ ინფორმაციის დამადასტურებელი მყარი არგუმენტია (სურ. 1). შესაბამისად, *Tableaux Vivants*-ის დადგმა, თუ უფრო ადრე არა, XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსთვის უკვე მიღებული პრაქტიკა და ქართული სცენოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია.

საშემსრულებლო ხელოვნების ამ ფორმის შესახებ, მომდევნოა რაფიელ ერისთავის ცოლისძმისათვის, სამსონ ერისთავისადმი, პეტერბურგში 1863 წლის 20 ივნისს გაგზავნილი ვრცელ წერილში (შავ პირში) (კკსხეც, რაფიელ ერისთავის ფონდი, № 348) დაცული ცნობა. ეს ვრცელი მემორიალური ხასიათის დოკუმენტი, მრავალმხრივ საინტერესო წყაროა და ამ ნაშრომით პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. ამ დოკუმენტს, ამჟამად, ჩვენ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით შევეხებით. მასში დაცული ინფორმაცია 1863 წლისათვის, ზუგდიდში, ამ პრაქტიკის არსებობის მყარი არგუმენტია.

ამ დოკუმენტური წყაროს ინფორმაციით, სამეგრელოს გამგებლის ჭილაშვილის მეუღლე, მარია *ჩილიაევა*, რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის თანადროულ ზუგდიდში, ხშირად მართავდა წვეულებებსა და წარმოდგენებს. რაფიელის ცნობით, ჩილიაევას გამართულ წვეულებებზე *ცოცხალი სურათებიც (живые картины)* იდგმებოდა. რაფიელის თხრობის სტილიდან გამომდინარე, XIX საუკუნის 60-იანი წლების ზუგდიდისთვის არისტოკრატული თავშექცევის ეს სახეობა კარგად ცნობილი, ჩვეულებრივი პრაქტიკაა, რაც საქართველოში *ცოცხალი სურათების* დადგმის სიძველის კიდევ ერთი დასტურია.

ილიასა და რაფიელთან დაკავშირებული ცნობები ცოცხალი სურათების დადგმის ტრადიციას საქართველოში ორი ათეული წლით აძველებს და თავისთავად გამორიცხავს ამ ტრადიციის საწყისის კავშირს (როგორც ეს აქამდე მიიჩნეოდა) ვეფხისტყაოსანსა და უნგრელ მხატვარ მიხაი ზიჩთან.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული თეატრალური აფიშა სახელწოდებით ***Живыя Картины,*** რომელიც 1871 წლის 27 სექტემბერს ქუთაისში, ქართული არისტოკრატიის მონაწილეობით წარმოდგენის გამართვას მოწმობს (სურ. 2).

აფიშის ინფორმაციით, მიხეილ ლერმონტოვის *დემონის* თემაზე წარმოდგენილი იყო *ხუთი სურათი* და *აპოთეოზი*: 1. **თამარი** – მონაწილეები ნინო ერისთავი და ჯაბა გურიელი; 2. **ლეკური** – მონაწილეები – ნინო ერისთავი, ოლღა დადიანი, ოლიმპიადა წულუკიძე, ელენე ნიჟარაძე, ქეთო დადიანი, მარიამ მაჩაბელი, კატო ერისთავი, კეკელა აგიევი, მ.ს. ბაქრაძე, ე. მ. ჭყონია, თავადი ჯაბა გურიელი; 3. **ცდუნება –** მონაწილეები თავადის ქალი თეოდოსია ერისთავი, თავადი ჯაბა გურიელი; 4. **მონასტერი** – მონაწილე ნატალია ნიჟარაძე; 5. **მფარველი ანგელოზი** – ნატალია ნიჟარაძე, აგრაფინა ჯაფარიძე, თავადი ჯაბა გურიელი. დაბოლოს, **აპოთეოზი –** თეოდოსია ერისთავი, აგრაფინა ჯაფარიძე, კატო ერისთავი, ნატალია ნიჟარაძე, ოლღა დადიანი, მარიამ გურიელი, მატრონა ქვარიანი, მარიამ დადიანი, ელისაბედ დადიანი, მატრონა ერისთავი, დესპინე წერეთელი, ბაბილინა წულუკიძე, პელაგია დადეშქელიანი, ჯაბა გურიელი. ამგვარად, აფიშის ინფორმაციით, თამარის ერთ-ერთი პროტოტიპია რაფიელის მეუღლე, 30 წლის *თეოდოსია ერისთავი* (1841-1891), რომელიც ამ დროისათვის უკვე ოთხი ქალიშვილის დედაა (სურ. 3).

შემორჩენილია უცნობი ავტორის *დემონის* ინსცენირების რამდენიმე ფოტო. ეს ფოტოები, ჩვენც, როგორც ეს მანამდე იყო ცნობილი, მიხაი ზიჩის დადგმული *ცოცხალი სურათების* ფოტოებად მივიჩნიეთ. თუმცა აფიშის ინფორმაციისა და ფოტომასალის შეჯერება – გაანალიზებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ სადღეისოდ უცნობი ფოტოგრაფის ფოტოებზე დანამდვილებით 1871 წელს, ქუთაისში დადგმული *დემონის ცოცხალი სურათების* სცენებია ასახული (სურ. 4 და 5).

უცნობი ავტორის ერთ-ერთი ფოტო (სურ. 5), 1871 წლის *ცოცხალი სურათების* პროგრამაში ხსენებულ *აპოთეოზს* ასახავს. *აფიშაში* მოხსენიებულ, *აპოთეოზის* მონაწილეების გარდა, დადგმის ახალგაზრდა მონაწილეთა შორის *(აგრაფინა ჯაფარიძე (1855-1926) 16 წლის, ბაბილინა წულუკიძე (1860-1940) 11 წლის, მატრონა ქვარიანი (1858-?) 13 წლის – დანარჩენის შესახებ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ)* ინსცენირების ერთ-ერთი მონაწილეა *ბარბარე ერისთავი,* თეოდოსია და რაფიელ ერისთავების 8 წლის ქალიშვილი.

აღსანიშნავია, რომ მიხაი ზიჩი 1860 წლისთვის, საქართველოში ჩამოსვლამდე, ერთი ათეული წლით ადრე, ქმნის ფერწერულ ტილოს *დემონი* და *თამარი*. მისი ეს ნამუშევარი სიმონსის გრავიურამ შემოინახა. უმნიშვნელო სხვაობით, მხატვრის ამ ფერწერული ტილოს იკონოგრაფიაა გამოყენებული 1871 წლით დათარიღებულ თეოდოსია ერისთავისა და ჯაბა (ჯამბაკურ) გურიელის მონაწილეობით ქუთაისში დადგმულ *დემონის* მიზანსცენაში (სურ. 6, 7). ასეთი მსგავსების ერთადერთი საფუძველი შესაძლოა იყოს სიმონსის გრავიურით შემონახული მიხაი ზიჩის ილუსტრაციის პოპულარობა და ჩვენში ცნობადობა. *დემონის* ეს სცენა ქართველ არისტოკრატთა მონაწილეობით სწორედ ამ გრავიურის მიხედვით დაიდგა.

როგორც ჩანს, ჯაბა გურიელთან ერთად თეოდოსია ერისთავის მონაწილეობით დადგმულმა *ცოცხალმა სურათმა* მოწონება დაიმსახურა და ამ სცენის ამსახველი ფოტო გამოქვეყნებულია ჟიულ მურიეს ფრანგულენოვანი ჟურნალის ***LE CAUCASE ILLUSTRE***, 1890 წლის თებერვლის ნომერში, სათაურით *TYPES DU CAUCASE – PRINCESSE GEORGIENNE JUANT DU „TCHONGOURI“* (სურ. 8, 9).

იგივე ფოტო, იგივე შინაარსის, ორენოვანი *(ფრანგულ-რუსული)* მინაწერით, ამავე პერიოდის ღია ბარათზეა აღბეჭდილი (სურ. 10). ეს ფოტო და ასევე ღია ბარათი, სადღეისოდ ინტერნეტსივრცეში არასწორი სახელწოდებითა და დათარიღებითაა *(მეგრელი ქალი მუსიკალური ინსტრუმენტით,* 1897) გავრცელებული.

ფოტოსა თუ ღია ბარათზე გამოსახული, რაფიელ ერისთავის მეუღლე, თეოდოსია დავითის ასული ერისთავი, გურიის ერისთავთა შთამომავალია. ამასთანავე, ფოტო 1897 წელზე ბევრად ადრე, 1871 წელს არის გადაღებული. 1897 წლისათვის თეოდოსია ერისთავი 6 წლის გარდაცვლილია. თუმცა შესაძლოა ღია ბარათი უფრო გვიან – 1897 წლისათვის დასტამბულიყო. ღია ბარათის ზურგზე თარიღი მითითებული არ არის. აღნიშნულია მხოლოდ, რომ ბარათი დაბეჭდილია რუსეთის მსოფლიო საფოსტო კავშირის მიერ (Всемирный почтовый союз (ВПС)[1].

1 ეს საერთაშორისო ორგანიზაცია, ბერნის შეთანხმების საფუძველზე 1874 წელს შეიქმნა. ორგანიზაცია არეგულირებდა საერთაშორისო საფოსტო მომსახურებას. 1948 წლიდან მსოფლიო საფოსტო კავშირი გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის სპეციალიზირებული დაწესებულებაა და დღემდე არსებობს. ამდენად, ერთადერთი რაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ღია ბარათი დაბეჭდილია 1874 წლის შემდეგ.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, უნგრელი მხატვრის, მიხაი ზიჩის საქართველოში მოღვაწეობას: 1879 წელს, პარიზში, ი. გლაზუნოვის წიგნის საგამომცემლო ფირმიდან ზიჩი იღებს შეთავაზებას მ. ლერმონტოვის ნაწარმოებთა სრული კრებულისათვის ილუსტრაციების შექმნაზე. ამ დაკვეთის *(Edition de luxe)* შესასრულებლად, ლერმონტოვისეული კავკასიური სიუჟეტების უკეთ აღსაქმელ-გასათავისებლად, მხატვარი კავკასიაში მოემგზავრება.

1881 წლის 21 ოქტომბრის გაზეთი დროება (№ 220) იუწყება, რომ თბილისს ერთდროულად ეწვია ბელგიელი მოგზაური კარლა სერენა და უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. (სურ. 11) გაზეთ *დროების* ამ ნომერში დაცული ინფორმაცია ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა:

*ამჟამად ჩვენ ქალაქში იმყოფება ... გამოჩენილი პირი – მხატვარი ზიჩი. ის მოსულა ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსის პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ სურათებისთვის; დახატოს აგრეთვე ზოგიერთი სურათები ბუნებისა, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აწერილი.*

ეს არის ზიჩის საქართველოში ჩამოსვლის თარიღისა და ჩამოსვლის მთავარი მიზნის ამსახველი სარწმუნო ცნობა. ამდენად, ზიჩის პირველად ჩამოსვლის უმთავრესი მიზანი მიხეილ ლერმონტოვის *დემონში* აღწერილი ქართული გარემოს გაცნობა და *დემონის* ილუსტრირებისათვის ტიპაჟების შერჩევაა. ის ამ დროს *ვეფხისტყაოსანს* არც იცნობს და თავისთავად ცხადია, არც პოემის თემატიკაზე *ცოცხალი სურათების* დადგმას თუ ილუსტრაციების შექმნას არ გეგმავს.

გაზეთ *დროების* ამავე ნომერში (№ 220) გამოქვეყნებული **რეკლამა** იტყობინება შემდეგს: *თბილისის თეატრი. დღეს, 21 ოკტომბერს ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება: I. ქარაფშუტა კომედ. 3 მოქ. ფრანც. კ. მესხისაგან. II.* ***ცოცხალი სურათები.*** *ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში. დასაწყისი 8 საათზე.* ამავე გაზეთის რუბრიკაში, ***ახალი ამბები,*** ქვეყნდება შემდეგი ცნობა: *დღევანდელ ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის, გამართული იქნება* ***ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსნიდამ“ – ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მიიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან.***

საყურადღებოა, რომ ეს *დროების* ის ნომერია, სადაც ზიჩის თბილისში პირველი ჩამოსვლაა აღნიშნული. გაზეთი *დროება* ერთდროულად იტყობინება მიხაი ზიჩის ჩამოსვლას და ერთი ცოცხალი სურათის დადგმას *ვეფხისტყაოსნიდამ*, რაც უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ *ვეფხისტყაოსნის* სურათები საქართველოში უნგრელი მხატვრის ჩამოსვლამდე იდგმება. ამავდროულად, *ვეფხისტყაოსნის* ამ *ცოცხალი სურათის* სიუჟეტიდან – *ასმათი კოშკში მიიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან* – გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ეს სცენა არ იქნებოდა პირველი, რაც ქართულ სცენაზე დაიდგა.

გაზეთ *დროების* 1882 წლის 19 იანვრის ნომერში (№12) ვკითხულობთ ... *როგორც ადრე გავიგონეთ, ბატონ ზიჩის სურვილი გამოეცხადებინა – თუ კარგ ლეკურს მიჩვენებენ, რომელიც თავისი მხატვრობისათვის ეჭირება (იგულისხმება დემონის ილუსტრაციები – ე. კ.), ცოცხალ სურათებს დაუდგამ ქართულ თეატრის დასსაო.* გაზეთის ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, საქართველოში 1881 წლის შემოდგომაზე ჩამოსულ მხატვარს, ოთხი თვის თავზე, 1882 წლის იანვრისთვის, ლერმონტოვის პოემის ილუსტრაციების მორიგ სერიაზე მუშაობა დასრულებული არა აქვს. მას დასასურათებელი აქვს ლერმონტოვის პოემიდან თამარის ლეკურის სცენა, რისთვისაც *კარგი ლეკურის* ცოცხლად შესრულების ხილვა სურს.

მოგვიანებით, რაფიელ ერისთავთან დაკავშირებით კვლავ გვხვდება ცნობა, ამჯერად, *ცოცხალი სურათების* თელავში დადგმის თაობაზე. ეს ინფორმაცია რაფიელის გარდაცვალების შემდგომ, მის პატივსაცემად გამართული საღამოს *აპოთეოზით** დაგვირგვინებას შეეხება.

1901 წლის 27 ივნისის *ცნობის ფურცელი* (№ 1507) იუწყებოდა, რომ 21 ივნისს თელავის კლუბის დარბაზში ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი: *აქ იყვნენ ყველა ეროვნების და წოდების განურჩე-*





*ვლად, ბევრი საპატიო პირი, მოსწავლე ახალგაზრდობა, თელავის ინტელიგენცია და სხვა საზოგადოება. ამ საღამოთი საზოგადოება იხსენიებდა დიდებულ მგოსანს თავად რ. ერისთავს... ბ. აჯიმამუდოვმა თელავის სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართა წარმოდგენა და სალიტერატურო საღამო აპოთეოზით მგოსნისავე ტიპებით. როგორც წარმოდგენა, ისე სალიტერატურო განყოფილება სულ განსვენებულ პოეტის ნაწარმოებიდან იყო ამოღებული.*

*წარმოდგენის დაწყებამდე ქ. ზარაფიშვილისამ წაიკითხა პოეტის ბიოგრაფია. შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. წარმოადგინეს „ადვოკატები“ კომ. 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებდნენ:*

*ქ-ნნი -კნ. მაყაშვილისა, ზარაფიშვილისა. ბ-ნნი: თავ. ლ. და ილ. ვახვახიშვილები, ბ. აჯიმამუდოვი, გამყრელიძე, თელაველი და სხვ. საზოგადოების ყურადღება მიიქცია კნ. მაყაშვილისამ ... თავის მოხერხებულ და თავისუფალ თამაშით, როლის ცოდნით და მანერებით დიდათ ასიამოვნა საზოგადოება... დივერტისმენტში კითხულობდნენ ქართულ-რუსულ ლექსებს... „სამშობლო ხევსურისა“ რუსულად ბ. ტურინიკმა კარგად და ხმის შეწყობით წაიკითხა. აგრეთვე რუსულად წაკითხა თავად ერისთავის ბიოგრაფია ნ. მიტროფანოვისამ.*

*ბოლოს აიხადა ფარდა და გამოჩნდა თავად რაფიელ ერისთავის დიდი სურათი ამაღლებულ ადგილას ყვავილებში ჩასმული. აქეთ-იქით ედგნენ მისი თხზ. ტიპნი, ჯაჭვ-ჩაჩქანში გამოწყობილი ძველი დროის იარაღით ხელში, ხევსური, თავადი და რამდენიმე გლეხი. საზოგადოებამ პატივი სცა ფეხზე დგომით. სცენა განათებული იყო „ბენგალური“ ცეცხლით. დასასრულს ქ. ზარაფიშვილისამ სამგლოვიარო ტექსტი წაიკითხა და გვირგვინით შეამკო პოეტის სურათი.*

ამდენად, *ცოცხალი სურათები, Tableaux Vivants* და *აპოთეოზი*[1], მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართული სცენოგრაფიის ორგანული ნაწილი და ქართველი არისტოკრატიის თავშექცევის პოპულარული სახეობაა. ნიშანდობლივია, რომ არსებული ცნობები მოწმობს ამ პრაქტიკის არსებობას არა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქში, არამედ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

## დასკვნა

ისტორიულ კონტექსტში გააზრებული, ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების ფორმის, *ცოცხალ სურათებთან* დაკავშირებული *ილია ჭავჭავაძისა* და *რაფიელ ერისთავის ინფორმაცია, ასევე თანადროული ვიზუალური მასალა, არაერთი ფაქტის დაზუსტებისა თუ დადგენის საშუალებას იძლევა, კერძოდ:*

- საქართველოში *ცოცხალი სურათების* დადგმის ტრადიცია არ უკავშირდება უნგრელ მხატვარ მიხაი ზიჩს და ეს ტრადიცია დღემდე მიჩნეულთან შედარებით სულ მცირე ორი ათეული წლით ძველდება (მე-19 საუკუნის 50-იანი წლების დამლევი);
- საქართველოში *ცოცხალი სურათები* იდგმებოდა როგორც თეატრალური წარმოდგენის ან ლიტერატურული საღამოს დასასრულს, ისე პრივატულ წვეულებებზე;
- არსებული ცნობები მოწმობს ამ პრაქტიკის არსებობას არა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქში, არამედ მის დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიფერიაზე;
- რაფიელის მეუღლის, თეოდოსია ერისთავის მონაწილეობით, ფოტოხელოვნების საშუალებით შემონახული *ცოცხალი სურათების* ქუთაისური სერია დასტურია იმისა, რომ მიხეილ ლერმონტოვის *დემონის* თემაზე, ქალაქ ქუთაისში, *ცოცხალი სურათები* მიხაი ზიჩის ჩამოსვლამდე ერთ ათეულზე მეტი წლით ადრე იდგმება;
- *ცოცხალი სურათების* ქუთაისური ფოტოსესიის ამსახველი ფოტომასალა უნგრელი

1 აპოთეოზი (Gk. Apotheōsis) – უცხო სიტყვათა ლექსიკონის განმარტებათა შორის ერთ-ერთია თეატრალური სპექტაკლის ან საზეიმო კონცერტის ბოლო მასობრივი სცენა, რომელშიც განდიდებულია, შექებულია ხალხი, გმირი, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა თუ სხვ.

მხატვრის სცენოგრაფიულ ხელოვნებასთან კავშირში არ არის;

- ამ სურათების დამდგმელთათვის ზიჩის შემოქმედება კარგადაა ცნობილი, რასაც თეოდოსია ერისთავისა და ჯაბა გურიელის მონაწილეობით დადგმული სცენა ადასტურებს;
- მიხაი ზიჩს *დემონის ცოცხალი სურათები* საქართველოში არ დაუდგამს;
- 1881 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩამოსული უნგრელი მხატვრის მიზანია ლერმონტოვის პოემის, *დემონის*, ილუსტრირება. *ვეფხისტყაოსნის* ილუსტრირების გადაწყვეტილებას ის საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ იღებს;
- მიხაი ზიჩის საქართველოში ჩამოსვლის თარიღიდან გამომდინარე დგინდება, რომ საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნების ეს ფორმა (*ვეფხისტყაოსნიდამ ცოცხალი სურათების* დადგმა), თბილისის თეატრის ქართული დრამატული დასის არტისტებისათვის, მის ჩამოსვლამდეც კარგადაა ცნობილი;
- *დასტურდება, რომ მიხაი ზიჩის* ჩვეული პრაქტიკაა, ცოცხალი სურათების დადგმა და შემდგომ მათ მიხედვით ილუსტრაციების შექმნა;

ჩამოსვლიდან ოთხი თვის თავზე, 1882 წლის იანვრისთვის, მას ჯერ კიდევ არა აქვს დასრულებული ლერმონტოვის პოემის ილუსტრაციების შექმნა.

## ბიბლიოგრაფია


ადეიშვილი, შ. (1966). *„ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურებანი, საბჭოთა ხელოვნება*. №10. თბილისი.

ბოლქვაძე, ს. ფერაძე თ. (1960). *მიხაი ზიჩი და ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. საბჭოთა ხელოვნება*. №11. თბილისი.

გიორგაძე ი. გურგენიძე ნ. (1987). *ილია ჭავჭავაძე-ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე*, მეცნიერება. თბილისი.

გორდეზიანი, ბ. (1966). *ზიჩი საქართველოში*. თბილისი.

გორგიძე, მ. (1959). *ვეფხისტყაოსნის ზიჩისეული ილუსტრაციების გმირთა პროტოტიპები, საბჭოთა ხელოვნება*. №9. თბილისი.

თულიანი, რ. (1972). *გამოჩენილი უნგრელი მხატვარი – ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათების დამდგმელი, საბჭოთა ხელოვნება*, №4. თბილისი.

*ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე*. (2017). თბილისი.

მახარაძე, ა. (1939). *ლიტერატურული შეკრება-საღამოები საქართველოში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)*. თბილისი.

ფერაძე, თ. (1964). *რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე)*, თბილისი:

ქვლივიძე, მ. (1967). *ვეფხისტყაოსნის დასურათებანი*. თბილისი.

ცაიშვილი, ს. (1961). *მიხაი ზიჩი საქართველოში, ცისკარი*. №2.

ქვლივიძე, მ. (1960). *ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის*, თბილისი.

ჩხარტიშვილი, ლ. (2016). *მეფე ლირის სცენური ინტერპრეტაციის საკითხები ევროპულ და ქართულ თეატრში*. თბილისი.

შარაძე, გ. (1978). *მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა*.

Johan Huizinga. (1996). *The Autumn of The Middle Ages*, Translaeted by Rodney J. Payton and Ulrich Mammitzsch, *The University of Chicago Press*.

LE CAUCASE ILLUSTRE“ (1890). ტფილისი.

Горгидзе, М. М. *Зичи – иллюстратор Витязя в тигровой шкуре*, *Лит. Грузия,* 1965, №5.

Patrice Pavy, (1991). *თეატრის ლექსიკონი*. Пер. с фр. под ред. К. Разлогова, *Издательство Прогресс*.

გაზეთი *ივერია*, 1899, №210.


## გამოყენებული საარქივო მასალა

*საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №200_1_4.*

*საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის არქივი, №348.*

## ელექტრონული წყაროები


https://monsonartscouncil.org/blog/image-and-meaning/the-tableau-vivant/.

https://www.youtube.com/watch?v=nleyulbiB0A

https://dlab.ug.edu.ge/books/detail/5121.



*ეკა კაჭარავა*
ისტორიის დოქტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

*Eka Kacharava*
PhD in History, Senior Scientific Researcher
T. Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia (UG)
ORCID-ID: 0009-0007-8314-6724




სურ. 1. *მეფე ლირის ცოცხალი სურათების* დადგმის მონაწილენი
გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
საქართველოს ეროვნული არქივის ბარათის (სეა – №2-15077) ინფორმაციით
ფოტოზე გამოსახული არიან:

ქვედა რიგი – მარცხნიდან მარჯვნივ – ელისაბედ (ლიზა) გრიგოლის ასული ჭავჭავაძე-საგინაშვილი, ილია ჭავჭავაძის უმცროსი და, (?) ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ქალიშვილი, მ. ჭილაშვილისა, (?) ერისთავისა, ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა, გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ქალიშვილი და ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილის მეუღლე, (?) ბარათაშვილისა (ამილახვარის ასული);

ზედა რიგი – მარცხნიდან მარჯვნივ – გაბრიელ (გაბო) იასეს ძე სულხანიშვილი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში, (?) ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინის ქალიშვილი, (?) სიდამონოვ-ერისთავისა, ვერა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია-მირსკისა, გიორგი XII-ის ვაჟის, ილიას ქალიშვილი და კასპიისპირა მხარის ჯარების შტაბის უფროს ნიკოლოზ ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლე, (?) ბარათაშვილის ასული პირველი გილდიის ვაჭრის, მეცნატის, გაბრიელ თამამშევის მეუღლე, ჭავჭავაძე-ნიკოლაისა სოფიო ალექსანდრეს ასული (1833-1862) პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი, მისი მეუღლე ფინელი ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი იყო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ქეთო გურგენიძისა.

უკანა რიგი – ვანო თუმანიშვილი, ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1818-1884), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1853-1856 წლებში ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის შვილიშვილი, ანა ილიას ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია, ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1830-1903), თბილისის მაზრის სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძის ნათესავი და მეჯვარე, ილია ჭავჭავაძე.



ЖИВЫЯ КАРТИНЫ.

27 СЕНТЯБРЯ 1871 Г.

*Изъ поэмы Лермонтова Демонъ.*

КАРТИНА 1.

ТАМАРА

Княжна Нина Церетели.
Князь Джаба Гуріели.

КАРТИНА 2.

ЛЕЗГИНКА.

Княгиня Нина Эристова.
Княгиня Ольга Дадіани.
Княжна Олимпіада Цулукидзе.
Княжна Елена Нижерадзе.
Княгиня Нижерадзе.
Княгиня Кэто Дадіани.
Княжна Марія Мачабели.
Княгиня Като Эристова.
Княжна Кекелла Агіева.
М. С. Бакрадзе.
Е. М. Чконія.
Князь Джаба Гуріели.

КАРТИНА 3.

ИСКУШЕНІЕ.

Княгиня Ѳеодосія Эристова.
Князь Джаба Гуріели.

КАРТИНА 4.

МОНАСТЫРЬ.

Княжна Наталія Нижерадзе.

КАРТИНА 5.

АНГЕЛЪ ХРАНИТЕЛЬ.

Княжна Наталія Нижерадзе.
Княжна Аграфена Джапаридзе.
Князь Джаба Гуріели.

АПОТЕОЗЪ

Княгиня Ѳеодосія Эристова.
Княжна Аграфена Джапаридзе.
Княгиня Като Эристова.
Княжна Наталія Нижерадзе.
Княгиня Ольга Дадіани.
Княжна Марія Гуріели.
Матрена Кваріани.
Княжна Марія Дадіани.
Княжна Елизавета Дадіани.
Княгиня Матрена Эристова
Княжна Деспина Церетели.
Княжна Бебелина Цулукидзе.
Княжна Пелагея Дадешкеліани.
Князь Джаба Гуріели.

Печатать Дозволяется Полиціймейстеръ Маіоръ *Родзевичъ.*

Печатано въ Кутаисской Губернской Типографіи.

სურ. 2. *ცოცხალი სურათების* დადგმის აფიშა. 1871 წელი. ქუთაისი. საქართველოს ეროვნული არქივი



სურ. 3. თეოდოსია დავითის ასული ერისთავი
რაფიელ ერისთავის მეუღლე
რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმი ქასტაურში



სურ. 4. *ცოცხალი სურათი* – მ. ლერმონტოვის დემონი
თეოდოსია ერისთავი, აგრაფინა ჯაფარიძე, ჯაბა (ჯამბაკურ) გურიელი
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ფოტოს ავტორი უცნობია



სურ. 5. *ცოცხალი სურათი* – მ. ლერმონტოვის დემონი
აპოთეოზი

თეოდოსია ერისთავი, აგრაფინა ჯაფარიძე, კატო ერისთავი, ნატალია ნიჟარაძე, ოლღა დადიანი, მარიამ გურიელი, მატრონა ქვარიანი, მარიამ დადიანი, ელისაბედ დადიანი, მატრონა ერისთავი, დესპინე წერეთელი, ბაბილინა წულუკიძე, პელაგია დადეშქელიანი, ბარბარე ერისთავი, თეოდოსია და რაფიელ ერისთავების 8 წლის ქალიშვილი, ჯაბა გურიელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, ფოტოს ავტორი უცნობია







სურ. 6. 1860 წლისათვის მ. ზიჩის ფერწერული ტილოს *დემონი* და *თამარი* მიხედვით შექმნილი გრავიურა. 1871 წელი. ავტორი სიმონსი



სურ. 7. *ცოცხალი სურათი* – თეოდოსია ერისთავი და ჯაბა (ჯამბაკურ) გურიელი
გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი




სურ. 8.




სურ. 9.



სურ. 10. ღია ბარათი – Кавказские типы – Грузинка
Types du Caucase – Georgienne
თეოდოსია დავითის ასული ერისთავი



# XIX საუკუნის თბილისის მუსიკალური კულტურა რაფიელ ერისთავის ერთი პუბლიკაციის პრიზმაში

## აბსტრაქტი

მოხსენება ეძღვნება ქართული მუსიკალური დისკურსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას, თბილისის მუსიკალური კულტურის ფენომენს XIX საუკუნის საქართველოში. კვლევის სამიზნეა XIX საუკუნის მეორე ნახევრის პრესა (გაზეთები: Кавказ, თეატრი, ცისკარი, დროება), როგორც ეპოქის სარკე, ინფორმაციის წყარო, რომელიც ასახავს ეპოქის ძირითად ტენდენციებს. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საკუთრივ მუსიკალური მასალების უქონლობის პირობებში, პრესა გვიქმნის წარმოდგენას ეპოქის მუსიკალური ცხოვრების არა მარტო ღირსშესანიშნავ ფაქტებზე და მოვლენებზე, არამედ ეპოქის აქტუალურ პრობლემებზეც და გარკვეულწილად, ისტორიული რეტროსპექტივის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

პრესაში განსაკუთრებული ინტერესი აღინიშნება იმხანად ახლად გახსნილი საოპერო თეატრის და მუსიკალური ფოლკლორისა და გალობის მიმართ. XIX საუკუნეში, ანექსირებულ საქართველოში, რუსიფიკატორული პოლიტიკა უხეშად შეეხო ქვეყნის თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ყველა ინსტიტუციას, მათ შორის, საქართველოს ეკლესიას.

კვლევის მთავარი ამოცანაა იმდროინდელ პრესაში მიმოფანტული მწირი მასალების – პრობლემური შინაარსის წერილების, რეცენზიების, სტატიების, ანონსების – საფუძველზე ეპოქის მუსიკალური ცხოვრების რეკონსტრუქცია, რომელიც იმ დროის მუსიკალურ კულტურას განასახიერებს და ტრადიციული მუსიკის, კერძოდ, ქალაქური ფოლკლორის ფორმირების ქრონოლოგიის დადგენაშიც გვეხმარება.

ავტორთა შორის არიან ისეთებიც, რომელთა პუბლიკაციებში ჩვენი მუსიკალური კულტურის სიღრმისეულად წვდომის, უფრო ხშირად კი ტრადიციების შენარჩუნების, ან მათი დაკარგვის საშიშროებით გამოწვეული გულისტკივილი ჩანს. მათ შორისაა რაფიელ ერისთავი, რომლის წერილი ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით (*დროება*, 1883, 24 ნოემბერი, № 236) იმდროინდელი ქართული ტრადიციული მუსიკის შესწავლისთვის მნიშვნელოვან წყაროდ გვესახება.

წარმოდგენილი მასალები წყაროთმცოდნეობითი მუშაობის შედეგია და საინტერესო პერსპექტივას სახავს მე-19 საუკუნის ქართული მუსიკის ისტორიის, კერძოდ *თბილისის თემის* კომპლექსური შესწავლის კუთხით.

სტატიაში წარმოდგენილი ანალიტიკური ექსკურსი, როგორც წყაროთმცოდნეობითი მუშაობის შედეგი, მუსიკალური *თბილისიანას* ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს წარმოაჩენს და საინტერესოა *თბილისის* თემის კომპლექსური შესწავლისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** XIX საუკუნის პრესა; თბილისის მუსიკალური კულტურა; ტრადიციული მუსიკა; რაფიელ ერისთავი.

## MUSICAL CULTURE OF 19TH-CENTURY TBILISI: THROUGH THE PRISM OF A PUBLICATION BY RAPHIEL ERISTAVI

## ABSTRACT

The paper explores one of the key topics in Georgian musical discourse – the musical culture of Tbilisi. The study focuses on the press of the second half of the 19th century (including the newspapers *Kavkaz*, *Teatri*, *Tsiskari*, and *Droeba*) as a mirror of the era – a source of information that also fulfilled a promotional function by attracting listeners and spectators, while reflecting the main cultural trends of the time. Due to the objective reasons and scarcity of musical materials from this period, the press serves as an important means of reconstructing significant events and phenomena from the musical life of the epoch and, to some extent, allows for the formation of their historical retrospective.

The primary objective of this study is to reconstruct the musical life of the epoch using the scarce materials scattered across the contemporary press – such as announcements, reviews, letters, and articles – which shed light on the cultural landscape of Georgia, and especially of Tbilisi at the time.

The origins of Georgian music journalism and criticism are remarkable for their diversity and the abundance of available sources, which make it possible to trace the chronology of the emergence of urban folklore. Of particular interest is the newly opened Opera House and the opera genre in general, which explains why most publications of the period focus on this field. Articles devoted to musical folklore and church chanting in the periodical press also merit special attention. In the nineteenth-century annexed Georgia, the policy of Russification harshly affected all institutions that shaped the country's identity, including the Georgian Church.

Among the authors, there are also those whose publications express concern over the pressing issues of preserving traditions and the danger of their disappearance. One of them is Raphiel Eristavi, whose article *"Georgian Church Chants and Songs with Notes"* (*Droeba*, November 24, 1883, No. 236) serves as a highly valuable source for studying Georgian traditional music of that period.

The materials presented in this study are the result of source-based research and offer an interesting perspective on the complex history of nineteenth-century Georgian music. The article's analytical overview traces the formation and development of Tbilisi's musical folklore. The present research is based on source analysis and is valuable for a comprehensive study of the topic of *Tbilisi*.

**Keywords:** Press in the XIX century; Musical culture of Tbilisi; Urban folklore; Raphiel Eristavi.





## შესავალი

ამ კვლევაში განვიხილავთ ქართული მუსიკალური დისკურსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას – ქალაქურ მუსიკალური კულტურას და მის განუყოფელ ნაწილს – ქალაქურ სიმღერას. კვლევის სამიზნეა XIX საუკუნის მეორე ნახევრის პრესა, გაზეთები: *Кавказ, თეატრი, ცისკარი, დროება*, როგორც ინფორმაციის წყარო და ეპოქის ძირითადი ტენდენციების ამსახველი სარკე, რომელიც ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს.

იმ დროის პრესა, პრაქტიკულად, ქართული მუსიკალური ჟურნალისტიკა-კრიტიკის სათავეა, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან წყაროების შესაშური მრავალფეროვნებითა და სიმრავლით გამოირჩევა. ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, საკუთრივ მუსიკალური მასალების უქონლობის პირობებში, ეს პუბლიკაციები გვიქმნის წარმოდგენას მუსიკალური ცხოვრების ღირსშესანიშნავ ფაქტებზე, მოვლენებზე და ზოგიერთ ისეთ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც, გარკვეულწილად, ისტორიული რეტროსპექტივის შექმნის და იმ დროის საქართველოს, კერძოდ კი თბილისის, მუსიკალური ცხოვრების და იმდროინდელი ტრადიციული ქართული მუსიკის მდგომარეობის ამსახველი სურათის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა.

ბუნებრივია, რომ ჩატარებულ კვლევას არა აქვს 50-წლიანი (1861-1901) ქართული პერიოდიკის მუსიკასთან დაკავშირებულ პუბლიკაციათა სრულად ასახვის პრეტენზია. სტატია ფოკუსირებულია რაფიელ ერისთვის ერთ პუბლიკაციაზე (დროება, 1883, №236, 24 ნოემბერი, გვ. 1-2), რომელმაც ფრიად საინტერესო მიკვლევის საშუალება მოგვცა.

## კვლევის მეთოდი

- კვლევისას გამოყენებულია ისტორიული და ტექსტური ანალიზის მეთოდები, წყაროებში არსებულ ტექსტებზე (XIX საუკუნის პრესა) და სანოტო კრებულებში ჩაწერილ მასალაზე დაყრდნობით ( მშველიძე, 1970).
- დასახული ამოცანის გადაჭრისათვის შეგროვდა საკვლევი პერიოდის პრესის ნიმუშები, განხორციელდა დაკვირვება, აღწერა-შემეცნებითი ოპერაციები.
- კომპარატიულმა მეთოდმა საშუალება მოგვცა XIX საუკუნის 80-იანი წლების პრესაში წარმოდგენილი მონაცემები მე-20 საუკუნის მუსიკალურ კრებულებში წარმოდგენილ მასალასთან შეგვედარებინა.
- ისტორიზმის პრინციპი, რომელმაც სამუსიკისმცოდნეო კვლევის დიაქრონულ და სინქრონულ ჭრილში წარმართვის საშუალება მოგვცა.

## მსჯელობა

XIX საუკუნეში, ანექსირებულ საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკა უხეშად შეეხო ქვეყნის თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ყველა ინსტიტუციას, მათ შორის, საქართველოს ეკლესიას, შესაბამისად, საეკლესიო გალობასაც. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პერიოდულ გამოცემებში მუსიკალური ფოლკლორისა და გალობისადმი მიძღვნილი მრავალი წერილი, რომელთა პუბლიკაციებიც 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, ათეისტური რეჟიმის პირობებში, პრესის ფურცლებიდან თითქმის სრულიად ქრება (შუღლიაშვილი, 2015: 29-34).

ამავე დროს, განსაკუთრებული ინტერესი აღინიშნება XIX საუკუნეში, 1851 წელს, ახლად გახსნილი თბილისის საოპერო თეატრის მიმართ, რის გამოც პუბლიკაციების დიდი ნაწილი სწორედ ამ სფეროს ეხება: ოპერისა და ბალეტის თეატრს და მის რეპერტუარს, იტალიური და

რუსული საოპერო და საოპერეტო დასების გასტროლებს, ცალკეულ ოპერებს და საოპერო მომღერლებს[1].

1849 წლის 14 ივლისს გრაფი *ვორონცოვი* წერდა თავად *პ. მ. ვოლკონსკის:*

*ვუცქერი რა თბილისში რუსული თეატრის არსებობას არა როგორც სიამოვნებისა და გართობის ერთ-ერთ საშუალებას, არამედ როგორც დაწესებულებას, რომელიც მეტად მნიშვნელოვან მიზანს ისახავს: ადგილობრივი მოსახლეობის გაცნობას რუსულ ენასთან, რუსულ ჩვეებთან და მის თანდათანობით შერწყმას რუსეთთან...* (კაშმაძე, 1950; 36)

შედეგმაც არ დააყოვნა. თბილისის ცხოვრებას ოპერამ ახალი სული შთაბერა და იტალიური მუსიკის ჰანგებით მოხიბლული ქართველის სმენამ საოპერო მელოდიები თავის გემოზე მოირგო – ბევრი მათგანი გახალხურდა (მაგ., ჟერმონის არია ვერდის ტრავიატადან ილიას ტექსტზე – ტყემ მოისხა ფოთოლი – იმღერებოდა და სხვა.). ასე დაიბადა დასავლური მუსიკალური კულტურის გავლენით ქალაქური ფოლკლორის ახალი, ე.წ. დასავლური შტო.

საგაზეთო პუბლიკაციათა უმრავლესობა ავტორთა ვინაობის მითითების გარეშეა გამოქვეყნებული ან ფსევდონიმებითაა წარმოდგენილი. ნაწილი ფსევდონიმებისა ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის. მაგალითად, *პოლიევქტოს კარბელაშვილის* ფსევდონიმი – „ცხვილოელი“, პეტრე უმიკაშვილისა – „ანჩხატელი“ (იგი აგრეთვე იყენებდა კრიპტონიმს – პ. უ.), ფილიმონ ქორიძისა – „კორიჯიო“ და სხვა. ამავე დროს ნაკლებად ცნობილ ფსევდონიმთა გახსნისათვის ვისარგებლეთ ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე (www.nplg.gov.ge) განთავსებული ფსევდონიმების ლექსიკონით, რომელშიც შესულია როგორც ლექსიკონები ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმებისა, ისე ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების მიერ წლების განმავლობაში მოძიებული, მეცნიერთა ნაშრომებში მიკვლეული ფსევდონიმები. (გრიშაშვილი, 1987; მიქაძე, 1984)

გასაჯაროებულ ავტორთა შორის არიან ისეთებიც, რომელთა პუბლიკაციებში ჩვენი მუსიკალური კულტურის და მისი მაგისტრალური მიმართულებების სიღრმისეულად წვდომის და შესწავლის სურვილი, უფრო ხშირად კი, ტრადიციების შენარჩუნების, ან მათი დაკარგვის საშიშროებით გამოწვეული შიში და გულისტკივილი ჩანს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საგალობელთა ნოტებზე ჩამწერთა, დასავლეთ საქართველოში *ფილიმონ ქორიძისა* და აღმოსავლეთში – ძმები *ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილების* მოღვაწეობა, რასაც მრავალი წერილი დაეთმო პრესის ფურცლებზე. წერილებს კი წერდნენ დიდი ქართველი მოღვაწენი, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები: *ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, მაქსიმე შარაძე, მოსე ჯანაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, კოტე ფოცხვერაშვილი, ია კარგარეთელი, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი* და სხვანი. მათ შორისაა რაფიელ ერისთავი, პოეტი, ლექსიკოგრაფი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იღწვოდა ქართული კულტურის სათანადოდ წარმოჩენისათვის და რომლის პუბლიკაციები პირველად 1846 წელს გამოჩნდა პრესაში. აქედან დაწყებული, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, პოეტური შემოქმედების გარდა, მისი მოღვაწეობის ცენტრში სამეცნიერო შინაარსის პუბლიკაციები იყო, მათ შორის წერილები, რომლებშიც გამოთქმულია მოსაზრებები ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ.

წერილში ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით (დროება, 1883, №236, 24 ნოემბერი, გვ. 1-2) რ. ერისთავმა ფილიმონ ქორიძის მიერ ქართულ გალობათა ნოტებზე გადატანის გამო სიხარული გამოხატა, როდესაც ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტის თაოსნობით, 1862 წლიდან დაწყებული, საგალობლების ჩაწერის ფართომასშტაბიანმა პრაქტიკულმა საქმიანობამ, კერძოდ ფ. ქორიძის მოღვაწობამ, წარმატებული სახე მიიღო: *ამ უკანასკნელს დროს გახშირდა ქება ბატონის ქორიძისაგან გადაღებულს ნოტებზედ და ამ საშუალობით გადაღებულს ქართულს საეკლესიო გალობაზედ* (ერისთავი, 1883)

1 ამის შესახებ მასალით უხვად არის გაჯერებული შალვა კაშმაძის ორტომეული, მიძღვნილი თბილისის საოპერო თეატრის ისტორიისადმი.



ერისთავმა ფილიმონ ქორიძეს ურჩია საქმიანობის გაფართოება, ქართული გალობის ნიმუშების ჩაწერასთან ერთად საზანდრების მიწვევა, საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა წარმოშობის საერო სიმღერების ნოტებზე გადატანა. ამასთანავე, წერილში რ. ერისთავი ქორიძეს პრაქტიკულ დახმარებასაც სთავაზობს და აქვეყნებს ქართული საერო სიმღერების მის მიერ შედგენილ სიას, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან ძალიან საინტერესო საკვლევ დოკუმენტს წარმოადგენს; ჩანს, თუ თემატურად რა სიმღერები იყო გავრცელებული 80-იანი წლების ქალაქურ ყოფაში და როგორი იყო მათი სპექტრი. ამ პერიოდის პრესაში მრავლადაა სტატიები ქართული ტრადიციული მუსიკის, განსაკუთრებით გალობის, შესახებ, თუმცა ნაკლებად გვხვდება წერილები, რომლებიც ქალაქურ ტრადიციულ მუსიკას ეხება.

რაფიელ ერისთავის ამ პუბლიკაციაში კარგად ჩანს მისი კომპეტენცია, საკითხის ცოდნა და ის სიღრმე და რაკურსი, რომლითაც ის ამ პრობლემას განიხილავს. მისი აზრით, ქართული ტრადიციული მუსიკის ნოტებზე გადატანის საქმე მაშინ ჩაითვლება წარმატებულად, თუ გალობა და სიმღერა *ქართულ კილოს არ დაჰკარგავს: ფრიად სასიამოვნოდ დამრჩა ეს ამბავი; ვინატრი ამ გალობის გაგონებას და მასთან იმასაც, რომ ჩვენს ქართულს საეკლესიო გალობას არ მოჰყვეს იტალიური კილო, რომელსაც იგი ვერ შეითვისებს.* ამისთვის ერისთავი ფილიმონ ქორიძეს იმ დროს მეტად გავრცელებული ქალაქური ფოლკლორის ჩაწერისკენაც მოუწოდებს, რომელიც არ იყო ერთგვაროვანი და არც სანოტო სისტემაზე გადატანილი.

თბილისში, საუკუნეების მანძილზე, ქართველებთან ერთად თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიის ადამიანები (სომხები, აზერბაიჯანლები, ებრაელები, რუსები, ოსები, ქურთები, ბერძნები, უკრაინელები, გერმანელები და სხვა) და ქმნიდნენ თბილისურ მულტიკულტურულ ატმოსფეროს (ქავთარაძე, ბუჩუკური, 2012:85). შესაბამისად, თბილისური კულტურა, რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნით, რამდენიმე სუბკულტურად იყოფოდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნის თბილისში უკვე არსებობდა მინიმუმ ოთხი ტიპის კულტურა: ქართული, ტფილისური, იმპერიულ-რუსული და ევროპული (როგორც ზოგადად არსებული დასავლურის, ისე ევროპული სუბკულტურების სახით). აქედან გამომდინარე, იცვლებოდა თბილისის ფუნქციაც და მისდამი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში. საკუთრივ ძველი ტფილისური კულტურა იყო ის, რაც ასე დაწვრილებით აღწერა იოსებ გრიშაშვილმა თავის ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში (გრიშაშვილი, 2017) და რომელიც უკვე XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის არქაულსა და ეგზოტიკურ ფენომენს წარმოადგენდა, მაგრამ რაფიელ ერისთავის დროინდელ ტფილისში ქალაქის რეალურ მულტიკულტურულ სახეს ქმნიდა.

რაფიელ ერისთავის, გამორჩეული პოეტური სიტყვის ავტორის ლექსები არაერთი მუსიკალური თხზულების საფუძვლად იქცა.[1] როგორც ჩანს, პოეტის მგრძნობიარე ყურს არ გამოჰპარვია ქართული საერო სიმღერის წიაღში მიმდინარე პროცესები, რომლებიც იტალიური ოპერის გავლენით მიმდინარეობდა XIX საუკუნის ქართულ სიმღერაში და წინასწარმეტყველურად აღნიშნა:

*სიმღერა სხვა არი; სიმღერას კილო რომ შეეხამოს იტალიურად, იმითი არც მოირყვნება და არც გაპატიოსნდება, თუმცა სანატრელი კია, რომ საქართველოს სიმღერებიც, თუ შეიძლება თავ-თავის კილოზედ დარჩნენ, თავისი ხასიათი არ დაჰკარგონ ნოტებზედ გადაღებით.*

საერო სიმღერის მიმართაც გამოთქვამს სურვილს, მისი ჩაწერაც ისევე მოხდეს, როგორც სა-

1 *სამშობლო ხევსურისა* – თუშური დატირება (ხალხური), ნიკო სულხანიშვილის გუნდი *სამშობლო ხევსურისა*, მელიტონ ბალანჩივაძის *ჰიმნი სამშობლო ხევსურისა* სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისათვის, იაკობ ბობოხიძე საგუნდო სიმღერა *სამშობლო ხევსურისა*.

სიმღერები რაფიელ ერისთავის სხვა ლექსებზე: *ღამის მეხრე*; *ჯერ შრომა, მერე ხტომა; პურის მოსავალი*: რაფიელ ერისთავი // სალამური: სახალხო სიმღერები გადაღებულნი ნოტებზე ზ.ი. ჩხიკვაძის მიერ. თბ., 1896. გვ. 4-5, 11.

ეკლესიოსი და აქვე, გამიჯნულად, სთავაზობს საქართველოში გავრცელებული აღმოსავლური მელოდიების (სპარსული, ყიზილბაშური, თათრული), საზანდართა, შემდგომში ქალაქური (აღმოსავლური შტო), ბოლოს კი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კუთხეების სოფლური სიმღერების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს; ამით წარმოდგენას გვიქმნის იმ დროის საქართველოში გავრცელებულ ტრადიციულ მუსიკაზე – ყოფაში გავრცელებულ აღმოსავლურ სიმღერებზეც, რომლებიც დღეს, პრაქტიკულად, დაკარგულია ქართულ გარემოში, და ქალაქურ ყოფაში გავრცელებულ საზანდართა სიმღერაზე, რომელიც თბილისური ფოლკლორის აღმოსავლური შტოს სახელით დამკვიდრდა (XVIII საუკუნეში წარმოქმნილი *ძველი ტბილისის* აღმოსავლური შტოს სახით):

*ურიგოდ არ ინებებდა ბატონს ქორიძეს მიეპატიჟნა საზანდრები და იმათგან დაკრულის, ან ნამღერალის ხმებიდან შეედგინა კრებული სიმღერებისა. ურიგოდ არ იქნებოდა აგრეთვე, რომ ამავე განზრახვით ემგზავრა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სოფლებში და ნოტებზედ გადაეღო სოფლური სიმღერების ხმები. ამით დიდად ისახელებდა, დიდ ვალს დასდებდა საზოგადოებას და დიდს და ძვირფასს მასალას შეუკრებდა მუსიკის მოყვარეთ.*

თბილისური კულტურა გამოირჩევა თავისი პოლიფონიური ხასიათით, რაც ნიშნავს კულტურებისა და სუბკულტურების არა უბრალო თანაარსებობას, არამედ მათ დიფუზიასა და დიალოგს. თბილისური კულტურა, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ქართული კულტურის ნაწილია, მაგრამ, მეორე მხრივ, ესაა მულტიკულტურული ფენომენი, სადაც მრავალი სხვადასხვა კულტურა ერწყმის ერთმანეთს (Kavtaradze, 2012:403-422). მაგ., მულტიკულტურული ჰიბრიდიზმის ფენომენია თბილისის აშუღური პოეზია და მუსიკა. (ბუჩუკური, 2006: 63-80). სტილური სპეციფიკისა და მუსიკალური სტრუქტურის მხრივ ქალაქური ფოლკლორული მუსიკა და პოეზია ორი პოლუსის ირგვლივაა კონცენტრირებული და ორ ძირითად ნაკადს – აღმოსავლურსა და დასავლურს – მოიცავს.

შესაბამისად, ქალაქური მუსიკალური ხელოვნების ნიმუშები დიფერენცირებულია პოლარული სტილისტურ-მხატვრული ელემენტების მატარებელ ორ ჯგუფად. მათგან აღმოსავლურ განშტოებას ფესვები ღრმად აქვს გადგმული საქართველოს ისტორიულ წარსულში და თავისი იერით ენათესავება აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა მუსიკას. დასავლურს – შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს; მათი წარმოშობის ქრონოლოგიის დასადგენად მნიშვნელოვანია ერისთავის თვალსაზრისი:

*ჩვენი ქვეყანა, როგორც იტალია, მდიდარია სხვადასხვა სიმღერებით, მათი მუსიკალურის კილოთი და მიმოხვრით. მართალია, ბევრი სიმღერები მოიპოვება, რომელთა კილო და ხასიათი თათრებისაგან, ყიზილბაშთა და ოსმალებისაგან არის მიღებული, მაგრამ ისინი როგორღაც შესთვისებიან ჩვენს ხალხს და სტუმრათ აღარ ირიცხებიან* (ერისთავი, 1883).

ცნობილია, რომ XIX საუკუნის თბილისის მუსლიმი მოსახლეობა ეთნიკური თვალსაზრისით ასევე მრავალფეროვანი იყო. შედგებოდა: სპარსელებისგან, თურქულენოვანი ხალხებისაგან (რომლებსაც მოგვიანებით აზერბაიჯანელებად მოიხსენიებდნენ), დაღესტნელებისაგან, ვოლგისპირელი თათრებისაგან და სხვათაგან. ყველაზე მრავალრიცხოვანი, როგორც აღინიშნა, იყო სპარსელთა თემი, რომელთაც აზერბაიჯანელები მოსდევდნენ. ირანელები შეადგენდნენ თბილისის ყველაზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ თემს (სანიკიძე, გ. ალასანია, გ. გელოვანი, ნ. , 2011:135-142).

დიდი იყო სპარსული ზეგავლენა საქალაქო ცხოვრებაზე. ხელოსანთა და ვაჭართა აღმოსავლური ტიპის გაერთიანებები – ამქრები – თბილისში შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და XIX საუკუნეში ფართოდ იყო გავრცელებული (ბერაძე,1980: 48). თურქეთიდან და სპარსეთიდან შემოვიდა ქალაქელთა ყოფაში ყავახანა აშუღებით და საზანდარებით. (Анчабадзе и Волкова, 1990:102-103). თბილისში, 1883-1890 წლებში გამოდიოდა სამენოვანი (აზერბაიჯანულ-სპარსულ-არაბული) გაზეთიც (Анчабадзе и Волкова, 1990: 102-103).



ამ ასპექტში, მნიშვნელოვანია ერისთავის მიერ წარმოდგენილი ხმების (სიმღერების) ნუსხა, რომელიც თათართაგან, ყიზილბაშთა და ოსმალოთაგან არის მიღებული:

*1.დოგუში (საჭიდაო), 2. ქარამი, 3. დუგაია, 4. მაჭური, 5. მაჯამა, 6. რასტი, 7. დივანი, 8. ჩარგაია, 9. ჰეიდარი, 10. ნავა, 11. სეგა, 12. ჰუმაია, 13. თასმუხალიფი, 14. რაჰაბი, 15. შადიანი, 16. შიქასტი, 17. რიზაია, 18. თეჯლიში, 19. მავარანი, 20. ჩონგურქოი ყუშის მასნაფი, 21. ბაიათი, 22. ჩობანბაიათი, 23. კროული.*

თუმცა რაფიელ ერისთავი მათგან მკაფიოდ მიჯნავს *ქართული საზანდრების სამღერალ ხმებს:*

*1. მიველ წალკოტს სანუგეშოდ, 2. ჰოი, გაბადრულო მთვარევ, 3. შენთან არს გული, მნათობო, 4. ბუნდოვანს გულს შენ აღმიჩნდი, 5. შავნი შაშვნი და სხვა, 6. ჭმუნვის მახვილი, 7. გამიფრინდა სიხარულის მფრინველი, 8. ჰოი დრონო დრონო, 9. გამტყორცნა სოფელმა, მოვშორდი მზესა , 10. როს არშიყი საყვარლისას ნახვას ეშურებოდა, 11. ეჰა, ვარდი ვითა გაფურჩქნულია, 12. უგვანთა ტრფობა და სხვა, 13. ვარდო რად ხარ თავდახრილი, 14. მუხთალმან ამა სოფელმან, 15. სულო ბოროტო, 16. აღმართ-აღმართ, 17. ახ, მთვარევ, მთვარევ, 18. ტანო-ტან-ტანო...*

და ცხადია, სუფთა, საკუთრივ ქართული წარმომავლობის, სხვადასხვა დროს შესასრულებელი *სოფლური* და *ნამდვილი ქართული სიმღერების* მნიშვნელობასაც და მათ სიმრავლესაც აღნიშნავს და ათეულობით ნიმუშს ასახელებს (რაც თავად ახსოვს):

*1.მგზავრული, 2. საჭიდაო, 3. იერიში, 4. მესტვირული, 5. ჰოპუნა, 6. მუშური (მკიდან რომ დაბრუნდებიან), 7. კურდღელი მოწანწალებდა, 8. სუფრული, 9. მაყრული, 10. ჩონგურო, 11. თარიმან შენსა ვენახსა, 12. მუმლი მუხას გარს ეხვევა, 13. მუშური (სიმინდის თოხნის დროს გურია-სამეგრელოში), 14. ხელხვავი (იქვე სიმინდისა და ღომის კრეფის დროს), 15. ხასანბეგური გურიაში, 16. ფერხული კაცებისა, 17. ფერხული ქალებისა: დათო, დათო ჩვენო დათო და სხვა, 18. ფერხული ქალ-კაცთა სამეგრელოში, 19. ჩონგურზედ დასამღერებელი ხმები გურია-სამეგრელოში ქალებისაგან, 20. ფშაური წყნარი – გამბული, 21. ფშაური ჩქარი, 22. იავნანა, 23. თამარ-მეფა, 24. ჰერო, ჰერო, ჩიკრიკო და მწყერო, ა, ნიშანი მოგვე და სხვანი, 25. ოდელია, 26. შენ ბიჭო ახალციხელო, 27. ორმოში ფეტვი ჩავყარე, 28. ავთანდილ გადინადირა, 29. მიყვარს მეგრული ფაცხაო და სხვანი მრავალნი.*

*დროებაში* გამოქვეყნებული ამ პუბლიკაციის დასასრულს, რაფიელ ერისთავი იმედს გამოთქვამს, რომ თუ თუნდაც მეოთხედი იმისა, რაც მას ჩამოთვლილი აქვს, *შეუშლელად და შეურყვნელად* გადატანილი იქნება ნოტებზე, ისტორიას შემოენახება მდიდარი საგანძური.

სამწუხაროდ, ამ ნატვრის ასრულება მხოლოდ ნაწილობრივ მოხდა, ისიც XX საუკუნეში[1], მაშინ, როდესაც ამ სიმღერათა დიდი ნაწილი უკვე დაკარგული იყო.

## დასკვნა

რაფიელ ერისთავის პუბლიკაციაზე დაყრდნობით განხორციელებული კვლევა ადასტურებს, რომ წერილში მოხსენიებული ქალაქური სიმღერები, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში იყო გავრცელებული, ობიექტური მიზეზების გამო, დღევანდელ რეალობაში დაკარგულია და ეს წერილი შეიცავს იმ დროის ქართულ ყოფაში არსებული ტრადიციული მუსიკის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას. დასტურდება ის რეალობაც, რომ XIX საუკუნის 80-ან წლებში საქართველოში და კერძოდ, თბილისში სპარსული, ყიზილბაშური, თათრული სიმღერები საკმაოდ გავრცელებული იყო (იხ. სიმღერების სია), ხოლო ე.წ. *დასავლური* ტიპის ქალაქური სიმღერები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

ამდენად, გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა, ეს პუბლიკაცია, რომელიც მისი ავტორის განსწავლულობასა და მოღვაწეობის მასშტაბზე მეტყველებს, საინტერესოა მუსიკალური *თბილი-*

1 იხ. ა. მშველიძე (1970) – ქართული ქალაქური სიმღერები

*სიანას* ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესების წარმოჩენისათვის.

ჩატარებული კვლევა, განხორციელებული რაფიელ ერისთავის ერთი პუბლიკაციის საფუძველზე, იმდროინდელი ქართული მუსიკალური ფოლკლორის, კერძოდ, თბილისური მელოსფეროს რეტროსპექტივის მცდელობაა, რაც, ვფიქრობ, დახმარებას გაუწევს ქართული მუსიკალური კულტურის ამ საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

წარმოდგენილი ანალიტიკური ექსკურსი, როგორც წყაროთმცოდნეობითი მუშაობის შედეგი, მუსიკალური *თბილისიანას* ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს წარმოაჩენს და ვფიქრობ, საინტერესოა *თბილისის* თემის კომპლექსური შესწავლისათვის.

## ბიბლიოგრაფია


ერისთავი, რ. (1883, 24.11). ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით. თბილისი: გაზეთი *დროება*. 236.

სანიკიძე, გ., ალასანია, გ., გელოვანი, ნ. (2011*) ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთა (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი),* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ანთაძე, კ. (1973*). საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში.* თბილისი: განათლება

ბერაძე, თ. (1980). *თბილისის სურათები.* თბილისი: *ნაკადული.*

ბუჩუკური, ე. (2006). *აშუღური ხელოვნება და ძველი თბილისის სიმღერები (სტილური ანალიზის ცდა),* ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი: *მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია.*

გრიშაშვილი, ი. (1987). *ფსევდონიმების ლექსიკონი.* თბილისი: მეცნიერება.

გრიშაშვილი, ი. (1997). *ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა).* თბილისი: სამშობლო

გრიშაშვილი, ი. (2017). *ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. თბილისი: სიესტა.*

კაშმაძე, შ. (1950). *თბილისის საოპერო თეატრი,* ნაწილი1. თბილისი:*ხელოვნება.*

კიკნაძე,ზ., ბრეგაძე, ლ. (რედ), (2008). *რელიგიები საქართველოში:* კრებული. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი.

მიქაძე, გ. (1984). *ფსევდონიმების ლექსიკონი.* თბილისი: მეცნიერება.

მშველიძე, ა. (1970). *ქართული ქალაქური სიმღერები.* თბილისი. სსრკ მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება.

ქავთარაძე, მ. ბუჩუკური, ე. (2012), *პოლიფონიისა და მონოფონიის ურთიერთმიმართების პრობლემა ქართული ქალაქური ფოლკლორის მაგალითზე.* თბილისი. ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

შუღლიაშვილი, დ., (2015), *ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921წლების პერიოდიკაში.* მთავარი რედაქტორი და შემდგენელი. თბილისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

Kavtaradze, M. (2012), Multiculturalisme et identité nationale (sur l'exemple de la culture musicale urbaine géorgienne) in: *L'Europe et le Caucase. Les relations interrégionales et la question de l'Identité*. Tbilisi. Université d'Etat Ilia.

Orsolle, Ernest. (1885), *Le Caucase et la Perse.* Paris: Published by Plon, Nourrit et Cie.

*Анчабадзе* Ю. Д., *Волкова* Н. Г. (*1990).* Старый Тбилиси. Город и горожане в XIX в. Москва. Наука.

https://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=muz&issue=2006-08




*მარინა ქავთარაძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის
სახელობის კონსერვატორია.

*Marina Kavtaradze*
PhD, Professor,
V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire
ORCID ID: 0009-0005-4313-461X



ფილიმონ ქორიძე





გამოცემა მ. შარაძისა ჯ ამხან. (პ. კერესელიძისა, ხ. ლოსაბერიძისა ჯ ვ. გძელიძისა)

# საგალობელნი

პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა,

ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოების

ხარჯით გადაღებული


**ფილიმონ იესეს ძას ქორაძისაგან.**

გადმოცემული: დიმიტრი რ. ჰალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან. სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გადაცემულია ანტონ ნ. დუმბაძისაგან.

პარტიტურა №. 2.

ტფილისი, 1901

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკ., ქ., № 21.


„წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა. № 47.

ინდი მინდი ფქრად შინდი

ქართული სალხური სიმღერა გურულს კილოზე

მუსიკა ფ. ქორიძისა.

Чорные глаза, Чудныя кудри

ГРУЗИНСКАЯ НАРОДНАЯ ПѢСНЯ ГУРІЙСКАГО НАПѢВА.

*Музыка Ф. Коридзе.*

Цѣна 30 коп.

OCCHI NERI SCINTILANTI

La canzone Giorgiana della provincia di Guria, posta in musica da F. Corize.

Тифлисъ. Типографія М. Шарадзе и К°.
*1900 г.*

სტამბა მ. შარაძისა და ამხ.



# რაფიელ ერისთავი და ქართული ტრადიციული მუსიკა

## აბსტრაქტი


2014 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცა უნიკალური აუდიოალბომი, რომელიც 1916-1918 წლებში, პრუსიის ფონოგრაფიული კომისიის წევრების მიერ, ავსტრიისა და გერმანიის ტყვეთა ბანაკებში მოხვედრილი ქართველი ჯარისკაცებისაგან, ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილ სიმღერებს აერთიანებს. ერთ-ერთ სიმღერას ქართველი ტყვეები იწყებენ სიტყვებით – სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ.

რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფი და გერმანიის ტყვეობაში ჩავარდნილი ქართველი მეომრების მიერ სიმღერით ნათქვამი რაფიელ ერისთავის ეს ლექსი, ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან რაფიელ ერისთავის კავშირი არ შემოიფარგლება მისი ზოგიერთი ლექსის ქართულ ტრადიციულ ჰანგებზე დამღერებითა და გახალხურებით. საქართველოს ღირსეული შვილისა და მოამაგის მოღვაწეობა ქვეყანაში ფოლკლორისადმი ინტერესის გაღვივების წლებს დაემთხვა. მან წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ეთნოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების, არამედ ტრადიციული მუსიკის კვლევაშიც და დაგვიტოვა საყურადღებო ცნობები და მოსაზრებები ქართული საეკლესიო გალობის, ხალხური სიმღერისა და ქალაქური ფოლკლორის შესახებ.

პუბლიკაციაში, რაფიელ ერისთავის ფოლკლორისტული შეხედულებების განხილვასთან ერთად, გაანალიზებულია მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე – XIX საუკუნის ბოლო წლების თბილისის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი გამორჩეული თარიღი. ქართულ პრესასა და მემუარულ ლიტერატურაში აღწერილი ეს ღონისძიება ძვირფასი დოკუმენტური მასალაა. იგი წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის საქართველოში ტრადიციული მუსიკის – ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი სიმბოლოს როლსა და მნიშვნელობაზე.



**საკვანძო სიტყვები:** *რაფიელ ერისთავი; ქართული ტრადიციული მუსიკა; ხალხური სიმღერა; ფოლკლორი.*

# RAPHIEL ERISTAVI AND TRADITIONAL GEORGIAN MUSIC


## ABSTRACT

In 2014, the Tbilisi State Conservatory released a unique audio album compiling songs recorded on wax cylinders between 1916 and 1918 from Georgian soldiers held in Austrian and German prisoner-of-war camps, archived by members of the Prussian Phonographic Commission. In one of the songs, the Georgian prisoners begin with the words: *"Where I was born and raised."*

This poem by Raphiel Eristavi, sung by Georgian soldiers serving in the Russian Empire and held captive by the Germans, assumes particular significance within its historical and political context.

Raphiel Eristavi's engagement with traditional Georgian music was not limited to setting some of his poems to traditional melodies and transforming them into folklore. His work, as a distinguished figure and devoted servant of Georgia, coincided with a period of growing national interest in folklore. He contributed not only to the study of ethnography and verbal folklore but also to the exploration of traditional music. Eristavi left behind remarkable observations and insights on Georgian church and folk singing traditions, as well as urban musical folklore.

In addition to examining Raphiel Eristavi's folkloristic views, the article analyzes the 50th-anniversary celebration of his contributions – a notable event in the cultural life of Tbilisi during the late nineteenth century. Documented in the Georgian press and in contemporary memoirs, this event serves as valuable primary material, offering insight into the role and significance of traditional music – a key symbol of Georgian national identity – during that period.


**Keywords:** Raphiel Eristavi; traditional Georgian music; folk song; Folklore.



## შესავალი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს ეროვნული იდეის გარშემო გაერთიანებულ მოღვაწეთა შორის, რაფიელ ერისთავი უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს. მისი საქმიანობის სფეროთა მრავალფეროვნება გაოცებას იწვევს და ღირსეული მამულიშვილის დიდ ნიჭსა და გაქანებაზე მეტყველებს.

ფართო საზოგადოებისთვის რაფიელ ერისთავი, უფრო მეტად, თავისი პოეტური მემკვიდრეობითაა ცნობილი. ქართველი კომპოზიტორის, *ნიკო სულხანიშვილის* მიერ ერისთავის ლექსის მიხედვით შექმნილი საგუნდო ნაწარმოები *„სამშობლო ხევსურისა"*, დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა, ბევრმა შეიძლება არც კი იცის, რომ ეს ლექსი არა მხოლოდ პროფესიული საგუნდო ნაწარმოების, არამედ ერთ-ერთი ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის საფუძველიც არის.

ქართული ხალხური მუსიკის მკვლევართათვის რაფიელ ერისთავი უაღრესად საინტერესო ფიგურაა. მისი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები ტრადიციული მუსიკის შესწავლისათვის მდიდარ მასალას იძლევა. ხშირ შემთხვევაში, ავტორი არ შემოიფარგლება ამა თუ იმ რიტუალისა და წეს-ჩვეულების მშრალი აღწერით. იგი ფოლკლორული ყოფის თანმხლებ მუსიკასაც საგანგებო ყურადღებას უთმობს. ამ თვალსაზრისით, ეს წერილები ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და დაინტერესებულ მკვლევარს ელის. წინამდებარე პუბლიკაციის ფარგლებში მსურს მათში გაბნეულ რამდენიმე საყურადღებო ცნობაზე შევაჩერო ყურადღება.

## კვლევის მეთოდი

კვლევა ემყარება ინტერდისციპლინურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეთნოგრაფიულ, ეთნომუსიკოლოგიურ, ტექსტოლოგიურ და შედარებით-ანალიტიკურ მეთოდებს. კვლევის მიზანია რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიულ წერილებში ასახული სოციალური და კულტურული რეალიების, მათ შორის მუსიკალური ტრადიციების გამოვლენა, აღწერა და ინტერპრეტაცია; მათი შედარება შემდგომი ფოლკლორისტული და მუსიკოლოგიური კვლევების შედეგებთან.

## შედეგი

კვლევის შედეგი გვიჩვენებს, რომ რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიულ წერილებში დაცული ცნობები ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესახებ, წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს საკითხის შესწავლისათვის. დაკვირვება ცხადყოფს, რომ რაფიელ ერისთავი ფლობდა ფართო კულტურულ ხედვას, რომლის ფარგლებშიც ტრადიციულ მუსიკას ეროვნული თვითშეგნების მნიშვნელოვან ნაწილად განიხილავდა.

## მსჯელობა

**ამინდის საველრებელი რიტუალი და სიმღერა ლაზარე**

ამინდის საველრებელი რიტუალის არსებობა საქართველოს არაერთ კუთხეშია დამოწმებული (ზუმბაძე, 1997:8). ეს რიტუალი და მისი თანმხლები სიმღერები, მართალია, დღესდღეობით ყოფაში აღარ გვხვდება, თუმცა ამ სიმღერებს ასრულებენ სცენაზე ქალთა ფოლკლორული ანსამბლები. რაფიელ ერისთავი, გაზეთ *კავკაზის* 1847 წლის ნომერში აღწერს, თუ როგორ სრულდებოდა ლაზარობა მის მშობლიურ კუთხეში, კახეთში (*Эристави,* 1847:37).

*ივლისის გვალვებისას გოგონები ამზადებდნენ თოჯინას და ლაზარეს სიმღერით სოფელს კარდაკარ ჩამოივლიდნენ. წვიმის მოყვანას, როგორც წესი, შესთხოვდნენ ლაზარეს: – „ღმერთო მოგვე ტალახი/აღარ გვინდა გორახი"; ხოლო გამოდარებას – წმინდა ელიას ევედრებოდნენ:*

*„წმინდა ელია/ჩვენი მცველია” (იქვე).* ამინდის მართვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს რაფიელ ერისთავი ასევე ეხება ნარკვევში თუშ-ფშავ-ხევსურების შესახებ (ერისთავი, 1986:58).

იგი თიანეთში, ივრის ნაპირებზე, შესწრებია *გუთნით წყლის მოხვნას,* რა დროსაც ადგილობრივ გოგონებს *გუთანი* მდინარე იორში *გაუტარებიათ* (იქვე: 98). გვალვის დროს წყალში გუთნის გატარება საქართველოს სხვა კუთხეებშიცაა დამოწმებული. ეთნომუსიკოლოგ *ედიშერ გარაყანიძის* მიხედვით, ეთნოფორებს გასულ საუკუნეში ჯერ კიდევ ახსოვდათ ეს რიტუალი და მისი თანხმლები სიმღერაც (გარაყანიძე, 2007:67).

რაფიელ ერისთავის ცნობები *ლაზარესა* და *წყალში გუთნის გატარების* შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დეტალურ აღწერილობასთან ერთად ისინი საქართველოში ამინდის მართვის რიტუალისა და ამინდის სავედრებელი სიმღერების არსებობის დამადასტურებელ, ერთ-ერთი ყველაზე ძველ წერილობითი წყაროებს განეკუთვნება. (ფოტო 1)

**სამგლოვიარო რიტუალის თანმხლები სიმღერები**

რაფიელ ერისთავი ნაშრომში, *ლეჩხუმის მაზრაში ძველი და ახალი ჩვეულებების მოთხრობა ანუ იგივე ისტორია* (ერისთავი, 1986:23), წერს ლეჩხუმის სოფლებში: *ალპანაში, აჭარასა და ზოგიშში* ოჯახის უხუცესი მამაკაცის ან ქალის დაკრძალვის შემდეგ გამართულ ვახშამზე შესასრულებელი, ქალთა ჯგუფური დატირების შესახებ. ავტორის თანახმად, ამ რიტუალს ხალხი *სულის გადაბრძანებას* უწოდებდა (იქვე:29). მათ სჯეროდათ, რომ მისი შესრულების შედეგად გარდაცვლილის სული საკუთარ სახლს დატოვებდა. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ადგილობრივი სასულიერო პირები ამ რიტუალის შესრულებას ეწინააღმდეგებოდნენ. რაც შეეხება საკუთრივ დატირების ფორმას, აღწერილობის მიხედვით ვახშამზე საგანგებოდ ამ საქმისთვის მიწვეული სოფლის ერთ-ერთი უხუცესი ქალი დატირების დროს გარდაცვლილის ღირსებებს ჩამოთვლიდა და ღმერთს მისი სულის განსვენებას შესთხოვდა, ყოველ ფრაზას აბოლოვებდა თანმხლები ქალების სიტყვები: *ოჰო, ოჰოი სულგანათლებულიო* (იქვე).

ქალთა დატირების ჯგუფური ფორმები, რომლებიც რესპონსორულობის პრინციპს ეფუძნება და სოლისტისა და გუნდის მონაცვლეობაზეა აგებული, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვა სახელწოდებებით არსებობდა. მაგ.: *ხმით ტირილი, ქვითინით ტირილი, ადაი-დადაი* და სხვა; თუმცა, ლეჩხუმში ქალთა დატირების ამგვარი ფორმა ჩაწერილი არ არის. სავარაუდოდ, ადგილობრივთა მეხსიერება ამ რიტუალის შესახებ ცოდნას უკვე აღარც ინახავს, რაც ერისთავის ამ ცნობას კიდევ უფრო მეტ ღირებულებას სძენს. (ფოტო 2)

სამგლოვიარო რიტუალსა და მის თანმხლებ სიმღერა *ზარს* ეხება რაფიელ ერისთავი პუბლიკაციაში – *წერილი იმერეთიდან* (ერისთავი, 1986:101). ავტორი *ზარის* შესრულების ფაქტებს თავად შესწრებია ქვემო იმერეთში, კერძოდ ხონსა და კულაშში. აღწერილობის თანახმად, დაკრძალვის დღეს გარდაცვლილის სახლთან მდგარი *მოზარეები* ამ სიმღერას ასრულებდნენ შორისდებულზე *ვაი* (იქვე:11).

სამგლოვირო სიმღერა *ზარი* და მასთან დაკავშირებული რიტუალი დღესდღეობით საქართველოს მხოლოდ ერთ კუთხეში, სვანეთშია შემონახული. თუმცა ცნობილია, რომ წარსულში დატირების ეს ფორმა, საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც დამახასიათებელი იყო (*კალანდაძე-მახარაძე,* 2005:160).

რაფიელ ერისთავის ცნობაც თავის მხრივ ადასტურებს, რომ XIX საუკუნის შუა წლებში *ზარი* იმერული სამგლოვიარო რიტუალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა (ფოტო 3).

**ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით**

1883 წელს გაზეთ *დროებაში* გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის უაღრესად საყურადღებო წერილი *ქართული საეკლესიო გალობა და სიმღერები ნოტებით* (*ერისთავი,* 1883:1-2).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულმა საეკლესიო გალობამ მაშინდელი საზოგადოება გააერთიანა პრობლემის ირგვლივ, რომელიც რუსული მმართველობის ქვეშ მოქცეულ საქართველოს ეკლესიაში ქართული გალობის ტრადიციის თანდათან მოშლასა და მივიწყებაში მდგომარეობდა. ამ კულტურის დაკარგვის საფრთხეს მისი მხოლოდ ზეპირი ფორმით არსებობა კიდევ უფრო ამძაფრებდა.

საგალობლების ნოტირების, მგალობელთა გუნდების შექმნის, ქართული გალობის გავრცელებისა და ამ გზით მისი შენარჩუნების მიზნით, 1878 წელს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის თაოსნობით, თბილისში, ხოლო 1884 წელს ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მხარდაჭერით – ქუთაისში, დაარსდა *ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტები* (*წურწუმია,* 2020:193-195).

ისტორიაში სამუდამოდ ჩაიწერა იმ ადამიანების სახელები, რომლებმაც ამ პროცესში წვლილი შეიტანეს. მათ შორის იყვნენ საგალობლების შემსრულებლები, ჩამწერები, გამომცემლები, ამ საქმის ფინანსური თუ მორალური მხარდამჭერები. მათი ძალისხმევით ქართული გალობის ათასობით ნიმუში იქნა ნოტებზე ჩაწერილი (*ვეშაპიძე, ჯანგულაშვილი,* 2016:8).

ადამიანი, რომელმაც ამ საქმეში უდიდესი ამაგი გასწია, გახლდათ ევროპული განათლების მქონე მუსიკოსი *ფილიმონ ქორიძე,* რომლის მცდელობა ქართული გალობის ნოტებზე გადატანისა, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, წარმატებით დასრულდა. სწორედ ამ მოვლენას ეხმიანებოდა *დროებაში* გამოქვეყნებული სტატიის დასაწყისში რაფიელ ერისთავი და გამოთქვამდა სურვილს, ფილიმონ ქორიძეს საგალობლების გარდა, ფოლკლორული მუსიკაც ჩაეწერა:

*ურიგოდ არ იქნებოდა ბატონს ქორიძეს რომ მიეპატიჟნა საზანდრები და იმათგან დაკრულის, ან ნამღერალის ხმებიდან შეედგინა* ***კრებული*** *სიმღერებისა. ურიგოდ არ იქნებოდა აგრეთვე, რომ ამავე განზრახვით ემგზავრა თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სოფლებში და ნოტებზედ გადაეღო სოფლური სიმღერების ხმები* (*ერისთავი,* 1883:2).

ერისთავის ამ მოწოდებაში ჩანს მისი დამოკიდებულება ეროვნული მუსიკის მიმართ, ალღო, რომელიც მას ჰკარნახობდა, რომ ამ გზით შეიძლებოდა არაერთი ხალხური ჰანგი, საგალობლებთან ერთად, დაკარგვისა და დავიწყებისაგან გადარჩენილიყო.

ამავე სტატიაში რაფიელ ერისთავი მსჯელობს აღმოსავლური მუსიკალური კულტურების შედეგად საქართველოში გავრცელებულ და ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნილ, ადაპტირებულ ნიმუშებზე. მისი სიტყვების მიხედვით, ამგვარ ჰანგებს შორის, *რომლებიც როგორღაც შესთვისებიან ჩვენს ხალხს და სტუმრად აღარ ირიცხებიან,* არის: *დოგუში* (საჭიდაო), *მაჯამა, რასტი, დივანი, ჩარგაია, შიქასტი, ბაიათი* და სხვა. მას აქვე მოჰყავს საზანდრის[1] თანხლებით შესასრულებელი სიმღერების სახელწოდებები (იქვე).

ჩამოთვლილი ჰანგების ნაწილი დღემდე რჩება თბილისური ანსამბლების, ე.წ. *მედუდუკეთა დასტების* რეპერტუარში, როგორც ქართული ქალაქური ფოლკლორის აღმოსავლური შტოს კუთვნილება, თუმცა მათი უმეტესობა, გასულ საუკუნეში თბილისური აშუღური მუსიკის მივიწყების შედეგად, თანდათან დაიკარგა. ამავე სტატიაში ავტორი მისთვის ცნობილი ხალხური სიმღერების სახელწოდებებსაც გვაწვდის. მათ შორისაა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, საკრავებით თუ საკრავების გარეშე შესასრულებელი ნიმუშები (იქვე). (ფოტო 5)

რაფიელ ერისთავის მიერ *დროებაში* გამოქვეყნებული პუბლიკაცია იმ კვლევებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც წინ უსწრებდა და ნიადაგს უმზადებდა ქართული ტრადიციული მუსიკის მეცნიერულ შესწავლას, საქართველოში მუსიკალური ფოლკლორისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის გაჩენას.

1895 წელს თბილისში რაფიელ ერისთავის 50 წლიანი მოღვაწეობის იუბილე გადაიხადეს. ეს დღე ეროვნული ერთობის, საზოგადოების კონსოლიდაციის, დამოუკიდებლობისთვის მებ-

1 საზანდარი–აღმოსავლურსაკრავთაანსამბლი.http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=3525

რძოლი ერის თვითგამოხატვის ნათელ მაგალითად იქცა და წარმოაჩინა საქართველოს მთასა და ბარში თუ მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველების ერთიანობა. ის გზავნილები, რომლებიც გაისმა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, ალექსანდრე ოქროპირიძის და სხვათა მილოცვებში, ამის ნათელი მაგალითია.1 იუბილეს ახლდა *ქართლ-კახური მრავალჟამიერი და მაყრული, მეგრული კუჭხი ბედინერი და გურული ხასანგებურა, რაჭული გუდასტვირი, თბილისური საზანდარი, ზურნა და დუდუკი (მგელაძე, 1990:37-*42). ქართულ პრესასა და მემუარულ ლიტერატურაში აღწერილი ეს ღონისძიება ძვირფასი დოკუმენტური მასალაა, რადგან იგი წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის საქართველოში ტრადიციული მუსიკის – ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი სიმბოლოს – როლსა და მნიშვნელობაზე (ფოტო 5, 6).

2014 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცა უნიკალური აუდიოალბომი, რომელიც 1916-1918 წლებში პრუსიის ფონოგრაფიული კომისიის წევრების მიერ ავსტრიისა და გერმანიის ტყვეთა ბანაკებში მოხვედრილი ქართველი ჯარისკაცებისაგან, ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილ სიმღერებს აერთიანებს.2 ერთ-ერთ სიმღერას საფუძვლად უდევს რაფიელ ერისთავის ცნობილი ლექსი *„სამშობლო ხევსურისა”*.

რაფიელ ერისთავის პოეზია იმდენად ორგანულადაა დაკავშირებული ხალხურ წყაროებთან და თავისი ფორმითა და საზომითაც იმდენად ხალხურია, რომ მისი ლექსებისა თუ ცალკეული სტრიქონების მისადაგება ქართულ, სხვადასხვა ჟანრის, მრავალხმიან სიმღერებთან სულაც არაა გასაკვირი. თუმცა, რუსეთის იმპერიის სამხედრო სამსახურში მყოფი და გერმანიის ტყვეობაში ჩავარდნილი ქართველების მიერ ნათქვამი *სამშობლო ხევსურისა* ჩაწერის კონტექსტის, მაშინდელი ისტორიული ვითარებისა თუ საქართველოში მომდევნო ათწლეულებში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. (ფოტო 7).

გერმანიის ფონოგრამ-არქივთან თანამშრომლობის შედეგად, სამშობლოში დაბრუნებული ამ ჩანაწერებიდან სიმღერებს დღესაც დიდი სიხარულით ისმენენ და სწავლობენ ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი ახალგაზრდები. ტყვეების ნამღერი *სამშობლო ხევსურისა* მათთვის ერთ-ერთი ყველზე საყვარელია.

## დასკვნა

რაფიელ ერისთავის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ქართული ტრადიციული მუსიკის კვლევისათვის. მათში ავტორი არ შემოიფარგლება მხოლოდ ეთნოგრაფიული მოვლენების აღწერით – იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მუსიკალურ პრაქტიკებს და მათ მნიშვნელობას, რაც ამ ტექსტებს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს. მიუხედავად ამისა, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ წერილების მუსიკოლოგიური ასპექტები, დღემდე რჩება არასაკმარისად შესწავლილ, თუმცა მნიშვნელოვან საკითხად შემდგომი კვლევებისთვის. რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობა ცხადყოფს, რომ ავტორი მუსიკალურ ტრადიციებს მხოლოდ აღწერის საგნად არ მიიჩნევდა. მის ტექსტებში მკაფიოდ იკვეთება ქართული მუსიკალური კულტურისადმი ღრმა პატივისცემა და მისი დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობის განცდა. ერისთავის ხედვაში ტრადიციული მუსიკა აღიქმება როგორც ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილი და კულტურული მეხსიერების მატარებელი ფენომენი.

1 იხ.: *საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო* (1899). თბილისი, გამოცემა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა.

2 აიდოალბომი *ექო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები, ჩაწერილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში 1916-1918* . (2014). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ბერლინის ფონოგრამ-არქივი, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმი.



## ბიბლიოგრაფია


გარაყანიძე, ედ. (2007). *ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობა. თბილისი: ინტელექტი.*

ერისთავი, რ. (1986). *ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები.* გამოსაცემად მოამზადა თემურ ჯაგოდნიშვილმა. თბილისი: *მეცნიერება.*

ვეშაპიძე, ლ., ჯანგულაშვილი, სვ. (2016). *ქართული გალობა. ანთოლოგია, ტომი I.* თბილისი: საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი; ფონდი *ქართული გალობა.*

ზუმბაძე, ნ. (1997). *სავედრებელი და სადიდებელი სიმღერები ქართველ ქალთა საწესჩვეულებო ფოლკლორში: ჟანრული სპეციფიკა და მრავალხმიანობა* (ავტორეფერატი).

კალანდაძე-მახარაძე, ნ. (2005). *გლოვის ზარი ქართველ მამაკაცთა ტრადიციულ მრავალხმიანობაში.* ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებების კრებული. (წურწუმია რ., ჟორდანია ი. (რედ.)). თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი.

მგელაძე ვლ. (1990). *26 მაისი.* თბილისი: *მერანი.*

წურწუმია, რ. (2020). *ქართული მუსიკის ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნეში.* თბილისი: ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

ერისთავი, რ. (1883). გაზეთი *დროება*, № 236.

*საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო.* (1899). თბილისი: სტამბა ექ. ხელაძისა.

Эристави, Р. (1847). газ. *Кавказъ,* №10.



*თეონა რუხაძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
გიორგი მთაწმინდელის
სახელობის გალობის უნივერსიტეტი.

*Teona Rukhadze*
Doctor of Arts,
Associate Professor,
Giorgi Mtatsmindeli University of Chant.
ORCID-ID: 0000-0001-9381-318X



1. ამინდის გამოთხოვის რიტუალის „მურობის“ მონაწილეები. ლეჩხუმი, 1914. ციფრული ფოტომატიანე. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/107204



2. მიცვალებულის წლისთავზე დატირება. თუშეთი, 1984. მირიან ხუციშვილის ფოტო. https://www.batsav.com/pages/museum.htm






3. მიცვალებულის დატირების რიტუალი. სვანეთი, 1931. დინა კოუენიკოვას არქივიდან. https://dinakozhevnikova.ge/item?id=419



4. კავკასიური ორკესტრი *საზანდარი*. დიმიტრი ერმაკოვის ფოტო. გადაღების თარიღი და ადგილი უცნობია. ციფრული ფოტმატიანე. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/197690



საიუბილეო ღღესასწაული
თავ. რ. ერისთავისა

1) დეპუტაციები და სიტყვის თქმის მსურველნი მიჰმართვენ დღესასწაულის წეს-რიგის მიმცემს გიორგი წერეთელს.


2) ლოჟისა და სხვა ადგილის კონტრამარკებისათვის უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სოლო ქანდარისა და ამფითეატრის კონტრამარკებისათვის —ვლ. ალექსი-მესხიშვილსა და კ. მესხს, ქართულ თეატრის კანტორაში, დილის 10 ნაშუადღევის 2 საათამდე და სალამოს 4 —7-დე.

3) ნადიმზედ დასწრების მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ვ. გუნიას შაბათს შუადღემდე.

4) დეპუტაციებისა და მიმლოცველთა შესახებ წეს-რიგის დადგენა მინდობილი აქვთ თეატრის დარბაზში ვლ. ალექსი-მესხიშვილს, კ. მესხსა და ვალ. გუნიას.

საიუბილეო კომიტეტი.

5. რაფიელ ერისთავის იუბილის შესახებ. გაზეთი ივერია, 1895, #227.




ექო წარსულიდან – აუდიოალბომის ყდა.



# სათეატრო არქიტექტურა XIX საუკუნის საქართველოში

## აბსტრაქტი

პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობები საქართველოში, XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში შენდება. სათეატრო შენობებად დაპროექტებულ და აგებულ თეატრებთან ერთად, გვხვდება სათეატრო სივრცეებად ადაპტირებული შენობებიც. არქიტექტურული სტრუქტურით ისინი დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობებია პერსპექტიული სცენა-კოლოფით და იარუსული დარბაზით. ევროპაში შექმნილი სათეატრო არქიტექტურის ეს კომპოზიცია დღემდე უცვლელია. მისი ფორმირება მიმდინარეობდა XIX საუკუნის განმავლობაში და გასული საუკუნის დასაწყისში დასრულდა.

სათეატრო შენობების დაპროექტებასა და მშენებლობაზე საქართველოში მოწვეული ევროპელი არქიტექტორები (ასევე, საქართველოში მცხოვრები ევროპელები) მუშაობდნენ. ისინი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობდნენ, მათ შორის თბილისშიც. სათეატრო შენობებად დაპროექტებულ-აგებული სათეატრო შენობებია: ტფილისის თეატრი, ე.წ. ქარვასლის თეატრი (1847–1851 წწ.) – არქ. ჯ. სკუდიერი; ტფილისის საზაფხულო თეატრი (1869–1870 წწ) – არქ. ა. ზალცმანი; სახაზინო (ოპერის) თეატრი (1880–1896 წწ) – არქ. ვ. შრეტერი; „არტისტული საზოგადოების“ თეატრი (1898–1901 წწ.) – არქ.: ა. შიმკევიჩი, კ. ტატიშჩევი. სათეატრო სივრცეებად გადაკეთებული შენობები იყო: მანეჟის თეატრი (1845 წ.) – არქ. ი. ივანოვი; სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი – არქ. ა. ფონ სკოიანი (1878 წ.), არქ. პ. შტერნი (1887–1888 წწ.), ქრ. ტერ-სარქისოვი (სატუნცი) (1906–1908 წწ.).

თბილისში XIX საუკუნის II ნახევარში ექვსი სათეატრო შენობაა, განსხვავებულია მათი ფუნქციონირების პერიოდი, არქიტექტურული გადაწყვეტა და არსებობის დრო. ექვსივე სათეატრო ნაგებობა თავმოყრილია ისტორიულ გარეთუბანში, იმდროინდელი თბილისის ახალ უბანში, რომლის განაშენიანებაც ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX საუკუნეში და უმთავრესი ადგილი ადმინისტრაციულ შენობებს ეკავა. პასკევიჩ-ერევანსკის (დღ. თავისუფლების) მოედნიდან გოლოვინის (დღ. რუსთაველის) პროსპექტის მიმართულებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენიმე სათეატრო ნაგებობაა. მათაგან ორი – მანეჟის და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის – თეატრებად გადაკეთებული ნაგებობებია, დანარჩენი – ქარვასლის თეატრის, საზაფხულო თეატრის, სახაზინო და *არტისტული საზოგადოების* თეატრების შენობები თავიდანვე ამ ფუნქციით აშენდა. სათეატრო არქიტექტურის კონცენტრაცია ქალაქის ამ ნაწილში მისი განაშენიანების სპეციფიკაზეც დაგვაფიქრებს. XXI საუკუნის გადასახედიდან კი ეს თავისებური გარემოება მეტ ინტერესს აღძრავს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სათეატრო შენო-

ბათაგან ორი – ქარვასლის სტრუქტურაშია ჩართული. ასეთია: პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე მდებარე ტფილისის თეატრი, იგივე ქარვასლის თეატრი (თავიდანვე ორმაგი – სავაჭრო და სათეატრო – ფუნქციით იყო ჩაფიქრებული) და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი, რომელიც უკვე არსებულ ქარვასლის შენობაში, მისი გადაკეთების შემდეგ ინტეგრირდა და დროთა განმავლობაში არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა.

თბილისის როგორც დედაქალაქის როლი სათეატრო ხელოვნების და სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში გამორჩეულია, თუმცა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სათეატრო ნაგებობები შენდება ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ბორჯომში.... და არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლებშიც. სოფელ ქვემო მაჩხაანში 1897 წელს აგებული სათეატრო შენობა ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი სათეატრო ნაგებობაა საქართველოში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებული სათეატრო შენობების ასეთი სიმრავლე თეატრისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, სათეატრო ცხოვრების მნიშვნელობაზე და, ამავდროულად, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების დონეზეც მეტყველებს.

**საკვანძო სიტყვები:** სათეატრო შენობები; ქარვასლა; ევროპელი არქიტექტორები; რუსთაველის გამზირი; ქვემო მაჩხაანის თეატრი; საზაფხულო თეატრი; ბორჯომის თეატრი.

## THEATRE ARCHITECTURE IN 19TH-CENTURY GEORGIA

## ABSTRACT

The first European-style theatre buildings in Georgia were constructed in Tbilisi from the mid-nineteenth century. In addition to purpose-built theatres, there were also buildings adapted to function as theatre spaces. Architecturally, these were enclosed theatre structures featuring a proscenium stage and a tiered auditorium – a design concept established in Europe that has remained largely unchanged to this day. The development of this architectural form began in the nineteenth century and was largely completed by the early twentieth century.

European architects, as well as Europeans residing in Georgia, were invited to participate in the design and construction of theatrical buildings in the country. Many of them had experience working in various cities across the Russian Empire, including Tbilisi. The purpose-built theatres include: Tbilisi Theatre, known as the Carvasla (Caravanserai) Theatre (1847-1851, Arch. J. Scudieri); Tbilisi Summer Theatre (1869-1870, Arch. A. Salzmann); Treasury (Opera) Theatre (1880-1896, Arch. V. Schreter); Artistic Society Theatre (1898-1901, Arch. A. Shimkevich and K. Tatishchev); and K. Zubalashvili City Public House (1901-1909, Arch. S. Krychinsky).

Buildings adapted for theatrical use include: Manege Theatre (1845, Arch. I. Ivanov); Theatre of the Land Bank of Nobility (1878, Arch. A. von Skoyan; 1887-1888, Arch. P. Stern; 1906-1908, Arch. Kr. Ter-Sarkisov/Satunts).

In the second half of the nineteenth century, six theatre buildings are known to have existed in Tbilisi, differing in their periods of operation, architectural design, and longevity. All six were located in the historical outskirts – the new district of Tbilisi at the time – which experienced intensive development in the nineteenth century, with administrative buildings occupying a central position. Along the axis from Paskevich-Erevansky (today's Freedom Square) toward Golovin Avenue (today's Rustaveli Avenue), several theatre buildings were concentrated over the course of half a century. Two of these – the Manege and the Theatre of the Land Bank of Nobility – were adapted from existing buildings, while the remaining four – Tbilisi Theatre (Caravansary Theatre), Tbilisi Summer Theatre, Treasury (Opera) Theatre, and Artistic Society Theatre – were purpose-built for theatrical use from the outset. The concentration of theatre architecture in this part of the city prompts reflection on the specific characteristics of its urban development. From a twenty-first-century perspective, this distinctive circumstance attracts even greater interest. It is also noteworthy that two of the aforementioned theatres were integrated into the Caravansary structure: Tbilisi Theatre, which was originally conceived with a dual function – commercial and theatrical – and the Theatre of the Land Bank of Nobility, which was incorporated into the existing Caravansary building after its reconstruction, and subsequently underwent several renovations over time.

Tbilisi, as the capital, has played a prominent role in the history of theatrical art and theatre architecture. However, in the 1880s and 1890s, theatre buildings were constructed in Kutaisi, Batumi, Ozurgeti, Borjomi, and not only in cities but also in villages. The theatre building erected in 1897 in the village of Kvemo Machkhani is one of the oldest surviving theatre structures in Georgia.

The remarkable abundance of theatre buildings erected in the second half of the 19th century reflects a special regard for the theatre, the significance of theatrical life, and, at the same time, the level of social and cultural development.

**Keywords:**Theater buildings; Caravanserai; European architects; Rustaveli Avenue; Kvemo Machkhaani;Theater; Summer Theater; Borjomi Theater.

## შესავალი

ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის საქართველოში, უპირატესად თბილისში, ასევე ბორჯომსა და სოფელ ქვემო მაჩხაანში საუკუნის მეორე ნახევარში აგებული სათეატრო ნაგებობები. ერთიან ისტორიულ კონტექსტში მათი წარმოჩენა ქრონოლოგიური, გეოგრაფიული, არქიტექტურულ-მხატვრული და, ამავდროულად, განმასხვავებელ თავისებურებათა გამოკვეთით საერო ხუროთმოძღვრების ამ კონკრეტული შინაარსის არქიტექტურის საინტერესო და მრავლისმთქმელ სურათს გვიჩვენებს.

ჩვენი კვლევის მთავარი მიზნიდან (სათეატრო არქიტექტურა XIX საუკუნის საქართველოში) გამომდინარე, განვიხილავთ როგორც დღემდე მოღწეულ, ისე უკვე აღარ არსებულ სათეატრო შენობების შესახებ მოძიებულ მასალებს (პროექტები, ჩანახატები, ფოტოები, სხვადასხვა სახის საარქივო დოკუმენტაცია და ა.შ.), მათი სავარაუდო რეკონსტრუქციისა და დღემდე მოღწეულ სათეატრო ნაგებობებთან შეჯერების საფუძველზე.

## კვლევის მეთოდი

გამოყენებულია მონოგრაფიული, სტილისტური ანალიზის, შედარებითი და კრიტიკული კვლევის მეთოდები. XIX საუკუნის II ნახევარში, თბილისსა და საქართველოს პროვინციებში აგებული სათეატრო შენობები შესწავლილია არქივებში, სამუზეუმო ფონდებსა და საცავებში მოძიებული გრაფიკული და დოკუმენტური (პროექტები, ჩანახატები, ოფიციალური კორესპონდენცია, ფოტოები და სხვ.) მასალების, მათი იდენტიფიცირებისა და სხვადასხვა წყაროსთან შეჯერების საფუძველზე. სათეატრო ნაგებობათა ისტორიის *რეკონსტრუქცია*, საარქივო მასალებთან ერთად, ეყრდნობა, ასევე, იმდროინდელ პრესას, საცნობარო ხასიათის პერიოდულ გამოცემებს, მოგონებებს და ა.შ. აღნიშნული მონაცემების დამუშავების საფუძველზე გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

თბილისსა და საქართველოს პროვინციებში XIX საუკუნეში აგებული სათეატრო ნაგებობების კვლევა მნიშვნელოვნად აფართოებს ჩვენს ცოდნას ამ პერიოდის არა მხოლოდ სათეატრო ცხოვრების, არქიტექტურის და, კონკრეტულად, სათეატრო არქიტექტურის შესახებ, არამედ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებაზე.

## შედეგი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისსა და ქვეყნის პროვინციებში აგებული სათეატრო ნაგებობებიდან – ტფილისის საზაფხულო თეატრი (1870 წ.), ბორჯომის საზაფხულო თეატრი (1895 წ.) და სათავადაზანურო საადგილმამულო ბანკის თეატრი (1878 წ.) – დღეს აღარ არსებობს. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ მათი არქიტექტურული სახისა და ისტორიის *აღდგენას*. რიგ შემთხვევაში ეს ეხებოდა სათეატრო ნაგებობის ადგილმდებარეობის, მშენებლობის ქრონოლოგიის, სხვადასხვა დროის რეკონსტრუქციისა თუ არქიტექტორთა ვინაობის დაზუსტება-დადგენას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ XIX საუკუნის საქართველოში დედაქალაქის კვალდაკვალ, სადაც დროის ნახევარსაუკუნოვან მონაკვეთში ექვსი სათეატრო შენობა ფუნქციონირებდა *(მანეჟის თეატრი, ქარვასლის თეატრი, ტფილისის საზაფხულო თეატრი, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრი, სახაზინო (ოპერის) თეატრი, არტისტული საზოგადოების თეატრი)*, საინტერესო სურათი იკვეთება პერიფერიებშიც. სცენისმოყვარეთა წარმოდგენები იმართება სხვადასხვა ქალაქში. სათეატრო ნაგებობებია ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ჭიათურაში. სამწუხაროდ, ამ შენობებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ცხადია, ასეთი სიმრავლე თეატრისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, სათეატრო ცხოვრების მნიშვნელობაზე და ამავდროულად, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების მაღალ დონეზეც მეტყველებს.



## მსჯელობა

დახურული ტიპის სათეატრო არქიტექტურა პერსპექტიული სცენა-კოლოფით და იარუსული დარბაზით, რომელიც დღემდე გამოიყენება, პირველად ევროპაში შეიქმნა. მისი ფორმირება მიმდინარეობდა XIX საუკუნის განმავლობაში და დასრულდა XX საუკუნის დასაწყისში. პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობები საქართველოში XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში შენდება.

## ჯუიღისის თეატრი

სათეატრო შენობის აგების საკითხი საქართველოს დედაქალაქში ჯერ კიდევ 1844 წელს წამოიჭრა. შეიქმნა პროექტი, რომლის ავტორი თბილისელი არქიტექტორი ი. ივანოვი იყო. მაშინ თეატრის აგება ვერ მოხერხდა. 1845 წელს იმავე ი. ივანოვის პროექტით გადაკეთდა თბილისის სამხედრო მანეჟის შენობა. დროებითი თეატრი 340 ადგილზე იყო გათვლილი. მაყურებელთა ნახევარწრიული დარბაზით, ერთი, ორდონიანი იარუსითა და გვერდითი ლოჟებით. *მანეჟის თეატრი* (როგორც მას უწოდებდნენ) დღევანდელი პარლამენტის შენობის ზედა კორპუსის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ქართული დრამატული თეატრის პირველი სპექტაკლის (1850 2/14 იანვარი, თბილისის პირველი გიმნაზიის სააქტო დარბაზი) შემდეგ, გიორგი ერისთავის დასმა სწორედ ამ შენობაში დაიდო ბინა. თუმცა არც თუ ხანგრძლივი პერიოდით.

1851-1852 წლების სეზონი გ. ერისთავის თეატრმა უკვე *ერევანსკის* მოედანზე (დღ. თავისუფლების მოედანი) აგებულ ახალ სათეატრო შენობაში გახსნა. ეს იყო ტფილისის თეატრი, ე. წ. *ქარვასლის თეატრი,* რომელიც 1847-1851 წლებში არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით თბილისში აშენდა. ამ თეატრში (გაიხსნა 12.IV.1851), პროფესიულ ქართულ თეატრთან ერთად, წარმოდგენებს მართავდა იტალიური ოპერა, რუსული თეატრი და საბალეტო დასი. მოედნის ცენტრში აგებული ოთხსართულიანი სათეატრო შენობა (78X47მ.) ქარვასლასაც მოიცავდა და თბილისელი ვაჭრის, გაბრიელ თამამშევის მიერ დაფინანსდა. მაღაზიები და საწყობები კომერციული მიზნით დაუმატეს, მთავარი კი მაინც თეატრი იყო.

იმდროინდელი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნაგებობა, იმავდროულად, პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობაა. შენობის ცენტრალური ნაწილი სათეატრო სივრცეს – სცენასა და მაყურებელთა დარბაზს ეკავა (36X23,5 მ.). ორიარუსიანი, ნალისებური ფორმის თეატრალური დარბაზი რვაასამდე მაყურებელს იტევდა (პარტერის სართულზე ბენუარის ლოჟებით, ასევე, ლოჟებად დაყოფილი იარუსითა და ქანდარით). აღსანიშნავია სიღრმეში გაფართოებული და სცენისკენ შევიწროებული დარბაზის ფორმა (ე.წ. იტალიური ტიპი), რაც ბგერითი ტალღების სწორი გავრცელების შესაძლებლობას ქმნიდა. პარტერთან შედარებით ამაღლებული იყო პირველი იარუსის ლოჟები, ერთმანეთისაგან მათ დაბალი ზღუდეები ჰყოფდა. ასევე იყო გადაწყვეტილი მეორე იარუსიც. ცენტრალურ ღერძზე სცენის პირდაპირ სამეფო ლოჟა ხაზგასმულად გამორჩეული, ხუთნაწილიანი დანაწევრებით, პარტერიდან ქანდარამდე იყო განთავსებული. მისი დაყოფა ორ იარუსად დარბაზის საერთო გადაწყვეტასაც ექვემდებარებოდა და ამასთანავე, ზომებით, ფორმით და მცირეოდენი შვერილით გამორჩეულ დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენდა. მაყურებელთა დარბაზის სფერულ გადახურვასთან ყველაზე ახლოს ქანდარა იყო, რომელიც ასრულებდა კიდეც დარბაზის იარუსულ სტრუქტურას.

ფოიესა და დარბაზის მხატვრული გაფორმება გრიგოლ გაგარინის ესკიზებით შესრულდა. მის მიერ იყო შექმნილი თეატრის ფარდაც. კლასიკური რენესანსული ფასადების საპირისპიროდ, გრ. გაგარინმა თეატრის ინტერიერი აღმოსავლურ სტილში გადაწყვიტა. ალექსანდრე დიუმა, რომელმაც თბილისის თეატრის შენობა 1858 წელს ნახა, აღფრთოვანებული იყო მისი არქიტექტურითა და მხატვრული გადაწყვეტით.

ტფილისის თეატრი 1874 წელს დაიწვა. თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იგი საო-

პერო ხელოვნების, დრამატული თეატრალური ხელოვნებისა და საბალეტო ხელოვნების კერა იყო (მოედანს გარკვეული დროის განმავლობაში *თეატრალურ* მოედანსაც უწოდებდნენ). ხანძრის შემდეგ თეატრი აღარ აღუდგენიათ და შენობამ მხოლოდ ქარვასლის ფუნქციით გააგრძელა არსებობა. XX საუკუნის 30-იან წლებში კი, მოედნის რეკონსტრუქციის დროს, ისიც დაანგრიეს.

## ᲯᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში ევროპული ტიპის ორი სათეატრო ნაგებობაა: ტფილისის თეატრი და საზაფხულო თეატრი. მნიშვნელოვანია, რომ ამ უკანასკნელის მშენებლობა ქარვასლის თეატრში ხანძრის გაჩენამდე გადაწყდა.

საზაფხულო თეატრის პროექტის მომზადება დაევალა თბილისელ არქიტექტორს, ალბერტ ზალცმანს (1833–1897 წწ.). ადგილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საინჟინრო უწყების ბაღში, საინჟინრო და წყალსაზიდის (დღ. ს. ვირსალაძის და ბროსეს) ქუჩათა მონაკვეთში შეირჩა. XIX საუკუნის თბილისის გეგმებზე საზაფხულო თეატრის შენობა ამ ქუჩათა რკალშია წარმოდგენილი. თეატრის პროექტზე მუშაობა 1869 წელს უნდა დაწყებულიყო. როგორც ჩანს, ინტენსიურად წარიმართა მშენებლობაც. ასე რომ, 1870 წლის ზაფხულის დასაწყისში თბილისში, ქარვასლის თეატრის გვერდით, გაიხსნა ახალი სათეატრო შენობა – ტფილისის საზაფხულო თეატრი – მშვენიერი ბაღით და შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურით.

ტფილისის საზაფხულო თეატრის თავდაპირველი ნაგებობა ხის იყო. ორიარუსიან მაყურებელთა დარბაზში განთავსებული პარტერით, პირველ იარუსზე ორი, მეორეზე 23 ლოჟით. ორთავე იარუსს გარს ერტყა ფართო დერეფანი მასში გაჭრილი 12 კარით. ზედა იარუსის კარები ღია აივანზე გადიოდა, ქვედა იარუსისა – პირდაპირ ბაღში. სათეატრო დარბაზის მოხატულობა შესრულებული იყო დეკორატორ კნოლის მიერ. თეატრი გახსნილი ექსტერიერით უკავშირდებოდა ბაღს. საზაფხულო თეატრი გამოირჩეოდა სისადავით და სასიამოვნო უბრალოებით. ქარვასლის თეატრის შემდეგ ის მეორე, საგანგებოდ ამ მიზნით აგებული, სათეატრო ნაგებობაა საქართველოს დედაქალაქში.

1874 წელს დაიწვა ქარვასლის თეატრი და ძირითადი დატვირთვა საზაფხულო თეატრზე გადმოვიდა. ზამთრისთვისაც რომ გამოსადეგი გამხდარიყო, შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარეს – კედლები ამოაშენეს, ღუმელები გამართეს და *საზამთროდ მოაწყვეს*.

1896 წელს დასრულდა საოპერო თეატრის მშენებლობა. საზაფხულო თეატრმა თანდათან დაკარგა მნიშვნელოვნება. XIX საუკუნის მიწურულს ის უკვე ძველ სახაზინო თეატრად იწოდება. 1903–1904 წლების თბილისის გეგმაზე (შევსებულია 1906 წელს), საზაფხულო თეატრი აღარ არის აღნიშნული. მან, სავარუდოდ, 1906 წლამდე იარსება.

ტფილისის საზაფხულო თეატრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის თბილისის სათეატრო ცხოვრებაში. მის სცენაზე გამოდიოდნენ მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები, მომღერლები, დირიჟორები, ოპერისა და დრამის მსახიობები. ამ სცენაზე დაიწყო თავისი კარიერა ფიოდორ შალიაპინმა, პეტრე ჩაიკოვსკის თანდასწრებით დაიდგა მისი ოპერა *მაზეპა*, კონცერტი გამართა ცნობილმა მუსიკოსმა და კომპოზიტორმა ანტონ რუბინშტეინმა. ამ თეატრთანაა დაკავშირებული კომპოზიტორ მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მოღვაწეობა. საზაფხულო თეატრის სცენაზე აღიზარდნენ ქართული თეატრის ვარსკვლავები: ვასო აბაშიძე, ლადო ალექსი-მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი და სხვა. პირველად სწორედ აქ დაიდგა დავით ერისთავის *სამშობლო*.

ილიასა და აკაკის ძალისხმევით 1879 წელს აღდგენილი პროფესიული ქართული თეატრის დებიუტიც საზაფხულო თეატრში შედგა (ბარბარე ჯორჯაძის კომედია *რას ვეძებდი და რა ვჰპოვე* და რაფიელ ერისთავის გადმოკეთებული ვოდევილი *იჭვიანი*). აქედან მოყოლებული, პროფესიული ქართული თეატრის ისტორია უწყვეტია. ამ ისტორიის შემდეგი ეტაპი უკვე სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრს უკავშირდება. საზაფხულო თეატრის მსგავსად, არც ამ სათეატრო ნაგებობას მოუღწევია ჩვენამდე.

## ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი თბილისში, დღევანდელი ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის ადგილას (რუსთაველის გამზირი, № 2/4) იდგა. ამ მონაკვეთს, თავისუფლების მოედნიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემდე, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სასახლის ქუჩა ერქვა. თეატრი ქარვასლის შენობაში იყო ჩართული და დროთა განმავლობაში არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა. სკუდიერისეული ქარვასლის თეატრის შემდეგ, სათავადაზნაურო ბანკის თეატრი, ქარვასლისა და თეატრის ერთ შენობაში გაერთიანების მეორე შემთხვევაა თბილისის, და ზოგადად, საქართველოს სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში. ორი ქარვასლა-თეატრის არსებობა XIX საუკუნის II ნახევარში მართლაც არ არის შემთხვევითი მოვლენა და ამ ტენდენციის საფუძველი, სავარაუდოდ, ადგილობრივ ტრადიციებშია საძიებელი. ქარვასლები გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოს საერო არქიტექტურაში. ამ სასტუმრო და სავაჭრო დანიშნულების მქონე ნაგებობების მშენებლობა XIX საუკუნეშიც გრძელდება. თუმცა განსხვავებული ფუნქციითაც.

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტს თბილისში მოღვაწე არაერთი ცნობილი არქიტექტორის და თეატრალური მოღვაწის სახელი უკავშირდება. ოთხი ათეული წლის განმავლობაში თეატრი ოთხჯერ გადააკეთეს. XIX საუკუნის II ნახევარში დაწყებული პროცესი XX საუკუნეში გაგრძელდა და ბოლო რეკონსტრუქცია გასული საუკუნის დასაწყისში განხორციელდა. 1914 წელს თეატრი დაიწვა. მისი ისტორია კი 1878 წელს არქიტექტორ ადოლფ ფონ სკოიანის პროექტით დაიწყო. სათეატრო დარბაზად გადაკეთებული ქარვასლის ერთ ნაწილში პირველი კერძო თეატრი გაიხსნა (1879 წ.). ეს იყო ორდონიანი, ნახევარწრიული ფორმის სათეატრო დარბაზი პარტერით, იარუსის 11 ლოჟით და ასადგილიანი ქანდარით. შენობა სათავადაზნაურო ბანკმა შეიძინა, ამის გამო მას *საბანკო თეატრსაც* უწოდებდნენ.

1887 წელს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა *პაულ შტერნს* დაუკვეთა თეატრის ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც 400 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი თითქმის 800 ადგილიან სათეატრო სივრცედ გადაკეთდა. დარბაზის ნახევარწრიული ფორმა შეიცვალა წაგრძელებული სწორკუთხა ფორმის დარბაზით, გაჩნდა მანამდე არარსებული გრძივი გასასვლელები, ბენუარის და ბელეტაჟის ლოჟები. პარტერის გარდა, იგი მოიცავდა ამფითეატრულად გადაწყვეტილ გალერეასაც. რეკონსტრუქცია შეეხო ექსტერიერსაც და შენობამ სათეატრო ნაგებობისთვის დამახასიათებელი გამორჩეული იერსახეც მიიღო.

*პაულ შტერნს* უკვე ჰქონდა სათეატრო არქიტექტურაზე მუშაობის გამოცდილება; კურირებდა (1882 წლამდე) ოპერის თეატრის მშენებლობას. მისი სახელი გვხვდება XIX საუკუნის მიწურულს თბილისში *არტისტული საზოგადოების* თეატრის პროექტის ავტორებს შორისაც. *პაულ შტერნს* ეკუთვნის, ასევე, ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტი (1895წ.).

საბანკო თეატრის რეკონსტრუქცია ჩატარდა 1901 და 1906–1908 წლებშიც. ბოლო რეკონსტრუქციის ავტორი *ქრისტოფორე ტერ-სარქისოვ-სატუნცი* იყო (1875–1917 წწ.). ეს უკვე ამპირის სტილში გადაწყვეტილი სათეატრო ნაგებობაა მაყურებელთა დარბაზის ორიარუსიანი სტრუქტურით და ღრმა სცენა-კოლოფით, პარტერის სართულზე ორივე მხარეს განლაგებული ბენუარის ლოჟებით, ლოჟებად დაყოფილი ბელეტაჟით დარბაზის შემოყოლებაზე, ღრმა საორკესტრო ორმოთი და გალერეით. ეს თეატრი XIX საუკუნის იარუსული (რანგული) თეატრების გავრცელებულ ნიმუშს წარმოადგენდა. მის სცენას ამშვენებდა პირველი ქართველი თეატრალური მხატვრის, *ალექსანდრე ბერიძის* მიერ შესრულებული სათეატრო ფარდა.

თითქმის 35 წლის განმავლობაში სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობა

ქართული დრამატული თეატრის მუდმივი კერა იყო. თეატრისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა XIX-XX საუკუნეების თბილისისა და ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიაში.

## სახაზინო თეატრი (ოპერა)

1880-1896 წლებში თბილისში, გოლოვინის (დღ. რუსთაველის) გამზირზე, არქიტექტორ *ვიქტორ შრეტერის* პროექტით აიგო სახაზინო თეატრი. ტფილისის თეატრის დაწვის შემდეგ სათეატრო ნაგებობის მშენებლობის საკითხი იმავე წლებში დაისვა. შეიქმნა თბილისის თეატრის სამშენებლო კომისია, რომელშიც სხვებთან ერთად შედიოდნენ *დიმიტრი ყიფიანი*, არქიტექტორები: *ლუდოვიკო კამბოჯიო* და *ალბერტ ზალცმანი*. გამოცხადდა კონკურსიც (1876 წ.). ოთხი პროექტიდან კომისიამ პირველი პრემიით დააჯილდოვა პროექტი სახელწოდებით *ნე ვპერვიე* (არქიტექტორთა ვინაობა კონკურსის პირობებით არ მჟღავნდებოდა, ამიტომ პროექტები მხოლოდ დასათაურებული იყო), რომელიც პროგრამის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა და ეკუთვნოდა იმ დროისათვის ცნობილ პეტერბურგელ არქიტექტორს ვ. შრეტერს (1839-1901 წწ.).

ტფილისის სახაზინო თეატრი გაიხსნა 1896 წლის 3 ნოემბერს გლინკას ოპერით – *ივანე სუსანინი*. ტევადობითა და მოცულობით იგი დიდი თეატრების კატეგორიას განეკუთვნებოდა და 1272 მაყურებელზე იყო გათვლილი. თეატრის არქიტექტურაში ექსპერიმენტულ სიახლეთა (სექტორული ტიპის მაყურებელთა დარბაზი, ლოჟების სამიარუსიანი სტრუქტურა და ტრადიციული სფერული გადახურვის ნაცვლად ბრტყელი ჭერი) პარალელურად გამოყენებული იყო ახალი მასალა-კონსტრუქციებიც (თუჯი, რკინა და ა. შ.). სახაზინო თეატრის მაყურებელთა დარბაზის სექტორული ფორმა თავდაპირველად *კარლ შინკელის*, შემდეგ *გოტფრიდ ზემპერის* ექსპერიმენტულ იდეებს უკავშირდებოდა. იგი გამოიყენეს გერმანიაში, *ბაიროითის* თეატრში (1872 წ.), მოგვიანებით მიუნხენის პრინც-რეგენტის (1899-1901 წწ.) თეატრში. ორივე ნაგებობა ვაგნერის ოპერებისთვის იყო განკუთვნილი. მაყურებელი დარბაზში ამფითეატრის ერთ დაუნაწევრებელ სიბრტყეზე, თანაბარ პირობებში იყო მოქცეული, იარუსული განლაგების გარეშე. ვ. შრეტერმა თბილისის თეატრში გააერთიანა სექტორული დარბაზისა და იარუსული თეატრის სტრუქტურა. წინამორბედი სათეატრო ნაგებობებისაგან განსხვავებით, სახაზინო თეატრის არქიტექტურულ-დეკორატიული გააზრება მთლიანობით გამოირჩეოდა, მავრიტანულ ფასადებს ორგანულად ერწყმოდა აღმოსავლურ სტილში გადაწყვეტილი ინტერიერები.

1973 წელს თბილისის ოპერის თეატრში გაჩენილმა ხანძარმა თითქმის მთლიანად გაანადგურა სათეატრო ნაგებობა. მიუხედავად ამისა, უპირატესობა მისი რეკონსტრუქციის ვარიანტს მიენიჭა. 1977 წელს გახსნილ საოპერო თეატრს მას შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება აღარ განუცდია. აღდგენილი შენობა თავისთავად ბევრ სიახლეს შეიცავდა, როგორიც იყო მოდერნიზებული სასცენო ტექნოლოგია, თეატრალური დარბაზის შეცვლილი ფორმა, რამაც გააუმჯობესა მისი ოპტიკური მხარე და მოსპო ე.წ. *მკვდარი წერტილები*, გაიზარდა სიმაღლე, თეატრს შეემატა სარეპეტიციო დარბაზები და ა.შ.

## არჯისჯული საზოგადოების თეატრი

1898-1901 წლებში, თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე (დღ. რუსთაველის გამზ. № 17), არქიტექტორების: *ალექსანდრე შიმკევიჩისა* და *კორნელი ტატიშჩევის* პროექტით აიგო *არტისტული საზოგადოების* თეატრი (შოთა რუსთაველის ეროვნული თეატრის შენობა), 810 მაყურებელზე გათვლილი ნალისებური მოყვანილობის სამიარუსიანი თეატრალური დარბაზითა და ღრმა სცენა-კოლოფით, ასევე მცირე საკონცერტო დარბაზით. თეატრის მშენებლობა *ისაი ფითოევისა* და *ამხანაგობის* სავაჭრო სახლმა ითავა.

სათეატრო ნაგებობის თავისებურებას მისი მრავალფუნქციურობა წარმოადგენდა. პროექტი ორ ძირითად მიზანს ისახავდა: აეგოთ თეატრი ევროპული ტექნიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და, ამავე დროს, კეთილმოწყობილი საკლუბო შენობა, რაც წარმატებით განხორციელდა. პირველ სართულზე განთავსებული იყო მაყურებელთა დარბაზი, მეორეზე – საკონცერტო დარბაზი (ამჟამად, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი) და საკლუბო სათავსოები.

*არტისტული საზოგადოების* შენობაში გამოყენებულია *გვიანდელი ბაროკოს* მოტივები და *როკოკოს* სტილის ორნამენტიკა. ინტერიერში ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა სტილში გადაწყვეტილი არქიტექტურული სივრცეები. ეპოქისთვის დამახასიათებელი სტილთა ეკლექტიზმი რუსთაველის თეატრის არქიტექტურაში კულმინაციას აღწევს.

რუსთაველის თეატრი XIX-XX საუკუნეთა მიჯნის სათეატრო არქიტექტურის ტიპური და ამავე დროს, განსხვავებული ნიმუშიცაა. ტიპურია თავისი ზოგადი გადაწყვეტით – ღრმა სცენა-კოლოფით, ევროპული იარუსული ტიპის მაყურებელთა დარბაზით, სფერული გადახურვითა და მდიდრულად მორთული დეკორატიული სამკაულით. გამორჩეულია მისი დარბაზის გაშლილი ნალისებური ფორმა, რომელიც საუკეთესოა როგორც ოპტიკური, ისე აკუსტიკური თვალსაზრისით.

თეატრის განსაკუთრებულ ღირსებას წარმოადგენდა, ასევე, იმ დროისათვის უჩვეულო მბრუნავი სცენა, რომელიც შესვენებების გარეშე დეკორაციების სწრაფად შეცვლისა და ანტრაქტების მაქსიმალურად შემცირების საშუალებას იძლეოდა. მბრუნავი სცენა ცნობილმა თეატრალურმა მექანიკოსმა, *კარლ ლაუტენშლეგერმა* გამოიგონა და პირველად 1896 წელს მიუნხენის რეზიდენც-თეატრში გამოიყენა.

1919 წელს *არტისტული საზოგადოების* შენობის ქვედა, სარდაფის სართულში განთავსებული რესტორან *ანონას* დარბაზები ქართველ მწერალთა კავშირმა ქალაქის ხელისუფლებისგან შეიძინა. ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა, ქართველი მწერლების სახელით, თხოვნით მიმართეს იმ დროს თბილისში მყოფ რუსეთის საიმპერატორო თეატრის ყოფილ მხატვარს – *სერგეი სუდეიკინს*, მოეხატა ახალი კაფეს ინტერიერი. სუდეიკინთან ერთად მუშაობას შეუდგნენ *ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, კირილე მდივანი, სიგიზმუნდ ვალიშევსკი*, მოგვიანებით, 1920 წელს კი – *მოსე და ირაკლი თოიძეები*.

*ცისფერყანწელთა* კაფე-რესტორანი საზეიმოდ გაიხსნა 1919 წლის დეკემბერში. *ვალერიან გაფრინდაშვილის* ლექსის მიხედვით მას *ქიმერიონი* ეწოდა და მალევე იქცა თბილისის შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვან კერად. ეს ცნობილი არტისტული კაფე, რომელსაც ხშირად *ფანტასტიკურ სამიკიტნოსაც* უწოდებდნენ, ლიტერატურული შეხვედრების, პოეზიის საღამოების, მხატვართა გამოფენების, გამოჩენილ მსახიობ-მომღერალთა თუ მოცეკვავეთა შემოქმედებითი თავყრილობების ადგილი, მეტად პოპულარული იყო იმდროინდელ საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, *ქიმერიონი* მალე დაიხურა, კედლები გადაიღება და კაფეს დარბაზი თეატრის ფოიედ იქცა. 1982-87 წლებში თეატრს ჩაუტარდა ფართომასშტაბიანი რეკონსტრუქცია, რა დროსაც თეატრის სარდაფის სართულში გამოვლინდა კაფე *ქიმერიონის* მოხატულობა. სამწუხაროდ, ფრესკების აღდგენა მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა.

თავდაპირველად *არტისტული საზოგადოების* შენობაში ერთდროულად მოღვაწეობდა ქართული დასი, რუსული თეატრი *ტარტო*, სომხური და აზერბაიჯანული დასები. 1921 წლიდან თეატრში მომუშავე ქართულ დრამატულ დასს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა და ყოფილი *არტისტული საზოგადოების* შენობა, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, დღემდე რუსთაველის თეატრის მუდმივი კერაა.

## ბორჯომის საზაფხულო თეატრი

XIX საუკუნის საქართველოში სათეატრო შენობები თბილისის გარდა სხვა ქალაქებში, დაბებსა და სოფლებშიც კი შენდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბორჯომის საზაფხულო თეატრისა და სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის შენობები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულია ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტი, ხელმოწერილი არქიტექტორ პაულ შტერნის მიერ და დათარიღებული 1895 წლით. თანადროულია ნახაზების ჩასადები ბუდე-საქაღალდეც ბეჭდური წარწერით რუსულ ენაზე: *საზაფხულო თეატრის პროექტი მისი საიმპერატორო უდიდებულესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში „ბორჯომი“*. მარჯვენა ქვედა კუთხეში – *ვ. ფორკატი.*

საქაღალდეში 7 ნახაზი და ესკიზია: 1) გენერალური გეგმა; 2) პარტერის გეგმა; 3) ლოჟებისა და გალერეის გეგმა; 4) გრძივი; 5) მთავარი ფასადი; მე-6 და მე-7 – თეატრის ფასადების ამსახველი ესკიზები. დანარჩენებისგან განსხვავებით, რომელთაც არქიტექტორის ხელმოწერა და თარიღი ახლავს *(არქიტექტორი პ. შტერნი. 23 აგვ. 1895 წ.)*, მე-6 და მე-7 ესკიზს დართული აქვს პროექტის დამტკიცების ამსახველი რეზოლუცია მშენებლობის ადგილის მითითებით. *მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნებართვით, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, ბორჯომის მამულში, მდ. მტკვრის გასწვრივ, ოლგას ხიდთან, სათეატრო ნაგებობის მშენებლობისთვის ვამტკიცებ. 1895 წლის 28 ნოემბერი. სასახლის მმართველი, გენერალ-მაიორი ოზეროვი.* ამგვარად, ვიქტორ ფორკატის ალბომში ბორჯომის თეატრის ორი პროექტია.

პირველი თეატრი ხისაა – რუსულ სტილში გადაწყვეტილი ფასადით, მეორე (ქვის) კლასიკური რენესანსული მოტივებით, ხის ელემენტებით.

პირველი პროექტი გეგმით, სწორკუთხა ფორმის იარუსიანი მაყურებელთა დარბაზით, მცირე თეატრების კატეგორიას განეკუთვნება და 460 მაყურებელს იტევს, მეორე – ნახევარწრიული ან ნალისებური ფორმის სათეატრო დარბაზს მოიცავს.

თუ პირველი პროექტი არქიტექტორის – პაულ შტერნის – მიერაა ხელმოწერილი, მეორე – საიმპერატორო ოჯახის წევრის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ნებართვითაა დამტკიცებული.

პირველი თეატრის მშენებლობისთვის განკუთვნილი ადგილი პროექტით არ ჩანს, მეორე კი *ბორჯომის მამულში, მდ. მტკვრის გასწვრივ, ოლგას ხიდთან* უნდა აშენდეს.

არქივებსა და მუზეუმებში დაცული XIX საუკუნის ბორჯომის ამსახველი ფოტო თუ დოკუმენტური მასალა საკმაოდ დეტალურ წარმოდგენას გვიქმნის ბორჯომის ისტორიაზე, განაშენიანებაზე, არქიტექტურაზე, ყოფაზე. თეატრის შესახებ ინფორმაცია კი იმდენად მწირია, რომ დღემდე სათეატრო ნაგებობის ამსახველი ფოტოც კი ვერ მოვიძიეთ, ამიტომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტის მნიშვნელობა განუზომლად დიდია.

პროექტთან ერთად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მინერალური წყლის პარკის გეგმები, რომლებზედაც დატანილია თეატრის შენობა. ამ მასალების შეჯერების საფუძველზე დგინდება ბორჯომის საზაფხულო თეატრის ლოკაცია და შესაძლებელი ხდება მისი არქიტეტურული იერ-სახის რეკონსტრუქცია.

პაულ შტერნის პროექტით საზაფხულო თეატრი ბორჯომში, მინერალური წყლის პარკის შესასვლელთან, 1897 წელს აიგო. თეატრის ხის შენობა 1922 წლის წყალდიდობამ გაანადგურა, რის შემდეგაც თეატრი აღარ აღუდგენიათ. რეალურად, ეს იყო ერთადერთი სათეატრო ნაგებობა ბორჯომში, მისი ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია მხოლოდ მეოთხედ საუკუნეს ითვლის.

ბორჯომის საზაფხულო თეატრი, რომლის *რეკონსტრუქციასაც* შემორჩენილი პროექტისა და სხვა საარქივო მასალების შესწავლა-შეჯერების საფუძველზე შევეცადეთ, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს XIX საუკუნის სათეატრო ნაგებობებს შორის. ამდენად, იგი პირველად ჩნდება სათეატრო ნაგებობების რუკაზე და, შესაბამისად, საქართველოს სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში.



## სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი

სოფელ ქვემო მაჩხაანში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი)1897-1899 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და დაფინანსებით, აიგო დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობა, პერსპექტიული სცენა-კოლოფით და 250 მაყურებელზე გათვლილი სწორკუთხა იარუსული დარბაზით. ეს ერთ-ერთი უძველესი სათეატრო ნაგებობაა საქართველოში, რომელიც თავდაპირველი სახით, თანადროული ავეჯითა და იმდროინდელი სასცენო კონსტრუქციითაა შემორჩენილი. ამიტომ მისი მნიშვნელოვნება სცილდება მხოლოდ ერთი სოფლის ან კუთხის ისტორიას და XIX საუკუნის საქართველოს კულტურული ცხოვრების კონტექსტში გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს.

ცნობები სოფ. ქვემო მაჩხაანში წარმოდგენების გამართვის შესახებ 1887 წლიდან ჩნდება (გაზეთი *ივერია*,1887.142). იმ დროისათვის თეატრის უქონლობის გამო, სპექტაკლები სკოლის შენობაში იმართება, საქველმოქმედო ხასიათისაა და შემოსული თანხა *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* დასახმარებლად იგზავნება. ასეთ წარმოდგენებს მაყურებელი ახლომდებარე სოფლებიდანაც ესწრება. სპექტაკლები ასევე იდგმება ბიბლიოთეკის შესაქმნელად. პარალელურად, სულ უფრო აქტუალური ხდება სათეატრო ნაგებობის მშენებლობის საკითხიც. ამ იდეის გარშემო ერთიანდება მთელი სოფელი. განსაზღვრულია მისი ადგილი, სპეციფიკა – თეატრი უნდა აშენდეს სოფლის ცენტრში, ეკლესიის გვერდით, ხის უნდა იყოს. თეატრის შენობაში გადმოვა ბიბლიოთეკაც (წიგნთასაცავი) და აქ ყოველ კვირას გაიმართება წარმოდგენები, ლექციები, კონცერტები.

განსაკუთრებული წვლილი ქვემო მაჩხაანის თეატრის მშენებლობაში მიუძღვის ნიკოლოზ (კოლა) ერისთავს (1865-1933 წწ.), ქსნის ერისთავთა საგვარეულოს ბოლო მემკვიდრეს და ცნობილ დეკლამატორს. ასევე მწერალსა და პუბლიცისტს, დიმიტრი ნადირაძეს, იგივე დიმიტრი მაჩხანელს (1863-1903 წწ.), რომელიც ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე და ინიციატორი იყო.

იმდროინდელი პრესა სოფ. ქვემო მაჩხაანში სცენისმოყვარეთა მიერ გამართული წარმოდგენებისადმი დიდ ინტერესს იჩენს. ყურადღების მიღმა არც თეატრის მშენებლობა რჩება. 1892 წელს უკვე სათეატრო დარბაზის ფონდიცაა შექმნილი. საქველმოქმედო წარმოდგენების გამართვა *სათეატრო ფონდისთვის* გრძელდება მომდევნო წლებშიც.

1897 წლის 17 მაისს ქვემო მაჩხაანის ახლადაგებული თეატრის შენობაში უკვე წარმოდგენის გამართვაა დაანონსებული. გაზეთი *ივერია* (14.05.1897. № 92) გვამცნობს: *ს. ქვემო მაჩხაანი: ამ თვის 17-ს აქ იქნება წარმოდგენა ახალ აშენებულ-გამართულ თეატრში. თელავიდან მოწვეულია ბ-ნი დ. აწყურელი.*

სოფელს არ ჰყავს მუდმივი თეატრალური დასი. სპექტაკლები იმართება სცენისმოყვარეთა მიერ და მოწვეული (თელავი, თბილისი) მსახიობების მონაწილეობით, რასაც დიდი გამოხმაურება აქვს. წარმოდგენებს უამრავი ხალხი ესწრება და თეატრი ყოველთვის სავსეა მაყურებლით.

XIX საუკუნის მიწურულს აგებული თეატრი სოფლის ცენტრში დგას. დღეს ის სახეცვლილი არქიტექტურული ნაგებობაა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დაგრძელებული გეგმის მონუმენტურ, ორ სართულიან ნაგებობაში ჩართულია ერთიარუსიანი მაყურებელთა დარბაზი, სასცენო კოლოფი, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მეორე სართულის სივრცეები და გალერეები. ინტერიერი მოიცავს: ფოიეს, ორ მხარეს განლაგებული სათავსებით, სათეატრო დარბაზს, სცენას კულისებით (მხოლოდ ერთ მხარეს, ჩრდილოეთით) და საორკესტრო ორმოს. მეორე სართულის დონეზე დაგრძელებული ოვალის ფორმის იარუსს, გარშემო განლაგებული სკამებით. თეატრის ინტერიერი აღჭურვილია კედლებში ჩაშენებული ღუმელებით, რომლებიც მაყურებელთა დარბაზის გარდა, მის მომიჯნავე სივრცეებშიც გადის და მთელ ნაგებობას ათბობს. ინტერიერში არსებული მოდერნის სტილის ხის სკამები ნაგებობის თანადროულია. მათ თითქმის დაუზიანებლად მოაღწიეს ჩვენამდე. გადაკეთებული და რაოდენობრივად გაზრდი-

ლია იარუსის სკამები.

სახეცვლილია მაყურებელთა დარბაზის ჭერი. დღევანდელი სახე მას, სავარაუდოდ, 1990-იან წლებში მიეცა (ხის გადახურვაზე დაკრულია პლასტმასის ყავისფერი შტამპური პანელები). სადა, შეზნექილი კარნიზი აბოლოვებს მაყურებელთა დარბაზის კედლებს და გადადის ჭერზე, რომელიც თავის დროზე მოხატული იყო.

თეატრის სცენა სიგრძით მაყურებელთა დარბაზის თითქმის ნახევარს უტოლდება. სასცენო კოლოფში შემორჩენილია დეკორაციათა ცვლისთვის გამიზნული ხის ძველი კონსტრუქციები სპეციალური ლითონის სამაგრებით, რომლებიც დღესაც მოქმედია.

სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრში მბრუნავი სცენის არსებობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ზეპირი ხასიათისაა (ასევე, მოგვიანებით მისი თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში გადატანის თაობაზე). თეატრში მბრუნავი სცენის არსებობას ადასტურებს 1960-იან წლებში ქვემო მაჩხაანის კლუბის ხელმძღვანელი, *გოგი მოსულიშვილი*. ამჟამად სცენის იატაკი გამოცვლილია. მის ქვეშ არსებული კონსტრუქციები კი გვიანდელია და მათი კვალი დღეს არ იკითხება. ეს მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლე იყო იმ დროისათვის. ამასთან, შესვენებების გარეშე დეკორაციების სწრაფად ცვლისა და ანტრაქტების შემცირების საშუალებას იძლეოდა. მბრუნავი სცენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცნობილმა თეატრალურმა მექანიკოსმა *კარლ ლაუტენშლეგერმა* გამოიგონა და პირველად 1896 წელს მიუნხენის რეზიდენც-თეატრში გამოიყენა. რუსეთში მცირე თეატრის გარდა, მბრუნავი სცენა სამხატვრო თეატრშიც იყო. სულ რაღაც ორ წელიწადში იგი თბილისში, *არტისტული საზოგადოების* – ანუ რუსთაველის თეატრშიც გააკეთეს (1898-1901წ.წ.). თუკი მბრუნავი სცენა (ბევრად მცირე მასშტაბის) ჰქონდა ამავე პერიოდში აგებულ ქვემო მაჩხაანის თეატრსაც (სხვაგვარად რთული ასახსნელია მეხსიერებაში დალექილი ინფორმაცია ასეთი სცენის არსებობის შესახებ), ამით სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის გვერდით დგას და უფრო ფართო კონტექსტში, იმ ერთეულ თეატრებს შორისაც კი, ევროპის მასშტაბით, სადაც უახლესი ტექნოლოგიებია გამოყენებული.

სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრს დღეს XX საუკუნეში მოხატული ორი ფარდა ამშვენებს. ერთი ზაჰესში მდგომი ლენინის გამოსახულებით, რომელიც სასცენო თაღს ფარავს და მეორე – ტყის ფერწერული გამოსახულებით (სცენის სიღრმეში). ისინი არ არის სათეატრო შენობის თანადროული.

თეატრის ფარდასთან დაკავშირებით საგულისხმო ინფორმაციას ვეცნობით 1899 წლის გაზეთ *ივერიაში* (№ 154). მასში მოთხრობილია ფოტოგრაფ *ვასილ როინაშვილზე*, რომელიც 1899 წელს ჩასულა სოფელ ქვემო მაჩხაანში ძეგლების გადასაღებად და არა მარტო დაჰპირდა ადგილობრივებს თეატრის ფარდის მოხატვას, არამედ თითქოს დაუწყია კიდეც მასზე მუშაობა. წერილში ხაზგასმულია, რომ ვ. როინაშვილი *...უხატავს უსასყიდლოდ მაჩხაანის სახალხო თეატრის სცენას მშვენიერს ფარდას.*

ქვემო მაჩხაანის თეატრის ფარდის უკვე დეტალურ აღწერას ვხვდებით 1908 წელს (გაზ. *ამირანი*, № 18): *ს. ქვემო-მაჩხაანში ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს დ. ერისთავის პიესა საშშობლო ... წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც დარბაზში შეველ. პირველად ჩემი ყურადღება თეატრის ფარდამ მიიპყრო. ფარდაზე დახატულია ქართველი ქალი და ხელთ ანთებული მაშხალა უჭირავს, რომელიც ირგვლივ სხივებსა ჰფენს. შორს მოსჩანს კავკასიონის მთები. მთების დაბლა დიდი ტყე და ტყის გვერდით ალაზანი. წინ კი თამარ დედოფლის ციხეა აღმართული.* არის თუ არა ეს ფარდა ვ. როინაშვილის მოხატული, ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია გამოვთქვათ, ვინაიდან ფარდას ჩვენამდე არ მოუღწევია.

ქვემო მაჩხაანის სცენაზე გამოდიოდნენ ცნობილი არტისტები: *ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია* და სხვები. 1910 წელს კი სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრში XX საუკუნის ცნობილი რეჟისორის, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, იმ დროისათვის ჯერ კიდევ პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის, *სანდრო ახმეტელის* სარეჟისორო დებიუტიც (ა. სუმბათაშვილის *ღალატი*) შედგა.

ამდენად, ერთსა და იმავე პერიოდში, საქართველოს ორ სხვადასხვა კუთხეში, ბორჯომში და სიღნაღთან ახლოს მდებარე სოფ. ქვემო მაჩხაანში, XIX საუკუნის მიწურულს პროექტდება და შენდება განსხვავებული სახის და მასშტაბის სათეატრო ნაგებობები. განსხვავებულია მათი დამკვეთიც. ერთ შემთხვევაში – რუსეთის საიმპერატორო ოჯახი, მეორეში – სოფლის მოსახლეობა, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიისა და კულტურის თავისებურებათა გააზრებისთვის საგულისხმო კიდევ ერთი საინტერესო პლასტი.

## დასკვნა

ნაშრომში განხილული ყველა სათეატრო ნაგებობა ევროპიდან შემოსული იარუსული ტიპის დახურული თეატრია ღრმა სცენა კოლოფით და იმ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეთა გათვალისწინებით, რომლებიც აღნიშნული პერიოდის სათეატრო არქიტექტურაში არსებობდა. ასეთია: ნალისებური, ოპტიკური და აკუსტიკური თვალსაზრისით საუკეთესო ფორმა, სხვადასხვა ვარიაციით, გამოყენებული ტფილისის (ქარვასლის) თეატრში, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თეატრში; მცირე დარბაზისთვის ოპტიმალური სწორკუთხა ფორმის ორდონიანი თეატრალური სივრცით სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრში. უახლესი ტექნოლოგიების ცოდნა-გამოყენებაზე მიუთითებს *არტისტული საზოგადოების* თეატრისა და, სავარაუდოდ, სოფელ *ქვემო მაჩხაანის* თეატრის სცენებზე დეკორაციათა სწრაფი ცვლისთვის გამიზნული მბრუნავი წრე. ეს სათეატრო ნაგებობები ნათლად ასახავს ეპოქის ძირითად ტენდენციებს. XIX საუკუნის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სტილური ეკლექტიზმი მკაფიოდ მჟღავნდება სათეატრო ნაგებობათა პროექტებშიც. საუკუნის მეორე ნახევარი კი სტილთა გამოყენების სითამამით, ოსტატობითა და მრავალფეროვნებით საეტაპო ადგილს იმკვიდრებს სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში.

## ბიბლიოგრაფია


ბერიძე ვ. (1960). *თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. I,* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

ბერიძე ვ. (1963). *თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. II,* თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

დოლიძე. ი. (2005). *სათეატრო არქიტექტურა საქართველოში.* თბილისი: *პოლიგრაფი.*

დოლიძე ი. (2020). *ნარკვევები XIX საუკუნის სათეატრო არქიტექტურის ისტორიიდან.* თბილისი: *კენტავრი*

კაშმაძე შ. (2015). *თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921.* I. თბილისი: *ფავორიტი სტილი.*

კიკნაძე ვ. (2001). *ქართული დრამატული თეატრის ისტორია.* I. თბილისი: საარი.

მანია მ. (2017). არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედია თბილისი. ჟურნ, *ძველი ხელოვნება დღეს.* № 8. გვ. 3-19.

გაზეთი *დროება* (1870). №28, ტფილისი.

გაზეთი *ივერია.* (1887). №142, ტფილისი.

გაზეთი *ივერია*. 1897). №92, ტფილისი.

გაზეთი *ივერია*. (1899). №154, ტფილისი.

გაზეთი *ამირანი*. (1908 ). №18. ტფილისი.

Бархин Г. (1947). *Архитертура театра, Москва, Издательство академии архитектуры СССР.*

Дюма А (1988). *Кавказ,* Тбилиси: Мерани.

Москвичь Гр. (1899). *Илюстрированный практическій путевадитель по Кавказу*, Одесса: тип. Г. М. Левинсона. Издание четвертое.

Москвичь Гр. (1905). *Илюстрированный практическій путевадитель по Кавказу,* Одесса: тип. Л. Нитче, Издание десятое.

*Театр въ Тифлисъ 1845-1856 годъ* (1888).Тифлисъ.

## შემოკლებები:

(სკმდეს) – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

(სხს/კიმ) – საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი.

(სემ) – საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

(სემ/ხმ) – საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.


(სემ/თიმ) – საქართველოს ეროვნული მუზეუმი. იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა).

*ირმა დოლიძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

*Irma Dolidze*
PhD in Art History, Principal Scientific Researcher, Dimitri Janelidze Scientific-Research Institute of Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
ORCID-ID: 0009-0009-9666-6715









სურ. 1. სასახლის ქუჩა, პასკევიჩ-ერევანსკის მოედანი, ქარვასლა (სკმდეს)



სურ. 2. ტფილისის თეატრი (ქარვასლის თეატრი).ჯ. სკუდიერი. 1847-1851 (სკმდეს)



სურ. 3. ა. აკოფიანი. თეატრის შენობა თბილისში წყალსაზიდის ქუჩაზე. 1880-იანი წლები, მუყ., ქ., ფ., 45X60 სმ. (სხს-კიმ)



სურ. 4. მეცნიერებათა დოქტორის გრიგორი ერემიას ძე არწრუნის კუთვნილ ქარვასლაში სათეატრო დარბაზად გადაკეთების პროექტი.არქიტექტორი. ა. ფონ სკოიანი, 1878 (სემ/თიმ)







სურ. 5. საბანკო თეატრი. ფასადი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (სემ/დ. ერმაკოვის ფონდი)





სურ. 6. არტისტული საზოგადოების თეატრი (სკმდეს)



სურ. 7. სახაზინო თეატრი (ოპერა). (სკმდეს)



სურ. 9. ბორჯომის თეატრის ფასადი, ვარიანტი, ნახაზი № 6 (სემ/ხმ)




სურ. 8. ბორჯომის თეატრი. მთავარი ფასადი, ნახაზი № 5 (სემ/ხმ)



სურ. 10. სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი .ფოტო ი. დოლიძე

# რაფიელ ერისთავი და ქართული თეატრი

## აბსტრაქტი


XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება წარმოუდგენელია რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის გარეშე. *წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული თეატრი, დრამატული საზოგადოება* და სხვა მნიშვნელოვანი ეროვნული პროექტები რაფიელ ერისთავისა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი ძალისხმევით იქმნებოდა.

რაფიელ ერისთავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი თეატრალური საქმიანობა. მწერლის სიახლოვე თეატრთან ქუთაისიდან დაიწყო. 1867 წელს ის სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარეთა წრეს, რომელსაც შემდეგ შეუერთდა რუსეთიდან საქართველოში დროებით დაბრუნებული აკაკი წერეთელი. რაფიელ ერისთავი თავის წრეში სუფლიორობდაც მუშაობდა. ცნობილია ისიც, რომ ერისთავს რამდენჯერმე სპექტაკლშიც მიუღია მონაწილეობა.

1879 წელს, როდესაც მუდმივმოქმედი თეატრი შეიქმნა, რაფიელ ერისთავი ქართული თეატრის სათავეებთან იდგა და თავისი პიესებით თეატრს რეპერტუარის შექმნაში ეხმარებოდა. სწორედ მისი და მისი დის, *ბარბარე ჯორჯაძის,* პიესებით გაიხსნა მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრი *(დღევანდელი რუსთაველის ეროვნული თეატრი)*.

რაფიელ ერისთავის დამსახურება ქართული თეატრის ისტორიაში უპირველესად განისაზღვრება მისი დრამატურგიული მოღვაწეობით. ის არის ავტორი არაერთი ორიგინალური თუ გადმოკეთებული კომედია ვოდევილისა, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით XIX საუკუნის 60-80-იან წლებში სარგებლობდა და ხშირად იდგმებოდა.

მისმა პიესებმა დიდი როლი ითამაშეს ვოდევილის ჟანრის განვითარებაში. 1884 წელს რაფიელ ერისთავი აირჩიეს *დრამატული საზოგადოების* თავჯდომარედ. რაფიელ ერისთავის პიესების პოპულარობა, მისი სცენური სიცოცხლე განაპირობა იმანაც, რომ ავტორი კარგად იცნობდა სასცენო ხელოვნებას, იმ პერიოდის ქართველ მსახიობთა შესაძლებლობებს.

რაფიელ ერისთავის პიესების დადგმის ისტორია *სცენისმოყვარეთა წრის* წარმოდგენებიდან იწყება (1875 წელი). ამ პერიოდიდან მოყოლებული, მისი არაერთი პიესა დაიდგა. დღესაც, მიხეილ თუმანიშვილის თეატრის რეპერტუარში შეტანილია რაფიელ ერისთავის პიესა *ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს* (რეჟ. გოგი მარგველაშვილი).



**საკვანძო სიტყვები:** ვოდევილი; დრამატული საზოგადოება; სცენიური ინტერპრეტაცია; მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრი; სცენისმოყვარეთა დასი.

# RAPHIEL ERISTAVI AND THE GEORGIAN THEATRE


## ABSTRACT

The socio-cultural life of the second half of the 19th century is unimaginable without the activities of Raphiel Eristavi. The Society for Spreading Literacy among Georgians, the Georgian Theatre, the Dramatic Society, and other significant national projects were established largely through the efforts of Raphiel Eristavi and other prominent public figures.

In Raphiel Eristavi's multifaceted career, his theatrical activities are particularly significant. The writer's connection with the theatre began in Kutaisi. In 1867, he headed a circle of theatre enthusiasts, which was later joined by Akaki Tsereteli, who had temporarily returned to Georgia from Russia. Within his circle, Eristavi also worked as a prompter. It is also known that he participated in several theatrical performances himself.

In 1879, when a permanent theatre was established, Raphiel Eristavi stood at the forefront of Georgian theatre and helped shape its repertoire with his plays. It was with his and his sister Barbara Jorjadze's works that the permanent professional theatre – today's Rustaveli National Theatre – was inaugurated.

Raphiel Eristavi's contribution to the history of Georgian theatre is primarily defined by his work as a playwright. He is the author of numerous original and adapted comedies and vaudevilles, which enjoyed particular popularity on stage from the 1860s through the 1880s. His vaudeville works played a major role in the development of the genre. In 1884, he was elected chairman at a meeting of the Dramatic Society.

The popularity and stage life of Raphiel Eristavi's plays were also due to the fact that he had a deep understanding of theatrical art and was well acquainted with the abilities of Georgian actors of that period.

The history of staging Raphiel Eristavi's plays begins with performances by the circle of theatre enthusiasts in 1875. From that time onward, many of his plays were staged. Even today, Eristavi's play *First They Died, Then They Married* (directed by Gogi Margvelashvili) is included in the repertoire of the Mikheil Tumanishvili Theatre.


**Key words:** vaudeville; dramatic society; scenic interpretation; permanent professional theater; troupe of stage lovers.



## შესავალი

კვლევაში განვიხილავთ ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტის, ეთნოგრაფის, დრამატურგის, რაფიელ ერისთავის თეატრალური მოღვაწეობის ამსახველ სურათებს. მწერლის შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლა დაკავშირებული იყო ურთულეს პერიოდთან, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა პროფესიული თეატრი და შემდგომაც, როდესაც პროფესიული თეატრი შეიქმნა. მისი საქმიანობა განხილულია ქართულ კულტურაში მიმდინარე პროცესების კონტექსტში.

შრომას არ აქვს იმის პრეტენზია, რომ სრულად მოიცვას რაფიელ ერისთავის თეატრალური მოღვაწეობა, მით უფრო, მისი დრამატურგიული მემკვიდრეობის ანალიზი, თუმცა ნაშრომში ასახული და განხილულია ყველა ის ძირითადი საქმიანობა, რომელიც რაფიელ ერისთავს წარმოაჩენს, როგორც გამორჩეულ ფიგურას ქართული თეატრის ისტორიაში.

## კვლევის მეთოდი

კვლევის პროცესში გამოყენებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის პრესა, ისტორიული წყაროები, ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დოკუმენტური მასალა. დასახული ამოცანის შესასრულებლად, შეგროვდა ლიტერატურათმცოდნეობითი და თეატრმცოდნეობითი ლიტერატურა, იმ პერიოდის პრესაში – *ივერია, დროება* – რაფიელ ერისთავის პიესებზე დაწერილი მწირი რეცენზიები. სამწუხაროდ, მისი დრამატული საზოგადოების თავჯდომარის პოსტზე მუშაობის შესახებ მეტად მცირე მასალა იძებნება. ამ თვალსაზრისით არც გაზეთი *თეატრი* გვაძლევს რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას.

## მსჯელობა

ქართული თეატრის ისტორიაში, რაფიელ ერისთავის მოღვაწეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის იყო დრამატურგი, მთარგმნელი, არაერთი ვოდევილისა თუ სცენების ავტორი, პიესის გადმომკეთებელი, დრამატული საზოგადოების თავჯდომარე, ქართული თეატრის მოამაგე და მისი დიდი გულშემატკივარი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გიორგი ერისთავის თეატრს *ივანე კერესელიძე* ხელმძღვანელობდა, 1856 წლის 14 იანვარს, თბილისში არმყოფ რაფიელ ერისთავს უგზავნის ქართული თეატრალური დასის ადმინისტრაციულ და შემოქმედებით სიახლეებს. ხშირად სთხოვს შუამავლობას დიმიტრი ყიფიანთან თეატრის პრობლემების მოსაგვარებლად. (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქივი*, № 827).

1881 წელს დაარსდა *დრამატული საზოგადოება*.[1] დამფუძნებელთა (*ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, ვასო აბაშიძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ავალიშვილი* და სხვები) შორის, რაფიელ ერისთავიც იყო. 1884 წელს, 5 ივლისს შედგა *დრამატული საზოგადოების* საგანგებო წლიური კრება, მმართველობის ერთ-ერთ წევრად დაასახელეს რაფიელ ერისთავი, ხოლო მოგვიანებით, 1884 წლის 28 ივნისს, *დრამატული საზოგადოების* კრებაზე თავჯდომარედ აირჩიეს. რაფიელი დრამატულ საზოგადოებას 1884-1886 წლებში თავმჯდომარეობდა.

1879 წელს, როდესაც მუდმივმოქმედი თეატრი ჩამოყალიბდა, რაფიელი თეატრის შექმნის სათავეებთან იდგა და თავისი პიესებით თეატრს რეპერტუარის შედგენაში ეხმარებოდა. როდესაც თეატრს გაუჭირდა და სეზონის ჩავარდნის საფრთხეც დაემუქრა, ილიამ აკაკის სთხოვა, რაფიელ ერისთავთან და იონა მეუნარგიასთან ერთად, ამ საქმის თავის თავზე აღება და ქა-

1 დრამატული საზოგადობა დაარსდა 1881 წლის 18 იანვარს. პირველი თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე. საზოგადოების ფუნქციაში შედიოდა ქართული თეატრის საორგანიზაციო საქმეების მოგვარება, მსახიობთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქართული პიესებისთვის პრემიის დაწესება და სხვა. დრამატული საზოგადოების წესდება შეადგინა ნიკო ნიკოლაძემ.

რთული თეატრისთვის დახმარების გაწევა.

მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრი უაღრესად მძიმე სოციალურ პირობებში იქმნებოდა. ცარიზმის მკაცრი ცენზურა ხელს უშლიდა თეატრის შექმნის იდეის პრაქტიკულ განხორციელებას. XIX ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც მტრულად განწყობილმა ძალებმა *კირილე იანოვსკის* მეთაურობით ქართული ენის შევიწროება გააძლიერეს, რაფიელ ერისთავი ქართული ენის ღირსებას იცავდა. მან გაზეთ *დროების* (1880 № 212) ფურცლებზე გამოაქვეყნა წერილი – *რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს?*

რაფიელ ერისთავი განსაკუთრებულად აფასებდა თეატრის საზოგადო დანიშნულებას ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული განვითარების პროცესში. მას მეტად მძიმე პერიოდში მოუხდა *დრამატული საზოგადოების* მართვა. ამ პერიოდის *დროების* ფურცლებზე ხშირად გაისმოდა დრამატული საზოგადოების მუშაობასთან დაკავშირებული უკმაყოფილება და კრიტიკა. ახლადშექმნილი თეატრისათვის არც შიდა დაპირისპირება და კონფლიქტი იყო უცხო, რაც თეატრის ფარგლებს სცდებოდა და პრესის ფურცლების მეშვეობით საჯარო ხდებოდა. რეჟისორსა და მსახიობებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის თაობაზე გაზეთი *დროება* წერილით – *ჩვენი თეატრის საქმე* – საზოგადოებას აცნობებდა:

*ჩვენმა სცენამ ისე უკან დაიწია, რომ არტისტებს და არტისტკებს შორის ჩამოვარდა შფოთი და განხეთქილება, რომ წარმოდგენები თავის დროზე ვეღარ იმართება, რომ მოთამაშეები ერთად შეერთების მაგიერ, სამს-ოთხს დასად დაყოფილან, რომ ძვირფასი ტანისამოსის მოუვლელობის გამო გლახაკის ფარაჯებს დაემსგავსნენ, რომ მათ კარადაში მხოლოდ 44 კაპეიკის მეტი სძევს და სხვა* (*დროება*, 1884 № 89, 25 აპრილი). არსებული დაპირისპირება გამწვავებულა, რის გამოც დიპლომატიური და გაწონასწორებული ბუნების რაფიელ ერისთავი ყველას მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ და გონიერება მოეკრიბათ, რათა არ დაეღუპათ ქართული თეატრის საქმე. რ. ერისთავი წერდა:

*როგორც შევიტყვე, ჩემდა სამწუხაროდ ქართულ ენაზედ წარმომადგენლებს შორის, რაღაც მითქმა-მოთქმა, ერთმანეთის აძულება, შური, ორმოების შემზადება, ერთმანეთში ენის მიტან-მოტანა და ოინები გაჩენილა, ერთიმეორის დასაცემად, დასამცირებლად* (*კიკნაძე*, 2001:232).

მწერლის სიახლოვე თეატრთან ქუთაისიდან დაიწყო. 1867 წელს, როდესაც რაფიელ ერისთავი სამეგრელოდან ქუთაისში გადავიდა გუბერნიის სამმართველოს განყოფილების თანამდებობაზე, შემდეგ კი მომრიგებელ მოსამართლედ (1868 წ.), ის პარალელურად *სცენის მოყვარეთა წრესაც* უძღვებოდა. თეატრის მოყვარულთა მცირე ჯგუფს მალე რუსეთიდან საქართველოში დროებით დაბრუნებული აკაკი წერეთელიც შეუერთდა. ამ წრეში ირიცხებოდნენ: *ეფრო კლდიაშვილი, აკაკი წერეთელი, ყიფიანის ქალი, ზაქარია ჭეიშვილი.*

რეპეტიციები ხან ეფროსთან, ხანაც რაფიელის სახლში იმართებოდა. აკაკის ცნობებით ირკვევა, რომ რაფიელის სათეატრო მოღვაწეობა მხოლოდ დრამატურგობით არ შემოიფარგლებოდა. რაფიელი რამდენჯერმე ქუთაისის სცენაზეც გამოსულა – *2-3 ჯერ ითამაშა კიდეცო.* საბედნიეროდ, შემორჩენილია *თეატრალური აფიშა,* საიდანაც ჩანს, რომ რაფიელს თავისი დის, ბარბარე ჯორჯაძის, პიესაში – *რას ვეძებდი და რა ვიპოვე* – სირაჯ ავეტიკას როლი შეუსრულებია. პიესა 1867 წლის 12 დეკემბერს, ქუთაისში წარმოუდგენიათ და რამდენჯერმე უთამაშიათ. რაფიელი წრის ხელმძღვანელობას სუფლიორობასაც უთავსებდა, როგორც ეს ძველ თეატრში იყო მიღებული. ამ თვალსაზრისით, თეატრს სხვადასხვა დროს ეხმარებოდნენ ცნობილი მწერლები: *ავქსენტი ცაგარელი, სოფრომ მგალობლიშვილი, იოსებ გრიშაშვილი,* პოეტი *ახოსპირელი.* სუფლიორი მნიშვნელოვანი პოსტი იყო თეატრში. კარნახის გარდა, მის მოვალეობაში შედიოდა მსახიობთა მოქმედების გაკონტროლება (ადგომა, დაჯდომა, გავლა-გამოვლა და ა შ). მას უნდა შეესწავლა მათი სუსტი მხარეები და სპექტაკლის მიმდინარეობის დროს უნდა გაეთვალისწინებინა.

ერთხელ რაფიელი ქუთაისში დადგმულ თავისივე პიესის წარმოდგენას სუფლიორობდა (1868 წელი). სპექტაკლში აკაკი წერეთელი და ეფრო კლდიაშვილი მონაწილეობდნენ, რაფიელს პიესის მე-2 მოქმედება სახლში დარჩენია. როცა მსახიობებმა ეს შეიტყვეს, უკვე სცენაზე ყოფილან გასულები, საბედნიეროდ აკაკისაც და ეფროსაც პიესის დედააზრი ისე კარგად ჰქონდათ გააზრებულ-ათვისებული, რომ არ დაბნეულან და საკუთარი სიტყვებით განუგრძიათ სპექტაკლის თამაში. პუბლიკასაც ვერაფერი შეუმჩნევია და წარმოდგენით კმაყოფილი დარჩენილა.

ქუთაისში თანამდებობის დატოვების შემდეგ რაფიელი 1871 წლიდან თბილისში სახლდება და განაგრძობს თავის ლიტერატურულ და თეატრალურ მოღვაწეობას. მონაწილეობას იღებს საჯარო გამოსვლებსა და კონცერტებში. საკონცერტო საღამოებში ქართველ მწერალთა მონაწილეობა იმ პერიოდის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ცნობილია *ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, დავით ერისთავის, პეტრე უმიკაშვილის* და სხვათა გამოსვლები. 1875 წელს თბილისის *საზაფხულო თეატრში,* საქველმოქმედო მიზნით სალიტერატურო საღამო გამართულა. ამ დღეს რაფიელ ერისთავი ორჯერ გამოსულა სცენაზე. ჯერ წაუკითავს სუნდუკიანის *პეპოდან* ნაწყვეტი და შემდეგ საკუთარი *სცენები.* როგორც გაზეთი *დროება* აღნიშნავდა: *რ. ერისთავის პეპოს ნაწყვეტი სუსტი ხმითა და წაბორძიკებით წაუკითხავს* (ისევე როგორც დ. ყიფიანს), სამაგიეროდ *სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან ნამდვილის ხელოვნებით იყო წაკითხულიო.* ამავე გამოსვლაზე საუბრობს მოგვიანებით გრიგოლ ორბელიანიც: *4 აპრილს იყო ქართულს თეატრში სალიტარატურო და სამუსიკო საღამო...ძალიან ცუდად გამოჩნდნენ რ.ე და დ.ყ. რაღაცა ღმერთი გაუწყრათ, სულ ვერ წაიკითხეს და ძალიან კარგად იყვნენ დ.ე /ბ.ლ/ ი.ჭ. .ა.წ.* (*დროება*, 1883, №176, 7 სექტემბერი).

რაფიელ ერისთავს მონაწილეობა მიუღია 1880 წელს კოტე მესხის გამართულ საღამოზეც, სადაც *მომეტებულად* გაართო საზოგადოება თავის სცენების კითხვით. თუმცა თვლიდა, რომ ნაწყვეტების საჯაროდ კითხვა მისი საქმე არ იყო. ერთხელ მსახიობ *ფილიმონ ქორიძეს,* რომელიც *არწრუნის* თეატრში კონცერტს მართავდა, რაფიელ ერისთავისთვის მონაწილეობის მიღება უთხოვია, მით უფრო, რომ მისი ვოდევილიდან, *ბიძიასთან გამოხუმრება,* ნაწყვეტი უნდა წაეკითხა. რაფიელმა შეთავაზებაზე უარი განუცხადა და განუმარტა, რომ მსახიობობა მისი საქმე არ იყო და სცენაზე მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით გამოვიდოდა.

რაფიელ ერისთავის დამსახურება ქართულ თეატრის ისტორიაში უპირველესად განისაზღვრება მისი დრამატურგიული მოღვაწეობით. ის არის ავტორი არაერთი ორიგინალური თუ გადმოკეთებული *კომედია ვოდევილისა,* რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით XIX ს-ის 60-80-იან წლებში სარგებლობდა და ხშირად იდგმებოდა. მისმა პიესებმა უდიდესი როლი ითამაშა ვოდევილური ჟანრის განვითარებაში. *მბრუნავი სტოლები* (1868 წ.), *ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს* (1868 წ.), *დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია* (1870 წ.), *იჭვიანი, ბიძიასთან გამოხუმრება, პარიკმახერისას* (1800 წ.), *ქაჩუა* (1887 წ.), *ბრილიანტი* (1889 წ.) და სხვა.

რაფიელ ერისთავის კომედიების სიუჟეტები უცხოური პიესებიდან იყო აღებული, თუმცა ზუსტად იყო მორგებული ქართულ ცხოვრებასა და ქართველი კაცის ხასიათს, რაც ზოგჯერ პესონაჟთა სახელებშიც აისახებოდა. მაგ. მებატონე – ოთარ უძლეველი *(სადილი მარშლისას),* ვაჭარი – ბაღდასარ ალმასოვი *(ბრილიანტი),* ადვოკატი – თავადი ამაყაძე და ლამაზი ყმაწვილი – სანდრო ვარსკვლავაძე *(ადვოკატები),* ალექსანდრე ფუქსავატანია *(ბიძიასთან გამოხუმრება)* და *სხვა.*

თავადთა და გლეხთა ურთიერთობები, ფულისადმი უსაზღვრო სიყვარული *(ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს),* სკოლებში არსებული საგანმანათლებლო მდგომარეობა *(მასწავლებელი სოფლის სკოლისა),* და-ძმას შორის ქონებრივი დავა *(სადილი მარშლისას),* უნამუსო ადვოკატთა თავგასულობა *(ადვოკატები),* რომლის მაგალითზეც მასხრად იყო აგდებული იმდროინდელი სასამართლო სისტემა და მართლმსაჯულება, თანამედროვე საზოგადოების მანკიერი მხარეების კრიტიკაზე მიუთითებდა.

რაფიელ ერისთავის დრამატურგიის თავისებურება, უპირველესად, მის ხალხურობაში და

ამავე დროს სამეტყველო ენაშიც *(თბილისურ-ყარაჩოღლური, სომხური, იმერული,* და ა. შ) ვლინდებოდა.

რეჟისორი გიორგი თუმანიშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა: *ქართული ენა ახლანდელს მწერლობაში ისე მდიდრად არსად არა სჩანს, როგორც რაფიელ ერისთავის ნაწერებში ... აქ ენას ქართული ხასიათი აქვს და ამავ ხასიათს აძლევს თვით უცხო-ქვეყნურს თხზულებასაც. ეს ფრიად დიდი ღირსებაა ახლა ჩვენში, როდესაც სხვა მწერლის ნაწარმოებებში არამც თუ ნათარგმნს, ორიგინალურ თხზულებასაც კი მცირედ ეტყობა ქართულობა (ივერია, 1881, თებერვალი, გვ.133).* რაფიელ ერისთავი რომ კარგი მოქართულე იყო, ეს საქვეყნოდ იყო ცნობილი, ამიტომ მას მწერლებიც მიმართავდნენ ტექსტის გასასწორებლად. ამ თვალსაზრისით, რამდენიმე მაგალითის დასახელებაც საკმარისია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დოკუმენტი, სადაც კოტე ყიფიანი რაფიელ ერისთავს თხოვნით მიმართავს:

> *ფრიად-პატივცემულო*
>
> *კნიაზო რაფიელ დავითის ძე!*
>
> *უმორჩილესად გთხოვთ, თუ მოიცლით როგორმე და არ დაგზარდებათ, ეს ჩემი გადმოკეთებული ვოდევილი გარდაიკითხეთ; და თუ ნახამთ, რომ გასწორების და შეცვლის ღირსია – უყურადღებოთ არ დასტოვოთ. თქვენგან გასწორებული, რასაკვირველია, კარგი იქნება.*
>
> *დავშთები თქვენი უერთგულესი მონა და მოსამსახურე*
>
> *კოტე ყიფიანი*
>
> *1880 წ. ფებერვლის 2 დღესა*
>
> *ქ. თბილისი.*
>
> (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქივი* №909)

იგივე შინაარსია გადმოცემული დავით ერისთავის წერილშიც.

თბილისი. 1881 წლის 12 იანვარი

> *პატივცემულო კნიაზო რაფიელ!*
>
> *როინოვისაგან მომივიდა გადაღებული სურათები, მთხოვს რომ მოსკოვის გამოფენაში გავგზავნო. რადგანაც ზედ წარწერა უზა და როინოვი ორთოგრაფიაში სუსტად გახლავს, ამიტომ ვარჩიე, თქვენა გთხოვოთ ამის გასწორება... თუ დრო გექნებათ და დღეს საღამოზედ 7 1/2 საათზედ ჩემკენ შემოივლით დიდათ დამავალებთ. ამას გარდა, რამდენიმე პიესები მაქვს თქვენთვის მომზადებული.*
>
> *თქვენი მშვიდობის მოსურნე*
>
> *დავით ერისთავი.*
>
> (კკსსხეც, *რაფიელ ერისთავის არქივი* .№514)

სხვა ხელნაწერი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დასაბეჭდად მომზადებული ივანე კერესელიძის პიესა, ბარბარე ჯორჯაძის კომედია და მისი ცნობილი წიგნი სამზარეულოს შესახებ რ. ერისთავის მიერაა გასწორებული.

რაფიელ ერისთავის პიესების დადგმის ისტორია სცენისმოყვარეთა წრის წარმოდგენებიდან იწყება. ჯერ კიდევ, 1875 წლის 17 იანვარს გაზეთი *დროება* წერდა:

*ქუთაისიდან მომივიდა ამბავი, რომ წარსულ კვირას იქაურ სააზნაურო სახლში ქართული წარმოდგენა ყოფილა:*

***სკაპენი*** *– აკაკის თარგმანი და* ***დედაკაცმა*** *კარგად და ცოცხლად უთამაშიათ და დიდძალი ხალხი, რომელიც წარმოდგენას დასწრებია, ძალიან კმაყოფილნი დარჩენილან. მოგვიანებით, ასევე ქართველ სცენისმოყვარეებს,* ***ნემეცების კლუბში*** *წარმოუდგენიათ რაფიელ ერისთავის*



*გადმოკეთებული ვოდევილი* ***ეჭვიანობა*** *(დროება, 1879, №28, 6 თებერვალი).*

ქართული თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ *მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრი (დღევანდელი რუსთაველის ეროვნული თეატრი),* სწორედ რაფიელ ერისთავის ვოდევილით – ***იჭვიანი*** და მისი დის, ბარბარე ჯორჯაძის პიესით – *რას ვეძებდი და რა ვიპოვე* – გაიხსნა (1879). უფრო ადრე კი, როდესაც მუდმივმოქმედი დასი შეიკრიბა და საგასტროლოდ სხვადასხვა ქალაქებში გაემგზავრა, რეპერტუარში შეტანილი ჰქონდათ ვოდევილი ***ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს.*** რაფიელ ერისთავმა პიესა რუსულიდან გადმოაკეთა, მაგრამ როდესაც ის პირველად ჟურნალ *ცისკრის* 1868 წლის მე-10 ნომერში დაიბეჭდა, რედაქციამ ამის შესახებ არ მიუთითა. როგორც ჩანს, ერისთავი ამ ფაქტმა შეაწუხა და 1879 წლის 23 იანვარს ქუთაისიდან წერილი გამოუგზავნა *ცისკრის* რედაქციას, რათა აღნიშნული *ნაკლოვანება* გამოესწორებინა:

*ის ვოდევილი იყო გადმოკეთებული ჩემგნით რუსული ენითგან ქართულს ენაზედ. გთხოვთ გამოაცხადოთ ეს შენიშვნა, რომ მკითხველმა არ იფიქროს, ვითომ მე მიმეთვისებინოს სხვა ავტორებისაგან მოგონილი საგანი ვოდევილისა* (*ერისთავი*.1958:578).

პიესისადმი ინტერესი გაჩნდა მე-20 საუკუნის 70-იან წლებშიც. მისი პოპულარობა განაპირობა მიხეილ თუმანიშვილის, კახი კახაბრიშვილის რეჟისორობითა და ცნობილი მსახიობების – ვასო გოძიაშვილის, ზაირა ლებანიძის, გივი ბერიკაშვილის, მურმან ჯინორიას შესრულებით, ქართულ ტელეეკრანზე წარმოდგენილმა (1975) *სატელევიზიო სპექტაკლმა.*

1981 წელს მიხეილ თუმანიშვილის *კინომსახიობთა თეატრში,* მანანა ანასაშვილის რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლი *ბნელ ოთახში,* სადაც ერთი მოქმედება *იჭვიანს* დაეთმო. ათეული წლის წინ კი, რეჟისორმა გიორგი მარგველაშვილმა *მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში* წარმატებული სპექტაკლი განახორციელა ნინელი ჭანკვეტაძის, გოგა პიპინაშვილის, გია როინიშვილის მონაწილეობით.

რაფიელ ერისთავის პიესებს, საზოგადოდ, დადებითად აფასებდა პრესა, თუმცა იყო კრიტიკული შენიშვნებიც. ერთია პიესის შეფასება, მეორე – მისი სასცენო ვერსიის წარმატებული დადგმა. ხანდახან ავტორს ცუდად დადგმული სპექტაკლის გამოც სთხოვდნენ პასუხს. იმ პერიოდის რეცენზიები, სიმკაცრითა და კრიტიკულობით გამოირჩეოდა. არა ერთი დრამატურგი, მთარგმნელი, თუ მსახიობი ქცეულა დაუნდობელი კრიტიკის ობიექტად. ამ თვალსაზრისით, უფრო დასაფასებელია მწერლის მიმართ გამოთქმული საქებარი სიტყვები.

როცა ვოდევილი ***პარიკმახერისას*** პირველად წარმოადგინეს, გაზეთი დადებითად მოიხსენიებდა დრამატურგის შემოქმედებას:

*როგორც საზოგადოდ ყველა პიესები, რომელებიც თ. რაფ ერისთავის კარგის კალმიდამ გამოსულა ცოცხალი, მოძრავი, მხიარული და ნამდვილი სასცენო პიესებია. ერთს სიტყვას ვერ ნახავთ იმაში მომეტებულს, ერთ მოძრაობას, რომელსაც სცენისათვის რაიმე მნიშვნელობა არ ჰქონდეს* (დროება, 1880, №217, 15 ოქტომბერი).

*სპექტაკლ პარიკმახერისას წარმოდგენის დროს, მაყურებელს, მუცლიდან ხელი არ მოუშორებია იმდენს იცინოდნენ-ო* (დროება, 1880, № 236, 8ნოემბერი).

1880 წლის 19 ოქტომბერს ითამაშეს *ვოდევილი* ***ბიძიასთან გამოხუმრება.*** გაზეთი ამ შემთხვევაშიც, აქებდა წარმოდგენას:

*სცენაზე ეს ვოდევილი ისეთი ცოცხალი და სასიამოვნო გამოდის, რომ თვალი ვერ მოგვიშორებია სცენიდან* (დროება,1880, № 222, 21 ოქტომბერი). როდესაც ქართულმა დასმა დასადგმელად რამდენიმე ავტორის პიესა შეიძინა, მათ რიცხვში იყო რაფიელ ერისთავის ***აი როგორი უნდა პრისტავი!***

გაზეთი საზოგადოებას ატყობინებდა: *ვისაც უნახავს ამ ავტორისგან გადმოკეთებული პიესები: ბიძიასთან გამოხუმრება, პარიკმახერისას, ჯერ დაიხოცნენ და სხვანი ადვილათ წარმოიდგენს ამ პიესის ღირსებასაც, რომლის წარმოდგენას ამ კვირას უპირებენ* (დროება, 1880, №252, 29

ნოემბერი).

1880 წლის 30 იანვარს რეჟისორმა გიორგი თუმანიშვილმა ერთ საღამოს ორი სპექტაკლი წარმოადგინა (ზოგადად, სპექტაკლის ჩვენების მიღებული ფორმა ძველ თეატრში მხოლოდ ერთ საღამოს იყო) ***ბიძიასთან გამოხუმრება*** და ***ყომარბაზის ცხოვრება.*** რეცენზენტმა, რომელმაც ფელეტონი გამოაქვეყნა, რეჟისორი *ყომარბაზის* დადგმის გამო გააკრიტიკა, თუმცა რამდენადაც უსიამოვნო ყოფილა ეს სპექტაკლი, იმდენად სასიამოვნო ყოფილა *ბიძიასთან გამოხუმრება*, რომელმაც დიდად გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება:

*ეს რომ არ ყოფილიყო, შენი მტერი ავი გრძნობა ჩაჰყვებოდა გულში მაყურებელს. ყველა მოთამაშენი თავთავის ადგილას იყვნენ და კარგად აასრულეს თავ თავისი მოვალეობა* (დროება, 1880, № 26, 2 თებერვალი).

მაყურებელს მოსწონდა რაფიელ ერისთავის პიესების სცენიური ვერსიები – მათი თანამედროვე ცხოვრების სურათების ზუსტი ასახვა, ნაცნობი სიუჟეტები და კოლორიტული სახეები მისი პერსონაჟების პოპულარობას განაპირობებდა. რაფიელ ერისთავის პიესები მსახიობებსაც უყვარდათ. რაფიელის პიესებში ძველი თეატრის თითქმის ყველა მსახიობი მონაწილეობდა. საბენეფისოდ მის პიესებს ირჩევდნენ: *ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, ბაბო კორინთელი* და სხვები.

ავტორიც მოხიბლული იყო მისი პიესების მსახიობთა რიგიანი შესრულებით. ***ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს*** წარმოდგენაზე, ნატო გაბუნიას შესრულებამ მაყურებელი იმდენი აცინა, რომ სცენაზე საუბარი აღარ ისმოდა. ამ დღეს, სპექტაკლს ილია ჭავჭავაძე რაფიელ ერისთავთან ერთად დასწრებია. ამის შესახებ, ილია მოგვიანებით აღნიშნავდა:

*თვითონ ავტორიც კი თ. რაფ. ერისთავი გვეუბნებოდა, რომ ეგრეთ ნათამაშევი ეს პიესა თავის დღეში არ მინახავსო. ჩვენ მოწამენი ვართ, რომ სიცილისაგან თვითონ ავტორს ცრემლი მოჰრეოდა თვალებში. კმაყოფილმა საზოგადოებამ დიდის ტაშისცემით გამოიწვია ავტორი* (ჭავჭავაძე, 2021:80).

რაფიელ ერისთავის პიესების სცენური სიცოცხლე განაპირობა იმანაც, რომ ავტორი კარგად იცნობდა სასცენო ხელოვნებას და ქართველ მსახიობთა შესაძლებლობებს. გიორგი თუმანიშვილი წერდა:

*თ.რ. ერისთავი უბრალოდ კი არ წერდა პიესებს, რომელიც შეესატყვისებოდა მის ნიჭს, არამედ ქმნიდა სწორედ ისეთ როლებს, რომლებიც შესაფერი იყო დასში მყოფი ძალებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც* ***ბიძიასთან გამოხუმრება*** *ის თითქოს განზრახ დაწერილია საფაროვა-აბაშიძისა და კ. ყიფიანისთვის (Туманов. 1913:138).*

1880 წელს რაფიელ ერისთავი *ივერიაში* სამ მოქმედებიან კომედიას, ***ადვოკატები-ს*** სახელწოდებით აქვეყნებს. პიესაში ასახული მოვლენები პრესისა და საზოგადოების ინტერესს იწვევდა და ადვოკატთა საქციელით შეწუხებულ საზოგადოებას სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა.

პიესის მთავარი გმირი, *სოლომონ მილოვი*, იგივე *საპონაშვილი*, წარსულში მკერავი ყოფილა, შემდეგ სასამართლოში უვლია, კანონების წიგნიდან რამდენიმე მუხლი გაუზეპირებია და ფეხსაცმლის მკერავ *გაბრო მორგვაძესთან* ერთად საადვოკატო კანტორა გაუხსნია. უვიცი ადვოკატი კლიენტების მოტყუების ხარჯზე მალე გამდიდრებულა – *რა ვიყავ და რა ვარ?!* -ეკითხება საკუთარ თავს სოლომონი. კმაყოფილი იმის გამო, რასაც მიაღწია და ამბობს: *ადრევ კვირაში ერთი სერთუკი უნდა შემეკერა, ხუთასჯერ ნემსი მეჩხვლიტა ხელში, ან უთოთი თითები დამეწო და ერთი თუმანი ძლივს დამრჩენოდა! ეხლა კი ერთს დღეში -100 თუმანიო* (*ერისთავი*,1938:75).

პიესას საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნდა. ცხოვრების ახლებურმა წესმა და კანონების შემოღებამ ახალი პროფესიის ადამიანები გააჩინა. გაუმაძღარი, *მადაგამხეცებული* (ვ.გუნია) ადვოკატების გამოაშკარავება, უძლური, უვიცი ხალხის წინაშე გარკვეული გაფრთხილება და მათი თვალის ახელა იყო, რაც პიესას სოციალურ დატვირთვას ანიჭებდა. პიესამ სხვა მხრივაც მიიქცია საზოგადოების ყურადღება. კომედია პრემიისთვის *თეატრალურ კომიტეტში* იყო წარდგენილი. შემდგარა საჯარო წაკითხვაც, შემდეგ ცალ-ცალკეც წაუკითხავთ და მათი გადაწყვეტილებით რაფიელ ერისთავისთვის პრემია არ მიუციათ.

მოგვიანებით, როდესაც კომედია 1880 წლის 24 ოქტომბერს კოტე მესხის სასარგებლოდ წარმოადგინეს. სერგეი მესხმა სპექტაკლს რეცენზია მიუძღვნა და აღნიშნული ფაქტიც გაიხსენა:

*პიესა, თუ ზოგიერთ წვრიმალ ნაკლულოვანებას არ მივაქცევთ ყურადღებას ჩინებული სასცენო პიესაა და ავტორის აზრიც – ახლანდელ ადვოკატების დაცინება ცოცხლად არის იმაში გამოხატული... ამბობენ ავტორმა ეს პიესა გავლილ ზამთარში პრემიერაზე წარუდგინა ჩვენ თეტრალურ კომიტეტსაო. მაგრამ კომიტეტმა დაიწუნა და არათუ პრემია, წარმოდგენის ღირსიც არ გახადეს-ო* (დროება, 1880, № 226, 26 ოქტომბერი).

სერგეი მესხს მიაჩნდა, რომ პიესა მეტად თანამედროვე იყო და მოქმედი პირებიც რეალისტური, ამიტომ ვერ გაეგო, თუ რატომ დაიწუნეს პიესა და დამწუნებლებს მიმართა:

*ვინც ამ პიესაში ღირსება ვერ დაინახა მისი საქმე არც თეატრი ყოფილა და არც სცენიური ხელოვნება – ო.*

დამწუნებელთა შორის იყო ცნობილი რეჟისორი გიორგი თუმანიშვილი, რომელიც წერილმა გააღიზიანა და მეორე დღესვე სერგეი მესხს (ამ დროს ს. მესხი ილიასთან ერთად დროების რედაქტორი იყო) პასუხი გასცა:

*უნდა ავღნიშნო, რო მე თავდაპირველად აღტაცებაში მოვედი ამ პიესისაგან. ეს პიესა ნამდვილი სასცენო კომედიაა. ხელ-მეორედ რომ გადავიკითხე დავრწმუნდი, რომ* ***ადვოკატები*** *გრძელი ვოდევილური სცენებია. ავტორს ნება ვთხოვე, რომ ზოგიერთი სცენა წარმოდგენილიყო, ავტორმა ნება არ მომცა და პიესა დარჩა წარმოუდგენელი* (დროება, 1880, № 227, 28 თებერვალი).

გიორგი თუმანიშვილის წერილმა გაანაწყენა რაფიელ ერისთავი და წერილის ავტორს მკაცრი ტონით უპასუხა. მათ შორის პოლემიკა *დროების* ფურცლებზე გაიშალა. წერილში – *ორ-გვარი გრძნობის და ორ-ნაირი შეხედულობის პატრონი* – რაფიელ ერისთავმა გიორგი თუმანიშვილს საქციელი დაუწუნა და ორ გვარი გრძნობისა და ორნაირი შეხედულების პატრონი უწოდა. წერილიდან ირკვევა, რომ რ. ერისთავს თავად წაუკითხავს თუმანიშვილისთვის პიესა, რომელიც მას მოსწონებია. ამის შესახებ რ. ერისთავი წერდა:

*როცა მე ვუკითხავდი, მაშინ* ***ადვოკატები*** *ნამდვილი სასცენო კომედია იყო და როცა თვითონ წაიკითხა მაშინ* ***გრძელი ვოდევილური სცენები*** *შეიქმნა.* ***გრძელი ვოდევილური სცენები*** *რომელიღაა? ვოდევილი როგორც მე ვუწყი, არის პიესა, რომელშიც სიმღერებია ჩართული და არც გრძელი სცენების მქონეა.* ***ადვოკატებში*** *ვერც ერთს სტრიქონსაც ვერ იპოვით სიმღერისას და სცენებიც იმ ზომისანი არიან, რა ზომისაც თვით პიესის მოქმედება და მსვლელობა მოითხოვდა: არც მეტი, არც ნაკლები სჩანს აქედან, თუმანიშვილს არ სცოდნია რა არის ვოდევილი* (დროება, 1880, № 229, 30 ოქტომბერი).

აქვე, რაფიელ ერისთავი მადლიერებით იხსენებს რეჟისორ მიხეილ ბებუთაშვილს, რომელმაც მისი პიესა წარმატებით დადგა და საზოგადოების მოწონებაც დაიმსახურა. ავტორი კი რამდენჯერმე სცენაზე გამოიძახეს და მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს.

პიესის წარმატება ეჭვქვეშ დააყენა გიორგი თუმანიშვილმა. წერილში – *ანბანი ზოგიერთებისათვის* – მან აბუჩად აიგდო რ. ერისთავის სიტყვები ***პუბლიკას ძალიან მოვწონვარო*** და დამცინავი ტონი შეიტანა პოლემიკაში:

*როცა პიესის დამწერს ხალხი ტაშს უკრავს, ყოველთვის უნდა გქონდეს მხედველობაში, რომ უმეცარი ხალხის ტაშით რიგიანი მწერალი არ უნდა დაკმაყოფილდეს. თეატრში ტაშს უკრავენ ზოგჯერ იმ კაცსაც, რომელსაც კრესლო გამოაქვს სცენაზე. მე რასაკვირველია ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ამგვარი შედარებით ვაწყენინო რაფ. ერისთავს და დავამტკიცო იმის პუბლიკის*

*მასხრობა. მე იმას ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველგვარ პუბლიკას არ უნდა ენდოს კაცი -ო („დროება“, 1880, № 231,1 ნოემბერი).*

ამ შემთხვევაში გიორგი თუმანიშვილმა არა მარტო პიესა დაიწუნა, არამედ მისი სპექტაკლის სანახავად მისული მაყურებელიც. მაყურებლის შეურაცხყოფა რაფილ ერისთავმა ვერ მოითმინა და თუმანიშვილს წერილითვე უპასუხა:

*რაც ითქმის ერთ უმეცარზედ, ან მთვრალზედ, ის არ მიეწერება მთელ საზოგადოებას, როგორც იყო „ადვოკატების“ წარმოდგენის ღამეს ქველმოქმედების მიზნით თავშეყრილს* (დროება, 1880, №234, 5 ნოემბერი).

ამის შემდეგ, თუმანიშვილს მისთვის აღარ უპასუხია, თუმცა მოგვიანებით, 1895 წელს, როდესაც რაფიელ ერისთავზე თუმანიშვილმა წერილი დაწერა, მას მრავალმხრივი შემოქმედი, საქმეში მეტად ჩახედული და გულისხმიერი ადამიანი უწოდა.

რაფიელ ერისთავის თეატრალურ მოღვაწეობაში, მოკრძალებული ადგილი სათეატრო წერილებს და რეცენზიებს უჭირავს.

1880 წლის 9 იანვარს ნატო გაბუნიას ბენეფისი გაიმართა. ამ დღეს ნატომ ორ პიესაში, რაფიელ ერისთავის ***ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს*** და აკაკი წერეთლის ***კინტო***-ში მიიღო მონაწილეობა..

რაფიელ ერისთავი წარმოდგენას დაესწრო და რამდენიმე დღეში, თავისი შთაბეჭდილება წერილობით გადმოსცა. მან დაიწუნა სპექტაკლი და აკაკი წერეთლის კომედია ***კინტო*** საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა: *ვის გაუგონია და უნახავს, რო კნეინა კინტოურათ იცომდა და კინტოებში მიდიოდა?!*

რ. ერისთავისთვის მიუღებელი აღმოჩნდა სალომეს ოთახში გათამაშებული, ვითომ ორი ადამიანის (კინტო და სალომე), სასიყვარულო სცენა. აღნიშნულ ეპიზოდს ერისთავი ზნეობრივ ჭრილში, მორალური თვალთახედვიდან განიხილავს: *იფ, რა ზნეობითი სურათია, თეატრში მყოფი გასათხოვარი ქალებისთვის!*

რაფიელ ერისთავს სპექტაკლზე მსჯელობისას, არც ნატო გაბუნიას ჩაცმულობა დავიწყებია და თეატრის გამგეობას საყვედურით მიმართა:

*მიკვირს როგორა ჰკადრეს ამ პატიოსანმა პირებმა, თავის თავს, საზოგადოებას და ერთს პირველთაგანს წარმომადგენელს ქართულის ტრუპისა – ნ.გაბუნიას, რომ ისე უმსგავსოდ ჩააცვეს კინტოს როლში?! სირცხვილი არ არის? სად იშოვეს ის ჩოხა? განა პირველს აქტრისას, მერე კიდენ იმის ბენეფსში ასე უნდა სცმოდა? მეაქლემეს ხომ არ თამაშობდა?!* (*ერისთავი*,1937:179).

რაფიელ ერისთავი დიდი მონდომებით აკვირდებოდა სპექტაკლს, თითოეულ დეტალს აქცევდა ყურადღებას. თავად პიესის წერის დროს ყოველ წვრილმანს ითვალისწინებდა და რეჟისორს განმარტებას აძლევდა.

ხუმრობა-ვოდევილში *პარიკმახერისას*, როდესაც ქალ პერსონაჟ ნინოს კაცის ტანსაცმელი უნდა გადაეცვა, ერისთავი რემარკაში მიუთითებდა, რომ ნინოს მანამდე ქალის ტანსაცმლის ქვეშ კაცის ტანსაცმელი უნდა სცმოდა, თორემ გამოცვლას ვერ მოასწრებდა. ის კარგად იცნობდა თეატრის კულისებს – მსახიობებს ზოგჯერ საგრიმიროებიც არ ჰქონდათ (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვადასხვა ქალაქებში გამოდიოდნენ) და უწყოდა ასეთ პირობებში რამდენად რთული იყო სცენაზე დროული გასვლა.

რაფიელ ერისთავი ყურადღებას აქცევდა დეკორაციებსაც, საყოფაცხოვრებო ნივთებს. საარქივო მასლებიდან ვიგებთ, რომ მას ჩვევად ჰქონდა როლების გადაწერა: მაგ. *ოპერეტა-ვოდევილი ბიძიასთან გამოხუმრება*, რომელიც 1880 წელს რუსულიდან გადმოაკეთა, პიესას ბოლოს მიაწერა საჭირო რეკვიზიტის ჩამონათვალი – *დაირა, თეფში დავთარი, პიანინო დიდი სარკე, თაიგული, ქაღალდი (ხაზიანი), კერძი, პური ერთი ბოთლი ღვინო* და ა შ. ზოგიერთი ხელნაწერი გაურკვეველია. მწერალს შესანიშნავი წარმოსახვის უნარი ჰქონდა, კარგად ჰქონდა გააზრებული და ცოცხლად წარმოედგინა თავისი პიესა დადგმამდე, კარგად უწყოდა საკუთარი პიესის პერსონაჟებს თუ რა ატრიბუტები ესაჭიროებოდათ, რაზეც წინმსწრებად თავადვე ზრუნავდა.



რაფიელ ერისთავი, ბევრს ფიქრობდა თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე. კარგად ესმოდა თეატრის საზოგადო მნიშვნელობა. არ ერიდებოდა ჯანსაღ კრიტიკას. სწორედ ამით არის განპირობებული მისი კრიტიკული მოსაზრებები, შენიშვნები თეატრის მესვეურთა მიმართ.

მუდმივმოქმედი თეატრის მდგომარეობით შეწუხებულმა რაფიელ ერისთავმა 1888 წელს გაზეთ *თეატრში* წერილი გამოაქვეყნა სათაურით ***ქართული თეატრის წარსული სეზონი.*** წერილის ავტორმა, სეზონის განხილვისას, მის წარუმატებლობაზე ისაუბრა და ბრალი დასდო ყველას, ვისაც თეატრზე ზრუნვა ევალებოდა: დრამატულ საზოგადოებას, მსახიობებს, მწერლებს და საზოგადოების იმ ნაწილსაც, რომელსაც თეატრში სიარულს, ბალებსა და კლუბებში დროის გატარება, მეზურნეებისთვის და ბანქოში ფულის გადახდა ერჩივნათ. ასეთ საზოგადოებას მან ***გულგრილი საზოგადოება*** უწოდა, ხოლო ქალბატონებს, ***ბარიშნებს***, რომლებიც ქართულ წარმოდგენებს ოპერის სპექტაკლებს ამჯობინებდნენ, საქციელი დაუწუნა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში, ქართველ მანდილოსნებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა იტალიელი ბარიტონი, *ტურფა* და *ლამაზი*, მომღერალი გვარად ლოდი. მისი ხმისა და სიმღერისთავის ის გულში ჩავარდნოდა ქალებს. მისდამი გადამეტებულ ლტოლვას ერისთავი ირონიით უყურებდა:

*ბაღში რად არ მელოდია?..*
*მიყვარს შენი მელოდია!..*
*მესაკუთრე მე ლოდია...*
*ანუ გულზე მე ლოდია.*
*თეატრი*, 1888, №21, 19 ივნისი

რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პატარა დიალოგებისგან შემდგარ ***სცენებს*** (*ბაზრის სცენები* (1878 წ.); *მიკიბულ-მოკიბული* (1877 წ.); *კახეთში გახლდით* (1883 წ.), *ვიზიტი* (1881 წ.), *ახალგაზრდა გლახის ნაამბობი* (1877 წ.), *სცენები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან* (1886 წ.), *სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან* და სხვა), რომელთაც მცირე ფორმატის გამო, ხშირად დივერტისმენტებსა და საჯარო გამოსვლებში იყენებდნენ. ეს **სცენები** XIX საუკუნის 70-იან წლებში *ივერიისა* და *დროების* ფურცლებზე იბეჭდებოდა და ასახავდა იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, აღწერდა ყველა სოციალურ ფენას: *თავადაზნაურებს, გლეხებს, ნასწავლ კნეინებს, ვაჭრებს, არისტოკრატებს, გაღატაკების გზაზე დამდგარ იმერელ აზნაურებს, ქალაქელ ბიჭებს, ყარაჩოღელებს* თუ სხვას.

რაფიელის ***სცენები*** დადებითად შეაფასა სერგეი მესხმა:

*ამჟამად ჩვენში ორ-სამ მწერალს გარდა არავინ გეგულება ისეთი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას რაფ. ერისთავზე უკეთ იცნობდეს და უკეთ ხატავდეს ამ ცხოვრების სურათსა და ხასიათს, ერთნაირის ხელოვნებითა ხატავს რაფ. ერისთავი როგორც თბილისელი კინტოების ხასიათს, იმათ უდარდელობასა და ფუჭა-ცხოვრებას, და ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების სიყვარულზე სჯასა და სხვა გულითადად წადილებისა ... საზოგადოდ რაფ. ერისთავის სურათები იმით არიან შესანიშნავი, რომ მარტო სიცილს არ აჯერებენ მკითხველს: ყოველი გონიერი და მოაზროვნე მკითხველი, უეჭველია, დაფიქრდება როდესაც ზოგიერთ ამ სცენებს წაიკითხავს* (მესხი.1956:85-86).

1889-1896 წლებში რაფიელ ერისთავი საცენზურო კომიტეტში იწყებს მუშაობას. მაშინდელი თავჯდომარე, *მიხეილ პავლეს ძე ჰაკელი*, თავისუფალ აზრს სდევნიდა. რაფიელ ერისთავი, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, ყოველნაირად ცდილობდა საქმე ავტორის სასარგებლოდ გადაეწყვიტა.

გ. თუმანიშვილი აღნიშნავდა, რომ როგორც ცენზორს, რ. ერისთავს შეეძლო რთული სიტუაციიდან გამოსვლა ისე, რომ ნებეჭდი არ დაზიანებულიყო. ცენზორის თანამდებობაზე მან არაერთი კარგი საქმე გააკეთა. 1895 წელს გამოსაცემად გაამზადა მამია გურიელის თხზულებები. ნატო გაბუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილი ა. ცაგარელის ისტორიული დრამის – ***ქართველი დედის*** – დადგმის ნებართვის გაცემაც რაფიელ ერისთავს მოუწია. იგი ყველას ეუბნებოდა:

*მე არ ვიცი ცენზორად როდემდე ვიქნები, თუ საეჭვო რამე გაქვს დასაბეჭდი ცენზორის მხრივ, საჩქაროდ წარმოადგინეთ ცენზურაში სანამ აქა ვარო! (ქართული ლიტერატურის ისტორია.* 1974:256).

რაფიელ ერისთავის სახელი შესულია *ბაუმგარტნერის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის* პირველ ტომში, რომელიც 1897 წელს გერმანიაში, ფრაიბურგში გამოიცა, სადაც სხვა ქართველ მწერლებთან ერთად რაფიელ ერისთავი წარჩინებულ ქართველ მწერალთა შორის იხსენიება.

რ. ერისთავს, მისი დამსახურებული ღვაწლის გამო, 1895 წლის 22 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა 50 წლის იუბილე გადაუხადა. მომზადდა მისდამი მიძღვნილი სიუბილეო პუბლიკაცია – *საერო დღესასწაული თ.რ. ერისთავის იუბილის გამო.*

*თითქმის არც ერთი დარგი ხელოვნებისა არ დაუტოვებია, ჩვენს მხცოვან პოეტს, რომ წვლილი არ შეეტანა და რითიმე არ გაემდიდრებინა* (*საერო დღესასწაული.*1899:19).

## დასკვნა

რაფიელ ერისთავის მრავალმხრივ საქმიანობათა შორის, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მის თეატრალური მოღვაწეობას. მწერალი კარგად იცნობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის თეატრალურ პროცესებს და თავადაც აქტიურად იყო ჩართული თანადროულ სათეატრო ცხოვრებაში.

მან უდიდესი როლი ითამაშა დრამატურგიის, კერძოდ, *ვოდევილისა* და *კომედიის* ჟანრის, განვითარებაში. მისი პიესების სტრუქტურა, დიალოგები, პერსონაჟთა სამეტყველო ენა, სრულად შეესაბამებოდა იმ პერიოდში არსებულ რეალისტურ სამსახიობო სკოლას, რომელიც განსაკუთრებით მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის შექმნის შემდეგ განვითარდა.

რაფიელ ერისთავი მრავალმხრივი თეატრალური მოღვაწე იყო. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია მისი, როგორც სამოყვარულო, ისე პროფესიული საქმიანობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი, როგორც დრამატურგის როლი ქართული თეატრის განვითარებაში, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას თანადროულ თეატრთან აკავშირებდა პრაქტიკული, პირადი (სამსახიობო თუ სუფლიორული) გამოცდილება; ის კარგად იცნობდა თეატრის შიდა სივრცეს, მის კულისებს, ამ პერიოდის თეატრალური დასების შემადგენლობას და რესურსს. ამ არსებულ რესურსს არგებდა თავის შემოქმედებას, და არა პირუკუ.

რაფიელ ერისთავი მისი ნამსახურებიდან და დამსახურებიდან გამომდინარე, გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართული თეატრის ისტორიაში.

## ბიბლიოგრაფია


*ქართული ლიტერატურის ისტორია,* (1974). ტ. IV. თბილისი: *საბჭოთა საქართველო.*

მესხი, ს. (1956). *წერილები თეატრის შესახებ.* თბილისი: *ხელოვნება.*

ჭავჭავაძე, ი. (2021). *წერილები თეატრზე.* თბილისი: *კენტავრი.*

კიკნაძე, ვ. (2001). *ქართული დრამატული თეატრის ისტორია.* ტ.I. თბილისი: *საარი.*

ერისთავი, რ. (1958). *რჩეული თხზულებანი.* თბილისი.

ერისთავი, რ. (1938). *დრამატული ნაწერები.* ტფილისი: *სახელგამი.*

ერისთავი, რ. (1937). *მოთხრობები და სცენები ტ III.* ტფილისი: სახელგამი.

*საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილის გამო.* (1899). თბილისი: ექვთიმე ივანის-ძე ხელაძის სტამბა.

Туманов, Г. *Характеристики и воспоминания.* Кн. I. Тбилиси. 1913.

გაზეთი *დროება*. 1879. №28.

გაზეთი *დროება*. 1880. №№ 26, 217, 222, 226, 227, 229, 231, 234,236, 252.

გაზეთი *დროება*. 1883. №176.

გაზეთი *დროება*. 1884. №89.

გაზეთი თეატრი. 1888. №21.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. – *კკსსხეც*, რაფიელ ერისთავი, არქივი №№ 514, 827, 909.



*მაია კიკნაძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
თბილისის შოთა რუსთაველის
სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.

*Maia Kiknadze*
Associate Professor,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
ORCID-ID:0009-0002-6692-8285



1. სათავადაზნაურო ბანკის თეატრი



2. ქარვასლის თეატრი. 1890 წელი. პოლ ნადარის ფოტო




3. მოჩანს ქარვასლის თეატრი

# მხატვრული პროცესები მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში

## აბსტრაქტი

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, XIX საუკუნის განმავლობაში, ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების პარალელურად, ქართულ საზოგადოებაში სოციო-კულტურული ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი სულისკვეთების განვითარებას, სოციალური საკითხების გადაჭრასა და კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარებას.

სწორედ ამ გარემოში ჩაისახა ახალი დროის ქართული ხელოვნების პირველი ნიშნები. ერთი მხრივ, თვითნასწავლი შემოქმედების გვერდით, გაჩნდნენ პროფესიული განსწავლის მქონე მხატვრებიც, რომელთა შემოქმედებაც, საერთო ჯამში, XIX საუკუნის საქართველოში მხატვრული პროცესების ძირითადი განმსაზღვრელი გახდა.

პარალელურად კი, ისტორიული ძველი თბილისის წიაღში არსებობას განაგრძობდა ხალხურ ტრადიციებზე დაფუძნებული წეს-ჩვეულებები. მრავალეთნიკურ, მულტიკულტურულ, მრავალფეროვანი ხალხური ტრადიციების მქონე ქალაქში გვერდიგვერდ მაცხოვრებელი, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების შემოქმედება ადგილობრივ ნიადაგზე გარდაიქმნებოდა, ფორმირდებოდა და მეტად სახასიათო, თბილისური კულტურის ნაყოფს წარმოქმნიდა.

პროფესიულად განსწავლული მხატვრების გამოჩენის პარალელურად, ხალხურ ტრადიციებზე აღზრდილი ხელოვან-ხელოსნების საქმიანობაზე დაკვირვება, ვფიქრობთ, აუცილებელია საუკუნის საერთო კულტურული გარემოს სურათის საჩვენებლად. ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს სწორედ ამ პროცესებზე დაკვირვება და ნაკლებად ცნობილი მხატვრული მოვლენების გამოვლენა წარმოადგენს, რაც სამომავლო კვლევითი მიმართულებების დასახვის წინაპირობაც გახდება.

**საკვანძო სიტყვები:** XIX საუკუნე; სახვითი ხელოვნება; დაზგური გრაფიკა; გრიგოლ ტატიშვილი; *ყარამანიანი.*

# ARTISTIC DEVELOPMENTS IN 19TH-CENTURY GEORGIA


## ABSTRACT

From the second half of the 18th century and throughout the 19th century, alongside historical and political events, a process of socio-cultural formation was taking place in Georgian society. Special attention was given to fostering a sense of statehood, addressing social issues, and developing various fields of culture.

It was within this context that the earliest signs of modern Georgian art began to emerge. On one hand, alongside self-taught creators, professionally trained artists also appeared, whose works collectively became a major determinant of the artistic developments in 19th-century Georgia.

At the same time, within the historical heart of Old Tbilisi, customs and traditions rooted in folk culture continued to flourish. In this multiethnic and multicultural city – rich in diverse folk traditions – the creative activities of people from different national backgrounds, living side by side, were shaped by the local environment, giving rise to a distinctive phenomenon: Tbilisi's unique urban culture.

In parallel with the emergence of professionally educated artists, observing the work of artisans and creators grounded in folk traditions is essential to presenting a comprehensive picture of the cultural landscape of the era. The primary aim of this paper is to examine these processes and bring to light lesser-known artistic phenomena, which may serve as a foundation for future research directions.


**Keywords:** 19th century; Visual Arts; Printmaking; Grigol Tatishvili; Karamaniani.





## შესავალი

XIX საუკუნის საქართველოში, მთელი რიგი ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების პარალელურად, საზოგადოების სოციალური და კულტურული ფორმირების თავისებური პროცესი მიმდინარეობდა. რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების პარალელურად, ქვეყანაში გაძლიერდა პატრიოტული სულისკვეთება. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ასპარეზზე გამოვიდნენ *თერგდალეულები*, ქვეყნის სოციალურ-კულტურული განვითარების საკითხებზე საზოგადოებაში აქტიური მსჯელობა დაიწყო; გაიხსნა სასწავლებლები, სასულიერო სემინარიები, პრიორიტეტული გახდა ხელოვნების სხვადასხვა დარგის ხელშეწყობა, საფუძველი ჩაეყარა ქართული პროფესიული თეატრის საქმიანობას, დაიწყო საოპერო წარმოდგენების დადგმა, თბილისში დაარსდა კავკასიის მუზეუმი (გაჩეჩილაძე, მ. 2009:168-187); მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალ ეტაპზე გადავიდა ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაც და ჩაისახა ახალი დროის ქართული ხელოვნების პირველი ნიშნები (ციციშვილი, მ. 1987:75-81; ციციშვილი, მ. ჭოღოშვილი, ნ. 2013:7-29 ).

ჩვენი ნაშრომი XIX საუკუნის საქართველოში სწორედ სახვითი ხელოვნების თავისებურებებსა და განვითარების ძირითად მახასიათებლებზე ამახვილებს ყურადღებას.

ერთი მხრივ, მოკლედ მიმოვიხილავთ უკვე კარგად ცნობილ და შესწავლილ მხატვრულ ტენდენციებს, ფერწერული ნაწარმოებების გვერდით, გამოვყოფთ ქართულ ბეჭდურ გამოცემათა გრაფიკულ შემკულობებსაც. ამავდროულად, სწორედ ბეჭდური გამოცემების გრაფიკული შემკულობების მაგალითზე, სამეცნიერო წრეებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, მაღალმხატვრული ნაწარმოებების გვერდით, სრულებით განსხვავებულ მხატვრული მეტყველების ნაწარმოებებსაც გამოვყოფთ. სტატია ამ ნაწარმოებთაგან ერთერთ ნიმუშს განიხილავს და მიზნად ისახავს, რომ ამ ნიმუშის საფუძველზე წარმოაჩინოს ის მხატვრული და სოციო-კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ მყარად იყო ფესვგადგმული.

## კვლევის მეთოდი

ძირითად კვლევით მეთოდად, ნაშრომში ფორმის ანალიზის მეთოდია გამოყენებული. საკვლევი პერიოდის საერთო მხატვრულ-ესთეტიკური სულისკვეთების წარმოსაჩენად, აქცენტები კეთდება ხელოვნების ნაწარმოებთა მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებსა და ისტორიულ კონტექსტზე, რომელიც ნაწარმოებთა თითოეული დასახელებული ჯგუფის შექმნასა და ამა თუ იმ ავტორის მოღვაწეობის ძირითად თავისებურებებს განსაზღვრავდა.

## შედეგი

ამ ეტაპისთვის კი, თუნდაც ***ყარამანიანის*** მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პროფესიულად გამართული, მაღალმხატვრული ნაწარმოებების გვერდით, ე.წ. *ხალხური* მხატვრული მეტყველების შემკულობებიც საკმაოდ აქტიურად იქმნებოდა. საზოგადოების გარკვეულ ფენებში ეს წიგნები და მათი გრაფიკული შემკულობები საკმაო პოპულარობით სარგებლობდა, რაც საკვლევი პერიოდის სოციუმის კულტურული ორიენტირებისა და მხატვრული აზროვნებას მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

ცხადი ხდება, რომ ძველი ქალაქის წიაღში კვლავაც არ კარგავდა პოპულარობას სახალხო შემოქმედების ნიმუშები. ფაქტია, რომ *სახალხო ხასიათის* როგორც ლიტერატურულ, ასევე გამომსახველობით ნაწარმოებებს საკუთარი აუდიტორია ჰყავდა და საზოგადოების გარკვეული ფენებისათვის სასურველ და მოთხოვნად შემოქმედებად რჩებოდა.

## მსჯელობა

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სახვითი ხელოვნება განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. ამ პერიოდის ქართული მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად გვევლინება *პარადული პორტრეტებისა* და *თბილისური პორტრეტების* სახელით ცნობილი, დაზგური ფერწერის ნიმუშთა ჯგუფი, რომელიც ქართველ თავად-აზნაურთა გამოსახულებებს წარმოგვიდგენს. ამ ნამუშევრების შესრულების ტექნიკასა და გამოსახვის ხერხებში მკვლევრები, ერთი მხრივ, შუა საუკუნეების ქართული მხატვრობის ტრადიციაზე საუბრობენ, პარალელურად კი, პირველად ჩნდება ევროპული, ილუზიონისტური მხატვრობის მახასიათებლების გამოყენებისა და დაუფლების სურვილი და მისწრაფება (ციციშვილი, მ. 1987: 75-81; ციციშვილი, მ. ჭოღოშვილი, ნ. 2013:7-29 ).

ამავე პერიოდის ცალკე მდგომი მხატვრული ნაწარმოებების ჯგუფად გვევლინება ე.წ. ეთნოგრაფიული პორტრეტები – მომცრო ზომის ტილოზე, ზეთის საღებავებით შესრულებული გამოსახულებები, რომლებიც ძირითადად, საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა სურათებს გვიჩვენებს (ხოშტარია, გ. 1974:149-157).

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია პირველი პროფესიულად განსწავლული ქართველი მხატვარიც – *გრიგოლ მაისურაძე,* ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმადყოფილი ახალგაზრდა, რომელიც თავად ალექსანდრესავე სურვილითა და ინიციატივით, გათავისუფლდა ყმობიდან და პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო განათლება (ამირანაშვილი, შ. 1971:434-446; ციციშვილი, მ. ჭოღოშვილი, ნ. 2013: 29-69).

საუკუნის 80-იანი წლებიდან ასპარეზზე უკვე მხატვართა ახალი თაობის წარმომადგენლები: რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, დავით გურამიშვილი ჩნდებიან (ამირანაშვილი, შ. 1971:434-446; ციციშვილი, მ. ჭოღოშვილი, ნ. 2013:29-69); ამავე პერიოდში იწყება ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ფიგურის, ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედების ჩამოყალიბებაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში დაზგური გრაფიკის განვითარების თვალსაზრისითაც უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ზოგადად, ქვეყანაში საგამომცემლო საქმიანობის გააქტიურება, უპირველეს ყოვლისა, *სამოციანელთა* მოღვაწეობამ განსაზღვრა. სამოციანელების ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს საზოგადოების განათლება, ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფოებრიობის შეგრძნების გაძლიერება წარმოადგენდა. ამ მიზნების მისაღწევად კი წიგნი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს *იარაღად* გამოიყენებოდა. მომრავლდა დარგობრივად მრავალფეროვანი წიგნები. საფუძველი ჩაეყარა პერიოდულ პრესასა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას. ბეჭდური გამოცემები, როგორც ტექსტუალური, ასევე მხატვრული თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაში ეროვნული თვითშეგნებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განმტკიცებას ემსახურებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბეჭდურ გამოცემათა გრაფიკული შემკულობის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, თვითნასწავლ მხატვარ-გრავიორს – *გრიგოლ ტატიშვილს* უკავშირდება, რომლის შემოქმედებაც: წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ილუსტრირებას, ტექსტის შემამკობელი დეკორატიული ელემენტების, სასათაურო შრიფტების, საზედაო ასოებისა და ზოგადად, ქართული შრიფტის გარნიტურების შემუშავებას ერთდროულად მოიცავდა.

XIX საუკუნის გამოცემათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იაკობ გოგებაშვილის ***დედა ენა***, რომელიც პირველად 1876 წელს გამოიცა და შემდგომში, განახლებული და შევსებული სახით, ეტაპობრივად იბეჭდებოდა. წიგნის ილუსტრაციების შექმნაზე გრიგოლ ტატიშვილთან ერთად, იმ პერიოდის პროფესიული განსწავლის მქონე უმნიშვნელოვანესმა მხატვრებმა: *ოსკარ შმერლინგმა, ალექსანდრე ბერიძემ, ალექსანდრე მრევლიშვილმა* იმუშავეს; მხატვრების მიერ შექმნილი ილუსტრაციები გრიგოლ ტატიშვილმა ამოჭრა და გრაფიკულ ანაბეჭდად აქცია. მასვე ეკუთვნოდა წიგნის ფურცლებზე ტექსტის განაწილების პრინციპის შემუშავება, შრიფტის განაწილება, ნახატისა და ტექსტის ურთიერთმიმართებების განსაზღვრა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოცემათა შორის განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ე.წ. *ქართველიშვილისეული* ***ვეფხისტყაოსანი***, რომლის ილუსტრაციები უნგრელმა მხატვარმა *მიხაი ზიჩიმ* შექმნა, წიგნის გრაფიკული გაფორმება – ყდის, ყუის, ტიტულის, თავსართ-ბოლოსართების საზედაო ასო-ნიშნების, მომამჩარჩოებელი ორნამენტების დამუშავება კი მთლიანად გრიგოლ ტატიშვილს ეკუთვნოდა.

ზემოთ მოკლედ მოყვანილი მხატვრული პროცესები, რომლებიც, ერთი მხრივ ფერწერის, მეორე მხრივ კი დაზგური გრაფიკის განვითარებაში იჩენდა თავს, დიდწილად განსაზღვრავდა XIX საუკუნის საქართველოს ზოგად კულტურულ სულისკვეთებას.

ამ ზოგადი სულისკვეთების პარალელურად, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობდა უფრო ხალხურ, თბილისურ ტრადიციებზე დაფუძნებული ცხოვრების წესი და ჩვეულებები. ამ ტრადიციების მატარებელი საზოგადოება საკუთარ შემოქმედებას ქმნიდა. მათი ლიტერატურული, თუ მხატვრული ნაწარმოებები, ზემოთ მოყვანილ ხელოვნების ნაწარმოებთა გვერდით იქმნებოდა და ძველი ქალაქის წიაღში ჯერ კიდევ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა.

XIX საუკუნის განმავლობაში, თითქმის საუკუნის მიწურულამდე, ძველი ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ფენებში, კვლავაც აქტიურად იყო ფესვგადგმული წარსულის ტრადიციები. მრავალეთნიკურ, მრავალფეროვანი ხალხური ტრადიციების მქონე ქალაქში ჯერ კიდევ აქტიურად გაისმოდა *აშუღთა* ლექსები და სიმღერები. გვხვდებოდა ხელოსანთა მრავალგვარი გაერთიანებები და ამქრები, რომელთა შორისაც თავის ადგილს იკავებდა *ფერმწერ-მღებავების ამქარიც.* ე.წ. იაფი წიგნაკების სახით აქტიურად იბეჭდებოდა ძველი ქალაქის მგოსნების ლექსები, თხზულებები, სახალხო საგმირო-საფალავნო, სამიჯნურო მოთხრობები. ხელოვნებისა თუ ხელოსნობის ეს ნიმუშები მოსახლეობაში აქტიურად ვრცელდებოდა და ძველი ქალაქის საერთო სულისკვეთებას ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა.

ამგვარად, XIX საუკუნის ქართული სოციო-კულტურული ცხოვრება ჯერ კიდევ საკმაოდ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო. ჩვენი კვლევის ფარგლებში კი გამოვლინდა, რომ ამ მრავალგვარობის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინება, განსაკუთრებით მკაფიოდ, სწორედ ბეჭდური გამოცემების გრაფიკულ შემკულობაში გამოიკვეთა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ძველი ქალაქის ტრადიციული ყოფისთვის სახასიათო გამოცემებმა, ე.წ. იაფმა წიგნაკებმა, თუ შედარებით სქელტანიანმა სახალხო თხზულებებმა, რომელთა გამოცემებში, როგორც აღმოჩნდა, გრაფიკული შემკულობები საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა.

ამ ტიპის გამოცემებს შორის გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს საგმირო-საფალავნო მოთხრობათა ვრცელი კრებული – ***ყარამანიანი*** (სურ. 1), რომელიც მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ე.წ. *ხალხურ* მხატვრულ მეტყველებას შეიძლება მივაკუთვნოთ.

ცნობილია, რომ ერეკლე II-ის სიძეს, სარდალ დავით ორბელიანს, ირანიდან ჩამოუტანია *ყარამანიანის* სპარსული დედანი და მასვე უთარგმნია 1762-1774 წლებში (ურუშაძე, მ. 1958; ფირცხალავა, ნ. 2020:42-450). როგორც ჩანს, იმ დროიდან მოყოლებული, კრებული საკმაო პოპულარობით სარგებლობდა საზოგადოებაში. იქმნებოდა *ყარამანიანის* ხელნაწერი წიგნებიც; უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კი კრებულის *ბეჭდური* ვერსიაც გამოიცა.

***ყარამანიანის*** გამოცემა 1875 წელს დაიწყო თბილისში, *მელიქოვის* სტამბაში და 1883 წლამდე თექვსმეტი დასურათებული კარი გამოიცა (ურუშაძე, მ. 1958; ფირცხალავა, ნ. 2020:42-450). კრებულის ილუსტრაციებზე, როგორც მათ ესკიზებზე, ასევე კლიშეების მომზადებაზე გრიგოლ ტატიშვილმა იმუშავა. ეს მხატვარ-გრავიორის მიერ პირველი დასურათებული წიგნი იყო.

***ყარამანიანის*** თითოეული კარი ძალზედ სქელტანიანი გამოცემაა და თითოეულ ნაწილს ძირითადად, ორ-ორი ილუსტრაცია აქვს დართული. კომპოზიციები, ძირითადად, დამოუკიდებელ ფურცლებზეა წარმოდგენილი, ან რამდენიმე სტრიქონიანი ტექსტის მონაკვეთებით ზემოდან

და ქვემოდან ისაზღვრება. თხზულების შინაარსიდან გამომდინარე, ილუსტრაციები ძირითადად მრავალფიგურიან სცენებს წარმოგვიდგენს, სხვადასხვა პერსონაჟის გამოსახულებებით, ფანტასტიკური ცხოველებითა და ფრინველებით. (სურ. 2, 3)

ილუსტრაციები პროფესიული მხატვრობის დახვეწილ გამომსახველობას მოკლებულია, თუმცა, გრავიურების საოცრად ექსპრესიული, პირობითი სამეტყველო ენა ე.წ. *ხალხურ* ხელოვნებასთან იწვევს ასოციაციებს და ამ ხელოვნებისთვის სახასიათო უშუალობით ახერხებს მხატვრული გამომსახველობის შექმნას.

მეტად საინტერესოა პერსონაჟების თავებთან დატანილი მხედრული განმარტებითი ტექსტები (სურ. 4). მრავალფიგურიან კომპოზიციებში, სადაც ფიგურები ერთ რიგადაა წარმოდგენილი, ამგვარად, თავებთან დატანილი განმარტებითი ტექსტებით, სრულებით ბუნებრივად ჩნდება ასოციაციები გვიანი შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის დიდგვაროვანთა გამოსახულებებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ მკვლევრები საუბრობენ ***ყარამანიანის*** გრავიურების კავშირზე ამავე თხზულების ხელნაწერი ტექსტის მინიატურებთან. ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ გამოსახულებათა გარკვეული პარალელები თანადროული საყოფაცხოვრებო ნივთების – ვერცხლის მრავალგვარი ჭურჭლის გაფორმებაშიც შეიძლება მოვიძიოთ. ზოგადად, ჩვენი სამომავლო კვლევის ფარგლებში, ამ პერიოდის გამოყენებითი ხელოვნებისა და საყოფაცხოვრებო ხელოსნური ნაწარმის შემკულობებიც იქნება მოხმობილი, რაც სავარაუდოა, რომ სტილური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით, გარკვეული პარალელების გამოვლენის საშუალებას ნამდვილად მოგვცემს.

აღსანიშნავია, რომ ***ყარამანიანის*** ილუსტრაციების მსგავსად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის სხვა, ნაკლებად ცნობილი გამოცემების ფურცლებზეც, ასევე ძალიან უხვად ვხვდებით გრაფიკულ შემკულობებს, რომელთა მხატვრული მეტყველება პროფესიული მხატვრობისათვის სახასიათო გამომსახველობითი ხერხებისაგან საკმაოდ განსხვავდება და მხატვრული ნაწარმოების სრულებით თვითმყოფად ჯგუფად გვევლინება. ეს ნაწარმოებები ჩვენი კვლევის არეალშია მოქცეული და სამომავლოდ, მათ შესახებ ცოდნა კიდევ უფრო გაღრმავდება და განივრცობა.

## დასკვნა

ამგვარი ვითარება, ზოგადად, XIX საუკუნის მხატვრულ-კულტურულ გარემოს კიდევ უფრო კომპლექსური სახით წარმოაჩენს. ჩვენი სამომავლო კვლევის ფარგლებში, დაზგური გრაფიკის აქამდე უცნობ ნიმუშებზე დაყრდნობით, მთავარი აქცენტები სწორედ ამ მრავალფეროვანი კულტურული გარემოს შესწავლაზე გაკეთდება. ყურადღება გამახვილდება ამ პერიოდის საზოგადოებაში გემოვნების, აზროვნების, მსოფლხედვის განსხვავებული მიმართულებებისა და კულტურული ორიენტირების გამოკვლევაზე, რაც საერთო ჯამში, ვფიქრობთ, XIX საუკუნის ზოგადკულტურულ ატმოსფეროს კიდევ უფრო განსხვავებული და მრავალფეროვანი კუთხით წარმოაჩენს.

## ბიბლიოგრაფია


ამირანაშვილი, შ. (1971), *ქართული ხელოვნების ისტორია*. თბილისი.

გაჩეჩილაძე, მ. (2009). *ქართული ბეჭდური წიგნის მხატვრული გაფორმების თავისებურებანი (XVII-XIX სს.). საქართველოს სიძველენი.* №13.

ურუშაძე, მ. (1958). *პირველი ქართველი გრავიორი გრიგოლ ტატიშვილი*. თბილისი.

ფირცხალავა, ნ. (2020). *გრიგოლ ტატიშვილი პირველი ქართველი გრავიორ-ქსილოგრაფი*. საქართველოს ბიბლიოთეკა. №4(81).

ციციშვილი, მ. (1987). *XIX საუკუნის ქართული პორტრეტული მხატვრობა. საბჭოთა ხელოვნება*. №3.


ციციშვილი, მ. ჭოღოშვილი, ნ. (2013). *ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია, XVIII-XX საუკუნეები*. თბილისი.

ხოშტარია, გ. (1974). *XIX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორიიდან*. სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*, №4.




*თათია თევდორაშვილი*
დოქტორანტი,
საქართველოს უნივერსიტეტი,
აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

*Tatia Tevdorashvili*
PHD Student,
University of Georgia,
Ap. Kutateladze Tbilisi State Academy of Art.
ORCID ID: 0009-0009-7124-3038




სურ. 1. საგმირო-საფალავნო მოთხრობათა კრებული – ყარამანიანი



სურ. 2. ყარამანიანის ილუსტრაცია



სურ. 3. ყარამანიანის ილუსტრაცია



სურ. 4. ყარამანიანის ილუსტრაცია

# ქართული კარიკატურის ისტორიის ფრაგმენტები

## აბსტრაქტი

სამეცნიერო კონფერენციის თემატური შინაარსიდან და ინტერესიდან გამომდინარე, ნაშრომში ქართული კარიკატურის ისტორიის ფონზე, განვიხილავთ ქართული კარიკატურის ისტორიის პირველწყაროში, ჟურნალ *ფალანგაში (Фаланга)* გამოქვეყნებულ, პირველი ქართველი კარიკატურისტის, დავით ერისთავის ერთ კარიკატურას.

ნაშრომი მოკლედ მიმოიხილავს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი გვიანდელი ჟანრის – კარიკატურის ისტორიის საწყისებს საქართველოში, ამ საწყისებთან დაკავშირებულ პირველ ქართველ კარიკატურისტს და XIX საუკუნის ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან – შოთა რუსთაველის *ვეფხისტყაოსნის* რედაქტირებასთან დაკავშირებით მისი ავტორობით შექმნილ ერთ კარიკატურასა და რეალიებს.

ქართული კარიკატურის ისტორიის ათვლა, უკანასკნელ ხანებამდე, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყებოდა. უახლესმა კვლევებმა ეს თარიღი ერთი ათეულით დააძველა და მისი ისტორიის საწყისად და პირველწყაროდ 80-ანი წლების სატირულ-იუმორისტული, რუსულენოვანი ჟურნალი ფალანგა *(Фаланга)* მიიჩნია. სწორედ ფალანგაშია გამოქვეყნებული ჩვენთვის საინტერესო – *ვეფხიტყაოსნის* სარედაქციო კომისიის სხდომის მუშაობის პროცესის ამსახველი, დავით ერისთავის, პირველი ქართველი კარიკატურისტის კარიკატურული ნამუშევარი. კარიკატურა, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, რაფიელ ერისთავს, *ვეფხიტყაოსნის* ტექსტის რედაქტირების ერთ-ერთ მთავარ ინიციატორსაც წარმოგვიდგენს.

**საკვანძო სიტყვები:** კარიკატურა; კარიკატურის ისტორია; ვეფხისტყაოსანი; დავით ერისთავი.

# FRAGMENTS FROM THE HISTORY OF GEORGIAN CARICATURE

## ABSTRACT

Based on the theme and focus of the scientific conference, this paper examines, against the background of the history of Georgian caricature, one caricature by the first Georgian caricaturist, Davit Eristavi, published in the primary source of Georgian caricature history – the journal *Phalanga* (Фаланга).

The study briefly reviews the origins of caricature – one of the later genres of visual art – in Georgia, the first Georgian caricaturist associated with these beginnings, and one of his caricatures, created in connection with one of the most significant cultural events of 19th-century Georgia: the editing of Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin*, along with the related historical context.

Until recently, the history of Georgian caricature was thought to begin in the 1890s. However, recent research has pushed this date back by about a decade, identifying the satirical-humorous Russian-language journal *Phalanga* (Фаланга) from the 1880s as the starting point and primary source of Georgian caricature history. It was in *Phalanga* that the caricature of interest to us was published – a work by Davit Eristavi, the first Georgian caricaturist, depicting a session of the editorial commission working on *The Knight in the Panther's Skin*. The caricature also portrays Raphiel Eristavi, one of the main initiators of the poem's text revision, alongside other Georgian intellectuals.

**Keywords:** Caricature; History of Caricature; The Knight in the Panther's Skin; Davit Eristavi.





## შესავალი

საქართველოში კარიკატურის საწყისების შესწავლას ჩვენ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული, საგანგებო კვლევა მივუძღვენით (აბესაძე ი., ჭოღოშვილი ნ., დარჩია ქ., ჭანტურიძე ს. 2025). ამდენად, ამჟამად ქართული კარიკატურის ისტორიის მხოლოდ მცირე მიმოხილვას წარმოვადგენთ, აქცენტით, ქართული კარიკატურის ისტორიის პირველწყაროზე – *ჟურნალ ფალანგაზე, მის ერთ-ერთ დამაარსებელსა და პირველ ქართველ კარიკატურისტზე – დავით ერისთავზე და მისი კარიკატურული მემკვიდრეობიდან მისი ავტორობით შესრულებულ ერთ კარიკატურაზე.*

საქართველოში, ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში, კარიკატურის ჩასახვა-განვითარება და გამომსახველობითი ხელოვნების ცალკე ჟანრად ჩამოყალიბება საგაზეთო ინდუსტრიას უკავშირდება. კარიკატურის მიზანი, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენათა სატირულ-კარიკატურული გამოსახულებებით აქცენტირებაა.

საქართველოში კარიკატურის გამომსახველობითი ხელოვნების ჟანრად ჩამოყალიბება, XIX საუკუნის რუსეთსა და ევროპაში განათლებამიღებული, პატრიოტი, პროგრესულად მოაზროვნე, *ოთხმოციანელთა* თაობის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის თანადროულია. ეს თაობა ყველა შესაძლებლობით ცდილობდა ქართული კულტურის განვითარების რუსული ვექტორი ევროპულით ჩაენაცვლებინა. სწორედ ამ თაობას მიეკუთვნებიან ქართული კარიკატურული ჟანრის პირველი წარმომადგენლები. ისინი ეროვნულ სატკივარს მძლავრი მამხილებელი იარაღით, კარიკატურით, რეალისტურად ასახავენ და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემატიკას იუმორისტული ჩანახატებით აშიშვლებენ.

ქართული კარიკატურის საფუძვლების შექმნა-განვითარებაში დიდია არაქართული წარმომავლობის მხატვრების – *ოსკარ შმერლინგის, იოზეფ როტერის, ალექსანდრე ზალცმანის, ვანო ხოჯაბეგოვის, გრაციან ხმელევსკის, მიხეილ ჩემოდანოვის* და სხვათა წვლილი.

კარიკატურა აცოცხლებს ეპოქას და ხელს უწყობს მის ცოცხლად წარმოსახვას. კარიკატურის ისტორიის კვლევა, გარდა სახელოვნებო თვალსაზრისისა, მნიშვნელოვანია, როგორც XIX საუკუნის პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესწავლის ერთ-ერთი წყარო.

## კვლევის მეთოდი

კვლევის პროცესში გამოყენებულია წყაროთმცოდნეობითი, მონოგრაფიული, ანალიზის და კრიტიკული მეთოდოლოგიები. შესწავლილია საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, XIX საუკუნის პრესისა თუ ბიოგრაფიული მონაცემები, მოგონებები, საარქივო დოკუმენტაცია და სხვა. ამ მასალების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

## მსჯელობა

კარიკატურისა თუ გროტესკული მხატვრობის შესახებ უცხოენოვანი გამოკვლევები მრავლადაა, თუმცა ყურადღება მეტწილად ლიტერატურულ ტექსტებს – სატირულ-გროტესკულ ნაწარმოებებს – ფელეტონებსა თუ იგავ-არაკებს ეთმობა. ამ თვალსაზრისით, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მეტად მწირია. ისიც მეტწილად მწერლობით, პუბლიცისტიკა-ბელეტრისტიკით შემოიფარგლება, ხოლო სახვითი ხელოვნების ამ ჟანრს მხოლოდ რამდენიმე ავტორთან თუ ვხვდებით.

ამ ავტორთაგან უნდა ვახსენიოთ ოთარ სეფიაშვილი (სეფიაშვილი, ო. 1957), მარკ კიპნისი (კიპნისი, მ. 1968), მამია ჩხიკვიშვილი (ჩხიკვიშვილი, მ. 1967), გიზო ნიშნიანიძე (ნიშნიანიძე, გ. 1971), რევაზ მიშველაძე (მიშველაძე, რ. 2013). საინტერესოა მერი კარბელაშვილისა და მარიამ გაჩეჩილაძის ნაშრომები, სადაც ავტორები ამ პერიოდის ქართული გრაფიკის გაანალიზებისას

კარიკატურის განვითარების ტენდენციებსაც განიხილავენ (ARS GEORGICA,სერია B, 2005; ARS GEORGICA, სერია B, 2010).

ამჯერად, ჩვენ კარიკატურას განვიხილავთ არა როგორც კულტურულ მოვლენას, არამედ როგორც სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვან ჟანრს, რომელიც შედარებით ახალგაზრდაა. ტერმინ *კარიკატურის* ეტიმოლოგია იტალიურენოვანია (care cara) და *გაზვიადებას* ნიშნავს. მისი მიზანია, რეალობის ღიმილის მომგვრელი, კომიკური ფორმით დეფორმაცია, კონკრეტული ადამიანის, საზოგადოების თუ საგნის გაშარჟების საშუალებით ერთგვარი შეფასება, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენათა სატირულ-კარიკატურული გამოსახულებებით აქცენტირება, რაც მახასიათებელთა კომიკური ჰიპეტროფირება-გაზვიადებით მიიღწევა. კარიკატურა თავდაპირველად სიცილს იწვევს და მხოლოდ შემდეგ ხდება მასში ჩადებული აზრის განზოგადება. ამდენად, კარიკატურის მიზანი კომიკურის გარდა, მასებზე ეფექტური ზემოქმედების საშუალება და ამა თუ იმ სისტემის ხელში პოლიტიკური აგიტაციის მნიშვნელოვანი იარაღია.

XIX საუკუნის შუა წლებიდან, ევროპული განმანათლებლობის გავლენით, პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური და დემოკრატიული იდეების გენერირების პროცესში საქართველოც აქტიურადაა ჩართული. ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა *სამოციანელებად* სახელდებულმა თაობამ ევროპული საგანმანათლებლო იდეების ინტეგრირებით ტრადიცია განაგრძო. მათი ძალისხმევით ჩამოყალიბებულმა და თავისუფლების იდეით შეპყრობილმა არაერთმა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ ეროვნული იდენტობისა და ქართული კულტურის ეროვნული თვითგამორკვევის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროცესები გააქტიურა.

*თერგდალეულები ოთხმოციანელების* თაობამ ჩაანაცვლა. რუსეთსა და ევროპაში განათლებამიღებული, მაღალი ეროვნული თვითშეგნების მქონე, პროგრესული ახალი თაობა ძალისხმევას არ იშურებდა ქართული კულტურის განვითარების რუსული გეზის ევროპულით ჩასანაცვლებლად. სწორედ ამ თაობას მიეკუთვნებიან ქართული კარიკატურული ჟანრის პირველი წარმომადგენლები, ისინი ეროვნულ სატკივარს მძლავრი მამხილებელი იარაღით, კარიკატურით, რეალისტურად ასახავენ და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემატიკას იუმორისტული ჩანახატებით აშიშვლებენ.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, კარიკატურა, როგორც ჟანრი, საქართველოში XIX საუკუნის მიწურულს ჩნდება. საქართველოში, ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში, კარიკატურის გამომსახველობითი ხელოვნების ჟანრად ჩამოყალიბება საგაზეთო ინდუსტრიის ჩასახვა-განვითარებას უკავშირდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კარიკატურის განვითარებაში საკმაოდ დიდია არაქართული წარმომავლობის მხატვრების *(ოსკარ შმერლინგი, იოზეფ როტერი, ალექსანდრე ზალცმანი, ვანო ხოჯაბეგოვი, გრაციან ხმელევსკი, მიხეილ ჩემოდანოვი და სხვ.)* წვლილი.

ქართული კარიკატურის მესაძირკვლეები არიან – *დავით ერისთავი, გრიგოლ ტატიშვილი, დავით გურამიშვილი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო ზაზიაშვილი, ვასო ოქონელ-გოლოვნია, პლატონ ღიბრაძე* და სხვები.

ქართული კარიკატურის ისტორიის სიღრმისეული კვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ ჩვენში, ცხოვრების იუმორისტულად აღქმისა და მანკიერების ჰიპერბოლიზების ეს მახვილი იარაღი და ამ ჟანრის საწყისი უკავშირდება არა ჟურნალ ***თეატრს*** (სურ. 1. ჟურნალი თეატრი, № 1,1885 წ.), როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მიჩნეული, არამედ რუსულენოვან, მხატვრულ-იუმორისტულ ჟურნალ ***ფალანგას (Фаланга)*** (ჩხიკვიშვილი, მ.: 1967; ნიშნიანიძე, გ.: 1971). გასაზიარებელია *გ. ნიშნიანიძის* ნაშრომში *სიცილის არქივიდან* გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართული კარიკატურის მკვლევარები (ო. სეფიაშვილი; რ. მიშველაძე) ცდებოდნენ, როდესაც ქართული კარიკატურის ისტორიას 1888 წლით იწყებდნენ. ამ შეცდომის მიზეზი ჟურნალ ***ფალანგას*** პროგრამაა, სადაც აღნიშნულია, რომ ჟურნალი მხოლოდ რუსეთისა და ევროპის უმტკივნეულო პრობლემებს გააშუქებს და ცენზურის ყველა წესის დაცვით იმოქმედებს (ნიშნიანიძე, გ.:1971). რეალურად, ჟურნალის არსებობის ორწლიან პერიოდში ფსევდონიმებსა და უცხოურ გვარებს ამოფარებული პროგრესულად მოაზროვნე პუბლიცისტები და კარიკატურისტები თავიანთი მამხილებელი მასალით, შარჟებით, კარიკატურითა და სატირით, მკითხველის გამოფხიზლებას ცდილობდნენ. მძაფრშინაარსიანი პუბლიკაციების გამო, იმდროინდელმა ცარისტულმა ცენზურამ ჟურნალი დახურა, თუმცა 1880-1881 წლებში ჟურნალის 50 ნომრის გამოცემა მაინც მოხერხდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული კარიკატურის სათავეების კვლევა ამ ყოველკვირეული, სამხატვრო-იუმორისტული გამოცემით უნდა დაიწყოს.

მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილი, პირველი გილდიის ახალგაზრდა ვაჭრის – *ივანე პეტროვის* დააარსებული, რუსულენოვანი მხატვრულ-იუმორისტული ჟურნალი ***„Фаланга“***, რომლის ფურცლებზეც ფსევდონიმით არაერთი ქართველი მხატვრის ნამუშევარი დაიბეჭდა, საზოგადოებას 1880 წელს მოევლინა (სურ. 2. ჟურნალი ფალანგა (*Фаланга*). №1, 1880).

აქვე უნდა ითქვას, რომ ჟურნალის გამოცემის საორგანიზაციო საკითხებში ჩართული ისეთი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, როგორიცაა ***დავით ერისთავი, დავით გურამიშვილი და ალექსანდრე ბერიძე,*** თავისთავად გამორიცხავენ გამოცემის ეროვნულობის საეჭვოობას.

ქართული კარიკატურული მხატვრობის პირველი ნიმუში ეკუთვნის ქართული თეატრის რეფორმატორის, *გიორგი ერისთავის* ვაჟს და თავადაც ცნობილ დრამატურგს – *დავით ერისთავს*[1]. სწორედ დავით ერისთავი, პირველი ქართველი კარიკატურისტი არის ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ერთი კარიკატურის ავტორი.

დავით ერისთავის, პირველი ქართველი კარიკატურისტის ჟურნალ *ფალანგას* ნომრებში გამოქვეყნებული თამამი კარიკატურული მემკვიდრეობა დეტალურად გვაქვს განხილული ჩვენს პუბლიკაციაში (აბესაძე ი., ჭოღოშვილი ნ., დარჩია ქ., ჭანტურიძე ს. 2025). ამდენად აქ აღარ განვმეორდებით.

ამჯერად, რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემის უშუალო ინტერესიდან გამომდინარე, ყურადღებას შევაჩერებთ ამ ჟურნალში XIX საუკუნის ქართული კულტურული ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტთან დაკავშირებულ, შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულების რედაქტირების თემაზე შექმნილ, დავით ერისთავისეულ ერთ კარიკატურულ ნამუშევარზე.

საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მო-

---

1 დავით ერისთავს თავის დროისათვის საუკეთესო განათლება ჰქონდა მიღებული. სწავლობდა ოდესის ფრანგულენოვან პანსიონსა და რიშელიეს გიმნაზიაში, ნოვოროსიისკისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში (ეუფლებოდა იურისპრუდენციას, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო მეცნიერებებს). დავით ერისთავი მეტად კომუნიკაბელური და მრავალმხრივი ინტერესების პიროვნება იყო. ის ჩინებულად ფლობდა სამ უცხო ენას, იყო მელომანი, უკრავდა რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე, ხატავდა, გატაცებული იყო ფოტო ხელოვნებით – თავადვე იღებდა და საკუთარ ფოტოლაბორატორიაში თავადვე ბეჭდავდა – წერდა ლექსებსა და ფელეტონებს. დავით ერისთავი, გარკვეულ პერიოდში ***Кавказ****-ის* რედაქტორი, ხოლო ფელეტონისტისა და მხატვარ-კარიკატურისტის რანგში, ჟურნალ ***Фаланга*** *-ს* თანამშრომელი იყო.

ფართოა მისი მოღვაწეობის დიაპაზონი – დრამატული საზოგადოებით დაწყებული, საბანკო საქმითა თუ *ვეფხისტყაოსნის* დამდგენი კომისიით დასრულებული. მისი ნამოღვაწარიდან, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1882 წლის, ვიქტორიენ სარდუს პიესის, *სამშობლოს,* ინსცენირება. პიესის დასკვნით სცენაში მაყურებლის წინ საჯაროდ გამოტანილ ქართულ დროშას დარბაზი ოვაციით შეხვდა. ზაქარია ჭიჭინაძის მოგონებით, ქართველ ერს მსგავსი სიამოვნება თეატრში დასწრებისგან არასდროს მიუღია. ნიკო ნიკოლაძის აზრით, სპექტაკლმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქართულ დრამატურგიაზე.სპექტაკლს ესწრებოდა ილია ჭავჭავაძე. მოგვიანებით, უდროოდ გარდაცვლილი (1890 წ.) დავით ერისთავის საფლავს, აკაკი წერეთელმა ეპიტაფიად შემდეგი სიტყვები უძღვნა: *„...ძღვნად და საკურთხად სამარადისოდ, საიმქვეყნიო და საიმსოფლო, ღირსმა ერის-ძემ, თვით ერისთავმა სამშობლოსათვის დასდგა **სამშობლო“.***

დავით ერისთავი წარმომავლობის, განათლებულობისა და კომუნიკაბელურობის წყალობით, ყველა იმდროინდელი საზოგადოებრივი გაერთიანების სასურველი წევრი იყო.

ვლენაა შოთა რუსთველის *ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დადგენის ინიცირება *(გოგებაშვილი, მეუნარგია, ერისთავი)*, სარედაქციო კომისიის შექმნა, პროდუქტიული მუშაობა და ამ მუშაობის შედეგი – უნგრელი მხატვრის, *მიხაი ზიჩის* ავტორობით ილუსტრირებული *ვეფხისტყაოსნის* მაღალპოლიგრაფიული გამოცემა. ტექსტის დამდგენი კომისია 1880 წელს შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: *გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, იონა მეუნარგია, დავით ერისთავი, ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ყიფიანი, თედო ჟორდანია, გიორგი წერეთელი, არქიმანდრიტი გრიგოლი, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო დადიანი* და სხვები; ვეფხისტყაოსნის კარგად მცოდნე ქართველ მანდილოსანთაგან – *ნინო ორბელიანისა, ეკატერინე გაბაშვილი, ოლღა გურამიშვილი.*

იდეის ინიციატორთა და გრ. ორბელიანის დიდი ძალისხმევით, თავი მოუყარეს სხვადასხვა რედაქციის ხელნაწერებს. კომისიამ ორი წელი (1880-1881 წწ.) იმუშავა. თავისთავად ცხადია, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამუშაო პროცესი ხანგრძლივი მსჯელობისა და ხმამაღალი კამათის ფონზე მიმდინარეობდა. კომისიის შემადგენლობა სხდომებზე მცირედ იცვლებოდა, ძირითადი შემადგენლობა კი უცვლელი იყო.

კომისიის ერთ-ერთი აქტიური წევრი დავით ერისთავი იყო, ერთ-ერთ სხდომასაც თავმჯდომარეობდა (იმედაშვილი, 1957:74). ამდენად, დავით ერისთავი *ვეფხისტყაოსნის* დამდგენი კომისიის აქტიური წევრი, სხდომების მონაწილე და თვითმხილველია, რაც უფრო საინტერესოს ხდის მის მიერ შექმნილ კარიკატურულ ნამუშევარს *ვეფხისტყაოსნის* სარედაქციო კომისიის მუშაობის თემაზე.

ჟურნალ *ფალანგას* 1881 წლის მეცამეტე ნომერში გამოქვეყნებულია დავით ერისთავის ავტორობით შესრულებული კარიკატურა, რომელიც *ვეფხისტყაოსნის* დამდგენი კომისიის ერთ-ერთი სხდომის სამუშაო პროცესს ასახავს.

სურ. 3. ჟურნალი ფალანგა (*Фаланга*). 1881№13.

კარიკატურა დავით ერისთავის მიერ ასეა დასათაურებული :

**„ЛЮБИТЕЛИ, ВОЗСТАНОВЛЯЮЩИЕ ТЕКСТЪ ”БАРСОВОЙ КОЖИ“**

კარიკატურას ქვევით კამათის ამსახველი ეს ამონარიდი აქვს დართული:

*„Председатель: Решите наконецъ, Господа, какому слову дать Предпочтение: тави (голова) или тива (сено)?*

*Голоса: и тому, и другому!*

*Председатель: Но въдь тогда выйдетъ голова набитая съномъ“.*

სარედაქციო სხდომების მუშაობის დეტალური ანგარიშები სისტემატურად ქვეყნდებოდა თანადროულ ქართულ პრესაში. საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაშიც არაერთი პუბლიკაცია არსებობს; მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ფოტოგრაფია ქართული რეალობისათვის უცხო არ არის, კომისიის ან მისი საქმიანობის ამსახველი ფოტომასალა არ მოიპოვება. ასეთ ვითარებაში, მიუხედავად დ. ერისთავის ავტორობით შესრულებული კარიკატურის სატირულ-იუმორისტული ხასიათისა, სარედაქციო კომისიის მუშაობის პროცესს ეს ერთადერთი, ვიზუალური წყარო უფრო ცოცხლად წარმოგვიდგენს, ვიდრე მის შესახებ მრავლად არსებული წერილობითი წყაროები თუ ლიტერატურა. ეს კარიკატურა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი თავად დავით ერისთავია – მოვლენისა და პროცესის უშუალო მონაწილე, თანადამხდური და თვითმხილველი. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ კარიკატურის მეშვეობით გამოხატულ-გადმოცემული ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის პროცესის ამსახველი კადრი და ემოციური დატვირთვა.

კარიკატურაზე გამოსახულია კომისიის სამუშაო გარემო: ხელნაწერების ფოლიანტებით დატვირთული მაგიდა, მაგიდის ირგვლივ, ხელნაწერებში ჩაფლული და გადაწყვეტილების მიღების სირთულით საგონებელში ჩავარდნილი, მოფიქრალ-მოჭოჭმანე კომისიის წევრები, *ვეფხისტყაოსნის* მცოდნე ჩიხტიკოპიანი *ქალთა სქესის* ერთი წარმომადგენელი, სხდომის მიმდინარეობის სიცხარისა და ხმაურიანობის დასტურია წესრიგის ზარის საშუალებით დაცვა-რეგულირება.

მხატვარმა არაჩვეულებრივად სახასიათოდ გადმოსცა კომისიის წევრთა *(გრიგოლ ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო დადიანის, ივანე მაჩაბლის, იონა მეუნარგიას)* გამომეტყველება, ემოცია და საკუთარი ავტოშარჟიც წარმოადგინა. კარიკატურა საოცრად ცოცხლად გადმოსცემს მიმდინარე სხდომის ემოციურ და რეალისტურ სურათს.

*ვეფხისტყაოსნის* ტექსტის დადგენაზე კომისიის მუშაობა ამ პერიოდის საქართველოს კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ მის მიმართ გულგრილი ვერც კარიკატურის ჟანრი დარჩა.

ქართული კარიკატურის ისტორიასთან, *ვეფხისტყაოსანსა* და მის ილუსტრატორთან – უნგრელ მხატვართან, ერთგვარ კავშირშია ქართველი მხატვარი *დავით გურამიშვილი* (1858-1926 წწ.). გურამიშვილი, დავით ერისთავის მსგავსად, თანამშრომლობს *ფალანგასთან* ჟურნალის დაარსებიდანვე, 1880 წლიდან. ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი, *რუსუდან ნიკოლაძე* ბიძის, მხატვარ დავით გურამიშვილის, შესახებ თავის მოგონებაში წერდა, რომ დავით გურამიშვილი, პეტერბურგის აკადემიაში სწავლის დროს, ნიკო ნიკოლაძისა და მისი მეუღლის, დავითის დის, პეტერბურგულ ბინაში ცხოვრობდა. პეტერბურგში დიდი წარმატებით სარგებლობდა ნიკო ნიკოლაძის მეუღლის ახლად გახსნილი *სალონი. სალონურ ხუთშაბათობებს* ახალგაზრდა უნგრელი მხატვარი *მიჩიც* სტუმრობდა. ის ამ დროს უკვე დაინტერესებული იყო რუსთაველის *ვეფხისტყაოსნით. ვეფხისტყაოსნის* გაფორმებისას ზიჩი იმდენად მოხიბლულა, *ძია დათიკოს* (დავით გურამიშვილის – ი.ა.) *ვაჟკაცური თვალტანადობით*... რომ ... *იგი აურჩევია ტარიელის გამოსახატავად* (პროტოტიპად – ი.ა.)... *ამისთვის იქაურ განთქმულ სამხედრო მანეჟში უტარებია ბიძაჩემი სამი თვის განმავლობაში და იქ მიჩსა და გიგო გაბაშვილს ალბომში ფანქრით ჩაუხატავთ მისი ჯირითობა*... ასევე ... *მიჩის რჩევითა და სარეკომენდაციო წერილებით, ძია დათიკო მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში წასულა 1885 წელს და წარმატებით მოუსმენია აქ კურსი*... (სკოლა და ცხოვრება, №№ 9; 10. 1982 წ.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილი უნგრელი მხატვრისა და *ვეფხისტყაოსნის* დამსურათებლის, მიხაი ზიჩის, წერილობითი რეკომენდაციით ჩაირიცხა *ვილევალდეს ბატალურ კლასში* ერთ-ერთი პირველი მხატვარი-კარიკარურისტი, *ვასილ გოლოვნია-ოქონელი* (1861-1921 წწ.).

ამდენად, გარდა იმისა, რომ მიხაი ზიჩიმ სრულიად უსასყიდლოდ შეასრულა *ვეფხიტყაოსნის* ილუსტრაციების სახით ქართველების დაკვეთა, ის ასევე უანგაროდ ეხმარებოდა ქართველ მხატვრებს განათლების მიღებასა და სამხატვრო კარიერულ წინსვლაში.

*ვეფხისტაოსანთან* კონტექსტში აქვე უნდა ვახსენოთ ჟურნალ *ფალანგას* ახალგაზრდა მხატვარი, *ალექსანდრე ბერიძე*. ის ქმნიდა და ჟურნალ თეატრში“ (1885-1888 წწ.) აქვეყნებდა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტებს. მას ეკუთვნის ამ პერიოდში შექმნილი ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გრაფიკული პორტრეტები. გაზეთ *თეატრის* პირველი ნომერი შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი აკაკი წერეთლის ლექსით *რუსთაველის სურათზე* და ალ. ბერიძის შოთა რუსთაველის შესანიშნავი პორტრეტით იხსნება. (სურ. 4. ჟურნალი *თეატრი*, №1. 1885) – აკაკის ლექსი ამოვჭრათ; სურ. 5. ჟურნალი *თეატრი*, №1. 1885 შოთა რუსთაველი)

## დასკვნა

ქართული იდენტობის გამორკვევის ურთულეს გზაზე რეალიზმის მხატვრული მეთოდით შეიარაღებული ქართული მწერლობა და პუბლიცისტიკა, ისევე, როგორც სატირული გრაფიკა და კარიკატურა, ეროვნული თვითდამკვიდრებისა თუ თვითმყოფადობის გადარჩენისათვის თვითშეფასების უმნიშვნელოვანეს საზომად იქცა. ჟურნალმა *ფალანგამ* და ქართველი კარიკატურისტების სატირულმა გრაფიკამ XIX საუკუნის 80-იანი წლების თბილისური, რთული

სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული პრობლემების წარმოჩენის საქმეში გარკვეული როლი შეასრულა.

## ბიბლიოგრაფია


აბესაძე ი., ჭოღოშვილი ნ., დარჩია ქ., ჭანტურიძე ს. (2025). კარიკატურის ასწლოვანი ისტორია საქართველოში 1880-1980, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ARS GEORGICA,სერია B, 2005. თბილისი.

ARS GEORGICA, სერია B, 2010. თბილისი.

ბაბუნაშვილი, დ. (1962). ვასილ გოლოვნია-ოქონელი. ჟურნ. *საბჭოთა ხელოვნება*, №2. თბილისი.

იმედაშვილი, ი. (2021). ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. ტ. II. *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა*. თბილისი.

კიპნისი, მ. (1968). პირველი სატირული ჟურნალები კავკასიაში, კრებ. *ჟურნალისტიკის თეორიის და ისტორიის საკითხები*, ტ. 131. *თსუ გამომცემლობა*.

მიშველაძე, რ. (2013). ქართული სატირული ჟურნალისტიკა. *რჩეული თხზულებანი* 25 ტომად, ტ. 24, თბილისი.

ნიშნიანიძე, გ. (1971). *სიცილის არქივიდან, სატირა რევოლუციის სამსახურში*, თბილისი.

რუსუდან ნიკოლაძის მოგონება, გამოაქვეყნა პაატა ნაცვლიშვილმა(1982). ჟურნ. *სკოლა და ცხოვრება*. №№ 9-10. თბილისი.

სეფიაშვილი, ო. (1957). ქართული კარიკატურა, ჟურნ. *საბჭოთა ხელოვნება*, №7. თბილისი.

ჩხიკვიშვილი, მ. (1967). პირველი ქართველი კარიკატურისტი, გაზ. *ლიტერატურული საქართველო*, 17 მარტი.

ჭიჭინაძე, ზ. (1892). სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები, დავით ერისთავი, ტფილისი.


მეუნარგია, ი. (1954). ქართველი მწერლები, თბილისი.


## საარქივო მასალა

საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერი № 19800/300, გვ. 25-26.


*ირინე აბესაძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი-ემერიტუსი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Irine Abesadze*
Doctor of Art Studies
Professor Emeritus
Shota Rustaveli Theater and Georgia State Film University
ORCID-ID: 0009-0003-9401-148X

თეატრი

საყოველ-კვირეო ლიტერატურული და შსატვრობითი გაზეთი.

14 იანვარს | გამოცემა № 1 | კვირაობით | 1885 წელს

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხუთის-მოწერისათვის სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.

ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი (3) შაური. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრ-ქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ჩვენის მოწერა შაიძლება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. შგალობლისშვილთან. თელავში ი. რასტომოვისშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ Григорія Чарквіани.

კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“-ს რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

„თეატრი“-ს გამოცემა დაიწყობა სეკტემბრიდამ. პირვ. ნომერი ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღ. იქვე მიიღება ხელ. მოწ.

### რუსთაველის სურათზე.

ულ-მწათო, მადლი შენს განჩენს!
დიდება ერსა შენს მშობელს!
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარ-ხსენება ამ სოფელს!..

***

შენ ნიშნად უკუდავებისა
ერს მოელენიხარ განგებით,
ვით ცისარტყელა წარღვნისა—
უკვნაურისა ჰანგებით.

***

მაშინ, ვით ჩვენსა მწათობელს,
სახელი აღგემატება
და შენი სახე იეერთა
გულს ძეგლად დაეხატება!..

სულ-მწათო! ჩვენცა გვესწავე
ეგ საიდუმლო ქნერისა,
რომ აგვისრულდეს წადილი
მგოსანი ვიქმნე ერისა;


***

რომ ჩემის მღერით აგზნილი
რაყიფი ტარიელობდეს:
ქაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი!..
ნესტანისათვის ხელობდეს!..

***

ბ ო ლ ო.


სურ. 1. ჟურნალი თეატრი. №1. 1885




სურ. 2. ჟურნალი თეატრი. №1. 1885




სურ. 3. ჟურნალი Фаланга (ფალანგა), №1, 1880




სურ. 4. ვეფხისტყაოსნის სარედაქციო კომისიის მუშაობის ერთი ეპიზოდი. ჟურნალი ფალანგა (ფალანგა), №13. 1881.



# ახალი თაობების ჩართვა: სახლ-მუზეუმების როლი თანამედროვე კულტურულ ტურიზმში

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევა განიხილავს სახლ-მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდამავალ როლს კულტურული ტურიზმის პროდუქტის კონტექსტში, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფად მზარდ ეპოქაში. კვლევა, რომელიც ეფუძნება თვისებრივი ანალიზის მეთოდს, იკვლევს, თუ როგორ შეუძლიათ ამ ინსტიტუციებს შექმნან მიმზიდველი ნარატივი და მოახდინონ ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი ინტეგრირება თანამედროვე აუდიტორიის ჩასართავად. ნაშრომი ფოკუსირდება სამ ძირითად მიმართულებაზე: ინტერპრეტაციის მეთოდებზე, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე და მათი პოზიციონირების გზებზე ტურიზმის ფართო ეკოსისტემაში.

ისეთი მაგალითების გამოყენებით, როგორიცაა ანა ფრანკის სახლი ამსტერდამში, ჰემინგუეის სახლი ქეი-უესტში, ანტონიო მაჩადოს სახლი სეგოვიაში და პაპი ლუნას ციხე-სიმაგრე პენისკოლაში, ანალიზი ხაზს უსვამს ვიზიტორებთან მნიშვნელოვანი კავშირების ხელშეწყობის სტრატეგიებს. დასკვნები მიუთითებს, რომ სახლ-მუზეუმებსა და მემკვიდრეობის ძეგლებს შეუძლიათ შეინარჩუნონ აქტუალურობა დინამიური ნარატივებისა და სტრატეგიული თანამშრომლობის გზით, რაც უზრუნველყოფს, მათი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით, მომავალი თაობების შთაგონებას.

ამასთანავე, კვლევა ხაზს უსვამს, თუ როგორ უწყობს ხელს ინტერაქციული ინტერპრეტაციის ტექნიკა, როგორიცაა ღრმად შთამბეჭდავი „ბოლო თავშესაფრის“ ნარატივი პაპ ლუნას ციხე-სიმაგრეში, რაც ემსახურება ისტორიული ფიგურების ჰუმანიზაციას და ვიზიტორების უფრო ღრმა ჩართულობას.. ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოეტი, ანტონიო მაჩადო, და დასავლური სქიზმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, პაპი ლუნა, წარმოადგენენ ორ თვალსაჩინო მაგალითს იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ისტორიული სირთულის მემკვიდრეობის ძეგლის თანამედროვე აუდიტორიისთვის გადაცემა.

**საკვანძო სიტყვები:** სახლ-მუზეუმები, კულტურული ტურიზმი, ციფრული ჩართულობა, მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია, ვიზიტორთა გამოცდილება

# ENGAGING NEW GENERATIONS: THE ROLE OF HOUSE MUSEUMS IN CONTEMPORARY CULTURAL TOURISM


## ABSTRACT

This study examines the evolving role of house museums and heritage sites as cultural tourism products in an increasingly digital age. Through a qualitative case study approach, it explores how these institutions can craft compelling narratives and integrate digital technologies to engage contemporary audiences. The paper focuses on three core areas: interpretation techniques, leveraging digital tools, and positioning within the broader tourism ecosystem. Using examples such as the Anne Frank House in Amsterdam, the Hemingway Home in Key West, the Antonio Machado House in Segovia, and the Pope Luna's Castle in Peñíscola, the analysis highlights strategies for fostering meaningful connections with visitors. The findings suggest that house museums and heritage sites can remain relevant by embracing dynamic storytelling and strategic collaborations, ensuring their cultural and historical legacies continue to inspire future generations. Additionally, the study underscores how immersive interpretation techniques, such as the deeply evocative "The Last Refuge" narrative in Pope Luna's Castle, serve to humanize historical figures and create more profound visitor engagement. Antonio Machado, one of Spain's most celebrated poets, and Pope Luna, a key figure in the Western Schism, provide two compelling case studies of how heritage sites can communicate historical complexity to contemporary audiences.


**Keywords:** House museums, cultural tourism, digital engagement, heritage interpretation, visitor experience.



## INTRODUCTION

Historically, house museums have been pivotal in preserving the narratives of individuals, often within the very spaces they inhabited. These homes-turned-museums offer a distinctive personalization of history that traditional museums, with their broader scope, cannot replicate. Through the preservation of living spaces, personal effects, and artistic environments, these museums create a direct and intimate dialogue between the visitor and the historical figure.

These institutions do more than simply commemorate; they serve as vessels for personal stories, seeking to foster a tangible engagement with the past. The uniqueness of memorial houses lies in their ability to transcend the conventional museum experience, offering an immersive journey into the lives and legacies of individuals who have shaped history, culture, or the arts.

Today, as we navigate a digital era filled with virtual experiences, what role do house museums play? Can these historical homes retain their relevance and continue to connect with modern audiences whose consumption of culture is increasingly mediated through screens? As these institutions endeavor to remain significant, they face the challenge of redefining their role-not just as custodians of the past but as dynamic spaces that resonate with contemporary societal values and harness new methods of storytelling and visitor engagement.

This paper aims to delve into the evolving role of memorial house museums in the digital age. It seeks to explore how these institutions can continue to offer a personalized historical experience that informs, engages, and inspires today's and tomorrow's visitors. By examining case studies, the paper presents a critical analysis of the strategies that can bridge the gap between the historical significance of the past and the digital, fast-paced present.

The primary research question guiding this study is: How can house museums redefine their position and appeal within the digital cultural landscape, ensuring the legacies they protect continue to inspire and engage future generations? The objectives are threefold: 1) to critically examine the unique experiential value proposition of memorial houses as cultural tourism products; 2) to analyze the key strategies and approaches that can enhance visitor engagement and connection; and 3) to provide actionable insights for memorial house professionals seeking to future-proof these institutions in the digital age.

## METHODS

This research adopts a qualitative case study methodology to analyze strategies employed by four cultural heritage sites: the Anne Frank House in Amsterdam, the Hemingway Home in Key West, the Antonio Machado House in Segovia, and the Pope Luna's Castle in Peñíscola. These sites were selected based on their innovative approaches to storytelling, technological integration, and positioning within cultural tourism ecosystems.

Data collection methods included:

- Analysis of official museum websites and digital visitor engagement strategies.
- Review of visitor feedback from online platforms and published studies.
- Comparative assessment of marketing and interpretation techniques employed by each site.

The study focuses on three key themes: audience engagement, digital augmentation, and community integration. By identifying best practices and challenges across these cases, this research provides a framework for how house museums can remain relevant in a rapidly evolving cultural tourism landscape.

## DISCUSSION

### MEMORIAL HOUSES AS EXPERIENTIAL CULTURAL PRODUCTS

In the context of cultural tourism, memorial houses stand apart as unique experiential offerings, inviting visitors to immerse themselves in the intimate life stories of iconic figures. These institutions do more than simply preserve artifacts; they serve as vessels for deeply personal narratives that allow visitors to engage with history on a profoundly human level. Memorial houses must operate within a broad and diverse cultural tourism ecosystem, where their relevance is determined by their ability to craft meaningful experiences. **Figure 1. Keys for cultural tourism.**

To create a compelling memorial house museum experience, several critical elements must be considered:

- **Basic Resource:** The essence of the museum's offering, centered around the authentic interpretation and presentation of the historical figure's life and legacy.
- **Internal Organization:** A dedicated team that orchestrates the multifaceted operations of the museum, ensuring that every aspect of the visitor experience is seamless and enriching.
- **Marketing and Commercialization:** Innovative and holistic marketing strategies are essential for drawing visitors, employing a mix of traditional and digital mediums to convey the unique experiences awaiting them.
- **Conservation and Research:** Ongoing efforts in conservation ensure the preservation of the house and its contents for future generations, while research enriches the narrative, ensuring accuracy and depth.
- **Financing:** A sustainable financial model is crucial, incorporating ticket sales, public and private funding, and fundraising initiatives to support the museum's mission and activities.

The findings from the case studies reveal that house museums and historic sites must evolve beyond static historical presentations to resonate with modern audiences. By embracing heritage interpretation as a conceptual framework, these institutions can craft nuanced narratives that humanize historical figures and connect them to contemporary societal issues.

The integration of digital technologies, such as augmented and virtual reality, amplifies the emotional and educational impact of visitor experiences. These tools can provide deeper engagement and accessibility, allowing visitors to step into the past in a way that traditional exhibitions cannot achieve. However, the effectiveness of these strategies depends on aligning them with the museum's mission and ensuring that technological integration does not overshadow the core historical narrative.

The strategic positioning of house museums within the broader cultural tourism ecosystem is also essential. Establishing collaborations with other cultural institutions, utilizing digital marketing strategies, and incorporating participatory visitor experiences can enhance their relevance and sustainability.

The case studies illustrate different approaches to achieving these goals:

- The **Anne Frank House** demonstrates how technology can enhance historical narratives through immersive storytelling while maintaining the integrity of the physical space. **Figure 2.1.–2.2.**
- The **Hemingway Home** showcases how a house museum can create sustainable revenue streams and maintain engagement through literary events and creative workshops. **Figure 3.1.–3.2**
- The **Antonio Machado House** underscores the importance of authenticity and emotional resonance in engaging visitors with historical figures who continue to shape cultural identity. **Figure 4.1.–4.2.**
- **Pope Luna's Castle** exemplifies the potential of interpretation as a means to create powerful historical narratives that bring political and religious history to life. **Figure 5.1.–5.2.**

Ultimately, house museums and memorial sites must strike a balance between historical accuracy, engaging storytelling, and contemporary visitor expectations. They must remain adaptable and open to new methodologies while staying true to their fundamental mission of preserving and sharing cultural heritage.

## CONCLUSION

As memorial house museums navigate the challenges of the digital age, this study suggests that by redefining their role as dynamic, experiential spaces that resonate with contemporary societal values, they can ensure the legacies they protect continue to inspire and captivate audiences for generations to come. The importance of blending historical accuracy with engaging narratives, embracing innovative digital strategies, and fostering community engagement is critical for their sustainability and continued relevance in the cultural tourism landscape.

The study highlights three key takeaways:

- **Interpretation as a Conceptual Umbrella:** Crafting nuanced narratives that acknowledge the complexities and contradictions of historical figures fosters empathetic connections with visitors. By humanizing the past and highlighting universal human experiences, these institutions can transcend traditional historical presentations and resonate with modern audiences.
- **Integrating Technology for Enhanced Experiences:** The strategic integration of digital technologies, when combined with compelling storytelling, can significantly elevate the visitor experience. Virtual and augmented reality platforms, as seen in the case of the Anne Frank House, have the power to immerse guests in historical realities, motivating in-person visitation and deepening emotional engagement.
- **Positioning within the Cultural Tourism Ecosystem:** Memorial houses must be positioned as integral components of broader cultural tourism networks, leveraging collaborative initiatives and thematic connections to amplify their appeal. The divergent approaches of the Hemingway Home and the Antonio Machado House Museum illustrate the importance of understanding local context and community ties in sustaining the relevance of these institutions.

## BIBLIOGRAPHY

Donnelly, J. F. (2002). *Interpreting historic house museums*. AltaMira Press.

Pérez Mateo, S. (2016). *Las casas museo en España: Análisis de una tipología museística singular*. Universidad de Murcia, Departamento de Historia del Arte.

Tilden, F. (1957). *Interpreting Our Heritage*. University of North Carolina Press.

Young, L. (2007). *Historic house museums in the United States and the United Kingdom: A history*. Left Coast Press.

Butcher-Younghans, S. (1993). *Historic house museums: A practical handbook for their care, preservation, and management*. Oxford University Press.

Crane, S. A. (Ed.). (2000). *Museums and memory*. Stanford University Press.

Pope Luna's Castle. (2019). *Interpretation and Experiential Tourism in Peñíscola*. Museological and Museographic project by ICN-Artea.

UNESCO. (2021). *Cultural Heritage and Tourism: Challenges and Strategies*. Retrieved from [https://en.unesco.org/themes/culture-and-tourism].

Anne Frank House. (2023). *Virtual Experience and Digital Engagement*. Retrieved from [https://www.annefrank.org/en/museum/web-and-digital/].

Hemingway Home and Museum. (2023). *Interactive and Experiential Approaches to Cultural Tourism*. Retrieved from https://www.hemingwayhome.com/].

Antonio Machado House Museum. (2023). Retrieved from [https://realacademiadesanquirce.es/?page_id=23].

## IMAGE SOURCES

Anne Frank House. Anne Frank House, https://www.annefrank.org/en. Accessed April 2024.

The Ernest Hemingway Home and Museum. The Ernest Hemingway Home & Museum, https://www.hemingwayhome.com. Accessed April 2024.

Antonio Machado House-Museum. Turismo de Segovia, https://www.turismodesegovia.com/en/antonio-machado/museums/antonio-machado-house-museum. Accessed January 2024.

Castillo de Peñíscola. Diputació de Castelló, https://castillodepeniscola.dipcas.es/en. Accessed November 2023.

Museographic Project of the Castillo de Peñíscola by ICN-Artea, 2019.

*Ana Vírseda de Andrés*
PhD in Law
Expert and Consultant on Cultural Tourism and Cultural Heritage
ICN-Artea, Segovia, Spain
Email Address: avirseda@icnartea.com
ORCID-ID: 0009-0007-4711-4397





Figure 1. Keys for cultural tourism



The virtual reality infographic allows understanding of the hidden house and its layout; the online visitor can select which room to visit.



Figure 2.1. Ana Frank House museum




Figure 2.2. Ana Frank House museum




Figure 3.1. The Ernest Hemingway Home and Museum.



Figure 3.2. The Ernest Hemingway Home and Museum.



4.1. Segovia. Antonio Machado




Figure 4.2. Antonio Machado House Museum



Figure 4.3. Antonio Machado House Museum



Figure 5.1. Pope Luna House Museum



Figure 5.2. Pope Luna interpretation. Peñíscola

## რაფიელ ერისთავის მემორიალური მუზეუმი – *განვითარების ხედვა, მუზეოგრაფიული პროექტის კონცეფცია*



## მუზეუმის სლოგანი – *წარსული – მომავლის ინსპირაცია*

2024 წელი მნიშვნელოვანი ეროვნული საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის საიუბილეო თარიღია. მას 200 წელი შეუსრულდა. საისტორიო მეხსიერებას შემონახული აქვს ინფორმაცია 1895 წლის 22 ოქტომბერს მისი მოღვაწეობის 50 წლისთავის ეროვნულ დღესასწაულად ქცეული იუბილეს შესახებ; ასევე, შემორჩენილია მისი ეროვნულ გლოვად ქცეული დაკრძალვის ცერემონიალის ამსახველი ცნობები. იშვიათად თუ რგებია სიცოცხლეში რომელიმე ქართველ მამულიშვილს ერის ასეთი საყოველთაო სიყვარული და დაფასება.

სადღეისოდ, როდესაც ეროვნული ღირებულებები არნახულ დევალვაციას განიცდის, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ეროვნული პროექტი მრავალმხრივ აქტუალური, საჭირო და სასარგებლოა. რაფიელ ერისთავის მუზეუმის რესტავრაცია და ინფრასტრუქტურული განვითარება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან ერთად, მის თანამედროვე კონტექსტში ინტეგრაციას ემსახურება. პროექტის შინაარსი სრულ თანხვედრაშია ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებთან, რაც, თავის მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განახლებას, ტურიზმის განვითრებასა და ქვეყნის პოპულარიზაციას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს. საქართველოს მდიდარი ისტორიულ-კულტურული წარსული ქვეყნისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღებისა და მდგრადი განვითარების საუკეთესო შესაძ-

ლებლობაა.

ამ მიზნის მისაღწევად რაფიელ ერისთავის მემორიალური მუზეუმის რეაბილიტაცია ერთიან ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში უნდა გავიაზროთ. უნდა გავითვალისწინოთ ამ შინაარსთან ასოცირებული კულტურული მემკვიდრეობის ყველა კომპონენტი. იდეის განხორციელება მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს მასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლებლობას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ახალგაზრდობის და შშმ პირების დაინტერესების, პროფესიული განათლების, მოტივაციის, დასაქმების და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ხელშემწყობი იქნება.

ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში არსებული რაფიელ ერისთავის მემორიალური ნაგებობა და ბაღი საამისოდ საუკეთესო შესაძლებლობაა. შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტი, მდიდარი და აუთვისებელი კულტურული, რეწვის თუ გასტრონომიული რესურსი, მეღვინეობის უძველესი ტრადიცია, სასიქადულო მამულიშვილის მემორიალური მუზეუმი და ერისთავების საგვარეულოსთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – მისი სამომავლო წარმატებული განვითარების მყარი საფუძველია.

სოფელ ქისტაურში ჩასახლებული არაგვის ერისთავების ოჯახთან დაკავშირებული მემკვიდრეობა შედგება: მათი პირველადი საცხოვრისის, ქისტაურის რ. ერისთავის სახელობის მის მიერვე დაარსებული სკოლის[1] ტერიტორიის (სადაც სადღეისოდ გალავნის სამი ბურჯი, სასახლის ნაშთი და ერისთავების კარის ეკლესიაა შემორჩენილი), წმ. ნინოს და ყველაწმინდის ეკლესიების, რაფიელ ერისთავის სახელმწიფო მუზეუმის, თელავის სახლისა და ბატონისციხის გალავანში განთავსებული რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძე-ერისთავის საფლავებისაგან. რ. ერისთავის მუზეუმი, ყველა სხვა დანარჩენთან ერთად, უნდა იყოს გააზრებული და ტურისტულ მარშრუტში ინტეგრირებით ერთიანი კონცფციით წარმოდგენილი.

## მუზეუმის მისია

რაფიელ ერისთავის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მისიაა შეინარჩუნოს, აღადგინოს და ეპოქის კონტექსტში გააცოცხლოს ქართველი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა.

პროექტის კონცეფციით, რაფიელ ერისთავის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი უნდა იქცეს რეგიონალურ მულტიკულტურულ ცენტრად, რეგიონის კულტურულ ჰაბად. მემორიალური მუზეუმის საშუალებით უნდა შეიქმნას ინსპირაციული და კრეატიული სივრცე, სადაც წარსული და თანამედროვეობა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. სამუზეუმო სივრცის მიზანია, მომავალი თაობების განათლების, კრეატიული აზროვნების, ემპათიისა და ტოლერანტობის, შრომის კულტურის განვითარების თვალსაზრისით წახალისება. მუზეუმი უნდა იქცეს კულტურათაშორისი დიალოგის, სოციალური ინტეგრაციისა და რეგიონული თვითმყოფადობის გაძლიერების პლატფორმად. ცენტრმა უნდა გააერთიანოს კულტურული მემკვიდრეობა, თანამედროვე ინოვაციური მიდგომები და განაპირობოს საზოგადოებრივი ჩართულობა. სამუზეუმო სივრცის რეაბილიტაცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კულტურული, ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის განვითარებაში. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს რეგიონის, და შესაბამისად ქვეყნის მდგრადი ეკონომიკურ-კულტურული განვითარების პროცესს.

## მუზეუმის მისიის ძირითადი კომპონენტებია:

- მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია
- არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა
- ეროვნული და კულტურული ცნობიერების გაღრმავება
- ადგილობრივი რეწვის განვითარება
- ადგილობრივი თემის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება
- კულტურათაშორისი დიალოგი და ნდობის გაძლიერება
- სოციალური ინტეგრაცია და ინკლუზიურობა
- რეგიონული განვითარება და ტურიზმი
- ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

## პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია, ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებული, ერთადერთი მემორიალური მუზეუმის რესტავრაცია და რეაბილიტაცია, მისი გარდაქმნა თანამედროვე სტანდარტების მრავალფუნქციურ კულტურულ ჰაბად. ახალი სივრცე მოემსახურება მემკვიდრეობის დაცვას, განათლებას, ტურიზმს და ადგილობრივი თემის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას, რითაც რეგიონში შეასრულებს საგანმანათლებლო, შემოქმედებით და ტურისტულ მისიას. რეაბილიტაცია უზრუნველყოფს ძეგლის ისტორიული და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას და მის სრულფასოვან ინტეგრაციას თანამედროვე კულტურულ ცხოვრებაში. მემორიალური მუზეუმი გარდაიქმნება სიცოცხლისუნარიან, მრავალფუნქციურ კულტურულ ცენტრად.

ინიციატივა ემყარება არქეოლოგიურ, ისტორიულ და არქიტექტურულ დაზვერვით სამუშაოებსა და კვლევებს, რომელთა საფუძველზეც, აღდგება XIX საუკუნის კახური საერო საცხოვრებლისა და მიმდებარე ბაღის ავთენტური იერსახე, კვების ობიექტის ფორმით შეიქმნება ახალი მოცულობა. პროექტის იდეაა მუზეუმის გაცოცხლება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური პროგრამების საშუალებით, ახმეტის მთავარ, ყველაზე მოთხოვნად ღირსშესანიშნაობად – ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების, კულტურათაშორის დიალოგისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ცენტრად ქცევა.

## მუზეუმის ამჟამინდელი მდგომარეობა

მუზეუმის სადღეისო მდგომარეობა უმძიმესია:

- შენობას დაკარგული აქვს ავთენტური იერსახე, მხოლოდ მისი ნაწილია შემორჩენილი. შემორჩენილი ნაწილიც, მრავალჯერადი გადაკეთების შედეგად სახედაკარგულია და ასევე მძიმე მდგომარეობაშია. ნაგებობა სრულფასოვან რესტავრაცია-რეაბილიტაციას საჭიროებს;
- არ არსებობს არავითარი საბაზისო პირობები. სრულად დარღვეულია უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები (შენობას არა აქვს სანკვანძი, არ მიეწოდება წყალი);
- უმძიმეს მდგომარეობაშია ფონდსაცავი, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის ექსპონატებისა და საარქივო მასალების დაცულობას;
- საექსპოზიციო სივრცეები კრიტიკას ვერ უძლებს: მოძველებულია, როგორც შინაარსობრივად, ისე ვიზუალურად; მუზეუმს არ გააჩნია არავითარი სამუზეუმო ტექნოლოგია და ვიზუალიზაცია-ინტერპრეტაციის საშუალება;
- არ არსებობს გათბობის, გაგრილების და ტენიანობის მართვის სისტემები. დაუცველი მიკროკლიმატი აზიანებს როგორც საექსპოზიციო, ასევე ფონდებში დაცულ ექსპონატებს;
- მუზეუმს არ გააჩნია ფუნქციური და დამხმარე სივრცეები. სრულიად გამოუყენებულია

1 ქისტაურის საშუალო სკოლის ტერიტორია, ირიცხება განათლების სამინისტროს ბალანსზე

მუზეუმის საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალი. არ არსებობს საგანმანათლებლო ზონა, მედიათეკა, ადმინისტრაციული და საკონფერენციო, სასუვენირე და აუცილებელი ტექნიკური სივრცეები; შესაბამისად ვერ ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები, დროებითი გამოფენები, სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებები და ტურისტული სერვისები; საბაზისო ინფრასტრუქტურის არქონამ მუზეუმი ფაქტობრივად უფუნქციოდ აქცია;

- საერთოდ არ არის გათვალისწინებული შშმ პირთა საჭიროებები;
- განადგურებული და მოუვლელია ბაღი.

ვინაიდან ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს თანამედროვე ვიზიტორთა საჭიროებებს, იკარგება ტურიზმის, ადგილობრივი ბიზნესისა და დასაქმების შესაძლებლობები. შესაბამისად, დიდია ეკონომიკური და სოციალური ზარალი. არსებული მდგომარეობა გამორიცხავს თანასწორ მონაწილეობას კულტურულ ცხოვრებაში, რაც ეწინააღმდეგება თანამედროვე კულტურულ პოლიტიკას.

## პრობლემის აქტუალობა

მუზეუმის ინფრასტრუქტურის მძიმე მდგომარეობა და საბაზისო პირობების არარსებობა დაუყოვნებელი ჩარევის აუცილებლობას ქმნის. ყოველდღიურად იზრდება კულტურული მემკვიდრეობის დაზიანების რისკი, ხოლო ვიზიტორთა მიღების შეუძლებლობა ზღუდავს როგორც საგანმანათლებლო, ისე ეკონომიკურ შესაძლებლობებს. პროექტის დროული რეალიზაცია ერთადერთი გზაა მემორიალური ობიექტის სრული ფუნქციონირების, ინკლუზიური გარემოს შექმნისა და რეგიონის ტურიზმისა და სოციალური განვითარებისთვის არსებული პოტენციალის ათვისებისთვის.

## ემოციური აპელაცია

მუზეუმი მხოლოდ კედლები და ექსპონატები არ არის. მუზეუმი ჩვენი ისტორიული, კოლექტიური მეხსიერება და მომავალი თაობებისთვის გადასაცემი სულიერი კაპიტალია. მისი უყურადღებოდ დატოვება კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად, ისტორიული მეხსიერების ნაწილის დაკარგვა-გაფლანგვის ტოლფასია.

## სტრატეგიული მდებარეობა და კულტურული კონტექსტი

მუზეუმის უნიკალურობას განსაზღვრავს მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა – პანკისის ხეობასთან და დაღესტანთან სიახლოვე, ასევე მუნიციპალიტეტის ეთნიკური მრავალფეროვნება: ქართველები, ქისტები, ოსები, ჩეჩნები და აზერბაიჯანელები თანაცხოვრობენ მულტიკულტურულ გარემოში, რაც კულტურათაშორისი დიალოგისა და ნდობის გაძლიერებისთვის იდეალურ საფუძველს ქმნის.

## ბუნებრივი და კულტურული რესურსები

რეგიონი გამოირჩევა ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, რაც მას უნიკალურ სივრცედ აქცევს ისტორიის, ხელოვნებისა და ცხოვრების ტრადიციული ფორმების გასაცნობად, შესასწავლად თუ შესაგრძნობად.

## კულტურული მემკვიდრეობა

რეგიონში 276-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტია, მათ შორის ისეთი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები, როგორიცაა: ციხე-სიმაგრე უჯარმა, ალავერდის მონასტრის კომპლექსი, კვეტერა და სხვა.

## ტრადიციული რეწვა და ხელოსნობა

რეგიონი მდიდარია ტრადიციული რეწვის მრავალფეროვანი სახეობებით: აბრეშუმის წარმოება, მატყლის პროდუქტები, ხელნაკეთი ტექსტილი, ხისა და ტყავის დამუშავება, მეთუნეობა და კერამიკა, ორნამენტული ხელოვნება და სხვა. ეს ყოველივე რეგიონის ეკონომიკური განვითარების კარგი შესაძლებლობაა.

## ტრადიციული გასტრონომია

ადგილობრივი სამზარეულო კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ის მოიცავს:

ტრადიციული პურის სახეობებს, ღვინის ქვევრის ტექნოლოგიით წარმოებას, ადგილობრივ ტკბილეულს (ჩურჩხელა, თათარა, ჩირი...), ორგანულად მოყვანილ სეზონურ ხილსა და ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს (მაწონი, კაიმაღი, ყველის სახეობები), რაც რეგიონის ეკონომიკური განვითარების კარგი შესაძლებლობაა.

## ტურისტული პოტენციალი

მუზეუმს აქვს შესაძლებლობა ორგანულად ინტეგრირდეს ქვეყნის ერთიან ტურისტულ მარშრუტში *(კულტურული და გასტრო ტურიზმი, ღვინის გზა...)*, მათ შორის თუშეთის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და ეკონომიკურ გაძლიერებას.

## სოციალური ინტეგრაცია და ინკლუზიური განვითარება

პროექტი მიზნად ისახავს სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის მქონე მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის, აქტიურ ჩართვას სამუზეუმო პროგრამებსა და საქმიანობაში. მუზეუმი იქცევა კომუნიკაციის სივრცედ, სადაც მოხდება სხვადასხვა ეთნოსების ტრადიციების, გამოცდილებისა და ღირებულებების გაზიარება, რაც თავის მხრივ გააძლიერებს ნდობასა და ურთიერთპატივისცემას, ხელს შეუწყობს დაახლოებას.

## ღირებულებები

**მემკვიდრეობის პატივისცემა** *(ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა)* და **პოპულარიზაცია**, **ინკლუზიურობა** *(ყველა ასაკის, ეთნიკური და სოციალური ჯგუფის ჩართულობა მუზეუმის ცხოვრებაში)*, **განათლება** *(ცოდნის გავრცელება, კვლევის ხელშეწყობა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება)*, **ინოვაცია** *(თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების ინტეგრირება სამუზეუმო პრაქტიკაში)*, **თანამშრომლობა** *(ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ღია და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა)*, **საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა** *(თემის გაძლიერება, სოციალური პროექტების მხარდაჭერა და კულტურული დიალოგის ხელშეწყობა)*.

## სტრატეგიული მიზნები – *რაფიელ ერისთავის მუზეუმის განვითარების გეგმა*

## კულტურული მემკვიდრეობის აღდგენა და შენარჩუნება

- ავთენტურობის შენარჩუნებით მუზეუმის შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაცია;
- მუზეუმის ბაღის რეაბილიტაცია და კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება;

- რაფიელ ერისთავის არქივისა და პუბლიკაციების თავმოყრა, ციფრული კატალოგიზაცია და მუზეუმის ბაზაზე ხელმისაწვდომობა;
- მწერლის და მისი ოჯახის მემორიალური ნივთების *(მუზეუმები, კერძო კოლექციები)* მოძიება, ატრიბუცია და ფოტოფიქსაცია, ციფრული ვერსიის მუზეუმის ბაზაზე ხელმისაწვდომობა;
- მწერლის, მისი ოჯახის წევრების, მასთან ასოცირებული შინაარსის ფოტომასალის მოძიება, თავმოყრა, გაციფრება, ციფრული კატალოგის შექმნა, მუზეუმის ბაზაზე ხელმისაწვდომობა;
- სამუზეუმო ექსპონატების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები) რესტავრაცია;
- რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძის ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა;
- მუზეუმის შინაარსობრივი საფუძვლის მომზადება.

## საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

- მუზეუმის შესაბამისი კონტექსტის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება
- საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე ცოდნის გავრცელება
- საგანმანათლებლო აქტივობების გეგმა-გრაფიკის შედგენა
- ახალგაზრდული ჩართულობა

## ინკლუზიური და მრავალფეროვანი კულტურული სივრცის შექმნა

- ინკლუზიური კულტურული სივრცის შექმნა
- საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერება
- მრავალეთნიკური და გენდერული ინკლუზიურობა
- კულტურული ღონისძიებები საზოგადოებრივი ჩართულობით
- ადგილობრივი თემის დაინტერესება და გაერთიანება მუზეუმის შინაარსის ირგვლივ

## საერთაშორისო თანამშრომლობა და ქსელური განვითარება

- გლობალური კავშირების გაძლიერება და მდგრადობა
- პარტნიორობა
- საერთაშორისო დაფინანსება
- კულტურული დიპლომატია

## პროექტის ეკონომიკური საგებელი (საზოგადოება, რეგიონი, სახელმწიფო)

## ზურიზმის განვითარება

- *ვიზიტორთა ნაკადის ზრდა/* რეაბილიტირებული და გამართული ინფრასტრუქტურის მუზეუმი იქცევა კულტურულ-ტურისტულ სამიზნედ, რაც ზრდის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობას;
- *გადამხდელუნარიანი ტურისტები/კულტურული ტურიზმი*, როგორც წესი, იზიდავს მაღალი ხარჯვის შესაძლებლობის ვიზიტორებს, რაც ზრდის შემოსავალს სასტუმროებისთვის, კაფე-რესტორნებისთვის, გიდებისა და სხვა მომსახურებისთვის;
- *მარშრუტების დივერსიფიკაცია/მუზეუმი* შეიძლება გახდეს ახალი ტურისტული მარშრუტის ნაწილი, რაც გააფართოებს რეგიონის ტურისტულ რუკას და გააძლიერებს მის მიმზიდველობას.



## ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერება

- *მცირე ბიზნესის სტიმულირება* – ვიზიტორთა ზრდა ქმნის მოთხოვნას ადგილობრივ პროდუქტებზე _ ტრადიციულ საკვებზე, მომსახურებასა და სუვენირებზე;
- *ტრადიციული რეწვის აღორძინება/* მუზეუმთან დაკავშირებული სივრცეები შეიძლება გახდეს პლატფორმა აბრეშუმის, ტყავის, ხის, მატყლის დამუშავებისა და მეთუნეობის კომერციული განვითარებისთვის;
- *დასაქმების შესაძლებლობები/მუზეუმის* ფუნქციონირებისთვის საჭირო იქნება თანამშრომლები, გიდები, ტექნიკური პერსონალი, რაც გაზრდის ადგილობრივი დასაქმების მაჩვენებელს და შეამცირებს მიგრაციას.

## ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

- *სატრანსპორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება/მუზეუმის* პოპულარიზაცია მოითხოვს გზების, კომუნიკაციების, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც მთლიანად რეგიონს წაადგება.

## ინვესტიციების მოზიდვა

- *უძრავი ქონების ღირებულების ზრდა/კულტურული* ცენტრის არსებობა ზრდის მიმდებარე ტერიტორიის კომერციულ და საცხოვრებელ ღირებულებას, რაც ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას;
- *საერთაშორისო გრანტები და დაფინანსება;*
- *სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები/მუზეუმის* წარმატებული მოდელი შეიძლება გახდეს მაგალითი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით წაახალისებს ინვესტორებს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორიდან.

## სოციალური და ეკონომიკური მდგრადობა

- *განათლება და უნარების განვითარება/მუზეუმი* შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის უნარების გაძლიერებას, პროფესიულ განვითარებას და ინოვაციურ აზროვნებას;
- *ეთნიკური ჯგუფების ეკონომიკური ინტეგრაცია/მრავალეთნიკური* მოსახლეობის ჩართვა მუზეუმის საქმიანობაში ქმნის ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ მოდელს, რომელიც ემყარება თანასწორობას, თანამშრომლობას და კულტურულ მრავალფეროვნებას.

## საინვესტიციო საჭიროება/ამოცანები

ამდენად, რაფიელ ერისთავის მუზეუმის ფიზიკური მდგომარეობა წარმოადგენს მისი განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს. მიუხედავად მისი ისტორიული და კულტურული ღირებულებისა, შენობა ამჟამად ვერ პასუხობს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებს, რაც ზღუდავს მის ფუნქციურ და საზოგადოებრივ პოტენციალს.

## პირველადი მიზნები

- *ავთენტურობის აღდგენა*: შენობის ისტორიული იერსახის დაბრუნება, ორიგინალური მასალებისა და დეტალების გათვალისწინებით.
- *ფუნქციური მოდერნიზაცია*: თანამედროვე უსაფრთხოების, სერვისებისა და ექსპლუატაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, მუზეუმის ფუნქციის სრულფასოვანი უზრუნველყოფა.

## პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები

## ძირითადი მიმართულებები

- *არქეოლოგიური კვლევა:* განადგურებული მარნის რეკონსტრუქციის საბაზისო მონაცემების მიღება და დოკუმენტირება.
- *ტექნიკური ექსპერტიზა:* შენობის მდგომარეობის შეფასება, კონსტრუქციული უსაფრთხოებისა და გამძლეობის ანალიზი, რისკების იდენტიფიკაცია.
- *გაწმენდა და გამაგრება*: გვიანდელი ჩარევებისგან გათავისუფლება, ავარიული ზონების კონსტრუქციული გამაგრება და სტაბილიზაცია.
- *პროექტირება:* წინასწარ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო სარეაბილიტაციო სამუშაოების სრულფასოვანი პროექტირება.
- *მუზეუმის შენობა:* მარნის ინტეგრირებული ნაწილით და მანსარდული სართულის გათვალისწინებით.
- *ლანდშაფტი:* ბაღის ლანდშაფტის დიზაინი და ძველი შადრევნის რეაბილიტაცია.
- *საჯარო სერვისები:* ბუფეტის ახალი მოცულობის არქიტექტურული გადაწყვეტა.
- მუზეუმთან მისასვლელი გზის დასაწყისში არსებული თაღის რესტავრაცია, ავთენტური იერსახის აღდგენა. თაღი წარმოადგენს საბჭოთა ეპოქის არქიტექტურის ტიპურ ნიმუშს და ისტორიულ მემკვიდრეობას, რომელიც დაცვას საჭიროებს *(იხილეთ თანდართული ესკიზი).*

## ინჟინერია და ინფრასტრუქტურა

- გათბობისა და გაგრილების სისტემების მოწყობა;
- ვენტილაციის სისტემის დამონტაჟება;
- ტენიანობის კონტროლის უზრუნველყოფა;
- უსაფრთხო და ნორმებთან შესაბამისი ელექტროსისტემის მოწყობა;
- შეუფერხებელი ელექტროენერგიის მიწოდება;
- წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და გამართვა;
- გათბობის სრული ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლება;
- მუზეუმისა და კაფეს სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ინდივიდუალური სეპტიკური კანალიზაციის სისტემის მოწყობა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

## სამუზეუმო ფონდის მართვა და ექსპონატების მოვლა

- სრული ინვენტარიზაცია და ატრიბუცია: არსებული ექსპონატების დეტალური აღწერა, კლასიფიკაცია და დოკუმენტირება;
- მდგომარეობის შეფასება: თითოეული ექსპონატის ფიზიკური მდგომარეობის, დაზიანების ხარისხისა და რისკების განსაზღვრა;
- კონსერვაცია და რესტავრაცია: საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა და ეტაპობრივი განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კოლექციის გრძელვადიანი დაცულობა.

## მუზეოგრაფიული პროგრამის მომზადება

- ექსპოზიციების შინაარსობრივი განახლება: სამეცნიერო საფუძველზე ახალი თემატური კონცეფციის მომზადება, ექსპონატების ნარატივისა და პრეზენტაციის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- დიზაინერული განახლება: ექსპოზიციის სივრცეების ვიზუალური გადაწყვეტის მოდერნიზაცია, ექსპონატების განთავსების და განათების ოპტიმიზაცია;
- ციფრული ინტერპრეტაცია: ინტერაქტიული მოწყობილობებისა და ვირტუალური მასალების დანერგვა, ინფორმაციის მრავალენოვანი მიწოდების უზრუნველყოფა;
- ექსპოზიციის სრულყოფილად აღსაქმელად აუდიო-ვიზუალური გადაწყვეტები: ეტაპობრივად დამატებული ხმოვანი გიდები, ვიდეოინსტალაციები, პროექციები და მედია-ეკრანები.

## საზოგადოებრივი სივრცეები

- თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით აღჭურვილი საგანმანათლებლო და მედიათეკა – ჰიბრიდული სივრცე, რომელიც საჭიროებისამებრ გარდაიქმნება საკონფერენციო დარბაზად – როგორც ფიზიკური, ისე ჰიბრიდული *(ონლაინ + ოფლაინ)* ღონისძიებებისთვის.
- ადმინისტრაციული სივრცე: მუზეუმის მართვის, კოორდინაციისა და ოპერაციული საქმიანობისთვის საჭირო სამუშაო ზონები.

## ახალი მოცულობა – ბაღის სივრცეში ჩართული კაფე/ბუფეტი *გარგარე*

## მუზეუმის ბაღის რეანიმაცია ღანდშაფტის დიზაინის პროექტის მიხედვით

ისტორიული ბოტანიკური გეგმა: ბაღის ავთენტური იერსახის აღდგენა საბჭოთა პერიოდის ჩარევის შენარჩუნებით;

- ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება: ბილიკების სისტემის მოწყობა, ფუნქციური განათების მოწყობა, კომფორტული დასასვენებელი ზონების შექმნა, კაფის სივრცის განზოგადება.
- დეკორატიული წყლის ელემენტი: შადრევნის, როგორც ბაღის ესთეტიკური და მიკროკლიმატური ღირებულებისა და გაგრილების საშუალების რეაბილიტაცია;
- გამწვანება: ახალი მცენარეული საფარის შექმნა ისტორიული მეხსიერების გათვალისწინებით (მაგ. მწერლის საყვარელი ყვითელი ვარდების გაშენება); არსებული ღირებული ნაწილის მკურნალობა-მოვლა-განახლება.
- ზოგადად კომფორტული, ესთეტური, სასიამოვნო და თბილი ატმოსფეროს შექმნა.

## ფუნქციური ზონირება

***ახალი მოცულობა – ბუფეტი ბარბარე (Buffet – Barbare) – სივრცე ბარბარე ჯორჯაძის შინაარსთან დაკავშირებული ისტორიული კონტექსტთა და საექსპოზიციო ელემენტებით, მასში ინტეგრირებული წიგნის მაღაზიით***

*ბარბარე ერისთავი ჯორჯაძე, მის თანამედროვე, განათლებულ, გამორჩეულ ქართველ ქალბატონებთან ერთად, საინტერესოა როგორც პირველი ფემინისტი ქალი, დედაენის წინამორბედი და პირველი კულინარიული წიგნების ავტორი. გასტრონომიული თვალსაზრისით, ბარბარე ჯორჯაძის კულინარია მუზეუმის გასტრონომიულ ბრენდად იქცევა (მუზეუმის იდენტობის ნაწილი). ეს იქნება მუზეუმისთვის ახალი ატრაქცია, მეტი ვიზიტორი – დამატებითი შემოსავლის წყარო, ადგილობრივი თემისთვის (განსაკუთრებით ქალები) დასაქმების კარგი შესაძლებლობა, რასაც შემდგომში ადგილობრივი მეწარმეობაც შეიძლება დაემატოს. შესაძლებელია, დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამა კულინარიისა და სერვისის მიმართულებით, რაც ამავე სივრცეში განხორციელდება. კაფეს ტიპი* – მემორიალურისა ( ბარბარე ჯორჯაძის შინაარსი) და ლიტერატურულის ჰიბრიდი. ეს იქნება თანამედროვე სივრცე *(წიგნების რეალიზაცია, ინტერნეტი და სხვა)*, სადაც ტურისტმა კომფორტულად უნდა იგრძნოს თავი, დაყოს მეტი დრო, რაც თავის მხრივ ზრდის როგორც კვების პროდუქტების, ასევე წიგნებისა და სუვენირების რეალიზაციის შესაძლებლობას.

## აქ – კაფეს სივრცეში იწყება ვიზიტორის მარშრუტი.

## ამ მოცულობაში განთავსდება:

- ვიზიტორთა მიმღები სივრცე შემდეგი კომპონენტებით: საინფორმაციო სივრცე ვიზიტორების მისაღებად და ინფორმაციის გასაცემად *(ელექტრონულ ფორმატი)*; ბილეთების სალარო – ბილეთების რეალიზაციისა და კონტროლის ფუნქციით.
- გარდერობი; სასუვენირე ზონა *(ადგილობრივი რეწვის მცირე ნიმუშების ექსპონირება-რეალიზაცია)*, სანიტარული კვანძები, სრულად ადაპტირებული შშმ პირთა მოთხოვნებთან.
- სამზარეულო და სამზარეულოს ტექნიკური ზონა, სივრცე კულინარიული მასტერკლასებისათვის.
- ტექნიკური სივრცე: ოპერაციული და მომსახურების პროცესებისთვის აუცილებელი დამხმარე სივრცეები *(საწყობი,მომსახურე პერსონალის ოთახი და სხვა)*.

*ინკლუზიური ხელმისაწვდომობა:* ახალი მოცულობა აღიჭურვება შშმ პირებისთვის გათვალისწინებული პანდუსით, სტანდარტებთან შესაბამისი ზომებითა და დახრის კუთხით. ასევე, შშმ პირების საჭიროებები გათვალისწინებული იქნება სანიტარული კვანძების დაგეგმვა-მოწყობისას.

მემორიალური მუზეუმის სივრცე იყოფა რამდენიმე ძირითად ზონად, რომლებიც ქმნიან ქრონოლოგიურ და თემატურ მარშრუტს. თითოეული ზონა აერთიანებს ტექსტურ, ვიზუალურ და აუდიო მასალებს, ინტერაქტიურ ელემენტებს და ავთენტურ ექსპონატებს.

## ა. ერისთავის სამუზეუმო საექსპოზიციო სივრცისზონირება

## მიზანი

- ვიზიტორს შესთავაზოს ქრონოლოგიურად და თემატურად ორგანიზებული ექსპოზიცია, გააერთიანოს ისტორიული, ლიტერატურული, სამეცნიერო და საზოგადოებრივი



შრეები;

- შექმნას ინტერაქტიური, ინკლუზიური და ემოციური გარემო.

## მარშრუტის ლოგიკა

ბაღი→ ***Buffet Barbare*** → ბაღი → **მუზეუმი** → *მუდმივი გამოფენა →სალონური სივრცე დერეფანი →მარანი →* საგანმანათლებლო-მედიათეკა-საკონფერენციო → გამოსასვლელი.

## ძირითადი საექსპოზიციო ზონები და მათი შინაარსი

- პირველი სართული
- შესასვლელი → ჰოლი/დერეფანი.

ფოტოექსპოზიცია – ეპოქა.

- **მემორიალური საექსპოზიციო სივრცე – #1.; შინაარსი – რ. ერისთავი** *(ერისთავების წარმომავლობა, არაგვის საერისთაო, არაგვის ერისთავთა გენეალოგიური ცხრილები, ბიოგრაფია – ცხოვრება და მოღვაწეობა ქრონოლოგიის დაცვით – ელექტრონულ ფორმატში, პიროვნების და ეპოქის დიალოგი, მისი თანამოღვაწე ეპოქალური პერსონალია – ილია, აკაკი, ვაჟა, ბროსე, ბერჟე და ა. შ.; ეპისტოლური მემკვიდრეობა)*, მემორიალური ნივთების ექსპონირება; თემატიკასთან დაკავშირებული მყარი ვიზუალური მასალების *(ფოტო, დოკუმენტი, სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები)* ექსპონირება; ოჯახი – მემორიალური ნივთებისა და ვიზუალური მასალების ექსპონირება, მნიშვნელოვანი აქცენტი იქნება *ელექტრონული ფოტოალბომი.*
- **საექსპოზიციო-სალონური სივრცე – #2.; შინაარსი –** მწერლის შემოქმედებასთან და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან *(საზოგადოებებისა და კომისიების წევრობა, თეატრი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისია...)* დაკავშირებული მასალები *(ხელნაწერები, დოკუმენტები ...)* და ექსპონატები*(ბიბლიოთეკა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, მემორიალური ნივთები, მაგ. საწერი მაგიდა, საწერი მოწყობილობა, კლავესინი და ა. შ.)*. ეს უნდა იყოს საექსპოზიციო და ამავდროულად ესთეტურად დახვეწილი, მოქმედი სალონური სივრცე, სადაც გაიმართება ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, სახელოვნებო-შემოქმედებითი შეხვედრები და სხვა მსგავსი ღონისძიებები. ამავე სივრცეში *საოჯახო თეატრის* ტრადიციის რეკონსტრუქცია.
- **საექსპოზიციო-სადეგუსტაციო სივრცე – ისტორიული მარანი** – ღვინის შემეცნებითი ტური *(ისტორიული კონტექსტი ვიზუალური მასალებით)*, სადეგუსტაციო და ღვინის სარეალიზაციო სივრცე, ღვინის თემატიკასთან დაკავშირებული საექსპოზიციო აქცენტებით *(ინფორმაცია, საღვინე ექსპონატები, ვიზუალური მასალა)*, შესაბამისი შინაარსის დახვეწილი მუსიკალური გაფორმებით *(ამ სივრცეში სასურველია პროფესიონალი და არტისტული უნარების გიდი)*. მარნის გაყოლებაზე – ოპერაციული და მომსახურების პროცესებისთვის აუცილებელი დამხმარე სივრცეების მოწყობა *(საწყობი, სამზარეულოს ტექნიკური ზონა, მომსახურე პერსონალის ოთახი, სანკვანძი)*. *ანუ შენობის სადღეისოდ არარსებული – აღსადგენი ნაწილი სრულად დაეთმობა მარნის შინაარსსა და მომსახურებას.*
- **ფონდსაცავი** – ექსპონატების დაცვა და შენახვა, მცირე მოცულობის, კლიმატურად რეგულირებული სივრცე, მხოლოდ პერსონალისთვის ხელმისაწვდომი, უსაფრთხოების სისტემით აღჭურვილი.

მეორე (მანსარდული) სართული

***მედიათეკა, საგანმანათლებლო, რეწვის სახელოსნო – ჰიბრიდული სივრცე***

სივრცისა და ბიუჯეტის ოპტიმიზაციის მიზნით, ვაერთიანებთ მედიათეკის, საგანმანათლებლო და რეწვის სახელოსნო სივრცეებს, რაც მარტივად მიიღწევა მედიათეკის რესურსების ინტეგრაციით.

ეს იქნება მუზეუმის ერთ-ერთი ყველაზე *მრავალფუნქციური და ინსპირაციული ზონა – ბიბლიოთეკის, სასწავლო და სახელოსნო* არეალებით, ასეთი ტიპის სივრცე აერთიანებს ინტეგრირებულ – თეორიულ სწავლებასა და პრაქტიკულ საქმიანობას – *ისწავლე და შექმენი*, რაც განსაკუთრებით ეფექტურია თემატური პროგრამებისთვის *(გათვლილი მცირე ჯგუფებზე (10-25 ადამიანი).*

ამ მულტიფუნქციურ სივრცეში ჩატარდება თემატური კონფერენციები, ინტერაქტიური სწავლება, შემოქმედებითი აქტივობები, სემინარები, ლექციები, ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, შემოქმედებითი ვორქშოპები, თემატური, საქმიანი და კულტურათაშორისი დიალოგის შეხვედრები *(ადგილობრივი და მოწვეული მასწავლებლების, მეწარმეების, ექსპერტების ჩართულობით).*

ასევე მოეწყობა: მცირე **გამოფენის ზონა** – *დროებითი ექსპოზიციებისთვის, სტუდენტური ნამუშევრების ან თემატური მასალების წარმოსაჩენად* და **რესურსების საცავი:** *წიგნები, ვიდეოები, ციფრული არქივები, მასალების კუთხე;* ***პრეზენტაციის ზონა*** *– მცირე ეკრანი ან პროექტორი, აუდიო სისტემით; აქვე, შედგება სამუზეუმო ფილმების რეტროსპექტივა.* **სათავსო** – მაგ. საკონფერენციოს სკამები და სხვ./ დასალაგებელი საშუალებები. შესაძლებელი იქნება **ციფრული წვდომა:** *ონლაინ ბიბლიოთეკები, პლატფორმები, არქივები.*

*მულტიფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, უნდა იყოს ადვილად ადაპტირებადი, შესაბამისი ტექნოლოგიური შესაძლებლობებით აღჭურვილი სივრცე. ასეთი სივრცე არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ* ***საზოგადოების გაერთიანებისა და თვითგამოხატვის*** *ადგილად იქცევა.*

***ადმინისტრაცია***

**ტექნიკური ნაწილი:** Wi-Fi და ინტერნეტ წვდომა, პროექტორი ან დიდი ეკრანი, აუდიო სისტემა, განათების მოდულაცია (სასწავლო/შემოქმედებითი რეჟიმებისთვის), თერმო-კონტროლი (გათბობა/გაგრილება), ბუნებრივი მასალები, ეკომეგობრული გადაწყვეტები (LED განათება, გადამუშავებადი მასალები), სანკვანძი. შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.

## სამუზეუმო კონცეფციის მომზადება

- მუდმივი ექსპოზიციის თემატური აქცენტების განსაზღვრა;
- დროებითი თემატური შინაარსის გამოფენების წინასწარული განსაზღვრა-დაგეგმვა;
- მუზეუმის არასაექსპოზიციო სივრცეების *(მარანი, ბუფეტი ბარბარე, მედიათეკა, საგანმანათლებლო)* საექსპოზიციო ელემენტებით დატვირთვა;
- ექსპოზიციის თემატური დიზაინის გათვალისწინებით, საექსპოზიციო ექსპონატების ჩამონათვალის მომზადება.

## უნივერსალური ხელმისაწვდომობა

- რამპები: არსებული სტანდარტებით შენობის ყველა ძირითადი შესასვლელისა და გადაადგილების მარშრუტის ადაპტაცია შშმ პირებისთვის.
- განათების სექცია: ვიზუალური, სენსორული, ავარიული, თბილი – კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.

შესაძლებელია რამპებისა და განათების ინტეგრირებული გადაწყვეტა



- სანავიგაციო ნიშნები: მკაფიო და მრავალენოვანი ნავიგაციის სისტემა, ვიზუალური და ტაქტილური ნიშნების გამოყენებით (მრავალენოვანი ნავიგაცია, ვიზუალური ნიშნები, ტაქტილური ნიშნები, ინტეგრირებული სისტემა, ტაქტილური გადაწყვეტილებები, ტაქტილური ბილიკები, გაფრთხილების საფარები,მდგრადი მასალები).
- **ტაქტილური გადაწყვეტა ინტერიერის მნიშვნელოვანი ზონებისათვის** *(შესასვლელი, კიბეები, ლიფტი, მომსახურების ზონა, გასასველი)*
- **ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია:** ინტერაქტიური გიდები *(მობილური აპლიკაციები, რეალურ დროში ნავიგაცია შენობაში),* აუდიოგიდი და ვირტუალური ტურები, აუდიოგიდის სისტემები (*Bluetooth ყურსასმენები ან აპლიკაციით),* მრავალენოვანი ინტერფეისი მრავალენოვანი აუდიოფაილები, ინკლუზიური ფორმატი, QR კოდები.
- **ვირტუალური ტურები:** ვებგვერდზე ან აპლიკაციაში ხელმისაწვდომი 360° ტური
- **ინკლუზიური დიზაინის პრინციპები:** ყველა მომხმარებლის საჭიროებების გათვალისწინება *(ასაკობრივი ჯგუფები, შშმ პირები, უცხოელი ვიზიტორები)*
- **ფუნქციური უკუკავშირის სისტემა**:მომხმარებელი აფასებს გამოცდილებას და ტოვებს რეკომენდაციას
- **ინტერნეტი და უსაფრთხოება:** მაღალი სიჩქარის Wi-Fi, თანამედროვე უსაფრთხოების სისტემები და ვიდეოთვალთვალი, როგორც ვიზიტორთა, ასევე ექსპონატების დაცვისთვის. მაღალი სიჩქარე,ფართო დაფარვის ზონა: Wi-Fi უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მნიშვნელოვან სივრცეში – შესასვლელიდან საგამოფენო დარბაზებამდე. სტუმრის ქსელი იზოლირებული უნდა იყოს შიდა სისტემებისგან.
- **თანამედროვე უსაფრთხოების სისტემები:** სმარტ სენსორები, მოძრაობის დეტექტორები, ტემპერატურისა და ტენიანობის კონტროლი, ავარიული სიგნალიზაცია, ხანძრის, წყლის გაჟონვის ან სხვა საფრთხის შემთხვევაში ავტომატური შეტყობინება, ვიდეოთვალთვალი: HD კამერები სტრატეგიულ წერტილებში: ხალხმრავლობის კონტროლი, საეჭვო ქცევის ამოცნობა. არქივის შენახვა: მინიმუმ 30 დღის ვიდეოარქივი.

## მუზეუმის განვითარების კონცეფცია

სამეცნიერო კვლევების საფუძველზე შეიქმნება სრულად განახლებული საექსპოზიციო კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე სამუზეუმო ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებს. მუზეუმი აღიჭურვება ინტერაქტიური ატრაქციებითა და მრავალფეროვანი ღონისძიებებით, რაც მას ასაკის, ეროვნებისა თუ გემოვნების მიუხედავად, ყველა ტიპის ვიზიტორისთვის მიმზიდველ სივრცედ აქცევს.

მუზეუმი იქნება არაფორმალური განათლების მიღების, ტრადიციული რეწვის განვითარების და შემოქმედებითი თვითგამოხატვის საუკეთესო პლატფორმა. მისი შემადგენელი კომპონენტები – *კონცეპტუალური მარანი, ბუფეტი* ***ბარბარე*** *და სარეკრეაციო სივრცეები* – მუზეუმს მიანიჭებს მრავალფუნქციურობას და გააძლიერებს მის კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას.

განახლებულ მუზეუმში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამები მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მუზეუმის თემატურ შინაარსთან *(ღვინის წარმოება – ტექნოლოგიური სწავლება, მასტერ-კლასები და ტრენინგები მარანში, კულინარია და გასტრონომია – თეორიული და პრაქტიკული სწავლება ბუფეტ ბარბარეში, ბრენდული პროდუქტის წარმოება, სერვისის ეთიკეტი და ტურიზმი – გიდების მომზადება ადგილობრივი კულტურული ტურიზმის საფუძვლებზე, ტრადიციული რეწვა).*

ვფიქრობთ, მუზეუმს უნდა შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს რაფიელ ერისთავის მემორიალური მუზეუმი, ასევე, შესაქმნელია მუზეუმის ლოგო – ეს შესაძლოა იყოს რაფიელ ერისთავის მონოგრამა.

## მარკეტინგული სტრატეგია

- აუცილებელია სოციალური მედიის, ვებგვერდისა და მარკეტინგული არხების განვითარება და მართვის მოდელის შექმნა.
- ბრენდირებული პროდუქტების შექმნა, სახელდობრ – მემორიალური ღვინო ***რაფიელ ერისთავი*** და ***ბარბარე*** – საგანგებო ბუკეტითა და დიზაინით, ექსკლუზიური გასტრონომიული პროდუქტი ***ბარბარე***, *საინფორმაციო ბუკლეტები, სამუზეუმო კატალოგები, ღია ბარათები, სამუზეუმო ფილმი, შინაარსის შესაბამისი პუბლიკაციები და სასუვენირე სხვადასხვა სახის (ტკბილეული, მონოგრამიანი ტექსტილის პროდუქცია, ნაქარგობა და სხვა) პროდუქტი.*

## მოსალოდნელი შედეგები

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება და მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა;
- რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძის მემკვიდრეობის თანამედროვე ფორმატში გაცოცხლება და პოპულარიზაცია;
- ინტერაქტიური და მრავალფუნქციური სამუზეუმო, საგანმანათლებლო, რეწვითი და კომერციული სივრცეების შექმნა;
- ინოვაციური, ტექნოლოგიურად აღჭურვილი კულტურული ჰაბის ჩამოყალიბება;
- ეროვნული შინაარსის კულტურული აქტივობების გაძლიერება და თემის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;
- არაფორმალური განათლებისა და პროფესიული თვითგამორკვევის შესაძლებლობა ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის;
- მედიათეკისა და საგანმანათლებლო სივრცის, როგორც ახალგაზრდული პლატფორმის განვითარება;
- ქალთა, ახალგაზრდობისა და შშმ პირების დასაქმების გზით თემის ეკონომიკური გაძლიერება;
- ეთნიკური მრავალფეროვნების ინტეგრაცია და რეგიონული თანაცხოვრების ხელშეწყობა;
- ტრადიციული რეწვის ხელშეწყობა და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია;
- შემოქმედებით-კულტურული ღონისძიებების თანამედროვე კერის შექმნა, ლიტერატურული საღამოების, შემოქმედებითი შეხვედრებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება;
- ტურისტული მიმზიდველობის ზრდა მემორიალური სივრცის, ღვინის მარანის, ბუფეტის, ბაღისა და ფილმის კუთხის მეშვეობით;
- ქვეყნის ერთიან ტურისტულ მარშრუტში ინტეგრაცია და ვიზიტორთა რაოდენობის მატება;
- ეკონომიკური სტიმული სარეალიზაციო სივრცეების *(მარანი, ბუფეტი, სასუვენირე კუთხე)* და კულტურული ღონისძიებების მეშვეობით.

ამდენად, ნაგებობის *პირველი სართული* მოიცავს მემორიალურ და შემოქმედებით სივრცეებს, სადაც წარმოდგენილი იქნება რაფიელ ერისთავის ეპოქა, ხელოვნების ნიმუშები და ღვინის კულტურის ელემენტები. ახლად შექმნილი *მანსარდული სართული* განკუთვნილი იქნება საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ტექნიკური დანიშნულებისთვის, რაც მუზეუმს მრავალ-



მხრივ და მდგრად ინსტიტუციად აქცევს.

რაფიელ ერისთავის სახელმწიფო მუზეუმი ახმეტის მუნიციპალიტეტის ერთადერთი მემორიალური სივრცეა, რომელიც, სწორი ინტერპრეტაციისა და ფუნქციური დატვირთვის პირობებში, საქართველოს მემორიალურ მუზეუმთა შორის გამორჩეულ ადგილს დაიკავებს და რეგიონისთვის კულტურულ სავიზიტო ბარათად იქცევა.

პროექტი წარმოადგენს პრეცედენტს, რომელიც აჩვენებს, რომ კულტურა არა მხოლოდ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების, არამედ ეკონომიკური მდგრადობისა და რეგიონული განვითარების საფუძველია. იგი შექმნის სტიმულს ქვეყნის სხვა რეგიონებისთვის, რათა ადგილობრივი კულტურული ცენტრების გაძლიერება ეროვნულ პრიორიტეტად იქცეს და კულტურა სოციალური, ეკონომიკური და საგანმანათლებლო პროგრესის მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბდეს.

მუზეუმის განვითარების ხედვის კონცეფცია ეფუძნება ეროვნული კულტურული და მემორიალური მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და განათლების სინთეზს. ზონირების მკაფიოობა და დიზაინური ხედვა უზრუნველყოფს ისტორიული შინაარსის თანამედროვე ფორმატში გადმოცემას. მუზეუმი იფუნქციონირებს როგორც დინამიკური კულტურული ცენტრი, რომელიც სხვადასხვა თაობისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს მოემსახურება.

იმედია, ჩვენი შეთავაზება ადრე თუ გვიან გათვალისწინებული იქნება და შენობა ისტორიულ *(ნარატიული წყაროები, დოკუმენტური მასალა, მემორიალური ლიტერატურა)* საფუძველზე დაყრდნობით, ახალი ფუნქციური დატვირთვით დაიბრუნებს პირვანდელ იერსახეს.

*ეკა კაჭარავა*
ისტორიის დოქტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი
საქართველოს უნივერსიტეტი, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი

*Eka Kacharava*
PhD in History, Senior Scientific Researcher
T. Beradze Institute of Georgian Studies, the University of Georgia (UG)
E-mail: e.kacharava@ug.edu.ge
ORCID-ID: 0009-0007-8314-6724

# ღვინო – ქართული იდენტობის სიმბოლო

სტატია წარმოაჩენს ვაზსა და ღვინოსთან დაკავშირებულ რელიგიურ კოდს, რომელიც ქართულმა ფოლკლორმა და რწმენა-წარმოდგენებმა შემოგვინახა. იგი დაყოფილია 6 ნაწილად და შემდეგ საკითხებს აერთიანებს:

1. *ქვევრი – მატრიცა*, რომელიც აღწერს ამ უძველესი და ეროვნული საღვინე ჭურჭლის ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებას.

2. *ღვინო – მზის ნაჟური* – ეხება მზის უძველესსა და ცხოველმყოფელ კულტს, რომელიც ოდითგანვე გადაწნულია ვაზისა და ღვინის კულტთან.

3. *ვაზი – ხე სიცოცხლისა*. სტატიის ამ ნაწილში ვაზი წარმოჩენილია როგორც ქართველთავის სიცოცხლის სამოთხეული ხის თვალსაჩინო გამოვლინება, რომლის ნაყოფსაც მაცოცხლებელი და მაცხონებელი ძალა აქვს. ამის დასტურია წმინდა ნინოს მიერ ვაზის ჯვრით საქართველოს გაქრისტიანებაც.

4. *ქართული მარანი – სამოთხის მიწიერი ხატება*. ქართული ცნობიერებით, მარანი, როგორც სიწმინდე, ეკლესიასაც ედარებოდა და მასში არაერთი მნიშვნელოვანი რიტუალი აღესრულებოდა (მაგ. ჯვრისწერა); ამასთან, მარანი ის ადგილია, სადაც ქართული ფოლკლორით ვაზი, საკრალურ ალვის ხედ ამოდის, ხოლო მის ტოტზე ბულბული გალობს. ქართულ მარანში სიცოცხლის ხედ შერაცხული დედაბოძის არსებობაც მის საკრალურობას კიდევ ერთხელ მიანიშნებს.

5. *დიონისე და ღვინის მფარველები*. აქ განხილულია ის ანთროპომორფული ღვთაებები, რომლებიც ვაზისა და ღვინის კულტთან არიან დაკავშირებულნი. ქართულ რეალობაში ასეთია – ღვთაება აგუნა. ღვთაება დიონისეს მცირეაზიურ კულტთან ერთად, აქვე განხილულია არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ბრინჯაოს მცირე პლასტიკა, რომელიც თავისი ატრიბუტიკითა და ფორმით ღვინის ღვთაებებად აღიქმებიან.

6. *პურ-ღვინო, საფერხულო ქორბეღელა და მრავალჟამიერი*. ამ დასკვნით ნაწილში გამოკვეთილია ქართულ ყოფაში ნეოლითიდან მოყოლებული ორი უმნიშვნელოვანესი კულტურის: ხორბლისა და ღვინის მჭიდრო რელიგიური კავშირი და რიტუალში მათი საკრალური ერთობა. აქვე განხილულია საფერხულო ქორბეღელას რელიგიური საზრისი, რომელიც ხორბლის მოსავლის მოთხოვნასთან ერთად, ღვთის კარზე რგული ვაზის, ვითარცა სიცოცხლის ხის სადიდებელიცაა.

# WINE: A SYMBOL OF GEORGIAN IDENTITY

## ABSTRACT

The article explores the religious code associated with the vine and wine. Based on national folklore and pre-Christian beliefs, it presents a rich body of cultural material. Structured in six parts, the study brings together the following key themes:

- **The Qvevri (Wine Jar) – The Matrix**
- This section explores the reciprocal relationship between the form and content of the traditional qvevri, the ancient Georgian wine jar that serves as both vessel and symbol.
- **Wine – The Juice of the Sun**
- Dedicated to the ancient solar cult, intertwined from the very beginning with the cult of wine and the vine.
- **The Vine – The Tree of Life**
- Here, the vine is examined as the Tree of Life of Eden, whose fruit is the source of eternal vitality. The vine-wood cross made by Saint Nino, who evangelized Georgia, stands as a clear testament to this sacred symbolism.
- **The Georgian Wine Cellar – The Earthly Image of Paradise**
- This section explores the Georgian wine cellar as a sacred space. Through its architectural elements and the folklore that surrounds them, the cellar emerges as a symbolic reflection of paradise – a place where wine is preserved, and where sacred rites such as baptism and marriage are sometimes performed.
- **Dionysus and the Protectors of Wine**
- This section discusses ancient anthropomorphic deities, closely linked to prosperity, wine, and growth.
- **Wine and Bread, Ritual Dance, and the Song *Mravalzhamieri***
- The final chapter portrays the sacred unity of bread and wine as enduring symbols of life and harmony. It also reflects on traditional dances and songs which celebrate abundance and the eternal praise of the Tree of Eden, the emblem of fertility and everlasting life.



## ქვევრი – მაგრიცა

ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, ჩვენი ეროვნული იდენტობის სიმბოლო – ვაზი, მიწათმოქმედებასთან ერთად ჩაისახა საქართველოში. *შულავერი-შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურამ* (ძვ.წ. VI ათასწლეული) ქვემო ქართლში მოშინაურებული ვაზის (ვიტის ვინიფერა) უძველესი წიპწები გამოავლინა. ვაზთან ერთად, ამავე პერიოდში, დასტურდება კულტურული ხორბლის არსებობაც. ვაზისა და ხორბლის სიძველეს საქართველოში თან ერთვის ამ კულტურათა ჯიშობრივი სიმდიდრე (მსოფლიოში ოთხი ათასი ვაზის ჯიშია, *აქედან ხუთასი საქართველოშია*) და დახვეწილი სამეურნეო ცოდნაც. ჩვენ, მართლაც, პურისა და ღვინის მომყვანი ერი ვყოფილვართ ოდითგანვე.

ქვემო ქართლში, *იმირის დიდი გორა (გადაჭრილი გორა)* ის ადგილია, სადაც ნეოლითური პერიოდის პირველსაცხოვრისებიც გამოვლინდა. ისინი წარმოადგენდნენ ალიზით ნაშენ, წრიული ფორმის კონუსურ-გუმბათურ შენობებს (დაახლოებით 2/5 მ. სიმაღლისა), შუაცეცხლითა და ჭერში დატოვებული ღიობით, რაც ჩვენი გვიანდელი, დარბაზული ტიპის სახლის არქეტიპად უნდა მივიჩნიოთ. სახლი ღვინოსთვისაც იყო განკუთვნილი. მის ასაშენებლად დიდად არც ფორმა შეცვლილა და არც მასალა. საკმარისია ჩვენივე პირველსაცხოვრისი თავდაყირა წარმოვიდგინოთ, რათა ღვინის წარმოების უძველესი ჭურჭელი – ქვევრი მივიღოთ. გაივლის ათასწლეულები და ასეთ ქვევრში ღვინის დაყენების უნიკალურ წესს იუნესკო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს მიანიჭებს (2013 წ.). თუკი კაცისა და ღვინის პირველსაცხოვრისებს სიმბოლურსა და რელიგიურ საზრისს შევძენთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: გუმბათურ-პირამიდული საცხოვრებელი, მამრულ-ფალიკური, ზეაღმავალი ენერგიის გამომხატველია, მაშინ როდესაც მისი ამოტრიალებული ვარიანტი, ანუ ყურძნის წვენის მიმღები ქვევრი, დაღმავალ ენერგიასთან, ქალურ საწყისთან, საშოსთან ასოცირდება. სხვათაშორის, ქვევრს, ფორმით, თავად ყურძნის მტევანიც გვაგონებს, რომლის უფრო სქემატური ვარიანტი ზოგჯერ სამკუთხედის სახითაა წარმოდგენილი ჩვენი ეკლესია-მონასტრების გარე-რელიეფებზე. თითქოს ხილული კავშირი ჩნდება ფორმასა და შინაარსს შორის. მეტი სიცხადისთვის, შეგვიძლია განცალკევებულად წარმოვიდგინოთ დავითის ვარსკვლავი, რომელიც ორი – აღმავალი და დაღმავალი ენერგიების გამომხატველი სამკუთხედის საკრალური კავშირია (Chevalier, Gheerbrant 2017:480). ამ მრავლისმთქმელ სიმბოლოში არა მხოლოდ ქალური და მამაკაცური ენერგიების ერთობაა გადმოცემული, არამედ ცისა და მიწისაც, სადაც მარად ღვთაებრივ-მამრული ზეცა დედა-ღვთაება მიწას შესაქმისეული ძალით ეუღლება.

რელიგიურ შინაარსს სხვა მხრივაც ავლენს ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნი, ჩვენი პირველი *ნეოლითური ქვევრი* (ძვ.წ. VI ათასწლეული), რომელიც მსოფლიომ პირველ საღვინე ჭურჭლადაც აღიარა: მას მტევნის ოთხი რელიეფური გამოსახულება ამკობს (სურ. 1), რაც თითქოს ქვეყნიერების ოთხივე მიმართულებით ამ ღვთაებრივი კულტურის განვრცობის მაუწყებელია და იმავდროულად, შემკვრელია უხილავი ჯვრისა, რომლის საკრალური საზრისი ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ისევ და ისევ ღვთაებრივ განაყოფიერებასთან, შეჯვარებასთან, მამრულ და მდედრულ საწყისებთან გვაბრუნებს, რადგან ჯვრის ვერტიკალური ხაზი ცისა და მამური ენერგიის გამოხატულებაა, ხოლო ჰორიზონტალური – ქალურ საწყისთან, დედამიწასთან ასოცირდება.

## ღვინო – მზის ნაჭუკი

*მზე შინა და მზე გარეთა, მზევ შინ შემოდიო* (ხალხური პოეზიის კრებული 1985: 39) – ეს საძეობო ფოლკლორული სიმღერა ვაჟის დაბადებას ეძღვნებოდა, მაგრამ განა ქვევრში დაყენებული ღვინო იგივე მზის შინ შემოპატიჟება არ არის, მით უმეტეს, რომ ხეთაგან ვაზი იყო მზის ხვედრი (სირაძე 1982:27). მიწას ხელმეორედ დაბრუნებული, ქვევრში ჩაწურული ყურძენი, ღვინის სახით, ახალი შობის ძალით იბადება. *მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა – ამბობს უფალი* (იოანეს სახარება, 15:1). ხელმეორედ დაბადებული და ღვინოდ გარდაქმნილი ვაზი,

მკვდრეთით აღმდგარი უფალივით, სიკვდილზე გამარჯვებულიცაა და ამიტომაც ზიარების ძალით მადლმოსილიც. ქართველთა მითიური მზეც, რომელიც ასევე უფლის კანონიკური სიმბოლოა, ვაზის დარად, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ ციკლს ასრულებს – ყოველი ღამით მზეს ქვესკნელური წყლების გამგებელი გველეშაპი ყლაპავს, ხოლო ყოველ დილით, იგი გველეშაპის ხახიდან კვლავინდებურად იბადება (ხიდაშელი 2001:131). სიკვდილის კარიბჭის ცნობიერი გავლა კი ღვთაებრივ საწყისთან ზიარება, ანუ ინიციაციაა. ღვინოც, მზიური ცეცხლით გაჯერებული სითხეც, შეიძლება ითქვას, ინიციაციაგავლილია, რადგან გვეხმარება დავთრგუნოთ სიკვდილი და მისი ხმევით, მარადიულ სიცოცხლეს ვეზიაროთ: აი, ზუსტად ისე, როგორც ქართულ ხალხურ ზღაპრებში მთავარ გმირს მზის პირნაბანი წყალი კურნავს და მკვდრეთით აღადგენს ხოლმე (უმიკაშვილი 1964:187). მითური მზის ამ სადღეღამისო ციკლს უნდა ასახავდეს თრიალეთური კულტურის ბრწყინვალე ნიმუში, *ძვ.წ. II ათასწლეულის ქვევრი*, გარშემოვლებული კოსმოსურ წყლებთან ასოცირებული გველისებრი დეკორით, რომლის ხვეულებში მზის დისკოებია ჩასმული (სურგულაძე 2003:197). წყლის აღმნიშვნელი ასეთი ზიგზაგისებური დეკორი ხშირად თან ახლავს არაერთ საღვინე ჭურჭელს, რადგან წყალი, მზესთან, და შესაბამისად, მზიურ ღვინოსთანაცაა წილნაყარი. ჯვარცმისას, უფლის განგმირული ფერდიდან ერთდროულად წამოვიდა წყალი და სისხლი, რომელიც საიდუმლო სერობის დღეს უფალმა ღვინოსთან გააიგივა. ამიტომ ემატება წყალი ღვინოს წმინდა ლიტურგიის დროს. ქვევრში, ვითარცა კოსმიურ საშოში მიცვალებულთა დამარხვის ტრადიცია იქნებ ღამეულ წყლებში განბანილი მზესავით აღდგომის უწყება იყო ჭირისუფალთათვის – საკრალურ-მზიური ღვინო ხომ კაცის დაბადებისა თუ დაკრძალვის რიტუალში თანაბარი ძალით მონაწილებოდა. როგორი საგულისხმო მინიშნებაა: ღვინის სახლი კაცის სახლადაც იქცევა სიკვდილის შემდეგ, აღდგომის მოლოდინში. ქვევრში დამარხვით თითქოს მზეს ავედრებდნენ ახალდგარდაცვლილებს, შესაძლოა, მთვარესაც, როგორც ღამეულ მზეს. ტყუილად ხომ არ იყო სამოთხის პირველხატად მიჩნეული დიდი დედა ნანას მზის ბაღი, რომელიც ღია მარნის არქეტიპული სახეცაა ქართული ფოლკლორით (Бардавелидзе 1957:79).

ახლა მიცვალებულისთვის სამარხში ჩატანებული ვერცხლის ფურცელში გახვეული ვაზის რტოები გავიხსენოთ უძველესმა *ბედენურმა კულტურამ* (ძვ.წ. III ათასწლეული) რომ გამოავლინა. დაკრძალვის ამ სარიტუალო აქტში სიცოცხლის მომნიჭებელ მზიურ ვაზთან ერთად მიღმურ სამყაროში ხელახალი შობის სურვილი გამოსჭვივის. კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს ავლენს ეს ბედენური სამარხი – ვაზს, როგორც სიცოცხლის ხის მარადიულ სიმბოლოს წარმოგვიჩენს.

## ვაზი – ხე სიცოცხლისა

ჩვენი რელიგიური ცნობიერების ბალავარს დავუბრუნდეთ – ნეოლითური, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი, წრიული პირველსაცხოვრისის შუაში კერა იყო გამართული. *მტკვარ-არაქსის* უფრო გვიანდელი პერიოდის კულტურაში (ძვ.წ. IV-III ათასწლეული), საკულტო, ე.წ. გადასატანი კერებიც არსებობდა. მათი პორტატიული ხასიათი სარიტუალო დანიშნულებას მიანიშნებდა. ამასთან, უფრო დახვეწილი ფორმის, შინაურული კერის სადგარებში იცოდნენ პატარა ხის, ჩიჩილაკის ჩამაგრება. აქ უკვე კერიდან, ვითარცა სამყაროს იმაგინაციური ცენტრიდან, ამოსული სიცოცხლის ხის სიმბოლოსთან გვაქვს საქმე (კიკვიძე 1976:193).

წრე – სამყაროს მიკრომოდელია, ცეცხლოვანი კერა კი მისი საკრალური ცენტრი, სადაც სამოთხეული სიცოცხლის ხე იზრდება. რელიგიური ხედვის ეს მოდელი ნეოლითური პერიოდიდან მოყოლებული, წითელ ხაზად გასდევს ჩვენს ცივილიზაციას. წრისა და საკრალური ცენტრის ურთიერთობაა ასახული თუნდაც ვანში აღმოჩენილ საღვინე ფიალებში, რომლის ცენტრი-ომფალოსი კერასთან და იქ უხილავად აღმართულ სიცოცხლის ხესთან, ანუ ვაზთან უნდა გავაიგივოთ. წრე და მისი ცენტრი სამყაროს ჰელიოცენტრიზმზეც გვაფიქრებინებს, როდესაც ვანში აღმოჩენილ ერთ-ერთ ფიალას ოქროსგან, ანუ მზის მეტალისგან დამზადებულს ვხედავთ (სურ. 2). მზე და ვაზი ხომ, როგორც ითქვა, მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ამ ტიპის ფიალებს ხშირად *აქემენიდურადაც* მოიხსენიებენ, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს



ის უმთავრესი გარემოება, რომ მათი რელიგიური საზრისი, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ ქართველთა ნეოლითურ პირველსაცხოვრისში იკითხება, როცა ადამიანი ყოფასა და რელიგიას ერთმანეთისგან არ მიჯნავდა.

ამავე კონტექსტში, საგულისხმოა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დადასტურებული რწმენა-წარმოდგენა – კერაში ამოსული ხე (იფანი) ღვთაებრივი ეპიფანიის ტოლფასი მოვლენა იყო, რაც იმ ადგილის საკრალიზაციას მოასწავებდა. ამ მოვლენის შემსწრე ოჯახს, საცხოვრებელი, როგორც უკვე ხატის (სალოცავის) მიერ დაჭერილი, უცილობლად უნდა მიეტოვებინა, რათა ღვთის რისხვა აეცილებინა (კიკნაძე 2009:320). ამ მითოლოგემით, საკრალური კერა ღვთის კარის ფუნქციასაც იძენს. ხალხური ფოლკლორითაც, ვაზი, როგორც სიცოცხლის ხე, სწორედ ღვთის კარზეა რგული: *ჩვენი ხთისშვილის კარზედა ხე ალვა ამოსულაო, წვერად მაუსხამ ყურძენი, საჭმელად ჩამოსულაო, მისი უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულაო* (აბაკელია 1997:117). როგორც ჩანს, ღვთის კარზე ამოსულ ვაზს მარადიული სიცოცხლის მონიჭების ძალა აქვს. საგულისხმოა, რომ აქ ქალ-ვაუზეა საუბარი – თვალწინ გვიდგება ჩვენი ბიბლიური წინაპრები: ადამი და ევა, რომლებიც ხშირად სიცოცხლის ხის ფონზე ბინარული სიმეტრიით არიან წარმოდგენილნი.

ვაზი რომ მართლაც სიცოცხლის ხე იყო საქართველოში, ამას ბერძნული მითოლოგიაც გვიმხელს. *აპოლონიოს როდოსელი*, თავის *არგონავტიკაში* ამბობს, რომ კოლხეთის მეფე აიეტს, რომლის სასახლის ეზოსაც მაღლარი ვაზი – ბაბილო ამკობდა, მჭედლობის ღვთაება *ჰეფესტომ* ვაზის ძირიდან მომდინარე ოთხი მდინარე გამოუჭედა (როდოსელი 1975:123). ამ აქტით, მზის ქვეყანა, კოლხეთი, ედემს ედარება, რადგან სამოთხის მდინარეც ოთხად განიტოტება (ქურდაძე 2004:25). გავიხსენოთ რას მღეროდნენ ქართველი მექორწილენი, მას შემდეგ, რაც მეფე-პატარძალს ტაბლაზე წინ დაუდგამდნენ საგანგებოდ მორთულ ჩირაღდანს/მაშხალას, როგორც სიცოცხლის ხის სიმბოლურ გამოხატულებას: *მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ მრავალსა წელსა/ინებოს ღმერთმა, ინებოს ღმერთმა, ინებოს ღმერთმა თქვენი სიცოცხლე./ ოთხი წყარო დის, ოთხი წყარო დის, ოთხი წყარო დის, ოთხი მხრივ მოდის/მითი მოირწყვის, მითი მოირწყვის მითი მოირწყვის ოთხივე მხარე. ეჭვს არ იწვევს, რომ აქ იგულისხმება მდინარე ედემისა, მომრწყველი სამოთხისა, რომელიც ოთხად განიყოფა* (აბაკელია 1997:115).

ანანურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის (XVII ს.) სამხრეთი ფასადი წარმოგვიდგენს ვაზის, როგორც სიცოცხლის ხის მშვენიერ გარე-რელიეფურ კომპოზიციას: უზარმაზარი ჯვრის მკლავებქვეშ აღმართულან ვაზის ხეები, რომლის ნაყოფსაც აქეთ-იქიდან თხები კენკავენ, რაც ქრისტიანული ზიარების სიმბოლური ჩვენებაა. თხა, რომელიც ბიბლიური სამოთხის ხის კომპოზიციაში არცთუ იშვიათად ფიგურირებს, სარიტუალო ცხოველი და რთველში შესაწირიც იყო (აბაკელია 1997:50). ვაზის მაცხონებელ, მარადიულ სიცოცხლის ხედ მოაზრების ტრადიცია, თავს იჩენს ჩვენი უდიდესი სიწმინდის, სვეტიცხოვლის დაარსების მისტერიაშიც: მცხეთაში, უფლის კვართის დაფვლის ადგილას, შემდგომ ამოვიდა ყვავილებით შემკული კორომი, ხოლო მის ცენტრში ლიბანის ნაძვი და მასზე გასული ბაბილო (მაღლარი ვაზი) აღმოცენდა (ოქროპირიძე 2018:122). სიცოცხლის ხეზე საუბრისას, უნდა ვახსენოთ ჩვენს ტრადიციულ საცხოვრისში მისი გამოვლინებაც, ანუ ქართული დარბაზის *დედაბოძიც*, როგორც სამყაროს ღერძი, რომელზედაც ხშირადაა დატანებული მზის ასტრალური სიმბოლოც. რაკი დედაბოძი ვახსენეთ, ქართულ მარანშიც უნდა შევიხედოთ, სადაც ხილულად (დედაბოძის სახით) თუ უხილავად მყოფობს სიცოცხლის ხე და სადაც ამ ხისგან მომდინარე ეს ღვთიურ-მზიური სითხე საგანგებოდ იწურება და მზადდება.

## ქართული მარანი – სამოთხის მიწიერი ხატება

ქართული ფოლკლორით, ღვთის კარზე რგული სიცოცხლის ხე მარანშიც ხარობს: *იაგუნდის მარანშია, შიგ ღვინო და ლალი ბჭვისო, შიგ ალვის ხე ამოსულა, ნორჩია და შტოსა შლისო, ზედ ბულბული შემომჯდარა, გასაფრენად ფრთასა შლისო* (აბაკელია 1997:118). ამრიგად, მარანში

ამოსული საკრალური ალვის ხე იგივე ვაზია. სანამ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას, მარნის მთავარი ატრიბუტები გავიხსენოთ: ყურძნის საჭყლეტად გამოყენებული ხის ან ქვის საწნახელი და სხვადასხვა ზომის მიწაში დამარხული ქვევრი, რაშიც ინახება ყურძნის წვენი და დგება ღვინო. საქართველოში დასტურდება მარნის ორი გამოკვეთილი ტიპი: უფრო ცხელი კლიმატური გარემოს გამო, აღმოსავლეთ საქართველში გვაქვს დახურული მარანი, ხოლო დასავლეთ საქართველში, ნესტიანი ჰავის გათვალისწინებით, ღია მარანია მიღებული, რომელიც გულისხმობს ქვევრების, იგივე ჭურების განთავსებას ღია ცისქვეშ, ნახევრად ღია მარნის წინ. ამასთან, ღია ქართული მარანი, როგორც ითქვა, ასოცირდება *დიდი დედის, ღვთაება ნანას* მზიურ ბაღთან, რომელიც იმავდროულად სამოთხის მიწიერი ხატებაა.

ქართული მარანი, როგორც ღვინის სამყოფელი წმინდა ადგილი, ეკლესიასთანაც იყო გათანაბრებული. იქ ხომ უხილავად სიცოცხლის ხეა რგული, საიდანაც მარად მაცოცხლებელი და მაცხონებელი წვენი მოედინება. თუ სოფლის სიახლოვეს ეკლესია არ იყო, მარანში ჯვრისწერისა და ნათლობის რიტუალიც შეიძლებოდა აღსრულებულიყო. თავისი არქიტექტურითაც საკრალურია მარანი. მის აღმოსავლურ ვარიანტებში, ხშირია დედაბოძის აღმართვა, რომელიც, როგორც ითქვა, სიცოცხლის ხის ხატებაა. შეიძლება ითქვას, რომ ყურძნის საჭყლეტად გამოყენებული და ასევე საკრალურად მიჩნეული ხის საწნახელიც სიცოცხლის ხის გამოხატულებაა, ოღონდ ჰორიზონტალურ პროექციაში. მასში იწურება ღვინო, რომელიც სპეციალური მილით, ქვევრებში გადადის. საწნახელზე მიმდგარი დედაბოძი ჯვარსაც ქმნის. გავიხსენოთ უხილავი ჯვრის შემკვრელი ოთხი რელიეფური მტევანი უძველეს, ნეოლითურ საღვინე ჭურჭელზე. ქრისტიანობამდეც სიწმინდე იყო ჯვარი. არაერთ საღვინე ჭურჭელზეა იგი გამოსახული სხვა საკრალურ სიმბოლოებთან – სვასტიკასთან, ბორჯღალთან, სპირალთან ერთად. ქრისტეს დაბადებამ კი საბოლოოდ გამოავლინა ჯვრისა და ვაზის, როგორც სახარებისეული სიცოცხლის ხის ურთიერთმიმართების საკითხი, რაც ყველაზე ცხადად, საქართველოში, როგორც მეღვინეობის უძველესს სამშობლოში გამოვლინდა: საქართველო გახდა ის ქვეყანა, რომელმაც მოცი-

ქულთასწორი *წმინდა ნინოსგან* ქრისტეს რჯული სწორედ ვაზის ჯვრით მიიღო.

სიცოცხლის ხისგან მომდინარე ეს ღვთაებრივი წვენი, მარნის ქვევრებში დაფლული და ღვინოდ გარდაქმნილი (აღსანიშნავია, რომ თეთრი ყურძნის შემთხვევაში, ღვინოს ჭაჭაზე გაზაფხულამდე ტოვებდნენ, ხოლო წითელი ღვინო ქვევრებში, როგორც წესი, მხოლოდ ალკოჰოლური დუღილის პერიოდში ჩერდება. ღვინის კარგად შენახვის მიზნით, ქვევრის თავსახურავს დამატებით თიხამიწით ან ტალახით გოზავდნენ), იმთავითვე გვახსენებს ორგზის შობილ მეღვინეობის მფარველ *დიონისესა* და მოკვდავ და აღდგომად სხვა სოლარულ ღვთაებებსაც, რომლებიც ადრე-საგაზაფხულო დღეობათა ციკლში, ბუნების ძალთა აღორძინებასა და სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას ემსახურებოდნენ.

## დიონისე და ღვინის მფარველები

მეღვინეობის ძველბერძენი ღვთაება დიონისეს წარმოშობას არაერთი მკვლევარი მცირეაზიურსა და წინარექართულ სამყაროს უკავშირებს. ბუნებრივიცაა, სადაც ღვინო დაიბადა, მისი კულტმსახურებაც იქ ჩასახულიყო. რომაელი ისტორიკოსის, *მარცელინუსის* თქმით, ინდოეთის დაპყრობის შემდეგ, დიონისე-ბაქხუსი, თავისი ამალით, მდინარე კალიხოროსის ნაპირებზე (იგულისხმება კოლხეთის შავიზღვისპირეთი) მობრუნებულა და იქ ძველებური ლხინი და ფერხული განუახლებია (ჯანელიძე 1980:129). დიონისესთან ქართველთა ნათესაური კავშირიც ირკვევა. კოლხეთის მეფე *აიეტის* სიძეა კრეტის მეფე *მინოსი*, რომლის ქალიშვილი, არიადნეც დიონისეს გაჰყვა ცოლად (ბერძნული მითების სამყარო 1999:93). დიონისეს ინდოეთში მოგზაურობას უნდა გადმოსცემდეს ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. I ს. ულამაზესი ჭრაქი, რომელიც ღვინის ღვთაებას *არიადნესა და ჰერაკლესთან* ერთად წარმოგვიჩენს.

ახლა ყურადღება გავამახვილოთ ქართული არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილ იმ მცირე ზომის საკულტო ფიგურებზე, რომლებიც მეღვინეობის საკრალურსა და დომინანტურ



ხასიათს ავლენენ. ასეთია ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებული მცირე ზომის პლასტიკა. ზომაში სიმცირე, კერის დარად, მათ პორტატიულ ხასიათზეც უნდა მიუთითებდეს. ზოგიერთი ასეთი ფიგურა ორსქესიანია, რაც სრულად პასუხობს დიონისესთვის დამახასიათებელ ორგიასტულსა და გამანაყოფიერებელ ბუნებას. გავიხსენოთ ყაზბეგის განძი. იგი წარმოგვიდგენს მამაკაცის იტიფალურ ფიგურას, რომელსაც ბაგესთან ღვინით სავსე ბარძიმი მიუტანია (სურ. 3). ეს ფიგურა ჯაჭვ-საკიდლიანია, რაც ციურ სამყაროსთან მის კავშირს იმთავითვე მიგვითითებს. აღსანიშნავია, რომ ბეჭებზე ორმაგი სპირალი გამოუსახავს ამ ყაზბეგელ ქურუმს, რაც, სიმბოლოების ენით, ინისა და იანის, მამური და მდედრული პირველსაწყისების ერთობას განასახიერებს (Chevalier, Gheerbrant 2017:1048), რისი მიღწევაც სწორედ ღვთაებრივი სასმელის – ღვინის მიღებითაა შესაძლებელი. ტყუილად კი არ გვახსენებს ხალხური ფოლკლორი, რომ *ღვინის უსმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშავდებაო*. ამიტომაცაა, რომ ღვინოს საქორწილო რიტუალში არცთუ მცირედი დატვირთვა ეძლევა. ედემში რგული სიცოცხლის ხისგან მომდინარე ამ ღვთაებრივმა წვენმა უნდა გააერთიანოს სამარადისოდ შეყვარებული წყვილი ღმერთში. თანაც, სპირალი კოდირებული სიმბოლოა თავად ვაზისა, რომლის წნელსაც (კავანა) სპირალურად დახვევა სჩვევია Chevalier, Gheerbrant 2017:1047). შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ პირდაპირ ვაზი გამოუსახავს ყაზბეგელ ქურუმს ბეჭებზე, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენ მორაგბე-ბორჯღალოსნებს აქვთ გამოსახული ვაზის ლერწი თავიანთ საბრძოლო კვართზე კეფასთან – როგორც გამარჯვებისა და ეროვნული იდენტობის სიმბოლო. ღვთაებრივი ვაზი რომ გამარჯვების თილისმაც ყოფილა, ამას ისიც მოწმობს, რომ სხვა სიმბოლოთა შორის, რთველის საზეიმო სცენა ამშვენებდა ტროაში მებრძოლი აქილევსის ფარს, რომელიც მისთვის საგანგებოდ გამოუჭედავს მჭედლობის ძველბერძენ ღვთაება *ჰეფესტოს* (ჰომეროსი 1979:422).

რაკი ქართული არქეოლოგიით გამოვლენილი, მეღვინეობასთან დაკავშირებული ღვთაებები ვახსენეთ, აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ *თრიალეთური კულტურის* გათხრებისას აღმოჩენილი ულამაზესი ვერცხლის თასი (ძვ.წ. II ათასწლეული), რომლის შუა ფრიზზეც ბარძიმით ხელაპყრობილ ქურუმთა საკრალური პროცესიაა წარმოდგენილი (სურ. 4). ისინი მიემართებიან მთავარი ღვთაებისკენ, რომელიც საკურთხეველთან, სავარძელშია დაბრძანებული, ხოლო ფერხთით, მწევარ-ძაღლები წვანან. იქვეა აღმართული სიცოცხლის ხე, რომელიც კრავს ამ წრიულ კომპოზიციას და კიდევ ერთხელ გვახსენებს წრისა და საკრალური ცენტრის ურთიერთობას. მთავარი ღვთაებისკენ წრიულად მოძრავი 22 ანთროპომორფული ღვთაება მგლის ტყავითა და ნიღბით არიან შემოსილნი, რაც მიმანიშნებელია იმისა, რომ ქართველთა წარმართულ რელიგიურ პანთეონში, შიბ-საკიდლიანი, სოლარული მგელ-ძაღლები დედამიწაზე ციურ ღვთაებათა ნების აღმსრულებლები იყვნენ (Бардавелидзе 1957:106).

მევენახეობა-მეღვინეობის ძველქართული ღვთაებაა აგუნა, რომელიც საგულისხმოდ ჩნდება ერთ-ერთ საახალწლო რიტუალში. ახალი წლის ღამეს, გურული მოწესე გობზე სანთლებს დაანთებდა, ზედ ხაჭაპურს, ღორის თავს დადებდა და ღვინით სავსე დოქით მარანში შევიდოდა. ამ დღეს აცხობდნენ „ვაზის რქად“ წოდებულ სპეციალურ სარიტუალო ქადა-კვერებსაც. ოჯახის უფროსი ყველაფერს ჭურის თავზე დააწყობდა, გობს წაღმა სამჯერ დაატრიალებდა და დაილოცებოდა. შემდეგ, საწნახელს ცულის ყუით (ზოგჯერ ღორის თავით) მიუკაკუნებდა და აგუნას მომავალი წლისთვის ხვავსა და ბარაქას გამოსთხოვდა (ლეკიაშვილი 1972:114-115). საფიქრებელია, რომ ამ კაკუნით უნდა გაიღოს ღვთის კარი და მრევლზე მადლი და წყალობა გადმოვიდეს, რადგან ამ შემთხვევაში, ღვთის კარზე რგულ სიცოცხლის ხეს სწორედ ჰორიზონტალურად წარმოდგენილი საწნახელი განასახიერებს. ახალი წელი მზის ასტრონომიული დაბადებაცაა (25 დეკემბერი), ამიტომაც მისი დალოცვა და კურთხევა მზისგან მოწეული ღვთაებრივი სითხით უნდა მოხდეს. არც ღორის გაჩენაა შემთხვევითი ამ საახალწლო რიტუალში, რადგან ღორი/ტახი ხშირად სოლარულ სიმბოლოდ გვევლინება (აბაკელია 1999:106). აგუნას კულტს თან ახლავს სასიმღერო შესრულებაც. ნიშანდობლივია, რომ სიმღერა-გალობასთან ერთად, მევენახეობასთან დაკავშირებულ რიტუალში ცეკვაც იცოდნენ. ასეთი სარიტუალო ფერხული ქორბეღელა ერთდროულად პურისა და ღვინის სადიდებელი იყო.

## კუპრ-ღვინო, საფერხულო ქორბაღელა და მრავალჟამიერი

პური და ღვინო, ერთმანეთისგან განუყოფელი, ქრისტიანული ზიარების ორი სიწმინდე, ქართულმა ენამ ერთ კომპოზიტად – პურ-ღვინოდ გააერთიანა. პირველი, რითაც მოულოდნელ სტუმარს უმასპინძლებოდნენ საქართველოში, სწორედ პური და ღვინო იყო. იცოდნენ საზედაშე ღვინოსთან (სარიტუალო ღვინო, რომელიც მარანში მარჯვენა მხარეს სპეციალურად გამოყოფილ ქვევრში ინახებოდა) პურის გატეხვაც, რაც საეკლესიო ლიტურგიის ხალხურ გამოვლინებად აღიქმებოდა. განსაკუთრებულ პატივად ითვლებოდა სტუმრის გამასპინძლება მარანში, რისთვისაც ოჯახს საგანგებოდ გამოყოფილი ქვევრი ჰქონდა. ბოღლიწოც არ გამოგვრჩეს მხედველობიდან – წითელ ღვინოში ჩამბალი პური, ყუათიანი საჭმელი პატარებისთვისაც კი. ასევე მიღებული იყო მკვდრის გულზე პურის ოთხად გადატეხა, რომელსაც ღვინოში ჩალბობილს ჩამოატარებდნენ ხოლმე ჭირის სუფრაზე როგორც მიცვალებულისთვის მისაგებელს (ოჩიაური 1987:19). დღემდე შემონარჩუნებული რიტუალიც გავიხსენოთ: გარდაცვლილთა მოხსენიებისას, ღვინოში ჩალბობილი პურის ნატეხის ხმევა, რაც ზიარების სიმბოლოა და სურვილი იმისა, რომ ჩვენგან წასული მიცვალებული, ცხონებული, აბრაამის წიაღში ვიგულვოთ. მარანში, ღვინოსთან ერთად, ხშირად ხორბალიც ინახებოდა, რაც ამ ორი უძველესი, ნეოლითიდან მოყოლებული განუყოფელი კულტურის ღვთაებრივი დანიშნულების გამოხატულებაა. ეკლესიის კარზე საზედაშე ღვინის სმასთან ერთად ჭამდნენ ქადა-პურებსაც, რომლებსაც ჯვრის ფორმით, ოთხად გაჭრიდნენ (აბაკელია 1999:133). ეს ოთხად გაჭრილი პური, რა თქმა უნდა, ჯვართან ერთად, ედემში ოთხად განტოტვილ მდინარესაც მოგვაგონებს.

ახლა ქორბეღელას დავუბრუნდეთ. ეს სასიმღერო ფერხული, რომელიც სალოცავში და ვენახშიც შეიძლებოდა შესრულებულიყო, ღვთის კარზე (ზოგიერთი ვერსიით წმინდა გიორგის კარზე) რგულ სიცოცხლის ხეს, ანუ ვაზს ადიდებდა და ამავდროულად, უფალს ხორბლის უხვ მოსავალს შესთხოვდა. ქორბეღელა წრიული და სართულებიანი ცეკვაა (ალავერდაშვილი 2007:37): სიმღერის წამომწყები წრის შუაში იყო მოქცეული, რაც წრისა და საკრალური ცენტრის ურთიერთმიმართებას გვახსენებს, თანაც ისეთ ფერხულში, რომლის მრავალსართულიანობა, ანუ ვერტიკალური საზრისი, ისევ და ისევ, ცისა და მიწის ღვთაებრივი კავშირის გამომხატველია. სარიტუალო ცეკვა თუ სიმღერა, ისევე როგორც სადღეგრძელოების მწყობრი სისტემა, ავლენს ქართული სუფრის საკულტო ბუნებას. მართლაც, ქართველ კაცს ოდითგანვე ჩამოუყალიბდა ღვინის მიმართ განსაკუთრებული მოწიწება და სიყვარული. შემთხვევითი როდია, რომ თავად სიტყვა *სადღეგრძელო* (დღე-გრძელი), ატარებს ცნებას მარადისობისა. ქართული სადღეგრძელოცა და ტრადიციული სუფრული საგალობელი – *მრავალჟამიერიც* (რომელიც ასევე მარადისობას გულისხმობს) იგულვებს ადამიანის უჟამო ჟამში, ანუ ღვთიურ სამყაროში დაბრუნების იდეას და გამოძახილია იმ სულიერი სიხარულისა, როდესაც უფლის ტრაპეზზე პირველად გაცხადდა პურისა და ღვინის ევქარისტული საიდუმლო, რამაც დახსნა სამოთხის კარი და ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი პირველყოფილი ცოდვისგან გაათავისუფლა.

როგორც დავით მეფსალმუნე ამბობს: *ღვინო ახარებს გულსა კაცისასა* (ფსალმუნნი 103:15) და ეს სიხარული ღვთაებრივია, რადგან გული უხილავი ღმერთის სამყოფელია და შესაბამისად, ჩვენი ფიზიკური თუ სულიერი არსებობის საკრალური ცენტრიცაა. ძნელია ღვინის გარეშე წარმოიდგინო ქართული სუფრისა და სტუმართმოყვარეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც უწინარესად, მოყვასის სიყვარულითაა ნაკარნახევი. ამიტომაც აქვს ამ ღვთაებრივ სითხეს მართლაც უდიდესი წვლილი ჩვენი ხასიათისა და ეთნოფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში – იგი ქართველთა ეროვნული იდენტობის უძველესი და უტყუარი სიმბოლოა.



## ბიბლიოგრაფია


ახალი აღთქმა. ფსალმუნნი.

აბაკელია 1997: ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997.

ალავერდაშვილი 2007: ქ. ალავერდაშვილი, საკრალური გეომეტრია. თბ., 2007

Бардавелидзе 1957: В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен. Тб., 1957.

ბერძნული მითების სამყარო 1999: ბერძნული მითების სამყარო, დიდი ზეციური ღმერთები. თბ., 1999.

კიკვიძე 1976: ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.

კიკნაძე 2009: ზ. კიკნაძე, ანდრეზები. თბ., 2009.

ლეკიაშვილი 1972: ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი. თბ., 1972.

ოქროპირიძე 2018: ა. ოქროპირიძე, სვეტიცხოველი – სიცოცხლის ხე. კრებული: სვეტიცხოველი. თბ., 2018.

ოჩიაური 1987: თ. ოჩიაური, დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა. თბ., 1987.

როდოსელი 1975: აპოლონიუს როდოსელი, არგონავტიკა. აკაკი ურუშაძის რედაქციით. თბ., 1975.

სირაძე 1982: რ. სირაძე, სახისმეტყველება. თბ., 1982.

სურგულაძე 2003: ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბ., 2003.

უმიკაშვილი 1964: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. თბ., 1964.

ქურდაძე 2004: ე. ქურდაძე, ოქროს საწმისი, როგორც ძველი რუკა და პურზე დამწერლობა. თბ., 2004.

ხალხური პოეზიის კრებული 1985: ხალხური პოეზიის კრებული: „ლექსო არ დაიკარგები“, თბ., 1985.

ხიდაშელი 2001: მ. ხიდაშელი, სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში. თბ., 2001.

ჯანელიძე 1980: დ. ჯანელიძე, სახიობა. თბ., 1980.

ჰომეროსი 1979: ჰომეროსი, ილიადა. ქება მე-18. რ. მიმინოშვილის თარგმანი. თბ., 1979.



*მერაბ მიქელაძე*
ანთროპოლოგიის დოქტორი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

*Merab Mikeladze*
PhD in Antropology
National Museum of Georgia
E-mail:merab.mikeladze@gmail.com
ORCID-ID: 0009-0002-3219-5351



1. თიხის ჭურჭელი. ხრამის დიდი გორა. ძვ.წ. VI ათასწლეული. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი



2. ოქროს ფიალა. ვანი. ძვ.წ. IV ს. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



3. ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკება. ყაზბეგის განძი. ძვ.წ. VII-VI სს. ისტორიის მუზეუმი. მოსკოვი



4. ვერცხლის თასი. თრიალეთი. ძვ.წ. II ათასწლეული. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი



# ქართული მარანი – *სამშენებლო ტრადიცია, ინვენტარი, წეს-ჩვეულებები*

*ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა,*

*წითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა!..*

რაფიელ ერისთავი

## აბსტრაქტი

ჩვენს დროში ქართული მეღვინეობა მსოფლიოს ენეოლოგთა ყურადღების ცენტრში მოექცა, რაშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა ქვემო ქართლში, ძვ. წ. აღ. VI ათასწლეულის ადრეულ მიწათმოქმედთა დასახლებაში (გადაჭრილ გორაზე) უძველესი კულტურული მევენახეობის დამადასტურებელი არტეფაქტების აღმოჩენამ.

ქართული ტრადიციული მეღვინეობის აღიარებაა ისიც, რომ 2013 წელს ქვევრის ღვინოს იუნესკომ (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

საქართველოში ღვინის დაყენების უძველეს ტექნოლოგიასთან ერთად შემონახულია ვენახის 500-ზე მეტი ჯიში. ქართველთა ყოველდღიურობა წარმოუდგენელია ვაზის ნაყოფისგან დამზდებული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების *(ღვინო, შუმი ღვინო, სახარჯო ღვინო, ჭაჭის არაყი, ბადაგი, ტკბილი, ძმარი და ა.შ)* და საკვების *(ყურძენი, ქიშმიში, ისრიმ-მაყვალი, თათარა, ფელამუში, ტკბილის-კვერი, ჩურჩხელა, ჯანჯუხა, ღვინოთბილი, ბოღლიწო, მაჯიგარო და ა.შ)* გარეშე. მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას, შრომის ინვენტარს, სამეურნეო ნაგებობებს და რწმენა-წარმოდგენებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ და დღესაც უჭირავთ ყოფაში.

ემპირიული ცოდნის თანამედროვე პრაქტიკაში დანერგვა ცალკეულ მეწარმეთა წარმატების საფუძვლად იქცა. ბევრი მათგანი ითვალისწინებს იმ გამოცდილებას, რაც ქართველმა მეურნემ საუკუნეების მანძილზე დააუნჯა და ღვინის დაყენებისა თუ შენახვის ტრადიციული მეთოდები რეკლამის მთავარ ლაიტმოტივად აქცია. ტურისტული მარშრუტები მოფენილია ე.წ. *ღვინის გზებით,* რომელთა მეტი წილი მამა-პაპურ *ჭურ-მარნებსაა* მიმსგავსებული. ზოგჯერ ამ მარნების ტრადიციულობა მხოლოდ ბუტაფორიაა და არქაულობით ინოვაციური ტექნოლოგიებია შეფუთული. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხალხური ცოდნის მაქსიმალურად გამოყენებას, როგორც ახალი მარნების მშენებლობის, ისე ძველი მარნების შეკეთების საქმეში. *განსაკუთრებით სასურველია ამგვარი მიდგომის გა-*

*მოყენება სამუზეუმეო სივრცეში არსებული მარნების რეკონსტრუქციისას, რათა მაქსიმალურად იქნეს შენარჩუნებული მათი ავთენტურობა.*

ქართლ-კახეთში ***მარანი/საღვინე სახლი*** (სულხან საბა ორბელიანი) ეზოში მდგომ ქვითკირის ან ფიცრულ ნაგებობას წარმოადგენდა, ზოგჯერ კი იგი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე იყო განლაგებული. *საღვინე სახლში* ჩაფლულ ქვევრებში ინახებოდა *ღვინო*, აქვე იდგა *საწნახელი* და სხვა საჭირო ინვენტარი. ღვინის დაყენების მთელი პროცესი ყურძნის დაწურვიდან ქვევრებში დავარგებამდე სწორედ აქ მიმდინარეობდა. დასავლეთ საქართველოში მარნებს უფრო ხისგან აგებდნენ. მათ ძირითადად ყურძნის დასაწურად და საღვინე ინვენტარის შესანახად იყენებდნენ. ღვინიანი ჭურები კი, როგორც წესი, ხეებით დაჩრდილულ საგანგებო ადგილას, ჭურისთავზე, ჰქონდათ ჩაფლული.

ქართველი მეურნე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამარნე ადგილის მდებარეობას, ***ქვევრის/ჭურის*** ჩასაფლობი ნიადაგის ტიპს, სამშენებლო მასალას, ქვევრებისა და საღვინე ჭურჭლის თუ ინვენტარის სათანადოდ მომზადებას და ა.შ. რეგიონების მიხედვით განსხვავდებოდა მარნის ტიპები *(ღია, დახურული და ა.შ.);* მათი მდებარეობა *(ცალკე მდგომი, ბვრებში ან საცხოვრებელში განლაგებული)*, ფუნქცია *(ღვინის დამზადება-დავარგება, ყურძნის დაწურვა, ინვენტარის, და ბოგ შემთხვევაში, ჭირნახულის შენახვა და სხვა.);* სამშენებლო მასალა *(ქვიტკირი, ფიცრული, მოწნული და ა.შ.)*. ამგვარი მრავალფეროვნება ათასწლეულების მანძილზე დაგროვილი ემპირიული ცოდნის რაციონალიზაციის შედეგია და სასურველია მისი გათვალისწინება თანამედროვე საქმიანობაში.

**საკვანძო სიტყვები:** ღვინო; მეღვინეობა; მარანი; ტრადიცია; ინვენტარი; ქვევრი; ღვინის გზა.

## CONSTRUCTION AND RECONSTRUCTION OF THE MARANI (WINE CELLAR) BASED ON FOLK TRADITIONS

## ABSTRACT

Nowadays, Georgian winemaking has attracted the attention of oenologists worldwide, with a particularly important role played by the discovery of evidence of ancient viticulture in early agricultural settlements (on Gadachrili Gora) in Kvemo Kartli, dating back to the 6th millennium B.C.

Another recognition of Georgian traditional winemaking is that, in 2013, UNESCO granted Kvevri wine the status of Intangible Cultural Heritage.

Alongside ancient winemaking technologies, over 500 grape varieties have been preserved in Georgia. The daily life of Georgians is unimaginable without grape-based alcoholic and non-alcoholic beverages (wine, *Shumi* wine, table wine, *Chacha, Badagi, Tkbili,* vinegar, etc.) and snacks (grapes, raisins, *Isrim-makvali, Tatara, Pelamushi, Tkbiliskveri, Churchkhela, Janjukha, Ghvinotbili, Boghlitso, Majigaro,* etc.). Activities related to viticulture and winemaking, along with labor tools, agricultural buildings, and associated beliefs, have always held – and continue to hold – an important place in everyday life.

Integration of empirical knowledge into modern practice has become a cornerstone of success for individual entrepreneurs. Many of them draw on the centuries-old experience of Georgian winemakers, turning traditional methods of wine production and storage into a key marketing tool. Tourist routes are lined with so-called ‘wine roads,’ many of which resemble ancestral wine cellars. However, in some cases, the traditionalism of these wineries is superficial, with innovative technologies merely dressed in archaic forms. In this context, it is natural that great importance is placed on the thorough application of folk knowledge in both the construction of new cellars and the restoration of old ones. This approach is particularly recommended when reconstructing existing cellars in museum settings, as it helps preserve their authenticity to the greatest extent.

In Kartli and Kakheti, the ***Marani* /wine house** (Sulkhan Saba Orbeliani) was typically a stone or wooden (plank) building located in the yard; sometimes on the ground floor of a residential house. Wine was stored in clay vessels (*Kvevri*) embedded in the ground, and the marani also housed a wine press and other necessary equipment. The entire winemaking process – from pressing the grapes to aging the wine in *Kvevri* – was carried out here. In western Georgia, *Marani* were more often constructed of wood and were primarily used for pressing grapes and storing wine inventory. In these cases, the clay jars of wine were usually hidden in special locations, buried in the ground, and placed in the shade of trees.

Georgian farmers placed great importance on the location of the wine cellar, the type of soil in which the *Kvevri* was to be buried, the construction materials, and the proper preparation of *Kvevri*, wine vessels, and other inventory. The types of wine cellars (open, closed, etc.), their locations (freestanding, in vineyards, or within dwellings), their functions (wine production and aging, grape pressing, storing harvest and inventory, etc.), and construction materials (stone, mortar, wickerwork, etc.) varied by region. This diversity reflects the rationalization of empirical knowledge accumulated over millennia and should be carefully considered in contemporary winemaking and cellar construction.”

**Keywords:** wine; winemaking; marani (wine cellar); tradition; equipment; kvevri; wine road

## შესავალი

ვაზის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობას, მევენახეობის პროდუქციას, რწმენა-წარმოდგენებსა და ფოლკლორს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიასა თუ ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ვაზმა და ღვინომ ქართველების ეთნოკულტურული იერსახის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ვაზი მამულთან შეთანატოლებული ჰქონდა ქართველ მეურნეს *მამულიშვილი კაცი ხარო,* ვენახის პატრონს ეტყვიან. ქიზიყში მამულად ვენახი იგულისხმებოდა – თითქმის ყოველთვის (ჯავახიშვილი, 1989:77).

ვაზის ძირითადი პროდუქტი, ღვინო, ჩვენი ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია, მისი დამზადება ოჯახის პირობებში თითქმის ყველა ქართველი მამაკაცისათვის სავალდებულო საქმედ ითვლება. ამიტომ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, ქალაქურ ყოფაში დასტურდება საცხოვრებელი კორპუსების მახლობლად მაღლარი ვაზის გაშენება ღვინის დამზადების მიზნით. უნდა ითქვას, რომ ღვინის შექება მისი დამყენებლისათვის დიდ პატივად აღიქმება, ხოლო ღვინის დაწუნება, მისთვის ზადის მოდება, პირიქით, შეურაცხყოფაა და ხშირად უსიამოვნების მიზეზი ხდება.

ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არა მარტო ღვინო (ღუინო, ღინი, გინი, ღუინო-ვინო, ვაინ, ვეინ და ა.შ), არამედ ბახუსის კულტიც ქართული წარმოშობის უნდა იყოს (მეგრელიძე, 1971: 9). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად, „*ღვინო*“ წინააზიური ტერმინია, რომელიც გვხვდება *სემიტურში, ეგვიპტურში, ხეთურსა* და *ქართველურ* ენებში. ეს სიტყვა წარმოშობით *ინდოევროპულია* და სავარაუდოდ, უკავშირდება „*ueino*“ *არქეტიპს*, რომელიც თავის მხრივ, მომდინარეობს „*uei-ui*“ – „*ხვევნა*“, „*წვნა*“ ძირიდან. *ღვინო – ვენახი – ვაზი* ერთი და იმავე ბერძნული სიტყვის ვარიანტებია, ისტორიულ პროცესში თავისებურად გარდაქმნილი და გადაკეთებული; მათში გამოიყოფა ბერძნული ბგერათკომპლექსი „*ვი*“, რომელიც: *აცაბაცას, უსწოროს, ხვიარას* აღნიშნავს (თავდიშვილი, 2015: 63).

ქართულ ყოფაში შემორჩენილია ღვინის დაყენების უძველესი ტექნოლოგია, ვაზის ნაყოფისგან დამზადებული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები, მრავალფეროვანი პროდუქცია, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული უძველესი ტერმინები, სამეურნეო წესები, რიტუალები, სიმბოლოები, ფოლკლორული გადმოცემები, ინვენტარი და ა.შ.

ამ ერთიან სისტემაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ***მარანს***, ღვინის შესანახ ადგილს, რომელიც საუკუნეების მანძილზე, გარემოზე, კლიმატსა და ეკოლოგიაზე დაკვირვების შედეგად დაგროვილი ემპირიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების ნიმუშს წარმოადგენდა. ღვინის შესანახი ადგილი საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების შესაბამისად ტიპოლოგიური არაერთგვაროვნებით ხასიათდებოდა. ამასთან, ქრისტიანული კულტურის ზედდება წინაქრისტიანულ ტრადიციაზე კარგად მიესადაგა მის საკრალურ ხასიათს. ქართულ ყოფაში მარანი სამოთხის და, ზოგ შემთხვევაში, ტაძრის (ევქარისტიის, ჯვრისწერის, ნათლობის ადგილის) ფუნქციასაც ასრულებდა (აბაკელია, 1997: 173-174).

ქართულმა ყოფამ ღვინის დაყენების უძველეს ტექნოლოგიასთან ერთად შემოინახა ვაზის 500-ზე მეტი ჯიში, ხოლო ვაზის ნაყოფისგან დამზადებული ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების (ღვინო, შუმი ღვინო, სახარჯო ღვინო, ჭაჭის არაყი, ბადაგი, ტკბილი, ძმარი და ა.შ) გარდა, მრავალფეროვანი პროდუქცია (ყურძენი, ქიშმიში, ისრიმ-მაყვალი, თათარა, ფელამუში, ტკბილისკვერი, ჩურჩხელა, ჯანჯუხა, ღვინოთბილი, ბოღლიწო, მაჯიგარო და ა.შ), მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული უძველესი ტერმინები, სამეურნეო წესები, რიტუალები, სიმბოლოები, ფოლკლორული გადმოცემები, ინვენტარი და სხვა.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა ხელისუფლების მცდელობამ, მთლიანად შეეცვალა ტრადიციული ყოფა და ტოტალურად დამკვიდრებულმა ათეისტურმა გარემომ, ჩვენთვის საინტერესო სფეროს გარკვეული ტრანსფრმირება გამოიწვია. მართალია მარანმა//ღვინის სახლმა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა საკრალური ხასიათი, მაგრამ შეიცვალა მისი არქიტექტურა, სამშენებლო მასალა, საღვინე ინვენტარი, ღვინის დამზადების ტექნოლოგია, ღვინის სმის რიტუალი (მაგ. ნაწილობრივ დამკვიდრდა კომუნისტი ლიდერების და საბჭოთა სტრუქტურის სადღეგრძელოები).

პოსტსაბჭოურ პერიოდში მეღვინეობის მიმდევარი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ტურისტულ ბიზნესში ჩაერთო და მცირე მარნების რეკლამირება სწორედ მათი ქართული ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელ გარეგნულ იერსახეზე ააგო. ხსენებულის მიუხედავად, ღვინის გზებზე განლაგებული მარნების მხოლოდ მცირე ნაწილი ინარჩუნებს ავთენტურობას. ქართული ტრადიციული მეღვინეობა ბოლო ხანებში მზარდ პოპულარობას იძენს საერთაშორისო არენაზე. ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს ე.წ. ქვევრის ღვინოს იუნესკომ (UNESCO) 2013 წელს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც ქართული კულტურის ორგანული ნაწილის, მევენახეობა-მეღვინეობის, დიდი აღიარებაა.

## კვლევის მეთოდი

ნაშრომში გამოყენებულია როგორც ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლგია (საველე კვლევის მეთოდი), ასევე საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის (არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოლოგიური, ფოლკლორული და ა.შ.) ანალიზი.

## მსჯელობა

მარანი ღვინის დასაყენებელი, შესანახი და მისი მოვლისათვის საჭირო ინვენტარის საცავია. მისი მთავარი ატრიბუტებია: ძირითადი საღვინე ჭურჭელი – ქვევრი//ჭური და ყურძნის საწური – საწნახელი. სიპტომატურია, რომ ქართველ მკვლევართა შორის გამოთქმული ვარაუდით, ტერმინოლოგიურად, მარანი უნდა უკავშირდებოდეს ქვევრის („მარ“) დაფვლის ადგილს („სამარი“) ან საწნახელს (ქართულ ოთხთავში გაიგივებულია „საწნახელი“ და „მარი“) (თოფურია, 1984: 4-5).

ღვინის შესანახი უძველესი ინვენტარის შესახებ წარმოდგენა შეიძლება შეგვიქმნას არქეოლოგიურ კულტურებში დაფიქსირებულმა მონაცემებმა. მევენახეობის პროდუქციის დამუშავებისა და მოხმარებისათვის გამოყენებული უძველესი ინვენტარი აღმოჩენილია აღ. საქართველოში, ქვემო ქართლის რეგიონში. ეს არტეფაქტები ძველი წელთაღრიცხვის VI ათასწლეულით თარიღდება. ნეოლითურ ეპოქაში, ადრეულ მიწათმოქმედთა დასახლებაში, (გადაჭრილ გორაზე) პალინოლოგიური კვლევის შედეგად ცხადი გახდა იქ კულტურული ყურძნისათვის (***Vitis vinifer)*** დამახასიათებელი მტვრის ნაწილაკების არსებობა. თიხის ჭურჭლების შიგთავსის ორგანული ნაშთების ქიმიური ანალიზის შედეგად კი დადასტურდა, რომ თიხის ჭურჭელი გამოიყენებოდა ღვინის შესანახად (ყვავაძე. და სხვ., 2010**).**

უფრო გვიანდელი ყურძნის წიპწები, რომლებიც ასევე კულტურული ვაზის ამპეოლოგიური ნიშნებით ხასიათდება, აღმოჩენილია თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება მსოფლიოში მევენახეობის სხვა ისტორიულ ცენტრებს: საბერძნეთში, იტალიაში, კვიპროსში, იორდანიაში, დღევანდელ თურქეთსა და ცენტრალურ აზიაში – იქ ნაპოვნი უძველესი წიპწები შედარებით ახალია, ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულით თარიღდება და თან ველური ვაზის ფორმებს მიეკუთვნება (ღლონტი, გოლიაძე, 2000:10).

სავარაუდოდ, უკვე ნეოლითურ ეპოქაში ღვინო კულტმსახურების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. საკულტო ცერემონიალში უშუალოდ კულტის მიმართ თაყვანისცემის რიტუალიური პროცესი, ღვინის დალევით სრულდებოდა (ჭილაშვილი,2004:52). საკულტო რიტუალებში ღვინის მოხმარების წესი ქრისტეს შობამდე IV ათასწლეულის ბოლოდან მევენახეობა-მეღვინეობის სხვა ცენტრებშიც (ძველი შუამდინარეთი, ეგვიპტე) ფიქსირდება (ფრუიძე,

2014; ჭილაშვილი, 2004 : 92).

მეოთხე – მესამე ათასწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის და მეორე ათასწლეულის თრიალეთის კულტურების პერიოდში ღვინოსთან დაკავშირებული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანია. ყურძნისწიპწიანი და ვერცხლის გარესაკრავიანი ვაზის რქები ხაზს უსვამს ვაზის და ღვინის საკულტო დანიშნულებას, რიტუალები სრულდებოდა სხვადასხვა ზომის, კარგად გაფორმებული საღვინე ჭურჭლით. ის ფაქტი, რომ საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ღვინის შესანახად დერგის ფორმის თიხის ჭურჭელს გამოიყენებდნენ, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში, მიწაში ნახევრად იფლობოდა (ჭილაშვილი, 2004: 61-64), გვაფიქრებინებს, რომ ღვინის წახდენისგან ასარიდებლად, მას საგანგებო ადგილი (უძველესი მარანი ლ.ჯ.) ექნებოდა დათმობილი. ანტიკური ხანის ტაძარში, რომელიც ციხია-გორაზე იყო აგებული, ნაპოვნია მარანი, რომელშიც დასტურდება მოხატული და მხრებამდე მიწაში ჩაფლული მრავალი ქვევრი (ჭილაშვილი, 2004: 93).

მარნისა და ვაზისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ბოლო ხანებამდე შემოინახა ქართულმა ყოფამ. საქართველოს ბარის რაიონებში ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის მთავარ საზომად ვენახი და ყანა, პური და ღვინო ითვლებოდა. სიდედრო, შავგვრემანობით არ დაიწუნო სიძეა, სოფელში მიდი, იკითხე გრძელი ვენახი ვისია – ამბობს ხალხური ლექსი (ხუნდაძე, 1962); ჭურ-მარანი კი, კერასთან ერთად, ოჯახისათვის ყველაზე პატივდებული ადგილი იყო. პ. გუგუშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ სასისხლო სიგელში გვაროვნული და ოჯახური პატივისა და ღირსების საკითხში შესაძლებელ ზიანთა შორის მხოლოდ ვენახისა და მარნის დაზარალებაა მოხსენებული (გუგუშვილი,1961: 238): ვინც მარანი ღვინო და(გი)რბიოს და გიხდინოს, ათასი თეთრი დაგიურვოს. ვინც უომარი ყრმაწვილი გიცეს, ხუთასი თეთრი დაგიურვოს, ვინც ქალი დაგიგდოს, ორი ათასი დაგიურვოს და გარდაგიხადოს. ვინც ვენახი დაგიკაფოს, ათასი თეთრი გარდაგიხადოს (სიძველენი, 1909: 517). გასაკვირი არაა, რომ *მარნის* მშენებლობას და მოვლა-პატრონობას ყველგან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ერთი მხრივ, ის იყო *საკრალური ადგილი, წმინდა სითხის, ღვინის საცავი,* მეორე მხრივ კი – *ოჯახისათვის საჭირო პროდუქტების შესანახი.* ამიტომ, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე, *მარნებს* აგებდნენ ადგილმდებარეობის, ნიადაგის და ჰავის თავისებურებების გათვალისწინებით. *გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში* – ჭარბტენიანობის გამო – მაღლობ ადგილს ამჯობინებდნენ, *ზემო იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში,* სადაც ჰავა მშრალი იყო – უპირატესობას უფრო გრილ ნიადაგებს ანიჭებდნენ (თოფურია, 1984: 7-8).

ზემო იმერეთში ჩემს ბავშვობაშიც მახსოვს *ღია ცისქვეშ მოწყობილი ჭურისთავები (მარნები),* რომლებიც საჩდილობელად საგანგებოდ დარგული ხეებით იყო გარშემორტყმული. თუმცა დასავლეთ საქართველოსთვის არც *დახურული ჭურ-მარანი* იყო უცხო. ამგვარ მარნებს წინათ ხისგან ან ქვიტკირისგან აგებდნენ, XX საუკუნიდან კი პოპულარული გახდა მათი აგურით ან ბეტონის ბლოკით შენება. ჭურისთავისთვის ადგილის შერჩევისას ერიდებოდნენ მკვრივფესვიანი მცენარეების (კაკალი, მუხა და ა.შ) სიახლოვეს.

აღმოსავლურ-ქართული *მარანი* ბანიანი შენობა იყო; მის საძირკველს საკმაოდ ღრმად თხრიდნენ და შიგ მსხვილ ქვას აყოლებდნენ, კედლები შედარებით პატარა ქვით და დუღაბით ამოჰყავდათ. შენობას უტოვებდნენ ერთ ან რამდენიმე საშუქს, კვადრატულად ამოჭრილ სარკმელს, რომელიც გარედან შედარებით ვიწრო იყო, შიგნით კი ფართოვდებოდა, რათა სივრცე კარგად განათებულიყო (თოფურია, 1984: 15), ხოლო ღვინისთვის მავნე მზის სხივებს ნაკლებად შემოეღწიათ. *მარნის* აუცილებელი ატრიბუტი მიწაში ჩაფლულ ქვევრებთან ერთად იყო *საწნახელი,* ასევე *ჭურ-ღვინის მოსავლელი ინვენტარი და ჭურჭელი: სარცხელი, ხის ნიჩაბი, ორხელი, ძელბარი, ჩაფი, კოკა, ხელადა* და ა.შ. ზოგ მეურნეს აქვე ჰქონდა *ხრახნიანი წნეხიც (წბერი, საქაჩავი, ხარიხნი),* რომელსაც ყურძნის წურვის ბოლო ეტაპზე ჭაჭის დასაწნეხად იყენებდნენ. ა. ლეკიაშვილი ასე აღწერს *ტიპურ ქართლ-კახურ მარანს: ქვიტკირის ორსართულიანი სახლები წამოჭიმულა ქართლ-კახეთის სოფლებში, მხოლოდ საცხოვრებლად როდია განკუთვნილი ეს მკვიდრი, უმეტესწილად ღიაივნიანი ნაგებობები. ზემოთ სამყოფი ოთახებია,*



*დაბლა კი მარანია გამართული* (ლეკიაშვილი, 1972: 74).

ქართლსა და კახეთში მარანი ქვიტკირისგან იგებოდა, უფრო ხშირად სახლთან ახლოს, ეზოში ან დარბაზული სახლის კომპლექსში შედიოდა. ამასთანავე იყო შემთხვევები, როდესაც მას უშუალოდ ვენახში აშენებდნენ. ზოგჯერ კი მარნები საგანგებოდ ეწყობოდა, სოფლის განაპირას, ზვრებში, რათა დიდებულებს კომფორტულ გარემოში მოელხინათ. *დღესაც (1892 წ.ლ. ჯ.) შერჩენილი აქვს სახელი „მეფის ზვარი“ ერთს საუკეთესო მამულს მანავში, რომლის მგზავსი თეთრი ღვინო კახეთში ორგან არ მოიპოვება, დღესაც აშკარად ეტყობა ნანგრევები მეფის მარნის მთაში „საცივე მარანი“. დღესაც არის კიდე ნანგრევები სოფლის განაპირას „სასახლისა“, სადაც მეფენი ხშირი სტუმრები იყვნენ ხოლმე მანაველებისა* (ლ. გ-შვილი, 1892: 118).

*ივ. ჯავახიშვილის* აზრით, მარანი, ძირითადად, *მკვიდრ სახლში* უნდა ყოფილიყო მოთავსებული, რადგან საქართველოში ღვინის სმა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და წყლის სმასავით საჭიროდ მიაჩნდათ (ჯავახიშვილი, 1946: 22). საცხოვრებელში ან მის მიმდებარედ გამართული მარნები საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა. ილია ჭავჭავაძემაც ლუარსაბ თათქარიძის საცხოვრებელში მოათავსა მარანი: *კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა – ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვემ იყო მარანი, წალმით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა (ჭავჭავაძე, 1907: 8).*

საილუსტრაციო მასალაში, რომელიც ქალბატონმა *ე. კაჭარავამ* მომაწოდა, შეტანილია *რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის სქემატური ანაზომი,* სადაც კარგად ჩანს, რომ *ერისთავების საგვარეულო სახლის კომპლექსში სწორედ ხსენებული ტიპის მარანი იყო* (ტაბ. 1). ვფიქრობ, სახლ-მუზეუმის რესტავრაციის პროცესში, საკმაოდ გართულდება მარანში ავთენტური გარემოს სრულად აღდგენა, თუმცა ცუდი არ იქნება, ჭურ-მარანის მოწყობისას, ადგილობრივი კლიმატური და ეკოსამეურნეო თავისებურებების და იმ გამოცდილების გათვალისწინება, რომელიც ნაწილობრივ დღემდეა შემორჩენილი ყოფაში.

მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში გვხვდება მასალა, რომელიც მოწმობს, რომ ცალკეული მემამულეები ცდილობდნენ საკუთარი მეურნეობა ევროპულ ყაიდაზე გადაეყვანათ და მარნებიც შესაბამისად გაეწყოთ. *მუკუზანშია თ. ჭავჭავაძიანთ ზვრები. აქ არის თ. დავით ჭავჭავაძეს ნაქონი ზვარი, რომელიც მიჰყიდეს სასახლეს და ამიტომ ახლა „სახელმწიფო ზვარს“ უწოდებენ. შესანიშნავია ეს ზვარი როგორც სიდიდით, აგრეთვე ნამუშავრობით. კაცი ძლივს გაუწვდენს თვალს ამ ზვრის სიგრძე-სიგანეს; შუა ზვარში გაყოლებულია ქუჩების მგზავსად, ქვიშით მოფენილი ფართო გზები; ზვარიც გაყოფილია ქალაქის ქუჩებისავით რამდენსამე ნაწილად, რომელიც იცნობება თუნუქზედ წარწერილ და ხეზედ მიკრულ ციფრებით. შუა ზვარში ჩამოდის დიდი წყალი, რომელიც მუკუზანში წისქვილებსაც აბრუნებს და სოფ. ველის-ციხეში სასმელ-სარწყავ წყლად ჩამოდის. ზვრის თავში სდგას შესანიშნავი მარანი, რომელშიაც 200-300 ვედროიანი ბოჩკებია გამწკრივებული. იქავე სდგას ღვინის მკეთებლის ორ-სართულიანი მშვენივრად მორთული სახლი, რომლის სანახავადაც ხშირად მოდიან ხოლმე ახლო-მახლო სოფლელები* (კახელი, 1887: 81). იმავე ხანებში სალხინოში, სამეგრელოს მთავრის მამულებში, პრინცესა მიურატის მამულში ევრპულ ყაიდაზე მოეწყო მარანი, რომელიც დღეს მარტვილის ეპარქიის საკუთრებაშია.

მე-20 საუკუნიდან ახალი სამშენებლო მასალების ფართოდ დანერგვამ თანდათანობით შეზღუდა კირი, რომელიც, ოდითგანვე მშენებლობაში შეუცვლელი კომპონენტი იყო. ნაწილობრივ შეიცვალა მარნის მოწყობის ტრადიციული ხასიათიც. დაიწყო ცემენტის ხსნარის და ბეტონის ფართოდ გამოყენება. მაგ., 60-იან წლებში გამოცემულ ერთ ნაშრომში ვკითხულობთ:

სასურველია მარანში ცემენტის ან ასფალტის იატაკის დაგება. თითოეული ქვევრის ირგვლივ უნდა ამოვაშენოთ 25-30 სმ. სიმაღლის აგურის წითელი რკალი და სუფთად შევლესოთ იგი ცემენტის ხსნარით (გიაშვილი, 1961: 8) აქვე ნათქვამია, რომ ქვევრს მიწაში ჩაფვლამდე უნდა გაუკეთდეს მავთულის არმატურა და შემოცემენტდეს (გიაშვილი, 1961: 6). ცალკეული მეურნეები საწნახელს ბეტონის ბლოკებით აშენებდნენ და ცემენტის დუღაბით ლესდნენ, ზოგჯერ კი ბეტონისაგან ღვინის შესანახი ჭურჭლის დამზადებასაც არ ერიდებოდნენ.

ტრადიციული მარნის მოწყობის წესი აღწერილისგან სრულიად განსხვავდებოდა: მარანში ქვევრები მწკრივად იყო გაწყობილი. ქვევრისთვის მიწას მრგვლად ამოთხრიდნენ, ზოგან საქვევრეს ქვიშა-კირით ამოაშენებდნენ. ქვევრის ჩაშვებამდე კირ-ქვიშას ჩაასხამდნენ, რომ ქვევრის ძირი კარგად დამაგრებულიყო. პოჭოჭიკს გარშემო ქვიშას შემოასხამდნენ ერთ პირს, მერე ქვებს შემოუწყობდნენ, ქვებზე ისევ კირქვას დაასხამდნენ და როგორც კედელს, ისე ამოაშენებდნენ. ქვევრის გარშემო ადგილს სულ ქვიშით ამოავსებდნენ. ხალხის დაკვირვებით ქვიშას სინესტე ჰქონდა და ღვინოს კარგად ინახავდა. (თოფურია, 1984: 15).

ე.წ. *კაპიტალური მარნების* მომრავლებას კიდევ ერთი საფრთხეც ახლავს, რასაც თავის დროზე *ი. ჭავჭავაძემ* მიაქცია ყურადღება. თუ იქ კარგი ჰაერიზაცია არ არის, ღვინის დუღილისას შეიძლება სიცოცხლისათვის საშიში გაზი დაგროვდეს, რაც გამორიცხულია ღია ჭურისთავის ან ე. წ. ფარღალალა მარნების შემთხვევაში. ამის გამო *კახეთში ქვიტკირის მარნებს ჭერი არ ჰქონდა და ჩალით ან კრამიტით ხურავდნენ* (თოფურია, 1984, 17-22).

ბოლო ხანებში *ქართული მარნების* ტრადიციული იერ-სახის აღორძინებას დიდ ყურადღებას აქცევენ, როგორც მეღვინეობის დიდი საწარმოები, ისე საოჯახო მეურნეობები და ეკლესია-მონასტრები. აქვე უნდა აღინიშნოს ეკლესიის როლი ქართული ტრადიციული მეღვინეობის აღორძინების საქმეში.

*ვაზისა და ყურძნის მტევნების მეტად დახვეწილი ორნამენტებითაა შემკული სვეტიცხოვლის, სამთავისის, წილკნის, ანანურის, ფუძნარის,* ბანას, ოშკის, იშხანის, მცხეთისჯვრის, ბაგრატის, ალავერდის, მეტეხის, ბოლნისის სიონის, ერთაწმინდის, ნიკორწმინდის, ტბეთის, ხეოთის, ბარაკონის, მარტვილის, ქორეთის სამების, წეროვნის სამების, ხირსის, წუნდის, ატენის სიონის, აჭის წმინდა გიორგის და სხვა ტაძრები. ეს გასაკვირი არაა, თუ გავიხსენებთ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ვაზის და ღვთისმშობლის იგივეობის პოსტულატს („შენ ხარ ვენახი“). ამით შეიძლება გარკვეული ახსნა მოეძებნოს დღევანდელ ყოფაში მეღვინეობასთან დაკავშირებული ატრიბუტების (მარანი, ქვევრი, ზედაშე და ა.შ.) შენახვასაც. ეკლესია-მონასტრებს საკუთარი ზვრები და მარნები აქვთ (მაგ. *სამეგრელოში სოფ. სალხინო, კახეთში ალავერდი* და ა.შ.) სადაც დღესაც საუკთესო ღვინო მზადდება.

მარნის ინვენტარში, როგორც ითქვა, ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა საწნახელი და ქვევრი. ქვევრი//ჭური ღვინის დასაყენებელ და შესანახ უნიკალურ თიხის ჭურჭლად ითვლება. მისი დღევანდელი ფორმა ძვ. წ. III-II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდამდე, *პატარა ქვევრები (დერგები)* იყო გავრცელებული, რომლებიც სიმაღლეში 1-1,5 მეტრს არ აღემატებოდნენ, ჰქონდათ ბრტყელი ძირი და განიერი მუცელი. ამჟამად ყველაზე ფართოდ გავრცელებულია *კვერცხისებური ფორმის ქვევრები.* ქვევრის ტევადობა 50-60 ლიტრიდან იწყება და რამდენიმე ტონას აღწევს. ამ მხრივ განსაკუთრებით კახეთი გამოირჩევა, სადაც შესაძლოა 6-8 ათასი ლიტრის ტევადობის ქვევრებიც ნახოთ.

საყურადღებოა, რომ *მარანი* გვხვდება *სასმისის* დასახელებაშიც. ხანგრძლივ პერიოდში სარიტუალო და ყოველდღიურ ყოფაში გამოყენების ხასიათმა განაპირობა ყურძნის და მისი წვენის დასამუშავებელი ინვენტარის, ღვინის შესანახი, სუფრაზე მისატანი (საწდე) და სასმური ჭურჭლის მრავალსახეობა. ამ ინვენტარის (ქვევრი, საწნახელი, სასმურები, ყურძნის გადასატანი ჭურჭელი, გიდელი, ორშიმო, ხაპერა და ა.შ) ფართო გავრცელება დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში მისი დამზადების სიმარტივემ და ნედლეულის ხელმისწვდომობამაც განსაზღვრა.



მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამორჩეულია სასმურები. მათი დამზადების ტექნოლოგია, აგებულება და ფუნქციური დატვირთვა გარკვეულად ასახავს საქართველოში ყურძნის პროდუქტის მოხმარებასთან დაკავშირებული ინვენტარისა და ნაგებობების განვითარების გზას. ღვინის სასმური, საწდე და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ჭურჭლის დამზადების ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია საქართველოში ფართოდ გავრცელებული სასმური კულა. იგი მზადდება აყიროსაგან (იმერეთში – მწარე კვახი), ხისგან, სპილენძის ან სხვა მასალისგან. კულას საერთო ნიშანთვისებაა, რომ სმის დროს რაკ-რაკის ხმას გამოსცემს. აყიროსაგან დამზადებულ კულას ამ მიზნით ყელში საგანგებოდ ჩაუდგამენ ხოლმე ხის ფირფიტას. ხისა და ლითონის კულაც სფერული მუცლით და გრძელი, ვიწრო ყელით ხასიათდება. იგი ხშირად მორთულია ვერცხლის ფირფიტებით და გიშრის სადაფებით. სმის დროს კულის ანალოგიურ ხმას გამოსცემს ჭინჭილა, რომელიც ძირითადად თიხისაგან მზადდება და ყარყარა, რომელსაც, უფრო ხშირად, ვერცხლის ფურცლებისგან ამზადებენ ცივი ჭედვით (რეხვიაშვილი, 1968:18-19). შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ სწორედ მცენარისგან მიღებული მარტივი სასმურის, მაგ. აყიროს, შუაზე გაჭრის შედეგად მიღებული ნახევარსფეროს ფორმის სასმური იქცა დღეისათვის მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული თიხის ფიალის პროტოტიპად, რომელმაც თავის მხრივ, დასაბამი მისცა სხვადასხვა ზომისა და მასალისაგან დამზადებულ მსგავს სასმურებს: თასს, ჯამთასს, ბადიას, ბარძიმს და სხვა. პარალელურად, განვითარდა აყიროს მთლიან ფორმასთან მიმსგავსებული სასმურები: კულა, ჭინჭილა, ყარყარა და ა.შ, რომლებიც ხალხური გამოცდილების საფუძველზე შექმნილ მეტად ორიგინალურ, ხმოვანდასალევ სასმურთა რიგს განეკუთვნებიან. ამასთანავე, აყიროს ფორმას იმეორებს საწდე და ღვინის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ჭურჭელი: სურა, დოქი, კოკა, ჩაფი, თუნგულა, ორშიმო, ქოთანი, ქვევრი, ჭური, ქოცო და ა.შ. სხვათა შორის, ამ ვარაუდს ამაგრებს ის ფაქტიც, რომ ქართულ ყოფაში ფართოდაა გავრცელებული უძველესი დროიდან ფართოდ აპრობირებული სასმურების, ყანწების (ცხოველის რქის), დამზადება სხვა მასალებისგან (თიხის, ხის და ა.შ). თანაც, ფუნქციურად ეს სასმურები ერთმანეთის იდენტურია, სუფრაზე მათ განსხვავებულს უწოდებენ და განსაკუთრებით გამორჩეული სადღეგრძელოსათვის იყენებენ (ჯანიაშვილი, 2017: 60).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოითქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი „მარანი“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება მარ-ფუძიან სამარე//სამარხს. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით *სამარხი შესანახავის* აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რაც ყურძნის ჯიშის დასახელებამაც შემოინახა: *სამარხი ისეთი ყურძნის ჯიშების დამახასიათებელი სახელია, რომელიც შესანახავად ყოფილა გამოსადეგი და განკუთვნილი* (ჯავახიშვილი, 1986:512). გურიაში *სამარხი ერთი საუკეთესო სუფრის ჯიშია, ყურძენი დიდხანს ინახება თითო-ოროლა ცალობით, ყველგან გვხვდება გურიის ზეგან სოფლებში* (ჯავახიშვილი, 1986:478). სულხან-საბას მიხედვითაც პროდუქტის შესანახი ადგილი (მაგ. *ბეღელი*) იგივე *დასამარხავია* (ორბელიანი, 1991: 102). ნ. ბერძენიშვილის აზრითაც – „**მარ**“ – *დიდ ქვევრს* ეწოდებოდა და ამდენად *მარანი,* იგივე „**სამარი**“, ის ადგილია სადაც – „**მარები**“ *(ქვევრებია)* დამარხული (თოფურია, 1985: 5; ჭითანავა, 2022:114-116). ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ღვინის საცავ ადგილს ხშირად *ჭურისთავს* ან *ჭურ-მარანსაც* ეძახიან.

ი. სურგულაძის აზრით, ქვევრი, რომელიც ამჟამად მხოლოდ ღვინოსთან კავშირში მოიაზრება, უძველეს ხანაში მრავალფუნქციური იყო და სამარხადაც გამოიყენებოდა. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიცვალებულის ქვევრში ჩასვენება *მუცლადღებას* წარმოსახავდა, რადგან გარდაცვლილს *ემბრიონის ფორმას* აძლევდნენ. თავისთავად, *ჭური* მუცლის ტოლფას ღირებულებად მიიჩნეოდა. მუცელი, როგორც მოცულობის მქონე სიღრუე, ადრევე იყო აქცენტირებული ხელოვნების ძეგლებში.

ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახულ ცხოველთა კორპუსზე ზოგჯერ ცარიელ ოვალებს ვხვდებით, რაც ალბათ, მუცლის სიცარიელის გადმოცემაა. სხვა შემთხვევებში ცხოველს მუცელში უზის ჩანასახი. მუცელი საშოს სინონიმიც უნდა ყოფილიყო, რადგან მუცელღება ჩასახვას ნიშნავდა. მეორე მხრივ, მუცელი საგანთა სიღრუის აღმნიშვნელი ტერმინიცაა, მაგ. *ნავის სიღ-*

*რუეს ნავის მუცელი ეწოდება, დღესაც გამოიყენება გამოთქმა მუცლიანი დოქი, დერგი, კოკა, ქოთანი* და ა.შ. ასე რომ, ჭურის სიღრუე მუცლის სრულ ასოციაციას ქმნიდა და მასში დაკრძალული მიცვალებული ალბათ მუცელღებული ებარებოდა ყოველთა წარმომშობ დედურ საწყისს (სურგულაძე, 2003:13).

ღვინის სახლთან//მარანთან დაკავშირებით ზემოგანხილული სასმურებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მომცრო სასმისებისაგან შემდგარი ზიარი ჭურჭელი, რომელსაც დასალევად საერთო ტუჩი ჰქონდა. ესაა შვიდთვლიანი ტალიაქი და მარანი. ტალიაქი იგივე მარანია, მხოლოდ უფრო პრიმიტიული. იგი შედგება უძრავი საძირისგან (შთასადებელი) და მასში ჩასადები შვიდი სასმურისგან. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის სასმისით ღვთის სადიდებელი ითქმებოდა. შვიდთვლიანი ტალიაქი შვიდი ღვთაების სადიდებელი სადღეგრძელო სასმური იყო. პირველი ჭიქით ადღეგრძელებდნენ მამაღმერთს, მეორეთი – მაცხოვარს, მესამეთი – წმინდა გიორგის, მეოთხეთი – კვირაცხოველს, მეხუთეთი – მთავარანგელოზს, მეექვსეთი -ღვთისმშობელს, მეშვიდეთი – ჯვარცმას (რეხვიაშვილი, 1968:18). სასმისი, რომელსაც მარანი ჰქვია, ტალიაქის განვითარებულ სახედ ითვლება, იგი ერთმანეთთან დაკავშირებულ, თიხის ჭურჭლებს წარმოადგენს. შედარებით მოზრდილი ერთი ჭურჭელთაგანი, ჭურულა, რომელსაც ხშირად ირმის ფორმა აქვს, აწესრიგებს ღვინის შევსებას და მისგანვე (ცხოველის ტუჩზე დაწაფებით) მიირთმევენ ღვინოს (რეხვიაშვილი, 1968:18).

შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ *სასმურში* (მარანში) სიმბოლურად გაერთიანებულია ღვინის საცავის *(ღვინის სათავსო შიგ ჩაფლული ქვევრებით)* და ღვინის, როგორც ღვთიური სითხის, საკრალური ფუნქცია *(ამ სასმისით რელიგიური შინაარსის სადღეგრძელოები ითქმის).* რადგან სწორედ *მარანში,* როგორც ღვინის მრავალკომპონენტიანი ჭურჭელის *ფუძეში, დაცულია ქვევრის და საწნახლის ძველი სახელწოდება – „მარ“-ი.* შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ მასში შემონახულია *ღვინის დასაყენებელი ჭურჭლის* (საწნახელი, ქვევრები) და *საღვინე ინვენტარის ერთობლივი სახელწოდება – მარანი (მარ-ის ნარიანი მრავლობითი ფორმით).*

*მარნის საკრალურ მხარეზე* საუბრისას აღსანიშნავია რწმენა-წარმოდგენები, რომელიც საქართველოში დღემდეა შემორჩენილი. *ღვინო ღვთის შესაწირად ითვლებოდა.* როდესაც ოჯახი ვენახს დაკრეფდა, ღვინის ერთ ნაწილს *ზედაშედ* – შესაწირ ღვინოდ გაამზადებდა, ამისათვის *საგანგებოდ განკუთვნილ ქვევრს* გაავსებდა და *რომელიმე წმინდანის სახელზე დათქვამდა.* ამ ღვინოს ხელს ვერავინ ახლებდა და მხოლოდ ხატობაში დაილეოდა იმ წმინდანის სადიდებლად, რომლის სახელზეც ღვინო მზადდებოდა. *ზედაშე შეეწირებოდა სოფლის, საგვარეულო თემისა და ხევის უზენაეს პატრონებს და მფარველებს.* დამოწმებულია ზედაშეები – *სამღვთო, საკალანდო, სამაისო, საჭაბუკო, სამაგიერო* და ა.შ. *ყურძნისა და ღვინის კულტის წყალობით სათაყვანებელი გახდა ღვინის შესანახი შენობა, მარანი, და ღია ჭურისთავიც.* ეს ადგილი წმინდად ითვლებოდა, იქ კლავდნენ შესაწირავს, აწყობდნენ ქორწილსა და ნათლობას (ბარდაველიძე, 1968:12). გენდერული თვალსაზრისით მკაცრად იყო რეგლამენტირებული ღვინის დაყენებასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული საქმიანობა. ქალს აკრძალული ჰქონდა ყურწნის დაწურვა, ქვევრის გარეცხვა, ღვინის გადაღება, ქვევრის მოხდა და იქედან ღვინის ამოღება. მარანში შესვლა მხოლოდ სუფთა (დედათწესის მიხედვით უზიზღარ) ან ფერტილურ ასაკს გადასულ ქალს შეეძლო.

ღვინის დამზადება და მოხმარება რელიგიურ წესზეა აგებული. პურობისას აუცილებელ პერსონაჟს წარმოადგენს ხელმძღვანელი – *თამადა* (ტოლუმბაში). ამ ტერმინის არქაული ფორმებია: *პურის უფალი, მთავარი ტაძრისაი, მხნის თავი* (იოსელიანი, 2005: 31). მის ძირითად ფუნქციას *სადღეგრძელოს თქმა* – დალოცვა წარმოადგენს. *ხ. იოსელიანის* დაკვირვებით, სვანურ სუფრაზე აუცილებლად სათქმელი პირველი სამი სადღეგრძელო პირდაპირ გადმოტანილია ლოცვიდან, რომელიც ზედაშის, რიტუალური კვერებისა და საკლავის გულ-ღვიძლის შეწირვისას ეკლესიაში ითქმებოდა. სვანურში ტერმინ თამადის დამკვიდრებამდე იხმარებოდა ტერმინი რომელიც სიტყვასიტყვით დამლოცველს აღნიშნავდა. რადგან ქართულშიც



*სადღეგრძელოს თქმა* იგივე ლოცვა//დალოცვაა, შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველად რელიგიური რიტუალის შემსრულებელი, ლოცვის მთქმელი, ნელ-ნელა სუფრის უფროსად და მოთავედ გადაიქცა (იოსელიანი, 2005: 95). ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ ტრადიციული ქართული პურობა დღესაც მკაცრად რეგლამეტირებულია და სადღეგრძელოების რიგი მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანამიმდევრობით ითქმება. ყოველდღიურ პურობაზეც კი სასმელის უბრად (სადღეგრძელოს გარეშე) დალევა მიუღებლია. აუცილებელია ღვთის სადიდებელი და გარდაცვლილების შესანდობარი სადღეგრძელოები. თამადა ცდილობს დაიცვას უკვე ჩამოყალიბებული წესები და სადღეგრძელოს ფორმულირებამ *დამწყალობება//დალოცვასთან* მსგავსება დღემდე შემოინახა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთიანეთში, ე.წ. *ღვთაებათა სადღეგრძელოების* და *დამწყალობების რიტუალში,* ჩვეულებრივ, *არქაული სასმურით* (ყანწით) სვამენ. *სადღესაწაულო სუფრაზე* (ქორწილი, ნათლობა, დღეობა და ა.შ) ყანწით (განსხვავებული სასმისი) ღვინის დალევა ითვლება განსაკუთრებით საპატიოდ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხალხურმა ყოფამ მჭიდროდ დააკავშირა *უძველესი სასმური და მისით შესრულებულ საწესო-რელიგიური რიტუალი, დამწყალობება//დალოცვა, ერთმანეთთან* და *საერო ყოფაში გადმოიტანა.*

აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ საქართველოში მევენახეობას საკუთარი მფარველი ღვთაება – აგუნა-ანგურა ჰყოლია (ბარდაველიძე, 1968: 12), რომლის კვალი გასული საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოში შემორჩენილ რიტუალში შემოინახა. ყურძნის სიუხვისათვის საგანგებო, უფუარ, ყურძნის ფორმის პურს აცხობდნენ, რომელსაც ოჯახის უფროსი ახალწლის დილით ვენახის რქაზე ჩამოკიდებდა ან ვაზთან გატეხდა. ამ პურს მტევანას ან აგუნას პურს ეძახდნენ. ის გარემოება, რომ პური აუცილებლად უფუარი//ხმიადი უნდა ყოფილიყო, რიტუალის არქაულობაზე მიუთითებს. ვ. ბარდაველიძე იმოწმებს, ასევე, რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებულ ვენახის საახალწლო მილოცვის წესს, როდესაც ოჯახის ერთი წევრთაგანი, ვენახში მიდიოდა და მაღალი ხმით შესთხოვდა აგუნას მოსავლის სიუხვეს (ბარდაველიძე, 1968: 13). საინტერესოა, რომ ანალოგიური რიტუალი ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს სახვა კუთხეებშიც. ზოგან კი, მაგ. იმერეთში, რიტუალურ პურს, მართალია, ახალწელს აცხობდნენ, მაგრამ ზემოხსენებულ შელოცვას დიდი ხუთშაბათის წინა საღამოს ამბობდნენ (ჭიაკოკონობა//არული კუდიანებს).

ქრისტიანულ დღესაწაულებზე (აღდგომა, ღვთისმშობლობა, ალავერდობა, ლომისობა და სხვა) გამართული რიტუალური სუფრები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ წინაქრისტიანულ ხანაში რელიგიურ ზეიმებზე გამართულ, მასობრივ ნადიმებთან.

ზემოაღნიშნული მასალა ადასტურებს, რომ ქართული მარანი მევენახეობა-მეღვინეობის სისტემაში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. იგი ნაყოფიერების, სიუხვისა და ზეციურ ძალებთან კავშირის საკულტო ნაგებობად აღიქმებოდა. ის იყო თითოეული კომლისათვის წმინდა ადგილი, სადაც სრულდებოდა რელიგიური რიტუალები (ნათლობა, ჯვრისწერა, ლოცვა-ვედრებისა და შეწირვის რიტუალი და ა.შ). აქვე ინახებოდა სხვადასხვა წმინდანის სახელზე დაყენებული და სადღეობოდ განკუთვნილი ზედაშე, იმართებოდა სუფრა. ამასთან, მარანი იყო ღვინისა და მისი მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ინვენტარის საცავი, რომელიც საქართველოს თითოეულ კუთხეში მაქსიმალურად იყო მორგებული ადგილობრივ კლიმატურ და ეკოსამეურნეო გარემოს. რა თქმა უნდა, კარგი იქნება მარნების მშენებლობა-რეკონსტრუქციაში დღემდე ყოფაში შემორჩენილი გამოცდილების გათვალისწინება.

## შედეგი

სტატიაში გაანალიზებულია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული ღვინის შესანახი სათავსოს (მარნისა) და საღვინე ინვენტარის განვითარების ეტაპები, ასევე ქართული სუფრის რეგლამენტის ელემენტები, რომლებიც ქართველთა ყოფაში დღემდე გვხვდება. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ლინგვისტური, არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემები ცხადყოფს,

რომ ვაზის კულტურა საუკუნეების მანძილზე ახდენდა გავლენას ქართველი ხალხის ცხოვრების წესზე და მკაფიოდ აისახებოდა მატერიალურ თუ სულიერ სფეროზე.

## დასკვნა

ქართული სუფრის რეგლამენტის ცალკეული ელემენტი, ასევე საუფლო ღვინის, ზედაშეს, დამზადების ტრადიცია ყოფაში უკანასკნელ დრომდეა შემორჩენილი. ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ლინგვისტური, არქელოგიური და ისტორიული მონაცემები ცხადყოფს, რომ ვაზის კულტურა საუკუნეების მანძილზე ახდენდა გავლენას ქართველი ხალხის ცხოვრების წესზე, რაც მკაფიოდ აისახებოდა მატერიალურ თუ სულიერ სფეროზე. აღსანიშნავია, რომ მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და თანამედროვე ყოფაშიც დიდ როლს ასრულებს.

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ტერმინ მარნის ფუძეში („მარ“) ქვევრის// ჭურის ძველი სახელწოდებაა, ადასტურებს ქართულ სინამდვილეში შემორჩენილი სასმისი მარანი. ესაა მრავალკომპონენტიანი მცირე ზომის ქვევრებისაგან *(„მარ“-ებისგან)* შედგენილი და ზიაჭურჭლის პრინციპზე დამზადებული სასმური, *„მარ“-ის* მრავლობითი, „ნარ“-იანი ფორმით.

საველე ეთნოგრაფიული მასალის, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ანალიზი გვაძლევს საფუძველს, რომ დავასკვნათ: *მარნები თავდაპირველად საცხოვრებელში უნდა ყოფილიყო განთავსებული.*

XX საუკუნიდან მოყოლებული, სამშენებლო საქმეში ახალი მასალების ფართოდ დანერგვამ თანდათანობით შეზღუდა მარნების მშენებლობაში ტრადიციული მასალების გამოყენება და გარკვეული ცვლილებები შეიტანა მარნების არქიტექტურაში, ინტერიერსა და საღვინე ინვენტარში.

## ბიბლიოგრაფია


აბაკელია, ნ. (1997). სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.

ბარდაველიძე, ვ. (1968). *აგუნა-ანგურა,* ძეგლის მეგობარი, #16, თბილისი.

გიაშვილი დ. (1961). *ქართული მარანი.* თბილისი.

გუგუშვილი, პ. (1951). *მევენახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801-1920 წწ.,* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. V. თბილისი.

თავდიშვილი, მ. (2015). *ღვინო ვენახი ვაზი (სიტყვათა ეტიმოლოგიური და კულტუროლოგიული ასპექტები),* თბილისი. გამომცემლობა ჰარმონია.

თომა კახელი (მთავრიშვილი). *სოფ. მუკუზანი* (კახეთი), 1887. მკათათვის 15-სა : დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი), წიგნში მევენახეობისა და მეღვინეობის ამბები XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე (2024). თბილისი.

თოფურია. ნ. (1984). *ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან* (მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები), თბილისი.

იოსელიანი, ხ. (2005). *სტუმარმასპინძლობის ტრადიცია სვანეთში,* თბილისი.

ლ. გ-შვილი. *ივრის ხეობა, ს. მანავი.* 1892. წიგნში მევენახეობისა და მეღვინეობის ამბები XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე (2024). თბილისი.

ლეკიაშვილი ა., (1972). შენ ხარ ვენახი, თბილისი.

მეგრელიძე, ი. (1971). *კვლავ დიონისე _ვაკხ_ ბახუს_ აგუნას კულტის შესახებ,* ქართული მევენახება-მეღვინეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენების თეზისები, თბილისი.

ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული (1991). ტ. 1, თბილისი.

რეხვიაშვილი, ნ. (1968). *საღვინე ჭურჭელი _ საწდე, სასმური.* ძეგლის მეგობარი, #16. თბილისი.

საქართველოს სიძველენი (1909). ტ.II, ტფილისი.

სურგულაძე, ირ. (2003). *მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში,* თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი.

ფრუიძე, ლ. (2016). *საქართველოს მევენახეობის და მეღვინეობის ისტორია,* წიგნი პირველი, თბილისი.

ღლონტი თ., გოლიაძე, ო. (2000). *ქართველები, ვაზი და პურ-ღვინო,* თბილისი.

ხუნდაძე, არკ. (1962). *ვენახი და მევენახეობა ქართულ პოეზიაში.* თბილისი.

ჭავჭავაძე, ი. (1907). *კაცია ადამიანი?!* . ტფილისი.

ჭილაშვილი, ლ. (2004). *ვენახი, ღვინო და ქართველობა.* თბილისი.

ჭითანავა, დ. (2022). *ზედაშეს კულტურა საქართველოში,* თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1946). *მასალები ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის,* I, *მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში,* თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1986). *საქართველოს ეკონომიური ისტორია* (წიგნი მეორე), ტ. V, თხზულებები 12 ტომად, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1976). *მასალები საქართველოს შინამრეწველობის ისტორიისათვის,* ტ. 1, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1989). *მასალები საქართველოს შინამრეწველობის ისტორიისათვის,* ტ. IV, ნაწ. III, თბილისი.

ჯანიაშვილი, ლ. (2017). *ტრადიციული და თანამედროვე ტენდენციები ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაში,* კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული #8, თბილისი.

Kvavadze, E., Jalabadze, M., Shakulashvili, №. (2010). *Arguments indicating the presence of wine in Neolithic pots from Georgia using the method of palinological and chemical analysis.* in: Proceedings of the XXXIIIrd World congress of Vine and Wine and the 8th General assembly of the International organisation of Vine and Wine, 20-25 June 2010, Tbilisi, Georgia, (ინტერნეტვერსია გადამოწმებულია 24.01.2025). https://www.researchgate.net/publication/31029488.



*ლავრენტი ჯანიაშვილი*
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

*Lavrenti Janiashvili*
PhD in History,
Senior Scientific Researcher,
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi State University.
E-mail: lavrenti.janiashvili@tsu.ge
ORCID-ID: 0000-0002-2053-8911









სურ. 1-2. მარნის ინვენტარი და საწნახელი. გ. ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი







სურ. 3-ბ. მარანი. XVIII საუკუნე. სოფელი კალაური. ფოტო – მ. მიქელაძე









სურ. 7-9. კახური მარანი. გრაფიკა. საქართველოს ს. ჯანაშიას ეროვნული მუზეუმი



# რაფიელ ერისთავი და ქართული კულტურის პარადიგმა

## აბსტრაქტი

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რაფიელ ერისთავის კულტურულ მემკვიდრეობაში გამორჩეულია მისი პოეზია, რომელშიც დომინირებს *გლეხთა თემა*. მათი ცხოვრების ამსახველი ლექსებიდან განხილულია რამდენიმე: *დედაენა, პურის მოსავალი, თინიას მამითადი, მევენახის სიმღერა, სესიას ფიქრები, სამშობლო ხევსურისა*. პოეტის მიერ ლექსებში შერჩეული სიტყვები, მათი ეტიმოლოგიური ანალიზი და კონტექსტი გვიჩვენებს იმგვარ მსოფლმხედველობრივ-მსოფლშეგრძნებით სიღრმეებს, სადაც იკითხება მრავალათასწლოვანი ქართული კულტურის პარადიგმა და მისი კონსტანტური ღირებულებები: *დიდი დედის, პურის და ღვინის, მიწისა და სიცოცხლის ხის* მსახურება და თაყვანისცემა, რაც უკვე შულავერის გორის უძველეს არქეოლოგიურ განათხარში (ძვ. წ. VI-V ათასწლეული) ერთობლივად წარმოჩნდა, როგორც ქართული კულტურის თავისებური *მატრიცა*.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიელ ერისთავი, პოეზია, პური, ღვინო, მიწა, ვაზი, სიცოცხლის ხე, პარადიგმა

# RAPHIEL ERISTAVI AND THE PARADIGM OF GEORGIAN CULTURE

## ABSTRACT

In the cultural legacy of the great Georgian writer and public figure Raphiel Eristavi, his poetry stands out, particularly for its focus on the theme of peasants. Among the poems reflecting their lives, several are discussed: *Dedaena* (Mother Tongue), *Puris Mosavali* (The Wheat Harvest), *Tinias Mamitadi* (Thinia's Father), *Mevenakhis Simghera* (The Vine Grower's Song), *Sesias Pikrebi* (Sesia's Thoughts), and *Samshoblo Khevsurisa* (The Homeland of the Khevsur). The words chosen by the poet in these poems, along with their etymological analysis and context, reveal a depth of worldview and perception in which the paradigm of millennia-old Georgian culture and its constant values can be discerned: the reverence and devotion to the Great Mother, bread and wine, the earth, and the tree of life. These elements had already emerged collectively in the ancient archaeological strata of Shulaveri Gora (6th-5th millennium BCE), forming a distinctive matrix of Georgian cultural identity.

**Keywords:** Raphiel Eristavi, Poetry, Bread, Wine, Life-giving land, Vine (grapevine plant), Tree of Life, Paradigm

## შესავალი

XX საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქართველმა ერმა იხილა დიდი აღმოჩენა: ქვემო ქართლში, შულავერის გორაზე, გაითხარა VI ათასწლეულის ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა უძველესი ქვევრი წითელი ღვინის ნალექითა და დაძერწილი ყურძნის მტევნით. აქვე იყო კულტურული ვაზის უძველესი წიპწა, თვრამეტამდე მარცვლეულით, მათ შორის – ხორბლის უძველესი სახეობები, დიდი დედის ქანდაკებები და თიხით ნაძერწი გუმბათური სივრცეების მრავლობითი საძირკვლები. ეს საკვირველი არქეოლოგიური განათხარი ჟამთა სიავეს უფლის ნებამ გადაარჩინა, რათა ათასწლეულთა შემდგომ ქართველი ერისათვის შეეხსენებინა მისი კულტურული პარადიგმა – ვაზისა და ხორბლის პირველსამშობლოობა, დიდი დედის ოდინდელი კულტი და მეხსიერება ცოდვით დაცემის გამო დაკარგული სამოთხისა. ეს განათხარი, უდავოდ, გაიაზრება, როგორც არტეფაქტებში განივთებული თავისებური „წინასწარმეტყველება“ ქართული კულტურისა, რომელიც ათასწლეულთა მანძილზე უწყვეტად იბადებოდა და ვითარდებოდა ავტოქტონური ერის მიერ. შულავერის აღმოჩენა ნამდვილად წინასწარუწყებაა ახალ აღთქმაში ქართველი ერის არსებობის საზრისისა: ხორბალი და ვაზი – წმინდა ზიარების მსახური, დიდი დედა-ღვთისმშობლის წილხდომილობის აღთქმა, ხოლო გუმბათური ფორმები კი – განკაცებული უფლის ჯვარცმა-აღდგომით კვლავ გახსნილი სასუფევლის მოლოდინი.

სწორედ ამ კულტურული პარადიგმის საკვირველი წარმოჩენა მოხდა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – რაფიელ ერისთავის მრავალმხრივ და ღრმა კულტურულ მემკვიდრეობაში. მოხსენებაში აქცენტს პოეზიაზე ვაკეთებთ, რომელშიც ქართული კულტურისათვის ძირეული თვისობრიობით – მინიმალიზმითაა გახსნილი ჩვენი უმთავრესი კულტურები: ხორბალი, ვაზი, მიწა და სიცოცხლის ხე. განსახილველად ვიღებთ ოთხ ლექსს.

## ლექსების ანალიზი

წინდაწინ უნდა ითქვას, რომ რაფიელ ერისთავს ენის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა: *ენით ცოცხალ ვარ, მით მიყვარს ლხენა, მიყვარს სამშობლოს მე ტკბილი ენა (დედაენა)*. მან ილია ჭავჭავაძესთან ერთად შეკრიბა, გადაამუშავა და გამოსცა *გლეხური სიმღერები, ლექსები* და *ანდაზები*, რომლის შესავალ წერილში რაფიელის მიერ ქართულ ხალხურ მეტყველებაზე საგულისხმო აქცენტებია დასმული, რადგან *მათში ხშირად გამოსჭვივის ბევრი მოსწრებული სიტყვა და აზრი, კეთილშობილური გრძნობა და ჩვეულება ხალხისა, ისმის მათში* ***ნამდვილი ქართული ენის ბრუნვა და მიმოხვრა***. ჩანს, პოეტისათვის ფოლკლორის ენა იყო ეროვნული მსოფლმხედველობა – მსოფლშეგრძნების ნამდვილი *ბანკი*. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი – ქართულ ენის გამარტივების ერთ-ერთი ნოვატორი – მიუხედავად გლეხთა ყოფა-ცხოვრების მესაიდუმლეობისა, არასოდეს გადასულა იმგვარ *ხალხოსნობაში*, რომლიდანაც შემდგომ, შეიძლება ითქვას, *პროლეტარიატის* კულტი წარმოიშვა.

სწორედ ენა, როგორც ქართული სულის ნამდვილი ბრუნვა და მიმოხვრა, ცხადად ჩანს ლექსში ***პურის მოსავალი.*** ერთი შეხედვით უბრალოა ეს ლექსი, მაგრამ უზუსტესად შერჩეული სიტყვების სემანტიკა საზრისის საკვირველ სივრცეებს ხსნის.

ლექსი 1881 წ. გამოქვეყნდა *ივერიაში*, 1901 წელს კი იმავე გაზეთში მას აკაკიმ უდიდესი შეფასება მისცა: *რაფიელის ლექსებში ერთი პატარა ლექსი ურევია,* ***პურის მარცვალი,*** *რომელიც ობოლი მარგალიტია მთელს ჩვენს მწერლობაში* -ო.

პირველი სტროფი: *ბიჭო, პური შემოსულა,*
*ღელავს, ბზინავს ოქროსფერად,*
*უფლის თვალი შიგ ტრიალებს,*
*მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ.*

უპირველეს ყოვლისა, ***ბიჭო პური შემოსულა*** და არა ***ყანა***. სიტყვის შერჩევაში ჩანს, რომ ყანის მთავარი მადლი, მისი შედეგი – პურია – კაცთა უპირველესი საზრდო როგორც ფიზიკურად, განსაკუთრებით კი – სულიერად, როგორც ქრისტეს მსხვერპლად გაღებული სხეულის მტვირთველობა წმ. ზიარებაში და რომ პური სწორედ ამგვარი სახელი იყო ქართველისათვის, ამაზე მეტყველებს არა მარტო უმდიდრესი თეოლოგიურ-ჰიმნოგრაფიული ტექსტები, არამედ ქართველი ერის სახელი *საზეპურო*, რაც ნიშნავს საზრდოდ ზეციური პურის, ანუ ქრისტეს სხეულის მიღებას.

შემდეგ: ***ღელავს, ბზინავს ოქროსფერად*** – აქ განსაკუთრებით საგულისხმოა პურისა და ოქროს დასაბამიერი, არქეტიპული კავშირი. საქმე ის არის, რომ უფალმა ადამი შექმნა პირველქმნილი, უცოდველი თიხა-მიწისაგან, მაგრამ დაცემის შემდეგ ქრისტეს განკაცებით შესაძლებელი გახდა ხრწნილი ბუნების აყვანა უხრწნელებაში, რისი თეოლოგიური სიმბოლოც *ოქროა*, იგივე *უქრობელობა*. ეს კავშირი უფალმა შესაქმეშივე ამგვარად გამოხატა – თიხაც და ოქროც – ორივე შექმნა, როგორც პირობითად *ყვითელი*, ოქროსფერია პურიც, ვინაიდან იმთავითვე ხორბალი და პური წინაგანგებული იყო, როგორც უფლის უხრწნელი ხორცის წინასახე. ამდენად, იქმნება საკვირველი – თიხა, სხეული, თავთავი, პური, ოქრო – გაერთიანებული ოქროსფერით ანუ ყვითელით (წმ. დიონისე არეოპაგელის მიხედვით – ყვითელი სინონიმია ოქროსფერისა).

მესამე პწკარია ***უფლის თვალი შიგ ტრიალებს*** – აქ რაფიელი ადის კიდევ უფრო მაღალ რეგისტრში, რადგან ოქროსფერ ყანაში უცებ ხედავს *უფლის თვალს*, ანუ ქრისტე-მაცხოვრის ენერგეტიკულ მყოფობასა და მაცოცხლებელ ბრუნვას (მახსენდება ვან-გოგის *კვიპაროსები*), რადგან თვალი – იგივე ბრუნვა და *ბორჯღალაა*. საგულისხმოა, რომ ყანაში ღვთის თვალი ჩანს რაფიელის კიდევ ერთ სულისშემძვრელ ლექსში ***თინიას მამითადი:***

*ჩამოითხოვა თინიამ*
*ოროლი მუჭა ხორბალი,*
*მოთესა, უცებ ზღვა გასკდა,*
*შიგ დატრიალდა* ***ღვთის თვალი.***

განსაკუთრებით დამაგვირგვინებელია ბოლო პწკარედი: ***მოდით, ნახეთ თუ არ გჯერათ***. აქ პოეტმა ოქროსფერი ყანა უფლის თვალით წარმოგვიდგინა, როგორც საკვირველი სურათი, სასწაული, მაგრამ ის არ კმაყოფილდება მხოლოდ ამ სასწაულის ინდივიდუალური განცდით, არამედ სახილველად იწვევს ყველას – კაცთა მოდგმას.

ამრიგად, ამ ერთ პატარა სტროფში მინიმალიზმით იხსნება ხორბლის ზოგადი საკაცობრიო საზრისი და მისი უნიკალური ქართული გააზრება. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სტროფი იმდენად გამოხატავს ეროვნულ ფენომენს, რომ იგი *გახალხურდა*. ცოტამ თუ იცის, რომ მასზე აიგო ცნობილი კახური სიმღერა *არხალალო* (ბიჭოვ, პური შემოსულა, ნამგალი, ბიჭებო, ნამგალი). ისევე, როგორც რაფიელის *გუთნური* ამღერდა *ოროველაში* (გადი, გამოდი, გუთანო).

რაფიელისეული ყანის განცდის მძაფრი გახსნა-განვითარებაა ვაჟას *გველისმჭამელში*. თუ პურის მოსავალი 1881 წელს გამოქვეყნდა, გველისმჭამელი 1901 წელს გასრულდა. ამ საკვირველ ნაწარმოებში უკვე კაცისა და ყანის მიმართება სხვაგვარად ღრმავდება. მინდია, პურის ყანაში *ციბრუტივით მოტრიალე*, დაქანცული ეცემა მიწაზე, რადგან მცენარეთა ენის მცოდნე მინდიას ესმის თავთავების იდუმალი ძახილი, სადაც გაცხადებულია მათი შესაქმისეული პირველ დანიშნულება – მომკან (ანუ მოკვდნენ), რათა იქცნენ **პურად**.

*არა, მე მომჭერ მინდიავ,*
*ნუ მტოვებ, შენი კვნესამე,*
*„არა მე“ – სხვა გაიძახის –*
*უფრო მაშინებს ზეცა მე.*
. . .
*ყანასა სეტყვა აშინებს,*
*კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,*
*თორემ, ვით ნამგალს, სეტყვასა*

*სით შეუძლიან წახდენა?!*
*კაცთ სარგოთ თავსა ჰზოგავენ*
*თავთავნი ოქროსფერანი,*
*არ სწადით ოხრად ლპებოდნენ,*
*ჰკენკდნენ ყვავნი და ძერანი.*

და ერთად ჟივიან ყველანი, რადგან: *ჰსურთ, პურად იქცნენ საჭმელად*
*რომ მალე გაძღნენ მშიერნი,*
*მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ,*
*ძალნი ვახსენოთ ციერნი.*

*გველისმჭამელის* III თავის ამ ბოლო სტროფს საკვირველად წინ უსწრებს რაფიელის *პურის მოსავლის* ბოლო სტროფიც:

მომკილი ყანა: *ყველას ეტყვის, ჯარს, ჯამაათს,*
*ეკურთხება მკვდრის საფლავი,*
*ჯალაბობაც გამოძღება –*
*არ მოგიკვდეს ჩემი თავი.*

ანალიზი გვიჩვენებს რაფიელისა და ვაჟას შორის ძლიერ სულიერ კავშირს, რადგან რაფიელმა გაამარტივა და გაახალხურა ქართული ენა გლეხთა მეტყველების შემოტანით. ვაჟას გენიას ამან დიდი სტიმული და საყრდენი მისცა, რათა თავისი სათქმელი ეთქვა ფშაურად – წრფელი, შეუბღალავი უბრალო მთის ხალხის დიალექტზე.

აი, რას წერს თავად ვაჟა 1896 წელს *ივერიაში*:

*რა თქმა უნდა, თ. რაფიელის ლექსებმა, როგორც საერთო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებური მთის კილოთი, სხვანაირად აიჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შეძრა იგი... მაგრამ ამ საერთო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული...*

*ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერთო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ ივერიამ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა.*

დამეთანხმებით, რაფიელ ერისთავს მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ამ ფაქტით ქართული სიტყვიერების წინაშე უკვე ვალმოხდილია.

რაფიელის შემოქმედებაში კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი, პარადიგმული სახე-სიმბოლოა ვაზი. ცნობილია, რომ პოეტი ვაზისა და ღვინის დიდი ქომაგი იყო. და ეს არც არის გასაკვირი, რადგან დაიბადა სოფ. ქისტაურში, რომლის ღვინო თავისი ხარისხით განთქმულია კახეთში. თავად ერისთავების სახლში დიდი ადგილი ეჭირა მარანს, რომელიც უხვად იყო მორთული ღვინოსთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ნივთებით. ამ მარანში იღებდნენ სტუმრებს, იმართებოდა დიდი პურობა და ლხინი. ცნობილია, რომ თავად რაფიელი ბრწყინვალე თამადა იყო, ხოლო ქართული ღვინის შეუბღალაობაზე იმდენად ზრუნავდა, რომ თბილისში გამართა სარდაფი, სადაც თავადვე ჰყიდდა კახურს, რათა დაეცვა იგი ფალსიფიკატორებისგან და რა გასაკვირია, რომ მის პოეზიაში ვაზი უბრალოებითა და დიდი სიღრმითაა წარმოჩენილი.

ლექსი ***მევენახის სიმღერა*** (*ივერია*, 1886). ამ ლექსს პოეტის თანამედროვეებმა მაღალი შეფასება მისცეს. დროება აღნიშნავდა: *ეს ლექსი ყველა ხალხური ლექსის გვირგვინია. უკეთესს ვერ ინატრებს ადამიანის გაუმაძღარი გული. ძნელია, გამოიხატოს ის სიამოვნება, ის ღელვა სულისა, რომელსაც ეს ლექსი აღძრავს მკითხველში.*

პირველი სტროფი: *ვაზის ჭირიმე, ვაზისა,*
*უფლისგან კურთხეულისა,*
*წითელი ღვინის დედაა,*
*გამხარებელი გულისა.*



***ვაზის ჭირიმე*** – ამ გამოთქმაში, ისევე, როგორც ქართულ სიტყვა „გენაცვალეში“ გამოთქმულია უდიდესი სიყვარული, რომელიც ამუღავნებს მზაობას, რომ შეეწირო სხვას – ადამიანს – ამ შემთხვევაში კი – ვაზს – ეს თითქოსდა უბრალო ფრაზა სისხლხორცეულად ქრისტესმიერია, რადგან უფალმა ხომ თავისივე ქმნილების გამოსახსნელად უმაგალითო გოლგოთა გაიარა.

***უფლისგან კურთხეულია*** – გრძელდება ვაზის განსაკუთრებულობის წარმოჩენა, მისი შესაქმისეული წინაგანგებულება კაცთა ხსნისათვის. და ისევ – ***წითელი ღვინის დედაა*** – წითელი ღვინო კი – ზიარების წინასახე – ჯვარცმული უფლის სისხლის მსახურია. და *გამხარებელი გულისა* – ისევ წმინდა წერილი, კერძოდ – ფსალმუნი: ***ღვინო ახარებს გულსა კაცისასა***.

*ვაზო, შვილივით ნაზარდო,*
*ულვაშებ გადგიგრეხია.*

ეს ფრაზა ამოზრდილია ვაზის ძირეული *ანთროპომორფულობისაგან.*

ეს მცენარე უფალმა იმგვარად შექმნა, რომ ბევრი ნიშნით ადამიანის ცხოვრებას იმეორებს – იგი ხვიარაა და თუ ჭიგო არ შეუყენე, ფეხზე ვერ გაიმართება, ისევე, როგორც ადამიანი ჭეშმარიტების ცნებების გარეშე. ქართველმა კაცმა გვიან გასხლული ვაზის წვენის დენას *ვაზის ტირილი* უწოდა – თითქოს გვიან მონანიებული ცოდვების ანალოგიით. ქვევრში ღვინის დაყენების ქართული წესი კი ქრისტეს გოლგოთაზე სიკვდილს, საფლავად დადებასა და შემდგომ მკვდრეთით აღდგომასა ჰგავს, რადგან დაწურული ყურძენი ერთი თვისობრიობით იმარხება ქვევრში, რომელიც ადამიანივით, თიხისგანაა შექმნილი, ხოლო როდესაც ქვევრი იხსნება – ამოდის, იბადება უკვე ღვინო – ახალი თვისობრიობა, რომელიც მზაობაა, რომ იტვირთოს უფლის სისხლი.

*ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა,*
*შუაზე გადგიტეხია,*
*თუ დაგიზურგავს ყურძნითა,*
*ვერ გაუძლია ბეჩავსა,*
*რად არ ამკიდე, ვზიდავდი,*
*არ დავზოგავდი მე თავსა.*

კაცის მზაობა – ზიდოს ვაზის ტვირთი – არ შეიძლება, არ გაგახსენდეს გოლგოთის გზაზე ჩაჩოქილი მაცხოვარი და იქვე სვიმონ კვირინელი, რომელსაც უფლის ჯვარი ბოლომდე მიატანინეს. რაფიელი კი თავად აცხადებს მზაობას ვაზის ჯვრის ზიდვისა – უდიდესი წრფელი ქრისტესმიერი სიყვარული ჩანს.

***„შენი ზედაშის“ მადლს ვფიცავ*** – ისევ საკრალური კავშირი უფალთან, ლოცვასთან და შეწირულობასთან.

*გაგფურჩქნო, გაგალამაზო,*
*როგორც რომ პატარძალია.*

საგულისხმოა, რომ პოეტთან ვაზს აქვს უნივერსალური ანთროპომორფული თვისებები – მას ხან მამაკაცივით ულვაში აქვს გადაგრეხილი, ხან კი პატარძალივით მორთულია – ალუზია სძალი უფლისასი – ეკლესიისა.

ქართული პარადიგმის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოს – მიწის სიღრმისეული წარმოჩენაა ლექსი ***სესიას ფიქრები*** (*ივერია*, 1886).

*მიწა ვარ ნიადაგ მენა,*
*ბეჩავი, გლეხად შობილი,*
*მიწაა ჩემი დედ-მამა,*
*ჩემი და, ჩემი ძმობილი...*
*ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა*
*ე შრომა მაინც ფუჭია,*

*ვერ გარდვირჩინე წლის სარჩო,*
*ვერ გამოვიძღე კუჭია...*
*მიწის პატრონიც მე მწიწკნის,*
*ჭინჭველაც ჩემი მტერია,*
*მოხელე, მღვდელი და ერი,*
*ყველა მე შემომცქერია...*
*ნეტავი გამაგებინა,*
*როდისღა მომასვენებენ?*
*ვერ მოვესწრები მგონია,*
*სანამ არ გამასვენებენ!...*

განსაკუთრებულია პირველივე სტროფი – სესია, რომელიც თავს განიცდის, როგორც მიწას. თითქოს მასში გაცოცხლებულა ადამისეული პირველმეხსიერება თიხისგან შექმნილობისა. სახე კიდევ უფრო ძლიერდება მიწის სხვა სახელით – ნიადაგით. ნიადაგი ხომ მიწის სიღრმისეული მყარი შრეა, ხოლო ეს ფუძე ქცეულა ვითარების გარემოებად – ***ნიადაგ*** – ანუ ***მარადის*** (სულხან-საბა), ***ნიადაგი*** – მარადის მყოფი (სულხან-საბა); მიწა – ქვეყნის ნაწილი (სულხან-საბა). ამასთანავე, სულხან-საბას მიხედვით, „მარადის“ – იგივეა, რაც „მიწყივ“ – ანუ უწყვეტად.

***მიწა – ნიადაგი – მარადიული – მიწყივი – უწყვეტი:*** სიტყვათა ეს ჯაჭვი გვიჩვენებს მიწის, როგორც ოთხი პირველსტიქიიდან ერთ-ერთის ფენომენობას. იგია სიმბოლო ზოგადად მატერიის ბრუნვისა, რადგან მიწა – სტიქია – ამასთანავე ოთხივე სტიქიის, როგორც მატერიის გამაერთიანებელი ცნებაა. ***მატერ – დედა.*** ბერძნულ მითოლოგიაში ხომ მიწისგან – ანუ გეასგან დაიბადა ყოველივე – თვით ცა – ურანოსიც კი. მიწის, როგორც უნივერსალური სტიქიის განსაკუთრებული შეგრძნებაა ქართულ კულტურაში. დიდი დედის კულტი ან გეორგიანელობა მხოლოდ მიწათმოქმედებას კი არ გულისხმობს, არამედ სრულიად ნივთიერი ქმნილების – კოსმოსის შეგრძნებას, რაც არაჩვეულებრივად ამოიკითხება თუნდაც ქართულ სახვით ხელოვნებაში. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ეკლესიებზე, რომელთა ქვიშაქვის უწყვეტი კედლის სიმქრქალე და *ხაოიანობა* მიწის მეტაფორაა. მისგან ამოზრდილი რელიეფური სახეები კი მიწის, როგორც *პირველსტიქიის* დანაბადია.

აი, სწორედ მიწად – უნივერსალურ პირველსტიქიად განიცდის თავს ჩვენი საწყალი გლეხი სესია, რომლისთვისაც მიწა გამხდარა დედ-მამა და და-ძმაც კი.

დაბოლოს, წუთისოფლის ამაო ბრუნვითა და უსამართლობით დაღლილი სესია საბოლოოდ სასოებს სიკვდილზე, როდესაც მიწისგან შექმნილი კაცი მიწადვე მიიქცევა.

რაფიელ ერისთავის ყველაზე დიდი ქმნილებაა ლექსი *სამშობლო ხევსურისა* (*ივერია*, 1881 წ.) – ჰიმნი პატრიოტიზმისა. განვიხილავთ მხოლოდ მის რეფრენს:

*არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,*
*არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.*

ჩვენ მიერ აღებული გეზით გამოვკვეთთ სიტყვებს: *უკვდავების ხე* და *სამოთხე*. ეს ცნებები, მსგავსად ხორბლისა, ვაზისა და მიწისა, პარადიგმულია საქართველოსთვის, სადაც ქვეყნის ცენტრალური სიწმინდე – სვეტიცხოველი – საკრალურად დაქარაგმებული სიცოცხლის ხე – იგივე სამყაროს ღერძი – ევრაზიის ცივილური ცენტრია, მაგრამ ამ ფონზე, უცებ, სამშობლოს სახელით პოეტი თითქოს უარს ამბობს სიცოცხლის ხეზე, როგორც უპირველეს ღირებულებაზე. მაგრამ – არა! აქ იგულისხმება ამ უპირველესი საკრალიის სეკულარული გადააზრება, რასაც ამტკიცებს კიდეც მეორე პწკარში „სხვა ქვეყნის სამოთხის“ ხსენება. სამოთხე კი ერთადერთია. ეჭვგარეშეა, მგოსანი „სიცოცხლის ხესა“ და „სამოთხეში“ გულისხმობს კეთილდღეობასა და ფუჭ სიცოცხლეს, ანუ ფსევდოღირებულებითობას. თავის დროზე, ალბათ, პატრიოტიზმის ეს მხურვალე ჰიმნი რაფიელ ერისთავის გულიდან აღმომხდარი ნაკადი იყო, სადაც ხევსურის ენით ალაპარაკებულა ქრისტესა და ქრისტეს საქართველოსთვის თავგანწირული ქართული მეომრული სული, რომლისთვისაც კეთილდღეობა და ფუფუნება დაუშვებელი საცთურია.

სავალალოდ, დღეს, როდესაც საქართველოდან გადახვეწილა მილიონზე მეტი ქართველი სხვადასხვა მიზეზით: სიდუხჭირისა თუ უპასუხისმგებლობის გამო, რაფიელის ეს ლექსი განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს.

დაბოლოს, სამწუხაროდ, კიდევ უფრო აქტუალური გამხდარა მისი ლექსი *კაცი ის არის*, რომლის ერთმა სტროფმა ჩემში განგაშის ზარი დარეკა:

*კაცი ის არის, ვინც მამულს*
*ეტრფის და ეთაყვანება,*
*ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,*
*ვერც მისი მკაცრი ბრძანება.*
ივერია, 1886 წელი

## დასკვნა

ამგვარად, ჩვენი მოხსენება წარმოჩენს რაფიელ ერისთავის პოეზიას, როგორც ქართული კულტურული პარადიგმის ღრმა და ავთენტურ გამოხატულებას. შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა, როგორ ასახავს პოეტის შემოქმედება საქართველოს უძველესი კულტურული იდენტობის ოთხ ფუძემდებლურ სიმბოლოს: **ხორბალს, ვაზს, მიწას და სიცოცხლის ხეს**. ცხადია, რაფიელ ერისთავის ერთი დიდი ღირსება **ენობრივი ინოვაციაა.** მან ქართული პოეზია გაამარტივა და გაახალხურა, თუმცა მისი მინიმალისტური ენა ღრმა თეოლოგიურ და ფილოსოფიურ შინაარსს მალავს. გაანალიზებულ ლექსებში მინიმალური გამოსახულებითი საშუალებებით იხსნება ხორბლისა და ვაზის ქრისტოლოგიური განზომილება, მიწის უნივერსალური სტიქიური არსი და პატრიოტიზმის უმაღლესი გააზრება. პოეტის ლექსებში საერო და საკრალური ორგანულად არის შერწყმული, რითაც ქართული კულტურის ღრმა ქრისტიანულ ბუნებას ასახავს და დღესაც აქტუალურია.

## ბიბლიოგრაფია

ერისთავი, რ. (1974). *თხზულებანი: ლექსები, პოემები* [შეადგინა, წინასიტყვ. შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. ალანიამ]. თბილისი: *ნაკადული.*

ოქროპირიძე ა. (2010). *ვაზი – სიცოცხლის ხე*, კრებული *ვაზი – სიცოცხლის ხე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

*ლ. რჩეულიშვილი – 100.* (2009). სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი.

*ასმათ ოქროპირიძე*
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ცენტრი

*Asmat Okropiridze*
PhD in Art History
G. Chubinashvili Centre of Art Studies
ORCID-ID: 0009-0004-9409-5043



## 2023-2025 წლების პერიოდში რაფიელ ერისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით განხორციელებულ აქტივობათა ჩამონათვალი

საქართველოს უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად, დიდ ინტერესს იჩენს და ხელს უწყობს ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებასა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. საქართველოს უნივერსიტეტის ძალისხმევითა და ხელშეწყობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხორციელდება არქეოლოგიური და საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. რაფიელ ერისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით არაერთი აქტივობა განხორციელდა. წარმოვადგენთ ამ ღონისძიებათა ჩამონათვალსა და მათ შინაარსს:

### რაფიელ ერისთავის სახელმწიფო მუზეუმისა და სამუზეუმო კოლექციების მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა სპეციალისტების დაზვერვითი ექსპედიციები:

საქართველოს უნივერსიტეტსა და რეგიონალური მუზეუმების განვითარების ასოციაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში:

მივლინება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქისტაურის რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში არქიტექტორ-რესტავრატორის, ისტორიკოსის, ხელოვნებათმცოდნეების, რესტავრატორის *(ნ. ბაზუნიშვილი, ე. კაჭარავა, ი. დოლიძე, თ. თევდორაშვილი, ა. შეროზია)* მონაწილეობით.

მივლინების ფარგლებში განხორციელდა სამუზეუმო ნაგებობის, საექსპოზიციო სივრცეების, ფონდსაცავისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება და მდგომარეობის შეფასება, ექსპონატების *(მემორიალური ნივთების, ხელნაწერების, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების, ფოტოების კოლექციები)* დათვალიერება-მდგომარეობის შეფასება და ფოტოფიქსაცია; სარესტავრაციო ექსპონატების ატრიბუცია-კლასიფიკაცია და სარესტავრაციო საჭიროებების განსაზღვრა; სოფ. ქისტაურში ერისთავების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დათვალიერება და მდგომარეობის შეფასება.

საქართველოს უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულებების *(ეთნოლოგი – თ. ღუდუშაური, არქეოლოგი – დ. ბერიკაშვილი, ისტორიკოსი – ე. კაჭარავა, არქიტექტორები – ნ. ლაღიძე, ლ, შაშიაშვილი, სადიპლომო ნაშრომზე მომუშავე სტუდენტები)* და ასევე მოწვეული *(არქიტექტორ-რესტავრატორი – ნ. ბაზუნიშვილი, არქიტექტორი – გ. ციციშვილი)* სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჯგუფის სამუშაო მივლინება სოფ. ქისტაურის რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში დაზვერვითი სამუშაოების ჩასატარებლად.

მივლინების ფარგლებში მოხდა სამუზეუმო ნაგებობისა და მუზეუმის ბაღის დეტალური დათვალიერება, შეფასდა არსებული მდგომარეობა და განისაზღვრა საჭიროებები, რომელთა შორისაა – მემორიალური ნაგებობისა და მასში განთავსებული მარნის ავთენტური მოცულობის განსასაზღვრად არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაბამისი კვლევების ჩატარება და ამ კვლე-

ვების საფუძველზე საინჟინრო, სამუზეუმო ნაგებობის, ახალი მოცულობისა და ბაღის პროექტების მომზადება.

განხორციელებული მივლინებების შემდგომ, საჭიროებების საფუძველზე, განისაზღვრა სამოქმედო გეგმა, რასაც შემდეგი კონკრეტული ქმედებები მოჰყვა:

## რ. ერისთავის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურული მოწყობა

2023 წელს საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის არქიტექტურისა და დიზაინის დეპარტამენტის სტუდენტებმა: მაია მეხეშიძემ, გიგა ნინიკელაშვილმა, ნათელა ქავთარაძემ და ნატალია გულუამ, ჩვენი რეკომენდაციით, სადიპლომო ნაშრომის თემად *რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმი* შეარჩიეს. სადიპლომო თემის ხელმძღვანელი იყო ამავე უნივერსიტეტის ლექტორი, არქიტექტორი ლალი შაშიაშვილი. სტუდენტებს კონსულტაციას უწევდნენ მოწვეული სპეციალისტები – არქიტექტორ-რესტავრატორი ნიკოლოზ ზაზუნიშვილი და არქიტექტორი გია ციციშვილი, ასევე, სამუზეუმო შინაარსის მიმართულებით, საქართველოს უნივერსიტეტის თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიკოსი ეკა კაჭარავა.

შედეგად მომზადდა სადიპლომო ნაშრომი სახელწოდებით – *რ. ერისთავის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურული მოწყობა*. სადიპლომო ნამუშევარი დამტკიცებულია საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის სადისერტაციო საბჭოს მიერ.

№1. რენდერები














სახლ-მუზეუმის პირვანდელი სახის ჩანახატი არქივიდან









რ. ერისთავის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურული მოწყობა რენდერები

საქართველოს უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის არქიტექტურისა და დიზაინის დეპარტამენტის სტუდენტების – მაია მეხეშიძის, გიგა ნინიკელაშვილის, ნათელა ქავთარაძის, ნატალია გულუას სადიპლომო ნაშრომი. მენტორი – ლალი შაშიაშვილი, კონსულტანტები – არქიტექტორ-რესტავრატორი ნიკოლოზ ზაზუნიშვილი და არქიტექტორი გია ციციშვილი.

სტუდენტებს არქიტექტურულ და დიზაინერულ გადაწყვეტებში სრული თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული. ცხადია, სადიპლომო ნაშრომის სახით წარმოდგენილი პროექტი არ არის და ვერც იქნება სრულყოფილი. პროექტის რეალური განხორციელების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ხელახალი დაზვერვითი სამუშაოები და კვლევა, მოსამზადებელია სრულ-


ფასოვანი საინჟინრო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემებს, უსაფრთხო და ნორმებთან შესაბამის ელექტროსისტემას, ტენიანობის კონტროლის უზრუნველყოფას, გამართულ წყალმომარაგების სისტემას, მუზეუმისა და კაფეს ინდივიდუალურ სეპტიკურ საკანალიზაციო სისტემას, უნივერსალურ ხელმისაწვდომობას და მრავალ სხვას.

ამასთანავე, განსხვავებულია ჩვენი ხედვა საექსპოზიციო სივრცის ინტერიერის, ახალი მოცულობისა და ბაღის ლანდშაფტის დიზაინის შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, სტუდენტების მიერ მომზადებული სადიპლომო პროექტი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია XIX საუკუნის კახური საერო საცხოვრებლისა და მიმდებარე ბაღის ავთენტური იერსახის აღსადგენად. სადიპლომო ნაშრომი მომავალი სარეაბილიტაციო სამუშაოების ფუნდამენტად იქცევა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ სადიპლომო ნამუშევრიდან რენდერების ნაწილის გამოქვეყნება.

№2. რენდერები









## საარქივო და საბიბლიოთეკო რესურსები

- საქართველოს უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, დასკანერდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული რაფიელ ერისთავის პირადი არქივი, რომელიც 1097 ერთეულისაგან შედგება;
- საქართველოს უნივერსიტეტისა და გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლობის ფარგლებში, დასკანერდა გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძის საარქივო მასალები *(დოკუმენტაცია, მათ შორის ეპისტოლური მემკვიდრეობა, ავტოგრაფები)* და რ. ერისთავის ქისტაურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული რ. ერისთავის საარქივო მასალა *(დოკუმენტაცია, ავტოგრაფები, ფოტომასალა)*;

- კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლის, ეთერ ბერუაშვილის დახმარებით, მიმდინარეობს ძნელად გასარჩევი რუსულენოვანი მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობის გაშიფვრა. ამ მასალების სახით ქართული ისტორიოგრაფია XIX საუკუნის მნიშვნელოვან პირველწყაროებს შეიძენს.
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლის, მაია მიქაბერიძის დახმარებით მომზადდა რ. ერისთავის სრული ბიბლიოგრაფია, რომელიც შეიცავს როგორც რ. ერისთავის ნაშრომებს, ასევე, მის შესახებ არსებულ სრულ ბიბლიოგრაფიას;
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის ფარგლებში, გადმოგვეცა რ. ერისთავის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაცემული პირადი ბიბლიოთეკის აღწერა.

## ფოტოკოლექცია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და კერძო კოლექციების საფუძველზე შეიქმნა ერთიანი ფოტოკოლექცია *(მემორიალური ფოტოები და ექსპონატები).*

## რესტავრაცია

**რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მემორიალური ფოტოკოლექცია**

ქისტაურში, რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში, ექსპოზიციაში წარმოდგენილი და ფონდსაცავში დაცული კოლექციები, მუზეუმის შენობაში არსებული არასათანადო პირობების გამო, მეტად მძიმე მდგომარეობაში და პრაქტიკულად, განადგურების საფრთხის წინაშე იყო. ჩვენი ინიცირებით, სხვადასხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობით, რისთვისაც თითოეულ მათგანს მადლობას მოვახსენებთ, საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ სხვადასხვა შინაარსისა და ტიპის ექსპონატებს.

## ფოტოკოლექცია

**2024 წელს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით**

საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა და შემდგომ სრულად დასკანერდა მუზეუმში (როგორც საექსპოზიციო, ისე ფონდსაცავში დაცული) ფოტოკოლექცია. ფოტოკოლექცია კონსერვაციის შემდგომ, დაცვა-შენარჩუნების მიზნით, სპეციალურ ყუთებში განთავსდა და ქისტაურის მუზეუმს დაუბრუნდა. აღნიშნული სამუშაოს უსასყიდლო განხორციელებისათვის მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას, ხოლო სპეციალური შესაფუთი მასალებით უზრუნველყოფაში დახმარებისათვის ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას მუზეუმის თანამშრომელს, რესტავრატორ ფრიდონ ლობჟანიძეს. შედეგად, რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მემორიალური ფოტოკოლექცია განადგურების საფრთხეს გადაურჩა.

## შეჩნეული და გრაფიკული ნამუშევრები, ხელნაწერები

საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები განახორციელა გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის რესტავრაციის განყოფილების ხელმძღვანელმა, კონსერვატორ-რესტავრატორმა ირაკლი ვართაგავამ.





## ხელნაწერების მიმართულებით –


რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმის ფონდსაცავში დაცულია რ. ერისთავის *თარგმნითი – ქართულ-რუსული – ხელნაწერი ლექსიკონი.* რ. ერისთავი ამ ლექსიკონზე სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა, რასაც მისი ქალიშვილის – ფეოდოსია (ფოსია) ერისთავის – მოგონებაც მოწმობს. ქალიშვილის გადმოცემით, ავადობისგან დაუძლურების მიუხედავად, მის ხელნაწერ ლექსიკონს ყოველდღიურად ერთი-ორი სიტყვა მაინც ემატებოდა. ნაშრომის საბოლოოდ დასრულება რ. ერისთავმა ვერ შეძლო. ლექსიკონის ამ მნიშვნელოვან, შეუსაბამო პირობებში დაცულ, განადგურების საფრთხის წინაშე არსებულ ხელნაწერს რესტავრაცია არასდროს ჩატარებია. სალექსიკონო ხელნაწერები საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შემდგომ ახალ ყდებში ჩაისვა და ისე დაუბრუნდა ქისტაურის მუზეუმს.

საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ასევე რ. ერისთავის სხვა ავტოგრაფებს, რაფიელის დის ანა (ნანო) ერისთავი-ჭავჭავაძის წერილს, აკაკი წერეთლის ლექსის ავტოგრაფს.

**რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში დაცული სარესტავრაციო ავტოგრაფები**







## ფერწერის მიმართულებით

რ. ერისთავის ქისტაურის ახლადშექმნილ სახელმწიფო მუზეუმს, რ. ერისთავის ქალიშვილის, ანასტასია (ტასო) ერისთავი-კახიძის ავტორობით შესრულებული ორი ფერწერული ნამუშევარი – ნატურმორტი – ***ატმები*** (ზეთი, ტილო/ მუყაო) და მეორე – ***ჩიტები ბუდეში*** (ფერწერა, ტილო/ მუყაო) რ. ერისთავის შვილთაშვილმა, გიორგი (პიკო) ყიფიანმა გადასცა. ორივე ფერწერულ ნამუშევარს სარესტავრაციო ლაბორატორიაში შესვლისას აღენიშნებოდა კიდეების დეფორმაცია და აქედან გამომდინარე, ფერწერული ფენის მრავლობითი დანაკარგები. ნამუშევრებს ჩაუტარდა ზედაპირული წმენდა, გამაგრდა ფერწერული ფენა, გასწორდა დეფორმირებული ადგილები, ტონირების შემდგომ დაიფარა დამცავი ლაქით. ასევე, სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ნამუშევრის ***ჩიტები ბუდეში*** და რაფიელ ერისთავის მეუღლის, თეოდოსია ერისთავის პორტეტის ჩარჩოებს.

ანასტასია (ტასო) ერისთავი-კახიძის ავტორობით შესრულებული ფერწერული ნამუშევარი – ნატურმორტი ატმები (ზეთი, ტილო/მუყაო)








ანასტასია (ტასო) ერისთავი-კახიძის ავტორობით შესრულებული ფერწერული ნამუშევარი ჩიტები ბუდეში (ფერწერა, ტილო/მუყაო)









## გრაფიკის მიმართულებით

საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა მხატვარ ლადო გუდიაშვილის გრაფიკულ სერიას, რომელიც იგავ-არაკების თემაზე შექმნილი 7 ერთეულისგან შედგება (მასალა ტუში, ქაღალდი/ფირფიცარი). გრაფიკული ნამუშევრები ქარხნული წნეხით ფირფიცარზეა დაკრული, რასაც არასათანადო პირობებში დაცულობა დაემატა და შედეგად მრავლობითი მერქანმჭამელი მწერების საფრენი ხვრელების წარმოქმნა განაპირობა. აღნიშნული, დაზიანებასთან ერთად, მეტად უარყოფითად აისახა ვიზუალურ მხარეზე. ნამუშევრები გაიწმინდა და დამუშავდა სადეზინფექციო ხსნარით. სამწუხაროდ, ვიზუალური მხარის გაუმჯობესება შეუძლებელი აღმოჩნდა.

საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდა თანამედროვე რესტავრაციის სტანდარტების შესაბამისად, მომზადდა რესტავრაცია-კონსერვაციის დოკუმენტაცია, რის შემდეგაც რესტავრირებული ექსპონატები დაუბრუნდა რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმს.

ლადო გუდიაშვილის ავტორობით იგავ-არაკების თემაზე შექმნილი გრაფიკული სერია (მასალა ტუში, ქაღალდი/ფირფიცარი)










*თსსა აკადემიის რესტავრაციისა და კონსერვაციის სახელოსნო/ლაბორატორიასა და ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურს შორის თანამშრომლობით*

სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები განახორციელეს რესტავრატორ-კონსერვატორებმა ოლია ხაჩიძემ, მარიამ იმედაშვილმა და სოფიო ქემოკლიძემ.

## ფერწერის მიმართულებით

2025 წლის მაისში, რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში (ქისტაური) დაცულ ორ ფერწერულ ნამუშევარს თსსა აკადემიის რესტავრაციისა და კონსერვაციის სახელოსნო/ლაბორატორიაში ჩაუტარდა რესტავრაცია. ჩატარებული სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად, რესტავრირებულია რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმში (ქისტაური) დაცული რაფიელ ერისთავის ორი ფერწერული პორტრეტი. ერთი მათგანის, სახელწოდებით, ***რაფიელ ერისთავი სიცოცხლის ბოლო წლებში,*** ავტორია **გიგო ტარიელაშვილი**. ნამუშევარი 1908 წლით უნდა იყოს დათარიღებული. (მასალა/შესრულების ტექნიკა: ტილო/ზეთი; ზომები: 84,5/52,2; ეტიკეტი/წარწერები: ჩარჩოზე მიკრულია მუზეუმის საინვენტარო ნომერი, ფერწერის მხარეს მარჯვენა ქვედა კუთხეში ავტორის ხელმოწერაა).


რესტავრატორ-კონსერვატორების მიერ მომზადებული რესტავრაცია-კონსერვაციის დოკუმენტაციის თანახმად, ნამუშევრის დაცულობის მდგომარეობა სახელოსნოში შესვლის დროისათვის მეტად არასახარბიელო იყო. ნამუშევარს აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის მრავლობითი დაზიანება – საფუძვლის დეფორმაცია, ფერწერული ფენის გაფხვიერება, ზედაპირზე ჰორიზონტალური ბზარები, ფერწერის დანაკარგები. ფერწერული ზედაპირი დაბინძურებული იყო ზედაპირული ნადებით. ზედაპირზე ლაქის ფენა თითქმის აღარ იყო შერჩენილი. დაზიანებული იყო დეკორატიული ჩარჩო.

რესტავრატორ-კონსერვატორთა აზრით, დაზიანებათა მთავარი მიზეზი არასათანადო შენახვის პირობები და ამ პირობებით გამოწვეული საფუძვლის, ანუ ფირფიცრის დეფორმაციაა, რამაც თავის მხრივ ტილოს დეფორმაცია და ფერწერულ ფენაზე ჰორიზონტალური ბზარები და ფერწერის დანაკარგები გამოიწვია.


რესტავრატორ-კონსერვატორების მიერ ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე ნამუშევრის მდგომარეობისა და დაზიანებების სიმძიმის შეფასების შემდგომ, მომზადდა ფოტოდოკუმენტაცია, ჩატარდა შესაბამისი სარესტავრაციო სამუშაოები; კერძოდ, თეჯხის 6 % იანი წებოს და საკონსერვაციო ქაღალდის საშუალებით გამაგრდა ფერწერული ფენა. ფერწერის ზედაპირზე პროფილაქტიკური ფენის დაკვრის შემდეგ შესაძლებელი გახდა საფუძვლის – ფირფიცრის დეფორმაციის გასწორება. დანესტიანებული ნამუშევარი რამოდენიმე დღით პრესში იყო განთავსებული. საფუძვლის გასწორების შემდეგ მოიხსნა საპროფილაქტიკო ქაღალდი, დანაკარგები შეივსო გრუნტის ფენითა და ტონირებით. ამის შემდგომ, რესტავრაცია ჩაუტარდა ჩარჩოს, რომლის დანაკარგებიც თაბაშირის გრუნტით შეივსო, დაზიანებული ორნამენტები

წებოს საშუალებით გამაგრდა და საღებავის ფენით დაიფარა. საბოლოოდ, რესტავრირებული ფერწერული ფენა და ჩარჩო დაიფარა ლაქის დამცავი ფენით.


ფერწერული პორტრეტი რაფიელ ერისთავი სიცოცხლის ბოლო წლებში, ავტორი გიგო ტარიელა-შვილი. ნამუშევარი 1908 წლით უნდა იყოს დათარიღებული. მასალა/შესრულების ტექნიკა: ტილო/ზეთი; ზომები: 84,5/52,2.


















საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ასევე, ამავე მუზეუმში დაცულ, ***გიორგი ჯაშის*** ავტორობით შესრულებულ **რაფიელ ერისთავის მეორე ფერწერულ პორტრეტს.** ნამუშევარი 1950 წლითაა დათარიღებული. (მასალა/შესრულების ტექნიკა: ტილო/ზეთი; ზომები: 134x107,5; ეტიკეტი/წარწერები: ჩარჩოზე მიკრულია მუზეუმის საინვენტარო ნომერი, ფერწერის მხარეს მარჯვენა – ზედა კუთხეში ავტორის ხელმოწერა და თარიღია).

**ფერწერული პორტრეტი რაფიელ ერისთავი, ავტორი გიორგი ჯაში.** ნამუშევარი 1950 წლითაა დათარიღებული. მასალა/შესრულების ტექნიკა: ტილო/ზეთი; ზომები: 134x107,5.









რესტავრატორ-კონსერვატორების მიერ მომზადებული რესტავრაცია-კონსერვაციის დოკუმენტაციის თანახმად, ამ ფერწერული ნამუშევრის დაცულობის მდგომარეობაც სახელოსნოში შესვლის დროისათვის მეტად არასახარბიელო იყო. მას აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანება, კერძოდ: წინა რესტავრაციის უხეში ჩარევები და ქვეჩარჩოს საფუძვლისა და ფერწერის ფენის დაზიანებები. ამასთანავე ქვეჩარჩოს მერქანჭამია ხოჭოს საფრენი ხვრელები აღენიშნებოდა, რამაც ახალი ქვეჩარჩოთი ჩანაცვლების საჭიროება გამოიწვია. თავის მხრივ, ფერწერის ფენას აღენიშნებოდა ფერწერული ფენის დეფორმაცია, აქერცვლა – გაფხვიერება და ბზარები; ზედა კიდეში, ცენტრალურ ადგილას, ლურსმნის კვალი და საფუძვლის (ტილოს) დანაკარგი. ასევე რამოდენიმე ადგილას, იქ სადაც ძველი საკერებლები იყო დამაგრებული, სრული დანაკარგი. ამ ადგილებში შეინიშნებოდა წებოს (რომლითაც ტილოს საკერებლები იყო დაფიქსირებული) ფერწერის ზედაპირზე გამონაჟონი, რამაც, თავის მხრივ, ფერწერული ფენა მეტად დააზიანა. პორტრეტის ხელის თითებთან, ფერის ფენა სრულად იყო განადგურებული და მხოლოდ გრუნტის ფენა იყო შემორჩენილი. ლაქის ფენა ფერწერულ ფენაზე თითქმის სრულად გამქრალიყო. ნამუშევრის ზედაპირზე ზედაპირული დაბინძურების კვალიც ფიქსირდებოდა. ამდენად, ფერწერული პორტრეტი სასწრაფო სარესტავრაციო-საკონსერვაციო ჩარევას საჭიროებდა.

რესტავრატორ-კონსერვატორთა აზრით, დაზიანებათა გამომწვევი მთავარი ფაქტორი თანამედროვე რესტავრაციის სტანდარტებთან შეუსაბამო ძველი რესტავრაციაა (საკერებლების უხეშად, არასარესტავრაციო წებოს სქელი ფენით დაწებება, რამაც ფერწერის ფერის ფენა სრულად დააზიანა), ასევე მნიშვნელოვანი დამაზიანებელი ფაქტორია არასათანადო შენახვის პირობები, ვინაიდან ტილოს საფუძველზე არსებული დანაკარგები სავარაუდოდ მღრღნელებმა გამოიწვიეს.

რესტავრატორ-კონსერვატორების მიერ ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, ნამუშევრის მდგომარეობისა და დაზიანებების სიმძიმის შეფასების შემდგომ, მომზადდა ფოტოდოკუმენტაცია – განხორციელდა ფოტოგადაღება UV დასხივებით და გვერდითი განათების დახმარებით; ამის შემდგომ ჩატარდა დაზიანებების შესაბამისი სარესტავრაციო სამუშაოები. ნამუშევარი მოიხსნა ქვეჩარჩოდან და გადაიჭიმა სამუშაო ქვეჩარჩოზე, ფერწერული ფენა გამაგრდა თევზის ნაწლავის 6%-იანი წებოს და საკონსერვაციო ქაღალდის საშუალებით, გასწორდა საფუძვლის ანუ ტილოს დეფორმაციაც. ამის შემდეგ მოიხსნა წინა რესტავრაციის უხეში ჩარევები, გასუფთავების შემდგომ საფუძვლის დანაკარგები შეივსო სელის ტილოს საკერებლებით. ტილოს ახალ ქვეჩარჩოზე გადაჭიმვის საჭიროებამ კიდეების დუბლირების აუცილებლობა განაპირობა. კიდეების დუბლირებისთვისაც სელის ტილო იქნა გამოყენებული. შემდგომ, დანაკარგები გრუნტის ფენითა (ცარცის ფხვნილისა და თევზის წებოს ნაზავი) და საღებავის საშუალებით ტონირებით შეივსო. საბოლოოდ ფერწერის ფენა ლაქის დამცავი ფენით დაიფარა.

რაფიელ ერისთავის ორივე პორტრეტის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები თანამედროვე რესტავრაციის სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა, მომზადდა რესტავრაცია-კონსერვაციის დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ფერწერული ნამუშევრები დაუბრუნდა რ. ერისთავის სახელმწიფო მუზეუმს ქისტაურში.

## საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში გამოსაცემად მომზადდა ორი პუბლიკაცია:

- ***რაფიელ ერისთავი – 200*** (საავტორო ჯგუფი: *კაჭარავა, მორჩილაძე, ქოქრაშვილი, ღადუა, მანია, სულავა, ბელაშვილი, შარაბიძე*, 2024);













საერო დღესასწაული
თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო
(1895 წ. 22 დეკემბრისთვის)

**საერო დღესასწაული, თ. რაფ. ერისთავის იუბილეს გამო (1899).** გამოცემა ექვთიმე ივანეს-ძე ხელაძისა, თბილისი (რეპრინტი ე. კაჭარავას წინასიტყვაობის დართვით). პუბლიკაცია მომზადდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით.

**საიუბილეო გამოფენა რაფიელ ერისთავი – 200**

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო და რ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო მუზეუმებთან თანამშრომლობით, თ. ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის დოქტორმა ეკა კაჭარავამ მოამზადა და განახორციელა მემორიალური საიუბილეო კონცეპტუალური გამოფენა *რაფიელ ერისთავი – 200*. ექსპოზიცია წარმოდგენილი იყო გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საექსპოზიციო სივრცეში. ამავე გამოფენაზე შედგა ავტორთა კოლექტივის (*კაჭარავა, მორჩილაძე, ქოქრაშვილი, ღადუა, მანია, სულავა, ბელაშვილი, შარაბიძე*, 2024) ზემოაღნიშნული საიუბილეო პუბლიკაციის *რაფიელ ერისთავი – 200* წარდგენა.

ყველა ეს ღონისძიება ემსახურება ერთ მიზანს – ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების დაცვასა და შენარჩუნებას..


*ეკა კაჭარავა*
ისტორიის დოქტორი
საქართველოს უნივერსიტეტი




საუბილეო გამოფენის ბანერი
ბანერის დიზაინი – მარიამ უშხვანი



გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი




ღია ბარათის დიზაინი – თათია თევდორაშვილი










ექსპოზიციის მზადების პროცესი










ექსპოზიცია








EXIT













